

ხულიო კორტასარი

კლასობანა

სახელმძღვანელო ცხრილი

ეს წიგნი, ერთგვარად, რამდენიმე წიგნია, თუმცა მთავარი მაინც ორი წიგნია.

პირველი იკითხება ჩვეულებრივად, გაბმით, მიყოლებით და მთავრდება 56-ე თავით, რომლის ბოლოში აღნიშნული სამი ვარსკვლავი შეეფარდება სიტყვას „დასასრული“. ამდენად, მკითხველს შეუძლია აღარ გააგრძელოს კითხვა და ამის გამო არც სინდისის ქენჯნა იგრძნოს.

მეორე წიგნი იწყება 73-ე თავიდან იმ თანმიმდევრობით, როგორცაა აღნიშნული ყოველი თავის ბოლოს ფრჩხილებში. იმ შემთხვევაში, თუკი მკითხველი დაიბნევა, ან დაავიწყდება რას რა უნდა მოჰყვეს, შეუძლია ისარგებლოს მოცემული ცხრილით:

- 73 – 1 – 2 – 116 – 3 – 84 – 4 – 71 – 5 – 81 – 74 – 6 – 7 – 8
- 93 – 68 – 9 – 104 – 10 – 65 – 11 – 136 – 12 – 106 – 13 –
- 115 – 14 – 114 – 117 – 15 – 120 – 16 – 137 – 17 – 97 – 18 –
- 153 – 19 – 90 – 20 – 126 – 21 – 79 – 22 – 62 – 23 – 124 – 128
- 24 – 134 – 25 – 141 – 60 – 26 – 109 – 27 – 28 – 130 – 151 –
- 152 – 143 – 100 – 76 – 101 – 144 – 92 – 103 – 108 – 64 – 155
- 123 – 145 – 122 – 112 – 154 – 85 – 150 – 95 – 146 – 29 –
- 107 – 113 – 30 – 57 – 70 – 147 – 31 – 32 – 132 – 61 – 33 – 67
- 83 – 142 – 34 – 87 – 105 – 96 – 94 – 91 – 82 – 99 – 35 –
- 121 – 36 – 37 – 98 – 38 – 39 – 86 – 78 – 40 – 59 – 41 – 148 –
- 42 – 75 – 43 – 125 – 44 – 102 – 45 – 80 – 46 – 47 – 110 – 48
- 111 – 49 – 118 – 50 – 119 – 51 – 69 – 52 – 89 – 53 – 66 –

149 – 54 – 129 – 139 – 133 – 140 – 138 – 127 – 56 – 135 – 63
– 88 – 72 – 77 – 131 – 58 – 131 –

იმისათვის, რომ ადვილად და სწრაფად იპოვოთ შესაბამისი თავები, ყოველ გვერდზე მითითებულია ამ თავის შესატყვისი ნომერი.

იმ იმედით შთაგონებული, რომ სიკეთეს ვიქმ, მეტადრე ახალგაზრდების საკეთილდღეოდ და შემწეობას ვუწევ მათ სულიერ და ზნეობრივ გადახალისება-გაჯანსაღებაში, სწორედ ამიტომ შევადგინე წინამდებარე კრებული მაქსიმებისა, რჩევა-დარიგებებისა თუ წეს-კანონებისა, რაიც არის საფუძველთა-საფუძველი საყოველთაო მორალისა და სასიკეთოა ყოველი ადამიანის სულიერი და ხორციელი ბედნიერებისთვის, მათი ასაკის, მდგომარეობისა თუ ცხოვრების პირობების მიუხედავად. ამასთან, იგი დახმარებას გაუწევს არა მარტო სამოქალაქო და ქრისტიანული რესპუბლიკების აყვავებასა და კეთილდღეობას, სადაც ჩვენ ვცხოვრობთ, არამედ ნებისმიერ რესპუბლიკებსა თუ ხელისუფლებას, რომლებსაც კი თვით ყველაზე ღრმად მოაზროვნე და გულისხმიერი ფილოსოფოსები გაიხსენებენ.

ბიბლიისა და საყოველთაო მორალის სული, ამონარიდები ძველი და ახალი აღთქმიდან, დაწერილი ტოსკანურ ენაზე აბატი მარტინის მიერ და მის მიერვე მოხმობილი ციტატები:

თარგმნილია კასტილიურ ენაზე წმინდა კაიეტანოს კონგრეგაციის სწავლული კლერიკალის მიერ.

ნებადართულია.

მადრიდი, გამოქვეყნებულია ასნარის მიერ, 1797.

ყოველთვის, როცა აცივდება, მით უმეტეს შემოდგომის შუა რიცხვებში, რაღაც გიჟური ფიქრი ამეკვიატება, მომინდება

ხოლმე რამე ექსცენტრული თუ ეგზოტიკური ჩავიდინო, მაგალითად, გადავიქცე მერცხლად და თბილი ქვეყნებისკენ გავფრინდე, გადავიქცე ჭიანჭველად, რომ ჩავძვრე სოროში და ზაფხულში მოძიებული საბრდოთი ვიკვებო, გადავიქცე გველად, ზოოპარკში, თბილ შემინულ გალიებში რომ ჰყავთ და უფრო თხილდებიან სიცვიისგან არ გაშეშდნენო, იმ ადამიანებივით არ გაშეშდნენ, რომელთაც იმის საშუალებაც არა აქვთ, თბილი ტანისამოსი იყიდონ, არც ნავთი მოეძევათ, არც ნახშირი, არც ბენზინი, იმის ფულიც კი არ გააჩნიათ, რომ არაყი მაინც იყიდონ და ცოტა გათბნენ; ოღონდ ეს ბოროტად არ გამოიყენონ, რამეთუ ბოროტება მანკიერებად გადაიქცევა ხოლმე და ცოდვისკენ გიბიძგებს, ხოლო ცოდვიდან ხორციელ და სულიერ დაცემამდე ერთი ნაბიჯია; მერე კი, თუკი ერთხელ დაგიცდა ფეხი და თავდაღმართზე დაეშვი, ხელს აღარავინ მიგაშველებს, მთელ ქვეყნიერებაზე ვაცი არ მოიძებნება, ნაძირალების სანაგვიდან რომ ამოგათრიოს, არავინ გამოჩნდება ტალახიდან, აშშორებული ჭაობიდან რომ ამოგიყვანოს. შენც კონდორივით არ დაგემართოს, სანამ ახალგაზრდაა, ბოინობს და დაფრინავს მთის მწვერვალებზეც კი, დაბერდება და ძრავამოშლილი ბომბდამშენივით დაენარცხება მიწაზე. ღმერთმა ქნას, ჩემი ნათქვამ-ნაწერი ვინმემ ყურად იღოს, ვინმეს გამოადგეს, დაუკვირდეს, რასაც სჩადის, რომ მერე სანანებლად არ გაუხდეს, საკუთარ თავს არ დააბრალოს, ყველაფერი ჯანდაბის გზას არ გაუყენოს.

სესარ ბრუტო. ვინ მინდოდა ვყოფილიყავი, ის რომ არ ვიყო, ვინც ვარ. (თავი — „წმინდა ბერნარდის ქოთავი“)

იმ მხრიდან

„ისე არაფერი კლავს ჩვენში ადამიანს, როგორც იმის აუცილებლობა, რომ წარმოაჩინო შენი ქვეყანა.“

ჟაკ ვაშე, (წერილიდან ანდრე ბრეტონისადმი)

შევხვდები კი მაგას? რამდენჯერ ყოფილა, სახლიდან რომ გამოვიდოდი, სენის ქუჩას გაუყვებოდი, მერე თალიდან კონტის სანაპიროზე გავიდოდი, მდინარეზე მონაცრისფრო-ზეთისხილისფერ ნისლში ძლივს რომ ვარჩევდი საგანთა მოხაზულობას, მაშინ დავლანდავდი ხელოვნების ხიდზე მის სიფრიფანა სილუეტს, ხან აღმა-დაღმა რომ მიდი-მოდოდა, ხანაც რკინის მოაჯირს დაენდობოდა და წყალს ჩააჩერდებოდა. რაღა თქმა უნდა, მეც მაშინვე გადავირბენდი ქუჩაზე, ავევლებოდი ხიდის კიბეებს, ერთბაშად გავვარდებოდი ვიწრო გასასვლელში და უმაღლეს მასთან გაუჩნდებოდი. ის კი გაიღიმებდა, მაგრამ გაკვირვებით არ გაიკვირვებდა, რადგან მასაც ჩემსავით სჯეროდა, რომ ვითომ მოულოდნელი შეხვედრა ყველაზე მოსალოდნელია ცხოვრებაში და რომ შეხვედრების წინასწარ დათქმა მართო იმ ადამიანებს სჩვევიათ, რომლებსაც მხოლოდ ხაზიან ქაღალდზე შეუძლიათ წერა და რომლებმაც ტუბს ძირში უნდა მოუჭირონ ხელი, რომ პასტა გამოადინონ.

მაგრამ ახლა მაგა ხიდზე არ დამხვედრია, ეგებ მისი ნაზი სახე და თითქმის გამჭვირვალე კანი სადმე მარეს კვარტლის სადარბაზოში გამოკრთეს, ანდა შემწვარი კარტოფილის გამყიდველს ელაპარაკებოდეს, ანდა სევასტოპოლის ბულვარზე სულაც ცხელ სოსისებს შეექცეოდეს. მე კი მაინც ავედი ხიდზე, თუმცა მაგა არც იქ დამხვედრია. იმ დღიდან მისი კვალიც დავკარგე, აღარსად შემხვედრია; და თუმცა ორივემ კარგად ვიცოდით ჩვენი პარიზული ბინების ყოველი კუთხე-კუნჭული, რომელთაც ფსევდო-სტუდენტებს აქირავებდნენ, ვიცოდით ყოველი საფოსტო ბარათიც კი, იაფფასიან ჩარჩოში ჩასმული ან უგემურ შპალერზე მიკრული, ეს ერთგვარი სარკმელი საიდანაც ვჭვრეტდით ბრაკის, გირლანდაიოს და მაქს ერნსტის სამყაროს, მაინც ერთმანეთს სახლებში არ ვეძებდით, გვერჩინა სადმე ხიდზე შეხვედროდით, თუნდაც კაფეს ტერასაზე, კინოკლუბში,

ანდა სულაც ლათინური კვარტლის რომელიმე ეზოში, მაწანწა-
ლა კატების მყუდრო კუთხეში; და ასე დავეხეტებოდით ქუჩა-ქუ-
ჩა, მაგრამ არ ვეძებდით ერთიმეორეს, რამეთუ ვიცოდით, ამ ხე-
ტიალში მაინც შევიყრებოდით. ოჰ, მაგა, თუკი რომელიმე ქალს
მიგამსგავსებ, ისეთი განცდა მაქვს, თითქოს გამაყრუებელ სი-
ჩუმეს შევეჯახეო, ბროლის ნატეხივით ბასრ სიჩუმეს, რაც, სამ-
წუხაროდ, ისევე იმსხვრევა, როგორც სველი ქოლგა შემოგვემ-
სხვრა ხელში; მართლა, მაგა, ხომ გახსოვს ის ძველი ქოლგა,
მანსურის პარკში მსხვერპლივით რომ შევწირეთ ხრამს მარტის
იმ სუსხიან გვიან საღამოს, ის ქოლგა, მანამდე თანხმობის მო-
ედანზე რომ იპოვე ცოტა ხნის წინ, უკვე კარგად შელახული,
თუმცა ერთხანს კარგად ხმარობდი, განსაკუთრებით მეტროსა
და ავტობუსებში გზა რომ გაგეკვლია. მაინც რა დაბნეული და
მოუხერხებელი იყავი, ან რატომ ფიქრობდი ხოლმე სულ იმ ნა-
ირფერ ჩიტებზე, თუ იმ უცნაურ გამოსახულებებზე, ორმა ბუმბა
რომ დატოვა მანქანის სახურავზე. იმ საღამოს ერთი დელგმა
ატყდა და, როცა პარკში შევედით, შენ ამაყად დააპირე იმ ქოლ-
გის გაშლა, მაგრამ შენს ხელებში უეცრად თითქოს ნამდვილი
ქარ-ბორბალა დატრიალდა, მანებმა გაგლიჯა ქსოვილი და ერ-
თმანეთში ისე აირ-დაირია და გაიხლართა, რომ თავზე შავი
ღრუბელივით ჩამოგვემხო, ჩვენ კი გიჟებივით ვიცინოდით ამ
თავსხმა წვიმაში და თან ქოლგის დაკეცვას ვცდილობდით; მერე
ვიფიქრეთ, მოედანზე ნაპოვნმა ქოლგამ ღირსეულად უნდა და-
ასრულოს თავისი დღენიო და ჯობია ისევ ამ პარკში და არა სად-
მე ნაგავში ან გზის გადაღმამო. მაშინ მეც რაც შემეძლო გულდა-
გულ დავკეცე, პარკში ყველაზე შემადლებული ადგილი მოვძებ-
ნეთ, რკინიგზის თავზე პატარა ხიდზე ავედით, რაც ძალი და ღო-
ნე მქონდა მოვიქნიე და პირდაპირ ხრამში გადავუძახე; შენ კი
ისეთი კვილი აღმოგხდა იმ წუთში, ვამპირის წყევლასავით ჩა-
მესმა; ქოლგა კი ხრამში სველ ბალახებსა და ბუჩქებში ისე ჩა-
ეფლო, ვითარცა გემი მწვანე, მღვრიე წყალში, *A la mer qui est
plus féloune en été qu'en hiver*[1], როცა ვერაგი ტალღა ერ-
თიანად დანთქავს; მაგა, ჩვენ კიდევ კარგა ხანს განვაგრძობ-
დით მისი უკანასკნელი განსასვენებლის სახელების ჩამოთ-
ვლას და ჟუენველზე და პარკზე შეყვარებულები ვიდექით ასე
ერთმანეთს გადაჭდობილები, ვითარცა ორი დალტობილი ხე, ან

რომელიღაც საშინელი უნგრული ფილმის მსახიობები; ამ დროს კი ჩვენი ქოლგა ეგდო წუმპეში, როგორც პატარა, შავი, გასრესილი მწერი, ეგდო უქმად და უსარგებლოდ იმ თავისი მანებითა და ზამბარებით. დამთავრდა, მან დაასრულა თავისი გზა. ოჰ, მაგა, მერე ვიკმარეთ ჩვენ ეს ყველაფერი!

ახლა რაღამ მომიყვანა ხელოვნების ხიდზე? მგონი, დეკემბრის ამ ხუთშაბათ დღეს მარჯვენა სანაპიროზე გასვლას ვაპირებდი, ლომბერის ქუჩაზე პატარა კაფეში ღვინოს დავლევდი, მერე კი მაღამ ლეონის მოვინახულებდი, ჩემს ხელისგულს დახედავდა, შორეულ მოგზაურობასა და თავგადასავლებს მიწინასწარმეტყველებდა. აი, შენ კი ვერასოდეს წაგიყვანე მაღამ ლეონისთან, შენს ხელისგულზეც რომ დაეხედა, მეშინოდა შენს ხელისგულზე არ ამოეკითხა სიმართლე ჩემზე, რადგან შენ ყოველთვის იმ საშინელ სარკედ მეჩვენებოდი, ჩემს სახეს რომ დაგანახვებდა, იმ შემზარავ ჩემივე გამეორებას; და ის, რაც ერთმანეთის სიყვარული გვეგონა, მე ისე წარმომედგინა თითქოს ვიდექი შენ წინაშე, ხელში მეჭირა ყვითელი ყვავილი, ხოლო შენ — მწვანე სანთლები, დრო კი სახეში ნელი წვიმის შხეფებად გვაყრიდა უარს, განშორებას და მეტროს ბილეთებს, აი რატომ არ წაგიყვანე მაღამ ლეონისთან, მაგა; მეც ვიცოდი, რატომაც მითხარი, რომ არ გესიამოვნებოდა, თუკი ვერნეის ქუჩაზე დაგინახავდი, პატარა ბიბლიოთეკაში რომ დადიოდი, იქ, სადაც წელში მოხრილი მოხუცი ათასობით კართოტეკის ბარათს ავსებს და იცის ყველაფერი, რაც კი შეიძლება იცოდეს კაცმა ისტორიოგრაფიის სფეროში. შენ კი იქ დადიოდი, რომ კატას მოფერებოდი, ამბზე მოხუცი უარს არც გეტყოდა, იმითიც კმაყოფილი იყო, მაღალი თაროდან წიგნს თუ ჩამოუღებდი; იქ შენ დიდ შავსაკვამურიან ღუმელთანაც თბებოდი და არც ეს გინდოდა, მე რომ მცოდნოდა. ეს ყველაფერი თავის დროზე უნდა გვეთქვა, მაგრამ, სამწუხაროდ, ეს დრო ვერ შევარჩიეთ და ახლაც, როცა ხიდზე მოაჯირს დაყრდნობილი გავყურებ მუქ ღვინისფერ ბარჯას, დიდ ლამაზ პრიალა ხოჭოსავით რომ მიცურავს, ვხედავ თეთრ წინსაფრიან ქალს მავთულზე სარეცხს რომ ჰფენს, ვხედავ ჰენზელისა და გრეტელის დროინდელ ფარდებჩამოფარებული, მწვანედ შეღებილ ფანჯრებს, ახლაც ვეკითხები საკუთარ

თავს, ჰქონდა კი ამ როდესო, ამ წინ და უკან ბორიალს რაიმე აზრი-მეთქი, რადგან ლომბერის ქუჩამდე მისვლა ჩემთვის უფრო ადვილი იყო, სენ მიშელისა და ოშანჟის ხიდზე თუ გადავიდოდი; შენ რომ იქ დამხვედროდი იმ საღამოს, როგორც არაერთხელ დამხვედრიხარ, უყოყმანოდ ვიტყვოდი, ჰქონდა-მეთქი, მაგრამ შენ იქ არ დამხვდი, ახლა, როცა მარცხი განვიცადე, ქურთუკის საყელს ავიწევ და დავუყვები სანაპიროს, ჩავუვლი მაღაზიებს შატლემდე, გავცდები სენ ჟაკის კოშკის იისფერ ჩრდილს, ავუყვები ჩემს ქუჩას, ვიფიქრებ შენზე, იმაზე, რომ ვერ შეგხვდი და კიდევ, მაღამ ლეონიზეც.

ის კი ვიცი, რომ ერთ მშვენიერ დღეს ჩამოვედი პარიზში, ერთხანს ვალეებით გამქონდა თავი, მეც იმას ვიქმოდი, რასაც სხვები, იმას ვუყურებდი, რასაც სხვები. და აი, ერთ დღესაც შერშ-მოდის ქუჩაზე შენ გამოხვედი კაფედან და ჩვენ ერთმანეთს გამოველაპარაკეთ. იმ საღამოს რატომღაც ყველაფერი უსიამოვნოდ წარიმართა, რადგან ჩემი არგენტინული ჩვევები წამდაუწუმ ქუჩიდან ქუჩაზე გადასვლა-გადმოსვლას, ოდნავ განათებულ ქუჩებში ჩემთვის სრულიად უმნიშვნელო ვიტრინების თვალიერებას არ მანებებდა; ამიტომ უხალისოდ მოგყვებოდი და ვფიქრობდი, რა თავქარიანია და გაუზრდელი-მეთქი; ასე მოგდევდი, სანამ შენივე დაუღლელობამ არ დაგღალა და ბულ-ვიშზე კაფეში არ შევედით, იქ თან ფუნთუშებს შეეცქეოდი გამალეებული და თან შენი ცხოვრების ამბებს მიყვებოდი.

აბა, მაშინ როგორ ვიფიქრებდი, რომ შენი ნაამბობი, შენივე შეთხზულ-გამონაგონი რომ მეგონა, თურმე მართალი იყო: ფიგარის სურათები, საღამოჟამის იები, გაცრეცილი სახეები, შიმშილი და კუთხე-კუთხე ცემა-ტყეპა... ძალიან გვიან გავიგე ყველაფერი, მერე იყო კიდევ მაღამ ლეონიც, ვინც ჩემს ხელისგულს როცა დახედა, ხელისგულს, ძილის წინ შენს მკერდს რომ ეალერსებოდა და ძილშიც მიყვებოდა მისი სითბო, სიტყვასიტყვით გამიმეორა შენივე ნათქვამი: „იგი ახლა იტანჯება სადღაც, ყოველთვის იტანჯებოდა, ძალიან მხიარული კია, აღმერთებს ყვითელ ფერს, მისი ფრინველია შაშვი, მისი დრო — ღამე, მისი

ხიდი — ხელოვნების ხიდი” (მღვრიე ღვინისფერი ბარჯა, მაშინ რატომ არ გავყევით, მაგა, როცა ამის დრო იყო).

აბა, ერთი დაფიქრდი, როგორც კი ერთმანეთი გავიცანით, განა მაშინვე არ აგვირია ცხოვრებამ გზა-კვალი, არ დაგვიგო მახე, რომ ერთმანეთს დავშორებოდით. შენ თვალთმაქცობა არ შეგეძლო და მეც მალე მივხვდი, რაკი მინდოდა ისეთი დამენახე, როგორიც მე მინდოდა ყოფილიყავი, თვალი უნდა დამეხუჭა, მაშინ კი ჯერ ყვითელი ვარსკვლავების მსგავსს რასმე დავინახავდი ხავერდისმაგვარ ჟელეში, მერე მხიარული წითელი შხეფებისთვის უნდა მეცქირა საათობით და ასე ნელ-ნელა შევალწევდი შენს სამყაროში, მაგას სამყაროში, სადაც სუფევდა უწესრიგობა და დაბნეულობა, მაგრამ იქვე იყო კლემს ობობას ქსელი და გვიმრები, მიროს ცირკი, ვიეირა და სილვას ფერფლშეფრქვეული სარკეები, სამყარო, სადაც თითქოს მოძრაობ ჭადრაკის მხედარივით, რომელმაც შეიძლება ეტლის სვლა კი ჩაიფიქრა, მაგრამ კუს სვლას გააკეთებს. იმ დღეებში კინო-კლუბებშიც დავდიოდით მუნჯი ფილმების საყურებლად; მე ჩემი სწავლა-განათლების წყალობით, ვიცოდი, რასაც ვუყურებდი, შენ კი, საბრალოვ, სრულიად არაფერი გესმოდა იმ ფერდაკარგული ვნებებისა, რაც შენს დაბადებამდე ხდებოდა, იმ დაძველებული ფირებისა, რომელზეც ან უკვე გარდაცვლილი ადამიანები ფუსფუსებდნენ; მაგრამ როგორც კი ჰაროლდ ლოიდი გამოჩნდებოდა, მყისვე გამოფხიზლდებოდი და იმასაც კი ირწმუნებოდი, ყველაფერი დიდებული იყო, პაბსტიც და ფრიც ლანგიც და საერთოდ ყველაფერიო. მეც, ცოტა არ იყოს, მაღიზიანებდა სრულყოფილებისკენ სწრაფვის შენი მანია, შენი ძირგამოხეული ფეხსაცმელი და მისაღების მიუღებლობის ჯიუტი ახირება. ჩვენ ჰამბურგერებს შევექცეოდით ხოლმე ოდენონის ახლოს კუთხეში და ველოსიპედებით მონპარნასისკენ მივემართებოდით, სადმე ნებისმიერ სასტუმროში რომ შეგვეღწია, ოღონდ კი იქ საბან-ბალიში ყოფილიყო. ზოგჯერ პორტ დ'ორლეანამდეც მივდიოდით და გულდაგულ ვათვალისწინებდით ჟურდანის ბულვარის მიღმა უდაბურ ადგილებს, სადაც შეღამებისას გველის კლუბის წევრები იკრიბებოდნენ ბრმა ნათელმხილველთან სასაუბროდ, მაინც რა ამაღელვებელი პარადოქსია; ველოსიპედებს ქუჩაში ვტო-

ვებდით და დავეხეტებოდით იმ უკაცურ ადგილებში; ხანდახან გავყურებოდით და ცას შევყურებდით, რადგან ეს ერთ-ერთი იმ ადგილთაგანია პარიზის შემოგარენში, სადაც მიწაზე მეტად ცა ფასობს; მერე ჩამოვსხდებოდით ნაგვის გროვებზე და სიგარეტს ვაბოლებდით, მაგა თმაზე ხელს მისვამდა ალერსით ან რაღაც სიმღერებს ღიღინებდა, რომლებიც ისეთი სულელური იყო, გადმოცემაც კი ძნელია, თან შიგადაშიგ ამოიოხრებდა, ან მოგონებები გაიტაცებდა. მე კი ამასობაში ვფიქრობდი სრულიად უმნიშვნელო რამეებზე, ეს მეთოდი ვარგა ხნის შემდეგ, საავადმყოფოში რომ ვიწეე, მაშინ გამომადგა, და ყოველ ჯერზე ეს გართობა უფრო და უფრო სასარგებლო და საჭიროც კი მეჩვენებოდა; დიდის გაჭირვებით ვაკავშირებდი უმნიშვნელო სახეებს, ვცდილობდი გამეხსენებინა სუნი, საგანი თუ სახე, და ამ უმნიშვნელოდან თუ არაფრიდან შემრჩა ყავისფერი ჩექმები, ოლავარიაში რომ მეცვა 1940 წელს; იმ ჩექმებს რეზინის ქუსლები და ისეთი თხელი ლანჩა ჰქონდა, რომ წვიმიან ამინდში წყალი ლამის კისრამდე აღწევდა. როგორც კი მოგონებებში ამ ჩექმებს მოვიხელთებდი, დანარჩენიც მოჰყვებოდა, მაგალითად, დონია მანუელასა და ერნესტო მორონის სახეები, მაგრამ მათ მალევე ვიშორებდი, რაკი თამაშის პირობის თანახმად, წარსულიდან მხოლოდ უმნიშვნელო, შეუმჩნეველი, უკვე მტკრად ქცეული მოვლენები უნდა ამომეზიდა. როცა წარმოვიდგენდი, ველარაფერს გავიხსენებდი, ცახცახი ამიტანდა და მაშინ ვიფიქრებდი, ჯანდაბას ყველაფერი, რატომ ვწვალობ იმისთვის, რომ დროს დავეწიო-მეთქი, მაგრამ ბოლოს ჩექმების გვერდით გამონდებოდა მზიური ჩაის ქილა, დედაჩემი რომ მასმევდა ხოლმე ბუენოს აირესში, მერე ჩაის კოვზი, ჩაის ნამცეცების დასაჭერი ანკესი, ჩაის ნამცეცები, მდულარეში რომ იფუფქებოდნენ პაწაწინა წრუწუნებივით და შუშხუნასავით ბუშტებს უშვებდნენ. ვიცოდი, რომ მეხსიერება ყველაფერს ინახავს, და არა მხოლოდ ალბერტინას და მის მსგავსებს, თუ გულისა თუ თირკმელებისთვის მნიშვნელოვან იუბილეებს და თავს ძალას ვატანდი, რომ გამეხსენებინა რა ნივთები ეწყო ჩემს სამუშაო მაგიდაზე ფლორესტაში, ან რანაირი სახე ჰქონდა იმ გოგონას, ხეკრეპტენი რომ ერქვა, ან რამდენი კალამი იდო ჩემს პენალში, როცა მეხუთე კლასში ვიყავი დაბოლოს იმედი რომ გადაამეწურებოდა, ცახ-

ცახი ამიტანდა, (რადგან ვერაფრით ვერ ვიხსენებდი, სულ რამდენი კალამი მქონდა პენალში, ის კი მახსოვდა რომ საგანგებო განყოფილებაში ეწყო, მაგრამ რამდენი, ორი თუ ექვსი, ან როდის რამდენი, ამაზე უიმედოდ ვიმტვრევდი თავს); მაშინ დამიწყებდა მაგაც კოცნას და სიგარეტის ბოლსა და სითბოს სახეში მიბერავდა, მეც გამოვფხიზლდებოდი და მერე ერთად ვიცინოდით, ავდგებოდით და ისევ ვიწყებდით ხეთიალს ნაგვის გროვებს შორის და ვეძებდით ჩვენს თანაკლუბელებს. უკვე მაშინ მივხვდი, რომ ძებნა იყო ჩემი ხვედრი და ბედისწერა, ძებნა მათი ემბლემაც იყო, ვინც ღამლამობით უმიზნოდ გამოდის სახლიდან და მათი გამართლებაც, ვინც კომპასებს ანადგურებს. მე და მაგა გამოთაყვანებამდე ვმსჯელობდით პატაფიზიკაზე, რადგან ის, რაც მის თავს ხდებოდა და გამუდმებითაც ხდებოდა, ვერანაირ ჩარჩოში ვერ თავსდებოდა (ასეთი იყო ჩვენი შეხვედრებიც და სხვაც ბევრი ისეთივე უცნაური, როგორც ფოსფორის ნათება). არადა მართლა ისეთ ხათაბალებში გაებმებოდა ხოლმე, ოღონდ იმიტომ კი არა, რომ ჩვენ სხვებს ვემიჯნებოდით და ჩვენს თავს მაღდორორებად ან ვინმე მელმოტ-მოხეტიალეებად წარმოვიდგენდით. არა მგონია, დიდ კმაყოფილებას გრძნობდეს ციციანათელა, რომ ის ბუნების ცირკის უდავოდ ერთ-ერთი გასაოცარი მონაწილეა, მაგრამ თუ წარმოვიდგენთ, რომ მას აქვს შემეცნების უნარი, მაშინ ეს მწერიც უნდა აღიგზნეს საკუთარი განსაკუთრებულობის გამო, როცა მისი მუცელი აციმციმდება.

მაგასაც სწორედ ის აცვიფრებდა და აღაგზნებდა, რომ მუდამ დაუჯერებელ ხათაბალაში ეხვეოდა, იმიტომ, რომ მის ცხოვრებაში ყოველგვარი წესი და კანონი თავდაყირა იდგა. იგი ერთ-ერთი იმათგანი იყო, ვინც ხიდზე შედგამს თუ არა ფეხს, ხიდი მყისვე ჩაიქცევა, და ვინც ვაი-ვიშით იხსენებს, როგორ ნახა და არ იყიდა ლატარიის ბილეთი, ხუთი წუთის წინ ხუთი მილიონი რომ მოიგო. მე კი მივეჩვიე, ჩემს ცხოვრებაშიც რომ ხდებოდა უჩვეულო ამბები, მაგრამ ზომიერად უცნაური; მე არცთუ დიდად შემადრწუნებს ის შემთხვევა, როცა ბნელ ოთახში შევალ ფირფიტების ალბომის ასაღებად და უცბად ხელის გულზე ამაბობლდება უზარმაზარი ორმოცფეხა, რომელმაც თურმე ნუ იტყვიო, მაინცდამაინც ალბომის ყუაზე მოისურვა ძილი; ანდა ვთქვათ,

ავიღე სიგარეტის კოლოფი, გავხსენი და შიგ მომწვანო-მონაც-რისფრო ნაფშვენები აღმოჩნდა, ან კიდევ სწორედ იმ დროს გა-ისმა ლოკომოტივის საყვირის ხმა და თანაც ისეთი ტონალობი-სა, რომ ყურადღება არ გადამეტანა ლუდვიგ ვანის სიმფონიის რომელიმე პასაჟზე, ან კიდევ მედიჩის ქუჩაზე პისუარში რომ შე-ვირბინე და იქ შევეჩხე კაცს, რომელიც სწორად ამ დროს გა-მოვიდა კაბინიდან, ჩემსკენ შემობრუნდა და დავინახე, როგორ ჩაებლუჯა მუჭში ძვირფასი ნივთივით ან რამე საეკლესიო სიწ-მინდესავით წარმოუდგენელი სიდიდისა და ფორმის საკუთარი ასო, მე კი იმ კაცმა მაშინვე გამახსენა და ნამდვილად გაჭრილი ვაშლივითაც ჰგავდა იმ მეორეს (ანდა ის მეორე კი არა, სულაც ეს იყო), რომელიც 24 საათის წინ გეოგრაფიული საზოგადოე-ბის წინაშე გამოდიოდა მოხსენებით ტოტემებსა და ტაბუს შესა-ხებ და სწორედ ასევე ჰქონდა ჩაბლუჯული და დამსწრეთ აჩვე-ნებდა მარმარილოს ნატეხებს, ფრინველის ბუმბულებს რიტუა-ლურ მონეტებს და ნამარხი ცხოველების ნარჩენებ რომელთაც მაგიურ თვისებებს მიაწერდნენ, ზღვის ვარსკვლავებს, გამხმარ თევზებს, მეფეთა ხარჭების სურათებს, მონადირეების შენაწი-რებს, დაბალზამებულ უზარმაზარ ხოჭოებს, რაც ნეტარ თრთო-ლას ჰგვრიდა ასეთი თავყრილობების მოყვარულ ქალბატო-ნებს.

უნდა ვთქვა, რომ სულაც არ მეადვილება მაგაზე საუბარი, ვინ იცის, ეგებ ახლაც, ამ საათშიც დაბორილებს ბელვილზე ან პანტანზე და გაფაციცებით ეძებს წითელი ქსოვილის ნაკუწს და, თუ ვერ იპოვის, მთელი ღამე ივლის და ჩამქრალი თვალებით დაიწყებს ძებნას სანაგვეებზე, რადგან სჯერა, რომ რაღაც უბე-დურება დაატყდება თავს, თუ ვერ იპოვის მიტევების ან გადავა-დების გამოსასყიდ ამ ნიშანს. მე კარგად მესმის მაგასი, რადგან მე თავადაც მწამს და ვემორჩილები ნიშნებს და მეც ასევე ძალი-ან მჭირდება ხოლმე წითელი ქსოვილის ნაკუწი. ბავშვობიდან მომყვება, რომ თუკი რაიმე დამივარდებოდა ძირს და ვერ ავი-ღებდი, რაღაც უბედურება მოხდებოდა; შეიძლება ეს პირადად მე არ დამმართვოდა, მაგრამ იმას დასტყდომოდა თავს, ვინც მიყვარდა და ვისი სახელიც იმავე ასოზე იწყებოდა, რომელზეც იმ საგნისა. მაგრამ ყველაზე უარესი ისაა, რომ არ არსებობს და-

ლა, რომელიც მე შემაჩერებს, თუ რამე დამივარდა, და არ აქვს მნიშვნელობა თუ ვინმე სხვა აიღებს – მოსახდენი მოხდება. რამდენჯერ ამის გამო ლამის გიჟადაც კი გამომაცხადეს და სწორიცაა, ამ დროს მართლაც ვგიჟდები ხოლმე, ქაღალდიც რომ დამივარდეს, არანორმალურივით დავეძგერები, თუნდაც ფანქარი ან შაქრის ნატეხი...

სწორედ შაქრის ნატეხის გამო იყო, სკრიბის ქუჩაზე, მდიდრულ რესტორანში ერთი აურზაური რომ ატყდა; იმ დროს ხალხით სავსე იყო, საქმიანი ადამიანები, შავ-მურა მელიის ბეწვით მორთული მეძავეები თუ სამაგალითო ცოლ-ქმარი, ვის არ ნახავდით იქ. მე რონალდთან და ეტიენტან ერთად ვიყავი და ისე მოხდა, რომ შაქრის ნატეხი დამივარდა, გაგორდა და ჩვენგან კარგა მოშორებით მაგიდის ქვეშ შევარდა; მაშინვე იმას მივაქციე ყურადღება, რომ შაქრის ნატეხი ჩვეულებრივად სწორკუთხაა და იატაკზე რომ დავარდება, იქვე რჩება, ეს კი ნაფტალინის ბურთულასავით გაგორდა; ამან კიდევ უფრო შემაშფოთა და ვიფიქრე, ვაითუ ხელიდან ძალით გამაგდებინეს-მეთქი. რონალდმა, რომელიც მე საკმაოდ კარგად მიცნობს, იქით გაიხედა, სადაც შაქარი შეიძლება შეგორებულიყო და გადაიხარხარა. ამან ხომ შემაშინა და შემაშინა, მაგრამ გამაშმაგა კიდევ. მიმტანიც მოვიდა, რადგან ეგონა, რაღაც ძალიან ძვირფასი რამ დამივარდა, პარკერის კალამი ანდა კბილების პროთეზი, მაგრამ მისი დახმარება სულ არ მჭირდებოდა, მე მაშინვე, კრინტიც არ დამიძრავს, ისე გავექანე იმ მაგიდისკენ და დავიწყე ძებნა მაგიდის გარშემო მსხდომი ცნობისმოყვარეობით შეპყრობილი (ამის საფუძველი ჰქონდათ) ქალებისა და კაცების ფეხსაცმელებს შორის, რომლებიც დარწმუნებული იყვნენ, საქმე მეტად მნიშვნელოვან ნივთს ეხებოდა; მაგიდასთან ისხდნენ ერთი კარგა ზორბა, წითელთმიანი ქალი, მეორე ნაკლებად მსუქანი, მაგრამ ასევე კარგა ჯანმრთელი ბოზი და ორი მამაკაცი, რაღაცის მმართველებს ან რამე ამის მსგავსს რომ ჰგვანდნენ. თავიდანვე მივხვდი, რომ შაქარი იქ შეიძლება ვერც მეპოვა, თუმცა საკუთარი თვალით დავინახე, სწორედ ამ მაგიდის ქვეშ რომ გაჩერდა, პირდაპირ მათ ფეხსაცმელებს შორის, ისინი კი ქათმებივით აქოთქოთდნენ და აკრიახდნენ.

ჩემდა სავალალოდ, იატაკზე კარგა გვარიანად გახეხილი ნოხი იყო დაგებული და ვიფიქრე, ხაოში ისე ჩაეფლო, ვეღარ დავინახავ-მეთქი. მიმტანიც ჩემსავით დაოთხილი მაგიდის მეორე მხარეს დაბობღავდა, ფეხსაცმელებს შორის, მათი პატრონები კი ჩვენ თავს ზემოთ გიჟებივით ბობოქრობდნენ. მიმტანი ისევ დარწმუნებული იყო, რომ ან პარკერის კალამს ვეძებდი, ან რაიმე ძვირფას ნივთს და როცა მაგიდის ქვეშ, სიბნელეში ერთმანეთის მიმართ ნდობა გაგვიჩნდა და მან მკითხა და მეც ვუპასუხე, როგორც იყო საქმე, ისეთი სახე გაუხდა, გეგონებოდათ ლაქი შეასხესო, მაგრამ მე რა გამაცინებდა, შიშმა კუჭი ისე შემიკუმშა, რომ უკიდურეს სასოწარკვეთილებაში ჩავვარდი (განრისხებული მიმტანი მაგიდის ქვემოდან გამოძვრა) მე კი ქალების ფეხსაცმელებს დაუუწყე ჩხრეკა, ქუსლში ხომ არ ჩაიჭედამეთქი, დედლები აკაკანდნენ, მამლები ზურგში მინისკარტებდნენ, და ამავე დროს მესმოდა, როგორ ხარხარებდნენ რონალდი და ეტიენი, მე კი ვერ ვჩერდებოდი, დავფოფხავდი მაგიდიდან მაგიდამდე, სანამ ბოლოს არ დავინახე სკამის ფეხთან, თანაც მეორე იმპერიის სტილის სკამის ფეხთან მიმალული შაქრის ნატეხი. ირგვლივ ყველა უკლებლივ აღშფოთებული იყო, მე თვითონაც ვბრაზობდი, მუჭში ჩაბლუჯული შაქარი კი დნებოდა და ოფლიან ხელისგულზე საზიზღრად მეწებებოდა, ასე იძიებდა შურს ჩემზე; და ასეთი ოინები მემართება ლამის ყოველდღე.

(-2)

2

თავდაპირველად ისეთი გრძნობა მქონდა, თითქოს სისხლს მწოვდნენ; გამუდმებული ჩიჩინი და წვალება იმაზე, რომ პიჯაკის ჯიბეში აუცილებლად უნდა მედოს ლურჯყდიანი სულელური პასპორტი, უნდა მახსოვდეს, რომ სასტუმროს გასაღები თავის ადგილზე, ლურსმანზე ჩამოვკიდო; შიში, გაუგებრობა, სიბრძავე – ამას ასე ჰქვია, იმას ისე წარმოთქვამენ, ახლა ეს ქალი გაიდი-

მებს, ამ ქუჩის იქით იწყება ბოტანიკური ბაღი. პარიზი ნამდვილი საფოსტო ბარათივითაა — კლეს ნახატები ჭუჭყიანი სარკის გვერდით. ერთ ნაშუადღევს მაგა გამოჩნდება შერშ-მიდის ქუჩაზე, ჩემთან სახლში მოდის ტომბ-ისუარის ქუჩაზე, როგორც ყოველთვის, ხელში ყვითელი ყვავილი უჭირავს, ან კლეს თუ მიროს საფოსტო ბარათი, ხოლო როცა ამისთვის ფული არა აქვს, პარკში ჭადრის ფოთოლს აიღებს ხოლმე. იმ ხანებში მე დილაადრიან გამოვდიოდი სახლიდან და ვეძებდი ცარიელ კოლოფებს, მავთულებს და ვაკეთებდი ხან ბზრიალებს, ხან სხვადასხვანაირ ფიგურებს, საკვამურებზე ვამაგრებდი და ტრიალებდნენ თავისთვის, თუმცა ვის რაში სჭირდებოდა, მაგა კი მათ გაფერადებაში მეხმარებოდა; ჩვენ ერთმანეთზე შეყვარებულები არ ვიყავით, უბრალოდ განუსჯელად მივენდობოდით ვნებას, რის მერეც ჩამოვარდებოდა საშინელი დუმილი და ამ დროს ლუდი ჭიქებში თებოდა, ქაფი ძენძივით შრებოდა, ჩვენ კი ერთმანეთს შევხედავდით და ვგრძნობდით, რომ ეს იყო დრო. მერე მაგა ადგებოდა და იწყებდა ოთახში ბორიალს. ერთხელ და ორჯერ არ მინახავს როგორი ალტაცებული ათვალეიერებდა საკუთარ სხეულს, ხელის გულებით აიწევდა ხოლმე მკერდს სირიულ სტატუეტივით და თვალებით ეალერსებოდა თავის კანს. მისი შემხედვარე, ველარც მე ვუძალიანდებოდი სურვილს, ისევ მოვიხიზობდი, ისევ მინდოდა ჩემს გვერდით მეგრძნო მისი სხეული, თუმცა რამდენიმე წუთიც არ იყო გასული, რაც ასე ცალკე, თავისთვის იყო, თან ასე შეყვარებული და დარწმუნებული საკუთარი სხეულის უკვდავებაში.

იმ დროს ბევრს არ ვლაპარაკობდით როკამადურის შესახებ, სიამოვნება ეგოისტურია და ჩვენც ეს ნეტარების კვნესა კვლავ და კვლავ გვიბიძგებდა ერთმანეთისკენ და ასე გადაეჭდობოდა ოფლისგან მარილიანი მკლავებიც ერთმანეთს. მეც აღარ მავიწივებდა მაგას უბრუნველობა, ის კი არადა, ბუნებრივად მეჩვენებოდა ასეთი მდგომარეობა ჩვენი არსებობის ყოველ წუთში და ისევე ვიხსენებდით როკამადურს, როგორ გაუაზრებლადაც დავაცხრებოდით ხოლმე შემთბარ ვერმიშელს, ერთმანეთში ვურევდით ლუდს, ღვინოს და ლიმონათს, ანდა ჩავირბენდით ქვევით და მოხუცებულ ქალს, კუთხეში რომ ვაჭრობდა, ვთხოვდით

ჩვენთვის მთელი დუჟინი ხამანწკები გაეხსნა; ამის მერე მაღამ ნოგეს გაქერქილ პიანინოზე ვუკრავდით შუბერტისა და ბახის პრელუდიებს ან „Porgy and Bess”-ს, მერე მოუთმენლად ველოდებოდით, რომ დაგვეყოლებინა ცხაურზე შემწვარი ხორცი და მჟავე კიტრის უბზუნველობა თუ უწესრიგობა, როგორშიც ვცხოვრობდით, უფრო სწორად, ის წესრიგი, როცა ბიდე ძალიან ბუნებრივად ფირფიტების საცავად და პასუხგაუსცემელი წერილების არქივად გადაიქცა, მეც აუცილებელ პირობად მეჩვენებოდა, თუმცა ამაზე მაგასთან ლაპარაკი არ მინდოდა. სულ ცოტაც საკმარისი იყო იმის გასაგებად, რომ წესრიგის ქება და უწესრიგობის ძაგება, სინამდვილის ზუსტი, მეთოდური ტერმინებით ახსნა-განმარტება, მაგასთვის ერთნაირად გამაღიზიანებელი იქნებოდა. მისთვის უწესრიგობა საერთოდ არ არსებობდა და ამაში მაშინ დავრწმუნდი, როცა ერთხელ, შემთხვევით მის ჩანთაში ჩავიხედე (ეს იყო კაფეში, რეომიურის ქუჩაზე, წვიმდა და ჩვენ უკვე სურვილი გვერეოდა); ამასობაში მეც გავიგე რაც იყო ეს უწესრიგობა და მას მერე კიდევ შევურიგდი და კიდევ ვაღიარე; აი ასეთ მდგომარეობაში ყალიბდებოდა ჩემი დამოკიდებულება თითქმის მთელ სამყაროსთან და რამდენჯერ ყოფილა, როცა კარგა ხნის გამოუცვლელ ლოგინში ვიწექი და მესმოდა როგორ ტიროდა მაგა, რადგან მეტროში თურმე ენახა ბავშვი, რომელმაც როკამადური გაახსენა, ანდა ვუყურებდი სარკის წინ რომ იდგა და თმას ივარცხნიდა, რადგან მთელი საღამო ლეონორ აქვიტანელის პორტრეტის ყურებაში გაატარა და სიცოცხლის ფასად უნდოდა მას მიმსგავსებოდა, რამდენჯერ გადამიცლაპავს ყელში სლოკინივით მომდგარი აზრი, რომ ჩემი ცხოვრების ანი და ბანი, რაზეც უნდა ამეგო ჩემი მომავალი, გაუსაძლისი სისულელე იყო, რადგან დიალექტიკური განვითარების ცნებებიდან გამომდინარე, მე ვირჩევდი უმოქმედობას და არა მოქმედებას, ზომიერ უწესრიგობას ვამჯობინებდი აღიარებულ წესრიგს. მაგა კი ისევ თმას ივარცხნიდა, ხან გაიშლიდა, მერე სხვანაირ ვარცხნილობას გამოიგონებდა, როკამადურზე ფიქრობდა, ჰუგო ვოლფის რაღაც მელოდიებს მღეროდა (ცუდად), მკოცნიდა, მეკითხებოდა მომწონდა თუ არა მისი თმის ვარცხნილობა, გაყვითლებულ ქალაღღზე რაღაცას ხატავდა და ყოველთვის იყო ერთიანად, მთლიანად ის, რაც იყო, მაშინ რო-

ცა მე ვიწექი, არცთუ წინდაუხედაობის მიზეზით, ჭუჭყიან ლო-
გინში, ვსვამდი, არცთუ მოუფიქრებლობის გამო, თბილ ლუდს,
მე და ჩემი ცხოვრება თითქოს ერთმანეთისგან ცალ-ცალკე ვარ-
სებობდით, ხოლო მე და ჩემი ცხოვრება — სხვების ცხოვრების-
გან განცალკევებით თუმცა მე კიდევ ვამაყობდი ამ ჩემი განყე-
ნებული ცნობიერებით და მიიქცეოდა და მოიქცეოდა მთვარე,
ერთმანეთს ენაცვლებოდა გარემოებები, თუ ვითარებები, სა-
დაც იყვნენ მაგაც, რონალდიც, როკამადურიც, კლუბიც, ქუჩე-
ბიც, ჩემი მორალური სნეულებებიც თუ პიორეები, ბერტ ტრე-
პაც, ზოგჯერ შიმშილიც და მოხუცი ტრუიც, ვინც არაერთხელ გა-
მომიყვანა გაჭირვებიდან, მაგრამ მე, როცა კი ჩავვარდნილვარ
ღამეების ტყვეობაში მუსიკასა და თამბაქოს რომ ანთხევდნენ,
წვრილმან სისაძაგლეებისა და ათასგვარი სხვა გამობდომების
ვითარებაში, იმისდა მიუხედავად, მოახდენდა ეს ჩემზე გავლე-
ნას თუ დავრჩებოდი თავისთავადი, არასოდეს მითვალთმაქცია
ბოჭემის მიმდევრებივით, საკუთარი ჯიბის ქაოსს უმაღლეს სუ-
ლიერ წესრიგად რომ ასაღებენ, ან რაიმე სხვა იარლიყებს, თუ
სხვა უფრო უარეს სიღამპლეებს აწებებენ; არც არასოდეს მო-
მინდომებია იმაზე დავთანხმებულიყავი, ვითომ სულ მცირე
ღირსებაც კმაროდა ამ დაბინძურებული სამყაროდან გამოსალ-
წევად (ღირსებაო, ყმაწვილებო!).

და აი, აკი სწორედ ამ დროს შევხვდი მაგასაც, ვინც გახდა ჩე-
მი ცხოვრების მოწმე და ჯაშუში ხსე, თავადაც რომ არ იცოდა. და
მე მაღიზიანებდა, ამაზე გამუდმებით რომ ვფიქრობდი, — მე ხომ
ვიცნობ საკუთარ თავს და ვიცი, რომ ჯერ ვფიქრობ და მერე ვარ-
სებობ და ვმოქმედებ, რომ ჩემ შემთხვევაში ergo[2] — ცნობილი
ფრაზის ეს სიტყვა, სულაც არ არის ის ergo, ის საერთოდ არ უნ-
და არსებობდეს, — ამიტომაც სულ მარცხენა ნაპირზე დავდი-
ოდით, ამ დროს კი მაგა, რაკი აზრადაც არ მოუვიდოდა ჩემი
მოწმე და ჯაშუში რომ გახდა, უსაზღვროდ იყო აღტაცებული ჩემი
მრავალმხრივი განსწავლულობით, ლიტერატურისა და jazz
COOL-ის ღრმა ცოდნით, რადგან ეს იყო მისთვის ამოუცნობი და
მიუწვდომელი საიდუმლოება. და ყველაფერი ამის გამო იყო,
მაგასადმი რაღაცნაირ მტრულ-შეურიგებელ სიახლოვეს რომ
ვგრძნობდი; ჩვენი სიყვარული იყო ურთიერთმიზიდულობისა

და განწმენდის დიალექტიკა, შეტევაც და თავდაცვაც, დარტყმაც და მოგერიებაც. მე ვფიქრობ, მაგას რაღაც ილუზიები ჰქონდა ჩემ მიმართ, ეტყობა, სჯეროდა, თითქოს ვიკურნებოდი ცრურწმენებისგან, ანდა ჩემს ადრინდელ ცრურწმენებს მის შედარებით მსუბუქ და უფრო პოეტურ შეხედულებებზე ვცვლიდი. ამ საჭოჭმანო კმაყოფილების, ამ ყალბი შეერიგების დროს, ხელს ვიწვდიდი და ვეხებოდი პარიზის გორგალს, მის უსაზღვრო მატერიალს, რომელიც გახლართულიყო საკუთარ თავში, ვეხებოდი მისი ჰაერის მაგმას და იმას, რაც იხატებოდა ფანჯარაში, ღრუბლებსა და მანსარდის სარკმელებში, და მეისვე, ვითომც არანაირი უწესრიგობა არც ყოფილაო, სამყარო ისეთივე გაქვავებული ჩანდა, ყველაფერი უბრუნდებოდა თავის ადგილს, ყველაფერი თავის ბუდეში ჯდებოდა და მჭიდროდ მორგებულ ანჯამებზე ტრიალებდა, ქუჩებიც, ხეებიც, სახელებიცა და თვეებიც. აღარ იყო უწესრიგობა, რაც გაგვიღებდა კარებს გადასარჩენად, იყო ოდენ ჭუჭყი და სიღარიბე, იყო კათხები ლუდის ნარჩენით, კუთხეში მიყრილი წინდები, სექსისა და თმის სუნით გაჟღენთილი საწოლი, ქალი, ლამის გამჭვირვალე ხელით რომ ეაღერსება ჩემს თეძოს, დაგვიანებული ალერსი, რომელიც ერთი წამით მაინც გამომიხსნიდა ამ სიცარიელის სიფხიზლიდან; ყოველთვის დაგვიანებული იყო, რადგან რამდენჯერაც არ უნდა დავყოლოდი ვნებას, ბედნიერება ეტყობა რაღაც სხვაა, და ეგებ სულაც უფრო სევდანარევი, ვიდრე ეს სიმშვიდე და ნეტარება, ის უნდა ჰგავდეს იმ გრძნობას როცა დაინახავ მარტორქას ან კუნძულზე მოხვდები, ან უსასრულო ვარდნას სრულ უძრაობაში. მაგრამ მაგამ ის არ იცოდა, რომ ჩემი კოცნით ჩემი თვალები მასაც ჭვრეტდნენ და მის მიღმაც იმზირებოდნენ, რომ მე თითქოს სხვა სახითა თუ ფორმით გავდიოდი სხვა სამყაროში, სადაც შავ კიჩოზე შემომდგარი შმაგი ლოცმანივით მივაპობდი და არად მივიჩნევდი დროის დინებას.

იმ დღეებში, 50—იან წლებში, ისეთი გრძნობა მქონდა, თითქოს გამომწყვდებული ვიყავი მაგასა და სხვა რაღაც ისეთს შორის, რაც უნდა მომხდარიყო. სრული უგუნურება იქნებოდა ამბოხი მაგას, ან თუნდაც როკამადურის სამყაროს წინააღმდეგ, რადგან ყველაფერი იმაზე მიაწინებდა, რომ დამოუკიდებლო-

ბას მივალწევდი თუ არა, მაშინვე უნდა გამოვთხოვებოდი თავისუფლებას. მე ერთი იმ ფარისეველთაგანი გახლდით, ვისაც საშინლად აღიზიანებდა გამუდმებული თვალთვალი — თუ რა მდგომარეობაში მქონდა კანი, კიდურები, როგორ მიდიოდა მაგასთან ჩემი სასიყვარულო ურთიერთობა, როგორ ვცდილობდი გალიაში გამომწყვდეული თუთიყუშივით წამეკითხა კირკველრი, ამასთან, ყველაზე უფრო ის მაშფოთებდა, რომ მაგას ვერც წარმოედგინა, თუ თვალს მადევნებდა, პირიქით, დარწმუნებულნიც კი იყო ჩემს სუვერენულ დამოუკიდებლობაში, თუმცა არა, სინამდვილეში მე მაღიზიანებდა ფიქრი, რომ ცხოვრებაში ალბათ ვერასოდეს ისე ახლოს ვერ მივიდოდი თავისუფლებასთან, როგორც მაშინ, იმ დღეებში, როცა მაგას სამყაროში ისე ვგრძნობდი თავს, როგორც ტყვე, და იქიდან ჩემი გამოლწევის სურვილი სინამდვილეში საკუთარი მარცხის აღიარებას გაუტოლდებოდა. ძალზე მტკივნეული იყო იმის აღიარებაც, რომ ვერც გამოგონილი შეჭირვებების სინთეტური დარტყმები და ვერც მანიქვეელობის თუ რომელიმე სულელური მეცნიერების სხვა მსგავსი გაორების საფარველი ვერ მიშველიდა, როგორმე მონპარნასის სადგურის კიბეებს რომ ავცდენოდი, საითაც მიმათრევდა ხოლმე მაგა, როცა როკამადურის სანახავად მიემგზავრებოდა. რატომ არ უნდა მიმელო ის, რაც ხდებოდა და არ მეცადა მომხდარის ისე ახსნა, რომ არ მეჩხრიკა ისეთი ცნებები, როგორიცაა წესრიგი და უწესრიგობა, თავისუფლება და როკამადური, რატომ არ შეიძლებოდა ყველაფერს ბუნებრივად და უდარდელად მოვკიდებოდი იმ ადამიანებივით, ვინც გიორგელას ქოთნებს არიგებს კოჩაბამბას ქუჩის ეზოში? ალბათ სისულელებების ფსკერზე უნდა დაემვა, რომ შეძლო დაუფიქრებლად და შეუცნობლად მოსინჯო რაზა ტუალეტში, ანდა გეთსიმანიის ბაღის ტიშკარზე. მაშინ მე მანცვიფრებდა თუნდაც ის, როგორ მოუვიდა აზრად მაგას, თავისი შვილისთვის როკამადური დაერქმია. ამაზე ვიმტვრევდით თავებს კლუბშიც, მაგა კი იმეორებდა, ბავშვს მამის სახელი თავიდანვე დაარქვეს, ხოლო როცა მამა გაქრა, ჯობდა ისევ მამის სახელი რქმეოდა და სოფლად en nourrice[3] მიმებარებინა აღსაზრდელადო. ზოგჯერ ისე გავიდოდა კვირები, როკამადური არც კი გაახსენდებოდა და ეს მაშინ ხდებოდა, როცა კვლავ უბრუნდებოდა იმედი, რომ მომღე-

რალი, Lieder[4] შემსრულებელი გახდებოდა. ასეთ დროს რონალდი პიანინოს მიუჯდებოდა, დიდ, წითურთმიან კოვბოურ თავს დახრიდა, ხოლო მაგა განწირულივით გაჰკიოდა ჰუგო ვოლფის მელოდიას, მის ხმაზე ალბათ მეზობელ ოთახში მადამ ნოგესაც ტანში სცრიდა, კრიალოსანს რომ ასხამდა, სევასტოპოლის ბაზარზე გასაყიდად.

მაგას შესრულებული შუმანი უფრო მოგვწონდა, თუმცა ეს იმაზეც იყო დამოკიდებული, რა გუნება-განწყობილებამდე ვიყავით და რას ვაპირებდით საღამოს და კიდევ როკამადურბეც, რადგან თუკი მაგას ამ დროს თავისი ბიჭი გაახსენდებოდა, სიმღერასაც ჯანდაბისკენ ექნებოდა გზა, და რონალდი მართო რომ დარჩებოდა პიანინოსთან, გასაქანს მისცემდა თავის ბიბოპს და ბლუზებით ტკბილად მოგვიღებდა ბოლოს.

როკამადურბე წერის სურვილი არა მაქვს, ყოველ შემთხვევაში დღეს მაინც, ამისათვის საჭირო იყო ჩემი თავისთვის უფრო ახლოდან შემეხედა და მომეცილებინა ყველაფერი, რაც ცენტრს მაშორებდა.

დროდადრო კი ვახსენებ ხოლმე ცენტრს, მაგრამ არა ვარ დარწმუნებული, რომ ვიცი, რაზე ვლაპარაკობ, უბრალოდ გეომეტრიის ფართოდ გავრცელებულ ხაფანგში გავებმები ხოლმე, რომლის მეშვეობითაც, ჩვენ, დასავლეთ ევროპელები, ვცდილობთ ჩვენი ცხოვრება მოვაწესრიგოთ, ღერძი, ცენტრი, არსებობის აზრი, ომთალოსი, ინდოევროპელთა ნოსტალგიის ეს ნიშანი. თვით ჩემს ცხოვრებას, რომლის აღწერასაც ვლამობ, პარიზს, სადაც გამხმარი ფოთოლივით დავფარფატებ, ვერ დავინახავდი, ამ ყველაფრის უკან რომ არ ფეთქავდეს სწრაფვა ღერძისკენ, წყურვილი, რომ კვლავ შევიყრებით პირველ სვეტთან. მერედა რამდენი სიტყვაა, რამდენი ტერმინი, რომელიც ამ უწესრიგობას განსაზღვრავს. ზოგჯერ თავს ვარწმუნებ ხოლმე, რომ სისულელე სამკუთხედიან, რვაჯერ რვა სიგიჟეს ან ძაღლს უდრის. როდესაც მაგას ვეხვევი, ამ ადამიანის სახით მოვლენილ ბუნდოვანებას, ჩემთვის ვფიქრობ ხოლმე, რომ რომანის წერას, რომელსაც ვერასოდეს დავწერ, ანდა სიცოცხლის ფასად იმ იდეების დაცვას, რასაც ხალხთა გათავისუფლება მოჰყვება,

ისეთივე აზრი აქვს, რაც თოჯინის გაკეთებას პურის გულისგან. ქანქარა მაინც აგრძელებს უწყვეტ მოძრაობას და მეც ისევ ვიძირები დამამშვიდებელ კატეგორიებში: უმნიშვნელო თოჯინა, ტრანსცედენტური რომანი, გმირული სიკვდილი, მე მათ მწყობრში ვალაგებ პატარიდან დიდისკენ; თოჯინა, რომანი, გმირობა. ვფიქრობ ფასეულობათა იერარქიაზეც, რაც ასე კარგად დაამუშავეს ორტეგამ და შელერმა: ესთეტიკური, ეთიკური, რელიგიური. რელიგიური, ესთეტიკური, ეთიკური. ეთიკური, რელიგიური, ესთეტიკური. თოჯინა, რომანი, სიკვდილი, თოჯინა. მაგას ენა მილიტინებს. როკამადური, ეთიკა, თოჯინა, მაგა, ენა, ლიტინი, ეთიკა.

(-116)

3

უძილო ღამის მერე მესამე სიგარეტი პირს უთუთქავდა საწოლის კიდეზე ჩამომჯდარ ორასიო ოლივეირას; ერთი-ორჯერ ფრთხილად გადაუსვა ხელი თმაზე მის გვერდით მძინარე მაგას. ორშაბათი დილა თენდებოდა, კვირას მთელი დღე და საღამო შინ გაატარეს, ხან კითხულობდნენ, ხან ფირფიტებს უსმენდნენ, რიგრიგობით დგებოდნენ ყავის გასათბობად ან მატეს მოსადუღებლად. ჰაიდნის კვარტეტი რომ დასრულდა, მაგას ჩაეძინა, ოლივეირასაც მოებზრდა მოსმენა და ფირფიტასაკრავი ისე გამორთო, ლოგინიდან არც ამდგარა; ფირფიტა რამდენჯერმე კიდევ დატრიალდა, მაგრამ ერთი ბგერაც კი არ გაუგონია და ამ უაზრო ინერციამ ოლივეირა დააფიქრა ასეთივე უსარგებლო მოძრაობებზე, მწერებს და ხანდახან ბავშვებს რომ სჩვევიათ. ძილი აღარ ეკარებოდა, სიგარეტს სიგარეტზე ეწეოდა და მოპირდაპირე მანსარდის ფანჯარას გაჰყურებდა, საიდანაც გვიანობამდე ისმოდა ბუჯითი მევიოლინის ინსტრუმენტის გაბმული წრიპინი. არ ცხელოდა და რაკი მაგას სხეული მარჯვენა გვერ-

დსა და ფეხს საკმაოდ უთბობდა, ცოტა განზე გაიწია, მაინც გრძელი ღამე ელოდებოდა წინ.

ყოველთვის უკეთეს გუნება-განწყობაზე დადგებოდა ხოლმე, როცა კი ის და მაგა შეთანხმდებოდნენ, აღარ ვიჩხუბოთ და ერთმანეთი აღარ გავაღიზიანოთო. მას არ აღელვებდა, თავისი ჩასუქებული, ლოყებდაჟღაჟა ძმისგან ავიაფოსტით გამოგზავნილი წერილი რომ მიიღო, მთელი ოთხი ფურცელი კი გაეფსო, რომელიც ახსენებდა ოლივეირას, რომ ის უგულვებელყოფდა ოჯახურ და მოქალაქეობრივ მოვალეობებს. მაგრამ ამაოდ, ოლივეირასთვის ამის შეხსენება ტყუილი გარჯა იყო; წერილი კი არა, ერთი ნეტარებააო, იფიქრა და კედელზე სკოჩით მიაკრა, მეგობრებსაც რომ განეცადათ ეს სიამოვნება. ამ წერილის ერთადერთი აზრი ის იყო მხოლოდ, რომ ძმა ატყობინებდა, ფულს გიგზავნი შავი ბაზრის კურსის თანახმად და ამას მორიდებით „საკომისიო“ გზავნილს უწოდებდა. ოლივეირამ იფიქრა, ამ ფულით იმ წიგნებს ვიყიდი, რომელთა წაკითხვაც დიდი ხანია მინდოდაო, 3000 ფრანკს მაგას მივცემ, როგორც გაუხარდება, ისე მოიხმაროს, თუ უნდა პლუშის დიდი სპილოც კი უყიდოს როკამადურს და გააოცოსო. დილაობით მოხუც ტრუისთან უნდა ევლო და ლათინური ამერიკიდან მოსული კორესპონდენციები გაეჩრია.

იმაზე ფიქრი, რომ სახლიდან უნდა გასულიყო, რაღაცები გაეჩრია, ძილს უფრთხობდა. გარჩევა — ამასაც სიტყვა ჰქვია! კეთება. სიკეთის კეთება, რაღაცის კეთება, ფისის კეთება, დროის კეთება, ყველაფერში კეთება, კეთება არაფრის კეთებაში, როგორც გინდა, ისე ატრიალე. მაგრამ ყველა მოქმედების მიღმა იყო პროტესტი, რადგან ყოველგვარი მოქმედება იმას ნიშნავს, რომ გამოხვიდე საიდანღაც, რათა მიხვიდე სადღაც, ან გადააადგილო რაღაც, რათა იქ არ იყოს, სადაც არის და იყოს აქ, ან შეხვიდე ამ სახლში, ანდა პირიქით, არ შეხვიდე, ან შეხვიდე სხვა სახლში, ანუ, ყოველი მოქმედება იმას გულისხმობს, რომ რაღაც არ ყოფილა, არ გაკეთებულა და რომ ამის გაკეთება შეიძლებოდა, უსიტყვო პროტესტი, რაღაცის უკმარისობის წინააღმდეგ, არსებულის არარსებობის ან უკმარისობის წინააღმდეგ.

იმის რწმენა, თითქოს მოქმედება ავსებს, ანუ მოქმედებათა ჯამი მართლაც შეიძლება უდრიდეს ცხოვრებას, თუკი ღირსია ამ სახელისა, ეს მორალისტის ილუზიაა. ჯობია უარი თქვა, რადგან მოქმედებაზე უარის თქმა არის მართლა პროტესტი და არა შენიღბული პროტესტი. ოლივიერამ კიდევ ერთ სიგარეტს მოუკიდა და ჩაიციხა, რადგან რა მინიმალურიც უნდა ყოფილიყო მისი მოქმედება, მან მაინც ხომ მოიმოქმედა. ზედაპირული ანალიზი არაფერს ნიშნავდა, თითქოს ყოველთვის აგაცდენს გზას დაბნეულობა და ფილოლოგიური ხაფანგები. ახლა ყველაზე ნამდვილი კუჭის პირზე სიმძიმის შეგრძნება იყო, ფიზიკური შეგრძნება იმისა, რომ ყველაფერი რიგზე არ იყო და არც ყოფილა; არ იყო არავითარი პრობლემა, ეგ არის, კარგა ხანია უარყო კოლექტიურ ქმედებათა სიყალბე, ისევე როგორც ღვარძლიანი მართლობა, რის მერეც დაეძგერებიან ხოლმე იზოტოპების რადიოაქტივობის, ანდა ბართოლომე მიტრეს პრეზიდენტობის შესწავლას. თუკი რამ ჭაბუკობის დროიდან აიჩნია, იყო ის, რომ უარი თქვა „კულტურის“ სწრაფ და დაუცხრომელ დაგროვებაზე, იმ ფანდზე, რაც უპირატესად არგენტინის საშუალო კლასის ნიშანი უფროა, ოღონდ კი საკუთარი სხეული გამოეგლიჯა ეროვნული სინამდვილისგან თუ კიდევ სხვა რამისგან არა, რადგან სჯეროდა, რომ გადაურჩებოდა იმ სიცარიელეს, რაც მას გარემოცავდა. ეგებ ეს თავისებური, სისტემაში აყვანილი ცუდლუტობაც კი იყო, მისი მეგობარი ტრეველერის გამოთქმის თანახმად, — რამაც იგი გადაარჩინა ფარისეველთა ორდენში შესვლისაგან (რომელშიც გაერთიანებული იყვნენ მისი მეგობრები და თანაც საკუთარი ნება-სურვილით). ორდენის წევრობა საშუალებას აძლევდა მათ თავიდან აეცილებინათ ბევრი პრობლემა სპეციალიზაციის მეშვეობით რომელიმე სამოღვაწეო სფეროში, რისთვისაც დაცინვით უბოძებდნენ ყველაზე მაღალ არგენტინულ სიგელს.

სხვა მხრივ, მას თაღლითობად და უსინდისობად მიაჩნდა ისეთი ისტორიული პრობლემების ერთმანეთში არევა, როგორიცაა, მაგალითად არგენტინელი ხარ თუ ესკიმოსი, ან ისეთი პრობლემები, როგორიცაა მოქმედება და უმოქმედობა, მან საკმაოდ იცხოვრა ამ ქვეყანაზე, რომ მიმხვდარიყო, — ადრე, როცა

სხვის ჭკუაზე დადიოდა, ყოველთვის თვალსა და ხელს შუა ეპარებოდა ხოლმე სუბიექტურობის მნიშვნელობა ობიექტურობის შეფასებაში. მაგა იყო ერთი მცირეთაგანი, რომელსაც არასდროს ავიწყდებოდა, რომ ამა თუ იმ ტიპის სახე გავლენას ახდენს მისსავე იდეებზე, კომუნიზმზე ან კრეტა-მიკენის ცივილიზაციაზე და რომ ხელების ფორმა დიდად განსაზღვრავს მათი პატრონის გრძნობას გირლანდაიოს ან დოსტოევსკის მიმართ. ამიტომ ოლივეირა მზად იყო ელიარებინა, რომ მისი სისხლის ჯგუფი, დიდებულ ბიძებთან გატარებული ბავშვობა, ჭაბუკობის დროს ცალმხრივი სიყვარულის განცდები, ასთენიისადმი მისი მიდრეკილება, შეიძლება გამხდარიყო მთავარი ფაქტორები მისი მსოფლმხედველობის ჩამოყალიბებაში. იგი ეკუთვნოდა საშუალო ფენას, იყო ბუენოს აირესის მკვიდრი, სწავლობდა ეროვნულ სკოლაში, ასეთი რამეები კი მხედველობაში მისაღები იყო. უსიამოვნო ის იყო, რომ თავისი ეროვნული შეზღუდულობის გამო სიფრთხილე უნდა გამოეჩინა, მთელი „ჰო და არა“ სასწორზე შეეგდო და თვალი ედევნებინა წონასწორობა არ დარღვეულიყო. პარიზში თითქმის ყველაფერში ბუენოს აირესს ხედავდა და პირიქით; რა ტანჯვაც არ უნდა მიეყენებინა მისთვის სიყვარულს, ამ ტანჯვაში მაინც მიაგებდა პატივს დაკარგულსაც და დავიწყებულსაც. ასეთი დამოკიდებულება თითქოს სახიფათოდ მარჯვეც იყო და ადვილიც, რადგან თანდათან გადაიქცეოდა რეფლექსად და ტექნიკად, დაემსგავსებოდა დამბლადაცემულის საშინელ ნათელ აზროვნებას და საოცრად იდიოტი ათლეტის სიბრძავესაც კი. მან კიდევ დაიწყო ფილოსოფოსისა და clochard[5] მოზომილი ნაბიჯებით სიარული ცხოვრების გზაზე და რაც უფრო წინ მიიწევდა, მით უფრო მეტ თავისუფლებას აძლევდა თვითგადარჩენის ინსტინქტს, შეეზღუდა სასიცოცხლო მნიშვნელობის ქმედებანი, რაკი თავი დაარწმუნა, ჯობდა უარი ეთქვა ჭეშმარიტების შეცნობაზე, ოღონდ არ მოტყუებულიყო. ბომიერი უმოქმედობა, სულიერი წონასწორობა, გულისყურიანი უგულისყურობა. ოლივეირასთვის მთავარი იყო შეენარჩუნებინა სულის მხნეობა და ისე გადაეტანა ტუპაკ ამარუს მიწების გაყოფა, არ გადავარდნილიყო საწყალობელ ეგოცენტრიზმში (კრეოლოცენტრიზმი, სუბურცენტრიზმი, კულტურცენტრიზმი, ფოლკლორცენტრიზმი), რაც თითქმის ყოველდღიურად ცხად-

დებოდა მის ირგვლივ ყველანაირი შესაძლებელი ფორმით. ათი წლის იყო მაშინ, როცა ერთ დღეს, პარაიოს ჩრდილში ისხდნენ და მისმა ბიძებმა წამოიწყეს ჭკუის სასწავლებელი ქადაგება ისტორიულ-პოლიტიკურ საკითხებზე და სწორედ მაშინ დიდი მოწიწებით გამოაცხადა პროტესტი ესპანურ-იტალიურ-არგენტინულისთვის დამახასიათებელი შეძახილის „მე თქვენ გეუბნებით“ წინააღმდეგ, მაგრამ ამას მოაყოლა მაგიდაზე მუშტის დარტყმა, რაც ნათქვამის მრისხანე დადასტურებას ნიშნავდა. „Glielo dico io”[6], „მე თქვენ გეუბნებით, დალახვროს ეშმაკმა!”. ამ „მე”—მ დააფიქრა ოლივეირა, რა ასეთი ფასი ჰქონდა, რა ყოვლისმცოდნეობას მოწმობდა ამა ქვეყნის ძლიერთა „მე”? თხუთმეტი წლისამ გაიგო, „მე ვიცი, რომ არაფერი არ ვიციო!”; ეს სიტყვები ციკუტას შხამზე ნაკლები არ ჩანდა, მართლაც როგორ შეიძლება ადამიანების აბუჩად აგდება ამნაირად — „მე თქვენ გეუბნებით”. მოგვიანებით, იმის შესაძლებლობაც ჰქონდა, რომ შეემოწმებინა, თუ რა ზემოქმედებას ახდენს კულტურის მაღალ ფორმებზე ავტორიტეტების წონა და გავლენა, ანდა მწიგნობრობის და გონიერების ნდობა; ეს კი თითქმის იგივეა, რაც „მე თქვენ გეუბნებით!”, ოღონდ ფაქიზად შენიღბულია და შეიძლება იმათაც ვერ იცნონ, ვინც წარმოთქვა; ეს შეიძლება ასეც გაგვეგო:

„ყოველთვის ასე მჯეროდა!” ანდა „თუკი რამეში ვარ დარწმუნებული!” ანდა „ცხადია რომ”; ასე გეგონებათ, არასდროს განუსჯიათ მიუკერძოებლად, ეგებ საპირისპირო აზრიც არსებობდესო, თითქოს ადამიანთა მოდგმა გაფაციცებით ადევნებს თვალს ინდივიდს, რომ ზედმეტი ნაბიჯით არ წაიწიოს წინ მოთმინების, გონივრული დაეჭვებისა თუ გრძნობების მერყეობის გზაზე. როდისმე მაინც გვიჩნდება ხოლმე კორძებიც, სკლეროზიც და იმის გარკვევის უნარიც, შავია თუ თეთრი, რადიკალი თუ კონსერვატორი, ჰომოსექსუალი თუ ჰეტეროსექსუალი, ხატოვანი თუ აბსტრაქტული, „სან ლორენსო” თუ „ბოკა ხუნიორსი”, ხორცეული თუ ბოსტნეული, კომერცია თუ პოეზია.

ეს კარგია, რადგან ადამიანთა მოდგმა არ უნდა ენდოს ოლივეირასნაირ ტიპებს; მისი ძმის წერილიც ბუსტად ამის დასტური

იყო.

„მთელი უბედურება ის არის, — ფიქრობდა ოლივეირა, — რომ ყველაფერ ამას გარდუვალად მივყავართ „animula vagula blandula“—მდე[7].

რა ვაკეთოთ? — ამ კითხვის მერე დაეწყო კიდევ უძილობა. ობლომოვი, cosa facciamo?[8] ისტორიის დიდებული ხმები გვიხმობენ მოქმედებისკენ: „Hamlet, revenge“[9] ვიძიოთ შური, ჰამლეტ! ან არადა უშფოთველად ჩავეფლოთ ჩიპენდეილის სტილის სავარძელში, ფლოსტებში გაუწყართ ფეხები და მოვიკალათოთ გაღულუნებული ბუხრის წინ. ცნობილია, რომ სირიელმა, ყველაფრის მერე, აღმაშფოთებლად შეაქო მართა. იბრძოლებ არჯუნა? ნუთუ უარყოფ სიმამაცეს, მერყევო მეფევი? ბრძოლა ბრძოლისთვის, გამუდმებულ შიშში ცხოვრება, გაიხსენე მარი ეპიკურელი, რიჩარდ ჰილარი, კიო, ტ.ე.

ლოურენსი... ბედნიერია, ვინც ირჩევს, ვინც თანახმაა რომ აირჩიონ, დიდებული გმირები, დიდებული წმინდანები, არადა ისინი ხომ სინამდვილეს განერიდნენ.”

აღბათ ასეცაა. რატომაც არა? თუმცა მისი თვალსაზრისი იმ მელიისას უფრო ჰგავს, ყურძენს რომ შეჰყურებს; ეგებ საკუთარი დასკვნებიც ჰქონდეს, თუმცა მისი დასკვნები ისეთივე მწირი და კნინია, როგორიც ჭიანჭველასი ჭრიჭინობელას რომ შესჩივის. განა არ დაეჭვდები, როცა ნათელი შემეცნება ადამიანს უმოქმედობისკენ უბიძგებს და ამაში ეშმაკეული სიბრმავე არ იმალება? მამაცი, მაგრამ უგუნურია მეომარი დენტის კასრთან ერთად რომ აფეთქდება, დიდებით მოსილი გმირი ჯარისკაცი კაბრალი, აღბათ ასეთებს უფრო აქვთ უნარი შორს განსჭვრიტონ და წამიერად მაინც მიეახლონ აბსოლუტს, ისე რომ შეიძლება თავად ვერც კი გააცნობიერონ (სერჟანტს ხომ ამას ვერ მოსთხოვ), ამასთან შედარებით გონების განათება, აზრის გაელვება, კაბინეტში დილის სამ საათზე რომ გეწვევა საწოლზე ჩამომჯდარს, სიგარეტიც რომ ლამის ჩაფერფლილა, არ ჩამოუვარდება თხუნელას ხედვას.

ეს ნაფიქრ-ნააზრევი მაგას გაუზიარა, რომელმაც ის იყო გა-
იღვიძა და მის გვერდით მოკუნტული ნამძინარევი კრუტუნებდა.
მერე თვალები გაახილა და ჩაფიქრდა.

— შენ ამას ვერ შეძლებდი, — უთხრა მან, — ძალიან ბევრს
ფიქრობ, სანამ რამეს გააკეთებდე.

— მე გამოვდივარ იმ პრინციპიდან, რომ აზრი უნდა უსწრებ-
დეს მოქმედებას, სულელო.

— გამოდიხარ პრინციპიდან, — თქვა მაგამ, — ძალიან ართუ-
ლებ.

თითქოს დამკვირვებელი იყო, გეგონება მუზეუმში იყო და
სურათებს უყურებდე. მე ის მინდა ვთქვა, რომ სურათები არის
იქ, მუზეუმში, შენც ხარ მუზეუმში, მაგრამ ახლოსაც და შორსაც
ერთი და იმავე დროს. მე შენთვის ვარ სურათი, როკამადური
არის სურათი, ეტიენი არის სურათი, ეს ოთახი არის სურათი. შენ
გგონია, რომ ხარ ამ ოთახში, მაგრამ შენ აქ არ ხარ. შენ უყურებ
ოთახს, მაგრამ თავად აქ არ ხარ. — ასე, ჩემო გოგონა, წმინდა
თომასაც შებღალავ, — თქვა ოლივეირამ. — რატომ წმინდა თო-
მას? — თქვა მაგამ, — იმ იდიოტს, ვისაც უნდოდა ჯერ ენახა და
მერე ერწმუნა?

— ჰო, საყვარელო, — თქვა ოლივეირამ და გაიფიქრა, რომ
მაგას პირით ჭეშმარიტება ღაღადებდა. ბედნიერია, რომ შეუძ-
ლია ირწმუნოს, სანამ დაინახავს, ის ერთიანადაა შერწყმული
ცხოვრების უწყვეტ დინებასთან. ბედნიერი იყო ამ ოთახში,
ჰქონდა სრული უფლება ყველაფერზე, რასაც შეეხებოდა და
რაც არსებობდა მასთან ერთად: თევზი წყალში, ფოთოლი ხეზე,
ღრუბელი ცაში, სახე ლექსში, თევზი, ფოთოლი, ღრუბელი, სა-
ხე, სწორედ ასეა, მხოლოდ...

(-84)

და ასე დაიწყეს ხეტიალი ზღაპრულ პარიზში; მიენდნენ ღამის ნიშანს და მიჰყვებოდნენ ვინმე clochard-ის წამოცდენილი სიტყვის წყალობით სახელდებულ გზებს, ჩაბნელებულ ქუჩებში მანსარდის სარკმლებიდან გამომკრთალ შუქს, პატარა მოედანზე სადმე მყუდრო ადგილს მოძებნიდნენ, ჩამოსხდებოდნენ მერხზე, კოცნიდნენ ერთმანეთს და დაჰყურებდნენ მოკირწყლულ მიწაზე დახაზულ, ბავშვების საყვარელი გასართობის, კლასობანას უჯრედებს, ცქვიტად რომ დახტიან ხოლმე ცალ ფეხზე და ჭვინტით მიაგორებენ ქვას, ოღონდ კი როგორმე „ცამდე“ მიაღწიონ. მაგა კი იხსენებდა მონტევიდეოს მეგობრებს, ბავშვობის წლებს, ვინმე ლედესმას, მამას.

ოლივეირა ფუხალისოდ უსმენდა და ცოტა გულიც ეთანაღრებოდა, რომ არ აინტერესებდა, მისთვის სულ ერთი იყო მონტევიდეო თუ ბუენოს აირესი, მარტო ის აწუხებდა, როგორ მოგვარებინა მათგან ასე მოწყვეტილს თავისი გაურკვეველი მდგომარეობა (ნეტავ რასა იქმს ტრეველერი, ეს დაუდგრომელი მოხეტიალე, კიდევ რა ხათაბალაში გაეხვია მას შემდეგ, რაც იქიდან წამოვიდა, ან საწყალი, სულელი ხეკრეპტენი რა დღეშია, რა ხდება ქალაქის კაფეებში?), ამიტომ იყო, რომ ასე დაღვრემილი უსმენდა და თან ჯობით მიწაზე ხაზავდა. მაგა კი ამ დროს ცდილობდა აეხსნა მისთვის, თუ რატომ არიან ჩემპე და გრასიელა კარგი გოგოები და როგორ დასწყვიტა გული ლუსიანამ, როცა არ მივიდა მის გასაცილებლად, გემით რომ მიემგზავრებოდა.

ლუსიანა სნობია და ასეთი რამეების პატიება არ შემძლიაო.

— რას ნიშნავს, შენი აზრით, სნობი? — დაინტერესდა ოლივეირა.

— გეტყვი, — უპასუხა მაგამ და ისე ჩაქინდრა თავი, თითქოს წინასწარ იცოდა, რამე სისულელე რომ წამოსცდებოდა, — მე მესამე კლასის ბილეთი მქონდა, დარწმუნებული ვარ, მეორე

კლასის რომ მქონოდა, ლუსიანა უეჭველად მოვიდოდა დასამშვიდობებლად.

— ჩემს ცხოვრებაში ამაზე უკეთესი განმარტება არ მსმენია, — თქვა ოლივეირამ.

— ესეც არ იყოს, მე ხომ როკამადურიც თან მყავდა, — თქვა მაგამ. ასე შეიტყო ოლივეირამ როკამადურის არსებობის ამბავი, რომელსაც მონტევიდეოში თურმე უბრალოდ კარლოს ფრანსისკოს ეძახდნენ. მაგას ეტყობა, არ უნდოდა როკამადურის დაბადების ამბავი დაწვრილებით ეამბნა, მარტო ის უთხრა, როგორ ნანობდა თავის დროზე აბორტის გაკეთებაზე უარი რომ თქვა.

— არა, გულის სიღრმეში შეიძლება არც ვნანობ, მაგრამ საქმე ის არის, რომ არ ვიცი, როგორ ვიცხოვრო. მაღამ ირენი ძალიან დიდ თანხას მთხოვს, თან სიმღერის გაკვეთილებიც მჭირდება, ეს კი არც ისე იოლი საქმეა.

მაგამ ისიც კი არ იცოდა რიგიანად, რატომ ჩამოვიდა მაინცდამაინც პარიზში, ოლივეირაც კარგად ხვდებოდა, რომ ტურისტულ სააგენტოში ბილეთები ან ვიზა შემთხვევით რომ შემლოდათ, მაგა ადვილი შესაძლებელია, სინგაპურში ანდა კვიპტაუნშიც კი აღმოჩენილიყო; მისთვის მთავარი იყო მონტევიდეოდან გაეღწია და პირისპირ შეხვედროდა იმას, რასაც იგი უბრალოდ „ცხოვრებას“ უწოდებდა.

მისთვის პარიზს ის უპირატესობა ჰქონდა, რომ საკმაოდ კარგად იცოდა ფრანგული (more Pitman)[10] და თანაც იქ შეეძლო ენახა საუკეთესო სურათები, საუკეთესო ფილმები, ერთი სიტყვით, Kultur[11] ერთიანად და სრულად. ოლივეირას ცოტა არ იყოს, გულს უჩვილებდა ცხოვრების მისი ასეთი პანორამა (თუმცა როკამადური, რატომღაც, თვითონაც არ იცოდა, რატომ, უსიამოვნო გრძნობას აღუძრავდა) და მას ახსენდებოდა ბუენოს აირესელი ბრწყინვალე მეგობარი ქალები, მარ დელ პლათას საზღვრებს რომ არ გასცილებოდნენ, მათი მეტაფიზიკური თუ პლანეტარული გაქანების მიუხედავად. ხოლო ეს ლაწირაკი,

თანაც ბავშვით, ჯდება გემზე, მესამე კლასის ბილეთით და მთლად ჯიბეგაფხევილი მიემგზავრება პარიზში სიმღერის შესასწავლად; ამასაც რომ არ სჯერდება, თან მასაც უტარებს გავეთილებს, ასწავლის რას უნდა უყუროს და რა დაინახოს, თვითონ კი, მოულოდნელად გაჩერდება ხოლმე შუა ქუჩაში, შევარდება სადარბაზოში, სადაც არაფერია სანახავი, მაგრამ უცბად რაღაც მწვანეს მოჰკრავს თვალს და ჩუმად, მეკარე რომ არ გააბრაზოს, ეზოში გაძვრება, სადაც ზოგჯერ ძველ ქანდაკებას გადააწყდება, ან ჭას, სურო რომ შემოხვევია, ან სულაც არაფერს, შეიძლება მრგვალი ფილებით მოგებული და გაქეჩილი იატაკიც ნახოს, ობმოკიდებული კედლებიც, მესაათის აბრა, მოხუცი, ჩრდილში რომ მიყუჟულა, სადღაც კუთხეში, და კიდევ კატები, მხოლოდ კატები, minouche[12], ფისო-ფისო, მიაუ-მიაუ, kitten, katt, chat, cat, gatos[13], ნაცრისფერები, თეთრები, შავები, წყალსადინარების მზით გამთბარი ფილების ბატონპატრონები, მაგას ერთგული მეგობრები, ისიც მუცელზე უღიტინებს, ელაპარაკება რაღაც სულელურ, გაუგებარ ენაზე, უთანხმდება როდის და სად შეხვდება, რაღაცას ურჩევს. ოლივეირას თვითონაც უკვირდა საკუთარი თავის მაგასთან ერთად რომ დაყიალებდა, ან რა აზრი ჰქონდა, რომ გაბრაზებულიყო – ლუდის კათხას აუცილებლად გადააყირავებდა, ფეხს მაგიდიდან ისე გამოსწევდა, რომ მიმტანს აუცილებლად ფეხი წამოეკრა და ერთი კარგად გაეკიცხა.

მაგრამ მაგა, სულ ერთია, ბედნიერი იყო, იმის მიუხედავად, რომ ოლივეირას გამუდმებით აღიზიანებდა თავისი დაუდევრობით. არც ის ენაღვლებოდა, რა თანხა უნდა გადაეხადა, პირიქით, თუ ანგარიშის ბოლო ციფრი „3“ იყო, მის აღტაცებას საზღვარი არ ჰქონდა; არაერთხელ ყოფილა, შუა ქუჩაში გაჩერებულია (ორი მეტრის მანძილზე დაამუხრუჭებდა მძლოლი, „რენოს“ ფანჯრიდან გამოჰყოფდა თავს და პიკარდულ კილოზე გვარიანად აგინებდა), ის კი იდგა გარინდული და გაჰყურებდა პანთეონს, აქედან ბევრად უკეთ მოჩანს, ვიდრე ტროტუარიდანო. და ასე და ამგვარად ხდებოდა ყოველთვის ყველაფერი.

ამ დროისათვის ოლიგეირა უკვე იცნობდა პერიკოსა და რონალდს.

მაგამ ეტიენი გააცნო, ეტიენმა კი ისინი გრეგოროვიუსს შეახვედრა; ასე შეიქმნა გველის კლუბი ერთ ღამეს სენ-ჟერმენ-დე-პრეში; განურჩევლად ყველამ მიიღო მაგაც, ეს თითქოს ბუნებრივი და გარდუვალიც კი იყო, ცხადია, მაგრამ ის, რომ ყველაფრის ახსნა-განმარტება უხდებოდათ, რაზეც საუბრობდნენ, მაინც ყველას აღიზიანებდა, ამას კიდევ ისიც ემატებოდა, რომ მაგას თეფშიდან ნახევარზე მეტი საჭმელი აქეთ-იქით იფანტებოდა, რადგან დანა-ჩანგლის ხმარება რიგიანად არ იცოდა. შემწვარი კარტოფილი კი მეზობელ მაგიდასთან მსხდომებს პირდაპირ თმაში გაებლანდებოდათ ხოლმე ასეთი დაუდევრობის გამო და მობოდიშება და მაგას დატუქსვა უხდებოდათ. არც მათ წრეში იქცეოდა ისე, როგორც წესი და რიგი იყო. ოლიგეირა ხედავდა, რომ მაგას თვითონაც ერჩივნა კლუბის წევრებთან ცალ-ცალკე ჰქონოდა ურთიერთობა, ეტიენთან ან ბებსთან გასეირნებას ამჯობინებდა, თითქოს თავის სამყაროში უნდოდა მათი შეტყუება, თუმცა არ ცდილობდა, მაგრამ მაინც ასე გამოდიოდა. მას მხოლოდ ერთი სურვილი ჰქონდა, როგორმე დაეღწია თავი ყოველდღიური უფერულობისაგან — იქნებოდა ეს ავტობუსი თუ ისტორია, — ასეთი ადამიანი იყო, მაგრამ ასე იყო თუ ისე, კლუბში მაინც ყველა მისი მადლიერი იყო, ოღონდ როგორც კი მიზეზს მოძებნიდნენ ისევ უჯავრდებოდნენ და ტუქსავდნენ. ეტიენსაც კი, ესოდენ თავდაჯერებული რომ გეჩვენებოდათ — როგორც ძალიან ან საფოსტო ყუთი, — მკვდრის ფერი დაედებოდა ხოლმე, როცა მაგა მის ახალ სურათს უყურებდა და რაიმე სისულელეს იტყოდა, ხოლო პერიკო რომეროც კი დიდი მოწიწებით იტყოდა, „ეს მაგა მაინც დიდი ოხერი ვინმეაო“. მრავალი კვირა და ეგებ თვეც (ოლიგეირას ანგარიში უჭირდა. ბედნიერი ვარ, მაშასადამე, მომავალიც არ არსებობს) დაეხეტებოდნენ და ბორიალობდნენ პარიზში, ათვალეირებდნენ ყველაფერს, რაც გზად შეხვდებოდათ, არაფერი გამოეპარებოდათ, მათთვის სულ ერთი იყო, მოსახდენი უჩვენოდაც მოხდებოდა, ფიქრობდნენ, ხან გადაეხვეოდნენ და გადაეჭდობოდნენ ერთმანეთს, ხან წაიკიდებოდნენ და გაიყრებოდნენ, მაგრამ ეს ყველაფერი ხდებოდა იმ

სამყაროს მიღმა, იმ მოვლენების მიღმა, რაზეც გაზეთებში წერდნენ, და არ ჰქონდა არანაირი კავშირი ოჯახურ და ნათესაურ ურთიერთობებთან, მოვალეობებთან და სხვა ფინანსურ თუ მორალურ ღირებულებებთან.

კაკ-კუკ.

— ახლა კი ავდგეთ, — იტყოდა ხოლმე ოლივეირა.

— რისთვის, — შეეპასუხებოდა მაგა, როცა გაჰყურებდა როგორ გადიოდნენ ნეფის ხიდან peniches[14], — კაკ-კუკ, თქვენს თავში ჩიტი ზის, კაკ-კუკ, სულ გიკაკუნებს, მშია, რაიმე არგენტიწული კერძი მაჭამეო. კაკ-კუკ.

— კარგი, — ბუზღუნებდა ოლივეირა, — მე შენ როკამადური ხომ არ გგონივარ. ბოლოს და ბოლოს, ჩვენც მაგ შენი ჩიტების ენაზე დაველაპარაკებით მაღაზიის პატრონს ან მეკარეს, მერე ნახე დავიდარაბა.

ერთი შეხედე, როგორ აეკიდა ის ტიპი იმ ზანგ გოგოს.

— მე ვიცნობ, კაფეში მუშაობს, პროვანსის ქუჩაზე. მას ქალები უფრო მოსწონს, საბრალო, ტყუილად ირჯება.

— შენც ხომ არ შეგაბა ამ ზანგმა გოგომ?

— რასაკვირველია. მაგრამ ჩვენ უბრალოდ დავმეგობრდით. მე სახის კრემი ვაჩუქე, მან ვინმე რეტეფის, არა... მგონი, რეტეფის წიგნი მომცა.

— ჰო, კარგი, გასაგებია. მართლა არ წოლილხარ მასთან? შენისთანა ცნობისმოყვარე ამან როგორ არ დაგაინტერესა.

— შენ თვითონ, ორასიო, შენ თუ წოლილხარ კაცთან?

— რა თქმა უნდა. ესეც გამოცდილების საქმეა, მოგეხსენება.

მაგამ აღმაცერად გადახედა, ხომ არ დამცინისო. ალბათ იმ ჩიტზე ბრაზობს თავში რომ უზის და არგენტინულ საჭმელს სთხოვსო.

კაკ-კუკ. მერე კი ისე დაეძგერა, რომ ცოლ-ქმარმა, თავის-თვის რომ სენ-სულპის ქუჩაზე მიდიოდა, გაოგნებულმა შეხედა, — მერე სიცილ-სიცილით თმაც აუჩჩინა და ოლივეირა იძულებული გახდა ხელები დაეჭირა, მერე კი ორივეს სიცილი აუტყდა, ცოლ-ქმარი ისევ გაკვირვებული უყურებდა მათ, ქმარმა კი სცადა გაღიმება, მაგრამ ცოლმა, ჩანდა, შეურაცხყოფილად იგრძნო თავი.

— მართალი ხარ, — ბოლოს მაინც გამოტყდა ოლივეირა. — გამოუსწორებელი ვარ, ჩე, გავიღვიძოთ-მეთქი რომ გეუბნები ხოლმე. ძილი სხვაა, სულ უნდა იძინო და იძინო კაცმა.

ხან ვიტრინის წინ გაჩერდებოდნენ, რომ წიგნების სათაურები წაეკითხათ. თუ მაგას წიგნის ყდის ფერი ან ფორმა მოსტაცებდა თვალს, დაუწყებდა გამოკითხვას და ოლივეირასაც მეტი რა გზა ჰქონდა, უნდა აეხსნა, რა ადგილი აქვს ფლობერს ლიტერატურაში, ვინ არის მონტესკიე, რაზე წერდა რაიმონ რადიგე, ან როდის ცხოვრობდა თეოფილ გოტიე. მაგა უსმენდა და თან ვიტრინაზე თითით რაღაცას ხატავდა. „თავში ჩიტი რომ გიზის რამე არგენტინული კერძი უნდა აჭამო“, — ფიქრობდა ოლივეირა თავისთვის, — „საწყალო ჩემო თავო, ღმერთო მიშველე“.

— ნუთუ ვერ გაგიგია, რომ ასე ვერაფერს ისწავლი? — ეტყოდა ხოლმე ბოლოს, — შენ გინდა ქუჩაში მიიღო განათლება, საყვარელო, ასე არ ხდება, გირჩევნია Reader's Digest გამოიწერო.

— ოჰ, არა, ეს საზიზღრობაა.

„ჩიტი თავში, — ფიქრობდა ოლივეირა, — მაგრამ მის თავში კი არა, ჩემს თავში. მაშინ მის თავში რაღაა? ჰაერი თუ ნეტარება, ცუდად ასათვისებელი კი არის. ცენტრი მას თავში არ ექნება.“

„თვალდახუჭულიც კი პირდაპირ მიზანში მოარტყამს, — ფიქრობდა ოლივეირა, — ზუსტად ისე, როგორც ძენის სისტემის მიხედვით ისვრიან მშვილდისარს. მიზანში კი იმიტომ ახვედრებს, რომ არანაირი სისტემა არ იცის, უბრალოდ არაფერი გაეგება. მე კი პირიქით.

კაკ-კუკ. და ასე მიდის ჩვენი საქმეც.”

როცა მაგა ეკითხებოდა ძენის ფილოსოფიის შესახებ (ეს კი ჩვეულებრივად ხდებოდა ხოლმე კლუბში, სადაც ყოველთვის საუბრობდნენ ნოსტალგიაზე და ისეთ მიუწვდომელ ცოდნაზე, რაც შეიძლება ფუძემდებლურიც კი ყოფილიყო, მედლისა თუ მთვარის მეორე მხარეზე), იმ დროს, როცა გრეგოროვიუსი დიდი მონდომებით უხსნიდა მაგას მეტაფიზიკის სულ ელემენტარულ საკითხებს, ოლივეირა პერნოს აგემოვნებდა და მათი ყურებით ერთობოდა. მაგასთვის რაიმეს ახსნა სრული უაზრობა იყო. ფოკონიე მართალია, ისეთი ადამიანებისთვის, როგორიც მაგაა, ეტყობა, გამოცანა სწორედ ახსნიდან იწყებაო. მაგაც უსმენდა საუბარს იმმანენტურზე, ტრანსცენდენტულზე; ფართოდ გახელილი ულამაზესი თვალებით მიშტერებოდა გრეგოროვიუსს, მაგრამ მის მეტაფიზიკას ყურსაც არ ათხოვებდა. ბოლოს კი თავს აჯერებდა, ვითომ ყველაფერი გაიგო ძენის შესახებ და დაღლილივით ამოიხვნეშდა. მარტო ოლივეირამ იცოდა, რომ მაგას ყოველ წამს შეეძლო განეჭვრიტა ის უკიდევანო სივრცეები, სადაც არ არსებობს დრო და რასაც ისინი დიალექტიკის გზით ეძებდნენ.

— ამდენ სისულელეებს ნუ სწავლობ, — ურჩევდა ხოლმე ოლივეირა, — რატომ უნდა გაიკეთო სათვალეც, თუ არ გჭირდება.

მაგა ცოტა მაინც ჭოჭმანობდა. უზომო აღფრთოვანებით შესცქეროდა ხოლმე ოლივეირას და ეტიენს, მთელი სამი საათი რომ შეუჩერებლივ კამათობდნენ. ეტიენი და ოლივეირა თითქოს ცარცის წრეში იდგნენ და მასაც უნდოდა ამ წრეში ფეხის შედგმა, რომ გაეგო მაინც რა საჭირო იყო ლიტერატურისთვის ინდეტერმინიზმის პრინციპები, რატომ უნდოდა მორელის, —

რომელზეც ამდენს ლაპარაკობდნენ და ასეთი აღფრთოვანებით, — რომ თავისი წიგნისგან ისეთი მინის ბურთი გაეკეთებინა, რომელშიც მიკრო და მაკროკოსმოსი ერთმანეთს შეერწყმოდა თვითგამანადგურებელ ხილვაში.

— ამის ახსნა შენთვის შეუძლებელია, — ეტყოდა ხოლმე ეტიენი, — ეს არის დონე ნომერი შვიდი, როცა შენ ძლივს ხარ ნომერი ორის დონეზე.

მაშინ მაგა მოიწყენდა, აიღებდა ტროტუარიდან ფოთოლს და მას ელაპარაკებოდა, დაიდებდა ხელის გულზე, გადაატრიალ-გადმოატრიალებდა, ხელს გადაუსვამ-გადმოუფსამდა, გაასწორებდა, გამოაცლიდა მთელ რბილ ნაწილს და მარტო ძარღვებს დაუტოვებდა, ბოლოს ფოთოლი აბლაბუდასავით გამჭვირვალე რომ გახდებოდა, მწვანე ჩრდილივით დარჩებოდა ხელისგულზე, მაშინ ეტიენი გამოსტაცებდა და სინათლეზე გახედავდა. სწორედ ასეთი რამეები აღაფრთოვანებდა ხოლმე მათ და მერე კიდევ დაირცხვენდნენ, ასე უხეშად რომ ეპყრობოდნენ. მაგაც ამით სარგებლობდა და სთხოვდა კიდევ ნახევარ ბოთლ ლუდს და, თუ შესაძლებელი იყო, ცოტა შემწვარ კარტოფილსაც.

(-71)

5

ეს პირველად სასტუმროში მოხდა, ვალეტეს ქუჩაზე. ისინი ჩვეულებისამებრ დაბორილებდნენ ქუჩა-ქუჩა, ხანდახან სადარბაზოებში თუ შევიდოდნენ; ნასადილევს წვიმა მუდამ სიმწრის გრძნობას აღძრავს ხოლმე, რაღაც უნდა მოეფიქრებინათ, სადმე შეეფარებინათ თავი, გამყინავი სინესტე ძვალ-რბილში ატანდა, წყალგაუმტარი ლაბადის რეზინის სუნი ზიზღს ჰგვრიდა, და ამ დროს, უეცრად, მაგა ოლივეირას მიეხუტა, წამით შეშლილებივით შეაცქერდნენ ერთმანეთს; სასტუმრო! და მოხუცი ქა-

ლიც უმაღლეს მიუხვდა და თავისი მონჯღრეული ჯიხურიდან გამოეგება; აბა, რა უნდა ქნას ვაცმა ასეთ ძალღურ ამინდშიო, მაშინვე წაუძღვა კიბეებისაკენ; საცოდავი ძლივძლივობით მიათრევდა მტკივან ფეხს, ყოველ საფეხურზე ჩერდებოდა, გასივებულ ფეხს გაჭირვებით ასწევდა და ასე ბობღვაბობღვით მიაღწია მეოთხე სართულამდე. დერეფანში წვნიანი კერძის სუნი იდგა; ფარდაზე ვიღაცას ლურჯი სითხე დაეღვარა და გაშლილი ფრთებივით გადღაბნილიყო. ოთახში ორი ფანჯარა იყო და დაკეპსილ-დაძონძილი წითელი ფარდები ეკიდა. ფანჯარიდან სინათლის სველი ზოლი აღწევდა და სასთუმალსა და დალიანდაგებულ ყვითელ საბანს მფარველი ანგელოზივით დასდგომოდა.

მაგას, ეტყობა, გულუბრყვილო-უცოდველი გოგონას გათამაშება უნდოდა და ფანჯარასთან მივიდა, ვითომ ქუჩაში იყურებოდა, ოლივეირა კი ამასობაში კარების საკეტს ამოწმებდა. შეიძლება მაგას მომზადებულიც კი ჰქონდა რომელიმე ლიტერატურული სცენა, ან ყველაფერი ყოველთვის ასეც ხდებოდა ხოლმე, ჯერ ჩანთას დადებდა მაგიდაზე, სიგარეტს ამოიღებდა, ფანჯარასთან დადგებოდა, სიგარეტს გააბოლებდა, ქუჩაში იყურებოდა, მერე შპალერზე იტყოდა რამეს, იცდიდა, აშკარად იცდიდა, რომ მამაკაცისთვის საშუალება მიეცა და პირველი ნაბიჯი გადაედგა. მაგრამ უცბად ორივეს სიცილი წასკდა, მართლაც სასაცილო იყო ეს შემზადება და მაშინვე ყვითელი საბანიც კუთხეში მოისროლეს, უშნო თოჯინასავით მიაგდეს კედელთან.

მერე გაშინაურდნენ და საბნის, კარების, ლამფებისა თუ ფარდების შედარებით ერთობოდნენ; ოთახები *cinquième arrondissement*[15] მდებარე სასტუმროებში უკეთესია, ვიდრე *sixième*[16] ამბობდნენ, ხოლო *septième*[17] ბედი არ სწყალობდათ, რადგან ყოველთვის რაღაცა ხდებოდა, ხან მეზობელ ოთახში აბრახუნებდნენ, ხან წყალგაყვანილობის მილები გუგუნებდა გულის გამაწყალებლად. სწორედ მაშინ მოუყვა მაგას ოლივეირამ ტროჰმანის ამბავი. მაგა უსმენდა და თან ეხუტებოდა.

თურმე ტურგენევის ნარკვევიც უნდა წაეკითხა, წარმოუდგენლად ეჩვენებოდა ამდენი რამის წაკითხვა ორ წელიწადში (რა-

ტომ ორ წელიწადში, ეს კი არ იცოდა); მეორეჯერ პეტიომზე უამბო, მერე ვაიდმანზე, მერე კრისტიზე; სასტუმრო რატომღაც ყოველთვის დანაშაულებებზე ლაპარაკის ხასიათზე დააყენებს ხოლმე ყველას, მაგრამ მაგა უეცრად, თითქოს სერიოზულობის შეტევამ წამოუფარაო, ჭერს მიაპყრობდა მზერას და ეკითხებოდა, ნუთუ ასეთი დიდებულია სიენელთა ფერწერა, როგორც ეტიენი ამტკიცებსო, ანდა ხომ არ შეიძლება ცოტა ხელმომჭირნეობა გავწიოთ და ვიყიდოთ ფირფიტები, ან ჰუგო ვოლფის ნაწარმოებები, რომელსაც ხანდახან წაიმღერებდა ხოლმე და ისიც შუაში გაწყვეტდა, რადგან ან ავიწყდებოდა, ან არადა ბრაზდებოდა. ოლივეირას დიდად სიამოვნებდა მაგასთან სიამტკიბილობა, ჯერ ერთი იმიტომ, რომ მაგასთვის სხვა არაფერი იყო ამაზე უფრო მნიშვნელოვანი და მეორეც იმიტომ, რომ თვითონ, — ამის ახსნა ცოტა ძნელი კი იყო, — ამ ნეტარების განცდისას თითქოს ამ ნეტარების ქვევით იყო და როცა მისი წამი დადგებოდა, სასოწარკვეთილი ცდილობდა გაგრძელებულიყო და ამ განცდას ადარებდა იმ მდგომარეობას გაღვიძებისთანავე რომ იცი შენი ნამდვილი სახელი, მერე კი ისევ უბრუნდებოდა ისეთ გაურკვეველ მდგომარეობას, რაც ყოველგვარი სრულფასოვნების მოძულე ოლივეირას, ძალიან მოსწონდა, ხოლო მაგა გულწრფელად წუხდა, როცა ხედავდა ოლივეირა უბრუნდებოდა თავის მოგონებებს და ყველაფერს, რაზეც ბუნდოვნად გრძნობდა, რომ უნდა ეფიქრა, მაგრამ არ შეეძლო, მაშინ სხვა გზა არ ჰქონდა, კოცნითა და ალერსით კვლავ უნდა გაეღვიძებინა მასში სურვილი და უკვე გარდაქმნილი და დამცხრალი, თითქოს მის თვალში კიდევ იზრდებოდა და ასე ეუფლებოდა მას ერთიანად, და მაგაც გაშმაგებულ მხეცად გადაიქცეოდა, დაბინდულ მზერას მიაპყრობდა სივრცეს, ხელებს უკან წაიღებდა და მითიური მთიდან დაგორებულ ქანდაკებად ქცეული ებლაუჭებოდა ფრჩხილებით სწრაფმავალ დროს და შეშინებული მხეცივით სუნთქვაშეკრული მხოლოდ კვნესოდა და კვნესოდა. ერთხელ, ღამე, მაგა კბილებით ჩააფრინდა მხარში და სისხლის გამოსვლამდე უკბინა, რადგან ოლივეირა ცოტა განზე გაიწია და საკუთარმა ფიქრებმა წაიღო; და აი, მაშინ რაღაც მოხდა მათ შორის და მოხდა რაღაც უსიტყვო შეთანხმება. ოლივეირას მოეჩვენა, რომ მაგა მისგან ელოდა სიკვდილს, ოღონდ თვითონ კი არა,

მისი ნათელი ხილვა კი არა, არამედ რაღაც ბნელი ძალა, რომელიც მისგან მოითხოვდა განადგურებას, და იგი პირაღმა იწვა და ნთქავდა ვარსკვლავებს, მერე კი უბრუნებდა უვარსკვლავო სამყაროს ყველა მის კითხვას და შიშს. მაშინ ერთადერთხელ იგრძნო ოლივეირამ თავი მითიურ მატადორად, ვისთვისაც ხარის მოკვლა იმას ნიშნავდა, რომ დაებრუნებინა ხარი ზღვისთვის, ზღვა — ცისთვის, მხოლოდ ერთხელ მოხდა ისე, რომ მან შეებლალა მაგა, ეს მოხდა ერთ მეტად გრძელ ღამეს, რასაც ისინი აღარასდროს იხსენებდნენ; იგი ისე მოექცა მაგას, როგორც პოსეიდონი პასიფეას, ისე, როგორც უკანასკნელ მეძავსაც არ მოექცევიან, ჯერ მთლიანად დაიმორჩილა, მერე ლამის ცამდე აიყვანა და შეიცნო ბოლომდე, როგორც მამაკაცს შეუძლია შეიცნოს ქალი, ისეთი ძალით ეხვეოდა, ლამის სისხლის სუნიც კი სცემდა, მერე კი ძალაგამოლევული და დაშრეტილი მოისროლა განზე და ესმოდა, ბალიშში ჩამხობილი როგორ ტიროდა ბედნიერებისგან, იქვე, მის სახესთან, მხოლოდ სიგარეტის ცეცხლი რომ ანათებდა და კვლავ აბრუნებდა იმ ღამეში და სასტუმროს ოთახში.

ცოტა მოგვიანებით ოლივეირა შიშმა შეიპყრო, ვაითუ მაგამ ეს ყველაფერი მიიჩნიოს იმ სისავსედ, განუზომელ მწვერვალად და სასიყვარულო გართობაში არ ეძებოს მსხვერპლშეწირვის სათავეო. ყველაზე უფრო ეშინოდა ძალღური ერთგულების, მადლიერების ამ ყველაზე შენიღბული გამოხატვის; მას არ უნდოდა, რომ თავისუფლება, ეს ერთადერთი სამოსელი, რაც მაგას ასე ამშვენებდა, გადაქცეულიყო ქალურ თვინიერებად. მაგრამ მალე დამშვიდდა, რაკი დაინახა, რომ მაგა, თითქოს არც არაფერი მომხდარაო, შავი ყავის მომზადებას შეუდგა, მერე ბიდესთან მივიდა და როცა დაბრუნდა, ეტყობოდა, უარესად დაბნეული იყო. ამ ღამეს მას ისე მოექცნენ, უარესად არც შეიძლება, მის გარშემო სიცარიელის უსასრულობა ფეთქავდა და ოლივეირას პირველივე სიტყვა, ალბათ მათრახივით უნდა მოხვედროდა, მაგრამ იგი მივიდა და საწოლის კიდეზე შემკრთალი ჩამოჯდა, მართო ალერსიანი ღიმილით და რაღაც შორეული ნუგეშით ცდილობდა გონს მოსვლას, რამაც სრულიად დაამშვიდა ოლივეირა. თუ მას არ უყვარდა მაგა, მაშინ სურვილიც ჩაუქრე-

ბოდა (მას კი არ უყვარდა მაგა და სურვილიც უნდა ჩამქრალიყო), ასე რომ შავი ჭირივით უნდა მორიდებოდა სასიყვარულო თამაშში რაიმე წმინდას არსებობას. როგორმე თავი უნდა აეცილებინა ამისთვის დღეების მანძილზე, კვირების მანძილზე, სასტუმროს ყოველ ოთახში, ყოველ მოედანზე, ყოველ სასიყვარულო ვითარებაში, მაშინაც კი, როცა დილაობით კაფეში ისხდნენ მოედანზე; სასტიკი ბრძოლის არენა, ზედმიწევნით გააზრებული ოპერაცია ბრწყინვალე შედეგით, დახვეწილი და აშკარად გაწონასწორებული. იგი უკვე დარწმუნდა, რომ მაგა მართლაც ელოდებოდა, ორასიო მომკლავსო, ოღონდ მისთვის ეს იქნებოდა ფენიქსის სიკვდილი, ფენიქსივით აღსდგებოდა და ბოლოს და ბოლოს შეუერთდებოდა ფილოსოფოსების, ანუ გველის კლუბის საკრებულოს; მაგას ცოდნის, განათლების დიდი წყურვილი ჰქონდა; ორასიო იყო შთაგონებული, სასახელო, მოწოდებული ქურუმ-განმანათლებლის როლისთვის, მაგრამ თვითონ ისინი ვერაფერში თანხმდებოდნენ, ჩვეულებრივ საუბარშიც კი ვერ უგებდნენ ერთმანეთს, სრულიად განსხვავებული შეხედულებები ჰქონდათ, (მან ეს კარგად იცოდა, მშვენივრად ესმოდა), ამიტომ მათი დაახლოვების ერთადერთი საშუალება ის იქნებოდა, თუ ორასიო მოკლავდა მას და მოკლავდა სწორედ თავდავიწყების წუთებში, რადგან მხოლოდ ნეტარების წუთებში, როდესაც ისინი თანასწორნი თუნდაც თავიანთი სიშიშვლით, შეწყვილდებოდნენ და სასტუმროს ოთახის ცაბე შეხვდებოდნენ პირისპირ, მაშინ აღსრულდებოდა მისი აღდგომაც ფენიქსის კვალად, მას მერე, რაც ორასიო დაახრჩობდა და მერე აღტაცებული გაირინდებოდა, თითქოს იგი თავიდან აღმოაჩინაო, რადგან უკვე ნამდვილად მოიპოვა და დაისაკუთრა, ამიერიდან ველარაფერი გაყრიდა მათ და მაგა იქნებოდა მარად მასთან, და აღარც ორასიო მოიცილებდა გვერდიდან.

(-81)

წინასწარ მოილაპარაკებდნენ ხოლმე სად და როდის შეხვდებოდნენ ერთმანეთს, რომ ესა თუ ის უბანი შემოევიდნენ. მოსწონდათ განგებასთან შებმა; თუ ერთმანეთს ვერ იპოვიდნენ, მთელი დღე დაბოლმილები იბოდიალებდნენ, ცალ-ცალკე დასხდებოდნენ კაფეში, ან სადმე პატარა მოედანზე მოიკალათებდნენ მერხზე და ერთი წიგნით მეტს თუ წაიკითხავდნენ. გამოთქმა „ერთი წიგნით მეტის წაკითხვა“ ოლივეირას ეკუთვნოდა და მაგამაც ეს წმინდა ოსმოსად აღიქვა; სინამდვილეში კი მისთვის ყოველი წიგნის წაკითხვა ერთი წიგნით ნაკლები იყო, არადა უზომო სურვილი ჰქონდა და კიდევ აპირებდა (დაახლოებით სამ და ხუთ წელიწადში მაინც, თავისი ანგარიშით) წაეკითხა გოეთეს, ჰომეროსის, დილან ტომასის, მორიაკის, ფოლკნერის, ბოდლერის, რობერტო არლტის, წმინდა ავგუსტინეს და სხვათა თხზულებები, რომელთა სახელების ხსენება კლუბში საუბრების დროს სულ საგონებელში აგდებდა. ასეთ დროს კი ოლივეირა პასუხად მარტო მხრებს აჩიჩავდა და ზიზღით მოჰყვებოდა იმ გაუკუღმართებულ ამბებზე, ლა პლატის მთელ სანაპიროზე რომ მოიკიდა ფეხი, მკითხველთა ახალ ჯიმზე a fulltime[18], ბიბლიოთეკებზე, სადაც ნახევრად განათლებული და დიდი პრეტენზიების მქონე ქალიშვილები ირევიან, ამ ურჯულეობებზე, ბურგი რომ აქციეს მგესა და სიყვარულს, სახლებზე, სადაც სტამბის საღებავით გაჟღენთილ ჰაერს ბოლო მოულო ნივრის მხიარულმა სუნმა. ამ დროს თვითონ ცოტას კითხულობდა, უფრო გაიტაცა ხეების თვალღებებამ, წვრილ-წვრილი ნივთების ძებნამ ქუჩაში, ფილმოტეკის გაყვითლებული სურათების ყურებამ და ლათინური კვარტლის ქალებმა. მისი გაურკვეველი ინტელექტუალური მოწოდება შემოიფარგლებოდა უქმი და უსარგებლო ფიქრებით, ხოლო როცა მაგა სთხოვდა დახმარებას, რაიმე თარიღის ან სიტყვის განმარტებას, უხალისოდ პასუხობდა, უქმ გარჯად მიაჩნდა. „მაინც რამდენი რამ იცი“, – იტყოდა ხოლმე დანაღვლიანებული მაგა. მაშინ კი მიუბრუნდებოდა, მაინც შეიწუხებდა თავს და განუმარტავდა რა განსხვავებაა ცოდნასა და გაცნობას შორის და შესთავაზებდა ხოლმე ინდივიდუალურ სავარჯიშოებში გამოცდას, რაც კიდევ უფრო აბნევდა მაგას და ბოლოს სასოწარკვეთილებაში აგდებდა.

როდესაც შეარჩევდნენ ადგილს, რომელიც არ ენახათ, მო-
ილაპარაკებდნენ, სად შეხვდებოდნენ ერთმანეთს და თითქმის
ყოველთვის ხვდებოდნენ. ზოგჯერ მათი შეხვედრა ისეთი უცნაუ-
რი და დაუჯერებელი იყო, რომ ოლივეირა ალბათობის თე-
ორიასაც კი მოიშველიებდა ხოლმე, უთავბოლოდ დაბორია-
ლებდნენ ქუჩებში და ვერაფრით აეხსნათ, რატომ უნდა შეეხვია
მაგას ვოჟირარის ქუჩის კუთხეში სწორედ იმ დროს, როცა თვი-
თონ ხუთი კვარტლის დაშორებით იყო მისგან, მერე რატომღაც
გადაიფიქრა და იმის მაგივრად რომ ბუსის ქუჩას აჰყოლოდა,
მუსიე დე პრენსის ქუჩაზე გადაუხვია, სრულიად დაუფიქრებლად
და კიდევ შეეჩხა მაგას, რომელიც ვიტრინის წინ იდგა და და-
ბალზამებულ მაიმუნს უყურებდა. მერე კი, როცა უკვე კაფეში ის-
ხდნენ, დაწვრილებით განიხილავდნენ განვლილ გზას, თუ რა-
ტომ ან როდის არ გაჰყვნენ ამ ქუჩას, რატომ შეუხვიეს იმ ქუჩაზე
და ცდილობდნენ ეს ყველაფერი აეხსნათ ტელეპატიით, მაგრამ
არც ეს იყო გამოსავალი; ასე იყო თუ ისე, ისინი მაინც პოულობ-
დნენ ერთმანეთს ქუჩების ამ ლაბირინთში და გიჟბივით იცი-
ნოდნენ, რადგან სჯეროდათ, რაღაც ძალა წარმართავდა მათ.
ოლივეირა აღტაცებას ვერ მალავდა, როცა ხედავდა მაგას, რო-
მელსაც გონიერებისა არაფერი ეტყობოდა, არაფერი გაეგებო-
და გამოთვლებისა თუ ალბათობის კანონისა. რაც მისთვის მა-
ინც ანალიზის საქმე იყო, ანდა უბრალოდ რწმენისაც კი, რომ
ბოლოს იქ მიხვალ, სადაც უნდა მიხვიდე, მაგა ბედისწერად
აღიქვამდა. „ვაითუ ვერ შემხვედროდი?“ – ჰკითხავდა ხოლმე,
„არ ვიცი, მაგრამ შენ ხომ ახლა აქა ხარ“... აუხსნელი კი იყო ეს,
მაგრამ პასუხი სრულიად აუქმებდა კითხვას და ავლენდა ლოგი-
კის სრულ უსარგებლობას. ამის მერე ოლივეირა გრძნობდა ძა-
ლის ახალ მოზღვავებას, რომ შებრძოლებოდა მაგას წიგნიერ
ცრურწმენებს, ხოლო მაგა, როგორი პარადოქსულიც უნდა ჩან-
დეს, უჯანყდებოდა ოლივეირას სასკოლო ცოდნის მიმართ
ზიზღს. და აი, ასე დაიარებოდნენ პანჩი და ჯუდი, იზიდავდნენ და
განიზიდავდნენ ერთმანეთს, და ასეც უნდა იყოს, თუ არ გინდა,
რომ სიყვარული დასრულდეს ფერადი საფოსტო ბარათით ან
უსიტყვო რომანსით. მაგრამ სიყვარული მაინც რა სიტყვაა...

მე ვეხები შენს ბაგეს, თითს შემოვავლებ მის კიდეს ისე, ვითომ ჩემი დახატული და ჩემი ხელით შექმნილი იყოს, ვითომ პირველად გაიპო შენი ბაგე და თუ ერთი წამით მაინც მოვხუჭავ თვალს, გაქრება, აღარ იქნება და მე ისევ თავიდან დავიწყებ მის ხატვას, ისეთს შევექმნი, როგორც მე მინდა, ჩემი არჩეული და ჩემი სასურველი, ჩემი ხელით დახატული, შენი ბაგე უმაღლესი თავისუფლების ნებით ჩემი არჩეული, ჩემი ხელით დახატული, შენს სახეზე, წმინდა შემთხვევის წყალობით (და მეც ვცდილობ გავიგო როგორ მოხდა ეს), ზუსტად ისეთი აღმოჩნდა, როგორც არის შენი ბაგე, რომელიც მილიმის ჩემი ხელით დახატული პირის მიღმა.

შენ მიყურებ მე, ახლოდან მიყურებ და უფრო და უფრო მიახლოვდები, ჩვენ თითქოს ციკლოპობანას ვთამაშობთ, ვუყურებთ ერთიმეორეს, ვუახლოვებთ სახეებს და თვალეზიც ფართოვდება და ფართოვდება, უახლოვდება ერთმანეთს და თითქოს იხრახნებიან ერთმანეთში, ციკლოპები თვალს თვალში უყრიან, სუნთქვა ეკვრით და მაშინ ჩვენი ბაგეები ერთდებიან, ეკვრიან, კბენენ, კბილებით ეხებიან, ეთამაშებიან ალერსით, სუნთქვა ხშირდება და იგრძნობა ძველი, ნაცნობი სუნი და დუმილი. ჩემი ხელები ეძებენ შენს თმას, მასში იფლობიან და ეალერსებიან და ჩვენ ვკოცნით ერთმანეთს და ჩვენი პირები თითქოს სავსეა ყვავილებით, გაურკვეველი სურნელება რომ დაჰკრავთ, ან ცოცხალი თევზებით; და უნებურად ვკბენთ ერთმანეთს და ეს ტკივილიც ტკბილია და თუ ამ კოცნაში სული შეგვიგუბდება, თუ ერთდროულად შევისუნთქავთ ერთიმეორის ჰაერს და მაშინ ეს წუთიერი სიკვდილიც უმშვენიერესია, ორივეს ერთი ნერწყვი გვაქვს და ერთნაირი გემო მწიფე ნაყოფისა და ვგრძნობ როგორ ცახცახებ ჩემში, თრთი, ვითარცა მთვარე წყალში.

საღამო ხანს მეჩუსერის სანაპიროზე გავდიოდით თევზების სანახავად, მარტის თვე იდგა — ლეოპარდის თვე, ლალატიანი, ვერაგი თვე და უკვე გვათბობდა ყვითელი მზე და მას დღითი დღე ემატებოდა მოწითალო ელფერი. ჩვენ ვიდექით ტროტუარზე, პარაპეტთან, ყურადღებას არ ვაქცევდით ბუკინისტებს, რომლებიც მაინც არაფერს მოგვცემდნენ უფულოდ, ველოდებოდით იმ წუთს, როდის ალაპლაპდებოდა მზეზე აკვარიუმები (ნება-ნება დავდიოდით აღმა-დაღმა და ველოდებოდით მზის სხივებზე მის აელვარებას) და ასობით ვარდისფერი თუ შავი თევზი ჩიტებივით აფართატდებოდა ამ შუშის ბუშტებში.

უაზრო სიხარული აგვიტაცებდა და შენ ღიღინ-ღიღინით მეწეოდი ქუჩის გადაღმა აფართხალეული თევზების სამყაროში.

აკვარიუმები უზარმაზარი სასმისებივით გამოაქვთ ქუჩაში და ტურისტების, ცნობისმოყვარე გოგო-ბიჭებისა და სენიორების, ეგზოტიკური სახეობების (550 fr. pièce)[19] ამ კოლექციონერთა ბრბოში ბრიალებს აკვარიუმების კუბები, მზე ერთმანეთში აბავებს წყალსა და ჰაერს და ვარდისფერი თუ შავი ჩიტები ნარნარად როკავენ პაწაწა საჰაერო სივრცეში, ეს ნელი და ცივი ჩიტები. ჩვენ კი მათ ვათვალისწინებდით და ვხალისობდით, სახით, თვალებითა და ცხვირით ვეხებოდით შუშას და მოხუც გამყიდველებს ვაბრალებდით, რომელთაც ჩოგანბანდები მოემარჯვებინათ წყლის პეპლების დასაჭერად, თევზებისა კი არაფერი გავეგებოდათ და სწორედ მათი გაუგებრობის წყალობით უფრო და უფრო ახლოს მივდიოდით მათთან, ვისაც თავისი თავისაც კი არაფერი ესმის; აკვარიუმებს გარს შემოვუვლიდით და მათ გვერდით აღმოვჩნდებოდით ხოლმე ისე ახლოს, როგორც ჩვენი ნაცნობი გამყიდველი ქალი ნეფის ხიდის მეორე კარვიდან, არ გახსოვს, რომ გითხრა, „ცივ წყალში თევზები იხოცებიან, ცივი წყალი არ სიამოვნებთო“. ისიც გამახსენდა, სასტუმროს ერთმა

მოახლემ გვიმრის მოვლა რომ გვასწავლა: „წყალი ზემოდან კი არ უნდა დაასხათ, ქოთანი წყლით სავსე თეფშზე უნდა დადგათ და თვითონვე დაღვეს, რამდენიც უნდაო...“ და კიდევ ერთიც, კარგად კი ვერ გავიგე, სადღაც წამიკითხავს, როცა თევზი წყალში მარტო აღმოჩნდება, დარდობსო, მაგრამ თუ აკვარიუმში სარკეს ჩაუდგამენ, მაშინვე გამოცოცხლდება და დამშვიდდებაო...

ჩვენ მაღაზიებშიც შევდიოდით, სადაც ჭირვეული თევზები იყიდებოდა და იქ საგანგებო აკვარიუმებიც ჰქონდათ თერმომეტრებითა და წითელი ჭიაცყელებით აღჭურვილი. როცა ხმაღლა გამოვთქვამდით გაკვირვებას და გამყიდველების რისხვას ვიწვევდით, რომლებიც დარწმუნებულები იყვნენ, რომ ჩვენ არ ვიყავით მყიდველები და თითოში 550 ფრანკის გადამხდელები, აღარც მათი დამოკიდებულება იყო ჩვენთვის გამოცანა. იმ ხანებში დღეები ნესტით იყო გაჟღენთილი და თხევადი შოკოლადივით თუ ფორთოხლის მუსივით რბილი, თითქოს ჩვენც მათში ვითქვიფებოდით და ვთვრებოდით, ვთვრებოდით მეტაფორებითა და ანალოგიებით, რომელთაც ვიშველიებდით, რომ იდუმალებას ჩაეწვდომოდით. ერთი თევზი პირდაპირ ჯოტოს განსახიერება იყო, ალბათ გახსოვს, მეორე ორი კი ცელქობდა ეშმის ძაღლებივით, ერთი კიდევ სულ იისფერი ღრუბლის ჩრდილს მოგაგონებდა... ჩვენ აღმოვაჩენდით ფორმებში მოქცეულ ცხოვრებას, რომელსაც არ გააჩნდა მესამე განზომილება, ვაკვირდებოდით როგორ გადაიქცეოდნენ ეს ფორმები ძლივს გასარჩევ ვარდისფერ ბოლად, წყალში უძრავად გაჩერებული უეცრად ჩვენსკენ რომ შემობრუნდებოდა; ფარფლის უბრალო მოძრაობაც კმაროდა, რომ ურჩხულიც უკვე აქ იყო. თვალები, ულვაშები, ფარფლები, მუცლიდან კი დრო და დრო მოძვრებოდა და უკან მოჰყვებოდა გამჭვირვალე ბონარივით ექსკრემენტი და ვერასგზით ვერ მოსწყვეტოდა, თითქოს უმნიშვნელო რამაა, მაგრამ ერთბაშად კი ამოგლვჯს ამ სრულქმნილ არსებას წმინდა სახეთა სამყაროდან და ჩვენს რიგებში ჩააყენებს, უნდა ითქვას, აკავშირებს ერთ დიდებულ სიტყვასთან, რომელიც იმხანად ჩვენ ყველას პირზე გვეკერა...

მათ გაიარეს ვარენის ქუჩა და ვანოს ქუჩაზე გავიდნენ. წვიმ-და და მაგა მკლავზე ჩამოეკიდა ოლივეირას, მაგრად მიეკრა გაცივებული წვნიანის სუნით გაჟღენთილ მის ლაბადას. ეტიენი და პერიკო იმაზე მსჯელობდნენ, როგორ შეიძლებოდა ფერწერისა და სიტყვის მეშვეობით სამყაროს ახსნა. ოლივეირამ მოიწყინა და მაგას წელზე შემოხვია ხელი. ასეც შეიძლებოდა სამყაროს ახსნა — კენარ, თბილ წელზე შემოხვიო ხელი და იარო, თან გრძნობდე კუნთების მსუბუქ მოძრაობას, ვიდრე ბერლიცისეული მონოტონური და დაჟინებული მი-ყვარ-ხარ-მი-ყვარ-ხარ, იმეორო. უპირო ზმნით ვერაფერს ახსნი — სი-ყვა-რული, სი-ყვა-რული, „და ამას მოჰყვება მუდამ კავშირი“, — გრამატიკულად განსაჯა ოლივეირამ. მაგას რომ ესმოდეს, როგორ აღიზიანებს ასე უცბად რომ ნებდება ხოლმე იგი სურვილს, „უსარგებლო დანებება თავისთვის, მარტო“, როგორც უთქვამს პოეტს. მაინც რა თბილი წელი აქვს, ან როგორ ეკვრება მისი სველი თმა ლოყაზე, სულ ტულუმ ლოტრეკის ქალსა ჰგავს ეს მაგა, მოჰყვება გვერდით და ეტმასნება. თავდაპირველად იყო დაახლოება, ესეც ახსნაა და არა ყოველთვის პირიქით. ანტიექსპლიკატორული (ახსნის საწინააღმდეგო) მეთოდის აღმოჩენა, როგორცაა მიყვარ-ხარ-მი-ყვარ-ხარ, შეიძლება სულაც მორგევიით იყოს ბორბალში.

მერედა, დრო? ყველაფერი თავიდან იწყება, არ არსებობს აბსოლუტი. მერე კიდევ ჭამ და კიდევ იწელებ, ყველაფერი მაინც კრიზისს განიცდის. საათები გადის და კვლავ იღვიძებს სურვილი, თითქოს ისეთივე, არაფრით განსხვავებული, მაგრამ მაინც სხვანაირი: დროის მახე, რათა შეგვიქმნას ილუზია. „სიყვარული ცეცხლივითაა, მარადიულად უნდა ენთოს ყველას საჭვრეტად. აჰა, წამოვიდა დაუოკებელი სიტყვების ნაკადი“.

— ახსნა, ახსნა, — ბუზღუნებდა ეტიენი. — თუკი საგნებს თავი-სი სახელი არ დაარქვი, ვერც დაინახავ; ამას ჰქვია ძალღი, ამას — სახლი, როგორც იტყვის ხოლმე ის, დუინოელი. პერიკო, ჯერ უნდა აჩვენო, კი არ უნდა აუხსნა. ვხატავ, ergo, ვარსებობ.

— რა უნდა აჩვენო? — იკითხა პერიკო რომერომ.

— ის ერთადერთი, რაც გაამართლებს ჩვენს ცხოვრებას.

— მართო ცხოველს ჰგონია, რომ არ არსებობს სხვა გრძნობა, გარდა დანახვისა და მისი შედეგებისა, — თქვა პერიკომ.

— ფერწერა სულ სხვა რამაა, ვიდრე ჭვრეტის პროდუქტი, — თქვა ეტიენმა, — მე ვხატავ მთელი ჩემი არსებით და ამ თვალსაზრისით, არცთუ დიდად განვსხვავდები შენი სერვანტესისგან, თუ შენი ტირსოსაგან და რა ვიცი, კიდევ ვისგან. მე გულს მირევს ეგ თქვენი ყველაფრის ახსნის მანია, როცა ლოგოსი ესმით როგორც მხოლოდ სიტყვა.

— და ასე შემდეგ, — თქვა ოლივეირამ კუშტად, — საკმარისია აღქმის ფორმებზე წამოიწყოთ კამათი და მაშინვე ეს ყრუების დიალოგს ემსგავსება.

მაგა კიდევ უფრო მაგრად მიეხუტა. „ახლა ესეც რაიმე სისულელეს წამოროშავს, — გაიფიქრა ოლივეირამ, — ჯერ კარგად უნდა გამეხახუნოს და მერე კანით გადაწყვეტს, რა თქვას“, მან რაღაც ავი სინაზე იგრძნო, რაღაც ისეთი საპირისპირო, რაც უნდა ყოფილიყო თვით სიმართლე. „კარგი იქნებოდა რაიმე ისეთი მოეფიქრებინა, თუნდაც მაგალითად საამო სილის გაწვნა, ან ფუტკრის პანლურის მსგავსი რამ. თუმცა ამ ქვეყნად ჯერ უკანასკნელი სინთეზის აღმოჩენა მოგიწევს. პერიკო მართალია, დიდ ლოგოსს არ სძინავს. სამწუხაროა, რომ არაფერი ვიცი, მაგალითად, სიყვარულციდის შესახებ, ნამდვილი შავი სინათლის, ანტიმატერიის შესახებ, რაზეც გრეგოროვიუსი ღრმად დაფიქრდებოდა.“

— ჰეი, გრეგოროვიუსი მოვა ჩვენს დისკობუმზე? — იკითხა ოლივეირამ.

პერიკოს აზრით, მოვიდოდა, ეტიენმა მონდრიანზე გამოთქვა თავისი აზრი.

— ეგებ მონდრიანის ამბავიც ვიკითხოთ, — თქვა ეტიენმა, — კლემეს მაგიური ნიშნები, მისი აზრით, მკვდარია. კლემე ალალბედზე თამაშობდა კულტურის ფასეულობების იმედით, მონდრიანის გასაგებად კი საკმარისია წმინდა აღქმა, მაშინ როცა კლემეს კიდევ ბევრი რამ აკლია. სინატიფე ნატიფებისთვის. მართლა ჩინელია.

სამაგიეროდ, მონდრიანი ხატავს აბსოლუტს. შენ დგახარ მისი სურათის წინ დედიშობილა და ორში ერთი გზა გაქვს, ან ხედავ, ან ვერ ხედავ. სიამოვნება, გაღიზიანება, ალუბიები, შიში თუ ტკბობა ზედმეტია.

— შენ გესმის, რას ამბობს? — ჰკითხა მაგამ, — მე ვფიქრობ, კლემეს მიმართ უსამართლობაა.

— სამართლიანობა თუ უსამართლობა აქ არაფერ შუაშია, — თქვა ოლივეირამ უხალისოდ. — ლაპარაკი სულ სხვა რამეზეა. ნუ გადაგაქვს ყურადღება მაშინვე პიროვნებაზე.

— აბა, რატომ ამბობს მთელი ეს სილამაზე მონდრიანს არ სჭირდებაო.

— მას უნდოდა ეთქვა, რომ კლემეს სიღრმისეული გაგებისათვის საჭიროა დიპლომი *ès lettres*[20], ან ყოველ შემთხვევაში *ès poésie*[21] მაინც, მაშინ როცა მონდრიანის გასაგებად საკმარისია გამონდრიანება და მეტი არაფერი.

— სულაც არა, — თქვა ეტიენმა.

— ცხადია, რომ ასეა, — თქვა ოლივეირამ, — შენი ნათქვამის თანახმად მონდრიანის სურათის გასაგებად საჭიროა მხოლოდ სურათი და სხვა არაფერი. *ergo* უფრო საჭიროა შენი უცოდვე-

ლობა, ვიდრე გამოცდილება. მე ედემისეულ უცოდველობას ვგულისხმობ და არა სისულელეს. გაითვალისწინე ისიც, რომ სურათის წინ დედიშობილა დგომის ეგ შენი მეტაფორა ადამის წინადროინდელია.

როგორი პარადოქსულიც უნდა გეჩვენოთ, კლდე გაცილებით უფრო მოკრძალებულია, რადგან მას მნახველის თანამონაწილეობა უფრო სჭირდება, მარტო საკუთარი თავი მისთვის არ არის საკმარისი. არსებითად კლდე არის ისტორია, მონდრიანი კი დროის მიღმა დგას. ხოლო შენთვის სასიცოცხლო მნიშვნელობა აქვს აბსოლუტს.

გასაგებად აგიხსენი?

– არა, – თქვა ეტიენმა, – C'est vache comme il pleut[22].

– Tu parles, coñ[23] – თქვა პერიკომ, – რონალდი კი სადღაც გადაკარგულში ცხოვრობს.

– ავჩქარდეთ, – დაეთანხმა ოლივეირაც, – დროზე შევაფართოთ სადმე თავი, თორემ ქარიშხალს ვერ გადავურჩებით.

– უკვე იწყება. იცი, თანდათან მომწონს ეგ შენი არგენტინული გამოთქმა, როგორც ბუენოს აირესში ლაპარაკობთ. იმ პედრო დე მენდოსასაც რამ მოაგონა თქვენი კოლონიზაცია.

– აბსოლუტი, – თქვა მაგამ, და თან ფეხის წვერით ქვა ერთი გუბიდან მეორისკენ გააგორა, – რას ნიშნავს აბსოლუტი, ორასიო?

– აბა როგორ გითხრა, – თქვა ოლივეირამ, – ეს ისეთი მომენტია, როცა რაიმე მიაღწევს თავის მაქსიმალურ სიღრმეს, მაქსიმალურ აზრს და მერე ხდება სრულიად უინტერესო.

– აი, ვონგიც მოდის, – თქვა პერიკომ, – ეს ჩინელი წყალმცენარეების წვნიანს არა ჰგავს?

თითქმის მაშინვე გამოჩნდა გრეგოროვიუსიც, ბაბილონის ქუჩის კუთხიდან გამოვიდა, როგორც ყოველთვის, ხელში უზარმაზარი პორტფელი ეჭირა, წიგნებით სავსე, ვონგი და გრეგოროვიუსი ფანჯრის ქვეშ გაჩერდნენ (შორიდან ისე ჩანდა, გეგონებოდათ ორივე ერთი უხაპის ქვეშ დგანანო) და საზვიამოდ მიესალმნენ ერთმანეთს. რონალდის სახლის სადარბაზოში ქოლგების დაკეცვის პატარა ინტერლუდია გათამაშდა თავისი comment ça va[24], მერე ვინმემ ასანთი მაინც გაჰკრას, ნათურა გადამწვარაო, მაინც რა ამინდიაო, ah oui c'est vache[25] და ყველამ ერთად მიაშურა კიბეს, მაგრამ პირველივე ბაქანზე შეჩერდნენ, რადგან პირდაპირ თავს წაადგნენ ხვევნა-კოცნაში გართულ წყვილს.

– Allez, c'est pas une heure pour faire les cons.[26] – თქვა ეტიენმა. – Ta gueule, – უპასუხა მოგუდულმა ხმამ, – montez, montez, ne vous gênez pas. Ta bouche, mon trésor[27].

– Salaud, va[28] – თქვა ეტიენმა. – ეს გი მონოა, ჩემი დიდი მეგობარი. მეხუთე სართულზე მათ უკვე ელოდებოდნენ რონალდი და ბებესი, ორივეს ხელში სანთელი ეჭირა და იაფფასიანი არყის სუნი ასდიოდა. ვონგმა ნიშანი მისცა მათ, ყველა გაჩერდა კიბის საფეხურებზე და კაპელამ შეასრულა გველის კლუბის წარმართული ჰიმნი.

მერე სწრაფად შეცვივდნენ ოთახში, რომ მეზობლები არ გამოსულიყვნენ. რონალდი ზურგიით მიეყრდნო კარებს. კუბოკრული პერანგის ზემოთ მისი წითელი თმა გიზგიზებდა.

– სახლი სათვალთვალო ჭოგრებითაა სავსე, damn it[29]. ღამის ათ საათზე აქ დაეშვება დუმილის ღმერთი და ვაი იმას, ვინც მას შებღალავს. გუშინ მმართველიც მოვიდა, რომ ჩვენთვის ჭკუა ესწავლებინა.

აბა რა გვითხრა, ბებეს, იმ ღირსეულმა ბატონმა?

– მან გვითხრა: „თქვენზე ისევ ჩივიანო“ – მერე ჩვენ რაღა ვქენით? – თქვა რონალდმა და გი მონოს კარი გაუღო.

— რა და, ასე ვუპასუხეთ, — თქვა ბებსმა და ხელების უხამს მოძრაობას კიდევ უფრო უხამსი ხმაც მოაყოლა.

— შენი გოგო სადღაა? — ჰკითხა რონალდმა.

— არ ვიცი, ალბათ გზა აებნა, — უპასუხა გი მონომ, — შეიძლება გევით ავიდა, კიბებზე მართლა კარგად ვგრძნობდით თავს და უცხად კი გაიქცა. გემოთაც ვნახე, მაგრამ არ იყო. ეეჰ, არაფერი უჭირს, ის ხომ შვედია.

(-104)

10

დაფლეთილი ღრუბლის წითელი ქულები დაცურავენ ლათინური კვარტლის თავზე, ჰაერი ნესტით გაჟღენთილა. ქარი უხალისოდ აშხეფებს წვიმის წვეთებს სუსტად განათებული ფანჯრის ჭუჭყიან მინებს, ერთგან ვარდისფერი პლასტირიც მიუკრავთ. უფრო გევით, ტყვიის წყალსადინარის ქვეშ, თავად ტყვიის მტრედებს, ამ სამაგალითო ანტიწყალსადინარებს, ფრთებქვეშ თავჩამალულებს სძინავთ.

ფანჯარა იცავს პარალელეპიპედს, არყის, სანთლის, ნესტიანი ტანსაცმლის, მორჩენილი შეჭამადის სუნით გაჯერებულ, კერამიკოსი ბებსისა და მუსიკოს რონალდის ეგრეთწოდებულ სახელოსნოს და ამავე დროს კლუბის საკრებულოს: ლერწმის სკამები, გაყვლეფილი კონსოლები, ფანქრისა და მავთულის ნარჩენები იატაკზე მიყრილ-მოყრილი, თითქმის გახრწნილთავიანი დაბალბამებული ბუს ფიტული, ასეთ გარემოში კიდევ კარგად გაცვეთილ ფირფიტაზე, ცუდად ჩაწერილი და თანაც ნემსის წრიპინის, ჩხაკუნის, შიშინის თანხლებით მოძველებული მელოდიებისა და საქსოფონის შესაბრაალისი ხმა, ოდესღაც 28 თუ 29 წელს რომ გაჰყვიროდა, კოლეჯის ქალთა მოყვარულ ჯგუფისა და ფორტეპიანოს იმედადღა ვრჩებითო.

მერე ჩაერთვება გულისგანგმირავი გიტარა, თითქოს რაღაც ახალი უნდა გვამცნოსო და უეცრად (რონალდი გაფრთხილების ნიშნად თითოს ასწევს) შემოიჭრება კორნეტი, პირველივე ორ ნოტს ტრამპლინივით გამოიყენებს; ბიქსი შემოდის და პირდაპირ გულში გვიმიზნებს, ერთბაშად მოხაზავს თემას და ისე გაისმის, როგორც სიჩუმეში იატაკზე დავარდნილი მძიმე საგნის ხმა; ორნი, ახლა უკვე კარგა ხნის გარდაცვლილები, ხან ძმურად, ერთად იბრძვიან, ხან სხვადასხვა მხარეს გავარდებიან, ბიქსი და ედი ლენგი (რომელსაც სალვატორე მასაროს ეძახდნენ) ბურთივით ესვრიან ერთმანეთს თემებს, „I am coming, Virginia“^[30], ვირჯინია, სადაც ერთიცა და მეორეც, ბიქსიც და ედი ლენგიც დასაფლავებული არიან ერთმანეთისგან რამდენიმე მილის მოშორებით, — გაიფიქრა ოლივეირამ, — ახლა უკვე მიწად და მტვრად ქცეულნი, არადა იყო დრო, როცა ერთხელ პარიზში ერთმანეთს ეჯიბრებოდნენ გიტარა და კორნეტი, ჯინი და უილბლობა. აი ეს იყო ჯაზი.

— რა კარგია აქ. სითბო, სიბნელე.

— ბიქსი გასაგიჟებელია, დადე ბებერო ეგ ფირფიტა, „Jazz me Blues“.

— აი ხედავთ, რა გავლენა აქვს ტექნიკას ხელოვნებაზე, — თქვა რონალდმა და ფირფიტების გროვაში დაიწყო ძებნა, თან ათვალიერებდა ეტიკეტებს. — სანამ ეს Long play გამოჩნდებოდა, არტისტს სამ წუთზე ნაკლებს უთმობდნენ, ახლა კი ვინმე სტენ გეტცი შეიძლება მთელი 25 წუთი იდგეს მიკროფონთან, რამდენიც უნდა იმდენი იმღეროს, ოღონდ აჩვენოს ხალხს, რა მაგარი ვარო. საწყალ ბიქსს კი სამ წუთში უნდა მოესწრო თვითონაც და თავის ჯგუფსაც და როცა გახურდებოდნენ, უკვე დამთავრდაო. ალბათ რას იბოლმებოდნენ დისკების ჩაწერისას.

— არა მგონია, — თქვა პერიკომ — ეს სონეტების წერას უფრო ჰგავდა და არა ოდების, მე პირადად ამ ლათაიებისა არაფერი გამეგება. აქ იმიტომ მოვდივარ, რომ შინ ჯდომითა და ხულიან მარიასის ნაშრომების კითხვით დავიღალე, მომბებრდა, თან დასასრულიც რომ არა აქვს.

გრეგოროვიუსმა არაყი დაისხა და ნება-ნება წრუპვა დაიწყო, ბუხრის კონსოლზე ორი სანთელი ენთო, ბებსის სამალავიც იქვე იყო, ჭუჭყიან წინდებსა და ლუდის ცარიელ ბოთლებს ინახავდა. გრეგოროვიუსი ჭიქის მიღმა ალტაცებით შეჰყურებდა სანთლების ლიცლიცს, ესოდენ უცხოსა და შორეულს, თითქოს ბიქსის კორნეტივით წამიერად სხვა დროიდან შემოიჭრაო. ცოტა გი მონოს ფეხსაცმელიც აღიზიანებდა დივანზე რომ მიწოლილიყო, ან ეძინა, ანდა თვალები დაეხუჭა და ისე უსმენდა. მაგა მივიდა და იატაკზე დაჯდა, თან სიგარეტს აბოლებდა. მის თვალეში მწვანე სანთლების შუქი ციმციმებდა. გრეგოროვიუსი მონუსხული შესცქეროდა და აგონდებოდა მორლოში ქუჩა საღამოჟამს, მაღალი ვიადუკი და ღრუბლები.

— ეს შუქი სულ თქვენა გგავთ, ანათებს, ცახცახებს, სულ მოძრაობს. — როგორც ორასიოს ჩრდილი, — თქვა მაგამ, — ცხვირი ხან დიდი მოგეჩვენება, ხან პატარა, არაჩვეულებრივია.

— ბებსი კი ამ ჩრდილების მწყემსია, — თქვა გრეგოროვიუსმა, — სულ იმ თავის თიხას უტრიალებს, ჩრდილებიც იმიტომაა ასეთი რეალური... აქ თითქოს ყველაფერი სუნთქავს, დაკარგული კონტაქტებიც ცოცხლდება, თან მუსიკაც ხელს უწყობს, არაყიც, მეგობრობაც... ან ეს ჩრდილები ლავგანდარზე, გეგონება ოთახსაც ფილტვები აქვს და გულისცემაც გესმისო. ჰო, ეს ელექტრონიც ელვატებისგან მოდის და ეს ჩრდილებიც ამიტომაა გაქვავებული. ახლა ავეჯის თუ სახის ნაწილი გეგონება. მაგრამ აქ, პირიქით... შეხედეთ ამ ნაძერწს ჭერზე, თითქოს მისი ჩრდილიც კი სუნთქავს, ეს ხვეულიც მოძრაობს, ადი-ჩადის... ადრე ადამიანი შედიოდა ღამეში და მასთან მუდმივი დიალოგიც კი ჰქონდა. ახლა ეს შიში, რა ფუფუნებაა წარმოსახვისთვის...

გრეგოროვიუსმა ხელისგულები ერთმანეთს მიადო, თითები გაშალა და კედელზე ძალღი გამოისახა, რომელიც პირს ადებდა და ყურებს ამოძრავებდა. მაგამ გაიცინა. ამ დროს გრეგოროვიუსმა ჰკითხა, რას იტყვი მონტევიდელოზე და ძაღლის გამოსახულებაც მაშინვე გაქრა.

იგი დარწმუნებული არ იყო, რომ მაგა ურუგვაელი იყო. ჩუ... ლესტერ იანგი და კანზას სიტი სიქსი, ჩუ... (რონალდმა თითი ტუჩზე მიიდო). — ურუგვაი ჩემთვის ნამდვილი საოცრებაა. მონტევიდეო მთლიანად კომპეები და ზარებია ბრძოლების აღსანიშნავად ჩამოსხმული... არ მითხრათ, მონტევიდეოში, მდინარის ნაპირზე უზარმაზარი ხვლიკები არ არიანო.

— რა თქმა უნდა, არიან, — თქვა მაგამ, — საკუთარი თვალითაც ნახავთ, თუკი პოსიტოსამდე ავტობუსით მიხვალთ.

— მონტევიდეოში ხალხმა ლოტრეამონის შესახებ თუ იცის რამე?

— ლოტრეამონი? — ჰკითხა მაგამ.

გრეგოროვიუსმა ამოისუნთქა და არაყი მოსვა. ლესტერ იანგი — საქს-ტენორი, დიკი უელსი — ტრომბონი, ჯო ბასკინი — როიალი, ბილ კოლმენი — ტრომბონი, ჯონ სიმონსი — კონტრაბასი, ჯო ჯოფუნსი — დასარტყამი ინსტრუმენტები. Four O'Clock Drag. ჰო, უზარმაზარი ხვლიკები, ტრომბონები მდინარის ნაპირზე, მცოცავი blues, a drag ეტყობა დროის ხვლიკს ნიშნავს, რომ მოცოცავს და მიცოცავს როგორც დრო, დილის ოთხ საათამდე, როცა ძილი გაგიკრთება; ანდა შეიძლება სულ სხვა რამესაც. „აჰ, ლოტრეამონი, — თქვა მაგამ, უცბად გაახსენდა, — ჰო, დარწმუნებული ვარ, იციან და ძალიან კარგადაც“.

— ის ურუგვაელი იყო, ოღონდ არ ჰგავდა.

— არ ჰგავდა, — თქვა მაგამ ისე, თითქოს თავს იმართლებსო.

— სინამდვილეში ლოტრეამონი... თუმცა ჩუ, რონალდი ბრაბდება, ახლა ხომ თავის კერპებს უსმენს. სამწუხაროდ, უნდა გავ-

ჩუმდეთ. ხმადაბლა ვილაპარაკოთ და თქვენ მონტევიდეოზე მი-
ამბეთ.

– ah, merde alors[30], – თქვა ეტიენმა და აღშფოთებულმა გაიხედა მათკენ. ვიბრაფონი ჰაერს შეიგრძნობდა და გევით-გე-
ვით მიიწევდა, ახტებოდა მოჩვენებით საფეხურებს, მერე ხუთს
ერთად და უცბად სულ თავში მოექცეოდა; ლაიონელ ჰემპტონი
ირჩეოდა „Save it pretty mamma”, აიჭრებოდა მაღლა, ვარდე-
ბოდა და დასრიალდებოდა შუშებზე, ფეხის წვერზე დატრიალ-
დებოდა, აელვარდებოდა ვარსკვლავები, ხუთი ვარსკვლავი,
სამი ვარსკვლავი, ათი ვარსკვლავი, ის ფეხს ადგამდა და აქ-
რობდა, ხტოდა, ბზრიალებდა და იაპონურ ქოლგას გადარეუ-
ლივით იქნევდა, ორკესტრი კი ფინალისკენ მიდიოდა; გამკვივა-
ნი კორნეტი ნელ-ნელა ეშვებოდა ქვევით, მიწაზე, ბაგირიდან-
მიწაზე, finibus, დამთავრდა. გრეგოროვიუსი უსმენდა მაგას, ასე
ჩურჩულით რომ დაატარებდა მონტევიდეოს ქუჩებში, ფიქრობ-
და, ვინ იცის, ეგებ მისი ბავშვობის შესახებ ცოტა მეტი გავიგო,
ნეტავ მიმისავით მართლა ლუსიას თუ ეძახდნენო; არაყმა ისეთ
მდგომარეობამდე მიიყვანა, როცა ღამე ხელგაშლილი გეგებება
და ირგვლივ ყველაფერი ერთგულებასა და იმედს გპირდება, გი
მონომაც მოკვცა ფეხები და უკვე აღარ ებჯინებოდა მის ზურგს,
მაგაც ისე მიეყრდნო, რომ გრძნობდა მისი სხეულის სითბოს,
როცა მისკენ დაიხრებოდა, ან მუსიკის ხმაზე ირხეოდა. გრეგო-
როვიუსი ძლივს არჩევდა ბინდბუნდში რონალდსა და ვონგს,
კუთხეში ფირფიტებს რომ არჩევდნენ, ოლივეირას და ბებსს, ია-
ტაკზე რომ ისხდნენ კედელზე ჩამოკიდებულ ესკიმოსურ ხალი-
ჩაზე მიყრდნობილები. თამბაქოს ბოლში გახვეული ორასიო ქა-
ნაობდა მუსიკის ხმაზე, ბებსი სულ გამოლენჩებულიყო არყის-
გან, ოთახში ყველაფერი თავდაყირა იდგა, ფერები ერთმანეთ-
ში ირეოდა, ლურჯი გადაიქცა ნარინჯისფერ რომბებად, შეუძ-
ლებელი იყო ამის გაძლება. თამბაქოს ბოლში გახვეული ოლი-
ვეირა ტუჩებს უხმოდ ამოძრავებდა, ეტყობა, საკუთარ თავს
ელაპარაკებოდა, თუ ვილაცას მიმართავდა წარსულში, მაგრამ
მის შემხედვარე გრეგოროვიუსს რაღაც ჩასწყდა შიგნით, გულ-
ში, კი არ იცოდა რატომ, ანდა იმიტომ რომ ორასიოს ვითომ გა-
რიყულობა იყო ფარსი, ვითომ უნდოდა მაგა თავის ნებაზე მიეშ-

ვა, რომ ცოტა ლაღად ეგრძნო თავი, მაგრამ თვითონ იქვე ახლოს იყო, უხმოდ ამოდრავებდა ტუჩებს და ამ ბოლში და ჯაზის ხმაურში მაინც ელაპარაკებოდა მაგას, თუმცა გულში ეცინებოდა, ასე მაინც როგორ გაიტაცა ლოტრეამონზე და მონტევიდეოზე საუბარმაო.

(-136)

12

გრეგოროვიუსს მოსწონდა კიდევ კლუბის შეკრებები, რადგან სინამდვილეში ეს სულაც არ იყო ჩვეულებრივი კლუბი და სწორედ ამით პასუხობდა მის მაღალ წარმოდგენას ამგვარი სახის თავყრილობებზე. მას მოსწონდა რონალდი მისი ანარქიულობისთვის, იმისთვის, რომ ბებსი იყო მის გვერდით, იმისთვის რომ ყოველგვარი განზრახვის გარეშე, ძალდაუტანებლად, თავდაუზოგავად და ბეჯითად კითხულობდნენ კარსონ მაკკალერსს, მილერს, რაიმონ კენოს, უსმენდნენ ჯაზს, როგორც თავისუფლების მოწიწებულ გამოვლინებას, იმისთვის, რომ ყოველგვარი მიკიბვ-მოკიბვის გარეშე აღიარებდნენ, რომ ორივე ხელმოცარული იყო ხელოვნებაში. მოსწონდა აგრეთვე ორასიო ოლივეირაც, თუმცა მასთან ურთიერთობა, სხვათაშორის, ესეც უნდა ითქვას, ცოტა მაინც უჭირდა, თავისდაუნებურად სულ მის ძებნაში კი იყო, მაგრამ როგორც კი ნახავდა, მაშინვე მოუსვენრობა შეიპყრობდა, ხოლო ოლივეირას ართობდა გრეგოროვიუსის ხრიკები, როცა იგი ცდილობდა თავისი წარმომავლობისა და ცხოვრების წესები შეეღამაზებინა და ისიც, რომ აშკარად შეყვარებული იყო მაგაზე და ეგონა, რომ ოლივეირა ვერაფერს ამჩნევდა, ასე რომ ორივე კიდევ იზიდავდა და კიდევ განიზიდავდა ერთიმეორეს, არც მეტი, არც ნაკლები, ერთი ხარი და მეორე ტორერო, კლუბიც ხომ ბოლოს და ბოლოს ამისთვის არსებობდა. ორივე თამაშობდა ინტელიგენტს, ლაპარაკობდნენ ქარაგმებით, რასაც მაგა სასოწარკვეთილებამდე მიჰყავდა, ბებსი კი —

სიშმაგემდე; საკმარისი იყო ერთ მათგანს წამოსცდენოდა რაიმე სიტყვა, რომ იწყებოდა სიტყვიერი სრბოლა, რომელი გაასწრებდა, თუ ერთი ახსენებდა „ციურ მწევარს“, მეორე მაშინვე შეაგებებდა — „I fled him“[31] და ა.შ. ამ დროს მაგა სრულ არარაობად გრძნობდა თავს და უიმედოდ ადევნებდა მათ თვალს; მაგრამ როცა რომელიმე იმ სიმაღლეს აღწევდა, რომ მეორე ვეღარ მისწვდებოდა, ორივეს სიცილი წასკდებოდა და თამაშიც შეწყდებოდა; მაგრამ უკვე გვიან იყო, ოლივეირას ზიზღი მოერეოდა ასოციაციური აზროვნების ასეთი ექსპიზიციონიზმის მიმართ, და თავად გრეგოროვიუსის მიმართაც, რასაც ის ხვდებოდა; და რაკი ორივე დამნაშავედ გრძნობდა თავს, განაწყენებულები ხელს იღებდნენ ამ გართობაზე; თუმცა ორიოდვე წუთიც არ იყო გასული, რომ ისევ თავიდან იწყებდნენ; მაგრამ ბოლოს და ბოლოს, კლუბის თავყრილობების აზრიც ხომ სხვა არაფერი იყო.

— იშვიათად თუ დამილევია აქ ასეთი საშინელი არაყი, — თქვა გრეგოროვიუსმა და ჭიქა შეივსო. — ლუსია, თქვენი ბავშვობის შესახებ მიაბობდით. მაგრამ არ გეგონოთ, რომ სხვანაირად ვერ წარმოვიდგენდი მდინარის ნაპირზე გრძელნაწნავებიან და ვარდისფერღანწვებიან გოგონას; ჩემს თანამემამულე ტრანსილვანიელ ქალიშვილებსაც ხომ ასეთი ფერი აქვთ, სანამ ის დაწყევლილი ლუტეციური ჰავა არ გააფითრებს.

— ლუტეციური? — ჰკითხა მაგამ.

გრეგოროვიუსმა ერთი კი ამოისუნთქა და მოჰყვა ახსნა-განმარტებას, მაგა კი დიდი მოთმინებით და მოწიწებით უსმენდა, სანამ სხვა რამ არ მიიპყრობდა მის ყურადღებას და არ გადაარჩენდა ამ წამებისგან. ამ დროს რონალდმა ჰოუკინსის ძველი ფირფიტა დადო და მაგაც, ეტყობა, გულში ბრაზობდა, რომ ამ ახსნა-განმარტებისაც ისეთი ვერაფერი გაიგო, რასაც ელოდა, ჟრუანტელის მომგვრელი რომ ყოფილიყო და ერთი ღრმად ამოესუნთქა, ისე ამოესუნთქა, როგორც ალბათ ჰოუკინსი ამოისუნთქებდა, სანამ ახალ მელოდიაზე გადავიდოდა, ან როცა თვითონ ამოისუნთქებდა ხოლმე, როცა ორასიო იმის ღირსად მიიჩნევდა, რომ აქესნა მისთვის რომელიმე ლექსის ბუნდოვანი სტრიქონი, რის შემდეგაც კვლავ იწყებოდა ახალი, ზღაპრული

ბუნდოვანება; ახლა გრეგოროვიუსის ნაცვლად ორასიო რომ ყოფილიყო და მას აეხსნა ამ ლუტეციის ამბავი, მაშინ ხომ ეწეოდა ნამდვილ ბედნიერებას, კიდევ ჰოუკინსის მუსიკაც, მწვანე სანთლების ლიცლოცი, ჟრუანტელი, და ამის მერე შეეძლო ერთი ღრმად ამოესუნთქა და დაეჯერებინა, რომ ყველაფერი ეს ნამდვილია, რომ შეეძლებოდა ეს მარტო როკამადურისთვის ან ორასიოს ბაგისტთვის შეეძარებინა, ანდა მოცარტის ადაჯოსტის, რისი მოსმენაც ახლა შეუძლებელი იყო საშინლად დაზიანებული ფირფიტის გამო.

— ასეც არ არის, — თქვა გრეგოროვიუსმა მორიდებით, — მე მხოლოდ ცოტა მეტი მინდოდა გამეგო თქვენი ცხოვრების შესახებ, ესოდენ მრავალმხრივი არსება მაინც როგორ ხართ.

— ჩემი ცხოვრების, — თქვა მაგამ, — მთვრალიც კი ვერაფერს გაგაგებინებდით, ან რა მაქვს სათქმელი ჩემი ბავშვობის შესახებ. მე ხომ უბრალოდ ბავშვობა არც მქონია.

— არც მე. ჰერცეგოვინაში...

— მე კი მონტევიდეოში. მარტო ის შემიძლია გითხრათ, ხანდახან ჩემი დაწყებითი სკოლა თუ დამესიზმრება, ისეთი შემზარავია, რომ ჩემივე ყვირილი მალვიძებს. ზოგჯერ მესიზმრება, ვითომ 15 წლის ვარ, არ ვიცი, თქვენ თუ ყოფილხართ ოდესმე 15 წლის.

— მგონი ვყოფილვარ, — თქვა გრეგოროვიუსმა ყოყმანით.

— მე კი ვი"ყავი, ჩემი სახლის ეზოში ბევრი ქოთნის ყვავილები იყო, მამაჩემი სულ იქ იჯდა ხოლმე და ან მატეს სვამდა, ან საზიზღარ ჟურნალებს კითხულობდა. თქვენ გესიზმრებათ ხოლმე მამა? მინდოდა მეთქვა, თუ გამოგეცხადებათ ხოლმე.

— არა, სინამდვილეში, უფრო დედა, — თქვა გრეგოროვიუსმა, — უფრო დედაჩემი, გლაზგოდან რომ არის; ჩემი გლაზგოელი დედა ხანდახან კი გამომეცხადება ხოლმე, მაგრამ არა როგორც ხილვა, არამედ როგორც რაღაც მოგონება და თანაც ცო-

ტა არ იყოს, შებღალული, ეს არის და ეს. მაგრამ როგორც კი ალკა სელცერს დავლევ, გულზე მომეშვება, თქვენ როგორღა?..

— აბა რა გითხრათ, — თქვა მაგამ მოუთმენლად. — ეს მუსიკა, ეს მწვანე სანთლები, იქ ორასიო ზის კუთხეში ინდიელივით. მე კი უნდა მოვუყვე როგორ მესიზმრება... ამას წინათ შინ ვიყავი, ორასიოს ველოდებოდი, ღამდებოდა, საწოლთან ვიჯექი, გარეთ კი წვიმდა, ნამდვილი დელგმა იყო, ისეთი, როგორც ამ ძველ ფირფიტაზე. ჰო, ცოტა მაინც ჰგავს. ვუყურებ საწოლს, ველოდები ორასიოს, არ ვიცი, როგორ, იქნებ საბანი იღო რაღაც უცნაურად, უცებ ვხედავ მამაჩემს, მხარი იცვალა და ზურგი შემომამქცია, თავზე საბანი წაიფარა, სულ ასე იცოდა, როცა დათვრებოდა და დასაძინებლად წვებოდა, ფეხები უჩანდა, გულზე ხელი დაიდო, ასეთი ჩვევა ჰქონდა. თმა ყალყზე დამიდგა, მინდოდა დამეყვირა, წარმოგიდგენიათ, რა საშინელებაა, თქვენ ასე შეგშინებიათ როდისმე?.. მინდოდა ოთახიდან გავვარდნილიყავი, კარები კი შორსაა, დერეფნის ბოლოში, იმის იქით ისევ დერეფანია და კარებიც უფრო და უფრო შორს მიიწევს, ვარდისფერი საბანი კი ირხევა, მესმის მამაჩემის ხვრინვა, ასე მგონია, საცაა ხელს გამოყოფს, ლურსმანივით წვეტიანი ცხვირიც გამოუჩნდება, არ ვიცი მაინც რატომ გიყვებით ამას, ბოლოს ისე შევკვივლე, რომ ქვედა სართულიდან მეზობელი ამოვიდა და ჩაი დამალევინა, მერე ორასიოც მოვიდა და რაღაც მომცა დასამშვიდებელი.

გრეგოროვიუსმა თმაზე ხელი გადაუსვა და მაგამ თავი დახარა.

„მზადაა, — გაიფიქრა ოლივეირამ და აღარ მოუნდა დიზი გილესპისთვის ედევნებინა თვალი, რომელიც დამცავი ბადის გარეშე, ყველაზე მაღალ ტრაპეციიაზე ვარჯიშობდა, — უკვე მზადაა, ამას ველოდი კიდევ, მზადაა. ამ ქალზე გიჟდება, ერთი შეხედვაც კმარა, უმაღლ მიხვდები. ეს თამაშიც ამ სამყაროსავით ძველია. ისევ იმ გაცვეთილ ფორმებს ვუბრუნდებით და იდიოტებით იმავე როლს ვიზუთხავთ, რომელიც კარგა ხანია ზეპირად ვიცით. მე რომ მისთვის ასე გადამესვა თავზე ხელი და მას მოეყოლა თავისი არგენტინული საგა, მითუმეტეს ცოტა ნასვამე-

ბიც თუ ვიქნებოდით, ჩვენ ორივეს გული აგვიჩუყდებოდა, მაშინვე შინისკენ გავქანდებოდით, დავაწვენდი, მოვეფერებოდი, ფრთხილად გავხდიდი, სათითაოდ გავუხსნიდი ღილებს, მას კი უნდა, არ უნდა, უნდა, არ უნდა, ნანობს, სახეზე ხელებს იფარებს, უცბად მეხვევა, თითქოს მთავაზობს რაღაც ამაღლებულს, მეხმარება გახდაში, ფეხსაცმელს იატაკზე ისე მოისვრის, პროტესტივით მოგეჩვენება, მაგრამ ეს უფრო აღვივებს სურვილს, უკიდურეს აღგზნებამდე მიგიყვანს, არა, ეს არ იქნება კეთილშობილი საქციელი, არ იქნება, ამას არ ჰქვია პატიოსნება. მომიწევს კარგად მოგინაყო ცხვირ-პირი, ოსიპ გრეგოროვიუს, საბრალო ჩემო მეგობარო, დიდი სურვილი კი არა მაქვს, მაგრამ არც მეცოდები, ისე როგორც ახლა დიზი უბერავს, არც სურვილი მაქვს და არც სინანულის გრძნობა, ჰო, როგორც დიზის.”

— ნამდვილი საზიზღრობაა, — თქვა ოლივეირამ, — ეს სისაძაგლე ამოიღეთ მენიუდან. ფეხსაც აღარ დავადგამ ამ კლუბში, თუ კიდევ მომასმენინებთ ამ განსწავლულ მაიმუნს.

— სენიორს არ მოსწონს ბოპი, — თქვა რონალდმა ირონიულად, ერთი წუთი მოიცადეთ და თქვენთვის დავდებთ რაიმეს პოლ უაიტმენის შესრულებით.

— კომპრომისული გადაწყვეტილება, — თქვა ეტიენმა, — ერთხმად მივიღეთ წინადადება, რომ მოვუსმინოთ ბესი სმიტს, რონალდ, ძვირფასო, დადე ეგ ბრინჯაოს გალიის მტრელი.

რონალდმა და ბებსმა გადაიხარხარეს, თუმცა გაუგებარი იყო რატომ, და რონალდმა ძველ დისკებში მოძებნა ფირფიტა. ნემსი შემზარავად აწრიპინდა, მერე სიღრმეში რაღაც დატრიალდა ისე, თითქოს ყურსა და ხმას შორის ბამბის რამდენიმე ფენა გედოთ, გეგონებოდათ ბესი თავპირშეხვეული მღეროდა და ხმა მოდიოდა ჭუჭყიანი თეთრეულით სავსე კალათიდან, გაგუდული, დახშული, თითქოს ძონძებს ეკიდებოდა და მაინც ხმას არ ეტყობოდა არც რისხვა და არც სიბრალეული. „I wanna be somebody's baby doll”[32], მღეროდა იგი და თითქოს გვთხოვდა მოთმინებას, ხმა ისმოდა ქუჩის კუთხეში მოხუცებით სავსე სახლის წინ. „To be somebody's baby doll”, მაგრამ მერე გაისმა

უფრო მგზნებარედ და ვნებიანად, ოღონდ თითქოს სულს ძლივს ითქვამსო:

„I wanna be somebody's baby doll...”

არცის უზომო სმისგან პირდათუთქულმა ოლივეირამ ბებსს მხარბე ხელი დაადო და უფრო მოხერხებულად მიეყრდნო. „შუამავლები”, გაიფიქრა მან და თამბაქოს ბოლოში ზანტად ჩაეფლო.

დასასრულს ბესის ხმა სულ გაწვრილდა, ახლა რონალდი გადააბრუნებს ბაკელიტას დისკს (თუკი ბაკელიტაა) და ეს უვარგისი დისკი კიდევ ერთხელ გააცოცხლებს „Empty Bed Blues” და ოციანი წლების ერთ ღამეს შეერთებული შტატების შორეულ კუთხეში.

რონალდმა თვალები დახუჭა, ხელები მუხლებზე დაიწყო და მუსიკის რიტმზე ირწეოდა. ვონგმაც და ეტიენმაც დახუჭეს თვალეები, ოთახი თითქოს სიბნელეში ჩაეფლო და ისმოდა მხოლოდ ნემსის ჩხაკუნი ძველ დისკზე, ოლივეირას ვერაფრით დაეჯერებინა, რომ ეს ყველაფერი ხდებოდა სინამდვილეში. მაშინ რატომ იქ, რატომ ახლა კლუბში, ეს სულელური ცერემონიები, რატომ არის ასეთი ეს ბლუზი, როცა მღერის ბესი? „შუამავლები”, კიდევ გაიფიქრა, თან ბებსთან ერთად ირწეოდა, ის კი უგონოდ დათვრა და ახლა, ბესის რომ უსმენდა, ჩუმად ტიროდა და ხან ტაქტზე ირწეოდა, ხან კონტრაპუნქტზე, ქვითინს იკავებდა, გულში აბრუნებდა, ოღონდ კი ბოლომდე მოესმინა ბლუზი ცარიელი საწოლის, ხვალინდელი დილის, გუბეებში დასველებული ფეხსაცმელების, გადაუხდელი ქირის, სიბერის წინაშე შიშის, ნაცრისფერი გარიჟრაჟის შესახებ, რომელიც აირეკლება ცარიელი საწოლის ბოლოში ჩამოკიდებულ სარკეში, ეს ბლუზი – ცხოვრების უსასრულო სევდა. „შუამავლები” – ირრეალობა, რომელიც გვაჩვენებს სხვა ირრეალობას, როგორც წმინდანთა ხატები თითოთ რომ მიგვანიშნებენ ცაზე. შეუძლებელია, რომ ეს ყველაფერი არსებობდეს, რომ სინამდვილეში ვართ აქ და რომ

მე ვარ ვინმე სახელად ორასიო. ეს მოჩვენება, ეს ხმა ოცი წლის წინათ საავტომობილო კატასტროფაში დაღუპული ზანგი ქალისა: არარსებული ჯაჭვის რგოლები, ან როგორ აღმოვჩნდით აქ, როგორ შევიკრიბეთ ამ დამეს, თუ არა ილუზიის თამაშის ნებით, თუ არა თამაშის დადგენილი და განსაზღვრული წესების თანახმად, თუ არა ვართ ბანქოს დასტა წარმოუდგენელი დამრიგებლის ხელში...”

— ნუ ტირი, — ყურში ჩასჩურჩულა ბებეს ოლივეირამ, — ნუ ტირი, ბებს, ეს ყველაფერი ხომ სინამდვილე არ არის.

— ოჰ, ასეა, ასეა, ეს სინამდვილეა, — თქვა ბებსმა და ცხვირი მოიწმინდა. — ყველაფერი ეს ნამდვილია.

— შეიძლება ასეა, — უთხრა ოლივეირამ და ლოყაზე აკოცა, — მაგრამ მაინც არ არის ნამდვილი.

— როგორც ეს ჩრდილები, — თქვა ბებსმა სრუტუნით, თან ხელებს აქეთ-იქით იქნევდა, — მერე რა სევდის მომგვრელია, ორასიო, იმიტომ რომ ეს ყველაფერი ასეთი მშვენიერია.

მაგრამ განა ეს ყველაფერი — ბესის სიმღერა, კოულმენ ჰოუკინსის ბუბუნი — ილუზია არ არის და კიდევ უფრო უარესი, ილუზია სხვა ილუზიისა, თავბრუდამხვევი ჯაჭვი უკან, წარსულისკენ რომ მიდის, მაიმუნისკენ, სამყაროს შექმნის პირველ დღეს წყალში რომ დაინახა თავისი თავი? მაგრამ ბებსი ტიროდა, ბებსმა თქვა: „ოჰ, ასეა, ასე, ეს არის სინამდვილე”, და ოლივეირა, ისიც ცოტა მთვრალი, ახლა უკვე გრძნობდა, რომ ბესი და ჰოუკინსი მართლა ილუზია იყო, რადგან მხოლოდ ილუზიას ძალუძს გამოსცადოს მორწმუნენი, ილუზიებს და არა ტემპარიტებას. და კიდევ უფრო მეტიც, შუამდგომლობა იყო მთავარი, რათა ილუზიებს შეეღწია ისეთ სფეროში, რომლის წარმოდგენაც კი შეუძლებელია, რომელზე ფიქრიც კი უაზრობაა, რადგან აზრი მას მიახლოებისთანავე დაანგრევდა. კვამლის ხელს მიჰყავდა იგი ხელჩაკიდებული, მიიყვანა იგი დაღმართამდე, თუკი ეს იყო დაღმართი, დაანახა ცენტრი, თუკი ეს იყო ცენტრი, და ჩაუდო მუცელში, სადაც არაყი საამოდ თუხთუხებდა ბუშტულე-

ბად და კრისტალებად, ჩაუდო რაღაც, რაც უნდა ყოფილიყო მეორე, სხვა ილუზია, უსაზღვროდ ლამაზი და უიმედო, რასაც ოდესღაც უკვდავებას უწოდებდნენ. მან თვალები დახუჭა და ბოლოს უთხრა თავის თავს, თუკი ესოდენ საწყალობელ რიტუალს შეეძლო, მიეყვანა იგი ცენტრამდე და დაენახებინა იგი, თუმცა კი, ალბათ მიუღწეველი, მაშინ ჯერ ყველაფერი არ დაკარგულა და ეგებ ოდესმე, სხვა ვითარებაში, ან სხვა გამოცდილების მერე შეიძლებოდეს მისი მიღწევა. მაგრამ მიღწევა რისი, რისთვის? იგი ძალიან მთვრალი იყო იმისათვის, რომ უბრალოდ სამუშაო ჰიპოთეზა ან რაიმე აზრი ჩამოეყალიბებინა, ან გზა დაესახა; თუმცა არც იმდენად ჰქონდა დაბინდული გონება, რომ არ ეგრძნო, თანდათან როგორ შორდებოდა რაღაც ძალიან შორეულს, ძალიან ძვირფასს და რომ საკუთარი თავი დაენახა ამ ბურუსში; ეს კი იყო ბურუსი არყისა, ბურუსი მაგასი და ბურუსი ბესი სმიტისა. მის თვალეში აირ-დაირია მწვანე რგოლები, ყველაფერი ერთბაშად დატრიალდა და მან თვალეები გაახილა. და საერთოდ, ასეთ დისკებს რომ უსმენდა, მერე ყოველთვის გულსრევის მწვავე შეგრძნება ჰქონდა ხოლმე.

(-106)

13

კვამლში მთლიანად გახვეული რონალდი ხან ერთ დისკს წამოავლებდა ხელს, ხან მეორეს, იმაზე არც ფიქრობდა, ვის რომელი მოსწონდა; ბებსი დრო და დრო ადგებოდა ხოლმე და იწყებდა ქექვას ძველი 78—იანების ფირფიტების გროვაში, ამოარჩევდა ხუთ ან ექვს ფირფიტას და დააწყობდა მაგიდაზე რონალდის ახლოს, რომელიც მიუბრუნდებოდა და მიეაღერებოდა ბებსს, ისიც გაიცინებდა და მუხლებზე ჩამოუჯდებოდა თუნდაც ერთი წუთით, რადგან რონალდს უნდოდა მშვიდად მოესმინა Don't play me cheap.

საჩმო მღეროდა:

Don't you play me cheap.

Because I look so meek.[33] ბებსიც საჩმოს სიმღერით აღგზნებული, იკლავნებოდა რონალდის მუხლებზე, თან კეფაზე უღიტიინებდა რონალდის არყით და მჟავე კომბოსტოთი გაჟღენთილი სუნთქვა. თემა საკმაოდ ვულგარული იყო და ისეთი თავისუფლებისკენ უხმობდა, რაზეც რონალდი არასოდეს წავიდოდა, საჩმოს რომ ემღერა „Yellow Dog Blues“, ამ დროს კი ბებსი, კვამლის, მუსიკის, არყის, მჟავე კომბოსტოს და რონალდის ხელების საკვირველი პირამიდის სიმაღლიდან თავს ნებას აძლევდა ის ექნა, რაც მოეპრიანებოდა. მოწყალე თვალით გადახედავდა ხოლმე ქვემოთ, იატაკზე, ესკიმოსურ ხალიჩაზე მიწოლილ ოლივეირას, უგონოდ მთვრალი სიგარეტს რომ ეწეოდა ლათინოამერიკელისთვის დამახასიათებელი წყენისა და სიმწრის გამომეტყველებით, თუმცა ნათაბსა და ნათაბს შორის ტუჩებს, რომელიც ბებსს ერთხანს სურვილს აღუძრავდა (ახლა უკვე არა), ღიმილი დაუმაჩავდა, სახე კი თითქოს წაშლილი და უაზრო ჰქონდა. როგორც უნდა ჰყვარებოდა ოლივეირას ჯაბი, იგი არასოდეს ჩაებმებოდა ამ თამაშში ისე, როგორც რონალდი, კარგი იქნებოდა თუ ცუდი, hot or cool, თეთრი თუ შავი, ძველი თუ თანამედროვე, ჩიკაგოური თუ ნიუ ორლეანური, არასოდეს აჰყვებოდა ჯაბს, სადაც იყვნენ ახლა საჩმო, რონალდი და ბებსი, Baby don't you play me cheap, because I look so meek, რასაც მოჰყვებოდა საყვირი – ყვითელი ფალოსი, გაჰკვეთდა ჰაერს ლამის ნეტარების ფიზიკური შეგრძნებით და ბოლოს სამი დამავალი ნოტა, ბაჯაღლო ოქროსავით მომნუსხველი, სრულყოფილი პაუზა, როდესაც მსოფლიოს მთელი სვინგი ცახცახებდა ერთი თითქმის გაუსაძლისი წუთი, მერე ნეტარების მწვერვალი, როგორც სექსუალურ დამეში ნასროლი რაკეტა, რონალდის ხელი ეფერებოდა ბებსის ყელ-კისერს და ფირფიტაზე ჯერ კიდევ ჩხაკუნობდა ნემსი და სიჩუმე, რაც მოჰყვება ყოველთვის ჭეშმარიტ მუსიკას, ნელა მოსწყდება კედლებს, მოცოცავს დივანის ქვეშიდან და ისე გაიპობა, ვითარცა ბაგე ან კოკორი.

– Ça alors[34], – თქვა ეტიენმა.

— ჰო, არმსტრონგის დიდებული ეპოქა, — თქვა რონალდმა და თან ათვალეირებდა დისკების დასტას, რომელიც ბებსმა ამოარჩია, — როგორც პიკასოს გიგანტიზმის პერიოდი, თუ გნებავთ. ახლა კი ისინი ორივე, ორივე ღორები გახლავთ. ერთი დაფიქრდით, წარმოიდგინეთ, რომ ექიმებმა გამოიგონონ გაახალგაზრდავების წამალი... მაშინ კი მთელი ოცი წელი კიდევ გაგვიწვრილებენ გულს.

— ჩვენ ვერა, — თქვა ეტიენმა. — ჩვენ უკვე კარგი ოინი მოვუწყვეთ თავის დროზე და მერე ალბათ მეც ეს ბედი მეწევა, ჩემი საათიც დადგება.

— ჩემი საათიც დადგებაო, მეტისმეტად თავმდაბალი თხოვნაა, ბიჭო, — თქვა ოლივეირამ მთქნარებით. — მაგრამ ისიც მართალია, რომ დავინდეთ და ტყვიების ნაცვლად ვარდები ვესროლეთ, ასე ვთქვათ. ახლა უკვე ჩვევად ექცათ, ასლებივით იმეორებენ, ერთი იფიქრე, არმსტრონგი პირველად რომ ჩამოვიდა ბუენოს აირესში, ვერც კი წარმოიდგენ, რამდენმა ათასმა კრეტინმა ირწმუნა, რომ რაღაც არაამქვეყნიურს უსმენდა, და საჩემოც, რომელმაც ძველ მოკრივეზე მეტი ხრიკები იცის, აღარც იმ თავისი სხეულის ბომა-წონას ერიდება, ოღონდ კი ყოველ ნოტაში ნიხრით გადაუხადონ, თუმცა კი საკმაოდ დაიღალა და მობებრდა ეს ყველაფერი, აღარ ენაღვლება როგორ მღერის და მღერის დაქოქილივით; ამ დროს კი ზოგიერთი” ჩემი მეგობარი, ვისაც მე პატივს ვცემ და ვინც ოცი წლის წინ ყურებზე ხელებს მიიფარებდა „Mahogany Hall Stamp” რომ მოგესმენინებინათ, ახლა არ ვიცი, რამდენს იხდიან, რომ მოისმინონ ეს დამწვარი შეჭამადი; რა დასამალია, რომ ჩემ ქვეყანაში უყვართ დახრუკული საჭმელი, მიუხედავად ჩემი დიდი სიყვარულისა, ამას მაინც ვერ დავმაღლავე.

— შენგან დაიწყე, — თქვა პერიკომ და ლექსიკონიდან თავი ასწია, — აკი შენც პარიზში შენი თანამოძმეების მიბაძვით ჩამოხვედი, რომლებიც აქ იმისთვის ჩამოდიან, რომ გრძნობების სფეროში გაიწაფონ.

თუმცა, ჯანდაბა, ესპანეთში ამას ბორდელებში ან კორიდაზე სწავლობენ.

— ან გრაფინია პარდო ბასანისგან, — თქვა ოლივეირამ და ისევ დაამთქნარა. — სხვათა შორის, მართალს ამბობ, ბიჭო. მეც სინამდვილეში აქ კი არ უნდა ვიჯდე, იქ, ტრეველერთან უნდა ვვარჯიშობდე ფოკუსებში. თუმცა შენ ეს არ იცი. ამისი მართლაც არაფერი გაგეგებათ, მაშ რაღა გვაქვს სალაპარაკო?

(-115)

14

ოლივეირა წამოდგა და სანამ თავისი კუთხიდან გამოაბიჯებდა, კარგად მოათვალიერა ის ადგილი, სადაც ფეხის დადგმა შეიძლებოდა და შემდეგ ფრთხილად გადადგა ნაბიჯი, მერე მოსინჯა მეორე ფეხის დასადგმელი ადგილიც და რონალდსა და ბებსისგან ორიოდ მეტრის დაშორებით ერთბაშად გაჩერდა.

— წვიმს, — თქვა ვონგმა და მანსარდის სარკმლისკენ თითი გაიშვირა. ოლივეირამ ხელით ნელა გაფანტა ბოლის ქულები და ვონგს მეგობრულად, ღმობიერად შეხედა.

— არც ისე ცუდია, რომ ზღვის დონეზე ცხოვრობდე და მხოლოდ მუხლამდე ხედავდე ხალხს, სად არის თქვენი ჭიქა, ჩე?

— აქაა, — თქვა ვონგმა. — აქაა.

ჭიქა მართლაც იქვე იდგა, პირამდე სავსე. ნება-ნება სვამდნენ, აგემოვნებდნენ და რონალდმა გადმოუწყო ჯონ კოლტრეინი, რაზეც პერიკომ მწარედ ჩაიქირქილა. მერე — სიდნი ბეშე, პარიზული მერენგის დროინდელი, რომელიც ესპანელებსაც კი თვალს მოსჭრიდა.

— მართალია, რომ თქვენ ამზადებთ წიგნს წამების შესახებ?

— ოჰ, ზუსტად ასეც არ არის, — თქვა ვონგმა.

— აბა როგორაა?

— ჩინეთში ხელოვნების სხვა კონცეფციაა.

— ეს ვიცით, ყველამ წავიკითხეთ ჩინელი მირბო. მართალია, რომ თქვენ გაქვთ წამების ფოტოები, ათას ცხრაას ოციან წლებში პეკინში გადაღებული?

— ოჰ, არა, — თქვა ვონგმა და გაიღიმა. — არც ღირს რომ გაჩვენოთ, ძალიან ბუნდოვანია.

— არც ისაა მართალი, რომ ყველაზე საშინელ ფოტოებს სულ თან ატარებთ ჩანთით?

— ოჰ, არა, — თქვა ვონგმა.

— და არც ერთხელ გიჩვენებიათ კაფეში ქალებისთვის?

— ისე ჩამაცივდნენ, — თქვა ვონგმა, — მაგრამ უფრო უარესი ისაა, რომ მათ ვერც ვერაფერი გაიგეს.

— აბა ვნახოთ, — თქვა ოლივეირამ და ხელი გაუწოდა.

ვონგმა ღიმილით დახედა მის ხელს; ოლივეირა ისეთი მთვრალი იყო, რომ ველარ აუხირდა; არაფი კიდევ მოსვა და ფეხი მოინაცვლა. ხელში ოთხად დაკეცილი ქალაღდის ფურცელი ეჭირა. ვონგის ადგილზე კი მხოლოდ ჩეშირული კატის ღიმილი დალანდა და რაღაც რევერანსივით მოძრაობა გააჩნია ბოლში. ბოძი ალბათ ორი მეტრი სიმაღლისა იქნებოდა, მაგრამ ასეთი ბოძი რვა მაინც იყო, თუკი ის ერთი რვაჯერ არ მეორდებოდა, ოთხივე სერიაში ორ-ორი კადრი, მარცხნიდან მარჯვნივ და გევიდან ქვევით; ბოძები ყველგან ერთნაირი იყო სხვადასხვა ფოკუსში გადაღებული, ბოძებზე გაკრული სიკვდილმისჯილები იცვლებოდნენ; დამხმარე პირები (მარცხენა მხარეს ერთი ქალიც

ჩანდა) და ჯალათი განზე იდგნენ, ალბათ ფოტოგრაფის მიმართ თავაზიანობა უნდოდათ გამოეჩინათ. იმ ჩრდილოამერიკელ თუ დანიელ ეთნოლოგს 20—იანი წლების კოდაკი ეტყობა მტკიცედ არ ეჭირა და ამიტომ მეორე ფოტოდან დაწყებული, სადაც კარგად ჩანდა შიშველი სხეულიც და ისიც როგორ აჭრიდნენ მარჯვენა ყურს, ყველა სურათზე სიკვდილმისჯილი რაღაც ერთიან უფორმო მასასავით ჩანდა, სულ სისხლით იყო დაფარული, მარტო ღიად დარჩენილი პირი და ძალიან თეთრი ხელი იყო გამოკვეთილი, ბოლო სამი კადრი სულ ერთნაირი იყო, თუ მხედველობაში არ მივიღებდით ჯალათის გამოსახულებას მეექვსე კადრში, სადაც იგი ჩანთაში დანებს არჩევდა, (ალბათ მაინც სათანადოდ არ ირჯებოდა, თუ ასეთი ღრმა ტრილობებით იწყებდა...) კარგად თუ დააკვირდებოდით, შეამჩნევდით, რომ მსხვერპლი ჯერ ისევ ცოცხალი იყო, მისი ერთი ფეხი თოკით იყო მიბმული, მეორე კი შემოტრიალებული ჰქონდა, თავი უკან გადაეგდო, პირი ღია დარჩენოდა; ძირს ნახერხის სქელი ფენა დაეყარათ, — ჩინელისთვის დამახასიათებელი მზრუნველობის ნიშანი, — რადგან ბოძის ირგვლივ სისხლის გუბეს არაფერი ემატებოდა ფოტოდან ფოტომდე. „მეშვიდე კრიტიკულია“ — საიდანღაც შორიდან მოესმა ვონგის ხმა, ალბათ არყის ან ბოლის ბრალი თუ იყო. კარგად რომ დააკვირდებოდით, ღრმად ამოჭრილი ძუძუებიდან სისხლი ნაკადულივით მოდიოდა (ოპერაცია, ეტყობა, მეორე და მესამე კადრების შუა გაკეთდა), ხოლო მეშვიდე ფოტოზე ჩანდა დანით ამოჭრილი საზარდული და საშინელი ორმო, საიდანაც სისხლი ღვარად ჩამოსდიოდა ფეხებზე. ვონგს საბაბი ჰქონდა უარი ეთქვა მეორე კადრზე, რადგან მისჯილი უკვე მკვდარი იყო, ცოცხალს ასე არ გადაუვარდებოდა გვერდზე თავი. „ჩემი ცნობებით მთელი ეს ოპერაცია გრძელდებოდა საათნახევარი“. — ცერემონიულად განაცხადა ვონგმა. ფურცელი კვლავ ოთხად დაიკეცა, შავი ტყავის ქისა კაიძანის ხახასავით გაიღო, რომ იგი ბოლთან ერთად გადაესანსლა. „რასაკვირველია, დღეს პეკინი ის აღარ არის, რაც წინათ იყო. ვწუხვარ, რომ განვიწყნეთ ასეთი პრიმიტიული რამ, მაგრამ დანარჩენი საბუთების ტარება ჯიბით არ შეიძლება — მათ ახსნა-განმარტება დასჭირდებათ, ამას მარტო განდობილები...“ ხმა ისეთი შორეული შორეთიდან მოდიოდა, რომ ნანახის გაგრძელებად გეჩვენებოდა.

ნებოდათ, რომელსაც განსწავლული კომენტატორი განმარტავდა. დაბოლოს, ანდა სულაც დასაწყისში, ბიგ ბილ ბრუნზიმ დაიწყო ფსალმუნით; „See, see, rider”[35], როგორც ყოველთვის ყველა შეურიგებელი ნაწილი შეერთდა ერთ გროტესკულ კოლაჟში, რომელთა დალაგება შეიძლებოდა არცისა და კანტიანური კატეგორიების ამ ტრანკვილიზატორების მეშვეობით რეალობის მეტისმეტად უხეში ჩარევის ყველა შემთხვევაში, ოჰ, მუდამ ასეა, უნდა დახუჭო თვალები და დაბრუნდე უკან, ბამბის სამყაროს რომელიმე ღამეში, თუ მას დაკვირვებით ამოირჩევ ბანქოს გაშლილ დასტაში. „See, see, rider,” – მღეროდა ბიგ ბილი, კიდევ ერთი გარდაცვლილი, – „See what you have done”[36].

(-114)

15

სრულიად ბუნებრივი იყო, რომ ოლივეირას გაახსენდა ის ღამე, როცა სენ-მარტინის არხზე შესთავაზეს ფილმის სანახავად წასვლა ერთი შვეიცარიელი ექიმის სახლში (ათასი ფრანკის საფასურად).

არაფერი საგანგებო, ალიანსის ერთ ოპერატორს მოეხერხებინა ადამიანის ჩამოხრჩობის პროცესის დაწვრილებით გადაღება. ფილმი იყო ორნაწილიანი, მაგრამ მუნჯი, განსაცვიფრებლად გადაღებული, ხარისხი გარანტირებული. საფასურის გადახდა შეიძლებოდა ფილმის დასრულების შემდეგ.

იმ წუთებში, რომელიც მას იმისთვის დასჭირდა, რომ გადაეწყვიტა უარი ეთქვა და შვეიცარიელი ექიმის მეგობრის მეგობარ ჰაითიელ ზანგ გოგოსთან ერთად ვაფედან გამოსულიყო, მან ცხადად წარმოიდგინა ჩამოხრჩობის სცენა და, რაღა თქმა უნდა, მსხვერპლის მხარეზე დადგა. როცა ვინმეს ჩამოახრჩო-

ბენ, ვინც არ უნდა იყოს მსხვერპლი, ეს სალაპარაკოც არ არის, მაგრამ როცა მას უნდა სცოდნოდა (და განსაკუთრებული შეიძლება სწორედ ის იყო, რომ მას წინასწარ უთხრეს ამის შესახებ), რომ კამერა აღბეჭდავდა ზედმიწევნით ყოველ წვრილმანს, სახის გამომეტყველებას, კრუნხვებს, რითიც ასიამოვნებდნენ მომავლის დილეთანტებს... „რაც უნდა დამემართოს, ეტიენივით გულგრილი მაინც არ ვიქნები, — გაიფიქრა ოლივეირამ, — რაც უნდა იყოს, მე არ მასვენებს ის გაუგონარი აზრი, რომ ადამიანი შექმნილია რაღაც სულ სხვა რამისთვის. მაშასადამე, ცხადია... რაოდენ მწირია ის საშუალებები, რომელთა მეშვეობითაც მას უწევს გამოსავლის ძიება.“ ყველაზე უარესი კი ის იყო, რომ იგი მშვიდად ათვალთქვებდა ვონგის ფოტოებს, რადგან მათზე გამოსახული მსხვერპლი, მამამისი არ იყო, ამის გარდა, პეკინის ეს ოპერაცია ორმოცი წლის წინ ჩატარდა.

— წარმოგიდგენია, — უთხრა ოლივეირამ ბებსს, რომელიც ისევ მასთან დაბრუნდა, რადგან რონალდს წაეჩხუბა, როცა მან დაჟინებით მოსთხოვა მაინცდამაინც მა რეინისთვის მოესმინა და არა ფეტს უოლერისთვის, — დაუჯერებელია, როგორ შეგვიძლია ვიყოთ ასეთი არამზადები. ნეტავი რაზე ფიქრობდა ქრისტე ძილის წინ, ჩე? როგორ შეიძლება ერთ წამში ადამიანის მომღიმარი სახე გადაიქცეს საცეცებიან ობობად?

— ოჰ, — თქვა ბებსმა, — *Delirium tremens*[37], ალბათ, ეჰ, თან ამ საათზე. — ყველაფერი ზედაპირულია, გოგონა, ყველაფერი ეპი-დერ-მიკულია.

ყური დამიგდე, ბავშვობაში ოჯახში ყველა უფროსს ვედავებოდი, ბებიას, დებს, მთელ ჩვენს გენეალოგიურ ჩაჩანაკებს და იცი რატომ? გეტყვი, ათასგვარი სისულელეებისთვის, თუნდაც იმისთვის, რომ ჩვენს კვარტალში თუკი ვინმე მოკვდებოდა, ანდა როგორც ისინი ამბობდნენ, გარდაიცვლებოდა, ეს გაცილებით მეტს ნიშნავდა მათთვის, ვიდრე ომში, მიწისძვრის დროს, ათი ათასობით ადამიანის დაღუპვა და სხვა ამისთანები. ზოგჯერ ადამიანი კრეტინივით იქცევა, ისეთი კრეტინივით, ვერც წარმოიდგენ, ბებს, შეიძლება პლატონი წაიკითხო თავიდან ბოლომდე, ეკლესიის ყველა მამის ნაწერი, კლასიკოსები უკლებლივ, იცო-

დე ყველაფერი, რაც კი შეიძლება იცოდეს ვაცმა და სწორედ მაშინ მიდიხარ ისეთ კრეტინიზმამდე, რომ საკუთარ დედასაც ეჩხუბები, საბრალო გაუნათლებელ ქალს, ასე რატომ განიცდის ვიღაც უბედური რუსის სიკვდილს, კუთხის სახლში რომ ცხოვრობდაო, ან ვიღაცის ბიძაშვილისა თუ დეიდაშვილის გარდაცვალებასო, შენ კი გულს უწყალებ შენი ლაპარაკით, ბებ ელ მანდებში მიწისძვრის, თუ ვარდარ ინგზე თავდასხმის შესახებ და გინდა, რომ საბრალო განიცდიდეს ირანში სამი კლასის ჯარის ლიკვიდაციას, რაც სრული უაზრობაა მისთვის.

– Take it easy, – თქვა ბებსმა, – Have a drink, sonny, don't be such a murder to me[38].

– სინამდვილეში ეს ყველაფერი გაფიქრებინებს, თუ საკუთარი თვალით არ გინახავს, ვერც... ერთი მითხარი, რა აუცილებელია მოხუცებს გული გაუწყალო და დააშინო ამ ჩვენი დამპალი და ბნელი პურიტანული კრეტინიზმით? მაინც რა დამძიმებული მაქვს გული დღეს, მეგობარო. ჯობია შინ წავიდე.

მაგრამ არც ისე ადვილი აღმოჩნდა ამ თბილი, ესკიმოსური ხალიჩის დატოვება და შორიდან გულგრილად ყურება, როგორ ალაპარაკებდა გრეგოროვიუსი მაგას თავის გრძნობებზე. ბოლოს, როცა მაინც მოშორდა ხალიჩას, თავი ისე იგრძნო, თითქოს ბებერ, ცოცხალ-მკვდარ მამალს პუტავდა, ის კი თავს ნამდვილი მაჩოსავით იცავდა, და მერე, Blue Interlude–ის თემა რომ იცნო, შვებით ამოისუნთქა. ეს ფირფიტა, ოდესღაც ბუენოს აირესშიც ჰქონდა. ახლა აღარც ახსოვდა ორკესტრის შემადგენლობა, მაგრამ ის კი იცოდა, რომ იყვნენ ბენი კარტერი, შეიძლება, ჩუ ბერი, ხოლო როცა მოისმინა ტედი უილსონის თავისი უბრალოებით რთული სოლო, გადაწყვიტა ბოლომდე დარჩენილიყო.

ვონგი ამბობდა, მთელი დღე წვიმდა და ახლაც წვიმსო. ეს ჩუ ბერი უნდა იყოს, თუ არადა, თავად ჰოუკინსი, თუმცა არა, ჰოუკინსი არ იყო.

„დაუჯერებელია, როგორ ვკნინდებით ჩვენ, ყველა, — გაიფიქრა ოლივეირამ, მაგას რომ უყურებდა, ის კი გრეგოროვიუსს შესცქეროდა, ხოლო მას სივრცისათვის მიეპყრო მზერა. — იმით დავამთავრებთ, რომ წავალთ Bibliothèque Mazarie[39]—ში, რომ შევადგინოთ ბიბლიოგრაფია მანდრაგორაზე, ბანტუს ყელსაბამებზე ან ფრჩხილების დასაჭრელი მაკრატლის შედარებით ისტორიაზე”. წარმოგიდგენიათ, ასეთი უმნიშვნელო თემის რამხელა არჩევანია, ან რა კვლევითი სამუშაოებია საჭირო, რომ ღრმად შევისწავლოთ. მარტო ერთი ფრჩხილების დასაჭრელი მაკრატლის ისტორია რად ღირს, ორი ათასი წიგნი მაინც უნდა წაიკითხო, რომ დარწმუნდე, ეს ნივთი თურმე 1675 წლამდე არც მოიხსენიებოდა. მერე კი უცბად, სადღაც მაგუნსიაში, ვიღაც ბეჭდავს ვინმე სენიორას სურათს, რომელიც ფრჩხილებს იჭრის, ოღონდ არა მაკრატლით, არამედ რაღაც ამის მსგავსით. XVIII საუკუნეში კი ასევე ვინმე ფილიპ მაკკინიმ დააპატენტა ბალტიმორში პირველი გამბარიანი მაკრატელი; პრობლემა გადაჭრილია, ამიერიდან შეიძლება წარმოუდგენლად უხეში ფრჩხილების დაჭრა ფეხის თითებზეც, ასე სწრაფად რომ იბრდება, მარტო მაგრად უნდა მოუჭირო ხელი და მაკრატელი ავტომატურად იხსნება. ნაშრომებზე ხუთასი ბარათის შედგენას კი მთელი წლის მუშაობა სჭირდება. ხოლო თუ კიდევ ვინმე ხრახნის გამოგონების, ან ზმნის „GOND” ხმარების საკითხით დაინტერესდება VIII საუკუნის პალის ლიტერატურაში... შეიძლება ნებისმიერი საკითხი იყოს უფრო საინტერესო, ვიდრე იმის გამოცნობა, რა დიალოგია მაგასა და გრეგოროვიუსს შორის. რაზეც გინდა ილაპარაკე, როგორი ბარიკადებიც გინდა ააგე, გინდა ბენი კარტერს მოეთარე, გინდა ფრჩხილების მაკრატელი მოიმიზეზე და გინდა ზმნა „GOND”, კიდევ ჭიქაც, ან კიდევ ჯალათის მიერ განსაკუთრებული ოსტატობით, ყველა წესის ზედმიწევნით დაცვით შესრულებული სარზე ჩამოცმის ცერემონია, თუ არადა, ჩემპიონი ჯეკ დიუპრე ბლუზში რომ ჩაიძირა. უკეთეს ბარიკადებს ვერ ნახავ, რადგან (ნემსი საშინლად აღრჭიალდა):

Say goodbye, goodbye to Whisky

Lordy, so long to gin,

Say goodbye, goodbye to Whisky

Lordy, so long to gin.

I just want my reefers,

I just want to feel high again.[40]

ასე რომ ახლა რონალდი უთუოდ მიუბრუნდებოდა ბიგ ბილ ბრუნზის იმ ასოციაციების ზემოქმედებით, რომელსაც კარგად იცნობდა და პატივსაც სცემდა ოლივეირა, და ბიგ ბილი იტყვის კიდევ ერთ ბარიკადზე სწორედ იმ კილოთი, როგორითაც მაგა უამბობს გრეგოროვიუსს თავისი ბავშვობის შესახებ მონტევიდეოში, როგორც ბიგ ბილი, უმტკივნეულოდ, matter of fact[41], They said if you white, you all right, If you brown, stick aroun', But as you black Mm, mm, brother, get back, get back, get back. [42] – უკვე ველარაფერს გააწყობ, – თქვა გრეგოროვიუსმა. – მოგონებები მხოლოდ ყველაზე უმნიშვნელოს თუ შეცვლიან წარსულში.

– ჰო, აღარაფერი ეშველება, – თქვა მაგამ.

– მე თუ გთხოვთ, რომ მოგეთხროთ მონტევიდეოს შესახებ, იმიტომ გთხოვთ, რომ ჩემთვის ბანქოს დედოფალივით ხართ, თითქოს მთლიანად აქა ხართ, მაგრამ თან მოცულობა არა გაქვთ, ამას იმიტომ გეუბნებით, რომ მინდა სწორად გამიგოთ.

– და მონტევიდეო არის მოცულობა... სისულელეა, სისულელე, სისულელე. თქვენ რას უწოდებთ წარსულს, ძველ დროს? ჩემთვის ის რაც შემემთხვა, თითქოს გუშინ იყო, გუშინ საღამოს, გვიან საღამოს შემემთხვა.

– ასე უკეთესია, – თქვა გრეგოროვიუსმა. – ახლა თქვენ ხართ დედოფალი, მაგრამ არა ბანქოს დედოფალი.

– ჩემთვის, ეს ყველაფერი დიდი ხნის წინათ არ მომხდარა. ძალიან შორსაა, ძალიან შორს, მაგრამ თითქოს სულ ახლახანს მოხდა.

ხორცის მაღაზია დამოუკიდებლობის მოედანზე, ხომ იცი, ორასიო, ის მოედანი როგორი სევდის მომგვრელია, ირგვლივ სულ ცხაურები რომაა. შეიძლება წინა ღამეს იქ მკვლელობაც კი მოხდა, ჯიხურის წინ ბიჭები გაზეთის ახალ ამბებზე გაჰკვივან.

— და ლატარიებზე და მოგებებზე, — თქვა ორასიომ.

— მხეცური მკვლელობა სალტოში, პოლიტიკა, ფეხბურთი...

— სარეისო ხომალდი, ანკაპის რომის ჭიქა, ადგილობრივი კოლორიტი, ჩე.

— ძალიან ეგზოტიკური კი უნდა იყოს, — თქვა გრეგოროვიუსმა და ისე მიტრიალდა, რომ ოლივეირას ჩამოფარებოდა და მარტო დარჩენილიყო მაგასთან, რომელიც უყურებდა სანთლებს და ფეხით რიტმულად აკაკუნებდა.

— მონტევიდეოში მაშინ დრო არ მქონდა, — თქვა მაგამ, — მდინარესთან ძალიან ახლოს ვცხოვრობდით, ძალიან დიდ სახლში, რომელსაც ჰქონდა ეზო. იქ სულ 13 წლისა ვიყავი, კარგად მახსოვს ლურჯი ცა, მე — ცამეტი წლისა, მეხუთე კლასში, ელაში მასწავლებელი. ერთხელაც შემიყვარდა ერთი ქერა ბიჭი, მოედანზე გაზეთებს ყიდდა. ისეთნაირად გაჰკვიოდა „გაზეთი“, რომ ექოსავით მესმის აქაც... გრძელი შარვალი ეცვა, თუმცა 12 წლისა არც იქნებოდა. მამაჩემი არ მუშაობდა, მთელ საღამოებს ეზოში ატარებდა, სულ მატეს სვამდა. დედაჩემი გარდაიცვალა, ხუთი წლის რომ ვიყავი და დეიდებთან ვიზრდებოდი, მერე ისინი სოფელში წავიდნენ. 13 წლის რომ გავხდი, სახლში მარტო მე და მამაჩემი დავრჩით. ეს სახლი კი არა ხალხით გაჭედილი საცხოვრებელი იყო; იქ იტალიელიც ცხოვრობდა, ორი მოხუცი და ზანგი თავისი ცოლით, რომლებიც ღამღამობით ჩხუბობდნენ, მერე კი გიტარას უკრავდნენ და მღეროდნენ.

ზანგს წითელი, სველი პირივით თვალები ჰქონდა. მე ისინი ცოტა კიდევ მეზიზღებოდა და მერჩივნა სათამაშოდ ქუჩაში გავსულიყავი.

მაგრამ მამაჩემი ქუჩაში თუ დამინახავდა, მაშინვე სახლში წამიყვანდა და მცემდა. ერთ დღეს, როცა მამაჩემი მცემდა, დავინახე, რომ ზანგი ღია კარებში იდგა და გვიყურებდა; მაშინ ვერაფერს მივხვდი, კი დავინახე ხელს რომ ამოძრავებდა, მაგრამ მეგონა ფეხს იფხანდა... მამაჩემს კი არც გაუხედავს იქით, ქამრით მცემდა. უცნაურია მაგრამ თურმე შეიძლება უბიწოება ისე დაკარგო, რომ ვერც მიხვდე, როგორ შეაბიჯე მოულოდნელად სულ სხვა ცხოვრებაში, იმ ღამეს ზანგი და მისი ცოლი სამზარეულოში გვიანობამდე მღეროდნენ; მე ოთახში ვიჯექი, იმდენი ტირილის მერე საშინლად მწყუროდა, მაგრამ გარეთ გასვლა არ მინდოდა. მამაჩემი კარებთან იჯდა და მატეს სვამდა. საშინლად ცხელოდა, თუმცა თქვენ ამას ვერ გაიგებთ, რადგან ცივი ქვეყნიდან ხართ. იქ ნესტიანი სიცხე იცის, მითუმეტეს მდინარის პირას, მგონი ბუენოს აირესში უარესად ცხელა. ორასიო , ამბობს ბევრად უარესიაო, მე არ ვიცი. იმ ღამეს მაინც, კაბა ტანზე მეკვროდა; ყველა მატეს სვამდა; მეც ორჯერ თუ სამჯერ ჩავედი ეზოში, რომ ონკანიდან დამეღია. ეზოში ნემსიწვერები ყვაოდა, მეგონა, იქ უფრო ცივი წყალი მოდიოდა. ცაზე ერთი ვარსკვლავიც არ ჩანდა, ირგვლივ ნემსიწვერას მძაფრი სუნი ტრიალებდა, ალბათ თქვენც გინახავთ, ეგებ ხელშიც გჭერიათ, დიდი ლამაზი ყვავილებია. სხვა ოთახებში უკვე შუქიც ჩააქრეს; მამაჩემი ცალთვალა რამოს ჯიხურში წავიდა; მე ოთახში შევითანე სკამი, მატე და ცარიელი ქვაბი, მამაჩემი სულ გარეთ რომ ტოვებდა ხოლმე, რადგან გარეუბნიდან მაწანწალები მოდიოდნენ და იპარავდნენ. მახსოვს, ეზო რომ გადმოვიარე, მთვარემაც გამოიხედა, მე გავჩერდი და ყურება დაუწყე; მთვარე რატომღაც ჟრუანტელს მგვრიდა, მინდოდა ახლა მასაც დავენახე და თავი ავწიე, ვარსკვლავეთიდან გადმომხედონმეთქი; ასეთი რამეების მჯეროდა, მაშინ ხომ ცამეტი წლისა ვიყავი.

მერე ერთხელ კიდევ დავლიე წყალი ონკანიდან და ჩემს ოთახს მივაშურე; რკინის კიბით ავდიოდი, სადაც ერთხელ კოჭი ვიღრძე, მაშინ ცხრა წლის ვიქნებოდი. პატარა მაგიდასთან მივედი და სანთლის ანთება დავაპირე, სწორედ ამ დროს ვიღაცამ მხარში ჩამავლო ხელი, მერე გავიგონე, რომ კარებიც დაკეტეს, პირზე ხელი დამაფარეს, საშინელი სუნი მეცა და მაშინ დავინა-

ხე ზანგი, თავის ცხელ ხელებს მთელ ტანზე მიჭერდა, ყურში ჩამჩურჩულებდა რაღაცას და ხელების განძრევასაც ვერ ვახერხებდი, მთელი სახე დამიდობლა, კაბა მთლად შემომახია. ვიცოდი ვერაფერს გავხდებოდი, დაყვირებასაც კი ვერ ვბედავდი, მეშინოდა, რომ მომკლავდა, მე კი არ მინდოდა, რომ მოვეკალი, ამქვეყნად სიკვდილი შეურაცხყოფაზე უარესია, ამაზე დიდი სისულელე არაფერია. ასე რატომ მიყურებ ორასიო? მე ვყვები, როგორ გამაუპატიურა ზანგმა იქ, ჩვენს სახლში, ჭიანჭველების ნამდვილ ბუდეში. გრეგოროვიუსს აინტერესებდა როგორ ვცხოვრობდი იქ, ურუგვაიში.

— შენც დაწვრილებით მოუყევი, — თქვა ოლივეირამ.

— ოჰ, ზოგადი აზრიც საკმარისია, — თქვა გრეგოროვიუსმა.

— ზოგადი აზრი არ არსებობს, — თქვა ოლივეირამ.

(-120)

16

— უკვე თენდებოდა, ის რომ წავიდა, მე ტირილიც კი არ შემეძლო.

— გარეწარი, — თქვა ბებესმა.

— ოჰ, მაგა სავსებით იმსახურებს თანაგრძნობას, — თქვა ეტიენმა, — მაგრამ ერთი რამ მაინც უცნაურია, როგორც ყოველთვის, რაღაც ეშმაკეული შეუსაბამობაა ფორმასა და შინაარსს შორის.

შენ ნაამბობში, იმაში, რაც მოხდა, მექანიზმი ზუსტად იგივეა, რაც ორ შეყვარებულს შორის, თუ გამოვრიცხავთ ცოტა წინააღმდეგობას და ცოტა აგრესიულობას.

– თავი მერვე, კარი მეოთხე, პარაგრაფი XMV, – თქვა ოლივეირამ, – Presses Universitaires Françaises[43].

– Ta gueule[44], – თქვა ეტიენმა.

– ერთი სიტყვით, – შეაჯამა რონალდმა, – მგონი დადგა დრო მოვისმინოთ რაიმე ისეთი, ვთქვათ, Hot and Bothered[45]”.

– სათაური ზედგამოჭრილია ასეთი მოგონებების ვითარებაში, – თქვა ოლივეირამ და ჭიქა ასწია. – დიდი მარჯვე ვინმე კი ყოფილა ის ზანგი, ჩე.

– ეს სახუმარო არ არის, – თქვა გრეგოროვიუსმა.

– თავად გვათქმევინებთ, მეგობარო!

– თქვენ მთვრალი ხართ ორასიო!

– რასაკვირველია. ეს დიდებული წუთია. გაბრწყინების საათია.

შენ კი, გოგონი, რომელიმე გერონტოლოგიური კლინიკის მოძებნა მოგიწევს. ერთი შეხედუე ოსიპს, შენმა საამურმა მოგონებებმა სულ ცოტა, ოცი წლით დააბერა.

– მან თვითონ გამომიწვია, – თქვა განაწყენებულმა მაგამ, – ჯერ მალაპარაკებენ, მერე კი აღარ სიამოვნებთ. დამისხი არაყი, ორასიო.

მაგრამ ოლივეირა, ეტყობა, იმ გუნებაზე არ იყო, რომ მაგასა და გრეგოროვიუსს შორის ჩამდგარიყო, რომელიც რაღაცას ბუტბუტებდა თავისთვის, რაღაცის განმარტება უნდოდა, თუმცა მსმენელი აღარავინ იყო; ყველა ვონგისკენ მიტრიალდა, რომელიც მათ ყავას სთავაზობდა, ძალიან მაგარ და ცხელ ყავას, თანაც მენტონის კაზინოში ნასწავლი საიდუმლო რეცეპტის მიხედვით. კლუბმა ერთსულოვნად მოუწონა ეს აზრი და ტაშიც დაუკრეს.

რონალდი ნაზად ეამბორა დისკის ეტიკეტს და ფირფიტაზე დიდი ცერემონიით დაუშვა ნემსი. ერთ წამში ელინგტონის ინსტრუმენტის ზღაპრულმა მელოდიამ ყველა ერთბაშად დაადუშა, მერე ამას მოჰყვა ბები კოქსი, მერე ფაქიზი, მსუბუქი ჯონი ჰოჯესი, კრემენდო (მისი რიტმი ოცდაათი წლის მანძილზე განმტკიცდა, ბებერი ვეფხვი ისევ კარგა მოქნილი იყო), დაძაბული და თან თავისუფალი რიფების კრემენდო კიდევ უფრო ასწრაფდა და მოხდა პატარა სასწაული swing, ergo – მაშასადამე, ვარსებობ. ესკიმოსურ ხალიჩაზე წამოწოლილი ოლივეირა არცის ჭიქის მიღმა გაჰყურებდა მწვანე სანთლებს (როგორ დავდიოდით მესიჟერის სანაპიროზე თევზების საყურებლად) და ფიქრობდა, რომ ახლა იოლად დაეთანხმებოდა დიუკს, რომელმაც ცოტა არ იყოს, აგდებულად განსაზღვრა რეალობა, როცა თქვა „it don't mean a thing if it ain't that swing[47], ნეტავ რატომ აღარ უსვამს თავზე ხელს ოსიპი მაგას, საბრალო ოსიპი, სულ მოდუნდა სელაპივით, რა საცოდაობაა მისი ყურება, მაინც როგორ დააღონა ამ ოდესღაც მომხდარმა დეფლორაციამ, როგორ დაიძაბა ასეთ ატმოსფეროში, როცა მუსიკა ასუსტებს წინააღმდეგობებს, ადუნებს და არბილებს ყველაფერს, ერთიან სუნთქვაში მოაქცევს და ერთი უზარმაზარი გული ერთ მშვიდ რიტმში აძგერდება. და აი, ამ დროს გაცვეთილი ფირფიტიდან როგორც იქნა გამოაღწია ჩახლენილმა ხმამ და შეგვახსენა ძველი, რენესანსის დრო და ანაკრეონტისეული სევდა, ოღონდ 1929 წლის ჩიკაგოური *carpe diem*[48]–ით გამოხატული: *You so beautiful but you gotta die some day,*

You so beautiful but you gotta die some day,

All I want's a little lovin' before you pass away[49].

დროდადრო ისე გამოდიოდა, რომ დიდი ხნის წინ გარდაცვლილთა სიტყვები ემთხვეოდა იმას, რასაც ცოცხლები ფიქრობდნენ (თუკი ესენი ცოცხლები იყვნენ და ისინი – მკვდრები). *You so beautiful. Je ne veux pas mourir sans avoir compris pourquoi j'avais vécu*”[50]. ბლუზი, რენე დომალი, ორასიო ოლივეირა, „*but you gotta die some day, you so beautiful but* – და ამიტომ იყო, რომ გრეგოროვიუსი ასე დაჟინებით ცდილობდა გაეგო მა-

გას წარსული, რათა იგი ცოტა ნაკლებად მომკვდარიყო იმ საბოლოო სიკვდილამდე, რომელსაც ყველაფერი მიაქვს სადღაც, რისიც არაფერი გაგვეგება და რასაც დრო შთანთქავს; მას უნდა, რომ იგი დატოვოს თავის საკუთარ დროში, *you so beautiful but you gotta*, რათა მართო მოჩვენება არ უყვარდეს, რომელიც ნებას აძლევს თმაზე ხელი გადაუსვას მწვანე სანთლების შუქზე, საბრალო ოსიპი, რა უქმურად გადის ღამე, რა დაუჯერებელია ეს ყველაფერი, მერე კიდევ იმ გი მონოს ფეხსაცმელებიც, *but you gotta die some day*, და ის ზანგი ირინეოც (მერე კი, როცა იგი საბოლოოდ მოიპოვებს მაგას ნდობას, ისიც უამბობს ლედესმაზეც და იმ ტიპებზეც, ღამის კარნავალზე რომ გადაეყარა და საერთოდ, მონტევიდოს მთელ საგას). და ამ დროს ერლ ჰაინსმა გულგრილი სრულყოფილებით შემოგვთავაზა „*I ain't nobody*”— ის პირველი ვარიაცია ისე, რომ პერიკომაც კი, რომელიც ჩაფლული იყო ძველი ტექსტის კითხვაში, თავი ასწია და სმენად გადაიქცა, ხოლო მაგამ თავი გრეგოროვიუსის მუხლებს მიადო და გარინდული ჩააშტერდა იატაკს, თურქული ხალიჩის იმ ნაწილს, სადაც ერთი წითელი ხაზი შუაგულამდე მიდიოდა, და ცარიელ ჭიქას, სკამის ფეხთან რომ იდგა. სიგარეტი უნდოდა, მაგრამ გრეგოროვიუსს არ სთხოვა, კი არ იცოდა, რატომ, მით უმეტეს არც ორასიოს სთხოვდა, თუმცა იცოდა რატომ. არ უნდოდა თვალელებში შეეხედა მისთვის და დაენახა მისი დამცინავი ღიმილი, რითიც სამაგიეროს მიუ ზღავდა, რომ მთელი ღამის განმავლობაში გრეგოროვიუსს არ მოსცილებია, მას კი ახლოსაც არ გაჰკარებია. უმწეოდ გრძნობდა თავს, ამაღლებული აზრები უტრიალებდა და ლექსების ის სტრიქონები, პირდაპირ გულში რომ ხვდებოდა, ერთი მხრივ „*I ain't got nobody, and nobody cares for me*” [51], თუმცა არც ასე იყო, რადგან იქ მყოფთაგან ორი მაინც ცუდ გუნებაზე სწორედ მისი წყალობით იყო, და ამავე დროს პერსის ლექსის ეს სიტყვები „*Tu es là, mon amour, et je n'ai lieu qu'en toi...*” [52], რომელშიც სიტყვები „შენს იქით მე გზა არა მიაქვს” ანუგეშებდა და აამებდა იმაზე ფიქრი, რომ სხვა გზა არ ჰქონდა იმის გარდა, რომ დაეხუჭა თვალები, ბედს მინდობოდა, დაე ვისაც უნდოდა, ის დაუფლებოდა მის სხეულს, გინდ შეებილწა, გინდ აღტაცებულიყო, როგორც ირინეო, და ჰაინსის მუსიკაც დაემთხვეოდა წითელ და ლურჯ ლაქებს, ქუთუთოებს

ქვეშ რომ ცეკვავდნენ, და თვითონაც არ იცოდა, რატომ უწოდებდა მათ ვოლანას და ვალენეს; მარცხნივ ვოლანა ("and nobody cares for me") ტრიალებდა გიჟივით, ზევით – ვალენე, როგორც ვარსკვლავი პიერო დელა ფრანჩესკის სილურჯეში გამოვიდებულებო, „et je n'ai lieu qu'en toi", ვოლანა და ვალენე. რონალდი ხომ ვერასოდეს დაუკრავს ერლ ჰაინსივით, ორასიოს და მას კი უნდა ჰქონოდათ ეს ფირფიტა და მოესმინათ ღამე, სიბნელეში და ესწავლათ სიყვარული ამ ფრაგმენტის, ამ ხანგრძლივი, ნერვიული ალერსის დროს, „I ain't got nobody," ზურგში და მხრებში, ხელები კეფაზე, თითები თმაში და ნელ-ნელა დატრიალდება ქარაშოტი, დადგება ფინალი და ვალენე და ვოლანა შეერთდებიან „Tu es là amour and nobody cares for me"[53], ორასიო აქ არის, ის კი აღარავის ახსოვს, არავინ უსვამს თავზე ხელს, ვალენე და ვოლანაც სადღაც გაქრნენ, ქუთუთოებიც სტკივა და მაგრად დახუჭა თვალები, ამ დროს ჩაესმა რონალდის ხმა და იგრძნო ყავის სუნი, ააჰ, ყავის საოცარი სუნი, ვონგ, ძვირფასო, ვონგ, ვონგ, ვონგ.

იგი გასწორდა, თვალები დაახამხამა და შეხედა გრეგოროვიუსს, რომელიც დაჭმუჭნული და ჭუჭყიანი მოეჩვენა. ვილაცამ მიაწოდა ფინჯანი.

(-137)

17

– არ მინდა მართო ლაპარაკისთვის ვილაპარაკო მასზე, – თქვა მაგამ.

– კეთილი, – თქვა გრეგოროვიუსმა, – მე უბრალოდ გკითხე.

– მაშინ შემოძლია სხვა რამეზე ვილაპარაკო, რაკი თქვენ გინდათ, რომ ვილაპარაკო.

— არ გეწყინოთ.

— ორასიო ტკბილი გუაიაბასავითაა, — თქვა მაგამ.

— რას ნიშნავს ტკბილი გუაიაბა?

— ორასიო ისეთია, როგორც ჭიქა წყალი ქარიშხალში.

— აჰ, — თქვა გრეგოროვიუსმა.

— ის იმ დროს უნდა დაბადებულიყო, რომელზეც მადამ ლენონის უყვარს ხოლმე მოყოლა, როცა ცოტა ნასვამია, იმ დროს, როცა არავინ შფოთავდაო, როცა ტრამვაი ცხენებს დაჰყავდათ, ომები ბრძოლის ველზე მიმდინარეობდა და უძილობის საშუალებები არ არსებობდაო, როგორც მადამ ლენონი ამბობს ხოლმე.

— დიდებული ოქროს ხანა, — თქვა გრეგოროვიუსმა, — ოდესაში ამ დროების შესახებ მეც მიამბობდნენ ხოლმე, მითუმეტეს, დედაჩემი, მერე რა რომანტიკულ იერს სძენდა გაშლილი თმა... იმ დროს აივნებზე ანანასებს ზრდიდნენ და ღამის ქოთხები არავის სჭირდებოდა, რალაც არაჩვეულებრივი კია, მაგრამ ორასიოს ამ დროებაში ვერ ვხედავ.

— ვერც მე, მაგრამ ეგებ იქ არც ასე მოიწყენდა. მას აქ ყველაფერი ტკივილს ჰგვრის, ყველაფერი, ასპირინიც კი. ჰო, მართლა, გუშინ საღამოს კბილი სტკიოდა და ასპირინი მივეცი, გამომართვა, მაგრამ უყურა, ათვალეირა და გადაყლაპვა მაინც ვერ გადაწყვიტა. მერე კი საოცარ რამეებზე ლაპარაკობდა, ვითომ საშინელებაა, ისეთი ნივთებით სარგებლობა, რასაც არ იცნობ და რაც ვიღაცამ გამოიგონა, რალაცის გასაყუჩებლად და რაც თვითონაც არ იცოდა... თქვენც ხომ იცით, როგორ შეუძლია ყველაფერი თავდაყირა დააყენოს.

— თქვენ რამდენჯერმე ახსენეთ სიტყვა „ნივთი“, — თქვა გრეგოროვიუსმა, — თუმცა კი ეს სიტყვა ლამაზად არ ჟღერს, მაგრამ იმას მაინც მიაწინებს, რაც ორასიოს თავს ხდება. იგი სწორედ რომ „განივთების“ მსხვერპლია.

— რას ნიშნავს განივთება? — ჰკითხა მაგამ.

— განივთება საკმაოდ უსიამოვნო გრძნობაა. როცა ვერ მოვასწრებთ რაიმე საგნის აღქმას და უკვე ტანჯვა გვეწყება. ვწუხვარ, მაგრამ იძულებული ვარ მოვიშველიო აბსტრაქტული და ალეგორიული ენა, რადგან მინდა გითხრათ, რომ ოლივეირა პათოლოგიურად მგრძნობიარეა იმის მიმართ, რაც კი მის გარშემოა, როგორ გარემოშიც უხდება ცხოვრება, მას თრგუნავს სამყარო, რომელშიც ცხოვრობს, კიდევ უფრო გასაგებად რომ ვთქვა, ეს ხვედრი, ეს სამყარო მას ტკივილს აყენებს, იგი იტანჯება. თქვენ ეს იგრძენით, ლუსია და თქვენი საოცარი გულუბრყვილობით წარმოიდგინეთ, რომ ოლივეირამ შეიძლება თავი ბედნიერად იგრძნოს ვინმე მადამ ლეონის მიერ გამოგონილ ჯიბის არკადიაში, რომ არაფერი ვთქვა ჩემს ოდესელ დედაზე. მე ვფიქრობ, თქვენ ანანასების შესახებ ჩემი ნათქვამი არ დაიჯერეთ.

— და არც ლამის ქოთნების ამბავი, — თქვა მაგამ, ამის დაჯერება მართლაც ძნელია.

გი მონომაც სწორედ იმ წუთში გაიღვიძა, როცა რონალდმა და ეტიენმა ჯელი როლ მორტონის მოსმენა გადაწყვიტეს, მან ცალი თვალი გაახილა და მწვანე სანთლების შუქზე გრეგორი-ვიუსის ზურგი დაინახა; მას უნებურად გააჟრჟოლა; მაინც უსიამოვნოა გაღვიძებისთანავე მწვანე სანთლების დანახვა. გარეთ წვიმდა, მანსარდის ფანჯარაში რომ გაიხედა, მაშინვე გაახსენდა რამდენიმე წუთის წინ ნანახი სიზმარი, უცნაურად ჰგავდა ცხადი სიზმარს, მეტად საკვირველი სიზმარი კი იყო, რაღაც აბსურდული უცხო ადგილი ნახა, მზით განათებული, სადაც გაბი, მთლად დედიშობილა აქეთ-იქით დადიოდა და იხვისოდენა მტრედებს პურის ნამცეცებს უყრიდა. „თავი მტკივა“ — გაიფიქრა გიმ. სულაც არ აინტერესებდა ჯელი როლ მორტონი, თუმცა წვიმის ხმაზე მისი სიმღერა მაინც იპყრობდა ყურს: „Stood in a corne, with her feet soaked and wet”[54]... რა თქმა უნდა, ვონგი მაშინვე შეთხზავდა რაიმე თეორიას რეალური და პოეტური დროის შესახებ; ნეტავ თუ მართლა თქვა, ყავას მოვადულებო? გაბი პურის ნამცეცებს უყრიდა მტრედებს და ვონგი, უფრო სწორად

ვონგის ხმაც სწორედ გაბის მხრიდან, მთლად შიშველი რომ დადიოდა ყვავილებით გადაპენტილ ბაღში, მისი შიშველი ფეხების მხრიდან მოისმოდა: „მენტონის კაზინოში გავიგე ეს საიდუმლო“.

ადვილი მოსალოდნელია, რომ ბოლოს და ბოლოს ვონგიც გამოჩნდეს თავისი ყავადანით.

ჯელი როლი როიალთან იჯდა და რიტმულად აკაკუნებდა ფეხით, რაკი დასარტყამი ინსტრუმენტები არ იყო. ალბათ ჯელი როლი მღეროდა „Mamie’s Blues“, ოდნავ ირწეოდა და ჭერისთვის ან რომელიმე ნაძერწისთვის მიეპყრო მზერა, ან ბუმს შესცქეროდა, აქეთ-იქით რომ დაფრინავდა, ანდა სულაც რაღაც ლაქას, თვალში რომ ხვდებოდა ჯელი როლს. „Two—nineteen done took my baby away“[55] ეგებ სწორედ ეს იყო ცხოვრება, იმ დროს, როცა მატარებლები აქეთ-იქით დაატარებენ ადამიანებს, მაშინ დგახარ კუთხეში ფეხებდასველებული, უსმენ მექანიკურ პიანინოს, დარბაზიდან გამოდის სიცილის ხმა, შენ კი შესასვლელთან ატუმბულხარ, რადგან ყოველთვის არა გაქვს ფული, რომ შეხვიდე. „Two—nineteen done took my baby away...“, ვინ იცის, რამდენჯერ უმოგზაურია ბებსს მატარებლით თავის ცხოვრებაში, უყვარს მატარებლით მგზავრობა, ანდა რატომ არ უნდა უყვარდეს, მით უმეტეს თუ მეგობარი გელოდება გზის ბოლოს, ან რონალდი, ახლაც ისე ნაზად რომ უსვამს ხელს თეძოზე, ასე გეგონება მის კანზე მუსიკას წერსო. „Two—seventeen’ll bring her back some day“[56], რასაკვირველია, ერთ მშვენიერ დღესაც მეორე მატარებელი ჩამოიყვანდა უკანვე, მაგრამ ვინ იცის, იქნებოდა კი ბაქანზე ჯელი როლი, და აჰა, ეს როიალიც, ამ საათზე, მემი დესდიუმის ბლუზიც, პარიზში კი წვიმს, მანსარდის ფანჯრებს ეშხეფება, ღამის პირველ საათზე, ფეხებიც გისველდება, მეძავიც ჩივის — „If you can’t give a dollar, gimme a lousy dime“[57], ეგებ ბებსიც რაღაც ასეთს ამბობდა ცინცინატიში, ალბათ ყველა ქალი სადმე და როდისმე ამბობს რაიმე ამის მსგავსს, სამეფო სარეცელზეც კი, ბებსს თავისებური წარმოდგენა აქვს სამეფო სარეცელზე, მაგრამ ასეა თუ ისე, რომელიმე ქალი უთუოდ იტყოდა „If you can’t give a

million, gimme a lousy grand”[58], იმის მიხედვით, რა მოთხოვნა ილღება აქვს, მაინც რა სევდიანად ჟღერს ჯელი როლის როლი, სწორედ ისე, როგორც წვიმა, გი რომ გააღვიძა, ლამის მაგაც აატირა, და ეს ვონგიც არა და არ ჩანს იმ თავისი ყავით.

— ეს უკვე მეტისმეტია, — თქვა ეტიენმა და ამოისუნთქა, — მე არ ვიცი, როგორ ვითმენ ამ ნაგავს. რაღაც ემოციას კი იწვევს მაგრამ მაინც ნაგავია.

— ამას რა თქმა უნდა, რომ ეს პიზანელოს მედალიონი არ არის, — თქვა ოლივეირამ.

— და არც შონბერგის რომელიმე ოპუსი, — თქვა რონალდმა. — მაშ რატომ მთხოვეთ? შენ მარტო ჭკუა კი არა, სიბრაღულის გრძნობაც გაკლია. ალბათ სველი ფეხსაცმლით არ გივლია ქუჩაში შუალამისას, ჯელი როლმა კი კარგად იცის რაზე მღერის, როცა მღერის, ბებერო.

— მე კი უკეთესად მაშინ ვხატავ, როცა ფეხები მშრალი მაქვს, — თქვა ეტიენმა, — არც იფიქრო, რომ ჩემთან რამეს გააწყობს ხსნის არმიის არგუმენტებით. ჯობია რამე გონივრული დადო, როგორცაა მაგალითად, სონი როლინსის სოლო; ყოველ შემთხვევაში, რამე West Coast-ის ტიპის დაგაფიქრებს ჯეკსონ პოლოკზე ან ტობიზე, ისინი ხომ მაინც გამოვიდნენ პიანოლისა და აკვარელის ასაკიდან.

— მას შეუძლია ხელოვნების პროგრესიც ირწმუნოს, — თქვა ოლივეირამ მთქნარებით, — მაგას შენ ყურადღებას ნუ მიაქცევ, რონალდ, თავისუფალი ხელით აიღე ფირფიტა „Stack O’Lee Blues”, რაც უნდა იყოს, მასში როიალის სოლოს მოსმენა მაინც ღირს, ჩემი აზრით.

— რაც შეეხება პროგრესს ხელოვნებაში, ეს არქიპოპულარული სისულელეა, — თქვა ეტიენმა, — თუმცა ჯაზში, ისევე როგორც ხელოვნების ნებისმიერ სფეროში ბლომად არიან შანტაჟისტებიც. ერთია ის მუსიკა, რომელსაც მუსიკის პრეტენზია აქვს და შეუძლია გადმოსცეს ემოცია, მეორეა ემოცია, რომელსაც

აქვს პრეტენზია, მუსიკას მიემსგავსოს. მამის ტკივილი რომ გამოხატო ფა-ს საშუალებით, იგივეა, რაც სარკასტული სიცილი დახატო ყვითელი, იისფერი და შავი ფერებით. არა, შვილო, ხელოვნება იწყება ან მანამდე, ან მერე, მაგრამ არასდროს ზუსტად ამით.

არავინ აპირებდა მასთან კამათს, რადგან კეთილსინდისიერი ვონგიც სწორედ ამ დროს გამოჩნდა თავისი ყავადანით, რონალდმაც მხრები აიჩეჩა და დადო ფირფიტა „Waring’s Pennsylvanians” და საშინელ ჩხაკუნსა და შიშინში მაინც გამოაღწია თემამ, რომელიც ასე ხიბლავდა ოლივეირას, ჯერ გაისმა ბუკის ხმა, მერე როიალის, საშინელი ჩანაწერი ძველისძველ ფონოგრაფზე, ძალიან სუსტი ორკესტრის შესრულებით ჯერ კიდევ ჯაბამდე კარგა ხნით ადრე, მაგრამ განა ბოლოს და ბოლოს ამ ძველი ფირფიტებიდან, ამ show boats[59] და სტორივილის ღამის სანახაობებიდან არ დაიბადა საუკუნის ერთადერთი უნიკალური მუსიკა, რომელმაც გაცილებით კარგად დააახლოვა ადამიანები, ვიდრე ესპერანტომ, იუნესკომ ან აეროხაზებმა, საკმაოდ უბრალო მუსიკამ, რომ გამხდარიყო უნივერსალური, საკმაოდ კარგმა, რომ ჰქონოდა საკუთარი ისტორია, თავისი სტიზმით, განკვეთითა და ერესით, თავისი ჩარლსტონით, თავისი black bottom[60]—ით, თავისი შიმით, ფოქსტროტით, თავისი სტომპით, თავისი ბლიუზით, ხოლო თუ კლასიფიკაციასა და ეტიკეტებზეა ლაპარაკი, ამა თუ იმ სტილზე, მაშინ swing bebop, cool,[61] მიბრუნება რომანტიზმისა და კლასიციზმისაკენ, ცხელი და გონებისმიერი ჯაზი, ადამიანური მუსიკა, მუსიკა, რომელსაც აქვს თავისი ისტორია და განსხვავდება ცხოველური საცეკვაო მუსიკისგან, პოლკისა და ვალსისგან, სამბისგან, მუსიკა, რომელსაც აღიარებენ და პატივს სცემენ როგორც კოპენჰაგენში, ისე მენდოსაში, ან კეიპტაუნში, მუსიკა, რომელიც აერთიანებს ახალგაზრდებს, დისკებს რომ ვერ შელევიათ, რომელმაც მათ მისცა მელოდიები და სახელები, როგორც შიფრი, რათა ამოიციონ ერთმანეთი, და აღარ იგრძნონ თავი უწინდებურად მართოდ ოფისებში შეფების წინაშე, სახლში — ოჯახის წევრებთან და უსაზღვროდ მწარე სასიყვარულო ისტორიებში, მუსიკა, რომელიც ყველას აძლევს წარმოსახვის, გემოვნების, არჩევა-

ნის თავისუფლებას, „აფონიური კოლექცია – 78“ ფრედი კეპარდით ან ბანკ ჯონსონით, დიქსილენდის რეაქციული განსაკუთრებულობა, ბიქს ბეიდერბეკის აკადემიური სპეციალიზაცია, ანდა თელონიუს მონკის ნახტომი დიდი ავანტიურისაკენ, ჰორას სილვერი ან ტედ ჯონსი, ეროლ გარნერის ან არტ ტეიტუმის პრეტენზიულობა, რომ არაფერი ვთქვათ მონანიებაზე და განდგომილებაზე, მისწრაფებებზე პატარა-პატარა ჯგუფებისკენ, იდუმალი ფსევდონიმებითა და სახელწოდებებით შესრულებული ჩანაწერებისკენ, ხმისჩამწერი ფირმის კარნახით თუ დროის ახირებით რომ არის გამოწვეული, და ეს ფრანკმასონური შაბათობები ღამღამობით, სტუდენტურ ოთახებში ან სადმე სარდაფში, სადაც გოგოებს უყვართ ცეკვა „Star Dust“ ან „When your man is going to put you down“ სიმღერებზე და მათგან საამო სუნამოს, და გახურებული კანის სუნი გეცემათ და ისინი კოცნის ნებასაც დაგრთავენ, როცა უკვე დაღამდება, და ვიღაცამ დადო დისკი „The blues with a feeling“, მაგრამ უკვე აღარავინ ცეკვავს, მხოლოდ დგანან და ირწევიან, მაგრამ მოუსვენრობა მატულობს, იგრძნობა რაღაც უსიამო, უღამაზო, ხოლო როცა მამაკაცი ბურგზე ხელს უთათუნებს ქალიშვილს, იღვიძებს სურვილი შეუხსნას ლიფი და ქალიშვილებიც ნებდებიან ნეტარ შიშს და ღამეს, ამ დროს შემოიჭრება საყვირი და ერთი ცხელი ფრთხით ერთიანად განმსჭვალავს ყველას და ერთბაშად ჩაუვარდებიან მკლავებში თავიანთ მეწყვილეებს, ერთმანეთს გადაჭდობილებისთვის აღარაფერია ირგვლივ, მხოლოდ უძრავი სირბილი, ჰაეროვანი ნახტომი ღამის სივრცეში და მერე შემოდის მშვიდი როიალი და გამოათხიზლებს განაწამებსა და დაშოშმინებულებს, ისევ ქალწულებს მომავალ შაბათამდე, და ეს ყველაფერია მუსიკა, შიშს რომ ჰგვრის მათ, ვინც ლოჟიდან უყურებს ყველაფერს, ვისაც ჰგონია, რომ ის არ არის ნამდვილი, თუკი არ არის ყველა წესის დაცვით პროგრამებში დაბეჭდილი და კაპელდინერის შემოწმებული, რომელიც მიგიყვანს შენ ბილეთში მითითებულ ადგილამდე, რამეთუ ასეთია სამყარო, ხოლო ჯაზი ვითარცა ჩიტი, დაფრინავს, დაქრის და მოგზაურობს, ვითარცა მზვერავი ჰაერისა და წყლისა, ისე, რომ არ იცის საზღვარი, არ იცის საბაჟო შემოწმებები, მთელ ქვეყნიერებაზე, ამაღამ ვენაში მღერის ელა ფიტცჯერალდი, პარიზში კი ამ დროს კენი კლარკი

ხსნის რომელიმე cave[62]—ს და პერპინიანში კლავიშებზე დარბის ოსკარ პიტერსონის თითები, საჩმო კი, ვითარცა ყველგან მყოფი თავად უფალი ღმერთი, ვინც უბოძა ეს ნიჭი, რაც უნდა მოხდეს, იქნება როგორც წვიმა, როგორც პური, როგორც მარილი, ყველგან, ბირმინგემშიც, ვარშავაშიც, მილანშიც, ბუენოს აირესშიც, ჟენევაშიც, მთელ მსოფლიოში, არა აქვს მნიშვნელობა ტრადიციებს, ეროვნულ წეს-ჩვეულებებს, ენობრივ სხვაობას, ფოლკლორს:

უკიდევანო ღრუბელი, ჰაერისა და წყლის დესპანი, არქეტიპის ერთგვარი ფორმა, რაც ყველაზე ადრე იყო ცის ქვეშ, რომელიც შეარიგებს მექსიკელებს ნორვეგიელებთან, რუსებთან და ესპანელებთან, აზიარებს ყველას უცნობ, დავიწყებულ შინაგან ცეცხლს, მანკიერსა და ბოროტს, და თუნდაც მცირე ხნით დააბრუნებს მათ დასაბამთან, რომელსაც უღალატეს, მიანიშნებს, რომ შეიძლება იყოს კიდევ სხვა გზაც, რომ ის, რომელიც მათ აირჩიეს არ არის ერთადერთი და საუკეთესო, რომ შეიძლება იყო სხვა გზებიც, რომელთაც ისინი არ დაადგნენ, უნდა დასდგომოდნენ, მაგრამ არ დაადგნენ და რომ ადამიანი უფრო მეტია, ვიდრე უბრალოდ ადამიანი და ნაკლებიც, ვიდრე ადამიანი, მეტი იმიტომ, რომ თავის თავში მოიცავს იმას, რაზეც ჯაზი მიანიშნებს და წინასწარ აფრთხილებს და ნაკლები იმიტომ, რომ ადამიანმა თავისუფლება გადააქცია ესთეტიკურ თუ მორალურ თამაშად, ერთგვარ ჭადრაკის დაფად, სადაც თვითონვე არჩია რომელიმე ფიგურა, კუ თუ მხედარი ყოფილიყო, ხოლო თავისუფლება მისივე განსაზღვრებად აქცია, რომელსაც სკოლებში ასწავლიან, სწორედ იმ სკოლებში, სადაც არასდროს უსწავლებიათ და არც ასწავლიან ბავშვებს, რა არის რეგტიმის პირველი ტაქტი და ბლუმის პირველი ფრაზა და ასე შემდეგ და ასე შემდეგ.

I could sit right here and think a thousand miles away,

I could sit right here and think a thousand miles away,

since I had the blues this bad, I can't remember the day...[63]

ამაოდ ვეკითხები ჩემს თავს, რას აკეთებ აქ, ამ დროს და ამ ადამიანებთან, კეთილ მეგობრებთან, რომელთაც არ იცნობდი გუშინ და შეიძლება ვერც იცნო ხვალ, რომელთაც შემთხვევით გადავეყარე სადღაც და როდესღაც. ბებსი, რონალდი, ოსიპი, ჯელი როლი, ეხნატონი, რა განსხვავებაა? ერთი და იგივე ჩრდილები ერთი და იმავე მწვანე სანთლების შუქზე. ახლა თრობის ჟამი დგას. არაყი საეჭვოდ და საშინლად მაგარია.

ამ ყველაფრის ექსტრაპოლირება რომ შეიძლებოდეს, გარკვევა იმისა, რას ნიშნავს კლუბი, რას ნიშნავს „Cold Wagon Blues“, რას ნიშნავს მაგას სიყვარული, ყოველი წვრილმანი, რასაც შენი საკუთარი თითებით ეხები, ყოველი მარიონეტი და კიდევ ის, ვისაც თოკზე ჰყავს ისინი გამობმული და როგორც უნდა, ისე ატარებს, და ეს ყველაფერი გავიაზროთ როგორც ეპიფანია; ისე კი არ გავიგოთ, როგორც სხვა, ალბათ მიუწვდომელი რეალობის სიმბოლოები, არამედ როგორც ძალთაშემოქმედნი (მაინც რა ენაა, რა უბედურება) გზის მახვენივლი ხაზები, საით გავიქცეთ, ამ წუთში, რა მიმართულებით, – ეს ყველაფერი შესაძლებელი რომ ყოფილიყო, მაშინ ალბათ კიდევ დავადგებოდით ამ გზას და თანაც ახლავე, ოღონდ ამ წუთშივე უნდა მოვშორებოდით ამ ესკიმოსურ ხალიჩას, ამ საოცრად თბილ ხალიჩას, საამო სუნიც რომ აქვს, ამ საშინლად ესკიმოსურ ხალიჩას, თუმცა რაც უნდა იყოს, მაინც უნდა მოვშორდე, გავიდე კიბის ბაქანზე, დავეშვა ქვევით, დავეშვა მარტო, გავიდე ქუჩაში, გავიდე მარტო, ვიარო მარტო, მივიდე კუთხემდე, კუთხემდე მარტო, მაქსის კაფემდე, მარტოხელა მაქსისა, ფარანი ბელშაზის ქუჩაზე, სადაც... სადაც ხარ მარტო, და ვინ იცის, ამ წუთიდანაც კი...

თუმცა ყველაფერი უბრალოდ მე-ტა-ფი-ზი-კაა. იმიტომ რომ ორასიო და სიტყვები... ანუ სიტყვები ორასიოსთვის... (ეს საკითხი რამდენჯერ გადაულეჭია უძილო ღამეებში). მაგასთვის რომ მომეკიდა ხელი, გამეყვანა გარეთ, წვიმაში, გამომყოლოდა როგორც სიგარეტის ბოლი, როგორც ჩემი რომელიმე განუყოფელი ნაწილი წვიმაში. მაშინ ისევ დავენებდებოდი სიყვარულს, სიყვარულს მასთან ერთადაც და ცოტა მისთვისაც, რომ ეს მხოლოდ ერთად ყოფნა კი არ ყოფილიყო, ვითომც არც არაფერი მოხდაო, და ჩვენ ჩვენთვის დავრჩენილიყავით, ასეთი მსუბუქი ურთიერთობა ნამდვილი სიახლოვისთვის უსარგებლოა, ასეთი ურთიერთობა მართო მარიონეტებისთვისაა, ალგორითმები რომ უსწავლიათ, ანდა გაწრთვნილი ძაღლებისა და პოლკოვნიკის ქალიშვილების საქმეა. ეს ყველაფერი — წვიმის წვეთებით მოფენილი გარიჟრაჟი, რომელიც უკვე ეკვრის მანსარდის სარკმელს, მაგას სევდიანი სახე, გრეგოროვიუსს რომ შეჰყურებს, მაგა, რომელსაც შეჰყურებს გრეგოროვიუსი, რომელსაც შეჰყურებს მაგა, Struttin' with ome barbecue, ბებსი, რომელიც ისევ დასტირის მაგას, ჩუმად, თავისთვის, რონალდმა რომ არ დაინახოს, ის კი არ ტირის, ბოლსა და არყის ობშივარში — ამ აგიოგრაფიულ შარავანდედში — სახე არც უჩანს, პერიკო, ეს ესპანელი მოჩვენება, ზიზღისა და სიტყვამრუშობის სტილისტიკის ტაბურეტზე შემომჯდარი — ამ ყველაფრის ექსტრაპოლირება რომ შეიძლებოდეს, ეს ყველაფერი რომ არ იყოს, არ იყოს სინამდვილეში, ან მართო იმიტომ იყოს, რომ ვინმე (სულ ერთია ვინც, მაგრამ ახლა უნდა იყოს ის, რაკი სწორედ ის ფიქრობდა ამაზე და სწორედ მან იცოდა ზუსტად რას ფიქრობდა, ესეც შენ, კარტეზიუს, ბებერო მამაძაღლო!), რომელიმე აქ მყოფთაგან, კარგად გახვითქულიყო და კბილებით ჩაფრენოდა და ძირფესვიანად ამოეგლიჯა, — კი არ ვიცო, რა უნდა ამოეგლიჯა, მაგრამ აუცილებლად ძირფესვიანად — და იქიდან ამომხტარიყო სიმშვიდის პატარა ჭრიჭინა, პაწაწა ჭრიჭინობელა, გასულიყო რომელიმე კარებიდან რომელიმე ბაღში, ისევე ალეგორიულ ბაღში ყველა დანარჩენთათვის, როგორც მანდალაა ალეგორიული ყველასათვის, და ამ ბაღში მოეწყვიტა ყვავილი, თუნდაც ეს ყვავილი ყოფილიყო მაგა, ან ბებსი, ანდა ვონგიც, ოღონდ კი მათი გაგება და ახსნა შესაძლებელი ყოფილიყო, და როცა ეს მოხდებ-

ბოდა, მერე ხელახლა დაუბრუნდებოდნენ თავიანთ თავს სადმე, კლუბის გარეთ, რომ წარმოგვედგინა როგორები იქნებოდნენ ამ კედლების მიღმა, როდესაც გადმოაბიჯებდნენ იმ ზღრუბლს, ალბათ ეს ყველაფერი სხვა არაფერია თუ არა ნოსტალგია მიწიერი სამოთხისა, იდეალის სიწმინდისა, ოღონდ ეს სიწმინდე უეჭველად იქნება გამარტივების შედეგი; დამარცხდა კუც, მიდის ეტლიც, პაიკებიც ტოვებენ დაფას და შუაში რჩებიან ვითარცა ანტრაციტის უზარმაზარი ლომები, მეფეები, ყველაზე შეუბღალავი და ყველაზე მედგარი დამცველებით გარემოცული და ამ საბედისწერო შერკინების დროს გადაჯვარედინდება შუბები და გაცხადდება, ვის რა ბედი ეწია და დადგება ჟამი სიმშვიდისა და კეთილდღეობისა. უმწიკვლობისა და სიწმინდის იდეალი — კანიანების შეწყვილება, ან რა სიწმინდეა, დედაო მარიამ, ჭუჭყიანი ფეხებით, სიწმინდე შიფერის სახურავებისა, სადაც შემომსხდარან მტრედები და, ბუნებრივია, ზემოდან ასკლინტებენ თავზე ქალბატონებს, ამ ისედაც უჟმურებს ესლა აკლიათ, სიბრაზისგან ლამის გაცოფდნენ და სიწმინდე ამ... თუ ღმერთი გწამს, ორასიო, თუ ღმერთი გწამს... სიწმინდე.

(კმარა. ახლა წადი. წადი სასტუმროში, მიიღე შხაპი, წაიკითხე „პარიზის ღვთისმშობლის ტაძარი“ ან „მაშკულის ძუ მგლები“, გამოფხიზლდი ბოლოს და ბოლოს. ესეც ექსტრაპოლაციაა და მეტი არაფერი...) სიწმინდე. მაინც რა საშინელი სიტყვაა. სინ და მერე მოჰყვება მინდე. აბა, ცოტა დაფიქრდი რას გამოადნობდა აქედან ბრისე! შენ, რა, ხომ არ ტირი? შენ ტირი, ჩე?

სიწმინდე გავიგოთ, როგორც ეპიტანია. Damn the language[64]. გონებით კი არ უნდა გავიგოთ, არამედ მთელი არსებით. მაშინ რატომ არ შეიძლება ვიფიქროთ სამოთხის დაბრუნებაზე: არ შეიძლება ვიყოთ აქ და თან არ შეგვეძლოს ყოფნა. ბრისე? ადამიანი წარმოიშვა ბაყაყისგანო... Blind as a bat, drunk as a butterfly, foutu, royalement foutu devant les portes que peut-être"[65]... (ყინულის ნატეხი კეფაზე, დაწეპი და დაიძინე. პრობლემა: ჯონი დოდსი თუ ალბერტ ნიკოლსი? დოდსი, თითქმის დარწმუნებული ვარ. შენიშვნა: ვკითხოთ რონალდს). ულამაზო ლექსი, ფრთებით ეხლება მანსარდის ფანჯარას: „სა-

ნამ ჩავარდები არარაში უკანასკნელი მოდუნება...” რა აბდაუბ-
დაა. რა მთვრალი ვარ. „The doors of perception”, by Aldley
Huxdous. Get yourself a tiny bit of mescalina, brother, the rest is
bliss and diarrhea.”[66] მაგრამ ცოტა სერიოზულები ვიყოთ (ჰო,
ეს ჯონი დოდსია, დასკვნამდე მივდივართ ირიბი გზით. დასარ-
ტყამ ინსტრუმენტებზე შეუძლებელია ზუტი სინგლტონის გარდა
სხვა უკრავდეს, ERGO კლარნეტი — ჯონი დოდსისაა, ჯაზოლოგია,
დედუქციური მეცნიერებაა და უადვილესია დილის ოთხი საათის
მერე. უქმი რჩევაა სენიორებისთვის და სასულიერო პირების-
თვის).

ორასიო, ვიყოთ სერიოზულები, სანამ ცოტა წელში გავიმარ-
თებოდეთ და ქუჩაში გავიდოდეთ, გულზე ხელი დავიდოთ და
ვკითხოთ ჩვენს თავს (გულზე ხელი? ხელისგული ენაზე, ჰო, რა-
ღაც ამის მსგავსი. ტოპონომია, ანატოლოგია დესკრიპტოლო-
გიკა, ორი ტომი ი-ლუსტრა-ციე-ბით), ჰო, ვკითხოთ, ღირს თუ
არა ამ საქმის დაწყება, თუ ღირს, მაშინ საიდან დავიწყოთ, ქვე-
ვიდან თუ ზევიდან (თუმცა ურიგო არ იქნება, აბრი კი ნათელია,
მათ არაყი, როგორც პეპელას ისე აკრავს მუყაოზე ქინძისთა-
ვით. A არის A, a rose is a rose is a rose, April is the cruellest
month[67], ყოველ ნივთს თავისი ადგილი აქვს, ყოველ ვარდს —
თავისი, ვარდი არის ვარდი, არის ვარდი...) უჰ! „Beware of the
Jabberwocky my son”[68].

ორასიო ცოტა ჩამოცურდა და ცხადად დაინახა ყველაფერი,
რისი დანახვაც უნდოდა. არ იცოდა საიდან დაეწყო, ზევიდან თუ
ქვევიდან, მთელი ძალის კონცენტრირება მოეხდინა თუ ჯობდა,
ისევ ისე დარჩენილიყო, როგორც ახლა იყო, დაბნეული, უყუ-
რადღებო, ეცქირა ფანჯარაში როგორ წვიმდა, მწვანე სანთლე-
ბისთვის, თუ მაგას ბატკანივით მოწყენილი სახისთვის, მოესმი-
ნა მა რეინისთვის, Jelly Beans Blues რომ მღეროდა. უფრო ასე
ერჩივნა, ასე უკეთესი იქნებოდა, დაბნეული, უგულისყურო
იყოს, როგორც ღრუბელმა შეიწოვოს ყველაფერი, ნებისმიერი
გახდება ღრუბელი, საკმარისია რასაც ხედავ კარგად უყურო და
უყურო ნათელი თვალებით, რომ ღრუბელივით შეიწოვო ყვე-
ლაფერი.

არც ისეთი მთვრალი იყო, რომ არ დაენახა, როგორ დაიქცა და ნაფოტებივით გაიფანტა მისი სახლი და არც მასში დარჩა რაიმე თავის ადგილზე, მაგრამ ამავე დროს — ასეც იყო, განსაცვიფრებლად ასე იყო — იატაკზე თუ ჭერზე, საწოლის ქვეშ თუ თასში ცურავდნენ ვარსკვლავები და მარადიულობის ნამსხვრევები, მზესავით ლექსები და ქალებისა და კატების უზარმაზარი სახეები, რისხვით რომ ენთებოდათ თვალები — მათი ჯიშის ნიშანი; და ეს ყველაფერი არეული ნაგავში და მისი ენის იასპის ფირფიტებში, სადაც სიტყვები დღე და ღამე გაშმაგებით იბრძოდნენ როგორც ჭიანჭველები მრავალფეხასთან, სადაც მკრეხელობა არსის წმინდა ასახვასთან თანაცხოვრობდა, ნათელი სახეები კი საზიზღარ ჟარგონთან. უწესრიგობა ზეიმობდა და ვრცელდებოდა ოთახებში, ჭუჭყიანი ძონძებივით ჩამოშვებული თმა, უმეტყველო, შუშასავით თვალები, ბანქოს ქალაღდი ხელებში, არც ერთი მომგებიანი, აქეთ-იქეთ მიყრილ-მოყრილი ხელმოუწერელი ჩანაწერები, დაუმთავრებელი წერილები, მაგიდებზე გაცივებული წვნიანის თეფშები, იატაკზე — საცვლები, დამპალი ვაშლები, ჭუჭყიანი დოლბანდები. და ეს ყველაფერი იზრდებოდა, იმატებდა და გარდაიქმნებოდა შემზარავ მუსიკად, კიდევ უფრო უარეს მუსიკად, ვიდრე ხავერდიანი სიჩუმე უზადო ნათესავების მზრუნველობით მოწესრიგებულ სახლებში, მაგრამ ამ უწესრიგობაში, სადაც წარსული პერანგის ღილსაც კი ვერ იპოვიდა, ხოლო აწმყო შუშის ნატეხებით იპარსავდა, რადგან სამართებელი ყვავილის ქოთანში იყო ჩამარხული, დროის შუაგულში, რომელიც ქარის ერთ დაბერვაზეც დატრიალდებოდა ფლიუგერივით, ადამიანი ღრმად ამოისუნთქებდა და გრძნობდა, რომ მწვავედ განიცდიდა ცხოვრებას, ხედავდა ირგვლივ არეულობას და ეკითხებოდა საკუთარ თავს, აქვს აზრი რაიმეს. უწესრიგობას თავისთავად შეიძლება კიდევ ჰქონდეს აზრი, თუკი ადამიანს უნდა, რომ განერიდოს საკუთარ თავს; სიგიჟის გზით ალბათ შეიძლება მიხვიდე გონიერებამდე, თუკი ეს ის გონება არ არის, ისევ სიგიჟისგან რომ დაიღუპება. „უწესრიგობიდან წესრიგისკენ, — გაიფიქრა ოლივეირამ, — კარგი, მაგრამ არის ისეთი წესრიგი, რომელიც უფრო საზიზღარი არ გვეჩვენება, უფრო საშინელი, უფრო განუკურნებელი, ვიდრე უწესრიგობა? ღმერთების წესრიგს ეწოდება ციკლონი ან ლეიკოცი-

ტომი, პოეტები კი წესრიგს ანტიმატერიას უწოდებენ. უხეში სივრცე, ათრთოლებული ტუჩების ფურცლები, მართლა რა მთვრალი ვარ, ღმერთო ჩემო, ახლავე უნდა დავწვე და დავიძინო.” მაგა კი მაინც ტირის, გი სადღაც გაქრა, ეტიენი პერიკოს უკან დგას, გრეგოროვიუსი, ვონგი და რონალდი კი მისჩერებიან ფირფიტას, ნელა რომ ტრიალებს, წუთში ოცდაცამეტი ბრუნით, არც მეტი, არც ნაკლები, და ამ ტრიალში „Oscar’s Blues”[69], ცხადია, თავად ოსკარია ფორტეპიანოსთან, ოსკარ პიტერსონი, ის პიანისტი, რომელსაც რაღაც აქვს ვეფხვისა და ხავერდისა ერთდროულად, სევდიანიც და მძიმეც, კაცი როიალთან ზის, წვიმა უმხაპუნებს ფანჯრებს, ერთი სიტყვით, ლიტერატურა.

(-153)

19

— მგონი მესმის შენი, — თქვა მაგამ და თმაზე ხელი გადაუსვა, — შენ ეძებ რაღაცას და თვითონ არ იცი, რას. მეც ვეძებ და არც მე ვიცი, რას. ოღონდ ჩვენ ვეძებთ სხვადასხვას. ამაზე წინა ღამესაც ვლაპარაკობდით... შენ თუ უფრო მონდრიანი ხარ, მაშინ მე ვიეირა და სილვა უნდა ვიყო.

— აჰა, — თქვა ოლივეირამ, — მაშასადამე, თურმე მონდრიანი ვყოფილვარ.

— ჰო, ორასიო.

— შენ გინდა თქვა, რომ მე მეტისმეტად სასტიკი ვარ.

— მე ვთქვი, რომ შენ ხარ მონდრიანი.

— მერე ის აღარ მოგსვლია აბრად, რომ მონდრიანს შეიძლება მოჰყვეს ვიეირა და სილვა?

— ოჰ, როგორ არა, — თქვა მაგამ, — მაგრამ ჯერ ხომ შენ მონდრიანს არ დაშორებიხარ. სულ რაღაცის გეშინია, რაღაცაში გინდა დარწმუნდე, მაგრამ რაში, არ ვიცი... შენ უფრო ექიმს ჰგავხარ, ვიდრე პოეტს. — პოეტებს მოვეშვათ, — თქვა ოლივეირამ, — მონდრიანს კი ამ შედარებით ნუ გაანაწყენებ.

— მონდრიანი სასწაულია, მაგრამ ჰაერი არ ყოფნის, ასე მგონია, სული მიგუბდება. როცა შენ დაიწყებ ხოლმე ლაპარაკს სისრულეზე, მაშინ ყველაფერი ლამაზი ჩანს, მაგრამ უსიცოცხლო, როგორც დამჭკნარი ყვავილები, თუ რაღაც ასეთი.

— მოდი, ლუსია, ჯერ ის გავარკვიოთ, როგორ გესმის შენ სისრულე.

— მე ლუსია კი მქვია, მაგრამ შენ მაინც ნუ დამიძახებ მაგ სახელს. — თქვა მაგამ — რა თქმა უნდა, მესმის, სისრულე. შენ გინდა, რომ ცხოვრებაში ყველაფერი ისე შეერთდეს, ისე შეიკრას, რომ ყველაფერს ერთად და ერთდროულად ხედავდე. ასეა თუ არა?

— მეტნაკლებად, — დაეთანხმა ოლივეირა — უბრალოდ საკვირველია, რა ძნელად ითვისებ აბსტრაქტულ ცნებებს. სისრულე, მრავლობითობა... ასე უბრალოდ, მაგალითების გარეშე ვერ მიხვდები...

მოდი, ახლა ვნახოთ, შენი ცხოვრება, შენი აზრით, სრულია?

— არა მგონია, სულ პატარ-პატარა ნაწყვეტებისაგან შედგება, ჩემი განვლილი ცხოვრების ნაწილებისგან.

— შენ კი, ისე მიჰყვებოდი, როგორც ეს ძაფი გასდევს მაგ მწვანე ქვებს; მართლა, ხსენებაზე, ეგ ყელსაბამი საიდან გაქვს?

— ოსიპმა მომცა, — თქვა მაგამ, — ეს ყელსაბამი დედამისის ყოფილა, მისი ოდესელი დედის.

ოლივეირამ წყნარად დალია მატე. მაგა დაბალ საწოლთან მივიდა, რონალდმა რომ მისცა როკამადურისთვის. ამ საწო-

ლის, როკამადურის, მეზობლებთან უსიამოვნებების გამო
ოთახში საცხოვრებელი სივრცე აღარ რჩებოდა, მაგრამ მაინც
ვერაჟინ დაარწმუნა მაგა, რომ ჯობდა როკამადური ბავშვთა სა-
ავადმყოფოში დაეწვინა, სადაც უკეთესად უმკურნალებდნენ.
მადამ ირენისგან დეპეშა რომ მიიღო, მაშინვე გაემგზავრა, სხვა
გზა არ იყო, გაახვია საბანში როკამადური და ჩამოიყვანა, საწო-
ლი ოთახში შეიტანა, ღუმელიც, რა თქმა უნდა, აანთო; ახლა კი,
რალა გაეწყობოდა, როკამადურის ტირილისთვის უნდა გაეძ-
ლო, განსაკუთრებით, როცა სანთლებს უკეთებდა მაგა, ან აჭ-
მევდა; ოთახი წამლების სუნით გაიჟღინთა, ოლივეირამ ისევ
მოსვა მატე და გაუხსნელ Deutsche Grammophon
Gesellschaft[70]—ს გადახედა, კარგა ხნის წინ რონალდისგან
რომ წამოიღო და ვინ იცის, როდის შეძლებდა მოსმენას, როკა-
მადურის გაბმულ ღნავილსა და წრიალში, ან მაგას შემყურე, მა-
ინც რა უნიათო იყო, არც ბავშვის გახვევა ეხერხებოდა და არც
გახსნა, ან რა სიმღერებით უნდოდა ბავშვი გაერთო, ან რა სუნი
მოდოდა მისი საწოლიდან, ჭუჭყიანი ჩვრები, ჩხავილი, არადა
სჯეროდა, რომ რაც შეუძლია, ყველაფერს აკეთებდა, რომ ორ-
სამ დღეში ბავშვს ყველაფერი გაუვლიდა, საშიში არაფერი
სჭირდა. კარგი და კეთილი, მაგრამ მას თვითონ აქ რა უნდა,
რას აკეთებს? ჯერ კიდევ ერთი თვის წინ ორივეს თავ-თავისი
ოთახი ჰქონდა, მერე გადაწყვიტეს, რომ ერთად ეცხოვრათ,
რადგან მაგამ დაარწმუნა, ასე აჯობებს, ხარჯი ნაკლები გვექნე-
ბაო, ერთ გაზეთს ვიყიდით, პური არ მოგვრჩება, ტანსაცმელს მე
გაგირეცხავ, გათბობისა და დენის გადასახადიც დაგვეზოგე-
ბაო... ოლივეირა მისმა სალი ამრის ასეთმა მოზღვავებამ ისე
აღაფრთოვანა, რომ მაშინვე დათანხმდა, თან მოხუც ტრუსითა-
ნაც ძალიან გაუჭირდა, რომლის ვალიც უკვე ოცდაათი ათას
ფრანკს აღწევდა, ისედაც სულ ერთი იყო მარტო იცხოვრებდა
თუ მაგასთან ერთად, თუმცა ახალ ამრს ადვილად ვერ ეგუებო-
და, დიდხან ჭოჭმანობდა, ასეთი ჩვევა ჰქონდა, აწონ-დაწონიდა,
ფიქრობდა, თუმცა ბოლოს მაინც თანხმდებოდა. ახლაც ეგონა,
რომ მაგას გვერდით ამდენ ყოყმანს გადაურჩებოდა, ის კი ვერ
გაითვალისწინა, როკამადურს ასეთი რამე დაემართებოდა; ხან-
დახან კი ახერხებდა საკუთარ თავთან მარტო დარჩენას, მაგრამ
როკამადურის ამდენი წრიპინი ისევ უშუბურ ხასიათზე დააყენებ-

და და იფიქრებდა, „ეტყობა, მეც უოლტერ პატერის პერსონაჟების ბედი მიწერია, ერთ მონოლოგს ვამთავრებ და მეორეს ვიწყებ, ესეც ჩემი ხინჯი, მარიო ეპიკურელი — ბედისწერა კი არა, მანკი. ერთადერთი ხსნა — ამ ბავშვის ჭუჭყიანი ჩვრების სუნია“.

— სულ ვეჭვობდი, რომ ბოლოს ოსიპთან დაწვებოდი, — თქვა ოლივეირამ.

— როკამადურს სიცხე აქვს, — თქვა მაგამ.

ოლივეირამ ისევ მოსვა მატე. ცოტა უნდა მოვუფრთხილდე ამ ბალახს, თორემ პარიზის აფთიაქებში კილოგრამი ხუთასი ფრანკი ღირს, სენ-ლაზარეს სადგურთან, ფარდულში კი საზიზღარი ბალახი იყიდება და თანაც ასეთი რჩევაც ახლავს: „*Maté Sauvage, cueilli par les indiens*“ — სასაქმებელი, ანთების საწინააღმდეგო, ანტიბიოტიკის თვისებებით. საბედნიეროდ, ერთმა როსარიოელმა ადვოკატმა, რომელიც მას ძმად ეკუთვნოდა, ჩამოუტანა „მალტის ჯვრის“ ფირმის ხუთი კილოგრამი ეს ბალახი, მაგრამ სულ ცოტაღა დარჩა. „გამითავდება ეს ბალახი და მეც ბოლო მომეღება, — გაიფიქრა ოლივეირამ, — ერთადერთი ნამდვილი დიალოგი ამ მწვანე დოქთან მაქვს.“

მან კარგად შეისწავლა მატეს არაჩვეულებრივი თვისებები, როგორც კი მდულარე წყალს დაასხამ, ბალახი თითქოს სუნთქვას იწყებსო, საოცარ სურნელებას გამოსცემს, სითხე რომ გათავდება ფერსა და სუნს კარგავს, სანამ ისევ მდულარე არ გააცოცხლებს, ნამდვილი სათადარიგო ფილტვებია — მშობლიური არგენტინის საჩუქარი მათთვის, ვინც მარტოა და მოწყენილი. ცოტა ხნის წინ ოლივეირასთვის უმნიშვნელო რატომღაც მნიშვნელოვანი გახდა და იმას, რომ მთელი ყურადღება გადაიტანა ამ მწვანე დოქზე, თავისი უპირატესობაც ჰქონდა. მის ცბიერ გონებას არასდროს უცდია ეს მწვანე დოქი ისეთ საზიზღარ ცნებებთან დაეკავშირებინა, რასაც იწვევს მთები, მთვარე, ჰორიზონტი, ქალიშვილი მომწიფების ასაკში, ჩიტი, ანდა ცხენი. „ეგებ მატეს შეუძლია დამანახოს ცენტრი, — ფიქრობდა ოლივეირა (და ის აზრი, რომ მაგა და ოსიპი შეიძლება ერთმანეთს ხვდებოდნენ, სრულიად გაუფერულდა და სიცხადე დაკარგა,

ასეთ წუთებში მწვანე დოქს უფრო მეტი ძალა ჰქონდა, პატარა ვულკანი თავზე ქაფს რომ მოიგდებდა და მერე დნებოდა გაყინულ ოთახში, ცხრა საათზე ღუმელი უნდა აენთოთ). — თუმცა კი არც ვიცი, რა არის ეს ცენტრი, ნუთუ სისრულის ტოპოგრაფიული გამოხატულებაა. დავდივარ ამ უზარმაზარ ოთახში, სადაც ფილებით მოგებულ იატაკზე ერთადერთი ფილაა ის ზუსტი წერტილი, სადაც უნდა დავდგე, რომ სწორად დავინახო პერსპექტივა”, „ზუსტი წერტილი, ეს სიტყვები მახვილით და თან საკუთარი თავის მიმართ დაცინვით წარმოთქვა, მეტი თავდაჯერებულობისათვის, რომ ეს არ იყო მხოლოდ სიტყვები სიტყვებისთვის, წმინდა სიტყვები. „ანამორფული სურათი, რომელსაც მხოლოდ გარკვეული კუთხიდან დაინახავ (ამასთან მნიშვნელოვანია ისიც, რომ ეს კუთხე წაწვეტებულია და ლამის ცხვირი უნდა მიაჭყლიტო ტილოს, რათა ეს უაზრო ფერები და შტრიხები გადაიქცეს ფრანცისკ პირველის პორტრეტად ან სინიგალიის ბრძოლის სურათად, რაღაც აღუწერელ სილამაზედ). მაგრამ ეს სისავსე, მოქმედებათა ერთგვარი ჯამი, რაც განსაზღვრავს ცხოვრებას, ალბათ იქამდე არ უნდა გამჟღავნდეს, სანამ თვით ცხოვრება არ დამთავრდება ისე, როგორც ეს უკვე ფერდაკარგული მატე, ანუ სანამ სხვა ადამიანები, ბიოგრაფები არ დაინახავენ ამას მთელი სისავსით, თუმცა ოლივეირასათვის უკვე აღარც ექნება მნიშვნელობა. მთავარი იყო, საკუთარი სისრულე გაეგო, თუნდაც არ ყოფილიყო გმირი, არ ყოფილიყო წმინდანი, არ ყოფილიყო კრიმინალი, არ ყოფილიყო ჩემპიონი კრივში, არ ყოფილიყო სახელოვანი, არ ყოფილიყო მოძღვარი, შეეცნო ეს სისრულე მთელი მრავალფეროვნებით, თუკი ეს სისრულე იქნებოდა ვითარცა გრიგალი, ქარიშხალი და არა ამ მატესავით დალექილი და გაცივებული.

— ასპირინის მეოთხედს მაინც მივცემ, — თქვა მაგამ.

— თუ როგორმე გადააყლაპებ, მაშინ ამბრუაზ პარესთვის გიჯობნია და ეგ არის. — თქვა ოლივეირამ, — მოდი, მატე მაინც დალიე, სწორედ ახლაახან დავაყენე.

ოლივეირა სისრულის საკითხმა მაშინ დააფიქრა, როცა მოეჩვენა, რომ სულ ადვილად შეიძლებოდა გაბმულიყო ყველაზე

უარეს მახეში. სტუდენტობის დროს, ვიამონტეს ქუჩაზე, ოცდაათიან წლებში მან შეამჩნია (პირველად) გაკვირვებით, და (მერე) ირონიით, რომ უამრავი ადამიანი სრულიად ბუნებრივად მიიჩნევდა საკუთარ თავს სრულ პიროვნებად, იმის მიუხედავად, რომ ვერც საკუთარი ენის ჩარჩოებს გასცდნოდნენ და ვერც ნაადრევი სკლეროზით ვნებულ ხასიათს. ეს ადამიანები აგებდნენ პრინციპების მთელ სისტემას, რომლის არსს მაინც ვერ ჩასწვდებოდნენ, რაც იმაში მდგომარეობდა, რომ სიტყვისათვის, ვერბალური გამოხატვისთვის, დაეკისრებინათ ყველაფერი, რასაც აქვს ძალა, რაც განიზიდავს, ან პირიქით, მიიზიდავს და რაც სინამდვილეში ნიშნავდა ამ ყველაფრის განდევნას, ან მოურიდებლად მის შენაცვლებას ვერბალური კორელიატით.

ასე და ამგვარად, მოვალეობა, მორალი თუ ამორალობა, სამართლიანობა, გულმოწყალება, ევროპული და ამერიკული, დღე და ღამე, ცოლ-ქმრობა, რძლები და მეგობრები, ჯარი და ბანკი, იანკი თუ მოსკოვის დროშა და ოქრო, აბსტრაქტული ხელოვნება და კასეროსთან ბრძოლა ისე წარმოგიდგებოდა, როგორც ჩვენი კბილები ან თმა, აღიარებული და გაზიარებული, რასაც არ განიცდი და არ გაანალიზებ, რამეთუ ეს ასეა, ჩვენი ნაწილია და ჩვენგან განუყოფელი თუ ჩვენი შემავსებელი. იმაზე ფიქრს, თუ რა ძალადობას ახდენდა სიტყვა ადამიანზე, სიტყვის ქედმაღლური შურისძიება მისივე შემოქმედის მიმართ, ოლივეირა მიჰყავდა მწარე იმედგაცრუებამდე და იგი ცდილობდა დახმარება ეთხოვა თავისი დაუძინებელი მტრისათვის და მისი შუამდგომლობით მიეღწია იქამდე, სადაც შესძლებდა განთავისუფლებას და თვითონვე, მარტო დაადგებოდა გზას, — როგორ და რანაირად, ნათელ ღამეს თუ ბნელ დღეს? — მივიდოდა საკუთარ თავთან, სინამდვილესთან შერიგებასთან, მივიდოდა იქ, სადაც არსებობ, სადაც ცხოვრობ. არ ისარგებლებდა სიტყვით და ისე მივიდოდა სიტყვასთან (რა შორსაა და რა დაუჯერებელი), არ ისარგებლებდა გონების დასკვნებით და შეიცნობდა სიღრმისეულ სისავსეს, რაც საბოლოოდ იქნებოდა ის, რაც ახლა იქ იყო, და იყო სხვა არაფერი იმის გარდა, რომ სვამდა მატეს და უყურებდა როკამადურის უკანალს, მაგას თითებს, ბამბა

რომ ჩაებლუჯა და წრიალებდა, რადგან როკამადური არ იკარებდა და მთელი ხმით გაჰკიოდა.

(-90)

20

— მე კი სულ ვეჭვობდი, რომ ბოლოს და ბოლოს მაინც დაწვებოდი ოსიპთან, — თქვა ოლივეირამ.

მაგამ გაახვია ბავშვი, რაკი ცოტა დაწყნარდა და ხელები ბამბით გაიწმინდა.

— თუ ღმერთი გწამს, კარგად დაიბანე მაინც და ეს ნაგავიც გადაყარე, — უთხრა ოლივეირამ.

— ახლავე, — თქვა მაგამ. ოლივეირამ გაუძლო მის მზერას (ეს ყოველთვის საკმაოდ უჭირდა), მაგამ კი აიღო გაზეთი, საწოლზე გაშალა, მოაგროვა ბამბა, გაახვია გაზეთში და ოთახიდან გავიდა, რომ კიბის ბაქანზე, ტუალეტში ჩაეყარა. როცა მობრუნდა ხელები ვარდისფრად უპრიალებდა; ოლივეირამ მატე მიაწოდა; მაგა დაბალ სავარძელში ჩაჯდა და დოქს დაეწათა. თვითონ ყოველთვის უფუჭდებოდა ხოლმე მატე, ისე უაზროდ ურევდა საწრუპავით, გეგონებოდა მატე კი არა ფაფააო.

— ასეა თუ ისე, — თქვა ოლივეირამ და ბოლი ცხვირიდან გამოუშვა, — ხომ შეიძლებოდა მიგეხვედრებინეთ მაინც; ახლა 600 ფრანკი უნდა გადავიხადო ტაქსიში, მთელი ჩემი ბარგი-ბარხანა სხვა ბინაში რომ გადავიტანო, თანაც ამ დროს არც ისე ადვილია ოთახის პოვნა.

— მერედა რატომ უნდა წახვიდე, როცა ეს ყველაფერი ტყუილია, გამოგონილია. — თქვა მაგამ.

– გამოგონილი, ტყუილი, – თქვა ოლივეირამ, – ასეთ დიალოგებს მართო სანაქებო არგენტინულ რომანებში თუ წაიკითხავ; ახლა ისლა დამრჩა, რომ ჩემს ასეთ უმაგალითო, გროტესკულ მდგომარეობაზე გულში გავიციხო და მორჩა.

– უკვე აღარ ტირის, – თქვა მაგამ და საწოლს გახედა, – მოდი ახლა ცოტა ხმადაბლა ვილაპარაკოთ და ისიც ასპირინის მერე უფრო დიდხანს იძინებს. მე სულაც არ ვწოლილვარ გრეგოროვიუსთან.

– როგორ არ წოლილხარ.

– არა, ორასიო. ასე რომ ყოფილიყო როგორ არ გეტყოდი? მას შემდეგ, რაც შენ გაგიცანი, არავისთან არ ვყოფილვარ, შენს გარდა. რა გაეწყობა, თუ შენ ჩემს სიტყვებზე გეცინება, მე როგორც შემოძლია, ისე ვლაპარაკობ, რა ვქნა, თუ ჩემს გრძნობებს სხვანაირად ვერ გამოვხატავ.

– კარგი, კარგი, – უგუნებოდ თქვა ოლივეირამ და ისევ მიაწოდა მატე, – ბავშვმა ძალიან კი შეეცვალა; აი, უკვე რამდენი დღეა შენ გადაიქეცი ისეთ დედად, ნამდვილი დედა რომ ჰქვია.

– მაგრამ როკამადური ხომ ავადაა.

– ძალიან კარგი, მაგრამ სხვა ცვლილებებსაც გამჩნევ, – უთხრა ოლივეირამ, – თუ სიმართლე გინდა, უკვე გვიჭირს ერთად ყოფნა.

– მართო შენ გიჭირს, შენ ველარ გვიძლებ ველარც მე და ველარც როკამადურს.

– რაც მართალია, მართალია, ბავშვი ნამდვილად არასოდეს მიმიღია მხედველობაში. ერთ ოთახში სამი, ცოტა ბევრია, ხოლო თუ ოსიპსაც მივათვლით, ოთხი უკვე ნამდვილად გაუსაძლისი იქნებოდა.

– ოსიპი რაღა შუაშია.

— აბა იქ რომ ჟღურტულებდით... — თქვა ოლივეირამ.

— ეს არაფერს ნიშნავს, — გაიმეორა მაგამ. — ასე რატომ მაწამებ? ვხედავ, რომ დაიღალე და აღარ გიყვარვარ, არც არასდროს გყვარებივარ, შენ თვითონ გამოიგონე, ვითომ ეს სიყვარული იყო. წადი, ორასიო, რისთვის უნდა დარჩე. ეს ხომ პირველად არ ხდება. რამდენჯერ...

მან გადახედა საწოლს. როკამადურს ეძინა.

— რამდენჯერო, — თქვა ოლივეირამ, თან ბალახს ცვლიდა, — განსაცვიფრებელი გულახდილობაა სენტიმენტალური ავტობიოგრაფიისთვის.

ოსიპიც ამას იტყოდა. ვერ მოასწრებს კაცი შენს გაცნობას და მაშინვე ზანგის ამბავს უყვები.

— უნდა მომეყოლა, შენ ამას ვერ გაიგებ.

— გაგება რა შუაშია, ეს ხომ საბედისწეროა.

— მე მგონია, მაინც უნდა ვთქვა, საბედისწეროც რომ იყოს. ასეა, როცა ადამიანებს ერთმანეთი უყვართ, კიდევ უნდა მოუყვანენ ერთმანეთს თავიანთი ცხოვრების შესახებ, ამას შენზე ვამბობ და არა ოსიპზე. შენც ასევე შეგეძლო გეთქვა შენი მეგობარი გოგონების შესახებ, ასევე მეც უნდა მომეყოლა ყველაფერი. ეს ერთადერთი გზაა, რომ ერთ-ერთი მანამდე წავიდეს, სანამ მეორეს შეუყვარდება, ერთადერთი გამოსავალია, რომ ამ კარებიდან გავიდეს და დაგვტოვოს ჩვენ ორნი, დაგვანებოს თავი.

— ცოდვების გამოსყიდვის საშუალება, ან რატომ მიტევების არა.

პირველი იყო ზანგი.

— ჰო, — თქვა მაგამ და შეხედა, — პირველი იყო ზანგი, მეორე — ლედესმა.

— მერე ლედესმა, ცხადია.

— მერე ის სამი, კარნავალის ღამეს, მოსახვევში.

— შემდეგ, — თქვა ოლივეირამ და მატე მოსვა.

— მერე მუსიე ვინსენტი, სასტუმროს პატრონის ძმა.

— კიდევ.

— ის ჯარისკაცი, პარკში რომ ტიროდა.

— შემდეგ.

— და შენ.

— და ბოლოს მე. ის, რომ მე ჩემი თანდასწრებით ამ სიაში ჩამრთე, ადასტურებს ჩემს შავბნელ წინათგრძობას. თუმცა სი-ის შესავსებად, ალბათ გრეგოროვიუსის დამატებაც შეიძლებოდა.

მაგა საწრუპავით ურევდა მატეს. მან თავი დახარა და თმა სახეზე ისე ჩამოეშალა, რომ ოლივეირა ველარ ხედავდა მის გამომეტყველებას, აქამდე ვითომ გულგრილად რომ ადევნებდა თვალს.

მერე რომ იყავი მეგობარი ბებერი აფთიაქარისა, მერე კიდევ კომისრის შვილისა და ყველა დანარჩენისაც...

წაიმღერა ოლივეირამ ტანგოს მოტივზე. მაგამ მხოლოდ მხრები აიჩეჩა და არც შეუხედავს მისთვის, ისე განაგრძობდა მატეს წრუპვას. „საბრალო“, გაიფიქრა ოლივეირამ. მერე ისე უხეშად გადაუწია სახიდან თმა, გეგონება ფარდააო და საწრუპავმა კბილებზე გაიწკარუნა.

— თითქოს გამარტყი, — თქვა მაგამ და აკანკალებული თითები ტუჩებზე მოისვა. — ჩემთვის ამას მნიშვნელობა კი არა აქვს, მაგრამ...

— საბედნიეროდ აქვს, — თქვა ოლივეირამ, — ასე რომ არ მიყურებდე ახლა, ალბათ შემძულდებოდი, შენ სასწაული ხარ, მაგ შენ როკამადურთან და სხვა ყველაფერთან ერთად.

— ამას რისთვის მეუბნები.

— მე თვითონ მჭირდება.

— ჰო, შენ გჭირდება, შენ ყველაფერი იმისთვის გჭირდება, რასაც ეძებ. — — საყვარელო, ცრემლები მატეს გემოს უკარგავს, — ალერსიანად უთხრა ოლივეირამ, — ეს ცნობილია.

— ჩემი ტირილიც ალბათ ასევე გჭირდება.

— ჰო, იმდენად, რამდენადაც დამნაშავედ ვგრძნობ თავს.

— წადი, ორასიო, წადი, ასე ჯობია.

— ალბათ. წარმოიდგინე, რომ ახლა ჩემი წასვლა თითქმის გმირობა იქნებოდა, რადგან გტოვებ სულ მარტოს, უკაპიკოდ და ავადმყოფი ბავშვით.

— ჰო, ასეა, — თქვა მაგამ და გაიცინა, თუმცა თვალები ცრემლებით ჰქონდა სავსე, — მართლაც რომ გმირული საქციელი იქნება.

— და რამდენადაც მე გმირი სულაც არ გახლავარ, ალბათ ჯობია იქამდე დავრჩე, სანამ არ გავარკვევთ რა გზას დავადგეთ, როგორც იტყოდა ჩემი ძმა, ასე რომ უყვარს ლამაზად ლაპარაკი.

— მაშინ დარჩი.

— მერე შენ თუ გესმის რატომ და რისთვის ვამბობ უარს ამ გმირობაზე? — ჰო, ცხადია.

— მაშინ, ამიხსენი, რატომ არ მივდივარ.

— იმიტომ არ მიდიხარ, რომ საკმაოდ ბურჟუაზიული ხარ და ანგარიშს უწევ იმას, რას იფიქრებენ რონალდი და ბებსი, ან სხვა დანარჩენი მეგობრებიო.

— ზუსტად. კარგია, გესმის, რომ ჩემი გადაწყვეტილება შენ მართლაც არ გეხება, მე არც თანაგრძნობის გამო ვრჩები, არც სიბრაღის გამო და არც იმის გამო, რომ როკამადურს საწო-
ვარა უნდა მივცე. და ყველაზე ნაკლებად კი იმიტომ, რომ ჩვენ საერთო მაინც დაგვრჩა.

— ზოგჯერ როგორი სასაცილო ხარ, — თქვა მაგამ.

— რასაკვირველია, — თქვა ოლივეირამ, — ბობ ჰოუპი ჩემთან შედარებით მართლაც რომ ნაგავია.

— როცა ამბობ, ჩვენ საერთო არაფერი გვაქვსო, ისე დამუწავ ხოლმე პირს...

— ასე არა? მართლა?

— ჰო, ასე, წარმოუდგენელია.

ორივეს ისეთი სიცილი წასკდა, რომ შეეშინდათ როკამადუ-
რი გაიდვიძებსო და პირზე ჩვრებს და ხელებს იფარებდნენ, ოლივეირას სიცილისაგან ცრემლები ღაპაღუპით სცვიოდა, თან მაგას აკავებდა სავარძლიდან არ გადმოვარდესო, თუმცა ის მა-
ინც ჩამოცურდა, რადგან სავარძელს წინა ფეხები უფრო დაბა-
ლი ჰქონდა უკანაზე და პირდაპირ ოლივეირას ჩაუვარდა ფე-
ხებში, მას კი სიცილისგან სლოკინი აუვარდა და თავს უკვე ვე-
ლარ იკავებდა.

— აბა, ერთი კიდევ მაჩვენე როგორ მოვმუწავ ხოლმე პირს, როცა ასეთ რამეებს გეუბნები, — ეხვეწებოდა ოლივეირა.

— აი, ასე, — თქვა მაგამ და ისევ აუტყდა სიცილი, ოლივეირა მუცელს ხელით იჭერდა; ამ დროს იგი მაგასკენ დაიხარა და მან დაინახა მისი ცრემლებისგან აელვარებული თვალების ნაცნობი მზერა, მათ ერთმანეთს აკოცეს. მაგამ თავი ასწია, ოლივეირა

კიდევ უფრო დაიხარა, მაგრამ მათი ტუჩები ველარ სცნობდნენ ერთმანეთს, თითქოს სხვები იყვნენ და ერთი მეორეს ეძებდნენ, თმისა და ბალახის ჯოჯოხეთურ ხლართებში, რადგან დოქი გადმოვარდნილიყო და სითხე პირდაპირ მაგას კალთაში იღვრებოდა.

— მითხარი, როგორი სიყვარული იცის ოსიპმა? — ეჩურჩულებოდა ოლივეირა და თან ვერ მოსწყვეტოდა მაგას ტუჩებს, — მეტი აღარ შემიძლია, ლამის სისხლი ამივარდეს თავში.

— ძალიან კარგი, — უთხრა მაგამ და ოდნავ უკბინა ტუჩზე, — შენ ბევრად გჯობია და თან დაუცხრომელია.

— და მურტის ტოტით გეფერებოდა? ოღონდ არ მოიტყუილო, გეფერებოდა?

— უამრავჯერ. ყველგან და ხანდახან ზედმეტადაც. გასაოგნებელი გრძნობაა.

— და ფეხებს შორისაც გკოცნიდა?

— კი, და მერე როლები გავცვალეთ და იქამდე მივიდა, რომ ყვირილი დაიწყო, გეყოფა, გეყოფა, აღარ შემიძლია, თავი ხელში აიყვანეო.

შენ ამას მაინც ვერ გაიგებ, ყოველთვის ჩქარობ, რომ გაათავო.

— მეც, ისევე როგორც ყველა, — წაიბუბლუნა ოლივეირამ და წელში გაიმართა, — ერთი შეხედვით მატეს რა გუბე დადგა... ახლა მე წავალ, ცოტას გავივლი ქუჩაში.

— აღარ გინდა ოსიპზე კიდევ გაიმბო რამე? — ჰკითხა მაგამ, — გლიგლიკოს ენაზე...

— არა, მომბებრდა ეგ შენი გლიგლიკოც. სულ არა გაქვს წარმოსახვის უნარი, თან ერთსა და იმავეს იმეორებ. მაგ შენ გლიგლიკომზე ხომ ვერ იტყვი — „რაც შეეხება...“

– გლიგლიკო მე გამოვიგონე, – იწყინა მაგამ, – შენ კი რა-
ღაც ერთს იტყვი და უკვე თავი მოგაქვს, მაგრამ ეს ნამდვილი
გლიგლიკო მაინც არ არის.

– მაშინ დაუბრუნდეთ ისევ ოსიპს...

– მოეშვი სისულელეს, ორასიო, გეუბნები, მასთან არ ვწო-
ლილვარ-მეთქი, მაინცდამაინც გინდა დაგიფიცო?

– არა, მგონია ისედაც დაგიჯერებ, ბოლოს და ბოლოს.

– ასეც რომ იყოს, – თქვა მაგამ, – ადვილი შესაძლებელია
მართლა დაწვე ოსიპთან, თუნდაც იმიტომ რომ ეს შენ გინდა.

– ნუთუ შეიძლება მართლა მოგეწონოს კიდეც ეს ტიპი?

– არა, ცხოვრება მაინც გაზღვევინებს, ყველას და ყველა-
ფერს სამაგიერო უნდა მიაგო. შენგან ერთი სენტავოც არ მინდა,
ოსიპთან კი არ გამოვა, რომ მისგან ვერცხლი ავიღო და აუხდე-
ნელი ოცნებით დავტოვო.

– გასაგებია, – თქვა ოლივეირამ, – შენ ხომ კეთილი სამა-
რიტელი ხარ. პარკში მტირალ ჯარისკაცსაც კი ვერ ჩაუარე
გულგრილად.

– ვერა, ორასიო, ხომ ხედავ როგორ განვსხვავდებით ერ-
თმანეთისგან. – მართალია, სიბრალულის გრძნობა ჩემგან ცო-
ტა შორსაა. ხომ შეიძლება მეც სადმე გენახე მტირალი და მაშინ
შენ...

– მე შენ არასდროს მინახიხარ მტირალი, – უთხრა მაგამ, –
შენთვის ტირილი ხომ სრულიად ფუჭი გარჯაა.

– ოდესღაც მეც მიტირია.

– სიბრაზისგან უთუოდ. შენ არ იცი, რა არის ტირილი, ორა-
სიო, ეს ისეთი რამაა, რისი უნარიც არ გაგაჩნია.

ოლივეირამ თავისკენ მიიზიდა მაგა და მუხლებზე დაისვა. იფიქრა, ალბათ მაგას სურნელმა, მისი კეფის სუნმა მომგვარა სევდაო.

სწორედ იმ სუნმა, ადრე რომ... „ძიება რაღაცის მეშვეობით, — გაუელვა ბუნდოვანმა ფიქრმა. — თუ რაიმე არ შემიძლია, სწორედ ეს არის, ტირილი და საკუთარი თავის შებრალება”.

— ჩვენ არასოდეს გვყვარებია ერთმანეთი, — თქვა მან და თმაზე აკოცა.

— ჩემს მაგივრად ნუ ლაპარაკობ, — თქვა მაგამ და თვალები დახუჭა, — შენ ისიც კი არ იცი მიყვარხარ თუ არა. ესეც კი ვერ გაგიგია.

— შენ გგონია ასეთი ბრმა ვარ?

— პირიქით, შენთვის ურიგო არც იქნებოდა ცოტა ბრმა რომ ყოფილიყავი. — ჰო, ასეა, შეხება გაგების მაგივრად, ინსტინქტი ხომ გონებაზე შორს მიდის. მაგიური გზა, სულის ბნელი ღამე.

— ურიგო არ იქნებოდა, — ისევ თავისას იმეორებდა მაგა, ასე იცოდა ყოველთვის, როცა რაიმეს ვერ გაიგებდა და არ უნდოდა ეს სხვას შეემჩნია.

— იცი რა, ერთი რამ ისედაც კარგად მესმის, ჩვენ ჩვენი გზა გვაქვს და ჩვენი გზით უნდა ვიაროთ. ისიც კარგად ვიცი, რომ მარტო უნდა ვიყო, ჩემთვის, ასეა საჭირო, ლუსია; მართალი გითხრა, ჯერ მეც არ ვიცი, რას ვიზამ. შენ და როკამადურს, — მგონი უკვე იღვიძებს, — მე უსამართლოდ გექცევით და არ მინდა ასე გაგრძელდეს.

— ჩემზე და როკამადურზე თავს ნუ შეიწუხებ.

— არც ვიწუხებ, მაგრამ ამ ერთ ოთახში სამნი, მოუხერხებელიცაა და არაესთეტიკურიც, სულ ფეხებში ვედებით ერთმანეთს. მე ბრმა არა ვარ, ძვირფასო, ჩემი მხედველობის ნერვის წყალობით კარგად ვხედავ, რომ შენ უჩემოდაც მშვენივრად გა-

ართმევ თავს ყველაფერს. აქამდე არც ერთ ჩემს მეგობარ ქალს თავი არ მოუკლავს, თუმცა კი ეს ჩემს სიამაყეს, ცოტა არ იყოს, ჩრდილს აყენებს.

— ჰო, ორასიო.

— ასე და ამგვარად, თუ მთელ ჩემს გამბედაობას მოვიკრებ და გმირობას ჩავიდენ, ამაღამ ან ხვალ დილას წავალ და აქ არაფერი მოხდება.

— არაფერი, — თქვა მაგამ.

— შენ ისევ მადამ ირენთან წაიყვან ბავშვს, დაბრუნდები პარიზში და ისევ ისე გააგრძელებ ცხოვრებას.

— ასე იქნება.

— ხშირად ივლი კინოში, განაგრძობ რომანების კითხვას, ისევ ისე ივლი ყველაზე საშიშ კვარტლებში, ყველაზე სახიფათო დროს.

— ასე იქნება ყველაფერი.

— ისევ იპოვი ქუჩაში უამრავ საოცარ რამეებს, მოიტან სახლში, გააკეთებ რაღაც-რაღაცებს, ვონგი გასწავლის ათასგვარ თამაშებს და ფოკუსებს, ოსიპი კი მოწიწებით აგედევნება ორი მეტრის მანძილზე თავდახრილი და ზურგზე ხელებდაწყობილი.

— ღვთის გულისთვის, ორასიო, — თქვა მაგამ, მოეხვია და თავი მის მკერდში ჩამალა.

— რაღა თქმა უნდა, რომ ჩვენ შევხვდებით ხოლმე განგების ძალით, ყველაზე უჩვეულო ადგილებში, როგორც იმ ღამეს, ბასტილიასთან, გახსოვს ალბათ.

— დავალის ქუჩაზე.

— მე საკმაოდ მთვრალი ვიყავი და ამ დროს შენც გამოჩნდი, კუთხიდან გამოხვედი, ჩვენ გავჩერდით და ერთმანეთს სულელ-ლებივით დავუწყეთ ყურება.

— იმიტომ რომ მეგონა იმ ღამეს კონცერტზე მიდიოდი.

— შენ კი მითხარი, რომ მაღამ ლეონის უნდა შევხვდეთ.

— მერედა რა საოცარი იყო, დავალის ქუჩაზე რომ შევხვდით ერთმანეთს. — შენ მწვანე პულოვერი გეცვა, კუთხეში იდექი და ვიღაც პედერასტს ანუგეშებდი.

— კაფედან თურმე კინწისკვრით გამოაგდეს და ტიროდა.

— მეორედ, მახსოვს, ჟემაპის სანაპიროზე შევხვდით.

— ცხელოდა, — თქვა მაგამ.

— შენ არასდროს გითქვამს რას ეძებდი ჟემაპის სანაპიროზე.

— ოჰ, არც არაფერს.

— ხელში მონეტა გეჭირა.

— ტროტუარის ნაპირზე ეგდო, ისე ბრწყინავდა...

— მერე წავედით რესპუბლიკის მოედანზე, სადაც აკრობატე-ბის წარმოდგენა იმართებოდა და იქ ერთი კოლოფი კანფეტები მოვიგეთ.

— მერე რა საშინელი იყო.

— ერთხელაც მეტრო მუტონ-დიუვერნედან გამოვდიოდი, შენ კი ამ დროს კაფეს ტერასაზე იჯექი ერთ ზანგთან და ფილიპინელთან ერთად.

— შენ კი არასოდეს გითქვამს, რა გინდოდა მუტონ-დიუვერნესთან.

— კორძების მკურნალთან ვიყავი, — თქვა ოლივეირამ, — მოსაცდელ ოთახში, კედლებზე იისფერ-მოწითალო შპალერი აქვს გაკრული და ზედ გონდოლები, პალმები, მთვარის შუქზე შეყვარებული წყვილებია გამოსახული. ახლა წარმოიდგინე ეს ყველაფერი ხუთჯერ გამეორებული 8 X 12 ზომისა.

— ამისთვის წასულხარ და არა შენი კორძებისთვის.

— კორძები არც მქონია, შვილო, ფეხის გულზე მქონდა საშინელი წანაზარდი; ეტყობა ავიტამინოზის გამო.

— კარგად გიმკურნალა? — ჰკითხა მაგამ, თავი ასწია და დაკვირვებით შეხედა.

მათ სიცილი წასკდათ და როკამადურმაც მაშინვე გაიღვიძა, ისე შესაბრალისად ატირდა, რომ ოლივეირამ ამოიოხრა, იფიქრა, ყველაფერი ისევ თავიდან იწყებაო, ახლა საწოლთან დახრილი მაგას ზურგისა და მისი ხელების ცაცუნისთვის უნდა ეცქირა. იგი კვლავ მატეს მიუბრუნდა და სიგარეტი მოიძარჯვა. ფიქრი აღარ უნდოდა.

მაგა ხელების დასაბანად გავიდა და მალე დაბრუნდა. ორი დოქი მატე ისე დალიეს, ერთმანეთისთვის არც შეუხედავთ.

— კიდევ კარგი, ამ ყველაფერთან ერთად რადიოთეატრს არ ვაწყობთ. ასე ნუ მიყურებ, ცოტა დაფიქრდი და მიხვდები, რისი თქმა მინდა.

— ვხვდები, — თქვა მაგამ, — ასე ამიტომ არ გიყურებ.

— აჰ, შენ გგონია, რომ...

— ცოტა კი. თუმცა ჯობია ამაზე აღარ ვილაპარაკოთ.

— მართალი ხარ. კარგი, ახლა წავალ და მალე დავბრუნდები.

— არ დაბრუნდები, — თქვა მაგამ.

– ბოლოს და ბოლოს ასეც ნუ გავაზვიადებთ, – თქვა ოლივე-
ირამ, – აბა, სად დავიძინებ შენი აზრით? ესეც გორდიას კვანძი,
თანაც ქუჩაში ქარია, ალბათ ხუთი გრადუსი მაინც იქნება ნულს
ქვემოთ.

– წადი და ჯობია აღარ დაბრუნდე, ორასიო, – უთხრა მაგამ,
– ახლა ამის თქმა მიაღვილდება, გამიგე.

– ერთი სიტყვით, – თქვა ოლივეირამ, – ვფიქრობ, ცოტა
ვჩქარობთ, რომ ერთმანეთს Savoir faire[72] – მივულოცოთ.

– ისე მებრალები, ორასიო.

– აჰ, ეს არა. ფრთხილად.

– შენ ხომ იცი, რომ ზოგჯერ ვხედავ ხოლმე. ისე ცხადად ვხე-
დავ.

წარმოიდგინე, ერთი საათის წინ აზრმა გამიელვა, იქნებ ჯო-
ბია წავიდე და მდინარეში გადავვარდე-მეთქი.

– უცნობი სენაში... მაგრამ შენ ხომ გედივით ცურავ.

– მებრალები, – თავისას გაიძახოდა მაგა. – ახლა ვხვდები.
იმ ღამეს ნოტრ-დამთან რომ შევხვდით, მაშინაც მომეჩვენა,
რომ...

თუმცა შენ არ გინდა დაიჯერო. მაშინ ლურჯი პერანგი გეცვა,
ძალიან ძვირფასი. მაშინ იყო პირველად სასტუმროში რომ წა-
ვედით, ასე არ იყო?

– არა, თუმცა სულ ერთია. და შენ მასწავლელი გლიგლიკოზე
ლაპარაკს.

– თუ გეტყვი, რომ ეს ყველაფერი სიბრაღის გამო ჩავი-
დინე...

– კმარა, – თქვა ოლივეირამ და ცოტა შემკრთალმა შეხედა.

— იმ ღამეს შენ საფრთხე გელოდა. თითქოს შორიდან რაღაც განგაშის ნიშანი იყო... არ შემეძლია ამის ახსნა.

— ჩემი საფრთხე მხოლოდ მეტაფიზიკურია, — თქვა ოლივე-ირამ. — დამიჯერე, მე ვერავინ ამომათრევს წყლიდან კაუჭებით. მე თუ რამე წამაქცევს, ეს იქნება ან ნაწლავების გადახლართვა, ან აზიური გრიპი, ანდა პეუო-403.

— არ ვიცი, — თქვა მაგამ, — ზოგჯერ ვფიქრობ, თავი ხომ არ მოვიკლა-მეთქი, მაგრამ ვხედავ, რომ ამის ჩამდენი არ ვარ. მაგრამ არ იფიქრო, რომ ამას როკამადურის გამო ვამბობ, ადრეც ასე იყო. ის აზრი, რომ შემეძლო თავის მოკვლა, მუდამ შვებას მგვრიდა. თუმცა შენ ამას ვერ იფიქრებ... რატომ ლაპარაკობ მეტაფიზიკურ საშიშროებებზე? ხომ არსებობს მეტაფიზიკური მდინარეებიც, ორასიო. ხომ შეიძლება ერთ ასეთ მდინარეშიც გადავარდე?

— მაშინ ეს იქნებოდა, ეს იქნებოდა დაო. — თქვა ოლივეირამ.

— მომეჩვენა, რომ შემეძლო შენი დაცვა. არაფერი თქვა. მაშინვე მივხვდი რომ შენ მე არ გჭირდები. ჩვენ ისე გვიყვარდა ერთმანეთი, როგორც ორ მუსიკოსს, რომლებიც ერთმანეთს ხვდებიან, რათა დაუკრან სონატები.

— მშვენიერია, რასაც ამბობ.

— ასეც იყო, ერთ მხარეს როიალი, მეორე მხარეს ვიოლინო და გამოდის სონატა, მაგრამ ხომ ხედავ, რომ ჩვენ ვერ შევხვდით, ვერ ვიპოვეთ ერთმანეთი, ორასიო, მაგრამ სონატები მაინც ისეთი ლამაზი იყო...

— ჰო, საყვარელო.

„ და გლიგლიკოც.

— განსაკუთრებით ლამაზი.

— და ყველაფერი, კლუბიც, ის ღამეც ბერსის სანაპიროზე ხეების ქვეშ რომ ვისხედით და გათენებამდე ვარსკვლავებს ვიჭერდით, ერთმანეთს ვუყვებოდით პრინციების ამბებს; მერე შენ მოგწყურდა და ჩვენ ვიყიდეთ ერთი ბოთლი ძალიან ძვირი შუშ-ხუნა და მდინარის ნაპირზე ვსვამდით.

— მაშინ მოვიდა ჩვენთან ერთი კლოშარი, — თქვა ოლივეირამ — და ჩვენ მას მივეცით ნახევარი ბოთლი.

— და იმ კლოშარმა რამდენი რამ იცოდა, ლათინურიც, აღმოსავლეთის ამბებიც და შენ მას ეკამათებოდი ვიღაც...

— ავეროესზე, მგონი, ჰო, ავეროესზე.

— ერთ ღამეს იყო, ვიღაც ჯარისკაცმა რომ მიჩქმიტა ბაზრობაზე, შენ კი კარგად გაულაწუნე და მერე ყველა პოლიციაში წაგვიყვანეს. — როკამადურმა არ გაიგონოს, — თქვა ოლივეირამ სიცილით.

— საბედნიეროდ, როკამადური ვერ დაგიმახსოვრებს, ჯერ ხომ კარგად ვერც გხედავს. როგორც ჩიტები კენკავენ ხოლმე ნამცეცებს, გიყურებენ, კენკავენ, მიფრინავენ... არაფერი აღარ რჩება.

აღარაფერი.

— ასეა, — თქვა ოლივეირამ, — არაფერი აღარ რჩება.

კიბის ბაქანზე მეზობელი გაჰკიოდა, მესამე სართულზე რომ ცხოვრობდა და ამ დროს ყოველთვის მთვრალი იყო. ოლივეირამ უაზროდ გაიხედა კარებისკენ, მაგრამ მაგამ კარებთანვე გააჩერა, ერთიანად აცახცახებული და გულამომჯდარი ტირილდა, მერე იატაკზე დაეშვა და ოლივეირას მუხლებზე მოეხვია.

— ასე ნუ განიცდი, — უთხრა ოლივეირამ. — მეტაფიზიკური მდინარეები ყველგანაა, შორს წასვლა არ არის საჭირო. ყური დამიგდე, თუ ვინმეა დასახრჩობი ისევ მე ვარ, სულელო. ერთ რამეს კი გპირდები: უკანასკნელ წუთში შენ გამახსენდება, უფ-

რო მეტი სიმწარე რომ ვიგრძნო. ნამდვილი მელოდრამაა სამფეროვან ყდაში ჩასმული.

— არ წახვიდე, — ჩურჩულებდა მაგა და მუხლებზე ეხვეოდა.

— ცოტას გავივლი აქვე ახლოს.

— არა, არ წახვიდე.

— გამიშვი. ძალიან კარგად იცი, რომ დავბრუნდები, ყოველ შემთხვევაში, ამაღამ მაინც.

— ერთად წავიდეთ, — უთხრა მაგამ, — როკამადურს სძინავს, ხომ ხედავ, კიდევ კარგა ხანს ეძინება, სანამ ჭამის დრო არ მოვა. ორი საათი გვაქვს, წავიდეთ კაფეში, არაბულ კვარტალში რომ არის პატარა კაფე, სევდიანი, რა კარგი იყო იქ.

მაგრამ ოლივეირას მართლ უნდოდა წასულიყო. ნელ-ნელა გაითავისუფლა ფეხები მაგას მკლავებისგან, თავზე ხელი გადაუსვა, მერე ყელსაბამი მოქაჩა თითებით, კეფაზე აკოცა, ყურის უკან, ხედავდა როგორ ტიროდა, მთელი სხეულით, სახეზე ჩამოშლილი თმაც კი დასველებოდა, სახეზე ჩამოშლოდა. „არ არის საჭირო შანტაჟი, — გაიფიქრა. — ვიტყვით ერთად, ვუყურით ერთმანეთს სახეში, მაგრამ არა ასე, იაფფასიანი სლუკუნით, კინოში რომ იციან“. სახე აუწია, უნდოდა მაგას თვალებში შეეხედა მისთვის.

— მე გარეწარი ვარ, — უთხრა ოლივეირამ. — დაე, მომეზღოს სამაგიერო. იტირე შენს შვილზე, რომელიც შეიძლება კვდება, მაგრამ ჩემზე ნუ დაღვრი ცრემლებს. ღმერთო ჩემო, ზოლას მერე ასეთი სცენები არ მინახავს. გამიშვი, წავიდე, თუ შეიძლება.

— რისთვის? — თქვა მაგამ, არც ამდგარა, ლეკვივით შესცქეროდა.

— როგორ თუ რისთვის?

— რისთვის?

— აჰ, შენ გინდა მითხრა, ეს ყველაფერი რისთვისო, მოდი და გაიგე, მე ვფიქრობ არც შენ და არც მე ბრალი არაფერში მიგვიძღვის.

ეტყობა, ჯერ არ მოვმწიფებულვართ, ლუსია. ეს ღირსების საქმეა და ძალიან ძვირად გვიჯდება. როგორც ბავშვებმა იციან, ჯერ თამაშობენ, ერთობიან, მერე კი თმებში სწვდებიან ხოლმე ერთმანეთს.

ჩანს, ჩვენც ეს გვემართება. უნდა დავფიქრდეთ.

(-126)

21

მთელ ქვეყანაზე ერთი და იგივე ხდება, — იანუსის ქანდაკება თითქოს ერთი გამოუსადეგარი რამაა, მაგრამ, სინამდვილეში, აი რა გვემართება, ორმოც წელს რომ მივატანთ, მასავით ჩვენ ყველას სახე კეთაზე მოგვექცევა და სასოწარკვეთილები უკან ვიყურებით.

ამას, როგორც იტყვიან, ზოგადი აზრი ჰქვია, ამ სიტყვის სრული მნიშვნელობით. რა გაეწყობა, სათქმელი მაინც უნდა ითქვას, თუმცა კი დღევანდელ ერთსახოვან ახალგაზრდებს მოწყენილობისგან ყბა მოექცევათ. ტრიკოტაჟის მაისურებზე გადარეულ ამ გოგო-ბიჭებს შორის, რომელთა დაუბანელი სხეულის სუნი საამოდ ერწყმის café— crème-ის[73] ორთქლს სენ-ჟერმენდე პრეში, და რომლებიც კითხულობენ დარელს, ბოვუარს, დიურას, დუასოს, კენოს, საროტს, მათ შორის მეცა ვარ, გადაფრანგებული არგენტინელი (საშინელებაა, საშინელება), ოღონდ ამ ყმაწვილების მოდას ჩამოვრჩები, მათ jazz cool-ს; მე ისევ ვკითხულობ მოძველებულ რენე კრეველის „êtes— vous— fous”[74] ისევ მახსოვს სიურრეალიზმი, დადალული ვარ ანტონენ არტოს ნიშნით, კვლავაც მესმის ედგარ ვარეზის

„Ionisations“[75], თვალწინ მიდგას პიკასო (მე კი თავად მგონი, მონდრიანი უნდა ვიყო, როგორც მითხრეს).

– Tu sèmes des syllabes pour récolter des étoiles[76], – მე-
ხუმრება კრეველი.

– ვისაც რა შეუძლია, იმას აკეთებს, – ვპასუხობ მე.

– ეს ფემინა კი n'arrêtera–t–elle donc pas de secouer l'arbre à sanglots?[77] – უსამართლო ხართ, – ვეუბნები მას, – აღარც ტირის, აღარც წუწუნებს.

რამდენად სავალალოა, როცა ცხოვრებაში იმ მდგომარეობამდე მიხვალ, რომ ყავით გაბრუებულსა და მოწყენილობისგან ლამის თავისმოკვლამდე მისულს სხვა გზა აღარ დაგრჩენია იმის გარდა, რომ გადაშალო წიგნი 90%–ე გვერდზე და დიალოგი გააბა ავტორთან მაშინ, როცა იქვე, გვერდით მაგიდასთან ლაპარაკობენ ალჟირის, ადენაუერის, მიჟანუ ბარდოს, გი ტრებერის, სიდნი ბემეს, მიშელ ბიუტორის, ნაბოკოვის, ცაო-ვუ-კის, ლუისონ ბობეს შესახებ, ჩემს სამშობლოში კი ყმაწვილები ლაპარაკობენ... რაზე ლაპარაკობენ ყმაწვილები ჩემს სამშობლოში? უკვე არ ვიცი, რაზე ლაპარაკობენ, ისე შორს გადმოვიხვეწე, ისე დავშორდი მათ, მაგრამ ალბათ უკვე აღარ ლაპარაკობენ. არც სპილიმბერგოზე, აღარც ხუსტო სუარესზე, არ ლაპარაკობენ ტიბურონ დე კილაზე, ბონინზე და არც ლევისამოზე.

რა ბუნებრივია. ეს კი იმის ბრალია, რომ ბუნებრიობა და რეალობა, კი არ ვიცი რატომ, ერთმანეთს გადაემტერნენ, დგება საათი, როცა ბუნებრივი შემადიწუნებელ სიყალბედ ჟღერს, როცა ოცი წლის ყმაწვილების რეალობა და ორმოცი წლის ადამიანის რეალობა ერთმანეთს დაერევიან, მუჯლუგუნებს სცემენ ერთმანეთს და თანაც სამართებელსაც არ ერიდებიან, ლამის ტანსაცმელს ახევენ ტანზე.

მე ახალ სამყაროებს აღმოვაჩინე, ერთსა და იმავე დროს რომ არსებობენ და თან უცხონი არიან ერთი მეორისათვის, გამუდმებით მღრღნის ეჭვი, რომ ყველაზე უარესი ილუზია ის არის, რომ

გგონია შეიძლება თანხმობით იცხოვრო. რისთვის უნდა გინდოდეს, რომ იყო ყველგან, რისთვის უნდა ებრძოდე დროს? მეც ვკითხულობ საროტს და ვუყურებ ცოლიანი გი ტრებერის ფოტოს. მაგრამ ეს ყველაფერი თითქოს ჩემს თავს ხდება და ამავე დროს თუ რამეს ვაკეთებ, ან რაიმე გადაწყვეტილებას ვიღებ, ყველაფერი წარსულიდან მოდის. ჩემი ხელით ვიღებ ბიბლიოთეკაში კრეველს, რობერ არლტს, ჟარის, მე მალეღვებს დღევანდელი დღე, მაგრამ მუდამ გუშინდელიდან ვუყურებ (მალეღვებს-მეთქი ვთქვი?), ასეცაა, რადგან ჩემ ასაკში წარსული გადაიქცევა აწმყოდ, ხოლო აწმყო უცნაურ და გაურკვეველ მომავლად, როდესაც მაისურებიანი ყმაწვილები და თმაგაშლილი ქალიშვილები სვამენ ნალებიან ყავას და ისე ეფერებიან ერთმანეთს, ზანტი კატა ან ხვიარა მცენარე გაგახსენდება.

უნდა ვებრძოლოთ ამას.

ისევ უნდა ჩავებათ აწმყოში.

რაკი მონდრიანს მამსგავსებენ, ergo...

მაგრამ მონდრიანი თავის აწმყოს ხატავდა ორმოცი წლის წინ.

(ერთ-ერთ ფოტოზე მონდრიანი ჩვეულებრივი ორკესტრის დირიჟორივით გამოიყურება (ხულიო დე კარო, ECCO!) სათვალე, გადაგლესილი თმა, გახამებული საყელო, საზიზღარ იერს აძლევს, თანაც ვილაც მდაბიო გოგოსთან ცეკვავს, მაინც რანაირ აწმყოს ხედავდა მონდრიანი მაშინ, იმ ცეკვის დროს? მისი ტილოები, მისი ეს ფოტოსურათი... ჯურღმულია).

შენ დაბერდი, ორასიო. კვინტუს ორასიო ოლივეირა დაბერდა, ჰორაციუს ფლაკუსი, ჩაჩანაკი და ბებერი ხარ ოლივეირა.

– Il verse son vitriol entre les cuisses des faubourgs[78] –
ქირქილებს კრეველი.

რა გაეწყობა? ამ დიდ არეულობაში კვლავ ფლიუგერი მგონია ჩემი თავი, ამდენი ტრიალის მერე, ბოლოს მაინც უნდა მივა-

ნიშნო სად ჩრდილოეთია და სად სამხრეთი. ვილაცას ფლიუგერი რომ უწოდო, ამისთვის დიდი წარმოსახვის უნარი არცაა საჭირო: იმას კი ხედავ, რომ ტრიალებს, მაგრამ იმას არ ამჩნევ, რომ ისარს უნდოდეს აფრასავით გაიბეროს, ჰაერის ნაკადში შეიჭრეს და გაშეშდეს.

არის მეტაფიზიკური მდინარეები, ჰო, საყვარელო, ცხადია, არის, მაგრამ შენ საკუთარ შვილზე უნდა იზრუნო, ზოგჯერ კიდევ იტირო, მაგრამ გათენდება მეორე დღე და ყვითელი მზე ამოვა, თუმცა კი არ ათბობს. *J'habite à Saint–Germain–des–Prés, et chaque soir j'ai rendez–vous avec Verlaine. / Ce gros pierrot n'a pas changé, et pour courir le guilledou...*[79] ჩაუშვებ ოც ფრანკს ავტომატში და ლეო ფერე გიმღერებს თავისი სიყვარულის შესახებ, ან ჟილბერ ბეკო, ანდა გი ბეარი. იქ, ჩემს ქვეყანაში კი: „თუ გინდა ცხოვრება ვარდისფერებში დაინახო, ჩაუშვი ავტომატში ოცი სენტავო...” ანდა ეგებ რადიო ამჯობინე (ოთხშაბათს მთავრდება გაქირავების ვადა, შეხსენება გჭირდება) და კამერულ მუსიკას უსმენ, ალბათ უფრო მოცარტს, ანდა ფირფიტას უსმენ, ძალიან დაბალ ხმაზე დააყენე, რომ როკამადურს არ გაეღვიძოს. მე მგონია, კარგად არ გესმის, რომ როკამადური ძალიან მძიმეა ავად, საშინლად დასუსტებულია და ასეთ ავადმყოფს მხოლოდ საავადმყოფოში უმკურნალებდნენ. მაგრამ მეც აღარ შემიძლია ამაზე ლაპარაკი, ერთხელ ვთქვი, რომ ყველაფერი დამთავრდა, მე კი დავეხეტები აქეთ-იქით, დავბორიალებ და ვეძებ სად ჩრდილოეთია და სად სამხრეთი, თუკი ეს ისაა, რასაც ვეძებ.

თუკი ესაა, რასაც ვეძებ. მაგრამ თუ ეს ის არ არის, რასაც ვეძებ, მაშინ რა არის ეს? ოჰ, ჩემო საყვარელო, როგორ მენატრები, შენ ხარ ჩემი კანის ტკივილი, ჩემი ყელის ტკივილი, როცა კი ამოვისუნთქავ, ისეთი გრძნობა მეუფლება, თითქოს სიცარიელით მევსება მკერდი, რადგან შენ უკვე იქ აღარ ხარ.

– *Toi – ამბობს კრეველი – toi toujours prêt à grimper les cinq étages des pythonisses faubouriennes, qui ouvrent grandes les portes du futur...*[80] და მაინც რატომ არ უნდა ვეძებო მაგა, რატომ არა, რამდენჯერ გავსულვარ სენის ქუჩაზე, გამივლია თალი

და, კონტის სანაპიროზე მოლივლივე ვერცხლისფერ-ზეთისხილისფერ ნისლში ნელ-ნელა რომ იკვეთებოდა ფორმები, უკვე მის სიფრიფანა სხეულსაც ვხედავდი ხელოვნების ხიდზე და მერე აქედან ვიწყებდით ჩრდილების დევნას, შევექცეოდით შემწვარ კარტოფილს სენ დენისთან, ვკოცნიდით ერთმანეთს სენ-მარტინის არხზე გაჩერებულ ბარკასებთან.

მასთან თითქოს სულ მთლიანად გადავხალისდებოდი ხოლმე, სხვანაირად შევიგრძნობდი საღამოჟამის ზღაპრულ ნიშნებს, სხვანაირად იხატებოდა ირგვლივ ყველაფერი, როცა ერთად ვიყავით, და კურ დე როანის ჯებირზე მოძვრებოდნენ მაწანწალები მოწმეთა და მსაჯულთა შემზარავ მოჩვენებათა სამეფოში... რატომ არ უნდა მიყვარდეს მაგა, რატომ არ უნდა დავეუფლო მას ამ მოწმენდილი ცის ქვეშ, ან იქ, 600 ფრანკად ღირებულ ჭერქვეშ, ბოლომდე გაქუცულ-გაპოხილ საბანში. თუკი ამ თავბრუდამხვევ კლასობანას თამაშში, ფეხებშეკრულ მორბენალთა შორის მე ვხედავდი საკუთარ თავს, დროის ხუნდებს და მაიმუნების იარლიყებიან გალიას, მის ვიტრინებს „Omega Electron Girard Perregoud Vacheron & Constantin”[81], საათებით და წუთებით რომ ზომავენ, წმინდა მოვალეობებით რომ გვასაჭურისებენ, სანამ არ გავაღწევ იქ, სადაც უკანასკნელი ხლართებისგან გავთავისუფლდებით და სადაც იქნება სარკე ნეტარებისა და სიახლოვისა, სარკე ტოროლებისა, ლალი ფრინველებისა, და მაინც სარკე, იდუმალემა ორი არსებისა, როკვა ბარდახშის ირგვლივ, მერე ძილი, როცა ჯერ არ მოსცილებია ბაგე ბაგეს, სექსის მერე ჯერ არ განელეებულა სითბო, მკლავები ღიანებივით გადახლართულა, ისევ ეალერსება ხელი თეძოს თუ ყელ-კისერს...

– Tu t'accroches à des histoires... – ამბობს კრეველი, – Tu étreins des mots...[82] – არა, ბებერო, ეს უფრო კარგად გადის ოკეანის გადაღმა, რომელსაც შენ არ იცნობ. რაღაც ხანია აღარაფერს ვერჩი სიტყვებს, ისევე ვიყენებ, როგორც თქვენ და როგორც ყველა, მაგრამ სანამ მოვირგებდე, ჯაგრისით კარგად ვხეხავ ხოლმე.

კრეველი არ მენდობა და მესმის მისი. მაგასა და ჩემ შორის სიტყვების მთელი შამბნარი გაჩნდა და როგორც კი ჩვენ ერთმანეთს დაგვაშორა საათებმა და კვარტლებმა, ჩემს ტკივილს ეწოდა ჩემი ტკივილი, ჩემს სიყვარულს — ჩემი სიყვარული... ყოველ ჯერზე ნაკლებად ვგრძნობ და მახსოვს მეტი, მაგრამ რას ნიშნავს ეს გახსენება, თუ არა გრძნობათა ენას, თუ არა სიტყვათა, სახეთა და დღეთა ლექსიკონს, და კიდევ სურნელებათა ენას, რაც გვიბრუნდება გმნების, გედსართავი სახელებისა და მეტყველების სხვა ნაწილების ფორმით და თანდათან წმინდა აწმყოსთან მიახლოვებასთან ერთად გადაიქცევიან საგნებად თავისსავე თავში და ადრინდელი გრძნობების ნაცვლად მოგგვრიან სევდას, ან მრევლის მღვდელივით დაგვმოძღვრავენ, სანამ ჩვენივე არსება არ გახდება წარსულის შემცვლელი, ხოლო ჩვენი სახე და ფართოდ გახეილილი თვალები არ მიაპყრობს მშერას წარსულს, ჩვენი ჭეშმარიტი სახე ნელ-ნელა ფერმკრთალდება და ისე წაიშლება, როგორც წაიშლება ხოლმე სახეები ძველ ფოტოსურათებზე, და აი, ასე ყოველი ჩვენგანი უცბად გადაიქცევა იანუსად. ამ ყველაფერზე ველაპარაკები კრეველს, მაგრამ სინამდვილეში ველაპარაკები მაგას, ახლა, როცა ასე შორს ვართ ერთმანეთისგან. და მე მას იმ სიტყვებით კი არ ვესაუბრები, რომ ერთმანეთს ვერ გავუგოთ, ახლა, როცა უკვე გვიანია, მე უკვე სხვა სიტყვებს ვარჩევ, მის სიტყვებს, მისთვის გასაგებს, რასაც არა აქვს სახელი, და რაც გადაიქცევა აურად და დაძაბულობად, ნაპერწკალივით გაიბრუნს ორ სხეულს შორის და ოქროს მტვერივით განიბნევა მათ სამყოფელში, ანდა ლექსში. მაგრამ განა ასე არ ვცხოვრობდით მთელი ეს დრო და არ ვაყენებდით ერთმანეთს ჭრილობებს სიყვარულით? არა, ასე არ ვცხოვრობდით, მას შეიძლება კიდევ უნდოდა ასე ცხოვრება, მაგრამ მე კიდევ რამდენჯერ დავამყარე ყალბი წესრიგი, რაც მხოლოდ ქაოსს ნიღბავს, ვითომ ჩავუღრმავდი ცხოვრებას, სინამდვილეში კი ოდნავ ფეხის წვერით თუ შევეხე საშიში წყლის ნაპირს. არის მეტაფიზიკური მდინარეები, სადაც იგი ისე ცურავს, როგორც მერცხალი დასტრიალებს თავს სამრეკლოს, დაეშვება და კვლავ აიჭრება ჰაერში. მე აღწერ, განვსაზღვრავ და მსურს ეს მდინარეები, მას კი ეს არც სჭირდება, მე ვეძებ მათ, ვპოულობ, ვუყურებ ხიდიდან, ის კი ცურავს მათში ისე, რომ

თვითონაც არ იცის, ისევე როგორც არ იცის იმ მერცხალმა. არც სჭირდება იცოდეს, როგორც მე მჭირდება, შეუძლია იცხოვროს ამ ქაოსში და არანაირი წესრიგის შეგრძნება არ აწუხებდეს. ეს უწესრიგობაა სწორედ მისი იდუმალი წესრიგი, სულისა და სხეულის ბოჭემა, რომელიც უხსნის ჭეშმარიტ კარებს. მისი ცხოვრება მარტო ჩემთვისაა უწესრიგობა, ჩემთვის, ცრურწმენებში გამომწყვდეულისთვის, რომლებიც ასე მძულს და ამავე დროს პატივს ვცემ. მე უიმედოდ განწირული ველოდები, რომ ოდესმე მომიტევოს მაგამ, რადგან ის არის ჩემი მსაჯული, ოღონდ ისე რომ თავად არ იცის. აჰ, შემომიშვი შენს სამყაროში, ერთი დღით მაინც დამრთე ნება შენი თვალებით დავინახო ეს ყველაფერი.

ამაოდ. ამაოდ განწირულივით ველოდები მიტევებას. დაბრუნდი სახლში და წაიკითხე სპინობა. მაგა კითხულობს რუსულ და გერმანულ უსასრულო რომანებს და პერეს გალდოსს და მაშინვე ავიწყდება.

აზრადაც არ მოსდის, რომ მე გამწირა სპინობას წასაკითხად. არგაგონილი მსაჯული, მსაჯული, საკუთარი ხელით რომ გამოაქვს განაჩენი, მსაჯული, ვისი ერთი შეხედვაც კმარა, რომ ბოლომდე გავშიშვლდე მის წინაშე, მსაჯული ესოდენ სულელი და უიღბლო, მოუწესრიგებელი და ისეთი ჩერჩეტი, მეტი რომ არ შეიძლება. იმ ყველაფრის გამო, რასაც მწარედ განვიცდი ჩემი ცოდნის წყალობით, მთელი ჩემი დამპალი საუნივერსიტეტო განსწავლულობის და განათლების წყალობით, ამ ყველაფრის გამო განვიკითხები. დაეშვი ქვევით, მერცხალო, კუდმაკრატელა, ჰაერს რომ კვეთ სენ-ჟერმენ-დე-პრეს თავზე, ამომკორტენ ეს თვალები, რომლებიც უყურებენ და ვერ ხედავენ, რამეთუ ჩემი განაჩენი გასაჩივრებას არ ექვემდებარება, გამზადებულია ცისფერი ეშაფოტი, რომელზეც ამიყვანს ქალის ხელები, საკუთარ შვილს რომ უნანავებს, გამზადებულია სასჯელი, მზადაა ცრუ წესრიგი, სადაც მე მარტომ უნდა აღვიდგინო საკუთარი კმაყოფილების, საკუთარი თავის რწმენა, თვითშემეცნებისა და ცნობიერების მეცნიერება. და როცა უკვე ამდენ მეცნიერებას ვეზიარები, მერე გულისგამგმირავი ნაღველი შემომაწვება რაღაც

სხვა რამის გამო, მომენატრება თუნდაც, ვთქვათ, წვიმა, ბოლოს მაინც თუ წამოვა და მიწის სუნს დაატრიალებს, გააცოცხლებს ირგვლივ ყველაფერს, დიახ, სიცოცხლის სუნს დაატრიალებს.

(-79)

22

შემთხვევის ადგილზე ხალხი შეიყარა და ყველა თავის აზრს გამოთქვამდა; ერთი ამბობდა მოხუცს ფეხი დაუცურდაო, მეორე – მანქანამ წესი დაარღვია, წითელ შუქზე გაიარაო, მესამე – ეტყობა, მოხუცს თავის მოკვლა უნდოდაო, ზოგი გაიძახოდა პარიზში დღითიდღე უარესდება საგზაო მოძრაობაო, უკვე საშიშია სიარულიო, მოხუცი არ არის დამნაშავეო, მოხუცი დამნაშავეაო, მანქანას უთუოდ მოშლილი ჰქონდა მუხრუჭებიო, მოხუცის გაუფრთხილებლობის ბრალიაო, ატყდა ერთი ჩოჩქოლი, პარიზში დღითიდღე ძვირდება ცხოვრება, ბევრი უცხოელია, რომლებმაც არ იციან მოძრაობის წესები და ამასთან ერთად ფრანგებს სამუშაო ადგილებსაც ართმევენო.

ეტყობა, მოხუცი ძალიან მაინც არ იყო დაშავებული, დაბნეული ილიმებოდა და ულვაშებზე ხელს ისვამდა. სასწრაფო დახმარების მანქანაც მოვიდა, მოხუცი საკაცებზე დააწვინეს, მანქანის მძღოლი კი ისევ იქნევდა ხელებს და პოლიციელს თუ ცნობის-მოყვარეებს უხსნიდა შემთხვევის მიზეზს.

– იგი მაღამის ქუჩაზე ცხოვრობს, 32–ე სახლში, – თქვა ერთმა წითურმა ბიჭმა, რომელსაც, ჩანდა, უკვე მოესწრო ოლივეირასთან და კიდევ ზოგიერთ ცნობისმოყვარესთან გამოლაპარაკება, – იგი მწერალია, მე ვიცნობ, წიგნებს წერს.

– ბამპერმა პირდაპირ ფეხებში დაარტყა, მაგრამ მძღოლმა დროზე დაამუხრუჭა.

– მკერდზე დაარტყა, – თქვა ბიჭმა, – თუმცა მოხუცს სწორედ იმ დროს აუსრიალდა ფეხი იმ სიბინძურებზე...

– ფეხებში დაარტყა, – თქვა ოლივეირამ.

– გააჩნია რომელი მხრიდან დაინახეთ, – თქვა მეტისმეტად დაბალმა კაცმა.

– მკერდზე დაარტყა, – დაიჩემა ბიჭმა, – საკუთარი თვალით დავინახე.

– ასეთ შემთხვევაში... კარგი იქნება, თუ მის ოჯახს შევატყობინებთ. – ოჯახი არა ჰყავს, ის მწერალია.

– აა... – ესლა თქვა ოლივეირამ.

– მას მხოლოდ კატა ჰყავს და უთვალავი წიგნი აქვს. ერთხელ მე თვითონ ვნახე. რალაც პაკეტი მივუტანე, მეკარემ მთხოვა და მან შინაც შემიპატიჟა. ყველგან წიგნები ეწყობო. მაინც დამაინც მას უნდა შემთხვეოდა? ისე, მწერლები დაბნეული ხალხი კია. მე რომ მანქანა დამეჯახოს...

როგორც კი წინწკვლა დაიწყო, მოწმეთა თუ ცნობისმოყვარეთა ჯგუფიც ერთბაშად დაიშალა. ოლივეირამაც კანადური ქურთუკის საყელო აიწია ისე, რომ იმ ცივ ქარში მარტო ცხვირი-ლა უჩანდა და გზას დაადგა, მაგრამ საით, თვითონაც არ იცოდა. იგი დარწმუნებული იყო, რომ მოხუცს არაფერი ჰქონდა დაშავებული, მაგრამ თვალიდან არ შორდებოდა მისი სახე, თითქოს მშვიდი, მაგრამ დაბნეული, მითუმეტეს, საკაცებზე რომ აწვედნენ და მბრუნველი, გულითადი სიტყვებით ამხნევებდნენ – „Allez, pépère, c'est rien, ça!” – ქერათმიანი სანიტარი ალბათ ყველას ამას ეუბნებოდა. „კომუნიკაციის სრული მოშლა! – ფიქრობდა ოლივეირა, – მარტო იმიტომ კი არა, რომ ჩვენ მარტოხელები ვართ, ეს თავისთავად, და არც ნათესავები გვყავს; მარტოობა ნიშნავს გარკვეულ სიბრტყეში მარტომყოფობას, როცა სხვა მარტოობაც შეგვეხმიანებოდა, თუკი ასეთი რამ შეიძლება მოხდეს. მაგრამ კონფლიქტების დროს, იქნება ეს ქუჩაში უბე-

დური შემთხვევა თუ ომის გამოცხადება, სხვადასხვა სიბრტყეების გადაკვეთა ხდება ხოლმე და ადამიანი, რომელიც შეიძლება იყოს გამორჩეული პიროვნება სანსკრიტის, ანდა კვანტური ფიზიკის სფეროში, მამაჩემო ხდება სანიტარისთვის, რომელიც მას პირველ დახმარება უწევს. წარმოვიდგინოთ ედგარ პო საკაცეზე, ვერლენი — ექიმბაშების ხელში, ნერვალის და არტო ფსიქიატრების წინაშე; რა უნდა იცოდეს კიტსის შესახებ იტალიელმა მკურნალმა, რომელმაც სისხლი გამოუშვა მას, ან აშიმშილებდა, თუ ეს ადამიანები ხმას არ იღებენ, და ასეცაა, — მაშინ მეორენი ზეიმობენ, ეგებ ბრმად, და ეგებ არც ბოროტი განზრახვა ჰქონდეთ და აზრად არ მოსდით, რომ ეს ნაოპერაციები, ის ტუბერკულოზით დაავადებული, ან ის დაჭრილი, შიშველი, გათოშლილი რომ წევს ლოგინზე, ორმაგად მართლა, თუმცა მის ირგვლივ ფუსფუსებენ ადამიანები, მაგრამ შუშის მიღმა, თითქოს სხვა დროში...”

ოლივეირა სადარბაზოში შევიდა და სიგარეტს მოუკიდა. საღამოვდებოდა, ქალიშვილები ჯგუფ-ჯგუფად გამოდიოდნენ მაღაზიებიდან, მათთვის თითქოს აუცილებელი იყო სიცილი, ხმა-მაღლა ლაპარაკი, მოძრაობა, რომ თუნდაც საათის მეოთხედი ლაღად ეგრძნოთ თავი და მერე კი ბიფსტეიკს და ყოველკვირეულ ჟურნალს დააცხრებოდნენ. ოლივეირამ გზა განაგრძო. არცაა საჭირო დრამატიზება, ყველაზე თავმდაბალი ობიექტური მიდგომა ის იქნებოდა, რომ მორჩილად ჩაგვეყვინთა პარიზულ აბსურდში, შემგუებლურ ცხოვრებაში. და რაკი მან გაიხსენა ეს პოეტები, იოლად შეიძლებოდა დასთანხმებოდა ყველას, ვინც კი ხმამაღლა განაცხადა ადამიანის ადამიანთა შორის მართობის შესახებ, ამხილა ის სასაცილო კომედია მისალმებებისა და ბოდიშებისა, კიბეზე რომ შეხვდები ვინმეს, ან როცა მეტროში ადგილს დაუთმობ ქალს, და მითუმეტეს პოლიტიკური თუ სპორტული დაძმაცაცება. მხოლოდ ბიოლოგიურ და სექსუალურ ოპტიმიზმს შეუძლია დამალოს ზოგიერთის წყენა, ასე რომ აწამებდა ჯონ დონს. ის ურთიერთობები, რაც შეიძლება დამყარდეს ადამიანებს შორის რომელიმე სფეროში მოღვაწეობის დროს, სამსახურში, ლოგინში თუ სპორტულ მოედანზე, ეს ისეთი ურთიერთობაა, როგორიც შეიძლება იყოს ხეების ტოტებსა და

ფოთლებს შორის, ერთმანეთს რომ გადაეჭდობიან და ეალერსებიან, მაშინ როცა ხეების ტანებს ამაყად მიჰყავთ ზევით ეს საკუთარი არათანხვედრი პარალელური წრფეები. „ჩვენც შეგვეძლო შეგნითაც ისეთები ვყოფილიყავით, როგორც გარედან — გაიფიქრა ოლივეირამ, — მაგრამ მაშინ სხვანაირად უნდა გვეცხოვრა. მერე რას გულისხმობს ეს სხვანაირი ცხოვრება? შეიძლება ისეთ ცხოვრებას, აბსურდულად რომ გაატარებ, რათა ამით ბოლო მოუღო აბსურდს, ისეთი გაშმაგებით ჩაიძირო საკუთარ თავში, რომ საკუთარი თავისკენ ნახტომით სხვის მკლავებში აღმოჩნდე. ჰო, ალბათ სიყვარულია, მაგრამ „otherness“ [84] იმდენ ხანსვე გრძელდება ჩვენთვის, რამდენ ხანსაც ქალისადმი სიყვარული, თანაც ეს მხოლოდ ერთ ქალს ეხება.

არსებითად არ არსებობს არანაირი „otherness“ არსებობს მხოლოდ სასიამოვნო „togetherness“ [85]. თუმცა ეს სხვაა... სიყვარული ფუძემდებლური ცერემონიაა, არსებობის მომცემი. და იმავე წუთს გაუელვა, რომ ეს აზრი ალბათ სულ თავიდან უნდა მოსვლოდა: თუ საკუთარ თავს ვერ ფლობ, ვერც სხვათა ფლობას შეძლებ. მერედა ვინ ფლობს ნამდვილად საკუთარ თავს? შეძლო კი ვინმემ, დაბრუნებოდა საკუთარ თავს აბსოლუტური მარტოობიდან, ისეთი მარტოობიდან, როცა საკუთარ თავთან ურთიერთობის იმედიც აღარ გაქვს, როცა იძულებული ხარ ან კინოში შერგო თავი, ან საროსკიპოში, ან მეგობარს ესტუმრო სახლში, თუნდაც რაიმე პროფესიამ გაგიტაცოს, ანდა ქორწინებაზეც დათანხმდე, ოღონდ კი მარტო არ იყო, თუნდაც მარტო სხვებს შორის? და აი, პარადოქსიც, მარტოობის მწვერვალს უფერულობის მწვერვალამდე მივყავართ, იმისკენ, რომ სხვისი საზოგადოება მხოლოდ დიდი ილუზიაა, რომ ადამიანი მარტო მიდის ცხოვრების გზაზე, იმყოფება დარბაზში, სადაც მხოლოდ სარკეები და ექოა. მაგრამ მისი მსგავსი ადამიანები და ბევრი სხვაც, ვინც კი აღიარებდნენ საკუთარ თავს (ან უარყოფდნენ, მას შემდეგ, რაც კარგად შეიცნობდნენ), კიდევ უფრო უარეს პარადოქსში ვარდებოდნენ, ისინი მიდიოდნენ განმსჭვალულობის საზღვრამდე, მაგრამ ამ ზღვარის გადალახვა აღარ შეეძლოთ. ჭეშმარიტი განმსჭვალულობა თუ აგებულია ფაქიზ ურთიერთობებზე, სამყაროსთან ულამაზეს თანხმობაზე, არ შე-

იძლება ცალმხრივი იყოს, გაწვდილ ხელს მეორემ უნდა შეაგებოს თავისი ხელი, მეორე მხრიდან მეორე ხელი.

(-62)

23

იგი ქუჩის კუთხეში შეჩერდა, ფიქრებისგან დაქანცულს, უკვე ისიც აღარ ესმოდა, რაზე ფიქრობდა (ერთადერთი, ერთი წუთითაც რომ არ ავიწყდებოდა, თუმცა თვითონაც ვერ გაეგო რატომ, იყო მოხუცი, რომელიც ახლა ალბათ იწვა საავადმყოფოს საწოლზე, გარს ეხვეოდნენ ექიმები, მედდები და სტუდენტები, თავაზიანები, მაგრამ უსახოები, ეკითხებოდნენ სახელს, ასაკს, პროფესიას, ანუგეშებდნენ, რომ საშიში არაფერი იყო, გადაუდებელი დახმარებაც გაუწიეს, შესახვევი შეუხვიეს, ნემსიც გაუკეთეს). ოლივეირა კი იდგა და იყურებოდა აქეთ-იქით, რა ხდებოდა ირგვლივ, ხდებოდა კი ის, რაც ხდება ნებისმიერ ქალაქში, ნებისმიერ კუთხეში, ზუსტი ასლი იმისა, რაზეც ფიქრობდა, ამისთვის სულ არ სჭირდებოდა ძალდატანება, საკმარისი იყო მიეხედ-მოეხედა. ციოდა და კაფეს შეათარა თავი (უფრო იმიტომ რომ ერთი ჭიქა ღვინო დაეღია), იქ რამდენიმე კალატომი დახლთან იდგა და პატრონს ემასლაათებოდა, მაგიდასთან ორი სტუდენტი იჯდა, კითხულობდა და წერდა, ოლივეირამ დაინახა, რომ მათ თავები ასწიეს, შეხედეს კალატომებს, ისევ დაუბრუნდნენ თავიანთ წერას და კითხვას, ისევ ასწიეს თავები, ისევ შეხედეს კალატომებს, ეს იყო და ეს. მეორე სართულზე, კაფეს გადახურულ ტერასაზე, ფანჯარასთან იჯდა ქალი, რომელიც კერავდა ან ჭრიდა, მისი მაღალი ვარცხნილობა რიტმულად მოძრაობდა. ოლივეირამ წარმოიდგინა, რაზე ფიქრობდა ახლა იგი, როცა მაკრატელი ეჭირა ხელში, ალბათ ბავშვებს ელოდებოდა, სკოლიდან რომ უნდა დაბრუნებულიყვნენ, შეიძლება ქმარიც ამ დროს ამთავრებდა თავის სამუშაო დღეს ოფისში ან ბანკში.

კალატომები, სტუდენტები, ეს ქალი, ახლა კიდევ ეს მაწანწალა გამოვიდა ქუჩის კუთხიდან, ჯიბიდან ბოთლი მოუჩანდა და ათასგვარი ხარახურით სავსე საბავშვო ეტლს მოაგორებდა, რომელშიც ყველაფერი ერთად ჩაეყარა — ძველი გაბეთები, კონსერვის ცარიელი ქილები, ჭუჭყიანი ძველმანები, თავმოგლეჯილი თოჯინა, რაღაც პაკეტი, საიდანაც გამხმარი თევზის კუდი გამოჩხერილიყო. კალატომები, სტუდენტები, ქალი, მაწანწალა, ხოლო ჯიხურში — Loterie Nationale[86], რომელიც გეგონებათ საგანგებოდ დაუდგამთ მათთვის, ვისაც სამარცხვინო ბოძზე გაკვრა აქვს მისჯილი, ზის მოხუცი ქალი, უიმედოდ ელოდება მყიდველს, გათოშილი ეფიცება მაყალს, ზის ამ დახშულ, ვერტიკალურ კუბოში და მაინც მშვიდად სთავაზობს გამვლელებს იღბლიან ლატარიის ბილეთებს, თავად კი ფიქრობს, ვინ იცის რაზე ფიქრობს, რა ფუთფუთებს მის ბებრულ მეხსიერებაში, ნამცეცებივით დაფანტული მოგონებები, შორეული ბავშვობა, სკოლის მასწავლებელი კანფეტებს რომ სთავაზობდა, სომაზე დაღუპული ქმარი, კომივოიაჟერი შვილი, ოთახი მანსარდაში, სადაც საღამოობით წყალი არ მოდის, სამი დღის სამყოფი, სახელდახელოდ მომზადებული წვნიანი, beouf bourguignon[87], ბიფსტეიკზე იაფი რომ ღირს, TIRAGE MERCREDI[88] ჩაჩიდან თხელი ბუწუწები ჩამოშლია, ლურჯი ხელთათმანები აცვია, ფეხებს მაყალზე ითბობს და უიმედო იმედით ელოდება მყიდველს — TIRAGE MERCREDI. კალატომები, სტუდენტები, მაწანწალა, ლატარიის ბილეთების გამყიდველი, ყველა თავის ჯგუფში, ყოველი თავის შუშის კოლოფში; მაგრამ აი ვიღაც მოხუცს მანქანა დაეჯახა და ყველა შემთხვევის ადგილისკენ გარბის, იწყება ერთი სჯა-ბაასი, კამათი, ერთი ერთს ამბობს, მეორე — მეორეს, სანამ წვიმა არ წამოვა, კალატომები ისევ კაფეს მიაშურებენ, შეჯგუფდებიან დახლთან, სტუდენტები მიბრუნდებიან მაგიდასთან, განლაგდებიან X — X—თან, Z — Z—თან.

„მხოლოდ მაშინ შეძლებ გაარღვიო ეს უსასრულო აბსურდი, როცა ცხოვრობ აბსურდულად, — ისევ გაიფიქრა ოლივეირამ, — ეექ, ასე ხომ ბოლომდე გავილუმპები, თუ სადმე არ შევაფარე თავი,“ — და იქვე დაინახა განცხადება Salle de Géographie[89]

და შევიდა ვესტიბიულში, კონფერენცია ავსტრალიის შესახებ, უცნობი კონტინენტი.

კრისტო დე მონფავეს კოლეჯის მოსწავლეთა შეკრება. მადამ ბერტ ტრეპას საფორტეპიანო კონცერტი. ჩაწერა მეტეორიტების შემსწავლელ კურსებზე. გახდით ძიუდოსტები ხუთ თვეში. კონფერენცია ქალაქ ლიონის ურბანიზაციის შესახებ. საფორტეპიანო კონცერტი უკვე იწყება, ბილეთები ძალიან იაფია. ოლივიერამ ცას ახედა, მხრები აიჩეჩა და შევიდა. ერთი კი გაიფიქრა, ეგებ რონალდთან წავიდე სახლში ან ეტიენტან ატელიეშიო, მაგრამ გადაწყვიტა, მოგვიანებით მოვიფიქრებო. რატომღაც სასაცილოდ ეჩვენა პიანისტის სახელი — ბერტ ტრეპა, ამ კონცერტზე მისი დასწრებაც სასაცილო იყო, მაგრამ ცოტა ხნით მაინც დააღწევდა თავს ფიქრებს. ესეც ერთი ირონიული ილუსტრაცია იმისა, რაზეც ქუჩაში ხეტიალისას ფიქრობდა. „ჩვენ ვართ არარაობა, ეეჰ“ — გაიფიქრა მან, როცა 120 ფრანკი ლამის ცხვირწინ დაუდო სალარო-გალიაში მომლოდინე მოხუც ქალს, რომლის წყალობით მეათე რიგი შეხვდა, თუმცა უკვე კონცერტი იწყებოდა და მსურველებიც არ ჩანდნენ. რამდენიმე კაცი თუ იყო, ერთი წვერებიანი მოხუცი, ერთიც მელოტი და კიდევ ორიოდ სხვაც, ეტყობა ან მეზობლები, ან ოჯახის წევრები, აგრეთვე ორი 40—45 წლის ქალი, ძველი, გაქუცულ-გახუნებული პალტოები რომ ეცვათ და ქოლგებიდან წურწურით ჩამოსდიოდათ წყალი. რამდენიმე ახალგაზრდა წყვილიც დაინახა, ხმამაღლა კამათობდნენ, შაქარყინულს ახრამუნებდნენ და ვენურ სკამებს აჭრაჭუნებდნენ.

სულ ოციოდე ადამიანი თუ იქნებოდა. წვიმიანი დღის სუნიც იდგა.

ამ უზარმაზარ დარბაზში ნესტი და სიცივე უსიამოვნო განწყობას იწვევდა. ფარდის უკან, სცენის სიღრმეში ლაპარაკობდნენ, მაგრამ ვერაფერს გაარჩევდი. ერთმა ბერიკაცმა ჩიბუხი აანთო და ოლივიერამაც არ დააყოვნა, გალუაზი ამოიღო. მაინც ვერ მოისვენა, ფეხსაცმელი წყლით იყო გაჟღენთილი, ობისა და სველი ტანსაცმლის სუნი იდგა. სიგარეტი მალევე ჩააქრო. გაისმა ზარის ხმა და ახალგაზრდებმაც მაშინვე შემოჰკარეს ტაში. მო-

ხუცმა ვაპელდინერმა ქალმა, რომელსაც ეტყობოდა წინადღის გრიმი შერჩენოდა, შემოსასვლელ კარებზე ფარდა გადასწია. მაშინლა გაახსენდა ოლივეირას, რომ პროგრამაც მისცეს. ძლივს გაარჩია ფურცელზე ცუდად დაბეჭდილი სიტყვები — მა-დამ ბერტ ტრეპა, ოქროს მედლის მფლობელი, შეასრულებდა როუმ ბობის „სამ შეწყვეტილ მოძრაობას“ (პირველი მოსმენა), ალიქს ალიქსის „გენერალ ლეკლერკის საპატივსაცემო პავანას“ (პირველი შესრულება) და „სინთემს დელიბი — სენ-სანსი“, დელიბის, სენ-სანსისა და ბერტ ტრეპასი.

„ჯანდაბა, — გაიფიქრა ოლივეირამ, — ჯანდაბა შენ, მაგ შენი პროგრამიანად“. კაცი ვერ გაიგებდა საიდან და როგორ აღმოჩნდა როიალის უკან ერთი სენიორი, რომლის უზარმაზარი ღაბაბი და თეთრი ფაფარი უმაღლესი მიიქცევდა ყურადღებას, ეცვა შავი ტანსაცმელი და ვარდისფერი ხელით თითქოს ეფერებოდა ძეწკვს, მის მოდურ ჟილეტს რომ ამშვენებდა. ოლივეირას მოეჩვენა, რომ ჟილეტი კარგა მაგრად იყო გაპოხილი. გაისმა ტაშის ხმა, მაგრამ ცოტა შეკავებული, ეტყობა, იმ ქალიშვილმა, იისფერი ლაბადა რომ ეცვა და ოქროსჩარჩოიანი სათვალე ეკეთა, მეტი ვერ მოითმინა. ღაბაბიანმა კაცმა თუთიყუშივით ყაშყაშითა და ხმის თამაშით წარმოთქვა შესავალი სიტყვა, საზოგადოებას ამცნო, რომ როუმ ბობი ბერტ ტრეპას ყოფილი მოწაფე გახლდათ, ხოლო ალიქს ალიქსის პავანა ეკუთვნოდა არმიის გამოჩენილ ოფიცერს, რომელიც ამ ფსევდონიმით მალავდა ნამდვილ სახელს და რომ ამ ორივე კომპოზიციაში გამოყენებულია ყველაზე თანამედროვე მუსიკალური საშუალებები. რაც შეეხება „სინთემს დელიბი — სენ-სანსი“ (და აქ მოხუცმა აღტაცებით გადაატრიალა თვალეები), აქ არის თანამედროვე მუსიკის სფეროში ყველაზე დიდი სიახლეები, რასაც ავტორმა, მაღამ ტრეპამ უწოდა „წინასწარმეტყველური სინკრეტიზმი“; ეს დახასიათება იმდენად საშარტლიანი, რამდენადც დელიბის და სენ-სანსის მუსიკალური გენია მიმართულია კოსმოსისკენ, ინტერფუზიისკენ და ინტერფონიისკენ, დასავლური ინდივიდუალიზმის ძალადობით დათრგუნვილი და განწირული იმისთვის, რომ ვერასოდეს მიეღწია უმაღლეს სინთეტიკურ შემოქმედებამდე, რომ არა მაღამ ტრეპას გენიალური ინტუიცია.

და მართლაც, იგი თავისი არაჩვეულებრივი მგრძნობელო-ბით ჩასწვდა იმ თავისებურებებს, რაც შესაძლოა მსმენელს კი-დეც გამოპარვოდა და იტვირთა კეთილშობილური მისია, გამ-ხდარიყო ერთგვარი მედიუმი, თავისებური ხიდი, სადაც ერთმა-ნეთს შეხვდებოდა საფრანგეთის ეს ორი დიდი შვილი. არ შეიძ-ლება არ ითქვას ისიც, რომ მადამ ბერტ ტრეპა – მისი პედაგო-გიური მოღვაწეობის პარალელურად – მალე აღნიშნავს მუსიკა-ლური შემოქმედების ვერცხლის ქორწილსაც. მომხსენებელი ვერ ბედავს კონცერტის წინ, რომელსაც ასე მოუთმენლად ელო-დებოდა დამსწრე საზოგადოება, ღრმად გაანალიზოს მადამ ტრეპას მუსიკალური შემოქმედება, რასაც ის უთუოდ იმსახუ-რებს. თუმცა როუზ ბობისა და მადამ ტრეპას ნაწარმოებებს მა-ინც სჭირდება პატარა გასაღები, მათთვის, ვინც პირველად უს-მენს მათ, მათი ესთეტიკის ანტიისტრუქტურალისტური ანტიკონ-სტრუქციის მნიშვნელობის მოკლე შეჯამება, რაც გულისხმობს ავტონომიურ ბგერით უჯრედებს, წმინდა შთაგონების ნაყოფს, და რაც დაკავშირებულია ნაწარმოების საერთო ჩანაფიქრთან, თუმცა მთლიანად თავისუფალია კლასიკური, დოდეკაფონური და ატონალური მუსიკის კანონებისაგან (ორი უკანასკნელი სიტ-ყვა წარმოთქვა განსაკუთრებული მახვილით). მაგალითად, რო-უზ ბობის – მადამ ტრეპას სანუკვარი მოწაფის – ნაწარმოები „სამი წყვეტილი მოძრაობა“ წარმოიშვა იმ შთაბეჭდილებების შედეგად, რაც განიცადა მუსიკოსის არტისტულმა სულმა მთელი ძალით მიჯახუნებული კარების ხმაზე და ოცდათორმეტი აკორ-დი, რომელიც შეადგენს პირველ ნაწილს, არის კარების მიჯახუ-ნების ესთეტიკური გამოძახილი. ორატორი არ გაამხელს სა-იდუმლოს, როდესაც ესოდენ კულტურულ აუდიტორიას გაან-დობს, რომ კომპოზიციის ტექნიკა, რაც საფუძვლად დაედო „სინთეზს დელიბი – სენ-სანსი“, ენათესავება პრიმიტივისტულ და ეზოთერულ შემოქმედებით ძალებს.

მას არასოდეს დაავიწყდება ის უდიდესი პატივი, რომ დაეს-წრო სინთეზის ერთ-ერთი ფაზის შექმნას, როცა მადამ ტრეპას ამ ორი დიდი ოსტატის პარტიტურისთვის რაბდომანური ქანქა-რის გამოყენებაში ეხმარებოდა იმ მიზნით, რომ შეერჩიათ ის პასაჟები, რომელთა ზემოქმედება ქანქარაზე ადასტურებდა მა-

დამ ტრეპას გასაოცრად ორიგინალურ მხატვრულ ინტუიციას. და თუმცა შეიძლებოდა კიდევ ბევრი რამ ეთქვა, მაგრამ ორატორი თავის მოვალეობად მიიჩნევს დატოვოს სცენა, ოღონდ ჯერ უნდა მიესალმოს მაძამ ტრეპას, რომელიც გახლავთ ფრანგული სულის ერთ-ერთი შუქურა და გენიის ამაღლებული მაგალითი, თუმცა ფართო საზოგადოებისთვის ჯერ კიდევ გაუგებარი.

მოხუცს დაბაბი აუცახცახდა და ამდენმა ემოციებმა და ხველამ სული ისე შეუგუბა, რომ სასწრაფოდ მიიძალა სოფიტების მიღმა.

ოცმა წყვილმა ხელმა აქა-იქ დასცხო ტაში, რამდენიმე ასანთი აინთო, ხოლო ოლივიერამ ფეხები თავისუფლად გაშალა რამდენადაც შესაძლებელი იყო, უფრო მოხერხებულად მოეწყო სკამზე და შვება იგრძნო. ალბათ იმ მოხუცმაც, მანქანა რომ დაეჯახა, უკეთესად იგრძნო თავი საავადმყოფოს საწოლზე, ეგებ შოკის მერე კიდევ ჩათვლიმა, ბედნიერი ხანა, როცა საკუთარ თავს ველარ განაგებ და საწოლიც ნოეს კიდობანი გგონია, თითქოს უხელფასო შვებულებაში ხარ და ასე თუ ისე მაინც ირღვევა ცხოვრების ჩვეული ყოველდღიურობა. „ალბათ ამ დღეებში მის სანახავადაც წავალ, — თავისთვის თქვა ოლივიერამ, — უფრო სწორად, მის უკაცრიელ კუნძულს გავანადგურებ და სუფთა სილას ჩემი ფეხის ნაკვალევით დავუბინძურებ.“

ამასაც თავაზიანობა ჰქვია.”

ტაშის ხმაზე თვალები გაახილა და თავად გახდა მოწმე, რა გაჭირვებით იხრებოდა მაძამ ბერტ ტრეპა წელში და ძლივძლივობით უხდიდა მადლობას მსმენელს. სანამ სახეზე შეხედავდა, ჯერ თვალში ეცა მისი ფეხსაცმელი, კაბაც რომ ვერ უფარავდა და ამან პირდაპირ გააოგნა. ბრტყელცხვირიანი, უქუსლო ფეხსაცმელი რაღაც თასმებითა თუ ბაფთებით შეეკრა. მაგრამ ეს არაფერი, მოუდრეკავ კორსეტში ჩაჭედო მის სქელ, ტლანქ სხეულს მსუქანი და სქელი იმდენად არ ეთქმოდა, რამდენადაც ზორბა. ეტყობა, რადიკულიტი თუ ლუმბაგო აწუხებდა, ამიტომ უჭირდა მოძრაობა და მთელი ტანით უნდა მოხრილიყო, რომ

საზოგადოებისათვის მადლობა გადაეხადა; მერე მიტრიალდა, როიალსა და ტაბურეტს შორის გაჭირვებით ჩაიჭედა, ძლივძლივობით მოატრიალა თავი მადლობის ნიშნად, თუმცა ტაშს აღარავინ უკრავდა. „ასე გეგონება, თოკები აქვს გამობმული და ვილაც ამოძრავებსო,“ გაიფიქრა ოლივეირამ; მარიონეტები და ავტომატები მოსწონდა კიდეც და სასწაულებსაც ელოდებოდა ამ ავისმომასწავებელი სინკრეტიზმისგან. ბერტ ტრეპამ კიდეც ერთხელ გადახედა დამსწრე საზოგადოებას, მისმა მრგვალმა, თითქოს ფქვილშეფრქვეულმა სახემ, გეგონებოდათ უეცრად და ერთბაშად შეიწოვა მთვარის მთელი ცოდვებით, მისი შხამიანი წითელი, ალუბლისფერი ტუჩები ეგვიპტური ნავივით გაიწელა. მერე ისევ პროფილში რომ გამოჩნდა, მისი პანია, თუთიყუშის ნისკარტივით ცხვირი კლავიშებისკენ დაიხარა, დაჭმუჭნილი ხელები კლავიატურაზე დააწყო დო-დან სი-მდე. გაჟღერდა პირველი აკორდები იმ ოცდათორმეტიდან, რომლებიც შეადგენდნენ პირველ შეწყვეტილ მოძრაობას. პირველ და მეორე აკორდს შორის — ხუთი წამი, მეორესა და მესამეს შორის — თხუთმეტი წამი, მეთხუთმეტე აკორდზე როუმ ბობმა ოცდახუთი წამი პაუზა დანიშნა. ოლივეირას, პირველად რომ მოეჩვენა რა ოსტატურად გამოიყენა როუმ ბობმა ვებერნისეული პაუზებით, ეს გამეორებები მერე მოხებრდა. მეშვიდე და მერვე აკორდზე დარბაზში უკვე ხველებაც გაისმა, მეთორმეტე და მეცამეტეს შორის ვილაცამ ასანთს გაჰკრა, მეთოთხმეტე და მეთხუთმეტეს შორის კი უკვე ხმამაღლა შესძახეს „Ah, merde alors!“[90] ეს სიტყვები წამოსცდა ახალგაზრდა ქერა ქალიშვილს; მეოცე აკორდის მერე ერთ-ერთმა ყველაზე ხნიერმა ქალბატონმა, ნამდვილი შინაბერას მჟავე სახე რომ ჰქონდა, პირი გააღო, რაღაცის თქმა უნდოდა, ქოლგასაც წამოავლო ხელი, მაგრამ ოცდამეერთე აკორდმა დააცხრო და გული მოუღობო. ოლივეირას ართობდა ბერტ ტრეპას ყურება, ეჭვიც არ ეპარებოდა, რომ პიანისტს ცალი თვალი დარბაზისკენ ეჭირა და ამ გახუნებული ცისფერი თვალით, ძლივს რომ უჩანდა იმ პანია ცხვირთან, ითვლიდა გაყიდულ ადგილებს. ოცდამესამე აკორდზე მელოტი ბატონი აღშფოთებული წამოდგა, ამოიხვნეშა, წაიბურდღუნა და გასასვლელისკენ გაემართა, მისი ფეხსაცმლის ქუსლების ბაკა-ბუკმა შეავსო მთელი ის რვა წამი, რაც განსაზღვრული ჰქონდა როუმ

ბობს. ოცდამეოთხე აკორდის მერე პაუზები ცოტა შემცირდა, ხოლო ოცდამერვედან ოცდამეთორმეტემდე აკორდები გაგრძელდა სამგლოვიარო მარშის რიტმში, თუმცა საერთო ჩანაფიქრიდან არ გადაუხვევია. ბერტ ტრეპამ ფეხი მოაშორა პედალს, მარცხენა ხელი მუხლზე დაიდო და დაიწყო მეორე მოძრაობა. ის შედგებოდა მხოლოდ ოთხი ტაქტისგან, ხოლო ყოველი ტაქტი — სამი, ერთნაირი ნოტისგან. მესამე მოძრაობა ძირითადად მდგომარეობდა განაპირა რეგისტრების ქრომატიულ სვლებში კლავიატურის ცენტრისაკენ და პირიქით, და ეს ყველაფერი დაუსრულებელი ტრიოლებით იყო შელამაზებული. მოულოდნელად პიანისტმა შეწყვიტა პასაჟები, წელში გაიმართა და რამდენჯერმე, თითქოს გამომწვევად დაუკრა თავი; მაგრამ ოლივეირამ მაინც შეამჩნია გაუბედაობა და შიშიც კი. რომელიღაც წყვილი გამალეხული უკრავდა ტაშს, ოლივეირაც უცბად მიხვდა, რომ თურმე თვითონაც უკრავდა და უცბადვე გაჩერდა.

ბერტ ტრეპა ისე დაჯდა, რომ დარბაზი ისევ მის პროფილს უყურებდა, მან გულგრილად გაავლო თითი კლავიატურას, შეიცადა, სანამ დარბაზში სიჩუმე ჩამოვარდებოდა. მერე დაიწყო „გენერალ ლეკლერკის საპატივსაცემო პავანის“ დაკვრა.

მომდევნო ორი სამი წუთი ოლივეირა გაფაციცებით ადევნებდა თვალყურს, რომ არ გამოჰპარვოდა, ერთი მხრივ, ის აბდაუბდა, რასაც ბერტ ტრეპა თავდაუზოგავად აფრქვევდა, მეორე მხრივ, როგორ გადიოდნენ დარბაზიდან — ზოგი ჩუმად, ზოგი ცხადად — მოხუცებიც და ახალგაზრდებიც. „პავანაში“, ლისტისა და რახმანინოვის ამ ნარევიში განუწყვეტლად მეორდებოდა ორი თუ სამი თემა, რაც მერე იკარგებოდა განუსაზღვრელ ვარიაციებში, ხმაურიან, საკმაოდ უხეიროდ შეკონწიწებულ ფრაგმენტებში, რომლებიც ისე საზეიმოდ იყო წარმოდგენილი, როგორც კატაფალკი ლაფეტზე. ნაწყვეტები კი ისე იფრქვეოდა, როგორც ფეიერვერკი, რაც განსაკუთრებით იტაცებდა იდუმალებით მოცულ ალიქს ალიქსს. ერთი ორჯერ ოლივეირამ ისიც იფიქრა, რომ ბერტ ტრეპას ის თავისი ვარცხნილობა ალა სალამბო დაეშლებოდა „პავანას“ ასეთი ხმაურითა და მძვინვარებით შესრულების დროს, მაგრამ ვინ იცის, რა რაოდენობის სარ-

ჭმა თუ სავარცხელმა გადაარჩინა. მერე კი დაიწყო ფინალის მა-
უწყებელი არპეჯოს ორგია, გაისმა სამივე თემა (ერთი იყო
შტრაუსის „დონ ჟუანიდან“) და ბერტ ტრეპსამ აკორდების მთელი
კორიანტელი დააყენა, კიდევ უფრო ხმაურიანი, რაც მერე ჩაახ-
შო პირველი თემის ისტერიკამ და ბოლოს დასრულდა ორი
აკორდით დაბალ ოქტავაში, ამასთან მეორე აკორდში მარჯვენა
ხელი აშკარად ცრუობდა, თუმცა ეს ყველას შეიძლება დაემარ-
თოს, მაგრამ ოლივეირა მაინც გახალისდა და ტაშიც დაუკრა.

პიანისტი ისევ დიდი გაჭირვებით მიტრიალდა დარბაზისკენ
და თავი დაუკრა. აშკარად ეტყობოდა, რომ თვლიდა დარბაზში
დარჩენილებს, არადა სულ რვა თუ ცხრა ადამიანი იჯდა, მაგრამ
ბერტ ტრეპსას არ დაუკარგავს ღირსების გრძნობა, ისე გავიდა
მარცხენა მხარეს კულისებში, კაპელდინერმა ფარდა გადასწია
და კანფეტები შესთავაზა დარჩენილებს.

ცხადია, წასვლის დროც დადგა, მაგრამ ამ კონცერტის გარ-
შემო ისეთი ატმოსფერო შეიქმნა, რაც ოლივეირას გულგრილს
ვერ დატოვებდა. ყველაფრის მიუხედავად, საბრალო ტრეპსას
ხომ მაინც უნდოდა წარმოედგინა თავისი ნაღვაწი პირველი
მსმენელების წინაშე, რაც ყოველთვის ღირსების საქმეა დიდი
პოლონების, მთვარის სონატისა და ცეცხლის ცეკვის სამყარო-
ში. რაღაც გულის ამაჩუყებელი ჰქონდა ამ ძონძისთავიან თოჯი-
ნას, ეს გამოთაყვანებული, ნამდვილი ხავერდის კუ აღმოჩნდა
დამტვრეული ჩაიდნების სამყაროში, იმ მოხუცთა სამყაროში,
რომელთაც მოესმინათ რისლერისთვის ხელოვნებისა და პო-
ეზიის მოყვარულთა წრეში, კედლებშემოდარცულ დარბაზებში
რომ იკრიბებოდნენ თვეში ორმოცი ათასი ფრანკის ბიუჯეტის
იმედად და თავის ბოლოს ემუდარებოდნენ ნაცნობ-მეგობრებს
რაიმონდ დუნკანის აკადემიის ჭეშმარიტი სტილის, ჭეშ-მა-რი-
ტი ხელოვნების სახელით მაინც მობრძანდითო, და ადვილი
წარმოსადგენია ალიქს ალიქსისა და როუზ ბობის სახეები, რო-
ცა ანგარიშობდნენ რამდენი დაგვიჯდება დარბაზის დაქირავება,
რამდენი — პროგრამა, რასაც რომელიმე მოწაფე თუ დაბეჭდავ-
და თავისი სურვილით, როგორ ადგენდნენ დასაპატიჟებელთა
სიებს, რომელთაც იმედი გაუცრუეს და არ მოვიდნენ და ამით

სასოწარკვეთილებაში ჩააგდეს ისინი იქ, კულისებში, თითქმის ცარიელი დარბაზი რომ დაინახეს, თუმცა სულ ერთია, მაინც უნდა გამოსულიყო ოქროს მედლის მფლობელი. ეს ყველაფერი სელინის წიგნის ერთი თავის მეტი არაფერი იყო. ოლივეირამ იგრძნო, რომ ფიქრის თავი აღარ ჰქონდა, ერთადერთი, რისი შეგრძნების უნარიც გააჩნდა, იყო ოდნავ მბჟუტავი არტისტული მოღვაწეობის სრული მარცხი, უვარგისობა და გამოუსადეგრობა, რაც იმ ადამიანებისთვის იყო განკუთვნილი, რომელთაც ასევე განიცადეს მარცხი და აღარც არავის სჭირდებოდნენ. „რასაკვირველია, მაინც და მაინც მე უნდა მიმეშვირა თავ-პირი ჩრჩილებისგან შეჭმული მარაოსთვის, — ბრაზობდა თავისთვის ოლივეირა, — ჯერ იყო და იმ მოხუცს დაეჯახა მანქანა, მერე კიდევ ეს ტრეპაც, ამ ძაღლურ ამინდზე ხომ აღარაფერია სათქმელი, ანდა იმაზე რაც ჩემს თავს ხდება, მით უმეტეს იმაზე, რაც ჩემს თავს ხდება“.

დარბაზში ოთხი კაციღა დარჩა და ოლივეირამ იფიქრა, ალბათ ჯობს პირველ რიგში გადავინაცვლო, ასე უფრო ახლოს ვიქნები და თანაც შემსრულებელს გავამხნევებო. მისი მხრიდან ასეთი სოლიდარობა ცოტა არ იყოს სასაცილოდაც კი მოეჩვენა, მაგრამ მაინც გადაჯდა და სიგარეტს მოუკიდა. სწორედ იმ წუთში, როცა ბერტ ტრეპა ისევ გამოვიდა სცენაზე. ერთმა შემორჩენილმა ქალბატონმა რატომღაც დააპირა დარბაზის დატოვება და სანამ პიანისტი დიდი გაჭირვებით მოიხრებოდა წელში თითქმის დაცარიელებული დარბაზის წინაშე მადლობის ნიშნად, ჯერ განმგმირავი მზერით გააცილა ის საბრალო, ოლივეირამაც გაიფიქრა, რომ ეს სენიორა მართლაც იმსახურებდა ერთ გვარიან პანდურს. მერე კი უცბად მიხვდა, რომ მისი ასეთი რეაქციის მიზეზი ბერტ ტრეპასადმი აშკარა სიმპათია იყო, მიუხედავად „პავანასა“ და როუზ ბობისა. „რა ხანია ასეთი რამ არ დამმართვია, — გაიფიქრა მან, — ნუთუ წლების მომატებასთან გულჩვილობაც დამჩემდა?“ მაინც რამდენი მეტაფიზიკური მდინარეა... და უეცრად, თავადაც გაუკვირდა, რომ საავადმყოფოში მოხუცის მონახულება უნდოდა, ან ამ გადარეული, კორსეტში გაჭედილი ქალის გასამხნეველად ტაში დაეკრა. გასაკვირია, ალბათ შემცივდა და ფეხსაცმელი წყლით მაქვს გაჟღენთილი.

„სინთეზი დელიზი – სენ-სანსი“ სამი წუთის დაწყებული იყო, როდესაც დარბაზში დარჩენილი წყვილი, დარბაზში დარჩენილთა მთავარი ძალა, წამოდგა და მოურიდებლად გავიდა. ოლივეირამ შეამჩნია, რა თვალთ გადახედა დარბაზს ბერტ ტრეპამ, ერთიანად მოიხარა და თითქოს ხელებიც კი დაეჭიმა ისეთი ძალით უკრავდა, თუმცა ყოველი პაუზის დროს თვალს მაინც გააპარებდა ხოლმე დარბაზისკენ, სადაც ოლივეირა და კიდევ ერთი თვინიერი სენიორი ისხდნენ და ეტყობოდათ, დიდი ყურადღებით უსმენდნენ. ამ ავისმომასწავებელმა სინკრეტიზმმაც არ დააყოვნა და გაუმჟღავნა თავისი საიდუმლო ისეთ უმეცარსაც კი, როგორც გახლდათ ოლივეირა; „ომფალის სართავს“ მოჰყვა ოთხი ტაქტი „კადისელი ქალიშვილებიდან“, მერე მარცხენა ხელმა გაიარა „გული გაიხსნა შენს შესახვედრად“, მარჯვენამ – ბრძოლითა და კრთომით შეასრულა ბარების თემა „ლაკმედან“, ორივემ ერთად კი – „სიკვდილის ცეკვა“ და „კოპელია“, სხვა დანარჩენი თემები – პროგრამის თანახმად, გათვალისწინებული იყო „ჰიმნი ვიქტორ ჰიუგოს“, „ჟან დე ნიველი“ „ნილოსის ნაპირებზე“ და სხვა – ლამაზად ერწყმოდა კარგად ნაცნობს და რაკი ძნელი წარმოსადგენი გახდა, სადამდე მივიდოდა ეს სინკრეტიზმი, იმ თვინიერმა სენიორმა სიცილი ველარ შეიკავა, თუმცა როგორც ბრძილ ადამიანს შეჰფერის, პირზე ხელსახოცს იფარებდა, ოლივეირასაც არ შეეძლო ესაყვედურა, რადგან სიცილის უფლება ნამდვილად ჰქონდა, ეტყობა, ბერტ ტრეპაც მიხვდა მიზეზს, რადგან მართლაც რამდენჯერმე აიღო ყალბი ნოტა, და თავის გასამართლებლად, ვითომ ხელი მეტისმეტად დაეძაბა, დროდადრო იდაყვს ასწევდა, თან ისე იფოფრებოდა, გეგონებოდათ კრუხიანო.

„გული გაიხსნა შენს შესახვედრად“, მერე ისევ „სად მიდის ახალგაზრდა ინდოელი ქალი?“, მერე ორი სინკრეტული აკორდი, მერე მოკლე არპეჯო, „კადისელი ქალიშვილები“, ტრა-ლა-ლა, როგორც სლუკუნის ისე გაისმა, მერე რამდენიმე ნოტა (საოცრად მოულოდნელი) პიერ ბულეზს რომ გაგახსენებდათ და თვინიერმა სენიორმაც მეტი ველარ მოითმინა, ერთი კი ამოიოხრა, პირზე ხელთათმანი მიიფარა და სასწრაფოდ გავარდა დარბაზიდან, სწორედ ამ დროს ბერტ, ტრეპამაც დაუშვა ხელები და

კლავიატურას დააშტერდა; ჩამოვარდა სიჩუმე, ვითომ წამიერი სიჩუმე უსასრულოდ გაგრძელდა, ეს იყო უიმედოდ ცარიელი წუთი ოლივეირასთვისაც და ბერტ ტრეპასთვისაც, ისინი სულ მარტო დარჩნენ დარბაზში.

— ბრავო მადამ, — თქვა ოლივეირამ, რადგან მიხვდა, რომ ახლა ტაშის დრო არ იყო, — ბრავო, მადამ.

ბერტ ტრეპა ფეხზე არ ამდგარა, ოდნავ შემოტრიალდა ტაბურეტზე და იდაყვით დაეყრდნო როიალს. მათ ერთმანეთს შეხედეს.

ოლივეირა წამოდგა და სცენასთან მივიდა.

— ძალიან საინტერესოა, — უთხრა მან, — დამიჯერეთ, სენიორა, მე მართლაც დიდი ინტერესით ვუსმენდი თქვენს კონცერტს.

აი, მამაძაღლი.

ბერტ ტრეპამ დაცარიელებულ დარბაზს გადახედა. ერთი ქუთუთო უთამაშებდა, თითქოს რალაცის თქმას აპირებდა, რალაცას ელოდებოდა. ოლივეირა მიხვდა, რომ კიდევ უნდა ეთქვა რამე.

— ისეთ ხელოვანს, როგორც თქვენ ბრძანდებით, კარგად უნდა მოეხსენებოდეს საზოგადოების გაგებისა და სნობიზმის ამბავი. მე თქვენ კარგად მიგიხვდით, თქვენ ხომ თქვენივე თავისთვის უკრავდით.

— ჩემივე თავისთვის, — გაიმეორა ბერტ ტრეპამ, ნამდვილი თუთიყუშის ხმით, საოცრად რომ ჰგავდა იმ კაბალიეროს ხმას, ვინც იგი წარადგინა.

— აბა, კიდევ ვისთვის? — თქვა ოლივეირამ და სცენაზე ავიდა, თითქოს ეს ყველაფერი სიზმარში ხდებოდა, — ხელოვანი ესაუბრება მხოლოდ ვარსკვლავებს, როგორც იტყოდა ნიცში.

— ვინ ბრძანდებით სენიორ? — ჰკითხა შემკრთალმა ბერტ ტრეპამ.

— ოჰ, ის, ვისაც აინტერესებს როგორ გამოიხატება... — მას შეეძლო მძივებით აესხა სიტყვები, როგორც ყოველთვის. თავადაც არ იცოდა რატომ, მაგრამ ცოტა ხანს უნდა დარჩენილიყო აქ, მის გვერდით.

ბერტ ტრეპა უსმენდა, მაგრამ ცოტა დაბნეული ჩანდა. მერე დიდი გაჭირვებით გაიმართა წელში და გადახედა დარბაზს და სოფიტებს.

— დიახ, თქვა მან, უკვე გვიანაა, სახლში უნდა წავიდე, — ეს თითქოს თავისთვის თქვა, მაგრამ გეგონებოდათ სასჯელი ან რაღაც ამის მსგავსი იყო მისთვის.

— დიდ სიკეთეს გამოიჩენდით, თუ რამდენიმე წუთს კიდევ დამითმობდით, — თქვა ოლივეირამ და თავი დაუკრა. — იმის თქმა მინდოდა, თუკი გარდერობში ან გასასვლელში არავინ გელოდებათ-მეთქი.

— არა, არავინ, ვალენტინი მაშინვე წავიდა, როგორც კი დაამთავრა, როგორ მოგეწონათ მისი შესავალი სიტყვა?

— საინტერესო იყო, — თქვა ოლივეირამ; უფრო და უფრო რწმუნდებოდა, რომ ეძინა და კიდევაც უნდოდა რომ ეს ძილი გაგრძელებულიყო.

— ვალენტინს უფრო უკეთესადაც შეეძლო — თქვა ბერტ ტრეპამ, — მე ვფიქრობ, დიდი უსინდისობა იყო მისი მხრიდან... დიახ, უსინდისობა... რომ წავიდა და ძონძივით მიმაგლო.

— თქვენზე ხომ ასეთი აღტაცებით ლაპარაკობდა, თქვენს შემოქმედებაზე. — ხუთას ფრანკად ასეთივე აღტაცებით ილაპარაკებდა მკვდარ თევზზე. ხუთას ფრანკად? — გაიმეორა ბერტ ტრეპამ და ფიქრებმა წაიღო.

„იდიოტივით ვიქცევი“, თავის გულში თქვა ოლივეირამ. ახლა რომ დამშვიდობებოდა და პარტერში დაბრუნებულიყო, პიანისტს სულაც არ გაახსენდებოდა მისი თხოვნა. მაგრამ ქალი ისევ ისე უყურებდა მას და ოლივეირამ მაშინღა დაინახა, რომ იგი ტირილდა.

— ვალენტინი ნაძირალაა. ყველა... ორას ადამიანზე მეტი იყო, თქვენ თვითონ ნახეთ, ორასზე მეტი. პირველი კონცერტისთვის ეს არაჩვეულებრივია, პირველი შესრულებისთვის, თქვენ რას ფიქრობთ?

თანაც ყველამ გადაიხადა ბილეთის ფასი, არ იფიქროთ რომ, უფასო მოსაწვევები გავგზავნეთ. ორასზე მეტი, ახლა მარტო თქვენ დარჩით. ვალენტინიც წავიდა, მე კი...

— ზოგჯერ ნაკლები მსმენელი ნამდვილი ტრიუმფია ხოლმე.
— ჩაილაპარაკა არცთუ დაბეჯითებით ოლივეირამ.

— მაინც რატომ წავიდნენ? ხომ არ შეგიძინებიათ რომ იცინოდნენ?

ორასზე მეტი ადამიანი, გეუბნებით, თანაც ცნობილი ადამიანები, დარწმუნებული ვარ, რომ მაღამ დე როშიც დავინახე, დოქტორი ლაკურიც, მონტელიე, ბოლოს რომ მიიღო დიდი პრემია, ვიოლინისტი... მე მგონია, რომ „პავანა“ მათ მაინცდამაინც არ მოეწონათ და ამიტომ წავიდნენ. თქვენ როგორ გგონიათ? ამიტომ წავიდნენ სანამ ჩემ „სინთეზს“ შევასრულებდი, მთავარი ესაა, ჩემი თვალთ დავინახე.

— რასაკვირველია, — თქვა ოლივეირამ, — შეიძლება ითქვას, რომ „პავანა“...

— მაგრამ ეს ხომ აბსოლუტურად არ არის „პავანა“, — თქვა ბერტ ტრეპამ, — ეს არის სრული ნაგავი. არადა ეს სულ ვალენტინის ბრალია, თანაც არაერთხელ გამაფრთხილეს ვალენტინი ალიქს ალიქსისთან წევსო, მერე მე რატომ უნდა გადავიხადო პედერასტისთვის, ახალგაზრდავ? მე, ოქროს მედლის მფლობელი...

ბელს, შემიძლია გაჩვენოთ რას წერდნენ კრიტიკოსები ჩემზე, რა ტრიუმფი იყო გრენობლში, პიუიში...

ცრემლები ღვარად ჩამოსდიოდა და ყელში, დაჭმუჭნულ მაქმანებსა და ნაცრისფერ ნაოჭებში იკარგებოდა. მან მკლავში მოჰკიდა ხელი ოლივეირას, მთელი ტანით ცახცახებდა, შეიძლებოდა ორიოდე წუთში ისტერიკაშიც ჩავარდნილიყო.

— ეგებ თქვენი პალტო მოვძებნოთ და გარეთ გავიდეთ? — სასწრაფოდ შესთავაზა ოლივეირამ, — ქუჩაში, ჰაერზე უკეთესად იგრძნობთ თავს, შეიძლებოდა კიდევ დაგვეღია სადმე. ეს ჩემთვის ნამდვილი...

— რაიმე დაგვეღია, — გაიმეორა ბერტ ტრეპამ, — ოქროს მედალი...

— როგორც ინებებთ, — გაუაზრებლად თქვა ოლივეირამ და სცადა მკლავი როგორმე გაეთავისუფლებინა, მაგრამ პიანისტმა უფრო მაგრად ჩასჭიდა ხელი და კიდევ უფრო ახლოს მიიწია. ოლივეირამ კონცერტზე დაღვრილი ოფლის სუნი იცნოსა ნაფტალინსა და საკმეველში არეული (ასევე შარდისა და იაფფასიანი ლოსიონისაც) „ჯერ როკამადური და ახლა კიდევ ეს ბერტ ტრეპა, საგანგებოდ რომ ვერ მოიფიქრებ“. „ოქროს მედალი“, გაიმეორა პიანისტმა ცრემლების ყლაპვით და ისე დაისლუკუნა, გეგონებოდათ ჰაერში აიღო ყველაზე მაღალი აკორდი და შვება იგრძნო. „სულ ასე ხდება...“ — ბოლოს მიხვდა ოლივეირა, რომელიც ამოდ ცდილობდა საკუთარი შეგრძნებებისგან განთავისუფლებულიყო და ჩაეყვინთა რომელიმე მდინარეში, ბუნებრივია, მეტაფიზიკურ მდინარეში. არც უცდია წინააღმდეგობა გაეწია, ისე გაჰყვა ბერტ ტრეპას სოფიტებისკენ, სადაც კაპელდინერი ელოდებოდა და ხელში უკვე ეჭირა ფარანი და ბუმბულებიანი სომბრერო.

— სენიორა ცუდად ხომ არ გრძნობს თავს?

— ეს ემოციების გამოა, — თქვა ოლივეირამ, — უკვე გაუარა კიდევ. სად იქნება მისი პალტო?

ფიცრებსა და ფეხებმორყეულ მაგიდებს შორის, არფასა თუ კარჩხას შორის სკამზე იდო მისი წყალგაუმტარი ლაბადა. ოლივეირა დაეხმარა ბერტ ტრეპას ლაბადის ჩაცმაში, ის კი იდგა თავჩაქინდრული, თუმცა აღარ ტიროდა. დაბალი კარებიდან ჯერ დერეფანში გავიდნენ, ჩაბნელებული დერეფნიდან კი ლამის ბულვარზე.

წვიმდა.

— ტაქსის დატერა ალბათ ადვილი არ იქნება, — თქვა ოლივეირამ, რომელსაც სამასიოდე ფრანკი თუ ექნებოდა ჯიბეში, — შორს ცხოვრობთ? — არა, პანთეონის ახლოს, ფეხით რომ წავსულიყავით, უფრო მერჩივნა.

— დიახ, ალბათ ასე აჯობებდა.

ბერტ ტრეპა ძალიან ნელა დადიოდა და თან ყოველ მოძრაობაზე თავი უყანყალებდა. იმ თავის კაპიუშონიან წყალგაუმტარ ლაბადაში ან ჯარისკაცს ჰგავდა, ან უბუს მეფეს. ოლივეირამ ქურთუკის საყელო ლამის ყურებამდე აიწია. სუფთა ჰაერზე იგრძნო, რომ შიოდა.

— თქვენ ისეთი თავაზიანი ბრძანდებით, — თქვა ბერტ ტრეპამ, — ასე რატომ წუხდებით. ჩემი სინთეზის შესახებ რას იტყვით?

— სენიორა, მე მხოლოდ მოყვარული გახლავართ. ჩემთვის მუსიკა, როგორ ვთქვა...

— არ მოგეწონათ, — თქვა ბერტ ტრეპამ.

— პირველი მოსმენით...

— მე და ვალენტინი ამაზე მთელი თვეები ვმუშაობდით; დღე და ღამე სულ ვეძებდით გზებს, რომ ეს ორი გენიოსი როგორმე შეგვეთანხმებინა... — ერთი სიტყვით, თქვენ აღიარებთ, რომ დელიბი...

— გენიოსია, — გაიმეორა ბერტ ტრეპამ, — ერიკ სატიმაც და-
ადასტურა ერთ დღეს, ჩემი თანდასწრებით, და რაც უნდა თქვას
ლოქტორმა ლაკურმა, ვითომ სატის უნდოდა, რომ მე... ერთი
სიტყვით, უბრალოდ გული გამიკეთა... ალბათ თქვენც იცით,
როგორი იყო ეს მოხუცი... მაგრამ მე ისედაც შემიძლია ამოვიც-
ნო, რისი თქმაც სურთ ხოლმე კაცებს, ახალგაზრდავ, და ალბათ
არ შეეცდები, თუ ვიტყვი, რომ სატის სჯეროდა, დიახ, სჯეროდა...
თქვენ რომელი ქვეყნიდან ბრძანდებით ჭაბუკო?

— არგენტინიდან, სენიორა, და სხვათა შორის, სულაც არ ვარ
ასე ახალგაზრდა...

— აა! არგენტინა, პამპები... როგორ გგონიათ, იქ დაინტერეს-
დებოდნენ ჩემი ნაწარმოებებით?

— დარწმუნებული ვარ, სენიორა.

— ეგებ დამეხმაროთ, რომ თქვენს ელჩს შევხვდე. თუკი ტიბო
წავიდა არგენტინაში და მონტევიდეოში, რატომ მე არ შემიძლია
წავიდე და ჩემი საკუთარი ნაწარმოებები დავუკრა? თქვენ ალ-
ბათ მიაქცევდით ყურადღებას, რომ მე ჩემს საკუთარ ნაწარმოე-
ბებს ვუკრავ და თანაც ყოველთვის პირველი შესრულებაა ხოლ-
მე.

— ბევრს თხზავთ? — ჰკითხა ოლივეირამ და იგრძნო, რომ სა-
დაცაა გული აერეოდა.

— ეს ჩემი ოთხმოცდამესამე ოპუსია, არა, აბა ვნახოთ, ახლა
გამახსენდა, რომ წამოსვლის წინ მადამ ნოლეს უნდა დავლაპა-
რაკებოდი...

ბუნებრივია, ანაზღაურების საქმე უნდა მომეგვარებინა, რო-
გორც წესი ორასი ვაცი, ნიშნავს, ვთქვათ...

იგი თავისთვის ბუტბუტით რაღაცას ითვლიდა, ოლივეირამ
კი ჰკითხა საკუთარ თავს, განა უფრო დიდი სიკეთე არ იქნებო-
და პიდაპირ მეთქვა სიმართლე, თუმცა თავადაც კარგად იცის,
რა თქმა უნდა, იცის. — — ეს სკანდალია, — თქვა ბერტ ტრეპამ,

ორი წლის წინ ამავე დარბაზში ვუკრავდი, მაშინ პულენკი დამპირდა, რომ დამესწრებოდა...

წარმოგიდგენიათ? თავად პულენკი... იმ საღამოს ისეთი შთაგონება მქონდა... სამწუხაროდ, ბოლო წუთში რაღაც საქმე გამოუჩნდა, ამან შეუშალა ხელი, თორემ... თუმცა კარგად მოგეხსენებათ მოდური მუსიკოსების ამბავი... ამჯერად ნოლემ ორჯერ ნაკლები ხალხი შემიკრიბა, — ბოლმა ვერ დამალა ბერტ ტრეჰამ, — ზუსტად ნახევარი. მე თვითონ დავთვალე. სულ ორასი კაცი იყო.

— სენიორა, — უთხრა ოლივეირამ და იდაყვზე ხელი მოჰკიდა, რომ სენის ქუჩაზე გადაეყვანა, — ალბათ კარგად ვერ დათვალეთ, დარბაზი თითქმის ჩაბნელებული იყო, შეგეშლებოდათ...

— ოჰ, არა, — თქვა ბერტ ტრეჰამ, — დარწმუნებული ვარ, არ შეგეშლებოდა, ახლა მაცალეთ, კიდევ დავთვლი, ხელი არ შემიშალოთ...

— და ისევ მოჰყვა ბუტბუტს, ტუჩებსა და თითებს ერთნაირად ამოძრავებდა და ვერც იმას უყურებდა საით მიჰყავდა ოლივეირას და ვერც თვითონ მას ამჩნევდა. ხმამაღლა ლაპარაკობდა, საკუთარ თავს ეკამათებოდა. პარიზი სავსეა ისეთი ადამიანებით, ქუჩაში ხმამაღლა რომ ლაპარაკობენ, თავისთვის, არც თვითონ ოლივეირა იყო გამონაკლისი, მაგრამ ახლა ნამდვილი კრეტინივით მიჰყვებოდა ამ ბებერს, სახლში მიაცილებდა ამ გაქუცულ თოჯინას, ამ საცოდავ გაბერილ ბუშტს, ვისი სახითაც სისულელე და სიგიჟე ერთად ცეკვავდნენ ნამდვილ ღამის პავანას. „არა, საზიზღრობაა, ახი იქნებოდა კიბიდან დამეგორებინა და პირდაპირ სახეში ერთი კარგი წიხლიც ჩამეცხო, საზიზღარი ბაყაყივით გამებრტყელებინა, მეათე სართულიდან გადმოგდებულ პიანინოსავით დამეფუშვნა. აი, ეს იქნებოდა მადლი, ნამდვილი სიკეთე, ამ საწყალობელი მდგომარეობიდან ერთადერთი გამოსავალი, ამ ძაღლურ ყოფასაც გადაურჩებოდა და აღარც ილუზიები დასტანჯავდა, რომელთაც თავადვე თხზავს და იჯერებს, მაგრამ ეს ურჩევნია, არ უნდა რომ დაინახოს წყლით გაჟ-

ღენთილი თავისი ფეხსაცმელი, ცარიელი სახლი და გარყვნილი თეთრთმიანი ბეხრეკი. რა საზიზღრობაა, პირველივე მოსახვევეში სიამოვნებით გავგლეჯდი, მაგრამ აზრი არ აქვს, ეს რა დღეა, ღმერთო ჩემო, რა დღეა!”

ერთბაშად რომ მოვწყდე და ლობინოს ქუჩისკენ გავიქცე მწევარივით, უკან მოუხედავად, ეს ბებრუხანა თვითონაც ხომ გაიკვლევს გზას თავისი სახლისკენ. ოლივეირამ მიიხედ-მოიხედა, სცადა ხელი მაინც გაეთავისუფლებინა, ვითომ დაიღალა, მაგრამ ბერტ ტრეპა ისე ჩაებლაუჭა, მთელი თავისი სიმძიმით ჩამოეკიდა, რომ ვერაფერს გახდებოდა; ოლივეირა ცერად კი იყურებოდა ლობინოს ქუჩისაკენ, მაგრამ მაინც ეხმარებოდა ქუჩაზე გადასვლაში, რომ ტურნონის ქუჩაზე გაეყვანა.

— ალბათ ღუმელსაც დაანთებდა, — თქვა ბერტ ტრეპამ, — მართალია ძალიან კი არ ცივა, მაგრამ ცეცხლი ხომ ხელოვანთა მეგობარია, თქვენ რას იტყვით? ეგებ ამოხვიდეთ და ჩემთან და ვალენტინთან ერთად თითო ჭიქა დავლიოთ.

— ოჰ, არა, სენიორა, — თქვა ოლივეირამ, — არ შეგაწუხებთ, ჩემთვის ისიც დიდი პატივია, რომ სახლამდე მიგაცილებთ, ესეც არ იყოს...

— ნურც ასეთი თავმდაბალი იქნებით, ყმაწვილო, თუმცა კი ახალგაზრდა ხართ, ასე არ არის? ცხადია, ახალგაზრდა ხართ, ამას თუნდაც თქვენი მკლავი... — ახლა მისი ქურთუკის საყელოს მისწვდა, — მე კი უფრო მეტი ხნისა ვჩანვარ, ვიდრე სინამდვილეში ვარ, მაგრამ ხომ მოგეხსენებათ, ხელოვანის ცხოვრება...

— არა, არც ასეა, — უთხრა ოლივეირამ, — რაც შემეხება მე, უკვე ორმოც წელს გადავაბიჯე, თქვენ გინდათ, უბრალოდ მასიამოვნოთ.

სიტყვები თავისთავად მოდიოდა, ამაზე მეტი აღარ შეიძლებოდა, უკვე მეტისმეტი იყო, ბერტ ტრეპა მკლავზე ჩამოეკიდა და შეუჩერებლად ლაპარაკობდა, თუ გაჩერდებოდა და ფრაზას შუაზე გაწყვეტდა, მაშინ ისევ ანგარიშს უბრუნდებოდა. ზოგჯერ მა-

ლულად შეიყოფდა თითო ცხვირში, მაგრამ ჯერ ეშმაკურად, აღ-
მაცერად შეხედავდა ოლივეირას, მერე ხელთათმანს გაიძრობ-
და, ვითომ ხელის გული ეფხანებოდა, ხელს გაითავისუფლებდა,
ვითომ ხელისგულს მოიფხანდა, მერე პიანისტის პროფესიული
მოძრაობით ხელს სახესთან მიიტანდა, თითო ცხვირში შეიყოფ-
და, (ოლივეირაც ისეთ სახეს მიიღებდა, ვითომ ვერ ხედავდა,
სხვა მხარეს იყურებოდა, ხოლო როცა თავს მოაბრუნებდა ბერტ
ტრეპას უკვე ხელთათმანიც ეცვა და ისევ ისე ჩამოეკიდებოდა
მკლავზე). და კვლავ აგრძელებდნენ გზას წვიმაში და საუბრობ-
დნენ ყველაფერზე, რაც მოაფიქრდებოდათ; როცა ლუქსემბურ-
გის გზას ჩაუარეს პარიზში ცხოვრების სიძნელეებზეც დაიჩივ-
ლეს, კონკურენცია მეტად დაუნდობელიაო, ახალგაზრდებს გა-
მოცდილება აკლიათ, არც ალლო და უნარი გააჩნიათ, მაგრამ
სამაგიეროდ, თავდაჯერებულები და ცოტა არ იყოს, თავხედებიც
არიან, საზოგადოება უიმედობამ შეიპყრო, სნობიზმი გაღვივდა,
ყველას ავიწყდება, რა ღირს ბიფსტეიკი სენ ჟერმენზე, ან ბუსის
ქუჩაზე, ამ ერთადერთ ადგილზე, სადაც ბიფსტეიკიც რიგიანია
და ფასიც — ადამიანური. ორჯერ თუ სამჯერ ბერტ ტრეპამ თავა-
ზიანად კი ჰკითხა, რა პროფესია გაქვს, რა იმედები, ან მარცხი
თუ განგიცდიაო, მაგრამ ოლივეირა პასუხსაც ვერ ასწრებდა,
ბერტ ტრეპას ფიქრები სულ ვალენტინის უეცარ გაქრობას დას-
ტრიალებდა და თან იმაზეც სწუხდა, რომ ალიქს ალიქსის „პავა-
ნას“ შესრულება მისი მხრიდან შეცდომა იყო და სულ ვალენტი-
ნის საამებლად დათანხმდა, რომ ასეთი შეცდომა არასოდეს
განმეორდებოდა, ის „პედერასტი“, ბუტბუტებდა ბერტ ტრეპა და
ოლივეირა ამ დროს გრძნობდა როგორ ჩაბლუჯავდა ხოლმე მი-
სი ქურთუკის სახელოს, „იმ ღორის გულისთვის ის ნაგავი უნდა
დამეკრა, მაშინ როცა ჩემი საკუთარი ნაწარმოებები განზე
მრჩება, არადა რა მოუთმენლად ველოდებოდი შემემსრულები-
ნა...“ მერე ამ წვიმაში გაჩერდებოდა, რა ენაღვლებოდა, თვი-
თონ წყალგაუმტარი ლაბადა ეცვა (ოლივეირას კი წყალი საყე-
ლოში ჩასდიოდა და კურდღლისა თუ ვირთხის ბეწვს ისეთი სუნი
ასდიოდა, ზოოპარკში რომ დგას ხოლმე ავდრისას), თვითონ კი
ელოდებოდა, მერე რას იტყოდა, თავაზიანად იღიმებოდა და ნე-
ბა-ნება მიჰყვებოდა მედიჩის ქუჩას.

– თქვენ ზედმეტად თავმდაბალი და მეტისმეტად თავშეკავებული ხართ, – ამბობდა ბერტ ტრეპა, – მიაშვით რამე თქვენ შესახებ, ვნახოთ, ალბათ პოეტი ხართ, ასეა? აი, ვალენტინიც, ახალგაზრდობაში... მის „ოდა შებინდებისას“ ისეთი წარმატება ჰქონდა, „მერკურ დე ფრანსში“ რომ დაიბეჭდა... ცხადად მახსოვს, ტიბოდემ ბარათიც კი გამოგვიგზავნა, ვალენტინი საწოლზე იწვა და ტიროდა, სულ ასე იცის, ტირილი რომ მოუნდება, პირქვე ჩაემხობა ხოლმე საწოლში...

ისეთი გულისამაჩუყებელია...

ოლივეირამ სცადა წარმოედგინა მტირალი ვალენტინი და თანაც პირქვე რომ იწვა, მაგრამ თვალწინ წარმოუდგებოდა კიბორჩხალასავით წითელი როკამადური, ისიც პირქვე იწვა თავის საწოლში, მაგა კი ცდილობდა როგორმე სანთელი გაეკეთებინა, ბავშვი რაც შეეძლო იბრძოდა, არ ანებებდა, მაგა კი ისეთი მოუხერხებელი იყო, ვერაფრით აჩერებდა ბავშვს. ეგებ იმ მოხუცსაც, მანქანა რომ დაეჯახა, ასევე სანთლები გაუკეთეს საავადმყოფოში; მერე როგორ შემოვიდა მოდაში ეს სანთლები, ალბათ იმის აუცილებლობაც დადგება, რომ ეს ფენომენი ფილოსოფიური თვალსაზრისითაც გაანალიზდეს...

ნეტავ საიდან გაჩნდა ეს უცნაური მოთხოვნილება ამ არომეტიკიზებული, აეროდინამიური, ვარდისფერ-მწვანე-თეთრი ჭურვებისა.

მაგრამ ბერტ ტრეპა ისევ და ისევ ეკითხებოდა მისი ცხოვრების შესახებ, დაფიქრებასაც კი არ აცლიდა, თან მკლავზე ეჭიდებოდა ხან ერთი, ხან ორივე ხელით, ყმაწვილი ქალივით მიუტრიალდებოდა, მას კი გააჟრჟოლებდა, შეცბუნდებოდა, არ იცოდა რა ექნა. კეთილი, მაშ არგენტინელია, დროებით ცხოვრობს პარიზში და უნდა რომ აქ... ვნახოთ, რა ელოდება აქ, რა უნდა? ასე უცბად, ორი სიტყვით ამის ახსნა ძნელია. ერთი სიტყვით, იგი ჩამოვიდა რათა... – სილამაზე, ეგზალტაცია, შთაგონება, ოქროს რტო... – თქვა ბერტ ტრეპამ, – ნურაფერს მიპასუხებთ, მე მშვენივრად მესმის თქვენი. მეც ხომ თავის დროზე ჩამოვედი

პოდან და მეც ოქროს რტოს გულისთვის, მაგრამ მე სუსტი ვიყავი, თანაც ძალიან ახალგაზრდა... მართლა, თქვენი სახელი?

— ოლივეირა, — უპასუხა ოლივეირამ — ოლივეირა... Des olives[91], ხმელთაშუა ზღვა... მეც ხომ სამხრეთიდან ვარ, პანის ხალხი ვართ, ჭაბუკო, პანისა; ვალენტინი ლილიდანაა; ეს ჩრდილოეთის ხალხი ხომ თევზებივით ცივები არიან, მერკურის მიმდევრები... თქვენ გწამთ „დიადი საქმეების“? ფულკანელი, ალბათ გესმით ჩემი... არაფერი თქვათ, კარგად ვიცი, რომ ის განდობილია. ეგებ ჯერ ვერ მიაღწია რეალიზებას, მაშინ, როცა მე...

თუნდაც „სინთეზი“ ვთქვათ, მაგალითად, რასაც ვალენტინი ამბობს, მართალია, რადიოესტეზიამ მე დამანახა მონათესავე სულები და ამ ნაშრომში ეს ამკარად ჩანს. იქნებ არა?

— ოჰ, როგორ არა.

— თქვენ გაქვთ ძლიერი კარმა. ეს უმაღლესი ჩანს... — ხელი მთელი ძალით ჩასჭიდა, პიანისტი მედიტაციაში ჩაეფლო, ამისთვის სჭირდებოდა, რაც შეიძლება მაგრად ჩასჭიდებოდა ოლივეირას, რომელიც წინააღმდეგობას ვერ უწევდა და მარტო იმას ცდილობდა, როგორმე გადაეყვანა მოედანზე და სუფლოს ქუჩაზე გასულიყვნენ.

„ახლა ეტიენმა, ან ვონგმა რომ დამინახონ, აი, მაშინ ნახეთ სერი...“, ფიქრობდა ოლივეირა. რა მნიშვნელობა უნდა ჰქონოდა იმას, რას იფიქრებდნენ ეტიენი ან ვონგი მას მერე, რაც მეტაფიზიკურ მდინარეებს შეერია ჭუჭყიანი ჩვრები, რალა მნიშვნელობა უნდა ჰქონდეს მომავალს. „ასე მგონია პარიზში არა ვარ და მაინც სულელივით გადაციციებით ვუყურებ, რაც ხდება ჩემს თავს, მე მაწუხებს ისიც, რომ ეს საცოდავი ბებრუხუნა დროდადრო ასე მოიწყენს ხოლმე, პავანას მერე ამ წვიმაში ხელებს რომ იქნევს, ის კონცერტი ხომ სათქმელადაც არ ღირს. მე იმ ძონძებზე უარესი ვარ, იმ ბინძურ ძონძებზე უარესიც და, სინამდვილეში, საკუთარ თავთანაც არაფერი მაქვს საერთო“. აბა, მეტი რა დარჩენოდა, ამ დროს, ამ წვიმაში, ბერტ ტრეპას გვერდით, ერ-

თადერთი ეს განცდა დარჩა, თითქოს უკანასკნელი განათებულ-ლი სარკმელი უზარმაზარ სახლში, სადაც სათითაოდ ყველა ფანჯარა უკვე ჩაბნელდა, და ეჩვენებოდა, თითქოს ის არ იყო ის, და რომ ის, ნამდვილი ის ელოდებოდა სადღაც, ხოლო ის, ვინც ლათინურ კვარტალში დაეხეტებოდა ამ ბებერ ისტერიულ ქალ-თან ერთად, რომელიც ვინ იცის, იქნებ ნიმფომანიც კი იყო, მხოლოდ და მხოლოდ მისი „Doppelgänger“^[92] იყო, მაშინ, როცა ის სხვა, მეორე... „დარჩი იქ ალმაგროს კვარტალში? ან ეგებ მოგზაურობის დროს დაიხრჩე, ან ბოზების ლოგინში ჩარჩი, შენ დიდ ექსპერიმენტებში, იმ ნაცნობ აუცილებელ უწესრიგობაში? ეს ყველაფერი ნუგეშივით მესმის, რა საამოა ამის დაჯერება, რომ ყველაფრის გამოსწორება შეიძლება, თუმცა მე უკვე ნაკლებად მჯერა, როგორც ჩამოსახრჩობად განწირულ კაცს აქვს იმედი, ბოლო წუთამდე სჯერა რომ ან მიწისძვრა მოხდება, ან თოკი გაწყდება ორჯერ და აპატიებენ, ან გუბერნატორი დარეკავს, ან ამბოხი გადაარჩენს. ახლა კი ეს ბებრუხანა ცოტაც და, პირდაპირ შარვალში დამეძგერება.“

მაგრამ ბერტ ტრეპა მოგონებებმა და შეგონებებმა გაიტაცა და მოჰყვა ამბავს, როგორ შეხვდა ჟერმენ ტაიფერს ლიონის სადგურში და როგორ უთხრა ტაიფერმა, რომ „პრელუდია ნარინჯის რომბებს „ უაღრესად საინტერესოა, რომ იგი დაელაპარაკებოდა მარგერიტ ლონგს, რომ ჩაერთო იგი თავის კონცერტებში.

— მაშინ უნდა გენახათ წარმატება, სენიორ ოლივეირა, კურთხევა, მაგრამ ალბათ მოგეხსენებათ იმპრესარიოების, ამ უსირცხვილო ტირანების ამბავი, საუკეთესო შემსრულებელიც კი მათი მსხვერპლი ხდება... ვალენტინი ფიქრობს, რომ ვინმე ახალგაზრდა პიანისტი, ვინც ამ უსინდისოების გავლენის ქვეშ არ მოექცეოდა, ვინ იცის, ეგებ შესძლებდა... მაგრამ არც ისინი შეიწუხებენ თავს, ყველა ერთნაირია, მოხუციც და ახალგაზრდაც, ერთი ბანდაა.

— ეგებ, თქვენ თვითონ, სხვა კონცერტზე...

— აღარ მინდა, აღარც დავუკრავ — თქვა ბერტ ტრეპამ და სახე მიაბრუნა, თუმცა არც ოლივეირას უცდია მისთვის შეეხედა. — სასაცილოც კია, რომ მე კიდევ გამოვჩნდე სცენაზე და მოვასმენინო ხალხს ჩემი მუსიკა, როცა სინამდვილეში მე უნდა ვიყო მუზა, გესმით ჩემი, შემსრულებელთა შთაგონება, ისინი თვითონ უნდა მოდიოდნენ ჩემთან და მთხოვდნენ, რომ ნება დავრთო შეასრულონ ჩემი ნაწარმოებები, მეხვეწებოდნენ, დიახ, უნდა მეხვეწებოდნენ. და მე თანხმობა უნდა გამოვუცხადო, რადგან დარწმუნებული ვარ, რომ ჩემი ნაწარმოები არის ნაპერწკალი, რომელმაც უნდა აანთოს საზოგადოების გრძნობა, აქაც და შეერთებულ შტატებშიც, უნგრეთშიც... დიახ, მე დავთანხმდებოდი, მაგრამ მანამდე ისინი უნდა მოვიდნენ და მთხოვონ, რომ დავდო პატივი შეასრულონ ჩემი მუსიკა.

იგი მთელი ძალით ჩაებლაუჭა ოლივეირას მკლავს, მან კი არ იცოდა რატომ აიღო გეზი სენ ჟაკის ქუჩისკენ და მოკრძალებით მიჰყავდა პიანისტი. ცივი ქარი სახეში სცემდა ბერტ ტრეპას, წვიმა თვალებსა და პირს უხშობდა, მაგრამ ეტყობა, ამინდს არაფრად მიიჩნევდა, ოლივეირას მკლავზე ჩამოკიდებული თავისთვის ბუტბუტებდა, ხან ასლოკინებდა, ხანაც უცებ გადაიხარხარებდა, ვერ გაიგებდით ზიზღით თუ დაცივნით. არა, ის სენ ჟაკის ქუჩაზე არც ცხოვრობდა, ან რა აზრი ჰქონდა სად ცხოვრობდა, მთელი ღამე შეეძლო ასე ევლო. ორასზე მეტი ადამიანი ხომ მაინც დაესწრო მისი „სინთების“ პირველ შესრულებას.

— ვალენტინი ალბათ შეწუხდება, რომ ასე იგვიანებთ. — თქვა ოლივეირამ, ოღონდ კი რაიმე ეთქვა და როგორმე სწორ გზაზე დაეყენებინა ეს კორსეტში გაჭედული ბუშტი. ეს ზღარბი წვიმასა და ქარს არაფრად აგდებს ისე მიგორავს ქუჩაში. მისი გრძელი, ნაწყვეტ-ნაწყვეტი მონოლოგიდან შეიძლება მიმხვდარიყო, რომ ბერტ ტრეპა ცხოვრობდა ესტრაპადის ქუჩაზე. ოლივეირამ უკვე სრულიად გზააბნეულმა, თავისუფალი ხელით თვალები მოიწმინდა და სცადა როგორმე გზა გაეკვლია, კონრადის ერთი გმირით გემის კიხობზე გარინდებული რომ იდგა; უეცრად სიცილის ხასიათზე დად გა (ცარიელი კუჭი აუწრიალდა, კუნთები დაეჭიმა, ეს რომ ვონგს მოუყვეს ხომ ვერ დააჯერებს), მაგრამ

ბერტ ტრეპაზე კი არ ეცინებოდა, რომელიც ისევ ანგარიშს განაგრძობდა, ითვლიდა რა ჰონორარი მიიღო მონპელიესა და პოში, ხანდახან თავის ოქროს მედალსაც ახსენებდა. არა, ამაზე არ ეცინებოდა, საკუთარ თავზე, საკუთარ სისულელეზე ეცინებოდა, რამ მაფიქრებინა მისი გაცილებათ.

თუმცა კარგად ვერ გაეგო სიცილის მიზეზი, ამაზე ადრე მოხდა რაღაც, უფრო ადრე, კონცერტამდე, თუმცა ამ კონცერტზე უფრო სასაცილო არ შეიძლება რამე ყოფილიყო. ეს სიცილი სიხარულის სიცილი იყო, სიხარულის გამოხატვის ერთგვარი ფიზიკური ფორმა; რაც უნდა დაუჯერებელი იყოს, მაინც სიხარულის. თითქოს კმაყოფილებით იცინოდა, წმინდა, ლამაზი და აუხსნელი კმაყოფილებით.

„ხომ არ ვგიჟდები? — გაიფიქრა, — ამ გადარეულისგან გამაძელო ამ სეირნობა-სეირნობაში, ეტყობა“. სიხარულის არანაირი საბაბი არ ჰქონდა, ფეხსაცმელში წყალი ჭყაპუნობდა, საყელო მთლად დაუსველდა, ბერტ ტრეპა მთელი თავისი სიმძიმით ეკიდებოდა მკლავზე და დროდადრო მთელი ტანით შეინძრებოდა, როგორც კი ვალენტინს გაიხსენებდა, მაშინვე ცახცახი და სლუკუნის აუტყდებოდა, თითქოს ეს ერთგვარი რეფლექსი იყო, რასაც შეუძლებელია რაიმე სიხარულის მსგავსი გრძნობა აღეძრა ადამიანში, თუნდაც ის გიჟი ყოფილიყო.

ოლივეირას კი სიცილი უნდოდა, ხმამაღალი სიცილი, მაგრამ მაინც მიჰყვებოდა, ფრთხილად მიჰყავდა ბერტ ტრეპა ესტრაპადის ქუჩისკენ, ოთხი ნომერი სახლისკენ, შეუძლებელი იყო ამის წარმოდგენა, მითუმეტეს გაგება, მაგრამ ეს ყველაფერი ასე იყო, სწორედ ასე ხდებოდა. რაც უნდა ყოფილიყო, უნდა მიეყვანა ბერტ ტრეპა ესტრაპადის ქუჩამდე, ოთხ ნომერ სახლამდე, ფრთხილად გადაეყვანა გუბეებზე, მშრალად გაეტარებინა სახურავებიდან ჩანჩქერებივით ჩამომდინარე წყლის ქვეშ, კლოტილდეს ქუჩამდე. ოლივეირას უკვე სისულელედ აღარ ეჩვენებოდა თითო ჭიქა გადავკრათო (ვალენტინთან ერთად) რომ შესთავაზა, სულ ერთია, მაინც უნდა აეყვანა მეხუთე თუ მეექვსე სართულზე, შეეყვანა ბინაში, სადაც ვალენტინს სავარაუდოდ სულაც არ აენტო ღუმელი (თუმცა ალბათ დიდებული სალამან-

დრა მაინც ექნებოდა, ერთი ბოთლი კონიაკი, შეიძლება ფეხსაცმელიც გაეხადა, ცეცხლთან ფეხებიც გაეთბო, ესაუბრათ ხელოვნებაზე, ოქროს მედალზე). იქნებ ერთ საღამოს კიდევ ესტუმროს ბერტ ტრეპას და ვალენტინს, თვითონაც მიიტანოს ერთი ბოთლი ღვინო, ერთი საღამო გაატაროს მათთან ერთად, გაამხნევოს მაინც მოხუცები. ეს თითქოს იგივე იქნებოდა, რაც მოხუცის მონახულება საავადმყოფოში, ანდა სადმე ისეთ ადგილზე წასვლა, სადაც ამრადაც არასოდეს მოსვლია წასულიყო, საავადმყოფო იქნებოდა თუ ესტრაპადის ქუჩა. მაგრამ მანამდე, სანამ სიხარულის ეს გრძნობა აღეძვრებოდა და კუჭი აუწრიალდებოდა, გაუჩნდა შეგრძნება თითქოს კანქვეშ ვიღაცის ხელი წამოეზარდა და დაიწყო ეს საამო ტანჯვა (ვონგს უნდა ჰკითხოს ამ ხელის ამბავი, თითქოს კანქვეშ რომ წამოეზარდა).

— ოთხი ნომერი, არა?

— დიახ, ეს სახლია, აივნისანი, — თქვა ბერტ ტრეპამ, — მეთვრამეტე საუკუნეშია აშენებული. ვალენტინი ამბობს ნინონ დე ლანკლო ცხოვრობდა მეორე სართულზე. კი არ დაეჯერება. ნინონ დე ლანკლო. ოჰ, ასეა, ვალენტინი სულ ტყუის. მგონი აღარ წვიმს, არა?

— ცოტა მოუკლო, — დაეთანხმა ოლივეირა, გადავიდეთ მეორე მხარეზე, თუ ინებებთ.

— მეზობლები, — თქვა ბერტ ტრეპამ და კაფესკენ გაიხედა, ქუჩის კუთხისკენ, — რასაკვირველია, ბებერი, მერვე ბინაში რომ ცხოვრობს... ვერც წარმოიდგენთ რამდენს სვამს ეს ქალი. ხედავთ იმ მაგიდასთან რომ ზის, განაპირას? ჩვენსკენ იყურება, ხვალ ნახავთ, რა ჭორაობა დაიწყება...

— ფრთხილად, სენიორა, — თქვა ოლივეირამ, — ფრთხილად, გუბეა.

— ოჰ, მასაც ვიცნობ და პატრონსაც, ვალენტინის გამო მეც ვძულვარ. ვალენტინმა კარგი ოინი მოუწყო, უნდა ვთქვა... იმ ბებრუხანას, მერვე ბინაში რომ ცხოვრობს, თვალის დასანახად

ვერ იტანს, ერთ ღამეს მთვრალი რომ ბრუნდებოდა, მთელი კარები კატის განავლით მოუთხუზნა... ისეთი ჩხუბი ატყდა, არასოდეს დამავიწყდება... ვალენტინი აბაზანაში იყო, თვითონაც კარგად ამოიგანგლა და იბანდა, მე მომიწია პოლიციისთვის ახსნა-განმარტების მიცემა... რამდენს ვუთმენდით ამ მეზობელსაც და საერთოდ მთელ კვარტალსაც, თქვენ არ იცით, რა გადავიტანე, მე, ჩემი პრესტიჟის ქალმა... ვალენტინი საშინელი ვინმეა, ნამდვილი ბავშვია.

ოლივეირას ისევ მოელანდა თეთრთმიანი სენიორი, ღაბაბიანი, ოქროს ძეწკვი რომ ეკიდა და თითქოს უეცრად გაირღვა კედელი, გასასვლელი გაჩნდა: ქვებს შორის კიდევ გაეტეოდა, თუ გვერდულად შევიდოდა. ხელი ისევ აწვებოდა კუჭს, ლამის გული არეოდა.

განუსაზღვრელი ბედნიერების გრძნობა მოერია.

— სანამ შინ ავიდოდე, ეგებ ერთი ჭიქა სუფთა წყალი მაინც დამელია, — თქვა ბერტ ტრეპამ, კარებთან შეეცოვნდა და მას შეხედა. — სასიამოვნო იყო ეს გასეირნება, კი შემცივდა, თან ასეთ წვიმაში...

— დიდი სიამოვნებით, — თქვა ცოტა არ იყოს იმედგაცრუებულმა ოლივეირამ, — იქნებ სჯობდეს, ახლავე ასულიყავით, ფეხსაცმელი გაგეხადათ, ფეხები ლამის კოჭებამდე დაგისველდათ.

— კაფეში საკმაოდ თბილა, — თქვა ბერტ ტრეპამ, — არ ვიცი დაბრუნდა თუ არა ვალენტინი, იქნებ, ისევ დაეხეტება აქეთ-იქით და თავის მეგობრებს ეძებს. ასეთ ღამეში მისთვის სულ ერთია, ვისაც გადაეყრება, ნამდვილი ძალღივიტ... დამიჯერეთ.

— შეიძლება დაბრუნდა და ღუმელიც დაანთო, — ეშმაკურად შეაპარა ოლივეირამ, — თბილი პლედის, შალის წინდები... თავს უნდა მოუფრთხილდეთ, სენიორა.

— ოჰ, მე ხესავით ვარ. ყავის ფულიც კი არ გამაჩნია. ხვალ დილით მაინც მომიწევს საკონცერტო დარბაზში წასვლა ჩემი Cachet-ს[93] ასაღებად. ღამით ამდენი ფულით ამ კვარტალში სიარული საშიშია, საუბედუროდ... — დიდად მასიამოვნებით, თუ ისურვებდით რამის დაღვევას კაფეში, — თქვა ოლივეირამ, როგორღაც მოახერხა და სადარბაზოს კარებში შეეტენა; იქ კი თბილი ნესტისა და ობის სუნი იდგა, შეიძლება სოკოს სოუფსისაყ. სიხარულის შეგრძნება ნელ-ნელა ქრებოდა, თითქოს მარტო ქუჩაში აეკვიატაო, შენობაში აღარ მიჰყვებოდა. როგორმე უნდა შეენარჩუნებინა, თუმცა კი სულ ორიოდე წუთი გაგრძელდა, ეს რაღაც სრულიად ახალი გრძნობა იყო, სხვანაირი, უცხო; როცა ვალენტინის ამბავი მოისმინა, აბაზანაში კატის სიბინძურე რომ ჩამოერეცხა, იგრძნო, რომ შეედლო წინ წასულიყო, ოღონდ ფეხი კი არ გადაედგა წინ, არამედ ქვის სქელი კედელი გაერღვია, შესულიყო და თავი დაეღწია ამ ყველაფრისგან, ამ წვიმისგან, სახეში რომ სცემდა, ამ წყლით გაჟღენთილი ფეხსაცმლისგან.

შეუძლებელია ამის გაგება, როგორც ჩვეულებრივად ხდება ხოლმე, როცა აუცილებელია გაგება; გაგება იმისა, რა არის ეს სიხარული, ან რა არის ის ხელი, კუჭს რომ აწვება კანქვეშ, ან საიდანაა იმედი, თუკი ასეთი სიტყვა მოიძებნება და გამოიყენება ისეთი ბუნდოვანი ცნებისთვის, როგორიცაა იმედი — ეს ყველაფერი ძალიან დიდი სისულელე იყო და ამავე დროს წარმოდგენულად ლამაზიც, მაგრამ ახლა ის ქრებოდა, ტოვებდა მას ამ წვიმაში, რადგან ბერტ ტრეპა სახლში არ ეპატიჟებოდა, კაფეში გზავნიდა, აგზავნიდა უკვე დადგენილი დღის წესრიგისკენ, ყველაფერი იმისკენ, რაც მოხდა: კრეველისკენ, სენის სანაპიროსკენ, სადაც უნდა წასულიყო, სულ ერთია, თუნდაც იმ მოხუცის სანახავად, საკაცებე რომ დააწვინეს, თუნდაც იმ ცუდად ამობეჭდილ საკონცერტო პროგრამას მიბრუნებოდა, როუმბობს, ან წყლით გაჟღენთილ ფეხსაცმელზე ეფიქრა, ასე რომ ჭყაპუნობდა. ხელის ისეთი ნელი მოძრაობით, გეგონებოდათ მხრიდან მძიმე ტვირთი ჩამოიხსნაო, ოლივეირამ მიუთითა ორ კაფეზე ქუჩის კუთხეში რომ მოჩანდა უკუნეთში. მაგრამ ეტყობა, ბერტ ტრეპას აღარაფრის სურვილი აღარ ჰქონდა, რაღაცას

ბუტბუტებდა, თან ოლივეირას ხელს არ უშვებდა და თან ეშმაკურად იყურებოდა ჩაბნელებული დერეფნისკენ.

— დაბრუნებულა, — თქვა მან უეცრად და ცრემლით სავსე თვალებით მიაშტერდა ოლივეირას, — იგი იქაა, ზევით, ვგრძნობ, მაგრამ მართო არაა, დარწმუნებული ვარ, ყოველთვის, როცა კონცერტი მაქვს, სულ თავის რომელიმე მეგობართან ერთობა ხოლმე.

ოლივეირას ხელს მაინც არ უშვებდა, ისე ჩააფრინდა მკლავში, თან ხვნეშოდა, თან წამდაუწუმ ჩაბნელებული დერეფნისკენ ეჭირა თვალი. უცბად კატის კნავილი გაისმა და კიბეზეც ჩამოიზინა რბილად და უხმაუროდ. ოლივეირამ აღარ იცოდა რა ეთქვა, ამოიღო სიგარეტი და საქმიანად გააბოლა.

— გასაღები მე არ მაქვს, — თქვა ბერტ ტრეპამ ძალიან ჩუმად, — ის მე არასოდეს მიტოვებს ხოლმე გასაღებს, თუ ვინმესთან დაწოლას აპირებს.

— მაგრამ თქვენც ხომ დასვენება გჭირდებათ, სენიორა.

— იმას სულ არ ენაღვლება, დავისვენებ თუ მოვკვდები, ალბათ ღუმელიც დაანთეს და დოქტორ ლემუანის ნაჩუქარ ნახშირსაც დამიწვავენ, გადანახული რომ მქონდა. ახლა მთლად შიმვლები იქნებიან, თანაც ჩემს საწოლში, დედიშობილები, რა საზიზღრობაა. ხვალ კი ამ ყველაფერს მე უნდა მოვუარო. ვალენტინმა ალბათ პირდაპირ ლოგინში არწყია... სულ ასეა... ხვალ მე უნდა მივხედო ყველაფერს, როგორც ყოველთვის... მე, ხვალ...

— რომელიმე თქვენი მეგობარი ხომ არ ცხოვრობს აქ, სადმე ახლოს, რომ ღამე გაგეთენებინათ? — ჰკითხა ოლივეირამ.

— არა, — თქვა ბერტ ტრეპამ და აღმაცერად შეხედა, — დამიჯერეთ, ყმაწვილო, ჩემი მეგობრების უმეტესობა ნეიში ცხოვრობს. აქ მხოლოდ ძველი ნაყარნუყარი ხალხი დარჩა, ვიღაც ალჟირელები, ყველაზე უარესი ფენა, იმის მსგავსი მერვე ბინაში რომ ცხოვრობს. — თუ ნებას მომცემთ, მე ავალ და ვთხოვ ვა-

ლენტინს გაგიღოთ კარები, — უთხრა ოლივეირამ, — თქვენ კი სანამ ყველაფერი მოგვარდება, კაფეში დაიცადეთ.

— როგორ მოგვარდება, — თქვა ბერტ ტრეპამ, ისეთი ხმით, მთვრალი გეგონებოდათ, — არც თქვენ გაგიღებთ, ძალიან კარგად ვიცნობ, ხმასაც არ გაგცემენ, სიბნელეში სხედან, ახლა სინათლე არც სჭირდებათ. სინათლეს მერე აანთებენ, გვიან, როცა ვალენტინი დარწმუნდება, რომ მე ან კაფეში გავათენებ ღამეს, ან სასტუმროში.

— თუ ძალიან მაგრად დავაკაკუნებ, არა მგონია ვალენტინს სკანდალი უნდოდეს, ვფიქრობ, მაინც შეეშინდება.

— მისთვის ყველაფერი სულ ერთია, როცა თავის საქმეს აკეთებს, მისთვის ყველაფერი სულ ერთია, მას შეუძლია ჩემი კაბა ჩაიცვას და პოლიციაში წავიდეს მარსელიოზას სიმღერით. ერთხელ კინალამ ასეც მოხდა, რომ არა ჩვენი მეზობელი, რობერი, ჯიხურის პატრონი, კიდევ კარგი, დროზე გააჩერა და სახლში წამოიყვანა. კარგი კაცია რობერი, მასაც ჰქონდა თავისი ახირებები, მაგრამ სხვისიც ესმოდა. — ნება მომეცით მაინც ავიდე, — თავისას გაიძახოდა ოლივეირა, — თქვენ კაფეში დამიცადეთ, იმ კუთხეში. ყველაფერს მე მოვაგვარებ, ხომ არ შეიძლება მთელი ღამე აქ გაატაროთ.

დერეფანში სინათლე სწორედ მაშინ აინთო, როცა ბერტ ტრეპა პასუხის გაცემას აპირებდა. იგი უცბად მოშორდა ოლივეირას და ქუჩაში გავარდა. ოლივეირა სადარბაზოში დარჩა, აღარ იცოდა, რა ექნა. კიბეზე წყვილმა ჩაირბინა სწრაფად და არც შეუხედავთ მისთვის, ისე გაიქცნენ ტუენის ქუჩისკენ. ბერტ ტრეპამ ნერვიულად მოათვალიერა იქაურობა და ისევ სადარბაზოში დაბრუნდა. გარეთ კი კოკისპირულად წვიმდა.

ოლივეირამ, რაკი სხვა გამოსავალს ვეღარ ხედავდა, გადაწყვიტა, რაც მოსახდენია მოხდესო და პირდაპირ კიბისკენ გაემართა, მაგრამ სამი ნაბიჯის გადადგმაც ვერ მოასწრო, რომ ბერტ ტრეპამ მკლავში სტაცა ხელი და კარებისკენ მოაბრუნა, ხვეწნა-მუდარით, ბრძანებით, შეძახილით ძლივს დაიყოლია,

ისეთი კრიახი ატეხა, რომ ბოლოს ოლივეირაც დანებდა, წინა-აღმდეგობა აღარ გაუწევია. შუქი ისევ აინთო, მეორე თუ მესამე სართულზე ლაპარაკის ხმა გაისმა, ეტყობა, ვიღაცას აცილებდნენ, ემშვიდობებოდნენ. ბერტ ტრეპამ ხელი გაუშვა ოლივეირას, კარებთან დადგა, ვითომ ლაბადას ისწორებდა და ქუჩაში გასვლას აპირებდა. იგი არც განძრეულა, სანამ ორმა კაცმა არ ჩაუარა. მათ თვალი შეავლეს ოლივეირას და ჩაილაპარაკეს pardon[94]. ოლივეირამ იფიქრა, იქნებ უკანმოუხედავად ავირბინო კიბეზეო, მაგრამ არ იცოდა, რომელ სართულზე ცხოვრობდა ბერტ ტრეპა. ისევ დარჩა ასე სიბნელეში, გაშმაგებული სიგარეტს აბოლებდა და ელოდებოდა კიდევ რა შეიძლება მოხდეს, ან არც მოხდესო. წვიმის შხაპუნში მაინც ესმოდა ბერტ ტრეპას სლუკუნის ხმა. იგი მივიდა და მხარზე ხელი დაადო. — ღვთის გულისთვის, მადამ ტრეპა ასე ნუ სწუხართ, მითხარით რა ვქნათ, რაღაც გამოსავალი ხომ უნდა იყოს.

— დამანებეთ თავი, დამანებეთ, — ბუტბუტებდა პიანისტი.

— თქვენ ისე გაწვალდით, რომ დასვენება, ძილი გჭირდებათ. ყველა შემთხვევაში ისევ სასტუმროში წასვლა გირჩევნიათ, არც მე მაქვს ფული, მაგრამ პატრონს მოველაპარაკები და ხვალ გადავუხდი. ერთი სასტუმრო ვიცი ვალეტის ქუჩაზე, აქედან შორს არ არის.

— სასტუმრო, — თქვა ბერტ ტრეპამ, მიტრიალდა და ოლივეირას შეხედა.

— კარგი არ არის, მაგრამ ერთი ღამის გათენება შეიძლება.

— თქვენ გინდათ მე სასტუმროში შემიტყუოთ.

— სენიორა, მე უბრალოდ მიგაცილებთ სასტუმრომდე, მოველაპარაკები პატრონს რომ ოთახი მოგცეთ.

— სასტუმროში, თქვენ გინდათ ჩემი სასტუმროში შეტყუება.

— არაფერი არ მინდა, — ოლივეირას უკვე მოთმინება გამოვლია, — მე ჩემ ბინას ვერ შემოგთავაზებთ, იმ უბრალო მიზეზის

გამო, რომ არ გამაჩნია. თქვენ არ მაძლევთ ნებას, რომ ვალენ-ტინს დაველაპარაკო, ვთხოვო, კარები გაგიღოთ. გინდათ მე წა-ვიდე? მაშინ ღამე მშვიდობისა.

მაგრამ ვინ იცის, ეს ყველაფერი მან მართლა თქვა, თუ მხოლოდ გაიფიქრა. იგი არასდროს ყოფილა ასე შორს ამ სიტყვებისგან, რომელთაც სხვა დროს დაფიქრების გარეშე იტყვოდა. ალბათ ასე არ უნდა მოქცეულიყო. არც ის იცოდა, რა უნდა ექნა, მაგრამ ასე მაინც არა. ბერტ ტრეპა კი კარებთან მიყუყულიყო და უყურებდა. არა, ის ხმასაც არ იღებდა, ჩუმად იდგა ბერტ ტრეპას გვერდით და გასაკვირიც კია, მაგრამ ისევ ფიქრობდა, როგორ დახმარებოდა, რა ექნა, რა გაეკეთებინა ამ ქალისთვის, ქალი კი იდგა და მკაცრად უყურებდა, რატომღაც ხელს ნელ-ნელა მაღლა სწევდა, მერე უცბად ამ ხელმა ოლივეირას სახეს გაულაწუნა, იგი ისე დაიბნა მოულოდნელობისგან, რომ უკან დაიხია, სილას კი გადაურჩა, მაგრამ სახე მისმა ფრჩხილებმა მაინც ჩამოუკაწრა.

— სასტუმრო, — გაიმეორა ბერტ ტრეპამ, — გესმით, რა შემომთავაზა? იგი ისევ ჩაბნელებული დერეფნისკენ იყურებოდა, სიბნელეში, თვალებს აბრიალებდა, მისი წითლად შეღებილი ტუჩები თითქოს თავისთავად მოძრაობდა, და დაბნეულ ოლივეირას მოეჩვენა, თითქოს იგი ხედავდა მაგას ხელებს, როგორ ცდილობდა როკამადურისთვის სანთლის გაკეთებას, ის კი არ ანებებდა, წრიალებდა, ტიროდა, არ იკარებდა; ბერტ ტრეპა კი პირს არ აჩერებდა, ტუჩებს ბრიცავდა, თვალებს ატრიალებდა, დერეფნის სიბნელეში თითქოს უხილავ აუდიტორიას ხედავდა და ისე აქნევდა თავს, რომ მისი ვარცხნილობა აქეთ-იქეთ ქანაობდა.

— თუ ღმერთი გწამთ, — ბუტბუტებდა ოლივეირა და ხელს ისევამდა გასისხლიანებულ ლოყაზე, — ეს როგორ იფიქრეთ.

მაგრამ მას მაინც შეეძლო ეს ეფიქრა, რადგან (და ამას კიდევ გაჰყვიროდა, შუქიც ისევ აინთო დერეფანში) კარგად იცოდა რა ჯურის გარყვნილები აეკიდებოდნენ ხოლმე მას და სხვა პატივსაცემ ქალბატონებსაც, ის კი ამის უფლებას არავის მის-

ცემდა (ამ დროს მეკარემაც გაალო კარები და ოლივეირამ დაინახა ვირთხის სიფათი, უზარმაზარი ვირთხის, რომლის სისხლს მოწყურებული თვალები ისე მიშტერებოდა, თითქოს მისი შეჭმა უნდოდა), ამას როგორ დაანებებდა, რომ ვიღაც ურჩხული, გარეწარი, გარყვნილი საკუთარი სახლის კარებთან თავს დასხმოდა, მაშინ პოლიცია რაღას აკეთებდა, სად იყო სამართალი — და სწორედ ამ დროს ვიღაც სწრაფად ჩამორბოდა კიბეებზე, ხუჭუჭთმიანი ბიჭი, ბოშას რომ წააგავდა, კიბის სახელურზე ჩამოსრილდა და ცნობისმოყვარეობით დაუწყო მათ ყურება, — თუ მეზობლები ვერ დაიცავდნენ, თვითონვე ასწავლიდა ჭკუას, გააგებინებდა, როგორი პატივსაცემია, პირველი შემთხვევა ხომ არ იყო, როცა საკადრის პასუხს მიაგებდა ამ გარყვნილებსა და ეგსპიციონისტებს...

ტურნეფორის ქუჩის კუთხეში ოლივეირა ძლივს მოეგო გონს და მაშინღა დაინახა, რომ სიგარეტის ნამწვი ხელში შემოფშვნიდა და წვიმაში დასველებულიყო. ფარანს მიეყუდა და სახე წვიმას შეუშვირა, რომ ნაკაწრი ჩამოებანა. ფიქრის უნარი აღარ ჰქონდა, ან რა უნდა მოეფიქრებინა, სახეზე წყალი ღვარად ჩამოსდიოდა და ქურთუკის საყელო ნიკაპამდე აიწია, თუმცა სველ ბეწვს ყოველთვის მძიმე სუნი ჰქონდა. ოლივეირა არაფერზე აღარ ფიქრობდა, მიდიოდა და თავის თავს თითქოს შორიდან უყურებდა: დიდი, შავი ძალლი მიწანწალებს წვიმაში, მიჩანჩალებს საცოდავად, წვიმისგან გაჟღენთილი ბეწვი ბლუჯა-ბლუჯა ჰკიდია და მიათრევს თავს ამ თავსხმაში. ხანდახან ხელს თუ ასწევდა და სახეზე მოისვამდა, ბოლოს ესეც აიკრძალა, წვიმა თვალებს უსველებდა, მართო ქვედა ტუჩს წამოსწევდა წინ და მლაშე წყალს თუ შეისრუტავდა, სახეზე ღვარად რომ ჩამოსდიოდა.

და როცა დიდი ხნის შემდეგ, ბოტანიკურ ბაღს ჩაუვლიდა ხოლმე, გაიხსენებდა იმ დღეს, ყოველ წუთს, რაც იმ დღეს მოხდა, ეტყოდა თავის თავს, ბოლოს და ბოლოს არც ისეთი იდიოტი ვყოფილვარ სიხარულს რომ განვიცდიდი, როცა იმ ბებერს სახლამდე ვაცილებდიო. და კიდევ მიიღო სამაგიერო იმ არსაიდან მოსული სიხარულისთვის და ამის ღირსიც იყო, ასეც უნდა მომ-

ხდარიყო. ახლა კი შეიძლება საყვედურობს თავის თავს, იმისათვის რაც ჩაიდინა და ნაწილ-ნაწილ გაარჩევს ყველაფერს, სანამ არ დარჩება ის, რაც ყოველთვის რჩება ხოლმე, ნაპრალი, რომელშიც, როგორც ქარი, ისე შემოდის დრო, რომელსაც არ გააჩნია საზღვრები, და ვერასოდეს განსაზღვრავ მის სრბოლას. „აღარ გვინდა ლიტერატურა, — გაიფიქრა მან, შარვლის ჯიბეებში ხელები ცოტა გაითბო და სიგარეტი ამოიღო. — მოვეშვათ ამ ძაღლური სიტყვებით თამაშს, ამ ბრტყვიალა შუამავლებს, თვალებს რომ გვიხვევს, რაც მოხდა მოხდა, იყო და მორჩა, ბერტ ტრეპა... დიდი სისულელე კი იყო, მაგრამ ურიგო არ იქნებოდა ავსულიყავით, დაგვეღია თითო ჭიქა მასთან და ვალენტინთან ერთად, ცეცხლთან გადმობარიყავით, ფეხსაცმელი გაგვეშრო, სინამდვილეში ხომ ერთადერთი ეს იყო სიხარულის მიზეზი და სხვა არაფერი — ფეხსაცმელები და წინდები გაგვეშრო. არაფერი გამოვიდა, ბიჭო, რას იზამ. გავანებოთ ამ ყველაფერს თავი და დავიძინოთ.

სხვა რა გზა გვაქვს და არც შეიძლება გვექონდეს. თუკი მეტი ჭკუა არ გქონდა, მაშინ კიდევ უნდა დაბრუნდე სახლში და მთელი ღამე გაათენო ავადმყოფი ბავშვის გვერდით”. იქიდან, სადაც ახლა იყო, სომერარის ქუჩამდე ოცი წუთის სავალი ჰქონდა და თანაც ამ თავსხმაში. ისე სასტუმროში ჯობდა შესულიყო, პირველივე სასტუმროში, რომელიც გზად შეხვდებოდა, სადაც დაიძინებდა. ესეც არ იყოს, ასანთიც დასველდა და აღარც ერთი არ აინთო. სასაცილოდ ჰქონდა საქმე, ეს იყო და ეს.

(-124)

24

— მე არ ვიცი როგორ გამოვხატო, — თქვა მაგამ, თან კოვზს არცთუ სუფთა ჩვრით წმენდდა, — ეგებ სხვებმა უკეთესად ახ-

სნან, მე უფრო სევდიან ამბებზე მეადვილება საუბარი, ვიდრე მხიარულზე.

— ეს კანონია, — თქვა გრეგოროვიუსმა, — ღრმა აზრია და დიდებულად ნათქვამიც. ხოლო თუ ამას ლიტერატურულად ვიტყვით, მაშინ გამოდის, რომ მშვენიერი გრძნობებიდან იბადება მდარე ლიტერატურა და სხვა ბევრი რამ. ბედნიერება ძნელად განსამართავია, ლუსია, რადგან ის ალბათ ყველაზე სრულყოფილია, რაც მაიას საბურველის ქვეშ შეიძლება აღმოჩნდეს.

მაგამ შეხედა, დაბნეული ჩანდა. გრეგოროვიუსმა ღრმად ამოისუნთქა. — მაიას საბურველი-მეთქი, — გაიმეორა მან, — მაგრამ ყველაფერს ერთმანეთში ნუ ავურევთ. თქვენ კარგად შენიშნეთ, უბედურება უფრო ხელშესახებიაო, ასე ვთქვათ, რამეთუ უბედურებაში ჩნდება მიჯნა ობიექტსა და სუბიექტს შორის. ამიტომაც აღიბეჭდება ხოლმე მეხსიერებაში და ამიტომაც კასტროფების შესახებ უფრო ლამაზად შეიძლება თხრობა.

— საქმე ისაა, — თქვა მაგამ, თან რძეს ათბობდა, — რომ ბედნიერება მართო ერთისთვისაა, უბედურება კი თითქმის ყველასთვის.

— სამართლიანზე სამართლიანი დასკვნაა, — თქვა გრეგოროვიუსმა, — ესეც არ იყოს, მხედველობაშია მისაღები, რომ მე არ მჩვევია კითხვების დასმა. ამას წინათ კლუბის შეკრებაზე... კეთილი, რონალდს ისეთი არაყი აქვს, რომ ძალაუნებურად აგალაპარაკებს.

კოჭლ ეშმაკად კი ნუ ჩამთვლით, მაგრამ მინდოდა უკეთესად გამეგო ჩემი მეგობრებისთვის. თქვენ და ორასიო... რა თქმა უნდა, არის რაღაც აუხსნელი, რაღაც განსაკუთრებული საიდუმლო. რონალდი და ბებსი ამბობენ, რომ თქვენ უნაკლო წყვილი ხართ, რომ ერთმანეთს ავსებთ. მე კი ვერ ვხედავ, რომ ასე ავსებდეთ ერთმანეთს.

— და ასეთი მნიშვნელოვანია ეს?

– არა, მნიშვნელოვანი კი არ არის, მაგრამ თქვენ თქვით, ორასიო წავიდაო.

– ეს რა შუაშია, – თქვა მაგამ, – მე არ ვიცი როგორ ვილაპარაკო ბედნიერებაზე, მაგრამ ამით ის კი არ მითქვამს, ბედნიერი არ ვყოფილვარ-მეთქი. თუ გინდათ, გეტყვით, რატომ წავიდა ორასიო და მეც რატომ შეიძლებოდა წავსულიყავი, როკამადური რომ არა, – მან თვალი მოავლო ლამის მთელ ოთახში მიმოფანტულ ნივთებს, ქაღალდების გროვას, ფირფიტების კონვერტებს, – ამ ყველაფერს სადღაც უნდა მოეუნახო ადგილი, უნდა ეძებო წასასვლელი... არ მინდა აქ დავრჩე, ძალიან სევდის მომგვრელია.

– ეტიენს შეუძლია კარგი, ნათელი ოთახი გამოგიძებნოთ, როცა როკამადურს სოფელში წაიყვანთ, ასე შვიდი ათას ფრანკად თვეში.

მე კი, თუ თქვენ წინააღმდეგი არ იქნებით, ამ ოთახში გადმოვალ.

მომწონს, რაღაცნაირად მყუდროა, აქ შეიძლება ფიქრი, ერთი სიტყვით, მშვენიერია.

– არ დაიჯეროთ, – უთხრა მაგამ, – ქვედა სართულზე გოგონა შვიდ საათზე რომ დაიწყებს სიმღერას „Les Amants du Havre”[95], მაშინ ნახეთ. სიმღერა კი მშვენიერია, მაგრამ როცა ერთი და იგივეს აგრძელებს...

Puisque la terre est ronde.

Mon amour t'en fais pas.

Mon amour t'en fais pas.[96] – მშვენიერია, – თქვა გრეგოროვიუსმა გულგრილად.

– ჰო, ღრმად ფილოსოფიურიც, როგორც იტყოდა ლედესმა. არა, თქვენ მას არ იცნობთ, ის ორასიომდე იყო, ურუგვაიში.

— ის ზანგი?

— არა, ზანგს ირენეო ერქვა.

— მაშ იმ ზანგის ამბავი მართალია?

მაგამ გაკვირვებით შეხედა. გრეგოროვიუსი მართლა გონე-ბაჩლუნგი ყოფილა. ორასიოს გარდა (ხანდახან ისიც...) ყველა კაცი, ვისაც კი მისი სურვილი ჰქონია, ყოველთვის კრეტინებით იქცეოდნენ.

მან რძეს მოურია და როკამადურის საწოლთან მივიდა, როგორმე კოვზით მაინც რომ დაეღვეინებინა. როკამადური კი ტიროდა და არ სვამდა, რძე კისერში ეღვრებოდა. „ტოპიტოპიტოპი“, უყვავებდა მაგა, თითქოს ან დაჰიპნოზება უნდა, ან რაღაცას ჰპირდებოდა, „ტოპიტოპიტოპი“ — მაინც ცდილობდა მაგა კოვზი პირთან მიეტანა, ბავშვი კი მთლიანად გავარვარებული იყო და არ უნდოდა რძე. მაგრამ მერე უცხად დანებდა, უცხად საწოლის შუაგულში გადაიწია და დაიწყო რძის ყლაპვა, მაგაც კოვზით ასხამდა პირში, რაც დიდ სიამოვნებას ანიჭებდა გრეგოროვიუსს, რომელიც ჩიბუხს ტენიდა და ცოტა მამასავით გრძნობდა თავს.

— ჩინ ჩინ, — თქვა მაგამ, ქვაბი საწოლის გვერდით დადგა და როკამადურს საბანი გაუსწორა, ბავშვი მის თვალწინ იძინებდა. — ისევ მაღალი სიცხე აქვს, 39—ზე ნაკლები არ ექნება.

— თერმომეტრით არ გაგიზომავს?

— ძალიან ძნელია მისთვის თერმომეტრის გაკეთება, მერე მთელი ოცი წუთი ტირის ხოლმე. ორასიო ამას ვერ უძლებს. შუბლზე ხელს რომ დავადებ, მაშინვე ვგრძნობ, 39—ზე მეტიც შეიძლება ჰქონდეს, ვერ გამიგია, რატომ არ უკლებს.

— ვშიშობ, რომ მეტისმეტად ენდობით შეგრძნებებს, — თქვა გრეგოროვიუსმა, — ასეთი სიცხის დროს მგონი რძე არ არგებს.

— ბავშვისთვის ეს ტემპერატურა ძალიან მაღალი არ არის, — თქვა მაგამ და „გალუაზს“ მოუკიდა, — კარგი იქნება, თუ შექს

ჩავაქრობთ, უფრო მალე დაიძინებს. მანდვეა ჩასაქრობი, კარებთან.

ღუმელი ძალიან გახურდა და ოთახში უფრო დაცხა, ისინი ერთმანეთის პირდაპირ ისხდნენ და ჩუმად აბოლებდნენ სიგარეტს; გრეგოროვიუსი უყურებდა მაგას, როდესაც სიგარეტი სახიდან მოშორებით ეჭირა, მაშინ ძალიან ფერმკრთალი ჩანდა, ხოლო სახესთან რომ მიიტანდა ერთიანად გაუვარვარდებოდა, თვალებიც ნაკვერჩხალივით უგიზგიზებდა. მერე კვლავ სიბნელეში ჩაეფლობოდა.

ოთახში მხოლოდ როკამადურის წრიალის და კვნესის ხმა ისმოდა, მაგრამ უფრო და უფრო სუსტდებოდა, მერე ერთხელ თითქოს დაასლოკინა, მერე მიყუჩდა, კიდევ დაასლოკინა, კიდევ. საათმა თერთმეტი დარეკა.

— არ დაბრუნდება, — თქვა მაგამ, — ბოლოს და ბოლოს თავისი ნივთების წასაღებად ხომ მოვა, მაგრამ ამით არაფერი შეიცვლება.

დამთავრდა, Kaputt[97].

— ვეკითხები ხოლმე ჩემს თავს, — ფრთხილად დაიწყო გრეგოროვიუსმა, — როგორი მგრძნობიარე ადამიანია ორასიო, ეტყობა, ძალიან უჭირს პარიზში ცხოვრება. მას ჰგონია, რომ აქ იმას აკეთებს, რაც უნდა, რომ აქ ძალიან თავისუფალია, მაგრამ გამუდმებით კედელს ეჯახება. საკმარისია უყურო როგორ დიდის ქუჩაში, ერთხელ შორიდან ვუთვალთვალედი.

— ჯაშუშობდი, — თქვა მაგამ თითქმის მიმტევებლურად.

— ვთქვათ, ვაკვირდებოდი.

— სინამდვილეში მე მადევნებდით თვალს, თუნდაც მაშინ მის გვერდით არ ვყოფილიყავი.

— შეიძლება ასეც იყო, თუმცა იმ წუთში ეს აზრადაც არ მომსვლია.

მე ძალიან მაინტერესებს, როგორ იქცევებიან ქუჩაში ჩემი ნაცნობები, ეს კი გაცილებით უფრო კარგი გასართობია, ვიდრე ჭადრაკის თამაში. ასე აღმოვაჩინე, რომ ვონგი მასტურბაციასაა აყოლილი, ბებსი კი ისეთ ქველმოქმედებას ეწევა იანსენისტებს რომ სჩვევიათ, სახით კედლისკენ მიტრიალდება, ხელისგულზე კი პურის ნაჭერი უდევს, პურში არის კიდევ რაღაც. ერთხელ, საკუთარი დედის შესწავლაც კი დავიწყე, ეს ჰერცეგოვინაში იყო, დიდი ხნის წინ. ადგოლი ლამის მაჯადოებდა, სულ ქერა პარიკიანს ვხედავდი, როცა მე ძალიან კარგად ვიცოდი, რომ შავი თმა ჰქონდა. ეს არავინ იცოდა ციხე-დარბაზში, სადაც გრაფ როსლერის სიკვდილის შემდეგ დავბინავდით. როცა კი ვეკითხებოდი ხოლმე (მაშინ ათი წლისა ვიყავი, ძალიან ბედნიერი დრო იყო), დედაჩემი გაიცინებდა და მაფიცებდა არავისთვის გამემხილა. მე კი ეს სიმართლე მოსვენებას არ მაძლევდა, რომელიც უნდა დამემალა და რომელიც ქერა პარიკზე მარტივიც იყო და ლამაზიც. პარიკი ნამდვილი ხელოვნების ნიმუში იყო, დედაჩემი ბუნებრივად და უბრალოდ ივარცხნიდა მოსამსახურის თანდასწრებითაც, რომელიც ვერაფერს ხვდებოდა. მაგრამ როცა იგი მართლ რჩებოდა, მე საშინლად მინდოდა, თუმცა კარგად არც ვიცოდი რატომ, სოფას ქვეშ ან იისფერი ფარდების უკან დავმალულიყავი. ისიც კი გადავწყვიტე კედელში ხვრელი გამეკეთებინა ბიბლიოთეკასა და დედაჩემის ბუდუარს შორის, მთელი ღამეები ვმუშაობდი, როცა ეგონათ, რომ მეძინა. და აი ასე დავინახე ერთხელაც, როგორ მოიხსნა ქერა პარიკი და გაიშალა შავი თმა, ისეთი სხვანაირი იყო, ისეთი მშვენიერი, მაგრამ მერე რომ მეორე პარიკიც მოიხადა და გამოუჩნდა ბილიარდის ბურთივით სრულიად ტიტველი თავი, ისეთი საზიზღრობა დავინახე, რომ იმ ღამეს პირდაპირ ბალიშზე ვარწყიე.

— თქვენი ბავშვობა ცოტა ზენდის ტყვეს მაგონებს, — თქვა მაგამ დაფიქრებით.

— ეს იყო პარიკების სამყარო, — თქვა გრეგოროვიუსმა. — ნეტავი რას იზამდა ორასიო ჩემს ადგილას რომ ყოფილიყო, რაკი ჩვენ ორასიოზე დავიწყეთ ლაპარაკი, და თქვენ რაღაცის თქმა გინდოდათ.

– რა უცნაურად ასლოკინებს, – თქვა მაგამ და როკამადურის საწოლისაკენ გაიხედა, – ასეთი რამ პირველად ემართება.

– ეს ალბათ მონელების გამოა.

– რატომ დაიჩემეს, რომ საავადმყოფოში დამეწვინა. ამ საღამოსაც ისევ გამიმეორა იმ ექიმმა, ჭიანჭველასავით სახე რომ აქვს. მე კი არ მინდა, ეს მას არ მოეწონება. მე აქაც ყველაფერს ვუკეთებ, რაც საჭიროა. ამ დილას ბებსიც იყო და მითხრა, საშიში არაფერიაო. ორასიოც დარწმუნებულია, რომ სერიოზული არაფერი სჭირს.

– ორასიოც არ დაბრუნდება?

– არა, ორასიოც მოვა თავისი ნივთების წასაღებად.

– ნუ ტირი, ლუსია.

– უბრალოდ ცხვირში მომიჭირა, უკვე აღარ ასლოკინებს.

– მიაბზეთ რამე, ლუსია, თუ სურვილი გაქვთ.

– არაფერი მაგონდება, არც ღირს, ჰო, გამახსენდა. მაგრამ რისთვის? რა უცნაური სახელია ადგოლი?

– ჰო, მაგრამ ვინ იცის, ნამდვილია თუ არა. მე მითხრეს...

– როგორც ქერა პარიკი და შავი პარიკი, – თქვა მაგამ.

– როგორც სხვა ყველაფერი, – თქვა გრეგოროვიუსმა, – მართლა შეწყვიტა სლოკინი. ახლა დილამდე იძინებს. როდის გაიცანით ერთმანეთი თქვენ და ორასიოც?

(-134)

ჯობდა სულ გაჩუმებულიყო გრეგოროვიუსი, ან მარტო ადგოლზე ელაპარაკა, მისთვის კი საშუალება მიეცა თავისთვის წყნარად, სიბნელეში მოეწია სიგარეტი, ცოტა ხნით მაინც არ დაენახა ეს არეულობა ოთახში, ფირფიტები და წიგნები, რომლებიც უნდა მოეგროვებინა ორასიოსთვის, მას რომ წაეღო როგორც კი ბინას იპოვიდა.

მაგრამ ამაოდ, ერთი წუთით გაჩუმდებოდა, დაელოდებოდა, რას იტყვისო და ისევ თავიდან იწყებდა შეკითხვებს. ყოველთვის და ყველა რაღაცას ეკითხება, გეგონებათ ის აწუხებდეთ, რომ მას უნდა „Mon p'tit voyou”[98] იმღეროს, ან ასანთის ნამწვებით დახატოს, ან ყველაზე გაქუცულ კატებს მოეფეროს სომერარის ქუჩაზე, ანდა როკამადურს საწოვარა მისცეს.

– Alors, mon p'tit voyou – ჩაილიღინა მაგამ, – La vie, qu'est-ce qu'on s'en fout[99].

– მეც ძალიან მიყვარდა აკვარიუმები, – თქვა გრეგოროვიუსმა, ეტყობა მოგონებებმა გაიტაცა, – მთელი გრძნობები მაშინ გაქრა, როცა ჩემი სქესისთვის დამახასიათებელმა საქმეებმა შემიცოლია.

ეს დუბროვნიკში მოხდა, ერთ-ერთ საროსკიპოში, სადაც დედაჩემის, ოდესელი დედის, მაშინდელმა საყვარელმა, დანიელმა მეზღვაურმა წამიყვანა. საწოლის ბოლოში არაჩვეულებრივი აკვარიუმი იდგა, საწოლზე გადაფარებული ცისფერი მოქარგული საბანიც აკვარიუმს ჰგავდა, წითელთმიანმა ზონზროხა ქალმა ფრთხილად გადასწია საბანი და ისე ჩამავლო ხელი, როგორც კურდღელს ჩაავლებენ ხოლმე ყურებში. ვერ წარმოიდგენთ, ლუსია, როგორ შემეშინდა, რა შემზარავი იყო იქ ყველაფერი. ჩვენ ორივე გულაღმა ვიწექით, გვერდიგვერდ, იგი სრულიად მექანიკურად მეფერებოდა, მე ვკანკალებდი, ის კი ლაპარაკობდა, მიაბობდა, რაც ენაზე მოადგებოდა, ბარში ახლახან მომხდარ ჩხუბზე, მარტის ქარიშხლებზე... თევზები კი დაცურავდნენ და დაცურავდნენ, ერთი შავი იყო, ერთი ძალიან დიდი,

ყველაზე დიდი. დაცურავდნენ აქეთ-იქეთ, ისე როგორც მისი ხელი ჩემს ფეხებზე, ზევით, ქვევით... აი, თურმე რა ყოფილა სიყვარული, შავი თევზი ჯიუტად დაცურავს აქეთ-იქით. ესეც სახე, ხასიათი, სხვათა შორის, საკმაოდ ზუსტი.

უსასრულოდ გამეორებული სურვილი გაქცევისა, შუშის გალიიდან თავის დაღწევისა და სხვად გარდაქმნისა სხვაგან.

— ვინ იცის, — თქვა მაგამ, — მე მგონია, რომ თევზებს უკვე აღარც უნდათ აკვარიუმიდან ამოსვლა, ისინი უკვე შუშასაც კი აღარ ეხლებიან ცხვირით.

გრეგოროვიუსს გაახსენდა, რომ შესტოვი სადღაც წერდა აკვარიუმების შესახებ, როდესაც მოძრავ ტიხარს ჩაუდგამენ ხოლმე თევზებს, გარკვეული დროის მერე ამოიღებენ და რაკი თევზი მიეჩვია თავის კუთხეში ყოფნას, მეორე მხარეს გაცურვას აღარც ცდილობსო...

— ვაითუ სიყვარულის შემთხვევაშიც ასეა, — თქვა გრეგოროვიუსმა, — რა საოცრებაა, ალტაცებით შეჰყურებ თევზებს აკვარიუმში, ისინი კი მოულოდნელად ამოხტებიან, ავარდებიან ჰაერში და მტრედებივით მიფრინავენ თავისუფლად. ცხადია, იდიოტური იმედებია.

ჩვენ კი ყველა უკან ვიხევთ იმის შიშით, რაიმე უსიამოვნოს არ შევეჯახოთ, ცხვირით არ დავეტაკოთ. ცხვირი, როგორც სამყაროს კიდე, სადისერტაციო თემაა. ხომ იცით, როგორ ასწავლიან კატებს, ოთახი რომ არ დააბინძურონ, მათივე დასვრილში ცხვირს ჩააყოფინებენ ხოლმე; ან როგორ ასწავლიან ღორებს, სოკო არ შეჭამონ? ცხვირში ჯოხი პირდაპირ... რა საშინელებაა. მგონი პასკალი იყო ყველაზე კარგი მცოდნე ცხვირების დარგში, მარტო მისი ცნობილი ეგვიპტური მსჯელობაც კმარა.

— პასკალი? — თქვა მაგამ, — ეგვიპტური მსჯელობა რაღაა?

გრეგოროვიუსმა ამოიხვნეშა. რატომღაც ყველანი ოხრავდნენ, როცა იგი რამეს იკითხავდა. ორასიოც და ყველაზე მეტად

კი ეტიენი, რომელიც არა მარტო ხვნიშოდა, გმინავდა კიდევ და ყველანაირად აგრძნობინებდა, რომ სულელია. „როგორი იისფერია ეს ჩემი უვიცობა“, — ფიქრობდა მაგა დანანებით. ყოველთვის, როცა კი თავისი კითხვებით ვინმეს გააღიზიანებდა, ისეთი გრძნობა ჰქონდა, თითქოს იისფერი ღრუბელი შემოებურებოდა გარს ერთი წუთით და მაშინ ღრმად უნდა ამოესუნთქა, რომ იქიდან გამოსულიყო, ის კი დაცურავდა ირგვლივ იისფერ თევზებად, იშლებოდა უამრავ იისფერ რომბებად, გადაიქცეოდა პოსიტოსის უდაბურ მიწად, ზაფხულად ზღვის ნაპირზე, იისფერ ლაქებად, როცა მზეს უყურებ, მზეს კი ჰქვია Ra და ისიც ეგვიპტელია პასკალივით. თითქმის არც აქცევდა ყურადღებას გრეგოროვიუსის ოხვრას, ორასიოს მერე ვისი ოხვრა ააღელვებდა, და მაინც ერთი წუთით ისევ გაჩნდა იისფერი ლაქა, ტირილი მოუნდა, მხოლოდ ერთი წამით, რომ მოესწრო გადაეფერფლა სიგარეტი, რაც ხალიჩებს ისე აზიანებდა, რომ აღარაფერი შველოდა, თუკი მას საერთოდ ხალიჩა ექნებოდა.

(-141)

26

— არსებითად, — თქვა გრეგოროვიუსმა, — პარიზი არის უზარმაზარი მეტაფორა.

მან თითოთ დააკაკუნა ჩიბუხზე და თამბაქო დატკეპნა. მაგამ მეორე სიგარეტს მოუკიდა და ისევ წაიღიღინა. ისე დაიღალა, რომ არც კი სწყენია, როცა მისი ნათქვამი ფრაზა ვერ გაიგო. და რაკი ჩვეულებისამებრ არ დაუსვა კითხვა, გრეგოროვიუსმა გადაწყვიტა მაინც აეხსნა.

მაგა თითქოს შორიდან უსმენდა, სიბნელით და სიგარეტით დაფარული. რაღაც ნაწყვეტ-ნაწყვეტი ფრაზები ესმოდა, რამდენჯერმე ორასიოს სახელიც შემოესმა, აშლილობაო, უმიზნოდ

დაეხეტებაო, მაგრამ კლუბის თითქმის ყველა წევრი ხომ ასე დაბორიანდებდა და მაინც სჯეროდათ, ერთხელაც ეს ყველაფერი აზრს შეიძენსო. იყო ისეთი წუთებიც, როცა გრეგოროვიუსის სიტყვები სიბნელეში მწვანე ან თეთრ ფერებში იხატებოდა, ხან ეს ატლანი იყო, ხანაც ესტევი, მერე რომელიმე ბგერა იწყებდა ტრიალს, შეერთდებოდა და გადაიქცეოდა მანესიედ, ან ვიფრედო ლამად, ან პიობერად, ანდა ეტიენად და სულაც მაქს ერნსტად. ართობდა გრეგოროვიუსის ლაპარაკი: „...და აი, ყველა გაჰყურებს ბაბილონის გზებს, თუ ასე ვიტყვით და მაშასადამე...” მაგა კი ხედავდა როგორ იბადებოდნენ სიტყვებიდან ბრწყინვალე დეიროლები, ბისიერები, მაგრამ გრეგოროვიუსი უკვე ლაპარაკობდა ემპირიული ონტოლოგიის უსარგებლობაზე და უცბად ეს გადაიქცეოდა ფრიდლენდერად, ნატიფ ვიიონად, რომელიც გაჰკვეთდა წყვილადს და აათრთოლებდა, ემპირიული ონტოლოგია, კვამლივით ცისფერი, ვარდისფერი, ემპირიული, მკრთალი ყვითელი ორმო, სადაც ციმციმებენ მოთეთრო ნაპერწკლები.

— როკამადურმა დაიძინა, — თქვა მაგამ და სიგარეტი გადააფერფლა. — ნეტავი მეც ცოტა წამეძინა.

— ორასიო ამაღამ აღარ დაბრუნდება, მე ასე მგონია.

— რა ვიცი. ორასიო კატასავითაა, რასაც უნდა იმას აკეთებს, შეიძლება სწორედ ახლა კარს უკან იატაკზე ზის, ან სულაც მატარებლით მარსელში მიემგზავრება.

— მე შემიძლია დავრჩე, — თქვა გრეგოროვიუსმა, — თქვენ დაიძინეთ, მე როკამადურს მივხედავ.

— მაგრამ საქმე ისაა, რომ არ მეძინება. მთელი ამ დროის განმავლობაში, რაც თქვენ ლაპარაკობდით, ჰაერში რაღაც-რაღაცებს ვხედავდი.

თქვენ თქვით: „პარიზი უზარმაზარი მეტაფორააო”, მე კი ამ დროს თვალწინ სუგაის რაღაც ნიშნები წარმომიდგა, უფრო მეტად წითელი და შავი.

— მე ორასიოზე ვფიქრობდი, — თქვა გრეგოროვიუსმა, — სა-
ოცარია, როგორ შეიცვალა ამ თვეების მანძილზე, რაც მას ვიც-
ნობ.

თქვენ ალბათ ვერ ამჩნევთ, წარმომიდგენია, ისე ახლოს
ხართ მასთან და თან ამ ცვლილებაში თქვენ მიგიძღვით წვლი-
ლი.

— რატომ არის დიდი მეტაფორა?

— ის აქ ისე დადის, როგორც ზოგიერთები გასაქცევ გზას ეძე-
ბენ ხოლმე, ვუდუ იქნება ეს, თუ მარიხუანა, პიერ ბულეზი თუ
ტინგელის ხატვის მანქანები. იგი ხვდება, რომ პარიზის რომე-
ლილაც ადგილზე, რომელიმე დღეს, ან რომელიმე სიკვდილში,
ან რომელიმე შეხვედრაში არის გასაღები, რასაც იგი ეძებს გი-
ჟივით. მიაქციეთ ყურადღება, მე ვთქვი, გიჟივით-მეთქი; ანუ, სი-
ნამდვილეში მას წარმოდგენაც არა აქვს რა გასაღებს ეძებს, ან
თუ არსებობს სადმე ეს გასაღები. იგი მხოლოდ ხვდება, როგო-
რი უნდა იყოს, რა ფორმისა, რა სახისა; ამ აზრით ვლასპარაკობ
მეტაფორაზე.

— რატომ ამბობთ, ორასიო შეიცვალაო?

— მართებული შეკითხვაა, ლუსია. როდესაც ორასიო გავიცა-
ნი, მე იგი დავახასიათე როგორც ინტელექტუალი მოყვარული,
ანუ ინტელექტუალი დილეთანტი. თქვენ ხომ ასეთები ხართ, ცო-
ტა მაინც, იქ თქვენს მატო გროსოში, არა?

— მატო გროსო ბრაზილიაშია.

— ერთი სიტყვით, პარანაში. ძალიან გონიერი, ცნობისმოყვა-
რე და ყველაფერში ჩვენზე გაცილებით უკეთესად ინფორმირე-
ბული ხართ.

იტალიური ლიტერატურა, მაგალითად, ან ინგლისური უკეთ
იცით, ესპანეთის მთელი ოქროს საუკუნე, რაღა თქმა უნდა, და
ბუნებრივია, ფრანგული მწერლობა ხომ ზეპირად იცით. ორასი-
ოც ასეთი ჩანდა თავიდან. ძალიან მიკვირს, ამ ცოტა ხანში რო-

გორ შეიცვალა, აშკარად გაუხეშდა, ერთი შეხედვითაც კი ჩანს. კარგი, ვთქვათ ჯერ მთლად არ გაუხეშებულა, მაგრამ ბევრი არ უკვლია.

— სისულელეებს ამბობთ, — წაიბუზღუნა მაგამ.

— კარგად გამიგეთ, მე იმის თქმა მინდა, რომ იგი ეძებს შავ სინათლეს და ისიც კარგად იცის, რომ ასეთი რამეები ბიბლიოთეკაში არ უნდა ეძებო. სინამდვილეში ეს თქვენ ასწავლეთ და იმიტომაც მიდის თქვენგან, რადგან ამას ვერასოდეს გაპატიებთ.

— ორასიო ამიტომ არ მიდის.

— არის კიდევ ერთი ვინმე. მან თვითონაც არ იცის, რატომ მიდის თქვენგან, არც თქვენ შეიძლება იცოდეთ მისი წასვლის მიზეზი, თუკი მე არ დამიჯერებთ.

— არ დაგიჯერებთ, — თქვა მაგამ, სავარძლიდან ჩამოცურდა და იატაკზე მოიკალათა. — მე საერთოდ არაფერი მესმის. პოლა არ ახსენოთ, არ მინდა პოლაზე ლაპარაკი.

— მაშინ უყურეთ რა იხატება სიბნელეში, — თავაზიანად თქვა გრეგოროვიუსმა, — შეგვიძლია სულ სხვა რამეზე ვისაუბროთ, რა თქმა უნდა. იცით, რომ ჩირკინის ინდიელთა ტომი მისიონერებს სულ მაკრატელს სთხოვდა და ბოლოს ისეთი კოლექცია შეაგროვეს, რომ მთელი დედამიწის ბურგზე, შეიძლება ითქვას, ერთ სულ მოსახლეზე ყველაზე დიდი რაოდენობა მოდის ამ ტომზე. ეს წავიკითხე ალფრედ მეტროს სტატიაში. ქვეყანა არაჩვეულებრივი ამბებითაა სავსე.

— მაგრამ მაინც რატომაა პარიზი უზარმაზარი მეტაფორა?

— როდესაც სულ პატარა ვიყავი, — თქვა გრეგოროვიუსმა, — ძიძებს სასიყვარულო ურთიერთობები ჰქონდათ ულანებთან, რომლებიც ცხოვრობდნენ ბობოკის მიდამოებში; მე რომ ხელი არ შემეშალა მათთვის ამ გართობებში, დამტოვებდნენ ხოლმე უზარმაზარ დარბაზში სათამაშოდ, სადაც იმდენი ხალიჩები და ფარდაგები იყო, რომ თვით მალტე ლაურიდს ბრიგესაც კი აღ-

ტაცებაში მოიყვანდა. ერთ-ერთ ხალიჩაზე გამოსახული იყო ქალაქ ოფირის გეგმა იმ სახით, როგორითაც დასავლეთში მოაღწია ზღაპრების საშუალებით. მე ვიდექი მუხლებზე და ცხვირით ან ხელით მივაგორებდი ხოლმე ყვითელ ბურთს მდინარე შანტენის მიმართულებით, ქალაქის კედლის გადაღმა, რომელსაც იცავდნენ ზანგი მეომრები და რომლებიც შეიარაღებული იყვნენ შუბებით, და როცა გადავლახავდი უამრავ დაბრკოლებებს და თავს არაერთხელ ვახლიდი კაობის მაგიდის ფეხებს, შუაგულში რომ იდგა ხალიჩაზე, ბოლოს მივაღწევდი ხოლმე სავოიის დედოფლის სავანემდე და ბოლოს მუხლუხოსავით ვიძინებდი ამ გამოსახულებებზე.

დიახ, პარიზი არის მეტაფორა. ახლა რომ ვფიქრობ, თქვენც ასე მოგისროლეს ხალიჩაზე. რა სურათია ამ ხალიჩაზე? აჰ, დაკარგული ბავშვობა, შემოგარენი, ის შემოგარენი! ამ ოთახში ოცჯერ მაინც ვყოფილვარ და ვერაფრით გამიხსენებია ამ ხალიჩაზე რა სურათი იყო გამოსახული...

— ისეა გაპოხილი, რომ სურათი არ ჩანს, — თქვა მაგამ, — მე მგონია, მასზე გამოსახული უნდა ყოფილიყო ორი ფარშევანგი, რომლებიც ერთმანეთს ნისკარტებით კოცნიდნენ. ეს ყველაფერი კი ცოტა უხამსი ჩანდა.

ისინი გაჩუმდნენ, კიბეზე ფეხის ხმა გაისმა, ვილაც ამოდიოდა.

(-109)

27

— ოჰ, პოლა, — თქვა მაგამ, — მე უფრო მეტი ვიცი მასზე, ვიდრე ორასიომ.

— თანაც არასოდეს გინახავთ, არა, ლუსია?

— როგორ არ მინახავს, — თქვა მაგამ მოუთმენლად, — ორასიოს სულ თან მოჰყვებოდა ხოლმე, პალტოზე მისი თმა, მისგან გამოყოლილი ცახცახი, ისე იბანდა, თითქოს უნდა ჩამოირეცხოსო.

— ეტიენი და ვონგი მიაშობდნენ იმ ქალზე, — თქვა გრეგოროვიუსმა, — ერთ დღეს სენ-კლუში, კაფეს ტერასაზე უნახავთ ერთად.

აღბათ მარტო ვარსკვლავებმა თუ იციან რა უნდოდათ მათ, ყველას ერთად სენ-კლუში, მაგრამ ასე მოხდა. ორასიო თურმე ისე უყურებდა, როგორც ჭიანჭველების ბუდეს, შეპყრობილივით. მოგვიანებით ვონგმა ეს გამოიყენა, რომ ჩამოეყალიბებინა თავისი ერთი რთული თეორია სექსუალური მოყირჭების შესახებ; მისი ამრით, შეცნობის თვალსაზრისით შეიძლებოდა კიდევ უფრო წინ წასვლა, თუკი ყოველ ცალკეულ მომენტში მიაღწევდი სიყვარულის ისეთ კოეფიციენტს (ეს მისი სიტყვებია, მაპატიეთ ეს ჩინური ჟარგონი), როდესაც სული ერთბაშად დაკრისტალებოდა სხვა განზომილებაში და გადავიდოდა სიურრეალობაში. თქვენ გჯერათ ლუსია?

— მე მგონი, ჩვენ ყველა ვეძებთ რაღაც ამის მსგავსს, მაგრამ თითქმის ყოველთვის ან გვატყუებენ, ან ვტყუვდებით. პარიზი არის დიდი, ბრმა სიყვარული, ჩვენ ყველა დამღუპველი სიყვარულით ვართ შეპყრობილი, მაგრამ ყველა ვეფლობით რაღაც მწვანეში, ერთგვარ ხავსში, თუ რა ვიცი. მონტევიდეოშიც ასე იყო, არც იქ შეიძლებოდა ნამდვილი სიყვარული, მაშინვე იწყებოდა რაღაც უცნაური ამბები, ეს თმა, ეს გეწრებიო, მერე ქალებს კიდევ სხვაც ბევრი ისეთი აქვთ, ოსიპ, თუნდაც მაგალითად, აბორტები. და მორჩა.

— სიყვარული, სექსუალობა. ჩვენ ერთსა და იმავეზე ვლაპარაკობთ?

— ჰო, — თქვა მაგამ, — თუკი ვლაპარაკობთ სიყვარულზე, ესე იგი ვლაპარაკობთ სექსუალურ ცხოვრებაზე. საპირისპირო არ იქნება.

მაგრამ მე მაინც მგონია, რომ სექსუალობა სხვაა, სექსი სხვა.

— კმარა თეორიები, — მოულოდნელად თქვა ოსიპმა, — ეს დიქტომიები, ეს სინკრეტიზმები... ეტყობა, ორასიო პოლაში ეძებდა იმას, რასაც თქვენ ვერ აძლევდით, მე ვფიქრობ. თუ პრაქტიკულ სფეროში გადავალთ, ასე ვთქვათ.

— ორასიო მუდამ ეძებს უამრავ რამეს, — თქვა მაგამ. — იგი ჩემგან ისვენებს, რადგან მე არ შემიძლია ფიქრი, ეს არის და ეს. პოლა კი, ასე მგონია, გამუდმებით ფიქრობს.

— „ღარიბია ის სიყვარული, რომელიც ფიქრით საზრდოობს“, — ციტატა წარმოთქვა ოსიპმა.

— სამართლიანები უნდა ვიყოთ, — თქვა მაგამ, — პოლა ძალიან ლამაზია, მე ეს ამოვიკითხე ორასიოს თვალეებში, მე რომ მიყურებდა, როდესაც მისგან ბრუნდებოდა ხოლმე, ასანთივით იყო, როგორც კი გაჰკრავ, მაშინვე აბრიალდება. იმას არა აქვს მნიშვნელობა, რომ ეს ერთი წამი გრძელდება, ეს სასწაულებრივია; ერთი ტკაცანი, გოგირდის სუნი გეცემა, ავარდება ცეცხლი და მერე უშალვე ქრება. ასეთი ბრუნდებოდა ხოლმე, რადგან პოლა სილამაზით ავსებდა. მეც ამას ვეუბნებოდი, ოსიპ, ეს მართლაც ასე იყო. ჩვენ ცოტა კი დავშორდით ამ ბოლო დროს, მაგრამ მაინც გვიყვარს ერთმანეთი.

ასეთი რამ უცებ არ ხდება. პოლა ისე შემოდოდა ჩვენთან, როგორც მზე ფანჯარაში, მეც მინდა სულ ასე ვიფიქრო, რომ ვიცოდე მართალს ვლაპარაკობ. შემოდოდა და ცოტა მაშორებდა ჩრდილს, ორასიო კი მის სხივებში ისე გიზგიზებდა, როგორც გემბანზე, თითქოს ირუჯებოდა კიდეც, ისეთი ბედნიერი იყო.

— ვერასოდეს დავიჯერებდი. მე მეჩვენებოდა, რომ თქვენ... ბოლოს და ბოლოს, პოლაც გაუვლის, როგორც ბევრი სხვა. თუნდაც ფრანსუაზა ვთქვათ, მაგალითად.

— ის ხსენებადაც არ ღირს, — თქვა მაგამ და სიგარეტი იატაკზე დააფერფლა, — ეს იგივე იქნებოდა მე რომ გამეხსენებინა ისეთი ვინმე, როგორც მაგალითად ლედესმაა. მართალია თქვენ ამის შესახებ არაფერი იცით. არც ის იცით, როგორ დამთავრდა პოლასთან მისი ურთიერთობა.

— არა.

— პოლა კვდება, — თქვა მაგამ. — მაგრამ იმ ქინძისთავების მიზეზით კი არა, ეს ხუმრობა იყო, თუმცა ამას სერიოზულად ვაკეთებდი, გარწმუნებთ, სერიოზულად ვაკეთებდი, იგი კვდება მკერდის კიბოთი.

— და ორასიო...

— ეს არ გეკადრებათ, ოსიპ. ორასიომ არაფერი იცოდა, როცა პოლა მიატოვა.

— ღვთის გულისათვის, ლუსია, მე...

— თქვენ ძალიან კარგად იცით, რასაც ლაპარაკობთ და რაც გინდათ აქ ამ ღამეს, ოსიპ. ნუ მოიქცევით გარეწარივით, ნუ ლაპარაკობთ ქარაგმებით.

— რას გულისხმობთ, თუ შეიძლება მითხარით.

— რომ ორასიომ ვითომ იცოდა მანამდე, სანამ მიატოვებდა.

— თუ ღმერთი გწამთ, — გაიმეორა გრეგოროვიუსმა, — მე არც მიფიქრია... — ნუ იქნებით გარეწარი, — თქვა მშვიდად მაგამ, — რას მოიგებთ ორასიოს ლანძღვით? ხომ იცით, რომ მე და ორასიო დავშორდით, რომ ის აქედან წავიდა და თანაც ასეთ თავსხმაში?

— მე არაფერს ვცდილობ, — თქვა ოსიპმა და სავარძელში ბოლომდე ჩაძვრა, მიიყუჟა, — მე ასეთი არა ვარ, ლუსია, თქვენ ვერ გამიგეთ, ჩემი ნათქვამი ცუდად გაიგეთ. ალბათ მეც „გრე-

ფინის” კაპიტანივით უნდა დავიჩოქო და შეგვევედროთ, რომ დამიჯეროთ და რომ...

— და დამანებეთ თავი, დამასვენეთ, — თქვა მაგამ, — ჯერ პოლა, ახლა თქვენ. მერე კიდევ ეს ლაქებიც კედლებზე, ეს ღამეც რომ აღარ დამთავრდა. შეიძლება თქვენ შეგიძლიათ ისიც კი იფიქროთ, რომ მე ვკლავ პოლას.

— არასოდეს, აზრადაც არ გავივლებდი ასეთ რამეს...

— კმარა, კმარა. ორასიო არასოდეს მაპატიებდა ამას, პოლაზე შეყვარებულიც რომ არ ყოფილიყო. ეს ხომ სასაცილოა, ერთი პატარა თოჯინა მწვანე სანთლისგან რომ გავაკეთე, მახსოვს, ლამაზი იყო.

— ლუსია, ვერც დავიჯერებ, რომ თქვენ შეგეძლოთ...

— ამას არასოდეს მაპატიებს, თუმცა ამაზე ხმაც არასოდეს ამოგვიღია. მან ყველაფერი იცის, რადგან ის თოჯინაც ნახა და ის ნემსებიც, იატაკზე დააგდო და ფეხით გასრისა, არ იცოდა, რომ ეს უარესი იყო და უფრო საშიშიც. პოლა დოფინის ქუჩაზე ცხოვრობს და ის თითქმის ყოველ ცისმარე დღეს დადიოდა მის სანახავად. ალბათ თქვენც გიამბოთ მწვანე თოჯინის შესახებ, არა, ოსიპ?

— სრულიად შესაძლებელია, — თქვა ცოტა არ იყოს, გაღიზიანებულმა ოსიპმა, — თქვენ ხომ ყველანი გიჟები ხართ.

— ორასიო ლაპარაკობდა ახალ წყობაზე, იმაზე, რომ შეიძლება მოიპოვო სხვა ცხოვრება. ყოველთვის, როცა ლაპარაკობდა სიცოცხლეზე, ყოველთვის სიკვდილს გულიხსმობდა, ეს რაღაც ფატალური იყო და ბევრს ვიცინოდით. მან მითხრა, რომ პოლასთან იწვა და მეც მაშინვე მივხვდი, რომ მას სულაც არ უფიქრია იმაზე, რომ მე მეწყინებოდა ან სცენებს მოვუწყობდი. ოსიპ, მე მართლაც არ გავბრაზებულვარ, მეც ხომ შემეძლო დავწოლილიყავი თუნდაც თქვენთან, ახლაც კი, ამის სურვილი რომ მქონოდა. ძალიან ძნელია ამის ახსნა, მაგრამ საქმე ღა-

ლატს ან სხვა ასეთ რამეს კი არ ეხება. ორასიო მარტო „ღალა-ტისა“ თუ „მოტყუების“ ხსენებაზეც კი გაშმაგდებოდა ხოლმე. უნდა ვაღიარო, რომ თავიდანვე, როცა ერთმანეთი გავიცანით, მითხრა არავითარ ვალდებულებებს არ ვიღებ ჩემს თავზე. იმ თოჯინის ამბავიც იმას მოჰყვა, რომ პოლა ჩემს სახლში შემოვი-და, ეს კი მეტისმეტი იყო, მე ვიცოდი, რომ მას შეეძლო მოეპარა ჩემთვის კაბა, ჩაეცვა ჩემი წინდები, ან წაეღო რაიმე წითელი ნივთი ჩემგან, ანდა სულაც როკამადურისთვის რძე დაეღვევინე-ბინა.

— მაგრამ ხომ თქვით, რომ არ ვიცნობო.

— ის ხომ ორასიოს არ სცილდებოდა, სულელო, სულელო, სულელო, ოსიპ. საბრალო ოსიპ, რა სულელი ხართ. მის ქურ-თუკში, მისი ბეწვის საყელოში ვხედავდი, ხომ გინახავთ ორასი-ოს ქურთუკს ბეწვის საყელო რომ აქვს. და პოლაც მასთან ერ-თად იყო, როცა ბრუნდებოდა, მე მას ვხედავდი ორასიოს მზერა-ში; ხოლო როცა იხდიდა ხოლმე, აი იმ კუთხეში, როცა იბანდა, აი იმ თასში, ხომ ხედავთ, ოსიპ, მისი კანიდან პოლა იღვრებო-და, წვეთავდა, მე მას ვხედავდი როგორც ექტოპლაზმას, რო-გორც ლანდს, ოსიპ, ძლივს ვიკავებდი თავს რომ არ მეტირა, რადგან მე არ ვიყავი პოლას სახლში, რადგან მე იგი ვერ დამი-ნახავდა ორასიოს თმაში, ან მის თვალებში, ან მის სხეულზე. არ ვიცი როგორ ვთქვა, მაგრამ ჩვენ ერთმანეთი მაინც ძალიან გვიყვარდა, არ ვიცი კი რატომ. ეგებ იმიტომ, რომ მე არ შემიძ-ლია ფიქრი და მას ამიტომ, ამის გამო არ ვუყვარვარ.

(-28)

28

კიბებზე ვიღაც ამოდიოდა.

— შეიძლება ორასიოა, — თქვა გრეგორიოვიუსმა.

– შეიძლება, – თქვა მაგამ, – მაგრამ ვფიქრობ, უფრო მესაათეა, მეექვსე სართულზე რომ ცხოვრობს, ყოველთვის გვიან ბრუნდება ხოლმე. არ გინდათ მუსიკას მოვუსმინოთ?

– ასეთ დროს? ბავშვი რომ გავაღვიძოთ?

– არა, ძალიან დაბალ ხმაზე დავაყენოთ, სულ ჩუმად, კარგი იქნებოდა რომელიმე კვარტეტი. ისე ჩუმად, მარტო ჩვენ რომ გვესმოდეს, აი, ნახავთ.

– არა, ეს ორასიო არ არის, – თქვა გრეგოროვიუსმა.

– არ ვიცი, – თქვა მაგამ, ასანთი ანთო და კუთხეში, ფირფიტების გროვაში დაიწყო ძებნა, – შეიძლება კარებთანაც იჯდეს, ასე იცის, ზოგჯერ კარებამდე მოვა ხოლმე და მერე გადაიფიქრებს, ჩართეთ ფირფიტების საკრავი, მანდვეა, ღუმელის გვერდით, თეთრი ღილაკი.

მაგამ დაიჩოქა და ფეხსაცმლის ყუთის მსგავს ფირფიტების საკრავზე ხელის ცეცებით ძლივსლა დადო ფირფიტა. ყუთი დაბალ ხმაზე აგუგუნდა, პირველი აკორდი ჰაერში ისე გამოეკიდა, გეგონებოდათ ხელის შეხებაც შეიძლებაო. გრეგოროვიუსმა ჩიბუხის დატენვა დაიწყო, ისევ შეცბუნებული ჩანდა. მას არ მოსწონდა შონბერგი, მაგრამ მთავარი ეს არ იყო, გვიანი საათი, ავადმყოფი ბავშვი, ეს ყველაფერი ხომ მხედველობაში უნდა მიეღოთ. წინააღმდეგობის გაწევა შეუძლებელი იქნებოდა. მაინც რა იდიოტია. მაგრამ ზოგჯერ ასეთი შეტევებიც ემართებოდა, როდესაც რომელიმე წეს-კანონი მისი დარღვევისთვის შურს იძიებდა ხოლმე. მოეჩვენა, რომ მაგას პირდაპირ იატაკზე, იმ ყუთში ლამის თავჩარგულს ჩაეძინა.

დრო და დრო ესმოდა როკამადურის სუსტი ფშვინვა, მაგრამ გრეგოროვიუსი ისე გაიტაცა მუსიკამ, რომ მიხვდა, შეეძლო დაეთმო. უდრტვინველად დაჰყოლოდა ორიოდე წუთი მაინც უკვე კარგა ხნის გარდაცვლილსა და დამარხულ ვენის მუსიკოსს. მაგა სიგარეტს აბოლებდა, იატაკზე წამოწოლილიყო და მისი სახე ერთი წამით თუ გამოჩნდებოდა სიბნელეში, თვალები დაეხუჭა,

თმა სახეზე ჩამოშლოდა, ღაწვები ალბათ ცრემლებისგან უპრიალებდა, მაგრამ იგი არ ტიროდა. სისულელე იქნებოდა ამაზე ფიქრიც კი, რომ მას შეეძლო ტირილი, პირი უფრო სიბრაზისგან დაემუწა, რადგან ჭერზე აკაკუნებდნენ; უკვე ერთხელ კი არა, ორჯერ-სამჯერ დააკაკუნეს. გრეგოროვიუსი შეცბა და კინალამ შეჰყვირა, როდესაც იგრძნო რომ კოჭზე ხელი მოუჭირეს.

— ყურადღებას ნუ მიაქცევთ, ეს მოხუცია, ზედა სართულიდან.

— მაგრამ ჩვენ თვითონ ძლივს გვესმის.

— ეს მილების გამოა, — იღუმალი ხმით თქვა მაგამ. — ხმა მილებში გადის, სხვა დროსაც მომხდარა.

— აკუსტიკა საკვირველი მეცნიერებაა, — თქვა გრეგოროვიუსმა.

— მალე თვითონვე დაიღლება, — თქვა მაგამ. — იდიოტი.

მაგრამ კაკუნი კვლავ გაისმა, მაგა აღშფოთებული წამოდგა და კიდევ დაუწია ხმა. რვა თუ ცხრა აკორდი გაჟღერდა, მერე პიციკატო და ისევ გაისმა კაკუნი.

— შეუძლებელია, — თქვა გრეგოროვიუსმა, — აბსოლუტურად შეუძლებელია, რომ მოხუცს რამე ესმოდეს.

— მას უფრო კარგად ესმის, ვიდრე ჩვენ, ესაა უბედურება.

— ეს სახლი დიონისეს ყურს გაგახსენებს.

— ვისიო? რა სამწუხაროა, ახლა სწორედ ადაჯო დაიწყო, ის კი აკაკუნებს. როკამადურს გააღვიძებს.

— ეგებ ასე სჯობს...

— არა, არ მინდა. თუნდაც ჭერი ჩამოანგრის, მარიო დელ მონაკოს ფირფიტა რომ მოგვესმენინებინა, ეგებ რაიმე გაეგო,

მაგრამ, სამწუხაროდ, არ მაქვს; კრეტინი, საზიზღლარი პირუტყვი.

— ლუსია, — ნაზად დაუყვავა გრეგოროვიუსმა, — უკვე შუალა-მესაც გადასცდა.

— მუსიკამ დრო არ იცის, — წაიბუზღუნა მაგამ. — ამ ბინიდან გადავალ. ამაზე დაბალ ხმაზე როგორ დავაყენო, მეც კი არ მესმის. მოიცადეთ, კიდევ ერთხელ მოვისმინოთ ბოლო ნაწილი.

თქვენ ყურადღებას ნუ მიაქცევთ.

კაკუნი შეწყდა და კვარტეტი ბოლომდე ისე მოისმინეს, რომ არც კაკუნი გაუგონიათ და არც როკამადურის ფშვინვა. მაგამ ამოისუნთქა, ყური ისევ დინამიკზე ჰქონდა მიდებული. კაკუნი კვლავ გაისმა.

— რა იდიოტია, — თქვა მაგამ, — ყოველთვის ასეა, გამუდმებით.

— ნუ ჯიუტობთ, ლუსია.

— თქვენ თვითონ მოეშვით ამ სისულელებს, მეტის მოთმენა აღარ შეიძლება, ყველას კინწისკვრით გავყრიდი აქედან... ერთხელ მაინც მომასმენინონ შონბერგი, ერთხელ მოინდომებ რამეს და ისიც...

იგი ტიროდა, ერთბაშად გადასწია ფირფიტიდან ნემსი, გაისმა ბოლო აკორდიც და გამოსართველად დაიხარა, ისე ახლოს იყო გრეგოროვიუსთან, თავისთავად გამოვიდა, რომ ხელი მოხვია წელზე და მუხლებზე დაისვა. მან ხელი გადაუსვა თმაზე და სახე შეუმშრალა. მაგა კი ტიროდა, სლუკუნებდა და ახველებდა, თამბაქოს სუნს სახეში აორთქლებდა.

— საბრალო, საბრალო, — იმეორებდა გრეგოროვიუსი და თან ეალერსებოდა. — არავის უყვარს, არავის. ყველა ცუდად ექცევა საბრალო ლუსიას.

— სულელი, — თქვა მაგამ სრუტუნით და გულწრფელი მოწიწებით, — მე იმიტომ ვტირი, რომ ტირილი მინდა და არა იმიტომ რომ მანუგეშონ. ღმერთო ჩემო, რა წვეტიანი მუხლები გაქვთ, სულ მაკრატელივით მერჭობა.

— ცოტა ხანს კიდევ დარჩით, — შეეხვეწა გრეგოროვიუსი.

— არ მინდა, — თქვა მაგამ, — რატომ აკაკუნებს ისევ ის იდიოტი?

— ნუ მიაქცევთ ყურადღებას, ლუსია. საბრალო...

— მე ვთქვი ისევ ისე აკაკუნებს-მეთქი, გაუგებარია.

— თავი დაანებე, აკაკუნოს რამდენიც უნდა, — უგერგილოდ ურჩია გრეგოროვიუსმა.

— სულ ახლახან თქვენ თვითონ სწუხდით, — პირში მიახალა მაგამ სიცილით.

— თუ ღმერთი გწამთ, თქვენ რომ იცოდეთ...

— ოჰ, მე ყველაფერი ვიცი, თქვენ მშვიდად იყავით, ოსიპ. — თქვა მაგამ უცბად, თითქოს რალაცას მიხვდაო, — ის ტიპი მუსიკის გამო არ აკაკუნებს. შეგვიძლია კიდევ მოვისმინოთ რამე.

— ღმერთო, დამიფარე, არა.

— ნუთუ არ გესმით, რომ ისევ აკაკუნებს?

— ახლავე ავალ მასთან და ცხვირ-პირს მოვუნაყავ, — თქვა გრეგოროვიუსმა.

— ამ წუთშივე, — წაახალისა მაგამ და მაშინვე ფეხზე წამოხტა, რომ გზა მიეცა, — უთხარით, რომ მას უფლება არა აქვს გააღვიძოს ხალხი ღამის პირველ საათზე. აბა, ადექით, მისი კარები მარცხენა მხარესაა და ზედ ჩექმა აქვს მიკრული.

— ჩექმა, კარებზე მიკრული?

— ჰო, მოხუცი მთლად ჭკუაზე ვერ არის. კარებზე ჩექმა და კიდევ აკორდეონის მწვანე ნაგლეჯები. არ მიდიხართ?

— არა მგონია ღირდეს, — თქვა გრეგოროვიუსმა უხალისოდ, — ეს ყველაფერი სულ სხვანაირადაა, აზრი არა აქვს ლუსია, ვერ გაგიგიათ, რომ... ბოლოს და ბოლოს ველარ უნდა მიხვდეს ეს კაცი, რომ მორჩეს კაკუნს.

მაგა ოთახის კუთხეში მივიდა, ლურსმნიდან რაღაც ნივთი მოხსნა, სიბნელეში კარგად არ ჩანდა, მაგრამ ჯაგრისი უნდა ყოფილიყო, და გრეგოროვიუსმა გაიგონა საშინელი დარტყმის ხმა ჭერზე. ამის მერე კაკუნი შეწყდა.

— ახლა შეგვიძლია რაც გვინდა, ის მოვისმინოთ, — თქვა მაგამ.

„მეკითხება კიდევ“, გაიფიქრა გრეგოროვიუსმა და კიდევ უფრო იგრძნო დაღლილობა.

— მაგალითად, ბრამსის სონატა, — თქვა მაგამ, — დიდებულისა, კაკუნით დაიღალა. მოიცადეთ, ახლავე ვიპოვი დისკს, სადმე აქვე უნდა იყოს. ვერაფერს ვხედავ.

„ორასიო იქ არის, გარეთ, — გაიფიქრა გრეგოროვიუსმა. — ზის კიბეზე, ზურგით კარებზე მიყრდნობილი და ყველაფერს ისმენს.

როგორც ტაროს ქაღალდზე გამოსახული ფიგურა, რომელსაც როგორც გინდა ისე შეატრიალებ, პოლიედრი, რომლის ყოველ მხარეს, ყოველ წახნაგს აქვს თავისი უშუალო აზრი, ყალბი იქამდე, სანამ ყველაფერი არ გაერთიანდება ერთ გამშალედებულ აზრში და არ დადგება გამოცხადების ჟამი. ასეა ბრამსი, მე, კაკუნი ჭერში, ორასიო, ნელ-ნელა ყველაფერი მიდის რაღაცის გარკვევამდე. და ეს ყველაფერი მაინც უსარგებლოა“. მან ჰკითხა თავის თავს, რა მოხდება, თუ ერთხელ კიდევ ვცდი და მაგას ამ სიბნელეში მოვეხვევიო. „მაგრამ ის აქ არის, გვისმენს. შეიძლება კიდევ სიამოვნებს ჩვენი მოსმენა, მაინც რა ამაზრბენია

ზოგჯერ,” იმის გარდა, რომ მისი ეშინოდა, ამის აღიარება მაინც უძნელდებოდა.

— ეს უნდა იყოს, — თქვა მაგამ, — ჰო, ვერცხლისფერი ეტიკეტით და ორი ჩიტის გამოსახულებით. ვისი ხმა ისმის კარების უკან?

„პოლიედრი, შუშის კრისტალები ნელ-ნელა ერთიანდება სიბნელეში, — გაიფიქრა გრეგოროვიუსმა. — ახლა მაგა იტყვის ამას და გარეთ აღმოჩნდება სხვა და მე... თუმცა მე არ ვიცი რა არის ეს და რა ის!”

— ეს ორასია, — თქვა მაგამ.

— ორასიო და ვიღაც ქალი.

— არა, ნამდვილად ის მოხუცია ზედა სართულიდან.

— ის, კარებზე ჩექმა რომ აქვს მიკრული?

— ჰო, ბებერი ქალის ხმა აქვს, ისეთი კაჭკაჭს რომ აქვს. სულ ბეწვის ქუდი ახურავს.

— ჯობია ჯერ არ დადო ფირფიტა, — ურჩია გრეგოროვიუსმა, — მოვიცადოთ, ვნახოთ რა მოხდება.

— მაშინ ველარც ბრამსის სონატას მოვისმენთ, — თქვა გაბრაზებულმა მაგამ.

„ფასეულობათა უცნაური აღრევააა, — გაიფიქრა გრეგოროვიუსმა.

— ისინი იქ კიბის ბაქანზე არიან სრულ სიბნელეში, საცაა წაეკიდებიან ერთმანეთს, ეს კი მარტო იმაზე ფიქრობს, რომ სონატას ვერ მოუსმენს”. მაგრამ მაგა მართალი აღმოჩნდა, როგორც ყოველთვის მართალი მარტო ის არის ხოლმე. „უფრო მეტი ცრურწმენები მქონია, ვიდრე მეგონა, — თქვა თავის გულში გრეგოროვიუსმა.

– თუ გგონია, რომ ეწევი ცხოვრებას Affranchi[100], მაშინ ლუტეციას მატერიალურ და სულიერ პარაზიტობასაც აღიარებ და ადამის წინაპარივით სუფთაც ყოფილხარ. საცოდავი იდიოტი.”

– The rest is silence[101] – თქვა გრეგოროვიუსმა ოხვრით.

– Silence my foot[102], – თქვა მაგამ, რომელმაც საკმაო ინგლისური იცოდა. ახლა ნახავთ, თავიდან დაიწყებენ. პირველი, ვინც დაიწყებს ლაპარაკს, მოხუცი იქნება. აჰა, ასეცაა, Mais qu’est-ce que vous foutez?[103] – გამოაჯავრა მაგამ დუდღუნით, ახლა ვნახოთ, რას უპასუხებს ორასიო, მგონი ჩუმჩუმად იცინის, მაგრამ როცა სიცილს დაიწყებს, სიტყვებს ვეღარ პოულობს, დაუჯერებელი რამაა, წავალ და ვნახავ, რა ხდება.

– მერე რა კარგად ვიყავით, – წაიბუტბუტა გრეგოროვიუსმა ისე, თითქოს განდევნის ანგელოზი გამოეცხადაო. გერარდ დავიდი, ვან დერ ვეიდანი, ფლემალელი მანესტრო, ამ საათში ყველა ანგელოზი, კი არ ვიცი რატომ, მაგრამ, დასწყევლოს ეშმაკმა, რატომღაც ფლამენელებს მაგონებენ, იმ თავიანთი მსუქანი, სულელური სიფათებით, გამოწკეპილები და გაკრიალებულები, თუმცა გამოუსწორებლად ბურჟუაზიულები (Daddy–ordered–it, so–you–better–beat–it–you– lousy–sinners)[104] მთელი ოთახი ანგელოზებით იყო სავსე. I looked up to heaven and what did I see / A band of angels comin’ after me”[105] მუდამ ასეთი დასასრულია, ანგელოზი პოლიციელები, გადასახადების ამკრეფი ანგელოზები, ანგელოზი ანგელოზები. ნაგვის ნაგავი, გეგონებათ ცივი ჰაერის ნაკადმა პირდაპირ შარვალში შეაღწია, გაბრაზებული ხმები კიბებზე, მაგას სილუეტი კარების ნაპრალებში.

– C’est pas de façon. ça, – ამბობდა მოხუცი – Empêcher les gens de dormir à cette heure c’est trop con. J’me plaindrai à la Police, moi, et puis qu’est-ce que vous foutez là, vous planquez par terre contre la porte? J’aurais pu me casser la gueule, merde alors.[106] – წადით, დაიძინეთ, მოხუცო, – უთხრა ორასიომ და უფრო მოხერხებულად მიწვა იატაკზე.

– Dormir moi, avec le bordel que fait votre bonne femme? Ça alors comme culot, mais je vous préviens, ça ne passera pas comme ça, vous aurez de mes nouvelles[107].

– Mais de mon frère le poète on a eu des nouvelles,”[108] – უთხრა ორასიომ მთქნარებით. – ეს ვინ არის, რა ტიპია, შენ გესმის?

– იდიოტია, – თქვა მაგამ, – სულ დაბალ ხმაზე ვუკრავდი ფირფიტას, ის კი აკაკუნებდა. ავიღე ფირფიტა, მაინც აკაკუნებს. რა უნდა, მაინც ვერ გავიგე.

– კარგი, ამაზე ანეკდოტიც არსებობს, ერთ ტიპს ფეხსაცმელი რომ გასძვრა.

– არ გამიგია, – თქვა მაგამ.

– ასეც ვიფიქრე, – თქვა ოლივეირამ, – რაც უნდა იყოს, მოხუცები ჩემში პატივისცემას იწვევენ და კიდევ რაღაც სხვა გრძნობებსაც.

მაგრამ ამას ერთ ქილა ფორმალის ვუყიდიდი და იმ ქილაშივე ჩავაყუდებდი, რომ აღარ შეგვაწუხოს ამ წყეულმა.

– et en plus ça m’insulte dans son charabia de sales metèques. – თქვა მოხუცმა, – On est en France, ici. Des salaud, quoi. On devrait vous mettre a la porte, c’est une honte. Q’est–ce que fait le Gouvernement, je me demande. Des Arabes, tous des fripuilles, bande de tueurs.[109] – გეყოფათ მეტისების ლანძღვა, ერთი გაჩვენათ თქვენი ფრანგების ბრბო არგენტინიდან რა დოვლათს ეზიდება, – თქვა ოლივეირამ. – მაინც რას ისმენდით? მე ახლახან დავბრუნდი, მთლად სველი ვარ.

– შონბერგის კვარტეტს. მერე მინდოდა ბრამსის სონატა მომესმინა, ძალიან ხმადაბლა.

– ჯობია ხვალისთვის გადადო, – შემრიგებლური კილოთი თქვა ოლივეირამ და იდაყვს დაეყრდნო, რომ გალუაზისთვის მოეკიდებინა.

– Rentrez chez vous, monsieur, on vous emmerdera plus pour ce soir.[110] – Des fainéants – თქვა მოხუცმა. – Des tueurs, tous[111] ასანთის შუქზე გამოჩნდა მისი ბეწვის ქუდი, გაპოხილი ხალათი, გაბოროტებული თვალები. მისი ბეწვის ქუდისგან კიბის ბაქანზე უზარმაზარი ჩრდილი გაიჭიმა და მაგაც მოიხიბლა. ოლივეირა წამოდგა, ასანთს შეუბერა, ოთახში შევიდა და კარები ჩუმად მოხურა.

– სალამი, – თქვა ოლივეირამ, – ვერაფერს ვხედავ, ჩე.

– სალამი, – თქვა გრეგოროვიუსმა, – კიდევ კარგი თავი დააღწიე იმ კაცს.

– Per modo di dire[112], სინამდვილეში მოხუცი მართალია, თანაც მოხუცია.

– სიბერე მიზეზი არ არის, – თქვა მაგამ.

– შეიძლება მიზეზი კი არ არის, მაგრამ შესაწყნარებელია.

– შენ თვითონ ამბობდი არგენტინის დრამა ისაა, რომ ბებრები მართავენო.

– ამ დრამის ფარდა უკვე დაეშვა, – თქვა ოლივეირამ, – პერონის მერე ყველაფერი პირიქით ხდება, ახლა ახალგაზრდები განაგებენ და კიდევ უარესი, მაგრამ რას გააწყობ. ყოველგვარი მსჯელობა ასაკის, თაობების, ტიტულებსა და სხვადასხვა კლასების თაობაზე სრული უაზრობაა. მე რომ მკითხოთ, ასე რომ ვჩურჩულებთ და ვწვალობთ, როკამადურის გულისთვის ვწვალობთ, რომ წყნარად, წმინდანის ძილით იძინოს.

– ჰო, მან მანამდე დაიძინა, სანამ მუსიკას ჩავრთავდით. რა სველი ხარ ორასიო.

— საფორტეპიანო კონცერტზე ვიყავი, — აუხსნა ოლივეირამ.

— აჰა, — თქვა მაგამ, — კარგი, გაიხადე ქურთუკი, მე კი ამასობაში მატეს მოგიდუღებ, რაც შეიძლება ცხელი რომ დალიო.

— ერთი ჭიქა კანიაც მოაყოლე, მგონი ნახევარი ბოთლი კიდევ დარჩა, აი, იქ იქნება.

— კანია რაღაა? — იკითხა გრეგოროვიუსმა, — ისაა, გრაპას რომ უწოდებენ?

— არა, უფრო უნგრულ ბარაცკს ჰგავს. ძალიან კარგია კონცერტების მერე, განსაკუთრებით პირველი შესრულების და თან აუწერელი შედეგების მერე. ამასთან პატარა სინათლესაც ავანთებთ და როკამადურსაც არ შევაწუხებთ...

მაგამ ლამფა აანთო და იატაკზე დადგა, სწორედ რომ რემბრანდტის განათება მოაწყო, რაც ოლივეირას განწყობასაც ესადაგებოდა.

უძღები შვილი შინ დაბრუნდა, დაე თუნდაც ეს დაბრუნება წუთიერი თუ დროებითი ყოფილიყო, თავადაც რომ არ სცოდნოდა, რისთვის ბრუნდებოდა, რატომ ამოდიოდა კიბეებზე სვენებ-სვენებით, რატომ წამოიწვა კარებთან და უსმენდა კვარტეტს ბოლომდე, რატომ უსმენდა მაგასა და ოსიპის ჩურჩულს, „ალბათ კატებივით ესიყვარულებოდნენ ერთმანეთს,“ — გაიფიქრა მან და კარგად შეათვალიერა. მაგრამ არა, შეუძლებელია, ისინი ამ შუალამისას მის დაბრუნებას არ ელოდნენ, თანაც ჩვეულებრივად ჩაცმულები არიან, როკამადურსაც საწოლზე სძინავს. როკამადური სკამებზე რომ დაეწვინათ, გრეგოროვიუსს ფეხსაცმელი რომ გაეხადა ან პიჯაკი...

ესეც არ იყოს, რა ჯანდაბა უნდა აქ, თუ ვინმე ზედმეტია, ისევ თვითონაა ამ თავისი სველი, ბინძური ქურთუკიანად.

— ეს აკუსტიკაც რა სასწაულებრივი რამაა, — თქვა გრეგოროვიუსმა, — ყველგან და ყველაფერში შეიძლება გააღწიოს,

სართულებში, კედლებში, საწოლში, პირდაპირ დაუჯერებელია. თქვენ არასოდეს ჩაგიყვინთავთ სავსე აბაზანაში?

— მქონია ასეთი შემთხვევაც, — თქვა ოლივეირამ, ქურთუკი გაიხადა, კუთხეში მიაგდო და ტაბურეტზე ჩამოჯდა.

— ყველაფრის მოსმენა შეგიძლიათ, რასაც მეზობლები ლაპარაკობენ ქვედა სართულზე, თუ თავით ჩაეყუდებით წყალში. მე ვფიქრობ ხმა მიღებში გადის. ერთხელ გლაზგოში ასე გავიგე, რომ ჩვენი მეზობლები თურმე ტროცკისტები იყვნენ.

— გლაზგო სულ ცუდ ამინდსა და პორტში თავშეყრილ სევდიან ადამიანებს მაგონებს, — თქვა მაგამ.

— ნამდვილი კინოა, — თქვა ოლივეირამ, — ეს მატე მართლაც ღვთის წყალობაა, ჩე, ვერ წარმოიდგენთ, როგორ ამშვიდებს ადამიანს. ღმერთო ჩემო, ფეხსაცმელი წყლით მქონია სავსე. მატე წერტილივითაა, დაღვე თუ არა, მაშინვე შეგიძლია აბზაცით დაიწყო.

— მაგ თქვენი პამპების სიამოვნებისა არაფერი გამეგება, — თქვა გრეგოროვიუსმა, — მგონი სხვა სასმელიც ახსენეთ.

— მოიტანე კანია, — ბრძანა ოლივეირამ, — როგორც მახსოვს ნახევარ ბოთლზე მეტი იყო დარჩენილი.

— აქ ყიდულობთ? — ჰკითხა გრეგოროვიუსმა.

„რა ჯანდაბა ალაპარაკებს მრავლობით რიცხვში? — გაიფიქრა ოლივეირამ, — ალბათ მთელი ღამე ყირაბზე გადადიოდნენ, ამის ნიშნები ჩანს, მორჩა და გათავდა, ასეა.“

— არა, ჩემი ძმა მიგზავნის ხოლმე, ჩე. როსარიოში ცხოვრობს. საოცარი ვინმეა, კანიასა და საყვედურებს არ მაკლებს.

ოლივეირამ ცარიელი სასმისი მიაწოდა მაგას, რომელიც მის ფეხებთან ჩაცუცქულიყო და ქილა მუხლებზე დაედგა. ოლივეირა ცოტა ხასიათზე მოვიდა, როცა კოჭებზე მაგას თითები იგ-

რძნო თასმებს რომ უხსნიდა და ღრმად ამოისუნთქა, ჯერ ფეხსაცმელი გახადა, მერე სველი წინდები და ფეხებზე „Figaro littéraire”-ს[113] ფურცლები შემოახვია, კარგად შეუფუთნა. მატე ძალიან ცხელი და მწარე იყო.

გრეგოროვიუსს კანია ძალიან მოეწონა, ბოლომდე ისეთი არ იყო, როგორიც ბარაცკი, მაგრამ არც ძალიან განსხვავდებოდა. ის უნგრული და ჩეხური სასმელების მთელი კატალოგი იყო, ნოსტალგიის თავისებური გამოხატვა. გარეთ ისევ წვიმდა. სამივე კარგად გრძნობდა თავს, მით უმეტეს რომ როკამადურს ეძინა და მთელი ერთი საათი არ უტირია. გრეგოროვიუსმა ტრანსილვანია გაიხსენა, თავგადასავლები, სალონიკიში რაც გადახდენოდა. ოლივეირას მოაგონდა, რომ კარადაში ერთი კოლოფი გალუაზი და ფლოსტები უნდა ყოფილიყო. ფრთხილად მივიდა საწოლთან. „პარიზში ნებისმიერი ადგილის ხსენება, რომელიც ვენიდან საკმაოდ არის დაშორებული, ლიტერატურად გვეჩვენება”, ამბობდა გრეგოროვიუსი ისეთი კილოთი, თითქოს პატიებას ითხოვსო. ორასიომ მიაგნო სიგარეტს და მერე ფლოსტებს დაუწყო ძებნა კარადაში. სიბნელეში ძლივს გააჩნია როკამადურის სახე, პირაღმა იწვა. თვითონაც არ იცოდა, რატომ შეეხო თითოთ შუბლზე. „დედაჩემს ტრანსილვანიის ხსენებისაც ეშინოდა, ვაი თუ ვამპირების ამბებთან და სხვა ამისთანებთან დააკავშირონ ჩემი სახელიო... ტოკაი ხომ თქვენც იცით...” საწოლის გვერდით დახოქილმა ორასიომ დაკვირვებით დახედა ბავშვს. „წარმოიდგინეთ, რომ მონტევიდეოში ხართ, — ამბობდა მაგა, — ზოგიერთებს ჰგონიათ, რომ კაცობრიობა ერთი მთლიანია, მაგრამ როცა გორაკის ახლოს ცხოვრობთ... ტოკაი ფრინველია?” „აღბათ ერთგვარად...” ბუნებრივი რეაქციაა, ასეთ შემთხვევაში. ჯერ ვნახოთ: („რას გულისხმობთ ერთგვარადო, რომ ამბობთ, ფრინველია თუ არა?”) მაგრამ საკმარისი იყო თითოთ ტუჩებზე შეხებოდა და პასუხი ცხადი გახდა. „თავს ნებას მივცემ ნაკლებად ორიგინალური სახე მოვიშველიო, ლუსია. ყოველნაირ კარგ ღვინოში ფრინველს სძინავს.” ხელოვნური სუნთქვა, უაზრობაა.

სხვა უფრო უარესი სისულელე ისაა, რომ ხელები უკანკალებს და თანაც ფეხშიშველია, ტანსაცმელი სულ სველია, (სპირტით უნდა დავიზილო და მაგრადაც). „Un soir, l'âme du vin chantait dans les bouteilles”[114] – წარმოთქვა ოსიპმა, – „ეს უკვე ანაკრეონტია, ვფიქრობ...” იგი თითქმის ცხადად გრძობდა მაგას განაწყენებულ დუმილს, მის ფიქრს: ანაკრეონტი, ბერძენი მწერალი, არ წაუკითხავს, ყველამ იცის ჩემს გარდა. ვისი უნდა იყოს ეს ლექსი „Un soir, l'âme du vin”?[115] ორასიომ ხელი საბნის ქვეშ შეაფარა, საშინლად გაუჭირდა შეხებოდა როკამადურის პაწია მუცელს, ცივ ფეხებს, უფრო ზემოთ, ეტყობა, ჯერ ისევ თბილი იქნებოდა, მაგრამ არა, უკვე სულ გაცივებულიყო. „როგორ უნდა მოვიქცე, – გაიფიქრა ორასიომ, – ვიყვირო, შუქი ავანთო, როგორც წესი და რიგია, ნორმალური და აუცილებელი. რისთვის? ეგებ ჯობია მაინც... მაშინ უნდა ვთქვა, რომ ეს ინსტიქტი არაფერში მარგებს, თუ რამე ვიცოდი წესისა თუ ჩვევის შესახებ, რისთვის ვიცოდი. ახლა თუ დავიყვირებ, ისევ ბერტ ტრეპას ამბავი გამეორდება, იგივე სულელური მცდელობა, ისევ სიბრალოე. ჩავიცვა ხელთათმანები და ის გავაკეთო, რასაც ასეთ შემთხვევაში აკეთებენ. ასე არა, კმარა. რისთვის უნდა ავანთო სინათლე თუ ვიცი, რომ ეს არაფერს ნიშნავს? კომედიანტი, პირწავარდნილი, უსულგულო კომედიანტი. ყველაზე დიდი, რისი გაკეთებაც შემიძლია...” გაიგონა, როგორ გაწკარუნდა გრეგოროვიუსის ჭიქა კანიას ბოთლზე. „დიახ, ძალიან ჰგავს ბარაცკს. სიგარეტი პირში ჩაიდო, ასანთს გაჰკრა და კარგად დააკვირდა. „არ გააღვიძო,” – თქვა მაგამ, იგი მატეს ამზადებდა. ორასიომ უცბად ჩააქრო ასანთი. მას გაგონილი ჰქონდა, რომ სინათლის პატარა სხივიც თუ ჩაუვარდება თვალში... Quod erat demonstrandum[116]. „ისეთია, როგორც ბარაცკი, მაგრამ ცოტა სურნელება აკლია,” თქვა ოსიპმა.

– ის მოხუცი ისევ ისე აკაკუნებს, – თქვა მაგამ.

– ალბათ კარები გაიჯახუნა დერეფანში, – თქვა გრეგოროვიუსმა.

– ამ სახლში არ არის ასეთი დერეფანი. ალბათ გაგიჟდა.

ოლივეირამ ფლოსტები ჩაიცვა და ისევ სავარძელში ჩაჯდა. მატე მართლაც გასაგიჟებელი იყო, ცხელი და ძალიან მწარე. ჭერში ორჯერ დააკაკუნეს, მაგრამ არცთუ ძალიან.

— ხოჭოებს თუ ხოცავს, — ივარაუდა გრეგოროვიუსმა.

— მან ბოლმა ჩაიდო გულში და აღარც დაგვაძინებს. ადი, რამე უთხარი, ორასიო.

— შენ თვითონ ადი, — უთხრა ოლივეირამ. — კი არ ვიცი რატომ, მაგრამ შენი უფრო ეშინია, ვიდრე ჩემი. ყოველ შემთხვევაში, შენ ისე ვერ შეგაშინებს თავისი ქსენოფობიით, აპარტეიდით და დისკრიმინაციის სხვა სახით.

— მე თუ ავალ, ისეთ რამეებს ვეტყვი, რომ მაშინვე პოლიციაში გაიქცევა.

— ასეთ წვიმაში? შენც ბნეობაზე დაელაპარაკე, სინდისზე ააგდე, ეგებ გაჩუმდეს, თან კარებზე დეკორაციები რომ აქვს, შეუქე. უთხარი შენი დედობრივი გრძნობების შესახებ და ასეთი რამეები. ქენი სიკეთე, წადი.

— არა, რატომღაც არ მინდა, — თქვა მაგამ.

— წადი, საყვარელო, — ძალიან ხმადაბლა უთხრა ოლივეირამ.

— რატომ გინდა, რომ მე წავიდე?

— თუ გინდა, რომ მასიამოვნო, ნახავ თუ არ გაჩერდება.

ორჯერ გაისმა კაკუნი და მერე კიდევ ერთხელ. მაგა ადგა და ოთახიდან გავიდა. ორასიო კარებამდე მიჰყვა და როცა გაიგონა, რომ კიბებზე ადიოდა, შუქი აანთო და გრეგოროვიუსს შეხედა. მერე საწოლისკენ თითი გაიშვირა. ერთი წუთის მერე, როცა გრეგოროვიუსი სავარძლისკენ მიბრუნდა, ისევ ჩააქრო.

– დაუჯერებელია, – თქვა ოსიპმა და კანიას ბოთლს ხელი სტაცა სიბნელეში.

– რასაკვირველია, დაუჯერებელია, მაგრამ ეს ყველაფერი მაინც გარდაუვალი იყო. ოღონდ ახლა საჭირო არ არის მოთქმა-გოდება, მეგობარო. ერთი დღეც საკმარისი იყო სახლში არ ვყოფილიყავი, რომ ეს უბედურება მომხდარიყო. ბოლოს და ბოლოს, ზოგიერთისთვის ეს სხვისი ჭირია.

– არ მესმის, – თქვა გრეგოროვიუსმა.

– გესმის და ძალიან კარგადაც გესმის. *ça va, ça va*[117]. ვერც კი წარმოიდგენ, რომ ოღნავადაც არ მხვდება გულზე.

გრეგოროვიუსმა ახლავდა შეამჩნია, რომ ოლივეირა „შენობით“ ელაპარაკებოდა და რომ ეს ერთგვარად ცვლიდა საქმის ვითარებას, თითქოს კიდევ შეიძლებოდა... მან რატომღაც ახსენა წითელი ჯვარი, მორიგე აფთიაქი.

– რაც გინდა, ის ქენი, ჩემთვის სულ ერთია, – თქვა ოლივეირამ, – ის რაც მოხდა... ეს რა დღეა, ძმაო.

რომ შეეძლოს ლოგინში ჩაწვეს და ორიოდე წელი მაინც დაიძინოს.

„ჯაბანი“, გაიფიქრა მან. გრეგოროვიუსსაც გადაედო მისი უმოქმედობა და ჩიბუსს საქმიანად ქაჩავდა. შორიდან მოისმოდა გაურკვეველი ლაპარაკი, მაგას ხმას წვიმის ხმაური ფარავდა. მოხუცი ცივი ხმით გაჰვიოდა. რომელიღაც სართულზე კარები გამოიჭახუნეს, ეტყობა, ხმაურმა მეზობლები ისე შეაწუხა, რომ გაბრაზებულები გარეთ გამოცვივდნენ.

– არსებითად მართალი ხარ, – აღიარა გრეგოროვიუსმა, – მაგრამ კანონის წინაშე პასუხი მაინც უნდა აგოს ვინმემ, მე ასე მგონია. – მაშინ გავეხვიეთ შარში და ეგაა, – თქვა ოლივეირამ, – მითუმეტეს თქვენ ორნი, მე შემიძლია დავამტკიცო, რომ ძალიან გვიან მოვედი. დედამ უყურადღებოდ მიატოვა მომაკვდავი ბავშვი, თვითონ კი საყვარელთან ერთად ხალიჩაზე...

– თუ იმის თქმა გინდა, რომ...

– არაფრის თქმა არ მინდა, რა მნიშვნელობა აქვს, ჩე.

– მაგრამ ეს ხომ ტყუილია, ორასიო.

– ჩემთვის სულ ერთია, რაც მოხდა ამას დიდი მნიშვნელობა არცა აქვს. ეს მე სულ არ მეხება, მე იმიტომ ამოვედი, რომ მთლად სველი ვიყავი და მატეს დალევა მინდოდა. ვილაც მოდის.

– ალბათ მოწმეებზეც საჭირო გახდება, – თქვა გრეგოროვიუსმა.

– კარგი, შენ იცი. არ გეჩვენება, რომ ეს რონალდის ხმაა?

– მე აქ ვერ დავრჩები, – თქვა გრეგოროვიუსმა და წამოდგა, – რაღაც უნდა მოვიმოქმედოთ, გეუბნები, რაღაც უნდა მოვიმოქმედოთ.

– გეთანხმები, ჩე. მოქმედება, ყოველთვის მოქმედება. Die Tätigkeit[118], ძმავ. ასეა, ეს მოხუციღა გვაკლდა. ხმას დაუწიე, ჩე. ბავშვი არ გააღვიძო.

– სალამი, – თქვა რონალდმა.

– გამარჯობა – თქვა ბებსმა და გახსნილი ქოლგა ძლივს შეიტანა ოთახში.

– ჩუმად ილაპარაკეთ, – თქვა მაგამ, რომელიც უკან მოჰყვა მათ, – ქოლგა რატომ არ დაკეცე, სანამ შემოხვიდოდი?

– მართალი ხარ, – თქვა ბებსმა, – ყოველთვის ერთი და იგივე მემართება. ნუ ხმაურობ, რონალდ. ერთი წუთით შემოგიარეთ, რომ გის ამბავი გვეთქვა, დაუჯერებელი რამაა. რა მოხდა, შუქი გადაგეწვათ? – არა, როკამადურის გულისთვის.

– ჩუმად ილაპარაკე, – თქვა რონალდმა, – მიაგდე სადმე ეგ შენი ქოლგა.

– ისე მიჭირს დაკეცვა, – თქვა ბებსმა, – ადვილად კი იხსნება, მაგრამ დაკეცვა ძნელია.

– მოხუცი პოლიციით იმუქრებოდა, – თქვა მაგამ და კარები მიხურა. – ცემას გადავურჩი, გიჟივით გაჰყვიროდა. ოსიპ, ერთი გაჩვენათ, რა ხდება მის ოთახში, კიბიდანაც კი ჩანს. მაგიდა ცარიელი ბოთლებითაა სავსე, შუაში უზარმაზარი ქარის წისქვილი დგას, ურუგვაიში თუ ნახავთ, მინდორში, ორპირ ქარზე ტრიალებს. მე ვერ მოვითმინე, ოთახში რომ არ შემეხედა, მოხუცი კი ბრაზისაგან სულ ცოფებს ყრიდა.

– ვერ ვკეცავ, – თქვა ბებსმა, – ასევე დავდებ კუთხეში.

– სულ ღამურასავითაა, – თქვა მაგამ, – მომეცი, მე დავკეცავ.

ხედავ რა ადვილია?

– ორი მანა კი გამიტეხა, – უთხრა ბებსმა რონალდს.

– მორჩი წუწუნს, – უთხრა რონალდმა, – უკვე მივდივართ, მარტო იმიტომ შემოგიარეთ, რომ გვეთქვა, გიმ მთელი კოლოფი გარდენალი დალიათ.

– საბრალო ანგელოზი, – თქვა ოლივეირამ, რადგან დიდად არ მოსწონდა გი.

– ეტიენმა ნახევრად მკვდარს მიუსწრო, ბებსი და მე ვერნისაჟზე წავედით (მერე გიამბობთ ამაზე, ზღაპრული რამ იყო), გი ამ დროს მისულა შინ, დაწოლილა ლოგინში და თავი მოუწამლავს, წარმოგიდგენიათ? – He has no manners at all, – თქვა გრეგოროვიუსმა, – C'est regrettable.[119] – ეტიენი ჩვენ საძებნელად წამოსულიყო, საბედნიეროდ, ყველას აქვს ჩვენი ბინის გასაღები, – თქვა ბებსმა, – გაუგონია, რომ ვიღაცას გული ერეოდა, შესულა და გი უნახავს. უკვე კვდებოდა თურმე.

ეტენი მაშინვე გაქცეულა დახმარების გამოსაძახებლად. ახლა უმძიმეს მდგომარეობაში წევს საავადმყოფოში. და თანაც ასეთ ამინდში, — დასძინა შეწუხებულმა ბებსმა.

— დასხედით, — თქვა მაგამ, — აქ არა, რონალდ, მაგ სკამს ფეხი არა აქვს. ასე როკამადურის გამო ჩავაბნელეთ. ცოტა ჩუმად ილაპარაკეთ. — ყავა მოადულო, ეგებ, — თქვა ოლივეირამ, — მაინც რა ამინდია.

— მე უნდა წავიდე, — თქვა გრეგოროვიუსმა, — არ ვიცი, სად დავდე ჩემი საწვიმარი. არა, იქ არ არის, ლუსია.

— დარჩით, ყავა მაინც დალიეთ, — უთხრა მაგამ, — მეტრო ალბათ უკვე აღარ მუშაობს, ჩვენ კი აქ ყველანი ერთად ვართ და ასე კარგია. შენ ხომ არ დაფქვავდი ყავას, ორასიო?

— რაღაც ჩახუთული ჰაერია, — თქვა ბებსმა.

— ქუჩაში კი ოზონი აკვირვებს, — თქვა მოთმინებადაკარგულმა რონალდმა, — ნამდვილი ცხენია, ყველაფერი სუფთა და აუმღვრეველი უყვარს, ფერები უბადლო, შვიდი ბგერის გამა. ის ადამიანი არ არის, დამიჯერეთ.

— ადამიანურობა იდეალია, — თქვა ოლივეირამ, თან ამ სიბნელეში ეძებდა ყავის საფქვავს. — ჰაერსაც თავისი ისტორია აქვს, მოგეხსენებათ. მთლიანად გალუმპული რომ მოხვალ ოზონით გაჯერებული ქუჩიდან, როგორც თქვენ ამბობთ, ისეთ ატმოსფეროში აღმოჩნდები, სადაც ორმოცდაათი საუკუნის მანძილზე იქმნებოდა ტემპერატურა და პირობები... ბებსი ცნოსვის საკითხში ნამდვილი რიპ ვან ვინკლია.

— ოჰ, რიპ ვან ვინკლი, — თქვა აღტაცებით ბებსმა, — ბებია მიაბობდა ხოლმე.

— აიდაჰოში, ეს ვიცით, — თქვა რონალდმა, — კარგი მაგრამ, მერე ეტიენი ნახევარი საათის წინ იმ ბარიდან გვირეკავს, კუთხეში რომაა, და გვეუბნება, ჯობია შინ არ წახვიდეთ, ყოველ შემთხვევაში იქამდე, სანამ არ გავიგებთ გი მოკვდება, თუ მთელ

გარდენალს ამოანთხევსო. საკმაოდ უსიამოვნო იქნება, თუ იქ ძაღლები დაგვადგებიან თავზე, იმათ ხომ მარტო საბაბი უნდათ, ბოლო დროს ისედაც ყელში ეჩხირებათ კლუბი.

– კლუბს რას ერჩიან?” – იკითხა მაგამ, ჭიქებს პირსახოცით ამშრალედა.

– არაფერს, მაგრამ სწორედ ამიტომ ხარ დაუცველი. მეზობლებიც სულ ჩივიან, რომ ვხმაურობთ, მუსიკას ვუსმენთ და რომ ისე მივდივართ და მოვდივართ, როგორც მოგვეპრიანება და როდესაც მოგვინდება. მერე კიდევ ბებსი წაეჩხუბა მეკარეს და საერთოდ ყველა ქალს, ვინც კი ამ სახლში ცხოვრობს, ისინი კი ასე ორმოცდაათი, სამოცდაათი წლისანი არიან.

– They are awful[120], – თქვა ბებსმა, თან კანფეტს ღეჭავდა, ჩანთიდან რომ ამოიღო, – გულიაშს რომ აკეთებდე, მათ მაინც მარიხუანას სუნი ეჩვენებათ.

ოლივეირა ყავის დაფქვამ დაღალა და საფქვავე რონალდს მიაწოდა.

ბებსი და მაგა ძალიან ხმადაბლა მსჯელობდნენ გის თვით-მკვლელობის მიზეზებზე. გრეგოროვიუსმა ლაბადა რომ ვერ იპოვა, ისევ სავარძელში ჩაჯდა და იჯდა თავისთვის, ჩუმად, ჩამქრალი ჩიბუხი პირიდან არ გამოუღია. ფანჯრის მინას წვიმა უკაკუნებდა.

„შონბერგი და ბრამსი, – გაიფიქრა ოლივეირამ და სიგარეტი ამოიღო, – არცთუ ურიგოა, მაგრამ ასეთ ვითარებაში შოპენი ან ზიგფრიდის Todesmsik[121] უფრო შვებას გგვრის. გუშინ იაპონიაში ტორნადომ ორი თუ სამი ათასი ადამიანი იმსხვერპლა. თუ სტატისტიკის ენით ვიტყვოდით...” მაგრამ სტატისტიკამაც ვერ გაუქრო ცხიმის გემო სიგარეტს. ასანთი აანთო და სიგარეტი კარგად დაათვალიერა.

გალუაზი უნაკლო იყო, თეთრი, წვრილი ასოები და ხორკლიანი ბოჭკოვანი ქაღალდი, ყოველთვის შეწებებული და სვე-

ლი სიგარეტის ბოლოში. „ყოველთვის მისველდება სიგარეტი, როცა ვწერვიულობ, — გაიფიქრა მან, — როდესაც ვფიქრობ თუნდაც როუმ ბობზე... ჰო, მაინც რა დღე დაგვიდგა, მაგრამ ჯერ სადა ხარ“. მგონი აჯობებს რონალდს ვუთხრა, რონალდი ბებსს ეტყვის, თავისებური, თითქმის ტელეპატური სისტემით, რაც ასე აცვიფრებს პერიკო რომეროს.

კომუნიკაციის თეორია, ერთ-ერთი ყველაზე მომხიბლავი თემა, რომელიც ჯერ კიდევ ვერ წამოაგო თავის ანკესზე ლიტერატურამ და ვერც წამოაგებს, სანამ არ გამოჩნდებიან ახალი ჰაქსლი და ბორხესის ახალი თაობის მიმდევრები. მაგრამ რონალდი ისე გაერთო მაგასთან და ბებსთან ჩურჩულში, რომ ძლივს ატრიალებდა საფეხავს, ეტყობა, ყავას ვერც ველირსებით კარგა ხანს. ოლივეირა ამ საშინელი art nouveau-ს სკამიდან ჩამოცურდა და იატაკზე უფრო მოხერხებულად მოიკალათა, თან თავით გაზეთების გროვას მიეყრდნო.

ჭერი რაღაც უცნაურად იყო განათებული, მაგრამ ეს უფრო ეჩვენებოდა, ვიდრე სინამდვილეში იყო. მან თვალები დახუჭა და ნათება კიდევ ერთ წამს გაგრძელდა, მერე დაიწყო იისფერი ბუშტების ერთი მეორის მიყოლებით გასკდომა — ბუფ, ბუფ, ბუფ, ეტყობა, ყოველი ბუშტი ექვემდებარება სისტოლას და დიასტოლას, მოდი და მიხვდი.

სახლის რომელიღაც ნაწილში, ალბათ მესამე სართულზე ტელეფონის ზარის ხმა გაისმა. ამ დროს პარიზში ზარის ხმა განსაკუთრებული შემთხვევაა. „კიდევ ვიღაც მოკვდა, — გაიფიქრა ოლივეირამ. — სხვა მიზეზით ამ ქალაქში, სადაც ძილი ასეთ პატივშია, არავინ დარეკავს“. მას გაახსენდა, ერთხელ მისმა არგენტინელმა მეგობარმა, ოკეანის გადაღმიდან რომ ჩამოვიდა, ძალიან ბუნებრივად მიიჩნია, რომ შუალამისას, თერთმეტის ნახევარზე დაერეკა. ძნელი გასაგებია, როგორ მოახერხა ბოტინის ცნობარის მეშვეობით მოეძებნა ვინმეს ტელეფონი იმ სახლში, სადაც იგი ცხოვრობდა, ერთი სიტყვით, დარეკა. კეთილშობილი სახის სენიორმა, რომელსაც robe de chambre[122] ეცვა, კარზე დაუკაკუნა, გაყინული სახე კი ჰქონდა, უთხრა quelqu'un vous demande au téléphone[123], დარცხვენილმა და

დაბნეულმა ოლივეირამ, უცბად ჩაიცვა ტრიკოტაჟის შარვალი და აირბინა მეხუთე სართულზე, სადაც აშკარად გაბრაზებული სენიორა დახვდა და აი, ასე გაიგო, რომ თურმე მისი მეგობარი ერმიდა პარიზში ჩამოსულიყო, აბა, როდის შევხვდეთო, იმდენი ახალი ამბავი ჩამოგიტანე, ტრეველერიც მოკითხვას გითვლის, ძმები ბიდუებიც და სხვებით, სენიორა კი ცდილობს არ შეიმჩნიოს სიბრაზე და ელოდება, როდის დაიწყებს ოლივეირა ტირილს ახლობელი ადამიანის სიკვდილს რომ გაიგებს, ოლივეირამ კი აღარ იცის რა ქნას, *vraiment je suis tellement confus, madame, monsieur, s'était un ami qui vient d'arriver, vous comprenez, il n'est pas du tout au courant des habitudes...*[124] ოჰ, არგენტინა, სახლის კარები მუდამ ღიაა, როცა გინდა, მაშინ მოდი, თუნდაც შუალამისას, რამდენ ხანსაც გინდა ილაპარაკე, არავინ გიშლის, გინდა შუალამისას, ბუფ, ბუფ, ბუფ, მაგრამ იმის თვალეში, იქ რომ ზის, შენგან სამიოდე მეტრის მოშორებით, არაფერია და არც შეიძლება იყოს, ბუფ, ბუფ, მისთვის კომუნიკაციის მთელი თეორია ისე დამთავრდა, რომ არც დაწყებულა, არც დედა, არც მამა, არც არაფერი, არც პიპი არც ბუფ, ბუფ, სულ არაფერი, მარტო ერთი გახევებული მიცვალებული და ირგვლივ უცხო ადამიანები, რომლებიც არც ურუგვაელები იყვნენ და არც მექსიკელები, რომლებმაც იციან როგორ მოუსმინონ მუსიკას და როგორ იგლოვონ უცოდველი ბაღლის ცხედართან, ადამიანები, რომლებიც უმალ გაჩნდებიან, როგორც კი მოგონებების გორგალში ერთ წვერს გამოაგებ, ადამიანები, რომლებიც არც იმდენად პრიმიტიულები არიან, რომ ამგვარი სიტუაცია გულთან ახლოს მიიტანონ და ისე განიცადონ, მაგრამ არც ისეთი თავდაჯერებულები, რომ რეაგირების გარეშე დატოვონ, ისეთ *little casualty*[125]—ს მიაწერონ, როგორიცაა, ვთქვათ, სამი ათასი კაცი დაიღუპა ტაიფუნ ვერონიკას დროს. „მაგრამ ეს ყველაფერი იაფფასიანი ანთროპოლოგიაა, — ფიქრობდა ოლივეირა და გრძნობდა როგორ გაუჯდა სიცვივე მთელ სხეულში, ბოლოს რომ ყოველთვის ნერვიული სპაზმით მთავრდება. — ეს არის ნამდვილი კომუნიკაციები, ცნობა კანქვეშა გადაცემის მეშვეობით, რასაც ლექსიკონი არც სჭირდება, ჩე.” ვინ ჩააქრო რემბრანდტისეული ლამფა? ვერც შეამჩნია როგორ იფანტებოდა ოქროს მტვერი ჭერიდან, მაგრამ ვერა და ვერ აღიდგინა მეხ-

სიერებაში რა მოხდა რონალდისა და ბებსის მოსვლის მერე, ვერ გაიხსენა, იქნება მაგამ (ყველაზე უფრო მაგა იქნებოდა), ანდა სულაც გრეგოროვიუსმა, მაგრამ ვილაცამ ხომ ჩააქრო.

— როგორ აპირებ ამ წყვდიადში ყავის მოხარშვას?

— არ ვიცი, — თქვა მაგამ და ფინჯნები მისწი-მოსწია, — აქამდე რაღაც შუქის მსგავსი მაინც იყო.

— აანთე რონალდ, — თქვა ოლივეირამ, — მანდვეა შენი სკამის უკან. უბრალოდ გადაატრიალე ჩამრთველი, მარტივი სისტემაა.

— ეს ყველაფერი იდიოტობაა, — თქვა რონალდმა, ვერავინ მიხვდა, რას გულისხმობდა, ლამფას, სინათლის ჩართვის სისტემას თუ სხვა რამეს. შუქმა ერთბაშად წაშალა იისფერი რგოლები და ოლივეირამ უფრო მწარედ იგრძნო სიგარეტის გემო. ახლა ცოტა უფრო გამოცოცხლდა, თან დათბა კიდეც, მერე ყავასაც მიაშველებდნენ.

— მოდი აქ, — უთხრა ოლივეირამ რონალდს. — აქ უკეთესია, მაგ სკამში რაღაც წვეტიანია და პირდაპირ გჩხვლევს. დარწმუნებული ვარ, ვონგი ამას თავის პეკინის კოლექციაშიც კი ჩართავდა.

— აქაც კარგად ვარ, — უპასუხა რონალდმა. — მგონი რაღაც გეშლება.

— მანდ უხერხულად ზიხარ, მოდი აქ. ბოლოს და ბოლოს, გვადირსებთ ყავას, ქალბატონებო?

— ერთი შეხედე, როგორ მბრძანებლობს, სულ ასე გექცევა? — ჰკითხა ბებსმა.

— თითქმის, — თქვა მაგამ ისე რომ არც კი შეუხედავს. — დამეხმარე, ეს სინი მაინც გაწმინდე.

ოლივეირა იცდიდა, სანამ ბებსი ყავის მოდულების თავისი წესების ახსნა-განმარტებას მოჰყვებოდა და როცა რონალდიც ადგა თავის სკამიდან და მის გვერდით ჩაცუცქდა, რალაც ჩასჩურჩულა ყურში.

გრეგოროვიუსი კი ამ დროს ქალებს უსმენდა, ხანდახან თვითონაც ჩაერეოდა ხოლმე მათ საუბარში და რონალდის რეპლიკა ჩაივარგა მოკვოს ქებას და ყავის მომზადების ხელოვნების საიდუმლოს დავიწყების გამო წუწუნში. მერე რონალდი ისევ თავის სკამს დაუბრუნდა, ბუსტად მოასწრო, მაგასთვის ყავის ფინჯანი რომ გამოერთმია.

ჭერში კვლავ გაისმა კაკუნის, თუმცა არცთუ გაბმული. ერთხელ, ორჯერ, სამჯერ. გრეგოროვიუსი შეკრთა და უცბად გადაყლაპა ყავა. ოლივეირამ ძლივს შეიკავა თავი, რომ ხმამაღლა არ გაეცინა, რასაც შეიძლება კუჭის წვა დაეამებინა. მაგამ რალაცნაირი გაკვირვებით შეათვალიერა სათითაოდ ყველა და მაგიდაზე სიგარეტს დაუწყო ძებნა, ისეთი სახე ჰქონდა, გეგონებოდათ თავის დაღწევა უნდაო რალაცისგან, თვითონაც რომ არ იცოდა რისგან, ისე, სიზმარში რომ ხდება ხოლმე.

— ფეხის ხმა მესმის, — თქვა ბებსმა, ბლავატსკაიასებური ინტონაციით, — ის მოხუცი ნამდვილად გიჟია, სიფრთხილე გვმართებს. ერთხელ კანზას სიტიში... არა, ვილაც ამოდის კიბებზე...

— ეს კიბე, ეს ხმა სულ ყურებში მიდგას, — თქვა მაგამ, — ძალიან მეცოდებიან ყრუ ადამიანები. ახლაც ასე მგონია, ხელით ვეხები სათითაოდ საფეხურებს. ბავშვობაში ჩემი თემა, რომელშიც ძალიან პატარა ხმაურს აღწერდი, ათი ქულით შეფასდა. ეს ძალზე საყვარელი ხმაური იყო, მოდიოდა და მიდიოდა, გზადაგზა სულ რალაცრალაცები ემართებოდა...

— მე კი პირიქით... — თქვა ბებსმა. — OK, OK, რატომ მჩქმეტ?

— ჩემო სულო, — უთხრა რონალდმა, — ცოტა ხანს გაჩუმდი, გავიგოთ ვინ ამოდის კიბებზე, ნაბიჯებზე თუ ვიცნობთ. ჰო, ეს ნამ-

დვილად ფერების მეფეა, ეტიენია, დიდი აპოკალიფსური ნადირი.

„მშვიდად მიიღო, — გაიფიქრა ოლივეირამ. — მგონი ორ საათზე უნდა დაელევინებინა წამალი. ჩვენ ერთი საათი კიდევ დაგვრჩა, რომ მშვიდად ვიყოთ.“ არც ესმოდა და არც უნდოდა რომ გაეგო, რისთვის სჭირდებოდა ეს გადავადება, ეს ერთგვარი უარის თქმა იმაზე, რაც უკვე ცნობილია. უარყოფა, ნეგატივი... „დიახ, ეს თითქოს არის რეალობის ისეთი ნეგატივი, როგორიც-უნდა-იყოს, ანუ...“

მოეშვი მაგ მეტაფიზიკას, ორასიო. Alas, poor Yorick, ça suffit[126], არ შემოიძლია, ამას თავს ვერ ავარიდებ, მე მგონია, გვირჩევნია შუქი ავანთოთ და ეს ცნობა ისე გამოვუშვათ, როგორც მტრედი. ნეგატივი. სრული ინვერსია... სავსებით შესაძლებელია, რომ ის ცოცხალია, მკვდრები კი ჩვენ ვართ ყველა. უფრო მარტივი ვარაუდი: ჩვენ მან დაგვხოცა იმისთვის, რომ ჩვენ ვართ დამნაშავენი მის სიკვდილში.

დამნაშავენი, ანუ ვითარების ხელშემწყობნი... ეი, ძვირფასო, საით მიდიხარ, იმ ვირივით, ცხვირწინ სტაფილოს რომ ჩამოუკიდებენ. ჰო, ეს ეტიენია და სხვა არავინ, ფერწერის ეს დიდი სასწაული”.

— გამოძვრა, — თქვა ეტიენმა, — ეს ძაღლისშვილი უფრო სიცოცხლისუნარიანია, ვიდრე ჩემბარე ბორჯა. აი, რას ნიშნავს, როცა გულის არევა შეგიძლია...

— გვითხარი, გვითხარი, — თქვა ბებსმა.

— კუჭის ამორეცხვა, საგანგებო ოცნა, ნემსები ყველგან, სადაც შეიძლება, საწოლი ზამბარებზე, თავი რომ დაბლა ჰქონდეს. ანთხია რესტორან ორესტეს მთელი მენიუ, სადაც, ეტყობა, ისადილა. ნამდვილი პირუტყვობაა, რა არ უჭამია, ვაზის ფოთლების ფარშიც კი, წარმოგიდგენიათ, როგორ გავილუმპე?

— ცხელი ყავაა, — თქვა რონალდმა, — და კიდევ სასმელი, კანიას რომ უწოდებენ, საზიზღრობაა.

ეტიენმა ჩაიქირქილა, გაიხადა ლაბადა და ღუმელს მიეფიცა.

— როგორ არის ბავშვი, ლუსია?

— სძინავს, — თქვა მაგამ — საბედნიეროდ დიდხანს სძინავს.

— ჩუმად ვილაპარაკოთ, — თქვა ბებსმა.

— ლამის თერთმეტ საათზე, როგორც იქნა, გონზე მოვიდა, — ყვებოდა ლამის გულაჩვილებული ეტიენი, — რაც მართალია, მართალია, ეს ღორობა იყო. ექიმმა ნება მომცა მის საწოლთან მივსულიყავი და გიმ მიცნო. „ნამდვილი კრეტინი ხარ“, ვუთხარი მე. „ემშაკსაც წაუღიხარ,“ მიპასუხა მან. ექიმმა წამჩურჩულა ეს კარგი ნიშანიო. პალატაში სხვებიც იყვნენ, საკმაოდ კარგად გავუძელი ამ ყველაფერს, მითუმეტეს, რომ ჩემთვის საავადმყოფოები...

— სახლში ხომ არ შეგივლია? — ჰკითხა ბებსმა, — მგონი პოლიციის განყოფილებაში უნდა წასულიყავი.

— არა, ყველაფერი ისედაც მოგვარდა. სიფრთხილისთვის მაინც აჯობებს ყველანი ამაღამ აქ დავრჩეთ, ერთი გენახათ მე-კარეს რა სახე ჰქონდა, როცა გი საკაციოთ გამოჰყავდათ...

— The lousy bastard[127], — თქვა ბებსმა.

— მე პატიოსანი ვაცის სახე მივიღე და როცა გვერდით ჩავუარე ხელზე შევეხე და ვუთხარი: „მადამ, სიკვდილს ყოველთვის პატივი უნდა მივაცოთ. ამ ახალგაზრდამ თავი მუსიკისთვის, კრეისლერის სიყვარულისთვის გასწირა.“ ის კი გაშტერდა, დამიჯერეთ, ისეთი თვალებით მომაშტერდა, ნამდვილი მოხარშული კვერცხი გეგონებოდათ. და სწორედ იმ დროს, როცა საკაცე კარებს გაუსწორდა, გიმ თავი წამოსწია, მთლად გაფითრებულ ხელისგულს ლოყა დააყრდნო, ზუსტად ისე, ეტრუსკების სარკო-

ფაგებზე რომაა გამოსახული, მწვანე სითხე ამონათხია და მეკარე თავიდან ფეხამდე გაწუწა. სანიტრები კინალამ სიცილით დაიხოცნენ, მართლაც გაუგონარი ამბავია.

— კიდევ თუ შეიძლება ყავა, — სთხოვა რონალდმა. — აქ დაჯექი, იატაკზე, უფრო თბილა. საბრალო ეტიენსაც დააღვეინეთ ყავა, თანაც მაგარი.

— ვერაფერს ვხედავ, — თქვა ეტიენმა, — იატაკზე რატომ უნდა დავჯდე?

— ორასიოს და მე შემოგვიერთდი, ჩვენ აქ საგანგებო ყარაულში ვდგავართ, — თქვა რონალდმა.

— ნუ სულელობ, — თქვა ოლივეირამ.

— დამიჯერე, აქ დაჯექი და ისეთ რამეს გაიგებ, თვითონ ვონგსაც რომ გაუკვირდება. ბრწყინვალე წიგნები... სწორედ ამ დილით „ბარდოს“ კითხვით ვერთობოდი. ეს ტიბეტელები მართლაც განსაკუთრებული ქმნილებები არიან.

— ვინ ჩაგაგონა? — ჰკითხა ეტიენმა, ოლივეირასა და რონალდს შორის ჩაჯდა და სულმოუთქმელად გადაყლაპა ყავა. — სასმელი, — თქვა ეტიენმა და მაგას მბრძანებელივით გაუწოდა ხელი, არც მან დააყოვნა და კანიას ბოთლი პირდაპირ ხელში შეაჩეჩა. — რა საზიზღრობაა, — თქვა ეტიენმა როგორც კი გემო გაუსინჯა. — ალბათ არგენტინულია. რა ქვეყანაა, ღმერთო ჩემო.

— ჩემს სამშობლოს არ შეეხოთ, — თქვა ოლივეირამ, — შენც იმ მოხუცივით ნუ იქცევი, ზედა სართულზე რომ ცხოვრობს.

— ვონგმა რაღაც ტესტები ჩამიტარა, — განმარტა რონალდმა, — და მითხრა, საკმარისი ჭკუა-გონება გაქვს იმისათვის, რომ მისი მომგებიანად ნგრევა დაიწყო. ჩვენ შევთანხმდით, რომ დაკვირვებით წავიკითხავდი „ბარდოს“, მერე კი გადავიდოდით ბუდიზმის ფუნდამენტურ ფაზაზე. სინამდვილეში არსებობს ასტრალური სხეული, ორასიო? ვითომ ადამიანი რომ კვდებაო... თავისებური მენტალური სხეული, ხომ გესმის?

მაგრამ ორასიო რაღაცას ეჩურჩულებოდა ეტიენს, რომელიც ამ დროს წრიალებდა და ქუჩიდან შემოტანილი ჭყაპის, საავადმყოფოსა და ჩაშუშული კომბოსტოს სუნს ავრცელებდა. ბებსი გრეგოროვიუსს მეკარის აურაცხელ მანკიერებებზე ელაპარაკებოდა, მას კი ეტყობოდა სულ არ აინტერესებდა. რონალდი ახლახან განცდილი ერუდიციის შეტევის მერე ველარ ითმენდა, რომ ვინმესთვის არ გაეზიარებინა „ბარდოს“ მნიშვნელობა და მაინც და მაინც მაგა ამოიჩნია, რომელიც ჰენრი მურის გიგანტური ქანდაკებასავით ჩანდა სიბნელეში; თუ ჯერ ქვევიდან ზევით შეხედავდით, ჯერ მუხლებს დაინახავდით, შავი კაბის კალთიდან რომ მოუჩანდა, მერე მის ტორსს; ჩრდილი ლამის ჭერამდე აღწევდა და მისი შავი თმა აგვირგვინებდა, ამ სიბნელებე უფრო მუქი თმა, ხოლო ჩრდილებს შორის მის ჩრდილს უელვარებდა თვალები, ლამფის შუქზე უფრო ელვარე, იგი იჯდა სავარძელში, რომლის წინა ფეხები უკანაზე დაბალი იყო და ამ დროს მარტო იმას ცდილობდა ძირს არ ჩამოცურებულიყო.

— რა უსიამოვნო ამბავია, — თქვა ეტიენმა და კიდევ მოსვა.

— შეგიძლია წახვიდე, თუ გინდა, — უთხრა ოლივეირამ, — მაგრამ ვფიქრობ, საშინელი არაფერი მოხდება, ამ კვარტალში ამაზე უარესებიც ხდება.

— დავრჩები, — თქვა ეტიენმა, — ეს სასმელი, — როგორ თქვი, რა ჰქვიაო, — არცთუ ურიგოა, ხილის გემო აქვს.

— ვონგი ამბობს, იუნგი აღტაცებული იყო ამ „ბარდოთით“, — თქვა რონალდმა. — გასაგებია, რომ ეგზისტენციალისტებსაც უნდა შეესწავლათ საფუძვლიანად. იცი, განკითხვის ჟამს მეფე სარკით ხელში ხვდება გარდაცვლილს, რადგან ეს სარკე არის კარმა, ყოველი მიცვალებულის ქცევების ჯამი, ხომ გესმის... და მიცვალებული ხედავს ყოველი თავისი მოქმედების ანარეკლს, კეთილსაც და ბოროტსაც, მაგრამ ანარეკლი სულ არ შეესატყვისება რეალობას, რადგან ეს არის გონების წარმოსახვის პროექცია... როგორ არ გადაირეოდა მოხუცი იუნგი, ერთი მითხარი. მიცვალებულთა მეფე იყურება სარკეში, სინამდვილეში კი იყურება შენს მესხიერებაში. განა შეიძლება წარმოიდგინო ფსი-

ქონალიზმის უკეთესი აღწერა? მაგრამ მაინც არის კიდევ რაღაც უფრო საკვირველი, საყვარელო, ეს არის განკითხვა, და მსჯავრი გამოაქვს არა მეფეს, არამედ შენ თვითონ. შენ თავად განკითხავ საკუთარ თავს, ოღონდ არ იცი. არ გგონია, რომ სარტრი საცხოვრებლად ლჰასაში უნდა გადასულიყო?

— დაუჯერებელია, — თქვა მაგამ. — მაგრამ ეს წიგნი ფილოსოფიაზეა? — ეს წიგნი მიცვალებულთათვისაა, — თქვა ოლივეირამ.

ყველა გაჩუმდა, ყური მიაპყრეს წვიმას. გრეგოროვიუსს შეეცოდა მაგა, რადგან ეტყობა, ახსნა-განმარტებას ელოდებოდა, მაგრამ კითხვა ვერ გაებედა.

— ლამები ამცნობენ მომაკვდავებს გამოცხადებას, — უთხრა მაგას, — რათა წარუძღვნენ მიღმურ სამყაროში და დაეხმარონ ჰპოვონ ხსნა. მაგალითად...

ეტიენი ოლივეირას მხარზე მიეყრდნო, რონალდი ჩაცუცქულიყო, თავისთვის მღეროდა „Big Lip Blues“ და ფიქრობდა ჯელი როლზე, რომელიც გარდაცვლილთა შორის გამორჩეული ჰყავდა. ოლივეირამ თავის გალუაზს მოუკიდა და როგორც ლატურის სურათზეა, ისე გაანათა ერთი წამით მეგობრების სახეები, გამოიყვანა სიბნელიდან გრეგოროვიუსი და მისი ჩურჩული მისი ტუჩების მოძრაობასთან დააკავშირა, ჩატენა მაგა სავარძელში, გაანათა მისი სახე, გამოავლინა მისი სრული უვიცობა ყოველ წუთს რომ ელოდებოდა, ეგებ ვინმემ რამე ამისხნასო, ნაზად განბანა წყნარი ბებსი და რონალდი, მუსიკოსი, თავის საწყალობელ იმპროვიზაციებში ჩაფლული.

და ამ დროს გაისმა კაკუნი ჭერში, სწორედ იმ წუთში, როგორც კი ასანთი ჩაქრა.

„Il faut tenter de vivre“, — გაახსენდა ოლივეირას, — Pour quoi?“[128] ლექსის ეს სტრიქონი ისე დაიბადა მეხსიერებაში, როგორც სახეები ასანთის შუქზე, მოულოდნელად და ალბათ თავისთავად. ეტიენის მხარი სითბოს გადასცემდა, მის იქ

ყოფნას შეახსენებდა, ოღონდ მოჩვენებითს, ისეთ სიახლოვეს, რასაც სიკვდილი — ეს ასანთი, რომელიც ქრება, — ისევე გააქრობს, როგორც ახლა გააქრო სახეები, ფორმები, როგორც დაახშო ახლახან სიჩუმე კაკუნმა.

— და ასეც არის, — დაასკვნა დამრიგებლური კილოთი გრეგოროვიუსმა — „ბარდო“ გვაბრუნებს ცხოვრებისკენ, წმინდა ცხოვრების აუცილებლობისკენ, სწორედ მაშინ, როცა გასაქცევი აღარსად გვაქვს, როცა საწოლზე ვართ მიჯაჭვული და ბალიშის ნაცვლად კიბო გვიდევს.

— ააჰ, — ამოისუნთქა მაგამ. საკმაოდ ბევრი რამ კი გაიგო, ზოგიერთი თავსატეხიც თითქოს თავის ადგილზე დადგა, მაგრამ ის ვერასოდეს მიაღწევს იმ სიზუსტეს, რაც კალეიდოსკოპშია, სადაც ყოველი შუშის ნატეხი, თითოეული ჩხირი, თუ ნამცეცი სრულად ჩანს, სიმეტრიულიცაა, წარმოდგენლად მოსაბეზრებელიც, მაგრამ სამაგიეროდ უპრობლემოა.

— დასავლური დიქოტომიები. — თქვა ოლივეირამ, — სიცოცხლე და სიკვდილი, აქაც და იქაც. ეს სულაც არ არის ის, რასაც ეგ შენი „ბარდო“ გვასწავლის, ოსიპ, თუმცა პირადად მე წარმოდგენა არა მაქვს, რას გვასწავლის „ბარდო“. მაგრამ რაც უნდა იყოს, მაინც უფრო მოქნილი და ნაკლებად კატეგორიული მგონია.

— მომისმინე, — თქვა ეტიენმა, რომელიც მშვენივრად კი გრძნობდა თავს, მაგრამ გულში როგორც კიბორჩხალა, ისე წიწვნიდა ის ამბავი, ოლივეირამ რომ უთხრა, თუმცა ერთი მეორეს ხელს არ უშლიდა.

— მომისმინე, ჩემო კარგო არგენტინელო, აღმოსავლეთი არც ისეთი განსაკუთრებული და განსხვავებული რამაა, როგორც ორიენტალისტები წარმოგვიდგენენ. საკმარისია ცოტა უფრო მეტად ჩაუღრმავდე მათ ტექსტებს, რომ იმასვე იგრძნობ, რასაც ყოველთვის გრძნობდი, ინტელექტის აუხსნელი და გაუგებარი ცდუნება თვითმკვლევლობისა იმავე ინტელექტის მეშვეობით. მორიელი მაინც დაგესლავს მსხვერპლს, თუმცა კი შე-

იძლება მობეზრებული ჰქონდეს მორიელობა, მაგრამ ეს სჭირდება, რათა გამოავლინოს თავისი მორიელობა, თავისი რაობა და ამით ბოლო მოუღოს მორიელობას.

მადრასში თუ ჰაიდელბერგში იგივე საკითხი დგას არსებითად:

ოდესღაც, დასაბამიდანვე დაშვებული იყო შეცდომა, გამოუსწორებელი შეცდომა და იქიდანვე მივიღეთ ეს შედეგიც, ეს ფენომენი, რაზეც ახლა, ამ წუთში ლაპარაკობდით და ჩვენ გისმენდით. მისი ახსნის ყოველგვარი მცდელობა მარცხით დამთავრდება, ნებისმიერისთვის გასაგები მიზეზის გამო, რამეთუ მისი განსაზღვრისა და გაგებისთვის უნდა დადგე მის მიღმა. Ergo, მადრასი და ჰაიდელბერგი იმით ინუგეშებენ თავს, რომ თხზავენ პოზიციებს, ერთნი დისკურსის საფუძვლებზე, მეორენი — ინტუიციამზე დაყრდნობით, თუმცა დისკურსსა და ინტუიტურს შორის განსხვავება სულ არ არის გარკვეული და ეს იცის ნებისმიერმა ბაკალავრმა. და აი, ასე ირკვევა, რომ ადამიანს მხოლოდ ეჩვენება, თითქოს სწორ გზაზე დგას, მაგრამ ის კი არ იცის, რა არის ამის იქით: როდესაც იგი თამაშობს, როდესაც იპყრობს, როდესაც იმოსება სხვადასხვაგვარი ისტორიული ჯავშნით, აშენებს კარკასს ეთნოსის იმედად, როდესაც მთავარ საიდუმლოს მიაწერს გეშთაგონებას. ასეა თუ ისე, გამოდის რომ, უცნაური კია, ჩვენი მთავარი იარაღი LOGOS, რომელმაც გამოგვიყვანა ბოლოლოგიური კატეგორიიდან, არის კიდევ ნამდვილი ხაფანგი, სრული თაღლითობა. და გარდაუვალი გამოსავალი — გაქცევა და თავის შეფარება. და ბუტბუტი სულის ბნელ ღამეში, ესთეტიკური და მეტაფიზიკური ვარაუდები. მადრასი და ჰაიდელბერგი ერთი და იგივე რეცეპტის სხვადასხვა დოზებია, ბოგჯერ პირველია ინი, ბოგჯერ იანი, მაგრამ ორივე შემთხვევაში, გევით იქნება თუ ქვევით, ბოლოში არის ორი ჰომო საპიენსი, ერთნაირად აუხსნელი, ორივე ერთნაირად ცდილობს, რომელი რომელს დაასწრებს, რომ ამაღლდეს მის ხარჯზე.

— უცნაურია, — თქვა რონალდმა, — ასეა თუ ისე, მაინც სისუფელეა უარყო რეალობა, თუნდაც არ ვიცოდეთ რა არის ეს. ვთქვათ, ეს არის საქანელას ღერძი, როგორ შეუძლია ამ ღერძს

გაგვაგებინოს როდის რომელ წერტილშია საქანელა? ნეანდერტალელის დროიდან ადამიანი...

— სიტყვები, სიტყვები, — თქვა ოლივეირამ და უფრო მოხერხებულად მიეყუდა ეტიენს, — თქვენ მოგწონთ მათი სკივრიდან ამოღება და მთელ ოთახში მიყრა-მოყრა. რეალობა, ნეანდერტალელი, ერთი შეხედვით, როგორ ერთობიან, როგორ გვიძვრებიან ყურებში და მოსრიალებენ ქვევით.

— მართლაც, — თქვა კუშტად ეტიენმა. — ამიტომაც მირჩევნია საღებავები, მაშინ უფრო დარწმუნებული ვარ.

— დარწმუნებული რაში?

— მათ ზემოქმედებაში.

— საერთოდ ზემოქმედებაში შენზე, მაგრამ არა რონალდის მეკარზე. შენი საღებავები ჩემს სიტყვებზე უფრო საიმედო არ არის, ძმაო.

— ყოველ შემთხვევაში, ჩემს საღებავებს არ აქვთ რაიმის ახსნის პრეტენზია.

— და შენ შეგიძლია შეურიგდე იმას, რომ ისინი არაფერს არ ხსნიან? — არა, — თქვა ეტიენმა, — მაგრამ ამავე დროს, ის, რასაც ვაკეთებ ცოტა მაინც მიკარგავს სიცარიელის გემოს. და ეს კი თუ კარგად გავერკვევით, საუკეთესო განსაზღვრებაა ჰომო საპიენსის არსისა.

— არა, ეს მისი არსის განსაზღვრება კი არა, მისი ნუგეშია, — თქვა გრეგოროვიუსმა და ამოიოხრა. — სინამდვილეში ჩვენ ვართ როგორც კომედია, ადამიანი რომ მეორე მოქმედებიდან მიდის მის სანახავად თეატრში. ეს ყველაფერი ძალიან ლამაზია, მაგრამ ვერაფერს გაიგებ. მსახიობები ლაპარაკობენ და თამაშობენ, მაგრამ არ იციან რას და რისთვის. ჩვენ მათ მოქმედებაში ვხედავთ ჩვენს უვიცობას, ისინი წარმოგვიდგებიან როგორც გიჟები, რომლებიც შემოდნიან და გადიან თამამად. ეს უკ-

ვე თქვა შექსპირმა, ყოველ შემთხვევაში, თუ არ უთქვამს, უნდა ეთქვა.

— მე მგონია, რომ თქვა, — ჩაილაპარაკა მაგამ.

— ჰო, თქვა, — ბებსმაც დაადასტურა.

— აი, ხომ ხედავთ, — თქვა მაგამ.

— ასევე თქვა სიტყვების შესახებაც, — განაგრძო გრეგოროვიუსმა, — ორასიომ კი ეს პრობლემა დასვა დიალექტიკურ სიბრტყეში, ასე ვთქვათ, ვიტგენშტაინის მანერით, რომელიც მართლაც აღმაფრთოვანებს. — მე არ ვიცნობ, — თქვა რონალდმა, — თუმცა, ალბათ დამეთანხმებით, რომ რეალობის პრობლემას ოხვრა ვერ გადაჭრის.

— ვინ იცის, — თქვა გრეგოროვიუსმა, — ვინ იცის, რონალდ.

— კეთილი, პოეზია სხვა დროისთვის გადავდოთ. მე გეთანხმებით, რომ სიტყვებს მეტისმეტად არ უნდა ვენდოთ, მაგრამ სინამდვილეში სიტყვები მოჰყვება რაღაც სხვას, რისთვისაც ჩვენ აქ ვართ, ამ ლამეს და ამ პატარა ლამფის გარშემო ვსხედვართ.

— ცოტა ჩუმად ილაპარაკეთ, — შეეხვეწა მაგა.

— სიტყვების გარეშეც კარგად ვგრძნობ და ვიცი, რომ აქ ვარ, — დაიჩემა რონალდმა. — ამას ვუწოდებ მე რეალობას. თუნდაც ეს იყოს ის, რაც არის.

— დიდებულია, — თქვა ოლივეირამ, — ოღონდ ეს რეალობა არანაირი გარანტია არ არის არც შენთვის და არც სხვა არავისთვის, თუკი თვით კონცეფციას არ შეცვლი და არ გადააქცევ ხელსაყრელ სქემად... მართო ის ფაქტი, რომ შენ ზიხარ ჩემ მარცხნივ, მე კი — შენ მარჯვნივ, ერთი რეალობიდან სულ ცოტა ორ რეალობას ქმნის და გაითვალისწინე ისიც, რომ მე არ მინდა ჩავუღრმავდე და არც იმაზე ვამახვილებ ყურადღებას, რომ შენ და მე ვართ ორი არსება, რომლებიც ურთიერთობის დამყარებას

ვერ შესძლებენ, თუ სიტყვა და აზრი არ მოიშველიეს, ეს კი ისეთი რამაა, რასაც სერიოზული კაცი ვერ ენდობა.

— ჩვენ ორნი კი აქ გახლავართ, — თავისას გაიძახოდა რონალდი. — მარჯვნივ თუ მარცხნივ, ამას მნიშვნელობა არა აქვს. ჩვენ ორივე ვხედავთ ბებსს და ყველას ესმის, რასაც ვამბობ.

— მაგრამ ეს შენი მაგალითები მოკლემარვლიანი ბიჭებისთვისაა, შვილო ჩემო, — თქვა გრეგოროვიუსმა, — ორასიო მართალია, ასე ვერაფერს მიიღებ იმის გარდა, რაც შენი აზრით, რეალობაა. შენ მხოლოდ შეგიძლია თქვა — „მე ვფიქრობ...“, და ამაში ვერც ვერავინ შეგედავება, რაც უნდა ეცადოს. ხოლო რაც შეეხება ergo—ს, და იმასაც, რაც მოჰყვება ergo—ს ეს ყველასთვის ცნობილია.

— ნუ მოვყვებით ამ საკითხის მეთოდურ განხილვას, — თქვა ოლივეირამ, — ჯობია ვისაუბროთ როგორც მოყვარულებმა, რაკი მაინც მოყვარულები ვართ და მეტი არაფერი. ისევ იმაზე გავაგრძელოთ ჩვენი მსჯელობა, რასაც რონალდი ესოდენ გულისამაჩუყებლად უწოდებს რეალობას, რაკი სჯერა, რომ ეს ერთია. მართლა ისევ გჯერა, რომ ერთადერთია, რონალდ?

— დიახ, გეთანხმები, რომ მე აღვიქვამ და მესმის სხვანაირად, ვიდრე ბებსს, რომ ბებსის რეალობა განსხვავდება ოსიპის რეალობისგან და ასე დაუსრულებლად. ასევე განსხვავდება შეხედულებები ჯოკონდაზე, ანდა ვარდკაჭაჭას სალათაზე. რეალობა აი, ესაა და ჩვენ მასში ვართ, ჩვენ ის ყველას ჩვენებურად გვესმის, მაგრამ მასში კი მაინც ვართ.

— ერთადერთი, რაც მხედველობაშია მისაღები, ისაა, რომ ჩვენ ყველას ჩვენებურად გვესმის; — თქვა ოლივეირამ, — შენ გგონია, რომ რეალობა ამოსავალი წერტილია, რადგან შენ და მე ვსაუბრობთ ამ ოთახში, ამ ღამეს და რომ შენ და მე ვიცით, რომ ერთ საათში, ან დაახლოებით ამ მოკლე დროში აქ მოხდება რაღაც გარკვეული რამ.

ეს ყველაფერი შენ გაძლევს დიდ ონტოლოგიურ რწმენას, მე ასე მგონია; შენ კარგად გრძნობ და დარწმუნებული ხარ საკუთარ თავში, გჯერა შენი თავის და გჯერა ისიც, რაც შენ გარემო გიცავს. მაგრამ ამავე დროს შენ რომ შეგეძლოს ამ რეალობის დანახვა ჩემი თვალით, ან ბეხსის თვალით, შენ რომ გქონოდა მომადლებული ყოველგანმყოფობა, ხომ გესმის, შენ რომ შეგეძლოს ერთდროულად იყო აქ, ამ ოთახში და ამავე დროს იყო ის, ვინც ვარ მე და ვინც ვიყავი მე და ამავე დროს იყო ის, ვინც არის ბეხსი და ვინც იყო იგი, შეიძლება იმასაც გაიგებდი, რომ ეგ შენი უვარგისი ეგოცენტრიზმი არანაირ სრულფასოვან რეალობას არ გაძლევს. ის გაძლევს მარტო რწმენას, რომელიც დაფუძნებულია შიშზე, მარტო აუცილებლობას, რომ დაამტკიცო ის, რაც შენ გარემო გიცავს, რათა არ ჩავარდე მორევში, რომელიც ვინ იცის რომელ ნაპირზე გადაგაგდებს.

— ჩვენ ძალიან განვსხვავდებით ერთმანეთისგან, — თქვა რონალდმა, — ეს მე ძალიან კარგად ვიცი. მაგრამ ჩვენ ვხვდებით ერთმანეთს ჩვენივე თავის მიღმა წერტილებზე. შენც და მეც ვუყურებთ ამ ლამფას, ოღონდ ერთსა და იმავეს არ ვხედავთ, თუმცა ამავე დროს არ შეგვიძლია ვიყოთ დარწმუნებულები იმაში, რომ არ ვხედავთ ერთსა და იმავეს. ეს ხომ ლამფაა მაინც, აბა რა ჯანდაბაა.

— ნუ ყვირი, — თქვა მაგამ, — ახლა კიდევ მოგიდულებთ ყავას.

— ისეთი შთაბეჭდილება იქმნება, — თქვა ოლივეირამ, — თითქოს ძველ, უკვე გაკვალულ გზაზე მივდიოდეთ, საცოდავი მოწაფეებისგან დამტვერილი, უმნიშვნელო არგუმენტების ჩამოფერთხვას ვცდილობდეთ. და ეს ყველაფერი იმიტომაა, ჩემო საყვარელო რონალდ, რომ ჩვენ დიალექტიკურად ვმსჯელობთ. ჩვენ ვამბობთ: შენ, მე, ლამფა რეალობააო. აბა, თუ შეიძლება ერთი ნაბიჯით უკან დაიხიე. გაბედე, სულ არ არის ძნელი. სიტყვები ქრება. ეს ლამფაც სენსორული სტიმულატორის მეტი არაფერია. ახლა კიდევ ერთი ნაბიჯი გადადგი უკან. ის, რასაც შენ უწოდებ შენს ხედვას, და იმ სენსორულ სტიმულატორს გააჩნით რაღაც აუხსნელი ურთიერთდამოკიდებულება, რადგან მათ

ასახსნელად და გასაგებად ისევ ერთი ნაბიჯი უნდა გადადგა წინ და მაშინ ყველაფერი ჯანდაბისკენ წავა.

— მაგრამ ეს უკან გადადგმული ნაბიჯები, მთელ სახეობათა უკან დაბრუნება, წაშლა გამოდის, — შეეპასუხა გრეგოროვიუსი.

— ჰო, — თქვა ოლივეირამ, — და ეს არის სწორედ დიდი პრობლემა, ის, რასაც შენ სახეობას უწოდებ, სულ წინ დადიოდა, ანდა როგორც მიაჩნია, მგონი, კლაგესს, რომელიღაც მომენტში დაადგა მცდარ გზას.

— ენის გარეშე არ არსებობს ადამიანი, ისტორიის გარეშე არ არსებობს ადამიანი.

— დანაშაულის გარეშე არ არსებობს მკვლელი. ვერავინ დაასაბუთებს, რომ ადამიანი არ შეიძლება ყოფილიყო სხვანაირი.

— ჩვენ არცთუ ისე ცუდად გვივლია, — თქვა რონალდმა.

— ამას რომ ამბობ, რას ადარებ, რატომ გგონია, რომ კარგად გვივლია? მაშ რატომ გვჭირდება ედემის გამოგონება, რატომ გვტანჯავს ნოსტალგია დაკარგული სამოთხის გამო, ვთხზავთ უტოპიებს, მივისწრაფვით მომავლისკენ? ჭიაყელას რომ შეეძლოს ფიქრი, ალბათ ისიც იფიქრებდა, რომ ცუდად არ უვლია. ადამიანი, როგორც ღუბას, ისე ებღაუჭება მეცნიერებას, თავისი მხსნელი რომ ჰგონია, თუმცა რიგიანად არც იცის, რა არის ეს. გონება ენის მეშვეობით ქმნის ჩვენთვის სასურველ არქიტექტურას, ისეთ ძვირფას რიტმულ კომპოზიციას, რენესანსის ეპოქის სურათებში რომ არის, და ჩვენ ცენტრში გვაყენებს. მთელი თავისი ცნობისწადილის და დაუკმაყოფილებლობის მიუხედავად, მეცნიერება, ანუ გონება იწყებს იმით, რომ დაგვამშვიდოს: „შენ აქა ხარ, ამ ოთახში, შენს მეგობრებთან, ამ ლამფასთან. ნუ გეშინია, ყველაფერი ძალიან კარგადაა. ახლა ვნახოთ: როგორია ამ მანათობელი ფენომენის ბუნება? იცი შენ, თუ არა, რომ ეს არის გამდიდრებული ურანი? მოგწონს თუ არა იზოტოპები, ან იცი, რომ ტყვიას ოქროდ გარდაქმნით?“ ეს ყველაფერი აფო-

რიაქებს, გონებას უმღვრევს ადამიანს, თუმცა კი ამავე დროს შეიძლება რბილად და თბილად ვისხდეთ სავარძელში.

— მე პირადად იატაკზე ვზივარ, — თქვა რონალდმა, — და, მართალი გითხრა, სულაც არ ვგრძნობ თავს რბილად და თბილად. მომისმინე, ორასიო: ამ რეალობის უარყოფას აზრი არა აქვს. ის აქ არის, ჩვენ ყველა მისი თანამონაწილენი ვართ. ღამე იწურება ჩვენ ორივესთვის, გარეთ წვიმს ჩვენ ორივესთვის. რა ვიცი რა არის ღამე, რა არის დრო და რა — წვიმა, მაგრამ ისინი აქ არიან, ისინი ჩემს მიღმა არიან, ეს არის ის, რაც ჩემს თავს ხდება და ვერაფერს გააწყო.

— ცხადია, — თქვა ორასიომ, — ამას არც არავინ უარყოფს, ჩე.

ჩვენ მარტო ის ვერ გაგვიგია, რატომ ხდება ასე, რატომ ვართ აქ, რატომ წვიმს გარეთ. აბსურდი ეს კი არ არის, თავისთავად, არამედ ის, რომ ეს ყველაფერი არის აქ და ჩვენ მას აღვიქვამთ როგორც აბსურდს. მე ხელიდან მეცლება ის კავშირი, რომელიც არის ჩემსა და იმას შორის, რაც ამ წუთში ჩემს თავს ხდება. მე არ უარვყოფ, რომ ეს ჩემს თავს ხდება. ხომ ხდება მაინც. აი, სწორედ ეს არის აბსურდიც. — მაინც არ არის ნათელი, — თქვა ეტიენმა.

— არც შეიძლება იყოს ნათელი, ასე რომ იყოს, მაშინ ყალბი იქნებოდა, მეცნიერულად შეიძლება კიდევ ყოფილიყო ჭეშმარიტი, მაგრამ როგორც აბსოლუტი, ყალბია. სინათლე, სიცხადე, ინტელექტუალური მოთხოვნილებათა და სხვა არაფერი. ნეტავ კი შეგვეძლოს ნათლად ვიცოდეთ, ნათლად გვესმოდეს მეცნიერებისა და გონების გარეშე. და როცა ვამბობ „ნეტავი“—მეთქი, მოდი და გაიგე, ეგებ სისულელეს ვამბობ. ვინ იცის, ჩვენი ღუბა, ჩვენი ერთადერთი მხსნელი მეცნიერებაა, ურანი—235 და ასეთი რამეები. თუმცა რაც უნდა იყოს, სულ ერთია, უნდა ვიცხოვროთ.

— დიახ, — თქვა მაგამ და ყავა შესთავაზა, — ასეა თუ ისე, უნდა ვიცხოვროთ.

— გაიგე, რონალდ, — უთხრა ოლივეირამ და მუხლზე ხელი დაადო.

— შენ გაცილებით მეტი ხარ, ვიდრე შენი გონება, ეს ყველამ იცის. ეს ღამე, მაგალითად, ის, რაც ახლა ჩვენს თავს ხდება აქ, ეს არის როგორც შუქი რემბრანდტის სურათზე, რომელიც ოდნავ ეცემა სადღაც კუთხეში და ეს სულაც არ არის ფიზიკური სინათლე, არ არის ის, რასაც შენ მშვიდად უწოდებ და განსაზღვრავ როგორც ლამფას, მთელი მისი ვატებითა და სანთლებით. აბსურდია იმის დაჯერება, რომ ჩვენ შეგვიძლია ერთიანად აღვიქვათ მოცემული მომენტი ან ნებისმიერი სხვა მომენტი მთელი მისი შემადგენელი ნაწილებით, ანდა თუნდაც ინტუიტურად შევაერთოთ ეს ნაწილები, თუ გინდა. ყოველთვის, როცა კრიზისში აღმოვჩნდებით ხოლმე, მაშინ იწყება სწორედ აბსურდი, ხომ გესმის, დიალექტიკას მხოლოდ სიმშვიდის წუთებში შეუძლია კარადების მოწესრიგება. კარგად იცი, როდესაც კრიზისი კულმინაციას მიაღწევს, ყოველთვის იმპულსურად ვმოქმედებთ, ზოგჯერ გაუთვალისწინებლად და შეიძლება დაუჯერებელი სისულელეებიც კი ჩავიდინოთ. აი, ახლაც, ამ წუთში შეგიძლია თქვა რეალობით გაჯერება ხდებაო? ასე არ გეჩვენება?

რეალობა კი ჩქარობს, ცდილობს გვაჩვენოს თავისი ძალა, ჩვენ კი ისღა გვრჩება, რომ წინ აღვუდგეთ, ოღონდ თუ დიალექტიკაზე ხელს ავიღებთ. ეს არის დრო, როცა ჩვენ ვესვრით ვილაცას, ვხტებით გემიდან, ვსვამთ გარდენალის მთელ კოლოფს, როგორც გიმ დალია, ვწყვეტთ ჯაჭვს, არაფერს არ ვერიდებით. გონება მხოლოდ მაშინ გვჭირდება, როცა გვინდა გავკვეთოთ რეალობა მისი გაყუჩების დროს, ან გავაანალიზოთ მისი მომავალი განსაცდელი, მაგრამ არასდროს გვეხმარება რომ ამ მოულოდნელად თავსდატეხილი კრიზისიდან თავი დავაღწიოთ. თუმცა ეს კრიზისები მეტაფიზიკური ეტაპებია, ჩე, ის მდგომარეობაა, რაც — ჩვენ რომ გონიერების გზას არ დავდგომოდით, — ბუნებრივი და ჩვეულებრივიც იქნებოდა აღგზნებული პიტეკანტროფისთვის.

— ფრთხილად, ძალიან ცხელია, — თქვა მაგამ.

— ამგვარ კრიზისებს ადამიანთა უმრავლესობა სკანდალურად და აბსურდულად მიიჩნევს, მე კი პირადად ისეთი შთაბეჭდილება მექმნება, რომ სწორედ მისი დანიშნულებაა გამოავლინოს ჭეშმარიტი აბსურდი, მოწესრიგებული, მშვიდი სამყაროს აბსურდი, სადაც შესაძლებელია იყოს ეს ოთახიც და სადაც სხვადასხვა ტიპის ადამიანები სვამენ ყავას ღამის ორ საათზე, ამას კი სინამდვილეში არანაირი აზრი არა აქვს გარდა ჰედონიზმისა, გარდა იმისა, რომ ისხდნენ თბილად მყუდრო გარემოში ღუმელის გარშემო. სასწაულები არასდროს მეჩვენებოდა აბსურდულად; აბსურდულია ის, რაც მათ წინ უსწრებს, ან უკან მოჰყვება.

— და მაინც, — თქვა გრეგოროვიუსმა, თითქოს გამოფხიზლდომ, — „Il faut tenter de vivre”[129].

„Voilà”[130], — გაიფიქრა ოლივეირამ, — კიდევ კარგი მე ხმა არ ამომიღია, ათასობით ლექსიდან რაღა მაინცდამაინც იმ სტრიქონს ირჩევს, რაც მე ათიოდე წუთის წინ გამახსენდა. ამას ჰქვია შემთხვევითი დამთხვევა.”

— კარგი, მაგრამ, — თქვა ეტიენმა ნამძინარევი ხმით, — რატომ უნდა ეცადო, რომ იცხოვრო, ჩვენ ხომ სიცოცხლე განგების ძალით გვებოძა. საკმაოდ დიდი ხანია, რაც არაერთი ადამიანი გამოთქვამს მოსაზრებას, რომ ცხოვრება და ცოცხალი არსებები ორი სხვადასხვა რამაა. ცხოვრება თავისთვის ცხოვრობს, მოგვწონს ეს თუ არ მოგვწონს. დღეს გიმ სცადა ამ თეორიის უარყოფა, თუმცა სტატისტიკის თანახმად ის უცილობელია. ამაზე მეტყველებს საკონცენტრაციო ბანაკები და წამებები. ალბათ მთელი ჩვენი გრძნობებიდან ერთადერთი, რაც ნამდვილად არ არის ჩვენი, ეს არის იმედი. იმედი ეკუთვნის ცხოვრებას, ეს თავად ცხოვრებაა თავს რომ იცავს. და ასე შემდეგ. და ამდენად მე ახლა სიამოვნებით დავიძინებდი, რადგან გიმ იმ თავისი ოინებით არაქათი გამომაცალა. რონალდ, ხვალ დილას სახელოსნოში შემომიარე, ერთი ნატიურმორტი დავასრულე, ისეთია, გაგიჟდები.

— ორასიომ ვერ დამარწმუნა, — თქვა რონალდმა. — გეთანხმებით, რომ ბევრი რამ, რაც ჩემს გარშემო ხდება, აბსურდია, მაგრამ ეგებ აბსურდულს იმას ვუწოდებთ, რაც ჯერ კიდევ ვერ გაგვიგია. როდისმე მაინც გავიგებთ.

— მომხიბვლელი ოპტიმიზმი, — თქვა ოლივეირამ, — ალბათ ეს ოპტიმიზმი შეგვიძლია მივაწეროთ წმინდა ცხოვრების წესს. შენი ძალა იმაში მდგომარეობს, რომ შენთვის არ არსებობს მომავალი, რაც აგნოსტიკოსთა უმრავლესობისათვის ლოგიკურია. შენ ყოველთვის ხარ ცოცხალი, ყოველთვის ხარ აქ, აწმყოში, ყველაფერი შენს საამებლად ხდება, როგორც ვან ეიკის დაფაზე. მაგრამ თუ შენ შეგემთხვა რაღაც ისეთი საშინელება, რომ არ გქონდეს რწმენა და ამავე დროს ხედავდე, რომ მიექანები სიკვდილისკენ, ამ ყველაზე უფრო სკანდალური სკანდალისკენ, შენ უმაღლესად კარგად შენიღბავდი სარკეს.

— წავიდეთ, რონალდ, — თქვა ბებსმა, — ძალიან გვიანაა, მეძინება. — მოიცადე, მოიცადე. ახლა ვფიქრობდი მამაჩემის სიკვდილზე და, ასეა, ზოგიერთი რამ, რაც თქვი, მენიშნა. ეს ნაწილი არ შეესაბამება იმ თავსატეხს, ეს რაღაც სხვა, აუხსნელი რამაა. ახალგაზრდა და ბედნიერი ვაცი ალაბამაში, მიდიოდა თავისთვის ქუჩაში და ხე დაეცა ზურგზე. მაშინ თხუთმეტი წლისა ვიყავი, კოლეჯში მომძებნეს. რამდენი აბსურდული რამ ხდება კიდევ, ორასიო, რამდენი სიკვდილი, რამდენი შეცდომა... ეს მართო რაოდენობის საკითხი არ არის, მე მგონია. ეს არ არის ტოტალური აბსურდი, როგორც შენ ფიქრობ.

— აბსურდია ის, რაც აბსურდად არ გეჩვენება, — თქვა იდუმალი ხმით ოლივეირამ, — აბსურდია ის, რომ დილით გააღებ კარებს და ხედავ რძის ბოთლს ზღურბლთან, შენც მშვიდად ხვდები ამას, რადგან გუშინაც იგივე მოხდა და ასე მოხდება ხვალ დილასაც. ეს არის ერთ ადგილზე გაჩერება, ეს ასეა, ეს არის გამონაკლისების საეჭვო უქონლობა. მე არ ვიცი, მაგრამ იქნება სხვა გზა მოგვენახა.

— უარი გვეთქვა გონზე? — თქვა გრეგოროვიუსმა უნდობლად.

— არ ვიცი, შეიძლება. ეგებ სხვანაირად გამოგვეყენებინა. განა დამტკიცებულია, რომ ლოგიკური პრინციპები ჩვენი გონების განუყოფელი ნაწილია? თუკი არსებობენ ხალხები, რომელთაც შეუძლიათ იცხოვრონ მაგიური წყობის სამყაროში... საბრალონი, თურმე უმ ჭიაყელებს ჭამენ, თუმცა ეს ღირებულებათა საკითხია...

— ჭიაყელებსო, რა საზიზღრობაა, — თქვა ბებსმა, — რონალდ, საყვარელო, გვიანაა.

— გულის სიღრმეში, — თქვა რონალდმა, — შენ არ მოგწონს ნებისმიერი ფორმის კანონზომიერება. როგორც კი რაიმე იწყებს კარგად მოქმედებას, ისე განიცდი, თითქოს ციხეში იჯდე, თუმცა ჩვენ, ყველანი ცოტათი მაინც ასეთები ვართ, ხელმოცარულებად წოდებული ერთი ჯგუფი, რადგან ვერც კარიერა გავიკეთეთ, ვერც ტიტულები მოვიპოვეთ და ვერც ვერაფერი ამის მსგავსი. ამოტომაც ვართ პარიზში, ძმაო, და შენი ცნობილი აბსურდი ბოლოს და ბოლოს მიდის გაურკვეველ ანარქიულ იდეალამდე, რაც შენ ვერ აგისხნია.

— ძალიან, ძალიან მართალი ხარ, — უთხრა ოლივეირამ, — შენ რომ გისმინო, უნდა გავიდე ქუჩაში და პლაკატები გავაკრა ალჟირისთვის თავისუფლების მოწოდებით, უნდა ჩავეება საზოგადოებრივ ბრძოლაში.

— მოქმედებამ შეიძლება შენს ცხოვრებას აზრი მისცეს, — უთხრა რონალდმა. მგონი ეს მალროსთან წაიკითხე.

— N.R.F.—ს[131] გამოცემა. — თქვა ოლივეირამ.

— შენ კი ამის ნაცვლად მაიმუნივით ონანიზმს ეწევი, აგიკვირებია ეგ უაზრო პრობლემები და არავინ იცის, რას ელოდები, თუ ეს ყველაფერი აბსურდია, რაღაც უნდა მოიმოქმედო, რაღაც უნდა შეცვალო.

— ეგ სიტყვები ბევრჯერ მსმენია, — უთხრა ოლივეირამ, — როგორც კი დაინახავ, რომ კამათი სხვა მიმართულებას იღებს,

შენი აზრით, კონკრეტულს, მაგალითად შენი განთქმული მოქმედებისკენ იხრება, მაშინვე მჭევრმეტყველება გაგიტაცებს ხოლმე. შენ არ გინდა გაიგო, რომ მოქმედების და უმოქმედობის უფლება უნდა დაიმსახურო. როგორ უნდა იმოქმედო, თუ წინასწარ არ გაიაზრე შენი დამოკიდებულება იმის მიმართ, რა არის კარგი და რა არის ჭეშმარიტი? შენი წარმოდგენა ჭეშმარიტებისა და სიკეთის მიმართ სუფთა ისტორიულია და ეფუძნება მემკვიდრეობით მიღებულ ეთიკას. მაგრამ მე ისტორიაც და ეთიკაც საეჭვოდ მეჩვენება.

— როდისმე, — თქვა ეტიენმა და მხრებში გაიშალა, — მინდა დაწვრილებით მოვისმინო ის, რასაც შენს მთავარ, ფუძემდებლურ მოქმედებას უწოდებ, უკეთეს შემთხვევაში მაგ შენ ფუძემდებლურში ერთი დიდი ხვრელის მეტი არაფერი იქნება.

— ნუ გეშინია, ამაზეც ვიფიქრე, — თქვა ოლივევირამ, — თუმცა ესთეტიკური თვალსაზრისით, რომლის შეფასებაც შენ მშვენივრად შეგიძლია, დამეთანხმე, რომ უზარმაზარი ხარისხობრივი განსხვავებაა ამ ორ პოზიციას შორის — როცა იმყოფები ცენტრში და როცა ტრიალებ პერიფერიებში, თუკი ამაზე დაფიქრდები.

— ორასიო, — უთხრა გრეგოროვიუსმა, — მეტისმეტად ხელგაშლით იყენებ იმ სიტყვებს, რასაც სულ ახლახან ჩვენ თავგამოდებით გვირჩევდი არ გამოიყენოთო. ეს გახლავთ კაცი, რომელსაც ვერაფერს უსაყვედურებ, მართლაც სიტყვების დიდი ოსტატია, მაგრამ ჯობია ის აგვიხსნას, რაც ბუნდოვანია, აუხსნელი, როგორიცაა თუნდაც სიზმრები, დამთხვევები, გამოცხადებები და ყველაზე უფრო — შავი იუმორი.

— ის ტიპი, ისევ გვიკაკუნებს, — თქვა ბებსმა.

— არა, ეს წვიმაა, — თქვა მაგამ, — უკვე დროა წამალი დავალევინო როკამადურს.

— კიდევ გაქვს დრო, — თქვა ბებსმა, სწრაფად დაიხარა, პირდაპირ ლამფასთან მიიტანა ხელი და საათს დახედა, — სამს ათი

წუთი აკლია. წავიდეთ, რონალდ, ძალიან გვიანაა.

— ოთხის ხუთ წუთზე წავალთ, — თქვა რონალდმა.

— რატომ ოთხის ხუთ წუთზე? — ჰკითხა მაგამ.

— იმიტომ რომ საათის პირველი მეოთხედი ყოველთვის იღ-
ბლიანია, — აუხსნა გრეგოროვიუსმა.

— ერთი ყლუპი კანია დამალევინე, — სთხოვა ეტიენმა, — ჯან-
დაბა, მთელი ბოთლი გამოუცლიათ.

ოლივეირამ სიგარეტი ჩააქრო. „ფხიზლად არიან, — გაიფიქ-
რა მადლიერებით, — ნამდვილი მეგობრები არიან, ეს საცოდავი
ოსიპიც კი, ჯანდაბა მაგას. ახლა მთელი მეოთხედი საათი გაგ-
რძელდება ჯაჭვური რეაქცია და ვერც ერთი ვერ ასცდება ამას,
ვერც ის, ვისაც უნარი შესწევს, მიხვდეს, რა მოხდება ერთი
წლის მერე, ზუსტად ამ დროს, ამ საათზე, დაწვრილებით გაიხსე-
ნოს, რაც აქ მოხდა, ვერც ადრენალინს გამოყოფენ, ვერც
ნერწყვს და არც ხელები გაუოფლიანდებათ... აი, ეს არის, ის
მტკიცებულებები, რისი გაგებაც არ სურს რონალდს. რა ჩავიდი-
ნე მე ამ ღამეს? წარმოუდგენელი, შემზარავი რამ, a priori. ვინ
იცის, იქნება ჟანგბადის ბალიში, ან რაიმე ამის მსგავსი მაინც
უშველიდა? სისულელეა, ცოტა ხანს გაუხანგრძლივებდა სიცოც-
ხლეს მუსიე ვალდემარის თანახმად, ეგ არის და ეგ.“

— ეგებ შეგვემზადებინა, — წასჩურჩულა რონალდმა.

— სისულელეს ნუ ამბობ, თუ ღმერთი გწამს. ვერა გრძნობ,
რომ უკვე შემზადებულია, ჰაერშიც კი ტრიალებს სუნი?

— ახლა ძალიან ჩუმად იყავით, — თქვა მაგამ, — მერე, აღარ
იქნება საჭირო...

„Tu parles“[132], — გაიფიქრა ოლივეირამ.

— რა სუნი? — წაჩურჩულა რონალდმა, — მე ვერანაირ სუნს
ვერ ვგრძნობ.

— კეთილი, ახლა საცაა სამიც შესრულდება, — თქვა ეტიენმა და ისე გააჟრჟოლა, თითქოს სიცივემ აიტანაო. — ცოტა თავს ძალა დაატანე რონალდ, ორასიო გენიოსი ხომ არ არის, რა ასეთი ძნელია იმის გაგება, რისი თქმა უნდა. ერთადერთი, რისი გაკეთებაც შეგვიძლია, ისაა, რომ ცოტა ხანს კიდევ დავრჩეთ აქ და გავუძღოთ იმას, რაც მოხდება. შენ კი, ორასიო, ახლადა გამახსენდა, რემბრანდტის სურათზე რომ თქვი, მართლა კარგად თქვი. არსებობს მეტაფერწერაც, ისევე, როგორც არსებობს მეტამუსიკა, მოხუცი რემბრანდტი უფრო შორს იყურებოდა, საზღვარსაც გასცდა და კიდევ გასცდა იმას, რასაც ვერასოდეს დაინახავენ ლოგიკისა და ჩვეულებრივი წარმოდგენებით თვალდაშრეტილი ადამიანები, ისინი შეიძლება უყურებდნენ რემბრანდტის სურათებს, მაგრამ ვერ ხედავდნენ, რომ მისი ტილოები ის სარკმელია, საიდანაც შეიძლება დაინახო რაღაც სულ სხვა რამ, რაღაც ნიშანი... ეს ფერწერისთვის ძალზე სახიფათო კია, თუმცა...

— ფერწერაც ხელოვნების ერთ-ერთი სახეა, — თქვა ოლივეირამ, — და მაინც და მაინც დიდად ნუ აიტკივებთ თავს მისი დაცვით.

ესეც არ იყო, ერთ რემბრანდტზე ყველაზე ცოტა ასი ჩვეულებრივი მხატვარი მოდის, ასე რომ, ფერწერას არანაირი საფრთხე არ ელოდება.

— საბედნიეროდ, — თქვა ეტიენმა.

— საბედნიეროდ, — დაეთანხმა ოლივეირა, — საბედნიეროდ, ყველაფერი კარგად მიდის, ამ ყველა არსებულ სამყაროთა შორის საუკეთესო სამყაროში. ანათე შუქი, ბებს. ჩამრთავი შენი სკამის უკანაა.

— სადღაც სუფთა კოვზი იყო, — თქვა მაგამ და წამოდგა.

ოლივეირამ თავს ძალა დაატანა, რომ არ გაეხედა ოთახის სიღრმისკენ, თუმცა კი გრძნობდა, რომ ეს საძაგლობა იყო. მაგა თვალებს იფშვნეტდა, ეტყობა, სინათლემ მოსჭრა თვალი, ბებ-

სი, ოსიპი და დანარჩენებიც მალულად გახედავდნენ, მერე თავს მიაბრუნებდნენ და ისევ უყურებდნენ. ბებსმა სცადა ხელი მოეკი- და მკლავში მაგასთვის, მაგრამ რონალდის მზერამ შეაჩერა. ეტიენი ნელ-ნელა გასწორდა, თან ჯერ ისევ სველ შარვალს ის- წორებდა. ოსიპიც წამოდგა, ნეტავ სად იქნება ჩემი ლაბადაო, თავისთვის ბუტბუტებდა.

„ახლა ისევ დაიწყება კაკუნი ჭერში, — გაიფიქრა ოლივეირამ და თვალები დახუჭა. — რამდენიმე დარტყმა ზედიზედ, მერე კი- დევ სამი, გამარჯვების ნიშნად. თუმცა ყველაფერი პირუკუ ხდე- ბა, შუქს ჩაქრობის ნაცვლად, ვანთებთ, პირდაპირ სცენაზე ვართ, რას გააწყობ.“ ისიც ადგა და მაშინვე იგრძნო ძვლების ტკივილი, მთელი დღე სიარულში გაატარა, აბა რა დაემართე- ბოდა, მაინც რამდენი რამ მოხდა ამ ერთ დღეში. მაგამ კოვზი იპოვა, სადღაც ბუხრის კონსოლზე მიაგნო, ფირფიტებსა და წიგ- ნების უკან, კაბის კალთით გაწმინდა და ლამფის შუქზე დახედა. „ახლა წამალს კოვზზე დაასხამს და სანამ საწოლამდე მივა ნა- ხევარს დაღვრის,“ — გაიფიქრა ოლივეირამ და კედელს მიეყუ- და. ყველა ერთბაშად ისე მიჩუმდა, რომ მაგამ გაკვირვებით შე- ათვალიერა ისინი. წამლის ბოთლის გახსნა გაუჭირდა, ბებსს უნდოდა დახმარებოდა და კოვზი მაინც გამოერთმია, თან ისე დაიმიანჭა, გვეგონებათ, მაგამ რაღაც საშინელება ჩაიდინაო, ბო- ლოს, როგორც იქნა მაგამ წამალი კოვზზე დაასხა, ბოთლი მა- გიდაზე რვეულებსა და ქაღალდებს შორის დადგა, კოვზი ისე ჩაბლუჯა, როგორც აკრობატი ჩაეჭიდება ხოლმე ლატანს, ან ან- გელოზი — წმინდანს, უფსკრულისკენ რომ მიექანება, და ფლოს- ტების ტყაპუნით საწოლისკენ გაემართა, ბებსი გვერდით მიჭ- ყვებოდა სახემოდუმული, თან უყურებდა, თან არ უნდოდა შე- ეხედა, მერე რონალდსა და სხვებსაც გადახედა, ზურგს უკან რომ მოჰყვებოდნენ, ოლივეირა ბოლოში იდგა, კბილებში ეჭი- რა ჩამქრალი სიგარეტი.

— ყოველთვის მეღვრება... — თქვა მაგამ და საწოლთან შედ- გა.

— ლუსია, — უთხრა ბებსმა, — უნდოდა ხელები მხრებზე შემო- ეხვია, მაგრამ გაჩერდა.

წამალი საწოლზე დაიღვარა, კოვზი დავარდა. მაგამ შეჰყვირა და საწოლზე პირქვე დაემხო, მერე გადმობრუნდა და მონაცრისფრო-ფერფლისფერ უსიცოცხლო თოჯინას ხელები შემოხვია, სახით მიეკრა, გულში იკრავდა, მაგრამ ამაო იყო, მისი მოუფრთხილებელი ხვევნა-ალერსი ველარც ტკივილს მიაყენებდა და ველარც სიხარულს მოჰგვრიდა.

— ამის დედა ვატირე, უნდა შეგვემზადებინა, — თქვა რონალდმა, — ეს არ უნდა გვექნა, რა სირცხვილია. ჩვენ აქ ამდენ სისულელეებს მივედ-მოვედებოდით, ეს კი, ეს კი...

— ისტერიკას ნუ გამართავ, — თქვა ეტიენმა უკმეხად, — შეხედე ოსიპს, თავი არ უნდა დაკარგო. მოძებნე სადმე ოდეკოლონი, ან სხვა რამე ამის მსგავსი. გესმით, მოხუცმა ისევ დაიწყო ვაკუნნი.

— მეტი რა უნდა ქნას, — თქვა ოლივეირამ და შეხედა ბებსს, რომელიც როგორც შეეძლო ცდილობდა როგორმე მოეშორებინა მაგა საწოლისგან.

— მაინც რა ღამე მოვუწყვეთ, ძმაო.

— ჯანდაბამდის გზა ჰქონია, — თქვა რონალდმა. — ავალ და ცხვირ-პირს მოვუნაყავ იმ ბებერ ბოზიშვილს. თუ პატივს არ სცემს სხვის უბედურებას...

— Take it easy[133], — თქვა ოლივეირამ, — აჰა, გამომართვი ოდეკოლონი, აჰა, ჩემი ცხვირსახოცი, თუმცა შეიძლება ქათქათა თეთრი არ არის. კარგი, ახლა წავალ და პოლიციაში განვაცხადებ.

— შემიძლია მე წავიდე, — თქვა გრეგოროვიუსმა, რომელიც იქვე იდგა თავისი ლაბადით.

— რა თქმა უნდა, შენ ხომ ოჯახის წევრი ხარ, — თქვა ოლივეირამ.

– იტირე, გულზე მოგეშვება, – ეუბნებოდა ბებსი და თავზე ხელს უსვამდა მაგას, რომელსაც ბალიში ჩაებღუჯა და როკამადურს დასცქეროდა. – დამისველეთ ცხვირსახოცი სპირტში, თუ შეიძლება, როგორმე გონზე უნდა მოვიყვანო.

ეტიენი და რონალდი საწოლთან იდგნენ და ცდილობდნენ ბებსს დახმარებოდნენ. კაკუნი რიტმულად ისმოდა ჭერში და ყოველ დაკაკუნებაზე რონალდი აიხედავდა ზევით, ერთხელ მუშტიც კი მოუღერა გაბრაზებულმა. ოლივეირა ღუმელთან დაბრუნდა და იქიდან უყურებდა და უსმენდა. დაღლილობა ფეხებში იგრძნო, თითქოს ქვევით ეწეოდა, უფრო და უფრო გაუჭირდა სუნთქვა და მოძრაობა. კიდევ მოუკიდა სიგარეტს, კოლოფში მეტი აღარ დარჩენილიყო. ამასობაში ბებსმა ცოტა მოაწესრიგა ერთი კუთხე ოთახში, მერე ორი სკამი ერთმანეთს მიადგა, ზედ საბანი გაშალა და აკვანივით გააწყო რონალდის დახმარებით (საოცარი იყო იმის ყურება, როგორ დასტრიალებდნენ თავს მაგას, რომელიც უგონოდ ბოდავდა, აგზნებული უაზროდ ლაპარაკობდა თავისთვის), ამ დროს თვალებზე ცხვირსახოცი დაათარეს ("თუ ეს ოდეკოლონშია დასველებული, დააბრმავებენ", გაიფიქრა ოლივეირამ), მერე სწრაფად შეაშველეს ხელი ეტიენს, რომ როკამადური დაეწვინათ სახელდახელოდ მოწყობილ საწოლზე, მერე მაგას გამოაცალეს საბანი და მას გადაათარეს, ამავე დროს ელაპარაკებოდნენ მაგას ხმადაბლა, ეფერებოდნენ და აყნოსვინებდნენ ცხვირსახოცს. გრეგოროვიუსი კი კარებამდე მივიდა და იქვე გაჩერდა, ვერ გადაეწყვიტა წასულიყო თუ არა, მალულად იყურებოდა საწოლისკენ, მერე ოლივეირასკენ, რომელიც მისკენ ბურგით კი იდგა, მაგრამ გრძნობდა მის მზერას. როცა გადაწყვიტა, რომ წასულიყო, მოხუცი ჯოხმომარჯვებული დახვდა კარებთან და მაშინვე უკან შებრუნდა. ჯოხი კარებს მოხვდა. „მაინც როგორ მიეწყო ერთიმეორეს ამდენი რამ“, გაიფიქრა ოლივეირამ და კარებისკენ გადადგა ნაბიჯი, რონალდი მიუხვდა განზრახვას, ისიც გაცეცხლებული გაექანა, ხოლო ბებსმა რაღაც მიაძახა ინგლისურად.

გრეგოროვიუსმა სცადა მათი შეჩერება, მაგრამ უკვე გვიან იყო. რონალდი, ოსიპი და ბებსი გაცვივდნენ კარებში, ეტიენმა

კი ისეთი მზერა მიაპყრო ოლივეირას, თითქოს ის იყო ერთადერთი ადამიანი, ვინც შეიანარჩუნა საღი აზრი.

— წადი ნახე, რაიმე სისულელე არ ჩაიდინონ, — უთხრა ოლივეირამ. — მოხუცი ოთხმოციოდე წლისაა და თანაც გიჟი.

— Tous des cons! — გაჰყვიროდა მოხუცი კიბეზე, — Band des tueurs, si vous crouyez que ça va se passer comme ça! Des fripouilles, des fainéants. Tas d'encufés![134] საკვირველი იყო, რომ ის ძალიან ხმამაღლა არ ყვიროდა. თითქოს მის სიტყვებს შეეჯახაო, ნახევრად ღია კარებიდან ეტიენის ხმა გაისმა: „Ta gueule, pépère”[135]. გრეგოროვიუსმა მკლავში ჩაავლო ხელი რონალდს, მაგრამ ოთახიდან გამოსულ შუქზე რონალდმა უკვე დაინახა, რომ მოხუცი მართლაც ძალიან ბებერი იყო და მარტო მუშტებს უქნევდა ცხვირწინ და ისიც უკვე გაუბედავად. ერთხელ თუ ორჯერ გაიხედა ოლივეირამ საწოლისკენ, სადაც გაუნძრევლად და უმოძრაოდ იწვა მაგა; საბანი ეხურა და ტიროდა, მთლიანად ცახცახებდა, პირისახე ჩაერგო იმ ბალიშში, რომელზეც როკამადურს ედო თავი. „Faudrait quand même laisser dormir les gens, — ამბობდა მოხუცი, — Qu—est—ce que ça me fait, moi, un gosse qu’a claqué? C’est pas une façon d’agir, quand même, on est à Paris, pas en Amazonie.”[136] ეტიენის ხმამ მთლად გადათარა მოხუცის სიტყვები, ისეთი დაბეჯითებით უხსნიდა რაღაცას. ოლივეირამ უთხრა თავის თავს, რომ სულ არ იქნებოდა ძნელი მისულიყო საწოლთან და მაგასთვის რამდენიმე სიტყვა ჩაეჩურჩულებინა ყურში. „მაგრამ ამას ხომ ჩემივე თავისთვის ვიზამდი, — გაიფიქრა მან, — ახლა მას ხომ არაფრის თავი არა აქვს. ისევ მე დამეძინებოდა წყნარად, მაგრამ მე ხომ ვიცი, რომ ეს სიტყვების მეტი არაფერია. მე, მე, მე. მე დამეძინებოდა მშვიდად, რომ მეკოცნა და მენუგეშებინა და მეთქვა, ყველაფერი ის, რაც უკვე უთხრეს ამ ადამიანებმა.”

— Eh bien, moi, messieurs, je respecte la douleur d’une mère — გაისმა მოხუცის ხმა. — Allez, bonsoir messieurs, dames”[137] წვიმა ფანჯრებს შხუილით ეშხეფებოდა. პარიზი ალბათ ერთ უზარმაზარ ბუშტად გადაიქცა, ნაცრისფერ ბუშტად, სადაც ნელ-ნელა შემოდდიოდა ალიონი. ოლივეირა მივიდა კუთხეში, სადაც

მისი წვიმით გაჟღენთილი ქურთუკი ისე მოჩანდა, როგორც ოთხში ამოდებული სხეული. აუჩქარებლად ჩაიცვა ქურთუკი ისე რომ თვალი არ მოუშორებია საწოლისთვის, თითქოს რაღაცას ელოდებო, გაახსენდა როგორ ებლაუჭებოდა ბერტ ტრეპა მკლავზე, მაინც რამდენი იარა ამ წვიმაწყალში. „რა სიკეთეს მოგიტანს ზაფხული, ოჰ ბუღბუღო, თუ თოვლში გაითოშე?“, — გაიხსენა ირონიულად. — დამპალია, ჩე, მთლად დამპალია. თამბაქოც სულ გამთავებია, ჯანდაბა“. ახლა როგორმე უნდა მი-აღწიოს ბებერის კაფემდე. ბოლოს და ბოლოს, ეს საზიზღარი განთიადი სადღაც ხომ მაინც მოუსწრებს.

— რა იდიოტია ეს მოხუცი, — თქვა რონალდმა და კარები მიხურა.

თავის ოთახში დაბრუნდა, — აცნობა ეტიენმა. — მგონი, გრეგოროვიუსი პოლიციაში წავიდა, რომ განაცხადოს. შენ აქ რჩები?

— არა, რისთვის? მათ არ მოეწონებათ ამ დროს ამდენ ხალხს რომ ნახავენ. ჯობია ბეხსი დარჩეს, ორი ქალი ასეთ შემთხვევაში ყოველთვის კარგი არგუმენტია, ეს უფრო ქალების საქმეა, ხომ გესმის.

ეტიენმა შეხედა.

— ერთი გამაგებინა ასე რატომ გიკანკალებს ტუჩები? — ჰკითხა მან. — ნერვიული ტიკებია, — თქვა ოლივეირამ. — — ეს ტიკები და შენი ცინიკური სახე რაღაც არ ეხამება ერთმანეთს. მეც შენთან ერთად მოვდივარ, წავიდეთ.

— წავიდეთ.

მან იცოდა, რომ მაგამ თავი წამოსწია საწოლიდან და შეხედა. მან ქურთუკის ჯიბეებში ხელები ჩაიწყო და კარებთან მივიდა. ეტიენმა ისეთი მოძრაობა გააკეთა, თითქოს მისი გაჩერება სცადა, მაგრამ უკან გაჰყვა. რონალდმა მათ თვალი გააყოლა და გაბრაზებულმა მხრები აიჩეჩა. „რა აბსურდულია ეს ყველა-

ფერი,” — გაიფიქრა მან. იმ აზრმა, რომ ყველაფერი აბსურდია, რაღაც უსიამოვნო გრძნობა აღუძრა, მაგრამ ვერ გაეგო რატომ. იგი ბებსთან მივიდა, რომ საფენები მაინც დაესველებინა, რაღაც სასიკეთო ექნა. ჭერში ისევ კაკუნი დაიწყო.

(-130)

29

— Tiens[138], — თქვა ოლივეირამ.

გრეგოროვიუსს შავი საშინაო ხალათი ეცვა, ღუმელთან იდგა და კითხულობდა. ლამფა კედელზე ლურსმნით იყო დამაგრებული და გაბეთის შუქფარი კარგად ანაწილებდა სინათლეს.

— არ ვიცოდი, რომ შენ გასაღები გქონდა.

— რაც წარსულიდან შემომრჩა, — თქვა ოლივეირამ, და ჩვეულებისამებრ ქურთუკი კუთხეში მიაგდო, — ახლა შენ დაგიტოვებ, რაკი სახლის პატრონი გახდი.

— მხოლოდ დროებით. აქ ძალიან ცივა და თანაც ის მოხუცი ზედა სართულზე... ამ დილას მთელი ხუთი წუთი აკაკუნებდა, ვერ გაიგებ რატომ.

— ინერციით. ყველაფერი ცოტა უფრო დიდხანს გრძელდება ხოლმე ყოველთვის, ვიდრე უნდა გრძელდებოდეს. მე, მაგალითად, ამოვდივარ კიბეზე, ამოვიღებ ჯიბიდან გასაღებს და ვაღებ... ჰაერი დახუთულია ოთახში.

— გაუსაძლისი სიცივეა, — თქვა გრეგოროვიუსმა, — ორი დღე და ღამე ღია მქონდა ფანჯრები საკმეველის მერე.

– და შენ მთელი ამ ხნის მანძილზე სულ აქ იყავი? Caritas[139]. რა ტიკი ხარ.

– ამიტომ ვი არა, შემეშინდა ამ სახლის რომელიმე ბინადარი არ შემოსულიყო და აქ არ დაბანაკებულიყო. ლუსიამ მითხრა, ამ სახლის პატრონი ცოტა ჭკუასთან მწყრალად არის და ზოგიერთი მდგმური წილობით არ უხდის თურმე ფულს. ბუდაპეშტში ბეჯითად ვკითხულობდი სამოქალაქო კოდექსს და ასეთი რამ არ გავიწყდება.

– მოკლედ, კარგი ბუდე მოიწყვე. Chapeau, mon vieux[140]. იმედია ჩემი ბალახი ნაგავში არ გადაგიგდია.

– ოჰ, არა, კარადაშია წინდებთან ერთად. აქ ახლა საკმაოდ სიხალვათია. – ეტყობა, – თქვა ოლივეირამ, – ჩანს მაგას წესრიგის შეტევამ მოუარა, ველარც ფირფიტებს ვხედავ, ველარც წიგნებს. ეჰ, ახლა ალბათ უკვე...

– ყველაფერი წაიღო, – თქვა გრეგოროვიუსმა.

ოლივეირამ კარადა გამოაღო, ბალახი და მატეს დოქი გადმოიღო და ნელ-ნელა დაიწყო სმა, თან აქეთ-იქით იყურებოდა. თავში ხშიანობდა მელოდია „ჩემი სევდიანი ღამე“. თითებზე ითვლიდა, ხუთშაბათი, პარასკევი, შაბათი. არა, ორშაბათი, სამშაბათი, ოთხშაბათი. არა, სამშაბათი, პარასკევი, შაბათი. არა, ორშაბათი, სამშაბათი, ოთხშაბათი. არა, სამშაბათ საღამოს, ბერტ ტრეპა. „შენ მე გიყვარდი ყველაზე მეტად ცხოვრებაში“, ოთხშაბათი (ასეთი თრობა იშვიათად ყოფილა, N.B.: არასდროს შეურიოთ არაყი წითელ ღვინოს) „დამტოვე ასე სულდაკოდელი, გულში ეკალივით დამრჩა...“ ხუთშაბათი, პარასკევი, რონალდი ნათხოვარი მანქანით მიდის გი მონოსთან, როგორც ნასროლი ხელთათმანის დაბრუნება, ლიტრობით ამონთხეული მწვანე შხამი, საშიში აღარაფერია, „შენ ხომ იცოდი, როგორ მიყვარდი, რა სიხარული იყავი ჩემთვის, ჩემი იმედი და ჩემი ოცნება“, შაბათი, სად, საით? სადღაც მერლი-ლერუას სიახლოვეს, სულ ხუთი დღეც, არა, ექვსი, ერთი სიტყვით, მთელი კვირა, ცოტა მეტი,

ცოტა ნაკლები, ოთახში მაინც ყინავს, თუმცა ღუმელი ანთია. ეს ოსიპიც ნამდვილი ბაყაყია, მართლაც სიმყუდროვის მეფე.

— ასე რომ, იგი წავიდა, — თქვა ოლივეირამ და სავარძელში ისე მოიკალათა, რომ მატეც ხელთ ჰქონოდა.

გრეგოროვიუსმა თავი დააქნია. მუხლებზე გადაშლილი წიგნი ედო და ცდილობდა ეჩვენებინა (ზრდილობის ფარგლებში), რომ კითხვის გაგრძელება სურდა.

— და ოთახი შენ დაგიტოვა.

— მან იცოდა, რომ ახლა ცოტა ხელმოკლეობას განვიცდიდი, — თქვა გრეგოროვიუსმა, — ბებიდამ შემიწყვიტა დახმარება, შეიძლება კიდევ გარდაიცვალა. მის ბაბინგტონიც დუმს, თუმცა კვიპროსის მდგომარეობას თუ მივიღებთ მხედველობაში... ამას გავლენა აქვს მალტაზეც, ცნობილია, ცენზურა და სხვა ამისთანები... ლუსიამ შემომთავაზა ამ ბინაში გადმოვსულიყავი მას შემდეგ, რაც შენ გამოაცხადე, რომ მიდიოდი. არ ვიცოდი დავთანხმდებოდი თუ არა, მაგრამ მან დაჟინებით მთხოვა.

— არც თვითონ დაუყოვნებია გამგზავრება.

— მაგრამ ეს ხომ ადრე თქვა?

— სანამ საკმეველს აკმევენენ?

— სწორედ მაშინ.

— პირდაპირ ლატარეა მოიგე, ოსიპ.

— ძალიან საწყენია, — თქვა გრეგოროვიუსმა, — ყველაფერი შეიძლებოდა სულ სხვანაირად მომხდარიყო.

— ნუ წუწუნებ ბებერო, ოთახი ოთხი სამნახევარზე, თანაც წყალგაყვანილობით ხუთიათას ფრანკად თვეში...

– ვისურვებდი, – თქვა გრეგოროვიუსმა, – რომ ჩვენ შორის ყველაფერი გარკვეულიყო. ეს ოთახი...

– ჩემი არ არის, მშვიდად იძინე. მაგაც წავიდა.

– ყოველ შემთხვევაში...

– სად?

– მონტევიდოს ახსენებდა.

– ფული რომ სულ არ ჰქონდა.

– პერუჯაზეც ლაპარაკობდა.

– ლუკა ხომ არ გინდოდა გეთქვა. მას შემდეგ, რაც მან წაიკითხა „Sparkenbroke“, ასეთ რამეებზე გიჟდება. გარკვევით მითხარი, სად არის?

– წარმოდგენაც არა მაქვს, ორასიო. პარასკევს ჩემოდანში ჩაალაგა წიგნები და ტანსაცმელი, შეკრა ფუთები, მერე მოვიდა ორი ზანგი და ეს ყველაფერი წაიღო. მე მითხრა, შეგიძლია აქ დარჩეო, სულ ტიროდა, ისე ტიროდა, რომ ლაპარაკიც უჭირდა.

– როგორ მინდა, ცხვირპირი დაგინაყო, – თქვა ოლივეირამ და მატე მოსვა.

– მე რა დავაშავე?

– საქმე ის კი არ არის დამნაშავე ხარ თუ არა, შენ დოსტოევსკის პერსონაჟებივით საზიზღარიც ხარ და სიმპათიურიც ერთსა და იმავე დროს, რადაცნაირი მეტაფიზიკური მლიქვნელი, როცა ასე იღიმები, ცხადია, ვერაფერს გახდები.

– ოჰ, ეს მშვენივრად ვიცი, – თქვა გრეგოროვიუსმა, – Challenge and response–ს[141] მექანიზმი ბურჟუაზიისთვისაა. შენც ჩემნაირი ხარ და ამიტომაც არ მცემ. ასე ნუ მიყურებ, ლუსიას შესახებ არაფერი ვიცი. ის ერთი ზანგი ვაფე ბონაპარტეს

ხშირი სტუმარია, იქ მინახავს. იქნებ იმან იცოდეს რამე. მაგრამ ახლა რატომ ეძებ?

— ამიხსენი ეგ შენი „ახლა“.

გრეგოროვიუსმა მხრები აიჩეჩა.

— გლოვა-გოდებამ ღირსეულად ჩაიარა, — თქვა მან, — მითუ-მეტეს მას შემდეგ, რაც ყველა პოლიციაში წაგვიყვანეს, საერთოდ, შენმა იქ არყოფნამ ცოტა მითქმა-მოთქმა გამოიწვია. კლუბი შენ გიცავდა, მაგრამ მეზობლები და ზედა სართულის მოხუცი...

— არ მითხრა, რომ მოხუცი ესწრებოდა გლოვას.

— ამას შეიძლება არც ვუწოდოთ გლოვა, ჩვენ ნება მოგვცეს მიცვალებულის გვერდით დავრჩენილიყავით შუადღემდე, მერე მოვიდნენ სახელმწიფო დამკრძალავი ბიუროდან, უნდა ითქვას, რომ ისინი სწრაფად და ზუსტად მოქმედებდნენ.

— წარმომიდგენია რა სურათი იქნებოდა, — თქვა ოლივე-ირამ, — მაგრამ ეს არ შეიძლება იმის მიზეზი გამხდარიყო, რომ მაგას ასე უსიტყვოდ დაეტოვებინა სახლი.

— მთელი ამ ხნის მანძილზე სულ იმაზე ფიქრობდა, რომ შენ პოლასთან იყავი.

— Ça alors[142], — თქვა ოლივეირამ.

— ფიქრი ადამიანის თვისებაა. ახლა, როცა შენი წყალობით, ჩვენ უკვე „შენობით“ ვლაპარაკობთ, მე მიჭირს კიდევ შენთვის ზოგიერთი სხვა რამის თქმა, აშკარად პარადოქსია, მაგრამ ასეა, შეიძლება იმიტომ, რომ ჩვენი „შენობით“ ლაპარაკი სრული თვალთმაქცობაა.

ეს შენ თვითონ დაიწყე იმ ღამეს.

— ძალიან კარგადაც შეიძლება ელაპარაკო „შენობით“ იმ კაცს, რომელიც შენ ქალთან წვება.

— დავიღალე იმის მტკიცებით, რომ ასე არ ყოფილა; ასე რომ არც იმის მიზეზი გვაქვს, „შენობით“ ვილაპარაკოთ. დარწმუნებული რომ ვიყოთ, რომ მართლა დაიხრჩო მაგამ თავი, მაშინ ჩემთვისაც გასაგები იქნებოდა, ასეთი მწუხარების ჟამს თანაგრძნობა და ნუგეშიც, მაგრამ ასე არ არის, ყოველ შემთხვევაში, ასე არ ჩანს.

— შენ მანდ რაღაცას კითხულობდი გაზეთში, — თქვა ოლივეირამ.

— ასეთი დანათესავება არაფერში გვჭირდება. შეგვიძლია „თქვენობით“ გავაგრძელოთ საუბარი. გაზეთი იქაა, ღუმელზე დევს.

მართლაც, რომ არ იყო საჭირო. ოლივეირამ გაზეთი განზე მოისროლა და ისევ მატეს დაუბრუნდა. ლუკა, მონტევიდეო, გიტარა კარადაში მიტოვებული *სამუდამოდ დადუმებული. და როცა ყველაფერს ალაგებენ ჩემოდანში და კრავენ ფუთებს, შეიძლება დაასკვნა, რომ (ფხიზლად, დასკვნა ყოველთვის არ არის მტკიცებულება), აღარავინ დაუკრავს აღარავინ შეეხება მის სიმებს, აღარავინ ააჟღერებს მის სიმებს.*

— კარგი მე გამოვიძიებ, სად წავიდა. შორს ვერ წავიდოდა.

— ეს სახლი ყოველთვის შენი იქნება, — თქვა გრეგოროვიუსმა, მერე კიდევ ისიც, რომ ადგოლიც ჩამოდის და მთელი გაზაფხული აქ დარჩება, ჩემთან.

— დედაშენი?

— ჰო, მეტად გულისამაჩუყებელი დეპეშაც მივიღე, ტეტრაგრამატონით დამოწმებული. სწორედ ამ დროს ვკითხულობდი „სეფერ იეცირას“, მინდოდა მომეძებნა ნეოპლატონიზმის გავლენა. ადგოლი ძალიან ძლიერია კაბალისტიკაში, საშინელი კამათი გვექნება.

— მაგას ხომ არ უნიშნებია, რომ თავის მოკვლას აპირებდა?

— ხომ იცი, ქალების ამბავი.

— კონკრეტულად.

— არა მგონია, — თქვა გრეგოროვიუსმა, — უფრო მონტევიდეოზე ლაპარაკობდა.

— იდიოტი, ერთი სენტავოც კი არ ჰქონია.

— მონტევიდეოზე და კიდევ იმ სანთლის თოჯინაზე.

— აჰ, თოჯინა. და კიდევ ფიქრობდა, რომ...

— იგი დარწმუნებულიც იყო. ადგოლი ამ შემთხვევით დაინტერესდებოდა. ის, რასაც შენ უწოდებ დამთხვევას... ლუსიას არ სჯეროდა, რომ ეს დამთხვევა იყო. და შენც ხომ გულის სიღრმეში ასევე გჯერა. ლუსიამ მითხრა, როცა ის მწვანე თოჯინა ნახა, მაშინვე იატაკზე მოისროლა და ფეხით გასრისაო.

— მძულს სისულელეები, — გაექცა თემას ოლივეირა.

— მთელი ქინძისთავები მკერდში ჰქონდა ჩარჭობილი და მართო ერთი გენიტალიაში... მაშინ უკვე იცოდი, რომ პოლა ავად იყო, ფეხით როცა გასრისე მწვანე თოჯინა?

— ჰო.

— ადგოლი უბოძოდ დაინტერესდება. გაგიგონია სურათის მოწამვლის სისტემის შესახებ? შხამს შეუტრევენ ხოლმე საღებავებში და მერე ელოდებიან მთვარის სასურველ ფაზას, რომ დახატონ პორტრეტი. ადგოლი აპირებდა რომ ეს მამისთვის გაეკეთებინა, მაგრამ რაღაც შემხვედრ გავლენას წააწყდა... და მოხუცი მაინც მოკვდა სამი წლის მერე რაღაც დიფტერიის მსგავსი ავადმყოფობით.

ის მარტო იყო ციხე-დარბაზში — იმ დროს ჩვენ ციხე-დარბაზი გვექონდა, — და როცა დაეწყო ასფიქსია, თურმე თვითონვე სცადა სარკის წინ ტრაქტოტომია გაეკეთებინა და ყელში ბატის ფრთა, თუ რაღაც ასეთი შეირჭო. იგი კიბესთან ნახეს, მაგრამ არ ვიცი, რატომ გიყვები ამას.

— იმიტომ, რომ იცი, სულ არ მაინტერესებს.

— ჰო, შეიძლება ასეცაა, — თქვა გრეგოროვიუსმა. — მოდი ყავა მოვადულოთ. ღამე უკვე იგრძნობა, თუმცა ჯერ არ ჩანს.

ოლივეირამ გაზეთი აიღო. სანამ ოსიპი ყავის მადულარას ღუმელზე დადგამდა, გადაიკითხა ცნობები, ერთი იუწყებოდა, ქერა, დაახლოებით ორმოცდაორი წლის ქალი... რა სისულელეა იმაზე ფიქრი, რომ... თუმცა, ცხადია. „les travaux du grand barrage d’Assouan ont commence. Avant cinq ans, la vallée moyenne du Nil sera transformée en un immense lac. Des édifices prodigieux, qui comptent parmi les plus admirables de la planète”[143] (-107)

30

— ჩვენ შორის გაუგებრობა ჩვეულებრივი ამბავია. მაგრამ ყავა ასეთ შემთხვევაში პირდაპირ მისწრებაა. კანია სულ დალიე?

— მოგეხსენება, ღამის თევის დროს...

— ცხადია, ჩვილის გვამი.

— რონალდი ნამდვილი მხეცივით სვამდა. მართალი გითხრა, მეტისმეტად იყო დამწუხრებული, ვერავინ ხვდებოდა, ასე მაინც რატომ დარდობდა. ბებსი ეჭვიანობდა კიდევ, ლუსია კი გაკვირვებული უყურებდა. მესაათემ, მეექვსე სართულზე რომ

ცხოვრობს, მთელი ბოთლი არაყი მოიტანა და ყველამ გული იჭერა.

— ხალხი ბევრი იყო?

— მაცალე, გეტყვი, მთელი ჩვენი კლუბი ხომ ვიყავით, მარტო შენ არ ყოფილხარ ("არა, მე არ ვყოფილვარ"), მეექვსე სართულიდან — მესაათე, მეკარე თავისი ქალიშვილით, ვიღაც ქალი, ეტყობა მეძავი, ფოსტალიონი, დეპეშა რომ მოიტანა, ცოტა ხანს დარჩა და პოლიციელები, დასაზვერად იყვნენ მოსული — ბავშვის მკვლელობასთან ხომ არ გვაქვს საქმეო. აი ასე.

— უცნაურია, რომ გაკვეთაზე ხმა არავის ამოუღია.

— როგორ არა, თქვეს, მაგრამ ბებმა ისეთი ამბავი ატეხა, ლუსიამ კი... მერე ვიღაც ქალი მოვიდა, გასინჯა, დაათვალიერა... კიბეებზე ხალხი არ ეტეოდა და ქუჩაში გავიდნენ. საშინლად ციოდა. ერთი სიტყვით, თავისი საქმე გააკეთეს და თავი დაგვანებეს. ისიც ვერ გავიგე, როგორ აღმოჩნდა ჩემს საფულეში გარდაცვალების ცნობა, თუ გინდა ნახე.

— არა, განაგრძე, მოყევი. ყურადღებით გისმენ, თუმცა არ მეტყობა. განაგრძე, ჩე. გული ამიჩუყდა. შეიძლება, ვერ მამჩნევ, მაგრამ დამიჯერე. გისმენ, განაგრძე. მთელი ის სცენა ცხადად წარმოვიდგინე, ახლა არ თქვა კიბეებზე რომ ჩამოჰქონდათ, რონალდმა ხელი არ შეაშველაო...

— როგორ არა, მას, პერიკოს და მესაათეს მიჰქონდათ. მე ლუსიას მივყვებოდი.

— მერე...

— ბებსი და ეტიენი მსვლელობის ბოლოში მოდიოდნენ.

— უკან...

— მესამე და მეოთხე სართულს შორის საშინელი კაკუნის ხმა გაისმა; რონალდმა თქვა, ისევ ის მოხუცია, ამით უნდა ჩვენზე

შური იძიოსო. დედაჩემი რომ ჩამოვა, ვთხოვ იმ მოხუცს დაუკავ-
შირდეს.

— დედაშენი? ადგოლი?

— დედაჩემი, რა თქმა უნდა, ჰერცეგოვინელი. ეს სახლიც მო-
ეწონება, მერე როგორი მგრძნობიარეა, აქ კი იმდენი რამ მოხ-
და ისეთი...

მე მარტო ის მწვანე თოჯინა არ მიგულისხმია.

— მოდი, ახლა გამაგებინე მაინც როგორი მგრძნობიარეა
დედაშენი და როგორია ეს სახლი. ბარემ ვთქვათ ყველაფერი,
ჩე, და გული მოვიოხოთ. სათქმელი საკმაოდ გვაქვს.

(-57)

31

გრეგოროვიუსმა კარგა ხანია ხელი აიღო ურთიერთგაგების
ილუზიაზე, თუმცა მაინც ერჩივნა, ურთიერთგაგების პირობებ-
შიც პატიოსნად და საღი აზრით ემოქმედა. რაც უნდა არევ-და-
რეოდა ბანქო ტარო, მაინც გაშლიდა სადაც მოხვდებოდა, მაგი-
დის კუთხეში, საწოლზე თუ საბანზე. როგორმე უნდა ამოეცნო ამ
პამპების ბანგის მოყვარულის შფოთვისა და ხეტიალის აზრი.
ამაზე უარესს ვერაფერს მოიგონებდა იმ წუთებში, მერე უფრო
გაუჭირდებოდა თავისივე გაბმული ობობას ქსელიდან თავის
დაღწევა. ოლივეირაც თითქოს დაჰყვა მის ჩანაფიქრსო, თან მა-
ტეს წრუპავდა და თან იხსენებდა თავისი წარსულის ზოგიერთ
ეპიზოდს. კითხვებზეც კი პასუხობდა, თვითონაც ეკითხებოდა
ირონიულად, ვითომ დასაფლავების ამბები, ხალხის განწყობა
და ქცევა აინტერესებდა. რამდენჯერმე მაგაც ახსენა, თუმცა ეტ-
ყოლობდა, რომ იმედი არ ჰქონდა, რომ სიმართლეს მოისმენდა.
მონტევიდო, ლუკა, პარიზის რომელიმე ნაწილი. გრეგოროვი-

უსმა იფიქრა, ოლივეირამ რომ გაიგოს ლუსიას ადგილსამყოფელი, ახლავე კისრისტეხით გავარდებო.

ეტყობა, დაოსტატებულია დაღუპული საქმეების ძიებაში. ჯერ აცდის, რომ დაკარგოს, მერე კი გიჟივით დაუწყებს ძებნას.

— ადგოლი დიდად ისიამოვნებს პარიზში, — თქვა ოლივეირამ და ბალახი გამოცვალა, — თუ ის ჯოჯოხეთს ეძებს, საკმარისია აჩვენო რაიმე აქაური, რაიმე უბრალო. რა თქმა უნდა, ჯოჯოხეთიც გაიფადა; დღევანდელი nekias[144] — მეტროში 7-ის ნახევარზე მოგზაურობაა, ან პოლიციაში carte de séjour[145]—ის გასაგრძელებლად წასვლა.

— შენ კი მთავარი შესასვლელები და საბეიმო შეხვედრები უფრო მოგწონს, არა? საუბრები აიაქსთან, ჟაკ კლემანთან, კაიეტელთან, ტროპმანთან.

— ჰო, მაგრამ ახლა ჩვენი მთავარი შესასვლელი უნიტაზის ხვრელია. ამას კი თვითონ ტრეველერიც ვერ გაიგებს, მას კი რაღაც გაეგება ასეთ რამეებში. ტრეველერი ჩემი მეგობარია, შენ მას არ იცნობ.

— შენ, — უთხრა გრეგოროვიუსმა და იატაკს უყურებდა, — ბრმად თამაშობ.

— მაინც როგორ?

— არ ვიცი, მაგრამ ვგრძნობ. რაც მე შენ გიცნობ, სულ რაღაცას ეძებ, მაგრამ ისეთი შთაბეჭდილება იქმნება, რომ ის, რასაც ეძებ, ჯიბეში გიდევს.

— ამას მისტიკოსებიც ამბობდნენ, მაგრამ ჯიბე არ უხსენებიათ.

— და ამასობაში ბევრ ადამიანს ცხოვრებასაც კი უნგრევ.

— მათივე თანხმობით, ძმაო, მათივე თანხმობით. მათ სულ პატარა ბიძგი სჭირდებათ, საკმარისია ერთი ჩემი ჩავლა და უკ-

ვე მზად არიან. არანაირი ავი განზრახვა არასოდეს არ მქონია.

— მაგრამ მაინც რას ეძებ, ორასიო?

— ქვეყანაში ცხოვრების უფლებას.

— აქ?

— ეს მეტათორაა. და რაკი პარიზიც მეტათორაა (ეს შენ თვითონაც გითქვამს, გამიგონია), ვფიქრობ, ჩემი სურვილიც ბუნებრივია.

— მაგრამ ლუსია რაღა შუაშია, ან პოლა?

— არაერთგვაროვანი სიდიდეებია, — თქვა ოლივეირამ, — რაკი ისინი ორივენი ქალები არიან, შენ გგონია, შეიძლება ერთი საბოლოო მივუდგეთ? განა ისინი არ ეძებენ სიამოვნებას? შენ კიდევ, ასეთი პურიტანი რომ გახდი, განა ბიჭის ავადმყოფობის საბაბით არ შემოძვერი აქ, მენინგიტი, თუ არ ვიცი, რა აღმოაჩინდა ბავშვს. კიდევ კარგი, არც მე და არც შენ დიდი სიფაქიბით არ გამოვირჩევით, თორემ აქედან ერთ-ერთ ჩვენგანს მიცვალებულს გაასვენებდნენ, მეორეს კი ხელბორკილებით გაიყვანდნენ. პირდაპირ შოლოხოვის სიუჟეტია, დამიჯერე. თუმცა, არც ერთ ჩვენგანს საკუთარი თავი არ შეგვზიზღებია ამ მყუდრო ოთახში.

— შენ, — თქვა გრეგოროვიუსმა და ისევ იატაკს ჩააშტერდა, — თამაშობ ბრმად.

— კარგად გამაგებინე, ძმაო, რისი თქმა გინდა, ქენი სიკეთე.

— შენ, — დაიჟინა გრეგოროვიუსმა, — რაღაც იმპერიული აზრებით ხარ შეპყრობილი. აგიკვიატებია მოქალაქეობის უფლება. ქალაქზე ბატონობა? შენი განაწყენების მიზეზი შენი განუკურნებელი პათივმოყვარეობაა, ეტყობა აქ რომ მოდიოდი, ელოდებოდი, დოფინის მოედანზე, საკუთარი ქანდაკება დაგხვდებოდა. შენი ტექნიკისა ვერაფერი გამიგია. პათივმოყვარეობა? რატომაც არა?

მართლაც საკმაოდ განსაკუთრებული ხარ ზოგიერთ ასპექტში.

მაგრამ თუ რამ აქამდე გაგიკეთებია, რაც მე ვიცი, სრულიად საპირისპიროა იმისა, რასაც შენ ადგილზე სხვა პატივმოყვარე გააკეთებდა.

მაგალითად, ეტიენი, თუ არაფერს ვიტყვით პერიკოზე.

— აა, — თქვა ოლივეირამ, — გეტყობა თვალი კარგად გიჭრის.

— სწორედ რომ პირიქით, — გაიმეორა ოსიპმა, — თუმცა პატივმოყვარეობაზე ხელი მაინც არ ამიღია. ამის ახსნა კი მართლა არ შემიძლია.

— ოჰ, ეს ახსნა-განმარტებები, ხომ იცი... ყველაფერი ისეა არეულ-დარეული, ძმაო. შენც წარმოიდგინე, რომ ეგ შენი პატივმოყვარეობა ნაყოფს გამოიღებს, თუკი მასზე ხელს აიღებ. ეს ფორმულა მაინც მოგწონს? ამის თქმა კი არ მინდოდა, მაგრამ ის, რაც მინდოდა მეთქვა, მართლა ძნელი სათქმელია. ამიტომაც ვედები ღობე-ყორეს და ძალღივით ვწრიალებ, საკუთარ კუდს რომ უნდა მისწვდეს.

შენთვის ესეც საკმარისია და ისიც, ქალაქის უფლებებზე რაც გითხარი, შე დაწყევლილო მონტენეგროელი.

— ბევრი ვერაფერი გავიგე. მაშასადამე, შენ... იმედია, ხელს არაფერზე აიღებ და რაიმე ამის მსგავს გზას დაადგები.

— არა, არა.

— მაშინ სეკულარული უარყოფა, ასე ვთქვათ?

— არც ასეა, მე არაფერზე უარს არ ვამბობ. უბრალოდ ყველაფერს ვაკეთებ იმისთვის, რომ ყველამ და ყველაფერმა უარი თქვას ჩემზე. განა არ იცი, როცა შესასვლელს თხრიან, მიწას ცოტა მოშორებით ყრიან?

— მაშასადამე, უფლება ქალაქზე...

— ზუსტად ასეა, მიზანში მოარტყი. გაიხსენე სიტყვები: „Nous ne sommes pas au monde”[146]. ახლა კი, გაამახვილე ყურადღება, ფრთხილად.

— გამოდის რომ პატივმოყვარეობა სუფთა ფურცელია და ყველაფერი თავიდან უნდა დავიწყოთ?

— ცოტა-ცოტა თითქმის არაფრიდან, ერთი წვეთიდან, სულ უმნიშვნელოდან, ოჰ, შე დაუნდობელო ტრანსილვანელო, შეჭირვებული ქალების მტაცებელო, სამი ნეკრომანი დედის ნაშიერო.

— შენც და სხვებიც... — ჩაიბუტბუტა გრეგოროვიუსმა და ჩიბუხს ძებნა დაუწყო. — რა უხამსობაა, ღმერთო ჩემო. მარადისობის ქურდები, ჰაერის შთანთქმელები, ღმერთის მოდარაჯე ძაღლები, ნეფელიბატები. კიდევ კარგი, ერთი განათლებული ადამიანი მაინც მოიძებნა, რომ თქვენ თქვენი ადგილი მოგიჩინოთ, ასტრალურო ღორებო.

— შენ მე ასეთი დახასიათებით დიდად დამდე პატივი, — თქვა ოლივეირამ. — ეს იმის დასტურია, რომ საკმაოდ კარგად მოდიხარ გონს.

— მე კი მირჩევნია ჟანგბადითა და წყალბადით ვისუნთქო იმ დღით, რასაც გვიბრძანებს უფალი. ჩემი ალქიმიის გაცილებით ნაკლებადაა დახვეწილი, ვიდრე თქვენი; ერთადერთი, რაც მე მაინტერესებს, ფილოსოფიური ქვაა. ერთი პატარა სიმაგრე შენი სანგრების, უნიტაზებისა და ონტოლოგიური გამოკვლევების წინააღმდეგ. — კარგა ხანია არ გვქონია ასეთი სასიამოვნო მეტაფიზიკური საუბარი, არა? ეს მეგობრებს შორის საუბარი კი არა, უფრო სნობების ქიშპია. რონალდს, მაგალითად, ეს შიშს ჰგვრის. ეტიენიც მზის სპექტრის საზღვრებს არ სცილდება. შენთან კი კარგად მიდის.

— მართლა შეგვეძლო დავმეგობრებულებიყავით, — თქვა გრეგორიუსმა, — რაიმე ადამიანური რომ გქონოდა. ასე მგონია, ლუსიასაც არაერთხელ უთქვამს ეს შენთვის.

— ზუსტად ასე იყო, ყოველ ხუთ წუთში. ადამიანური — მაინც როგორ თამაშობს ამ სიტყვით ხალხი. მაშინ რატომ არ დარჩა მაგა შენთან, თუ ასე ასხივებ ადამიანურობას?

— იმიტომ, რომ არ ვუყვარვარ, ყველაფერი შეიძლება მოხდეს ადამიანებს შორის.

— ახლა იგი ისევ მონტევიდეოში ბრუნდება და ისევ იმ ცხოვრებაში ჩაეფლობა...

— ეგებ სულაც ლუკაში გაემგზავრა. სადაც უნდა წავიდეს, ყველგან უკეთესად იგრძნობს თავს, ვიდრე შენთან. ასევე პოლაც, მეც და სხვა დანარჩენებიც, მაპატიე ასეთი გულახდილობა.

— რატომ, ძალიან კარგია, ოსიპ ოსიპოვიჩი, რატომ უნდა ვიცროთ ერთმანეთთან? ვერ იცხოვრებ მარიონეტის მამოძრავებელის გვერდით, ვერც მეძავეების მწვრთნელის გვერდით. ვერც იმ კაცს გაუძლებ, მთელი დღე ნავთის ლაქებს რომ აკვირდება სენის წყალზე. ჩემი ციხე-დარბაზები და კლიტე-გასაღები ჰაერისაა და ჰაერშივე ვწერ ბოლით. ნუ მიპასუხებ, ვხვდები, რისი თქმა გინდა; არაფერია იმაზე მომაკვდინებელი, ვიდრე რაც ყოველი მხრიდან მოჟონავს, ჩვენ კი უნებურად ჩავისუნთქავთ სიტყვებთან, სიყვარულსა და მეგობრობასთან ერთად. ის დროც არ არის შორს, როცა მარტო დამტოვებენ, სულ მარტო, მარტოდ-მარტო. ის მაინც აღიარე, რომ მე არავის ვეკიდები კისერზე. აბა, დამცხე ბოსნიელო.

სულ მოკლე ხანში, ქუჩაში რომ შემხვდები ველარც მიცნობ.

— გიჟი ხარ ორასიო, ავადმყოფურად გიჟი, იმიტომ რომ ეს შენ თვითონვე მოგწონს.

ოლივეირამ ჯიბიდან გაზეთის ნაგლეჯი ამოიღო, ვინ იცის რამდენ ხანს ატარებდა. ეს იყო მორიგე აფთიაქების ჩამონათვალი, ორშაბათის დილის რვა საათიდან სამშაბათის დილის რვა საათამდე რომ ემსახურებოდა მოსახლეობას.

– პირველი სვეტი, – ჩაიკითხა მან, – რეკონკისტა – 446 (31– 5488), კორდოვა – 366 (32–8845), ესმერალდა – 599 (31–1700), სარმიენტო 581 (32–2021).

– ეს რაღაა?

– რეალობის ინსტანციები. აგისხნი: რეკონკისტა ის საქმეა, რაც ჩვენ ინგლისელებს დავმართეთ. კორდოვა – განსწავლულობა. ესმერალდა – ბოშა ქალი, რომელიც ჩამოახრჩვეს, რადგან იგი არქიდიაკონს შეუყვარდა. სარმიენტო – ერთი დაბერვა და ქარმა წაიღო.

მეორე სვეტი: რეკონკისტა – ლიბანური რესტორნებისა და ყავახანების ქუჩა. კორდოვა – გასაგიჟებელი ნიგვზის ნამცხვარი. ესმერალდა – მდინარე კოლუმბიაში. სარმიენტო – ის, რაც სკოლაში არ გვაკლია. მესამე სვეტი: რეკონკისტა – აფთიაქი. ესმერალდა – სხვა აფთიაქი; სარმიენტო კიდევ ერთი აფთიაქი. მეოთხე სვეტი...

– და როცა ვიმეორებ გიჟი ხარ-მეთქი, იმიტომ ვიმეორებ, რომ ვერ ვხედავ, როგორ აპირებ შენს ყბადაღებულ უარყოფასთან მისვლას.

– ფლორიდა – 620 (31 2200).

– შენ იმიტომ არ მოხვედი დასაფლავებაზე, რომ მართალია, ბევრ რამეს უარყოფ, მაგრამ მეგობრებს თვალს მაინც ვერ უსწორებ.

– იპოლიტო ირიგოიენი – 749 (34–0936).

– და ლუსიაც ჯობია მდინარის ფსკერზე იწვეს, ვიდრე შენს საწოლში.

– ბოლივარი – 800, ტელეფონის ნომერი თითქმის წაშლილია. თუ კვარტალში ვინმეს ავად გაუხდა ბავშვი, ტერამიცინს ვერ იშოვიან. – ჰო, მდინარის ფსკერზე.

– კორიენტესი – 1117 (35–1419).

– ან ლუკაში ან მონტევიდეოში.

– ან რივადავიაზე – 1301 (38–7841).

– შეინახე ეგ სია პოლასთვის, – თქვა გრეგოროვიუსმა და წამოდგა, – მე მივდივარ, შენ რაც გინდა, ის ქენი. შენ საკუთარ სახლში არ ხარ, მაგრამ რაკი რეალური არაფერი არ არის, და რაკი უნდა დაიწყო ex nihil[147] და ასე შემდეგ... როგორც გინდა, ისე მოუარე მთელ ამ ილუზიებს. მე კი ჩავალ ქვემოთ და ერთ ბოთლ არაყს ვიყიდი.

ოლივეირა პირდაპირ კარებთან დაეწია და მხარზე ხელი დაადო.

– ლავალიე, 2099, – უთხრა მან და ღიმილით შეხედა თვალებში.

– კანგალიო, 1501. პუეირედონი, 53.

– ტელეფონები აკლია, – უთხრა გრეგოროვიუსმა.

– თანდათან უკეთესად გესმის, – უთხრა ოლივეირამ და ხელი მოაშორა. – გულის სიღრმეში ხომ გესმის, რომ მე არაფერი მაქვს სათქმელი. არც შენთვის და არც არავისთვის.

მეორე სართულზე ფეხის ხმა შეწყდა. „ახლა დაბრუნდება, – გაიფიქრა ოლივეირამ, – ეშინია რომ საწოლს არ წაფუკიდო ცეცხლი, ან საბანი არ დავჭრა. საბრალო ოსიპი“. მაგრამ ერთი წუთის მერე ვიღაცამ გზა განაგრძო, კიბეებზე დაეშვა.

იგი საწოლზე ჩამოჯდა და მაგიდის უჯრაში დარჩენილი ქაღალდების თვალიერება დაიწყო. პერეს გალდოსის რომანი.

აფთიაქის ანგარიში. პირდაპირ აფთიაქების ღამეა. ქაღალდები, ფანქრით ნაჯღაბნი. მაგას ყველაფერი წაეღო, დარჩა მხოლოდ წარსულის სუნი, შპალერი კედლებზე, საწოლი და ზოლიანი ლეიბი. გალდოსის რომანი, ეს მაინც რამ აფიქრებინა, როცა არ იყო ვიკი ბაუმი, იყო როჟე მარტინ დიუ გარი და მერე აუხსნელი ნახტომი ტრისტან ლ ერმიტისკენ, მერე მთელი საათები ნებისმიერი საბაბით მეორდებოდა „les rêves de l'eau qui songe“ [148], ან შვიტერსის მოთხრობები, გამოსყიდვა, მონანიება, დახვეწილი და იღუმალი გზით, მერე კი უცაბედი ნახტომი ჯონ დონ პასოსისკენ, მთელი ხუთი დღე ამ ნაბეჭდი ფურცლების თავაუღებელი კითხვა.

ფანქრით ნაჩხაპნი ფურცლები აღმოჩნდა თავისებური წერილი.

(-32)

32

ბავშვო როკამადურ, ბავშვო, ჩემო ბავშვო, როკამადურ!

როკამადურ, ახლა უკვე ვიცი, რომ ეს როგორც სარკეში, ისეა.

შენ გძინავს, ან უყურებ შენს ფეხებს. მე კი თითქოს მიჭირავს სარკე და მგონია, რომ ეს შენ ხარ. მაგრამ მაინც არ მჯერა, შენ იმიტომ გწერ, რომ კითხვა არ იცი, რომ გცოდნოდა, არ მოგწერდი, ან თუ მოგწერდი, რაიმე მნიშვნელოვანს მოგწერდი. ალბათ დაგარიგებდი კარგად მოიქეცი-მეთქი ან საბანი არ გადაიხადო-მეთქი. დაუჯერებელი მგონია, რომ ერთ დღესაც, როკამადურ... ახლა მარტო სარკეში გწერ, თანაც წამდაუწუმ თითს ვიმშრალე, ცრემლები მისველებს.

რატომ როკამადურ? მე არა ვარ მოწყენილი, დედაშენი უბრალოდ დაუდევარია, ბორში ედგა ცეცხლზე და სულ გადმოუვიდა, ორასიოსთვის უნდოდა დაეხვედრებინა, შენ იცი, ვინ არის ორასიო, როკამადურ, ის სენიორია, შენ რომ კვირას ხავერდის კურდღელი მოგიტანა და მერე ძალიან მოიწყინა, რადგან მე და შენ დიდხანს ვლაპარაკობდით და მას პარიზში დაბრუნება უნდოდა; ამ დროს შენ ტირილი დაიწყე და იმან გაჩვენა, როგორ აბარტყუნებს ყურებს კურდღელი, იმ წუთში ისეთი ლამაზი იყო, ჰო, ორასიო ლამაზი იყო, ერთ დღეს შენც გაიგებ, როკამადურ.

როკამადურ, სისულელეა იმაზე ტირილი, რომ ბორში გადმომივიდა; მთელი ოთახი ჭარხლით გაივსო, როგორ გაერთობოდი, რომ გენახა როგორ ეყარა იატაკზე ჭარხლის ნაჭრები და არაქანი ხომ სულ დაიღვარა, არაფერია, ორასიოს მოსვლამდე ყველაფერს დავაწკრიალებ, მაგრამ ჯერ შენ მოგწერ, ტირილი ისეთი სისულელეა, ქვაბები ცივდება, ფანჯრის რაფაზეა ჩამწკრივებული, წმინდანთა შარავანდედით ჩანს შუშაში, აღარც იმ გოგონას ხმა ისმის ზედა სართულიდან, მთელი დღე რომ მღერის ხოლმე, „Les amants du Havre”[149]. როცა მარტო დავრჩებით, მეც გიმღერებ, აი ნახავ. „Puisque la terre est ronde, mon amour t’en fais pas, mon amour t’en fais pas...”[150] ორასიოც ღამღამობით უსტვენს ხოლმე, როცა წერს, ან ხატავს. შენც მოგეწონებოდა, როკამადურ.

შენც მოგეწონებოდა, ორასიო ბრამდება ხოლმე, რად — გან მე მომწონს პერიკოსავით ლაპარაკი, ურუგვაიში ხომ სხვანაირად ლაპარაკობენ. პერიკო ის სენიორია, შენ რომ არაფერი მოგიტანა ამას წინათ, სამაგიეროდ კი სულ ბავშვებზე ლაპარაკობდა, მათ კვებაზე. მან ბევრი რამე იცის, ერთ დღეს შენც პატივს სცემ მას, როკამადურ. ჰო, სულელი იქნები, თუ პატივს სცემ, თუ პატივს სცემ, როკამადურ.

როკამადურ, მაღამ ირენი უკმაყოფილოა, რომ ასეთი ლამაზი ხარ, ასეთი მხიარული, ასეთი მტირალა და მყვირალა და ასეთი ქვეშაფსია. ის კი ამბობს, რომ ყველაფერი ძალიან კარგადაა, რომ შენ მომხიბლავი ბავშვი ხარ, მაგრამ როცა ამას ამბობს, ხელებს წინსაფრის ჯიბეებში ჩაიწყობს ხოლმე, ისე, ბო-

როტ ცხოველებს რომ სჩვევიათ, როკამადურ. მე კი მეშინია. როცა ეს ორასიოსაც ვუთხარი, ბევრი იცინა, თუმცა ის მაინც ვერ გაიგო, მე რას ვგრძნობ და რომ არ არსებობენ ისეთი ცხოველები, რომლებიც ხელებს მალავენ, მე კი ვგრძნობ, არ ვიცი რას ვგრძნობ, არ შემიძლია ამის ახსნა. როკამადურ, მე რომ შემიძლოს შენს თვალეში ამოვიკითხო, რა ხდება შენს თავს ამ თხუთმეტი დღის განმავლობაში, წუთი წუთზე. მე მგონია, რომ სხვა nourrice[151] უნდა მოვძებნო, თუმცა ორასიო გაბრაზდება და მეტყვის, მაგრამ შენთვის არ არის საინტერესო, რას მეტყვის. სხვა nourrice, რომელიც ნაკლებს ილაპარაკებდა, არა აქვს მნიშვნელობა, თუ იტყვის, რომ შენ ცუდი ხარ, რომ ღამღამობით ტირი, ან ჭამა არ გიყვარს, არა აქვს მნიშვნელობა, როცა ამას მეუბნება, მე მაშინ ვგრძნობ, რომ ის არ არის ვერაგი და რომ მისი სიტყვები შენ ვერაფერს გავნებს. ეს ყველაფერი ისე უცნაურია, როკამადურ, მაგალითად, მე მომწონს, როცა შენს სახელს წარმოვთქვამ და ვწერ, ასე მგონია ცხვირის წვერზე გეხები, შენ კი იცინი, სამაგიეროდ მაღამ ირენი არასოდეს სახელს არ გეძახის, ის ამბობს ხოლმე l'enfant[152] ხომ ხედავ, le gosse—ს[153] კი არ ამბობს, სულ იმეორებს l'enfant, ასე გეგონება, საგანგებოდ რეზინის ხელთათმანები უნდა ჩაიცვას, რომ ილაპარაკოს, ანდა შეიძლება მართლაც რეზინის ხელთათმანები აცვია და ამიტომაც იწყობს ჯიბეებში ხელებს და ამბობს, რა კარგი და ღამაზი ხარ.

არსებობს ერთი რამ, რასაც ეწოდება დრო, როკამადურ, რომელიც რაღაც არსებასავით გარბის და გარბის. არ შემიძლია ამის ახსნა, რადგან ამისთვის შენ ძალიან პატარა ხარ, რადგან ისიც მინდა გითხრა, რომ ორასიო მალე მოვა. დავუტოვო მას ეს წერილი რომ წაიკითხოს და შენც გითხრას რამე? არა, არც მე მინდა, რომ ვინმემ წაიკითხოს, რადგან ეს მხოლოდ ჩემთვისაა, დიდი საიდუმლოა ჩვენ ორისა, როკამადურ. მე უკვე აღარ ვტირი, კმაყოფილი ვარ, თუმცა ძნელი გასაგებია ბევრი რამ, იმდენი დრო მჭირდება, ცოტა მაინც გავიგო ის, რასაც ორასიო და სხვები მაშინვე იგებენ, მაგრამ მათ, ასე კარგად რომ ესმით ყველაფერი, ჩემი და შენი ვერ გაუგიათ, ვერ გაუგიათ, რომ მე არ შემიძლია, ჩემთან წამოგიყვანო, გაჭამო, გამოგიცვალო თეთ-

რეული, დაგაძინო ან გეთამაშო, არც ესმით და არც ენაღვლე-
ბათ, მე კი მენაღვლება და ძალიანაც მენაღვლება, მაგრამ მე
მხოლოდ ის ვიცი, რომ არ შემიძლია ჩემთან მყავდე, ეს ორასი-
ოსთვის ცუდია. მე მარტო უნდა ვიყო ორასიოსთან, ვიცხოვრო
ორასიოსთან და ვინ იცის, კიდევ რამდენ ხანს უნდა დავეხმარო
მას, რათა ეძებოს ის, რასაც ეძებს და ის, რასაც შენ დაუწყებ
ძებნას, როკამადურ, იმიტომ, რომ შენც დაკაცდები და შენც და-
იწყებ ძებნას, როგორც ერთი დიდი სულელი.

ასეა, როკამადურ: პარიზში ისე ვართ, როგორც სოკოები,
ჩვენ ვიზრდებით კიბეებზე, ბნელ ოთახებში, სადაც დგას საჭ-
მლის სუნი, სადაც ადამიანები მთელ დროს სიყვარულში ატარე-
ბენ, მერე შეწვავენ ერბო-კვერცხს და უსმენენ ვივალდის, აბო-
ლებენ სიგარეტებს და ლაპარაკობენ როგორც ორასიო და გრე-
გოროვიუსი, და ვონგი და მეც, როკამადურ, და როგორც პერი-
კო და რონალდი და ბებსი, ჩვენ ყველას ჩვენი სურვილის მეტი
არაფერი გვახსოვს, მარტო ერბო-კვერცხს ვწვავთ და სიგარეტს
ვაბოლებთ, აჰ, შენ არ იცი, რამდენს ვეწევით, ჩვენ ვნებდებით
სიყვარულს, როგორც მოგვიხდება, ტირილითაც და სიმღერი-
თაც, გარეთ კი რა არ ხდება, ფანჯარაში ხან ბელურა შემოფრინ-
დება, ხან წვიმა ეშხეფება, აქ ძალიან ხშირად წვიმს, როკამა-
დურ, უფრო ხშირად, ვიდრე მინდვრად და ყველაფერი იჟანგება,
წყალსადენები, მტრედის ფეხები, მავთულები, რითიც ორასიო
ქანდაკებებს აკეთებს ხოლმე. ჩვენ თითქმის არ გვაქვს ტანსაც-
მელი, სულ მცირედითაც იოლად გავდივართ, ერთი თბილი
პალტო, წყვილი ფეხსაცმელი, რომელშიც წყალი არ შეგვივა და
მორჩა, ჩვენ კი ჭუჭყიანები დავდივართ, პარიზში ყველა ჭუჭყი-
ანია და ლამაზი. როკამადურ, საწოლებს ღამისა და მძიმე სიზ-
მრების სუნი დაჰკრავს, ქვეშ კი ბუმბული და წიგნებია, ორასიოს
რომ ჩაეძინება ხოლმე, წიგნი ხელიდან უვარდება და საწოლის
ქვეშ კარგა ხანს გდია, მერე იწყება საშინელი ჩხუბი, რადგან
ორასიოს ჰგონია ოსიპი იპარავსო, სანამ ერთ დღესაც არ მი-
ვაგნებთ და მერე ამაზე ვიციანით, არაფრისთვის არა გვაქვს ად-
გილი, ფეხსაცმელებისთვისაც კი, როკამადურ, თასი რომ დავ-
დოთ სადმე, ფირფიტების საკრავი უნდა გადავდგათ, ან სად გა-
დავდგამთ, როცა მაგიდაზე წიგნების გორა დგას. მე არც შემიძ-

ლია შენი აქ მოყვანა, თუმცა კი ძალიან პაწაწინა ხარ, ვერსად მოგინახავდი ადგილს, სულ კედლებს დაეჯახებოდი. როცა ამაზე ვფიქრობ, მაშინვე ტირილს ვიწყებ, ორასიოს ეს ვერ გაუგია, ის ფიქრობს, რომ მე ცუდი ვარ, რადგან შენ ჩემთან არ მომყავხარ, თუმცა ვიცი, ვერც ის გაგიძლებდა დიდხანს და ვერც ვერავინ, შენც გაგიჭირდებოდა და მეც, მთელი ცხოვრება აქ ბრძოლაში გადის, ასეთია კანონი, სხვა გზა არ არსებობს, ძალზე მტკივნეული, როკამადურ, საზიზღარი და მწარე, შენ არ მოგეწონებოდა, რადგან ზოგჯერ მანდ, მინდორში ბატკანსაც დაინახავ, ფლიუგერებზე შემომსხდარი ჩიტების ჭიკჭიკსაც გაიგონებ. ორასიოს მე სენტიმენტალურ და პრაქტიკულ ადამიანად მივაჩნევარ, და კიდევ ვინ იცის, რას არ მიწოდებს, იმიტომ, რომ შენ ჩემთან არ ჩამომყავხარ, ან იმიტომ, რომ მინდა ჩამოგიყვანო, იმიტომ რომ მინდა შენ სანახავად წამოსვლა, იმიტომ, რომ უეცრად გადავიფიქრებ და არ შემიძლია წამოსვლა, იმიტომ, რომ შემიძლია მთელი საათი ვიარო წვიმაში, თუ რომელიმე ჩემთვის უცნობ კინოთეატრში გადის „პოტიომკინი“ და უნდა ვნახო ქვეყანაც რომ დაიქცეს, როკამადურ, იმიტომ, რომ არაფერს არა აქვს აზრი, თუკი იმის ძალა არ შეგჩვენებს, რომ აირჩიო რაიმე ნამდვილი, თუ ყველაფერი შენში ლაგდება წესისა და რიგის მიხედვით, როგორც კომოდის უჯრაში და შენ ერთ მხარეს მოგათავსებენ, კვირას – მეორეში, დედის სიყვარულს – მესამეში, ახალ სათამაშოს – აქეთ, იქით – მონპარნასის სადგურს, მატარებელს, გამგზავრებას, მონახულებას, რომელიც გადაუდებელია. მე არ მინდა წამოვიდე, როკამადურ, შენც იცი, რომ ასე ჯობია და არ დანაღვლიანდები. ორასიო მართალია, ხანდახან მართლა არ მცალია შენთვის და ვფიქრობ, ერთ დღესაც ამისთვის მადლობასაც მეტყვი, როცა გაიგებ, როცა დაინახავ, რომ მე ისეთი უნდა ვყოფილიყავი, როგორიც ვარ. მაგრამ მე მაინც ვტირი, როკამადურ, და ამ წერილს გწერ იმიტომ რომ არ ვიცი, იმიტომ რომ შეიძლება კიდევ ვცდები, იმიტომ რომ შეიძლება ცუდი ვარ ან ავად ვარ, ან ცოტა სულელი ვარ, ძალიან არა, სულ ცოტა, მაგრამ ეს მაინც საშინელებაა, მართო ერთ გაფიქრებაზეც კი მუცლის გვრემა და ფეხის თითების კრუნჩხვა მეწყება, ლამის ფეხსაცმელი შემოვიგლიჯო, ისე მიყვარხარ, როკამადურ, ჩემო ბავშვო, როკამადურ, ჩემო ნივრის კბილო, ისე მიყ-

ვარხარ ჩემო შაქრის ცხვირო, ჩემო პატარა ხე, ჩემო სათამაშო კვიცო...

(-132)

33

„მან განზრახ დამტოვა აქ მარტო, — გაიფიქრა ოლივეირამ, ხან გააღებდა და ხან დახურავდა ტუმბოს უჯრას. — გულისხმიერებაა ეს თუ რაღაც ოინი, რას გაიგებ. შეიძლება სულაც კიბებზე ზის სადისტივით დაყურადებული, ან კარამაზოვისეულ დიდ კრიზისს ელოდება, ან სელინისეულ შეტევას. ან იმ თავის ჰერცეგოვინისეულ მარმაშებს ქსოვს, ანდა ბებერის კაფეში ალუბლის ლიქიორის მეორე ჭიქის შემდეგ ფიქრებში ტაროს ბანქოს შლის და ადგოლის ჩამოსვლისთვის ცერემონიის გეგმებს აწყობს. წამება იმედისთვის:

მონტევიდო, სენა, ან ლუკა. ვარიანტები: მარნა, პერუჯა.

მაშინ შენ, მართლაც...”

მან გალუაზის ნამწვს მოუკიდა და კიდევ ერთხელ დაათვალიერა უჯრა, ამოიღო ერთი რომანი და უაზროდ დაფიქრდა სიბრალულზე, ამ თეზისზე, თუ სადისერტაციო თემაზე. სიბრალული საკუთარი თავისა: ეს უკეთესი იყო. „არასდროს დაგპირებივარ ბედნიერებას, — გაიფიქრა მან, თან დაუფიქრებლად ფურცლავდა რომანს. — ეს არც მობოდიშებაა და არც თავის მართლება. *Nous ne sommes pas au monde. Done, ergo, dunque...*[154] მაშ რატომ უნდა ვგრძნობდე სიბრალულს? იმიტომ რომ ვიპოვე მისი წერილი თავისი შვილისადმი, თუმცა სინამდვილეში ჩემთვის იყო განკუთვნილი?

მე ვარ როკამადურისადმი მიწერილი წერილების სრული კრებულის ავტორი. არანაირი სიბრალულის საბაბი არა მაქვს.

იქიდან, სადაც ახლა იმყოფება, თავისი კოშკით აბრიალებული თმით მწვავს და ნაწილ-ნაწილ მგლევს მარტო თავისი არყოფნით.

ცარიელი სიტყვებია. მშვენივრად გადაიტანს უჩემობასაც და როკამადურის გარეშეც გაძლებს. ცისფერი ქინქლა, ძვირფასი, დაფარფატებს მზეზე, უცბად მიაწყდება შუშას და ცხვირიდან სისხლი, უჰ, რა ტრაგედიაა. ორი წუთის მერე კი ისეთი კმაყოფილია, იყიდის რაღაც სურათებს საწერი ქალღმერთების მაღაზიაში, ჩააწყობს კონვერტებში და გაუგზავნის ვიღაც ამხანაგს, ჩრდილოური სახელი რომ ჰქვია, ერთ-ერთ იმათგანს, წარმოუდგენელ ქვეყნებში რომ არიან მიმოფანტული. როგორ უნდა გეცოდებოდეს კატა ან ლომი? ცოცხალი მანქანები, უცბად რომ გაივლებენ და ჩაქრებიან. ჩემი ერთადერთი დანაშაული ისაა, რომ არ მქონდა საკმარისი საწვავი, რომ თავის გემოზე გაეთბო ხელები და ფეხები. მან მე ამირჩია როგორც ცეცხლმოდებული მაყვლის ბუჩქი, მე კი სამაგიეროდ — სამარცხვინო ვარ! — მთელი დოქი წყალი გადავასხი თავზე. საბრალო.”

(-67)

34

80 წლის სექტემბერში, მამაჩემის გარდაცვალებიდან ორიოდე

ეს რომანი, ახლა რომ კითხულობ, უხეიროდ დაწერილი ხომ არის

თვის შემდეგ, გადავწყვიტე ჩამოვცილებოდი საქმეს, გადამეცა სხვა

და არის, მაგრამ კიდევ უფრო უარესადაა გამოცემული, — და შენც

საწარმოსთვის, რომელიც ისეთივე წარმატებული იყო ხერესის წარ-

აბა, ჰკითხე საკუთარ თავს, როგორ შეიძლება ასეთმა წიგნმა გამიტა-

მოებაში, როგორც ჩვენი; დავფარე მთელი კრედიტები, იჯარით გა-

ცოსო. ერთი დაფიქრდი, რამდენი საათი უნდა შეალიო ამ "Elle"-ზე და

ვეცი მთელი ჩემი უძრავი ქონება — მაღაზიები, საწყობები თავის მა-

"France Soir"—ზე უგემურ და მოსაბეზრებელ საკითხავს, რითაც ბებ-

რაგებით — და საცხოვრებლად გავემგზავრე მადრიდს. ბიძაჩემს

სი გვიმასპინძლდება ხოლმე. და საცხოვრებლად გავემგზავრე მად-

(მამაჩემის ღვიძლ ძმას) დონ რაფაელ ბუენო და გუსმან იატაიდეს

რიდს, — წარმომიდგენია, ისე სულმოუთქმელად გადასანსლავ ხუთ-

უნდოდა მის სახლში დავბინავებულიყავი, მაგრამ მე არ დავთან-

ექვს გვერდს, თავადაც ვერ შეამჩნევ, ისე შეგიყოლიებს, თავს ველარ

მხდი, ვიფიქრე, თავისუფლებას დავკარგავ-მეთქი. ბოლოს მშვიდლო-

დაანებებ, სწორედ ისე, როგორც ძილს ვერ წაართმევს კაცი თავს, ან

ბიანად მოვაგვარე ეს საქმეც, თავისუფლებაც შევინარჩუნე და ჩემი

ვერ შეწყვეტს შარდვას, ისევე, როგორც ვერ გადაეჩვევა მორჩილუ-

ნათესავების სტუმართმოყვარეობაც დავაფასე. ვიქირავე ბი-
ნა მისი

ბას, მათრახსა და დორბლს. ბოლოს მშვიდობიანად მოვაგ-
ვარე ეს

სახლის ახლოს და ისე მოვაწყვე ყველაფერი, რომ მარტო
ყოფნაც

საქმეც, — წარღვნამდელი არქიდამპალი აზრების გადმოსა-
ცემად შექ-

შემეძლო როცა კი მომესურვებოდა და მის თბილ, ოჯახურ
გარემო-

მნილი ენა, მონეტებივით ხელიდან ხელში რომ გადადის,
ერთი გენე-

შიც ნებივრობა, თუკი ამის სურვილი ან აუცილებლობა იქნე-
ბოდა.

რაციიდან მეორე დეგენერაციას რომ გადაეცემა, მაგრად კი

ჩემი კეთილი ნათესავი, ანუ ჩვენ ორივე, ვცხოვრობდით იმ
კვარ-

გავუბერე... თბილ ოჯახურ გარემოშიც ნებივრობა, — რა
მშვენიერია,

ტალში და ზუსტად იმ ადგილზე, სადაც ადრე იყო, Posito, ბი-
ძაჩემის

დასწყევლოს ეშმაკმა, თუ, ეს მშვენიერია. ეჰ, მაგა, როგორ
შეგეძლო

საცხოვრებელი ბინა, რომელშიც თვრამეტ ათას რეალს იხ-
დიდა (იყო

ამ გაცივებული ნახარშით საზრდოობა, ან ეს Posito რაღა ეშ-
მაკებია,

— Principal — მთელი მეორე სართული), საკმაოდ ნათელი
და ლამაზი

ჩე. ან რამდენი საათი მოანდომე ამ საზიზღრობის კითხვას,
ალბათ

კი მეჩვენებოდა, მაგრამ მისი ოჯახისთვის მაინცდამაინც
ხალვათი

დარწმუნებული იყავი, რომ სწორედ ესაა ცხოვრება და თუ
შენ მარ-

არ უნდა ყოფილიყო; მე ქვედა სართულზე დავბინავდი, ფარ-
თობი

თალი ხარ და ნამდვილად ესაა ცხოვრება, მაშინ ყველაფერი
დიდი

შედარებით ნაკლები იყო, მაგრამ ერთი სულისთვის მაინც
დიდი;

ხნის წინ უნდა დაგვემთავრებინა. (El Principal, ეს რაღაა).
ზოგჯერ,

მოვაწყვე მდიდრულად, ლამაზად, რასაც მიჩვეული ვიყავი.
ჩემი ქო-

როცა უკვე ლუვრის ეგვიპტური სექციის ვიტრინებს ჩამოვუვ-
ლიდი,

ნებრივი მდგომარეობაც არ მზღუდავდა, მადლობა ღმერთს.
ერთი

უკვე შინ ვბრუნდებოდი, მართო მატესა და ტკბილ პურს რომ
ვნატ-

სიტყვით, გულნაკლული არ დავრჩენილვარ.

რობდი, შენ ფანჯარასთან იჯექი, ხელში გეჭირა კარგა სქელი
რომანი

გონსალეს ბრავოს დროიდან მადრიდში აღარ ვყოფილვარ
და ჩე-

და არ შემედავო, ზოგჯერ აცრემლებულიც დამხვედრიხარ,
ჰო, ასეც

მი პირველი შთაბეჭდილება მართლაც რომ სასიამოვნო გა-
ოცება

ყოფილა, რადგან თურმე იმ წიგნში ვიღაცას თავი მოჰკვე-
თეს; მერე

იყო. გამაკვირვა ულამაზესი, ახალი, ვრცელი კვარტალების
ნახვამ,

მაგრად მომეხვეოდი და მკითხავდი, სად ვიყავი და რას ვაკე-
თებდი, მე

კომუნიკაციის სწრაფმა საშუალებებმა. არა მხოლოდ შენო-
ბები, ქუ-

არ გეუბნებოდი, რადგან ლუვრში შენთან ერთად ვერაფერს
ვნახავ-

ჩები და ფასადები, ადამიანებიც კი გალამაზებული მეჩვენებოდა;

დი, შენი გაუნათლებლობა, ჩემო საბრალო, მთელ სიამოვნებას ჩამამ-

ძველი, მტვრიანი პატარა მოედნების ადგილზე საუცხოო ბაღები გა-

წარებდა. სინამდვილეში ჩემი ბრალი იყო, ჩემი ეგოიზმის ბრალი იყო,

ეშენებინათ; თვალშისაცემი იყო იშვიათი გემოვნებით ნაშენი მდიდ-

რომ იმ რომანებს კითხულობდი (მტვრიანი პატარა მოედნები), კარგი,

რული სახლები, აურაცხელი სავაჭრო დაწესებულებები საქონლის

ასე იყოს, მახსენდება პროვინციული პატარა ქალაქების მოედნები,

სიუხვით პარიზისა და ლონდონისას არაფრით ჩამორჩებოდა. და

ქუჩები რიოხაში — 42 წელს, ბინდბუნდში ლურჯი მთები, ბედნიერების

ბოლოს, გაჩნდა აურაცხელი მშვენიერი თეატრი, საზოგადოების ნე-

განცდა, რომ მარტო ხარ ამ სამყაროს კიდებზე, მშვენიერი თეატრი.

ბისმიერი ფენის, გემოვნებისა და შესაძლებლობის ადამიანების-

რაზე ლაპარაკობს ეს ტიპი? რაში დასჭირდა პარიზისა და ლონდონის

თვის. ყველაფერმა ამან და კიდევ სხვა მრავალმა, რაც მერე, მოგვი-

ხსენება? რაღაც გემოვნებასა თუ იღბალზე ამბობს რაღაცას, ხომ ხე-

ანებით ვნახე, აშკარად დამანახვა ის მკვეთრი წინსვლა, რომელსაც

დავ, მაგა, ხომ ხედავ, მერე ის ირონიულ მზერას მოავლებს იმას, რა-

ჩვენმა დედაქალაქმა მიაღწია ნმ წლიდან მოყოლებული. მიუხედა-

საც შენ ასე განიცდი, გგონია, რომ ვითომ უფრო კულტურული გახ-

ვად იმისა, რომ ეს უფრო ახირებულ ნახტომს წააგავდა, ვიდრე

დი, რაკი ამ ესპანელ მწერალს კითხულობ, ყდაზე ხომ მისი ფოტოსუ-

მტკიცედ გადადგმულ ნაბიჯს, როცა იცი, სად მიდიხარ, ამის გამო

რათიცაა; ისიც რაღაცას ლაპარაკობს ევროპული კულტურის შესა-

ნაკლებად რეალური არ ჩანდა. ერთი სიტყვით, ნათლად იგრძნობო-

ხებ; შენ კი გჯერა, რომ ამდენი კითხვა დაგეხმარება, რომ გაიგო რა

და ევროპული კულტურის სუნი, კეთილდღეობისა და წარმო-
იდგი-

არის მიკრო და მაკროკოსმოსი; თითქმის ყოველთვის, როცა
კი ოთახ-

ნეთ, სიმდიდრისაც, თუმცა ამავე დროს შრომისა და დიდი
გარჯის

ში შემოვიდოდი, უჯრიდან რაიმე წიგნს ამოიღებდი, — შენ
ხომ შენი

სუნიც ტრიალებდა.

სამუშაო მაგიდაც გქონდა, ჰო მაგიდა კი გქონდა, მაგრამ ის
ვერ გაი-

ბიძაჩემი გახლდათ მადრიდში კარგად ცნობილი სავაჭრო
აგენ-

გე, რაზე მუშაობდი, მაინც რას აკეთებდი, — ამოიღებდი
ტრისტან

ტი. ერთ დროს სახელმწიფო პოსტებიც ეკავა, პირველი კონ-
სულიც

ლ'ერმიტის ლექსების კრებულს, მაგალითად, ან ბორის დე
შლიოცე-

იყო, საელჩოს მრჩეველიც; დაოჯახების მერე სასახლის კარ-
ზე მოი-

რის რაიმე ნაშრომს და მაჩვენებდი თან გაუბედავად და ამა-
ვე დროს

კიდა ფეხი; ერთი პირობა ფინანსთა სამინისტროში მსახუ-
რობდა,

ისე ამაყად, თითქოს რაღაც ძვირფასი იპოვე და ახლავე უნდა შეუდ-

ბრავო მურილიოს მხარდაჭერითა და მფარველობითაც სარგებ-

გე კითხვას. ვერასგზით ვერ გაგაგებინებდი, რომ ასე ვერასოდეს ვე-

ლობდა, სანამ ბოლოს ოჯახურმა მოვალეობებმა არ შეაცვლევიანა

რაფერს მიაღწევდი, ერთი იმიტომ რომ ძალიან გვიან იყო და მეორე -

ცხოვრების წესი, არადა თავგადასავლებით, იმედებით და ათასგვა-

ჯერ მეტად ადრე; და რომ შენი ადგილი ყოველთვის იქნებოდა სასო-

რი ახირებებით მდიდარი ცხოვრება უნდა დაეთმო და მყარ ხელფას-

წარკვეთილების ზღვარზე, სიხარულისა და გულწრფელობის შუა-

ზე და სათაკილო თანამდებობაზე გაეცვალა. იგი გახლდათ ზომიე-

გულში, ხოლო შენი სული განწირული იქნებოდა მარადიული მოუს-

რად პატივმოყვარეც, ცოტა ჯიუტიც, ამასთან საკმაოდ ბევრი კავ-

ვენრობისთვის. ისეთი საქმეები ამოიღო, რომლებიც კარგა ხანი

შირებიც ჰქონდა; მან ხელი მოჰკიდა სხვადასხვაგვარ საშუა-
მავლო

უჯრებში ეწყო მივიწყებული — არა, ამის იმედი ჩემგან ნუ
გექნება,

საქმეებს და სულ მოკლე ხანში გვარიან წარმატებასაც მიაღ-
წია,

შენი მაგიდა, შენი მაგიდაა, იქ მე არ დამისვიხარ და ვერც გა-
დაგსვამ.

ისეთი საქმეები ამოიღო, რომლებიც კარგა ხანი უჯრებში ეწ-
ყო მი-

მე უბრალოდ გიყურებ, როგორ კითხულობ მაგ შენ რომა-
ნებს და

ვიწყებული და შეძლებისდაგვარად ეხმარებოდა მათ, ვინც
სწორ

ათვალიერებ ყდებს თუ სურათებს. შენ კი ელოდები, როდის
მოგიჯ-

გზას ასცდენოდა. მას ისიც უწყობდა ხელს, რომ ახლო ურთი-
ერთო-

დები გვერდით, დაგიწყებ ახსნა-განმარტებებს და წაგახალი-
სებ, ერ-

ბა ჰქონდა ამა თუ იმ პარტიის წარმომადგენლებთან და ბო-
გიერთ

თი სიტყვით, იმას ვიზამ, რასაც ყოველი ქალი ელოდება მა-
მაკაცის-

სახელმწიფო დაწესებულებაშიც კარგი სახელით სარგებ-
ლობდა.

გან — ჩუმ-ჩუმად შეუხსნას წელზე სარტყელი, დააწვინოს და ბაჰ!

მისთვის ყველგან ღია იყო კარები; ასე გეგონებოდათ, რომ სამინის-

კარგად მოთელოს, გამოაცოცხლოს და ცოტა ხანს მაინც მოსწყვი-

ტროების კარისკაცები ლამის სიცოცხლის ფასად იყვნენ მის-გან და-

ტოს იმ თავის ჩვევას, რომ ქსოვოს პულოვერები და ილაპარაკოს,

ვალეზულები, ისეთი მამაშვილური სიყვარულით ეგებებოდნენ და

ილაპარაკოს შეუჩერებლივ და არაფერი თქვას. ყური დამიგდე, მე

ესალმებოდნენ, თავისიანად მიაჩნდათ და კარებსაც ფართოდ

რომ თუნდაც ურჩხულიც ვიყო, მაინც ვერაფერს დავიქადნებდი, მე

უღებდნენ. გაგონილი მქონდა, რომ კარგა დიდი თანხა აიღო მაღა-

ხომ შენც კი არ მყავხარ, აკი იმთავითვე გადაწყვეტილი იყო, რომ

როელებისა და რკინიგზის საქმესთან დაკავშირებულ გახმაურებულ

დაგკარგავდი, (არა, ვერ დაგკარგავდი, რადგან ჯერ უნდა მომეპოვე-

პროცესში მონაწილეობისთვის; იყო სხვა საქმეებიც, რომლებშიც

ბინე), მართალი ითქვას, ეს არცთუ მოსაწონი უნდა იყოს იმ კაცის-

თავმდაბლობისა და პატიოსნების გამო არაერთხელ დაზარალებუ-

თვის... არცთუ მოსაწონი, — დიდი ხანია ეს სიტყვა არ მსმენია, მაინც

ლა. როცა მადრიდში ჩავედი, ჩემი თვალით ვნახე, რომ საკმაოდ უბ-

როგორ გაგვიღარიბდა ენა კრეოლებს, პატარა ბიჭი რომ ვიყავი, გა-

რუნველყოფილი ცხოვრება კი ჰქონდა, მაგრამ ხელგაშლილობა ვერ

ცილებით მეტი სიტყვების მარაგი მქონდა, ვიდრე ახლა, ვკითხულობ-

შევატყვე, არც შავი დღისთვის ჰქონდა დანაზოგი, მართალი ითქვას,

დი იმავე რომანებს, მაგრამ უზომო სიტყვიერი მასალა გამაჩნდა,

ეს არცთუ მოსაწონი უნდა იყოს იმ კაცისთვის, რომელიც მთელი სი-

სრულიად უსარგებლო, მაგრამ გულმოდგინე და სხვებისგან გამორ-

ცოცხლე გვარიანად შრომობდა და ცხოვრების დასაღიერს ისე მი-

ჩეული, ასე იყო. ნეტავ თუ მართლა ჩასწვდი იმ რომანის დედააზრს,

აღწია, რომ დრო აღარ დარჩა ის მაინც აენაზღაურებინა, რაც ხელი-

თუ ეს შენთვის იყო საშუალება, რომ მოგეველო მთელი ის იდუმალი

დან გაუშვა.

ქვეყნები, მე კი ტყუილად მშურდა შენი, მაშინ როცა შენ გმშურდა ჩე-

იმ წლებში ახალგაზრდულად გამოიყურებოდა, პეწიანი ყმაწვი-

მი, ლუვრში რომ დავდიოდი, კი ეჭვობდი, მაგრამ არაფერს მეკითხე-

ლივით მუდამ გულმოდგინედ და სხვებისგან გამორჩეულად ეცვა.

ბოდი. და ასე ნელ-ნელა ვუახლოვდებოდით იმას, რაც უნდა მომხდა-

ის მუდამ სუფთად გაპარსული იყო, რაც მისთვის წარსულის თაო-

რიყო, როცა ერთ დღესაც გაიგებდი, რომ მე ვერაფერს მოგცემდი,

ბის ერთგულების მაგალითს წარმოადგენდა, რომელსაც თავადვე

ჩემი დროისა და ცხოვრების მცირე ნაწილის მეტს, მეტისმეტად დაწ-

ეკუთვნოდა. მისი თავაზიანობა და ლაღობა არასოდეს გადავიდოდა

ვრილებით თხრობას, გაგახსენდება ეს და სული დაგიმძიმდება კაცს.

ზღვარს, რომელსაც მოსდევს ხოლმე გაშინაურება და ზოგჯერ

მაგრამ მაინც რა ლამაზი იყავი, ფანჯარასთან რომ იჯექი, ლოყაზე ცის

უტიფრობაც კი. მისი მთავარი ღირსებაც და ნაკლიც იყო საუბრის

ნაცრისფერი ათინათი გეფინა, ხელში წიგნი გეჭირა, ბაგე კი, როგორც

მისეული წარმართვის უნარი; თავადვე იცოდა ამ თავისი ნიჭის ფასი

ყოველთვის ოდნავ გაგპობოდა, თვალებში შეშფოთების ჩრდილი ჩაგ-

და, რაკი უყვარდა მეტისმეტად დაწვრილებით თხრობა, დაუნანებ-

დგომოდა. რამდენი დაკარგული დრო იყო შენს არსებაში, ან რა არაამ-

ლად აძლევდა გასაქანს თავის ფანტაზიას. ზოგჯერ ისე გაიტაცებ-

ქვეყნიური იყავი, თითქოს ჯერ უფორმო, ასე გეგონებოდა, სხვა ვარ-

და ეს თხრობა, რაიმე ამბავს ისეთი ბავშვური გულმოდგინებით

სკვლავითში სულ სხვანაირი გახდებოდა და როცა მე გულში ჩაგიკრაფ-

თხზავდა და ალამაზებდა, რომ ერთი ხვეწნა-მუდარა გვიხდებოდა,

დი და დაგეუფლებოდა, ეს არ იყო მხოლოდ მიზანი, თუ მოვალეობა, ეს

ოღონდ კი ცოტა შეემოკლებინა. როდესაც ყვებოდა ნადირობის რო-

იყო ნაზი, უსაზღვროდ ფაქიზი, ლამის ღვთით ნაკურთხი შერწყმა და

მელიმე ამბავს (ეს საქმე ხომ უსაზღვროდ უყვარდა), დაწყებოდნ იმ

მეც ცდუნება მიპყრობდა, ინტელექტუალის ეშმაკეული სიამაყე, რომ

წუთამდე, როცა ბოლოს და ბოლოს ტყვია გავარდებოდა, იმდენი

საკმაოდ გაწაფული ვიყავი, რათა გამეგო (ტიროდა იგი და ჩამოსდიო-

დრო გავიდოდა, რომ მსმენელს უკვე ავიწყდებოდა, რაზე იყო საუ-

და დორბლი და ცინგლი, მაგრამ რა საზიზღარი ნათქვამია). გაწაფული

ბარი და სროლის ხსენებაზე ფრთხილებოდა. არ ვიცი, საცრემლე ჯირ-

ისე, რომ გამეგო, სასაცილოა და მეტი არაფერი. ამას მარტო შენ გეუბ-

კვლების ადვილად გაღიზიანება მისი ფიზიკური ნაკლი იყო თუ არა,

ნები, მაგა, და გთხოვ, არავის უთხრა. მაგა, მე შენთვის ვიყავი ფორმა,

მაგრამ ზოგჯერ, მით უმეტეს ზამთარში, თვალები სულ ისეთი აც-

შენ თრთოდი, სუფთა და თავისუფალი, ვითარცა კოცონი, ვითარცა

რემლესული და გაწითლებული ჰქონდა, თითქოს დიდხანს ტიროდა

ვერცხლისწყლის მდინარე, ვითარცა ჩიტის მოძახილი, ცისკართან

იგი და ჩამოსდიოდა დორბლი და ცინგლი; ამიტომ იყო რომ ბატისტის

ერთად რომ გაიღვიძებს და რა საამოდ გელამუნება ეს სიტყვები, რაც

ცხვირსახოცების ისეთი მდიდარი ნაკრები ჰქონდა, როგორც არც

ასე გხიბლავს, რადგან გგონია, რომ ისინი მხოლოდ ლექსებში არსებობ-

ერთი მამაკაცის ხელში არ მინახავს. ამის გამო და კიდევ იმიტომაც

ბენ და ჩვენ არ შეგვიძლია ისე უბრალოდ გამოვიყენოთ. ნეტავი სად

რომ თოვლივით ქათქათა ცხვირსახოცი მუდამ ხელში ეჭირა,

იქნები, სად ვიქნებით ახლა ჩვენ ორივენი, ორი წერტილი ამ აუხსნელ,

თითქოს საჩვენებლად აფრიალებსო, ერთმა ჩვენმა ანდა-
ლუსიელმა

ამოუცნობ სამყაროში, ახლოს თუ შორს ერთმანეთისგან,
ორი წერტი-

ხუმარა, გულკეთილმა მეგობარმა, რომლის შესახებაც მოგ-
ვიანებით

ლი, რომელიც ქმნის ხაზს, ორი წერტილი თავისდაუნებურად
რომ უახ-

გიამბობთ, ბიძაჩემს ვერონიკა შეარქვა.

ლოვდება და შორდება ერთმანეთს (ბუნო და გუსმანის დი-
დებულ სა-

ჩემ მიმართ იგი დიდ გულისხმიერებას იჩენდა, მადრიდში
ჩას-

ხელს ამშვენებდნენ, მაგრამ ერთი შეხედე ამ ტიპის ვითომ
ნატიფ გა-

ვლის პირველ დღეებში გვერდიდან არ მშორდებოდა, მეხმა-
რებოდა

მოთქმებს, მაგა, როგორ შეგეძლო, ხუთი გვერდის მერე კი-
დევ გაგემ-

მოწყობასა თუ სხვადასხვა საქმეების მოგვარებაში. როცა
ჩემს

რძელებინა...), მაგრამ მე უკვე ვეღარ აგისხნი, რას ნიშნავს
ბროუნის

ოჯახზე ჩამოვარდებოდა სიტყვა და მეც ჩემი ბავშვობის წლებს ვი-

მოძრაობა, რა თქმა უნდა, არ აგისხნი, მაგრამ მაინც, ასეა თუ ისე, მაგა,

გონებდი, მამაჩემის შესახებ ვუყვებოდი, ჩემს კეთილ ბიძას უცნა-

მე და შენ, ორივე ვქმნით ერთ ფიგურას, ფორმას, შენ ხარ წერტილი

ური ნერვული მოუსვენრობა, თუ მღელვარება შეიპყრობდა ხოლ-

სადღაც ერთ მხარეს, მე — მეორე წერტილი, სადღაც მეორე მხარეს,

მე, და იწყებდა იმ დიდი ადამიანების ჩამოთვლას, რომლებიც ბუქე-

შენ, ალბათ, — იუშეტის ქუჩაზე, მე კი — შენს დაცარიელებულ ოთახში

ნო დე გუსმანის დიდებულ სახელს ამშვენებდნენ, მოიმარჯვებდა

ამ რომანით, ხვალ დილით შენ იქნები ლიონის სადგურზე (თუ შენ, ჩე-

ცხვირსახოცს და იწყებდა მოყოლას, რომელსაც ბოლო არ უჩანდა.

მო სიყვარულო, ლუკაში მიემგზავრები), მე კი — შენ ვერის ქუჩაზე, სა-

იგი მე ჩემი გვარის უკანასკნელ ღირსეულ პერსპექტიულ მაკა-

დაც გადანახული მაქვს საუცხოო ღვინო და ასე ჩვენი გადა-
ადგილე-

ცად მიმიჩნევდა და ბავშვივით მანებივრებდა და მათამამებ-
და ამ

ბით ნელ-ნელა შევექმნით აბსურდულ ფიგურას, როგორსაც
ხატავენ

36 წლის კაცს. საბრალო ბიძა! მისი ესოდენი გულკეთილო-
ბის წუ-

ხოლმე ბუბები, როცა ოთახში აქეთ-იქეთ დაფრინავენ, აქეთ-
იქეთ, ალ-

თებში, ამ ცრემლების მიღმა, როგორც მოგვიანებით გავიგე,
იმა-

მა-დაღმა. და ეს არის კიდევ ბროუნისეული მოძრაობა, ახლა
ხომ გაი-

ლებოდა მისი მწარე ჯავრი, ეკალივით რომ ჩხვლევდა ამ ჩი-
ნებუ-

გე? ასე, ხან ზევით, მერე ქვევით, გამალებული სწრაფვა,
უცაბელი შე-

ლი კაცის გულს. არ ვიცი როგორ გავიგე, მაგრამ დარწმუნე-
ბული

ჩერება, მერე გადახვევა და ასე თანდათან ჩნდება ნახატი,
რალაც ფი-

კი ვიყავი, რომ მის იდუმალ დარდს თუ ჭრილობას, თითქოს
ცხა-

გურა, ისეთივე არარსებული, როგორებიც ვართ ჩვენ, მე და
შენ, ორი

დად ვხედავდი და ვეხებოდი. მისი უნუგეშო და ღრმა სანანე-ბელი

წერტილი, პარიზში დაკარგულები, უგზო-უკვლოდ რომ დაბორიალე-

თურმე ის იყო, რომ მე ვერ ვიქორწინებდი მის რომელიმე ქალიშ-

ბენ და ხატავენ თავიანთ სურათს, თითქოს ცეკვავდნენ არავისთვის,

ვილზე, რადგან სამივე უკვე გათხოვილი იყო და ეს გამხდარიყო

საკუთარი თავისთვისაც კი არა, უბრალოდ დაუსრულებელი ფიგურა,

მისთვის უსაშველო სატანჯველი.

ყოველგვარ აზრს მოკლებული.

(-87)

35

ჰო, ბებს, ჰო. ჰო, ბებს, ჰო. — ჰო, ბებს, კარგი, კარგი, მოდი, შუქი ჩავაქროთ, darling[155], ძილი ნებისა, sleep well[156], დათვალე ბატკნები, ყველაფერი დამთავრდა, გოგონა, მორჩა. ყველა ასე ცუდად რატომ ექცევა საბრალო ბებსს. ჩვენც ავდგეთ და დავსაჯოთ ისინი, გავრიცხოთ კლუბიდან. მაინც რა ცუდად ეპყრობიან საბრალო ბებსს, ეტიენიც ცუდია, პერიკოც, ოლივეი-რა ხომ ყველაზე უარესია, მართლაც რომ ინკვიზიტორია, სა-

მართლიანად უწოდა ჩემმა ძვირფასმა ბებსმა, ჩემმა საყვარელმა ბებსმა. ჰო, ბებს, კარგი.

Rock—a—bye, baby, Tura—lura—lura. ჰო, ასე თუ ისე, მოსახდენი უნდა მომხდარიყო, შეუძლებელია ამ ადამიანებს შორის ისე იცხოვრო, რომ რაიმე არ მოხდეს. ჩუუ, ბებიი, ჩუ. აჰა, კიდევ ჩაეძინა. კლუბის საქმეც დამთავრებულია, ბებს, ნამდვილად ასეა. ველარასოდეს ვნახავთ ორასიოს, იმ გარყვნილ ორასიოს. დღეს კლუბი ისეთია როგორც ცომი ქვაბში, თუ ერთი გაფუცდა და სახურავს მიეკრა, ველარ მოაშორებ; შეგიძლია მოიცილო ტაფა, მაგრამ ველარ დაიბრუნებ, ბებს, ნუ ელოდები. ჩუუ, darling, ნუ ტირი, მაინც რა მთვრალია ეს ქალი, სულიან-ხორციანად ერთიანადაა კონიაკით გაჟღენთილი.

რონალდი ძირს ჩამოცურდა, მოხერხებულად მიეყრდნო ბებსს და ძილს მისცა თავი. კლუბი, ოსიპი, პერიკო, აბა გავიხსენოთ, ყველაფერი ეს იმიტომ დაიწყო, რომ უნდა დამთავრებულიყო, ეჭვიანი ღმერთები, ეს ერბო-კვერცხი და თანაც ოლივეირა, კონკრეტული მიზეზი, ეტიენს რომ ჰკითხოთ, ისევ ის ჯანდაბა ერბოკვერცხი იყო, რა ასეთი აუცილებელი იყო, რომ ნაგვის ყუთში ჩაგვეგდო, იმ ლამაზ, მეტალის მწვანე ვედროში, ბებსიც სწორედ ამ დროს ჰოკუსაივით აბობოქრდა. ერბო-კვერცხს მძორის სუნი ასდიოდა, ბოლოს და ბოლოს, როგორ შეიძლება ასეთ სუნში კლუბის სხდომის მოწვევა, მერე ბებსმაც ტირილი მორთო, კონიაკი ლამის ყურებიდან გადმოსდიოდა, რონალდი მიხვდა, რომ სანამ ისინი უკვდავებაზე მსჯელობდნენ, ბებსმა დრო იხელთა და ნახევარი ბოთლი კონიაკი მარტომ გადაყლაპა, ერბო-კვერცხი კი უბრალოდ საბაბი გახდა, რომ კონიაკიც ამოენთხია, — არავის გაჰკვირვებია და მით უმეტეს, ოლივეირას, როცა ბებსი ერბო-კვერცხიდან დასაფლავების ამბავზე გადავიდა და სლუკუნ-სლუკუნით, მთელი სხეულის ცახცახით ჯერ ყველა ბოლომდე ხომ კარგად გათათხა და მერე მოინდომა ბავშვის ამბავი ძირფესვიანად გაერჩია და თავისი სათქმელი ბოლომდე ეთქვა. ამოდ ცდილობდა ვონგი ღიმილი აეფარებინა სახეზე და ბებსსა და ოდნავ დაბნეულ ოლივეირას შორის ჩამდგარიყო, ტყუილად ირჯებოდა, როცა ესკოფიეს მიერ გამოქვეყნებულ

წიგნს აქებდა – „La rencontre de la langue d’oïl, de la langue d’oc et du franco – provençal entre Loire et Allier – limites phonétiques et morphologiques[157] – დაბეჭითებით იმეორებდა, რომ ეს იყო უაღრესად საინტერესო წიგნი და თან ტკბილად და რბილად უბიძგებდა ბებსს დერეფნისკენ, მაგრამ ოლივეირამ მაინც მოჰკრა ყური ინკვიზიტორი რომ უწოდეს, წარბები მაღლა ასწია და გაკვირვებით გახედა გრეგოროვიუსს, თითქოს ეკითხებოდა და მისგან ელოდებოდა ამ ეპითეტის მნიშვნელობის განმარტებას. მთელ კლუბს კარგად მოეხსენებოდა, რომ ბებსი თუ ერთი აიწყვეტდა, კატაპულტი მასთან სახსენებელიც არ იყო, ასეთი რამ ადრეც მომხდარა, ერთადერთი გამოსავალი ის იქნებოდა, რომ დამდგარიყვნენ მთელი მათი შეკრებებისა და ბუფეტის მოთავის გარშემო და დალოდებოდნენ, სანამ დრო თავისას იზამდა: ვის შეუძლია მთელი სიცოცხლე ტირილში გალიოს, ქვრივებიც ბოლოს თხოვდებიან ხოლმე. მაგრამ მთვრალი ბებსი ლაბადებსა და შარფებში კი გაიხლართა, მაგრამ მაინც არ შეეშუა ვონგს, დრო იხელთა, ისევ ოთახში შეაღწია და ოლივეირასთვის პირდაპირ უთხრა, რა ინკვიზიტორიც იყო, ხოლო შემდეგ ცრემლებით დაუდასტურა, რომ იგი ამ ძაღლურ ცხოვრებაში არ შეხვედრია უარეს არამზადას, ვიდრე ეს ნამუსგარეცხილი, ძაღლის შვილი, სადისტი, გარეწარი, ჯალათი, რასისტი, ნეხვი, დამპალი, უნამუსო, ბინძური, ბილნი, საზიზღარი ნაგავი, საძაგელი სიფილისიანი საზიზღრობა იყო. ამ დახასიათებამ უსაზღვრო კმაყოფილება მოჰგვარა ეტიენსა და პერიკოს, სხვა დანარჩენებში კი საპირისპირო გრძნობა გამოიწვია, მათ შორის მასში, ვისი მისამართითაც იყო ეს სიტყვები ნათქვამი.

ეს იყო ციკლონი სახელად ბებსი, ტორნადო პარიზის მეექვსე რაიონში: დაანგრევე ყველა სახლი. კლუბმა თავი ჩაქინდრა, თავიანთ ლაბადებში გაეხვივნენ და სიგარეტებს დაედგერნენ, როცა ბოლოს და ბოლოს ოლივეირამ ხმის ამოღება მოახერხა, ჩამოვარდა თეატრალური სიჩუმე. ოლივეირამ განაცხადა, რომ ნიკოლ დე სტალის პატარა სურათი მას უმშვენიერესი ეჩვენება და ვონგსაც, იმ თავისი ესკოფიეთი ტვინი რომ გაგვიწყალა, ურჩევნია წიგნი წაიკითხოს და მოყვეს მისი შინაარსი კლუბის ერთ-ერთ სხდომაზე.

ბეხსმა კიდევ ერთხელ უწოდა მას ინკვიზიტორი, ოლივეირამ კი, იმ წუთში, ეტყობა, რაღაც სასაცილო მოუვიდა თავში, გაიღიმა. ბეხსმა ერთი კარგი სილა გააწნა. კლუბმა სასწრაფო ზომები მიიღო, ბეხსი ხმამაღლა აქვითინდა, ვონგი კი მასა და გამძვინვარებულ რონალდს შორის გაძვრა და ფრთხილად მოჰკიდა მკლავში ხელი.

კლუბმა ოლივეირას ირგვლივ წრე შეკრა, ბეხსი გარეთ დარჩა და იძულებული იყო დაჰყოლოდა მათ ნებას, სავარძელში დამჯდარიყო და პერიკოს ცხვირსახოცითაც ესარგებლა. როგორც ჩანს, მაშინ ახსენეს პირველად მონჟის ქუჩა, ხოლო ამის მერე ამბავი მაგასამარიტელისა და რონალდს მოეჩვენა — მის თვალწინ მწვანე, ბუნდოვანი ჩრდილივით ჩაიარა იმლამინდელი შეკრების მთელმა ამბებმა — თითქოს ოლივეირამ ვონგს ჰკითხა, ნამდვილად იცი, რომ მაგა მონჟის ქუჩაზე ავეჯით გაწყობილ ბინაში ცხოვრობსო, ვონგმა უპასუხა არ ვიცისო, ან შეიძლება ასეც იყოსო; ამ დროს ვიღაცა, ალბათ ისევ ბეხსი, თავიდან მოჰყვა ოლივეირას ლანძღვას და პირში მიახალა მაგა-სამარიტელის თავგანწირვის ამბავი, როგორ ათენ-ალამებდა ლოგინად ჩავარდნილი პოლას გვერდით, მგონი ოლივეირამ ამ დროს ხმამაღლა გაიცინა, საგანგებოდ გადახედა გრეგოროვიუსს და უთხრა, თუკი რამე იცი მაგას თავგანწირვის შესახებ, ყველაფერი წვრილად მიაძებე, როგორ უვლის ავადმყოფ პოლას, თუ მართლა ცხოვრობს მონჟის ქუჩაზე, სახლის ნომერიც მითხარი და საერთოდ, რაც იცი, ყველაფერი ზუსტად მომიყევიო.

რონალდმა ხელი გაშალა და ბეხსის მუხლებს შორის შეაცურა, მან რაღაც ჩაიბუტბუტა, რონალდს კი ბეხსის რბილმა და თბილმა სხეულმა ძილი მოჰგვარა. ბეხსმა ერთგვარად დააჩქარა, რომ კლუბი დროზე ადრე დაშლილიყო. ხვალ დილით ბეხსს დატუქსვა არ ასცდებოდა, ასე მოქცევა მაინც არ შეიძლებოდა. მთელი კლუბი ისევ ისე იდგა ოლივეირას გარშემო, ნამდვილი ღირსების სამსჯავრო გეგონებოდათ და ამას ოლივეირა უფრო ადრე მიხვდა, ვიდრე თავად კლუბი და ამ წრეში მოქცეულმა, ისე გადაიხარხარა, არც სიგარეტი გამოუღია პირიდან და არც ხელები ამოუღია ქურთუკის ჯიბიდან; მერე იკითხა (პირადად

არავისთვის მიუმართავს, თავებს ზემოთ გახედა და ისე დაიძახა), კლუბი amende honorable[158] ან რაიმე ამის მაგვარს ხომ არ ელოდებო, მაგრამ კლუბმა ან ვერ გაიგო, ან ვითომ ვერ გაიგო. ისევ ბებსმა გასძახა, რომელსაც რონალდი ძლივს აკავებდა სავარძელში, ინკვიზიტორლო, მაგრამ მისი ხმა სამარისებურ სიჩუმეში ზარივით გაისმა. მერე ოლივეირას უკვე აღარ ეცინებოდა, ასე გეგონებოდათ მათ მსჯავრს დანებდნო (თუმცა კი არავის განუსჯია და არც კლუბი არსებობდა იმისთვის რომ განესაჯა), სიგარეტი იატაკზე დააგდო, ფეხით მოსრისა და ერთი წუთის მერე, როცა მოიშორა ეტიენის ხელი მის მხარს რომ ეპოტინებოდა, ძალიან ხმადაბლა, მაგრამ მტკიცედ განაცხადა, რომ ტოვებდა კლუბს ; და რომ კლუბი, მისით დაწყებული და ყველა დანარჩენით დამთავრებული, თუნდაც ჯანდაბის იქით გადაკარგულაო.

Dont acte[159].

(-121)

36

დოფინის ქუჩა შორს არ იყო, ეგებ ღირდა შეევლო და შეემოწმებინა მართალს ამბობდა თუ არა ბებსი. რასაკვირველია, გრეგოროვიუსმა თავიდანვე იცოდა, რომ მაგა, რომელიც ყოველთვის გიჟი იყო, პოლას სანახავად წავიდოდა. Caritas[160] მაგა-სამარტელი. წაიკითხეთ „ელ კრუსადო“. დღე ისე როგორ უნდა გასულიყო, რომ კეთილი საქმე არ ექნა? სასაცილოა და მეტი არაფერი. ყველაფერი სასაცილოა. იქნებ სწორედ იმას უწოდებენ ისტორიას, რაც ყველაზე უფრო სასაცილოა. მივიდოდა დოფინის ქუჩამდე, ავიდოდა ბოლო სართულზე, ჩუმად დააკაკუნებდა კარებზე, რომ გამოეხედა თავად მაგა—nurse[161], ლუსიას, არა, ეს უკვე მეტისმეტი იქნებოდა მართლაც, საფურთხებლით, ან ოყნით ხელში... ძალიან გვიანაა, ახლა ავადმყოფ-

ფის ნახვა შეუძლებელია, უკვე სძინავს. *Vade retro Asmodeo*[162]. ანდა შემიპატიჟებენ და ყავასაც შემომთავაზებენ, არა, უფრო უარესი, ერთი მათგანი დაიწყებს ტირილს და რაკი ცრემლი გადამდებია, სამივე ერთად ატირდება და იქამდე იტირებენ, სანამ ერთმანეთს არ მიუტევენ, მერე კი შეიძლება ყველაფერი მოხდეს — როცა ქალი წყლისგან დაიცლება, საშინელია. ან არადა დაიწყება წვეთების თვლა, ბელადონის ოცი წვეთი, თითო-თითოდ.

— სინამდვილეში მმართველებს კიდევ, რომ წავიდე, — უთხრა ოლივეირამ დანტონის ქუჩის შავ კატას. — წმინდა ესთეტიკური მოვალეობაა, ფიგურის შესავსებად. სამი, ციფრია. მაგრამ ორფეოსის ამბავი არ უნდა დამავიწყდეს. ეგებ თავგადაპარსული და ნაცარწაყრილიც კი გამოვეცხადო სამოწყალო ჯამით ხელში. მე ის აღარ ვარ, ვისაც იცნობდით, ოჰ, ქალებო. ჯამბაზი, მიმი. *empusas*[163], *lemias*[164], ღამე, ავი წყვდიადი, დიდი თამაშის დასასრული. რა დამღლელია სულ ერთი და იგივე რომ ხარ. შეუწყნარებელი. ველარასოდეს ვნახავ მათ, ჩემი ბედისწერაც ესაა. „*O toi que voilà, qu’as tu fait de ta jeunesse?*”[165] ინკვიზიტორო, ამ გოგომ კარგად იცის, რა თქვას... ყოველ შემთხვევაში, საკუთარი თავის ინკვიზიტორი, *et encore*[166]... სამართლიანი ეპიტაფია: „მეტისმეტად ღმობიერი”, მაგრამ ღმობიერი ინკვიზიცია საშინელებაა, წამებაა, წამება მანანას მარცვლებით, ტაპიოკას კოცონები, ლივლივა სილა, წყლულების ამომწოვი მედუზა, მედუზა წყლულების მწოველი. მართლაც ზედმეტად ღმობიერი ვყოფილვარ, თავი უღმობელი რომ მეგონა.

არ შეიძლება გიყვარდეს ის, რაც მე მიყვარს, თანაც ისე, როგორც მე მიყვარს და ამავე დროს ცხოვრობდე ადამიანებს შორის. მართლაც ცხოვრება უნდა მესწავლა, სიყვარული კი თავისას იზამდა, ან მომკლავდა, ან დამარჩენდა; ოღონდ კი დოფინის ქუჩა არ ყოფილიყო, არც გარდაცვლილი ბავშვი, არც ეს კლუბი და ყველაფერი დანარჩენი. არ გჯერა, ჩე?

კატამ არაფერი უპასუხა.

სენის ნაპირზე ისე არ ციოდა, როგორც ქუჩაში, ოლივეირამ ქურთუკის საყელო აიწია და წყალს ჩააჩერდა. და რაკი იგი არ იყო ის კაცი, თავს დასახრჩობად რომ გაიმეტებდა, ხიდს გახედა, იქ შეეძლო თავი შეეფარებინა, თავისთვის შეიყუჩებოდა ხიდის ქვეშ და კიბუცზე სურვილთა თანხვედრასა და ადამიანთა ერთიანობაზე იფიქრებდა, ერთი ხანია კიბუცზე ფიქრმა მოსვენება დაუკარგა. „მანც რა უცნაურია, მოულოდნელად დაიბადება ფრანზა, თითქოს უაზრო, როგორც სურვილთა თანაზიარობა, მერე ნელ-ნელა დაიწმინდება და მერე, უკვე მესამეჯერ ხვდები, რომ სულაც არ ყოფილა ისეთი აბსურდული, როგორც მაგალითად ფრანზა: „იმედი არის სქელი პალმირა“ – სრული აბსურდი, ხოლო კიბუცს აბსურდისა არაფერი ეტყობა, ეს თითქოს შეჯამებაა, ეგებ საკმაოდ შეზღუდულიც, მაგრამ შეჯამება წრებზე ტრიალისა, აღმა-დაღმა წრიალისა. კიბუცი, კოლონია, settlement[167], ერთი კუთხე ამ მიწაზე, სადაც შეიძლება გაშალო კარავი, გამოხვიდე ღამე, სახე დროით ჩამობანილი მიუშვირო ქარს და შეუერთდე სამყაროს, დიდ სიგიჟეს, უსაზღვრო სისულელეს, გაუხსნა გული დაკრისტალიზებულ სურვილს და შეეგებო.

„ჩუმაღ ორასიო“. უთხრა თავის თავს ოლივეირამ და ხიდის ქვეშ პარაპეტზე ჩამოჯდა, ყური მიუგდო მაწანწალების ხვრინვას, გაზეთები და ძონძები რომ წაეფარებინათ.

პირველად იყო რომ მელანქოლიას მიეცა. ისევ მოუკიდა სიგარეტს, მისი შუქი ათბობდა, ხვრინვის ხმა თითქოს მიწის სიღრმიდან ამოდის, დანანებით აღიარებდა, რომ ის მანძილი, კიბუცისგან რომ აშორებდა, დაუძლეველი იქნებოდა. და თუ იმედი ერთადერთი სქელი პალმირა იყო, ილუზიებსაც უნდა დამშვიდობებოდა. ახლა ისლა დარჩენოდა, ღამის სიგრილით ესარგებლა ამ ვარსკვლავებით მოჭედილი ცის ქვეშ და ნათელი გონებით დაენახა, რომ ალაღბედზე ხეტიალი და ძიება მარცხით დასრულდა, მაგრამ ეგებ სწორედ ეს იყო გამარჯვება. ერთი იმიტომ, რომ მარცხი მისი ღირსი ნამდვილად იყო (ოლივეირა საკმაოდ მაღალი აზრისა გახლდათ საკუთარ თავზე, როგორც ადამიანური მოდგმის წარმომადგენელზე), ამასთან, უი-

მედოდ შორეული კიბუცის დევნა მხოლოდ ზღაპრული აღჭურვილობით იყო შესაძლებელი და არა დასავლური სულით და სულიერებით, მით უმეტეს, რომ ეს ორივე უკვე დახარჯული ჰქონდა სიცრუესა და დაუდევრობაში, როგორც კარგად უთხრეს კიდევ კლუბში, ალიბის ძებნაში გზააბნეული ადამიანი-ცხოველისთვის.

თანაზიარობა სურვილთა და არა სულიერებისა და სულისა. თუმცა კი სურვილებიც საკმაოდ ბუნდოვანი განსაზღვრებაა გაუგებარი ძალებისა, იგი მაინც გრძნობდა, რომ ისინი მას გააჩნდა და გრძნობდა ცოცხლად, ყოველ წინ გადადგმულ ნაბიჯში, ყოველ შეცდომაში, ამას ჰქვია სწორედ ადამიანი და ადამიანი არა მხოლოდ სხეულით, არა მხოლოდ სულით, არამედ ერთიანი და განუყოფელი, არსება, რომელიც ყოველ წუთს გრძნობს, რომ რაღაც აკლია, ხედავს იმას, რაც პოეტს წაართვეს, ნოსტალგიას სხვა მიწებისას, სადაც ცხოვრება ფეთქავს და ილტვის სხვა პოლუსებისა და სხვა სახელებისკენ.

თუნდაც სიკვდილი იყოს ჩასაფრებული სადმე კუთხეში ცოცხმომარჯვებული და იმედიც მარტო სქელი პალმირა იყოს. გაზეთებისა და ძონძების ზვინიდან კი ისმის ხვრინვა და კუება.

მაშასადამე, შეცდომა არც ისე მნიშვნელოვანი ყოფილა, ვიდრე იმ შემთხვევაში, თუ იგი ამ თავისი კიბუცის ძიებას ყველა წესის დაცვით წარმართავდა, გეოგრაფიული საზოგადოების რუკის მიხედვით თუ კარგად შემოწმებული, სანდო კომპასის მოშველიებით, რომლის თანახმად ჩრდილოეთი ჩრდილოეთია და დასავლეთი – დასავლეთი; მარტო იმის გაგება ან მიხვედრა საკმარისი იყო, რომ მისი კიბუცი ამ დროს, ამ სიცივეში, მას შემდეგ, რაც ამ ბოლო დღეებში მოხდა, ისევე მიუღწეველი იყო, როგორც იმ შემთხვევაში, თუ იგი მის ძიებას თავისი თვისტომის ადათ-წესების თანახმად მიჰყვებოდა და არ დაიმსახურებდა ინკვიზიტორის ეპითეტს, ყველაფერი ყირამალა არ დადგებოდა, არ იქნებოდა მის ირგვლივ ამდენი ვაი-ვიში, არ შეაწუხებდა სინდისის ქენჯნა და არ იფიქრებდა, ჯანდაბას ყველაფერი, ისევ მივუბრუნდები ჩემს მოვალეობას, ჩემს როლს სულიერსა თუ მიწიერს, ჩავძვრები საკუთარ ტყავში, მოვსინჯავ საკუთარ ძალებს

და სიცოცხლის ვადას და საზღვარსო. არ შეიძლებოდა ამ ცხოვრებას ისე დამშვიდობებოდა, რომ ვერ მოესწრო კიბუცთან მიახლოება მაინც, მართალია, შორს იყო, მაგრამ მან იცოდა, რომ ის იყო, რამეთუ თავადვე იყო საკუთარი სურვილების პირმშო და სურვილებიც ისეთი ჰქონდა, როგორიც თავად იყო, და მთელი სამყარო და ამ სამყაროზე მისი წარმოდგენაც იყო სურვილი, მისი საკუთარი თუ უბრალოდ სურვილი, თუმცა ამას ამდროს არ ჰქონდა მნიშვნელობა. ახლა შეეძლო სახეზე ხელები აეფარებინა, დაეტოვებინა მხოლოდ ერთი ხვრელი სიგარეტისთვის და ასე მჯდარიყო მდინარის ნაპირზე მაწანწალების გვერდით და ეფიქრა მხოლოდ თავის კიბუცზე, სურვილების თანაზიარობაზე.

მაწანწალა ქალმა გაიღვიძა, თურმე ვიღაც ჩასჩინებდა ძილში „Ça suffit, conasse“ [168], ის კი ახსოვდა, რომ სელესტინი შუალამისას წავიდა და ბავშვის ეტლიც წაიღო, რომელიც სავსე იყო წინა დღეს მარეს კვარტალში მოპოვებული თევზის ცარიელი და დაჭყლეთილი კონსერვების ყუთებით. ტოტოს და ლაფლერს ისევ ეძინათ ძონძებქვეშ თხუნელებივით ჩამძვრალეებს, ახალი კი მერხზე იჯდა და სიგარეტს აბოლებდა. თენდებოდა.

მაწანწალა ქალმა ფრთხილად მოაგროვა „ფრანს სუარის“ ფურცლები, რაზეც იწვა და ზედაც ეფარა და თავი მოიფხანა. ექვს საათზე ჟურის ქუჩაზე ცხელ წვნიანს არიგებდნენ ხოლმე. სელესტინი ხომ უეჭველად მივიდოდა და ეგებ როგორმე დაეცინცლა მისთვის კონსერვები, თუ უკვე პიპონს ან ლა ვასეს არ მიჰყიდა.

— Merde, — წაიბუზღუნა, დიდის გაჭირვებით წამოდგა და ძლივძლივობით გასწორდა წელში. — Y a la bise, c'est cul. [169] იგი გაეხვია თავის გრძელ, შავ პალტოში კოჭებამდე რომ დასთრევდა და ახალთან მივიდა, ისიც დაეთანხმა, ასეა, სიცივე პოლიციანზე უარესიაო. როცა სიგარეტი სთხოვა და გააბოლა კიდევ, გაიფიქრა, მგონი ეს კაცი სადღაც მინახავსო; ახალმაც უთხრა საიდანღაც მახსოვხარო და ორივეს გაუხარდა, ამ დილა უთენია ერთმანეთი რომ იცნეს. მერე ცხელი წვნიანის შესახებაც

ისაუბრეს, თუმცა ახალმა ეტყობა, ამის შესახებ არც არაფერი იცოდა და მაწანწალამ დაწვრილებით აუხსნა სად უფრო უკეთეს წვნიანს არიგებდნენ, აკი ის ახალი იყო და ყველაფერი აინტერესებდა, ვინ იცის, იქნება სელესტინისთვის თევზის კონსერვებიც წაერთმია. ახლა კონსერვებზეც ისაუბრეს და ახალმა აღუთქვა, თუკი სელესტინს შეხვდებოდა, კონსერვებს უთუოდ დასცინცლავდა.

– ის ხომ თავგებულადღებული ვინმეა, – გააფრთხილა მაწანწალამ, – სწრაფად უნდა იმოქმედო, თავშიც კარგად უნდა წაუთაქო და მეტი არაფერი უნდა. ტონიომ ხუთჯერ მაინც წამოართყა და ისე ააყვირა, პორტუაზშიც კი გაიგონებდნენ. *C'est cul, Pontoise*[170], – დასძინა მაწანწალამ და რატომღაც მოიწყინა.

ახალი ცისკარს გაჰყურებდა, ვერ-გალანის თავზე რომ ამოიწვერა, და ტირიფის ტოტების თხელ ქსელს დილის ნისლიდან ნელ-ნელა რომ ამოცურდა. მაწანწალამ ახალს რომ ჰკითხა, ასეთი თბილი ქურთუკი გაცვია და რატომ კანკალებო, მან მხრები აიჩეჩა და ერთი სიგარეთი კიდევ მიაწოდა. და ასე ისხდნენ, აბოლებდნენ და ლაპარაკობდნენ, თან სიმპათიით ათვალისწინებდნენ ერთმანეთს. მაწანწალამ სელესტინის ხასიათი და ჩვევები გაუმხილა, ახალმა კი გაიხსენა, რომ რამდენჯერ უნახავთ იგი სელესტინთან ერთად, როგორ ეხვეოდა ხოლმე სადაც და როგორც მოხვდებოდათ, მერხზე, ყველა პარაპეტზე, ხელოვნების ხიდზე, ლუვრის კუთხეში, ვეფხვივით ბოლებიანი ჭადრისა თუ სენ-ჟერმენ-ლ-ოქსერუას კამარების ქვეშ, ერთხელ ისიც კარგად დაინახეს, ღამე ჟი-ლე-კერის ქუჩაზე როგორ კოცნიდნენ ერთმანეთს და მერე უცებ ჩხუბობდნენ, ორი წყალწაღებული ლოთი, სელესტინს განიერი პერანგი ეცვა, მხატვრებს რომ აცვიათ ისეთი, მას კი – როგორც ყოველთვის, ოთხი თუ ხუთი კაბის ზემოდან ლაბადის თუ პალტოს მსგავსი რაღაც, ვერ გაარჩევდი, ხოლო ხელში წითელი ფუთა ეჭირა, საიდანაც გამოჩრილიყო ძონძები, სახელოები და დამტვრეული კორნეტიც კი; ეტყობა, ისე უყვარდა სელესტინი, ისეთი თავდავიწყებით კოცნიდა, მთელ სახეს პომადით და რაღაც ცხიმისანი საცხით უთხუპნიდა, ველარავის ხედავდნენ, აღარავის ერიდებოდნენ; ერთხელაც ნე-

ვერას ქუჩაზე რომ შეუხვიეს, მაგამ თქვა: „ქალს უყვარს, კაცისთვის კი სულ ერთიაო“. — ცოტა ხანს უყურა, მერე დაიხარა, პატარა მწვანე ფოთოლი აიღო და თითზე დაიხვია.

— ამ დროს არ ცივა ხოლმე, — თქვა მაწანწალამ მის გასამხნეველად, — წავალ და ვნახავ, ლ'ეფლერს ცოტა ღვინო თუ დარჩა ბოთლში.

— როცა ღვინო გაქვს, ღამეც ლამაზი გეჩვენება. სელესტინმა ჩემი ორი ბოთლი და სარდინები წაიღო. აღარაფერი დამიტოვა, თქვენ კარგად გაცვიათ, იქნება ჰაბიბთან ერთი ბოთლი მაინც იყიდოთ, თუ რამე დაგრჩებათ, პურიც მოაყოლეთ. — ახალი აშკარად თვალში მოუვიდა, თუმცა გულში მაინც იცოდა, რომ ახალი სულაც არ იყო, რომ ძალიან კარგად იყო ჩაცმული და შეეძლო ჰაბიბის ფარდულში მისულიყო, მოეთხოვა პერნო, ან კიდევ სხვა რამეც და ხმას ვერავინ ამოიღებდა, უსიამოვნო სუნი ასდისო. ახალი ისევ აბოლებდა სიგარეტს და უხალისოდ უქნევდა თავს. ნაცნობი სახე იყო. სელესტინი უმალ იცნობდა, სახეებს კარგად იმახსოვრებს ხოლმე... — ცხრა საათზე მართლა აცივდება. სიცივე ქვევიდან მოდის ხოლმე, სილიანი სანაპიროდან. უკვე შეგვიძლია ცხელი წვნიანის საჭმელად წავიდეთ, საკმაოდ გემრიელია.

და როცა უკვე ნევერის ქუჩას თითქმის გასცდნენ და იმ ადგილამდე მივიდნენ, სადაც პიერ კიურის მანქანა დაეჯახა (პიერ კიურის?

— გაუკვირდა მაგას და მოსასმენად მოემზადა), მდინარის ნაპირზე შემადლებულ ადგილს აუყვნენ და ბუკინისტის ფარდულთან შეჩერდნენ; ოლივეირას ბუკინისტების ფარდულები სიბნელეში, ქვაფენილზე გამოფენილ შავ კუბოებად ეჩვენებოდა და ერთ ღამესაც, თოვლი რომ მოდიოდა და გართობა მოუხდათ, ყველა ფარდულზე ჯოხით ამოკაწრეს RIP[171]. მაგრამ პოლიციამ ასეთი ხუმრობა არ მოუწონა, კიდევ შეარცხვინა და ურჩია ეფიქრათ, პატივისცემაზე და ტურიზმის ინტერესებზე, თუმცა გაუგებარი იყო, ტურიზმი რა შუაში უნდა ყოფილიყო. იმ დღეებში ყველაფერი ჯერ კიდევ ისე იყო, როგორც მისი სასურველი კიბუ-

ცი, ან, ყოველ შემთხვევაში, ჯერ ისევ შესაძლებელი ჩანდა, კიბუცი და ქუჩებში ხეტიალიც, ბუკინისტების ფარდულზე RIP–ის წერაც და შეყვარებული მაწანწალას ყურებაც, ეს ყველაფერი შედიოდა იმ ბუნდოვან ჩამონათვალში, რაც ზოგადად მიუღებელი იყო და რისი გაკეთება, შემოწმება და უკან დატოვება უნდოდათ. ასე და ამგვარად იყო, ახლა კი ციოდა და აღარ იყო კიბუცი. თავი უნდა მოეტყუებინა და წასულიყო ჰაბიბთან წითელი ღვინის საყიდლად, თავისთვის უნდა შეეთითხნა კუბლა ხანისებური კიბუცი, თვალი დაეხუჭა განსხვავებაზე ოპიუმის ნაყენსა და ბებერი ჰაბიბის წითელ ღვინოს შორის.

In Xanadu did Kubla Khan

A staely pleasure—dome decree.[172]

— უცხოელი, — თქვა მაწანწალამ ახლისადმი უკვე ნაკლები სიმპათიით, — ესპანელი,, ან, ეეჰ... იტალიელი.

— ნარევი, — თქვა ოლივეირამ და მთელი თავისი მამაკაცური ძალა მოიკრიბა, რომ მისი სუნისთვის გაეძლო.

— მაგრამ თქვენ მუშაობთ, ცხადია, — თითქოს უსაყვედურა მაწანწალამ. — ოჰ, არა. რაღაც საბულალტრო საქმეებს ვაკეთებდი ერთ მოხუცთან, მაგრამ კარგა ხანია აღარ მინახავს.

— ეს სირცხვილი არ არის, თუკი სამუშაო არ გიმძიმთ. მეც, ახალგაზრდობაში... — ემანუელ, — უთხრა ოლივეირამ და ხელი დაადო იმ ადგილზეც სადაც მხარი უნდა ჰქონოდა. მაწანწალა თავისი სახელის გაგონებაზე შეკრთა და აღმაცერად გადახედა, მერე პალტოს ჯიბიდან სარკვე ამოიღო და საკუთარი პირი შეათვალიერა. ოლივეირამ ჰკითხა თავის თავს: ნეტავ რა მდგომარეობამ მიიყვანა იგი აქამდე, რომ ასე დაუნდობლად დაეწვა თმა წყალბადის ბეჟანგით.

მაგრამ მაწანწალა ახლა მარტო პომადის ნაგლეჯით ტუჩების შეღებვით იყო გატაცებული. საკმაო დრო ჰქონდა იმისთვის, რომ ერთხელ კიდევ ეწოდებინა თავისი თავისთვის სულელი. ბერტ ტრეპას მერე ამ ქალისთვის როგორ უნდა დაედო ხელი მხარზე.

შედეგი ყოველთვის წინასწარვეა ცნობილი. ეს იგივეა, რომ საკუთარ თავს პანღური ამოჰკრა და ერთი კარგად გაულაწუნო. კრეტინი, ბინძური, ქარაფშუტა, დამპალი, RIP, RIP. *Malgré le tourisme*[173].

— საიდან იცით, რომ ემანუელი მქვია?

— არ მახსოვს, ვიღაცამ მითხრა.

ემანუელმა ჯიბიდან ვარდისფერი პუდრით სავსე თუნუქის კოლოფი ამოიღო და ლოყების შეფიფქვას მოჰყვა. სელესტინი რომ იქ ყოფილიყო, ის მართლაც... სელესტინი, რაღა თქმა უნდა, მან დაღლა არ იცის. სარდინის ათამდე ყუთი, le salaud[174]. ემანუელს უცებ გაახსენდა.

— ააჰ, — თქვა მან.

— ალბათ, — დაუდასტურა ოლივეირამ და როგორც შეეძლო ბოლში გაეხვია.

— თქვენ ბევრჯერ მინახიხართ ერთად, — თქვა ემანუელმა.

— ჩვენ აქაც დავდიოდით ხოლმე.

— ის ხშირად მელაპარაკებოდა, ოღონდ როცა მარტო იყო, ძალიან კარგი გოგონა იყო, მაგრამ ცოტა გიჟი.

„გეთანხმები“, გაიფიქრა ოლივეირამ. იგი უსმენდა ემანუელს, ის კი იგონებდა, როგორ გაუმასპინძლდა ნაყინით, აჩუქა ჯერ კიდევ ძალიან კარგი თეთრი პულოვერი, დიდებული გოგონა, არ მუშაობდა და არც დროს კარგავდა რაღაცა დიპლომებისთვის, ხანდახან ცოტა კიდევ გიჟობდა, ფრანკებს ანიავებდა, მტრედებსაც აჭმევდა ხოლმე სენ-ლუის კუნძულზე, ზოგჯერ ძალიან სევდიანიც იყო, ზოგჯერ კი სიცილით კვდებოდა. მაგრამ ცუდიც ყოფილა.

— კიდევ ვჩხუბობდით, — თქვა ემანუელმა, — იმიტომ რომ მირჩევდა სელესტინი მიატოვეო. მერე აღარც მოსულა, მე კი ძალიან მიყვარდა.

— ასე, ხშირად მოდიოდა ხოლმე თქვენთან სასაუბროდ?

— თქვენ ეს არ მოგწონთ, გეტყობათ.

— არა, არც ასეა, — თქვა ოლივეირამ და მეორე ნაპირისკენ გაიხედა. მაგრამ ასე იყო, რადგან მაგა იშვიათად ახსენებდა, ორიოდე სიტყვას თუ იტყოდა მაწანწალასთან თავისი ურთიერ-

თობის შესახებ და აქედან დასკვნების გამოტანა და ა.შ... წარსულზე ეჭვიანობა, წიკითხვით პრუსტი, ჩუმი ტანჯვა და SO on[175]. ეტყობა, წვიმას აპირებდა, ტირიფის ტოტები ლამის მიწაზე გართხმულიყო ამ ნესტიან ჰაერში. სამაგიეროდ, ისე აღარ ციოდა, ცოტა მაინც გატყდა სიცივე. მგონი რაღაც ასეთი წამოსცდა: „თქვენზე ბევრი არაფერი უთქვამს“, რადგან ემანუელმა უცბად კმაყოფილებით და ეშმაკურად ჩაიციხა, ისევ ისე განაგრძობდა ვარდისფერი პუდრის შეგებლვას ჭუჭყიანი თითით; დროდადრო ხელს ასწევდა და რაღაცა მომწვანო-მოწითალო-ბოლიანი თავსაფრით — ალბათ ესეც სანაგვეზე იპოვა, — შეკრულ გაქუცულ თმაზე გადაისვამდა. ბოლოს და ბოლოს, წასვლის დროც დადგა, ქალაქში დაბრუნების დრო, მერედა რა ახლოს იყო, ექვსიოდე მეტრი უნდა გაეფლო, აღმართს აუყვებოდა და უკვე იქ იქნებოდა, სენის მეორე ნაპირზე, პარაპეტს გადაღმა, იგი უკვე თუნუქის ფარდულებსაც კი გასცდა, ამ RIP-ს, სადაც მტრედები შემომსხდარიყვნენ, ღულუნებდნენ და ელოდებოდნენ მზის პირველ სხივებს, მანანას უფერული ბურღულივით რომ ეშვებოდნენ ციდან ცხრის ნახევარზე, იმის ნიშნად, რომ მალე ისევ წამოვიდოდა წვიმა.

როცა ოლივეირა უკვე გზას დაადგა, ემანუელმა რაღაც მიადახა, იგი გაჩერდა, მოუცადა და ერთად აუყვნენ კიბეს, ჰაბიბთან იყიდეს ორი ბოთლი წითელი ღვინო, გაიარეს ლ ირონდელის ქუჩა და გალერეის თაღებქვეშ გაუჩინარდნენ. ემანუელმა თავისი ორი პალტოს ჯიბეებიდან რამდენიმე გაზეთი ამოიღო და კმაყოფილმა ხალიჩასავით გაშალა ძირს, ოლივეირამ კი ასანთის შუქზე მოათვალიერა იქაურობა. მოპირდაპირე მხარეს ვიღაც ხვრინავდა და ნივრის, ყვავილოვანი კომბოსტოსა და იაფფასიანი თავდავიწყების სუნი მოდიოდა. ოლივეირამ ტუჩზე კი იკბინა, მაგრამ მიწაზე მაინც დაჯდა, ზურგით კედელს მიეყრდნო და გვერდით მიუჯდა ემანუელს, რომელმაც უკვე მოიყუდა ბოთლი და კმაყოფილი ხვნეშოდა.

თუ მეტისმეტად არა გაქვს გაფაქიზებული გრძნობის ორგანოები, თურმე შეიძლება ყველაზე უარესი, ადამიანის სიბინძურის სუნიც კი შეისუნთქო, ერთი წუთი, ორი, სამი და უკვე შვები-

თაც ამოისუნთქა, თითქოს უკვე აითვისაო. ძლივს იკავებდა თავს გული რომ არ არეოდა, მაგრამ მაინც აიღო ბოთლი, კი ვერ ხედავდა, მაგრამ იცოდა, ბოთლის პირი მთლიანად პომადითა და დორბლით იყო მოთხუპნული. ამ სიბნელეში ყნოსვა კიდევ უფრო გაუმძაფრდა; თვალები დახუჭა, თითქოს რაღაცისგან, თავადაც არ იცის რისგან, თავს იცავსო, და თითქმის მეოთხედი ერთბაშად გადაყლაპა. მერე სიგარეტს მოუკიდეს და ერთმანეთს ასე მიყრდნობილები და კმაყოფილები აბოლებდნენ. გულისრევის გრძნობა ცოტა მინელდა, თავი დახარა და შეეძლო ეფიქრა. ემანუელი კი ენას არ აჩერებდა, თან ასლოკინებდა და თან საზვიმო სიტყვებს წარმოსთქვამდა, ლანძღავდა და აგინებდა სელესტინის მოჩვენებას, მერე სარდინების ქილებს თვლიდა, როცა ოლივეირა სიგარეტს მოქაჩავდა, სახე ცოტა გაუნათლებოდა და გამოუჩნდებოდა ტალახით მოთხუპნილი შუბლი, ღვინით შეღებილი, შემუშპებული ტუჩები და თავზე წაკრული დოლბანდი, სირიის ქალღმერთი მტრისაგან შებილწული, მტვერში, სისხლში და ტალახში ამოსვრილი ქრისოფელეფანტური თავი, ოღონდ მწვანე და წითელბოლებიანი დიადემა გადარჩენილიყო, დიდი დედა კი გართხმულია მიწაზე მთვრალი ჯარისკაცებისაგან შეგინებული, რომლებიც ერთობიან იმით, რომ შარდავენ მის გაფატრულ მკერდზე, ხოლო ერთ-ერთი, განსაკუთრებით ოხუნჯი, მუხლებზე დგება მოღრიალე ბრბოს თანდასწრებით, იღებს აზვირთებულ ფალოსს და მასტურბირებს, სპერმას ანთხევს ძვირფასი ქვებისგან უკვე განძარცულ თვალბუდეებში და ოდნავ გაღებულ პირში, რომელიც ისე იღებდა ამ დამცირებას, როგორც უკანასკნელ მადლს, ვიდრე სამუდამო დავიწყებას არ მიეცემოდა.

და რა ბუნებრივად ეჩვენა ოლივეირას, როცა ემანუელი ერთი ხელით მის ხელს ჩაჰფრენოდა, მეორეთი კი ბოთლს ეძებდა, მერე ესმოდა ბუყბუყი, კმაყოფილი ფშვინვა და ბუნებრივად ეჩვენებოდა ისიც, რომ ყველაფერი ერთდროულად იყო წაღმაც და უკუღმაც, ყველაფერს ჰქონდა ურთიერთსაწინააღმდეგო აზრი და ალბათ ეს იყო გადარჩენის ერთადერთი ფორმა. და თუნდაც ოლივეირას ამ სიმთვრალეში არ დაეჯერებინა ამ დიდი სიცრუის ეშმაკი თანამზრახველისთვის, რაღაც თუ ვიღაც ეწურჩულებო-

და, რომ აქვე არის კიბუცი — იმედი თანაზიარობისა, ზურგს უკან დგას, მუდამ ზურგს უკან დგას — იმედი თანაზიარობისა, კიბუცი, არა ლოგიკურად სარწმუნო, ოჰ, არა, ჩემო ძვირფასო, არც, თუ გნებავთ, *in vino veritas*[176], არც ფიხტეს დიალექტიკაზე და არც სპინოზას ტრაქტატზე დაფუძნებული, ეს იყო მხოლოდ ზიზ-ლის გრძნობიდან მომდინარე, თუმცა ჰერაკლიტემაც ხომ ბრძანა ნეხვის გროვაში ჩაეფლათ წყალმანკისაგან განსაკურნავად. ეს მგონი ვიღაცამ უამბო წინა ღამეს, ვიღაცამ იმ სხვა ცხოვრე-ბიდან, პოლამ თუ ვონგმა, ადამიანებმა, არაერთხელ რომ და-უმცირებია, არადა მათთვის სიკეთე სურდა და უნდოდა, ხელახ-ლა გამოეგონებინა სიყვარული, ეს ერთადერთი საშუალება, რომ მიეღწია თანაზიარობამდე, კიბუცამდე.

და იჯდა ასე კისრამდე ნეხვში ჩვენი ჰერაკლიტე ბნელი, ისე-ვე იჯდა, როგორც ჩვენ ყველა, ოღონდ ღვინო არ ჰქონდა; სამა-გიეროდ წყალმანკისგან უნდა განკურნებულიყო. შეიძლება ასეც უნდა, იჯდე ნეხვში კისრამდე და ელოდე; ჰერაკლიტეც ხომ ასე იჯდა მთელი დღეები და ოლივეირას გაახსენდა, რომ სწო-რედ ჰერაკლიტეს უთქვამს, თუ არ ელოდები, ვერც ვერასოდეს შეხვდები მოულოდნელსო, ჰერაკლიტეს ისიც უთქვამს, მოუგ-რიხეთ გედს კისერიო, მაგრამ, არა, ეს, რა თქმა უნდა, ჰერაკ-ლიტეს არ უთქვამს და არც რაიმე ამის მსგავსი. და სანამ კიდევ მეორე ყლოუს გადაუშვებდა და ემანუელი ამ სიბნელეში ხითხი-თებდა მის ბუყბუყზე და თან მკლავზე უსვამდა ხელს იმის ნიშ-ნად, აი, როგორ მსიამოვნებს შენს გვერდით ყოფნაო და შენი დაპირების იმედიც მაქვს სელესტინს სარდინებს წაართმევო, ოლივეირას უეცრად გაახსენდა დასახრჩობად განწირული გე-დის ორი სახელი და საშინელი სიცილის გუნებაზე დადგა, ემა-ნუელისთვისაც უნდოდა გაეზიარებინა, მაგრამ მარტო ცარიელი ბოთლი მიაწოდა, მან კი გულისგამგმირავი ხმით წამოიწყო სიმ-ღერა „*Les amant du Havre*”, სწორედ ის სიმღერა, მაგა რომ ღი-ღინებდა ხოლმე, როცა გულზე სევდა შემოაწვებოდა.

ემანუელი კი ტრაგიკული ხმით გაჰკიოდა, საშინლად ამახინ-ჯებდა და სიტყვებიც სულ ავიწყდებოდა, ალბათ იმიტომ, რომ ოლივეირას ხელებს უცაცუნებდა, ის კი მხოლოდ ერთზე ფიქ-

რობდა — მარტო ის შეხვდება მოულოდნელს, ვინც ელოდებო, იჯდა თვალდახუჭული, ოღონდ არ დაენახა მკრთალი შუქი პორტალებში რომ აღწევდა, თავს წარმოიდგენდა ძალიან შორს (ოკეანის გადაღმა, ან ეგებ ეს პატრიოტიზმის შეტევა იყო?), და ისეთ სუფთა პეიზაჟს, რაც მის კიბუცში არც არსებობდა. ეტყობა, მართლაც საჭირო იყო გედისათვის კისერი მოეგრინათ, თუმცა ეს ჰერაკლიტეს არ უბრძანებია. ეტყობა, გრძნობები მოერია, — *puisque la tere est ronde, mon amour t'en fais pas, mon amour, t'en fais pas*[177], — ღვინისა და ამ მომაბეზრებელი ხმისგან სევდა მოერია, ლამის ტირილი დაეწყო და ბებსივით საკუთარი თავი შესცოდებოდა, საბრალო ორასიო ჩარჩა პარიზში, ალბათ როგორ შეიცვლებოდა ამ ხნის მანძილზე კორიენტეს ქუჩა, სუიპანა, ესმერალდა და ძველი გარეუბანი.

თუმცა მთელი ჯავრი კიდევ ერთ გალუაზზე ამოიყარა, ძალიან შორს, თვალის ფსკერზე მაინც რჩებოდა მისი კიბუცი, მაგრამ არა ოკეანის გადაღმა, არამედ აქვე, გალანდის ქუჩაზე, ან პიუტომზე, ანდა ტომ ისუარის ქუჩაზე, ყველა შემთხვევაში, მისი კიბუცი სადღაც იყო და მირაჟი არ იყო.

— არა ეს არ არის მირაჟი, ემანუელ.

— *Ta gueule, mon pote*[178], — თქვა ემანუელმა და თავის უთვალავ ჯიბეში მეორე ბოთლის ძებნა დაიწყო.

მერე სულ სხვა რამეებზე დაიწყეს ლაპარაკი, ემანუელმა უამბო, როგორ ნახა სელესტინმა დამსრჩვალმა ქალი გრენელის გორაკის შორიანხლო და ოლივეირამ ჰკითხა, რა ფერის თმა ჰქონდაო, მაგრამ სელესტინმა თურმე მარტო ფეხებს მოჰკრა თვალი, ისიც წყალში, და მაშინვე გაეცალა იქაურობას, სანამ პოლიცია თავისი წყეული ჩვეულების თანახმად, სათითაოდ ყველას დაუწყებდა დაკითხვას. და როდესაც მეორე ბოთლიც გამოცალეს და გუნებაზეც მოვიდნენ, ემანუელმა წაიკითხა ნაწყვეტი „*La mort du loup*”—იდან[179], ოლივეირა კი „მარტინ ფეროდან” სექსტინების კითხვამ გაიტაცა.

მოედანზე უკვე სატვირთო მანქანებიც გამოჩნდა, გაისმა ხმაური, რაც ერთხელ დელიუსმა... მაგრამ არ ღირდა ემანუელთან დელიუსზე ლაპარაკი, თუმცა მგრძობიარე ქალი კი ჩანდა, მაგრამ მარტო პოეზია მაინც ვერ დააკმაყოფილებდა, გრძობებს უფრო ხელებით გამოხატავდა, ვითომ გასათბობად ეხუტებოდა ოლივიერას და მკლავზე უცაცუნებდა ხელს, თან ოპერიდან რაღაც პასაჟებს კნაოდა და თან სელესტინს ლანძღავდა. ოლივიერამ ისე მოუჭირა კბილები სიგარეტს, ლამის დაღეჭა, უსმენდა და წინააღმდეგობასაც აღარ უწევდა, უფრო და უფრო რომ ეხუტებოდა, და გულში იმეორებდა, მასზე უკეთესი არც მე ვარ და უარეს შემთხვევაში შეიძლება ჰერაკლიტესავით მეც განვიკურნო და რომ ეგებ „ბნელის“ ყველაზე ღრმააზროვანი გზავნილი, სწორედ ეს იყო, დაუწერელი, ჩვენამდე ანეკდოტით რომ მოაღწია, მისი მოწაფეები კი ერთმანეთს უყვებოდნენ, ეგებ ოდესმე ვინმეს მახვილ ყურსაც მისწვდესო. და მას სასაცილოდ ეჩვენებოდა, რომ ემანუელი ვითომ მეგობრულად ან როგორც *matter of fact*[180], ღილებსაც კი უხსნიდა და ამავე დროს ფიქრობდა, ვინ იცის, იქნებ „ბნელი“ სულაც არ იყო ავად, ისე ჩაეფლო ნეხვში, არანაირი წყალმანკი არ აწუხებდა, უნდოდა ერთგვარი ფორმულა გამოეყვანა, რასაც მას ამქვეყანაზე არავინ აპატიებდა, თუკი სენტენციის ან მოძღვრების სახე ექნებოდა, და ამ ფორმულამ კონტრაბანდით გადალახა დროის საზღვრები, შეერწყა მის თეორიას და ჩვენამდეც მოაღწია — ერთი შეხედვით საზიზღარი დეტალი მისი ალმასივით ბრწყინვალე *panta rei*—ს[181] გვერდით, ველური თერაპია, რომელსაც ჰიპოკრატე დაგმობდა ელემენტარული ჰიგიენის თვალსაზრისით, ისევე როგორც დაგმობდა იმასაც, რომ ემანუელი უფრო და უფრო მიიწევდა თავისი მთვრალი მეგობრისკენ და უხეში, თითქოს ტანი-ნით დაფარული ენით გულმოდგინედ ულოკავდა მის გასაგები მიზეზებით უსიცოცხლო პენისს, რომელიც ხელით ეჭირა და თან კრუტუნებდა მაწანწალა კატასავით თუ ძუძუთა ბავშვივით. სრულიად გულგრილი მის თავს ზემოთ მიმდინარე მედიტაციებისადმი ბეჯითად ასრულებდა სამუშაოს, რომელსაც მისთვის არაფერი მოჰქონდა, მას რაღაც ფარული სიბრაღული ამოძრავებდა და ერთადერთი სურვილი ჰქონდა, რომ ეს „ახალი“ კმაყოფილი დარჩენილიყო თავისი მაწანწალობის პირველი ღა-

მით, ან იქნებ ცოტა მაინც შეეყვარებოდა და ამგვარად სელესტინსაც სამაგიეროს გადაუხდიდა, თუ ცო — ტა მაინც შეუყვარდებოდა, ისიც დაავიწყდებოდა, რის თქმასაც აპირებდა იმ თავის ველურ სამხრეთამერიკულ ენაზე, როცა მოხერხებულად მოეწყო კედელთან, ერთი კი ამოიხვნეშა და ნებას მიუშვა, რაც უნდოდა ის ექნა, ხოლო თვითონ ემანუელს თმაში ხელი შეუცურა და ერთი წამით წარმოიდგინა (ეს კი მართლა ჯოჯოხეთი იყო), რომ ეს ვითომ პოლას თმა იყო, რომ პოლა ისევ დააცხრებოდა, ერთმანეთში აურ-დაურევდა მექსიკურ პონჩოს, კლეეს სურათების რეპროდუქციებს და დიურელის კვარტეტს, ეალერსებოდა და ეფერებოდა, სანამ თავისას მიიღებდა და მერე აცახცახებული მის გვერდით მიწოლილი მოითხოვდა სიყვარულსა და სიბრალულს, პირი სირიის ქალღმერთივით თუ ემანუელივით ჰქონდა მოთხუპნული, და იმავე წუთში ემანუელიც, პოლიციელს რომ თმაში ჩაევლო ხელი, უცბად წამოჯდა და თქვა: „On faisait rien, quoi”[182], მაშინვე თვითონაც გაახილა თვალები და დილის ნისლში, რომელსაც რატომღაც პორტალები შეევესო, იქვე გვერდით პოლიციელის ფეხები დაინახა, თვითონ კი სასაცილოდ გაშხლართული შეხსნილი ღილებით და ბოთლით ხელში იწვა, ერთი წიხლის დარტყმა და ცარიელი ბოთლი გაგორდა, კიდევ ერთი პანდური მას და მაგარი ალიყური ემანუელს, რომელიც მოიკუნტა, დაიკვნესა და მუხლებზე დადგა — საუკეთესო პოზა იმისთვის, რომ სასწრაფოდ შეეკრა ოლივეირასთვის ღილები, დაემალა დანაშაულის კვალი და ასე გამოევიდნა ამხანაგობის დიდი სული. არც არაფერი მომხდარა მათ შორის, მაგრამ რას გააგებინებდა პოლიციელს, რომელიც მათ გისოსებიანი მანქანისკენ მიათრევდა მოედანზე, როგორ აუხსნიდა ბებსს, რომ ინკვიზიცია სულ სხვა რამაა, ან ოსიპს, რაც მთავარია ოსიპს, როგორ აუხსნიდა, რომ ეს ყველაფერი მაინც მოხდებოდა და რომ ერთადერთი ღირსეული საქციელი უკან დახევა იყო, სულის მოთქმა და დაცემა, რათა როდესმე იქნებ ფეხზე წამომდგარიყო, ემანუელი კი როდესმე-სთვის, იქნებ-ისთვის...

— ის გაუშვით, — სთხოვა ოლივეირამ პოლიციელს, — საბრალლო ჩემზე უფრო მთვრალია.

მან დროზე დახარა თავი და დარტყმა აიცვილა. მეორე პოლიციელმა ქამარში ჩაავლო ხელი და გისოსებიან მანქანაში შეაგდო, პირდაპირ ემანუელს დაეცა, ის კი რალაცას მღეროდა, სავარაუდოდ „Le temps des cerises”[183]. ისინი მარტო დატოვეს მანქანაში, ოლივეირამ ფეხი გაიზილა, ისევ საშინლად სტკიოდა იმ დარტყმის მერე და თვითონაც აჰყვა „Le temps des cerises”, თუკი იმავეს მღეროდა. სატვირთო მანქანა დაიძრა თითქოს კატაპულტი მიაშველესო.

– Et tous nos amours[184], – გაჰკიოდა ემანუელი.

– Et tous nos amours, – თქვა ოლივეირამ, სკამზე გაიშოტა და სიგარეტს დაუწყო ძებნა, – ეს ხომ ჰერაკლიტესაც არ დაესიზმრებოდა.

– Tu me fais chier[185], – თქვა ემანუელმა და ხმამაღლა აქვითინდა, – „Et tous nos amours”, – სლუკუნ-სლუკუნით წაიმღერა. ოლივეირას ესმოდა, როგორ იცინოდნენ პოლიციელები გისოსებს შორის რომ იყურებოდნენ. „ახია შენზე, თუ მოსვენება გინდოდა, ახლა გექნება ამის საშუალება და როგორც გინდა ისე გამოიყენე, ჩე, ის კი, რაზეც ფიქრობდი, არაფერში გამოგადგება”. კარგი იქნებოდა დარეკვის საშუალება რომ ჰქონოდა, და სიზმარი ეამბნა, მაგრამ ეს არ გამოვა და ვერც მოითხოვს. ყველა თავისას მიიღებს, წყალმანკს მოთმინებით, ნეხვითა და მარტობით მკურნალობენ. ესეც არ იყოს, კლუბის საქმეც დამთავრდა, საბედნიეროდ, ყველაფერი დამთავრდა და თუ კიდევ რამე დარჩა დასამთავრებელი, ეს უკვე დროის საქმეა. სატვირთო მანქანა კუთხეში, მოსახვევთან დაამუხრუჭეს და როცა ემანუელმა დაიყვირა „Quand il reviendra, le temps des cerises”[186], ერთ-ერთმა პოლიციელმა სარკმელი გამოაღო და გააფრთხილა, თუ არ გაჩუმიდები, ცხვირ-პირს მოგინაცავო. ემანუელი პირქვე დაეცა და ხმამაღალი ტირილი მორთო, ოლივეირამ კი ფეხები ბორტს მიაბჯინა და უფრო მოხერხებულად მოიკალათა სკამზე. კლასობანას ასე თამაშობენ, ფეხსაცმლის წვერით აგდებენ ქვას. ამისთვის საჭიროა: ერთი ქვა და ფეხსაცმელი, კიდევ სწორი ადგილი მიწაზე და ცარცით ლამაზად დახატული უჯრედები, სასურველია ფერადი ცარცით. ზედა უჯრედს ჰქვია ცა,

ქვედას — მიწა, ძალიან ძნელია ქვა ცამდე მიიტანო, თითქმის ყოველთვის რაღაც გეშლება, ისე ვერ გათვლი, რომ ქვა უჯრედოდან გარეთ არ გავარდეს. ნელ-ნელა, რა თქმა უნდა, მიეჩვევი, საჭირო გამოცდილებასაც შეიძენ და უჯრედებზე ხტომასაც ისწავლი (კლასობანა — ნიჟარებით, კლასობანა — სწორკუთხა, შერეული, თუმცა ასეთ კლასობანას იშვიათად თამაშობენ) და ერთ დღესაც აღმოჩნდება, რომ თურმე შეგიძლია მიწას მოსწყდე და შენი ქვა ცამდე მიიტანო, ცაზეც ახვიდე ("Et tous nos amours" დაისლუკუნა პირქვე დამხობილმა ემანუელმა), მაგრამ ცუდი ისაა, რომ სწორედ იმ დროს, როცა იმ სიმაღლეს მიაღწევ, და როცა შენს გარდა სხვა ვერავინ შესძლო ეს, ვერავინ მიაღწია ცამდე, ვერ მიიტანა იქამდე ქვა, სწორედ ამ დროს მთავრდება შენი ბავშვობაც და მერე უკვე ჩაეფლობი წიგნებში, შეგიპყრობს სევდა, ღმერთმა იცის, რა მიუწვდომლისა, დაგატყვევებს სხვა ცის ჭვრეტა და უნდა კიდევ ისწავლო როგორ მიაღწიო იქამდე. და რაკი ბავშვობას უკვე დაემშვიდობე ("Je n'oublierai pas le temps des cerises"[187], ფეხით რიტმულად აკაკუნებდა ემანუელი იატაკზე), შენ უკვე გავიწყდება, რომ თუ გინდა ცამდე მიხვიდე, აუცილებლად დაგჭირდება ქვა და ფეხსაცმლის წვერი. სწორედ ეს იცოდა ჰერაკლიტემ, ნეხვში რომ იჯდა, ალბათ ემანუელმაც იცოდა, როცა ჯერ კიდევ ბავშვი იყო და როცა ჯერ კიდევ ჰყვალდა მისთვის ალუბლები, ან ამ ორმა პედერასტმაც, რომლებიც ვაცმა არ იცის როდის აღმოჩნდნენ ამ გისოსებიან მანქანაში (თუმცა კარები იღებოდა და იკეტებოდა, ისმოდა ხითხითი და სტვენა) და გიჟებივით იცინოდნენ ემანუელზე, ძირს რომ ეგდო და ოლივეირაზზეც, რომელიც დიდი სიამოვნებით გააბოლებდა სიგარეტს ასანთი რომ ჰქონოდა, მას კი ისიც არ ახსოვდა პოლიციელებმა ჯიბეები გაუჩხრიკეს თუ არა, Et tous nos amours, Et tous nos amours.

ქვა და ფეხსაცმლის წვერი, ეს ისე კარგად იცოდა მაგამ, თვითონ კი არც ისე კარგად და კლუბმაც მეტ-ნაკლებად, და ბავშვობაში ბურსაკოში ან მონტევიდეოს გარეუბანში ანიშნებდნენ პირდაპირ გზას ცისკენ და საჭირო არ იყო არც ვედანტა, არც ძენი და არც რომელიმე სხვა ესქატოლოგია, ჰო, პირდაპირ ცისკენ ფეხით (ეგებ ჯვრითაც გვეცადა? ეს ცოტა უფრო ძნელად და-

სამორჩილებელი საგანია) ბოლო დარტყმა პირდაპირ დამიზნე-
ბით და l'azur, l'azur, l'azur l'azur[188], ბახ და ფანჯრის მინაც
ჩაიმსხვრევა, მერე საძაგელი ბიჭი ძილის წინ ნამცხვარს ვერ
მიიღებს, ვის რა ესაქმება იმასთან, რომ ჩამსხვრეული მინის
იქით იყო შენი კიბუცი და რომ მხოლოდ და მხოლოდ ცა იყო შე-
ნი კიბუცი, ის, რასაც ბავშვობაში ცა ერქვა.

– ამიტომაც, მოდი ყველამ ერთად ვიმღეროთ და გავაბო-
ლოთ, – თქვა ორასიომ, – აბა, ემანუელ, ბებერო ჩხავანა.

– Et tous nos amours, – წაიბუზღუნა ემანუელმა.

– Il est beau, – თქვა ერთ-ერთმა პედერასტმა და ორასიოს
ნაზად შეხედა, – Il a l'air faouche.[189] მეორე პედერასტმა ჯიბი-
დან თითბერის მილაკი ამოიღო და სიცილითა და მანჭვა-გრე-
ხით დაიწყო ყურება. უფრო ახალგაზრდა პედერასტმა კი გამო-
ართვა და იმანაც დაიწყო ჭვრეტა. „არაფერი ჩანს, ჟო“, – უთხრა
მან. „ჰო, როგორ არა ჩანს, ძვირფასო“, – უთხრა ჟომ. „არა,
არა, არა, არა“. „ჰო, ჩანს ვხედავ, ვხედავ. Look Through The
Peephole And You'll See Patterns Pretty as Can Be[190]. „ღა-
მესავით ბნელა, ჟო“. ჟომ ჯიბიდან ასანთი ამოიღო და კალეი-
დოსკოპთან აანთო. აღტაცებული შეძახილები, Patterns Pretty
as Can Be, Et tous nos amours, წარმოთქვა ემანუელმა და ია-
ტაკბე წამოჯდა. ყველაფერი მშვენივრადაა და ყველაფერი თა-
ვის ღრობე, კლასობანაც და კალეიდოსკოპიც, პატარა პედე-
რასტიც იყურება და იყურება, ოჰ, ჟო, ვერაფერს ვხედავ, კიდევ
გამინათე, კიდევ, ჟო. ორასიო სკამზე გაიშორა და მიესალმა
„ბნელს“, „ბნელის“ თავი კი პირამიდასავით ჩანდა ნეხვის გრო-
ვაში, ორი თვალი მწვანე ვარსკვლავით ანათებდა, Patterns
pretty as can be, „ბნელი“ მართალი იყო, კიბუცისკენ მიმავალი
გზა, შესაძლოა ერთადერთი გზა კიბუცისკენ, არ შეიძლება ისე-
თი ყოფილიყო, როგორიც ეს სამყარო, ადამიანები კალეიდოს-
კოპში ცუდი მხრიდან იყურებიან, უნდა შემოატრიალონ ემანუე-
ლის დახმარებით და პოლასი და პარიზისა და მაგასი და როკა-
მადურის დახმარებით, ემანუელსავით უნდა დაეცე მიწაზე და
იქიდან, ნეხვის გროვიდან უყურო ამ სამყაროს, უკანალის თვა-
ლით უნდა უყურო ჯიმ And You'll See Patterns Pretty as Can Be

და იმ ქვამ უნდა გაიაროს უკანალის თვალში, ქვამ, ფეხსაცმლის წვერის დარტყმით რომ გასტყორცნი და მაშინ მიწიდან ცამდე უჯრედები გაიხსნება, ლაბირინთი საათის ძეწკვივით დაიშლება, ასე რომ განაბნევს მოსამსახურეთა მოწესრიგებულ დროს და ემანუელის ღორბლისა და ცინგლის, მისი მყრალი სუნის, „ბნელის“ ნეხვის გავლით შეიძლება დაადგე გზას, რომელიც მიგიყვანს კიბუცამდე, სურვილის თანაზიარობამდე და აღარ დაგჭირდება ცაზე ასვლა (ასვლა, ცა, რა ფარისევლური სიტყვაა, ცა, flatus vocis[191]) და ივლი ადამიანური ნაბიჯით ადამიანთა მიწაზე, კიბუცამდე, შორს კია, მაგრამ იმავე სიბრტყეზეა, ისე როგორც ერთ სიბრტყეზე იყო ცა და დედამიწა იმ ბავშვურ თამაშებში ტალახიან ქვაფენილზე და ასე ერთ დღესაც შეიძლება შეაღწიო იმ სამყაროში, სადაც სიტყვა ცა არ გაგახსენებს სამზარეულოს გაქონილ ხელსახოცს და ერთ მშვენიერ დღესაც ვინმე მაინც იხილავს სამყაროს ჭეშმარიტ გამოსახულებას, Patterns pretty as can be და ასე ქვის კვალად, ბოლოს და ბოლოს, მიხვალ კიბუცამდე, სასურველ თანაზიარობამდე.

(-37)

ამ მხრიდან

Il faut voyager loin en aimant sa maison[192]. აპოლინერი, „ტირესიასის კერტები“

37

ბოლმა ახრჩობდა, რომ ტრეველერი[193] შეარქვეს, თანაც მას, რომელიც არგენტინას არ გასცილებოდა, ერთადერთხელ იყო მონტევიდეოში, ერთხელაც ასუნსიონში, პარაგვაიში, და ამ

ორივე ქალაქს გულგრილად იხსენებდა. მთელი თავისი ორმოცი წლის ცხოვრება კაჩიმაიოს ქუჩაზე გაატარა, ცირკის „ვარსკვლავების“ ადმინისტრატორი კი გახლდათ და ცოტა-ცოტა სხვა სამუშაოებსაც ასრულებდა, მაგრამ იმის იმედი როგორ ექნებოდა more Barnum[194] მაინც შემოივლიდა სხვა ქვეყნებსაც, როცა ცირკის სამოღვაწეო სივრცე განისაზღვრებოდა სანტა ფედან კარმენ დე პატაგონამდე, ცოტა დიდხანს კი ჩერდებოდნენ ფედერალურ ქალაქებში, ლა პლატასა და როსარიოში, მაგრამ ეს იყო და ეს. როდესაც ტალიტა, ენციკლოპედიების ბეჯითი მკითხველი, მომთაბარე ტომებისა და მესაქონლეების კულტურის შესახებ შეეკითხებოდა, ტრეველერი აზუმბუნდებოდა და უხალისოდ დაიწყებდა გეორგინებით გადაპენტილი ემოებისა და გასაშლელი სკამ-ლოგინების ქებას და იმას დასძენდა, არამც და არამც არ უნდა დატოვო ის კუთხე, სადაც დაიბადე და გაიზარდეო. ზოგჯერ მატეს სმა რომ შეიყოლიებდა, ისეთ სიბრძნეებს აფრქვევდა, მისი ცოლიც კი გაოგნებული შესცქეროდა, თუმცა მიაჩნდა, რომ ზედმეტი თვითშთაგონების შედეგი იყო. ხანდახან ძილში უცხო სიტყვებს წამოიძახებდა, შორეულ ქვეყნებსა და ზღვებს ახსენებდა, საბაჟოებისა და ალიდადების სიძნელეებსა და უზუსტობების შესახებაც წამოსცდებოდა რამე. მაგრამ დილით, როცა გაიღვიძებდა და ტალიტა ამას ხუმრობით გაახსენებდა, ერთი კარგად მოსცხებდა ერთ ადგილზე და მერე ორივე გიჟებივით დაიწყებდნენ სიცილს, ასე გეგონებოდათ, თუ ტრეველერი საკუთარ თავს ამხელდა, ეს ორივესთვის სასიკეთო უნდა ყოფილიყო. ერთი რამ კი უნდა ითქვას, ტრეველერი, თავისი მეგობრებისგან განსხვავებით, არც ცხოვრებასა და არც ბედს არ უჩიოდა, რომ თავის გემოზე ვერ იმოგზაურა, უბრალოდ ერთბაშად გადაჰკრავდა ერთ ჭიქა ღვის არაყს და საკუთარ თავს სრულ კრეტინს თუ უწოდებდა.

— როგორც ჩანს, თავის მოგზაურობებს ისევ მე მამჯობინა, — იტყოდა ხოლმე ტალიტა, როცა კი დროს იხელთებდა, — მაგრამ ამ სულელს ეს ვერ გაუგია. მე, სენიორა, ფანტაზიის ფრთებით იგი ჰორიზონტს მიღმაც კი გადამიფრენია.

სენიორა, ვის გასაგონადაც იყო ნათქვამი ეს სიტყვები, დარწმუნებული იყო, რომ ტალიტა სერიოზულად ამბობდა და დაახლოებით ასე პასუხობდა:

— აჰ, სენიორა, კაცები ისეთი გაუგებრები არიან (sic: მიუხვედრელები) ან: — მერწმუნეთ, იგივე ხდება ჩემსა და ჩემს ხუან ანტონიოს შორისაც. რაც არ უნდა ვუთხრა, მისთვის სულ ერთია, ყურსაც არ შეიბერტყავს. ან: — რა კარგად მესმის თქვენი, სენიორა.

ცხოვრება ხომ ბრძოლაა. ან: — გულთან ნუ მიიტანთ, დონია. ჯანმრთელობა იყოს და ყველაფერს ეშველება.

მერე, ტალიტა ამას ტრეველერს რომ უყვებოდა სამზარეულოში, სიცილით იხოცებოდნენ. ტრეველერისთვის ამაზე უკეთესი გასართობი არაფერი იყო, შევიდოდა ტუალეტში, პირზე პირსახოცს ან პერანგს მიიფარებდა და უსმენდა ტალიტასა და იმ ქალბატონების საუბრებს „სობრალესის“ პანსიონში და მოპირდაპირე მხარეს, სასტუმროში რომ ცხოვრობდნენ. ასეთი გახალისების დროს, თუმცა კი ეს დიდხანს არ გრძელდებოდა, ხშირად უფიქრია, ეგებ რადიოთეატრისთვის ერთი მრავალსერიანი პიესა დავწერო და ყველა ეს მსუქანი ქალი გამოვიყვანო, ისინი მაინც ვერაფერს მიხვდებიან, ის კი არა, ცრემლებსაც დაღვრიან და ყოველდღე რადიომიმღებთან ისხდებიანო. ასე იყო თუ ისე, მოგზაურობას მაინც ვერა და ვერ ეღირსა და ეს მძიმე ლოდივით აწვა გულზე.

— ნამდვილი აგურია, — იტყოდა ხოლმე ტრეველერი და მუცელზე ხელს დაიდებდა.

— არასოდეს მინახავს შავი აგური, — უპასუხებდა ცირკის დირექტორი, რომელმაც შემთხვევით იცოდა მისი სევდიანი განწყობის მიზეზი.

— გული დამიმძიმდა, ასე რომ ვზივარ ერთ ადგილზე. აბა, წარმოიდგინე, ფერაგუტო, ისეთი პოეტებიც ხომ იყვნენ, რომლებიც ჩიოდნენ როგორ ვართ ასეთი heimatlos[195].

— ესპანურად თქვი, ჩე, — ეტყოდა ხოლმე დირექტორი, რომელსაც ჟრუანტელი დაუვლიდა ხოლმე, ესოდენ დრამატულ სიტუაციაში სახელით რომ მიმართავდნენ.

— არ შემიძლია, შეფ... — წაიბუტბუტებდა ტრეველერი, თითქოს ბოდიშის მოხდა უნდა რაკი სახელით მიმართაო. — ლამაზი უცხოური სიტყვები ოაზისივითაა, სულის მოთქმას ჰგავს. ვერასოდეს წავალთ კოსტა რიკაში? პანამაში, სადაც ოდესღაც იმპერიის გალენები...? გარდელი კოლუმბიაში მოკვდა, შეფ, კოლუმბიაში!

— მოვყვით ახლა და ჩამოვთვალათ, ჩე, — თქვა დირექტორმა და საათს დახედა, — წავალ ახლა სასტუმროში, ჩემი კუკა ალბათ უკვე ცოფებს ყრის.

ტრეველერი მართო რომ დარჩა ოფისში, გაიფიქრა, ნეტავი როგორი საღამოებია კონექტიკუტშიო. თავის დასამშვიდებლად მოჰყვა იმ სასიამოვნო დღეების გახსენებას, რაც კი ცხოვრებაში ჰქონია. მაგალითად, ერთი ასეთი კარგი დღე მის ცხოვრებაში 1940 წელს გათენდა, როცა წყლით სავსე ჭიქით შევიდა შეფთან გადასახადების განყოფილებაში, იქიდან, სამსახურიდან დათხოვნილი კი გამოვიდა, მაგრამ უფროსი საშრობით იმშრალებდა სახეს. ეს მართლაც ერთ-ერთი საუკეთესო დღე იყო მის ცხოვრებაში, რადგან სწორედ იმ თვეში უპირებდნენ დაწინაურებას, კარგი იყო ისიც, რომ მაშინ იქორწინა ტალიტაზე (თუმცა ორივე საპირისპიროს ამტკიცებდა), რადგან ტალიტა განწირული იყო იმ თავისი ფარმაცევტის დიპლომით უიმედოდ და განუკითხავად დაბერებულიყო აფთიაქში, იმ წამლების სუნში, და ტრეველერიც აკი სწორედ მაშინ შევიდა იქ ბრონქიტის საწინააღმდეგო საწარმოების საყიდლად, ხოლო როცა ტალიტა უხსნიდა გამოყენების წესებს, იმ დროს მასში ისე აქაფდა სიყვარული, როგორც შამპუნი აქაფდება ხოლმე შხაპის ქვეშ. ტრეველერი ამტკიცებდა, რომ ტალიტა ზუსტად იმ წუთებში შეუყვარდა, როცა მან თვალები დახარა და ცდილობდა აეხსნა მისთვის, საწარმოები უკეთესად მოქმედებს, როცა კუჭს გაითავისუფლებთ და არა მანამდეო.

– უმადურო, – ეტყოდა ხოლმე ტალიტა მოგონებების წუთებში, – ძალიან კარგადაც გაიგებდი ინსტრუქციიდან, მაგრამ თავი სულელად მომაჩვენე, რომ დიდხანს მელაპარაკა.

– ფარმაცევტი მუდამ სიმართლეს უნდა ემსახურებოდეს, ყველაზე ინტიმურ ვითარებაშიც კი. ნეტავი კი გაგეგო შენგან რომ წამოვედი, რას განვიცდიდი, იმ საღამოს სანთლებს რომ ვიკეთებდი, მერე რა დიდი და მწვანე იყო.

– ევკალიპტის, – თქვა ტალიტამ, – მადლობა მითხარი, ისეთი არ შემოგაჩენე, ოც მეტრზე ნივრის სუნი რომ გცემს.

მაგრამ ხანდახან კიდევ მოიწყენდნენ ხოლმე და ისეთი გრძნობა დაეუფლებოდათ, რომ კიდევ ერთხელ გახალისდნენ, ოღონდ კი ბუენოს აირესელებისთვის ჩვეულ სევდას არ დანებებოდნენ და იმ ცხოვრებას, რომელსაც არ გააჩნია მეტისმეტი... (რა უნდა მოჰყვეს სიტყვას „მეტისმეტი?“ როგორც ყოველთვის გულის კოვზთან ჩხვლეთა იგრძნო და შავი აგური ისევ დააწვა კუჭზე).

ასე განუმარტავდა ხოლმე ტალიტა სენიორა დე გუტუსოს ტრეველერის სევდას:

– სიესტის დროს რაღაც შეტევა ემართება და თითქოს პლევრიდან მოდის.

– უთუოდ შიგნით რაღაც ანთებაა, – ეტყოდა სენიორა დე გუტუსო, – „შავ ღვიძლს“ უწოდებენ.

ეს სულის ამბავია, სენიორა, ჩემი ქმარი პოეტია, დამიჯერეთ. ამ დროს კი ტუალეტში ჩაკვეტილი ტრეველერი პირზე პირსახოცს იფარებდა და სიცილისგან სულ ცრემლები სდიოდა.

– შეიძლება სულაც ალერგია ჰქონდეს. ჩემს პატარა ბიჭს, ვიქტორს, ხომ ხედავთ, ბალბის ბუჩქებში რომ თამაშობს და თვითონაც ნამდვილი ყვავილია, როგორც კი ნიახურზე ალერგია დაეწყება, ნამდვილ კვაზიმოდოს დაემსგავსება ხოლმე, შავი

თვალეები მთლად დაეხუჭება, პირი კი ისე გაუსივდება, გომბეშო გეგონება, ფეხის თითებსაც ვეღარ ამოძრავებს.

– ფეხის თითების მოძრაობა აუცილებელი არ არის, – თქვა ტალიტამ.

ტუალეტიდან ისმის ტრეველერის მოგუდული ხმა, პირსახოცი თავს რომ ვერ ახშობს, ტალიტა კი ცდილობს სწრაფად შეცვალოს საუბრის თემა და სენიორა დე გუტუსოს ყურადღება სხვა რამეზე გადაიტანოს. მიუხედავად ამისა, ტრეველერი თავის სამალავს ჩვეულებრივ მაინც სევდამორეული ტოვებს ხოლმე და ტალიტასაც კარგად ესმის მისი. ტალიტას გაგების თაობაზე ცალკე უნდა ითქვას. ეს არის ირონიული, ნაზი გაგება, ერთგვარად განწყენებული.

მისი ტრეველერისადმი სიყვარული იწყებოდა ჭუჭყიანი ქვაბების რეცხვა-ხეხვიდან, ხანგრძლივი უძილო ღამეებიდან, მისი ნოსტალგიური ფანტაზიების აღიარებიდან და ტანგოსა და ტრუკოს თამაშის სიყვარულიდან. როდესაც ტრეველერი მოიწყენს და იმაზე დაიწყებს ფიქრს, რომ არასოდეს უმოგზაურია (და ტალიტამ იცის, რომ ამას არა აქვს მნიშვნელობა, და რომ მისი სადარდებელი გაცილებით ღრმაა), უბრალოდ მის გვერდით უნდა იყოს და ბევრი არ ილაპარაკოს, მოუძმადოს მატე და იმაზე იბრუნოს, რომ თამბაქო არ შემოაკლდეს, ერთი სიტყვით, შეასრულოს თავისი, როგორც ქალის მოვალეობა მამაკაცის გვერდით და ამავე დროს ჩრდილში დარჩეს, ეს კი ძნელია. ტალიტა ძალიან ბედნიერია ტრეველერის გვერდით, რომ მასთან ერთად არის ცირკშიც, რომ ვარცხნის ხოლმე კატა-დამთვლელს არენაზე გასვლის წინ და ანგარიშს აწარმოებს დირექტორისთვის. ზოგჯერ ტალიტა მორიდებით გაიფიქრებს ხოლმე, რომ თვითონ გაცილებით უფრო ახლოსაა იმ უმარტივეს სიღრმეებთან, რაც ტრეველერს ასე აწუხებს, მაგრამ იმდენად აშინებს ყოველგვარი მინიშნება მეტაფიზიკაზე, რომ ბოლოს თავს არწმუნებს, ტრეველერია ერთადერთი, ვისაც ძალუძს გაარღვიოს ეს სიღრმეები და იქიდან შავი ცხიმოვანი ნაკადი გამოუშვას. ეს ყველაფერი ცოტა არ იყოს, ჰაერშია გამოკიდებული, სიტყვებში ანდა რაღაც სახეებშია გამოხატული და სხვა სახელი ჰქვია, მას ეწოდება ღი-

მილი ან სიყვარული, აგრეთვე ცირკი და ცხოვრება, როდესაც ყველაზე უფრო საოცარ და საბედისწერო სახელებს არქმევ ხოლმე, მორჩა და დამთავრდა.

სხვა თუ არაფერი, ტრეველერი მოქმედების კაცია; როგორც თავადვე განმარტავს, შეზღუდული მოქმედებისაა, ხო არ დადის და ხოცავს გზადაგზა, ვისაც მოეპრიანება. თავისი ცხოვრების ოთხი ათეული წლის მანძილზე მან გაიარა სხვადასხვა ეტაპი: ფეხბურთი (კოლეჯში, ცენტრალური თავდამსხმელი, არცთუ ურიგო), სპორტული სიარული, პოლიტიკა (ერთი თვე დევოტოს ციხეში, 1934 წელს), ბოცვრებისა და ფუტკრების მოშენება (ფერმა მანსანარესში, მესამე თვეს საქმე ჩაიშალა, მერე ბოცვრები შავმა ჭირმა დახოცა, ფუტკრები გაგარეულდნენ), ავტორბოლა (მარიმონის თანამძღოლი, რესისტენსიაში გადაბრუნდა მანქანა და სამი ნეკნი ჩაემტვრა), დურგლის ხელობა (ქუჩაში გადაყრილი ძველი ავეჯის შეკეთება, სრული კრახი), ქორწინება და ნაქირავები ველოსიპედით გენერალ პასის პროსპექტზე შაბათობით სრბოლა. ასეთი გამოცდილების შედეგად შეიძინა საკმაოდ დიდი ცოდნა-განათლება: ისწავლა ორი ენა, გაივარჯიშა ხელი წერაში, გამოიჩინა ირონიული ინტერესი სოტერიოლოგიისა და მინის ბუშტების მიმართ, სცადა მოეშენებინა მანდრაგორა, რისთვისაც მიწითა და თესლით სავსე თასში ჩარგო ბატატა, მალე ბატატამ ამოიყარა ყლორტები, გაიფურჩქნა და გაიშალა, როგორც წესია, ლამის მთელ პანსიონს მოედო, ფანჯრებს აჭყვა და ვინ იცის სადამდე ავიდოდა, რომ ტალიტას მაკრატელი არ მოემარჯვე — ბინა და ჩუმჩუმად არ მიელო ზომები, ტრეველერმა ეჭვი აიღო, რომ რაღაც გაუთვალისწინებელი ხდებოდა, კარგად დაათვალიერა ბატატის ღერო და მორჩილად აიღო ხელი ამ გაშლილ-განტოტვილ მანდრაგორაზე, *Alraune*, რომელიც ბავშვობიდან არ აძლევდა მოსვენებას. ხანდახან ტრეველერი მიანიშნებს ხოლმე თავის ორეულზე, ვისაც ალბათ უფრო გაუმართლა ცხოვრებაში, ვიდრე მას, მაგრამ ტალიტას, რატომღაც, თვითონაც არ იცის რატომ, ეს არ მოსწონს, ასეთ დროს მოეხვევა და შეშფოთებული კოცნის, ოღონდ კი როგორმე იხსნას ასეთი ფიქრებისგან, მაშინ წაიყვანს ხოლმე კინოში მერილინ მონროს, ტრეველერის საყვარელი მსახიობის სანახა-

ვად, თვითონ კი ზის დაბოღმილი მის გვერდით კინოთეატრ „პრემიდენტ როკას“ ჩაბნელებულ დარბაზში, თუმცა კი კარგად ხვდება, რომ აზრი არა აქვს მხატვრულ სახეებზე ეჭვიანობას.

(-98)

38

ტალიტა არ იყო დარწმუნებული, რომ ტრეველერი დიდად გაახარა ახალგაზრდობის მეგობრის რეპატრიაციამ, რადგან ტრეველერმა როგორც კი გაიგო ცნობა იმის შესახებ, ვინმე ორასიო იძულებითი გზით ჩამოიყვანეს გემით „Andrea C.“ არგენტინაში, პირველი, რაც მოიმოქმედა, ის იყო, რომ წიხლი კრა ცირკის კატა-მთვლელს და განაცხადა, ეს ცხოვრება სრული მამაძაღლობააო. მაგრამ ამის მიუხედავად, მაინც წავიდა პორტში ტალიტასთან ერთად მის დასახვედრად და თან კატა-მთვლელიც კალათაში ჩაისვა და წაიყვანა.

ოლივეირა გამოვიდა საბაჟოს ფარდულიდან მარტო ერთი პატარა ჩემოდნით და ტრეველერის დანახვაზე წარბები ასწია, ვერ გაიგებდით გაოცებისა თუ წყენის ნიშნად.

— რას იტყვი, ჩე?

— გამარჯობა, — უთხრა ტრეველერმა და ისეთი გრძნობით ჩამოართვა ხელი, თვითონაც არ ელოდა.

— იცი რას გეტყვი, — თქვა ოლივეირამ, — მოდი პორტის პარილაში შევიდეთ და ცოტა შემწვარი ძეხვი ვჭამოთ.

— გაიცანი, ეს ჩემი ცოლია, — უთხრა ტრეველერმა.

ოლივეირამ თქვა, „ძალიან სასიამოვნოა“ და ისე გაუწოდა ხელი, არც კი შეუხედავს. მერე ჰკითხა, რა არის შენთვის ეს კა-

ტა და რატომ მოიყვანე აქ პორტში ასე კალათითო. ასეთი მიმართვით განაწყენებულმა ტალიტამ იგი აშკარად უსიამოვნო ადამიანად მიიჩნია და განაცხადა, ჩემს კატასთან ერთად ცირკში ვბრუნდებიო.

— კარგი, — უთხრა ტრეველერმა, — ოთახში ფანჯარასთან დასვი, ხომ იცი დერეფანში არ მოსწონს.

პარილაში ოლივეირა წითელ ღვინოს მიეძალა, თან ძეხვს და სოსისებს აყოლებდა. რაკი იგი ბევრს არ ლაპარაკობდა, ტრეველერი უყვებოდა ცირკისა და ტალიტაზე დაქორწინების ამბებს. მოკლედ აღუწერა ქვეყნის პოლიტიკური ვითარება და სპორტის მდგომარეობა, საგანგებოდ შეჩერდა პასკუალიტო პერესის წარმატებასა და წარუმატებლობაზე, ოლივეირამ უთხრა, პარიზში ფანხიოს გადავეყარე და იმ ფეხმრუდს ეტყობა ზეზუულად ეძინაო, ამასობაში ტრეველერსაც მოშივდა და გულ-ღვიძლი შეუკვეთა. მას ესიამოვნა, რომ ოლივეირამ ღიმილით მოუკიდა შეთავაზებულ კრეოლურ სიგარეტს და მოეწონა კიდეც. ისინი უკვე ერთად სვამდნენ მეორე ბოთლ წითელ ღვინოს და ტრეველერი ელაპარაკებოდა თავისი სამუშაოს შესახებ, რომ ჯერ კიდევ იმედი ჰქონდა უკეთესს იშოვიდა, ანუ ისეთ სამუშაოს, სადაც ნაკლებს იმუშავებდა და ანაზღაურება მეტი ექნებოდა, სულ ელოდებოდა ოლივეირაც რამეს იტყვისო, კი არ იცოდა რას, რამეს, რაც ამდენი ხნის უნახაობის მერე ცოტა მაინც დააახლოვებდა მათ ამ პირველი შეხვედრის დროს.

— კარგი, მიაძებე რამე, — თვითონ შესთავაზა.

— ამინდი, — თქვა ოლივეირამ, — ძალიან ცვალებადი იყო, თუმცა გამოიდარებდა ხოლმე. და კიდევ: სესარ ბრუტომ კარგად თქვა, თუ ოქტომბერში ჩამოხვალ პარიზში, აუცილებლად ლუვრი უნდა ნახოო.

კიდევ რა? ჰო, კიდევ ისიც, რომ ერთხელ ვენამდეც მივედი. იქ ფენომენალური ყავა აქვთ და მსუქან-მსუქან ქალებს თავიანთი ძაღლები და ქმრები მოჰყავთ შტრუდელის საჭმელად.

— კარგი, კარგი, — თქვა ტრეველერმა, — რა ვალდებული ხარ ილაპარაკო, თუ არ გინდა.

— ერთ დღესაც შაქრის ნატეხი დამივარდა, მაგიდის ქვეშ გაგორდა, კაფეში, პარიზში და არა ვენაში.

— კაფეების ამბების მოსაყოლად არც ღირდა ამხელა გუბის გადმოცურვა. — კარგ გამგონესაო, — თქვა ოლივეირამ და დიდი სიფრთხილით მოაჭრა კუდი სოსისს. — აი, ასეთს კი განათლებულ ქალაქში ვერ ნახავ, ჩე, ეს არგენტინულიაო, ასე ამბობდნენ ხოლმე. იქ ლამის ტირიან აქაური ხორცისათვის, ერთ სენიორას ვიცნობდი, რომელსაც აქაური ღვინო ენატრებოდა, იმასაც იტყოდა ხოლმე, ფრანგულ ღვინოს სოდით ვერ დაღვეო.

— რა სისულელეა, — თქვა ტრეველერმა.

— იმას რა თქმა უნდა, რომ ისეთ გემრიელ პომიდორს და კარტოფილს ჩვენ რომ გვაქვს, ვერსად ნახავ.

— ჩანს, — თქვა ტრეველერმა, — რომ შენ იქ ნაღებ საზოგადოებაში ტრიალებდი.

— არც თუ იშვიათად. ოღონდ ეგ არის, შენი ნატიფი მეტაფორით თუ ვისარგებლებ, ჩემი იქ ტრიალი დიდად არ ეფონებოდათ გულზე.

რა ნესტიანია აქაურობა, ძმაო.

— აჰ, ასეა, — თქვა ტრეველერმა, — შენ აკლიმატიზაცია გჭირდება. ასეთი საუბარი კიდევ ოცდახუთი წუთი გაგრძელდა.

(-39)

რა თქმა უნდა, ოლივიერა არც აპირებდა ტრეველერისთვის მოეყოლა, მონტევიდოში გაჩერების დროს მთელი ღარიბთა უბნები რომ მოიარა, ყველას ეკითხებოდა და ყველაფერს ათვალიერებდა, ვიღაც შავ ბიჭთან ერთად კანიაც კი დალია ნდობის მოსაპოვებლად და რომ უამრავი ახალი შენობის მეტი ვერაფერი ნახა, ხოლო პორტში, სადაც ბოლო ერთი საათი გაატარა, სანამ „Andrea C.“ ღუმას აუშვებდა, აურაცხელი მკვდარი თევზი ტივტივებდა, მათ შორის კი ზეთიან წყალში პრეზერვატივები დაცურავდნენ. მეტი რა უნდა ექნა, დაბრუნდა გემზე და მარტო იმაზე ფიქრობდა, ეგებ ლუკაში, შესაძლოა, უფრო ლუკაში, ანდა პერუკაში. ეს ყველაფერი უქმი ლაყბობაა და სხვა არაფერი.

სანამ დედასამშობლოს მიწაზე ფეხს დაადგამდა, ოლივიერამ გადაწყვიტა, რომ წარსული სულაც არ იყო წარსული და დიდი ჭკუა და ეშმაკობა არ სჭირდებოდა იმის წარმოდგენას, რომ მომავალშიც, იგივე, უკვე თითქოს ნათამაშები თამაშები ელვოდა. იგი მიხვდა (მხოლოდ გემის ქიმზე გარიჟრაჟისას რეიდის ყვითელ ბურუსში), რომ არაფერი შეიცვლებოდა თუკი თავის სიტყვას არ გადაუხვევდა და უარს არ იტყოდა ადვილ გადაწყვეტილებებზე. მოწიფულობა, თუკი ვივარაუდებთ, რომ ასეთი რამ არსებობს, ფარისევლობის მეტი არაფერია. რა მოწიფულობა, რა სათქმელია მოწიფულობა, თუ სრულიად ბუნებრივად მიიჩნევ, რომ ქალი, კალათაში კატა რომ ჰყავდა და მანოლო ტრეველერის გვერდით იდგა, უეცრად მოგეჩვენა, თითქოს ცოტა ჰგავდა იმ, სხვა ქალს, იმას, ვინც... (თითქოს არ შემოევლო მონტევიდოს მთელი გარეუბნები და ტაქსით არ გაქანებულიყო გორაკისაკენ და მოუთვინიერებელ მესხიერებაში არ ეძებნა ძველი მისამართები). ან უნდა გაეგრძელებინა, ან თავიდან დაეწყო, ან სამუდამოდ დაემთავრებინა; ხიდი ჯერ არ ჩანდა. ჩემოდნით ხელში გაემართა პორტის პარილიასკენ, სადაც ერთ ღამეს, გაჩაღებული სმის დროს ვიღაცამ მოუყვა ანეკდოტები გაუჩო ბეტინოტიზე, როგორ მღეროდა იგი ვალსს — „ჩემი დიაგნოზი მეტად მარტივია, მე აღარაფერი მეშველება“. სიტყვა დიაგნოზი ვალსში ოლივიერას უადგილოდ და ულამაზოდ მოეჩვენა, მაგრამ ის მაინც იმეორებდა ამ სტრიქონებს, როგორც ჭკუის

სასწავლებელ სენტენციას იმ დროს, როცა ტრეველერი უყვებოდა მას ცირკის, კ.ო. ლაუსესა და ხუან პერონის ამბებს.

(– 86)

40

იგი კარგად ხვდებოდა, რომ მისი დაბრუნება ბევრს ვერაფერს შეცვლიდა მის ცხოვრებაში. აქ იგი მცენარესავით არსებობდა საბრალო და მისი ერთგული ხეკრეპტენის გვერდით სასტუმროს ერთ პატარა ოთახში, რომელიც გადაჰყურებდა პანსიონ „სობრალესს“, სადაც ტრეველერები ცხოვრობდნენ. ისინი კარგი თვალით უყურებდნენ მას და ხეკრეპტენიც გახარებული იყო; იგი უნაკლოდ უმზადებდა მატეს და თუმცა კი სიყვარულისა არაფერი გაეგებოდა და არც ცომის გაფუება და მოზელვა ეხერხებოდა, სამაგიეროდ, სხვა ისეთი ღირსებები გააჩნდა, რაც ოჯახურ ურთიერთობებში დიდად დასაფასებელი იყო, თუნდაც ის, რომ მთელი დღე მარტო რჩებოდა სახლში, რაც მას ყველაზე უფრო სჭირდებოდა, რადგან რამდენიც უნდოდა, და როგორც უნდოდა, ისე ფიქრობდა თავის წასვლასა და დაბრუნებაზე იმ საათების გარდა, რომელთაც გაბარდინის გაყიდვის შუამავლობას ანდომებდა. თავიდან ტრეველერი აკრიტიკებდა, რადგან ბუენოს აირესში რატომღაც ყველაფერს ცუდს ხედავდა და ქალაქს კორსეტში გაჭედილ კახპას ადარებდა, მაგრამ ოლივეირა მასაც და ტალიტასაც არწმუნებდა, რომ ეს სიყვარულით უფრო მოსდიოდა და მარტო მათსავით გონებაჩლუნგებს არ უნდოდათ ამის გაგება. ბოლოს და ბოლოს, ისინიც მიხვდნენ, რომ ისიც თავისებურად მართალი იყო და რომ ოლივეირა ვერ შესძლებდა, ერთბაშად და ფარისევლურად შერიგებოდა ბუენოს აირესს და რომ ახლა უფრო მეტად იყო დაშორებული თავის ქვეყანასთან, ვიდრე მაშინ, როცა ევროპისკენ მიილტვოდა. მხოლოდ სულ უბრალო რამეებზე თუ გაელიმებოდა და წარსულს გაახსენებდა ხოლმე, იქნებოდა ეს მატე, დე კაროს ფირფიტები და სალამოხანს პორტში გასეირნება.

სამივე ერთად დიდხანს დადიოდნენ ხოლმე ქალაქში, რადგან ხეკრეპტენი გვიანობამდე მუშაობდა მაღაზიაში, ტრეველერი ჩუმრუმად ადევნებდა თვალს, ეგებ შევატყო, ქალაქზე გული თუ მოუბრუნდაო, თან ლუდს არ აკლებდა, იქნებ ამით მაინც გადმოვიბიროო.

ტალიტა კი უფრო შეურიგებელი იყო (გულგრილობის დამახასიათებელი ნიშანი), მოითხოვდა დაუყოვნებლივ ეღიარებინა, მაგალითად, კლორინდო ტესტას მხატვრობაც და ტორე ნილსონის ფილმებიც.

ისინი საშინლად კამათობდნენ ბიოი კასარესზე, დავიდ ვინიასზე, მამა კასტელანზე, მანაუტასა და ენერგომატარებლების პოლიტიკაზე. ტალიტამ, ბოლოს და ბოლოს, გაიგო, რომ ოლივეირასთვის სულ ერთი იყო, სად იქნებოდა, ბუენოს აირესში, თუ ბუქარესტში და ისიც, რომ, სინამდვილეში ის თვითონ, თავისი ნებით კი არ დაბრუნებულა, არამედ დააბრუნეს. მათი სადავო თემები სულ ტრიალებდა პატაფიზიკის გარშემო, სამივეს ერთნაირად იზიდავდა ჰისტრიონული თვალსაზრისის ძიება, რომლის დროსაც მაყურებელიცა და საყურებელიც მოექცეოდნენ თითქოს განყენებულ პოზიციაში. ტალიტამ და ოლივეირამ იქამდე იკამათეს, სანამ ურიერთპატივისცემას არ მიაღწიეს. ტრეველერს გული სტკიოდა, ოცი წლის ოლივეირა რომ ახსენდებოდა, თუმცა შესაძლოა, ეს ლუდის ბრალიც იყო.

— შენ ის გაწუხებს, რომ პოეტი არა ხარ, — ეტყოდა ხოლმე ტრეველერი, — ჩვენსავით ვერ წარმოიდგენ ამ ქალაქს, როგორც უზარმაზარ მუცელს, ნელ-ნელა რომ იცვლება ამ ცის ქვეშ, როგორც უზარმაზარ ობობას, რომელმაც თავისი საცეცები გაშალა სან ვისენტეზე, ბურსაკოზე, სარანდიზე, პალომარზე და წყალსაც კი მისწვდა, საბრალო არსება, რომ იცოდეს რა ჭუჭყიანია ეს მდინარე.

— ორასიო სრულყოფილებისაკენ ისწრაფვის, — თანაგრძნობა გამოიჩინა მის მიმართ ტალიტამ, რაკი ოლივეირამ მისი ნდობაც მოიპოვა, — ბუმბანკალი ჯიშიანი ცხენის ბურგზე. აიღე

ჩვენგან მაგალითი, ჩვენ ვართ თავმდაბალი ბუენოს აირესელე-ბი და მაინც ვიცით ვინ არის პიერ დე მანდიარგი.

— ქუჩაში კი, — თქვა ტრეველერმა და თვალები დააბრიალა, — დადიან ქალიშვილები და ისეთი ნეტარი მზერა აქვთ, ისეთი სახეები ბრინჯის ფაფისა და რადიოსადგურ „ელ მუნდოს“ წყალობით, რომ გეგონებათ საამო სისულელის ტალკი შეუფრქვე-ვიათო.

— თუ მხედველობაში არ მივიღებთ ემანსიპირებულ და ინტე-ლექტუალურ ქალებს, რომლებიც ცირკში მუშაობენ, — მორიდე-ბით თქვა ტალიტამ.

— და კანიენების ფოლკლორის სპეციალისტებს, თქვენი მო-ნამორჩილის მსგავსად. სახლში რომ მივალთ, გამახსენე, რომ ივონ გიტრის აღსარება წავიკითხო, დიდი ვინმეა, რომ იცოდე.

— მართლა, სენიორა გუტუსომ დამაბარა, რომ თუ არ დაუბ-რუნებ გარდელის ანთოლოგიას, ყვავილების ქოთანს თავზე გა-დაგამტვრევს, — აცნობა ტალიტამ.

— ჯერ ორასიოს წაუვკითხავ აღსარებას. იმ ბებერმა ნაგავმა კი მოიცადოს.

— სენიორა გუტუსო ის მაიმახია ხეკრეპტენტან რომ დადის ხოლმე სალაყბოდ? — ჰკითხა ოლივეირამ.

— ჰო, ამ კვირაში კი მეგობრობენ, მერე კი ნახავ, ორიოდ დღეში რაც მოხდება, ასე იციან ჩვენს უბანში.

— ვერცხლისფერი მთვარის შუქზე, — თქვა ოლივეირამ.

— ისევ ეს ჯობია შენ სენ-ჟერმენ-დე-პრეს, — თქვა ტალიტამ.

— რასაკვირველია, — თქვა ოლივეირამ და შეხედა. თუ ცოტა უფრო მოჭუტავდა თვალებს... მერე როგორ წარმოთქვამს ფრანგულ სიტყვებს, ეს რა ჩვევა ჰქონია, ცოტა რომ მოჭუტო თვალები (ფარმაცევტი, რა საწყენია).

სამივეს უყვარდა სიტყვებით თამაში და იმ დღეებში შეთხზეს კიდევ თამაში სიტყვების სასაფლაოზე, გადაშლიდნენ ხულიო კასარესის ლექსიკონს 558—ე გვერდზე და იწყებდნენ სიტყვების ძებნას ასო H—ზე. la hallulla, el hámago, el halieto, el haloque, el hamez, el harambel, el harullista, el harca, la harija[196]. გულზე სევდაც კი შემოაწვებოდათ, როცა დაფიქრდებოდნენ უქმად გაფლანგული დროისა და შესაძლებლობების ხელიდან გაშვების, არგენტინული ხასიათის ამ თავისებურების, ისე დროის—უწყალოდ—დაკარგვის გამო. რაც შეეხებოდა ფარმაცევტებს, ტრეველერი დაბეჯითებით ამტკიცებდა, რომ მათი მოდგმა მოდიოდა მეროვინგების, საფრანგეთის პირველი მეფეების დინასტიიდან და მან ოლივეირასთან ერთად ტალიტას უძღვნა ეპიკური პოემა, რომელიც მოგვითხრობდა ამბავს, თუ როგორ შეესივნენ ფარმაცევტების ურდოები კატალონიას, დათესეს შიში, წიწაკა და შხამა. ფარმაცევტთა ტომი ვეება ცხენებზე ამხედრებული. ფიქრები ფარმაცევტთა სტეპებზე. ოჰ, ფარმაცევტთა დედოფალო, მოიღე მოწყალება ამაცად მავედრებლებზე, ველური ცხენების მომთვინიერებლებზე, მთელ ქვეყნიერებაზე მოხეტიალეებზე, რომელთაც არ იციან შიში და უკანმოუხედავად კი გარბიან.

სანამ ტრეველერი ცდილობდა დაეყოლიებინა დირექტორი ოლივეირაც მიეღო ცირკში სამუშაოდ, მისი ბრუნვის ობიექტი იჯდა ოთახში, სვამდა მატეს და უხალისოდ, ერთი თვალის გადავლებით ცდილობდა გასცნობოდა მშობლიურ ლიტერატურას; სანამ ის ამ საკითხს უღრმავდებოდა, დიდი სიცხე ჩამოვარდა და გაბარდინის გასაღება საგრძნობლად დაეცა. თავყრილობები იმართებოდა ხოლმე დონ კრესპოს ეზოში, რომელიც ტრეველერის დიდი მეგობარი იყო და ოთახებს აქირავებდა სენიორა დე გუტუსოს და სხვა ქალბატონებს და ბატონებს. ხეკრეპტენი ბავშვივით ანებივრებდა ოლივეირას და მასაც იმდენხანს ეძინა, მეტი არც შეიძლებოდა, ხოლო როცა გამოფხიზლდებოდა, ხანდახან თუ ჩაიხედავდა კრეველის წიგნში, ჩემოდანში რომ ეგდო, და ნელ-ნელა ემსგავსებოდა ერთი რუსული რომანის პერსონაჟს. ასეთი მოღუნება-მოშვება კარგს არაფერს უქადდა, ხანდახან კიდევ დაფიქრდებოდა, მაგრამ მაინც ეგონა,

თვალს თუ დავხუჭავ, უკეთესი სურათი წარმომესახება, ხოლო თუ დავიძინებ, გონება გამინათდებაო. ცირკის საქმეც ცუდად მიდიოდა, დირექტორს ახალი თანამშრომლის მიღებაზე სიტყვის გაგონებაც არ უნდოდა. საღამოხანს, სანამ სამსახურებრივ საქმეებს შეუდგებოდნენ, ტრეველერები ჩადიოდნენ ხოლმე ეზოში, დონ კრესპოსთან ერთად მატე რომ დაეღლიათ, ოლივეირაც არ დააყოვნებდა და ყველა ერთად უსმენდა ძველ ფირფიტებს, ასეთივე ძველი იყო აპარატიც, რაღაც სასწაულის წყალობით ჯერ კიდევ რომ ტრიალებდა, მაგრამ, ალბათ, ასეც უნდა უსმინო ძველ ფირფიტებს. ზოგჯერ ტალიტა ოლივეირას წინ მოიკალათებდა და „სიტყვების სასაფლაოს“ თამაშში ეჯობებოდნენ ერთმანეთს. „კითხვები – სასწორზე“, ეს კიდევ ერთი თამაში იყო, რომელიც ტრეველერთან ერთად გამოიგონეს და კარგადაც ერთობოდნენ. დონ კრესპო მათ გიჟებად მიიჩნევდა, სენიორა გუტოსო კი – სულელებად.

– შენ არასოდეს ლაპარაკობ იმაზე... – ხანდახან ეტყოდა ხოლმე ოლივეირას ტრეველერი, ოღონდ არ შეხედავდა. ეს მეტიმეტად ეძნელებოდა; მაგრამ როცა მაინც გადაწყვეტდა რომ ეკითხა, მაშინაც თვალს აარიდებდა და ასევე ვერ ასახელებდა საფრანგეთის დედაქალაქს, კი არ იცოდა რატომ, და „იმაზეო“ იტყოდა ხოლმე: ეს ისეთივე თავსატეხი იყო მისთვის, როგორც დედისთვის შესაფერისი სახელის დარქმევა თავისი პირმშოს სასირცხოვოსთვის, რომელიც მას ღმერთმა მიანიჭა.

– არაფერია საინტერესო, – უპასუხებდა ოლივეირამ, – თუ ჩემი არ გჯერა, შენ თვითონ წადი და ნახე.

ეს ყველაზე უკეთესი საშუალება იყო ტრეველერის, ამ ხელმოცარული მომთაბარის გასაშმაგებლად. აღარც ის ჩააცვივდებოდა, „კასა ამერიკაში“ ნაყიდ ამ საშინელ გიტარას წამოაფლებდა ხელს და უკრავდა თავის ტანგოს. ტალიტაც გაბრაზდებოდა, აღმაცერად გადახედავდა ოლივეირას. ტრეველერს გარკვევით კი არაფერი უთქვამს, მაგრამ მაინც ჩააგონა ტალიტას ის აზრი, რომ ოლივეირა უცნაური ტიპი იყო და თუმცა ეს ერთი შეხედვითაც ჩანდა, მაგრამ მისი უცნაურობა სხვა რამე უნდა ყოფილიყო, სულ სხვა მხარეს ეხებოდა. ისეთი საღამოე-

ბიც იყო ხოლმე, როცა ყველა თითქოს რაღაცას ელოდებოდა. ისინი კარგად გრძნობდნენ თავს ასე, ერთად რომ იყვნენ, მაგრამ ისეთი განცდა ჰქონდათ, თითქოს ქარიშხლის მოლოდინში გაყუჩებულანო. თუ ასეთ საღამოს „სიტყვების სასაფლაოს“ თამაშს იწყებდნენ და თავისებურად გაუტევდნენ, ისეთი სიტყვები მოდიოდა, როგორცაა ციროზი, ცისტიტი, ციტო, ციტოსკოპია, ციანიდი. ბოლოს მიდიოდნენ დასაძინებლად ისეთი გულდამძიმებულები, რომ მთელი ღამე ეზმანებოდათ სრულიად საპირისპირო მხიარული და სასიამოვნო სიზმრები.

(-59)

41

ორი საათიდან დაწყებული მზე პირდაპირ თვალებში უჭვრეტდა ოლივეირას. ასეთ პაპანაქებაში ძალიან უჭირდა დაგრეხილი ლურსმნების ჩაქუჩით გასწორება (ყველამ იცის რა სახითაა დაგრეხილი ლურსმნების გასწორება, ურახუნებ ჩაქუჩს და როცა გგონია უკვე გასწორდაო, თითქოს ჯიბრბე, უცებ ამოტრიალდება და მწარედ დაიჩეჩევა თითებს, რაღაც გარყვნილი, უზნეო უიღბლობა), შენ კი მაინც ჯიუტად ურტყამ (ყველამ იცის როგორც), ჯიუტად (ყველამ იცის) ურტყამ.

„ერთი მაინც იყოს სწორი, — ფიქრობდა ოლივეირა იატაკზე მიმოფანტულ ლურსმნებს რომ უყურებდა, — ამ დროს რკინა-კავეულის მალაზია დაკეტილია, თუ მაინც წავალ და ვთხოვ ოცდაათიოდე ლურსმნის ყიდვა მინდა-მეთქი, ნამდვილად პანდურით გამომისტუმრებენ. სხვა გზა არ მაქვს უნდა გავასწორო.“

როგორც კი ერთ ლურსმანს ცოტა მაინც გაასწორებდა, თავს ასწევდა, ფანჯრისკენ გაიხედავდა და დაუსტვენდა, ეგებ ტრეველერმა გამოიხედოსო. მისი ფანჯარაც ღია იყო და კარგად ჩანდა ოთახის დიდი ნაწილი, გული ეუბნებოდა რომ ტრეველერს

და ტალიტას იქ ეძინათ; კარგა ხანს კი გააბამდნენ ხოლმე ძილს, მაგრამ იმიტომ კი არა, რომ ცირკში იღლებოდნენ, უბრალოდ წესად ჰქონდათ და ოლივეირაც მათ ამ ჩვევას პატივს სცემდა. ცოტა კი ერიდებოდა ნაშუადღევის სამის ნახევარზე ტრეველერების გაღვიძება, მაგრამ თითები ისე გაულურჯდა და დაუსისხლიანდა, ძეხვივით გაუხდა, საზიზღარი სანახავი იყო. რაც მეტს აკვირდებოდა, მით უფრო ხვდებოდა ტრეველერების გაღვიძების აუცილებლობას. ესეც არ იყოს, საშინლად უნდოდა მათე, ბალახი კი გაუთავდა, უფრო სწორად, სულ ცოტა დარჩა და თუ ტრეველერი და ტალიტა ცოტას კიდევ გადმოუგდებდნენ, ქალაღში გაახვევდნენ ბალახს და სიმძიმისთვის ლურსმნებსაც დაუმატებდნენ, ფანჯრის შეკეთებასაც შესძლებდა.

სწორი ლურსმნები და ბალახი რომ ჰქონოდა, მატესაც მოადულეებდა და სიესტასაც კარგად გადაიტანდა.

„ისეთი ძალით ვუსტვენ, დაუჯერებელია, რომ..“ — ფიქრობდა ოლივეირა და მზებზე ძლივს ახელდა თვალებს. ქვედა სართულზე განთავსებული იყო ფარული ბორდელი, სადაც სამი ქალი და ერთი მოსამსახურე გოგონა მუშაობდა, იქიდან ვილაც გამოეხმაურა და მისი მიბაძვა სცადა, მაგრამ ვერ გაარჩევდი, ვინმემ დაუსტვინა, ჩაიდან ათუხთუხდა, თუ უკბილო ბებერმა წაისისინაო. ოლივეირას მოეწონა კიდევ ეს შეჯიბრი, მაგრამ არც უფიქრია მისი გაბიაბრუება და თავისი უნარი უფრო მნიშვნელოვანი შემთხვევისთვის შემოინახა. წიგნების კითხვისას, რაც ძირითადად ღამის პირველი საათიდან დილის ხუთ საათამდე ხდებოდა, თუმცა არა ყოველ ღამე, მან გამოიტანა, ცოტა არ იყოს, უსიამოვნო დასკვნა, რომ ლიტერატურაში თურმე სტვენას ძალზე მცირე ყურადღება ექცევა. ძალიან ცოტა იყო ასეთი მწერალი, რომლის პერსონაჟი უსტვენდა, თითქმის არავინ, თითქმის ყველა განწირული იყო ერთნაირი, ერთფეროვანი მეტყველებისთვის (ლაპარაკი, პასუხი, სიმღერა, ყვირილი, ბუტბუტი, კბილებში გამოცრა, გამოთქმა, ჩურჩული, წამოძახება და წარმოთქმა), მაგრამ არც ერთ პერსონაჟს, ქალი იქნებოდა თუ კაცი, არ აღუნიშნია თავისი ეპოპეის დამაგვირგვინებელი წუთი ნამდვილი სტვენით, მინებს რომ დაამსხვრევდა. ინგლისელი სკვაირე-

ბი სტვენით იხმობდნენ თავიანთ მწევარ-მეძებრებს, დიკენსის ზოგიერთი პერსონაჟი კი სტვენით აჩერებდა კებს. არგენტინულ ლიტერატურაშიც ცოტას უსტვენდნენ, რაც სამარცხვინო იყო. ამ მხრივ ოლივეირას კამბასერესი მიაჩნდა მანესტროდ, თუმცა სათაურების მეტი მისი არაფერი ჰქონდა წაკითხული. ზოგჯერ წარმოიდგენდა ხოლმე იმ დროს, როცა ხილული თუ ფარული გზებით სტვენა არგენტინაშიც შეაღწევდა, გაახვევდა თავის ბრწყინვალეებაში და გაოცებულ სამყაროს წარუდგენდა ამ ხორცის ქვეყნის შინაგან სახეს, რომელსაც არაფერი აქვს საერთო იმ სარეკლამო ვერსიასთან, რომელსაც წარმოადგენენ ხოლმე საელჩოები, საკვირაო გამოშვებები თუ გაინსა მიტრე პასისა და ბოკა ხუნიორსის აბდაუბდა კლიპები, და მით უმეტეს, არც ბაგუალას ნეკროფილურ კულტთან და ბოედოს კვარტალთან. „ბოზიშვილი! (ლურსმანს) არ გაცლიან მშვიდად ფიქრს, შენი დედა ვატირე!“. სხვათა შორის, ამგვარი ფიქრები ზიზღსაც კი ჰგვრიდა სიმარტივის გამო, თუმცა კი დარწმუნებული იყო, რომ არგენტინა სინდისზე უნდა შეაგდო, სინდისის ის გრძნობა გაულვიძო, საუკუნეების მიღმა რომ იყო დამალული ათასგვარი უზურპაციების გამო, რაზეც ასე კარგად წერდნენ არგენტინელი ესეისტები, და რამენაირად ისე უნდა წარმოაჩინო, რომ სერიოზულად არ აღიქვან, როგორც ეს თავად სურს. მაგრამ ვინ გაბედავდა ის მასხარა ყოფილიყო, რომელიც განძარცვავდა მის გაუგონარ სიამაყეს? ვინ გაბედავდა პირში დაეცინა მისთვის, ისე, რომ სირცხვილისგან გაწითლებულიყო, ან იქნებ გამგებიანი ღიმილით და მადლიერებით გაეღიმა?

ეი, ყმაწვილო, მაინც რა ასეთი ახირებაა გაიმწარო მთელი დღე? აბა, შეხედე, ეს ლურსმანი არც ისე ჯიუტია როგორც დანარჩენი, მგონი უფრო დამჯერედ გამოიყურება.

„რა საშინელი სიცივეა“, გაიფიქრა ოლივეირამ, რადგან სჯეროდა თვითშთაგონების ზემოქმედების. ოფლი წურწურით ჩამოსდიოდა სახეზე და თვალებს უვსებდა, ვერაფრით ახერხებდა ჩაქუჩის დარტყმას ლურსმნის გაღუნულ მხარეზე, რადგან ლურსმანი მაშინვე უსხლტებოდა გაოფლიანებული თითებ()დან (სიცივისგან) და ჩაქუჩიც ჩალურჯებულ თითებზე (სიცივისგან)

ხვდებოდა. თითქოს ეს არ კმაროდა, ახლა მზემ დააჭირა ფანჯარას (ეს მზე კი არა, მთვარე იყო დათოვლილ სტეპებს რომ დაანათა. ის კი უსტვენდა, აქებებდა ცხენებს, რომლებიც მის ტარანტასს მიაქროლებდნენ), სამი საათისთვის ოთახში კუთხე აღარ იყო დარჩენილი, სადაც თოვლი არ იდო, იგი ნელ-ნელა იყინებოდა, მალე ძილქუში მოაწვებოდა, ისე კარგად რომ არის აღწერილი სლავი მწერლების ნაწარმოებებში, თითქოს განზრახ გამოეწვიოთო, და მისი სხეული დაიმარხებოდა უკიდევანო სტეპების მკვდრისფერი-თეთრი ყვავილების ქვეშ. ეს კარგია; მკვდრისფერი-თეთრი ყვავილები უკიდევანო სტეპებში. და სწორედ იმ წუთში მთელი ძალით დაირტყა ჩაქუჩი ცერა თითზე. ისეთმა კანკალმა აიტანა, რომ იატაკზე გაგორდა, სულ რომ არ გაყინულიყო.

როცა, ბოლოს და ბოლოს, ნელა წამოჯდა, ხელებს წაღმა-უკუღმა იქნევდა, ოფლი ღვარად ჩამოსდიოდა, თავით-ფეხამდე სველი იყო, მაგრამ ან თოვლი დნებოდა, ან მსუბუქი ჭირხლი იყო, უკიდევანო სტეპების მკვდრისფერ-თეთრ ყვავილებს რომ მოჰყვება ხოლმე და მგლების ბეწვს რომ გაახალისებს.

ტრეველერი თან პიჟამოს შარვალს იკრავდა და თან ფანჯრიდან უყურებდა, როგორ ებრძოდა ოლივეირა თოვლს და სტეპებს.

ის-ის იყო აპირებდა ტალიტასთვის ეთქვა, ოლივეირა იატაკზე გორაობს და ხელებს იქნევსო, მაგრამ მალე მიხვდა, რომ მდგომარეობა საკმაოდ მძიმე იყო და ჯობდა მკაცრ და გულგრილ მაყურებლად დარჩენილიყო.

— როგორც იქნა გამოიხედა, შენი დედა ვატირე, — თქვა ოლივეირამ. — ნახევარი საათია გისტვენ. შეხედე, როგორ დავიჩინქვე ხელები.

— აბა, გაბარდინით ვაჭრობა გეგონა? — უთხრა ტრეველერმა.

— არა, ლურსმნების გასწორებაა, ვიცი, ჩე. მე ახლა რამდენიმე სწორი ლურსმანი მჭირდება და ცოტა ბალახი.

— ეს იოლი საქმეა, — უთხრა ტრეველერმა, — მომიცადე.

— პარკში ჩადე და გადმომიგდე.

— კარგი, — უთხრა ტრეველერმა, — მაგრამ ახლა მგონი სამბარეულოში შესვლა შეუძლებელია.

— რატომ? — ჰკითხა ოლივეირამ, — რა ასეთი შორსაა.

— შორს კი არაა, მაგრამ თოკებია გაბმული და სარეცხია გაფენილი. — ქვეშ გაძვერი, — უთხრა ოლივეირამ, — ან სულაც თოკი გაჭერი.

მერე როგორ ტყაპუნობს სველი პერანგი ფილებზე, გასაგიჟებელია.

თუ გინდა, ჯიბის დანას გადმოგიგდე. დაგენიძლავები, რომ პირდაპირ ფანჯრის რაფაში ჩაერთობა. ბავშვობაში ათი მეტრის მანძილიდან ვარჯობდი ხოლმე ჯიბის დანას.

— ერთი ცუდი ზნე გჭირს, — თქვა ტრეველერმა, ნებისმიერ პრობლემას სულ შენს ბავშვობას უკავშირებ, სულ იმას გიჩინებ, იუნგი წაიკითხე-მეთქი, ჩე. რას აიკვიატე ეგ შენი ჯიბის დანა, ვისაც გინდა ჰკითხო, გეტყვის ეს საპლანეტთაშორისო იარაღიაო.

რაზეც არ უნდა დაგელაპარაკოს კაცი, მაშინვე ჯიბის დანაზე მოჰყვები. ერთი ისიც მითხარი, რა საერთოს ხედავ ბალახსა და ლურსმანს შორის.

— შენ ვერ მიჰყვები ჩემი აზრის მდინარეებს... — თქვა განაწყენებულმა ოლივეირამ, — ჯერ ვთქვი თითი დავიჩენქვე-მეთქი, მერე ვახსენე ლურსმნები, ამის შემდეგ შენ თქვი, თოკები ხელს მიშლის სამბარეულოში რომ შევიდეთ და სრულიად ლოგიკური იყო, რომ თოკების ხსენებაზე ჯიბის დანაც გამხსენებოდა. შენ

უთუოდ წაკითხული გექნება ედგარ პო, ჩე. თოკი თუ გაქვს, გადაბმაც უნდა იცოდე, აზრების გადაბმის კი რა გითხრა.

ტრეველერი ფანჯრის რაფას დაეყრდნო და ქუჩას გადახედა.

ქვაფენილზე ნელ-ნელა მიცოცავდა ჩრდილი, მაგრამ პირველი სართულის ზემოთ კი, მზის ყვითელი ნივთიერება ყოველ მხარეს მოედო და ოლივეირას მთელი სახე წაუშალა.

— დღისით მზე კარგ დღეში გაგდებს, გეტყობა, — უთხრა ტრეველერმა. — არა, მზე არა, — თქვა ოლივეირამ, — შეგეძლო მიმხვდარიყავი, რომ ეს მთვარეა და საშინლად ყინავს. ეს ხელი კი იმიტომ გამილურჯდა, რომ მომეყინა, ახლა განგრენაც დამეწყება და ორიოდე კვირის შემდეგ კი ცხვირპაჭუსა თავშესათარში ჩემთვის გლადიოლუსების მოტანა მოგიწევს.

— მთვარე? — თქვა ტრეველერმა და ზევით აიხედა. — ვაითუ ვიეიტესის საგიჟეთში მომიხდეს შენს სანახავად მოსვლა.

— იქ ფასიან ავადმყოფებს იღებენ და თანაც ძალიან მძიმეც არ უნდა იყოს, — თქვა ოლივეირამ, — აბა, რა სისულელეებს მიედ-მოედები, მანუ.

— რამდენჯერ გაგიმეორო, მანუს ნუ მეძახი-მეთქი.

— ტალიტა თუ გეძახის მანუს, — თქვა ოლივეირამ და ისე მოიქნია ხელი, თითქოს უნდოდა მოსწყვეტოდა.

— განსხვავება შენსა და ტალიტას შორის, — თქვა ტრეველერმა, — ხელის შეხებითაც ადვილი მისახვედრია. რატომ უნდა გაიმეორო მისი ნათქვამი. მეზიზღება კიბორჩხალა-განდევილებიც და ყველა სახის სიმბიოზები, ლაქენები და პარაზიტები.

— შენი დელიკატურობა პირდაპირ გულში მხვდება, — თქვა ოლივეირამ.

— მადლობას მოგახსენებ, ჯობია ისევ ბალახსა და ლურსმნებს დავუბრუნდეთ. ლურსმნები რაში დაგჭირდა?

— ჯერ არ ვიცი, — თქვა ოლივეირამ, ცოტა კი დაიბნა. — უბრალოდ, თუნუქის კოლოფი მომხვდა ხელში და როცა გავხსენი სულ გაღუნული ლურსმნებით იყო სავსე. მეც დავიწყე გასწორება, თანაც ასეთ სიცივეში და თანაც მგონია, როცა უკვე გასწორებული ლურსმნები მექნება ხელში, მაშინ იმასაც გავიგებ, რისთვის მჭირდება.

— საინტერესოა, თქვა ტრეველერმა — და დაჟინებით შეხედა, — ზოგჯერ საინტერესო რაღაც გემართება, ჯერ ლურსმნები და მერე მათი გამოყენება. ამას მაღალ კლასებში თუ ასწავლი, ძმაო.

— შენ ხომ ყოველთვის გესმოდა ჩემი, — უთხრა ოლივეირამ, — და ბალახიც, ხომ იცი, იმიტომ მჭირდება, მაგარი ნაყენი რომ მოვამზადო.

— კარგი, — თქვა ტრეველერმა, — დამიცადე, თუ დიდხანს დავიგვიანებ, დამისტვინე, შენი სტვენა ტალიტას ძალიან ართობს.

ოლივეირა ტუალეტისკენ გაემართა, გზადაგზა ხელებს იქნევდა, პირზე წყალი შეისხა, თმაც დაისველა, მაისური ლამის გასაწური იყო, ამიტომ ისევ ფანჯარასთან მივიდა, რომ ის თეორია შეემოწმებინა, რომლის მიხედვით, როცა სველ ქსოვილს მზის სხივები ხვდება, ეს იწვევს სიცივის შეგრძნებას. „დავუშვათ რომ მოვკვდე, — თავისთვის თქვა ოლივეირამ, — და გაზეთის პირველ გვერდზე ვერ წავიკითხო ყველა დროის უმნიშვნელოვანესი ახალი ამბავი: „პიზას კოშკი დაეცა!“, ამის გაფიქრებაც კი საწყენია.“

და მან დაიწყო გაზეთის სათაურების შეთხზვა, ეს ყოველთვის შველოდა დროის გაყვანაში. „შალის ძაფი გარს ეხვევა და იგი იხრჩობა დასავლეთის შალის ძაფით.“ მან ორასამდე დათვალა, მაგრამ მეტს ველარ იგონებდა.

— აქედან უნდა გადავიდე, — ჩაიბუტბუტა ოლივეირამ, — ეს ოთახი მეტისმეტად მეპატარავება. ალბათ ცირკში მომიჩვენეს მუშაობა, მანუსთან და მათთან ცხოვრებაც. ბალახი!

არავინ უპასუხა.

— ბალახი, — ჩაილაპარაკა ოლივეირამ. — ბალახი, ჩე. ასე ნუ მექცევი მანუ. ხომ შეიძლებოდა გვესაუბრა ფანჯრიდან, შენთან და ტალიტასთან, იქნება სენიორა დე გუტუსოც მოსულიყო, ან შიკრიკი გოგონაც, ვითამაშებდით „სიტყვების სასაფლაოს“, ანდა სხვა რამეს.

„ბოლოს და ბოლოს, — გაიფიქრა ოლივეირამ, — „სიტყვების სასაფლაო“ მარტოსაც შემეძლო მეთამაშა“.

იგი წავიდა ესპანეთის სამეფო აკადემიის ლექსიკონის მოსაძებნად, რომელზეც სიტყვა „სამეფო“ ყდაზე დაუნდობლად იყო ამოფხევილი, თან ალაღბედზე გადაშალა წიგნი და მანუსთვის მოამზადა „სიტყვების სასაფლაოს“ ამოცანა:

„როცა დაიღალა კლიენტებისა და მათი კლექტომანიებისგან, კლაუსტროფობიებისა და კლიმაქსებისგან, წაიყვანა ისინი კლინიკაში, და ბრძანა მთელი ამ კრებულისთვის კლოაკაში კლიბმა გაეკეთებინათ.“

— შენ მოგიტყან... — წარმოთქვა აღტაცებულმა ოლივეირამ და გაიფიქრა, რომ ეს გამოთქმაც შეიძლებოდა ახალი თამაშის საწყისად გამოეყენებინა, მაგრამ სასაფლაოზე ვერ ნახა, თუმცა სამაგიეროდ, ის უხვად იყო, სადაც ტყვეებს ტყეში ტყვიებს ტყუილად არტყამდნენ და ისინიც ტყაპა-ტყუპით ეტყეპებოდნენ ძირს.

„მართლაც რომ სასაფლაოა, — გაიფიქრა, — ვერ გამიგია როგორ უძლებს ეს ყდა ამდენ სიბინძურეს“.

მან ახლა სხვა თამაშის შეთხზვა დაიწყო, მაგრამ არაფერი გამოუვიდა. მერე გადაწყვიტა სახასიათო დიალოგები შეედგინა და იმ რვეულს დაუწყო ძებნა, სადაც იწერდა ხოლმე სარდაფებში, კაფეებსა და ტავერნებში მიღებულ შთაბეჭდილებებს. მართლაც, თითქმის დასრულებელი სახით ჰქონდა ჩაწერილი ესპანელებისთვის დამახასიათებელი საუბარი, გადაიკითხა, კიდევ

ერთი დოქი წყალი გადაისხა მაისურზე და ცოტა კიდევ შეასწორა.

ესპანელებისთვის დამახასიათებელი დიალოგი ლოპესი — მთელი ერთი წელი ვცხოვრობდი მადრიდში. მოგეხსენებათ, ეს იყო 1925 წელს და...

პერესი — მადრიდში? სწორედ გუშინ ვეუბნებოდი დოქტორ გარსიას...

ლოპესი — 1925—1926 წლებში ვიყავი უნივერსიტეტში ლიტერატურის პროფესორი.

პერესი — მეც ამას ვეუბნებოდი: „მეგობარო, ყველამ, ვისაც კი მადრიდში უცხოვრია, იცის რას ნიშნავს ეს”.

ლოპესი — საგანგებოდ ჩემთვის შექმნეს კათედრა, რომ ლიტერატურის კურსი წამეკითხა.

პერესი — სწორედაც, სწორედაც. აკი მეც ამას ვეუბნებოდი გუშინ დოქტორ გარსიას, ის ხომ ჩემი კარგი მეგობარია...

ლოპესი — ცხადია, როცა იქ ერთ წელიწადზე მეტს იცხოვრებ, იმასაც კარგად გაიგებ, რომ სასურველია სწავლების დონე უკეთესი იყოს.

პერესი — ის ხომ პაკო გარსიას შვილია, რომელიც ვაჭრობის მინისტრი გახლდათ და ხარების მოშენებას მისდევდა.

ლოპესი — სამარცხვინოა, დამიჯერეთ, მართლაც სამარცხვინო.

პერესი — ასეა, მეგობარო, რაზეა ლაპარაკი. ასე რომ, ეს დოქტორი გარსია...

ოლივეირა ცოტა დაღალა ამ დიალოგმა და რვეული დახურა. „შივა, — უცბად გაიფიქრა. — ოჰ, კოსმიური მოცეკვავევ, როგორ გაბრწყინდებოდი, უსაზღვრო ბრინჯაოდ ამ მზის ქვეშ.

რამ გამახსენა შივა? ბუენოს აირესი. აქ ცხოვრობ. რა უცნაურია. იმით დამთავრდება, რომ ენციკლოპედიას მოვკიდებ ხელს, რას გარგებს ზაფხული, ბულბულო. ცხადია, სპეციალიზაცია კიდევ უფრო უარესია, ხუთი წელი მარტო ტრიტინას ყოფაქცევას რომ სწავლობდე. აბა, ბიჭო, ერთი ეს უცნაური სიაც ვნახოთ, ნეტავ რა უნდა იყოს...”

ეს იყო გაყვითლებული ფურცელი, რაღაც საერთაშორისო ხასიათის საბუთიდან ამოგლეჯილი, იუნესკოს ან სხვა რომელიმე მსგავსი გამოცემა, ჩამოთვლილი იყო ბირმის საბჭოს წევრების სახელები.

ოლივეირაც როგორ შეეღეოდა იმ სიამოვნებას, რასაც ეს სია მიანიჭებდა, აიღო ფანქარი და შეუდგა ამ აბდაუბდის გადაწერას.

U Nu,

U Tin,

Mya Bu,

Thado Thiri Thudama U E Maung,

Sithu U Cho,

Wunna Kyaw Htin U Khin Zaw,

Wunna Kyaw Htin U Myo Min,

Thiri Pyanchi U Thant,

Thado Maha Thray Sithu U Chan Htoon.

„სამი Wunna Kyaw Htin ცოტა არ იყოს, ერთნაირი ჩანს, — თქვა მან, სტრიქონებს რომ დაჰყურებდა, — ალბათ რაღაც ამის მსგავსს უნდა ნიშნავდეს — თქვენო ბრწყინვალე უმაღლესობავ.

ჩე, ესეც რა მშვენიერია – Thiri Pyanchi U Thant რაღაც უკეთესად ჟღერს. ან როგორ უნდა წარმოთქვა ეს Htoon?”

– სალამი, – თქვა ტრეველერმა.

– სალამი, – თქვა ოლივეირამ. – მაინც როგორ ცივა, ჩე.

– მაპატიე, რომ გაცდევინე. ხომ იცი, ლურსმნები...

– რასაკვირველია, – თქვა ოლივეირამ. – ლურსმანი, მით უმეტეს, თუ სწორია. პარკში ჩადე?

– არა, – უთხრა ტრეველერმა და მკერდი მოიფხანა. – ეს რა საშინელი დღეა, ჩე. ნამდვილი ცეცხლივითაა.

– ერთი შეხედე, – თქვა ოლივეირამ და თავის სრულიად მშრალ მაისურზე დაიდო ხელი. – სალამანდრასავით ხარ ადამიანი, ამ ჩაუქრობელი ცეცხლის სამყაროში იწვები. მოიტანე ბალახი?

– არა, – უთხრა ტრეველერმა, – ბალახი სულ დამავიწყდა ლურსმნების მეტი ვერაფერი მოვიტანე.

– კარგი, ჰო, ახლა წადი და ბალახი მოძებნე, პარკში ჩადე და გადმომიგდე.

ტრეველერმა თავის ფანჯარას შეხედა, მერე ქუჩა შეათვალიერა და ბოლოს ოლივეირას ფანჯარა.

– ჩემი გასაჭირიც ეს არის, – თქვა მან, – ხომ იცი, რომ მიგანში სროლა არასოდეს მეხერხებოდა, ორი მეტრის მანძილიდანაც კი ვერ ვახვედრებ, ამის გამო ცირკში სულ დამცინიან.

– მაგრამ აქამდე ხელითაც კი მომწვდები, – თქვა ოლივეირამ.

– როგორც შენ იტყვი, როგორც შენ იტყვი, ლურსმნები ვინმეს თავზე რომ დაეცეს, მერე ნახე რა დავიდარაბა ატყდება.

– შენ პარკი გადმომიგდე და მერე ვითამაშოთ „სიტყვების სასაფლაო“, – უთხრა ოლივეირამ.

– ჯობია შენ თვითონ მოხვიდე და წაიღო.

– შენ ხომ არ გაგიჟდი, ბიჭო? ჯერ სამი სართული უნდა ჩავი-
არო, ამ ყინვაში ქუჩაზე გადავიარო, მერე უკანვე დავბრუნდე და
სამი სართული ზევით ავიარო, ასეთი რამ „ბიძია თომას ქობ-
შიც“ არ ხდება.

– შენ გინდა თქვა, მე უნდა გავერთო ამ საღამოს ალპინიზ-
მით?

– ასეთი რამ არც მიფიქრია, – უთხრა ლმობიერად ოლივე-
ირამ.

– ან ის ხომ არ გინდა, საკუჭნაოში ფიცარი მოვძებნო და ხი-
დი გავდო.

– ეს კარგი აზრია, – თქვა ოლივეირამ, – თანაც არცთუ ყვე-
ლაზე უარესი, ოღონდ ლურსმნების დაჭედება მოგვიწევს, მე
ჩემს მხარეზე, შენ შენს მხარეზე.

– კარგი, დამელოდე, – თქვა ტრეველერმა და თვალს მიეფა-
რა.

ოლივეირამ კი იმაზე დაიწყო ფიქრი, როგორ დაეჯაბნა ტრე-
ველერი პირველი შესაძლებლობისთანავე. ჯერ „სიტყვების სა-
საფლაო“ გადაათვალიერა, მერე ერთი დოქი წყალიც გადაისხა,
ფანჯარასთან დაჯდა და მზეს მიეფიცხა. ტრეველერმაც არ და-
აყოვნა და გამოჩნდა, უზარმაზარ ფიცარს მიათრევდა ფანჯრის-
კენ. ოლივეირამ დაინახა, რომ მეორე მხარე ტალიტას ეჭირა და
მისალმების ნიშნად ერთი კარგად დაუსტვინა. ტალიტას მწვანე
საბანაო ხალათი ისე ჰქონდა შემოტმასნილი, რომ ადვილი შე-
სამჩნევი იყო, შიშველ ტანზე ეცვა.

– რა სწრაფად შრები, – თქვა ტრეველერმა ხვნეშით, – რა
ხათაბალაში გაგვაბი.

ოლივეირამ დაინახა, რომ ხელსაყრელი დრო დადგა.

— გაჩუმდი, მირიაპოდო ორმოცფეხავ, სიგრძით ათიდან თორმეტ სანტიმეტრამდე ხარ, ოცდაერთი რგოლიანი წყვილი თათი მაქვს და ოთხი თვალი, გარქოვანებული ყბები, კბენის დროს შესამიან სითხეს რომ გამოჰყოფს, — ერთი ამოსუნთქვით წარმოთქვა მან.

— გარქოვანებული ყბები, — შენიშნა ტრეველერმა, — აი ეს მესმის. თუ კიდევ უფრო შორს გამოვწევთ ფიცარს ფანჯრიდან, ერთ წუთში გრავიტაციის ძალის კანონით ჯანდაბაში წავალთ, ტალიტაც და მეც.

— ალბათ, — თქვა ოლივეირამ, — მაგრამ ისიც გაითვალისწინე, რომ ფიცარი მაინც შორსაა ჩემგან და ხელით ვერ მივწვდები.

— შენც ცოტა წინ წამოსწიე გარქოვანებული ყბები, — უთხრა ტრეველერმა.

— არ გამომდის, ჩე. ესეც არ იყოს, კარგად იცი, რომ horror vacui[197] მჭირს. მე წესით მოაზროვნე ლერწამი გახლავარ.

— ერთადერთი ლერწამი, რომელიც შენ იცი, პარაგვაიში იზრდება, — უთხრა განრისხებულმა ტრეველერმა, — მართლა აღარ ვიცი, რა ვქნა, ფიცარი თანდათან დამძიმდა, ხომ იცი, წონა ფარდობითია. როცა მოგვექონდა მსუბუქი ჩანდა, თუმცა მზე ისე არ აცხუნებდა, როგორც ახლა.

— ისევ ოთახში შეიტანე, — თქვა ოლივეირამ და ამოიოხრა, — ჯობია ასე გავაკეთოთ, მე მაქვს აქ კიდევ ერთი ფიცარი, ასეთი გრძელი არ არის, მაგრამ უფრო განიერია. მე თოვს მოვაბამ ბოლოში, გავაკეთებ ყულფს და ორივე ფიცარი როგორმე გადავაბათ. მეორე ბოლოს დავამაგრებ საწოლზე, თქვენ კი თქვენი დაამაგრეთ რამეზე.

— ჩვენსას კომოდის უჯრაში გავამაგრებ, — თქვა ტალიტამ, — ამასობაში შენ შენი ფიცარი მოათრიე, ჩვენ ჩვენსას მოვუვლით.

„როგორ ართულებენ ყველაფერს“, — ფიქრობდა ოლივეირა ფიცრის მოსატანად რომ მიდიოდა; ფიცარი კი დერეფანში, მის ოთახსა და თურქი ექიმბაშის ოთახის კარებს შორის იყო მიყუდებული. კედრის ფიცარი კარგად იყო გაშალაშინებული. ორი თუ სამი ნახვრეტი ჰქონდა, ამოვარდნილი ნუჟრებისგან დარჩენილი, ოლივეირამ თითოთ მოსინჯა, ეგებ თოკი გავაძვრინო. დერეფანში ბნელოდა (შეიძლება ასე ეჩვენა მზით განათებული ოთახის მერე). თურქის კარებთან სკამი იდგა, რომელზეც ძლივს ეტეოდა ძაძებში გახვეული სენიორა. ოლივეირა მიესალმა, ფიცრის უკანა მხრიდან გამოხედა, უზარმაზარი, გამოუსადეგარი ფარივით წინ რომ აეყუდებინა.

— დღე მშვიდობისა, დონ, — უთხრა შაოსანმა ქალმა, — რა პაპანაქებაა. — პირიქით, სენიორა, — უთხრა ოლივეირამ, — მე თუ მკითხავთ, საშინელი ყინვაა.

— ეს რა ხუმრობაა, სენიორ, — თქვა სენიორამ, — ავადმყოფს პატივი უნდა სცეთ.

— მაგრამ თქვენ ავადმყოფობისა არაფერი გეტყობათ, სენიორა.

— არაფერი? როგორ მიბედავთ?

„ამასაც რეალობა ჰქვია, — გაიფიქრა ოლივეირამ, აიღო ფიცარი და გადახედა შავებიან ქალს, — ის, რასაც მე ყოველ წამს რეალობად აღვიქვამ, შეიძლება არც იყოს რეალობა, შეიძლება არც იყოს“.

— შეუძლებელია, — თქვა ოლივეირამ.

— წადით აქედან, თავხედო, — თქვა სენიორამ, — უნდა გრცხვენოდეთ, რომ ამ დროს მაისურით გამოდინხართ სახლიდან.

— მასლორენსის ფირმისაა, სენიორა, — უთხრა ოლივეირამ.

— საზიზღარო, — თქვა სენიორამ.

„ამასაც რეალობა ჰქვია, — ფიქრობდა ოლივეირა და ფიცარს ხელს უსვამდა, — ეს ვიტრინაა, ორმოცდაათი თუ სამოცი საუკუნის მანძილზე მოვლილი და განათებული ათასობით ხელით, წარმოსახვით, კომპრომისებით, პაქტებით, გასაიდუმლოებული თავისუფლებით”.

— ძაღლის კუდი არ გასწორდება, — ამბობდა შაოსანი სენიორა.

„განა შეიძლება კაცმა თავი სამყაროს ცენტრად წარმოიდგინოს, — ფიქრობდა ფიცარზე მოხერხებულად მიყრდნობილი ოლივეირა, — ეს ხომ სრული იდიოტობაა. შენი თავის ცენტრად წარმოდგენა ისეთივე ილუზიაა, როგორც ყოველგანმყოფობა. არ არსებობს ცენტრი, არის მხოლოდ ერთგვარი უწყვეტი ურთიერთშერწყმა, მატერიის ტალღისებრი მოძრაობა. მე მთელი ღამე უძრავი სხეული ვარ, მაშინ როცა ქალაქის მეორე ბოლოში ქალაღდის რულონი დილის გაბეთად უნდა გადაიქცეს, რვა საათსა და ორმოც წუთზე მე გავალ სახლიდან, ხოლო მ საათსა და ოც წუთზე გაბეთი უკვე ჯიხურში უნდა იყოს, ქუჩის კუთხეში, ბუსტად მ საათსა და ორმოცდახუთ წუთზე გაბეთი და ჩემი ხელი შეერთდება და ერთად ამოძრავდება ჰაერში, მოძრავი ტრამვაის იატაკიდან ერთი მეტრის დაშორებით...”

— ეს დონ ბუნჩეც ვეღარ შეელია იმ ავადმყოფს, — თქვა შაოსანმა ქალმა.

ოლივეირამ ასწია ფიცარი და ოთახში შეიტანა. ტრეველერი ანიშნებდა ცოტა აჩქარდით და მის დასამშვიდებლად ორჯერ ომახიანად დაუსტვინა. თოკი კარადის თავზე იდო, მარტო სკამი უნდა მიეჩოჩებინა და ზედ შემდგარიყო.

— იქნებ ცოტა იჩქარო, — უთხრა ტრეველერმა.

— ახლავე, ახლავე, — გასძახა ოლივეირამ და ფანჯარაში გაიხედა, — თქვენი ფიცარი კარგად დაამაგრეთ, ჩე?

– ერთი კომოდის ბოლო უჯრაში გავჭედეთ, ტალიტამ კი ზემოდან კილეთის თვითგანათლების ენციკლოპედია დაადო.

– ურიგო არ არის, – თქვა ოლივეირამ, – მე ჩემსას Statens Psykologisk–Pedagogiska Institut–ის[198] მთელი წლის კომპლექტს დავაწყო, რომელსაც ვიღაც უგზავნის ხეკრებტენს.

– ერთი რამ მაინც ვერ გამიგია, როგორ უნდა შევავროთ ეს ფიცრები – თქვა ტრეველერმა, თან ცდილობდა კომოდი ფანჯარასთან მიეჩოჩებინა და ფიცარი გარეთ გაედო.

– ეს ორი ასირიელი ბელადის ამბავს ჰგავს, ქალაქის კედლებს ტარანით ანგრევდნენ, – თქვა ტალიტამ, რომელიც ტყუილად როდი იყო ენციკლოპედიის მფლობელი. – ეგ ჟურნალები გერმანულია?

– შეედურია, სულელო, – თქვა ოლივეირამ, მასში ლაპარაკია ისეთ რამეებზე, როგორცაა Mentalhygieniska synpunkter i förskoleundervisning[199]. დიდებული სიტყვებია, ღირსშესაფერი იმ ყმაწვილი სნორი სტურლუსონისთვის, არგენტინის ლიტერატურაში ხშირად რომ ახსენებენ. ნამდვილი ბრინჯაოს გულსაბნევივით გამოიყურება თან, არწივის გამოსახულება რომ ახლავს თილისმასავით.

– ნორვეგიის შმაგი ქარაშოტები, – თქვა ტრეველერმა.

– მართლაც განათლებული კაცი ხარ თუ თავი მოგაქვს? – ჰკითხა ცოტა არ იყოს გაკვირვებულმა ოლივეირამ.

– ვერ გეტყვი, რომ ცირკში ბევრ დროს არ ვვარგავდე, – თქვა ტრეველერმა, – მაგრამ იმდენი მაინც მრჩება, რომ შუბლზე ვარსკვლავი მივიკრა. ვარსკვლავი ყოველთვის მაშინ მახსენდება, როცა ცირკზე ჩამოვარდება ხოლმე სიტყვა, წმინდა წყლის კონტამინაცია.

საიდან და როგორ გაჩნდა? შენ არ იცი, ტალიტა?

— არა, — თქვა ტალიტამ და ფიცრის სიმყარე შეამოწმა, ალბათ რომელიმე პუერტორიკოული რომანიდანაა.

— ყველაზე მეტად ის მაწუხებს, რომ ვიცი სადაც წავიკითხე.

— რომელიმე კლასიკოსთან ხომ არა? — ჩაეკითხა ოლივეირა.

— არ მახსოვს, რაზე იყო, — თქვა ტრეველერმა, — მაგრამ წიგნი კი მართლაც დასამახსოვრებელი იყო.

— ეტყობა, — თქვა ოლივეირამ.

— ჩვენი ფიცარი საკმაოდ სანდოა, — თქვა ტალიტამ, — ახლა ის არ ვიცი, როგორ აპირებ შენსას გადააბა.

ოლივეირამ დაამთავრა თოკის გამოსხნა, შუაზე გაჭრა და ერთი ნახევრით ფიცარი საწოლზე მიაბა, მერე ფანჯარაზე დადო და საწოლი ნელ-ნელა მიაჩონა ფანჯარასთან: ფიცარი ქვევით დაეშვა და ტრეველერის ფიცარზე გაჩერდა, საწოლის ფეხები კი ორმოცდაათი სანტიმეტრით აიწია იატაკიდან. „თუ ვინმე ამ ხილზე შედგებოდა, ხომ კიდევ უფრო აიწეოდა“, გაიფიქრა ოლივეირამ, შეწუხებული ახლა კარადასთან მივიდა და სცადა საწოლთან ახლოს მიეჩონებინა.

— არაფერი გაქვს გასამაგრებელი? — ჰკითხა ტალიტამ, იგი ფანჯრის რაფაზე იჯდა და უყურებდა, რაც ხდებოდა ოლივეირას ოთახში.

— რამე ზომებს მივიღებთ უბედური შემთხვევის თავიდან ასაცილებლად, — თქვა ოლივეირამ.

მან სულ ახლოს მისწია საწოლთან კარადა და ფრთხილად სცადა საწოლზე დაედგა. ტალიტა აღტაცებული იყო ოლივეირას ძალ-ღონით.

ისევე, როგორც ტრეველერის მოხერხებულობითა და გამომგონებლობით, „მართლაც რომ ორივე გლიპტოდონტია“ —

ფიქრობდა გაოცებული. წარღვნამდელი ეპოქა ყოველთვის სიბრძნის არნახულ პერიოდად ეჩვენებოდა.

კარადამ სიჩქარე განავითარა და ისე დაეცა საწოლზე, რომ თითქმის მთელი სართული აზანზარდა. ქვევიდან გაისმა ყვირილი და ოლივეირამ გაიფიქრა, რომ მისმა მეზობელმა თურქმა ალბათ შამანური ძალის დიდი მოწოლა განიცადა, მან გაასწორა კარადა და დაჯდა ფიცრის იმ ნაწილზე, რომელიც ოთახში იყო.

— ახლა კი ნებისმიერ წონას გაუძლებს, — გამოაცხადა მან, — ტრაგედია არ დატრიალდება, ქვედა სართულის გოგონებს, რომლებსაც ასე ვუყვარვართ, იმედი გაუცრუვდებათ. მათთვის არაფერს აზრი არა აქვს, თუ ვინმე ქუჩაში თავ-პირს არ დაიმტვრევს.

ასეთია ცხოვრებაო, ამბობენ.

— ფიცრებს თოკით არ გადააბამ? — ჰკითხა ტრეველერმა.

— მომისმინე, — უთხრა ოლივეირამ, — შენ ხომ კარგად იცი, სიმაღლეზე თავბრუ მეხვევა და ვერ შევძლებ. მარტო სიტყვა „ევერესტის“ ხსენებაზე ცახცახი ამიტანს ხოლმე. ბევრი რამე არ მიყვარს, მაგრამ ყველაზე უფრო შერპა ტენცინგს ვერ ვიტან, დამიჯერეთ.

— მაშასადამე, ჩვენ მოგვიწევს ფიცრების გადაბმა, — თქვა ტრეველერმა. — ეტყობა ასე იქნება, — დაეთანხმა ოლივეირა და მოუკიდა სიგარეტს „43“.

— წარმოგიდგენია, — უთხრა ტრეველერმა ტალიტას, — მას უნდა, რომ შენ გაცოცდე ფიცარზე და ერთმანეთს გადააბა.

— მე? — ჰკითხა ტალიტამ.

— დიახ, შენ, ხომ გაიგე.

— ოლივეირას არ უთქვამს, რომ მე უნდა გავცოცდე ამ ხიდზე.

— არ უთქვამს, მაგრამ ასე კი გამოვიდა. ესეც არ იცოს, უფრო ელეგანტური იქნებოდა, შენ მიგეწოდებინა მისთვის ბალახი.

— მე არ ვიცი როგორ გადავაბა თოკები, — თქვა ტალიტამ, — შენც და ოლივეირამაც იცით კვანძების შეკვრა, ჩემი კვანძები კი მაშინვე იხსნება ხოლმე. უფრო სწორედ, არც იკვრება.

— ჩვენ აგისხნით და გასწავლით, — დაუყვავა ტრეველერმა.

ტალიტამ გაისწორა საბანაო ხალათი და თითზე მიკრული ძაფი მოიშორა. მას უნდოდა, რომ ერთი ღრმად ამოესუნთქა, მაგრამ იცოდა, რომ ტრეველერს ოხვრა-კვნესა აღიზიანებდა.

— შენ მართლა გინდა, რომ ბალახი მე მივაწოდო ოლივეირას? — ჰკითხა ჩუმად.

— ეი, თქვენ, რაზე ლაპარაკობთ მანდ? — ჰკითხა ოლივეირამ, წელამდე გადაიხარა ფანჯრიდან და ორივე ხელით დაეყრდნო თავის ფიცარს, მოსამსახურე გოგომ ტროტუარზე სკამი გამოიტანა და ყურება დაუწყო. ოლივეირამ ხელი დაუქნია. „დროისა და სივრცის ორმაგი გარღვევა, — გაიფიქრა მან, — საბრალოს, ალბათ ჩვენ გიჟები ვგონივართ და ემზადება ნორმალურ მდგომარეობაში ჩვენი თავბრუდამხვევი დაბრუნებისათვის. თუ რომელიმე ჩვენგანი ჩავარდება და სისხლით გაწუწავს, ეს ჩვეულებრივი ამბავი იქნება. ის კი არ იცის, რომ სკამი იმიტომ გამოდგა გარეთ, რომ სისხლი შეშხეფებოდა და არ იცის, რომ ათი წუთის წინ სამზარეულოს გვერდით დაემართა *tedium vitae*—ს[200] შეტევა და დაემართა იმიტომ, რომ სკამი გამოეტანა; და რომ ორ საათსა და ოცდახუთ წუთზე ერთი ჭიქა წყალი რომ დალია, თბილი და საზიზღარი იმიტომ იყო, რომ მის კუჭს — ჩვენი საღამო ჟამის გუნება-განწყობის ამ ცენტრსა და მამოძრავებელს — *tedium vitae*—ს შეტევა გამოეწვია, რასაც მაგნიზია ფილიპსის სამი აბი ერთბაშად შეუჩერებდა; მაგრამ მან ეს არ უნდა იცოდეს, როდის რა დაიწყება და როდის რა შეწყდება, ეს ასტრალური მიმართულების ცოდნაა, თუ ამ უსარგებლო ტერმინოლოგიას გამოვიყენებთ.”

— ჩვენ არ ვლაპარაკობთ, — თქვა ტრეველერმა, — მოამზადე თოკი.

— ეს თოკი ძალიან მაგარია. დაიჭირე, ტალიტა, გადმოგიგდე.

ტალიტა ფიცარზე დაჯდა, ორივე ხელით ჩაეჭიდა, მთელი სხეულით ცოტა წინ გადაიხარა და რამდენიმე სანტიმეტრით წაიწია წინ.

— საშინლად მოუხერხებელი ხალათია, — თქვა მან, — შენი შარვალი ან რამე სხვა მერჩივნა.

— არ ღირდა, — თქვა ტრეველერმა, — ვთქვათ ჩავარდე, ხომ დაიღუპა ჩემი ტანსაცმელი.

— ნუ აჩქარდები, — თქვა ოლივეირამ, — სულ ცოტაც და თოკს გადმოგიგდე ისე, რომ მისწვდე.

— რა ფართო ქუჩაა, — თქვა ტალიტამ, როცა ქვევით ჩაიხედა. — უფრო ფართოა, ვიდრე ფანჯრიდან ჩანს.

— ფანჯრები ქალაქის თვალებია, — თქვა ტრეველერმა, — და ბუნებრივია, ამახინჯებენ იმას, რასაც უყურებენ. შენ კი ახლა იმყოფები უმაღლესი სიწმინდის წერტილში და ყველაფერს ხედავ ისე, როგორც, მაგალითად, ხედავს ცხენი, ან მტრედი, რომლებმაც არც კი იციან, რომ თვალები აქვთ.

— ეს იდეები N.R.F.—ისთვის შემოინახე და ახლა კარგად გადააბი ფიცრები, — ურჩია ოლივეირამ.

— ბუნებრივია, რომ შენ ბრაზდები, როცა სხვები ამბობენ იმას, რაც შენ გინდოდა გეთქვა და მათ დაგასწრეს. ფიცარი კი მე შემიძლია ისე მივაბა, რომ ფიქრი და ლაპარაკი არ შევწყვიტო.

— მე თითქმის შუამდე მოვედი, — თქვა ტალიტამ.

– შუამდე? მაგრამ შენ ხომ ეს-ეს არის ფანჯარას მოშორდი, შუამდე ორი მეტრი კიდევ დაგრჩა.

– ცოტა ნაკლები, – გაამხნევა ოლივეირამ, – ახლა თოკს გადმოგიგდებ. – მეჩვენება თითქოს ფიცარი იღუნება, – თქვა ტალიტამ.

– არაფერიც არ იღუნება, – თქვა ტრეველერმა, რომელიც იჯდა ფიცრის მეორე ბოლოში, ოთახში, – უბრალოდ ცოტა ირხევა.

– თანაც ერთი ბოლო ხომ ჩემს ფიცარზე დევს, – თქვა ოლივეირამ, – შეუძლებელია, რომ ორივე ფიცარი ერთდროულად ჩავარდეს.

– კარგი, მაგრამ მე ვიწონი ორმოცდათექვსმეტ კილოს, – თქვა ტალიტამ, – როცა შუამდე მივალწევ, ყველაზე ცოტა, ორასი გავხდები. ვგრძნობ, რომ ფიცარი უფრო და უფრო ქვევით იწევს.

– რომ ეშვებოდეს, მაშინ ჩემი ფეხები იატაკიდან ზევით აიწეოდა, – თქვა ტრეველერმა, – მე კი იატაკზე მტკიცედ ვდგავარ და მუხლებშიც კი მოვიხიარე. რა თქმა უნდა, შეიძლება კიდევ ჩატყდეს, მაგრამ ეს იშვიათად ხდება.

– მერქნის ბოჭკოების სიგრძივი წინააღმდეგობა საკმაოდ მაღალია, – დაეთანხმა ოლივეირა, – ისეთი, როგორც, მაგალითად, ლერწმის კონისა და სხვა. ალბათ ბალახისა და ლურსმნების წამოღება არ დაგავიწყდებოდა.

– ჯიბეში მიდევს, – თქვა ტალიტამ, – გადმომიგდე თოკი, თორემ უკვე ნერვიულობას ვიწყებ, იცოდე.

– სიცივისგან, – უთხრა ოლივეირამ და გაუჩოსავით დაიწყო თოკის დახვევა, – ფრთხილად, წონასწორობა არ დაკარგო. ჯობია ლასოს გესვრი, დარწმუნებული რომ ვიყოთ.

„საინტერესოა, — ფიქრობდა იგი, როცა უყურებდა, თუ როგორ მიფრინავდა ტალიტას თავზე თოკი, — ყველაფერი გამოგვივა, თუკი ძალიან მოვინდომებთ. ანალიზი კი ყოველთვის მხოლოდ ხელს გვიშლის”.

— უკვე მიაღწიე კიდევ მიზანს, — შესძახა ტრეველერმა, — შეაერთე ფიცრები, რომ ბოლოების გადაბმა შეიძლებოდეს, თორემ ცოტა დაშორდნენ ერთმანეთს.

— კარგად შეხედე, როგორ ჩამოვაცვი ლასო, — თქვა ოლივეირამ, — დღეიდან, იცოდე, მანუ, ველარ იტყვი ცირკში მუშაობას ვერ შეძლებო.

— სახე კი დამიკაწრა, — დაიწუწუნა ტალიტამ, — თოკი საშინლად იჩხვლიტება.

— ტეხასური სომბრეროთი გამოვალ არენაზე, დავუსტვენ რაც ძალი და ღონე მაქვს და მთელ სამყაროს ერთბაშად მოვთოკავ, — გაგულისდა აღფრთოვანებული ოლივეირა, — ტრიბუნები ტაშის გრიალით შეგვეგებებიან, ასეთი წარმატება ცირკის ისტორიას ალბათ არც ემანსოვრება.

— შენ მზემ დაგკრა, — უთხრა ტრეველერმა და სიგარეტს მოუკიდა.

— და კიდევ რამდენჯერ გითხრა, მანუს ნუ მეძახი-მეთქი.

— ძალა აღარ მყოფნის, — თქვა ტალიტამ, — თოკი ისეთი ხორკლიანია, რომ გადაბმა მიჭირს.

— ეს არის თოკის ამბივალენტობაც, — თქვა ოლივეირამ, — მისი ბუნებრივი ფუნქცია ხელს უშლის ნეიტრალიზაციისკენ მის იდუმალ ტენდენციას. მგონი ამას უწოდებენ ენთროპიას.

— მგონი კარგადაა გადაბმული, — თქვა ტალიტამ, — კიდევ ერთხელ ხომ არ შემოვახვიო? ერთი გრძელი ბოლო მაინც ტყუილად კიდა.

— ჰო, კარგად დაახვიე, — უთხრა ტრეველერმა, — არ მომწონს, როცა რაიმე უშნოდაა ჩამოკიდებული, რა ჯანდაბაა.

— სრულყოფილების ტრფიალი, — თქვა ოლივეირამ, — ახლა ჩემს ფიცარზე გადმოდი, ხიდი შევამოწმოთ.

— მეშინია, — თქვა ტალიტამ, — შენი ფიცარი ისეთი მაგარი არ ჩანს, როგორიც ჩვენია.

— რაო? — იწყინა ოლივეირამ, — ნუთუ ვერ ხედავ, რომ ეს ნამდვილი კედარის ფიცარია. განა შეიძლება მისი შედარება თქვენს ფიჭვის ნაფოტთან. მშვიდად გადმოდი ჩემს ფიცარზე, ნუ გეშინია.

— შენ რას იტყვი, მანუ? — ჰკითხა ტალიტამ და ოდნავ მიტრიალდა.

ტრეველერმა, სანამ უპასუხებდა, ჯერ ფიცრების შეერთების ადგილი შეათვალიერა, უხეიროდ იყო გადაბმული თოკით, თვითონ რომ იჯდა, ის ფიცარიც ირყეოდა, ვერ გაიგებდი სანდო იყო თუ არა. ტალიტას მაგრად რომ ჩაეჭიდა ხელები, ოდნავ კიდევ რომ წაწეულიყო წინ, უკვე ოლივეირას ფიცარზეც აღმოჩნდებოდა. რა თქმა უნდა, ხიდი გაუძლებდა; ძალიან კარგად იყო გაკეთებული.

— აბა, ერთი წუთი მოიცადე, — უთხრა ჭოჭმანით ტრეველერმა, — მაქედან არ შეგიძლია მიაწოდო პარკი?

— რასაკვირველია ვერ შეძლებს, — თქვა გაკვირვებულმა ოლივეირამ, — ეს რა აზრები მოგდის თავში? ხომ არ გინდა ყველაფერი გააფუჭო?

— მიწვდომით ნამდვილად ვერ მივწვდები, — დაუდასტურა ტალიტამ, — მაგრამ პარკის გადაგდებას კი შევძლებ, ეს ყველაზე ადვილია.

— გადმოგდებასო, — აღშფოთდა ოლივეირა, — ამდენი ვიწვალეთ და ახლა გინდათ გადმომიგლოთ და მორჩა.

– შენ მარტო ხელი გაუწოდე, ორმოცი სანტიმეტრიც არ იქნება პარკამდე, – უთხრა ტრეველერმა, – რა აუცილებელია, რომ ტალიტა მანდამდე მოვიდეს. გადმოგიგდებს პარკს და ნახვამდის.

– მიზანს ააცდენს, როგორც ყველა ქალი, – თქვა ოლივეირამ, – ბალახიც გაიფანტება ქვაფენილზე, ლურსმნებზე რომ არაფერი ვთქვათ.

– შეგიძლია მშვიდად იყო, – უთხრა ტალიტამ და სწრაფად ამოიღო პარკი, – პირდაპირ ხელში იქნება ვერ მოგცე, მაგრამ ფანჯარაში კი შემოვაგდებ.

– ჰო, ბალახი მთელ იატაკზე დაიფანტება, ამ ჭუჭყიან იატაკზე, შედეგად საზიზღარი მატე უნდა დავლიო, სადაც თმები იცურავებს, არა? – თქვა ოლივეირამ.

– მაგას ნუ უსმენ, – უთხრა ტრეველერმა, – გადაუგდე პარკი და დაბრუნდი.

ტალიტა მისკენ მიბრუნდა და შეხედა, დაეჭვდა, სერიოზულად მეუბნება თუ არაო. ტრეველერი უყურებდა მას და ეს მზერა მისთვის კარგად იყო ნაცნობი, ტალიტამ იგრძნო რა საამო ჟრუანტელმა ჩაუარა ზურგში. მან მაგრად ჩაბლუჯა პარკი და დაუმიზნა.

ოლივეირა კი ხელებჩამოშვებული იდგა და გულგრილად უყურებდა ტალიტას, თითქოს მისთვის სულერთი იყო, რას მოიმოქმედებდა იგი. თვითონ კი დაჟინებით ჩააცქერდა ტრეველერს ტალიტას თავს ზემოდან, ტრეველერიც ასეთივე დაჟინებით უყურებდა მას. „ამ ორმა კიდევ ერთი ხიდი გადეს ერთმანეთს შორის, – გაიფიქრა ტალიტამ, – მე რომ ახლა ჩავვარდე, ვერც კი შეამჩნევენ“. მან გადახედა ქვაფენილს, მოსამსახურე გოგო პირდაღებული შეჰყურებდა; მოშორებით, მეორე მოსახვევში გამოჩნდა ქალი, შეიძლება ხეკრეპტენიც იყო. ტალიტა იცდიდა, ერთი ხელით დაეხინა ფიცარს, თან პარკს ხელს არ უშვებდა.

— ხომ ხედავ, — თქვა ოლივეირამ, — ასეც უნდა მომხდარიყო, შენ ვერაფერი შეგცვლის, შენ უახლოვდები რაღაცის ზღვარს, კაცი იფიქრებს ახლა მაინც გაიგებს რამესო, მაგრამ არაფერიც არ ხდება, შენ ხელში ატრიალებ იმ რაღაცას და იარლიყს კითხულობ; ასე შენ ვერასოდეს ვერაფერს გაიგებ იმაზე მეტს, რასაც წერენ რეკლამაში. — მერე რა? — თქვა ტრეველერმა, — რატომ უნდა ვიარო შენ ჭკუაზე, ძმაო?

— თამაში თავისთავად მიდის, შენ კი გზაზე ელობები.

— მაგრამ ეს თამაში შენ თვითონ წამოიწყე, მართალი რომ გითხრა.

— არა მგონია, — თქვა ოლივეირამ, — მე მეტი არაფერი ჩამიდენია, მხოლოდ ვითარება შევამზადე, როგორც იტყვიან განსწავლული ადამიანები, ხოლო თუ თამაშობ, სუფთად უნდა ითამაშო.

— ასე წაგებულები ლაპარაკობენ, ძველო მეგობარო.

— როგორ არ წააგებ, თუ ფეხს დაგიდებენ.

— მეტისმეტი ხომ არ მოგდის, — უთხრა ტრეველერმა, — წმინდა გრძნობების გაუჩო.

ტალიტა ხვდებოდა, რაც უნდა ეთქვათ, სულ ერთია, მაინც მასზე ლაპარაკობდნენ და თვალს ველარ აშორებდა მოსამსახურეს, პირდაღებული რომ იჯდა სკამზე. „არაფერს დავინანებდი, ოღონდ კი მათი კამათი არ გავიგონო, — ფიქრობდა ტალიტა. — რაზეც არ ლაპარაკობდნენ, სულ ერთია, ყოველთვის ჩემზე ლაპარაკობენ, შეიძლება ასე არ არის, მაგრამ თითქმის ასეა.“ მას თავში გაუელვა, ეს პარკი ხელიდან რომ გამივარდეს, პირდაპირ იმ გოგონას ჩაუვარდება პირშიო. ეს კი ნამდვილად გაამხიარულებდა, თუმცა რა დროს მხიარულება იყო, როცა გრძნობდა მის თავს ზემოთ მეორე ხიდი იყო გადებული და აქეთ-იქით დარბოდნენ სიტყვები, ქირქილი, თუ გავარვარებული დუმილი.

„როგორც სასამართლოშია, — გაიფიქრა ტალიტამ, — როგორც სასამართლო პროცესზე.“

მან იცნო ხეკრეპტენი, უახლოესი კუთხიდან რომ შემოუხვია და უკვე ზემოთ იყურებოდა. „ვინ გასამართლებს?“ — თქვა ამ დროს ოლივეირამ, მაგრამ ასამართლებდნენ არა ტრეველერს, არამედ მას, ისეთი გრძნობა ჰქონდა, თითქოს მშემ კეფასა და ფეხებზე დააცხუნა, ახლა იგი მშის დარტყმას მიიღებს და ეს იქნება კიდევ მისი განაჩენი. „არა მგონია, შენ ჩემი გასამართლება შეგეძლოს“, — ამბობდა მანუ, მაგრამ ეს მანუს კი არა, მას ასამართლებდნენ. მაგრამ კაცი ვერ გაიგებს, მისი სახით ვის ან რას ასამართლებენ, ამ დროს კი ეს სულელი ხეკრეპტენი მარცხენა ხელს იქნევს, რაღაცას ანიშნებს, გეგონება ის არის, ვინც ახლა მშის დარტყმას მიიღებს, ჩავარდება ძირს და დაეცემა ქვაფენილზე, საბოლოოდ და განუკითხავად სასჯელმისჯილი.

— ასე რატომ ირწევი? — თქვა ტრეველერმა და ორივე ხელი ჩასჭიდა ფიცარს, — ნუ აქანავებ ფიცრებს, ცოტა ფრთხილად, თორემ ყველანი ჯანდაბაში გავქანდებით.

— მე არც კი ვინძრევი, — შესაბრალისად თქვა ტალიტამ, — მე მართლ ის მინდოდა, რომ პარკი გადამეგდო და მაშინვე შინ დავბრუნებულიყავი. — მზეზე თავი გაგიხურდა, საბრალო, — თქვა ტრეველერმა, — სინამდვილეში ეს ხომ სისასტიკეა, ჩე.

— შენი ბრაღია, — გაბრაზდა ოლივეირა, — მთელ არგენტინაში მეორე კაცი არ მოიძებნება ასეთი დავიდარაბა რომ ატეხოს.

— ეს შენ ატეხე, თანაც ჩემთან ერთად, — თქვა ტრეველერმა ობიექტურად, — დროზე, ტალიტა, მიაგდე ეგ პარკი სახეში და თავი დაგვანებოს, მოგვეშვას, ჯანდაბა მაგას.

— ცოტა გვიანაა, — თქვა ტალიტამ, — უკვე აღარ ვარ დარწმუნებული, რომ ფანჯარას არ ავაცდენ.

— აკი ვამბობდი, — წაიხურჩულა ოლივეირამ, რომელიც ძალიან იშვიათად ჩურჩულებდა ხოლმე და ისიც მაშინ, როცა უკვე ზღვარზე იყო მისული. — აჰა, უკვე ხეკრეპტენიც მოდის ფუთებით დატვირთული. ესღა გვაკლდა.

— გადაუგდე ეგ ბალახი როგორმე, — მოუთმენლად თქვა ტრეველერმა.

— თუ ააცდენ, არაფერი უჭირს, შენ რა გადარდებს.

ტალიტამ თავი დახარა, თმა შუბლზე ჩამოეშალა და ლამის მთელი სახე დაუფარა. ხშირ-ხშირად ახამხამებდა წამწამებს, რადგან ოფლი თვალებში ჩასდიოდა. ენაზე მარილის გემოს გრძნობდა, ღრძილებსა და სახეზე პაწაწინა ვარსკვლავებივით ჩხვლეთდა რაღაც წვეტიანი ნაპერწკლები.

— მოიცადე, — თქვა ტრეველერმა.

— მე მეუბნები? — ჰკითხა ოლივეირამ.

— არა. მოიცადე, ტალიტა. გამაგრდი, ახლა სომბრეროს გადმოგიგდებ. — ფიცრიდან არ გადახვიდე, — სთხოვა ტალიტამ, — თორემ მე ჩავვარდები... — ენციკლოპედია და კომოდი დაიჭერს. არ გაინძრე ერთ წუთში დავბრუნდები.

ფიცრებმა ოდნავ ქვევით დაიწია და ტალიტა რაც ძალა შესწევდა ჩაეჭიდა. ოლივეირამაც მთელი ხმით დაუსტვინა, რომ ტრეველერი შეეჩერებინა, მაგრამ ფანჯარაში აღარავინ ჩანდა.

— რა ცხოველია, — თქვა ოლივეირამ, — არ გაინძრე და არც ისუნთქო. ეს ხომ სიკვდილ-სიცოცხლის საკითხია, დამიჯერე.

— გასაგებია, — ძაფივით გაუწვრილდა ხმა ტალიტას, — სულ ასე ხდება.

— უკვე ეს ხეკრეპტენიც ამორბის კიბეზე, ახლა ესეც აგვაწრი-ალეხს, ღმერთო, გვიშველე. არ გაინძრე.

– არც ვინძრევი, – თქვა ტალიტამ, – მაგრამ მეჩვენება, თითქოს...

– ჰო, მაგრამ სულ ცოტაც, – უთხრა ოლივეირამ, – ოღონდ არ გაინძრე, ერთადერთი გამოსავალი ესაა.

„აი, კიდევ გამასამართლეს, – გაიფიქრა ტალიტამ, – ისლადამრჩენია, რომ ძირს ჩავვარდე, ისინი კი გააგრძელებენ ჩვეულებრივად, იმუშავენ ცირკში, იცხოვრებენ...”

– რატომ ტირი? – დაინტერესდა ოლივეირა.

– არ ვტირი, – უპასუხა ტალიტამ, – მე მხოლოდ ოფლი ჩამომდის სახეზე.

– იცი, შეიძლება მე უხეშიც ვიყო, – თქვა განაწყენებულმა ოლივეირამ, – მაგრამ ცრემლები და ოფლი ერთმანეთში არ ამერევა. ეს სრულიად სხვადასხვაა.

– მე არ ვტირი, – თქვა ტალიტამ, – თითქმის არასდროს ვტირი, გეფიცები. ტირიან ხეკრეპტენისნაირი ადამიანები, ახლაც რომ ამოდის კიბეზე დატვირთული. მე კი გედივითა ვარ, სიკვდილის წინ რომ მღერის და მეც სიმღერით ვკვდები. – თქვა ტალიტამ, – ამას გარდელი მღერის.

ოლივეირამ სიგარეტს მოუკიდა. ფიცრები ისევ გაწონასწორდა და მან კმაყოფილებით ჩაისუნთქა ბოლი.

– იცი რა გითხრა, სანამ ეს იდიოტი მანუ სომბრეროს მოიტანს, შეგვიძლია „კითხვები-სასწორზე” ვითამაშოთ.

– ვითამაშოთ, – უთხრა ტალიტამ, – სწორედ გუშინ მოვამზადე რამდენიმე.

– ძალიან კარგი, მე ვიწყებ და მერე სათითაოდ ვსვამთ თითო კითხვას. ოპერაცია მდგომარეობს შემდეგში: მეტალით დაფარულ მყარ სხეულზე სითხეში გახსნილი ელექტრული ძაბვის ბემოქმედება.

განა ისე არ ჟღერს, თითქოს ეს ძველებური ლათინური ასიტონის წყალწყვის იალქნიანი გემი იყოს?

— ჰო, ასეა, — თქვა ტალიტამ და თმა უკან გადაიწია, — წასვლა-წამოსვლა, ხეტიალი, გადადება, დარტყმის აცილება, მუშკის დაპკურება, უმწიფარი ხილის ფასზე შეთანხმება; ერთი ფუძიდან არ იწარმოებიან ის სიტყვები, რომლებიც აღნიშნავენ მცენარეულ წვენებს, როგორიცაა, მაგალითად, ღვინო, ზეითუნის ზეთი და ა. შ.?

— ძალიან კარგი, — დაეთანხმა ოლივეირა, — მცენარეული წვენები, როგორიცაა ღვინო, ზეითუნის ზეთი, არასოდეს მომსვლია აზრად, რომ ღვინო მცენარეული წვენია. დიდებულია. ახლა მომისმინე: ამწვანება, მინდვრის გადამწვანება, თმის დახვევა, შალი, დავიდარაბის ატეხვა, ჩხუბი, წყლის მოწამვლა თევზის დასაჭერად, არ არის ეს დრამატული პოემის კვანძის გახსნა, როცა ძალიან მტკივნეულია?

— რა მშვენიერია, — თქვა აღფრთოვანებულმა ტალიტამ, — ეს უმშვენიერესია, ორასიო. შენ მართლა სწვდები „სასაფლაოს თამაშის“ აზრს.

— მცენარეული წვენი, — თქვა ოლივეირამ.

კარი გაიღო და ხეკრებტენი შევიდა ოთახში, სულს ძლივს ითქვამდა. იგი იყო ქერა, ოღონდ შეღებილი, საკმაოდ ბევრს ლაპარაკობდა; სულ არ გაჰკვირვებია, როცა დაინახა საწოლზე შედგმული კარადა და ადამიანი, რომელიც ფიცარზე ისე იჯდა, როგორც ცხენზე.

— რა პაპანაქებაა, — თქვა მან და ფუთები სკამზე დაყარა. — ამაზე საშინელი საათი საყიდლებზე სასიარულოდ არ არის, დამიჯერე.

მანდ რას აკეთებ, ტალიტა? მე თვითონაც არ ვიცი, რატომ გამოვდივარ ხოლმე ქუჩაში სიესტის საათებში.

— კარგი, კარგი, — უთხრა ოლივეირამ ისე, რომ არც კი შეუხედავს. — ახლა შენი ჯერია, ტალიტა.

— აღარაფერი მაგონდება.

— დაფიქრდი, შეუძლებელია რაიმე არ გაგახსენდეს.

— ააჰ, სულ კბილის ექიმის გამოა, — თქვა ხეკრეპტენმა, — ყოველთვის ყველაზე ცუდ დროს შემირჩევს ხოლმე. გითხარი, რომ კბილის ექიმთან უნდა წავსულიყავი?

— ახლა ერთი გამახსენდა, — თქვა ტალიტამ.

— იცით, რა დამემართა, — თქვა ხეკრეპტენმა, — მივდივარ კბილის ექიმთან, უორნესის ქუჩაზე, ვრეკავ ზარს პოლიკლინიკის კარზე და გამოდის მოსამსახურე. მე ვეუბნები: „გამარჯობა“, ის მეუბნება:

„გამარჯობა. მობრძანდით, გეთაყვა“. მე შევდივარ, ის მოსაცდელ ოთახამდე მაცილებს.

— აი, ეს, — თქვა ტალიტამ, — ვინმე მსუქანლოყებიანი, ან კასრების გრძელი მწკრივი მიემართება შამბნარისკენ: პირველი მოხმარების მაღაზია, რომელიც ამარაგებს ადამიანებს უფრო მეტი შეღავათით, ვიდრე ფარდულები და ყველა ვინც ეკუთვნის თუ ენათესავენ საამწესოს, ეს ისეთი არ არის, როგორც გალვანიზება ცოცხალი ან მკვდარი ცხოველისა?

— რა მშვენიერია, — თქვა განცვიფრებულმა ოლივეირამ. — ეს უბრალოდ ფენომენალურია.

— ის მეუბნება: „ერთი წუთით დაბრძანდით, გეთაყვა“. მე ვჯდები და ვიცდი.

— ერთი კიდევ დამრჩა, — თქვა ოლივეირამ. — მოიცადე, კარგად არ მახსოვს.

— ორი სენიორა და ერთი სენიორი ბავშვთან ერთად კიდევ იცდიდნენ. დრო კი თითქოს არ გადიოდა. ამასობაში მე, თუ დამიჯერებ, „იდილიოს“ სამი ნომერი წავიკითხე. ბავშვი კი ტირის, საბრალო, მამა ნერვიულობს... არ მოგატყუებ, თუ გეტყვი, რომ ორი საათი გავიდა, მე კი ორ საათსა და ოცდაათ წუთზე მივედი. ბოლოს ჩემი რიგიც დადგა, კბილის ექიმი კი მეუბნება: „შემობრძანდით სენიორა“, მე შევდივარ, ის მეუბნება: „ხომ არ შეგაწუხათ კბილმა, ამას წინათ წამალი რომ ჩაგიდეთ?“ მე ვპასუხობ: „არა, ექიმო, როგორ უნდა შევეწუხებინე. მე სულ მეორე მხარეს ვლექავდი“, ის მეუბნება: „ძალიან კარგი, ასეც უნდა ყოფილიყო. დაბრძანდით, სენიორა“. მე ვჯდები, ის კი მეუბნება: „გეთაყვა, პირი გააღეთ“. ძალიან თავაზიანი ექიმია.

— აი, ესეც, — თქვა ოლივეირამ, — კარგად მომისმინე, ტალიტა.

რატომ იხედები იმ მხარეს?

— მანუ თუ დაბრუნდა-მეთქი.

— დაბრუნდება, აბა რას იზამს. მომისმინე კარგად: მოქმედება და საწინააღმდეგო მოქმედება, შეჯიბრებაზე ან ტურნირზე როცა მხედარი თავის ცხენს თავისი მეტოქის ცხენს მკერდით შეაჯახებს, არ გეჩვენება, რომ ეს ძალიან ჰგავს პაროქსიზმს, მძიმე ავადმყოფის კრიზისულ მდგომარეობას?

— რა უცნაურია, — დაფიქრდა ტალიტა, — ესპანურად როგორ ამბობენ? — რომელზე ამბობ?

— რაც ხდება მაშინ, როცა მხედარი თავის ცხენს მოწინააღმდეგის ცხენს მკერდით შეაჯახებს.

— ტურნირის დროს, ჰო, — თქვა ოლივეირამ, — არის „სასაფლაოში“, ჩე.

— პაროქსიზმი, — თქვა ტალიტამ, — ეს ლამაზი სიტყვაა. საწყენია, რომ უსიამოვნოს ნიშნავს.

— ეეჰ, იგივე ხდება, როცა ძეხვს „მორტადელა“ [201] ჰქვია და სხვა მრავალი, — თქვა ოლივეირამ. — ამას იკვლევდა აბატი ბრემონი, მაგრამ არაფერი გამოდის. სიტყვებიც ჩვენ გვგვანან, ყველა სახესთან ერთად იბადება და ამაზე არც უნდა იფიქრო. აბა გაიხსენე, როგორი სახე ჰქონდა კანტს, ან ბერნარდინო რივადავიას, შორს რომ არ წავიდეთ.

— პლასტმასის პლომბი გამიკეთა, — თქვა ხეკრეპტენმა.

— საშინელი სიცხეა, — თქვა ტალიტამ, — მანუმ თქვა სომბრე-როს მოგიტანო.

— ჰო, მოგიტანს, აბა რას იზამს, — თქვა ოლივეირამ.

— თუ გინდა, გადმოგიგდებ ამ პარკს და შინ დავბრუნდები, — თქვა ტალიტამ. ოლივეირამ ხიდი შეათვალიერა, მკლავები ისე გაშალა, თითქოს ფანჯრის სიგანეს ზომავსო და თავი გააქნია.

— ვინ იცის, მოხვდება კი მიზანში, — თქვა მან. — მეორე მხრივ, მეუხერხულება ასეთ ყინვაში რომ გაჩერებ. ვერა გრძნობ თმაზე და ცხვირზე ყინულის ლოლუებს.

— ვერა, — თქვა ტალიტამ, — ლოლუებიც ალბათ პაროქსიზმია, არა?

— თავისებურად, ასეა, ჰო, — თქვა ოლივეირამ, — ეს ორი რამ მაინც ერთიმეორეს ჰგავს, მიუხედავად განსხვავებისა, ისე როგორც მანუ და მე, თუკი დაუფიქრდები. აღიარე, რომ მე და მანუ თუ ვჩხუბობთ, იმიტომ ვჩხუბობთ, რომ ძალიან ვგავართ ერთმანეთს.

— ჰო, — თქვა ტალიტამ, — ეს საკმაოდ უსიამოვნოა ზოგჯერ.

— კარაქი დნება, — თქვა ხეკრეპტენმა, შავი პურის ნატეხს კარაქს რომ უსვამდა, — სიცხეში კარაქი, რა უბედურებაა.

— ყველაზე საშინელი განსხვავება ესაა, — თქვა ოლივეირამ, — ყველაზე საშინელი. ორი ტიპი, რომელსაც ერთნაირი შავი

თმა აქვს, ტიპიური ბუნოს აირესელი ბედოვლათია, ერთნაირად სძულთ ერთი და იგივე და შენც...

— კარგი, მე რა... — თქვა ტალიტამ.

— განზე ვერ დადგები, — თქვა ოლივეირამ, — ასეა, შენც გარკვეული აზრით, ჩვენი ნაწილი ხარ, ორივესი, რათა უფრო გაზარდო ჩვენი მსგავსება და ამავე დროს ჩვენი განსხვავება.

— არა მგონია, რომ თქვენი, ორივეს დამატება ვიყო, — თქვა ტალიტამ.

— რა იცი? საიდან უნდა იცოდე? ხარ შენტვის იმ ოთახში, ცხოვრობ იქ, სამზარეულოში ტრიალებ, კითხულობ თვითგანათლების ენციკლოპედიას, საღამოს მიდიხარ ცირკში და სულ გეჩვენება, რომ იქ ხარ, სადაც ხარ. არასდროს მიგიქცევია ყურადღება კარების სახელურისთვის, მეტალის ღილებისთვის, შუშის ნატეხებისთვის? — როგორ არა, ზოგჯერ მიმიქცევია, — თქვა ტალიტამ.

— რომ მიგექცია, მაშინ შეამჩნევდი, რომ ყველგან და იქაც, სადაც ყველაზე ნაკლებად ელოდები, ყოველი შენი მოძრაობა მეორდება სხვადასხვა გამოსახულებით. მე ძალიან მგრძობობიარე ვარ ასეთი იდიოტური რამეების მიმართ, დამიჯერე.

— მოდი, დალიე რძე, უკვე ნაღები მოიგდო, — უთხრა ხეკრეპტენმა, — რატომ ლაპარაკობთ ყოველთვის უცნაურ რამეებზე?

— შენ მე რატომღაც განსაკუთრებულ მნიშვნელობას მანიჭებ, — თქვა ტალიტამ.

— ოჰ, ასეთი რამეები ჩვენი გადასაწყვეტი არ არის, — თქვა ოლივეირამ, — ყველაფერს თავისი წესი და რიგი აქვს, ჩვენ მასთან ხელი არა გვაქვს, ჩვენი გადასაწყვეტი არაა და თან მუდამ გვაწუხებს, თუმცა დიდი მნიშვნელობა არა აქვს. ამას შენ სანუგეშებლად გეუბნები, მაგალითად, მე მინდოდა დამეღია მატე. ახლა კი გამომეცხადება ეს და იწყებს რძიანი ყავის მომზადებას, თუმცა ეს არავის უთხოვია მისთვის. შედეგი: თუ არ დავლევ, ნა-

ლებს მოიგდებს. არც ისეთი მნიშვნელობა აქვს ამას, მაგრამ მაინც გვაბრაზებს. ხომ გესმის, რასაც გეუბნები?

— ოჰ, ასეა, — თქვა ტალიტამ, და პირდაპირ თვალებში შეხედა; — შენ მართლა ჰგავხარ მანუს. თქვენ ორივე ისე ლაპარაკობთ ხოლმე რძიან ყავაზე და მატეზე, რომ კაცი მართლაც დაიწყებს ფიქრს, თოთქოს რძიანი ყავა და მატე სინამდვილეში...

— ზუსტად, — თქვა ოლივეირამ, — სინამდვილეში. ასე რომ, შეგვიძლია დავუბრუნდეთ იმას, რაზეც ადრე ვლაპარაკობდით. განსხვავება მანუსა და ჩემს შორის ის არის, რომ ჩვენ თითქმის ერთნაირები ვართ. ასეთ დროს კი განსხვავება დიდ კატაკლიზმად წარმოგვიდგება. ჩვენ მეგობრები ვართ? დიახ, ცხადია, მაგრამ მე სულაც არ გამიკვირდებოდა... მიაქციე ყურადღება, მას შემდეგ, რაც ჩვენ ერთმანეთი გავიცანით, მე ამას იმიტომ გეუბნები, რომ შენც იცი ეს, იმის მეტს არაფერს ვაკეთებთ, რომ ერთმანეთს ვედავებით. მას არ უნდა, რომ მე ისეთი ვიყო, როგორიც ვარ, როგორც კი ლურსმნების გასწორება დავიწყე, ნახე რა ამბავი ატეხა, თან შენც ჩაგითრია. მას არ მოსწონს, რომ მე ისეთი ვარ, როგორიც ვარ, რადგან სინამდვილეში ბევრი რამ, რაც მე აზრად მომდის, ან რასაც ვაკეთებ, მას პირდაპირ ცხვირწინ ააცალეს. გაფიქრებაც ვერ მოასწრო, რომ უკვე მორჩა. ბენგ-ბენგ, გამოიხედავს ფანჯარაში და მე უკვე ლურსმნებს ვასწორებ.

ტალიტამ მიიხედა და თვალი მოჰკრა ტრეველერის ჩრდილს, კომოდსა და ფანჯარას შორის იდგა და მათ უსმენდა.

— კარგი, მაგრამ მეტისმეტად არ უნდა გააზვიადო, — თქვა ტალიტამ, — შენ კი ისეთი რამ არც კი გაგიელვებდა თავში, რაზეც მანუ იფიქრებდა.

— მაგალითად?

— რძე გაცივდა, — თქვა უკმაყოფილოდ ხეკრეპტენმა. — ხომ არ გინდა ცოტა შევათბო ცეცხლზე, ძვირფასო?

– ჯობია ხვალისთვის ფლანი მოამზადო, – ურჩია ოლივე-
ირამ, – განაგრძე ტალიტა.

– არა, – თქვა ტალიტამ და ამოისუნთქა, – არ ღირს. ისეთი
სიცხეა, მგონი გონებას დაგვკარგავ.

მან იგრძნო როგორ შეირყა ხიდი; ტრეველერი ფიცარზე
დაჯდა ფანჯარასთან. იგი მკერდით გადაწვა ფანჯრის რაფაზე,
ფიცარზე სომბრერო დადო და ფრთების ცოცხით დაიწყო ტალი-
ტასკენ სანტიმეტრ-სანტიმეტრ გაჩოჩება.

– ცოტა რომ განზე გავწიო, – თქვა ტრეველერმა, – ძირს ჩა-
ვარდება და მერე ეძებე.

– მირჩენია შინ დავბრუნდე, – თქვა ტალიტამ და შესაბრა-
ლისად გადახედა ტრეველერს.

– მაგრამ ჯერ ბალახი უნდა მიაწოდო ოლივეირას, – უთხრა
ტრეველერმა.

– ახლა უკვე აღარც ღირს, – თქვა ოლივეირამ, – ყოველ
შემთხვევაში, თუ პარკის გადმოგდებას აპირებს, შეუძლია აღარ
გადმოაგდოს.

ტალიტამ ჯერ ერთს შეხედა, მერე მეორეს და უძრავად გა-
ყუჩდა.

– შენ კაცი ვერ გაგიგებს, – თქვა ტრეველერმა, – ამდენი
ვიწვალეთ და ახლა გამოდის, რომ მიიღებ მატეს თუ არ მიიღებ,
სულერთია.

– წუთების ისარი კი არ გაჩერებულა, შვილო ჩემო, – თქვა
ოლივეირამ, – შენ მუხლუხოსავით ნელა მოძრაობ ამ განგრძო-
ბით დრო-სივრცეში. აბა დაფიქრდი, რამდენი რამ მოხდა იმ
დროის განმავლობაში, რაც იმ შენი პანამის მოსატანად წახვე-
დი. მატეს ციკლი დასრულდა უშედეგოდ, ამასობაში კი ხმაურით
შემოიჭრა მარად თქვენი ერთგული ხეკრეპტენი უამრავი კული-

ნარიული ხორავით. ახლა ჩვენ ვართ რძიანი ყავის სექტორში, რა გაეწყობა.

— ესეც დასკვნები, — თქვა ტრეველერმა.

— დასკვნები კი არა, ეს გახლავთ სრულყოფილი მტკიცებულებები მთელი თავისი ობიექტურობით. შენ მიიღტვი იმისკენ, რომ უსასრულობაში იმოძრაო, როგორც იტყვიან ფიზიკოსები, მაშინ, როცა მე ვარ უკიდურესად მგრძნობიარე არსებობის თავბრუდამხვევი წყვეტილობის მიმართ. სწორედ ამ წუთში რძიანი ყავა შემოიჭრება, მკვიდრდება, მბრძანებლობს, ვრცელდება და ფეხს იკიდებს ასობით ათას კერაზე. მატე კი მოისროლეს, გადამალეს, გააუქმეს. რძიანი ყავის დროებითი ზონა მოიცავს ამერიკის კონტინენტის ამ სექტორს. დაფიქრდი, რას ნიშნავს ეს ყველაფერი და რა მოჰყვება. მზრუნველი დედები ასწავლიან თავიანთ მცირეწლოვან შვილებს რძის დიეტის სიკეთეს, ბავშვები იკრიბებიან სასადილოში, უღიმიან ერთმანეთს მაგიდასთან, მაგიდის ქვეშ კი წიხლებს ურტყამენ და ჩქმეტენ ერთმანეთს. რძიანი ყავა დღის ამ საათზე ნიშნავს ცვლილებას, იმას ნიშნავს, რომ სამუშაო დღე დასასრულს უახლოვდება და დროა შეაჯამო ყველა კეთილი საქმე და ამისთვის მიიღო ყველაფერი, რაც გეკუთვნის, ეს არის დრო წარმავალი ვითარებებისა, მომასწავებელი იმისა, რომ საღამოს ექვს საათზე, საშინელი საათი კია, დაიწყება გასაღებების ჟღარუნი და სირბილი ომნიბუსებისკენ. ამ საათში არავის აგონდება სიყვარული, მარტო შხაპზე თუ ფიქრობენ (ხუთ საათზე ხომ მივიღებთ), აწყობენ საღამოსა და ღამის გეგმებს, რა არჩევანი აქვთ, წავიდნენ პაულინა სინგერმანის თუ ტოკო ტარანტოლას სანახავად (ჯერ ვერ გადაუწყვეტიათ, მაგრამ დრო კიდევ აქვთ). აბა, რა მოსატანია ეს ყველაფერი მატესთან? მე იმ მატეზე კი არ ვლაპარაკობ, უცბად რომ გადაჰკრავ, ან რძიან ყავას რომ დააყოლებ, არამედ ნამდვილ მატეზე, მე რომ მიყვარს, თავის დროზე რომ უნდა დალიო, როცა ყველაზე ძალიან ცივა. და მე მგონია, რომ ასეთი რამეები შენ სათანადოდ არ გესმის.

— მკერავი ცრუპენტელაა, — თქვა ხეკრეპტენმა, — შენ დადიხარ მკერავთან, ტალიტა?

— არა, უპასუხა ტალიტამ, — მე თვითონ ცოტა მეხერხება ჭრაკერვა. — კარგადაც იქცევი, ჩემო კარგო, მე კი დღეს, კბილის ექიმის მერე მკერავთან გავიქეცი, ისიც მასთან ახლოს, მეზობელ კვარტალში ცხოვრობს, ქვედა კაბა უნდა წამომელო, რვა დღის წინ უნდა ყოფილიყო მზად. ის კი მეუბნება: „უჰ, სენიორა, დედაჩემი გახდა ავად და, როგორც იტყვიან, ნემსი ხელშიც არ ამიღია.“ მე ვეუბნები: „მაგრამ მე რომ მჭირდება ქვედა კაბა, სენიორა?“ ის მეუბნება:

„დამიჯერეთ, ძალიან კარგად მესმის. თქვენისთანა კლიენტები...“

დამნაშავე ვარ, ბოდიშს გიხდით.“ მე ვეუბნები: „ბოდიში ამას არ შევლის, სენიორა. დროზე რომ შეგესრულებინათ შეკვეთა, სადავო არაფერი გვექნებოდა.“ ის კი მეუბნება: „თუ ასე გინდათ, სხვა მკერავთან მიბრძანდით.“ მე ვეუბნები: „წავიდოდი კიდეც, მაგრამ თქვენთან ვიყავი შეთანხმებული და მგონია მოცდა ჯობია, თქვენ კი, უნდა გითხრათ, უპასუხისმგებლო ბრძანდებით.“

— ეს ყველაფერი ასე მოხდა? — ჰკითხა ოლივეირამ.

— ცხადია, — თქვა ხეკრეპტენმა, — არ გესმის, რასაც ტალიტას ვუამბობ? — — ეს სულ სხვადასხვა რამაა.

— ისევ შენსას იწყებ.

— ხომ ხედავ, — უთხრა ოლივეირამ ტრეველერს, რომელიც მოლუშული უყურებდა, — აი, ხომ ხედავ, როგორაა საქმე. ყველას ჰგონია, ერთი თუ ლაპარაკობს, სხვებმა უნდა უსმინონ და თანაუგრძნონ. — არც ასეა, რა თქმა უნდა, — თქვა ტრეველერმა. — ესეც ვითომ ახალი ამბავია.

— გამეორება არაა ცუდი, ჩე.

— შენ ყველაფერს იმეორებ, რაც კი სხვისი საწინააღმდეგოა.

— უფალმა მომავლინა თქვენს ქალაქში, — თქვა ოლივეირამ.

— როცა შენ მე არ განმიკითხავ, მაშინ შენს ქალს ეცემი ხოლმე.

— უნდა გიჩხვლიტოთ, რომ გამოფხიზლდეთ, — თქვა ოლივე-ირამ.

— მოსესავით კანონის მანიით ხარ შეპყრობილი. გაგივლის, როცა სინას მთიდან დაეშვები.

— მე მიყვარს, როცა ყოველთვის ყველაფერი ნათელია. შენთვის კი, ეტყობა, სულ ერთია, როცა ჩვენ საუბარში ხეკრეპტენი ჩაერევა ხოლმე თავისი უაზრო ამბებით კბილის ექიმსა თუ რაღაც ქვედა კაბაზე. ეტყობა, შენ არ გესმის, რომ ასეთი რამეების პატიება მხოლოდ იმ შემთხვევაში შეიძლება, თუკი კაცი შეგაწყვეტინებს სიტყვას, რათა გაამბოს რაიმე მშვენიერი და ამადელვებელი, მაგრამ საზიზღრობაა, როცა მართო იმიტომ გაწყვეტინებენ, რომ გაგაწყვეტინონ და აგირ-დაგირიონ მთელი აზრები.

აბა, როგორ ვლაპარაკობ, ძმაო?

— ორასიო მუდამ თავისას გაიძახის, — თქვა ხეკრეპტენმა, — ყურს ნუ დაუგდებ, ტრეველერ.

— ჩვენ ერთი უნიათო ადამიანები ვართ, მანუ. ვითმენტ და ვურიგდებით იმას, რომ სიმართლე მუდამ ხელიდან გვისხლტება.

თითქოს უკვე ხელთ ვიგდეთ, თითქმის სრულყოფილი, ვითარცა ცისარტყელა. მაგრამ რაოდენი გარჯა, რაოდენი დრო და უნარი დაგვჭირდა ამის მისაღწევად. მაგრამ აი, რადიო აცხადებს, რომ გენერალმა პისოტელიმ განცხადება გააკეთაო. Kaputt. ყველაფერი Kaputt. „ბოლოს და ბოლოს რაღაც სერიოზულია,” ფიქრობს ის გოგო, შიკრიკი, თუ აი ის, ანდა ეგებ შენც კი. და მე თვითონაც, რადგან შენ არ გეგონოს, რომ ჩემი თავი უცოდველი მგონია. აბა, მე რა ვიცი სად არის ჭეშმარიტება? რას იზამ, ისევე მომწონდა ეს ცისარტყელა, როგორც გომბეშო ხე-

ლისგულზე. დღეს კი... აბა შეხედე, ამ სიცივის მიუხედავად, მე მგონია, რაღაც სერიოზული წამოვიწყეთ. მაგალითად, ტალიტამ უმაგალითო სიმამაცე გამოიჩინა, რომ ქვაფენილზე არ დაეცა და შენც და მეც... ზოგიერთი რამ მაინც რა გულის ამაჩუყებელია, ეშმაკმა იცის, როგორ გხვდება გულზე.

— არ ვიცი, მესმის შენი თუ არა, — უთხრა ტრეველერმა, — ცისარტყელას შესახებ თუნდაც, ცუდი არ იყო. მაგრამ რატომ ხარ ასეთი მოუთმენელი? შენც იცხოვრე და სხვასაც მიეცი საშუალება იცხოვროს, ძმაო.

— ახლა, ხომ გაერთე და კმარა, გადმოიღე კარადა საწოლიდან, — უთხრა ხეკრეპტენმა.

— ხომ ხედავ? — თქვა ოლივეირამ.

— ეჰ, ასეა, — დაეთანხმა ტრეველერი.

— Quod erat demonstrandum[202], ბიჭო.

— Quod erat, — თქვა ტრეველერმა.

— ყველაზე უარესი ის არის, რომ ჩვენ არც დაგვიწყია.

— როგორ? — იკითხა ტალიტამ, თმა უკან გადაიყარა და მიხედა საკმაოდ ახლოს მიაჩონა თუ არა ტრეველერმა სომბრერო.

— ნუ ნერვიულობ, — ურჩია ტრეველერმა, — წყნარად მოტრი-ალდი და ხელი გამოიწოდე, ასე. მოითმინე, ცოტა კიდევ ახლოს მოვწევ... აბა რას გეუბნებოდი? არის, მორჩა.

ტალიტამ სტაცა ხელი სომბრეროს და მაშინვე დაიხურა. ქვევით, მოსამსახურე გოგოს შეუერთდნენ ორი ბიჭი და ერთი სენიორა, რომლებიც ელაპარაკებოდნენ გოგოს და შეჰყურებდნენ ხიდს.

— აჰა, გადავუგდებ ამ პარკს ოლივეირას და მორჩა, — თქვა ტალიტამ, უფრო თავდაჯერებული ჩანდა, რადგან სომბრერო ეხურა, — დაიჭირეთ ფიცრები მაგრად, ეს უკვე დიდი საქმე არ არის.

— გადმომიგდებ? — ჰკითხა ოლივეირამ, — დარწმუნებული ვარ ვერ დაუმიზნებ.

— დაე, სცადოს, — თქვა ტრეველერმა, — მაგრამ თუ პარკი ოთახში კი არა ქვაფენილზე დაეცემა, მაშინ იმ შტერ გუტუსოს თავში არ მოხვდეს, იმ ბუს.

— აჰ, შენც არ მოგწონს ის, — უთხრა ოლივეირამ, — მიხარია, რადგან მას ვერც მე ვიტან, შენ, ტალიტა?

— მიჩვენია, რომ ეს პარკი გადმოგიგდო, — თქვა ტალიტამ.

— ახლავე, ახლავე, მაგრამ მგონია, შენ ძალიან ჩქარობ.

— ოლივეირა მართალია, — თქვა ტრეველერმა, — ბოლოს, ამდენი წვალების მერე ყველაფერი არ გააფუჭო.

— მაგრამ ძალიან დამცხა, — თქვა ტალიტამ. — დროზე მინდა სახლში, მანუ.

— არც ისე შორს ხარ, რომ ამდენი იწუწუნო. კაცი იფიქრებს, მათო გროსოდან მწერ წერილებს.

— ბალახის გამოა ეს საუბარი, — აუხსნა ოლივეირამ ხეკრეპტენს, რომელიც გადაყირავებულ კარადას უყურებდა.

— კიდევ დიდხანს უნდა გააგრძელოთ ეს თამაში? — ჰკითხა ხეკრეპტენმა. — არავითარ შემთხვევაში, — უთხრა ოლივეირამ.

— აჰ, მაშინ კარგი, — თქვა ხეკრეპტენმა, — არა უშავს.

ტალიტამ უკვე ამოიღო პარკი საბანაო ხალათის ჯიბიდან და ახლა უკვე უმიზნებდა, ხელს წინ და უკან იქნევდა. ხიდმა რყევა

დაიწყო, ტრეველერი და ოლივეირა რაც ძალა და ღონე ჰქონდათ, ჩაეჭიდნენ ფიცარს. ტალიტას ერთ ხელში პარკი ეჭირა და იქნევდა, მეორე კი ფიცრისთვის არ მოუშორებია.

— სისულელე არ ჩაიდინო, — უთხრა ოლივეირამ, — მშვიდად. გესმის? მშვიდად.

— ჰა, დაიჭირე! — დაიყვირა ტალიტამ.

— მშვიდად, ჩავარდები!

— არ მენაღვლება! — დაიყვირა ტალიტამ და ისროლა, პარკი პირდაპირ ოთახში შევარდა, კარადას მოხვდა და მისი შიგთავსი ოთახში მიმოიფანტა.

— ბრწყინვალეა, — თქვა ტრეველერმა; იგი ისე უყურებდა ტალიტას, გეგონებოდათ მარტო თავისი მზერის ძალით უნდოდა მისი გაჩერება ხიდზე. — დიდებულია, საყვარელო. უფრო სწორად, დაუჯერებელია.

აი, ესეც შენი demonstrandum.

ხიდი ნელ-ნელა გაჩერდა. ტალიტა ორივე ხელით ჩაეჭიდა ფიცრებს და თავი დაღუნა. ოლივეირა ველარაფერს ხედავდა სომბრეროსა და ტალიტას მხრებზე ჩამოშლილი თმის გარდა. მან თავი ასწია და ტრეველერს გახედა.

— თუ შენ ასე თვლი, — თქვა მან, — მეც მჯერა, რომ ეს, უფრო სწორად, დაუჯერებელია.

„როგორც იქნა, — ფიქრობდა ტალიტა, როცა უყურებდა ქვევით ქვაფენილს. — რაც გინდა ის იყოს, ოღონდ კი ამ ორ ფანჯარას შორის არ ვიყო ასე, გაჩხერილი.“

— შეგიძლია ორში ერთი აირჩიო, — უთხრა ტრეველერმა, — გაცოცდე წინ, ეს უფრო ადვილია, და ოლივეირასთან გადახვიდე, ან დაიხიო უკან, რაც უფრო ძნელია, მაგრამ სამაგიეროდ, არ მოგიწევს კიბეებზე სირბილი და ქუჩაზე გადმორბენა.

– აქეთ ჯობია, საბრალო, – უთხრა ხეკრეპტენმა, – მთელი სახე ოფლით აქვს დასველებული.

– ბავშვები და გიჟები, – თქვა ოლივეირამ.

– მაცალეთ, ერთი წუთი შევისვენო, – თქვა ტალიტამ, – მგონი თავბრუ მეხვევა.

ოლივეირა ფანჯრის რაფაზე გადაწვა და ხელი გაუწოდა. ტალიტას მარტო ნახევარი მეტრიღა რჩებოდა, რომ ხელი მიეწვდინა.

– ნამდვილი კაბალიეროა, – თქვა ტრეველერმა, – ეტყობა, რომ წაკითხული აქვს პროფესორ მაიდანის ქცევის წესები. გრაფსაც უწოდებენ. არ გაუშვა ხელიდან, ტალიტა.

– ეს ყინვის გამოა, – თქვა ოლივეირამ, – ცოტა დაისვენე, ტალიტა და ამ დარჩენილ მანძილსაც გადალახავ. მას ყურადღებას ნუ მიაქცევ, ხომ იცი, რომ ყინვაში, სანამ სამუდამო ძილს არ მიეცემა კაცი, ბოდავს ხოლმე.

მაგრამ ტალიტა ნელ-ნელა გასწორდა, ორივე ხელით ფიცარს დაეხრინა, ოციოდე სანტიმეტრით უკან დაიწია, კიდევ ერთხელ დაეყრდნო ფიცარს და ისევ ოცი სანტიმეტრით დაიხია. ოლივეირა კი ისევ ისე იდგა ხელგაწვდილი, როგორც მგზავრი გემბანზე, როცა გემი თანდათან შორდება ნაპირს.

ტრეველერმა ხელები გაიწოდა და ტალიტას მხრებში ჩაავლო, ის კი გაყუჩდა, მერე კი ისე უცბად გადააგდო თავი უკან, რომ სომბრერო პირდაპირ ტროტუარისკენ გაფრინდა.

– როგორც კორიდაზეა, – თქვა ოლივეირამ, – ეგებ გუტუსომ კიდევ ამოიტანოს.

ტალიტას თვალი არც გაუხელია ისე მიენდო ტრეველერს, რომ გადმოეყვანა ხიდიდან ოთახში. მან კეფაზე იგრძნო ტრეველერის ტუჩები და მისი ცხელი, აჩქარებული სუნთქვა.

– დაბრუნდი, – ჩურჩულებდა ტრეველერი, – დაბრუნდი, დაბრუნდი.

– ჰო, – თქვა ტალიტამ და საწოლთან მივიდა, – აბა, რას ვიზამდი? გადავუგდე ის წყეული პარკი და დავბრუნდი, გადავუგდე ის პარკი და დავბრუნდი...

ტრეველერი საწოლის კიდეზე ჩამოჯდა. იგი ფიქრობდა ცისართყელაზე თითებს შორის, იმაზე, რაც ოლივეირას მოუვიდოდა ხოლმე თავში. ტალიტა გვერდით მიუჯდა და ჩუმად ატირდა. „ეს ნერვების ბრალია, – გაიფიქრა ტრეველერმა. – მძიმე განსაცდელი იყო მისთვის.“ ახლა ჯობდა ამდგარიყო და დიდი ჭიქით მოეტანა ლიმონიანი წყალი, მიეცა ასპირინი, ჟურნალით გაენიავებინა და გაეგრილებინა მისთვის სახე, როგორმე ეცადა, რომ დაეძინა. მაგრამ ჯერ თვითგანათლების ენციკლოპედია უნდა გადმოეღო, კომოდი თავის ადგილზე დაედო და ფიცარი შინ შემოეთრია. „როგორი არეულ-დარეულია ეს ოთახი,“ – გაიფიქრა მან და ტალიტას აკოცა. როგორც კი დამშვიდდება და ტირილს მორჩება, სთხოვს ცოტა მოაწესრიგოს ბინა. იგი ეფერებოდა მას და საალერსო სიტყვებს ეუბნებოდა.

– როგორც იქნა, როგორც იქნა, – ამბობდა ოლივეირა.

იგი ფანჯარას მოშორდა და საწოლის კიდეზე ჩამოჯდა, რომელიც კარადას არ ეკავა. ხეკრეპტენი კოვზით იატაკიდან ბალახს კრეფდა.

– ლურსმნებითაა სავსე, – თქვა ხეკრეპტენმა. – რა უცნაურია.

– ძალიან უცნაურია, – თქვა ოლივეირამ.

– მგონი ქვევით უნდა ჩავიდე და ტალიტას სომბრერო ამოვიტანო.

ხომ იცი, როგორები არიან ბავშვები.

— ჭკვიანური აზრია, — თქვა ოლივეირამ, ლურსმანი აიღო და მიატრიალ-მოატრიალა. ხეკრეპტენი ქუჩაში ჩავიდა. ბავშვებს უკვე აეღოთ სომბრერო და მოსამსახურესა და სენიორა დე გუტუსოსთან ერთად ამ ამბავს არჩევდნენ.

— მომეცით ახლავე, — უთხრა ხეკრეპტენმა ამაყი ღიმილით, — ეს ჩემი ნაცნობი სენიორას ქუდია, პირდაპირ რომ ცხოვრობს.

— მას ყველა იცნობს, გოგონა, — თქვა სენიორა დე გუტუსომ — კარგი სანახაობა კი მოაწყვეს დღისით-მზისით, თანაც ბავშვების თვალწინ.

— მერე ამაში ცუდი რა დაინახეთ, — თქვა ხეკრეპტენმა არცთუ ძალიან დამაჯერებლად.

— მთელი ქუჩის დასანახად შიშველი ფეხები გადმოაწყო იმ ფიცრებზე, რა მაგალითია ეს ბავშვებისთვის, აქედან ყველაფერი ჩანდა, ჰო, ყველაფერი, გეფიცებით.

— იქ ბევრი თმა იყო, — თქვა ყველაზე პატარამ.

— აი, ხომ გესმით, — თქვა სენიორა გუტუსომ, — უცოდველი ქმნილებები ამბობენ იმას, რაც ნახეს, ამიტომაც არიან უცოდველები. ან რა უნდოდა ფიცრებზე რომ გადამჯდარიყო, როგორც ცხენზე, აბა მიპასუხეთ. ამ საათზე, დღისით-მზისით, როცა ღირსეული ადამიანები ისვენებენ სიესტის დროს, ან თავიანთ საქმეს აკეთებენ. თქვენ გადაჯდებოდით ფიცარზე, სენიორა, მაპატიეთ უხერხულ კითხვას რომ გაძლევთ.

— მე — არა, — თქვა ხეკრეპტენმა, — მაგრამ ტალიტა ცირკში მუშაობს, ისინი არტისტები არიან.

— რეპეტიცია ჰქონდათ? — ჰკითხა ერთერთმა ბიჭმა. — მერე რომელ ცირკში აჩვენებენ ასეთ რამეს?

— არა, ეს რეპეტიცია არ იყო, — თქვა ხეკრეპტენმა, — მათ უნდოდათ ჩემი ქმრისთვის ცოტა ბალახი მიეწოდებინათ და მერე...

სენიორა დე გუტუსომ მოსამსახურე გოგოს გადახედა. გოგონამ თითი საფეთქელზე მიიღო და დაატრიალა. ხეკრეპტენმა ორივე ხელი დაავლო სომბრეროს და დერეფანში გაუჩინარდა. ბავშვები კი მწკრივად დაეწყვნენ და სიმღერა დაიწყეს „მსუბუქი კავალერიის“ მოტივებზე.

ისინი მას დაედევნენ, ისინი მას დაეწივნენ,

და ჯოხი უკანალში შეურჭეს.

საბრალლო სენიორი! საბრალლო სენიორი!

ველარ გამოიძრობს იმ ჯოხს. (Bis)

(-148)

Il mio supplizio

è quando

non mi credo

in armonia.

Ungaretti, I Fiumi[203]

მისი სამსახურეობრივი მოვალეობა იყო, თვალი ედევნებინა ბავშვებისთვის, რომ არ შემძვრალიყვნენ შაპიტოში, მიშველებოდა ცხოველებს, თუ რამე შეემთხვეოდათ, დახმარებოდა დაწების მტყორცნელს, შეედგინა განცხადებები და აფიშები, ამავე დროს ეზრუნა მათ დაბეჭდვაზე, კავშირი ჰქონოდა პოლიციასთან, ეცნობებინა დირექტორისთვის ნებისმიერი დარღვევის შესახებ, თუკი ეს მისი ყურადღების ღირსი იქნებოდა, დახმარებოდა სენიორ მანუელ ტრეველერს ადმინისტრაციულ საქმეებში, დახმარებოდა ასევე სენიორა ატალია დონოსი დე ტრეველერს სალაროში (თუ აუცილებელი გახდებოდა) და ა. შ.

ოჰ, გულო ჩემო, ნუ აღსდგები ჩემს წინააღმდეგ ნუ დაამოწმებ!

(წიგნი მიცვალებულთა, ან ხოჯოს ფრთებზე წარწერა) ამასობაში კი ოცდაცამეტი წლის ასაკში ევროპაში გარდაიცვალა დინუ ლიპატი. ისინი გამუდმებით სამუშაოზე და დინუ ლიპატიზე ლაპარაკობდნენ, რადგან ტალიტას აზრით, კარგი იქნებოდა შეეგროვებინათ მთელი ხელმისაწვდომი მტკიცებულებები ღმერთის არარსებობის, ან ყოველ შემთხვევაში, მისი განუკურნებელი თავქარიანობის შესახებ მაინც. მან შესთავაზა იქვე ეყიდათ ლიპატის ფირფიტა, დონ კრესპოსთან შესულიყვნენ და მოესმინათ, მაგრამ ტრეველერსა და ოლივეირას უნდოდათ იქვე, კუთხეში, კაფეში შესულიყვნენ, ლუდიც დაელიათ და ცირკზეც ესაუბრათ, რაკი ახლა კოლეგები გახდნენ და ფრიად კმაყოფილებიც იყვნენ ამით. ოლივეირას არ-გა-მო-პარ-ვია, რომ ტრეველერმა დიდი გამბედაობა გამოიჩინა და ლა-მის გმი-რო-ბა ჩა-ი-

დი-ნა, როდესაც დირექტორი დაიყოლია და ისიც უფრო შემთხვევით დათანხმდა და არა რამე მოსაზრებით.

უკვე გადაწყვეტილი იყო, რომ ოლივეირა თავისი მორჩენილი საქონელიდან ორ ქიშმირის საკაბეს ხეკრეპტენს აჩუქებდა, მესამეთი კი ტალიტა შეიკერავდა თავისთვის კაბას. ასე იყო, თუ ისე, სამუშაოზე მოწყობა მაინც უნდა აღენიშნათ. ამიტომ ტრეველერმა ლუდი შეუკვეთა, ტალიტა კი შინ წავიდა სადილის მოსამზადებლად.

ორშაბათი დასვენების დღე იყო, სამშაბათს კი ორი წარმოდგენა ექნებოდათ, შვიდზე და ცხრა საათზე, არენაზე გამოჰყავდათ დათვები ("ოთხი-დათვი-ოთხი"), კოლომბოდან ახლახან გემით ჩამოყვანილი ჟონგლიორი და, რასაკვირველია, კატამთვლელი. დასაწყისისთვის ოლივეირას ბევრი არაფერი ჰქონდა გასაკეთებელი, სანამ არ გაიწაფებოდა, თანაც წარმოდგენასაც უყურებდა ხოლმე და არც ისე ცუდი ეჩვენებოდა. ყველაფერი მშვენივრად მიდიოდა.

მართლაც ყველაფერი ისე მშვენივრად აეწყო, რომ ტრეველერმა თვალები დახარა და მაგიდაზე თითები დააკაკუნა. მიმტანი, მათი კარგი ნაცნობი, მივიდა მათთან დასავლეთის რკინიგზის გუნდის საქმეების გასარჩევად და ოლივეირა ათ პესოს ჩამოვიდა ჩაკარიტა ხუნიორსის სახელზე. ტრეველერი ბაგუალას რიტში აკაკუნებდა თითებს მაგიდაზე და თავს არწმუნებდა, რომ ყველაფერი დიდებულად მოხდა და რომ სხვა გამოსავალი არც იყო, ოლივეირა კი ამასობაში სვამდა ლუდს და არჩევდა პარლამენტის რატიფიკაციის და იმ სანაძლეოს ამბავს, რაზეც ათი პესო დადო. იმ დილით რატომღაც ეგვიპტურ ფრაზებზე და ტოტზე ფიქრობდა, იმ მოსაზრებით, რომ ის იყო სწორედ მაგიის ღმერთი და ენის გამომგონებელი. მათ ცოტა კი იკამათეს, იყო თუ არა უქმი თვით ეს კამათი, რამდენადაც ენა, რა ჟარგონზეც გინდა ილაპარაკონ მათ, სულ ერთია, მანტიკური სტრუქტურის ნაწილია და მისგან სიმშვიდეს ნუ ელიო. ბოლოს დაასკვნეს, რომ ტოტის ორმაგი მისია, ბოლოს და ბოლოს, რეალობისა და ირრეალობის კავშირის ამკარა გარანტიცააო. გაუხარდათ, რომ ასე თუ ისე, გადაწყვიტეს ობიექტური კორელა-

ტის პრობლემაც, რასაც ყოველთვის უსიამოვნება მოჰქონდა. მაგია თუ ხილული სამყარო, მაინც ხომ იყო ეგვიპტური ღმერთი, რომელსაც სიტყვების მეშვეობით ჰარმონიაში მოჰყავდა სუბიექტები და ობიექტები. ყველაფერი მართლაც დიდებულად მიდიოდა.

(-75)

43

ცირკში მშვენიერი იყო, მოჩვენებითი ბრწყინვალეობა სუფევდა — შმაგი მუსიკა და კატა-მთვლელი, რომელიც ზუსტად რეაგირებდა ვალერიანის წვეთებზე, ფარულად რომ აპკურებდნენ მუყაოს ციფრებს, ამ დროს კი გულმომბალი სენიორები კატის ამ თვალნათლივ მაგალითზე შეახსენებდნენ თავიანთ ჯალაბს დარვინისეულ ევოლუციას. როდესაც ოლივეირა პირველ საღამოს გავიდა ჯერ ისევ ცარიელ მანეჟზე, ზევით აიხედა და თვალი შეავლო წითელი ტილოს გუმბათის სიღრმეში ხვრელს, წარმოიდგინა, რომ ეს იყო ცენტრი, ღერძი, ხიდი მიწასა და სამყაროს უკიდევანო სივრცეს შორის. სიცილი პირზე შეაცივდა და გაიფიქრა, მის ადგილზე ვინმე სხვა რომ ყოფილიყო, მყისვე აცოცდებოდა იქვე, ლატანზე იმ ხვრელი-თვალისკენ, ოღონდ ეგ არის, ის სხვა თვითონ არ იქნებოდა, ის ისევ ისე დარჩებოდა ქვევით, ამ აღრიალებული ცირკის შუაგულში, იდგებოდა ასე, სიგარეტს სიგარეტზე გააბოლებდა და განაგრძობდა გუმბათის შუაგულში დატოვებული ხვრელის ყურებას.

პირველივე საღამოს მიხვდა, რატომ უშოვა ტრეველერმა სამუშაო ცირკში. ტალიტამ მიკიბ-მოკიბვის გარეშე, თვითონვე უამბო, როცა ისინი ფულს ანგარიშობდნენ აგურის პატარა ოთახში, რომელიც ამავე დროს ცირკის ბანკიც იყო და ადმინისტრაციის სამყოფელიც. ოლივეირამ კი იცოდა ეს, მაგრამ ცოტა სხვანაირად, ამდენად საყურადღებო მარტო ის იყო, რომ ეს ყვე-

ლაფერი ტალიტამ თავისი თვალსაზრისის მიხედვით უამბო, ასე რომ ორი თვალსაზრისიდან იშვა ერთგვარად ახალი დრო — აწმყო, რომელშიც იგი აღმოჩნდა და უმაღლესი იგრძნო მთელი ვალდებულებებიც. მას უნდოდა ეთქვა, ეს თვითონ ტრეველერმა გამოიგონაო, გამოეთქვა პროტესტი, კიდევ ერთხელ ეგრძნო თავი იმ დროის მიღმა, სადაც სხვები ცხოვრობდნენ (მას სიცოცხლის ფასად უნდოდა ჩაბმულიყო საქმეში, მონაწილეობა მიეღო ყველაფერში, სურდა არსებობა, ყოფნა), თუმცა ამავე დროს ესმოდა ისიც, რომ იგი შეიჭრა ტალიტასა და ტრეველერის სამყაროში, და ეს მართალი იყო, თუმცა კი არც უცდია და არც არანაირი განზრახვა ჰქონია, უბრალოდ ნოსტალგია მოერია და დანებდა.

ტალიტას სიტყვები კი ესმოდა, მაგრამ ამ დროს წარმოუდგებოდა გორაკის ულაბათო მოხაზულობა, ესმოდა რაღაც პორტუგალიური სასაცილო ფრაზა გაუგონარი მომავალის შესახებ, როცა მაცივრები ცეცხლივით კანიათი იქნება სავსე. მან ტალიტას ცხვირწინ გადაიხარხარა ბუსტად ისევე, როგორც წინა დილას გადაიხარხარა სარკის წინ კბილებს რომ იწმენდა.

ტალიტამ ათ პესოდ ღირებული ბილეთების დასტა ძაფით შეკრა და მერე ანგარიშშიუცემლად დაიწყეს დარჩენილის თვლა.

— რა გინდა, — თქვა ტალიტამ, — მე ვფიქრობ, მანუ სწორად მოიქცა. — ცხადია, — თქვა ოლივეირამ, — მაგრამ მაინც იდიოტია და ყველაზე კარგად ეს შენ იცი.

— ყველაზე კარგად არა, მაგრამ ვიცი, უფრო სწორად, მაშინ მივხვდი, როცა ფიცარზე ვიჯექი. თქვენ კი ყველაზე კარგად იცით, რომ თქვენს შორის ისე ვგრძნობ თავს, როგორც სასწორის ის ნაწილი, რისი სახელიც არავინ იცის.

— შენ ჩვენი ნიმფა ეგერია ხარ, ჩვენი მედიუმი ხიდი. როცა შენ ჩვენთან ხარ, მანუ და მე რაღაც ტრანსში ვვარდებით. ეს ხეკრეპტენმაც კი შეამჩნია და ბუსტად ეს სიტყვაც იხმარა.

– შეიძლება ასეც იყოს, – თქვა ტალიტამ და თან ბილეთებზე ადგილებს აღნიშნავდა, – თუ გინდა გითხრა, რასაც მე ვფიქრობ, გეტყვი, მანუმ არ იცის, რა გიყოს. მას შენ ძმასავით უყვარხარ და მგონი ეს შენც კარგად იცი, მაგრამ ამავე დროს წუხს, რომ დაბრუნდი.

– არ იყო საჭირო ჩემი პორტში დახვედრა. მე ხომ მისთვის არ შემიტყობინებია, ჩე.

– ხეკრეპტენისგან გაიგო, როცა მან მთელი აივანი გეორგი-ნებით მორთო. ხეკრეპტენმა კი სამინისტროში გაიგო.

– ეს რა ეშმაკის ხრიკებია, – თქვა ოლივეირამ, – როცა გავიგე, რომ ხეკრეპტენს დიპლომატიური გზით აცნობეს ჩემი დაბრუნების შესახებ, მაშინ მივხვდი სხვა გზა არ მქონდა, უნდა დამეთმო და ეს ცოფიანი ძროხა პირდაპირ მკლავებში ჩამვარდნოდა. ერთი წარმოიდგინე, რა თავგანწირვა და პენელოპესეული გაშმაგებაა.

– თუ ამაზე ლაპარაკი არ გსიამოვნებს, – თქვა ტალიტამ ისე, რომ იატაკისთვის თვალი არ მოუშორებია, – შეგვიძლია დავკვეთოთ სალარო და მანუს საძებნელად წავიდეთ.

– ძალიანაც მსიამოვნებს, მაგრამ შენ ქმართან ყველაფერი ისე რთულდება, რომ სინდისი მქენჯნის. და ეს ჩემთვის... ერთი სიტყვით, ვერ გამიგია, რატომ შენ თვითონ ვერ გადაგიჭრია ეს პრობლემა.

– კარგი, – თქვა ტალიტამ და მშვიდად შეხედა, – მე მგონია, ესეთი სულელი რომ არ იყოს, იმ დღეს ყველაფერს თვითონ უნდა მიმხვდარიყო. – რასაკვირველია, მანუ მაინც მანუა და მეორე დღესვე მიდის დირექტორთან, რომ ჩემთვის სამსახური სთხოვოს. თან ზუსტად იმ დროს, როცა მე ცრემლებს ვიწმენდდი გაბარდინის იმ ნაჭრით, გაყიდვას რომ ვაპირებდი.

– მანუ კეთილია, – თქვა ტალიტამ, – შენ ვერც წარმოიდგენ, როგორი კეთილია.

— იშვიათია ასეთი გულკეთილი ადამიანი, — თქვა ოლივე-
ირამ, — მოდი განზე გადავდებ იმას, რასაც მე ვერასოდეს ვერ
გავიგებ და რაც სწორედ ისეა, როგორც შენ გეჩვენება, ბოლოს
და ბოლოს, ასეცაა, ნება მომეცი ეჭვი გამოვთქვა, რომ მანუს
მოსწონს ცეცხლთან თამაში. ესეც ხომ ცირკის თამაშია, კარგი
საყურებელიცაა. შენ კი, — ოლივეირამ მისკენ გაიშვირა თითი,
— შენ გყავს თანამზრახველები. — თანამზრახველები?

— დიას, თანამზრახველები, პირველი მე, მეორე კი ის, ვინც
აქ არ არის. შენ შენი თავი წარმოიდგინე სასწორის ისრად და
თუ შენს ამ ლამაზ შედარებას გამოვიყენებთ, მაშინ შენ შუაში კი
არ უნდა იყო გაჩერებული, არამედ ერთ რომელიმე მხარეს უნ-
და იხრებოდე. ეს უნდა გაგეგო.

— რატომ არ მიდიხარ, ორასიო? — უთხრა ტალიტამ. — რა-
ტომ არ დაანებებ თავს მანუს?

— მე უკვე აგიხსენი, რომ ქსოვილით ვაჭრობას ვაპირებდი, ამ
რეგვენმა კი ცირკში მიშოვა სამსახური. გაიგე, რომ მე თვითონ
ცუდს არაფერს ვუპირებ, მაგრამ შეიძლება უფრო უარესი რამ
მოხდეს. მეშინია, რაღაც სისულელე არ მოხდეს.

— და შენ მაინც აქ რჩები, მანუს კი ისევ ცუდად სძინავს.

— მაშინ, რაკი ასეა, ეკუალონი დააღვეინე.

ტალიტამ ხუთ პესოდ ღირებული ბილეთების დასტაც შეკრა.
იმ დროს, როცა კატა-მთვლელი გამოდიოდა ხოლმე, ისინი ყო-
ველთვის უყურებდნენ, რადგან ამ ცხოველის საქციელი მათ-
თვის აუხსნელი იყო, ორჯერ უკვე მშვენივრად გაართვა თავი
გამრავლებას, სანამ მოასწრებდნენ და ვალერიანს შეაშხეფებ-
დნენ. ტრეველერი განცვიფრებული იყო და ნაცნობებს სთხოვ-
და ფხიზლად ედევნებინათ თვალი. მაგრამ დღეს კატა სულ გა-
მოშტერდა, ოცდახუთის ფარგლებშიც კი ძლივს ახერხებდა ან-
გარიშს, აი, ტრაგედია. ტრეველერი და ოლივეირა მანუჯის გა-
სასვლელში იდგნენ და სიგარეტს აბოლებდნენ; ამას რომ უყუ-
რებდნენ, გადაწყვიტეს, ალბათ საჭირო გახდებოდა მეტი ფოს-

ფორის შემცველი საჭმელი მიეცათ და ეს ღირექტორისთვისაც გაეგებინათ. ორი ჯამბაზი, რომლებსაც, კაცმა არ იცის, რატომ სძულდათ კატა, ცეკვავდნენ ესტრადის გარშემო, სადაც კატების ჯიშის ეს წარმომადგენელი სინდიცის ლამფის შუქზე უღვაშებს ისწორებდა; მესამე წრის შემოვლის დროს, რუსულ სიმღერას რომ ასრულებდნენ, კატამ მოულოდნელად ბრტყალები გამოაჩინა და ერთ მათგანს, უფროსს, პირდაპირ სახეში ეცა. მაყურებელი, ჩვეულებრივად, ტაშის გრიალით შეხვდა ამ ნომერს. ორთვალა ეტლით „ბენეტი; მამა და შვილი“ ჯამბაზებმა დატოვეს არენა, ღირექტორმა კატა გაიყვანა, ხოლო ჯამბაზებს ორმაგი ჯარიმა დააკისრა კატის პროვოცირებისთვის. ეს იყო მეტად უცნაური ღამე და რნიცა ოლივეირა გევით იყურებოდა, ასე რომ იზიდავდა ყოველთვის ამ საათზე, შავი ღიობის შუაგულში ხედავდა სირიუსს და ფიქრობდა იმ სამ დღეზე, როცა სამყარო იხსნება, როცა მანები ზეცად ამალღდებიან და გაიდება ხიდი ადამიანსა და ღიობს შორის, ხიდი ადამიანსა და ადამიანს შორის (რამეთუ ვინ აძვრება იმ ღიობისკენ, თუ მერე ისევ არ დაეშვება დაბლა სახეშეცვლილი და კვლავ არ შეხვდება თავის თვისტომს, ოღონდ სხვანაირი?). აგვისტოს ოცდაოთხი იყო ერთი იმ სამი დღიდან, როდესაც სამყარო იხსნებოდა; მაგრამ რა დროს ამაზე ფიქრი იყო, როცა თებერვალი იდგა. ოლივეირას აღარ ახსოვდა დანარჩენი ორი დღე, საკვირველი იყო რომ სამიდან მხოლოდ ერთი რიცხვი გაახსენდა. რატომ მაინცდამაინც ეს? ეგებ იმიტომ, რომ *veinticuatro de agosto*[204] რვამარცვლიანი იყო. მესხიერება იცნობს ასეთ თამაშებს. მაგრამ ხომ შეიძლება ჭეშმარიტებაც თავსდებოდეს ალექსანდრულ ან თერთმეტმარცვლიან ლექსებში; ეგებ რიტმები კვლავაც აღნიშნავენ კიდევ ერთ ხერხსა და გზის ეტაპებს. ესეც დისერტაციის თემები ბრტყელშუბლიანებისთვის. ერთი სიამოვნება იყო ჟონგლიორის ყურება, მისი დაუჯერებელი სიმკვირცხლის თვალის დევნება, არენისა, რომელსაც ირმის ნახტომივით ეფინებოდა გემოდან თამბაქოს კვამლი და ილექებოდა ასობით ბავშვის თავზე, რომლებიც მოსულიყვნენ ვილა დე პარკის გარეუბნიდან, სადაც ბედის წყალობით ჯერ კიდევ შემორჩენილიყო ევკალიპტები, წონასწორობას რომ უნარჩუნებენ გარემოს სასწორს, თუკი ერ-

თხელ კიდევ გამოვიყენებთ სამართლიანობის ამ ინსტრუმენტს, თუ ზოდიაქოს ამ ნიშანს.

(-125)

44

ტრეველერს მართლაც ცუდად ეძინა. შუაღამისას გაეღვიძებოდა და ისე ოხრავდა, თითქოს გულზე ლოდი აწევსო, ეხვეოდა ტალიტას და ისიც უსიტყვოდ ნებდებოდა; მაგრად ეკვროდა, რომ ეგრძნობინებინა რა ახლოს და მთლიანად იყო მასთან. სიბნელეში კოცნიდნენ ერთმანეთს ცხვირზე, ტუჩებში, თვალებში, ტრეველერი ამოიღებდა საბნიდან ხელს და ეალერსებოდა ლოყაზე, მერე ისევ საბანში დამალავდა, თითქოს ძალიან შესცივდაო, თუმცა კი ორივე ოფლში ცურავდა; მერე ტრეველერი რამდენჯერმე წაიბუტბუტებდა ოთხ-ხუთ ციფრს — ძველი ძილისპირული ჩვევა — და ტალიტაც გრძნობდა როგორ მოეშვებოდა მისი მკლავები, თანდათან ღრმად იწყებდა სუნთქვას და მშვიდდებოდა. მეორე დღეს კმაყოფილი ჩანდა, უსტვენდა ტანგოს, სვამდა მატეს, ან კითხულობდა, ხოლო როცა ტალიტა სამზარეულოში გავიდოდა საჭმლის მოსამზადებლად ოთხჯერ თუ ხუთჯერ შევიდოდა სხვადასხვა საბაბით და ათას რამეზე ელაპარაკებოდა, ყველაზე მეტს კი — საგიჟეთზე, მითუმეტეს, რომ ამ დროს გაცხოველებული მოლაპარაკებები მიდიოდა და დირექტორიც, ეტყობოდა, ძალიან მონდომებული იყო დროზე ეყიდა გიჟების ეს სახლი, რაკილა პერსპექტიულად მიაჩნდა.

ტალიტას კი დიდად არ მოსწონდა საგიჟეთის იდეა და ტრეველერმა ეს იცოდა. ორივე ცდილობდა იუმორით შეეხედათ ამისთვის და სემუელ ბეკეტის საკადრის სცენებს წარმოიდგენდნენ ხოლმე. დაცინვით ლაპარაკობდნენ საწყალობელ ცირკზე, რომელიც უკვე ამთავრებდა გამოსვლებს ვილა დელ პარკში და აპირებდა სან ისიდორში გადასვლას. ხანდახან ოლივეირაც შე-

ივლიდა ხოლმე მათთან მატეს დასალევად, მაგრამ საერთოდ იჯდა თავის ოთახში, რაკი ხეკრეპტენი მთელი დღე სამსახურში იყო, და თავისთვის კითხულობდა და ეწეოდა სიგარეტს. როცა ტრეველერი უყურებდა ტალიტას იისფერ თვალებს, იხვის გაბდღვნაში რომ ეხმარებოდა, — ამ ფუფუნების უფლებას ისინი ორ კვირაში ერთხელ აძლევდნენ თავს და ეს ტალიტას ყოველთვის დიდად ახალისებდა, რადგან ძალიან უყვარდა იხვის ნებისმიერად მომზადებული კერძი, — თავისთვის გულში იტყოდა ხოლმე, ბოლოს და ბოლოს, არც ისე ცუდადაა საქმეო და იმაზეც კი სიამოვნებით დათანხმდებოდა, რომ ოლივეირა მოსულიყო, მასთან ერთად დაეღია მატე, ერთად მოეგონებინათ რაიმე თავსატეხი თამაში, რაც მათთვისაც ძნელი გასაგები კი იქნებოდა, მაგრამ დროს ხომ გაიყვანდნენ და სამივე იგრძნობდა, ერთმანეთის ღირსები რომ იყვნენ.

ამის გარდა ბევრს კითხულობდნენ, სიყმაწვილის წლებში ყველა სოციალისტური იდეებით იყო გატაცებული, ტრეველერი კი თავის მხრივ, ცოტა თეოსოფიითაც; ასე რომ სამივეს და თითოეულს ცალკე თავისებურად უყვარდა კითხვა და აზრის გაზიარება, თუ ესპანურ-არგენტინულ ყაიდაზე კამათი, როცა თითოეული ცდილობს თავის თვალსაზრისში დაარწმუნოს სხვები და არავითარ შემთხვევაში არ გაიზიაროს საპირისპირო აზრი; საბაბს ეძებდნენ ეცინათ გიჟებივით და თავი ტანჯულ კაცობრიობაზე უფრო მაღლა ეგრძნოთ იმის საფუძველზე, რომ შეეძლოთ დახმარებოდნენ თანამედროვე სიბინძურის მდგომარეობიდან თავის დაღწევაში.

თუმცა ტრეველერს მართლაც ცუდად ეძინა და ტალიტა უმეორებდა რიტორიკულ კითხვას, როცა უყურებდა დილის მზის სინათლეზე როგორ იპარსავდა. ერთი ჩამოსმა, მეორე, ტრეველერს მაისური და პიჟამის შარვალი ეცვა და გაბმით უსტვენდა „გალიას“, მერე კი ხმამაღლა გამოაცხადებდა: „მუსიკა, მელანქოლიური საზრდო მათთვის, ვინც ვცხოვრობთ სიყვარულით!“, მერე მიბრუნდებოდა ტალიტასკენ და აგრესიულად შეხედავდა, ის კი ბდღვნადა იხვს და იყო ბედნიერი, რადგან იხვის თათები კარგად გაწმინდა, თვითონ იხვსაც სანდომიანი სახე ჰქონდა,

რასაც არცთუ ხშირად შეამჩნევთ გამოშიგნულ იხვს, გუგება-
მოცლილ ქუთუთოებში სინათლე რომ გასდით, საბრალო არსე-
ბები!

— რატომ გძინავს ცუდად, მანუ?

— მუსიკა, მე...! მე და ცუდად? მართალი გითხრა სულ არ ძძინავს, ჩემო სიყვარულო, მთელ ღამეს ვატარებ „Liber penitentialis“—ზე[205] ფიქრში, მაკრობიუს ბასკას გამოცემულ წიგნზე, რომელიც ამას წინათ ავწაპნე დოქტორ ფეტას, დრო ვიხელთე, როცა მისმა დამ თვალი მომაშორა. რა თქმა უნდა, დავუბრუნებ, ალბათ ათასზე მეტიც ღირს. „Liber penitentialis“, აბა, ერთი წარმოიდგინე.

— მაინც რა არის ასეთი? — თქვა ტალიტამ და გაახსენდა, რომ მისი ქმარი უჯრაში რაღაცას მაღავედა, რადგან გასაღებს ორჯერ გადაატრიალებდა ხოლმე, — შენ მე მიმაღავ, რას კითხულობ, ეს პირველი შემთხვევაა მას შემდეგ, რაც ჩვენ ვიქორწინეთ.

— აჰა, შეგიძლია რამდენიც გინდა ათვალიერო, ოღონდ ჯერ ხელები დაიბანე. იმიტომ ვმაღავდი, რომ ძალიან ძვირფასია, შენ კი ხელები სულ სტაფილოსა და რაღაც ამისთანებში გაქვს ამოგანგლული, ისეთი მზარეული ხარ, რომ მთელ ინკუნაბულებს გამიფუჭებ.

— სულ არ მენაღვლება ეგ შენი წიგნი, — უთხრა განაწყენებულმა ტალიტამ, — ახლა მიდი და იხვს თავი მოაჭერი, მე არ შემიძლია, თუნდაც მკვდარი იყოს.

— ნავახით, — შესთავაზა ტრეველერმა, — ნავახა სისხლს მოწყურებულია, თანაც წავივარჯიშებ, ვაითუ გამომაღვს.

— არა. ამ დანით ჯობია, გალესილია.

— არა, ნავახით.

— არა, ამ დანით.

ტრეველერმა დანა იხვის თავს დაადო და ერთი მოქნევით მოაჭრა.

— აჰა, ისწავლე, — უთხრა მან, — თუ საგიჟეთში მოგვიხდება მუშაობა, გამოცდილებაც უნდა შევიძინო მორგის ქუჩაზე მკვლელობების შემთხვევისთვის.

— ნუთუ გიჟები ერთმანეთს ხოცავენ?

— არა, ჩემო კარგო, მაგრამ ხანდახან მაინც ლასოს ესვრიან ხოლმე ერთმანეთს, ისევე, როგორც ნორმალური ადამიანები, თუკი ასეთი შედარების ნებას მომცემ!

— რა უხამსობაა, — ესლა უთხრა ტალიტამ და თან ცდილობდა თეთრი ძაფით შეეკრა იხვი, რომ პარალელეპიპედის ფორმა შეენარჩუნებინა. — რაც შეეხება იმას, რომ კარგად არ მძინავს, — უთხრა ტრეველერმა და ნავახა ქალაქის ხელსახოცით გაწმინდა, — თავადაც კარგად მოგეხსენება, რა ხდება.

— ვთქვათ კიდევ ვიცი, მაგრამ შენც იცი, რომ არანაირი პრობლემა არ არსებობს.

— პრობლემები, — თქვა ტრეველერმა, — ისეთივეა, როგორც პრიმუსი. ყველაფერი კარგად მიდის, სანამ არ იფეთქებს. მე ვიტყვოდი, რომ ამ ქვეყანაზე თუ პრობლემებია, ყველა თეოლოგიური ხასიათისაა. ასე გგონია, არანაირი პრობლემა არ არისო, როგორც ახლა, მაგრამ საქმე ისაა, რომ საათის მექანიზმი დაყენებულია მეორე დღის 12 საათზე. ტიკ-ტაკ, ტიკ-ტაკ, ყველაფერი ისე კარგად მიდის. ტიკ-ტაკ. — უბედურება ისაა, — თქვა ტალიტამ, — რომ საათის მექანიზმს შენივე ხელით მართავ.

— ჩემი ხელიც, თავუნია, ასევე მომართულია ხვალისდელი დღის 12 საათისთვის. მანამდე კი მოდი ვიცოცხლოთ და ვეცადოთ ვიცოცხლოთ.

ტალიტამ იხვს კარაქი წაუსვა და ეს ნამდვილად შეურაცხმყოფელი სანახავი იყო.

— რაიმე სასაყვედურო გაქვს ჩემ მიმართ? — ისე თქვა ტალიტამ, თითქოს თათებშეკრულ იხვს მიმართავდა.

— სრულიად არაფერი მოცემულ მომენტში, — თქვა ტრეველერმა, — დილაზე, 12 საათზე ვნახავთ, მზე რომ ზენიტს მიაღწევს, თუკი ამ ჩვენს არჩეულ სახეს მივყვებით.

— როგორ ჰგავხარ ორასიოს, — თქვა ტალიტამ, — დაუჯერებელია, როგორ ჰგავხარ.

— ტიკ-ტაკ, — თქვა ტრეველერმა და სიგარეტს დაუწყო ძებნა, — ტიკ-ტაკ, ტიკ-ტაკ.

— დიახ, ჰგავხარ, — თავისას გაიძახოდა ტალიტა, უცბად ხელიდან ისე გაუშვა იხვი, რომ იატაკზე ტყაპანი მოაღინა, საზიზღრად გაბრტყელდა. — ისიც ზუსტად შენსავით იტყოდა „ტიკ-ტაკ“ და შენსავით სახეებზე დაიწყებდა ლაპარაკს. ნეტავი როდისმე თუ დამანებებთ თავს? მე ამას შენ საგანგებოდ იმიტომ გეუბნები, იმიტომ გიმეორებ, მას ჰგავხარ-მეთქი, რომ ერთხელ და სამუდამოდ მოვრჩეთ ამ სისულელეზე ლაპარაკს. შეუძლებელია, რომ ორასიოს დაბრუნებამ ყველაფერი ერთბაშად შეცვალოს. გუშინ საღამოს უკვე გითხარი, მეტი აღარ შემიძლია, თქვენ ჩემზე ერთობით, ტენისის ბურთივით, ერთი ერთი მხრიდან ურტყამს, მეორე — მეორე მხრიდან, ასე არ შეიძლება, მანუ, არ შეიძლება.

ტრეველერმა ხელში აიყვანა, თუმცა ტალიტა წინააღმდეგობას უწევდა, მაგრამ ამ დროს ფეხი დაადგა იხვის თათს, გასრიდა და კინალამ იატაკზე გაიშლართა, ტალიტა კი მაინც დაიჭირა, დააწყნარა და ცხვირის წვერზე აკოცა.

— ეგებ შენთვის არ დევს ნაღმი, ჩემო თავუნია, — თქვა მან და ისე გაიღიმა, რომ ტალიტა მაშინვე მოლბა და უფრო მოხერხებულად მოხვია მკლავები. — ყური დამიგდე, მე საგანგებოდ არ ვცდილობ, მეხსა და ელვას პირდაპირ შევუშვირო თავი, მაგრამ იმასაც ვგრძნობ, რომ ვერც მეხამრიდი გადამარჩენს, ამიტომ დავდივარ ასე, ჩვეულებრივად თავშიშველი, სანამ არ დარეკავს

12 საათი. და მხოლოდ იმ წუთიდან, იმ დღიდან ისევ თავიდან ვიგრძნობ ყველაფერს ისევე, როგორც ადრე ვგრძნობდი. და ეს ყველაფერი ორასიოს გამო კი არ იქნება, ჩემო სიყვარულო, არა მარტო ორასიოს მიზეზით, თუმცა კი ის გახდა თავისებური მაცნე. ის რომ არ გამოჩენილიყო, ადვილი მოსალოდნელია რაღაც სხვა დამმართოდა, მაგრამ მაინც რაღაც მსგავსი. შეიძლება წამეკითხა რაიმე ისეთი წიგნი და მას გავეთავისუფლებინე ამ ბორკილებისგან, ისიც შეიძლება, რომ სხვა ქალი შემეყვარებოდა... იცი, ცხოვ — რებაში არის იდუმალი გზები და მოულოდნელად ისეთი რამ გამოხტება, ეჭვადაც არ მოგსვლია და ყველაფერი კრიზისში აღმოჩნდება.

შენ ეს უნდა გაიგო.

— მაშასადამე, შენ მართლა გჯერა, რომ ის ცდილობს ჩემს მონადირებას და რომ მე...?

— არა, ის სულაც არ ცდილობს შენს მონადირებას, — თქვა ტრეველერმა და იგი იატაკზე დაუშვა. — ორასიოს ერთი ბეწოთიც არ ენაღვლები. არ გეწყინოს, მე ხომ ვიცი შენი ფასი და ყოველთვის ვეჭვიანობ, თუ ვინმე შემოგხედავს ან დაგელაპარაკება. შეიძლება ორასიომ თვალი კი დაგადგა, მაგრამ, თუ გინდა გიჟად ჩამთვალე, მე მაინც ჩემსას ვიტყვი და კიდევ გავიმეორებ: მას შენ სულ არ ენაღვლები და ამიტომ არაფერი მაქვს სადარდებელი. აქ სულ სხვა რამეა, — თქვა ტრეველერმა და ხმას აუწია, — აქ ჯანდაბა და სულ სხვა რამეა, მაგის დედა ვატირე!

— აჰ, — თქვა ტალიტამ, მერე აიღო იხვი და იატაკი მოწმინდა. — შენ პირდაპირ გულზე დაგიდგამს ფეხი. მაშასადამე, სულ სხვა რამეა. არაფერი მესმის, მაგრამ ეგებ მართალსაც ამბობ.

— და ის რომ ახლა აქ იყოს, — თქვა ტრეველერმა ძალიან ხმადაბლა და თან სიგარეტი შეათვალიერა, — ვერც ის გაიგებდა, მაგრამ ის კი კარგად ეცოდინებოდა, რა არის სხვა რამ. წარმოუდგენელი კია, მაგრამ როცა ის ჩვენთანაა, თითქოს ტიხარი ინგრევა, სხვა უამრავი რამ ჯანდაბისკენ მიექანება, ცა კი ზღაპრულად მშვენიერი ხდება, ვარსკვლავებით ივსება ეს საპურე,

ახლა შეიძლება კანიც გააცალო და მიირთვა, ეს იხვი უკვე იხვი კი არა, ნამდვილი ლოენგრინის გედია, ხოლო ამის უკან, ამის უკან...

– ხელს ხომ არ შეგიშლით, – იკითხა სენიორა დე გუტუსომ დერეფნიდან, – მგონი თქვენ თქვენ პირად საქმეებზე ლაპარაკობდით, მე კი სხვის საქმეში ჩარევა არ მიყვარს, თუ არ მეკითხებიან.

– ნუ გერიდებათ, – უთხრა ტალიტამ, – შემოდით, სენიორა, მოსარიდებელი არაფერია, შეხედეთ, რა მშვენიერი იხვია.

– დიდებული, – თქვა სენიორა დე გუტუსომ, – ყოველთვის ვამბობდი, რომ იხვი ცოტა მაგარი კია, მაგრამ თავისი განსაკუთრებული გემო აქვს.

– მანუმ ფეხი დაადგა, – თქვა ტალიტამ, – ასე რომ, ის კარაქით რბილი იქნება, გეფიცებით.

– ხელმოწერით დაადასტურე, – თქვა ტრეველერმა.

(-102)

45

ბუნებრივი იყო, როცა ივარაუდა, რომ ის ელოდებოდა, ეგებ ფანჯარაში ვინმე გამოჩნდესო. ამისთვის საკმარისი იყო, ღამის ორ საათზე გაეღვიძა ამ ტენიან სიცხეში, კოლოს საწინააღმდეგო სპირალის მწკლარტე ბოლში და დაენახა ღია ფანჯარაში ორი უზარმაზარი ვარსკვლავი და ეფიქრა, რომ ფანჯარა მოპირდაპირე მხარეს ასევე ღია იქნებოდა.

ბუნებრივი იყო, რადგან ფიცარი ისევ ოთახში ეგდო და უარი იმ პაპანაქებაში, ამ ღამის სიჩუმეში შეიძლება სულ სხვანაირად

გაჟღერებულიყო ან სულაც თანხმობად ქცეულიყო, მაშინ ფანჯარასთანაც უნდა მდგარიყო, კოლოების მოსაგერიებლად სიგარეტი ებოლებინა და დალოდებოდა, როდის მოსწყდებოდა ფრთხილად ტრეველერის სხეულს ტალიტა და როდის მივიდოდა ფანჯარასთან ნამძინარევი და სიბნელიდან სიბნელეში გახედავდა მას. თვითონ ალბათ ზანტი მოძრაობით სიგარეტის მკრთალი ცეცხლით ჰაერში დაუხატავდა ნიშნებს. სამკუთხედები, რგოლები მოულოდნელად დაეწყობოდნენ გერბებად, სიყვარულის თილისმის აბებად ან დიფენილპროპილამინის ფორმულად, ფარმაცევტულ აბრევიატურად, რასაც ის უთუოდ გამოიცნობს, ანდა უბრალოდ სინათლის კვალი გაივლის პირიდან სავარძლის სახელურამდე, სავარძლის სახელურიდან პირისკენ, პირიდან სავარძლის სახელურამდე და ასე მთელი ღამე.

ფანჯარასთან არავინ გამოჩენილა. ტრეველერმა გადახედა გახურებული ქუჩის წყვდიადს, ტროტუარზე ეგდო გაშლილი გაზეთი, ალბათ ვარსკვლავებით მოჭედილ ცას რომ წაეკითხა. სასტუმროს პირდაპირ ფანჯარა თითქოს კიდევ უფრო მოახლოებულიყო, კარგი ტანმოვარჯიშე გადახტებოდა კიდევ. არა, არა, ამას ვერ შესძლებდა. შეიძლება „თუ სიკვდილი ფეხდაფეხ მოგდევს“, თორემ სხვანაირად არ გამოუვიდოდა. ფიცრის ყველანაირი კვალიც გაქრა.

ტრეველერმა ღრმად ამოისუნთქა და საწოლს დაუბრუნდა. ტალიტამ ძილში რაღაც ჰკითხა, მან თავზე ხელი გადაუსვა და რაღაც წაიბუტბუტა. ტალიტამ ჰაერს აკოცა, ხელები მოინაცვლა და მიჩუმდა.

თუკი ოლივეირა სადმე, ოთახის შავი ჭის კუთხეში მიიყუჟა და იქიდან იყურებოდა ფანჯარაში, იგი უთუოდ დაინახავდა ტრეველერს, მის თეთრ მაისურს, გამჭვირვალე ნათებასავით თეთრს. თუკი იქ იყო, იმ შავი ჭის რომელიმე კუთხეში და ელოდებოდა, რომ ტალიტა გამოიხედავდა, თეთრი მაისურის არაფრისმთქმელი გამოჩენა მისთვის მომაკვდინებელი უნდა ყოფილიყო. ახლა კი ალბათ ხელს იფხანდა, — მისთვის ეს უხერხულობისა და განაწყენების ჩვეული ნიშანი იყო, — სიგარეტს დეჭავდა, ან შეიძლება ერთი კი შეიკურთხა ჩუმად და დაეხეთქა სა-

წოლზე მძინარე ხეკრეპტენის გვერდით, თითქოს ის იქ არც ყოფილიყო.

მაგრამ, თუ იგი არ იყო იქ, იმ შავი ჭის ერთ კუთხეში, მაშინ ასეთ დროს გაღვიძება, შუალამისას ფანჯარასთან დგომა, ნიშნავდა შიშს, თითქმის დათმობას, საქმე ისაა, რომ ეს ნიშნავდა კიდევ იმის აღიარებასაც, რომ არც ერთს, არც ორასიოს და არც მას, ფიცრები არ აუღიათ; რომ ისევ რჩებოდა გზა და შეიძლებოდა გასვლა-გამოსვლა; ამ სამთაგან ნებისმიერს შეეძლო ძილბურანში გასულიყო და გამოსულიყო ფანჯრიდან ფანჯარაში, პირდაპირ ჰაერში და იმის შიშიც არ ჰქონოდა, რომ ძირს ჩავარდებოდა. ხიდი მხოლოდ გათენებასთან ერთად გაქრება, როდესაც რძიანი ყავის გამოჩენასთან ერთად დაბრუნდებიან მყარი და საფუძვლიანი ნაგებობები და რადიოს ახალი ამბების გამაყრუებელი ხმა, თუ ცივი შხაპი გაგლევს ღამით ნაქსოვ ქსელს.

ტალიტას სიზმრები: იგი მიიყვანეს სურათების ექსპოზიციამზე უზარმაზარი სასახლის ნანგრევებში, სურათები კი თავბრუდამხვევ სიმაღლეზე ეკიდა, თითქოს პირანების დილეგები ვილაცამ მუზეუმად გადააქციათ. სურათებამდე რომ მიგელწიათ უნდა აცოცებულიყავით კამარებზე, ფეხის თითებით ჩასჭიდებოდი ნაძერწებს, მერე გაგველოთ რაღაც გალერეები, რომლებიც გადაჰყურებდნენ აბობოქრებულ ზღვას, რომლის ტალღები თითქოს ტყვისა იყო, ამის მერე ხვეული კიბეებით ასულიყავით ბევით, სანამ ბოლოს არ დაინახავდით სურათებს, მაგრამ დაინახავდით ცუდად, ან ქვევიდან, ან გვერდიდან, სურათებზე კი — ერთნაირი თეთრი ლაქა, როგორც ტაპიოკის მასა თუ შედედებული რძე, და ასე უსასრულოდ.

ტალიტას გამოღვიძება: უცბად დილის ცხრა საათზე წამოჯდა საწოლზე, შეანჯღრია ტრეველერი, რომელსაც გულდაღმა ეძინა, ერთი მაგრად მოსცხო საჯდომზე, რომ გამოეღვიძებინა. ტრეველერმა ხელი გაიწოდა და ფეხის გულზე მოუღიტინა, ტალიტა ზემოდან დააცხრა და თმაში ჩააფრინდა. ტრეველერმაც ისარგებლა იმით, რომ უფრო ღონიერი იყო, ხელი დაუჭირა და

მანამ არ გაუშვა, სანამ ტალიტამ შენდობა არ მოითხოვა. კოცნა, საშინლად ცხელა.

— საზარელი მუზეუმი დამესიზმრა. იქ შენ წამიყვანე.

— მძულს სიზმრების ახსნა. დამალევინე მატე, საძაგელო.

— რატომ ადექი ღამე? მოსაფსმელად ხომ არა, როცა შენ მოსაფსმელად დგები, მე ამიხსნი ხოლმე, გეგონება სულელი ვიყო: „წავალ, მეტის მოთმენა აღარ შემიძლიაო“, მეც მეცოდები, რადგან მე შემიძლია მთელი ღამე მშვენივრად მოვითმინო, მოთმენაც არ მჭირდება, უბრალოდ განსხვავებული მეტაბოლიზმი გვაქვს.

— რაა?

— მითხარი, რატომ ადექი. ფანჯარასთან მიხვედი და ამოი-სუნთქე.

— ხომ არ გადავვარდნილვარ.

— იდიოტო.

— ცხელოდა.

— თქვი, რისთვის ადექი.

— არაფრისთვის, მინდოდა მენახა, იქნებ არც ორასიოს ეძი-ნოს და ცოტას დავილაპარაკებთ-მეთქი.

— ასე გვიან? დღისითაც ძლივს ელაპარაკებით ერთმანეთს — ეს სულ სხვა რამეა. არავინ იცის.

— შემზარავი მუზეუმი დამესიზმრა, — თქვა ტალიტამ და საც-ვალი ჩაიცვა.

— ხო მითხარი, — თქვა ტრეველერმა და ჭერს შეხედა.

— არც ჩვენ ვლაპარაკობთ ბევრს ახლა, — თქვა ტალიტამ.

– მართალია. ტენიანობის ბრალია.

– მაგრამ ისე მეჩვენება, თითქოს ჩვენ კი არ ვლაპარაკობთ, ვილაც სხვა ლაპარაკობს ჩვენს მაგივრად. შენ არა გაქვს ასეთი შეგრძნება? შენ არ გეჩვენება, თითქოს ჩვენში ვილაც ჩასახლდა? მინდა ვთქვა... ძნელია, მართლა ძნელია.

– უფრო სწორად, ჩვენში გადმოსახლდა. იცი, რა, ეს არ შეიძლება – ბა დიდხანს გაგრძელდეს. „ნუ დაიდარდებ, კატალინა“, – წაიმღერა ტრეველერმა, – „მაინც დადგება უკეთესი დრო და მე შენ გიყიდი კარადას.“

– სულელო, – უთხრა ტალიტამ და ყურზე აკოცა, – ეს არ შეიძლება დიდხანს გაგრძელდეს, არ შეიძლება დიდხანს გაგრძელდეს...

ეს არ შეიძლება ერთ წუთზე მეტი გაგრძელდეს.

– ძალადობრივი ამპუტაცია სიკეთეს არ დააყრის კაცს, მერე ტაკვი მთელი ცხოვრება გეტკინება.

– გინდა სიმართლე გითხრა, – უთხრა ტალიტამ, – ისეთი შთაბეჭდილება მაქვს, თითქოს ჩვენ ობობებსა და ორმოცფეხებს ვზრდიდეთ, ვაჭმევდეთ, ვასმევდეთ, ვზრუნავდეთ მათზე, ისინიც იზრდებიან, თავდაპირველად პაწაწინები იყვნენ და ლამაზებიც კი, პაწაწინა ფეხები ჰქონდათ, მაგრამ თვალის დახამხამებასაც ვერ მოასწრებ, რომ თურმე გაიზარდნენ და პირდაპირ სახეში გეცემიან.

მგონი ობობებიც მესიზმრა, ბუნდოვნად მახსოვს.

– ერთი ორასიოს მოუსმინე, – თქვა ტრეველერმა და შარვალი ჩაიცვა, – ასეთ დროს უსტვენს; მართლა გიჟია, ხეკრეპტენი წავიდა და ზეიმობს. რა ტიპია.

– „მუსიკა, მელანქოლიური საზრდო მათთვის, ვინც სიყვარულით ცხოვრობს“, – უკვე მეოთხედ წარმოთქვა ტრეველერმა; იგი გიტარას აწყობდა და ტანგო „მისანი თუთიყუშის“ დასაკრავად ემზადებოდა. დონ კრესპო დაინტერესდა საიდან იყო ეს ციტატა და ტალიტა ავიდა ოთახში ასტრანა მარინის თარგმნილი ხუთმოქმედებიანი პიესის ჩამოსატანად. კაჩამაიოს ქუჩა საღამოხანს ახმაურდებოდა ხოლმე, მაგრამ დონ კრესპოს ეზოში, ასი პესოს იადონის გარდა, მხოლოდ ტრეველერის ხმა ისმოდა, რომელიც უკვე იმ ადგილამდე მივიდა, სადაც „საქმიანი და მხიარული გოგონა, სიკეთესა და ბედნიერებას რომ მოუტანდა ოჯახს...“ ესკობას თამაშის დროს ლაპარაკი აუცილებელი არ არის და ხეკრებუნიც ოლივეირას თამაშს თამაშზე უგებდა, ასე რომ, ოლივეირას, სენიორა გუტუსოსთან ერთად ისღა დარჩენოდა გამუდმებით ჩასულიყო ოც-ოც პესოს. „თუთიყუშმა-მისანმა“ კი (რომელიც გიწინასწარმეტყველებს სიცოცხლეს და სიკვდილს) ამასობაში მოასწრო ვარდისფერი ქალაღდის ამოღება:

საქმრო, დიდი ხნის სიცოცხლე. ამას ტრეველერისთვის ხელი არ შეუშლია, რომ სევდიანი ხმით ეუწყებინა გმირი გოგონას უეცარი ავადმყოფობის ამბავი, „და როცა საბრალოს სიცოცხლე ასე ქრებოდა, დედას მაინც ეკითხებოდა „არ მოსულაო?“ ტრამ-ტრამ.

– როგორი გრძნობაა, – თქვა სენიორა დე გუტუსომ, – ტანგო ზოგს კი არ მოსწონს, მე კი რაღაც კალიპსოებს და სხვა საზიზღრობებს, რადიოში რომ გადმოსცემენ, არ შევადარებდი. მომაწოდეთ ლობიოს რამდენიმე მარცვალი დონ ორასიო.

ტრეველერმა გიტარა ყვავილების ქოთანს მიაყუდა, დალია მატე და იგრძნო, რომ მძიბე ღამე დადგებოდა. ჯობდა სამუშაო ყოფილიყო, ან ავად გამხდარიყო, გულს გადააყოლებდა. მან დაისხა კანია და ერთბაშად გადაჰკრა, თან დონ კრესპოს უყურებდა, რომელმაც სათვალე ლამის ცხვირის წვერამდე ჩამო-

იწია და ტრაგედიის წინასიტყვაობას ჩაულრმავდა, ამასობაში ოლივეირამ ოთხმოცი სენტავო წააგო, წამოდგა, ტრეველერს მიუჯდა გვერდით, და თვითონაც დაისხა.

— მაინც რა ზღაპრულია სამყარო, — თქვა ტრეველერმა ხმადაბლა, აქ სულ ცოტა ხანში გაიმართება ნამდვილი აქციუმის ბრძოლა, თუ ეს მოხუცი იმ ადგილამდე მიაღწევს. მის გვერდით კი ამ დროს ორი დამთხვეული თავდაუზოგავად იბრძვის ლობიოს მარცვლებისთვის.

— ესეც ჩვეულებრივი საქმიანობაა, — თქვა ოლივეირამ, — შენ თუ დაუფიქრებინარ ამ სიტყვას? საქმიანობა, საქმის ქონა. ტანში ჟრუანტელი დამივლის ხოლმე, ჩე. მაგრამ, იცი, მეტაფიზიკაში რომ არ გადავვარდე, ერთ რამეს ვიტყვი, ჩემი საქმიანობა ცირკში წმინდა წყლის თაღლითობაა. მე იქ მაძლევენ ჩემს პესოს, იმაში, რომ არაფერს ვაკეთებ.

— ცოტა მოიცადე, სან ისიდროში რომ დაიწყება ჩვენი წარმოდგენები, მაშინ ნახავ, რამდენი საქმე გექნება. ვილა დელ პარკში ყველა პრობლემა მოგვარებული გვაქვს, რაც მთავარია ანაზღაურების საკითხი, რაც ყველაზე უფრო აწუხებს ღირეიტორს. აქ კი მოგვიწევს ახალ ადამიანებთან მუშაობა და შენც საკმაოდ გექნება საქმე, რაკი ასე მოგწონს ეს სიტყვა, „საქმიანობა.“

— რას მეუბნები! რა ოინია, ჩე, მე მართლა ძალიან მოვეშვი. მაშასადამე, იქ მართლა მომიხდება მუშაობა?

— პირველ დღეებში, მერე კი ყველაფერი თავისთავად წავა. ერთი ეს მითხარი, ამდენი ხანი ევროპაში რომ იყავი, არსად არასოდეს გიმუშავია? — ძალიან ცოტა და ისიც იძულებით, — თქვა ოლივეირამ, — არალეგალურ ბუღალტრად ვმუშაობდი მოხუც ტრუისთან, აი, ის იყო სელინის ნამდვილი პერსონაჟი. ერთ დღეს შემეძლო მომეყოლა შენთვის, მაგრამ, ვფიქრობ, არ ღირს.

— მე მაინც მომეწონებოდა, — თქვა ტრეველერმა.

– იცი, თითქოს ყველაფერი ცაშია გამოკიდებული. რაც გინდა მომეყოლა შენთვის, მაინც ხალიჩის ერთი ნახატის ნაგლეჯად მოგეჩვენებოდა. შემაერთებელი რგოლი აკლია, სხვანაირად რომ ვთქვათ, ერთი „ჰოპლა!“ და ყველაფერი თავისით დალაგდებოდა, თავის ადგილზე დადგებოდა და შენ თვალწინ დაიბადებოდა ძვირფასი ალმასი მთელი თავისი კარატებით. უბედურება ისაა, – თქვა ოლივეირამ და თან ფრჩხილებს დასცქეროდა, – რომ ყველაფერი უკვე შეერთდა კიდევ, მე კი აქამდე ვერაფერი გავიგე, იმ მოხუცივით ჩამოვრჩი, რომელსაც შენ კიბერნეტიკაზე ელაპარაკები, ის თავს გიქნევს, მაგრამ ამ დროს ფიქრობს ვერმიშელიანი წვნიანის საათი დადგაო.

ასი პესოს იადონი კი ხმის ჩახლეჩამდე არაკრავდა.

– ესეც ასე, – თქვა ტრეველერმა, – ზოგჯერ ისიც მიფიქრია, ალბათ ჯობდა არ დაბრუნებულყავი.

– შენ ამაზე მართო გიფიქრია, – თქვა ოლივეირამ, – მე კი ცოცხლად განვიცადე. შეიძლება ეს არსებითად ერთი და იგივე კი არის, მაგრამ ნურც ადვილად დავხუჭავთ თვალს. ის, რაც ჩვენ გვკლავს, შენც და მეც, არის მოკრძალება, რიდი, ჩე. ჩვენ შიშვლები დავდივართ სახლში, რითიც ძალზე აღვაშფოთებთ ხოლმე ზოგიერთ სენიორას, მაგრამ როგორც კი ლაპარაკზე მიდგება ჯერი... ხომ გესმის, ზოგჯერ მიფიქრია კიდევ, რომ შენთვის შემეძლო მეთქვა... არ ვიცი, ხანდახან სიტყვები არაფერს გვარგებს ხოლმე; სულ სხვაა ის ყოველდღიური სიტყვები, რითიც ვსარგებლობთ მაშინ, როცა ეზოში ვსხედვართ და მატეს ვსვამთ, ამ სიტყვებით უახლოეს მეგობარსაც კი ვერ ეტყვი იმას, რისი თქმაც გინდა და ამიტომ უკან იხევ. არასოდეს გაგჩენია სურვილი პირველი შემხვედრისთვის გადაგეშალა გული?

– შეიძლება, – თქვა ტრეველერმა და გიტარის აწყობას შეუდგა, – ოღონდ უბედურება ისაა, მაგ შენი პრინციპების მიხედვით თუ ვიმსჯელებთ, რომ იბადება კითხვა, მაშინ მეგობრები რალაში გვჭირდება?

– რომ შენს გვერდით იყოს ის, ვინც გელაპარაკება.

– როგორც გენებოს. ისე გამოდის, რომ გაგვიჭირდება ერთმანეთს გაუგოთ, ისე, როგორც ადრე, სხვა დროს გვესმოდა.

– სხვა დროის გამოა სწორედ დღეს რომ ხდება დიდი სადაგლობები, – თქვა ოლივეირამ. – ყური დამიგდე, მანოლო, შენ ლაპარაკობ ურთიერთგაგებაზე და გულში იცი, რომ მეც მინდა ერთმანეთისა გვესმოდეს და როცა შენ გელაპარაკები, ეს გაცილებით იმაზე ბევრს ნიშნავს, ვიდრე უბრალოდ გელაპარაკებოდე შენ. მთელი სიძნელე ისაა, რომ ნამდვილი ურთიერთგაგება სულ სხვა რამაა. ჩვენ ვკმაყოფილდებით ძალიან მცირედით. როცა მეგობრებს ერთმანეთის კარგად ესმით, როცა შეყვარებულები ერთმანეთს უგებენ ძალიან კარგად, როცა ოჯახში ერთმანეთის ესმით, მაშინ ჩვენ გვჯერა, რომ არსებობს ჰარმონია. წმინდა წყლის ტყუილი, სარკე ტოროლებისთვის.

ზოგჯერ მიფიქრია, რომ ორ ადამიანს შორის, რომლებიც ცხვირპირს უმტვრევენ ერთმანეთს, გაცილებით მეტი ურთიერთგაგებაა, ვიდრე მათ შორის, ერთმანეთს შორიდან რომ უყურებენ. ამიტომ...

ჩე, მე ნამდვილად შემეძლო გაზეთ „ნასიონთან“ თანამშრომლობა კვირა დღეებში.

– კარგად კი ლაპარაკობდი, – უთხრა ტრეველერმა, – მაგრამ მერე, ბოლოსკენ, რაღაც მორცხვობის მსგავსი შეტევა დაგეწყო, ეს ადრეც თქვი. ამან გამახსენა სენიორა დე გუტუსო, როცა საუბარში იძულებულია თავისი ქმრის ბუასილიც კი ახსენოს.

– აბა, კეისარი ოქტავიუსი რას ამბობს, – ჩაიბურღუნა დონ კრესპომ და სათვალის ზემოდან გადმოიხედა, – თითქოს მარკუს ანტონიუსი ალპებში რაღაც უცნაურ ხორცს ჭამდაო. ამით რისი თქმა უნდა? მე ვფიქრობ, ციკანი იგულისხმა.

– ალბათ უფრო ორფეხა და უფროთო, – თქვა ტრეველერმა.

— ამ წიგნში თუ ვინმე მთლად გიჟი არ არის, არც ნაკლებია, — თქვა მორიდებით დონ კრესპომ, — მარტო ის რად ღირს, რასაც კლემენტრა სჩადის.

— დედოფლები იმისთანა რთული ადამიანები არიან, — თქვა სენიორა გუტუსომ. — ეს კლემენტრა ხომ იმისთანა საქმეებს ხლართავდა...

კინოში ვნახე. ცხადია, სხვა დრო იყო და რელიგიაც არ ჰქონდათ.

— ესკობა, — თქვა ტალიტამ და ერთ ჯერზე ექვსი ბანქოს ქალღალდი ერთად აიღო.

— ბედი გწყალობთ...

— ბოლოს მაინც წავაგებ, სულ ერთია. მანუ, ხურდა გამითავდა.

— დონ კრესპო დაგიხურდავებს, ალბათ იგი უკვე ფარაონების ეპოქას მიუახლოვდა და სუფთა ოქროსაც მოგცემს. მოიხედე, ორასიო, შენ ჰარმონიაზე ლაპარაკობდი...

— ბოლოს და ბოლოს, — თქვა ოლივეირამ, — თუ შენ ასე დაჟინებით მთხოვ, რომ ჯიბეები ამოვიტრიალო, და მაგიდაზე მთელი ნაგავი გადმოვყარო... — — ჯიბეების ამოტრიალება არ გჭირდება, მე ისეთი შთაბეჭდილება მრჩება, რომ შენ მშვიდად გვიყურებ, როცა ჩვენ ყველას ლამის კრუნჩხვა გვეწყება. შენ ეძებ იმას, რასაც ჰარმონიას უწოდებენ, მაგრამ ეძებ იქ, სადაც, შენ თვითონვე თქვი, ის არ არის; მეგობრებს შორის, ოჯახში, ქალაქში. რატომ ეძებ სოციალურ გარემოში?

— არ ვიცი, ჩე, და არც ვეძებ. ეს ყველაფერი ჩემდაუნებურად მემართება. — რატომ უნდა გემართებოდეს ისეთი რამ, რომ აღარც სხვებს ეძინებათ შენი წყალობით?

— მეც ცუდად მძინავს.

— აბა თქვი, მაგალითად, რატომ დაუახლოვდი ხეკრეპტენს? რატომ დადიხარ ჩემთან? განა ხეკრეპტენი, ან ჩვენ არ გირღვევთ ჰარმონიას? — მას უნდა, რომ მანდრაგორა დალიოს! — დაიყვირა გაოცებულმა დონ კრესპომ.

— რა? — იკითხა სენიორა გუტუსომ.

— მანდრაგორა! მონას აგზავნის, რომ მანდრაგორა მიართვას. ამბობს, რომ სურს დაიძინოს. ნამდვილი გიჟია!

— ბრომურალი უნდა მიეღო, — თქვა სენიორა დე გუტუსომ, — მაგრამ ცხადია, იმ დროს...

— მართალი ხარ, ბებერო, — თქვა ოლივეირამ და ჭიქებში კანია დაასხა, — ერთადერთი შესწორებით, შენ უფრო მეტ მნიშვნელობას აძლევ ხეკრეპტენს, ვიდრე აქვს.

— მაშინ ჩვენ?

— თქვენ შესაძლოა სწორედ ის შემაკავშირებელი ძალა ხართ, რაზეც ახლახან ვლაპარაკობდით. მე ასე მგონია, რომ ჩვენი ურთიერთობა არის ერთგვარი ქიმიური რეაქცია, რაც ჩვენს მიღმა ხდება, ნახატი თავისთავად რომ იქმნება. შენ თვითონ მოხვედი ჩემს დასახვედრად, ნუ დაგავიწყდება.

— რატომ არ უნდა მოვსულიყავი? მე არც მიფიქრია, რომ ასეთი სახით დაბრუნდებოდი, ისე შეიცვლებოდი იქ, რომ მეც მომინდებოდა სხვანაირი გავმხდარიყავი... არა, არც ასეა, არც ასეა. ეეჰ, არც შენ ცხოვრობ და არც სხვას ანებებ, რომ იცხოვროს.

ამასობაში გიტარა სიელიტოს უკრავდა.

— შენ მარტო თითის ერთი დაქნევა გინდა, — ძალიან ხმადაბლა უთხრა ოლივეირამ, — და მე ველარც მნახავთ. უსამართლობა იქნება, თუ ჩემი ბრალით შენ და ტალიტა...

— ტალიტას თავი დაანებე.

— არა, — თქვა ოლივეირამ, — არც ვიფიქრებ, ჩვენ ნიშნავს ჩვენ სამივეს — ტალიტას, შენ და მე, სამკუთხედი ერთიანად ტრისმეგისტური. ისევ გიმეორებ, მარტო ერთი ნიშანიც კმარა და მე ავახვევ.

ხომ არ გგონია, ვერ ვხვდები, მოსვენება რომ დაკარგე.

— არც იმდენად, რომ ახლავე წახვიდე, ეს ბევრს არაფერს მოგცემს. — რატომაც არა, მეგობარო, თქვენ მე არ გჭირდებით.

ტრეველერმა ერთი კი დაიწყო „მზაკვრობის“ პრელუდია და შეწყვიტა. უკვე ღამდებოდა და დონ კრესპომ ეზოში შუქი აანთო, რომ კითხვა შესძლებოდა.

— იცი, — ხმადაბლა თქვა ტრეველერმა, — ადრე თუ გვიან მაინც მოგინდება წასვლა და სულაც არ გჭირდება, მე რომ მოგცე ნიშანი.

ღამე კი არ მძინავს, ალბათ ტალიტამაც გითხრა, მაგრამ შენი ჩამოსვლა მაინც არ მწყენია. ეგებ კიდევ მაკლდი.

— როგორც გენებოს, მეგობარო. რაკი ასე აეწყო საქმე, ჯობია დავმშვიდდეთ. არც მე ვარ ცუდად.

— იდიოტების დიალოგს ჰგავს, — თქვა ტრეველერმა — ნამდვილი მონგოლოიდების, — თქვა ოლივეირამ.

— თითქოს რაღაცის ახსნა გინდა, არადა უარესად გამოდის.

— ახსნა კარგად შელამაზებული გაუგებრობაა, — თქვა ოლივეირამ, — ჩაინიშნე.

— ჰო, მაშინ ჯობია სხვა რამეზე ვილაპარაკოთ, თუნდაც იმაზე, რა ხდება რადიკალურ პარტიაში. ნუთუ მარტო შენ... თუმცა ეს როგორც კარუსელი, მუდამ თავისთვის ტრიალებს, თეთრი ცხენი, მერე წითელი, მერე ისევ თეთრი, ჩვენ ორივენი პოეტები ვართ, ძმაო.

— პოეტი ბარბაროსები, — თქვა ოლივეირამ და ჭიქები შეავსო. — ადამიანები, რომლებსაც ცუდად სძინავთ, ღამღამობით სუფთა ჰაერის ჩასაყლაპად ფანჯარასთან დგებიან და ასე ამგვარად.

— ესე იგი, გუშინ ღამე დამინახე.

— მაცადე, ვიფიქრო. ჯერ ხეკრეპტენი ჩამაცივდა და ბოლოს მაინც დამიყოლია... მერე მკვდარივით მეძინა, არც მახსოვს, როდის მეძინა ასე... რატომ მეკითხები?

— ისე, უბრალოდ, — თქვა ტრეველერმა, და სიმებს ხელი დაადო.

სენიორა გუტუსომ მოგებული ხურდა ფული ხელში დააჩხარუნა, თავისი სკამი ახლოს მისწია და ტრეველერს სთხოვა რამე იმღერეო.

— ვინმე ენობარბო ამბობს, ღამის ტენიანობა მომწამვლელიაო, — აუწყა მათ დონ კრესპომ. — ამ წიგნში ყველა დარეხვილია, შუა ბრძოლაში უცხად ისეთ რამეებზე წამოიწყებენ ხოლმე ლაპარაკს, რასაც ბრძოლასთან არაფერი აქვს საერთო.

— კარგი, — თქვა ტრეველერმა, — ვასიამოვნოთ სენიორა, თუკი დონ კრესპო წინააღმდეგი არ იქნება. „მზაკვრობა“, ხუან დე დიოს ფილიბერტოს გულისშემძვრელი ტანგო. ჰო, მართლა, გამახსენე, რომ ივონ გიტრის აღსარება წაგიკითხო, დიდებული რამაა. ტალიტა, მოიტანე გარდელის ანთოლოგია, მაგიდის უჯრაშია, სადაც ასეთ ძვირფას ნივთებს ვინახავთ.

— თან დამიბრუნებთ კიდევ, — თქვა სენიორა გუტუსომ. — შეიძლება ამას დიდი მნიშვნელობა არა აქვს, მაგრამ მიყვარს, როცა წიგნები ახლოს მაქვს ხოლმე. ჩემი ქმარიც ასეთია, გეფიცებით.

მე ვარ მე. მე ვარ ის. ჩვენ ვართ. მაგრამ ეს მე ვარ, უწინარეს ყოვლისა, ვარ მე. სანამ შევძლებ დავიცავ ჩემს მე-ს. ატალია, ეს მე ვარ მე, EGO. მე. დიპლომაინი, არგენტინელი, ცოტა ლამაზიც, დიდი მუქი თვალებით, მე, ატალია დონოსი, მე. მე. მე-მე, ლენტი ეხვევა კოჭას. სასაცილოა.

მანუ, ნამდვილი გიჟია, „კასა ამერიკაში“ მარტო იმისთვის წავიდა, რომ ეს ვეება რაღაც ეყიდა, REWIND[206]. ეს რა ხმას გამოსცემს, რა არაბუნებრივია, სულ არ ჰგავს ჩემს ხმას: „ეს მე ვარ, მე ვარ ის. ჩვენ ვართ. მაგრამ მე ვარ მე, უპირველეს ყოვლისა და კიდევ დავიცავ ჩემ მე-ს. STOP. მართლაც გასაგიჟებელი აპარატია, მაგრამ თუ გინდა, რომ ხმამაღლა იფიქრო, ამისთვის არ ვარგა, იქნებ ყურის მიჩვევა უნდა; მანუ, ამ ქალბატონებზე რადიოპიესა რომ დაწერა, იმის ჩაწერას აპირებს, მაგრამ არაფერსაც არ ჩაწერს. მაგიური თვალი, მართლა მაგიურია, ეს მწვანე სინათლე კი ციმციმებს, მაკვირდება; ცალთვალა კატა მე შემომცქერის. ჯობია მუყაოს ფირფიტა მივაფარო. (REWIND. ლენტი ისეთი პრიალაა, რომ სრიალით, თავისუფლად ტრიალებს. VOLUME[207]. ახლა 5—8ე ან 5 1/2ე დავაყენებ: მაგიური თვალი მართლა მაგიურია, მწვანე სინათლეებიც... თუმცა მართლა მაგიური რომ იყოს, ჩემი ხმა იტყოდა: „მაგიური თვალი დახუჭობანას გვეთამაშება, წითელი სინათლეები...“ მეტისმეტად მაღალ ხმაზეა დაცენებული, მიკროფონი ახლოს რომ დავიდგა და ხმას დავუწიო...

ეს მე ვარ, მე ვარ ის. სინამდვილეში ფოლკნერის პერსონაჟის ცუდი პაროდია ვარ. მოჩვენებითი კეთილდღეობა. ნეტავი თვითონ კარნახობს მაგნიტოფონს თუ ვისკი უწევს ლენტის მაგნიტობას?

რომელია სწორი, დიქტოფონი თუ მაგნიტოფონი? ორასიო მაგნიტოფონს ამბობს ხოლმე, მერედა როგორ გაუკვირდა ეს აპარატი რომ დაინახა, ესლა თქვა: „რა მაგნიტოფონია, ბიჭო!“

ინსტრუქციაში კი „დიქტოფონი“ წერია. ასეთი რამეები „კასა ამერიკამ“ თვითონ უნდა გაარკვიოს. მართლა გამოცანაა, მანუ რატომ ყიდულობს ყველაფერს, ფეხსაცმელსაც კი, მაინცდამაინც „კასა ამერიკაში“. ეს ახირებაა თუ აკვიატება, სისულელეა. REWIND. აბა, ახლა ვნახოთ, რა გასართობი რამაა: „...ფოლკნერი. მოჩვენებითი კეთილდღეობა.“

STOP. დიდი ვერაფერი გართობაა, სულ რომ საკუთარ თავს უსმინო, ამ ყველაფერს დრო მიაქვს, დრო, დრო. ამ ყველაფერმა უნდა წაგართვას დრო. REWIND. ალბათ ეს ხმაც ბუნებრივია: „...აქვს, დრო, დრო. ამ ყველაფერმა უნდა...“ ეს კი მართლა გაცივებული ჯუჯას ხმას უფრო წააგავს; თუმცა მე მშვენივრად გავართვი ამას თავი, მანუს არ სჯერა, რომ მე შემოძლია აპარატების გამოყენება.

ორასიო კი მე, ფარმაცევტს ზედაც არ შემომხედავდა; ის ხომ ადამიანს ისე უყურებს, გეგონება საცერში გატარებული პიურე იყოს, გაკეთდა, შეგიძლია უკვე მიირთვა. REWIND? ახლა გავაგრძელოთ, ოღონდ შუქი ჩავაქროთ. ვილაპარაკოთ მესამე პირში, ანდა... მაშასადამე, ტალიტა დონოსი აქრობს შუქს და ტოვებს მარტო მაგიურ თვალსა და სინათლეებს (ხან მწვანეა, ხანაც იისფერი) და სიგარეტის პატარა ცეცხლსაც. ცხელა, მანუ ჯერ არ დაბრუნებულა სან ისიდროდან, არადა უკვე თორმეტის ნახევარია. იქ, ფანჯარასთან კი ხეკრეპტენი დგას, მე ვერ ვხედავ, მაგრამ ის უნდა იყოს, დგას ფანჯარასთან, აცვია ღამის პერანგი, ორასიო კი პატარა მაგიდასთან ზის, სანთლის შუქზე კითხულობს და აბოლებს სიგარეტს. ორასიოსა და ხეკრეპტენის ოთახი რატომღაც სასტუმროს ოთახს ისე არ ჰგავს, როგორც ეს. სულელო, სწორედ ისეთი სასტუმროს ოთახია, რომ ხოჭოებსაც კი ბურგზე ნომრები აწერიათ, თანაც დონ ბუნჩესაც უნდა გაუძლო, მეზობლად რომ ცხოვრობს იმ თავისი ტლექიანი პაციენტებით, ოცი პესოს ფასად რომ დადიან მასთან, კიდევ კოჭლებსაც და ბნედიანებსაც. ქვევით კიდევ საიდუმლო შეხვედრების ბუნაგიცაა და მათი მოსამსახურე გოგო ხომ სულ ტანგოს მღერის, მერე როგორ აყალბებს და ამახინჯებს. REWIND. მეყოფა, რამდენი ვილაპარაკე, ახლა დროა ლენტა გადავახვიო, სულ რაღაც

ნახევარი წუთი სჭირდება. დროის საწინააღმდეგოდ ტრიალებს. ამაზე მანუ სიამოვნებით ილაპარაკებდა. ხმა 5: „... ზურგზე ნომრები აწერიათ...“ ცოტა იქით. REWIND. ახლა: „... ორასიო კი პატარა მაგიდასთან ზის, სანთლის შუქზე..“ STOP. პატარა მაგიდა, პატარა მაგიდა. ვის სჭირდება შენი პატარა მაგიდაზე ლაპარაკი, როცა ხარ ფარმაცევტი, წმინდა წყლის აბდაუბდა. პატარა მაგიდა! უსარგებლო სიღბო. კარგი, ტალიტა. გეყოფა ამდენი სისულელე. REWIND.

მორჩა, საცაა ლენტაც ამოვარდება, ამ აპარატის ნაკლი ისაა, რომ თუ კარგად არ გათვლი და ლენტა ამოვარდება, მის უკან ჩამაგრებას მთელი ნახევარი წუთი სჭირდება. STOP. ზუსტად ორი სანტიმეტრილა დარჩა. რაზე ვლაპარაკობდი დასაწყისში? უკვე აღარც მახსოვს, მაგრამ ხმა სულ შეშინებული წრუწუნასავით წრიპინებდა, ალბათ მიკროფონის წინ შიში. ახლა ვნახოთ 5 1/2 ხმა, თუ კარგად ისმის. „ეს მე ვარ, მე ვარ ის. ჩვენ ვართ. მაგრამ მე ვარ მე, უპირველეს ყოვლისა...“ მაგრამ ამას რატომ ვამბობ? მე ვარ მე, მე ვარ ის; მერე პატარა მაგიდაზე ლაპარაკი. თანაც ვბრაზობ. „ეს მე ვარ, მე ვარ ის. მე ვარ მე. მე ვარ ის.“

ტალიტამ მიკროფონი გამორთო, დახურა, ზიზღით დახედა და ლიმონათი დაისხა. აღარც კლინიკაზე ფიქრი უნდოდა (დირექტორი ასე იტყვის ხოლმე „გონების კლინიკაო“, რაც სრული უაზრობაა), მაგრამ როგორც კი კლინიკაზე ფიქრს ამოიგდებდა თავიდან (თუმცა ეს უფრო ფიქრი იყო, ვიდრე სინამდვილე), მაშინვე უფრო უარესი ფიქრი აეკვიატებოდა, ეს კი ნამდვილი თავსატეხი იყო — მანუ და ორასიო, ამავე დროს სასწორის ისართან ხატოვანი შედარება, რაზეც ასე გატაცებით ლაპარაკობდნენ მაშინ, ცირკის სალაროში.

იმის შეგრძნება, რომ მასში თითქოს ვიღაც სხვა ჩასახლდა, უფრო უმძაფრდებოდა, ხოლო კლინიკის გახსენება ხომ თავზარს სცემდა, როცა წარმოიდგენდა დამაწყნარებელ პერანგებიან შმაგ გიჟებს, ერთმანეთს ნავახებით რომ დასდევენ, ტაბურეტებსა თუ საწოლის ფეხებს ესვრიან ერთმანეთს, არწყევენ, ყველას თანდასწრებით მასტურბირებენ, მართლა სასოწარკვე-

თილებაში ვარდებოდა. მერე რა სანახავები იქნებოდნენ მანუ და ორასიო თეთრ ხალათებში გამოწყობილები ავადმყოფებს რომ უვლიდნენ. „ალბათ მეც რამე შესაფერის ადგილს შემომთავაზებენ, – მოკრძალებით გაიფიქრა ტალიტამ, – შეიძლება კლინიკის აფთიაქიც მომანდოს დირექტორმა, თუკი ასეთ კლინიკებში არის ხოლმე ასეთი რამ. იქნება გადაუდებელი დახმარების პუნქტი მაინც ჰქონდეს. მანუ უთუოდ თავისებურად იქილიკებს ამაზეც, როგორც იცის ხოლმე.“ მეც უთუოდ რაღაც რაღაცების გახსენება მომიხდება, ბევრი რამ კიდევ დამავიწყდა, დროს მაინც თავისი მიაქვს; თან რამდენი რამ მოხდა ამ ზაფხულში, ყოველდღიურობის გაძლება, სიცხე, პორტი, ორასიო, მერე როგორი სახე ჰქონდა გემიდან რომ გადმოვიდა, ან რა პირგამეხებული შეგვხვდა, რა უხეშად გამომისტუმრა ჩემი კატიანად, ტრამვაიზე დასხედით და მიბრძანდითო, ჩვენ ჩვენი სალაპარაკო გვაქვსო. მერე კიდევ ისეთი დრო დადგა, თავი უკაცრიელ ადგილზე გევონებოდა, აქა-იქ სულ კონსერვის დაჭყლელი ქილები, ლურსმნები ეყარა, შეიძლება ფეხებშიც შეგრჭობოდა, აშშორებული გუბეები, ბუჩქებზე ჩამოკიდებული ძონძები, მერე კიდევ ცირკი ღამღამობით, ორასიო და მანუ მასაც უყურებდნენ და ერთმანეთსაც, თან ეს კატაც, რომელსაც რაც დრო გადის, მით უფრო აკლდება ჭკუა, ზოგჯერ კი პირიქით, გენიალური ხდება, ისე ითვლის და ანგარიშობს განცვიფრებული მაყურებლის თვალწინ, მართლა გაგიკვირდება, მერე მიდიხარ შინ ფეხით, ხანაც ლუდის დასალევად შეივლიან მანუ და ორასიო, ლაპარაკობენ არაფერზე, შენ კი უნდა უსმინო ამ სიცხეში და ბოლში, თანაც დაღლილმა. მე ვარ მე, მე ვარ ის, ისე თქვა, რომ არც დაფიქრებულა, მაგრამ ეს უფრო მეტს ნიშნავდა, ვიდრე ნაფიქრი და გააზრებული, რადგან იქიდან მოდიოდა, სადაც სიტყვები იმ კლინიკის გიჟებს ჰგავდნენ, იმ საშიშ და აბსურდულ არსებებს, რომლებიც თავიანთი საკუთარი გარიყული ცხოვრებით ცხოვრობენ, მერე მოულოდნელად გამოცვივდებიან და ველარავინ შეაკავებს: მე ვარ მე, მე ვარ ის, ის კი არ არის მანუ, ის არის ორასიო, ის არის სწორედ ის, ვინც მასში ჩასახლდა, იდუმალი თავდამსხმელი, აჩრდილი თავის ოთახის წყვდიადში ჩაფლული, სიგარეტის ცეცხლით რომ ხატავს უძილობის რაღაც ფორმებს.

როდესაც ტალიტას ასე მოერეოდა შიში, ადგებოდა და ცაცხვის და პიტნის ჩაის მოადულებდა, fifty—fifty[208], თან ელოდებოდა, საცაა მანუს გასაღები კარებში გაიჩხაკუნებსო. მანუმ რა მოსწრებულად უთხრა „ორასიოს სულ არ ენაღვლებათ“, საწყენი კი იყო, მაგრამ თან დამამშვიდებელიც. მაგრამ ისიც უთხრა, ორასიომ თვალი დაგადგაო; (არა, ასეთი რამ არ უთქვამს, არაფერი უთქვამს ასეთი) ერთი კოვზი ცაცხვი ერთი კოვზი პიტნა წყალი ცხელი უნდა იყოს, ადუღებული, STOP ასეც რომ იყოს, რა მნიშვნელობა აქვს მისთვის. მაშინ თუკი ასეა. მაშინ, თუ არანაირი მნიშვნელობა არა აქვს, რატომ ზის სულ ოთახში, სიგარეტს აბოლებს, ან კითხულობს, ყოფნა (მე ვარ მე, მე ვარ ის), ვითომ ის რამეში სჭირდებოდეს, ჰო, ზუსტად ასეა, თითქოს ისე უნდა რომ ჩამოეკიდოს, ისე ამოხადოს სული, გამწარებით ეძებდეს რაღაცას, თითქოს უკეთესად დაინახავდეს რაღაცას და თვითონაც უკეთესი გახდებოდეს. მაშინ გამოდის, რომ მე კი არა ვარ მე და მე ვარ ის, არამედ პირიქით, მე ვარ ის, რადგან მე ვარ მე. ტალიტამ შვებით ამოისუნთქა, რადგან ასეთმა ჭკვიანურმა დასკვნამ კმაყოფილება მოჰგვარა და ჩაიც მეტად სურნელოვანი გამოუვიდა.

თუმცა მარტო ეს არ კმაროდა, რადგან შედეგი მეტისმეტად მარტივი გამოვიდოდა. შეუძლებელი იქნებოდა (მაშინ ლოგიკა რაღა საჭიროა), რომ ორასიოს ერთსა და იმავე დროს კიდევ აინტერესებდეს იგი და კიდევ არ აინტერესებდეს. ამ ორი კომბინაციიდან უნდა გამოდიოდეს მესამეც, ისეთი, რასაც არაფერი საერთო არ უნდა ჰქონდეს სიყვარულთან, მაგალითად (ისეთი სისულელე იყო სიყვარულზე ფიქრი, როცა სიყვარულით მარტო მანუს სიყვარული უნდოდა, მხოლოდ მანუსი, ერთადერთი მანუ ეყვარებოდა მთელი სიცოცხლე) ისეთი რამ, თუნდაც ნადირობის მსგავსი, ძებნა, ანდა უფრო სწორად, საშინელი მოლოდინი, ისეთი, როგორც კატამ იცის, ჩაუსაფრდება იადონს, შესცქერის, დრო კი არ იძვრის, გაიყინა, დღეც გაჩერდა, რაღაც კატა-თაგვობანას თამაში. შაქრის ერთ-ნახევარი ნატეხი, მინდვრის სურნელება. კატა-თაგვობანა ყოველგვარი ახსნა-განმარტების გარეშე სა-კი-თხის-ამ-მხა-რის შესახებ, ან თუნდაც ერთ მშვენიერ დღესაც ორასიო მაინც იქამდე მივა, რომ მაინც დაილაპარაკოს

რამეზე, ან წავიდეს, გაგვეცალოს, ან შუბლში ტყვია დაიხალოს, მაშინ ამას ასე თუ ისე, რაღაც ახსნა მოეძებნება, ან იმის საფუძველი მაინც იქნება, რომ რაღაც ამისმაგვარი წარმოიდგინო.

ასე ხომ მაინც არ იქნება, სვამდეს მატეს და იყურებოდეს, მანუც სვამდეს მატეს და იყურებოდეს, გეგონებათ სამივე ერთად რაღაც დაუსრულებელ ცეკვას ცეკვავდნენო. „მე, ფიქრობდა ტალიტა, რომანებს უნდა ვწერდე, ისეთი დიდებული აზრები მომდის თავში“. ისე დაუმძიმა გული, რომ ისევ მაგნიტოფონს მიუბრუნდა, მღეროდა და მღეროდა, სანამ მანუ არ მოვიდა. ორივენი იმ დასკვნამდე მივიდნენ, რომ ტალიტას ხმა ცუდად იყო ჩაწერილი და ტრეველერმა აჩვენა, როგორ უნდა შეესრულებინა ბაგულა. მათ ფანჯარასთან დადეს მაგნიტოფონი, რათა ხეკრეპტენსაც მოესმინა და შეეფასებინა, თუ ორასიოც სახლში იყო, იმასაც, მაგრამ არ იყო. ხეკრეპტენს ყველაფერი ბრწყინვალედ მოეჩვენა და მათ გადაწყვიტეს ერთად ევახშმათ ტრეველერების სახლში, ტალიტას ჰქონდა შემწვარი ხორცი, ხეკრეპტენი კი სალათას მოამზადებდა და მიიტანდა. ტალიტას ეს აზრი ძალიან მოეწონა, რაღაც საბანს თუ ჩაიდანზე დასაფარებელს ჰგავდა, ერთი სიტყვით, რაღაცას ისეთს, რითაც აფარებენ, ან მაგალითად, მაგნიტოფონს ან ტრეველერის კმაყოფილ სახეს, რაღაც უკვე გადაწყვეტილსა და დასრულებულს, რომ ზემოდან გადააფარო, მაგრამ რას უნდა გადააფარო, ეს მაინც იყო პრობლემა და მიზეზი იმისა, რომ არსებითად ყველაფერი ისევ ისე, ადრინდებულად რჩებოდა, როგორც იყო ცაცხვისა და პიტნის ჩაიმდე, fifty—fifty.

(-110)

48

გორაკის ფერდობიდან დაწყებული, — თუმცა ფერდობი არ არსებობდა, რადგან პირდაპირ გორაკი იწყებოდა და არც ის

იცოდა ვინმემ, ეს უკვე გორაკი იყო თუ არა, ასე, რომ ჯობია გორაკის შემოგარენი ვუწოდოთ, — პატარ-პატარა სახლებითა და მოჩხუბარი ბიჭებით სავსე კვარტალი ფეხდაფეხ და კითხვა-კითხვით შემოიარა, მაგრამ ვერაფერი გაიგო. ქალები თავაზიანი ღიმილით კი ხვდებოდნენ, დახმარებაც უნდოდათ, მაგრამ არაფერი იცოდნენ, ძველი ბინადრები წავიდ-წამოვიდნენ, ბინები გამოიცვალეს, კარგა ხანია აქ ისედაც ყველაფერი შეიცვალაო, ისევე ჯობია პოლიციას მიმართოთ, ეგებ მათ მაინც იცოდნენ რამეო. მას კი მეტი დრო აღარ ჰქონდა, გემი საცაა გავიდოდა და მაინც ვერ გაიგებდა ვერაფერს, მის გზა-კვალს ველარ მიაგნებდა, რადგან ყველაფერი წინასწარ იყო გადაწყვეტილი, ველარაფერს გააწყობდა, გზადაგზა მაინც ეკითხებოდა შემხვედრებს, თუმცა ისევე ჰქონდა ამის იმედი, როგორც ლატარიის ბილეთის მყიდველს — მოგებისა, ანდა მათ, ვისაც ასტროლოგების სჯერა. როცა პორტში დაბრუნდა, საწოლზე დაეცა და სადილობამდე იწვა.

იმავე ღამეს, ორი საათი იქნებოდა, როცა ის პირველად დაინახა.

ცხელოდა და ფართო საწოლებზე ასობით იმიგრანტი ხვრიწავდა და ოფლში იწურებოდა, ეს უფრო უარესი იყო, ვიდრე ბაგირის რულონები, ღია ცის ქვეშ, ტენიან ჰაერზე, წებოსავით რომ გეკვრება კანზე; ოლივეირაც ტიხარზე მიყუდებული იჯდა და სიგარეტს სიგარეტზე აბოლებდა, შეჰყურებდა აქა-იქ მიმოფანტულ ვარსკვლავებს, ღრუბლებიდან რომ იჭვრიტებოდნენ. მაგა ვენტილატორის მხრიდან გამოვიდა, რაღაცას მოათრევდა ხელით, იატაკზე მიაჩოჩებდა, მაგრამ მაშინვე მიტრიალდა და ლიუკისკენ გაემართა. ოლივეირას არც კი უცდია, რომ უკან გაჰყოლოდა, რადგან იცოდა, რომ კიდევ არაერთხელ ნახავდა მას. მან ჩათვალა, რომ ეს პირველი კლასის ვინმე აზიზი ბინადარი იყო, რომლებიც ჭუჭყიან გემბანზე ამოდიან ხოლმე ეგრეთწოდებული ცხოვრებისეული გამოცდილების მისაღებად.

მაგას კი ძალიან ჰგავდა, აშკარად ჰგავდა, ალბათ თვითონვე მიაშგავსა და თვითონვე დაიჯერა, იმდენად, რომ გული აუძ-

გერდა ცოფიანი ძალღივით, ისევ სიგარეტს მოუკიდა და თავს განუკურნებელი კრეტინი უწოდა.

მაგრამ ის, რომ ვითომ მაგა დაინახა, იმდენად მწარე არ იყო, როგორც ის, რომ დაიჯერა; დაუოკებელმა სურვილმა ეგრეთწოდებული ქვეცნობიერის სიღრმიდან ამოხეთქა და უბიძგა უცნობი ქალისკენ, რომელიც პირველად დაინახა გემზე. აქამდე ეგონა, რომ შეეძლო თავისი თავისთვის ისეთი ფუფუნების უფლება მიეცა, რომ აპყოლოდა მელანქოლიურ მოგონებებს, გაეხსენებინა ზოგიერთი რამ საჭირო საათზე და საჭირო ვითარებაში, მესხიერებაში აღედგინა ესა თუ ის შემთხვევა და შემდეგ ისე მშვიდად დაესვა ამისთვის წერტილი, როგორც აქრობდა ხოლმე სიგარეტს საფერფლეში. როცა ტრეველერმა პორტში ტალიტა გააცნო, ასეთი სასაცილო იმ თავის კალათაში ჩასმული კატით, მაგრამ სათნო, რაღაცნაირად ალიდა ვალის მიამსგავსა, მაშინ იყო, რომ თითქოს შორეული მსგავსება, უეცრად გადაიქცა სრულ და აბსოლუტურ მსგავსებად; მისმა მესხიერებამ, სადაც ვითომ ყველაფერს თავისი ადგილი ჰქონდა მიჩენილი, ამოგლიჯა ერთგვარი ექტოპლაზმა, მოჩვენება, რომელსაც შეეძლო ჩასახლებულიყო სხვა სხეულში, სხვა სახეში, რომელიც მას იმ მზერით შეხედავდა, მხოლოდ მოგონებებში შემორჩენილი რომ ეგონა.

მომდევნო კვირის დღეებს ავსებდა ხეკრეპტენის თავგანწირვა, ქიშმირის ნაჭრების გასასაღებლად კარდაკარ სიარული და ამ რთულ საქმეში დახელოვნება, მერე ლუდის უზომო სმა, აქაიქ, მოედნებზე, სკამებზე ყურყუტი და ყოველი წვრილმანის გაუთავებელი ჩხრეკა. გორაკის არემარებზე სიარული და კითხვა-ძიება სინდისის დასამშვიდებელ საშუალებად მიაჩნდა, უნდა მოეძებნა, აეხსნა, მიეხვედრებინა, რომ საბოლოოდ დამშვიდობებოდა. ეს მამაკაცის დამახასიათებელი თვისებაა, რომ საქმე სუფთად დაამთავროს და ბოლოს წერტილი დაუსვას. ახლა კი ესმოდა (ის აჩრდილი ვენტილიატორის მხრიდან რომ გამოვიდა, ეს ქალი, კატა რომ ჰყავდა კალათაში), რომ ამისთვის არ დადიოდა იმ გორაკის არემარებზე. ანალიტიკური ფსიქოლოგია კი აღიზიანებდა, მაგრამ ასე იყო აშკარად: ამისთვის არ უვლია

გორაკის მიდამოებში. უეცრად მასში თითქოს გაჩნდა უძირო უფსკრული. კონგრესის მოედანზე რომ შეჩერდა, ირონიულად ჰკითხა თავის თავს, „ეს იყო შენი ძებნა, ამას ეძახი ძებნას?“

გჯერა, რომ თავისუფალი ხარ? როგორ გესმის ჰერაკლიტეს ამბავი?

აბა, გაიმეორე, თავისუფლების ხარისხები როგორ გესახება, რომ მეც გავიცინო. მაგრამ შენ ხომ ორმოში ზიხარ, ძმაო”. ალბათ მას კიდევ გაუხარდებოდა თავი დამცირებულად რომ ეგრძნო ამ აღმოჩენის გამო, მაგრამ მაინც აწუხებდა ბუნდოვანი კმაყოფილების შეგრძნება, რასაც სადღაც კუჭში გრძნობდა, კმაყოფილების ის კატისებური რეაქცია, რასაც სხეული გამოავლენს ხოლმე მაშინ, როცა სულის მოთხოვნილებებზე მოუნდება სიცილი, სწორედ მაშინ იბადება კმაყოფილების შეგრძნება და გორგალივით შემოეგრაგნება ნეკნებს, მუცელსა და ტერფებს. მაგრამ უბედურებაც ის იყო, რომ სულის სიღრმეში მაინც კმაყოფილი იყო ამ გრძნობით, რომ ის კი არ დაბრუნდა, არამედ სულ გზაში იყო, თუმცა სად მიჰყავდა ამ გზას, არ იცოდა. ამ კმაყოფილების მიღმა, როგორც სასოწარკვეთილება, ისე წვაკვდა და მოიწევდა რაღაც, რასაც უნდოდა განსხეულება, ეს მცენარისმაგვარი კმაყოფილება კი ზანტად იშორებდა ამ რაღაცას, მოშორებით აჩერებდა. ხანდახან ოლივეირა თავს შორიდან მაყურებელივით გრძნობდა და არ უნდოდა ამ განხეთქილების რომელიმე მხარე დაეჭირა. ცდილობდა მიუკერძოებელი ყოფილიყო.

ასე და ამგვარად წარმოიქმნა ცირკიც, დონ კრესპოს ეზოში სხდომებიც და მატეს სმა, ტრეველერის ტანგო და მთელ ამ სარკეებში ოლივეირა ცალი თვალით აკვირდებოდა თავის თავს, ის კი არა და, რვეულში ჩანაწერებსაც აკეთებდა, რასაც ხეკრეპტენი დიდი მზრუნველობით და სიყვარულით ინახავდა უჯრაში და წაკითხვასაც ვერ ბედავდა. ოლივეირა თანდათან ხვდებოდა, რომ გორაკის მიდამოებში მისმა სიარულმა კარგად ჩაიარა, თუნდაც იმიტომ, რომ ადრე გამოტანილი დასკვნების შეცვლა მოუხდა. იმის აღიარება, რომ მას მაგა უყვარდა, არც მარცხი იყო და არც წარსულში საწყლად ჩარჩენა; სიყვარული, რომელ-

საც შეეძლო გაძლება და არსებობა სიყვარულის ობიექტის გარეშე, რომელიც თითქმის არაფრით საზრდოობდა, შეიძლება სულ სხვა ძალას ასულდგმულებდა, აერთიანებდა და აკავშირებდა იმ სწრაფვას, რაც ერთ დღესაც დაანგრევდა სხეულის ამ შინაგან კმაყოფილებას, ასე რომ გაფუყულიყო ლუდითა და შემწვარი კარტოფილით. რვეულში დაწერილ სიტყვებს თან ახლდა ხოლმე მაგიდაზე მუშტის ისეთი დარტყმა, რომ ყველაფერი ზანზარებდა, ჰაერს კი მისი გამკვივანი სტვენა არღვევდა, ბოლოს კი გიჟური ხარხარი აუტყდებოდა ხოლმე. ეს ყველაფერი იმით მთავრდებოდა, რომ ფანჯარაში გადმოდგებოდა ტრეველერი და სთხოვდა, ცოტა დაწყნარდიო. ზოგჯერ ისეც ხდებოდა, რომ ოლივეირა რაიმე საქმეს გამონახავდა, ხელებს აამოძრავებდა, მაგალითად, დაგრეხილ ლურსმნებს ასწორებდა, აგავას ბოჭკოებს დაშლიდა და ლაბირინთივით რაღაცას ხლართავდა, მერე შუქფარზე მიაკრავდა და ხეკრეპტენი მას როგორც ელეგანტურს ისე დაახასიათებდა.

ეგებ სიყვარული ამაღლებს და ამდიდრებს ადამიანს, აზიარებს ყოფიერებას; მაგრამ მხოლოდ მას მერე, რაც მას დაეკარგავთ, შევძლებთ ბუმერანგის ეფექტისთვის თავის არიდებას, გავაქროთ, რომ დავიწყებას მივცეთ, და შევძლოთ ისევ მარტო რეალობის ახალ საფეხურზე შევდგათ ფეხი, რომელიც ღიაა ყოველი მხრიდან მონაბერი ქარისთვის. სიყვარულის ობიექტის მკვლელობა მამაკაცის ძველთაძველი ცდუნებაა, იმის საფასურია, რომ არ შეჩერდეს შემდეგ საფეხურზე. ასე რომ ფაუსტის ვედრებას, წამი შეჩერებულიყო, არანაირი აზრი არ ჰქონია, თუკი თავად მას არ დატოვებენ, როგორც ცარიელ ჭიქას მაგიდაზე. და ასე შემდეგ და ამგვარად, და კიდევ ეს მწარე მატეც.

მერედა რა იოლია შესაფერისი სქემის აგება, აზრებისა და ცხოვრების მოწესრიგება, ჰარმონიის მიღწევა. საკმარისია ყოველდღიური ფარისევლობა, წარსულის ცხოვრებისეული გამოცდილებების რანგში აყვანა, სახის ნაოჭების წარმოჩინება, რომლებიც გაგიჩნდა ღიმილსა თუ დუმილში გატარებული ორმოცი წლის მანძილზე. და კიდევ გამოეწყობი ლურჯ კოსტიუმში, გადაივარცხნი შევერცხლილ თმას და სურათების გამოფენაზეც

წახვალ „სადში“ ან „რიჩმონდში“, მთელ სამყაროს შეურიგდები. თავშეკავებული სკეპტიციზმი, შორიდან ჩამოსული კაცის შეხედულება, ეტაპობრივი შესვლა ასაკში, ქორწინება, მამობრივი დარიგებები სადილის დროს და დღიურის ფურცვლა არადაამკმაყოფილებელი ნიშნებით ამას გეუბნები იმიტომ, რომ საკმაოდ ვიცხოვრე. ბევრიც ვიმოგზაურე. ბევრიც ვნახე, როცა პატარა ბიჭი ვიყავი. ამას იმიტომ გეუბნები, რომ საკმაოდ ცხოვრებისეული გამოცდილება მაქვს, შვილო. შენ ჯერ კიდევ არ იცნობ ცხოვრებას.

ეს ყველაფერი სასაცილო და გაცვეთილი იყო, მაგრამ შეიძლება უფრო უარესიც ყოფილიყო, ყოველგვარ განსჯას მაინც დაემუქრებოდა *idola fori*[209], სიტყვებმა შეიძლება დაამახინჯონ კიდევ ჩანაფიქრი, გაქვავებული და დადგენილი ჭეშმარიტებები, მერე კი შენ, ილაჯგაწყვეტილი, ჟილეთის ჯიბიდან ამოიღებ თეთრ ბაირალს და დანებების ნიშნად ააფრიალებ. ეგებ ისეც მოხდეს, რომ ლალატს სრული მარტოობა მოჰყვეს, როცა აღარც მოწმეები შემოგრჩება და აღარც თანამზრახველები: ასე ხარ პირისპირ საკუთარ თავთან და გჯერა, რომ ყოველგვარი პიროვნული კომპრომისებისგან და დრამატული განცდებისგან შორს დგახარ, შორს დგახარ ეთიკური ტანჯვისგან, იმ წესებისგან, რომელიც გაკავშირებს შენს ტომთან, ან თუნდაც შენს ხალხთან ან ენასთან. და ასე ვითომდა სრულიად თავისუფალი, არავის წინაშე არ ხარ პასუხისმგებელი, შეგიძლია თამაშიდანაც გამოხვიდე, გადაუხვიო გზაჯვარედინიდან საითაც გინდა, დაადგე რომელ გზასაც გინდა და ეს გზა გამოაცხადო აუცილებელ და ერთადერთად. მაგა იყო ერთი ასეთი გზა, ლიტერატურა კი — მეორე (დაუყოვნებლივ უნდა დაიწვას რვეული, თუნდაც ხეკრეპტენი ხელეხს ი-მტვრევ-დეს), უბრუნველი თავაშეხებულობა — კიდევ ერთიც, ფიქრი სუკის გემრიელი ნაჭრის ჭამისას — კიდევ მეორე. როცა კორიენტეს ქუჩაზე ნომერ ათას სამასი სახლის წინ პიცერიასთან გაჩერდა, ოლივეირამ მნიშვნელოვანი კითხვები დაუსვა თავის თავს: „რა გაეწყობა, ისე უნდა დარჩე, როგორც გზაჯვარედინზე ბორბლების მორგვი? მაშ რისთვის გინდოდა გცოდნოდა და გეფიქრა თითქოს იცი, რომ ყველა გზა ყალბია, თუ გზაზე ერთადერთი იმ მიზნით მიდიხარ, რომ გზაში იყო? ჩვენ

არა ვართ ბუდები, ჩე, აქ ჩვენ არ გვაქვს ისეთი ხეები, იმათ ჩრდილში ლოტოსის პოზაში რომ დავსხდეთ. ეგრევე პოლიციელი დაგადგება თავზე და ჯარიმას გამოგიწერს”.

იარო ერთადერთი იმ მიზნით, რომ გზაში იყო. მაინც რა ლაყობაა (რა ასო-ბგერაა ეს „ყ“, მის გარეშე არ მოგვიწევდა ყბედობა, ყროყინი, ყურყუტი), ღმერთო, მართო რაღაც ბუნდოვანი გრძნობა მრჩება. ამას კარგი დაფიქრება კი უნდა. ერთი სიტყვით, იმ გორაკის მონახულებას მაინც ჰქონდა აზრი, რადგან მაგა ამის შედეგ დაკარგულ ობიექტად აღარ მიიჩნევა და ისევ შეიძლება დაბრუნდეს ის სახე და შეერთების შესაძლებლობა, მაგრამ უკვე არა მასთან, არამედ ვიღაცასთან, ან ამ მხარეს, ან იმ მხარეს, მისი სახელით, მაგრამ მის გარეშე. და მანუც, ცირკიც და ეს წარმოუდგენელი იდეა საგიჟეთისა, რაზეც ამდენს მსჯელობენ ამ ბოლო დროს, — ამას ყველაფერს შეიძლება ჰქონოდა თავისი მნიშვნელობა, რადგანაც ეს ყველაფერი ექსტრაპოლირებას განიცდიდა, გარდაუვალი იყო ექსტრაპოლაცია მეტაფიზიკურ დროში, ეს ტკბილხმოვანი სიტყვა ხომ სულ ენის წვერზე გადგას კაცს. ოლივეირამ დაიწყო თუ არა პიცის ჭამა, მაშინვე პირი დაითუთქა, როგორც ყოველთვის, როცა მშვიდი იყო, მერე კი კარგად იგრძნო თავი. მაგრამ რამდენჯერ დამთავრებულა ასეთი ციკლი, რამდენ კაფეში, რამდენ მოსახვევში, რამდენ ქალაქში, რამდენჯერ მისულა ამ დასკვნამდე და ყოველთვის კარგად გრძნობდა ხოლმე თავს ამის მერე და ირწმუნებოდა, რომ შეძლებდა ცხოვრების თავიდან, ახლებურად დაწყებას, ისე, როგორც იმ საღამოს, როცა იმ დაწყებულ კონცერტზე აღმოჩნდა თავისდაუნებურად და მერე... მერე თავსხმა წვიმა მოვიდა, ეს იყო და ეს, რისთვის უნდა ვჩხრიკო წარსული. ტალიტასავითაა, რაც უფრო მეტს უტრიალებ, მით უფრო უარესია. ეს ქალი უკვე იტანჯება მისი წყალობით, თუმცა არაფერი საშინელი არ მომხდარა, უბრალოდ გამოჩნდა თუ არა, ტალიტას და ტრეველერის ცხოვრებაში რაღაც ცვლილებები გაჩნდა, რაღაც წვრილმანებსაც დაეტყო, რაც თითქოს სათვალავში არ უნდა ჩაევდოთ, მაგრამ უეცრად კი გამწვავდა, ისიც კი, რაც ესპანურად შემწვარით იწყებოდა, მოულოდნელად გადაიქცა ქაშაყად სოუსში ა ლა კიერკეგორი, თუ კიდევ უარესად არა. ის დღე, როცა

ფიცარი გადეს ქუჩაზე, ფანჯრიდან ფანჯარაში, იყო დაბრუნება წესრიგისკენ, მაგრამ ტრეველერმა ხელიდან გაუშვა შესაძლებლობა რომ ის ეთქვა, რაც უნდა ეთქვა, რომ ოლივეირა უნდა გამქრალიყო მათი კვარტალიდან და მათი ცხოვრებიდან, მაგრამ მან არათუ თქვა რაიმე ამდაგვარი, არამედ, პირიქით, სამუშაოც კი უშოვა ცირკში, იმის დასტურად, რომ... ასეთ შემთხვევაში კი თანაგრძნობა ისეთივე სისულელე იყო, როგორც მაშინ, როცა წვიმდა, როცა ისეთი თავსხმა იყო. საინტერესოა, ბერტ ტრევა თუ კიდევ უკრავს ფორტეპიანოზე?

(-111)

49

ტალიტა და ტრეველერი ძალიან ბევრს ლაპარაკობდნენ უკვე კარგად ცნობილ გიჟებზე და იმათზეც, ვისზეც ჯერ არაფერი იცოდნენ; სალაპარაკოც ჰქონდათ, რადგან ფერაგუტომ უკვე საბოლოოდ გადაწყვიტა კლინიკის ყიდვა და აპირებდა ცირკი თავის კატიანად და საერთოდ ყველაფერიანად ვინმე სუარეს მელიანისთვის მიეყიდა. ორივეს მიაჩნდა, განსაკუთრებით ტალიტას, რომ ცირკის კლინიკაში გაცვლა ასე თუ ისე, მაინც წინ გადადგმული ნაბიჯი იყო, თუმცა ტრეველერს ნათლად მაინც ვერ წარმოედგინა ამ ოპტიმიზმის საბაბი. იმის მოლოდინში, ეგებ დღეს-ხვალ მაინც რაიმე გაირკვევაო, აფორიაქებულებს სულ ფანჯრისა და კარებისკენ ეჭირათ თვალი, რომ თავიანთი განცდები გაეზიარებინათ სენიორა დე გუტუსოსთვის, დონ ბუნჩესთვის, დონ კრესპოსთვის და თუნდაც ხეკრებტენისთვისაც კი, თუკი თვალს მოჰკრავდნენ სადმე ახლოს.

სამწუხაროდ, იმ დღეებში ყველა რევოლუციაზე ლაპარაკობდა და კამპო დე მაიოს მოსალოდნელ აჯანყებაზე, რასაც ხალხისთვის გაცილებით დიდი მნიშვნელობა ჰქონდა, ვიდრე კლინიკის ყიდვას ტრელიესის ქუჩაზე. ბოლოს, ცოტა მაინც რომ

დამშვიდებულიყვნენ, ტალიტა და ტრეველერი ფსიქიატრიის სა-
ხელმძღვანელოს დამუშავებას შეუდგნენ. ისედაც სულ უბრალო
მიზეზიც საკმარისი იყო, რომ აფორიაქებულიყვნენ, ხოლო იხ-
ვის დღეს ისეთი ცხარე კამათი გაიმართებოდა ხოლმე, რომ „ასი
პესოც“ კი გალიაში ველარ ჩერდებოდა, გადარეული აქეთ-იქით
აწყდებოდა, ხოლო დონ კრესპოს ერთი სული ჰქონდა ქუჩაში
ვინმე ნაცნობი დაენახა, რომ მარცხენა ხელის თითი მარცხენა
საფეთქელზე მიედო და თავის გემოზე დაეტრიალებინა. ამასო-
ბაში კი იხვის ბუმბული ქულა-ქუ — ლა მიფრინავდა სამზარეუ-
ლოს ფანჯრიდან, იწყებოდა კარების ჯახუნი, იმართებოდა ცხა-
რე კამათი და იქამდე არ დაწყნარდებოდნენ, სანამ მაგიდას არ
მიუსხდებოდნენ, მერე კი იხვი ისე შეიჭმებოდა, ნამუსრევიც
ალარ რჩებოდა.

როცა ყავისა და კანია მარიპობას საათი დადგებოდა, შეთან-
ხმებულიებით, უსიტყვოდ მიუბრუნდებოდნენ ღირსსაცნობ
ტექსტებს და ეზოთერულ ჟურნალებს, კოსმოლოგიურ განძს,
რაც აუცილებლად უნდა აეთვისებინათ, როგორც ახალი ცხოვ-
რების პრელუდია.

გიჟებზე იმდენს ლაპარაკობდნენ, რომ ტრეველერმა და
ოლივეირამ ძველი საგაზეთო სტატიებიც კი ამოქექეს, საინტე-
რესო ფაქტების კოლექცია, რომლის შეგროვებაც ერთად დაიწყ-
ეს, როცა ოდესღაც ესწრებოდნენ რალაც ლექციებს, მერე კარ-
გა ხნით დაივიწყეს, თუმცა დრო და დრო მაინც ახსენდებოდათ
და ცალ-ცალკე მაინც ავსებდნენ და აგრძელებდნენ. სადილის
შემდეგ მთელ დროს ამ ჩანაწერების შესწავლა-დამუშავებას ან-
დომებდნენ და ტალიტასაც კი მისცეს უფლება მონაწილეობა მი-
ეღო თავისი „რენოვიგოს“ (რევოლუციური ბილინგვური გაზე-
თი) რამდენიმე ნომრის წყალობით, რომელიც იყო ორენოვანი
ჟურნალი ესპანურ-ამერიკულ ენაზე და გამოდიოდა მექსიკაში
„ლუმენის“ გამომცემლობის სახელით და რომელშიც დიდი
წარმატებით მოღვაწეობდა გიჟების საკმაოდ დიდი რაოდენობა.
ფერაგუტოსგანაც იშვიათად იღებდნენ ცნობებს, რადგან ცირკი
უკვე სუარეს მელიანის ხელში გადავიდა, ხოლო კლინიკა ალ-
ბათ მარტის შუა რიცხვებიდან შეუდგებოდა მუშაობას. ერთი-

ორჯერ ფერაგუტოც იყო ცირკში კატა-მთვლელის სანახავად, რადგან, ეტყობა, მასთან დაშორება უჭირდა და ყოველთვის ლაპარაკობდა იმ დიდ შენაძენზე და იმ დიდ-პასუხის-მგებლობაზე, რაც ყველას დაეკისრა (ოხვრა).

თითქმის გადაწყვეტილი იყო, რომ ტალიტას ჩააბარებდნენ აფთიაქს და საბრალო საშინლად ნერვიულობდა, ძველ ჩანაწერებს ვითხულობდა და იმეორებდა, თუკი რამ ჰქონდა ნასწავლი. ოლივეირა და ტრეველერი კარგად ერთობოდნენ მისი ყურებით, მაგრამ ცირკში რომ მივიდოდნენ, მათაც ისეთი სევდა მოერეოდათ ხოლმე, მით უმეტეს, კატა-მთვლელსა და ხალხს რომ უყურებდნენ, თითქოს სწორედ ცირკი იყო მათი ფასდაუდებელი და იშვიათი განძი.

— აქ ყველა ბევრად უფრო გიჟია, — იტყოდა ხოლმე ტრეველერი, — შედარებაც კი არ შეიძლება, ჩე.

ოლივეირა მარტო მხრებს-ა-ი-ჩეჩ-და ხოლმე და იმასაც ვერ ამბობდა, რომ თვითონაც ამასვე ფიქრობდა გულში, შეჰყურებდა გუმბათს და ბუნდოვან ფიქრებს მიეცემოდა ხოლმე.

— შენ, ცხადია, არაფერი გაგაკვირვებს, იმდენის მნახველი ხარ, — ბუზღუნებდა ტრეველერი, — მეც ბევრი მიხეტიალია, ოღონდ სულ ახლო-მახლო, ამ მერიდიანზე...

და ისე გაშლიდა ხელებს, რომ ლამის მთელი ბუნოს აირესის გეოგრაფიას მოხაზავდა.

— შენ მაინც იცი ჩემი ხეტიალის ამბავი... — იტყოდა ოლივეირა.

როცა ამაზე დაიწყებდნენ ლაპარაკს, ისეთი სიცილი აუტყდებოდათ, რომ ყველა მათკენ დაიწყებდა ხოლმე ყურებას, ხელს გვიშლითო.

გულახდილი საუბრის დროს სამივე ერთმანეთს არწმუნებდა, რომ საკმაოდ მზად იყვნენ ახალი სამუშაოს შესასრულებლად. მაგალითად „ნასიონის“ საკვირაო გამოშვება უკვე ისეთ მოწყე-

ნილობას აღძრავდა მათში, მართო კინოთეატრებთან ან Reader's Digest-ის ჯიხურებთან გრძელი რიგის დანახვაზე რომ განიცდიდნენ.

— რაც დრო გადის, უფრო და უფრო სწრაფად წყდება ურთიერთობები, — დაიჩივლებდა ხოლმე ტრეველერი, — რამდენიც გინდა იყვირე და იღრიალე.

— აკი იყვირა კიდევ გუშინ სალამოს პოლკოვნიკმა ფლაპამ, — უპასუხებდა ტალიტა, — შედეგი, საალყო მდგომარეობა.

— ეს ყვირილი კი არა, შვილო, მომაკვდავის ხროტინი იყო ლამის, — მე კი იმაზე ვლაპარაკობ, რაზეც ირიგოიენი ოცნებობდა, ისტორიული მნიშვნელობის მიზნებზე, იმაზე, რასაც გვპირდებოდნენ და გვიწინასწარმეტყველებდნენ, რაზეც ოცნებობდა ადამიანთა მთელი მოდგმა და რასაც აღარ უნდა ველოდებოდეთ აქ, ჩვენთან.

— შენ იმ მეორესავით ლაპარაკობ, — თქვა ტალიტამ და ცოტა არ იყოს, შეწუხებულმა შეხედა, თუმცა კი ცდილობდა არ დაენახებინა თავისი დაკვირვებული მზერა.

ის მეორე კი ისევ ისე დადიოდა ცირკში, შეძლებისდაგვარად ეხმარებოდა სუარეს მელიანს და თავადვე უკვირდა, რა გულგრილი იყო ამ ყველაფრის მიმართ. ისეთი გრძნობა ჰქონდა, თითქოს ყველაფერი, რაც კი შემორჩა თავისი მანა-დან, ტალიტასა და ტრეველერს გადაულოცა, რომლებიც უფრო და უფრო აღფრთოვანებით ფიქრობდნენ და ლაპარაკობდნენ კლინიკაზე; მისთვის კი ერთადერთი, რაც ნამდვილად დიდ სიამოვნებას ანიჭებდა იმ დღეებში, იყო კატასთან თამაში, რომელიც უზომო სიყვარულს იჩენდა მის მიმართ და თვლიდა და თვლიდა, როგორც შეეძლო, ოღონდ კი ესიამოვნებინა მისთვის. რაკი ფერაგუტომ ბრძანება გასცა, რომ კატის ქუჩაში გაყვანა შეიძლებოდა მხოლოდ კალათით და კისერზე აუცილებლად უნდა ჩამოეკიდათ ამოსაცნობი საყელური, ზუსტად ისეთი, როგორსაც ოკინავასთან ბრძოლის დროს იყენებდნენ, ოლივეირაც, რაკი კარგად ესმოდა კატის გრძნობები, როგორც კი ცოტა გასცდებოდა

ცირკს, მაშინვე სადმე, სანდო ჯიხურში მიაბარებდა კალათს, საბრალო კატას კისრიდან მოხსნიდა საყელურს და ორივე მიდიოდნენ თავის ნებაზე, ათვალეერებდნენ კონსერვის ცარიელ ქილებს და შეექცეოდნენ მათ ყველაზე სასიამოვნო გასართობს — ორცხობილას. ასეთი გამაჯანსაღებელი გასეირნების მერე ოლივეირას შეეძლო დონ კრესპოს ეზოში შეკრებებისთვისაც გაეძლო და ხეკრეპტენის მზრუნველობისთვისაც, რომელსაც აუცილებლად უნდოდა მისთვის საზამთროდ რაღაც-რაღაცები მოექსოვა.

იმ საღამოს, როცა ფერაგუტომ დარეკა პანსიონში, რომ ტრეველერისთვის ეცნობინებინა დიდი შენაძენის ამბავი და თარიღი, სამივენი ისხდნენ და იუმჯობესებდნენ თავიანთ ესპანო-ამერიკული ენის ცოდნას „რენოვიგოს“ ერთ-ერთი ეგზემპლარის მიხედვით და კარგადაც ერთობოდნენ. მათ კიდევ ეწყინათ, რომ კლინიკაში სერიოზული მუშაობა, მეცნიერება, თავდადება და სხვა ასეთი საქმეები ელოდებოდათ.

— რა არის ცხოფრება ტრახედის გარეშე, — წაიკითხა ტალიტამ ბრწყინვალე ესპანურ-ამერიკულ ენაზე.

ეს გრძელდებოდა იქამდე, სანამ სენიორა დე გუტუსო არ მოვიდა და არ მოუტანა რადიოში მოსმენილი ახალი ამბები პოლკოვნიკ ფლაპასა და მისი ტანკების შესახებ, ბოლოს და ბოლოს, ეს რაღაც რეალური და კონკრეტული იყო და ახალი ამბების მომტანის გასაოცრად, რომელიც პატრიოტული გრძნობით იყო თავბრუდახვეული, სამივემ დატოვა თავისი ადგილი.

(-118)

გაჩერებიდან ტრელიესის ქუჩამდე სულ რამდენიმე ნაბიჯი იყო, უფრო სწორად, კვარტალი და ცოტა მეტი, ფერაგუტო და

კუკა უკვე იყვნენ ადმინისტრატორთან, როცა ტალიტა და ტრეველერი მივიდნენ.

დიდი გარიგება შედგა დარბაზში, პირველ სართულზე, რომლის ორი ფანჯარა გადაჰყურებდა ეზო-ბაღს, სადაც დასეირნობდნენ ავადმყოფები პატარა შადრევნის გარშემო. სანამ დარბაზში შევიდოდნენ, ტალიტას და ტრეველერს უნდა გაეფლოთ ქვედა სართულის რამდენიმე დერეფანი და ოთახი, სადაც გზად შემოხვდათ ქალბატონები და ბატონები, რომლებიც სუფთა კასტილიურ ენაზე გამოელაპარაკნენ იმ მიზნით, რომ მათთვის ნებაყოფლობით მიეწოდებინათ ერთი-ორი სიგარეტის კოლოფი. ავადმყოფი, რომელიც მათ მიუძღვოდა, ამ ურთიერთობებს ეტყობოდა სრულიად ბუნებრივად მიიჩნევდა, მაგრამ გარემოებები ამ პირველ გასაუბრება-გაცნობას დიდად მანც არ უწყობდა ხელს. ისინი თითქმის უსიგარეტოდ შევიდნენ დარბაზში, სადაც უნდა აღსრულებულიყო ეს დიდი გარიგება და სადაც ფერაგუტომ ისე წარუდგინა ადმინისტრატორს ისინი, რომ ლამაზი საექვბარი სიტყვებიც არ დაუშურებია. როდესაც სრულიად გაუგებარი დოკუმენტი შუამდე ჩაიკითხეს, ოლივეირაც გამოჩნდა და ჩურჩულითა და მინიმუმებით სცადეს მიეხვედრებინათ, რომ ყველაფერი დიდებულად მიდიოდა და რომ არავის არაფერი გაეგებოდა. ტალიტამ მოკლედ აუხსნა მას როგორ მიაღწიეს იმ დარბაზამდე, ჩუ, ჩუ, ოლივეირა კი გაკვირვებული უყურებდა, რადგან თვითონ პირდაპირ შევიდა დარბაზში ერთადერთი კარიდან. რაც შეეხება დირექტორს, მას საგანგებოდ შავი კოსტიუმი ეცვა.

ისეთი სიცხე იდგა, რომ დირექტორების ხმასაც კი ახშობდა, რომლებიც ყოველ საათში ერთხელ გადასცემდნენ ჯერ ამინდის ცნობას და მერე ოფიციალურ უარყოფას კამპო დე მაიოში აჯანყების და პოლკოვნიკ ფლაპას სასტიკი განზრახვების შესახებ. ადმინისტრატორმა შეწყვიტა დოკუმენტის კითხვა ექვსს რომ ხუთი წუთი აკლდა და ჩართო თავისი იაპონური ტრანზისტორი, რათა — მისივე სიტყვებით, — მოვლენებთან არ დაეკარგა კონტაქტი, რისთვისაც წინასწარ მოიხადა ბოდიში. ამ ფრაზაზე — „მოვლენებთან კონტაქტი“ — ოლივეირამ დაუყოვნებლივ უპა-

სუბა კლასიკური ჟესტით, რითიც ჩვეულებრივად ანიშნებენ ხოლმე, რომ ვესტიბიულში დარჩათ რაღაც ძალიან ძვირფასი (ბოლოს და ბოლოს, გაიფიქრა მან, ადმინისტრატორმა ეს უნდა გაიგოს ისე, როგორც მოვლენებთან კონტაქტის კიდევ ერთი ფორმა), და, ისე რომ ყურადღება არც მიუქცევია ტრეველერის და ტალიტას განმგმირავი მზერისთვის, დარბაზიდან უახლოესი კარით გავიდა და არა იქიდან, საიდანაც შემოვიდა.

იმ ორივე ფრაზიდან, რომელიც დოკუმენტიდან გაიგო, მიხვდა, რომ კლინიკა განთავსებული იყო ქვედა სართულზე და კიდევ მაღლა ოთხ ოთახში, ასევე ფლიგელში — ეზო-ბაღის სიღრმეში; ერჩივნა გაესეირნა ეზოში, თუკი გზას გაიკვლევდა, მაგრამ ეს შესაძლებლობა არ მიეცა, რადგან ხუთი მეტრის გავლაც ვერ მოასწრო, რომ მაშინვე ახალგაზრდა კაცი მიუახლოვდა, ხელი მოჰკიდა და ღიმილით და ხელის ბავშვივით ქნევით წაუძღვა დერეფნისკენ, სადაც გამოდიოდა რამდენიმე კარები და მათ შორის ისიც, რომელიც სატვირთო ლიფტ — ტის კარები უნდა ყოფილიყო. ის აზრი, რომ გიჟთან ხელჩაკიდებულს შეეძლო კლინიკის დათვალიერება, ოლივეირას კიდევ მოეწონა და პირველი, რაც მოიმოქმედა, იყო ის, რომ ამოიღო სიგარეტი და შესთავაზა თავის მეგზურს, ყოვლად აზრიანი გამომეტყველების მქონე ახალგაზრდა კაცს; მან გამოართვა სიგარეტი და კმაყოფილებით დაუსტვინა. შემდგომში გაირკვა, რომ ახალგაზრდა კაცი იყო სანიტარი და რომ არც ოლივეირა იყო გიჟი, მაგრამ ასეთი გაუგებრობები ჩვეულებრივი იყო. ეს ეპიზოდიც სრულიად ბანალური ეჩვენა და არც არაფერს მოასწავებდა. სართულებზე აღმა-დაღმა სიარულში ოლივეირა და რემორინო კიდევ დამეგობრდნენ და კლინიკის ტოპოგრაფიასაც ამ მხიარული ამბების, ანეკდოტების, პერსონალის მიმართ ჩხვლეთა-კბენაში კარგად გაეცნო, თუმცა კი თვითონ ერთმანეთის მიმართ ცოტა უფრო სიფრთხილეს იჩენდნენ. ისინი იყვნენ დოქტორ ოვებეროს ოთახში, სადაც ჰყავდა თეთრი თაგვები და ეკიდა მონიკა ვიტის სურათი, როცა შემოვარდა ელამი ბიჭი და რემორინოს უთხრა, თუ ეს სენიორი, მასთან რომ არის, სენიორ ორასიო ოლივეირაა, მაშინ... და ა.შ. ოლივეირამ ამოისუნთქა, ორი სართულით ქვევით ჩავიდა და ისევ შევიდა დარბაზში, სადაც მიმდი-

ნარეობდა დიდი გარიგება; იმ წუთში დოკუმენტის კითხვა მთავრდებოდა, რასაც თან ახლდა კუკა ფერაგუტოს კლიმაქტორული აღგზნება და ტრეველერის მიუტევებელი მთქნარება. ოლივეირას გაახსენდა ვარდისფერპიჯამიანი სილუეტი, რომელსაც თვალი მოჰკრა მესამე სართულზე, დერეფნის მოსახვევში, მოხუცი კედელ-კედელ მიდიოდა და მტრედს ეფერებოდა, რომელიც თითქოს ხელისგულზე ეჯდა. იმ წუთში კუკა ფერაგუტოს რაღაც უცნაური, ყმუილის მსგავსი ხმა აღმოხდა.

— რას ნიშნავს ხელი უნდა მოაწერონ okey?

— გაჩუმდი, ძვირფასო, — თქვა დირექტორმა, — სენიორს უნდოდა ეთქვა...

— აბა რა, ცხადია, — თქვა ტალიტამ, რომელიც ყოველთვის კარგად უგებდა კუკას და უნდოდა დახმარებოდა. — კლინიკის გადაცემის შემთხვევაში აუცილებელია მიიღო ავადმყოფების თანხმობა.

— მაგრამ ეს ხომ სიგიჟეა, — თქვა კუკამ ზუსტად ad hoc[210].

— იცით, ქალბატონო, — თქვა ადმინისტრატორმა და თავისუფალი ხელით ჟილეტი გაისწორა. — ჩვენ გვყავს განსაკუთრებული ავადმყოფები და მენდეს დელფინოს კანონი ამ შემთხვევას უცილობლად მიესადაგება. რვა თუ ათი ავადმყოფის გამოკლებით, რომელთა ოჯახებმა უკვე მოგვცეს თანხმობა, ყველა დანარჩენი მთელი ცხოვრება საგიჟეთიდან საგიჟეთში გადადის და გადმოდის, თუ ნებას მომცემთ ეს სიტყვები მოვიშველიო, მათზე არავინ აგებს პასუხს. მენდეს დელფინოს კანონი ადმინისტრატორს სრულ უფლებას აძლევს გონების განათების მომენტში ჰკითხოს ამ პირებს თანახმა არიან ისინი თუ არა, რომ კლინიკა გადავიდეს ახალი მფლობელის ხელში, აი, აქ ეს მუხლებია აღნიშნული, — დასძინა მან და მიუთითა წითელყდიან წიგნზე, რომლის მეხუთე ნაწილიდან ჩანდა სანიშნე. — წაიკითხეთ და მორჩა.

– ისედაც მშვენივრად გავიგე, – თქვა ფერაგუტომ, – ეს ფორმალობა ახლავე უნდა შევასრულოთ.

– მაშ რისთვის მოგიწვიეთ, რა გგონიათ? თქვენ, როგორც მფლობელები, და ეს სენიორები, როგორც მოწმეები, ახლა დავიწყებთ ავადმყოფების გამოძახებას და დღესვე დავამთავრებთ ყველაფერს.

– მაგრამ საქმე ისაა, – თქვა ტრეველერმა, – რომ კანონი ამის უფლებას გვაძლევს გონების განათების დროს.

ადმინისტრატორმა სიბრალულით შეხედა და ზარი ააგუგუნა. შემოვიდა რემორინო, თვალი ჩაუკრა ოლივეირას და მაგიდაზე გრძელი სია დადო. მან მაგიდასთან დაიდგა სკამი და სპარსელი ჯალათივით დაიკრიფა ხელები მკერდზე. ფერაგუტო გულმოდგინედ ჩააცქერდა სიას და თითქოს ყველაფერი ძალიან კარგად გაიგო, ჰკითხა ადმინისტრატორს, OM6V სულ ბოლოში უნდა დასვანო? ადმინისტრატორმა დაუდასტურა და თქვა, რომ ახლა ისინი დაიწყებდნენ ავადმყოფების ანბანის მიხედვით გამოძახებას და სთხოვენ თავიანთი თანხმობა დაამოწმონ „ბირომეს“ ლურჯი კალმით. იმის მიუხედავად, რომ მზადება წესით და რიგით მიდიოდა, ტრეველერმა გამოთქვა შიში, ვაითუ რომელიმე ავადმყოფმა უარი თქვას ხელმოწერაზე, ან რაიმე მოულოდნელი მოიმოქმედოსო და თუმცა კუკა და ფერაგუტო ვერ ბედავდნენ აშკარად დაეჭირათ მისთვის მხარი, ეს-სიტყვები-დიდი-ყურადღებით მოისმინეს.

(-119)

სწორედ ამ დროს გამოჩნდა რემორინო მოხუცთან ერთად, რომელიც საკმაოდ შეშინებული ჩანდა და ადმინისტრატორი რომ დაინახა, მეტად უცნაური რევერანსით მიესალმა.

— პიჟამა აცვია! — გაუკვირდა კუკას.

— აკი დაინახე შემოსვლისას, — უთხრა ფერაგუტომ.

— არა, პიჟამა არ ეცვათ, უფრო სწორად, რაღაც მსგავსი...

— სიჩუმე, — თქვა ადმინისტრატორმა, — ანტუნეს, მოდით აქ და მოაწერეთ ხელი, სადაც რემორინო გეტყვით.

მოხუცი ყურადღებით დააცქერდა სიას, რემორინომ კი უკვე „ბირომე“ გაუწოდა. ფერაგუტომ ცხვირსახოცი ამოიღო და მსუბუქი შეხებით მოიწმინდა შუბლზე ოფლი.

— ეს მერვე გვერდია, — თქვა ანტუნესმა, — მე კი მგონი პირველ გვერდზე ვაწერ ხელს.

— აქ, — უთხრა რემორინომ და აღნიშნულ ადგილზე მიუთითა, — ახლა კი წავიდეთ, თორემ რძიანი ყავა გაგვიცივდება.

ანტუნესმა მეტისმეტად ლამაზად მოაწერა ხელი, შეკრებილებს მიესალმა და კეკლუცად გაგოგმანდა, რამაც ტალიტა აღაფრთოვანა.

მეორე პიჟამა გაცილებით სქელი აღმოჩნდა, მაგიდას გარს შემოუარა და ადმინისტრატორს ხელი გაუწოდა, მან უხალისოდ ჩამოართვა და ასევე უხალისოდ მიუთითა მისი ხელმოწერის ადგილი.

— თქვენ უკვე იცით საქმის ვითარება, ასე რომ მოაწერეთ ხელი და წაბრძანდით თქვენს პალატაში.

— ჩემი პალატა არ დაუგვიათ, — თქვა სქელმა პიჟამიანმა.

კუკამ გონებაში აღნიშნა ჰიგიენური წესრიგის ნაკლებობა. რემორინო ცდილობდა როგორმე ხელში შეეჩეჩებინა პიჟამიანი სქელისთვის „ბირომე“, ის კი ნელ-ნელა უკან-უკან იხევდა.

– თქვენთან ახლავე დაასუფთავებენ, – თქვა რემორინომ, – მოაწერეთ ხელი დონ ნიკანორ.

– არავითარ შემთხვევაში, – თქვა პიჟამიანმა სქელმა, – ეს ხაფანგია.

– რა ხაფანგი, რა სისულელეა, – თქვა ადმინისტრატორმა, – დოქტორმა ოვეხერომ ხომ აგისხნათ საქმის ვითარება, როგორც კი ხელს მოაწერთ, უკვე ხვალიდანვე მიიღებთ რძიანი ბრინჯის ფაფის ორმაგ ულუფას.

– მე არ მოვაწერ ხელს, თუ დონ ანტუნესი არ იქნება თანახმა, – თქვა პიჟამიანმა.

– მან სწორედ თქვენს მოსვლამდე მოაწერა, აბა ნახეთ.

– ხელმოწერა გაურკვეველია. ეს არ ჰგავს დონ ანტუნესის ხელმოწერას. უთუოდ თქვენ აიძულეთ ელექტროშოკის მეშვეობით. დონ ანტუნესი მოკლეს.

– წადით და ახლავე აქ მოიყვანეთ! – უბრძანა ადმინისტრატორმა რემორინოს, ისიც მაშინვე გაიქცა და ანტუნესთან ერთად მალევე დაბრუნდა.

პიჟამიანმა სქელმა სიხარულით შეჰყვირა და მაშინვე მივიდა ანტუნესთან ხელის ჩამოსართმევად.

– უთხარით, რომ თანახმა ხართ და ხელი მოაწეროს, ნურაფრის შეეშინდება, – თქვა ადმინისტრატორმა, – მოდით, დროზე, თორემ უკვე გვიანაა.

– მოაწერე, ჩემო შვილო, ნუ გეშინია, – უთხრა ანტუნესმა პიჟამიან სქელს, – რაც არ უნდა ქნა, სულ ერთია, მაინც მოგხვდება თავში.

პიჟამიან სქელს „ბირომე“ დაუვარდა. რემორინომ ბუზღუნით აიღო, ადმინისტრატორი კი განრისხებული წამოხტა. პიჟამიანი ანტუნესს . ზურგსუკან მოეფარა, კანკალებდა და პიჟამის სახე-

ლოს გრეხდა. გაისმა კარებზე კაკუნის, მაგრამ სანამ რემორინო მოასწრებდა გაღებას, დარბაზში შემოვიდა სენიორა, რომელსაც ეცვა ვარდისფერი კიბონი და ხმის ამოუღებლად პირდაპირ იქით გაემართა, სადაც სია იდო, აიღო და ისე შეათვალიერ-შემოათვალიერა ყოველი მხრიდან, გეგონებოდათ ეს სია კი არა, შემწვარი გოჭიაო, მერე წელში გასწორდა — კმაყოფილი ჩანდა — და სიას ხელისგული დაადო.

— ვფიცავ, — თქვა სენიორამ, — ვილაპარაკო სიმართლე და მხოლოდ სიმართლე. თქვენ კი, დონ ნიკანორ, არ დამანებოთ ტყუილის თქმა.

პიჟამიანი სქელი გაცხარებით მოჰყვა თავის ქნევას, მყისვე გამოართვა რემორინოს „ბირომე“, სწრაფად მოაწერა ხელი სადაც მოხვდა ისე, რომ თვალის დახამხამებაც ვერავინ მოასწრო.

— მაინც რა პირუტყვია, — გაისმა ადმინისტრატორის ჩურჩული, — ერთი კარგად ნახე, რემორინო, გამოდგება მისი ხელმოწერა? ჰო, კარგი, ახლა კი თქვენ სენიორა შვიტ, რაკი უკვე აქ ბრძანდებით. რემორინო აჩვენე, სად უნდა მოაწეროს.

— თუ სოციალური პირობები არ გაუმჯობესდება, მე ხელს არ ვაწერ, — თქვა სენიორა შვიტმა, — სულიერ მოთხოვნილებებს კარები და ფანჯრები ფართოდ უნდა გაუხსნან.

— მე მინდა, რომ ჩემს ოთახში ორი ფანჯარა იყოს, — თქვა პიჟამიანმა სქელმა, — დონ ანტუნესს კი ფრანკო-ინგლისურ მაღაზიაში უნდა წასვლა, ბამბა და სხვა რაღაც-რაღაცები უნდა იყიდოს. აქ კი ასე ბნელა.

ოლივეირამ ოდნავ მიაბრუნა თავი და დაინახა, რომ ტალიტა მას უყურებდა და იცინოდა. ორივემ იცოდა, რასაც ფიქრობდნენ, ხოლო ფიქრობდნენ იმას, რომ ეს ყველაფერი იდიოტური კომედია იყო, რომ პიჟამიანი სქელი და ყველა დანარჩენი, ისეთივე გიჟები იყვნენ, როგორც თვითონ ისინი. უნიჭო მსახიობები, არც კი უცდიათ გიჟებს ჰგვანებოდნენ მათ წინაშე, რომელთაც ასე დაამუშავეს ფსიქიატრიის სახელმძღვანელო, ზოგადი

ნაწილი. თუნდაც, მაგალითად, კუკა, საკუთარი თავის ბატონ-პატრონი, ჩამჯდარა სავარძელში, ორივე ხელით ჩაუბლუჯავს ჩანთა, სწორედ ეს კუკა გაცილებით უფრო ჰგავს გიჟს, ვიდრე ის სამი, რომლებმაც მოაწერეს ხელი, ახლა კი რაღაც მოთხოვნები წამოაყენეს. მგონი ძაღლის სიკვდილს მოითხოვენ, რის შესახებაც სენიორა შვიტი ვრცლად ლაპარაკობდა და გამალებული იქნევდა ხელებს. არაფერი ყოფილა გაუთვალისწინებელი, ყველაფერი ჩვეულებრივად მიდიოდა, ადმინისტრატორის ყვირილიც კი ვერაფერს შველოდა, დასასრული არ უჩანდა ჩივილს, მოთხოვნებს და განცხადებებს, თუნდაც ფრანკო-ინგლისური მაღაზიის თაობაზე. ასე იყო თუ ისე, ისინი თანამიმდევრულად დაესწრნენ შემდეგ მოქმედებებს: რემორინომ ერთიმეორის მიყოლებით შემოიყვანა ანტონიესი, პიჟამიანი სქელი, მერე სენიორა შვიტი, რომელმაც ზიზლით მოაწერა ხელი, ამის შემდეგ შემოვიდა ძალიან მაღალი და ჩონჩხივით გამხდარი პაციენტი, თითქოს ვარდისფერი ფლანელი კრთოდა ჰაერში, მას მოჰყვა სულ ბავშვი, სრულიად გაჭაღარავებული ბიჭი, უმშვენიერესი, მაგრამ ბოროტი მწვანე თვალებით. ამ უკანასკნელებმა დიდი დავიდარაბის გარეშე მოაწერეს ხელი, მაგრამ ერთხმად მოისურვეს დარბაზში დარჩენა ცერემონიის დასრულებამდე, ეტყობა, წინასწარ იყვნენ შეთანხმებულნი. ადმინისტრატორს არ უნდოდა მათთანაც გაემართა კამათი და უბრძანა კუთხეში სადმე დამსხდარიყვნენ, ხოლო რემორინო ისევ გავიდა და მალე შემოიყვანა ორი ავადმყოფი — ერთი ფართოთეძობიანი ქალიშვილი და მეორე — შავგვრემანი მამაკაცი, რომელიც თავს ზევით არ სწევდა, იატაკს თვალს არ აშორებდა. შეკრებილთა გასაკვირად კიდევ ერთხელ გაისმა მოთხოვნა, მოეკლათ ძაღლი. როცა უკვე მოაწერეს ხელი, ქალიშვილი ბალერინასავით დაემშვიდობა. კუკა ფერაგუტომ მას თავაზიანი თავის დაკვრით უპასუხა, რამაც ტალიტას და ტრეველერის დაუოკებელი სიცილის შეტევა გამოიწვია. სიაში უკვე ათი ხელმოწერა იყო, რემორინოს კი მოჰყავდა და მოჰყავდა სულ ახალ-ახალი ავადმყოფები, თავიდან იწყებოდა მისალმება, ხან კამათი, მერე ისევ დაწყნარდებოდნენ, პერსონაჟები ერთიმეორეს ენაცვლებოდნენ და ხელმოწერის სიაც იზრდებოდა. უკვე რვის ნახევარი იყო და კუკამ ამოიღო საპუდრე და თავის წესრიგში მოყვანა გადაწ-

ყვიტა, როგორც კლინიკის ნამდვილმა დირექტორმა, შეიძლება სულაც მაძამ კიურისა და ედვიჟ ფეილერს შორის წარმოიდგინა თავი. და კვლავ, ტალიტასა და ტრეველერს ლამის კრუნჩხვები ეწყებოდათ სიცილისგან, ხოლო ფერაგუტოც ხან სიას ჩააცქერდებოდა მოუსვენრად, როგორ მიდის საქმეო, ხან ადმინისტრატორს მიაშტერდებოდა. 7 საათსა და 40 წუთზე მორიგი პაციენტიც გამოჩნდა და განაცხადა, სანამ ძაღლს არ მოკლავენ, ხელს არაფერს მოვაწერო. რემორინო შეპირდა, მაგრამ თან ოლივეირას თვალი ჩაუკრა, რომელმაც მისი ნდობა დაათასა. უკვე ოცმა ავადმყოფმა მოაწერა ხელი და კიდევ დარჩა ორმოცდახუთი. ადმინისტრატორი მივიდა მათთან და აცნობა, რომ ყველაზე შარიანმა (ასე თქვა) ავადმყოფებმა რაკი უკვე ხელი მოაწერეს, ახლა შეგიძლიათ ყველა გახვიდეთ მეზობელ ოთახში, სადაც შეგიძლიათ მიიღოთ ლუდი და უახლესი ცნობებიო. ამ წახემსების დროს საუბრობდნენ ფსიქიატრიაზე და პოლიტიკაზე. რევოლუცია ჩაახშეს მთავრობის ძალებმა. მეთაურები უკვე ბარდებოდნენ ლუხანში. დოქტორი ნერიო როხასი კონგრესზეა ამსტერდამში.

ლუდი კი დიდებულია.

რვა საათსა და 30 წუთზე უკვე 48 ხელმოწერა ჰქონდათ. ღამდებოდა და დარბაზში უკვე ბლანტი და შეხუთული ჰაერი იდგა ბოლისგან, კუთხეში მიყუჟული ავადმყოფებიდან დროდადრო ვიღაც ახველებდა.

ოლივეირას კი უნდოდა ქუჩაში გასულიყო, მაგრამ ადმინისტრატორი მკაცრი და შეუწყნარებელი იყო. უკანასკნელმა სამამაც რომ მოაწერა ხელი, მოითხოვეს კვების რეჟიმის შეცვლა (ფერაგუტომ კუკას ანიშნა, ჩაიწერეო, ესღა გვაკლდა, კლინიკაში კვების საქმე უნაკლო უნდა იყოსო) და ასევე ძაღლის მოკვლა (კუკამ იტალიურად გადააჯვარედინა თითები და ხელი ასწია, ფერაგუტოს დაანახა, რომელიც დაბნეულად აქნევდა თავს და ადმინისტრატორისკენ იმზირებოდა, ის კი, უკიდურესი დაღლილობისგან სახეს არიდებდა და საკონდიტრო საქმის ჟურნალს იფარებდა). როცა შემოვიდა მოხუცი, რომელსაც ხელისგულზე დაესვა მტრედი და ჩუმჩუმად, მაგრამ განუწყვეტლივ უს-

ვამდა ხელს, ასე გეგონებათ აძინებსო, ჩამოვარდა ხანგრძლივი დუმილი, ყველა მიაჩერდა გაყუჩებულ მტრედს ავადმყოფის ხელში და თითქოს სინანულსაც კი განიცდიდნენ, რომ მოხუცს მოუწევდა შეეწყვიტა მტრედის ალერსი, რადგან რემორინოს უნდა მიეცა მისთვის „ბირომე“. მოხუცს უკან მოჰყვა ორი და, რომლებმაც უკვე ზღურბლიდანვე მოითხოვეს ძაღლის სიკვდილი და აგრეთვე ცხოვრების პირობების გაუმჯობესება. ძაღლის ამბავი მათგანაც რომ მოისმინა, რემორინომ გაიცინა, ოლივეირამ კი იგრძნო, რომ ხელი დაუბუჟდა, წამოდგა და ტრეველერს უთხრა, ცოტას გავივლი და მალევე დავბრუნდებიო.

— თქვენ ვალდებული ხართ დარჩეთ, — უთხრა ადმინისტრატორმა, — თქვენ მოწმე ხართ.

— მე შენობაში ვიქნები, — თქვა ოლივეირამ, — ჩაიხედეთ მენდეს დელფინოს კანონში, ასეთი შემთხვევაც გათვალისწინებულია.

— მეც შენთან ერთად მოვდივარ, — უთხრა ტრეველერმა, — ხუთ წუთში დავბრუნდებით.

— შორს არ წახვიდეთ, — უთხრა ადმინისტრატორმა.

— რა თქმა უნდა, სხვანაირად არც გამოვა, — თქვა ტრეველერმა, — წავიდეთ, ძმაო, აქედან შეიძლება ბაღში გასვლა. ვინ იფიქრებდა, რომ ყველაფერი ასე წავიდოდა, რა იმედგაცრუებაა.

— ერთსულოვნება მოსაბეზრებელია, — თქვა ოლივეირამ, — ერთი გიჟის პერანგიც არ დასჭირვებიათ. ნახე, ყველა ძაღლის მოკვლას რომ მოითხოვდა? მოდი, შადრევნის ახლოს დავსხდეთ, ისეთი სუფთა ნაკადია, რომ შეიძლება იქ მაინც გავიგოთ რაიმე სასიკეთო.

— ნავთის სუნი დგას, — თქვა ტრეველერმა, — მას რომ ვუყუროთ ყველაფერს მივხვდებით.

— სინამდვილეში მაინც რას ველოდით? ხომ ხედავ, ისინი ბოლოს და ბოლოს მაინც აწერენ ხელს, არანაირი განსხვავება ჩვენსა და მათ შორის. არანაირი განსხვავება. რაც გინდა თქვი და, ეს სწორედ საჩვენო საქმეა.

— არც ასეა, — თქვა ტრეველერმა, — განსხვავება მაინც არის, ჩვენგან განსხვავებით აქ ყველაფერი ვარდისფერშია.

— ერთი შეხედე, — თქვა ოლივეირამ და ზედა სართულზე მიუთითა.

უკვე სულ ჩამობნელდა და მესამე და მეოთხე სართულების ფანჯრებში რიტმულად ინთებოდა და ქრებოდა შუქი. ერთ ფანჯარაში შუქი ენთო, მეორეში — ბნელოდა. და პირიქით. სინათლე ერთ სართულზე, ჩაბნელებულია შემდეგი და პირიქით.

— აბა, დაიწყო, — თქვა ტრეველერმა. — ხელმოწერები შეაგროვეს, ოღონდ საქმეს ისეთი პირი უჩანს უკვე, ძნელი იქნება.

მათ გადაწყვიტეს თითო სიგარეტი მოეწიათ ამ გამჭვირვალე წყლის ნაკადის გვერდით, ესაუბრათ არაფერზე, ემზირათ შუქისთვის, ფანჯრებში რომ ინთებოდა და ქრებოდა. და ამ დროს ტრეველერმა სიტყვა ჩამოაგდო მომავალ ცვლილებებზე, შემდეგ ჩამოვარდა სიჩუმე, მერე კი მოესმა სიბნელეში ორასიო ჩუმად რომ იცინოდა. მაშინ ტრეველერმა კიდევ გაიმეორა თავისი, რადგან ერთი რამ სურდა — დარწმუნებული ყოფილიყო, მაგრამ არ იცოდა, როგორ ეთქვა მთავარი, რაც სიტყვებში ვერა და ვერ მოექცია, სიტყვები ვერ მოექცენა.

— ჩვენ ვამპირებივით ერთმანეთს ისე შევეწებეთ, გეგონება ერთი სისხლძარღვთა სისტემა გვაკავშირებდეს, არადა გვაცალკევებს, ზოგჯერ შენ და მე, ხან კი სამივეს, თავს ნუ მოვიტყუებთ. მე არ ვიცი როდის დაიწყო ეს, მაგრამ ეს ასეა და ამაზე თვალის დახუჭვა არ შეიძლება. მე მჯერა, რომ ჩვენ აქ მარტო იმიტომ კი არ მოვედით, რომ დირექტორმა მოგვიყვანა; სულ ადვილი იყო ცირკში სუარეს მელიანთან დარჩენა, ჩვენ ჩვენი საქმეც ვიციოთ და კიდევ გვაფასებენ. მაგრამ არა, აქ უნდა მოვ-

სულიყავით, სამივე. ყველაზე პირველი დამნაშავე მე ვარ, რადგან არ მინდოდა ტალიტას ეფიქრა... ბოლოს და ბოლოს, რაკი მინდოდა შენგან გავთავისუფლებულიყავი, უბრალოდ ანგარიშში არ ჩავთვალე. წყეული თავმოყვარეობის საკითხი, შენ გაიგებ.

— მართლაც, — თქვა ოლივეირამ, — რატომ უნდა მიმელო ეს შეთავაზება? დავბრუნდები მეც ცირკში, კიდევ უფრო უკეთესი, სულ მოვშორდები აქ ყველაფერს. ბუენოს აირესი დიდია, ერთხელ კიდევ გელაპარაკე ამაზე.

— მელაპარაკე, მაგრამ წასვლას ჩვენი საუბრის მერე გადაწყვეტ, ანუ, შენ ჩემი გულისთვის იქცევი ასე, მე კი ეს არ მინდა.

— კარგი, მაგრამ მაშინ ის გამაგებინე, რა ცვლილებებზე ლაპარაკობდი. — რა ვიცი, როცა ახსნას მოვინდომებ, მაშინვე უარესად ჩაბნელები ხოლმე. იცი, დაახლოებით ასე უნდა იყოს: როცა შენთან ვარ, პრობლემა არ არსებობს, მაგრამ როგორც კი მართლ ვრჩები, მეჩვენება, რომ შენ ჩემზე ახდენ ზეწოლას, მაგალითად, შენი ოთახიდან...

გაიხსენე ის დღე, როდესაც მთხოვე ლურსმნები. ასეა ტალიტაც, ისიც ამასვე გრძნობს, მიყურებს მე, მე კი ისეთი შთაბეჭდილება მექმნება, რომ მისი მზერა შენსკენაა მომართული, მაშინ, როცა სამივე ერთად ვართ, პირიქით, საათები ისე გადის, რომ ვერც კი გამჩნევს. ჩემი აზრით, ამას შენც კარგა ხანია ხვდები.

— ჰო, მერე?

— ეს არის და ეს, ამიტომ ვფიქრობდი, ჩემი მხრივ, კარგი არ იქნებოდა დაგხმარებოდი, რომ თვითონ მოგეჭრა ყველა გზა; ახლა კი, როცა ყველაფერი გითხარი და კუთხეში მიგიმწყვდიე, უკვე თავისუფალი აღარ ხარ გადაწყვეტილება მიიღო, რადგან პასუხისმგებლობის გრძნობა არ დაგანებებს, რაც სრული იდიოტობაა. ეთიკა ასეთ შემთხვევაში იმაში მდგომარეობს, რომ შენ უწყალობებ სიცოცხლეს მეგობარს, მე კი ამ წყალობას არ მივიღებ.

— აჰ, — თქვა ოლივეირამ, — ისე გამოდის, რომ შენ მე არ მაძლევ წასვლის ნებას, მე კი თვითონ ვერ მივდივარ. შენ არ გეჩვენება, რომ ეს მდგომარეობა თითქმის იგივეა, რაც ვარდისფერ-პიჟამიანებისა?

— მგონი ასეა.

— დააკვირდი აბა, რა უცნაურია.

— რა?

— რა და, ის, რომ შუქი ერთბაშად ყველგან ჩაქრა.

— ალბათ ბოლო ხელმოწერამდე მიაღწიეს, კლინიკა უკვე დირექტორს გადაეცა, გაუმარჯოს ფერაგუტოს.

— მე მგონია, ახლა უკვე ძალლიც უნდა მოკლან მათ საამებლად, დაუჯერებელია, ასე მაინც როგორ შეაზიზღა თავი.

— ეს ზიზღი კი არ არის, — თქვა ტრეველერმა, — აქაც უნდა იყოს ხოლმე ძლიერი მღელვარება.

— შენ, ძმაო, რალაცნაირი რადიკალური გადაწყვეტილებების მოთხოვნილება გაქვს. კარგა ხანს მეც ასეთი რამ მჭირდა, მერე კი... უკან დაბრუნებისას მეტი სიფრთხილე უნდა გამოეჩინათ, რადგან ბაღში სრული სიბნელე ჩამოწვა და აღარ ახსოვდათ, სად იყო ბილიკი და სად გაბონი. როცა პირდაპირ შესასვლელთან აღმოჩნდნენ, მაშინლა დაინახეს ცარცით დახაზული კლასობანას უჯრედები და ტრეველერმა უხმოდ გაიცინა, ერთი ფეხი შემოიკეცა და უჯრედებზე ხტუნვა დაიწყო. სიბნელეში ცარცის ხაზები მკრთალად ჩანდა.

— ერთ ასეთ ღამეს, როდესმე, — თქვა ოლივეირამ, — მე შენ გიამბობ, რა იყო იქ. ეს ჩემთვის დიდად სასიამოვნო არ იქნება, მაგრამ ალბათ ერთადერთი საშუალებაა, რომ ბოლო მოეღოს ამ ძალს, თუ შეიძლება ასე ითქვას.

ტრეველერი გადმოხტა კლასობანას უჯრედებიდან და სწორედ ამავე წუთში მეორე სართულზე ერთბაშად ყველგან სინათლე აინთო.

ოლივეირა ის იყო აპირებდა კიდევ ეთქვა რაღაც, სანამ შუქი ჩაქრებოდა; თვალი შეავლო ტრეველერის სახეს და გააოცა იმ გამომეტყველებამ, რამაც სრულიად შეცვალა იგი, ეს იყო რაღაცნაირი ღრჭენა და თუ მანჭვა — rictus (ლათინური rictus ნიშნავს პირის გაჭიმვა-გაწელებას, ტუჩების კონტურის მოჭიმვას ღიმილის მსგავსად).

— ძალღის მოკვლავზე რომ ვლაპარაკობდით, — თქვა ტრეველერმა, — არ ვიცი, შენ თუ მიაქციე ყურადღება, რომ მთავარი ექიმის გვარი ოვეხერო, ნაგაზს, ქოფაკს ნიშნავს? ასეა საქმე.

— შენ ამის თქმას არ აპირებდი.

— შენ რა, ჩემი დუმილის თუ ნართაულების გამო ხომ არ აპირებ დამემდურო? ცხადია, ასე არ არის, მაგრამ მაშინ რა. ამაზე ლაპარაკი არ ღირს. თუ შენ გინდა მაინც სცადო... მაგრამ გული მეუბნება, რომ ახლა გვიანაა, ჩე, უკვე გაცივდა პიცა და აღარ ღირს მივუბრუნდეთ, გვირჩევნია მუშაობას შევუდგეთ, რაც უნდა თქვა, მაინც გართობაა.

ოლივეირამ არაფერი უპასუხა და ისინი დაბრუნდნენ დარბაზში, სადაც მოხდა ეს დიდი გარიგება და სადაც ახლა ადმინისტრატორი და ფერაგუტო სვამდნენ ორმაგ კანიას. ოლივეირა მათკენ გაემართა, ტრეველერი კი სოფაზე დაჯდა ტალიტას გვერდით, რომელიც რაღაც რომანს კითხულობდა, თუმცა სახეზე ეტყობოდა, ძილი მორეოდა. როგორც კი ბოლო ხელმოწერაც გაფორმდა, რემორინომ მაშინვე ყველაფერი ერთბაშად აიღო, სიაც და ავადმყოფებიც მოაშორა იქაურობას. ტრეველერმა შეამჩნია, რომ ადმინისტრატორმა გამორთო ზედა შუქი და სამაგიეროდ აანთო მაგიდის ლამფა; ყველაფერი უცბად შერბილდა, გამწვანდა, ყველა ალაპარაკდა დაბალ, კმაყოფილ ხმაზე. მას ესმოდა, როგორ აწყობდნენ გეგმებს, რომ წავიდოდნენ ცენტრში რესტორანში და მიირთმევდნენ ჟენევიურად მომზა-

დებულ გულ-ღვიძლს. ტალიტამ დახურა წიგნი და შეხედა ძილ-მორეული თვალებით, ტრეველერმა თმაზე გადაუსვა ხელი და უკეთესად იგრძნო თავი. ყველანაირ შემთხვევაში ამ საათზე და ასეთ სიცხეში გულ-ღვიძლის იდეა სრული სისულელე იყო.

(-69)

52

რამეთუ სინამდვილეში მან მაინც ვერ უამბო ტრეველერს; თუმცა კი სცადა გამოეწია ძაფის ერთი წვერი გორგლიდან, მაგრამ ამას გამოჰყვა მეტრობით სიგრძის ძაფი, უბრალოდ მეტრომეტრია, მეტრობით შალი, შალისძაფისგვარი, შალნარევი, შალით დაფარული, შალიტომია, მაგრამ კვანძი არ იხსნებოდა. ტრეველერისთვის საჭირო იყო მინიშნება, რომ ამბავი, მონათხრობი პირდაპირ არ უნდა გაეგო (აბა, როგორ უნდა გაეგო?) და, ამავე დროს, ეს არც სახე იყო და არც ალეგორია. არსებობს დაუძლეველი სხვაობა აღქმის დონეებს შორის, რაც არ უკავშირდება არც გონებრივ შესაძლებლობებს და არც ინფორმირებულობას. ერთი იყო ტრეველერთან გართობა-თამაში, ან კამათი ჯონ დონზე, რაც თითქოს ორივესთვის საერთო დონეზე ხდებოდა, მაგრამ სულ სხვა — ყოფილიყო რაღაც მაიმუნის მსგავსი ადამიანთა შორის, ჰქონოდა მაიმუნად ყოფნის სურვილი გონების იმ დასკვნების მიხედვით, რისი ახსნაც, რომ მოენდომებინა, თავად მაიმუნიც ვერ შეძლებდა, რადგან არაფერი გონივრული ამ დასკვნებში არც იყო, და მისი ძალაც სწორედ ეს იყო, აქედან გამომდინარე მთელი შედეგებით.

პირველი ღამეები კლინიკაში მშვიდად გადიოდა, პერსონალი, რომელიც უნდა წასულიყო, ჯერ ისევ თავის მოვალეობას ასრულებდა, ხოლო ახლები ჯერ მხოლოდ გამოცდილებას იძენდნენ, იკრიბებოდნენ აფთიაქში, სადაც ტალიტა, თეთრებში გამოწყობილი ხელახლა ცდილობდა აღმოეჩინა ემულსიები და

ბარბიტურატები და საკმაოდ ღელავდა. პრობლემა იყო ის, რომ ცოტა უნდა დაეცხროთ კუკა ფერაგუტო, რომელიც მყარად მოეწყო ადმინისტრატორის კაბინეტში და ეტყობა გადაწყვეტილი ჰქონდა კლინიკაში თავისი მკაცრი წესები დაემყარებინა, ასე რომ თვითონ დირექტორიც კი მოკრძალებით ისმენდა მის New Deal–ს[211], რომელიც წარმოდგენილი იყო ისეთი ტერმინებით, როგორცაა ჰიგიენა, დისციპლინა, ღმერთი, სამშობლო, კერა, ნაცრისფერი პიჟამები და ცაცხვის ჩაი. ხანდახან აფთიაქშიც შეიხედავდა ხოლმე და სულ ფხიზლად ეჭი-რა-თვა-ლი-და-ყუ-რი, რას ლაპარაკობდა ახალი პერსონალი. ტალიტა გარკვეულ ნდობას იმსახურებდა, რადგან გოგონას დიპლომი ჰქონდა, თან იქვე, კედელზე ეკიდა, მაგრამ მისი ქმარი თავისი მეგობრით, საეჭვოდ მიაჩნდა. კუკასთვის პრობლემა ის იყო, რომ მათ მიმართ საშინელ სიმპათიას გრძნობდა, ამიტომ კორნელისებურად უწევდა ბრძოლა მოვალეობის გრძნობასა და პლატონისეულ სიყვარულს შორის, მაშინ, როცა ფერაგუტო ადმინისტრაციულ საკითხებს აგვარებდა და ნელ-ნელა ეჩვეოდა იმას, რომ ახლა მის დაქვემდებარებაში შიზოფრენიით შეპყრობილი ავადმყოფები და არა ხმლებისმცლაპველები იყვნენ, ხოლო ალაფის ნაცვლად ინსულინის ამპულებით უნდა დაკავდეს. ექიმები, სულ სამი კაცი, მოდიოდნენ დილაობით და დიდად არ უშლიდნენ ხელს. პრაქტიკანტი, რომელიც პოკერის დიდი მოყვარული იყო, დაუმეგობრდა ოლივეირას და ტრეველერს; მის საკონსულტაციო ოთახში, მესამე სართულზე, ისეთი თამაშები იმართებოდა ხოლმე, რომ მოგებელი ფული ათიდან ას მონეტამდეც ადიოდა, რომელიც რიგრიგობით ხელიდან ხელში გადადიოდა, voglio dire[212].

ავადმყოფები უკეთესად არიან, მადლობას მოგახსენებთ.

(-89)

და ერთ ხუთშაბათსაც, უეცრად, ღამის ცხრა საათზე ყველაფერი ერთად მოხდა. საღამოხანს ძველი პერსონალი წავიდა და გაიჯახუნა კარები (ფერაგუტომ და კუკამ ირონიული სიცილი გააყოლეს, რაკი მტკიცედ გადაწყვიტეს აღარავისთვის აღარ აენაზღაურებინათ ზედმეტი საათები), ავადმყოფების დელეგაცია აცილებდა შეძახილებით: „ ძაღლი მოკვდა, ძაღლი მოკვდა!“, მაგრამ ამას ხელი არ შეუშლია მათთვის, რომ ფერაგუტოსთვის წარედგინათ წერილი ხუთის ხელმოწერით, სადაც მოითხოვდნენ შოკოლადს, საღამოს გაზეთებს და ძაღლის მოკვლას. ახლები მარტო დარჩნენ და ცოტა დაბნეულებიც იყვნენ, მაგრამ რემორინომ, რომელიც ასევე დარჩა, თვითონ იკისრა პასუხისმგებლობა და ამბობდა, ყველაფერი დიდებულად მიდისო. რადიო „მსოფლიო“ ასაზრდოებდა ბუენოსაირესელთა სპორტულ სულისკვეთებას, აცნობებდა, რომ მოსალოდნელი იყო სიცხე, რომ ყველა რეკორდი მოხსნილი იყო და შეიძლებოდა პატრიოტულად ოფლში გახვითქულიყვნენ საკუთარი სიამოვნებისთვის და რემორინომაც უკვე აკრიფა კუთხეებში მიყრილი ოთხი თუ ხუთი პიჯამა. ოლივეირასთან ერთად მან ძლივს დაარწმუნა პიჯამის პატრონები, შარვლები მაინც ჩაეცვათ. სანამ პოკერს მიუსხდებოდნენ ფერაგუტოსთან და ტრეველერთან ერთად, ექიმმა ოვეხერომ ტალიტას ნება მისცა დაერიგებინა ლიმონათი ყველასთვის, ნომრების 6, 18 და 31-ის გარდა. 31 ამის გამო ატირდა და ტალიტა იძულებული იყო მისთვის ორმაგი ულუფა მიეცა. დადგა დრო დაეწყოთ მოქმედება *motu proprio*[213], სიკვდილი ძაღლს.

როგორ შეიძლება ადამიანმა იცხოვროს ასეთი ცხოვრებით, სიმშვიდე შეინარჩუნოს და არ დარჩეს გაოცებული ყოველ ნაბიჯზე?

თანაც თითქმის წინასწარი შემზადების გარეშე, რადგან ტომას პარდოს ჯიხურში შექნილი ფსიქიატრიის სახელმძღვანელო ტალიტასა და ტრეველერს მაინც ვერ გაუწევდა პროპედევტულ სამსახურს; არანაირი გამოცდილება, არანაირი ნამდვილი სურვილი, საერთოდ არაფერი: მარტო ის, რომ ადამიანი არის ცხოველი, რომელიც ეგუება იმასაც, რასთან შეგუების უნარიც

არ გააჩნია. მაგალითად, მორგი: ტრეველერმა და ოლივეირამ ამის შესახებ არაფერი იცოდნენ და აჰა, სამშაბათს ღამე რემორინომ ექიმი ოვეხეროს ბრძანებით მათაც მიაკითხა; თურმე, მეორე სართულზე ახლახან მომკვდარიყო ნომერი 56, რაც თურმე მოსალოდნელიც იყო, და ჯერ ერთი, უნდა დახმარებოდნენ სანიტარს და, მეორე, გაერთოთ 31, რომელსაც ჰქონდა ტელეპატური უნარი და ამდენად ავი წინათგრძნობები აწუხებდა. რემორინომ აუხსნა მათ, რომ წინა პერსონალი გამუდმებით იბრძოდა თავისი უფლებებისთვის და მუშაობდა მკაცრი განაწესის თანახმად მას შემდეგ, რაც გაიგო ზედმეტი საათების ანაზღაურების კანონის შესახებ, მაგრამ ახლა ისინი მართლ დარჩნენ და რა გაეწყობა, უნდა შევუდგეთ მუშაობას და თანაც ეს კარგი პრაქტიკაც იქნებაო.

უცნაური იყო, რომ საინვენტარო სიაში, რომელიც დიდი შესყიდვის დღეს წაიკითხეს, მორგის ხსენებაც არ იყო, მაგრამ სადღაც ხომ უნდა დაასვენო გვამი, სანამ ოჯახი არ მოიკითხავს, ან მუნიციპალიტეტი არ გამოგზავნის ფურგონს. შეიძლება სიაში იმ ადგილს შემნახველი კამერა ეწოდებოდა, ან სატრანზიტო დარბაზი, ანდა სამაცივრო მოწყობილობა, ერთი სიტყვით, რაიმე ევფემიზმი, შეიძლება სულაც რვიდან ერთ-ერთი მაცივარი. რა გაეწყობა, სიტყვა „მორგი“ ასეა თუ ისე ოფიციალურ დოკუმენტებში ჩასაწერად ლამაზად არ ჟღერს, ასე მიაჩნდა რემორინოს. ან რვა მაცივარი რა საჭიროა? აბა, როგორ გინდა... სანიტარიისა და ჰიგიენის სახელმწიფო დეპარტამენტის მოთხოვნაა ალბათ, ან წინა ადმინისტრატორმა უბრალოდ შემთხვევით შეიძინა, მაგრამ ასეა თუ ისე, ურიგო მაინც არ არის, ასეც ხდება ხოლმე, როგორც იმ წელიწადს, როცა სან ლორენსომ მოიგო (რომელი წელი იყო? რემორინოს არ ახსოვდა, მაგრამ ეს იყო ის წელი, როცა სან ლორენსომ ყველას მოუგო), — მოულოდნელად, ერთბაშად ოთხი ავადმყოფი გამოესალმა წუთისოფელს, თითქოს ცელით მოცელესო, გეუბნებით. ასეთი რამ რასაკვირველია, იშვიათად ხდება, 56 კი უკვე განწირული იყო, ეს ცხადია. აქ ცოტა ხმადაბლა ილაპარაკეთ, რომ აქაურები არ გააღვიძოთ. შენ კი რას დაბორილებ დერეფანში ასე გვიან, აბა, ახლავე საწოლში, ცოცხლად. ის კარგი ყმაწვილია, შეხედეთ, რა ბეჯითია, ღამლა-

მობით კი რატომღაც დერეფანში გამოდის, ოღონდ არ იფიქროთ, რომ აქ საქმე ქალებშია, ამ მხრივ ყველაფერი სრულ წესრიგშია, გამოდის, იმიტომ რომ გიჟია, როგორც ყოველი ჩვენგანი, სხვათა შორის.

ოლივეირამ და ტრეველერმა დაასკვნეს, რომ რემორინო გადასარევი ვინმე იყო, საკმაოდ განვითარებული და ეს აშკარად ჩანდა.

ისინი დაეხმარნენ სანიტარს, რომელიც თუ სანიტრის მოვალეობას არ ასრულებდა, უბრალოდ 7 ნომერი იყო (კარგად ემორჩილება მკურნალობას და ამდენად შეიძლება მისი დასაქმება მსუბუქ სამუშაოებში). საკაცე საბარგო ლიფტით უნდა ჩაეტანათ, კაბინაში სივიწროვის გამო, ისინი სულ ახლოს აღმოჩნდნენ ზეწრის ქვეშ გახევებულ 5ნ—თან. ოჯახი ორშაბათს მოაკითხავს, ტრელევიში ცხოვრობენ, ღარიბი ხალხია. 22 კი ჯერ არ წაუსვენებიათ, ეს უკვე შეუძლებელია. ფულიანი ხალხი, რემორინოს აზრით, ყველა ასეთია, სვავებივით არიან, გრძნობის ნატამალი არ გააჩნიათ. მუნიციპალიტეტის ნებართვაცაა, რომ 22...? ამ საქმის ექსპერტიც მოვიდა, მაგრამ რამდენი დღე გავიდა, უკვე ორი კვირაა მას შემდეგ, თქვენც ხომ ხე” დავთ, კიდევ კარგი, რომ ბევრი მაცივარი გვაქვს; ესეც და ისიც, აქ ხომ უკვე სამია, იქ ნომერი 2, ერთ-ერთი დამფუძნებელთაგანი. 2—ს ოჯახი არ გააჩნია, დამკრძალავი ბიურო დაგვპირდა, რომ ფურგონს გამოგვიგზავნიდა ორმოცდარვა საათის განმავლობაში. რემორინომ გამოითვალა და გაიცინა: მას შემდეგ კი უკვე სამას ექვსი საათი გავიდა, თითქმის სამას შვიდიც. ხოლო მას დამფუძნებელი იმიტომ უწოდა, რომ მოხუცი ქალი დიდი ხანია იყო აქ, ექიმზე ადრეც კი მოვიდა, რომელმაც იგი დონ ფერაგუტოს მიჰყიდა. რა კარგი ტიპი ჩანს ეს დონ ფერაგუტო, არა? მარტო ერთი იმის წარმოდგენა, რომ ცირკს ფლობდა, რამხელა რამეა.

7—მა გააღო ლიფტის კარი, გამოაგორა საკაცე და გააქანა დერეფანში, რაც განსაკუთრებულად არაადამიანურად გამოიყურებოდა, კიდევ კარგი რემორინომ გააჩერა და წინ წარუძღვა რკინის კარების გასაღებად, ხოლო ტრეველერმა და ოლივეი-

რამ ამასობაში თითქმის ერთდროულად მოიმარჯვეს სიგარეტები, ეს სულ რეფლექსებია...

სინამდვილეში, მათთვის უპრიანი იქნებოდა წასულიყვნენ და თბილი ტანსაცმელი მოეტანათ, რადგან მოსალოდნელი არნახული სიცხის ამბავს მორგამდე ჯერ არ მიეღწია და ძალიან ციოდა, სხვა მხრივ კი უფრო სადეგუსტაციო დარბაზს მოგაგონებდათ, ერთ კედელთან იდგა გრძელი მაგიდა, მეორესთან — მაცივარი ლამის ჭერს სწვდებოდა.

— გამოიღე ლუდი, — უბრძანა რემორინომ. — თქვენ არაფერი დაგინახავთ, ხო. ხანდახან აქ რეჟიმი მეტისმეტად... ჯობია ამაზე დონ ფერაგუტოსთან არაფერი წამოგვცდეს, ერთი სიტყვით, აქ ხანდახან ლუდს ვსვამთ ხოლმე, მეტი არაფერი.

7 მივიდა ერთ-ერთი მაცივრის კარებთან და ბოთლი გამოიღო.

სანამ რემორინო ჯიბის დანაში ბოთლის გასახსნელს ეძებდა, ტრეველერმა შეხედა ოლივეირას, მაგრამ პირველმა მაინც 7—მა დაილაპარაკა.

— იქნება ჯერ ეს მოგვეთავსებინა, რას იტყვით?

— შენ... — დაიწყო რემორინომ და გაჩერდა, ხელში გახსნილი ჯიბის დანა ეჭირა, — მართალი ხარ, ბიჭო. მოდი, ეს ცარიელია.

— არა, — თქვა 7—მა.

— ამას შენ მეუბნები?

— მაპატიეთ და ბოდიშს გიხდით, — თქვა 7—მა. — თავისუფალი ისაა.

რემორინომ დაჟინებით შეხედა, მაგრამ 7—მა გაიღიმა და ხელით რაღაც მისალმების მსგავსი მოძრაობა გააკეთა, მივიდა კარებთან და გააღო. იქიდან უცბად სინათლე გამოვიდა, რომელიც ჩრდილოეთის ნათებას ჰგავდა, ან რაღაც მეტეოროლოგი-

ურ მოვლენას. მაგრამ ამ ნათებაში მკვეთრად იხატებოდა საკმაოდ დიდი ფეხის ტერფები.

— 22, — თქვა 7 —მა, — აბა, მე რა ვთქვი? მე ყველას ფეხებით ვცნობ. აქ კი არის 2. რაზე დავნიძლავდეთ? თქვენ თვითონ ნახეთ, თუ ჩემი არ გჯერათ. დარწმუნდით? კარგი, მას აქ მოვათავსებთ, ეს თავისუფალია. მომეხმარეთ, ფრთხილად, ჯერ თავი უნდა შევიდეს.

— ეს ჩვენი ჩემპიონია, — უთხრა რემორინომ ტრეველერს ჩუმად, — მართლა ვერ გამიგია, რატომ აჩერებს ოფეხერო მას აქ. ჭიქები არ არის, ჩე, პირდაპირ ბოთლიდან უნდა დავლიოთ.

სანამ ბოთლს გამოართმევდა, ტრეველერმა ისე ღრმად ჩაისუნთქა ბოლი, ლამის მუხლებამდე ჩააღწევდა. ბოთლი ხელიდან ხელში გადადიოდა და პირველი უხამსი ანეკდოტი რემორინომ მოყვა.

(-66)

54

თავისი ოთახის ფანჯრიდან მეორე სართულზე ოლივეირა გადაჰყურებდა ეზოს, შადრევანს და წყლის ნაკადს, კლასობანას, რომელზეც დახტოდა 8, სამ ხეს, რომლის ჩრდილი ეფინებოდა გეორგინასა და ნემსიწვერას ყვავილნარს და ცოცხალ მაღალ ღობეს, რომელიც შენობას ქუჩის მხრიდან ფარავდა. 8 თითქმის მთელი დღე დახტოდა კლასობანას უჯრედებზე და სულ იმარჯვებდა; 4 და 19 ცდილობდნენ წაერთმიათ მისთვის პირველობა, დაესწროთ ცამდე მისვლა, მაგრამ ამაოდ; 8—ს სნაიპერივით ჰქონდა მომარჯვებული ფეხი და ცეცხლივით უტევდა უჯრედებს, თან ქვაც ყოველთვის პირდაპირ შუა უჯრაში ხვდებოდა, მართლაც რომ საკვირველი იყო.

ლამის სიბნელეში უჯრედები თითქოს ოდნავ ანათებდა და ოლივეირას სიამოვნებას ჰგვრიდა მისი ყურება მეორე სართულის ფანჯრიდან.

8—ს კი ამ დროს ძილის წამლის მოქმედების შედეგად ალბათ ეძინა, ძილში ვითომ ყანჩასავით ერთი ფეხი შემოეკეცა და მეორეთი მოზომილი და შეუცდომელი მოძრაობით მიიწევდა წინ, ცისკენ, მაგრამ როგორც კი მიაღწევს, სავარაუდო იმედგაცრუება ელოდება.

„რა გამოუსწორებელი რომანტიკოსი ხარ, — ფიქრობდა ოლივეირა და თან მატეს წრუპავდა. — ვარდისფერ პიუჟამაზე ხო არ გვეფიქრა?“ მაგიდაზე იდო უნუგეშო ხეკრეპტენის წერილი, როგორ შეიძლება, რომ მხოლოდ შაბათობით გიშვებენ, ამას ცხოვრება არ ჰქვია, ძვირფასო, ამდენი ხანი მარტო ყოფნა არ შემიძლია, ნეტავ კი გაჩვენა ჩვენი ოთახი. ოლივეირამ მატე მაგიდაზე დადო, ჯიბიდან კალამი ამოიღო და პასუხის წერას შეუდგა, ჯერ ერთი, არის ტელეფონი (ამას მოჰყვებოდა ნომერი), მეორეც — ძალიან ბევრი საქმე აქვთ, მაგრამ რეორგანიზაცია ორ კვირაზე მეტი არ გაგრძელდება და მერე შეძლებდნენ ერთმანეთის ნახვას ოთხშაბათსაც, შაბათსაც და კვირასაც; მესამეც ის, რომ ბალახიც გამოელა. „ისე ვწერ, გეგონება პატიმარი ვიყო,“ — გაიფიქრა მან და ხელი მოაწერა. უკვე თერთმეტი საათი ხდებოდა და მალე ტრეველერი უნდა შეეცვალა, მესამე სართულზე რომ მორიგეობდა. ახალი მატე წამოადღულა, წერილს თვალი გადაავლო და კონვერტი დააწება. ერჩივნა წერილები ეწერა, თორემ ტელეფონი ხეკრეპტენის ხელში გაუგებარი ინსტრუმენტი იყო, რაც არ უნდა აგეხსნა, მაინც ვერაფერს გააგებინებდი.

მარცხენა ფლიგელში, აფთიაქის ფანჯარაში შუქი ჩაქრა. ტალიტამ კარი გასაღებით ჩაკეტა, ეზოში გავიდა (იგი ძალიან კარგად ჩანდა ვარსკვლავებით მოჭედილი გავარვარებული ცის ქვეშ) და ფრთხილად მიუახლოვდა შადრევანს. ოლივეირამ ჩუმად დაუსტვინა, მაგრამ ტალიტა წყლის ნაკადს თვალს არ აშორებდა, თითოც კი შეუშვირა, წყალი მოსინჯა. მერე ეზო გადაიარა, კლასობანას უჯრედებს როგორც მოუხვდა ისე დააბიჯა და

ოლივეირას ფანჯრების ქვეშ გაუჩინარდა. ეს ყველაფერი ახსენებდა ლეონორა კარინგტონის ნახატებს: ღამე და ტალიტა, კლასობანას ნახაზი, უჯრედებს ისე გადაუვლის, რომ ვერც ამჩნევს, წყლის ნაკადი, შადრევანი. როდესაც ვარდისფერი ფიგურა საიდანღაც გამოვიდა და ნელ-ნელა მიუახლოვდა კლასობანას ნახაზს, ისე რომ ვერ გაებედა ფეხი დაედგა უჯრედებზე, ოლივეირა მიხვდა, რომ ყველაფერი თავის ადგილზე ბრუნდებოდა, რომ ვარდისფერი ფიგურა აუცილებლად ამოარჩევდა ბრტყელ ქვას იმ ქვების გროვაში, რომელიც მ—მ ყვავილნართან დააწყო, და რომ მაგა, რამეთუ ეს იყო მაგა, მოიკეცავდა მარცხენა ფეხს და ფეხსაცმლის წვერით ამ ქვას პირდაპირ პირველი უჯრედისკენ გააქანებდა. ზემოდან ხედავდა მაგას თმას, მხრების მოხაზულობას, მერე წონასწორობის დასაცავად ოდნავ აიქნია ხელები და პატარ-პატარა ნახტომებით ჯერ პირველი უჯრედიდან დაიწყო და მერე მეორისკენ მიაგორა ქვა (ოლივეირას კიდევ გააჟრჟოლა, როცა დაინახა, რომ ქვა კინალამ გავარდა ნახაზის მიღმა, მაგრამ უსწორმასწორო ფილების გამო მეორე უჯრედის ზუსტად ხაზთან გაჩერდა), მერე მსუბუქად გადახტა მეორე უჯრედზე და ერთი წამით გაყუჩდა როგორც ვარდისფერი ფლამინგო, სიბნელეში, სანამ ფრთხილად მიიტანდა ფეხსაცმლის წვერს ქვასთან და მესამე უჯრედამდე მოზომავდა მანძილს.

ტალიტამ თავი ასწია და ფანჯარაში ოლივეირას მოჰკრა თვალი; მაშინვე ვერ გაარჩია, ცალ ფეხზე გაჩერდა წონასწორობის დასაცავად თითქოს ხელებით ჰაერს ეკიდებო. იმედგაცრუებული ოლივეირა ირონიით შეხვდა თავის შეცდომას, დაინახა, რომ ვარდისფერი არ იყო ვარდისფერი, რომ ტალიტას ბლუზა იყო მონაცრისფროფერფლისფერი, ხოლო ქვედა კაბა, ალბათ უფრო თეთრი. ყველაფერი თავისთავად გაირკვა (ასე ვთქვათ): ტალიტა შევიდა სახლში, მერე ისევ გამოვიდა, ეტყობა კლასობანას უჯრედებმა მიიპყრო მისი ყურადღება და ამ ერთ შესვლა-გამოსვლას შორის დრო საკმარისი აღმოჩნდა იმისთვის, რომ შემცდარიყო ისევე, როგორც იმ ღამეს გემის კიჩოზე და ვინ იცის, კიდევ რამდენი ღამე იყო ასეთი. მან ძლივს უპასუხა ტალიტას მისალმებაზე, მერე დაინახა, რომ ისევ დახარა თავი

ვი და დაძაბული ცდილობდა მოეზომა მანძილი, ქვა მეორე უჯრედიდან მესამეში კი გადავარდა, მაგრამ აყირავდა, გაგორდა და ხაზს მიღმა გავარდა, ორი, თუ სამი ფილის გადაღმა.

— ცოტა მეტი უნდა ივარჯიშო, — უთხრა ოლივეირამ, — თუ გინდა, რომ 8—ს მოუგო.

— აქ რას აკეთებ?

— ცხელა. თორმეტის ნახევარზე მორიგეობა მიწევს. წერილსაც ვწერდი.

— აჰ, — თქვა ტალიტამ, — რა ღამეა.

— ჯადოსნური, — თქვა ოლივეირამ, ტალიტამ ერთი კი ჩაიცივნა და კარს მიეფარა. ოლივეირას ესმოდა როგორ ადიოდა კიბეებზე, მერე ჩაუარა მის კარს (ანდა იქნებ სულაც ლიფტით ამოვიდა) და ავიდა მესამე სართულზე. „უნდა ვაღიარო, რომ ძალიან ჰგვანან ერთმანეთს, — გაიფიქრა მან, — ჰო, ეს კი ასეა, მაგრამ მეც კარგი კრეტინი ვარ, ესეც ახსნა.“ ის კვლავ გადაჰყურებდა ეზოს, ცარიელ კლასობანას უჯრედებს, თითქოს უნდოდა დარწმუნებულიყო. თერთმეტ საათსა და ათ წუთზე მოვიდა ტრეველერი და მორიგეობა გადააბარა. 5 საკმაოდ შფოთავს, თუ გაუარესება შეეცემა, ოვეხეროს უნდა შეატყობინოს, დანარჩენებს სძინავთ.

მესამე სართულზე სიმშვიდე სუფევდა, 5—იც კი დაშოშმინდა. 5—მა გამოართვა ოლივეირას სიგარეტი, გულიანად გააბოლა და ოლივეირას აუხსნა, რომ ებრაელი გამომცემლების შეთქმულების გამო მისი კომეტების შესახებ დიდი წიგნის გამოქვეყნება იგვიანებდა, მაგრამ ჰპირდებოდა, რომ ერთ ეგზემპლარს წარწერით აჩუქებდა. ოლივეირამ ოდნავ ღია დატოვა კარები, რადგან იცოდა მათი ოინების ამბავი და მოჰყვა დერეფანში აღმა-დაღმა სიარულს, თან დროდადრო იყურებოდა სათვალთვალლოში, რომელიც ოვეხეროს წინდახედულობის წყალობით, ადმინისტრატორისა და „Liber & Finkel“—ის ფირმის ერთობლივი მონდომებით დააყენეს ყველა კარებზე. ყოველი ოთახი ვან ეი-

კის მინიატურა იყო, გარდა მეთოთხმეტე ოთახისა, რომლის საჭვრეტელი შიგნიდან იყო დაფარული. 12 საათზე რემორინოც მოვიდა და რამდენიმე ბოთლი ჯინი მოიტანა, ნახევრად უკვე ათვისებული, ილაპარაკეს ცხენებზე, ფეხბურთზე, მერე რემორინო ჩავიდა ქვედა სართულზე, რომ ცოტა წაეთვლიმა. 5 სულ დაწყნარდა, ჩაბნელებულ დერეფანში სიჩუმე და სიცხე გაუსაძლისი ხდებოდა. ის აზრი, რომ მისი მოკვლა ვინმემ შეიძლება სცადოს, ოლივეირას იმ წუთამდე, ეტყობა, თავში არც მოსვლია, მაგრამ საკმარისი იყო ახლა ამ აზრს რაღაც ფორმა მიეღო, თითქოს აზრიც არ იყო, უბრალოდ ერთი გაურჯოლება, რომ მიხვდა ეს აზრი არც ახალი იყო და არც აქ, ამ დერეფანში დაბადებულა, დაკეტილ კარებსა და საბარგო ლიფტს შორის. შეიძლება ეს ადრეც იგრძნო, შუადღისას როკეს მაღაზიაში, ანდა მეტროს გვირაბშიც, ნაშუადღევს 5 საათზე, ან კიდევ უფრო ადრეც, ევროპაში, რომელიმე ღამეს, როცა დაეხეტებოდა უდაბურ ადგილებსა და მიყრუებულ ქუჩებში, სადაც კონსერვის ერთი ცარიელი ქილაც საკმარისია, რომ ვინმეს ყელი გამოეღადრა, თუკი განგება შესაფერის შეხვედრას მოუწყობდა. ლიფტთან რომ მივიდა ჩაიხედა შახტის სიღრმეში, წყვდიადში და იფიქრა ფლეგრეოსის მინდვრებზე და ისევ გზებსა და გასასვლელებზე. ცირკში პირიქით იყო, ღიობი ბევით იყო, ღია სივრცესთან დამაკავშირებელი გზა, დასასრულის ნიშანი; ახლა კი იდგა უფსკრულის პირას ელექსის ღიობის წინაშე, ხოლო კლინიკა მხურვალე ანაორთქლით რომ სუნთქავდა, მხოლოდ ამახვილებდა ამ გადასვლის უარყოფით აზრს, გოგირდის ანაორთქლი, დაშვება ქვევით. ის მოტრიალდა და გახედა დერეფნის სიღრმეს — მკრთალი ნათურები იისფრად ანათებდა თეთრ კარებს.

და მან სულელური რამ ჩაიდინა: მოიკეცა მარცხენა ფეხი და ცალი ფეხით ხტუნვა-ხტუნვით მივიდა დერეფნის პირველ კარებამდე.

როდესაც მარცხენა ფეხი ისევ დადგა მწვანე ლინოლეუმზე, იგრძნო, რომ ბოლომდე გახვითქულიყო. ყოველ ნახტომზე კბილებში ცრიდა მანუს სახელს. „მე კიდევ რაღაც გადასვლას ველოდებოდი,“ — გაიფიქრა მან და კედელს მიეყუდა. შეუძლებე-

ღია რაიმე აზრის პირველი ნაწილის გამონაწევრება ისე, რომ სასაცილოდ არ მოგეჩვენოს. მაგალითად გადასვლა. ძნელი დასაჯერებელია, რომ ამას ელოდებოდა. ელოდებოდა გადასვლას. არც უცდია კიდევ გაეძლო, ფეხზე დგომა გაუჭირდა, კედელზე ნელ-ნელა ჩაცურდა, იატაკზე დაჯდა, ლინოლეუმი მოათვალიერა. გადასვლა რისკენ? და რატომ უნდა ყოფილიყო კლინიკა მაინცდამაინც გადასასვლელი? რა ტაძრები იყო საჭირო, რა მოსარჩლეები თუ მფარველები სჭირდებოდა, რა ფსიქიკური თუ მორალური ჰორმონები, ან რა ზემოქმედება უნდა მოეხდინა მასზე ამ ყველაფერს – გარედან თუ შიგნიდან?

როდესაც ტალიტა მოვიდა და ლიმონათით სავსე ჭიქა მიაწოდა (ეს მისი იდეები, მუშების დახმარების მსგავსი ჰუმანიტარული კამპანია „ერთი წვეთი რძის“ ფარგლებში), ადგა და იქვე პირწმინდად ყველაფერი მოახსენა. ტალიტას კი არც გაჰკვირვებია, დაჯდა მის პირისპირ და უყურებდა სულმოუთქმელად როგორ გამოცალა ჭიქა.

– კუკას რომ დავენახეთ, ასე იატაკზე მოკალათებულები, ნამდვილად შეტევა დაემართებოდა, ამასაც მორიგეობა ჰქვია, ყველას სძინავს?

– ჰო, მგონი. 14—მა საჭვრეტელი ამოქოლა, მიდი ნახე, რას აკეთებს. პირდაპირ ხომ არ გავუღებ კარებს, ჩე.

– შენ ხომ დელიკატურობის განსახიერება ხარ, — უთხრა ტალიტამ, — მაგრამ მე შემეძლია, ქალი ქალს...

იგი მაშინვე მობრუნდა და ახლა უკვე ოლივეირას გვერდით დაჯდა და კედელს მიეყრდნო.

– უშფოთველი ძილით სძინავს. საბრალო მანუს კი საშინელი კოშმარები სტანჯავდა. სულ ასეა; მერე კი ისე ჩაეძინება, ვითომც არაფერი, მე კი ძილი მეკარგება, ბოლოს მაინც ავდგები ხოლმე. მე მეგონა, შენ ან რემორინოს გცხელოდათ და ლიმონათი მოგიმზადეთ.

მანც რა ზაფხულია, მერე კიდევ ეს კედლებიც, ჰაერს სულ არ ატარებს. გამოდის, რომ მე იმ მეორე ქალს მიმამსგავსე?

— ცოტათი, ჰო, — უთხრა ოლივეირამ, — მაგრამ ამას არა აქვს მნიშვნელობა. მე ის ვერ ამიხსნია, რატომ მომეჩვენა, რომ ვარდისფერი გეცვა.

— ვითარებისა და გარემოების გავლენით, იმდენი ვარდისფერია ირგვლივ.

— ადვილი შესაძლებელია. მაგრამ შენ რაღამ გაგახსენა კლასობანას თამაში? შენც მათი მიბაძვით?..

— მართალი ხარ, — უთხრა ტალიტამ, — რამ გამახსენა. სინამდვილეში მე არასდროს ვყოფილვარ დიდად გატაცებული ამ თამაშით, მაგრამ შენ ამაზე თეორიებს ნუ ააგებ, მე არავის ზომბი არ ვარ.

— არ არის საჭირო ასე ხმამაღლა ლაპარაკი.

— არავისი... — გაიმეორა ტალიტამ უფრო ხმადაბლა. — უბრალოდ დავინახე კლასობანას ნახაზი შესასვლელთან და ქვაც იქვე ეგდო... ცოტა წავითამაშე და წავედი.

— შენ მესამე უჯრედში წააგე; მაგასაც იგივე დაემართებოდა, მას სულ არ გააჩნია შეუპოვრობა და არც მანძილის შეგრძნება. დრო ხომ ლამის ხელებში ემსხვრევა, ლამის ყველაფერს ეჯახება ამ ქვეყანაზე. სხვათა შორის, იმასაც ვიტყვი, რომ ამის წყალობით იგი გასაგიჟებელი სრულყოფილებით ამხელს სხვათა მოჩვენებით სრულყოფილებას.

მაგრამ მე შენ საბარგო ლიფტის შესახებ გელაპარაკებოდი, მგონი.

— ჰო, რაღაც ამის მსგავსზე, მერე ლიმონათი დალიე. არა, მოიცა, ჯერ ლიმონათი დალიე.

— ალბათ ძალიან უბედური კაცივით გამოვიყურებოდი, როცა მოხვედი; მე შამანივით ტრანსში ვიყავი და კინალამ ჩავვარდი იმ უფსკრულში, რომ სამუდამოდ ბოლო მომელო ყოველგვარი ვარაუდებისთვის, თუკი ასეთ ლამაზ სიტყვას ვიხმართ.

— ორმო სარდაფში მთავრდება, — თქვა ტალიტამ, — იქ კი ხოჭოები და ათასგვარი ძონძები ყრია, თან ყველაფერი სველია, შავი, ახლო-მახლო კი მკვდრები წვანან. მანუ მიყვებოდა.

— მანუს სძინავს?

— ჰო, საშინელი სიზმარი ნახა, ძილში ყვიროდა, რაღაც ჰალსტუხი დავკარგეო. გითხარი კიდევ.

— ამ ღამეს დიდი ურთიერთნდობა გამოვიჩინეთ, — უთხრა ოლივეირამ და თვინიერი სახით შეხედა.

— ჰო, ძალიან დიდი, — თქვა ტალიტამ, — ადრე მაგა უბრალოდ სახელი იყო, ახლა კი სახეც აქვს. მაგრამ ასე მგონია მას ჯერ კიდევ ეშლება ტანსაცმელის ფერები.

— ტანსაცმელი ძალიან ცოტას ნიშნავს, როცა დავბრუნდები და ვნახავ, ვინ იცის, რითი დამხვდება. შეიძლება სულაც შიშველი იყოს, ან ხელში ბავშვი ეჭიროს და უმღეროდეს „Les amants du Havre“, ასეთი სიმღერაა, შენ არ იცი.

— არადა, ცდები, — უთხრა ტალიტამ, — ამას ხშირად გადმოსცემდა რადიოსადგური ბელგრანო. ლა-ლა-ლა, ლა-ლა-ლა...

ოლივეირამ ისე მოიქნია ხელი, თითქოს სილა უნდოდა გაეწნა, მაგრამ ლოყაზე ნაზად მოუცაცუნა, ტალიტამ თავი უკან გადასწია და კედელს მიართყა, ცოტა შეიჭმუხნა და კეფაზე ხელი მოისვა, თუმცა სიმღერა არ შეუწყვეტია. გაისმა ჩხაკუნი, მერე ბუზუნი, სიბნელეში ლურჯად გამოჩნდა ლიფტი, გევით ამოდინდა და მათ ერთმანეთს გადახედეს, სანამ ფეხზე წამოხტებოდნენ. ვინ შეიძლე — ბა ყოფილიყო ამ საათზე... ისევ ჩხაკუნი, აი უკვე პირველ სართულზეა, ლურჯი, ბუზუნი. ტალიტამ უკან დაიხია და ოლივეირას ბურგს მოეფარა. კიდევ ერთი ჩხაკუნი. ვარ-

დისფერი პიჟამა აშკარად გამოჩნდა შემინულ კარში. ოლივეირამ მიირბინა ლიფტთან და კარი გააღო. იქიდან ცივი ჰაერის ნაკადი გამოვარდა. მოხუცი ისე უყურებდა, თითქოს არც იცნობდა და განაგრძობდა მტრედის მოფერებას, აშკარად ჩანდა, რომ მტრედი ოდესღაც თეთრი უნდა ყოფილიყო, მაგრამ მოხუცის გამუდმებულმა ბებრული ხელის ცაცუნმა ნაცრისფერ-ფერფლისფერად გადააქცია. მტრედს თვალები დაეხუჭა და მოხუცის ხელისგულზე გაყუჩებულიყო, ლამის მის მკერდთან, თითები კი შეუჩერებლად მოძრაობდა კისრიდან კუდისკენ, კისრიდან კუდისკენ.

— წადით, დაიძინეთ, დონ ლოპეს, — უთხრა ოლივეირამ, იგი მძიმედ სუნთქავდა.

— საწოლში ცხელა, — თქვა დონ ლოპესმა, — შეხედეთ რა კმაყოფილია, რომ ვასეირნებ.

— ძალიან გვიანაა, წადით თქვენ ოთახში.

— მე ცივ ლიმონათს მოგიტანთ, — დაპირდა ტალიტა ნაიტინგეილი.

დონ ლოპესმა ხელი გადაუსვა მტრედს და ლიფტიდან გამოვიდა.

მათ ესმოდათ როგორ ჩადიოდა კიბეებზე.

— აქ ყველა ისე იქცევა, როგორც მოეპრიანება, — ჩაიბუტბუტა ოლივეირამ და ლიფტის კარები დაკეტა, — ერთ დღესაც ჩვენ ყველას თავებს წაგვაცლიან, ასეთი პირი უჩანს, გეუბნები. ეს მტრედიც სულ რევოლვერი მგონია.

— რემორინოს უნდა გავაგებინოთ. მოხუცი სარდაფიდან ამოდიოდა, ეს უცნაურია.

— იცი რა, შენ ცოტა ხანს აქ დამიცადე, ფხიზლად იყავი, მე ჩავალ სარდაფში და ვნახავ კიდევ არის იქ ვინმე თუ არა, კიდევ რაიმე ოინი არ მოგვიწყონ.

— მეც შენთან ერთად წამოვალ.

— კარგი, აქ ყველას მშვიდად სძინავს.

ლიფტის კაბინაში მოლურჯო სინათლე ენთო, ისე ეშვებოდა ქვევით, ბუზუნით, როგორც სამეცნიერო-ფანტასტიკურ ფილმებშია, სარდაფში სულიერი არ ჭაჭანებდა, მაგრამ მაცივრის ერთი კარი ოდნავ გამოღებული იყო და იქიდან შუქი გამოდიოდა. ტალიტა კარებში გაჩერდა, პირზე ხელი მიიფარა, ოლივეირა კი წინ წავიდა. ეს იყო 56. მას კარგად ახსოვდა, რომ ტრელევიდან მისი ოჯახი უნდა ჩამოსულიყო, თითქოს წუთი-წუთზე ელოდებოდნენ, მაგრამ მასთან მარტო ერთი მეგობარი მივიდა სტუმრად. მარტო იმის წარმოდგენა რად ღირს, როგორ ელაპარაკებოდა მოხუცი მტრედს იქ, ალბათ ეს იყო ერთი ისეთი ფსევდო-დიალოგი, როცა თანამოსაუბრე არანაირ ყურადღებას არ აქცევს იმას, რას ამბობს მეორე ან იმას, რომ სულ არაფერს ამბობს, ოღონდ კი იყოს იქ, არა აქვს მნიშვნელობა, ვინ თუ რა, ადამიანი თუ ფეხის ტერფი, მაცივრიდან რომ მოჩანდა. როგორც თვითონ ელაპარაკებოდა ახლახან ტალიტას, უამბობდა თუ რა ნახა, ეუბნებოდა, რომ ეშინოდა, ლაპარაკობდა რაღაც ღიობებზე, ხვრელებზე, გადასვლაზე, ელაპარაკებოდა ტალიტას, თუ ვიღაც სხვას — ფეხის ტერფს, მაცივრიდან რომ გამოშვერილიყო, რასაც გინდა, ყველაფერს, რაც და როგორც უნდა ყოფილიყო, ოღონდ კი მოსმენისა და დათანხმების უნარი ჰქონოდა. მან დახურა მაცივრის კარები, რატომღაც დაეყრდნო მაგიდის კუთხეს და იგრძნო, რომ მოგონებების გულში დვა ერეოდა; მან იფიქრა, რომ ერთი თუ ორი დღის წინ სრულიად შეუძლებლად ეჩვენებოდა ტრეველერისთვის მოეყოლა რამე, მაიმუნი ვერაფერსაც ვერ უამბობს ადამიანს, მაგრამ თვითონაც ვერ მიხვდა, ისე უამბო ტალიტას, ისე, თითქოს ეს ტალიტა კი არა, მაგაა, მან კი იცის, რომ ეს მაგა არ არის, მაგრამ მაინც უამბობს კლასობანაზე, შიშზე, დერეფანში რომ განიცადა, იმ მაცდუნებელ ხვრელზე. მაშასადამე (ტალიტა იქ იყო, მის ბურგს უკან, ოთხიოდე მეტრის იქით ელოდებოდა), ეს იყო დასასრული, ის სხვის შებრალებას ევედრებოდა, ის ბრუნდებოდა უკან, ადამიანურ ოჯახში, პირსახოცი საშინელი ტყაპანით ეცემა რინ-

გზე. ისეთი გრძნობა დაეუფლა, თითქოს საკუთარი თავისგან გარბოდა, თავისთავს ტოვებდა, უძღვები შვილი (ბოზის შვილი), სასწაული — ლამის მკლავებში უვარდებოდა, ოღონდ იოლად შერიგებოდა, იქიდან კი — კიდევ უფრო იოლად შემობრუნდებოდა სამყაროსკენ, სრულიად შესაძლებელი ცხოვრებისკენ დროში, რომელშიც იგი ცხოვრობს, და საღი გონებისკენ, რაც წარმართავს ყოველი კეთილზნიანი არგენტინელის და ზოგადად სულიერი ადამიანის ყოფასა თუ ქცევას. იგი იყო თავის პატარა, მყუდრო, გრილ ჰადასში, ოღონდ არა ევრიდიკეს საძებრად, რომ არაფერი თქვას იმაზე, რომ იგი იქ მშვიდად ჩავიდა, საბარგო ლიფტით, და როცა მაცივრის კარები გააღო და ლუდის ბოთლი გამოიღო, უკვე ყველაფერზე თანახმა იყო, ოღონდ კი ეს კომედია დამთავრებულიყო. — მოდი აქ, დალიე, — მიიწვია ისიც, — ეს ჯობია შენ ლიმონათს.

ტალიტამ ერთი ნაბიჯი გადადგა და გაჩერდა.

— ნეკროფილი ხომ არ ხარ? — თქვა მან, — გამოდი გარეთ.

— ეს ერთადერთი გრილი ადგილია, აღიარე. მე მგონი, აქ ჩემთვის გასაშლელ საწოლს დავიდგამდი.

— სიცივისგან სულ გაფითრდი, — უთხრა ტალიტამ და მასთან მივიდა, — გამოდი, არ მომწონს, მანდ რომ ხარ.

— შენ არ მოგწონს? ხომ არ შემეჭამენ, ისინი, ზემოთ რომ არიან, ამათზე უარესები მგონია.

— გამოდი, ორასიო, — გაუმეორა ტალიტამ, — არ მომწონს, მანდ რომ ჩერდები.

— შენ... — თქვა ოლივეირამ და მრისხანე თვალებით გადახედა, მერე გაჩერდა, რომ ბოთლი მაგიდის კიდებზე გაეხსნა. ისე ნათლად დაინახა ბულვარი წვიმაში, ოღონდ ამჯერად მას კი არ მიჰყავდა ხელკავით და ეუბნებოდა სიბრაღულის სიტყვებს, არამედ ის მიჰყავდათ, მას გაუწოდეს თანაგრძნობის ხელი, მას ანუგეშებდნენ, იგი ებრალებოდათ და ეს თურმე სასიამოვნოც

იყო. წარსული გადატრიალდა, ნიშანი საპირისპიროდ შეიცვალა და ბოლოს და ბოლოს ისე გამოდიოდა, თითქოს თანაგრძნობა სულაც არ ანადგურებდა და სპობდა. ამ ქალს, კლასობანას თამაშის მოყვარულს, ებრალებოდა და იმდენად აშკარა და ნათელი იყო ეს, რომ სული ეწვებოდა.

– შეგვიძლია საუბარი მეორე სართულზეც გავაგრძელოთ, – უმეორებდა ტალიტა, – წამოიღე ბოთლიც და ცოტას მეც დავლევ.

– Oui, madame, bien sûr, madame[214], – თქვა ოლივეირამ.

– როგორც იქნა, ბოლოს რაღაც თქვი ფრანგულად, მე და მანუმ კი დავიჯერეთ, რომ შენ აღთქმა დადე, რომ არასდროს...

– Assez, – თქვა ოლივეირამ, – Tu m’as eu, petite. Céline avait raison, on se croit enulé d’un centimètre et on l’est déjà de plusieurs mètres[215].

ტალიტამ რაღაც გამოუცნობი მზერით შეხედა მას, მაგრამ ხელი თავისთავად აიწია, ისიც კი ვერ იგრძნო, როგორ მიადო ოლივეირას მკერდზე, როცა ხელი გამოსწია, ოლივეირამ მას თითქოს სიღრმიდან შეხედა და ეს მზერა თითქოს მოდიოდა სულ სხვა, უცხო მხრიდან.

– ვინ იცის, – უთხრა ოლივეირამ ვიღაც სხვას, რომელიც არ იყო ტალიტა, – მოდი და გაიგე, შეიძლება შენ არ იყავი, ვინც ამდენი სიბრაღული შემომანთხია ამ ღამეს. ვინ იცის, ვგებ მართლაც უნდა იტირო სიყვარულისგან და მთელი ხუთი თასი ცრემლით უნდა აავსო.

ანდა შენზე ღვარონ ცრემლი, აკი უკვე ღვრიან კიდევ.

ტალიტამ ზურგი შეაქცია და კარებისკენ წავიდა. ხოლო როცა გაჩერდა, რომ მისთვის დაეცადა, გაოგნებული კი იყო, მაგრამ მაინც გრძნობდა, რომ უნდა მოეცადა, რადგან ამ წუთში მისი დატოვება იმას ნიშნავდა, რომ უფსკრულში გადასაჩხვად გა-

ეწირა (ხოჭოებსა და ჭრელ-ჭრელ ძონძებში), მან დაინახა, რომ იგი იღიმებოდა და რომ ეს ღიმილი მას არ ეკუთვნოდა. მას არასოდეს ენახა, რომ როდისმე ასე გაეღიმა, ღიმილი კი იყო შესაბრალისი, მაგრამ სახე ნათელი ჰქონდა, მისკენ შემობრუნებულიყო ჩვეული ირონიის გარეშე, თითქოს ვიღაცას თუ რაღაცას უსმენდა, რომელიც მასთან პირდაპირ ცხოვრების გულისგულიდან მოდიოდა იმ, მეორე უფსკრულიდან (სადაც იყო ხოჭოები, ჭრელ-ჭრელი ძონძები და სახე ჭუჭყიან წყალში?) და როცა იგი მიუახლოვდა მას, თითქოს დასთანხმდა იმას, რასაც არ ჰქონდა სახელი და მის ღიმილს იწვევდა. მაგრამ მან აკოცა არა მას და ეს მოხდა არა აქ, მაცივრის გვერდით მიცვალებულების ამ სიახლოვეს და არც მძინარე მანუს სიახლოვეს. ისინი თითქოს მიიწევდნენ ერთი მეორისკენ საიდანღაც, სრულიად სხვა მხრიდან, თავისდა უნებურად, თითქოს სხვას უხდიდნენ ან სხვისგან იღებდნენ ხარკს, თვითონ კი იყვნენ მხოლოდ გოლემები მათი პატრონების შეუძლებელი შეხვედრისა. და ფლეგრეოსის მინდვრები და ის, რაზეც ორასიო ბუტბუტებდა ქვევით დაშვებაზე, წარმოუდგებოდა იმდენად სისულელედ, რომ მანუც კი, და ყველაფერი, რაც იყო მანუ, და ყველაფერი, რაც კი იყო მანუს დონეზე, არ შეიძლება, ამაში მონაწილეობდესო. აქ იწყებოდა სხვა რამ: იგივე, რომ ეფერებოდე მტრედს, ან დგებოდე ლოგინიდან და ამზადებდე ლიმონათს მორიგესთვის, ან შემოიკვეცო ფეხი და იხტუნო პირველი უჯრედიდან მეორეში, მიაგორო ქვა, მეორედან მესამეში. როგორღაც და რაღაცნაირად ისინი შევიდნენ სხვაგან, იქ, სადაც შეიძლება ჩაიცვა ნაცრისფერი და გახდე ვარდისფერი, სადაც შეიძლება დიდი ხნის წინ დაიხრჩო წყალში (ამას უკვე თვითონ არ ფიქრობდა) და აღმოჩნდე ღამე ბუნოს აირესში, რომ კლასობანას უჯრედებზე ისევ აავო სახე, რომელთანაც ისინი სწორედ ახლახან მივიდნენ: უკანასკნელი უჯრედი, მანდალას ცენტრი, თავბრუდამხვევი იგდრასილი, საიდანაც შეიძლება გახვიდე ვრცელ სანაპიროზე, უკიდევანო სივრცეში, სამყაროში, რომელსაც წამწამებს ქვემოდან შიგნით მიმართული მზერა იცნობს და პატივს მიაგებს.

მაგრამ ტრეველერს არ ეძინა, საშინელმა სიზმრებმა არ მოასვენა, იწრიალა, იწრიალა, ბოლოს ლოგინში წამოჯდა და სინათლეც აანთო. ტალიტა, ეს ნამდვილი მთვარეული, ჯერ არ დაბრუნებულიყო, ეს ღამის პეპელასავით უძილო. ტრეველერმა ერთი ჭიქა კანია გადაჰკრა და პიჟამა ჩაიცვა. წნული სავარძელი საწოლზე უფრო გრილი ეჩვენა, ისეთი მშვენიერი ღამე იყო, რომ კითხვა მოგინდებოდა. ხანდახან ფეხის ხმა ესმოდა დერეფანში, ერთი-ორჯერ კარებისკენაც გაიხედა, რომელიც ადმინისტრაციული ფრთისკენ გადიოდა, მაგრამ ვერაფერი და ვერავინ ვერ დაინახა. ტალიტა ალბათ აფთიაქში წავიდა, დაუჯერებელია, როგორი ხალისით დაუბრუნდა მეცნიერებას, სააფთიაქო სასწორსა და აბებს. ტრეველერი დაჯდა და კითხვას შეუდგა, თან ნელ-ნელა კანიას წრუპავდა. რაც უნდა იყოს, მაინც უცნაურად ეჩვენებოდა, რომ ტალიტა აქამდე არ დაბრუნებულიყო აფთიაქიდან. როცა ბოლოს მაინც გამოჩნდა, ციდან ჩამოსულ მოჩვენებას ჰგავდა, ბოთლი უკვე თითქმის ჩაეცალა და ტრეველერისთვის უკვე სულ ერთი იყო ხედავდა თუ არა ტალიტას, რაღაც ორიოდე სიტყვა კი უთხრეს ერთმანეთს, ეს იყო და ეს, სანამ ღამის პერანგს მონახავდა, რაღაც თეორიებზე ლაპარაკობდა, მაგრამ ტრეველერი სრულიად მშვიდად უსმენდა, რადგან ასეთ მდგომარეობაში ყოველთვის უწყინარი ხდებოდა ხოლმე. ტალიტამ უკვე დაიძინა კიდევ, გულაღმა იწვა, მაგრამ მოუსვენრობა ეტყობოდა, ხელებს იქნევდა და კვნესოდა. ყოველთვის ასე იყო, ტრეველერი ვერ იძინებდა, სანამ ტალიტა არ დამშვიდდებოდა, მერე კი, როცა თვითონაც დაიღლებოდა, სწორედ მაშინ გაიღვიძებდა ტალიტა, მარტო თვალს კი არ გაახელებდა, სრულიად გამოფხიზლდებოდა, რადგან ტრეველერი თურმე ძილში ბორგავდა და წრიალებდა, ასე გადიოდა მთელი ღამე, ერთი იღვიძებდა, მეორე იძინებდა, მაგრამ ამაზე უარესი ის იყო, რომ შუქი ანთებული რჩებოდათ და ეძნელებოდათ ჩამრთველისკენ ხელის გაწვდენა. ახლაც, როცა ბოლოს ორივე სა-

ბოლოოდ გამოფხიზლდა, ტალიტამ გამორთო სინათლე და ცოტათი მიეხუტა ტრეველერს, რომელიც ისევ წრიალებდა და ოფლად იღვრებოდა.

— ორასიომ წუხელ მაგა ნახა, — თქვა ტალიტამ, — ნახა ეზოში, ორი საათის წინ, შენი მორიგეობის დროს.

— აჰ, — ამოისუნთქა ტრეველერმა, მხარი იცვალა და ბრაილის სისტემის მიხედვით სიგარეტს დაუწყო ძებნა, მერე რაღაც ბუნდოვანი წინადადება წარმოთქვა, ეტყობა, ახლახან წაკითხული.

— მაგა კი მე ვიყავი, — თქვა ტალიტამ და კიდევ უფრო მიეხუტა ტრეველერს, — არ ვიცი, გესმის შენ ეს, თუ არა.

— ალბათ კი.

— ერთ დღესაც ეს უნდა მომხდარიყო. მაგრამ მე ის გამიკვირდა, თვითონვე რომ გააოცა თავისმა შეცდომამ.

— ოჰ, ვითომ არ იცნობდე ორასიოს, თვითონ აურ-დაურევს ყველაფერს, მერე კი ისეთი თვალებით იყურება, როგორც ლეკვი, თავის დასვრილს რომ უყურებს ხოლმე გაკვირვებული.

— მე მგონია, ასეთი რამ ერთხელ უკვე დაემართა მაშინ, პორტში რომ დავხვდით, — თქვა ტალიტამ, — მაგრამ ამას ახსნას ვერ მოვუძებნი, რადგან მაშინ ჩემთვის არც კი შემოუხედავს და თქვენ ორივემ ძალღივით მომიშორეთ, თანაც კატით ხელში.

ტრეველერმა რაღაც გაუგებარი ჩაიბუტბუტა.

— მე მაგა ვეგონე, შევეშალე, — თავისას გაიძახოდა ტალიტა.

ტრეველერი უსმენდა, ის კი არ ლაპარაკობდა, უფრო მიანიშნებდა, როგორც ყველა ქალი, გარემოებათა საბედისწერო დამთხვევაზე, ტრეველერს ერჩინა გაჩუმებულიყო, ტალიტა კი ციებ-ციხელებიანივით ერთსა და იმავეს იმეორებდა, ეხუტებოდა

და რაც უნდა მომხდარიყო, მაინც უნდა ეთქვა, უნდა მოეყოლა მისთვის და, ბუნებრივია, მასაც უნდა მოესმინა და ტრეველერაც დანებდა.

— ჯერ ის მოხუცი მოვიდა თავისი მტრედით და სარდაფში ჩავედით.

ორასიო მთელი ამ დროის განმავლობაში შეუჩერებლად ლაპარაკობდა რაღაც ხვრელებზე თუ ღიობზე მოსვენებას რომ არ აძლევდა.

სასოწარკვეთილი იყო, მანუ, საშინელება იყო იმის ყურება, როგორი მშვიდი ჩანდა, სინამდვილეში კი ასე... ლიფტით ჩავედით, ის მაცივრის დასაკეტად შევიდა, შემზარავი იყო.

— გამოდის, რომ შენ იქ ჩახვედი, — თქვა ტრეველერმა, — კარგი და კეთილი.

— ეს სულ სხვა რამეა, — თქვა ტალიტამ, — საქმე ის კი არ არის, რომ ჩავედით, ჩვენ ვლაპარაკობდით, მაგრამ ისეთი გრძნობა მქონდა, რომ ორასიო სულ სხვაგან იყო, სხვა ქალს ელაპარაკებოდა, იმ ქალს, რომელიც დაიხრჩო, ასე ვთქვათ. ეს ახლა მომივიდა აზრად, მას ხომ არასოდეს უთქვამს, რომ მაგამ მდინარეში დაიხრჩო თავი.

— ის არც დამხრჩვალა, — თქვა ტრეველერმა, — მე, რა თქმა უნდა, ამაზე არც არაფერი ვიცი, მაგრამ დარწმუნებული ვარ, ამისთვის საკმარისია ორასიოს იცნობდე.

— ის დარწმუნებულია, რომ მკვდარია, მანუ, და ამავე დროს გრძნობს, თითქოს მის გვერდითაა და ამ ღამეს ის მე ვიყავი. მან მითხრა, რომ იგი გემზეც ნახა და სან მარტინის ავენიდის ხიდის ქვეშაც... ვერ იტყვი, თითქოს ჰალუცინაციის მდგომარეობაში ლაპარაკობდეს, არც იმას ცდილობს, ვინმე დაარწმუნოს. ის ლაპარაკობს და მეტი არაფერი, და ეს სიმართლეა, ასეც არის. როცა მაცივარი დაკეტა, მე შემეშინდა და არ ვიცი, რა ვთქვი,

მან ისე შემომხედა, თითქოს მე კი არა, მას უყურებდა. მე არა ვარ ზომბი, მანუ, არ მინდა ვინმეს ზომბი ვიყო.

ტრეველერმა თმაზე ხელი გადაუსვა, მაგრამ ტალიტა მოუთმენლად გაიწია გვერდზე. ისინი საწოლში ისხდნენ და ტრეველერი გრძნობდა, როგორ ცახცახებდა იგი. ასეთ სიცხეში კანკალებდა. მან ისიც თქვა, რომ ორასიომ მაკოცაო და ცდილობდა აეხსნა, რას ნიშნავდა ეს კოცნა, მაგრამ სიტყვებს ვერ პოულობდა და სიბნელეში მისი ხელები ძონძივით ეხებოდა მის სახეს, მკლავებს, მკერდს, მუხლებს და ამით თითქოს იბადებოდა ახსნა, რასაც ტრეველერი წინააღმდეგობას ვერ გაუწევდა, ეს შეხება თითქოს გადამდები იყო და მოდიოდა საიდანღაც სიღრმიდან თუ სიმაღლიდან, საიდანღაც, სადაც არ იყო არც ეს ღამე, არც ეს ოთახი, გადამდები იყო გაუგებარი ბუტბუტი, რითიც ტალიტა მას დაეუფლა, რაღაცას რომ ამცნობდა, რაც შეუძლებელია გამოხატო, წინათგრძნობა შეხვედრისა იმასთან, რაც შეიძლება აღმოჩნდეს მაუწყებელი, მაგრამ ის ხმა, რომელსაც მოჰქონდა ეს ცნობა კანკალებდა და წყდებოდა და ამასთან მოდიოდა გაუგებარ ენაზე, მაგრამ ის იყო მაინც ერთადერთი აუცილებელი ამ დროს და მოითხოვდა, რომ მოესმინათ და გაეგოთ, ასე აწყდებოდა კედლებს, ამ ბოლისა და კორპის ფხვიერ კედლებს, მიუწვდომელი და ამოუცნობი, ხელიდან შიშველი უსხლტებოდა და წყლად და ცრემლებად იღვრებოდა.

„ტვინი გაყინული მაქვს“, — გაიფიქრა ტრეველერმა. მას არეულად ესმოდა რაღაც შიშზე, ორასიომზე, ლიფტზე, მტრედზე; კომუნიკაციის სისტემა თანდათან აღდგა. მაშასადამე, ამ საბრალოს და უბედურს ეშინოდა, მე ხომ არ მოვკალიო, მართლაც სასაცილოა.

— ნამდვილად ასე გითხრა? როგორ დავიჯერო, თავადაც ხომ იცი, როგორი ამაყია.

— არა, არც ასეა, — თქვა ტალიტამ, სიგარეტი გამოართვა და ისე ხარბად მოქაჩა, როგორც მუნჯ ფილმებში იციან, — მე მგონია, რომ ის შიში, რასაც ის განიცდის, მისთვის უკანასკნელ ხსნასავითაა, მოაჯირივით, რასაც გამწარებით ებლაუჭებიან

ხოლმე, სანამ წყალში გადავარდებიან. იგი ისეთი კმაყოფილი იყო, წუხელ ღამეს შიში რომ განიცადა, მე ვიცი, რომ ესიამოვნა.

— ეს, — თქვა ტრეველერმა და ნამდვილი იოგივით ღრმად ამოისუნთქა, — კუკასთვისაც კი გაუგებარი იქნებოდა, დამიჯერე. და მეც მთელ ჩემს გონებრივ უნარს უნდა მოვუხმო, რომ გავიგო ის სასიამოვნო შიში, როგორც შენ ამბობ, მართალი გითხრა, ძნელი ჩასაყლაპია, ჩემო კეთილო.

ტალიტამ ცოტა კიდევ მოინაცვლა გვერდი საწოლში და ტრეველერს მიეყრდნო. მან იცოდა, რომ ისევ მასთან იყო, რომ არ დამხრჩვალა, რომ იგი არ დაანებებდა ჩაძირულიყო, ზედაპირზე გააჩერებდა, რომ იქ, სიღრმეში იყო სიბრალული, სასწაულებრივი სიბრალული.

ორივემ ერთდროულად იგრძნო ეს და ისე ჩაცურდნენ ერთმანეთში, რომ ერთმანეთშივე ჩაძირულიყვნენ, მათივე საერთო მიწაზე, სადაც სიტყვებიც, ალერსიც და ტუჩებიც ერთ წრეში დატრიალდებოდა, ერთმანეთს გადაეჭდობოდა, ეს დამაწყნარებელი მეტაფორები, ეს ძველი სევდა, კმაყოფილება, რადგან ყველაფერი დაუბრუნდა ადრინდელს, რომ ისევ გრძელდებოდა ის, რაც იყო, რომ ისევ ტივტივებ ზედაპირზე, რა ქარიშხალიც არ უნდა მოვარდეს, ვინც არ უნდა მოუხმოს და როგორც არ უნდა ეცემოდე.

(-56)

56

როდიდან და საიდან მოჰყვებოდა ეს ჩვევა, რომ ჯიბეებში სულ ჰქონდა ძაფის ნაწყვეტები, ნაირფერი ნაკუწები, რომელთაც სანიშნის მაგივრად დებდა წიგნის ფურცლებს შორის, ან აწებებდა ერთმანეთთან და ათასგვარ ფიგურებს აკეთებდა. როდესაც ოლივეირა კარების სახელურზე შავ ძაფს ახვევდა, ჰკით-

ხა თავის თავს, ამ სუსტი ძაფებისგან უკეთურ კმაყოფილებას ხომ არ ვიღებო და დაასკვნა, რომ *may be, peut-être*[216] რას გაიგებო. ერთ რამეში კი დარწმუნებული იყო — ეს ძაფები, ეს ნაგლეჯები მას სიხარულს ჰგვრიდა და რომ არაფერი ეჩვენებოდა იმაზე უფრო გონივრულ საქმედ, ვიდრე მაგალითად, უზარმაზარი გამჭვირვალე თორმეტკუთხედი შეექმნა, რამდენიმე საათი ამ ძნელი საქმისთვის შეეწირა, მერე ანთებული ასანთი მიეტანა და ეცქირა ძაფების პატარ-პატარა კოცონისთვის და ხეკრეპტენისთვის, სიმწრით რომ იმ-ტვრევე-და-ხე-ლებს. რა სირცხვილია, იწვებოდა ასეთი სილამაზე. ძნელი ასახსნელი კია, მაგრამ რამდენადაც მყიფე და სუსტი გამოდიოდა ეს ნივთი, მით უფრო დიდ სიამოვნებას ანიჭებდა მისი კეთება და მერე განადგურება. ოლივეირას ერთადერთი მასალა ძაფები იყო თავისი გამოგონებებისთვის, მხოლოდ იშვიათად თუ გამოიყენებდა ქუჩაში ნაპოვნ მავთულს ან მეტალის რგოლს. მას მოსწონდა, როცა ყველაფერს, რასაც აკეთებდა, ჰქონდა თავისუფალი სივრცე, როცა ჰაერი თავისუფლად მოძრაობდა, უფრო კი, როცა ჰაერი გადი-გამოდიოდა, იგივე ემართებოდა წიგნებთან, ქალებთან და მოვალეობებთან და სულ არ ენაღვლებოდა, ხეკრეპტენი ან თუნდაც კარდინალი პრიმასი გაიგებდნენ თუ არა მის ზეიმს.

კარების სახელურზე შავი ძაფის დახვევა დაიწყო ორი საათის მერე, რადგან ჯერ ბევრი რამ ჰქონდა გასაკეთებელი თავის ოთახშიც და გარეთაც. რაც შეეხებოდა თასებს, ეს აზრი კლასიკური იყო და სულაც არ ამაცობდა იმის გამო, რომ ასეთი რამ მოიფიქრა, სიბნელეში წყლით სავსე თასს ჰქონდა საკმაოდ ბევრი დამცველი თვისებები:

გაოცება, ზოგჯერ შიში, ყველა შემთხვევაში რისხვა, როცა „ფანაკალის“ ან „ტონსას“ ფირმის მისი ფეხსაცმელი წყალში დასველდებოდა, მაგრამ ფეხსაცმელი თანდათან ივსება და ივსება წყლით, ფეხი ისე მოუხერხებლადაა სველ წინდაში, ხოლო წინდა — სველ ფეხსაცმელში, რომელიც აქეთ-იქით აწყდება, როგორც ვირთხა, წყალში რომ იძირება ან როგორც ვიღაც უბედური, ეჭვიანი სულთნები ბოლომდე ამოკერილ ტომრებში ბოსფორში რომ ყრიდნენ (რა თქმა უნდა, ძაფებით ამოკერილ ტომ-

რებში: ყველაფერი, რაც საჭიროა, ბოლოს და ბოლოს პოულობს ერთმანეთს, მართლაც სასაცილოა, რომ წყლით სავსე თასი და ძაფები დიდი ფიქრის შედეგად დაუკავშირა ერთმანეთს და არ აიღო ამოსავალ წერტილად, მაგრამ ამ დროს ორასიომ ისიც ივარაუდა, რომ ა) დასკვნების წყობა სულაც არ უნდა შესაბამებოდეს ფიზიკურ დროს, არც „მანამდეს“ და არც „მერეს“ და ბ) რომ სრულიად შესაძლებელია, რომ მთელი ეს დასკვნები გაუაზრებლად იმისთვის იქმნებოდეს, რომ ეს ძაფები მიიყვანოს წყლიან თასამდე). ერთი სიტყვით, როგორც კი გაანალიზებას იწყებდა, მაშინვე ვარდებოდა დეტერმინიზმის მძიმე ეჭვებში; აქ ისეთი ბარიკადები უნდა აიგოს როგორც საჭიროა და დიდი ყურადღება არ უნდა მივაქციოთ დასკვნებს და იმას, რა უკეთესია და რა უარესი, და მაინც რომელი მოდის პირველი, ძაფი თუ თასი? როგორც სასჯელი — თასი, მაგრამ ძაფები უფრო ადრე იყო გადაწყვეტილი.

არაფერს აქვს ფასი თუკი სიცოცხლებეა ლაპარაკი, თასების მოპოვება ყველაზე მნიშვნელოვანი იყო და პირველი ნახევარი საათი კიდევ მოანდომა მეორე სართულის ზედმიწევნით გამოკვლევას, საიდანაც დაბრუნდა საშუალო ზომის ხუთი თასით, სამი საფურთხეებით და ბატატას ცარიელი ქილით, მაგრამ მთავარი მაინც თასები იყო. როგორც გამოირკვა, 18-ს თურმე არ ეძინა და დაიჟინა, რომ მიხმარებოდა ოლივეირას, ისიც ბოლოს და ბოლოს დათანხმდა, რადგან გადაწყვიტა, რომ როგორც კი დაცვის ოპერაცია სათანადო მასშტაბებს მიაღწევდა, მაშინვე თავიდან მოიშორებდა. 18 განსაკუთრებით ძაფების შოვნაში გამოადგა: ოლივეირამ ვერც კი მოასწრო მისთვის თავისი სტრატეგიული მიზნები აეხსნა, რომ მან მოჭუტა თავისი მწვანე ბოროტი სილამაზის თვალები და უთხრა, სწორედ 6-ს აქვს მთელი უჯრები სხვადასხვა ფერის ძაფებით სავსეო. ერთადერთი პრობლემა ის იყო, რომ 6 იყო ქვედა სართულზე, სადაც იყო რემორინო და თუ ის გაიღვიძებდა, მაშინ კი ერთი დავიდარაბა ატყდებოდა. 18 ასევე ამტკიცებდა, რომ 6 ნამდვილი გიჟიაო და მის ოთანში შესვლა ცოტა გაჭირდებოდა. მან ისევ მილულა თავისი ულამაზესი ბოროტი თვალები და ოლივეირას შესთავაზა დერეფანში დამდგარიყო სათვალთვალოდ, თვითონ კი ფეხსაც-

მელი გაიხადა და უკვე აპირებდა შესვლას, რომ ოლივეირამ იფიქრა, ეს მეტისმეტი იქნებოდა და გადაწყვიტა, პასუხისმგებლობა თვითონ ეკისრა და ნ-ის ოთახში შესულიყო ასე გვიან. საკმაოდ სასაცილო კი იყო პასუხისმგებლობაზე ფიქრი ქალიშვილის ოთახში, რომელიც გულაღმა იწვა და ხვრინავდა, რაც გინდა ის ქენი, თუ გინდა გაივსე ჯიბეები, მოხვეტე რამდენიც გინდა, რა ფერისაა გინდა, კოჭები, თუ გორგლები.

ოლივეირა ერთი წუთით შეჩერდა, დახედა გოგონას, მხრები აიჩინა, თითქოს პასუხისმგებლობის სიმძიმე აღარც ახსოვსო. 18-ს, ოლივეირას ოთახში რომ ელოდებოდა და საწოლზე დახვავებულ თასებს ათვალაიერებდა, მოეჩვენა, რომ ოლივეირამ ძაფი არასაკმარისად მოიტანა; მან კვლავ მილულა თავისი მწვანე არაკეთილმოსურნე თვალები და განაცხადა, რომ ნამდვილი დაცვის ხაზისთვის საჭირო იყო rulemanes[217] და Heftpistole[218]. ეს აზრი ოლივეირას მოეწონა, თუმცა არც იცოდა, რა იყო rulemanes, ხოლო Heftpistole-ზე კი მაშინვე უარი განუცხადა. 18-მა გაახილა თავისი ბოროტი მშვენიერი თვალები და თქვა, რომ Heftpistole სულაც არ იყო ის, რასაც დოქტორი ფიქრობდა (მან სიტყვა „დოქტორი“ ისეთი კილოთი წარმოთქვა, რომ გამგები მაშინვე მიხვდებოდა მის ირონიას), მაგრამ თუკი უარს ამბობდა, მაშინ წავიდოდა და ეცდებოდა, მართო rulemanes ეშოვა.

ოლივეირამაც ნება მისცა იმ იმედით, რომ აღარ დაბრუნდებოდა, მართო უნდოდა დარჩენილიყო. ორ საათზე რემორინო უნდა შენაცვლებოდა და მანამდე კიდევ რაღაც-რაღაცები უნდა მოეფიქრებინა.

თუ რემორინო მას დერეფანში ვერ დაინახავდა, მაშინ ოთახში შევიდოდა და ეს არ ივარგებდა, ასე მართო დაცვის ხაზს თუ გამოცდიდა, თუმცა ამ აზრზეც უარი უნდა ეთქვა, რადგან დაცვა ჩაფიქრებული იყო გარკვეული თავდასხმის შემთხვევისთვის, ხოლო რემორინო მასთან სულ სხვა განზრახვით შევიდოდა. ახლა უკვე უფრო მეტად გრძნობდა შიშს (ხოლო როცა შიში მოეძალეებოდა, საათს დახედავდა ხოლმე და შიშიც უმწვავდებოდა), მაშინ სიგარეტს აბოლებდა და ათვალაიერებდა ოთახში

დაცვის საშუალებებს, ხოლო ორს რომ ათი წუთი აკლდა თვითონვე გაემართა რემორინოს გასაღვიძებლად. მან მოახსენა მორიგეობის შედეგები — პირველი სართულის ავადმყოფებს აღენიშნებოდათ უმნიშვნელო ცვლილებები ტემპერატურის აღრიცხვის ფურცელზე, ერთისთვის საძილე საშუალება უნდა მიეცათ, მეორესთვის საჭირო იყო ავადმყოფობის სიმპტომების დაძლევა, სხვებს ბუნებრივი მოთხოვნილებები მოეგვარებინათ, — ერთი სიტყვით, რემორინო იძულებული იქნება ცოტა თავი შეიწუხოს, მაშინ როცა მეორე სართულზე იმავე ცნობის თანახმად ყველას მშვიდად ეძინა და ერთადერთი რაც უნდა ექნა, ის იყო, რომ დილაამდე არ შეეწუხებინა. რემორინომ მარტო ის იკითხა (ისიც უხალისოდ), ეს დანიშნულებები დოქტორ ოვეხეროს მაღალი ავტორიტეტის მიერ თუ არის ნაკურთხიო, რაც ოლივეირამ ფარისევლურად მარტივად, ერთი სიტყვით დაუდასტურა. ამის შემდეგ ისინი მეგობრულად დაშორდნენ ერთმანეთს და რემორინო მთქნარებით ავიდა ზედა სართულზე, ხოლო ოლივეირამ კანკალით ორი სართული აიარა. არა, იგი არავითარ შემთხვევაში არ გამოიყენებდა Heftpistole—ს და დასჯერდებოდა rulemanes.

მას ჯერ კიდევ ჰქონდა ცოტა დრო, რომ მშვიდად ყოფილიყო, რადგან 18 ჯერ არსად ჩანდა, თვითონ კი ამასობაში წყლით უნდა აევისო თასები და საფურთხებლები, განელაგებინა დაცვის პირველ ხაზზე, ძაფების პირველი ზღუდის ცოტა უკან (რაც ჯერ კიდევ თეორიაში რჩებოდა, თუმცა ძალიან კარგად ჰქონდა დაგეგმილი) და გაეთამაშებინა იერიშის ყველა შესაძლებელი ვარიანტები, ხოლო დაცვის პირველი ხაზის დაცემის შემთხვევაში შეემოწმებინა მეორის გამძლეობა. თასები რომ გაავსო, მერე პირსაბანიც გაავსო და სახე და ხელებიც დაისველა, მერე თმასა და კისერზეც შეისხა წყალი. განუწყვეტლივ ეწეოდა, მაგრამ ბოლომდე არც ერთი არ მოუწევია, ნახევრამდე მიიყვანდა, მივიდოდა ფანჯარასთან, ებოში გადააგდებდა და მაშინვე მეორეს მოუკიდებდა. ნამწვები კლასობანას უჯრედებზე ეცემოდა და ოლივეირაც ისე უმიზნებდა ხოლმე, რომ ერთი წამით მაინც გაენათებინა ყოველი უჯრედი, ცოტა მაინც ერთობოდა.

დროდადრო გონებაში გაუელვებდა ხოლმე უცხო აზრები; *dona nobis pacem*[219], ვინც კარგად არ მოიქცევა, უსადილოდ დარჩება და სულ ასეთი რამეები, ანდა უცბად რაღაც ცნებები თუ შეგრძნების მაგვარი სიტყვები და სხვა ათასი რამ მოადგებოდა ენაზე, მაგალითად ბარიკადების აგების მცდელობა, ასეთ სისულელეზე სისულელეს არ ჯობია სხვა რამ ვცადო, თუნდაც თავდასხმა და არა თავდაცვა, თვითონ გადავიდე შეტევაზე, იმის მაგივრად, რომ ვიჯდე ასე, ვაბოლებდე სიგარეტს და ვკანკალებდე, იმის მოლოდინში, როდის დაბრუნდება 18 იმ თავისი *rulemanes*—ით; მაგრამ ეს დიდხანს არ გრძელდებოდა, ამასობაში ერთი სიგარეტის მოწევას თუ მოასწრებდა, ხელები უკანკალებდა და ისიც იცოდა, რომ ამის მეტი აღარაფერი დარჩენოდა, მაგრამ მოულოდნელად იმედის მსგავსი ახალი მოგონება ამოტივტივდებოდა: ვილაცის ნათქვამი ფრაზა, რომ ძილისა და სიცხადის საათები ჯერ არ შერწყმიან ერთმანეთსო; ამას მოჰყვებოდა სიცილი და ესმოდა არა როგორც საკუთარი სიცილის ხმა, არამედ რაღაც სხვა, სახეს რომ უმანჭავდა და იმასაც მოწმობდა, რომ ამ შერწყმისგან, ამ ერთიანობისგან ძალიან შორს იყო და ის, რაც ძილში ეგმანებოდა, სიცხადეში არაფერს ნიშნავდა და პირიქით. რა თქმა უნდა, შეეძლო ტრეველერს თვითონვე დასხმოდა თავს, აკი თავდასხმა საუკეთესო გზაა თავდაცვისათვის, მაგრამ ამას ის მნიშვნელობა ექნებოდა, რასაც იგი აღიქვამდა შავი მასის თავდასხმად, აღიქვამდა ისე, როგორც იმ ტერიტორიაზე შეჭრას, სადაც ადამიანებს მშვიდად ეძინათ და არ ელოდებოდნენ არანაირ თავდასხმას შუალამისას, თანაც იმ მიზეზით, რომლის გამოსათქმელად ამ შავ მასას სიტყვებიც არ ეყოფოდა. ოლივეირა ამას გრძნობდა, მაგრამ ამ გრძნობის გამოხატვა შავი მასის სიტყვებით არ სურდა, რადგან ეს შეგრძნება თავად იყო შავი მასა, მაგრამ ასეთი მისივე მიზეზით იყო და არა იმ ტერიტორიის მიზეზით, სადაც ახლა ეძინა ტრეველერს; ამიტომაც ერჩივნა არ გამოეყენებინა ის ნეგატიური ცნებები, როგორიც იყო შავი მასა, არამედ უბრალოდ ეწოდებინა ტერიტორია, რადგან სულ ერთია, მაინც მოუწევდა თავისი შეგრძნებები სიტყვებით გამოეხატა. მოკლედ, ეს ტერიტორია იწყებოდა სწორედ მისი ოთახის პირდაპირ და ამ ტერიტორიაზე თავდასხმა არ შეიძლებოდა, რადგან თავდასხმის მიზეზები გაუგებარი იქნებოდა. ხო-

ლო თუ თვითონ მოიწყობდა ბარიკადებს თავის ოთახში და ტრეველერი დაესხმოდა თავს, ვერავინ დაიწყებდა იმის მტკიცებას, თითქოს ტრეველერმა არ უწყობდა რასა იქმოდა, ხოლო თავდასხმის ობიექტი, პირიქით, თავის უფლებებს დაიცავდა, რამეთუ იგი როგორც ჯერ არს, წინასწარ მიიღებდა ზომებს და rulemanes—აც გამოიყენებდა, რაც უნდა ის ყოფილიყო ეს rulemanes.

ამასობაში შეეძლო მდგარიყო ფანჯარასთან, მოეწია რამდენიც უნდოდა სიგარეტი, შეესწავლა წყლიანი თასებისა და ძაფების განლაგება და თან ეფიქრა იმ ერთიანობაზე, რომელიც ასეთ განსაცდელში აღმოჩნდა ამ კონფლიქტის გამო, რომელიც პირდაპირ მისი ფანჯრიდან იწყებოდა. ოლივეირას მუდამ შეაწუხებდა იმის განცდა, რომ ვერასოდეს შეძლო მოეძებნა განსაზღვრება იმ ერთიანობისთვის, რასაც ზოგჯერ ცენტრს უწოდებდა, რაკი არ ჰქონდა გამოკვეთილი კონტურები და იმ სახეებით უნდა შემოზღუდულიყო, როგორიცაა შავი ყვირილი, კიბუცი — სურვილთა თანაზიარობა (არადა რა შორსაა ახლა ეს კიბუცი განთიადისგან, წითელი ღვინით შეღებილი) ან უბრალოდ ცხოვრება, ამ სახელწოდების ღირსი, რადგან (ამ დროს მან მოისროლა სიგარეტი და პირდაპირ მეხუთე უჯრას დაუმიზნა) იმდენად უიღბლოდ წარმართა, რომ ღირსეული ცხოვრების წარმოდგენაც კი შეუძლებელი იყო მას შემდეგ, რაც ამდენი უღირსი ქმედებანი ზედიზედ, ერთი მეორის მიყოლებით ჩაიდინა. მაგრამ ეს ყველაფერი აზრის სახეს ვერ იღებდა, უბრალოდ კუჭში სპაზმით იგრძნობოდა — ძალიან ღრმა ან სპაზმური სუნთქვის ტერიტორია, გაოფლიანებული ხელისგულების ტერიტორია, და როგორც კი სიგარეტს მოუკიდებდა, მაშინვე კუჭის წვა ეწყებოდა, წყურვილისგან იხრჩობოდა, უხმო ყვირილი შავი მასასავით მოაწვებოდა ყელში (ამ თამაშში ყოველთვის იყო რაღაც შავი მასა), ძილის სურვილი კი ჰქონდა, მაგრამ თან დაძინებისაც ეშინოდა, მოუსვენრობა, ფიქრი მტრედზე, რომელიც თურმე იყო თეთრი, ნაირფერადი ძონძები სიღრმეში, რომელიც შეიძლება ყოფილიყო გადასასვლელი, სირიუსი ზემოთ, ცირკის გუმბათში და კმარა, ჩე, კმარა, თუ ღმერთი გწამს, კმარა; თუმცა კარგი იყო, რომ მთლიანად და ერთიანად აქ ვგრძნობდი თავს, მხო-

ლოდ აქ, უზომოდ დიდხანს, არაფერზე არ მეფიქრა და უბრალოდ ვყოფილიყავი ის არსება, რომელიც არის აქ და რომლის კუჭს თითქოს მარწუხები უჭერს. და ეს არსება არის წინააღმდეგი ტერიტორიისა, სიფხიზლე ძილის წინააღმდეგ. მაგრამ ცხადი ძილის წინააღმდეგო, თუ ვიტყვი, ეს იმას ნიშნავს, რომ კვლავ ჩავება დიალექტიკაში და კიდევ ერთხელ დავრწმუნდე, რომ არავითარი იმედი არ უნდა გვქონდეს ერთიანობისა. ამიტომ იყო, რომ 18-ის გამოჩენა თავისი rulemanes-ით მშვენიერი საბაბი იყო, რათა განეახლებინა მზადება თავდაცვისთვის, რაც დაიწყო კიდევ ბუსტად სამ საათსა და ოც წუთზე.

18-მა მილულა თავისი არაკეთილმოსურნე მშვენიერი მწვანე თვალები და გაშალა პირსახოცი, რომელშიც გახვეული ჰქონდა rulemanes. მან თქვა, რომ უკვე მოასწრო რემორინოს ნახვა, რომ რემორინოს იმდენი საქმე აქვს 31-თან, 7-თან და 45-თან, რომ აზრადაც არ მოუვა მეორე სართულზე ამოვიდესო. ეტყობა, ავადმყოფები ახალი თერაპევტული მკურნალობის შემოღების წინააღმდეგი არიან, რისთვისაც მათთან მივიდა, ასე რომ, საკმაოდ ბევრი დრო დასჭირდება, რომ დანიშნული აბებიც მიაღებინოს და ნემსებიც გაუკეთოსო. ასე იყო თუ ისე, ოლივეირამ იფიქრა, რომ დრო არ დაე — კარგა და უბრძანა 18-ს, განელაგებინა თავისი rulemanes, როგორც საჭიროდ მიიჩნევდა, თვითონ კი წყლიან თასებს შეამოწმებდა, რისთვისაც დერეფანში მოუხდა გასვლა. როგორღაც დასძლია იისფრად მოციმციმე დერეფნის შიში, მერე კი თვალეზდახუჭული დაბრუნდა ოთახში, თავი წარმოიდგინა ტრეველერად და ისე აბიჯებდა, როგორც ტრეველერმა იცოდა, ფეხსაცმლის წვერით განზე. მეორე ნაბიჯის გადადგმისთანავე, იმის მიუხედავად, რომ ყველაფერი იცოდა, მარცხენა ფეხი წყლით სავსე საფურთხებელში ჩადგა. ხოლო როდესაც იქედან ფეხი ამოიღო, საფურთხებელი ზევით აისროლა და საბედნიეროდ საწოლზე დაეცა და დიდი ხმაური არ გამოუწვევია.

ამ დროს კი 18 დახოხავდა მაგიდის ქვეშ და აქეთ-იქით ყრიდა rulemanes, მერე წამოხტა ფეხზე, მილულა თავისი მშვენიერი ავისმომასწავებელი მწვანე თვალები და ურჩია ოლივეირას

rulemanes მიმოებნია თასების ორ რიგს შორის: დაე, ფეხი აუცურდეთ და ცივი წყალიც იქვე ექნებათ საამებლადო. ოლივეირამ არაფერი ვი არ უთხრა, მაგრამ ნება მისცა, რაც უნდოდა ის ექნა, ხოლო როცა საფურთხებელი თავის ადგილზე დადეს, უკვე შეუდგა კარების სახელურზე შავი ძაფის დახვევას. მერე ეს ძაფი გაჭიმა საწერ მაგიდამდე და დაამაგრა სკამის ზურგზე; სკამი დადგეს ორ ფეხზე და მიაყუდეს მაგიდაზე. კარებს თუ გააღებდნენ სკამი ძირს დაეცემოდა. 18 დერეფანში გავიდა, რომ შემოწმებინა ეს ყველაფერი, ხოლო ოლივეირას სკამი ეჭირა, რომ არ დაბრახუნებულიყო. მას უკვე მოებზრდა 18-ის მეგობრული მონაწილეობა, რომელიც დროდადრო მოხუჭავდა თავის ლამაზ თვალებს და სულ ცდილობდა როგორმე მოეთხრო თავისი კლინიკაში მოხვედრის ამბავი. მართალია, საკმარისი იყო თითო ტურნებზე მიედო, რომ გაჩუმდებოდა და დარცხვენილი ასე ხუთი წუთი გაშეშებული იდგა კედელთან, მაგრამ ოლივეირამ მაინც მისცა სიგარეტის კოლოფი და უთხრა, წასულიყო დასაძინებლად და რემორინოს თვალში არ მოხვედროდა.

— მე თქვენთან დავრჩები, ექიმო, — თქვა 18-მა.

— არა, წადი. მე ვეცდები ძალიან კარგად დავიცვა თავი.

— თქვენ არა გაქვთ Heftpistole, ავი გითხარით; ყველგან ლურსმნები უნდა დააჭედოთ, ძაფებს ყველაზე კარგად ლურსმნები იჭერს.

— ამას მე თვითონ მოვაწესრიგებ, მოხუცო, — უთხრა ოლივეირამ, — წადი და დაიძინე, დიდი მადლობელი ვარ შენი.

— კარგი, ექიმო, გისურვებთ, რომ ყველაფერი კარგად მოეწყოს.

— ჩაო, ძილი ნებისა.

— ყურადღება მიაქციეთ rulemanes, იცოდეთ, არ გიმტყუნებენ.

როგორც არის ისე იყოს, ნახავთ, რაც მოხდება.

— შევთანხმდით.

— თუ ბოლოს მაინც დაგჭირდებათ Heftpistole, მითხარით, 16—ს აქვს.

— გმადლობ, /ჩაო.

სამ საათსა და ოცდაათ წუთზე ოლივეირამ დაამთავრა ძაფების გაჭიმვა. 18—მა თან წაიღო ყველა სიტყვა, ან ყოველ შემთხვევაში ეს ფანდი თუ ოინი — დროდადრო ერთმანეთის ყურება და წარამარა სიგარეტის ქაჩვა. უცნაური იყო, რომ თითქმის სიბნელეში (რადგან მაგიდის ლამფას მწვანე პულოვერი გადააფარა, რომელიც ნელ-ნელა იტრუსებოდა) ობობასავით დადიოდა ერთი ბოლოდან მეორეში, ხელში ეჭირა ძაფები და საწოლიდან კარებამდე ერთდროულად აბამდა ხუთ თუ ექვს წვერ ძაფს და თან ცდილობდა ფეხი არ დაედგა rulemanes—ზე. ბოლოს აღმოჩნდა კუთხეში ფანჯარას, საწერ მაგიდასა (მარჯვენა მხარეს იდგა კედელთან) და საწოლს შორის მიმწყვდეული, რომელიც მარცხენა კედელს მიადგეს. კარებსა და თავდაცვის ბოლო ხაზს შორის გაჭიმული იყო სასიგნალო ძაფები (კარების სახელურიდან სკამამდე, საწერ მაგიდასთან რომ იდგა, კარების სახელურიდან საფერფლეამდე, რომელსაც ჰქონდა „მარტინის“ რეკლამა და იღო პირსაბანის ნაპირზე და კარების სახელურიდან კომოდის უჯრამდე, რომელიც სავსე იყო წიგნებითა და ქაღალდებით და ბოლომდე იყო გამოწეული), წყლიანი თასები ქმნიდა ორ არათანაბარ დამცველ რიგს და მოდიოდა მარცხენა კედლიდან მარჯვნივ, ანუ პირველი რიგი გრძელდებოდა პირსაბანიდან კომოდამდე, ხოლო მეორე — საწოლის ფეხებიდან საწერი მაგიდის ფეხებამდე. თავისუფალი კი რჩებოდა მხოლოდ არც თუ დიდი, ერთ მეტრამდე ადგილი თასების ბოლო რიგში, რომელთა თავზე გაჭიმული იყო აურაცხელი ძაფი, და კედელი, საიდანაც ფანჯარა გადაჰყურებდა ეზოს (ორი სართულის ქვევით). ოლივეირა საწერი მაგიდის კიდებზე დაჯდა, ახალ სიგარეტს მოუკიდა და ფანჯარაში დაიწყო ყურება, მერე გაიხადა პერანგი და მაგიდის ქვეშ შეაგდო. ახლა უკვე აღარაფერს დალევ, თუნდაც წყურვილით იხრჩობოდე. იჯდა ასე მაისურის ამარა, ეწეოდა, იყურებოდა ეზოში და ერთი წუთითაც არ ავიწყდებოდა კარები,

მაშინაც კი, როცა გასართობად ნამწვავს უმიზნებდა კლასობა-
ნას უჯრედებს და არც ისე ცუდად გრძნობდა თავს, თუმცა მაგი-
დის კუთხე, სადაც იჯდა ქვასავით მაგარი იყო და ლამფაზე გა-
დადებულ პულოვერსაც უკვე დამწვრის სუნი ასდიოდა. ბოლოს
მან ჩააქრო ლამფა და დაინახა, როგორ გამოიხატა იისფერი
ბოლი კარებს ქვემოთ, ეს კი იმას ნიშნავდა, რომ ტრეველერი
მოვიდოდა კარებთან, მისი რეზინის ფლოსტები გადაკვეთდა
იისფერ ბოლს ორ ადგილზე, ანუ იგი თავისდაუნებურად მისცემ-
და შეტევის დაწყების ნიშანს. როგორც კი ტრეველერი შემოა-
ღებდა კარებს, არავინ იცის იმდენი რამ მოხდებოდა, და შეიძ-
ლება კიდევ მეტიც. პირველი იქნება მექანიკური და გარდაუვა-
ლი, მიზეზ-ქმედებობრივი სულელური კავშირის გამო: სკამი და-
მოკიდებულია ძაფზე, კარების სახელური — ხელზე, ხელი — ნე-
ბაზე, ნება — ... ამას მოჰყვება ისეთი რამეები, რაც შეიძლება კი-
დეც მოხდეს და კიდევ არა, იმისდა მიხედვით, როგორ იმოქმე-
დებს ეს ტრეველერზე და თვითონ ოლივიერაზე — ეს იქნება სკა-
მის დავარდნა, საფერფლის დამსხვრევა, კომოდის უჯრის ბრა-
ხუნი, — რადგან ახლა, და მან კიდევ მოუკიდა სიგარეტს ნამწვი-
დან, ხოლო ნამწვი გადააგდო ებოში, მეცხრე უჯრედს კი და-
უმიზნა, მაგრამ ნამწვი დაეცა მერვეზე და გადახტა მეშვიდეში,
ეს დამპალი ნამწვი, ახლა ალბათ დადგა დრო, რომ დაუსვა
თავს კითხვა: რას მოიმოქმედებს, როცა გაიღება კარები და
მთელი ოთახი თავდაყირა დადგება, ტრეველერს აღმოხდება
ყრუ, დახშული ყვირილი, ოღონდ თუკი ის შეჰყვირებს და თუ ეს
იქნება ყრუ და დახშული ყვირილი.

მგონი, სისულელე იყო, რომ Heftpistole—ზე უარი თქვა, რად-
გან ძალიან მსუბუქი ლამფისა და სკამის გარდა ფანჯარასთან,
კუთხეში რომ იდგა, არანაირი იარაღი არ გააჩნდა თავის დასა-
ცავად, ხოლო მართო ერთი სკამით ვერაფერს გააწყობდა, თუ
ტრეველერი გაარღვევდა ორ თავდაცვით ხაზს, ანუ თასების
რიგს და არ დაადგამდა ფეხს rulemanes. მაგრამ ეს არ გამოვა,
თუმცა კი მთელი სტრატეგია ამაზე იყო აგებული; დაცვის იარა-
ღი არ შეიძლება ყოფილიყო ისეთივე, როგორიც თავდასხმის
იარაღი. მაგალითად, ძაფებმა საშინელი ზემოქმედება უნდა მო-
ახდინოს ტრეველერზე, როდესაც იგი სიბნელეში შემოაბიჯებს

და იგრძნობს რა წინააღმდეგობა ხვდება სახეს, ხელებს და ფეხებს, ხოლო ამავე დროს მასში გაიღვიძებს დაუოკებელი ზიზღი, ისეთი, როგორსაც ადამიანი იგრძნობს ხოლმე, როცა ობობას ქსელში გაეხვევა. თუნდაც ორი ნახტომით გაგლიჯოს მთელი ძაფები, თუნდაც ფეხებით ჩადგეს წყლით სავსე თასებში და rulemanes არ დაადგას ფეხი, როცა ფანჯარასთან აღმოჩნდება, სიბნელეში მაინც იცნობს მაგიდის კიდებზე ჩამომჯდარ სილუეტს. ადვილი მოსალოდნელია, მანამდე ვერც მიაღწიოს, მაგრამ თუ მაინც მიაღწია, ოლივეირას სულაც არ დასჭირდება Heftpistole, იმიტომ კი არა, რომ 18 ლურსმნებზე ელაპარაკა, არამედ იმიტომ რომ ეს შეხვედრა ისეთი არ იქნება, როგორიც ტრეველერს წარმოუდგენია, არამედ სულ სხვანაირი, ისეთი, როგორსაც თვითონაც ვერ წარმოიდგენს, თუმცა იმდენად კარგად იცის, თითქოს თვითონ ენახოს ან განეცადოს: შავი მასა გარედან მიეჩანება, მან ეს ისე იცის, რომ არ იცის, და ჰა, ესეც გაუთვლელი შეხვედრა შავ მასას „ტრეველერსა“ და მას შორის, ახლა მაგიდის კიდებზე რომ ზის და სიგარეტს ეწევა. ცხადი სიზმრის პირისპირ (ძილის საათი და სიფხიზლე, ერთხელ ვიღაცას უთქვამს, ჯერ არ შერწყმიან ერთმანეთსო), მაგრამ ამის თქმა: „ცხადი სიზმრის წინააღმდეგ“ იმას ნიშნავს, რომ დათანხმდე იმაზე, რომ არ არსებობს არანაირი იმედი ერთიანობისა. არადა შეიძლებოდა პირიქით მომხდარიყო, ტრეველერის მოსვლა გახდებოდა უკიდურესი წერტილი, საიდანაც შესაძლებელი იქნებოდა კიდევ ერთხელ ეცადა გადახტომა ერთიდან მეორისკენ და ერთდროულად მეორედან პირველისკენ, ეს ნახტომი კი სულაც არ იქნებოდა შეჯახება, ოლივეირა დარწმუნებული იყო, რომ ტერიტორია „ტრეველერი“ ვერ მისწვდებოდა მას, თუნდაც თავს დასხმოდა, ეცემა და მაისური შემოეხია ტანზე, თუნდაც შეეფურთხებინათ თვალებში, პირში, დაემტვრია ხელები, მერე კი ფანჯრიდანაც გადაეგდო. თუკი Heftpistole—ს არანაირი მნიშვნელობა არ ჰქონდა ტერიტორიის წინააღმდეგ და თუ 18—ს დაეჯერება ფეხსაცმლის მაშველზე ნაკლებად სახიფათო იყო, მაშინ რად ღირდა დანა-ტრეველერი, ან მუშტი-ტრეველერი; საწყალობელი Heftpistole, იმის ძალაც კი არ შესწევს შეამოკლოს შეუმოკლებელი მანძილი ორ სხეულს შორის იმ დროს, როცა ერთი სხეული გადაჭრით უარყოფს მეორეს, ის, მეორე კი უარყოფს

ამას, პირველს. ვაითუ ტრეველერს მართლა შეუძლია მისი მოკვლა (რატომღაც პირი უშრებოდა და ხელისგულები უოფლიანდებოდა), თუმცა მასში ასეთი ვარაუდის წინააღმდეგ ყველაფერი ჯანყდებოდა, რაც უნდა იყოს, ის ხომ მკვლელი არ იყო. და თუნდაც ასე იყოს, ჯობია იმაზე იფიქროს, რომ მკვლელი მკვლელი არ არის და ტერიტორია ტერიტორია არ არის, ჯობია დაამციროს, დააჯინოს ტერიტორია, რომ მთელი ამ ამბის შედეგი ყოფილიყო დამსხვრეული საფერფლე და სხვა წვრილ-წვრილი უსიამოვნებები.

შიში რომ დაეძლია და თავისი გაეტანა ტერიტორიასთან დაპირისპირების შემთხვევაში, თავდაცვა იქნებოდა საუკეთესო თავდასხმა და ყველაზე საშინელ დარტყმას მიაყენებდა არა ბასრი სამართებლით, არამედ სუსტი ძაფის მემშვეობით. თუმცა რა საჭირო იყო მთელი ეს მეტაფორები ამ უკუნეთ ღამეში, როცა ერთადერთი გონივრული მოქმედება ის იქნებოდა, რომ თვალი არ მოეშორებინა თასების ქვეშ იისფერი ზოლისთვის, ტერიტორიის ტემპერატურის ამ სკალისთვის.

ოთხს ათი წუთი აკლდა, როცა ოლივეირა წელში გაიმართა, დაბუყებული მხრები შეარხია და ფანჯრის რაფაზე გადაინაცვლა.

სასიამოვნო იყო იმაზე ფიქრი, რომ თუკი ბედი გაუღიმებდა და ამ ღამეს ჭკუაზე შეიშლებოდა, მაშინ ტერიტორია „ტრეველერი“ შეიძლებოდა სრულად და ერთიანად ლიკვიდირებულად ჩაეთვალათ.

ეს გადაწყვეტილება კი არ ეთანხმებოდა მის პატივმოყვარეობას და მის განზრახვას, წინააღმდეგობა გაეწია დანებების ყოველგვარი ფორმისთვის; და მაინც, მარტო იმის წარმოდგენა რად ღირდა, როგორ შეიტანდა ფერაგუტო მის სახელს პაციენტების სიაში, როგორ ჩამოკიდებდა კარებზე ნომერს და საჭვრეტელსაც გაუკეთებდა, რომ ღამღამობით თვალყური ედევნებინათ მისთვის... და ტალიტაც როგორ მოუმზადებდა აბებს თავის აფთიაქში და რა ფრთხილად ივლიდა ეზოში, რომ აღარასოდეს დაეპიჯებინა ფეხი კლასობანას უჯრედებზე. ხოლო რაც შეეხება

მანუს, საბრალო, რა სასოწარკვეთილებაში ჩავარდება თავისი უგერგილობისა და იმ თავისი სულელური წამოწყების გამო.

იჯდა ასე ეზოსკენ ზურგშექცევით ოლივეირა, საკმაოდ სახიფათოდ ირწეოდა და თან გრძობდა, რომ შიში თანდათან ქრებოდა, ეს კი ცუდი იყო. იგი თვალს არ აშორებდა იისფერ ზოლს და ყოველ ამოსუნთქვასთან ერთად საამო სიმშვიდე ეუფლებოდა: ბოლოს, როგორც იქნა, სიტყვებისა და სხვა ყველაფრის გარეშე, მისი სიხარულის სათავე სწორედ ის იყო, ტერიტორია უკან იხევდა. იმას არ ჰქონდა მნიშვნელობა, თუ რამდენ ხანს გასტანდა ეს, ყოველ ამოსუნთქვაზე სამყაროს ცხელი სუნთქვა ეთანხმებოდა მას, რაც არაერთხელ მომხდარა მის ცხოვრებაში.

და მოწევაც არ იყო საჭირო, რამდენიმე წუთით საკუთარ თავთანაც დადო სამშვიდობო პირობა, ეს კი ტერიტორიის გაუქმების ტოლფასი იყო, ან ომის მოგების ბრძოლის გარეშე, ან იმისი, შუალამისას რომ გაეღვიძება კაცს და ისევ ძილი მოუნდება, ეს იგივე იქნებოდა, რომ იქ მისულიყო, სადაც სიცხადისა და სიზმრის პირველი წყალი ერთმანეთს ერთვის და ნათლად ჩანს, რომ აღარ არსებობს სხვადასხვა წყალი; და თუ რამე არ ვარგოდა, ყველაფერი უეჭველად დაიშლებოდა: მოულოდნელად ორი შავი მონაკვეთი გადაფარავდა იისფერ ზოლს და კარებზე დაიწყებოდა ფხაჭუნი.

„შენც ხომ ეს გინდოდა, — გაიფიქრა ოლივეირამ და იატაკზე ჩამოცურდა, მაგიდასთან. — ერთი წამით კიდევ რომ დავრჩენილიყავი იქ, პირდაპირ თავით გადავეშვებოდი ძირს და კლასობანას ნახაბს დავენარცხებოდი. მაშ შემოდი დროზე, მანუ, შენ ხომ არ არსებობ, თუ მე არ ვარსებობ, ანდა ჩვენ ორივენი ისეთი სულელები ვართ, რომ გვჯერა ეს ყველაფერი და ახლა დავხოცავთ ერთმანეთს, ძმაო, ამჯერად უკვე საბოლოოდ. დამთავრდა, მორჩა, ეს არის და ეს.”

— შემოდი რაღას აყოვნებ, — გაიმეორა მან ხმამაღლა, მაგრამ კარები არ იღებოდა. ისევ ისე აფხაჭუნებდნენ ჩუმად და ალბათ ისიც დამთხვევა იყო, რომ შადრევანთან იდგა ვიღაც ქალი, მისკენ ზურგშექცევით, გრძელთმიანი, მკლავებჩამოყრილი და

წყლის ჭავლის ჭვრეტაში ერთიანად ჩაფლული. ღამის წყვილია და ეს შეიძლება მაგაც ჰკონებოდა, ან ტალიტა ყოფილიყო, ანდა ნებისმიერი აქაური გიჟი ან პოლაც კი, თუკი დაჟინებით იფიქრებდა მასზე. არავინ უკრძალავდა ამ ქალის ყურებას, მისკენ ზურგშექცევით რომ იდგა, ტრეველერსაც რომ გადაეწყვიტა აქ შემოსვლა ამ წუთში, თავდაცვის მოწყობილობა თავისთავად ამოქმედდებოდა და იმის დროც ექნებოდა, რომ თვალი მოეცილებინა ფანჯრისთვის და პირისპირ შეხვედროდა ტრეველერს.

მაინც გასაკვირი იყო, რომ ტრეველერი ისევ ისე აფხაჭუნებდა კარებზე, თითქოს შემოწმება უნდა, სძინავს თუ არაო, (არა, ეს პოლა არ არის, პოლას უფრო დაბალი კისერი აქვს, თედოები კი კარგად გამოკვეთილი), თუკი თვითონ მან არ მოაწყო თავდასხმის რაიმე განსაკუთრებული სისტემა (ეს შეიძლება იყოს მხოლოდ მაგა ან ტალიტა, ისინი ისე გვანან ერთმანეთს, მითუმეტეს ღამე და თანაც მეორე სართულიდან თუ უყურებ), იმ განზრახვით, რომ მოთმინება დაეკარგვინებინა (ყოველ შემთხვევაში ღამის პირველი საათიდან დილის რვა საათამდე, ახლა რვა საათის მეტი არც იქნება, არა, იგი ვერასოდეს მიაღწევს ცამდე და ვერასოდეს ცხოვრებაში ვერ ეღირსება კიბუცთან, სურვილთა თანაზიარობასთან შეხვედრას). „რალას უცდი, მანუ? — გაიფიქრა ოლივეირამ, — რაში გვჭირდება ჩვენ ეს ყველაფერი?“ რასაკვირველია, ეს ტალიტა იყო, ახლა ის ზევით იყურებოდა, მერე ისევ გაჩერდა უძრავად, როცა მან თავისი შიშველი ხელი გაყო ფანჯარაში და უღონოდ დაუქნია.

— ცოტა ახლოს მოდი, მაგა, — თქვა ოლივეირამ, — აქედან ისე ჰგავხარ მას, რომ სახელიც თავისუფლად შეიძლება შეგიცვალო.

— დახურე ფანჯარა, ორასიო, — სთხოვა ტალიტამ.

— შეუძლებელია, საშინელი სიცხეა და შენი ქმარიც ისე აფხაჭუნებს კარებზე, რომ შიში მიპყრობს. როგორც იტყვიან, არაკეთილსასურველ გარემოებათა დამთხვევა. შენ ნუ სწუხარ, მოძებნე ქვა და ივარჯიშე, ვინ იცის, ეგებ როდისმე მაინც...

უკრა, საფერფლე და სკამი ერთდროულად დაეხეთქა იატაკზე.

ოლივეირა ცოტა მოიკრუნჩხა, თვალი მოსჭრა სინათლემ, უყურებდა იისფერ სწორკუთხას, კარების ადგილზე რომ გამოჩნდა, შავ, მოძრავ ლაქას და ესმოდა ტრეველერის ლანძღვა-გინება.

ხმაურმა ალბათ ნახევარი ქვეყანა მაინც გააღვიძა.

— რა უბედურება დაგემართა, — თქვა ტრეველერმა და კარებში გაჩერდა, — ხომ არ გინდა, რომ შეფმა ყველა აქედან გაგვყაროს?

— ჭკუას მარიგებს, — აცნობა ოლივეირამ ტალიტას, — ის ყოველთვის მშობელი მამასავით მექცეოდა.

— დახურე ფანჯარა, გთხოვ, — უთხრა ტალიტამ.

— სიცოცხლის ფასად მიღირს ახლა ღია ფანჯარა, — თქვა ოლივეირამ, — აბა, მოუსმინე შენს ქმარს, მგონი წყალში ფეხი ჩადგა.

დარწმუნებული ვარ მთელი თავ-პირი ძაფებში გაეხლართა და აღარ იცის, რა ქნას.

— შენი ბოზი დედა... — გაიძახოდა ტრეველერი და სიბნელეში ხელებს იქნევდა, როგორმე რომ გაეთავისუფლებინა თავი ძაფებისგან, — სინათლე მაინც აანთე, დაგწყევლოს ეშმაკმა.

— ჯერ არ წაქცეულა, — აცნობა ოლივეირამ, — rulemanes—მა გვიმტყუნა.

— ასე ნუ იხრები გარეთ, — შეჰყვირა ტალიტამ და ხელები გევით ასწია. ოლივეირა კი ფანჯრის რაფაზე იჯდა მისკენ ზურგშექცეული და მარტო თავს თუ მიატრიალებდა, რომ დაენახა და დალაპარაკებოდა, თან ყოველ წამს უფრო და უფრო იხრებოდა გარეთ. კუკა ფერაგუტოც გამოვარდა ეზოში და მაშინღა შეამ-

ჩნია ოლივეირამ, რომ უკვე ღამე აღარ იყო, რომ კუკას ხალათი ისეთივე ფერის იყო, როგორიც ქვები ეზოში, როგორიც აფთიაქის კედლები. მან გადაწყვიტა, საომარი მოქმედებების ადგილისთვის შეეხედა, დააკვირდა ოთახის წყვილადს და დაინახა, რომ მთელი ამ სიძნელეების მიუხედავად, ტრეველერს გადაეწყვიტა კარების დაკეტვა. მან გაიგონა ამ ლანძღვა-გინებაში როგორ გაჩხაკუნდა ურდული.

— ეს უკვე მომწონს, ჩე, — თქვა ოლივეირამ, — მართო დავრჩით რინგზე ორი მამაკაცი.

— ჩაგაჯვი სულში, — უთხრა გააფთრებულმა ტრეველერმა, — ფეხსაცმელი წყლით გამეფსო, ამაზე საზიზღრობა არაფერია, სინათლე მაინც აანთე, ვერაფერს ვხედავ.

— ალბათ ასევე მოულოდნელად მოხდა ყველაფერი კანჩა რაიადას ბრძოლის დროს, — თქვა ოლივეირამ, — და იცოდე, რომ მე არ ვაპირებ ჩემი პოზიციების დათმობას. მადლობა მითხარი, რომ გელაპარაკები, ესეც არ უნდა მექნა. მეც დავდიოდი ფედერალურ ტირზე და ვსწავლობდი სროლას, ძმაო.

მას ესმოდა ტრეველერის მძიმე სუნთქვა. შენობაში ისმოდა კარების ჭახუნი, ისმოდა ფერაგუტოს ხმა, ვიღაცა ვიღაცას ეკითხებოდა რაღაცას, ვიღაც რაღაცას პასუხობდა. ტრეველერის სილუეტი თანდათან გამოიკვეთა, ყველა ნივთი თავის ადგილზე დადგა, — ხუთი თასი, სამი საფურთხებელი, ათობით rulemanes და შეიძლებოდა თითქმის როგორც სარკეში, ისე ჩაგეხედა ამ იისფერ სინათლეში, რომელიც ასე ჰგავდა იმ მტრედს, მოხუცი შეშლილის ხელისგულზე რომ გაყუჩებულიყო.

— ბოლოს და ბოლოს, — უთხრა ტრეველერმა, წაქცეული სკამი აიღო და უხალისოდ დაჯდა, — შეგიძლია თუ არა ამისხნა მაინც რას ნიშნავს ეს საგიჟეთი?

— საკმაოდ ძნელი იქნება ამის ახსნა, ჩე. ხომ იცი, ლაპარაკი...

– რას არ მოიგონებ, ოლონდ ილაპარაკო, – თქვა განრისხებულია ტრეველერმა. – თუ შენ ამისთვის ორივეს არ დაგვსხამ ფიცარზე, თანაც ჩრდილში 45 გრადუს სიცხეში, მაშინ წყლით სავსე თასებში მაინც ჩაგვსვამ და საზიზღარ ძაფებში გაგვხლართავ.

– მაგრამ ჩვენი პოზიციები ყოველთვის სიმეტრიულია, – თქვა ოლივეირამ, – როგორც ორი ტყუპი საქანელაზე, ანდა უბრალოდ სარკის წინ. არ მიგიქცევია ყურადღება, Doppelgänger? [220] ტრეველერმა არაფერი უპასუხა, პიჟამის ჯიბიდან სიგარეტი ამოიღო და გააბოლა. ოლივეირამაც იმავედროულად ამოიღო სიგარეტი და გააბოლა. მათ შეხედეს ერთმანეთს და გაიცინეს.

– ნამდვილი დარტყმული ხარ, – უთხრა ტრეველერმა, – აბა, რა უნდა გითხრა, დარტყმული ხარ და ეგ არის. როგორ შეიძლება იმის წარმოდგენა, თითქოს მე...

– მოეშვი სიტყვას „წარმოდგენა“, – თქვა ოლივეირამ, – და უბრალოდ ყურადღება მიაქციე იმას, რა წინასწარი ზომები მივიღე, შენ კი მოხვედი, ვინმე სხვა კი არა, შენ დილის ოთხ საათზე.

– ტალიტამ მომიყვა, მე ვიფიქრე, რომ... შენ რა, მართლა ხომ არ დაიჯერე, რომ...

– ეგებ ასეც იყო საჭირო, მანუ, ასეც უნდა მომხდარიყო. შენ გგონია, ვითომ შენ ადექი და ჩემ დასამშვიდებლად, ჩემ გასამხნეველად მოხვედი. მე რომ მძინებოდა, შენ შეგეძლო გაუფრთხილებლადაც შემოსულიყავი, ისევე, როგორც ნებისმიერ კაცს, ნებისმიერ დროს შეუძლია მივიდეს სარკესთან, ხელში ეჭიროს ქინძისთავი და ატაკოს, ოლონდ ქინძისთავის ნაცვლად ხელში გეჭიროს ის, რაც პიჟამაში გაქვს...

– მე ის სულ თან მაქვს, ჩე, – თქვა აღშფოთებულმა ტრეველერმა.

– ხომ არ გგონია, რომ საბავშვო ბაღში ვართ? შენ კი შეუიარაღებელი იმიტომ დადინხარ, რომ ვერაფერს ხვდები.

– მაშასადამე, – თქვა ოლივეირამ, ისევ ფანჯრის რაფაზე ჩამოკდა და მისალმების ნიშნად ხელი დაუქნია ტალიტას და კუკას, – ის, რასაც მე ვფიქრობ, ძალიან ცოტას ნიშნავს იმასთან შედარებით, რაც უნდა იყოს სინამდვილეში, მოგვწონს ეს ყველაფერი ჩვენ თუ არ მოგვწონს. აი, უკვე რამდენი ხანია ერთ ადგილზე ვტრიალებთ ძალღვივით, საკუთარ კუდს რომ დასდევს. ვერ ვიტყვით, რომ ერთმანეთი გვძულდეს, პირიქით. ჩვენ უბრალოდ გამოგვიყენეს თამაშში, როგორც თეთრი და შავი პაიკები. როცა ერთმა მხარემ უნდა აჯობოს მეორეს.

– მე შენ არ მძულხარ, – თქვა ტრეველერმა, – შენ მე კუთხეში მიმიმწყვდიე და აღარ ვიცი, როგორ მოვიქცე.

– *Mutatis mutandis*[221]. შენ მე დამხვდი პორტში თეთრი დროშით, როგორც ზავის დროს იციან, ამ სევდისმომგვრელი მოწოდებით, დავივიწყოთ ახლიდან, რაც იყო იყო. არც მე მძულხარ, ძმაო, მაგრამ მე მართალს გეუბნები, შენ კი ამას კუთხეში მიმწყვდევას უწოდებ.

– მე ცოცხალი ვარ, – თქვა ტრეველერმა და თვალებში შეხედა, – ხოლო თუ ცხოვრობ, ამის საფასურიც უნდა გადაიხადო, შენ კი არ გინდა საფასურის გადახდა და არც არასდროს გინდოდა. წმინდა წყლის სექტანტი-ეგზისტენციალისტი ხარ, ან კეისარი, ან არავინ, შენ საქმეს რადიკალურად უდგები. როგორ გგონია, მე ჩემებურად არა ვარ შენით აღფრთოვანებული? გგონია, რომ შენი თვითმკვლელობა, თუ ასეთი რამ მოხდებოდა, ჩემში აღტაცებას არ გამოიწვევდა? ჭეშმარიტი *Doppelgänger* ხარ, რადგან თითქოს უხორცო ხარ, თითქოს ფლიუგერის ფორმის ნება ხარ, იქ ზევით რომ არის. მე ეს მინდა, მე ის მინდა, მინდა ჩრდილოეთი, მინდა სამხრეთი – და ყველაფერი ერთდროულად, მინდა მაგა, მინდა ტალიტა და ეს სენიორი ერთი წუთით შეივლის მორგში და იქ კოცნის თავისი უახლოესი მეგობრის ცოლს. და ეს ყველაფერი იმიტომ ხდება, რომ მას ერთმანეთში აერია რეალობა და მოგონებები სრულიად არა-ევკლიდურად.

ოლივეირამ მხრები აიჩეჩა და თან ტრეველერს შეხედა, რომ მიეხვედრებინა ეს სიძულვილის ნიშანი არ არისო. როგორ გადასცეს და გააგებინოს, რას ნიშნავს მოპირდაპირე ტერიტორიაზე კოცნა, რას უწოდებენ იქ ტალიტას კოცნას, მაგას კოცნას ანდა პოლას კოცნას, — ეს კიდევ ერთი თამაშია სარკვების ანარეკლისა, როგორც ახლა თამაშობს, ფანჯარაში რომ ტრიალდება, რათა შეხედოს მაგას, რომელიც გაჩერებულა კლასობანას ხაზებთან მაშინ, როცა კუკა, რემორინო და ფერაგუტო შეჯგუფებულან კარებთან, ეტყობა, ელოდებიან როდის გამოჩნდება ფანჯარაში ტრეველერი და აუწყებს — ყველაფერი რიგბეა ემბუტალის აბის წყალობით, ან იქნებ სულაც დამაწყნარებელი პერანგია საჭირო, ცოტა ხნით, სულ რამდენიმე საათით, სანამ ბიჭს არ გაუვლის თავისი ახირება.

კარებზე ვაკუნმა არ გაუადვილა ურთიერთგაგება. მანუს რომ გაეაზრებინა ის, რომ რაზეც ფიქრობს, ამას არანაირი აზრი არა აქვს იქ, ფანჯრის იქითა მხარეს, და ღირებულია მხოლოდ აქ, სადაც არის წყლით სავსე თასები და rulemanes, — და რომ თუნდაც ერთი წუთით შეეწყვიტათ კარებზე ბრახუნი ორ-ორი მუშტით, მაშინ შეიძლება... მაგრამ ძალა არ შესწევდა მოეწყვიტა თვალი მაგასთვის, მერე რა ლამაზი იყო იქ, კლასობანას ხაზებთან და მხოლოდ ერთს ნატრობდა, ოღონდ კი ეს ქვა როგორმე ერთი უჯრედიდან მეორემდე მიეტანა, მიწიდან ცამდე.

— ...,სრულიად არა-ევკლიდურად.

— მე შენ გელოდებოდი მთელი ამ ხნის მანძილზე, — თქვა ოლივე — ირამ დაღლილი ხმით. — ალბათ გესმის, რომ მე არ შემეძლო ჩემი თავი ვინმესთვის დამენებებინა საჯიჯგნად. ყველამ იცის, რა ქნას, მანუ. თუ შენ გინდა იმის ახსნა, რაც იქ, ქვევით მოხდა... მარტო იმას გეტყვი, რომ სრულიად არაფერი ყოფილა და ეს შენც იცი. შენ ეს იცი, Doppelgänger. შენთვის იმ კოცნას არანაირი მნიშვნელობა არა აქვს და მაშასადამე არც მისთვის. ეს ყველაფერი თქვენშივეა, როგორც გინდა, ისე თქვი.

— გააღეთ! გააღეთ ახლავე!

— მართლა შეშფოთდნენ, — თქვა ტრეველერმა და წამოდგა, — გავუღოთ? ალბათ ოვეხეროა.

— რაც შემეხება მე...

— ეტყობა, ნემსი უნდა რომ გაგიკეთოს, ჩანს ტალიტამ მთელი საგიჟეთი ფეხზე დააყენა.

— რა უბედურება დაემართათ ამ ქალებს, — თქვა ოლივე-ირამ, — ხედავ, აი, იქ, კლასობანასთან რომ დგას, როგორი მოწიწებულია... გვირჩევნია არ გავაღოთ, მანუ, ჩვენ ორნი ისედაც კარგად ვართ აქ. ტრეველერი კარებთან მივიდა და პირი გასაღების ჭუჭრუტანას მიაღო. კრეტილების ფარა, რატომ არ დაგვანებებთ თავს? დაგწყევლოთ ეშმაკმა, რა გაყვირებთ, საშინელე-ბათა ფილმი ხომ არ გგონიათ.

აქ ძალიან კარგად არიან და როცა საჭირო იქნება, კარებსაც გააღებენ. ყველაფერს ის ჯობია, ყავა მოადულოთ ყველასთვის, შეუძლებელია ამ კლინიკაში ცხოვრება.

საკმაოდ გასაგებად ისმოდა, რომ ფერაგუტო ამ ცნობამ არ დააკმაყოფილა, მაგრამ როცა ოვეხერომ გონივრულად და დაბეჯითებით მოითხოვა, კარებს მალე დაანებეს თავი. თუმცა ჯერ კიდევ ვერ დაშოშმინებულიყვნენ, ებოში ჯერ კიდევ იდგნენ ადამიანები და მესამე სართულზე კი ინთებოდა და ქრებოდა შუქი, რაც გასართობად შემოიღო 43—მა. ერთი წუთის შემდეგ ებოში ისევ გამოჩნდნენ ოვეხერო და ფერაგუტო და ქვემოდან ახედეს ოლივეირას, რომელიც კვლავ იჯდა ფანჯრის რაფაზე და ხელს უქნევდა მათ, ვითომ ბოდის უხდიდა, რომ მხოლოდ მაისური ეცვა. 18 მივიდა ოვეხეროსთან და რაღაცის ახსნა-განმარტებას მოჰყვა Heftpistole—ს შესახებ, რის შემდეგაც ოვეხერომ უფრო მეტი ინტერესით და უკვე პროფესიული თვალით დაუწყო ყურება ოლივეირას, გეგონება მისი მეტოქე არ ყოფილიყო პოკერის თამაშის დროს, რაზეც ოლივეირა კარგად გაერთო. პირველ სართულზე თითქმის მთელი ფანჯრები გაეღოთ და რამდენიმე ავადმყოფი აქტიურ მონაწილეობასაც იღებდა ყველაფერში, რაც ხდებოდა, თუმცა დიდი არაფერი ხდებოდა. მაგამ მარჯვენა

ხელი ასწია, სცადა ოლივეირას ყურადღება მიეპყრო, თითქოს ეს აუცილებელი იყო და სთხოვა, იქნებ ტრეველერი ფანჯარასთან მოვიდესო. ოლივეირამ ნათლად და გასაგებად აუხსნა, რომ თხოვნას ვერ შეუსრულებდა, რადგან ფანჯარასთან იყო დაცვის ზონა, თუმცა შესაძლებელია ზავის დადებაო და დასძინა, რომ მისი მაღლა შემართული ხელი აგონებდა წარსულის მსახიობებს და უწინარეს ყოვლისა, საოპერო მომღერლებს, როგორებიც იყვნენ ემი დესტინი, მელბა, მარჯორი ლოურენსი, მუციო, ბორი და ასევე ტედა ბარას და ნიტა ნალდის და იგი ისეთი სიამოვნებით ასახელებდა მათ გვარებს, რომ ტალიტამ დაუშვა ხელი, მაგრამ მაშინვე ისევ ვედრებით აღმართა, რასაკვირველია, ელეონორა დუბე, ვილმა ბანკი და, რალა თქმა უნდა, გარბო, და უეჭველად სარა ბერნარი, მისი ფოტო მიკრული ჰქონდა სკოლის რვეულზე, და კიდევ კარსავინა და ბორონოვა, ეს ქალები ყოველთვის აღმართავდნენ ხოლმე ხელს ზევით, ბედის მარადიულობის ნიშნად, თუმცა მისი თხოვნის შესრულება ახლა შეუძლებელი იყო.

ფერაგუტო და კუკა რალაცას გაჰყვიროდნენ, ეტყობა ორივე სხვადასხვა რამეს მოითხოვდა, ოვეხერო იდგა ნამძინარევი და უსმენდა, მერე ანიშნა გაჩუმდითო, რომ ტალიტასთვის მიეცათ საშუალება დალაპარაკებოდა ოლივეირას. მაგრამ არაფერმა გაჭრა, ოლივეირამ მეშვიდეჯერ მოისმინა მაგას თხოვნა, მათ ყველას ზურგი შეაქცია და ლაპარაკი გაუბა (თუმცა მათ, ვინც ქვევით იყო, არ ესმოდათ) უხილავ ტრეველერს.

— წარმოგიდგენია, მათ უნდათ რომ გაიხედო.

— მოდი, ერთი წამით გამახედე, მეტი არა. შემიძლია ამ ძაფების ქვეშ როგორმე გამოვძვრე.

— რა სისულელეა, — თქვა ოლივეირამ, — ეს დაცვის ბოლო ხაზია, თუ ამას გაარღვევ, მაშინ ჩვენ შევხვდებით ერთმანეთს infighting—ში[222]. — კეთილი, — თქვა ტრეველერმა და სკამზე ჩამოჯდა, — განაგრძე მაგ შენი უაზრო სიტყვების ჩმახვა.

— სულაც არ არის უაზრო, — თქვა ოლივეირამ, — თუ შენ აქ გინდა მოსვლა, სულაც არ გჭირდება ჩემი ნებართვა. მგონი გასაგებია.

— დაიფიცებ, რომ არ გადავარდები?

ოლივეირამ ისე შეხედა ტრეველერს, თითქოს მის წინ იყო უზარმაზარი პანდა.

— როგორც იქნა, — თქვა მან, — გაგიმხილეთ ყველაფერი, მაგაც ამასვე ფიქრობს, იქ, ქვემოთ. მე კი მეგონა, რომ თქვენ ცოტა მაინც მიცნობდით.

— ის მაგა არ არის, — თქვა ტრეველერმა — შენც ძალიან კარგად იცი, რომ ის მაგა არ არის.

— ის მაგა არ არის, — თქვა ოლივეირამ, — მშვენივრად ვიცი, რომ მაგა არ არის. შენ კი ერთი მებეირალე ხარ, განიარაღებისა და შინ დაბრუნების, წესრიგის აღდგენის მომხრე და დამცველი. მე შენ მეცოდები, ძმაო.

— მე დამივიწყე, — თქვა ტრეველერმა გულისტკივილით, — მე ერთადერთ რამეს გთხოვ, სიტყვა მომეცი, რომ რაიმე სისულელეს არ ჩაიდენ.

— შენ იმას მიაქციე ყურადღება, — თქვა ოლივეირამ, — თუ გადავვარდები, მაშინ პირდაპირ ცაზე დავეცემი.

— ცოტა განზე გაიწიე, ორასიო, რომ ოვეხეროს დაველაპარაკო.

მე შევძლებ ყველაფერი ისე მოვაგვარო, რომ ხვალ ეს არავის აღარ ემახსოვრება.

— აკი ფსიქიატრიის სახელმძღვანელო კარგად შეისწავლე, — თქვა ოლივეირამ თითქმის აღტაცებით, — მაინც რა მესხიერება გქონია.

— მომისმინე, — უთხრა ტრეველერმა, — თუ ფანჯრიდან გადახედვის ნებას არ მომცემ, მაშინ იძულებული გავხდები კარები გავუღო, ეს კი უარესი იქნება.

— ჩემთვის სულ ერთია, შემოსვლა სხვაა და ჩემამდე მოღწევა — სულ სხვა.

— შენ გინდა, თქვა, რომ შენ დაჭერას თუ ეცდებიან ფანჯრიდან გადავარდები?

— შეიძლება მანდ, შენ მხარეს სწორედ ამას ნიშნავდეს.

— გთხოვ, მომისმინე, — უთხრა ტრეველერმა და ერთი ნაბიჯი გადადგა წინ, — შენ სულ არ ფიქრობ იმაზე, რომ ეს საშინელი სიზმარია? ისინი ხომ იფიქრებენ, რომ შენ მართლა გიჟი ხარ, მე კი მართლა მინდოდა შენი მოკვლა.

ოლივეირა ცოტა უკან გადაიხარა ფანჯარაში და ტრეველერიც გაჩერდა თასების მეორე რიგთან, უბრალოდ ფეხი გაჰკრა ორიოდ *rulemanes*, მაგრამ წინ წასვლა არც უცდია. კუკას და ტალიტას შეშინებულ ყვირილზე ოლივეირა გასწორდა და ხელით ანიშნა დამშვიდდითო.

ხოლო ტრეველერმა რაკი დამარცხებულად სცნო თავი, სკამი ცოტა ახლოს მიიწია და დაჯდა. კარებზე ისევ ატყდა ბრახუნი, მაგრამ აღრინდელზე ნაკლებად.

— ნულარ იმტვრევ თავს, — უთხრა ოლივეირამ, — რატომ ეძებ რაღაც ახსნა-განმარტებებს, ბებერო? ერთადერთი რეალური განსხვავება ჩემსა და შენს შორის ისაა ამ მომენტში, რომ მე მართლ ვარ. ამიტომ გირჩევნია ჩახვიდე ქვევით შენიანებთან და განვაგრძოთ საუბარი ფანჯრიდან როგორც კეთილმა მეგობრებმა. ხოლო მ საათზე, ვფიქრობ, აქაურობას დავტოვებ, ხეკრებუტენი მოუთმენლად მელოდება. ალბათ ფუნთუშებიც გამოაცხო და მატეც მომიხარშა.

— შენ მართლ არა ხარ, ორასიო. მართლ ყოფნა უბრალოდ პატივმოყვარეობის გამო მოგინდა, რომ ბუენოს აირესელი მალ-

დღორორივით გამოიყურებოდე. შენ არ ამბობდი Doppelgänger-ზე? და აჰა, უკვე მეორეც მოგყვება და ისიც შენნაირია, თუმცა კი ამ დაწყევლილი ძაფების მეორე მხარესაა.

— სამწუხაროა, — თქვა ოლივეირამ, — რომ შენ ასეთი უბრალო წარმოდგენა გაქვს პატივმოყვარეობაზე. საქმეც ეს არის, გინდა შეიქმნა წარმოდგენა, რადაც უნდა დაგიჯდეს. მერე არ შეგიძლია თუნდაც ერთი წუთი დაფიქრდე იმაზე, რომ ეს ყველაფერი შეიძლება ასე არც იყოს?

— შენ წარმოდგინე, მიფიქრია. მაგრამ შენ მაინც ზიხარ ღია ფანჯარაში და ქანაობ წინ და უკან.

— შენ რომ მართლა დაფიქრებულიყავი იმაზე, რომ ყველაფერი ასე არაა, შენ რომ მართლა მისულიყავი ამ საკითხის გულისგულამდე... არავინ გთხოვს უარყო ის, რასაც ხედავ, მაგრამ, შენ არც გიცდია, თითიც არ გაგინძრევია...

— ასე ადვილი რომ ყოფილიყო, — თქვა ტრეველერმა, — მართლაც ეს იდიოტური ძაფები რომ ყოფილიყო... შენ რომ გაანძრეოთ თითი, მერე რაც გამოვიდა, ხომ ხედავ.

— მერე შენ რას ხედავ ამაში ცუდს, ჩე? ყოველ შემთხვევაში ვსხედვართ აქ ღია ფანჯარაში და ვსუნთქავთ ამ ზღაპრული დილის სუფთა ჰაერს, ქვევით კი დასერიანობენ ეზოში, ეს არაჩვეულებრივია, თვითონაც ვერ ხვდებიან, რომ ვარჯიშობენ. ეს კუკაც, ერთი შეხედვე, და შეფიც, ეს განებივრებული ზაზუნა. და შენი ცოლიც ხომ თვით სიზარმაცის განსახიერებაა. ან შენ თვითონ, თუ გინდა, ამ სისხამ დილას ფეხზე ხარ, გაიღვიძე და მზად ხარ. გაიღვიძე-მეთქი რომ გეუბნები, ხომ გესმის, რას ვგულისხმობ სინამდვილეში?

— მე კი გკითხავ, ეს ყველაფერი პირიქით ხომ არ არის-მეთქი, ბებერო.

— ოჰ, ეს ყველაფერი ადვილი ასახსნელია, ფანტასტიკური მოთხრობებია ანთოლოგიებისთვის. შენ რომ შეგეძლოს დაინა-

ხო საგნის მეორე მხარე, შეიძლება აქედან წასვლის სურვილიც გაგჩენოდა. შენ რომ შეგეძლოს ტერიტორიის საზღვრებს მიღმა გასვლა, ასე ვთქვათ, პირველი უჯრედიდან მეორეში, ან მეორე-დან მესამეში... ეს ისეთი ძნელია, Doppelgänger, მე მთელი ღამის განმავლობაში ვისროდი სიგარეტის ნამწვებს, მაგრამ ვაგდებდი მხოლოდ მერვე უჯრედში და მეტი ვერც ერთში. ჩვენ ყველას გვინდა ათასწლიანი მეფობა, ერთგვარი არკადია, სადაც, ეგებ ბედნიერება კიდევ უფრო ნაკლები იქნებოდა და უბედურება მეტი, რადგან საქმე ბედნიერება კი არ არის, Doppelgänger, იქ ყოველ შემთხვევაში ეს საზიზღარი თამაში მაინც არ იქნებოდა, შენაცვლების თამაში, რითიც ვართ დაკავებულები ამ ჩვენი ორმოცდაათი თუ სამოცი წლის განმავლობაში, იქ შეიძლებოდა ერთმანეთისთვის გაგვეწოდებინა ხელი და მეორეჯერ აღარც გაგვეწოდებინა იმის შიშით, ვაითუ მეორე მუჭში დანას მაღავესო. რაც შეეხება შენაცვლებას, მე სულაც არ მაკვირვებს ის, რომ მე და შენ ერთი და იგივე ვართ, ერთნაირები, ოღონდ შენ ერთ მხარეს ხარ, მე — მეორე მხარეს, ხოლო რაკი შენ ამბობ, რომ მე პატივმოყვარე ვარ, ვფიქრობ, მე ავირჩიე უკეთესი მხარე, თუმცა ვინ იცის, მანუ. ერთადერთი, რაც ვიცი, ის არის, რომ მე არ შემიძლია იმ მხარეს ვიყო, სადაც შენ ხარ, იქ მე ყველაფერი ხელებში მემსხვრევა, რა არაადამიანურობაა, შეიძლება გაგიჟდე, ასე ადვილი რომ იყოს გაგიჟება. შენ ჰარმონიაში ხარ ტერიტორიასთან და არ გინდა გაიგო ჩემი ბორგვა, ჩემს თავს რაღაც ხდება და აი, მაშინ კი გენები, ხუთიათასი წელი რომ გროვდებოდა იმისთვის, რომ დაველუპე, უკანვე მისვრიან და მეც კვლავ იმავე ტერიტორიაზე ვარ და მთელი ორი კვირა ვფართხალებ, ორი წელი, თხუთმეტი წელი... ერთ დღესაც მე თითს ჩავყოფ ჩვევაში და, მართლაც დაუჯერებელია, მაგრამ თითი ეფლობა ჩვევაში, გაივლის მასში და გამოდის მეორე მხრიდან, მგონია, აი ახლა მივაღწევ ბოლო უჯრედსო, მაგრამ მოულოდნელად იხრჩობა ქალი, ან მე მემართება შეტევა, შეტევა სიბრალულისა, ვის სჭირდება მერე ეს ღვთაებრივი კოკორი, რადგან ეს სიბრალული... შენაცვლებებზე არ გელაპარაკებოდი? რა საზიზღრობაა, მანუ... წაიკითხე დოსტოევსკისთან ამ შენაცვლების თაობაზე. და ბოლოს, ის ხუთი ათასი წელი ისევ მეწევა უკან და ისევ ყველაფერი თავიდან უნდა დაიწყოს.

და ამიტომაც ვგრძნობ, რომ შენ ხარ ჩემი Doppelgänger, რადგან მთელი ამ დროის განმავლობაში აქეთ-იქით ვაწყდები შენი ტერიტორიიდან ჩემს ტერიტორიაში, და შემდეგი ავბედითი გადარბენის დროს, როცა ჩემსაზე აღმოვჩნდები, გიყურებ შენ და წარმომიდგები როგორც ჩემი ფორმა-გარსი, რომელიც დარჩა იქ და მიყურებს სიბრაღულით; მგონია, რომ ადამიანი, თავისი არსებობის ხუთი ათასი წლის მანძილზე რომ მიაღწია მეტრ და სამოცდაათ სანტიმეტრს, უყურებს ამ ჯამბაზს, რომელსაც უნდა ამოხტეს იმ თავისი უჯრედიდან. ასე და ამგვარად გითხარი. მე ვთქვი.

— დაგვანებეთ თავი, ამის დედა ვატირე! — გასძახა ტრეველერმა იმათ, ვინც ისევ დაიწყო კარებზე კაკუნი, — ჩე, ამ საგიჟეთში მშვიდად ვერავის დაელაპარაკები.

— შენ დიდი ადამიანი ხარ, ძმაო, — უთხრა გულანუყებულმა ოლივეირამ.

— რაც უნდა იყოს, — უთხრა ტრეველერმა და ცოტა კიდევ მისნია სკამი, — ვერ უარყოფ, რომ ამჯერად ზედმეტი მოგივიდა. გადანაცვლება-გადმონაცვლება თუ რაღაც სისულელეები ძალიან კარგია, მაგრამ ამ შენი ოინის გულისთვის ჩვენ გვაზღვევინებენ და დაგვაკარგვინებენ ამ სამსახურს, ყველაზე მეტად ტალიტა მეცოდება. შენ შეგიძლია რამდენიც გინდა იმდენი ილაპარაკო მაგაზე, მაგრამ ჩემი ცოლი ჩემი სარჩენია.

— სრულ სიმართლეს ამბობ, — თქვა ოლივეირამ. — ზოგჯერ ყველაფერი გავიწყდება, სამსახურზე რომ არაფერი ვთქვათ. გინდა ფერაგუტოს დაველაპარაკო? იქ დგას, შადრევანთან. მაპატიე, მანუ, არ მინდოდა რომ მაგას და შენ...

— ახლა კიდევ ესეც, განგებ ეძახი მაგას? ნუ ცრუობ, ორასიო.

— მე ვიცი, რომ ის ტალიტაა, მაგრამ ცოტა ხნის წინ მაგა იყო.

ისინიც ჩვენსავით ორნი არიან.

– ამას სიგიჟე ჰქვია, – თქვა ტრეველერმა – ამქვეყნად ყველაფერს რაღაც ჰქვია, უბრალოდ სახელი უნდა შეარჩიო. თუნების მომცემ, ახლა დაველაპარაკებოდი მათ, ვინც ქვევითაა, რადგან ისეთ დღეში არიან, მეტი არ შეიძლება.

– მე მივდივარ, – თქვა ტრეველერმა და წამოდგა.

– ასე აჯობებს, – თქვა ოლივეირამ, – ყველაზე კარგი ახლა ის იქნება, რომ წახვიდე, მე კი შენც და სხვა დანარჩენებსაც ფანჯრიდან დაგელაპარაკებით. გაცილებით ჯობია, წახვიდე და არ დაიმდაბლო თავი, მე კი აგისხნი პირდაპირ და ზუსტად, რაც მოხდება, შენ ხომ ძალიან გიყვარს ახსნა-განმარტებები, როგორც იმ ხუთი ათასი წლის ჭეშმარიტ შვილს. თუ შენ დაჰყვები მეგობრობის გრძნობას და იმ დიაგნოზს, რაც დამისვი, დამესხმები თავს, მე განზე გავხტები – არ ვიცი, გახსოვს თუ არა, ბიჭები ბავშვობისას ძიუდოში რომ ვვარჯიშობდით ანჩორენას ქუჩაზე, – შენ კი განაგრძობ შენს ტრაექტორიას, გაფრინდები ფანჯარაში და დაენარცხები მეოთხე უჯრედზე, ისე რომ იქვე გააცხოვრობ სულს, მაგრამ ეს იმ შემთხვევაში მოხდება, თუ ბედი გაგიღიმებს, რადგან მე უფრო მგონია, რომ მეორეს მაინც ვერ გაცდები.

ტრეველერი უყურებდა მას და ოლივეირა ხედავდა, როგორ ევსებოდა თვალები ცრემლებით. მან ისეთი მოძრაობა გააკეთა, თითქოს შორიდან თმაზე ხელი გადაუსვაო.

ტრეველერმა ერთი წამი შეიცადა, მერე მივიდა კარებთან და გააღო, რემორინოს უნდოდა შესვლა (მის ზურგს უკან ორი სანიტარი იდგა), მაგრამ ტრეველერმა მხრებში ჩაავლო ხელი და დერეფნისკენ უბიძგა.

– დაანებე თავი, – უბრძანა მან, – სულ მალე კარგად იქნება.

მარტო უნდა ყოფნა, მოეშვით, ეს ოხერი.

დიალოგს რომ დააღწია თავი, რაც მალე გადავიდა ტეტრალოგ – ში, მერე ექსალოგში და დოდეკალოგში, ოლივეირამ

თვალეები დახუჭა და გაიფიქრა, რომ იგი აქ ძალიან კარგად გრძნობდა თავს, ტრეველერი კი მისი ნამდვილი ძმა იყო. მან გაიგონა კარების ჯახუნი და ხმებიც უკვე შორიდან ისმოდა. მერე კარები ისევ გაიღო სწორედ იმ დროს, როცა ოლივეირა ძლივს ახელდა თვალეებს.

– ურდულზე დაკეტე, – თქვა ტრეველერმა, – მათ დიდად არ ვენდობი.

– მადლობელი ვარ, – თქვა ოლივეირამ, – ჩადი ებოში, ტალიტა ძალიან წუხს.

იგი გაძვრა რამდენიმე წვერი გადარჩენილი ძაფის ქვეშ და კარი გადაკეტა. მაგრამ სანამ ფანჯარასთან დაბრუნდებოდა, პირსაბანთან მივიდა, ნიჟარა წყლით აავსო, სახე ჩაყო და პირუტყვივით დაეწაფა, ხარბად სვამდა და თან ფრუტუნებდა. ქვევიდან ისმოდა რემორინოს ხმა, ავადმყოფებს თავთავიანთი ოთახებისკენ ერეკებოდა. როცა მან ისევ გაიხედა ფანჯარაში უკვე გამოცოცხლებულმა და დამშვიდებულმა, დაინახა, რომ ტრეველერი იდგა ტალიტას გვერდით და წელზე შემოეხვია მისთვის ხელი. მას შემდეგ, რაც ტრეველერმა მისთვის გააკეთა, ირგვლივ სიმშვიდემ დაისადგურა და ვერაფერი დაარღვევდა ამ ჰარმონიას; შეიძლება უაზროდ გამოიყურებოდა, მაგრამ ნამდვილი და ხელშესახები აშკარად იყო, ვერ იცრუებდი. ტრეველერი იყო ის, რაც უნდა ყოფილიყო, უბრალოდ მას ცოტა ეს წყეული წარმოსახვის უნარი აკლდა, მაგრამ ის არის ტერიტორიის კაცი, ის გამოუსწორებელი შეცდომაა მთელი მოდგმისა, რომელმაც მცდარი გზით იარა, მაგრამ რა მშვენიერია ეს შეცდომა, რა სილამაზეა ამ ხუთი ათას წელიწადში, ამ ყალბ და არამდგრად ტერიტორიაზე, რა ლამაზია ის თვალეები ერთი წუთის წინ ცრემლებით რომ აივსო, ან ეს ხმა, რომელმაც ურჩია: „ურდულით ჩაკეტე კარები, მათ დიდად ვერ ვენდობი“, რამხელა სიყვარულია ამ ხელში იმ ქალის წელზე რომ აქვს შემოხვეული. „ან ეგებ – გაიფიქრა ოლივეირამ, და უპასუხა დოქტორ ოვეხეროსა და ფერაგუტოს მეგობრულ მისალმებას (ფერაგუტოსი ცოტათი ნაკლებად მეგობრულს) – ერთადერთი საშუალება, რომ ამ ტერიტორიას გაეცალო ის არის, რომ ყურებამდე ჩა-

ეფლო მასში.” მან იცოდა, რომ თუ კიდევ გაივლებს ამას გულში (კიდევ ერთხელ), მაშინვე თვალწინ წარმოუდგება კაცი, რომელსაც ხელკავით მიჰყავდა ქუჩაში თავსხმა წვიმაში ბებრუხუნა ქალი. „მოდით და გაიგეთ, — თქვა მან თავისთვის, — მოდით და გამოიცანით, იქნება მე ვიყავი ზღვარზე და შევჩერდი, იქნება იქ იყო კიდევ გასასვლელი. მანუ კი იპოვიდა, დარწმუნებული ვარ, იპოვიდა ეს იდიოტი, ეს იდიოტი, ეს მანუ, მაგრამ ძებნით არასოდეს ეძებს, მე კი პირიქით...”

— ეი, ოლივეირა, ხომ არ ჩამოხვალთ, ყავა დავლიოთ. — შესთავაზა ფერაგუტომ, რაც აშკარად არ ესიამოვნა ოვეხეროს, — სანაძლეო ხომ უკვე მოიგეთ, არა? აბა შეხედეთ კუკას, როგორი შეწუხებულია...

— ნუ მოიწყენთ, სენიორა, — უთხრა ოლივეირამ, — თქვენ ისეთი გამოცდილება გაქვთ მიღებული ცირკში, ამ სისულელის გულისთვის ასე არ უნდა აღელდეთ.

— ეი, ოლივეირა, თქვენ და ტრეველერი მართლა საშინელები ხართ, — თქვა კუკამ, — რატომ იმას არ აკეთებთ, რასაც ჩემი ქმარი გეუბნებათ? ისე მინდოდა, რომ ჩვენ ყველას ერთად დავგვლია ყავა. — ჰო, ჩამოდით, ჩე, — უთხრა ოვეხერომ ვითომ სხვათა შორის. — მინდოდა თქვენი აზრი გამეგო ორი ფრანგული წიგნის შესახებ.

— აქ ყველაფერი მშვენივრად ისმის, — თქვა ოლივეირამ.

— ძალიან კარგი, ძმაო, — უთხრა ოვეხერომ. — როცა მოგინდებათ, მაშინ ჩამოდით, ჩვენ კი მივდივართ სასაუბროდ.

— ცხელ-ცხელი ფუნთუშებით, — თქვა კუკამ, — წავიდეთ, ყავა მოვადუღოთ, ტალიტა.

— იდიოტად ნუ მოგაქვთ თავი, — თქვა ტალიტამ და მისი ამ მკვახე სიტყვის შემდეგ საოცარი სიჩუმე ჩამოვარდა, ამ სიჩუმეში ტრეველერისა და ოლივეირას მზერა ისე შეეფეთა ერთმანეთს, როგორც ორი ჩიტი შეეჯახება ჰაერში და ძირს პირდაპირ

მეცხრე უჯრედზე დაეცემა, ყოველ შემთხვევაში ორივე მონაწილეს ასე მოეჩვენა.

კუკა და ფერაგუტო აღშფოთებისგან მძიმედ სუნთქავდნენ, სანამ ბოლოს კუკამ ველარ მოითმინა და შესძახა: „რას ნიშნავს თქვენი ეგ შეურაცხმყოფელი სიტყვები?“ ხოლო ფერაგუტო მართო გაიფხორა, გაიბერა და ახედ-დახედა ტრეველერს, მან კი აღტაცებით, თუმცა ცოტა საყვედურითაც, გადახედა თავის ცოლს; ამ დროს კი ოვეხერომ ამ შემთხვევისთვის შესაფერი მეცნიერული გამოსავალი მოძებნა და მოკლედ განაცხადა: *Histeria matinensis yugulata*. წამობრძანდით ჩემთან, დამამშვიდებელს მოგცემთ; სწორედ ამ დროს გამოჩნდა 18, რომელმაც რემორინოს ბრძანება დაარღვია, გავიდა ეზოში და გამოაცხადა, რომ 31 შფოთავსო და ტელეფონზე მარ დელ პლატადან რეკავენო. რემორინოს ბრძანების ამ დარღვევამ შესაძლებლობა მისცა ადმინისტრაციასაც და ოვეხეროსაც ისე დაეტოვებინათ ეზო, რომ მათი ავტორიტეტი არ შელახულიყო.

— აი, აი, აი, — გადმოსძახა ოლივეირამ და ისევ მოჰყვა რწევას ფანჯრის რაფაზე, — მე კი მეგონა ფარმაცევტები უფრო ზრდილობიანები იყვნენ.

— შენ წარმოგიდგენია? — თქვა ტრეველერმა, — მართლაც რომ დიდებული იყო.

— ჩემი გულისთვის ლამის თავი გასწირა, — თქვა ოლივეირამ, — ამას ხომ კუკა სიკვდილამდე არ აპატიებს.

— რაც უნდა, ის უქნია, ჩემთვის არანაირი მნიშვნელობა არა აქვს, — თქვა ტალიტამ — „ცხელ-ცხელი ფუნთუშებიო“, წარმოგიდგენიათ? — ეს ოვეხეროც კარგი ვინმეა, — თქვა ტრეველერმა, — ამან კიდევ ფრანგული წიგნებიო! ჩე, მარტო ბანანით ხომ ვერ გაცდუნებდნენ, მიკვირს, როგორ არ გაუყენე ჯანდაბის გზას.

იყო ასე და ამგვარად, დაუჯერებელი კია, მაგრამ ჰარმონია გრძელდებოდა, არ არსებობდა სიტყვები მათი სიკეთის საპასუ-

ხოდ, რომლებიც მას ელაპარაკებოდნენ და შეჰყურებდნენ კლასობანას უჯრედებიდან, რადგან ტალიტა, ისე რომ თავადაც არ იცოდა, იდგა მესამე უჯრაზე, ტრეველერი კი ერთი ფეხით იდგა მეექვსეზე, ამიტომ ერთადერთი, რაც შეიძლებოდა გაეკეთებინა, ის იყო, რომ მოკრძალებით დაექნია მარჯვენა ხელი მისალმების ნიშნად და მჯდარიყო ასე, ეყურებინა მაგასთვის, მანუსთვის და თავისთვის ეფიქრა, რომ ბოლოს და ბოლოს შეხვედრა მაინც შედგა, თუმცა კი არ შეიძლებოდა უფრო მეტხანს გაგრძელებულიყო, ვიდრე ეს საშინლად ტკბილი წამი, როცა ყველაფერს აჯობებდა, ბევრი არ ეჭოჭმანა, ოდნავ გადახრილიყო ფანჯრიდან, მიეშვა თავი ნებაზე, ერთი ბახ და დამთავრდა.

(-135)

სხვადასხვა მხრიდან

(ეს თავები შეგიძლიათ არ წაიკითხოთ)

57

— ვეცდები ზოგიერთი რამ გავარკვიო ადგოლის ჩამოსვლისთვის.

რას იტყვი, ეგებ ერთ ღამეს კლუბშიც წაგვეყვანა. ეტიენსა და რონალდს კი ნამდვილად მოაჯადოებდა, ისეთი გიჟია.

— წამოიყვანე.

— შენც მოგეწონებოდა.

— რატომ მელაპარაკები ისე, თითქოს მკვდარი ვიყო?

— არ ვიცი, — თქვა ოსიპმა, — მართალი ვითხრა, არ ვიცი. თუმცა ისეთი სახე გაქვს...

— ამ დილას ეტიენს ისეთ ლამაზ და უცნაურ სიზმრებს ვუყვებოდი... ახლა კი, როცა ასე გულის ამაჩუყებლად დამიხატე დაკრძალვის სურათი, იმდენი მოგონებები ამეშალა, რომ ყველაფერი ერთმანეთში ამერია; ალბათ როგორი ამაღელვებელი იყო, მთელი ის ცერემონია, ჩე. მაინც რა გამაოგნებელი რამაა ერთი კაცის სამ ადგილზე ერთდროულად ყოფნა, მაგრამ ამ საღამოს მე თვითონ მემართება ასეთი რამ, — ეს უთუოდ მორელის გავლენაა, — უფრო სწორად, ერთდროულად ოთხ ადგილზე ყოფნა-მეთქი... დიახ, დიახ, ახლა ვიამბობ. ასე მგონია, სწორედ ახლა ვუახლოვდები ყველგანმყოფობას, იქიდან კი სიგიჟისკენ... მართალი ხარ, ალბათ ადგოლს ვერ გავიცნობ, მე უფრო ადრე დაგტოვებთ.

— სწორედ ძენი გვიხსნის ყველგანმყოფობის ამრსა და შესაძლებლობას, იმას, რაც შენ იგრძენი, თუკი იგრძენი.

— ცხადია, ჩე. მე ოთხივე ადგილიდან ერთდროულად მოვდივარ:

ამ, დილის სიზმარი თუნდაც, რასაც ახლაც განვიცდი; რაღაც-რაღაც წვრილმანები პოლასთან, ამით არ დაგლლი, ბავშვის დაკრძალვის სურათი, რაც ესოდენ ცოცხლად დამიხატე, ახლალა მახსენდება, ამავე დროს რომ ვპასუხობდი ჩემს ბუენოს აირესელ მეგობარს, ვინც იმ თავისი უკუღმართი ცხოვრების მიუხედავად, მაინც გაიგო ჩემი ლექსები, რომლებიც იწყებოდა ასე, აბა, ცოტა დაფიქრდი: „მე შენ გეზმანები უნიტაზად.“ და ეს ისეთი ადვილია, თუ ცოტა დაუფიქრდები, შენც გაიგებ. როცა გამოფხიზდები, გამოგყვება სიზმრად ნანახი სამოთხის ნარჩენები და დამხრჩვალის თმასავით ჩამოგეკიდება. საშინელი გულზიდვის, მოუსვენრობის, უიმედობის, სიყალბისა და ყველაზე მეტად უსარგებლობის განცდა გეუფლება, იძირები საკუთარ თავში და როცა კბილებს იხეხავ მართლა უნიტაზად წარმოგიდგება საკუთარი თავი, ჩაგითრევს აქაფებული თეთრი სითხე, მიძვრები ლორწოს, ჩირქს და ათასგვარ სიბინძურესთან ერთად

იმ ხვრელში, მიჰყვები იმ იმედით, რომ როდისმე დაბრუნდები სხვანაირი და სხვაგან ისეთი, როგორც იყავი სანამ გაიღვიძებდი და ის სხვაც ჯერ კიდევ შენშია, აქ არის, მაგრამ საცაა ისიც წავა... დიახ, შენ იძირები საკუთარ თავში წამიერად, მაგრამ იქვეა დაცვა სიცხადისა — ამასაც გამოთქმა ჰქვია და თანაც ლამაზი გამოთქმა, ოჰ, ეს ენა, — თითქოს თან გიტევს და თან გაჩერებს.

— ტიპიური ეგზისტენციალისტური განცდა, — თქვა გრეგოროვიუსმა თავდაჯერებით.

— უთუოდ, ოღონდ ყველაფერი დობაზგა დამოკიდებული, მე მართლა ჩამითრევს უნიტაზი, ჩე.

(-70)

58

— კარგია, რომ მოხვედი, — უთხრა ხეკრეპტენმა და ბალახი გამოცვალა, — აქ, სახლში ბევრად უკეთესია, რაც უნდა იყოს, მაინც სხვა გარემოა, ორი-სამი დღით შვებულება რომ აგელო ურიგო არ იქნებოდა.

— მართალი ხარ, — უთხრა ოლივეირამ, — მეტიც შეიძლებოდა ჩემო ბებერო, შენ ღვეზელებს ხომ არაფერი შეედრება.

— როგორ მიხარია, რომ მოგწონს, ოღონდ ბევრი არ შეჭამო, თორემ კუჭი აგეშლება.

— ეს არ არის პრობლემა, — თქვა ოვეხერომ და სიგარეტს მოუკიდა, — ახლა, სიესტის მერე კარგად გამოიძინეთ და საღამოს უკვე პოკერის თამაშსაც შეიძლებთ.

- ნუ მოძრაობ, – უთხრა ტალიტამ, – საკვირველია, სულ არ შეგიძლია წყნარად გაჩერება.
- ჩემი მეუღლე ისეთი უკმაყოფილოა... – თქვა ფერაგუტომ.
- ერთი ღვებელი კიდევ აიღე, – უთხრა ხეკრეპტენმა.
- ხილის წვენის მეტი არაფერი მისცეთ, – ბრძანა ოვეხერომ.
- მეცნიერთა ეროვნული კორპორაცია სხვადასხვა მეცნიერებებში მათი კუთვნილების მიხედვით და მათი სამეცნიერო დაწესებულებებით... – იხუმრა ოლივეირამ.
- სერიოზულად, ჩე, გეუბნები, ხვალ დილაამდე ვერაფერს შეგამმეტქი, – თქვა ოვეხერომ.
- .აი, ეს, უფრო მეტი შაქარი აქვს, – უთხრა ხეკრეპტენმა.
- ეცადე დაიძინო, – უთხრა ტრეველერმა.
- ეი, რემორინო, შენ კარებთან დადექი და 18 არ შემოუშვა, რომ არ შეაწუხოს, – უთხრა ოვეხერომ, – რალაც პისტოლზე ისეთი აურზაური ატეხა, კაცი ვერ გაიგებდა რას ლაპარაკობდა.
- თუ დაიძინებ, ფარდებს ჩამოვაფარებ, – უთხრა ხეკრეპტენმა, – აღარც დონ კრესპოს რადიოს ხმა შეგაწუხებს.
- არა, იყოს როგორც არის, – უთხრა ოლივეირამ, – რალაცას გადმოსცემენ ფალუს შესახებ.
- უკვე ხუთი საათია, – თქვა ტალიტამ, – იქნებ ცოტა მაინც დაიძინო. – ერთხელ კიდევ გამოუცვალე კომპრესი, – უთხრა ტრეველერმა, – ეტყობა, კარგად მოქმედებს.
- ისედაც მთლად კომპრესებშია გახვეული, გეგონება აბაზანაში იწვეს, – თქვა ხეკრეპტენმა, – ხომ არ გინდა „ნოტისიას გრაფიკას“ გიყიდო, ახლავე წავალ.

— კარგია, — უთხრა ოლივეირამ, — ერთი კოლოფი სიგარეტ-
იც გამოაყოლე. — მგონი ჩაეძინა, — თქვა ტრეველერმა, — ახ-
ლა მთელი ღამე იძინებს, ოვეხერომ ორმაგი დოზა დააღვეინა.

— შენ იცი, ჩემო საუნჯევ, — უთხრა ხეკრეპტენმა, — ერთ წუთ-
ში დავბრუნდები. ამაღამ შემწვარი სუკი გვექნება ვახშმად, ხომ
გინდა. — ოღონდ სალათასთან ერთად, — უთხრა ოლივეირამ.

— უკეთესად სუნთქავს, — თქვა ტალიტამ.

— და ბრინჯის რძიან ფაფასაც მოგიხარშავ, — უთხრა ხეკრეპ-
ტენმა, — ისე საშინლად გამოიყურებოდი, როცა შემოხვედი.

— ტრამვაი ხალხით იყო სავსე, — თქვა ოლივეირამ, — იცი,
რას ნიშნავს დილის რვა საათზე და ასეთ სიცხეში ტრამვას ბა-
ქანზე დგომა? — — მართლა გჯერა, რომ დაეძინება, მანუ?

— იმდენად, რამდენადაც ვბედავ რომ დავიჯერო, ჰო.

— მაშინ წავიდეთ დირექტორთან, გველოდება, ერთი სული
აქვს როდის გაგვყრის აქედან.

— ჩემი მეუღლე ძალიან უკმაყოფილოა, — თქვა ფერაგუტომ.

— მაგრამ მაინც რას ნიშნავს თქვენი შეურაცხმყოფელი სიტ-
ყვები?!

— შესძახა კუკამ.

— მერე როგორი სასიამოვნო ადამიანები არიან, — თქვა ოვე-
ხერომ.

— ასეთები ძალიან ცოტანი არიან, — თქვა რემორინომ.

— არ უნდოდა დაეჯერებინა, რომ Heftpistole დასჭირდებოდა,
— თქვა 18—მა.

— ახლავე წადი შენს ოთახში, თორემ ვბრძანებ ოყნა გაგიკე-
თონ, — უთხრა ოვეხერომ.

– სიკვდილი ძალს, – თქვა 18–მა.

(-131)

59

და მაშინ დროის გაყვანის მიზნით, ისინი იჭერენ საჭმელად უვარგის თევზებს; ხოლო იმისათვის, რომ თევზი არ გაიხრწნას, მთელ სანაპიროზე გააკრავენ პლაკატებს და მოუწოდებენ მეთევზეებს, რომ მთელი დაჭერილი თევზი ჩაფლან სილაში.

Claude Lévi–Strauss, „Tristes tropiques”[223].

(-41)

60

მორელიმ მოიფიქრა acknowledgements[224], რომელიც არასდროს ჩაურთავს თავის გამოქვეყნებულ ნაშრომში. მხოლოდ რამდენიმე სახელი დატოვა: ჯელი როლ მორტონი, რობერტ მუზილი, დაიბეტც ტეიტარო სუძუკი, რაიმონ რუსელი, კურტ შვიტერსი, ვიეირა და სილვა, აკუტაგავა, ანტონ ვებერნი, გრეტა გარბო, ხოსე ლესამა ლიმა, ბუნიუელი, ლუი არმსტრონგი, ბორხესი, მიშო, დინო ბუძატი, მაქს ერნსტი, პევზნერი, გილგამეში (?), გარსილასო, არჩიმბოლდო, რენე კლერი, პიერო დი კობიმო, უოლეს სტივენსი, აიბეკ დინესენი. სახელები რემბო, პიკასო, ჩაპლინი, ალბან ბერგი და სხვები ამოშალა ძალიან წვრილი ხაზით, როგორც ძალიან ცნობილი ადამიანები აქ მოსახსენიებლად. თუმცა, ეტყობა, ბოლოს და ბოლოს, ისინი იყ-

ვნენ კიდევ ასეთები, რადგან მორელიმ მაინც ვერ გადაწყვიტა ამ სიის ჩართვა ვერც ერთ თავის ტომში.

(-26)

61

მორელის დაუმთავრებელი შენიშვნები:

ვერასოდეს გავთავისუფლდი იმ გრძნობისგან, თითქოს აი აქ, პირდაპირ ჩემს თვალწინ, ჩემს თითებში გაბლანდული, თვალისმომჭრელი აფეთქება სინათლისკენ მიისწრაფის ისე, როგორც გარღვევა ჩემგან სხვისკენ, ან ეს სხვა იჭრება ჩემში, რაღაც ბროლივით გამჭვირვალე, რაც შეიძლება შედედებულიყო და გამხდარიყო შუქი, რომელსაც არ ექნებოდა საზღვარი დროსა და სივრცეში. თითქოს შენ წინ ოპალისა და ბრილიანტის კარები იყოს, რომლის მიღმა გახდები ის, რაც სინამდვილეში ხარ, მაგრამ არ გინდა იყო ის, არც იცი და არც შეგიძლია.

არაფერი ახალი არ არის ამ წყურვილსა და ეჭვში, მაგრამ სულ იზრდება უთანხმოება ერბაცებთან, დღისა და ღამის იდუმალ შეთანხმებას რომ გთავაზობენ, მოვლენებისა და მოგონებების ამ არქივს, ამ ვნებებს, დროისა და კანის ნაფლეთებს რომ გგლეჯენ, ამ ნიშნებს, რაც ასეა დაშორებული იმისგან, რაც ახლა ჩემ თვალწინაა, წინასწარ განჭვრეტა იმისა, რაც ხილვების ზღვარზეა, მაუწყებს მოჩვენებითი თავისუფლების შესახებ, როდესაც დავბორიალებ ქუჩებსა და ჩემი ცხოვრების წლებში.

რამეთუ მე მხოლოდ ეს სხეული ვარ, უკვე ხრწნის მდგომარეობაში მომავალი დროის რომელიმე წერტილში, ეს ძვლები, ნამდვილი ანაქრონიზმი, ვგრძნობ, რასაც ეს სხეული მოითხოვს, უხმობს თავის შემეცნებას, მოითხოვს იმ ოპერაციას ჯერ

კიდევ მიუწვდომელს, რის შედეგადაც იგი აღარ იქნება ხრწნადი ხორცი. ეს სხეული, რაც ვარ მე, წინასწარ გრძნობს იმ მდგომარეობას, რომელშიც, თუ კი უარს იტყვის თავის თავზე როგორც ასეთზე, მისი შემეცნება მიიღებს იმ მდგომარეობას სხეულის გარეშე და სამყაროს გარეშე, რაც იქნება ჭეშმარიტი მიახლოება ყოფიერებასთან. ჩემი სხეული იცოცხლებს, მაგრამ ეს არ იქნება მორელის სხეული, მე კი არა, რომელიც ათას ცხრაას ორმოცდაათი წლისთვის იყო, ისე, თითქოს იყოს ათას ცხრაას ოთხმოცი წელი, ჩემი სხეული იცოცხლებს, რამეთუ იქ, სინათლის კარს მიღმა (რა ვუწოდო ამ უტყუარ სინამდვილეს, სახეზე რომ მაქვს მიკრული), ყოფიერება გახდება სულ სხვანაირი, უბრალოდ სხეული კი არა, არა უბრალოდ სხეული და სული, და არა უბრალოდ მე და სხვა, არა მხოლოდ გუშინ და დღეს. ყველაფერი დამოკიდებულია... (მომდევნო ფრაზა გადახაზულია).

მელანქოლიური დასასრული: უეცარი Satori[225] და ყველაფერი გადაწყვეტილია. მაგრამ ამისათვის საჭირო იქნებოდა მთელი შენი გარეგანი და შინაგანი ისტორიის თავიდან გავლა. Trop tard pour moi.

Crever en italien, voire en occidental c'est tout ce qui me reste. Mon petit café—crème le matin, si agréable...[226]

(-33)

62

ერთ დროს მორელიმ ჩაიფიქრა წიგნი, რომელიც ასევე დარჩა ნაწყვეტ-ნაწყვეტი შენიშვნების სახით; ეს ყველაზე კარგად ჩანს ამ მაგალითში: „ფსიქოლოგია, თვით ამ სიტყვას აქვს ბებრის იერი. ვინმე შვედი დაამუშავებს აზროვნების ქიმიურ თეორიას[227]. ქიმია, ელექტრომაგნეტიზმი, ცოცხალი მატერიის იდუმალი ნაკადები, — ეს ყველაფერი, რაოდენ უცნაურიც არ უნ-

და იყოს, აღვიძებს ჩვენში ცნებას mana ასე და ამგვარად, სოციალური ქცევის საზღვრის მიღმა შეიძლებოდა გვევარაუდა სულ სხვა ბუნების ურთიერთმოქმედება, რაც ემსგავსება ბილიარდის ბურთების ურთიერთმოქმედებას, რითიც ვილაც ინდივიდები ერთობიან თუ განიცდიან, დრამა ოდიპოსის გარეშე, რასტინიაკის გარეშე, ფედრას გარეშე, დრამა impersonal[228], რამდენადაც შესაძლებელია, რომ პერსონაჟთა შემეცნება და ვნებები ჩართული იქნება a posteriori[229]. ისე როგორც სუბლიმინური ფენები თვითონვე აბამდნენ და შლიდნენ ურთიერთობების გორგალს დრამის მონაწილეთა შორის. ანდა შვედის საამებლად ვითომ ვინმე ინდივიდები ყოველგვარი განზრახვის გარეშე ჩართულიყვნენ სხვა ადამიანების სიღრმისეულ ქიმიურ პროცესებში და პირიქით, და ამგვარად წარმოქმნილიყო მეტად უცნაური და შემაშფოთებელი ჯაჭვური რეაქციები, გახლენჩვები და გარდაქმნები.

ასეთ შემთხვევაში, საკმარისია უბრალო ექსტრაპოლაცია, რომ წარმოვიდგინოთ ადამიანთა ჯგუფი, რომელსაც სჯერა, რომ რეაგირებენ ფსიქოლოგიურად, კლასიკური აზრით, ამ ძველთაძველ სიტყვაზე, რაც სინამდვილეში სხვა არაფერია, თუ არა სულიერი მატერიის ნაკადი, იმ აურაცხელი ურთიერთმოქმედებისა, რასაც ძველ დროში ეწოდებოდა სურვილები, სიმპათიები, ნება, რწმენა და რომლებიც აქ გვეჩვენებიან როგორც რაღაც მიუწვდომელი ყოველი გონებისთვის და ყოველგვარი აღწერისთვის;” უცხო ძალები ჩვენში ჩაბუდებული, რომლებიც ცდილობენ ძალით მოიპოვონ ბინადრობის უფლება; ეძებენ რაღაც უფრო მაღალს, ვიდრე ვართ ჩვენ და გვიყენებენ, როგორც ინდივიდებს თავიანთი მიზნებისთვის, ბნელი აუცილებლობისთვის, რომ გასცდნენ ჰომო საპიენსის მდგომარეობას...

რომელი ჰომო? რამეთუ „საპიენსი“ კიდევ ერთი ძველთაძველი სიტყვაა იმ სიტყვებიდან, რომელიც კარგად უნდა გაირეცხოს, სანამ ამ თავისი აზრით გამოვიყენებდეთ.

მე რომ ასეთი წიგნი დამეწერა, ქცევის სტანდარტული ფორმები (ჩამერთო ყველაზე უჩვეულო, ჩემი თავისთვის მიმეცა ამის

უფლება) ძნელი ასახსნელი იქნებოდა ფსიქოლოგიური საშუალებებითაც კი.

მოქმედი პირები ავადმყოფებად მოგვეჩვენებოდა, ანდა სრულ იდიოტებად. საქმე ის კი არ არის, რომ მათ არ აღმოაჩინდებოდათ უნარი, რომ გაეგოთ ჩვეულებრივი challenge and response[230] სიყვარულის, ეჭვიანობის, თანაგრძნობისა და აქედან გამომდინარე შედეგებით, მათში უბრალოდ ისაა, რასაც ჰომო საპიენსი იცავს ამ სუბლიმირებულ სფეროში, ძნელად გაიკვლევედა გზას, როგორც, ვთქვათ, მესამე თვალი[231] დაძაბული იყურებოდეს შუბლის ძვლის ქვემოდან. ყველაფერი იქნებოდა ისე, როგორიცაა მოუსვენრობა, შიში, დაუსრულებელი ამოძირკვა, ტერიტორია, სადაც ფსიქოლოგიური შემთხვევითობა დაიხვედა უკან დაბნეული და ეს მარიონეტები შემოიგლეჯდნენ ყველაფერს, მიეცემოდნენ სიყვარულს, ან ამოიცილობდნენ ერთმანეთს და არც კი დაეჭვდებოდნენ, რომ ცხოვრება ცდილობს გამოცვალოს გასაღები მათში, მათი მეშვეობით და მათი გულსთვის, და რომ ადამიანში იბადება, თუმცა ჯერ კიდევ შეუმჩნეველი, ახალი მცდელობა, ვითარცა სხვა დროებში იბადებოდა ხოლმე მათში გასაღები-გონება, გასაღები-გრძნობა, გასაღები-პრაგმატიზმი. რომ ყოველი მარცხიც კი არის მიახლოება საბოლოო ცვლილებასთან და რომ ადამიანი სხვა არაფერია, თუ არა ის, ვინც ეძებს იყოს ის, ვინც უნდა რომ იყოს, ვისაც წარმოიდგენდა, რომ ყოფილიყო, ფართხალებს სიტყვებსა და ქცევებში, სისხლით შეღებილ სიხარულში და სხვა ამის მსგავს რიტორიკაში.”

(-23)

63

— ნუ მოძრაობ, — უთხრა ტალიტამ, — მე ხომ კომპრესს გადებ და არა გახურებულ კირს.

– დენის დარტყმასავით კი მეჩვენება და ... – თქვა ოლივე-
ირამ.

– რა სისულელეა.

– თითქოს ფოსფორესენციები მირიალებს თვალებში, თით-
ქოს ნორმან მაკლარენის ფილმებს ვუყურებდე.

– ერთი წამით თავი წამოსწიე, ძალიან დაბლა გიდევეს და ბა-
ლიშს გამოგიცვლი.

– ბალიში კი არა, ჯობია თავი გამომიცვალო, – თქვა ოლივე-
ირამ, – მაგრამ საშველი არ არის, უნდა ვალიაროთ, რომ ჩვენ-
თან ქირურგია ჯერ ისევ აკვანში წევს.

(-88)

64

ერთხელ, ლათინურ კვარტალში რომ უნდა შეხვედროდნენ
ერთმანეთს, მან დაინახა ერთ ადგილზე შეკრებილი ხალხი, მათ
შორის პოლაც და ყველა გაფაციცებით დაჰყურებდა ასფალტს.
ისიც შეჩერდა და დახედა ასფალტზე დახატულ ნაპოლეონის
პროფილს, მის შორიახლო შარტრის დიდებულ სურათს, ცოტა
მოშორებით კი, მწვანე ველზე ფაშატისა და მისი კვიცის გამოსა-
ხულებას. ამ ნახატების ავტორებიც იქვე იყვნენ – ორი ქერათ-
მიანი ყმაწვილი და ინდოჩინური სახის ქალიშვილი. ცარცის ყუ-
თი სავსე იყო ათი და ოც ფრანკიანი მონეტებით. დროდადრო
რომელიმე მხატვარი დაიხრებოდა და თავის ნახატში რაიმე დე-
ტალს შეასწორებდა-შეაღამაზებდა, ამას უმაღლეს შეამჩნევდნენ იქ
მყოფები და შეწირულობაც იზრდებოდა.

– პენელოპეს სისტემას იყენებენ, მაგრამ ამას მოწყალებად
არ მიიჩნევენ, – თქვა ოლივეირამ, – მაგალითად, აი, იმ სენიო-

რას ჯიბისკენ ხელი არც წაუღია, სანამ ის პატარა ცონგ ცონგი მიწაზე არ დაინახა გართხმული, თავისი ქერათმიანი გოგონას ცისფერ თვალებს რომ უსწორებდა. მათზე ზემოქმედებას ახდენს თვითონ მუშაობის პროცესი, ეს აშკარაა.

— მას ცონგ ცონგი ჰქვია? — ჰკითხა პოლამ.

— აბა, რა ვიცი, ლამაზი წვივები კი აქვს.

— ამდენი იმუშავეს და ამაღამ მეგზოვრები ისე მოასუფთავენ აქაურობას, კვალიც არ დარჩება.

— მთელი ამისი სილამაზეც ესაა. ფერად-ფერადი ცარცი, როგორც ესქატოლოგიური სახე, რითი არ არის სადისერტაციო თემა?

თუ მუნიციპალიტეტის მეგზოვრები დიღამდე არ მოასუფთავენ აქაურობას, ცონგ ცონგი თვითონვე მოვა წყლით სავსე ვედროთი.

ბოლომდე მხოლოდ ის მთავრდება, რაც ყოველ დიღას თავიდან იწყება. ხალხი უყრის მონეტებს, მაგრამ იმას ვერ ხვდება, რომ მას ატყუებენ, ეს სურათები ხომ სინამდვილეში სულაც არ წაიშლება.

ისინი უკვე სხვა ტროტუარზე გამოჩნდება, შეიცვლება მხოლოდ ფერი, ცარცი, ხელის მოძრაობა კი იგივე დარჩება, ეგ არის ხელი უკვე მომთბარია. მართალი ითქვას, ამ ყმაწვილებიდან ერთ-ერთმა მთელი დიღა ხელები რომ იქნოს ტყუილ-უბრალოდ, ისე დაიმსახურებს ათ ფრანკს, თითქოს ნაპოლეონის სურათი დაეხატოს. მაგრამ აუცილებელია საბუთი. და აჰა, ესეც აქ არის. ჩაუგდე ათი ფრანკი, ნუ იძუნწებ.

— უკვე ჩავუგდე, სანამ შენ მოხვიდოდი.

— დიდებულია. არსებითად ამ მონეტებს ხომ მიცვალებულებს ვუყრით პირში, გულის მოსაგები ობოლო[232]. პატივს მივაგებთ ეფემერულს, რათა ეს ტაძარი იყოს ოდენ ფანტაზიის ნა-

ყოფი, ცარციტ ნახატი, რომელსაც წყლის პატარა ნაკადიც ერთ წამში წაშლის. ერთი მონეტაც და ტაძარიც ისევ ხელახლა გაჩნდება დილით. ჩვენ საფასურს ვიხდით უკვდავებისთვის, ვიხდით ხანგრძლივობისთვის. No money, no cathedral[233]. განა შენც ცარციტ არა ხარ შექმნილი? მაგრამ პოლამ არაფერი უპასუხა, მან მხარბე დაადო ხელი და ისინი დაუყვნენ ბულ მიშს, მერე ისევ აუყვნენ ბულ მიშს, ბოლოს კი ნება-ნება გაემართნენ დოფინის ქუჩისკენ. ფერადი ცარციტ დახატული სამყარო მათ გარშემო ტრიალებდა და ცდილობდა ჩაება ისინი თავის ფერხულში, შემწვარი კარტოფილი ყვითელი ცარციტ, ღვინო წითელი ცარციტ, ფერმკრთალი და საამო ცა ცისფერი ცარციტ, ალაგ მომწვანო, მდინარის ნაპირზე. კიდევ ერთხელ ერთი მონეტა სიგარეტის კოლოფში, რომ არ გაქრეს ტაძარი და მთლად არ გაწვიროთ წასაშლელად, რომ კვლავ დაბრუნდეს, წაშალოს წყლის ნაკადმა და ისევ დაგვიბრუნდეს შავი, ლურჯი და ყვითელი ცარციტ ნახატი. დოფინის ქუჩა — ნაცრისფერი ცარციტ, კიბე — შავად ჩამუქებული, ოთახი — ეშმაკურად მოხატული მწვანე ფერებით, ფარდები — თეთრი, სარეცელზე — ნაირფერებიანი პონჩო — გაუმარჯოს მექსიკას! სიყვარული — ცარციტ მოხატული, ოღონდ ფიქსატორილა სწყურია, რათა მიაკრას აწმყოს, სიყვარული, სურნელოვანი ცარცისა, ბაგე — ნარინჯისფერი, სევდა და მოყირჭება — უფერული ცარცისა, თვალშეუვლებ მტვერში რომ ტრიალებს, მერე კი მძინარე სახეებზე და სხეულებზე რომ ილექება, ვითარცა დაპრესილი ცარცი.

— რასაც კი შეეხები, ან თუნდაც შეხედავ, ყველაფერი იმსხვრევა, — თქვა პოლამ. — რაღაც საშინელი მჟავასავით ხარ, შენი მეშინია კიდევ. — მეტისმეტად ახლოს მიგაქვს გულთან რაღაც პატარ-პატარა მეტაფორები.

— მთავარი მხოლოდ ის კი არ არის, რასაც ამბობ, არამედ, ის როგორ... არ ვიცი, როგორ ვთქვა, რაღაც უძირო ორმოსავით ხარ, ზოგჯერ მეჩვენება, საცაა ხელიდან გაგეშვები და ჭაში ჩავვარდები. ეს კი უარესია, ვიდრე სიზმარში რომ ნახავ, თითქოს სიცარიელეში ვარდები. — ეგებ ჯერ მთლად არ დაღუპულხარ, — უთხრა ოლივეირამ.

— ოჰ, დამანებე თავი. მე თვითონ ვიცი, როგორ ვიცხოვრო, გაიგე.

ძალიან კარგად ვცხოვრობ ისე, როგორც ვცხოვრობ, აქ, ჩემს ნივთებთან და ჩემს მეგობრებთან ერთად ერთ ჭერქვეშ.

— აბა, ჩამოთვალე, ჩამოთვალე, ეგ თუ გიშველის, მიები მაგ სახელებს და აღარსად ჩავარდები. აგერ ეს მაგიდა და ლამფა, ფარდები ფანჯარაზე, კლოდეტსაც იგივე ნომერი აქვს, დანტონ 34, თუ რომელი, არ ვიცი, და დედაშენიც, ექს-ან-პროვანსიდან წერილებს რომ გიგზავნის. ყველაფერი კარგად მიდის.

— მეშინია შენი, ამერიკელო ურჩხულო, — უთხრა პოლამ და მიეხუტა. — აკი შევთანხმდით, რომ ჩემს სახლში არ ვილაპარაკებდით...

— ფერად-ფერად ცარცებზე.

— და სხვა ამისთანებზე.

ოლივეირამ გალუაზს მოუკიდა და ორად გადაკეცილი ქალაქის ფურცელს დახედა მაგიდაზე.

— ეს მიმართვაა ანალიზებზე?

— ჰო, სასწრაფოდაა გასაკეთებელიო. აბა, აქ დამადე ხელი, იმაზე უარესადაა, ვიდრე ერთი კვირის წინ იყო.

თითქმის დაბნელდა, დაღამდა და პოლა ფანჯრიდან შემოსულ მომწვანო-მოყვითალო შუქში გახვეული, ბონარის მოდელს ჰგავდა.

„ახლა აქ რომ განთიადის მეებოვე იყოს...“ გაიფიქრა ოლივეირამ, დაიხარა და მკერდზე, სწორედ იმ ადგილზე აკოცა, აკანკალებული თითით რომ აჩვენა. „მაგრამ ისინი ხომ მეოთხე სართულზე არ ამოდიან, არ გამიგონია რომელიმე მეებოვე ან მრწყველი როდისმე მეოთხე სართულზე ასულიყო; ან ხვალ თუ მოვა ვინმე მხატვარი და ზუსტად გაიმეორებს, ან აღბეჭდავს ამ

უნაზღეს ბორცვებს მისი სხეულისას, ეს-ეს არის რომ...” თავს ძალა დაატანა, რომ ამაზე არ ეფიქრა, ერთი წუთით კიდეც შეძლო ისე ეკოცნა მისთვის, რომ ეს მხოლოდ კოცნა ყოფილიყო და მეტი არაფერი.

(-155)

65

კლუბის კარტოთეკის ნიმუში.

გრეგოროვიუსი ოსიპ.

აპატრიდი, მოქალაქეობის არმქონე.

სავსე მთვარე (საპირისპირო მხარე, უხილავი, თანამგზავრამდე), კრატერები? ზღვები? მტვერი?

ჩვეულებრივად აცვია, შავი, ნაცრისფერი, მუქი ფერის ტანსაცმელი. არასდროს არავის უნახავს კოსტიუმით. ზოგიერთები ამტკიცებენ, თითქოს სამი კოსტიუმი ჰქონდეს, მაგრამ ყოველთვის ერთის პიჯაკი აცვია, მეორისა — შარვალი. ამის შემოწმება ძნელი არ არის.

ასაკი: მისივე ნათქვამის მიხედვით ორმოცდარვა წლისა.

პროფესია: ინტელექტუალი, ბებიდა უგზავნის მცირეოდენ თანხას.

Carte de séjour AC 3456923 (დროებითია, ექვსი თვის ვადით, გასაგრძელებელია. გაგრძელებული უკვე ცხრაჯერ და სულ დიდი სირთულეებით).

დაბადების ადგილი: დაიბადა ბორჟოკში, დაბადების ადგილი, ჩანს, ყალბია, გრეგოროვიუსის განცხადების თანახმად პა-

რიზის პოლიციაში; ასეთი ვარაუდის საფუძველი დაცულია საცნობაროში).

დაბადების ადგილი, ქვეყანა: მისი დაბადების დროს ბორუოკი შედიოდა ავსტრო-უნგრეთის იმპერიაში. ცხადია, რომ წარმომშობით უნგრელია, მას კი უნდა, რომ დაგვაჯეროს, ვითომ ჩეხია.

წარმომშობის ადგილი, ქვეყანა: სავარაუდოდ დიდი ბრიტანეთი.

გრეგოროვიუსი დაბადებული უნდა იყოს გლაზგოში, მამა ალბათ მეზღვაური იყო, დედა — ხმელეთზე მცხოვრები. ამქვეყნად მის მოვლინებას იგი ალბათ უნდა უმადლოდეს გემის იძულებით შეყვონებას პორტში, დაჩქარებულ გადმოტვირთვადატვირთვას, Stout ale[234]—ს და მისს მარჯორი ბაბინგტონის, — მცხოვრები სტიუარტ სტრიტზე №22, — განსაკუთრებულ მიდრეკილებას ყოველგვარი უცხოურის მიმართ.

გრეგოროვიუსი დიდი სიამოვნებით გვიამბობს თავისი დაბადების თაღლითურ წინაისტორიას და თავისი დედების თავგადასავლებს, არც მათი სახელის გატეხვას ერიდება, (სიმთვრალის დროს მოყოლილს თუ დაფუჯერებთ, მას სამი დედა ჰყავდა), როცა მეტისმეტად თავისუფალი ზნეობის ქალებად ახასიათებს; ჰერცოგინია მაგდა რაზენსუილი, რომელსაც ყოველთვის ვისკის, ან კონიაკის მერე ახსენებს, თურმე ლესბოსელი ყოფილა და დაუწერია ფსევდო მეცნიერული ტრაქტატი Carezza—ს[235] შესახებ (თარგმნილია ოთხ უცხო ენაზე); მის ბაბინგტონს, რომელიც ჯინისგან შეიქმნა, თავისი ცხოვრება მალტაზე კახპად დაუსრულებია; მესამე დედა კი ნამდვილი პრობლემა გახდა ეტიენის, რონალდისა და ოლივიერასთვის, რომლებიც გახდნენ მისი გამოჩენის მოწმეები Beaujolais—ს, Côtes du Rhône—ს და Bourgogne Aligoté—ს[236] ზემოქმედების შედეგად; მას ხან გოლს ეძახიან, ხან ადგოლს, ხან მინტის, ზოგჯერ ჰერცეგოვინაში ცხოვრობს, ზოგჯერ ნეაპოლში, მოგზაურობს შეერთებულ შტატებში ვოდვეილის დასთან ერთად, იყო პირველი ქალი, ვინც სიგარეტს ეწეოდა ესპანეთში, ყიდიდა იებს ვენის ოპერის

შესასვლელთან, გამოიგონა ჩასახვის საწინააღმდეგო საშუალებები, კიდევ გარდაიცვალა ტიფით, მაგრამ მაინც ცოცხალია, თუმცა დაბრმავდა, ცხოვრობს უერთეში; ცარსკოე-სელოში გაიქცა მეფის მძღოლთან ერთად, ნაკიან წელიწადში აფორიაქებს თავისი ვაჟიშვილის სულს, ნერგავს ჰიდროთერაპიას, აქვს საეჭვო ურთიერთობა პონტუაზის ერთ მღვდელთან, გარდაიცვალა გრეგოროვიუსის დაბადების დროს, რომელიც გარდა ამ ყველაფრისა, არის კიდევ სანტოს დიუმონის შვილი. ამის შემსწრეებმა შეამჩნიეს ისიც, რომ გრეგოროვიუსის ამ თანმიმდევრულ თუ ერთდროულ ვარიანტებს მესამე დედის შესახებ, თან ახლავს გურჯიევის სახელიც, ვისზეც გრეგოროვიუსი ხან აღტაცებით საუბრობს, ხანაც სიძულვილით.

(-11)

66

მორელის მრავალმხრივობა — ერთი მხრივ თანაუგრძნობს ბუვარსა და პეკიუმეს, ამავე დროს ქმნის ლიტერატურულ ალმანახს (თან ამ დროს „ალმანახს“ უწოდებს მთელ თავის ნაშრომებს).

მას სურვილი აქვს დახატოს ზოგიერთი თავისი იდეა, მაგრამ ხატვა სულ არ ეხერხება. თუ რამ თავისი ჩანაწერების მინდორზე დაუხატავს, უვარგისზე უვარგისია. სპირალის რიტმული რხევის დაჟინებული გამეორება უმალ სანჩის სტუპას ამკობს.

მან დაამუშავა თავის დაუსრულებელი წიგნის, მრავალთაგან ერთი ფინალი და მაკეტიც კი შექმნა. ერთ გვერდზე მხოლოდ ერთი ფრაზაა: „გულის სიღრმეში მან იცოდა, რომ არ შეიძლება საზღვარს გასცდე, რამეთუ იქ არაფერია.“ ფრაზა მეორდება და მეორდება უსასრულოდ და ქმნის ერთგვარ კედელს. ვერ ნახავთ ვერც წერტილს, ვერც მძიმეს და ვერც აბზაცს. კედელი იქ-

მნება სიტყვებისგან, რაც გამოხატავს ფრაზის აზრს, თითქოს აწყდები ბარიერს, რომლის იქით არაფერი არ არის. თუმცა ქვემოთ და მარჯვნივ, ერთერთ ფრაზას აკლია სიტყვა 10[237], რაც ამ შემთხვევაში ნიშნავს „არაფერს“. მახვილი თვალი კი მაინც შეამჩნევს ჭუჭრუტანას აგურებს შორის, საიდანაც სინათლე შემოდის.

(-149)

67

მე ვიკრავ ფეხსაცმლის ზონრებს, ვარ კმაყოფილი, კიდევ ვუსტვენ და უცბად ვგრძნობ, რომ ვარ უბედური. ახლა ხომ მაინც მოგიგდე ხელში სევდავ, თუმცა კი ამას მანამდეც ვგრძნობდი, სანამ ჩემი გონება აღნუსხავდა და უსიამოვნო განაჩენს გამოგიტანდა; თითქოს ნაცრისფერი გადაიქცა ტკივილად, ტკივილად მუცელში; და თითქმის მაშინვე (მაგრამ ამის მერე, ამჯერად ვერ მომატყუებ) გონებაში დაიბადა აზრი და მას მოჰყვა ახსნაც: „ახლა ერთი დღე კიდევ უნდა იცხოვრო და ა. შ..“ აქედან თავისთავად გამომდინარეობდა:

„მე მომერია სევდა, იმიტომ, რომ და ა. შ.“

აზრები ქარზე უსწრაფესად მიჰქრიან, მაგრამ ქარი უპირატესია და ქვემოდან უბერავს (ქვემოდან ფიზიკური განსაზღვრებაა). საკმარისია ქარმა მიმართულება შეიცვალოს (თუმცა რა შეცვლის მის მიმართულებას?), რომ უმალ გაჩნდებიან ფერად-ფერადი აფრებით აღჭურვილი ილბლიანი პატარა ხომალდები. „ბოლოს და ბოლოს არ გვაქვს წუწუნის საბაბი, ჩე,“ და სხვა ასეთი.

გავიღვიძე თუ არა, დავინახე განთიადის შუქი უკვე ფანჯრებში იჭვრიტებოდა. ღამეული სიღრმეებიდან ისე გამოვდიოდი, ასე მეგონა საკუთარ თავს ვარწყევდი; ახალი დღის დადგომა

შიშს მგვრიდა, რადგან ვიცოდი ყველაფერი ისევ ისე გაგრძელდებოდა და იგივე მექანიკური გულგრილობით: იგივე შემეცნება, სინათლის შეგრძნება, თვალის გახელა, დარაბები, განთიადი.

ამ წუთში ძილ-ღვიძილში მყოფის ყოვლისმცოდნეობით ჩავუფიქრდი მთელ იმ საშინელებებს, ასე რომ აცვიფრებს და აღაფრთოვანებს რელიგიებს: კოსმოსის მარადიული სრულქმნა, დედამიწის დაუსრულებელი ბრუნვა თავისი ღერძის გარშემო. იძულების გაუსაძლისი შეგრძნება. მე ვალდებული ვარ ავიტანო მზის ამოსვლა ყოველდღე. ეს შემადრწუნებელია. ეს არაადამიანურია.

სანამ ძილი ისევ წამიღებდა, წარმოვიდგინე (დავინახე) სამყარო, პლასტიკური, ცვალებადი, სასწაულებრივი შემთხვევითობებით სავსე, ელასტიკური ცა, მზე, რომელიც შეიძლება კიდევ ამოვიდეს და კიდევ გაჩერდეს, შეიცვალოს ფორმა.

დაუოკებელმა სურვილმა შემიპყრო, რა იქნება თანავარსკვლავედის მთელი სისტემა ერთიანად დაიშალოს — ღვთიური მესაათის ტრასტის ეს საზიზღარი პროპაგანდა-მეთქი.

(-83)

68

როგორც კი გაითამებდა ნოემას და დაითრთელდოდა ლამტად, იმწამს ორნივე აიზლებოდნენ ანტანტებული განცამებისგან, მათ უამტალანზე თაშრაშებში განდალბებულნი. და კალმალულივით გადაბართილი ტილჩად და ბანდად მოდიოდა არებოლება. და გელობოდოდა, სტვროდა, ბუბებდა უასკარეს ლოემდე. მაგრამ ეს მხოლოდ დასაწყისი იყო, რადგან მან განთალა თალაშები და აზიდა გარაგუნი და შეიბერეჭნენ, განთარეშდნენ, გაზეტდნენ და უცებ გაილანათა, მატერიკები შეიბჭო, წვიმის

გლეში გაიზრთო და გაილონტა ერთ წარმოუდგენელ წამში. ევოე! ევოე! ანთრანასის მწვერვალზე ასულები, თავს გათანსულად, იოსად და ბადად გრძნობდნენ. აღდათი კანკალებდა, კამბამანი დაძლეული იყო, და ყველაფერი გაერთიანდა ერთ ერნადში, ოლანური გელსების სარდაშში, თითქმის გაბოროტებულ კარლანებში, რომლებიც მათი აიანდების ზღვარს აისდარბოდნენ.

(-9)

69

(“რენოვიგო”, №5)

კიდევ ერთი თვითმკვლელი

ერთი ძალზე სამძიმო იყო ცნობა „ორთოგრაფიკოში“ იმაზე რომა, 1 მარტის ამა წლისას სან-ლუის პოტოსაში მიცვალებულიყო პოტპოლკოვნიკი (პოლკოვნიკობამდე დაცინაურებული, რათგანაც უნდა გადამდგარიყო) ადოლფო აბილა სანჩესი). მძიმე სურპრისია, რათგანაც ჩვენ სულ არაფერი გაგვეგო მისი ავათმყოფობისა. სხვათა შორის, რომლიღაცა დროიდან მას ჩვენ ჩავრიცხამდით ჩვენი თავისმკვლელ მეგობრების რიგში და ისიც იყო, რომ „რენოვიგოში“ დაწერეს რაღაც შემჩნეული სიმფთომების შესახებ. მაგრამ აბილა სანჩესს არ გამოუყენებია რევოლვერი, როგორც ანტიკლერიკალ მწერალ გიიერმო დელორამ იხმარა, არც თოკი, როგორითაც ფრანგმა ესპერანტოს მცოთნე ეუხენიო ლანტიმ ქნა.

აბილა სანჩესი ყოველფრად და ღირსეულად იმსახურებდა პატივსაცემს, იყო წესივრად ჯარისკაცი, თავისი სამსახურით პატივს უკეთებდა არმიას ტეორიაშიც და ფრაქტიკაშიც. იგი

ფლობდა პატიოსნების მახალ გრცნობას, მონაცილეოფთა საბ-
რზოლო მოქმეთეფეფშიც.

მახალი კულთურის მქონე კაცი ასცავლიდა ახალქაზრდეფ-
საც და მომციფებულ მეცნიერებსაც. მოაზროვნეც გახლთათ და
ხშირად ცერდა გაზეთეფშიც და დაგვიტოვა გამოსაქვეხნებელი
თხზულეფეფი, მათ შორის „საკაზარმო მაკსიმები“. პოეტიც გახ-
ლთათ და ნაირნაირად თხზავდა ლექსებს სხვადასხვა ჟანრე-
ბით. ხელოვანიც იყო და ერთნაირად ოსთათურად ხმაროფთა
ფანქარსაც და კალამსაც. არაერთხელ გვჩუქნიდა თავისივე ნა-
თარგმნ თავის ნაცერებს ინგლისურათ, ესპერანტოზე და სხვა
ენეფზე.

მოკლეთ, აბილა სანჩესი მიიჩნეოდა მოქმედების და აზრის
კაცათ, მაღალ მორალურობისა და კულთურის ადამიანათ. ასე-
თია მისი არსებობის საცხისები.

მოთხრობის მეორე თავში, ეს კი ერთი არ არის, ძალზე ბუ-
ნებრივობით მერყევათ ხთიდა ფარდას მისივე კერძო ცხოვრე-
ფისას. ან შესაძლებელი იყო, რომ ასეთი საზოგადოებრივი მოხ-
ლვაცე, როგორიც აბილა სანჩესი იყო, რომ არ ჰქონებოდა კერ-
ძო ან პირადი ცხოვრება. ჩვენც ინტერესში ჩაგვაგდო იმით, რომ
დაგვენახა მისი მედლის მეორე მხარეც. ჩვენ, ბიოგრაფები და
ისტორიკოსები არ ვიქნებოთით მეტისმეტი ფაქიზები.

ჩვენ პირადათ ვიცნობდით აბილა სანჩესს ჟერ კიდევ 1936
ცლიდან ლინარესში, მერე მონტერეიშიც ვყოფილვართ მასთან
სახში და მისი ოჯახი აკვავებული და ბედნიერი გვეჩვენეფოთა.
წლების მერე, როცა ვისთუმრეთ მასთან სამორაში, სულ გან-
სხვავეფული შტაბენთილება შემოგვრჩა და მივხვთით, რომ მი-
სი კერია ინგრეოდა და ასეც მოხთა სულ რამდენიმე კვირაში.
ჟერ ხომ ცოლმა დათოვა და მერე შვილებმაც. მოგვიანებით სენ-
ლუფი-პოტოსაში ის შეხვთა სათნოებით სავსე ახალგაზრდა
ქალბატონს, რომელიც სიმპათიით განწყობილი გახთა მის მი-
მართ და თანხმობა უთხრა ცოლობაზე. ასე და ამგვარათ მან
ისევ შექმნა მეორე ოჯახი, რომელიც თავდადებული ემსახურე-
ბოდა და არც დასტოვებდა.

რაც აღმოაჩნთა პირველათ აბილა სანჩესს – გონებითი აშლილობა თუ ალკოჰოლიზმი? ჩვენ ამისა არაფერი გაგვიგია, მაგრამ ეს იყო თუ ის, ერთნაირათ დაუნგრია ცხორება და სიკვდილამდის მიიყვანა.

ბოლო დროის ცლებში იყო მძიმეთ ავადყოფი და ჩვენც შევითყვეთ, რომ უიმედოთ ჩავარდა, რომ ის თვითმკვლეელია და მიდიოდა გარდაუვალი დასასრულისქენ. ფატალისტი გახთეფი, როცა ასეთ ადამიანებს შეეჯახები, რომლებიც მიემართებიან მოახლოებული და თრაგიკული დასასრულისქენ.

განსვენებულს კი მომავალი ცხორებისა მაინც სჯეროდა და დაადასტურა ქიდეც, რომ ამაში იყო ბედნიერება, რისკენაც სხვადასხვანაირი გაგებით მიესწრაფება ყველა სულიერი არსება.

(-52)

70

„როდესაც მე ვიყავი პირვანდელ ყოფაში, დასაბამითგან, არ მყავდა ღმერთი...; მიყვარდა საკუთარი თავი და სხვა არაფერი; მე ვიყავი ის, ვინც მიყვარდა და მიყვარდა ის, რაც ვიყავი მე, და ვიყავი თავისუფალი ღმერთისგან და ყველაფრისგან... ამიტომაა, რომ ვევედრებით ღმერთს გაგვათავისუფლოს ღმერთისგან და ჩავწვდეთ ჭეშმარიტებას და დავტკბეთ მარადიულად ამით იქ, სადაც უზენაესი ანგელოზები, ქინქლა და სული ერთნი არიან, იქ, სადაც ვიყავი და სადაც მიყვარდა ის, რაც ვიყავი და ვიყავი ის, რაც მიყვარდა...” მაისტერ ეკჰარდტი, ქადაგება „*Beati pauperes spiritu*”[238].

(-147)

მორელიანა

მაინც რას ნიშნავს არსებითად ეს ისტორია ათასწლეულ სამყაროთა, ედემის, სხვა, მიღმა ცხოვრების ძიება? ყველაფერი, რაც კი ჩვენს დროში იწერება და რისი წაკითხვაც ღირს, ამ ნოსტალგიაზეა დაფუძნებული. არკადიის კომპლექსი, დაბრუნება დიდებულ წიაღში, Back to Adam, le bon sauvage[239]. დაკარგული სამოთხე, დაკარგული, რომ მე ვეძებო, მე, სინათლეს მოკლებული სამარადუამოდ... არ მასვენებს ფიქრი კუნძულებზე (იხ. მუზილი), ან გურუზე (თუკი გვექნება ფული ავიაბილეთისთვის პარიზი – ბომბეი), ან უბრალოდ ვსხედვართ, ვსვამთ ყავას და ვიყურებით აქეთ-იქით და ყავის ფინჯანიც აღარ არის ყავის ფინჯანი. ის არის მოწმე იმ უზომო სისულელეებისა, რომელშიც ჩვენ, ყველა ვართ

ჩაფლული, ანდა როგორ დავიჯეროთ, რომ ეს მხოლოდ და მხოლოდ ყავის ფინჯანია, როცა ერთი ყველაზე უნიჭო ჟურნალისტი, რომელსაც დაავალეს გასაგებად აეხსნა ჩვენთვის, თუ რა არის კვანტი ან ვინ არიან პლანკი და ჰაინზენბერგი, ტყავში ძვრება, რომ სამ სვეტში დაგვიმტკიცოს, თითქოს ყველაფერი ირგვლივ ძიგძიგებს და ცახცახებს, როგორც კატა ნახტომისთვის რომ ემზადება, ისე ვემზადებით როდის მოხდება წყალბადისა თუ კობალტის ის უზომო ნახტომი და ჩვენც ყველანი გავფშიკავთ ფეხებს... უხეში გამოთქმაა, მართალი გითხრათ.

ყავის ფინჯანი თეთრია, კეთილი ველური – შავკანიანი, პლანკი – გამოავნებელი გერმანელი. ამ ყველაფრის უკან (მუდამ რაღაც არის რაღაცის უკან, ნუ შევედავებით, ეს არის თანამედროვე აზროვნების გასაღები) სამოთხე, სხვა სამყაროა, შებღალული უბიწოება, მოთქმა-ტირილით ბრმად რომ ეძებენ, ურკალიას მიწა. რაც უნდა ვთქვათ, ყველა ამას ეძებს, ყველას უნდა შეაღოს კარი, შევიდეს და გაერთოს. და არა ედემის გულისთვის, არა იმდენად თვითონ ედემისთვის, არამედ იმისთვის

მხოლოდ და მხოლოდ, რომ უკან დარჩეს რეაქტიული თვით-მფრინავები, ნიკიტასა თუ დუაიტის სიფათები, ან შარლისა და ფრანსისკოსი, არ გაგაღვიძოს ზარმა, არ დაგვჭირდეს თერმომეტრი და კოტოშები, კინწისკვრით არ გაგვყარონ პენსიაზე (მთელი ორმოცი წელი იმიტომ დავიჟეჟეთ და დავიკორძეთ უკანალი, რომ ბოლოს ასე აღარ გვტკენოდა, პანდური, ფეხსაცმლის წვერი მაინც მწარედ გვხვდება ყველას, საცოდავ მოლარესაც, ლეიტენანტსაც, ლიტერატურის პროფესორსაც და მედდასაც), ერთი სიტყვით, ჰომო საპიენსი იმიტომ კი არ ეძებს კარებს, რომ ათასწლეულ სამყაროში შევიდეს (თუმცა ამაში არაფერია ცუდი, მართლაც არაფერი), არამედ იმიტომ რომ გამოიხუროს კარები ზურგს უკან და ძალღვივით მოიქნოს კუდი, რომ იცოდეს ამ ძალღურ ცხოვრებაში მიღებული ის პანდური კარს იქით დარჩა და ფეხსაცმლის წვერი მარტო კარებს ხვდება გარედან, შენ კი შეგიძლია შევებით ამოისუნთქო, წელში გასწორდე, მხრები გაშალო, გახვიდე ბაღში, უყურო ყვავილებს, დაჯდე და უმზირო ღრუბლებს გინდა ხუთი ათასი წელი და გინდაც ოცი ათასი, თუკი ასეთი რამ შეიძლება, არავინ გაგიბრაზდება, შეგიძლია დარჩე ბაღში, დარჩი და უყურე რამდენიც გინდა ამ ყვავილებს.

ხანდახან მათ ლეგიონებში, ვისაც არ შეუძლია დაიცვას თავი პანდურისგან, როგორც უნდა ეცადოს, ისეთებიც მოიძებნებიან, რომელთაც არა მარტო კარების დაკეტვა უნდათ პანდურებისგან თავის დასაცავად, ყველა ტრადიციულ სამ განზომილებაში, რომ არაფერი ვთქვათ მათზე, ვინც საღი აზრის კატეგორიებითა და დამპალი თვითკმარი პრინციპებით ვხელმძღვანელობთ, თუ სხვა ათასგვარი უმსგავსობებით, არამედ ამის გარდა, ამ სუბიექტებს, სხვა გიჟებთან ერთად, სჯერათ, რომ ჩვენ არა ვართ ამ სამყაროში, თითქოს ჩვენმა გოლიათმა მამებმა მიგვიშვეს დინების საწინააღმდეგოდ და იქიდან უნდა გამოვალწიოთ, თუ არ გვინდა ჩვენი ცხოვრება დავასრულოთ ცხენის ქანდაკებით ან სამაგალითო პაპასავით, შვილიშვილებს მისაბაძად რომ უხსენებენ და რომ ჯერ ყველაფერი არ დაკარგულა, სანამ გვყოფნის გამბედაობა, რომ განვაცხადოთ ყველაფერი დაკარგულიაო და რომ ყველაფერი თავიდან უნდა დავიწყოთო, როგორც იმ ცნო-

ბილმა მუშებმა, რომლებმაც 1907 წელს, აგვისტოს ერთ დილას გაიგეს, რომ თურმე მონტე ბრასკოს გვირაბს სწორი მიმართულება არ ჰქონდა და რომ ისინი თხუთმეტი მეტრით ასცდნოდნენ შემხვედრ გვირაბს, რომელიც დუბლივნიდან გაჰყავდათ იუგოსლაველ მუშებს, მერედა რა ქნეს იმ სახელოვანმა მუშებმა? იმ სახელოვანმა მუშებმა დატოვეს ის გვირაბი, მერე ავიდნენ ზევით, რამდენიმე დღე და ღამე ისხდნენ პიემონტის ტავერნებში, ყველაფერი კარგად აწონ-დაწონეს და საკუთარი რისკით დაიწყეს თხრა ბრასკოს სხვა ნაწილში, იუგოსლაველ მუშებზე არც კი უფიქრიათ, თხრიდნენ მთელი ოთხი თვე და ხუთი დღე, სანამ თავი არ ამოყვეს დუბლივნის სამხრეთ ნაწილში, რითიც საკმაოდ გააოცეს სკოლის პენსიონერი მასწავლებელი, როცა მან დაინახა როგორ ამოდოდნენ ისინი მისი სახლის გვერდით, პირდაპირ სააბაზანოსთან. შესაშური მაგალითია, რომლისთვისაც უნდა მიებაძათ დუბლივნელ მუშებსაც (თუმცა, უნდა ითქვას, რომ ამ შესანიშნავ მუშებს არავისთვის უცნობებიან თავიანთი განზრახვა), ჯიუტად კი არ უნდა გაეგრძელებინათ თხრა არარსებულ გვირაბთან შესაერთებლად, რასაც ვინ იცის, რამდენი პოეტი სჩადის, გვიან ღამით ღამის წელამდე რომ გადმოეყუდებიან ხოლმე ფანჯრიდან.

ვინმეს ეგებ გაეცინოს და იფიქროს, რომ ასეთი საუბარი სერიოზული არ არისო, მაგრამ სერიოზულია, ასეთმა სიცილმა ამ მიწაზე უფრო მეტი სასარგებლო გვირაბი გაიყვანა, ვიდრე ცრემლებმა, თუმცა ყოყლოჩინა, ჯიუტი კუდაბზიკები ამას არ დაეთანხმებიან, რადგან სჯერათ, რომ მელპომენე გაცილებით ნაყოფიერია, ვიდრე დედოფალი მები. ეს კი ერთხელ და სამუდამოდ უნდა გავიგოთ და არ დავეთანხმოთ. უთუოდ არის ერთი გამოსასვლელი და ეს გამოსასვლელი უნდა იყოს შესასვლელი. ალბათ არის ათასწლიანი სამეფო, მაგრამ თუ მტრის ტყვიებს გაექეცი, ციხე-სიმაგრეს ვერ აიღებ. ეს ჩვენი საუკუნე დღემდე გაურბის უამრავ რამეს, ეძებს კარებს და ზოგჯერ კიდევ გამოანგრევს ხოლმე. მერე რა ხდება, არავინ იცის, ეგებ ვინმემ კი დაინახა, მაგრამ დაიღუპნენ ერთნი, მალე დავიწყების წყვდიადმა შთანთქა, სხვებმა გაქცევით უშველეს თავს და პატარა ადგილ-

მამულითა და პატარა სახლით, მეცნიერული თუ ლიტერატურული საქმიანობით, ტურიზმითაც დაკმაყოფილდნენ.

გაქცევა იგეგმება, მისი ტექნოლოგიები და გაანგარიშებები არსებობს, მისი მოდულორები და ნეილონის წესებიც. არიან ისეთი უგუნურებიც, რომლებსაც ისევ სჯერათ, ვითომ თრობაა ერთ-ერთი საშუალება, ანდა ნარკოტიკი, ან ჰომოსექსუალობა, ნებისმიერი რამ შეიძლება იყოს კარგიც და ცუდიც თავისთავად, თუმცა სისულელე იქნება მისი ქება როგორც სისტემისა, ანდა სასუფეველის გასაღებისა. ეგებ არსებობდეს კიდევ ამ სამყაროს შიგნით სხვა სამყაროც, მაგრამ ჩვენ მას ვერ ვიპოვით, თუ მისი სილუეტს შევასწორ-შემოვასწორებთ ჩვენი დღეებისა და ცხოვრების ზღაპრულად უთავბოლო დახვავებით, ჩვენ მას ვერ ვნახავთ ვერც ატროფირებულ და ვერც ჰიპერტროფული ფორმით. ეს სამყარო არ არსებობს, ის უნდა შეიქმნას როგორც ფენიქსი. ეს სამყარო არსებობს ამ სამყაროში, ისევე როგორც არსებობს წყალი ჟანგბადში და წყალბადში, ანდა როგორც „ესპანური ენის აკადემიური ლექსიკონის“ 78, 457, 3, 271, 688, 75 და 456 გვერდებზე არის ყველა აუცილებელი რამ გარსილასოს რომელიმე თერთმეტმარცვლიანი სტროფის დასაწერად.

ვთქვათ, რომ სამყარო არის ერთგვარი ფიგურა, რომელიც უნდა წაიკითხო. წაკითხვის მერე შეიძლება გავიგოთ როგორ განვამზოგალოთ.

ვისთვის აქვს მნიშვნელობა ლექსიკონს როგორც თავისთავად ლექსიკონს? თუკი რთული ალქიმიური რეაქციების, ოსმოსის შენარევების შედეგად წარმოიქმნება ბეატრიჩე მდინარის ნაპირზე, შესაძლებელია თუ არა, ვივარაუდოთ, რომ მისგანაც შესაძლებელია სასწაულებრივად დაიბადოს რაღაც? რა უსარგებლოა ვაცის გარჯა თავისთავს რომ ილამაზებს, გონების დაკარგვამდე იმეორებს თავის ორკვირიან განრიგს – ერთი და იგივე ჭამა-სმა, ერთი და იგივე საქმე, ერთი და იგივე გაზეთის ყიდვა, ერთი და იგივე პრინციპები იმავე ვითარებაში. ეგებ კიდევ არსებობს ათასწლოვანი სამყარო, მაგრამ როდისმე იქ რომ აღმოვჩნდებოდეთ და გავხდებოდეთ ის, მაშინ აღარც ასე ეწოდებოდა. თუნდაც არ წავართვათ დროს ისტორიის მათრახი,

თუნდაც არ მოვიშოროთ ყოველგვარი „ც“—ც კი, ჩვენ ისე აღვიქვამთ სილამაზეს, როგორც მიზანს და მშვიდობას დედამიწაზე, როგორც desideratum—ს[240] და ყოველთვის კარს აქეთა მხარეს დავრჩებით, სადაც სინამდვილეში ყოველთვის არ არის ცუდი, სადაც ძალიან ბევრი ადამიანი ცხოვრებას სრულიად დამაკმაყოფილებლად მიიჩნევს, სუნამოს — მოსაწონად, ხელფასს — საკმარისად, ლიტერატურას — მაღალმხატვრულად, ხმას — სტერეოფონურად, ხოლო რაკი ასეა, მაშინ აღარაფერი უნდა იყოს ასაღელვებელი, და რაკი ეს სამყარო ალბათ სასრულია, ხოლო ისტორია უახლოვდება თავის ოპტიმალურ წერტილს, ადამიანთა მოდგმა შუა საუკუნეებიდან შედის კიბერნეტიკის ერაში. *Tout va très bien, madame la Marquise, tout va très bien, tout va très bien.*[241] მართლაც უნდა იყო იდიოტი, უნდა იყო პოეტი, ცაში უნდა დაფრინავდე, (ვალენსიის მთვარეზე უნდა იყო), რომ ხუთ წუთზე მეტი დაკარგო ამ ნოსტალგიებზე, რაც შეიძლება სრულიად გაანადგურო ერთ წუთში. საერთაშორისო ფირმების მმართველთა ყოველი შეხვედრა, მეცნიერთა, ყოველი ახალი ხელოვნური თანამგზავრი, ჰორმონი თუ ატომური რეაქტორი ნელ-ნელა ანადგურებს ამ ყალბ იმედებს. თვით სამეფოც ალბათ პლასტიკური მასალისაა და საქმე ის კი არ არის, რომ სამყარო გადაიქცევა ორუელისეულ, ან ჰაქსლისეულ კომმარად, გაცილებით უარესი მოხდება, ეს იქნება საოცრებათა სამყარო, მის ბინადართა შესატყვისი, არ იქნება არანაირი მწერი, არც ერთი უვიცი, ქათმები უზარმაზარი და ალბათ თვრამეტფეხებიანი იქნებიან, ყველაფერი განსაკუთრებული, აბაზანები — ტელესამართავით, წყალი — სხვადასხვა ფერის, კვირის დღეების მიხედვით, ჰიგიენის ეროვნული სამსახურის ფრთხილი მზრუნველობის დონეზე, ყოველ ოთახში იქნება ტელევიზორი, მაგალითად, ტროპიკული პეიზაჟები რეიკიავიკის მცხოვრებთათვის, იგლუს გამოსახულებები ჰავანელებისთვის, ემმაკური კომპენსაციები უკმაყოფილოთა დასაშოშმინებლად.

და ა. შ.

ერთი სიტყვით, სრულიად დამაკმაყოფილებელი სამყარო გონიერი ადამიანებისთვის.

დარჩება კი იქ თუნდაც ერთი უგუნური?

სადმე, რომელიმე, ყველასგან დავიწყებულ კუთხეში მაინც დარჩება დავიწყებული სამეფოს კვალი. და ნებისმიერი ძალადობრივი სიკვდილი იქნება სასჯელი იმ სამეფოს გახსენებისთვის. სიცილსა თუ ცრემლში მაინც გაცოცხლდება ის სამეფო. შეუძლებელია, ადამიანმა მოკლას ადამიანი და ისე წავიდეს ამ ცხოვრებიდან. იგი განერიდება ამას — ჩაეჭიდება ელექტრომანქანისა თუ ვარსკვლავეთის რაკეტის საჭეს, განზე გახტება და რაც იქნება იქნება. შეიძლება ყველაფრის ჩაკვლა, ოღონდ არა ნოსტალგიისა სამეფოსადმი, ჩვენ მას ვატარებთ ჩვენი თვალუბის ფერში, ყოველ სიყვარულში, ყველაფერში, რაც აფორიაქებს ჩვენს სულს, რაც გვათავისუფლებს ხუნდებისგან და რაც გვატყუებს. Wishful thinking[242], თუ გნებავთ; თუმცა ეს ორფენა უფროსს კიდევ ერთი შესაძლებელი განსაზღვრებაა.

(-5)

72

— კარგია რომ შინ მოხვედი, საყვარელო, რაკი ასე დაიღალე.

— There's not a place like home[243], — თქვა ოლივეირამ.

— დალიე კიდევ ცოტა მატე, ახლახან მოვადულე.

— თვალებს რომ ვხუჭავ, უფრო მაგარი მეჩვენება, საოცარია.

კარგი იქნება, თუ მადროვებ, ცოტა წავიძინო, შენ კი ამასობაში რამე ჟურნალი წაიკითხე.

— ჰო, საყვარელო, — უთხრა ხეკრეპტენმა, ცრემლები მოიწმინდა და „Idilio“—ს ძებნა მართო ხათრით დაიწყო, თორემ იცო-

და, რომ ვერ წაიკითხავდა.

— ხეკრეპტენ.

— ჰო, საყვარელო.

— ნუ გეწყინება, ბებერო.

— რა თქმა უნდა, არც მწყინს ძვირფასო, მოიცადე, ახლა კომპრესს გამოგიცვლი, უფრო ცივს დაგადებ.

— მე მალე ავდგები და აღმაგროსკენაც გავისეირნებთ. იქნება რამე ფერადი მუსიკალური ფილმი გადიოდეს.

— ხვალ, კარგი, საყვარელო, ახლა ჯობია დაისვენო. როგორი სახე გქონდა, როცა მოხვედი...

— ასეთია ჩემი სამუშაო, რას იზამ. შენ ნუ სწუხარ. აბა მოუსმინე როგორ მღერის „ასი პესო“, ქვევით.

— ეტყობა, აჭმევენ იმ ღვთის გლახას, — თქვა ხეკრეპტენმა, — და ისიც ამისთვის უხდის მადლობას.

— მადლობას უხდის, — გაიმეორა ოლივეირამ, — აბა როგორ უნდა გადაუხადოს მადლობა იმას, ვინც გალიაში გამოამწყვდია?

— ცხოველებს ხომ ეს არ ესმით.

— ცხოველებს, — გაიმეორა ოლივეირამ.

(-77)

კარგი, მაგრამ ვინ გვიხსნის ჩვენ ცეცხლისგან, ამ ყრუ, უფერო ცეცხლისგან, საღამოხანს იუშეტის ქუჩაზე რომ გამოვარდება დროისგან მოღვრებული სადარბაზოებიდან და დერეფნებიდან, ცეცხლისგან, რომელსაც არ გააჩნია სახე, ლოკავს ქვებს, მიძვრება კარების ღრიტოებში, რა ვქნათ, როგორ ჩამოვირეცხოთ ეს საამო დამწვრობა არაფერი რომ არ შველის, არ გვტოვებს, შეერთვის დროსა და მოგონებებს, ყველაფერს, რაც კი გარს გვაკრავს და გვაკავებს აქ, რაც გვტკივა და საამოდ გიბგიბებს ჩვენში იქამდე, სანამ სულ არ გავქვავდებით. მაშ თუ ასეა, ეგებ ჯობია მოვრიგდეთ ერთმანეთში ისე, კატებმა და ბუზებმა რომ იციან, სასწრაფოდ დავუშეგობრდეთ იმ ხრინწიან მეკარეებს, ფერდაკარგულ, გატანჯულ არსებებს, ფანჯრებთან რომ დაყუდებულან და გამხმარი ტოტებით ერთობიან. და ვიწვოდეთ ასე სულმოუთქმელად, ვითმინოთ წვა-დაგვა, შიგნით რომ გვეწყება და ისე იზრდება და მოიწევს, ვითარცა ნაყოფი მომწიფებული, გავხდეთ ამ კოცონის პულსი, დაუსრულებლად რომ გიბგიბებს ქვების ამ ბარდებში და ვიხეტილოთ ჩვენი ცხოვრების დამეებში სისხლის დაყუჩებულ, ბრმა დინებას მინდობილები.

რამდენჯერ მიკითხავს საკუთარი თავისთვის, ეს ნაწერიც ამაოდ ხომ არ ჩაივლის-მეთქი ამ დროში, როცა თავს ვიტყუებთ და აქეთიქით ვაწყდებით, უნაკლოდ სწორ განტოლებებსა და კონფორმიზმის მანქანებს შორის. თუმცა ჩვენ თავს რომ ვკითხოთ, შეგვიძლია გავთავისუფლდეთ ჩვევებისგან, თუ მივინდოთ და დავნებდეთ მხიარულ კიბერნეტიკას, განა ეს ისევ ლიტერატურა არ არის? ამბოხი, კონფორმიზმი, შიში, მიწიერი საზრდო, მთელი ეს დიქტომიები: ინი და იანი, ჭვრეტა თუ Tätigkeit[244], შვრიის ბურბუშელა თუ კაკაბი faisandées[245], ლასკო თუ მატეი. რა სიტყვების თამაშია, რა ჯიბის დიალექტიკა, პიჟამაში ქარიშხალი და კატაკლიზმები living room—ში[246].

მარტო ის, რომ შენ საკუთარ თავს ეკითხები არჩევის შესაძლებლობაზე, უკვე არჩეულის შებღალვა და ამღვრევაა. ჰო თუ არა, ეს თუ ის, იქნება თუ არ იქნება... ასე მგონია, არჩევანში არ შეიძლება იყოს დიალექტიკა, საკითხის ასე დასმა აღარ იბებს მასვე, როგორც იტყვიან, აყალბებს, ანუ სრულად გადაასხვავფ-

რებს. ინსა და იანს შორის რამდენი ეონია, ჰო-სა და არა-ს შორის რამდენია „ვინ იცის?“ ეს ყველაფერი მწერლობაა, ანუ ზღაპარია. მაგრამ რა ხეირია სიმართლეში, ეს ხომ მართო პატიოსან მესაკუთრეს დაამშვიდებს? ჩვენი შესაძლო სიმართლე უნდა იყოს გამონაგონი, ანუ *escritura, literatura, pintura, escultura, agricultura, pscicultura*, [247] ერთი სიტყვით, ყოველგვარი *tura*, რაც კი ამ ქვეყნად არსებობს. ყველაფერი ღირებული არის *tura*, წმინდანობა – *tura*, საზოგადოება – *tura*, სიყვარული – წმინდა წყლის *tura*, სილამაზე – *tura*—თა შორის *tura*. ერთ თავის წიგნში მორელი გვიამბობს ერთ ნეაპოლელებზე, რომელიც რამდენიმე წელი იჯდა თავისი სახლის კარებთან და უყურებდა ხრახნს იატაკზე რომ ეგდო. ღამლამობით აიღებდა და ლეიბის ქვეშ დაიდებდა ხოლმე.

პირველად ეს ხრახნი ღიმილს იწვევდა, მერე დაცინვას, საერთო გაღიზიანებას, მეზობლების გაერთიანებას, რაც იმას ნიშნავდა, რომ ირღვეოდა მოქალაქეთა მოვალეობები, ბოლოს კი მხოლოდ მხრებს იჩინავდნენ და გრძნობდნენ სიმშვიდეს, ხრახნმა მოიტანა მშვიდობა, ვერავინ ჩაივლიდა ქუჩაზე ისე, რომ არ გაეხედა ხრახნისკენ და არ ეგრძნო, რომ ხრახნი იყო მშვიდობა. ერთ დღესაც ამ ტიპმა გონება დაკარგა და მოულოდნელად მოკვდა; მეზობლები რომ მივიდნენ, ნახეს, რომ ხრახნი გამქრალიყო. ერთმა მათგანმა, ალბათ მაინც მიაგნო და შეინახა, ხანდახან ამოიღებდა ჯიბიდან და დახედავდა, როცა ფაბრიკაში მიდიოდა რალაცნაირ სინდისის ქენჯნას კი გრძნობდა, მაგრამ ვერ მიმხვდარიყო, რატომ. მაშინ მშვიდდებოდა, როცა ხრახნს დახედავდა, უყურებდა იქამდე, სანამ ფეხის ხმას არ გაიგონებდა, მაშინ სასწრაფოდ შეინახავდა ხოლმე. მორელის მიაჩნდა, რომ ის ხრახნი, ხრახნი კი არა, რალაც სხვა რამე იყო, ღმერთი თუ რალაც სხვა. მეტისმეტად მარტივი გადაწყვეტილება. ვინ იცის, შეცდომა იმაში მდგომარეობდა, რომ ეს ნივთი ხრახნი ეგონათ იმიტომ, რომ ხრახნის ფორმა ჰქონდა. პიკასოც ასე იღებს ხოლმე სათამაშო ავტომობილს და გადააქცევს კინოკეფალის ყბად. შეიძლება ის ნეაპოლელი იდიოტიც იყო, ან არადა სულაც სხვა სამყაროს გამომგონებელიც კი. ხრახნიდან თვალისკენ, თვალისგან ვარსკვლავისკენ...

რატომ დავნებდეთ მაინც და მაინც დიდ ჩვევას? შეგვიძლია ავირჩიოთ tura, გამოგონება, ან ხრახნი, თუ სათამაშო ავტომობილი. ასეა პარიზიც, ასევე გვანგრევს ნელ-ნელა, გვშლის და გვფშვნის დამჭუნარ ყვავილებში, ღვინით დალაქულ ქალაქის სუფრებში, გვწვავს თავის უფერო ცეცხლში, ღამღამობით რომ გამოვარდება ხოლმე ჩამონგრეული სადარბაზოებიდან. ჩვენ გვწვავს გამოგონილი ცეცხლი, გავარვარებული, tura, ადამიანის მოდგმის რაღაც მონაჩმახი, ქალაქი, რომელიც არის დიდი ხრახნი, საშინელი ნემსი, რომლის ყუნწიდან, როგორც ღამეული თვალიდან გამოდის ძაფის ენა, წამების იარაღი, ვითარცა მაქმანი, გალიაში გამომწყვდეული მერცხლების აგონია. ჩვენ ვიწვებით ჩვენივე ნამოქმედარში, ჩვენივე საზღაპრო მომაკვდინებელ დიდებაში და ეს ამაყი გამოწვევაა ფენიქსისა. ვერავინ გვიხსნის, ყრუ, უფერო ცეცხლისგან, ღამით რომ გამოვარდება იუშეტის ქუჩაზე. განუკურნებელნი, სრულიად განუკურნებელნი, ვირჩევთ tura—სთვის დიდ ხრახნს, ქედს ვიხრით მის წინაშე, შევდივართ მასში, ყოველდღე თავიდან გვინდა გამოვიგონოთ სუფრაზე ყოველ ლაქაში, ყოველ კოცნაში განთიადისას კურ დე როანთან, ჩვენ თვითონ ვართ ამ ხანძრის გამომგონებლები, რომელიც ჯერ ჩვენში ინთება, მერე ერთიანად მოგვიცავს, ერთიანად მოგვეკიდება, ვინ იცის, ეს არის კიდევ ჩვენი არჩევანი, ვინ იცის, ჩვენ ვახვევთ მას სიტყვებში, როგორც პურს ხელსახოცში და შიგნით რჩება რბილი პურის გულის სურნელება, ჰო არას გარეშე და არა ჰოს გარეშე, დღე მანების გარეშე, ორმუბდის ან არიმანის გარეშე, ერთხელ და სამუდამოდ; მშვიდად და მორჩა.

(-1)

მორელის თვალთახედვით, ნონკონფორმისტი — აღნუსხულია ქალაქის ფურცელზე, რომელიც ქინძისთავითაა მიკრუ-

ლი სამრეცხაოს ანგარიშზე — „აღიარებს ქვაფენილს და კენტავრის თანავარსკვლავედ ბეტას, რაკი ერთი არ იძვრის, მეორე მიუწვდომელია.“

ეს კაცი მოძრაობს მხოლოდ ყველაზე დაბალ და ყველაზე მაღალ სიჩქარეებში, განზრახ არიდებს თავს საშუალოს, ანუ ადამიანის სულიერი აგლომერაციის ჩვეულებრივი დინების ზონას. რაკი უძლურია შეცვალოს ვითარება, ცდილობს ზურგი აქციოს მას; რაკი არ გააჩნია იმის უნარი, რომ შეუერთდეს მათ, ვინც იბრძვის მათ გასანადგურებლად, და ჰგონია, თითქოს ამ ლიკვიდაციას მოჰყვება არანაკლებ უსამართლო და გაუსაძლისი მდგომარეობა, ამიტომ ამჯობინებს განზე დგომას და უხერხულად აიჩინს მხრებს. მისი მეგობრებისთვის ის საქმე, რომელშიც იგი ეძებს სიამოვნებას, რაღაც წვრილმანებში, ბავშვურ გართობაში, ძაფის ნაწყვეტები იქნება თუ სტენ გეცის სოლო, ნიშნავს სამწუხარო სულიერ გაღარიბებას; მათ ვერ გაუგიათ, რომ არის სხვა ნაპირიც, მიახლოება რაღაც მყართან, რომელიც, რაც უფრო უახლოვდები, უფრო გშორდება, იშლება და იმალება, მაგრამ მისი დევნა არც ამ ადამიანის სიკვდილთან ერთად მთავრდება, რამეთუ მისი სიკვდილი არ იქნება შუალედური ზონის სიხშირის სიკვდილი, რაც ყურისთვისაც მისაწვდომია, რომელსაც შესწევს უნარი მოისმინოს ზიგფრიდის სამგლოვიარო მარში.”

ეგებ ამ ეგზალტირებული ტონის გამოსწორების მიზნით იყო იმ გაყვითლებულ ქალაქდზე ფანქრით წაჩხაპნილი: „ქვაფენილი და ვარსკვლავი: აბსურდული წარმოსახვა. თუმცა იმ ქვის წვდომა მიგვაახლოვებდა კიდევ გადასასვლელთან; ხელსა და იმ ქვას შორის თრთის დროის მიღმური აკორდი. მანათობელი... (სიტყვა გაურკვეველია)... ისევე როგორც კენტავრის თანავარსკვლავედში ბეტა; სახელები და სიდიდეები უკან იხევენ, იშლებიან, აღარ არიან ისეთები, როგორებიც მეცნიერების აზრით უნდა იყვნენ. და გადაიქცევიან იმად, რაც არიან წმინდა სახით (რა? რად?); ხელად, რომელიც ცახცახებს და უჭირავს გამჭვირვალე ქვა, რაც ასევე ცახცახებს.“ (უფრო ქვემოთ, მეღნით მინა-

წერი: „პანთეიზმზე ლაპარაკი არ არის, ამ საამო ილუზიაზე, მაღლა, ცაში დაცემაზე, რომელიც ანთია ზღვის ნაპირზე“).

სხვა ადგილზე განმარტებულია: „დაბალ და მაღალ სიხშირეებზე ლაპარაკი იმას ნიშნავს, რომ კიდევ ერთხელ დავუთმოთ *idola fori*–ის[248] და სამეცნიერო ენას, დასავლეთის ილუზიას. ჩემი ნონკონფორმისტისთვის ფრანის გაკეთება გასართობად და მერე მისი გაშვება იქ შეკრებილი ბავშვების გასახარებლად, არცთუ ცოტას ნიშნავს, (დაბალ-მაღალთან მიმართებით, ცოტა-ბევრთან მიმართებით და ა.შ.) თუ არა თანხვედრას ცალკეული წმინდა ელემენტებისა და აქედან წარმოიქმნება წამიერი ჰარმონია, კმაყოფილება, რაც ხელს უწყობს დანარჩენის გაძლებას. სწორედ ასევე გაუცხოების წუთები, ბედნიერი განშორება, რაც მას ერთბაშად ჩამოაცილებს იმას, რაც შეიძლებოდა ყოფილიყო მისთვის სამოთხე, აღარ წარმოადგენს უფრო მაღალ გამოცდილებას, ვიდრე ქალაქის ფრანი; ეს არის ერთგვარი დასასრული, თუმცა არც ზედა და არც მიღმა. ეს არც დასასრულია დროის მნიშვნელობით, მაგრამ არის მიახლოება რაღაცასთან, რაც მთავრდება გამამდიდრებელი ჩამოცილებით; ამის გაგება მაშინ შეიძლება, როცა ბიხარ ტუალეტში და ყველაზე უფრო მაშინ, როცა ქალთან წევხარ, ანდა კვამლის ღრუბლებში გახვეული ჩვეულებისამებრ კითხულობ კვირის გაზეთებს, ნაკლებად რომ ფასდება კლიშეების კულტის გამო.“

„ყოველდღიურობის თვალსაზრისით ჩემი ნონკონფორმისტის მოქმედება გამოიხატება ყველაფრის უარყოფაში, იქნება ეს მიღებული და აღიარებული აზრი, ტრადიცია, ჩვეულებრივი სტრუქტურა, რაც დაფუძნებულია შიშზე, თუ ვითომ დაგმობილ ურთიერთგამორჩენაზე. სრულიად ძალდაუტანებლად შეეძლო მას გამხდარიყო რობინზონი. ის არ არის მიზანთროპი, მაგრამ მართლ იმ მხარეს აღიარებს კაცებშიც და ქალებშიც, რასაც არ შეეხო სოციალური ზედნაშენი:

თვითონ მას ნახევარი სხეული ყალიბში აქვს და ეს თვითონაც იცის, თუმცა ეს ცოდნა არის აქტიური და არა მორჩილი, რომ ხელფეხს უბორკავდეს. თავისუფალი ხელით დღეში რამდენჯერმე სილას ირტყამს სახეში და თავისუფალ წუთებში კი —

სხვა დანარჩენებსაც ულაწუნებს, არც ისინი აკლებენ და სამჯერ მეტს ურტყამენ საპასუხოდ. სულ ამ დღეშია და ამიტომ გაეხვევა ხოლმე ათასგვარ ხათაბალაში, რომელშიც ასევე ჩარეულები არიან საყვარლები, მეგობრები, კრედიტორები და მოხელეები, მაგრამ იმ მცირეოდენ თავისუფალ დროს, რაც რჩება, იგი ისე იყენებს, რომ ყველას აცვიფრებს, რაც ყოველთვის მთავრდება პატარ-პატარა სასაცილო კატასტროფებით, მას თვითონ და მის რეალურ ამბიციებსაც რომ შეეფერება; სხვა უფრო საიდუმლო და სხვისთვის უხილავი თავისუფლება, მხოლოდ (ესეც თითქმის ძლივს) თავისას შვრება, მაგრამ მხოლოდ მას ერთს თუ შეუძლია ამ თამაშის აზრს ჩასწვდეს.”

(-6)

75

რა ლამაზი იყო ძველი დრო, რა კარგად გრძნობდი ადამიანი თავს ცხოვრების იმ დიდებულ გარემოში, როდესაც არსებობის სრული უფლება ჰქონდა სონეტებს, მნათობებთან დიალოგს, ფიქრს ბუენოს აირესის ღამეში, გოეთესეულ მყუდროებას, საუბრებს კაფე „კოლუმბში“, ან უცხოელ მამესტროთა კონფერენციებს.

და აქამდე მას გარემოცავდა სამყარო, რომელიც ცხოვრობდა ასე, ასეთი მოსწონდა თავისი თავი, ლამაზი, მორთულ-მოკაზმული, აწყობილი. იმისათვის რომ ეგრძნო მანძილი, რომელიც მას აშორებდა ამ კოლუმბაროს, ოლივეირას მეტი აღარაფერი დარჩენოდა იმის გარდა, მწარე სიცილით გამოეჯავრებინა იმ ნაქები ფრაზებისა და გუშინდელი დღის ბრჭყვიალა რიტმებისათვის, ტკბილხმოვანი საუბრისა და დუმილისთვის. ბუენოს აირესში, შიშის ამ დედაქალაქში, მან კვლავ იგრძნო, რომ მოექცა იმ ვითარებაში, როცა წახნაგების გასწორების დრო დადგა, რასაც საღ აზრს უწოდებენ და გარდა ამისა, იმ

თავდაჯერებული თვითკმაყოფილებისა, ახალგაზრდებსაც და მოხუცებსაც ხმამაღლა და მაღალფარდოვნად რომ ალაპარაკებდა და წარმოსახვას აღიარებდნენ ჭეშმარიტებად, როგორც, როგორც, როგორც... (ოლივეირა სარკის წინ იდგა და მუჭში ჩაებლუჯა კბილის პასტის ტუბი, საკუთარი თავის შემხედვარემ გადაიხარხარა და იმის ნაცვლად რომ ჯაგრისი პირისკენ წაელო, ვარდისფერი პასტით სარკვებე დახატა პირი, შიგ ჩახატა გული, მერე მიახატა ხელები, ფეხები, მიაწერა ასოები და უხამსობები, ასე თხუპნიდა მთელ სარკეს და მთელი ძალით უჭერდა ხელს ტუბს და სიცილისაგან იკრუნჩხებოდა, სანამ შეწუხებული ხეკრეპტენი არ შევიდა სარკის გასაწმენდად და ა.შ.).

(-43)

76

პოლასთან ურთიერთობაც, როგორც ყოველთვის, ხელებიდან დაიწყო. საღამოვდებოდა. კაფეში ერთი და იგივე გაბეთების კითხვაში დაკარგული დრო და დაღლილობა, თანაც ლუდი მსუბუქად აწვებოდა კუჭს. ასეთ დროს თითქოს ყველაფრისთვის მზად ხარ და შეიძლება ინერციისა და დავიწყების ხაფანგშიც ადვილად გაება, მაგრამ მოულოდნელად ქალი ცდილობს ჩანთის გახსნას, რომ ყავის საფასური გადაიხადოს, საკეტი კი არ ემორჩილება, კაცი იფიქრებს განგებ არ იხსნებაო, გეგონებათ ზოდიაქოს კარებს იცავსო, მაგრამ ქალის თითები მაინც ახერხებს მოოქრული საკეტის გახსნას და მაშინვე პერნოთი და საფრანგეთის ტურის სანახაობით გონებააშლილ მუდმივ კლიენტებს რაღაც აიტაცებს, თუ სულაც ერთიანად შთანთქმავს, იისფერი ხავერდის ძაბრი ერთბაშად ამოგლეჯს სამყაროს შეჩვეული სამყოფელიდან თავისი ლუქსემბურგის ბალით, სუფლოს ქუჩით, გეი-ლუსაკის ქუჩით, კაფე კაპულადით, მედიჩის შადრევნით, მესიე-ლე-პრინსის ქუჩით, დაატრიალებს ბუყბუყით და აღარაფერი რჩება გარდა ცარიელი მაგიდისა, გახსნილი ჩანთისა და ქა-

ლის თითებისა, რომელიც ჩანთიდან იღებს ოცფრანკიან მონეტას და აწვდის მოხუც რაგონს, ამ დროს, ბუნებრივია, მიმზიდველი ახალგაზრდა ორასიო ოლივეირა, რომელმაც უვნებლად დააღწია თავი კატასტროფას, ის-ის იყო აპირებდა იმის თქმას, რასაც ამბობენ ხოლმე დიდი კატაკლიზმების შემთხვევაში.

— ოჰ, იცით, — უპასუხა პოლამ, — შიში არ არის ჩემი ძლიერი თვისება. მან თქვა: „Oh, vous savez”[249], — ცოტა იმას ჰგავს, რასაც იტყოდა სფინქსი სანამ ჩაიფიქრებდა გამოცანას; თითქოს ბოდნიშს იხდის და არ სურს ისარგებლოს თავისი დიდი პრესტიჟით, რაც ისედაც ცნობილია. ანდა როგორც ლაპარაკობენ ხოლმე ქალები იმ უთვალავ რომანებში, რომელთა ავტორებს უქმად რომ არ დაკარგონ დრო, საუკეთესო აღწერას მოაქცევენ ხოლმე დიალოგებში და ამგვარად ათანხმებენ სასიამოვნოს სასარგებლოსთან.

— როდესაც მე ვამბობ შიში-მეთქი, — შენიშნა ოლივეირამ, რომელიც იგივე წითელი პლუშით გადაკრულ სკამზე იჯდა სფინქსის მარცხნივ, — უწინარეს ყოვლისა, ვფიქრობ მეორე მხარეზე. თქვენი ხელი ისე მოძრაობდა, თითქოს იმ საზღვარს შეეხო, რომლის იქით სამყაროს საპირისპირო მხარეა, სადაც, მაგალითად, შეიძლება მე ვყოფილიყავი თქვენი ჩანთა, თქვენ კი — მოხუცი რაგონი.

იგი ელოდებოდა, რომ პოლა გაიცინებდა და აღარაფერი იქნებოდა ასეთი ხელოვნური, მაგრამ პოლამ (მერე გაიგო, რომ მას პოლა ერქვა) ასეთი შესაძლებლობა აბსურდად არ მიიჩნია. მან გაიღიმა და გამოაჩინა ძალიან თანაბარი, მაგრამ პატარა კბილები, ხოლო მუქი ნარინჯისფერი პომადით შეღებილი ტუჩები ღიმილმა ერთიანად გაუბრტყელა; ოლივეირამ კი თვალი ვერ მოაცილა მის ხელებს, ყველაზე მეტად ყოველთვის ქალის ხელები ხიბლავდა, ახლაც სურვილი ჰქონდა შეხებოდა ამ ხელებს, სათითაოდ მიაღერებოდა თითებს, ხელისგულსა და ყოველ ბორცვს, იაპონელი კინესიოლოგივით მიჰყოლოდა ძარღვებს, ენახა ვენები, ფრჩხილები, ამოეცნო ბედის ხაზები, ქირომანტივით გამოეკვლია ყოველი ნაკვთი, მოესმინა მთვა-

რის ხმა, ეს პატარა ხელისგული ყურზე მიედო და ეგრძნო როგორ დაუტენიანა სიყვარულმა თუ ჩაის ფინჯანმა.

(-101)

77

თქვენ გესმით, რომ ამის შემდეგ...

– Res, non verba[250], – თქვა ოლივეირამ, – რვა დღე, დაახლოებით 70 პესო დღეში, 8 X 70 – 560, ვთქვათ, 550, ხოლო დარჩენილი ათით ავადმყოფებს უყიდეთ კოკა-კოლა.

– ახლა კეთილი ინებეთ და წაიღეთ თქვენი ნივთები.

– კეთილი, დღეს, ან ხვალ, უფრო ხვალ, ვიდრე დღეს.

– აჰა, ფულიც. თუ შეიძლება მოაწერეთ ხელი, რომ მიიღეთ.

– თუ შეიძლება კი არა, მოვაწერ და მორჩა. Ecco[251].

– ჩემი მეუღლე ისეთი უკმაყოფილოა, – თქვა ფერაგუტომ, ზურგი შეაქცია და სიგარეტს კბილები დააჭირა.

– ქალურ მგრძნობელობას კლიმაქსი ჰქვია.

– არა, ღირსების გრძნობაა, სენიორ.

– მეც სწორედ ამაზე ვფიქრობდი. თუ ღირსებაზეა ლაპარაკი, მადლობას მოგახსენებთ, რომ ცირკში მიმიღეთ. ეს გართობაც იყო და ცოტა საქმეც.

– ჩემს მეუღლეს ვერ გაუგია, – თქვა ფერაგუტომ, მაგრამ ოლივეირა უკვე კარებში იდგა. ერთმა მათგანმა თვალები გაახილა, ან დახუჭა. კარებზეც რაღაც თვალების მსგავსი იყო და

იღებოდა და იხურებოდა. ფერაგუტომ ისევ მოუკიდა სიგარეტს და ხელები ჯიბეში ჩაიწყო. იგი იმაზე ფიქრობდა, რა უნდა ეთქვა ამ ფიცხი და გაუგებარი კაცისთვის, როცა გამოცხადდებოდა. ოლივეირამ ნება დართო მისთვის შუბლზე კომპრესი დაედოთ (ეგებ სწორედ მან დახუჭა თვალები) და იმაზე დაიწყო ფიქრი, რას ეტყოდა ფერაგუტო, როცა მოუხმობდა.

(-131)

78

ტრეველერებთან დაახლოება-დამეგობრება. როდესაც მათ ვემშვიდობები სადარბაზოსთან, ან კაფეში, უეცრად ისეთი სურვილი მომერევა ხოლმე, რომ არ მინდა მათთან განშორება, ვუყურო, როგორ ცხოვრობენ, voyeur[252] თვალი ვადევნო მეგობრულად და ცოტა სევდიანად. სიახლოვე — მაინც რა სიტყვაა, თითქოს მოითხოვს ბოლოში ეს წყეული hache[253] დავუსვა. მაგრამ სხვა რომელი სიტყვა გამოხატავდა და ახსნიდა იმ მიზეზს, რამაც დაგვამეგობრა ტალიტა, მანოლო და მე. ადამიანები ხომ მეგობრებად მიიჩნევენ ერთმანეთს, თუ კვირაში რამდენიმე საათს ერთად ატარებენ, სხედან ერთ დივანზე, ერთ კინოდარბაზში, ან ზოგჯერ ერთ ლოგინშიც კი, თუნდაც სამსახურში უხდებათ ერთი სამუშაოს შესრულება. სიყმაწვილის წლებში ერთ კაფეში რომ შევიყრებოდით, ერთნაირობის ილუზორული შეგრძნება გვეუფლებოდა და თავს ბედნიერად ვგრძნობდით. ასე გვეგონა, იმ მამაკაცებისა და ქალების ცხოვრების თანამონაწილეებიც კი ვიყავით, რომელთაც მხოლოდ გარეგნულად ვიცნობდით, მაგრამ ისეთებს ვხედავდით, როგორიც მათ უნდოდათ ეჩვენებინათ. დროს სულ არ წაუშლია მეხსიერებაში ის ადგილები, ბუენოს აირესის კაფეები, სადაც ყოველთვის ვახერხებდით ხოლმე რამდენიმე საათი გავთავისუფლებულიყავით ოჯახებისგან, მოვალეობებისგან და იმ გაბოლილ ადგილ სამყოფელში გვჯეროდა ჩვენი თავისაც და მეგობ-

რებისაც, არამყარი მყარად გვეჩვენებოდა და ეს ყველაფერი წარუვალა გვეგონა. იქ ჩვენ, ოცი წლისანი რომ ვიყავით, მაშინ ვთქვით ჩვენი ყველაზე მართალი სიტყვები, შევიგრძენით ყველაზე ღრმა სიახლოვე ერთმანეთთან, იქ ჩვენ ნახევარლიტრიანი ბოთლისა და კუბური რომის ჭიქის გვერდით თავს ლამის ღმერთებად წარმოვიდგენდით. კაფეს ცა, ულამაზესი ცა. ამის მერე ქუჩა იყო როგორც სამოთხიდან განდევნა, სადაც ანგელოზი ელვარე ხმალშემართული აწესრიგებდა მოძრაობას კორიენტებისა და სან-მარტინის კუთხეში. მოგვიანებით იყო სახლი, საქმიანი ქალღმერთების ქექვა, საქორწინო სარეცელი, ცაცხვის ჩაი გამოცდის წინა ღამეს მომზადებული, უსახური საცოლვე, რომელიც კითხულობს „ვიკი ბაუმს“ და რომელსაც მაინც ვირთავთ ცოლად, რაკი სხვა გზა არ გვრჩება.

(დიდი უცნაური ქალია ეს ტალიტა, როცა მოდის, ასე გეგონება ხელში ანთებული სანთელი უჭირავს, რომ გზა გაგინათოსო. თან როგორი თავმდაბალია, ეს კი იშვიათი თვისებაა არგენტინელი დიპლომატი ქალისა, რომლისთვისაც ისიც დიდი საქმეა მიწის მზომელი თუ არის; მას კი მთელი აფთიაქი აბარია, მართლაც რომ საპასუხისმგებლო საქმეა, თავისუფლად ამოსუნთქვის დროც აღარ რჩება. მერედა რა ლამაზი ვარცხნილობა აქვს.) ახლა ისიც ვთქვათ, რომ მანოლოს მანუს ეძახიან ახლობლები.

ტალიტას ბუნებრივად მიაჩნია მანოლოს მანუს თუ დაუძახებენ, ის კი ვერ გაუგია, რომ მეგობრებისთვის ეს აღმაშფოთებელია და მოუშუშებელი ჭრილობა. მაგრამ მე რა უფლება მაქვს... მე, უძღვებ შვილს, ყოველ შემთხვევაში, იტყვიან, უძღვებმა შვილმა ჯობია სამუშაო ეძებოსო, რადგან, კარგად რომ შეამოწმა დარჩენილი თანხა, სპელეოლოგიურ კვლევაზე უარესი შედეგი დაინახა. თუ საბრალო ხეკრეპტენის საპატრონო გავხდები, რომელიც ყველაფრისთვის მზად არის, ოღონდ კი ჩემთან იწვეს, მაშინ თავშესაფარიც მექნებოდა და სუფთა პერანგებიც, ა.შ. ა.შ. იდიოტობაა კარდაკარ სიარული და გაბარდინის ნაჭრების გასაღება, ამას ჯობდა მანოლოსა და ტალიტასთან ერთად როგორმე ცირკში შემერგო თავი, — რა მშვენიერი აზრია. პირვე-

ლად იყო ცირკი, კამინგის ლექსში რომაა ნათქვამი და ისიც, რომ სამყაროს შექმნის დროს იმ მოხუცმა კარგად ჩაისუნთქა ჰაერი ფილტვებში, ცირკის გუმბათი რომ გაებერაო. ესპანურად ამას ასე ვერ იტყვი, სხვანაირად კი ასე შეიძლება ითქვას — ცირკის გუმბათი ჰაერით გაებერაო. ჩვენ კი ამდენ სიკეთეს ვიღებთ ხეკრეპტენისგან, მართლაც რომ დიდებული გოგოა, მართლ ის რად ღირს, რომ მანოლოსა და ტალიტას მეზობლად ვიცხოვრებთ, ტოპოგრაფიის თვალსაზრისით, მხოლოდ ორი კედელი და ჰაერის თხელი ფენა იქნება ჩვენ შორის; საიდუმლო შეხვედრების სახლიც აქვეა, სასურსათო მაღაზიაც და ფარდულიც ლამის ცხვირწინაა. იმაზე უკეთესს რას იფიქრებ, რომ ხეკრეპტენი მელიოდებოდა, ვერ დავიჯერებ ასეთი რამეები სხვებსაც დამართოდეთ.

მთელი ეს გმირული ამბები მართლ ერთ ოჯახში უნდა მომხდარიყო, თუნდაც ის, რომ ამ გოგოს ტრეველერების სახლში უნდა გაეგო ჩემი ოკეანეს გადაღმა მარცხიანი ცხოვრების შესახებ, მაგრამ ამის მიუხედავად, ქსოვს, არღვევს და ისევ ქსოვს იისფერ პულოვერს თავის ოდისევსის მოლოდინში, ამავე დროს მუშაობს მაღაზიაში მაიპუს ქუჩაზე. რა კეთილშობილური საქციელი იქნება უარი თქვა ხეკრეპტენის შემოთავაზებაზე და გაცალო მის უიღბლობას, მის ხვედრს. „ცინიზმიდან ცინიზმში, ისევ უბრუნდები შენსავე თავს. საძულველო ოდისევსო.“

არა, გულწრფელად რომ დაფიქრდე, ამ ცხოვრებაში ყველაზე დიდი სისულელე ის არის, რომ ვცხოვრობთ ყალბი ურთიერთობის ვითარებაში. ყველას ჩვენ ჩვენი ორბიტა გვაქვს, დროდადრო თუ გავუწოდებთ ერთმანეთს ხელს, ხუთი წუთი თუ დავილაპარაკებთ, მთელი დღე დავრბივართ, ღამე ოპერაში ვართ, მოულოდნელად ვგლოვობთ ვიღაცას და ასევე მოფულოდნელად ვიგრძნობთ, ცოტა უფრო მეტად, თითქოს ერთნი ვართ. (ეს ასეცაა სინამდვილეში, მაგრამ მალე მთავრდება და ჩვენ ჩვეულ წესს ვუბრუნდებით). მაგრამ ამავე დროს ისევ გვჯერა, რომ მეგობრები აქვე გვყავს, გვერდით, რომ ეს ურთიერთობები გრძელდება და რომ თანხმობაცა და უთანხმოებაც ღრმა და მყარია. როგორ გვძულს ყველა და ყველაფერი და არ ვიცით, რომ

სიყვარულია სწორედ ცოცხალი ფორმა სიძულვილისა და რომ ღრმა სიძულვილის მიზეზი ძვეს ცენტრიდან ჩვენს ამოვარდნაში, იმაში, რომ გადაულახავი მანძილია მე-სა და შენ-შორის, ამასა და იმას შორის. მთელი სიყვარული კი არის ონტოლოგიური ტალახი, ჩე, მცდელობა, დაეუფლო იმას, რასაც შეუძლებელია დაეუფლო. მე კი მინდა დავუახლოვდე ტრეველერებს იმ საბაბით, რომ უკეთესად გავიცნო, გავხდე მათი ნამდვილი მეგობარი, სინამდვილეში კი მინდა დავეუფლო მანუს *maná*—ს მეშვეობით, ტალიტას ხიბლს, მათ თვალთახედვას, მათ აწმყოს და მომავალს, ასე რომ განსხვავდება ჩემგან. რატომ გაქვს ეს მანია სულიერი დაუფლებისა, ორასიო? რატომ გაქვს ეს ნოსტალგია ანექსიებისა, როცა ეს-ეს არის გადაჭერი და დათესე შფოთი და იმედგაცრუება (ან იქნებ კიდევ უფრო დიდხანს უნდა დავრჩენილიყავი მონტევიდეოში და კარგად მომეძებნა) იმ ლათინების სულიერების დიდებულ დედაქალაქში? და ახლა ხომ ხედავ, ვერც კი მოასწარი გააზრებულად განშორებოდი შენი ცხოვრების ნათელ ფურცელს, უარი გეთქვა ტკბილხმოვან ენაზე ფიქრზეც კი, ასე რომ მოგწონდა რამდენიმე თვის წინ; ახლა კი წინააღმდეგობრიობებით შეპყრობილი იდიოტი, პირდაპირ ტყავიდან ძვრები, ოღონდ კი ტრეველერებთან შეძვრე, ჩასახლდე ტრეველერების ოჯახში, ცირკშიც კი შედგა ფეხი მათთან ერთად (მაგრამ ღირექტორი არ მოინდომებს ჩემს მიღებას სამუშაოზე, ასე რომ, მომიწევს დავფიქრდე სერიოზულად, როგორ გამოვწყო მეზღვაურივით და როგორ გავასაღო გაბარდინის ნაჭრები). ოჰ, შე იდიოტო. გეტყობა, აქაც გინდა დათესო შფოთი და მოსვენება დაუკარგო კეთილ ადამიანებს. როგორც გამიგონია, შენც იმ ტიპივით, იუდად რომ მიიჩნევდა თავს, ძალღმე უარესი ცხოვრება გექნება ბუენოს აირესის მაღალ საზოგადოებაში. პატივმოყვარეობა არაფერს გარგებს. ბოლოს და ბოლოს მარტო ერთი თავაზიანი ინკვიზიტორი ხარ, როგორც ერთ საღამოს მითხრეს ასე მოსწრებულად. ერთი დახედეთ სენიორა რა გაბარდინია, მეტრი 65 პესო, ისიც მხოლოდ თქვენთვის. თქვენი ქმარი... თქვენი მეუღლე, მაპატიეთ, ისეთი კმაყოფილი იქნება, როცა დაბრუნდება საროს... მაპატიეთ, სამსახურიდან, კედლებზეც კი ავა, დამიჯერეთ. „რიო ბელენ“—ის მეზღვაურის სიტყვას გაძლევთ. სხვა გზა არ მქონდა, პატარა კონტრაბანდა ორიოდე

გროშისტვის, ჩემს პატარას რაქიტი აქვს, ცოლ... ჩემს სენიორას ხომ უნდა მივეხმარო, ალბათ გამიგებთ.

(-40)

79

მორელის უკიდურესად პედანტური ჩანაწერი: „მცდელობა შეიქმნას roman comique[254] იმდაგვარად, რომ ტექსტში იგულისხმებოდეს სხვა ღირებულებები და ანთროპოფანიის მიზნებს ემსახურებოდეს, რისი შესაძლებლობაც ისევ ისე გვჯერა. ისე ჩანს, რომ ჩვეულებრივ რომანს ამგვარი ძიების უნარი არ გააჩნია და მკითხველს განსაზღვრულ ჩარჩოებში მოაქცევს, რაგინდ საქებარიც უნდა იყოს მწერალი, გარდუვალია გაჩერებები დრამატულ, ფსიქოლოგიურ, ტრაგიკულ, სატირულ ან პოლიტიკურ საფეხურებზე; საპირისპიროდ ამისა, ისეთი ტექსტის შექმნის ცდა, რომელიც არ გაიტაცებდა მკითხველს, სამაგიეროდ თანამოაზრედ უთუოდ გაიხდიდა, როცა წაუხურჩულებდა პირობითად განვითარებული თხრობის მიღმა მიმალული სხვა ებოთერული გზების შესახებ. დემოტური დამწერლობა გათვლილია მკითხველი-მდედრისტვის (რომელიც, სხვათა შორის, ვერ გასცდება პირველ ფურცლებს, უიმედოდ დაიბნევა და აღშფოთდება, თავბედს იწყევლის უქმად გადაყრილი ფულისთვის), იერატკული დამწერლობის ზოგიერთი თავისებურებებით.

წაქეზება იმისკენ, რომ მივიღოთ გაუმართავი ტექსტი, რომელშიც კვანძი არ იხსნება, გადატვირთულია ურთიერთსაწინააღმდეგო წვრილმანებით, ერთიანად ანტირომანის ფორმის მიხედვითაა დაწერილი (თუმცა შინაარსით არცთუ ანტირომანული). როცა თავს ნებას აძლევ, ისარგებლო ამ ჟანრის საუკეთესო საშუალებებით, სადაც საჭიროა, გაიხსენეთ ანდრე ჟიდის რჩევა „Ne jamais profiter de l'elan acquis"[255]. როგორც დასავლეთის ყველა რჩეული ქმნილებანი, რომანი კმაყოფილდება

ჩაკვეტილი წყობით. ამის საპირისპიროდ უნდა ეძებოთ მისი გახსნის საშუალება, ხოლო ამისთვის უნდა ამოძირკვოთ სისტემატური კონსტრუქცია ხასიათებისა და ვითარებებისა. მეთოდი: ირონია, განუწყვეტელი თვითკრიტიკა, შეუსაბამობა, წარმოსახვა, რაც არავის ექვემდებარება.

ასეთი წყობის შექმნის მცდელობა ლიტერატურაზე ხელის ჩაქნევას, ნაწილობრივ მაინც, რამეთუ ისიც ეფუძნება სიტყვას, თუმცა ფხიზლად უნდა ადევნოს თვალი ყოველ ოპერაციას, რასაც ავტორი და მკითხველი ეწევიან, ასე და ამგვარად, ისე უნდა გამოიყენო რომანი, როგორც რევოლუციური მშვიდობის დასაცავად, ოღონდ მისი ნიშანი და მიზანი კი უნდა შეცვალო. ლიტერატურიდან ის უნდა აიღო, რაც არის ცოცხალი ხიდი ადამიანიდან ადამიანისკენ და რაც არის ტრაქტატი და ესე მხოლოდ სპეციალისტებისთვის.

თხრობა, რომელიც არ იქნებოდა „გზავნილის“ გადაცემის საბაბი (არ არსებობს გზავნილი გზავნილისათვის, არიან გამგზავნელები და ეს არის კიდევ გზავნილი, ისევე როგორც სიყვარული არის ის, ვისაც უყვარს), თხრობა, რომელიც იმოქმედებდა როგორც ნალექი ადამიანთა განცდებზე, როგორც კატალიზატორი ბუნდოვან და ძნელად გასაგებ ცნებებზე და, უწინარეს ყოვლისა, იმოქმედებდა იმაზე, ვინც წერს, წერს, ასე ვთქვათ, ანტირომანს, იმ დროს, როცა ნებისმიერი წყობა ჩაკვეტილია და სისტემატურად ტოვებს თავის საზღვრებს გარეთ ყველაფერს, რასაც შეუძლია გადაგვაქციოს მაცნეებად, მიგვაახლოვოს ჩვენს საკუთარ ზღუდეს, ჩვენ, ვინც ჯერ ასე შორსა ვართ იმისგან, რომ პირისპირ შევხვდეთ მას.

ავტორის უცნაური თვითქმნადობა თავისივე ნაშრომის მხრიდან.

თუ ამ მაგმიდან, როგორიცაა დღე, ჩაშვება არსებობაში, ჩვენ მოვინდომებთ მოვიპოვოთ ფასეულობები, რაც ბოლოს აღმოჩნდება ანტროპოფანია, მაშინ რა ვუყოთ წმინდა შემეცნებას, წმინდა გონებას, გონიერ გონებას? ელეატების დროიდან დიალექტიკურ აზროვნებას საკმაოდ დრო ჰქონდა, რომ გამოეღო

ნაყოფი. ჩვენ ამ ნაყოფებს მივირთმევთ, ძალიან გემრიელიცაა, მაგრამ რადიაქტიურია. და ნადიმის დასასრულს ასე სევდიანები რატომ ვართ, ჩემო ძმებო, ათას ცხრაას ორმოცდაათ ამა და ამ წლიდან?”

ერთი ჩანაწერი, ეტყობა, დამატება:

„მკითხველის მდგომარეობა. საერთოდ, ყველა მწერალი თავისი მკითხველისგან ელოდება, რომ მას გაუგოს, თან საკუთარი გამოცდილებაც მოიშველიოს, ანდა მიიღოს გარკვეული გზავნილი და გაითავისოს. მწერალ რომანტიკოსს სურს, რომ თვითონ მას გაუგონ, ყოველ შემთხვევაში, მისი გმირების მეშვეობით მაინც; მწერალ კლასიკოსს კი სურს ასწავლოს, დატოვოს თავისი კვალი ისტორიის გზაზე.

მესამე საშუალება: გადააქციოს მკითხველი თანამზრახველად, თავის თანამგზავრად. მოაქციოს ერთდროულობაში, რადგან კითხვა მკითხველს დროს ართმევს და ამ დროს გადასცემს ავტორს, ამგვარად მკითხველი შეძლება გამხდარიყო თანამონაწილე და თანამგრძნობი იმ გამოცდილებისა, რასაც განიცდის რომანისტი, სწორედ იმ წუთებში და სწორედ იმავე ფორმით. ყოველი ესთეტიკური ხერხი ასეთ დროს უსარგებლოა: მატერია ჯერ უნდა ჩაისახოს და მომწიფდეს (სიტყვის მეშვეობით გადმოცემა უთუოა, თუმცა სიტყვა შეიძლება ნაკლებად ესთეტიკურიც იყოს, ასეთია „კომიკური“ რომანი, თავისი ირონიით, ანტიკლიმაქსით, სხვა ნიშან-თვისებებით, რაც მიანიშნებს სულ სხვა რამეს).

„ამ მკითხველისთვის, *mon semblable, mon frère*[256], კომიკური რომანი (აბა რა არის „ულისე“?) უნდა იყოს ისეთი, როგორც ეს სიზმრებია, რომელშიც ტრივიალური მოვლენების მიღმა წარმოგვიდგება მეტად სერიოზული მუხტი, რასაც ყოველთვის ვერ ჩაწვდებით.

ამ აზრით, კომიკური რომანი უნდა იყოს პათოსნების ნიმუში; ის არ ატყუებს მკითხველს, არ აღუძრავს ემოციებს, რაღაც-რაღაც გრძნობებს, არამედ აძლევს თიხას, რაც იქნება მნიშვნე-

ლოვანი იმის შესაქმნელად, რომელშიც უკვე ჩანს ნიშანი იმისა, რომ ეს შეიძლებოდა ყოფილიყო კოლექტიური შემოქმედება და არა ინდივიდუალური. უფრო სწორად, ეს იქნებოდა ფასადი, ექნებოდა კარებიც და ფანჯრებიც, რომლის მიღმა იგულისხმებოდა რაღაც იდუმალი, და რომელიც მკითხველ-თანამოაზრეს უნდა მოეძებნა (ეს არის თანამზრახველობა), მაგრამ შეიძლება ვერც ეპოვა (მაშინ უნდა თანავუგრძნოთ). ის, რასაც ამ რომანის ავტორმა მიაღწია თავისთვის, გამეორდება (ვინ იცის რამდენჯერ და ეს იქნება სასწაული) ამ მკითხველ-თანამოაზრეში. ხოლო რაც შეეხება მკითხველ-მდედრს, ის გაჩერდება ფასადის წინ და ჩვენ ვიცით, რომ ფასადები ძალიან ლამაზია, ძალიან *trompe l'œil*[257] და რომ მათ წინ შეიძლება წარმოადგინონ კომედიებიც და ტრაგედიებიც *honnête homme*—ზე[258], საერთო საყოველთაო სიამოვნებისთვის, ვინც წინააღმდეგი იქნება, დაე მას შეეყაროს ბერიბერი”.

(-22)

80

საკმარისია ფრჩხილები დავიჭრა, დავიბანო თავი, ანდა ჩვეულებრივად, როგორც ახლა, ვიჯდე და ვწერდე, მაშინვე მუცელში მეწყება ბუყბუყი, და მაშინვე მიჩნდება ისეთი გრძნობა, თითქოს ჩემი სხეული, სადღაც, ჩემს მიღმა დარჩა (დუალიზმს არ მივუბრუნდები, მაგრამ მინდა დავადგინო სხვაობა ჩემსა და ფრჩხილებს შორის).

და ისიც, რომ სხეულს რაღაც აწუხებს, რომ ჩვენ ან რაღაც გვაკლია, ან მეტი გვაქვს (გააჩნია).

სხვაგვარად: ჩვენ, ეტყობა, უკეთეს მექანიზმს ვიმსახურებთ, ფსიქოანალიზი გვაჩვენებს, რომ სხეულზე მეტისმეტი ყურადღების გადატანა ბადებს ნაადრევ კომპლექსებს. (და სარტრიც იმ

ფაქტში, რომ ქალი „გამჭოლია“, ხედავს ეგზისტენციალურ წინა-აღმდეგობრიობას, რაც დაღს ასვამს მთელ მის ცხოვრებას). მტკივნეულია იმაზე ფიქრი, რომ ჩვენ წინ ვუსწრებთ ჩვენს სხეულს, ეს კი შეცდომაა და ხელშემშლელიც, ან იქნებ უსარგებლოც, რამდენადაც ეს ფრჩხილები, ეს ჭიპი, მე სხვა რამის თქმა მინდა, ძნელად გასაგები-მეთქი: რომ „სული“ (ჩემი მე და არა ფრჩხილები) არის სხეულის სული, რაც არ არსებობს. ვინ იცის, ეგებ სულმა უბიძგა კიდეც ადამიანს სხეულის ევოლუციისკენ, მერე კი მოსწყინდა, დაიღალა და ახლა მარტო მიდის წინ. ძლივს ორ ნაბიჯს გადაადგამს და სული უკვე იმსხვრევა, რადგან ვაი, რომ მისი ნამდვილი სხეული არ არსებობს და ნებაზეც მიუშვებს, რომ დაეცეს.

საბრალო ბრუნდება შინ და ა.შ., მაგრამ ეს არ არის ის, რაც მე, ბოლოს და ბოლოს.

ხანგრძლივი საუბარი ტრეველერთან სიგიჟის თაობაზე. სიზმრებზე რომ ვსაუბრობდით, ჩვენ თითქმის ერთდროულად გავამახვილეთ ყურადღება იმაზე, რომ ჩვენ ზოგჯერ ისეთი რამ გვესიზმრება ხოლმე, სიგიჟის ჩვეულებრივი ფორმაა და ცხადშიც ასე თუ ისე ხდება ან გრძელდება. სიზმარში ჩვენ გვაქვს იმის საშუალება, რომ ვავარჯიშოთ ჩვენი სიგიჟისკენ მიდრეკილება, ჩვენ ერთდროულად გაგვიჩნდა ეჭვი, რომ ყოველგვარი სიგიჟე არის სიზმარი ცხადში.

ხალხური სიბრძნე: „ეს საწყალი ან გაგიჟდა, ან დაესიზმრა...“

(46)

81

სოფისტებს, არისტოფანეს თანახმად, სჩვევიათ, შექმნან ახალი აზროვნება.

ვცადოთ გამოვიგონოთ ახალი ვნებებიც, ანდა აღვადგინოთ ძველი, ისეთივე ძალის მქონე.

კიდევ ერთხელ გავაანალიზებ ამ დასკვნას, რასაც ისევ პას-კალთან მივყავართ: ჭეშმარიტი რწმენა ძევს ცრურწმენასა და თავისუფალ აზროვნებას შორის.

ხოსე ლესამა ლიმა, „ტრაქტატები ჰავანაში“

(-74)

82

მორელიანა ამას რატომ ვწერ? არა მაქვს ნათელი აზრები და საერთოდ, არც არანაირი აზრები გამაჩნია. არის ცალკეული ნაწყვეტები, იმპულსები, ბლოკები და ეს ყველაფერი ეძებს ფორმას, მაგრამ უეცრად თამაშში შემოდის რიტმი, მეც მივყვები ამ რიტმს და ვწერ, ვნებდები ამ რიტმს და ვწერ ამისათვის და არა იმისათვის, რასაც უწოდებენ აზრს და რაც ქმნის პროზას ლიტერატურულსა თუ სხვას. თავიდან ვითარება ბუნდოვანია, რაც მარტო სიტყვით შეიძლება განისაზღვროს; ამ გაურკვეველობიდან რომ გამოვდივარ, და თუ მას, რაც მინდა ვთქვა (თუ ის, რასაც სურს გამოითქვას) გააჩნია საკმარისი ძალა, მაშინ დაუყოვნებლივ იწყება swing, რიტმული რხევები, რომელსაც ამოვყავარ ზედაპირზე, ანათებს ყველაფერს, შესაბამისობაში მოჰყავს ეს ბუნდოვანი მატერია და უკვე განცდილს გადაიყვანს მესამე, ნათელ და ლამის საბედისწერო მდგომარეობაში: ეს არის ფრაზა, აბზაცი, გვერდი, თავი, წიგნი. ეს რხევა ეს swing, რომელშიც გარდაიქმნება ბუნდოვანი მატერია ჩემთვის არის ერთადერთი ზუსტი და აუცილებელი, რადგან შეწყდება თუ არა, მაშინვე ვხვდები, რომ არაფერი მაქვს სათქმელი, და ასევე არის ერთადერთი საზღაური ჩემი გარჯისა: იმის შეგრძნება, რომ ჩემი ეს ნაწერი არის როგორც კატის ზურგი, რომელიც ხელის გადასმაზე ნაპერწკლებს ისვრის და რიტმულად იზნიქება, ასე და ამგვარად ვწერ და ვეშვები ვულკანში, ვუახლოვდები დედის საწყისს, ვეხები ცენტრს – რაც უნდა, ის იყოს. წერა ჩემთვის არის

იგივე, რაც ის, რომ დავხატო ჩემი მანდალა და ამავე დროს შე-
მოვუარო მას, გამოვიგონო განწყენდა, როცა განვიწყინდები;
საბრალო თეთრი შამანის საქმე, ნეილონის წინდები რომ აცვია.

(-99)

83

ადამიანს ყოველთვის მაშინ უჩნდება სურვილი გამოიგონოს
სული, როცა საკუთარ სხეულს აღიქვამს როგორც პარაზიტს,
როგორც მატლს, რომელიც მიეკვრება მის „მე“—ს, საკმარისია
იგრძნოს, რომ ცხოვრობ (და არა მხოლოდ აღიარებ, როგორც
რაიმე ისეთს, რაც თურმე-რა-კარგია-რომ-ასეა). და სხეულის
ყველაზე ახლობელი და საყვარელი ნაწილი, მაგალითად, მარ-
ჯვენა ხელი უეცრად გახდება საზიზღარი მისი ორმაგი მდგომა-
რეობის გამო, თითქოს ეს, ერთი მხრივ, არის „მე“ და ამავე
დროს არის რაღაც, რაც მოგენება. მე ვსანსლავ წვნიანს. მერე
შუა კითხვაში რომ ვარ, გავიფიქრებ:

„წვნიანი არის ჩემში, ის ჩემს ტომარაშია, რომელსაც მე ვე-
რასოდეს ვნახავ, ჩემივე სტომაქში.“ ორი თითით ვეხები და
ვგრძნობ შებერილობას და საჭმლის დუღილს. და მე ვარ ესე
იგი საჭმლით სავსე ტომარა”.

ამ დროს იბადება სული: „არა, მე ეს არა ვარ.“

მაშ რა (ერთხელ მაინც ვიყოთ პატიოსნები) დიახ, ეს მე ვარ.
ერთი გამოსავალი ფაქიზი არსებებისთვის: „მეც ვარ და ისიც“.
და კიდევ ერთი საფეხური: „მე ვარ მასში“.

ვკითხულობ „The Waves”[259], ეს არის ქაფივით შინაარსის
ცინერარიის კონა. ჩემი თვალებიდან ოცდაათი სანტიმეტრის
დაშორებით კი არის წვნიანი, და ნელა მოძრაობს ჩემი სტომა-

ქის ტომარაში, ფეხებზე იზრდება ბეწვი, ზურგზე კი – აუცილებელი კისტა.

იმის დასასრულს, რასაც ბალზაკი ალბათ ორგინას უწოდებდა, ვიღაც ტიპმა, მეტაფიზიკისა რომ არაფერი გაეგებოდა, მითხრა, ეტყობა, ხუმრობით, როცა კუჭში გავდივარ, ირრეალობის განცდა მაქვსო. მახსოვს მისი სიტყვებიც: „დგები, მიბრუნდები, უყურებ და ამბობ: „ნუთუ ეს მე ვქენი?“

(როგორც ლორკას ლექსშია: „არაფერი გეშველება, ჩემო ბიჭო, გამონათხიე. სხვა გზა არ გაქვს!“ და მგონია სვიფტსაც ასეთი სიგიჟე სჭირდა: „მაგრამ სელია, ე, სელია, სელია ამონათხიე...“

ფიზიკურ ტკივილებზეც, როგორც მეტაფიზიკურ ნესტარზე ბევრია დაწერილი. ჩემზე ყოველგვარი ტკივილი ორმაგად მოქმედებს:

მაგრძნობინებს, როგორც არასდროს, რომ ჩემს „მე-სა“ და ჩემს სხეულს შორის განსხვავება არ არის (და ეს სიყალბეა მისი მოგონილია სანუგეშებლად) და ამ დროს ჩემი სხეული უფრო ახლობელი ხდება, მე მას ვიღებ როგორც ტკივილს, ტკივილს უფრო ჩემად აღვიქვამ, ვიდრე სიამოვნებას ან სინესტეზიას. ეს ნამდვილი კავშირია. ხატვა რომ შემეძლოს, ალეგორიულად წარმოვადგენდი, როგორ განდევნის ტკივილი სულს, თან ისეთი შთაბეჭდილება უნდა შეიქმნას, რომ ყველაფერი ყალბია: ერთი და იმავე კომპლექსის მხარეა, რომლის ერთიანობა არის ერთიანობის არქონაში.

(-142)

სელესტინის სანაპიროზე რომ დავხეებ, გამხმარ ფოთლებს ვაბიჯებ და როცა ვიღებ ერთს და კარგად ვათვალიერებ, ვხედავ, რომ ბაჯალლო ოქროს მტვრითაა დაფარული, უკანა მხარეს კი ხავსის სურნელით გაჟღენთილი მიწა გამოჰყოლია და ხელზე მეკვრება, მერე ეს გამხმარი ფოთლები სახლში მომაქვს და ლამფის შუქფარზე ვამაგრებ. ოსიპი მოვიდა, ორი საათი იჯდა, მაგრამ ლამფისკენ არც კი გაუხედავს. მეორე დღეს ეტიენიც გამოჩნდა და ქუდი ჯერ ისევ ხელში ეჭირა, რომ *Dic donc, c'est épatant, ça!*[260] აიღო ლამფა, ფოთლები აღტაცებით დაათვალიერა, დიურერი, ძარღვები და ა.შ.

ერთი და იგივე სიტუაცია და ორი ვერსია... მე ჩავფიქრდი მთელ იმ ფოთლებზე, რომელთაც ვერ ვხედავ, მე, გამხმარი ფოთლების შემგროვებელი, დავფიქრდები კიდევ სხვა ბევრ რამეზე ჩემს ირგვლივ, რომელთაც ვერ ხედავს ჩემი თვალები, საბრალო ღამურები, აქეთ-იქეთ რომ აწყდებიან წიგნებს, ფილმებს და გამხმარ ყვავილებს შორის რომ დაფარფატებენ. ალბათ ყველგან ლამფებია, ფოთლები, მე კი ვერაფერს ვხედავ.

და აი ასე, *des feuilles en aiguille*[261], ფიქრით გადავდივარ იმ განსაკუთრებულ მდგომარეობაში, როდესაც უეცრად თითქოს ვგრძნობთ თვალისთვის უხილავ ფოთლებს და ლამფებს, თითქოს ვგრძნობთ და ვჭვრეტთ სივრცის მიღმა ჰაერში. მერედ და რა ადვილია, ნებისმიერი აღგზნება თუ დეპრესია უბრალოდ მიბიძგებს იმ საამო მდგომარეობისკენ რასაც ვუწოდებდი პარაჭვრეტას ან უკეთ რომ ვთქვათ (არადა უნდა ითქვას, სამწუხაროდ) უეცრად გიჩნდება უნარი, რომ საკუთარი თავი აღიქვა შენს მიღმა, გარედან ან შიგნიდან, მაგრამ თითქოს სხვა სიბრტყეში ისე თითქოს მე ვარ ვიღაც სხვა, რომელიც მიყურებს მე (ეს უკეთესიცაა, რადგან სინამდვილეში ჩემს თავს ვერ ვხედავ, თითქოს ვინმე სხვამ განიცადა ეს წუთები.) მაგრამ დროში არ გრძელდება. ორიოდ ნაბიჯის გადადგმასაც ძლივს ვასწრებ ქუჩაში, ღრმად რომ ამოვისუნთქო (ზოგჯერ გამოფხიზლებაც კი უფრო დიდხანს გრძელდება, მაგრამ მაშინ ეს ზღაპრული შეგრძნებაა).

და ამ წამში ვიცი, რაც ვარ მე, რადგან ზუსტად ვიცი ის, რაც არ ვარ, (მერე ეშმაკურად ვცდილობ არ გავიგო). მაგრამ ვერ ვპოულობ იმ მატერიის გამომხატველ სიტყვებს, რაც ძევს სიტყვებსა და წმინდა ხილვას შორის, იმ ზღუდეს მათ შორის რომ აღმართულა. შეუძლებელია ზუსტად ან საგნობრივად გამოხატო ის ზიანი, რაც შევიგრძენი იმ წამში და რაც იყო აშკარა არყოფნა, ან აშკარა შეცდომა, ანდა სულაც აშკარა უკმარისობა, მაგრამ ვერ გამიგია, როგორ და რანაირად?

ერთხელ კიდევ ვცდი და იგივეს ასე ვიტყვი: როცა ასეთი რამ ხდება, უკვე მე კი არ ვუყურებ სამყაროს, ჩემგან — სხვას, არამედ მე თვითონ ვხდები ერთი წამით სამყარო, ის რაც ჩემს მიღმაა, ხოლო ყველაფერი დანარჩენი მე მიყურებს. მე ვხედავ ჩემ თავს ისე, როგორც სხვებს შეუძლიათ მიყურონ. ეს შეუდარებელი წამია და ამიტომაც არ გრძელდება დიდ ხანს. მე ვზომავ მთელ ჩემ ნაკლსა თუ ზადს, რასაც ვერასოდეს ვამჩნევთ ჩვენ თავს. ვხედავ იმას, რაც არ ვარ. მაგალითად (ამას ვაწყობ დაბრუნებისთანავე, მაგრამ მაინც იქიდან მოდის): არის თვალუწვდენელი სივრცეები, რასაც მე ვერასოდეს მივაღწიე, ხოლო ის, რაც არც არასდროს ვიცოდი, თითქოს არც არსებულა. მომერევა ხოლმე სურვილი ვისრისტეხით გავიქცე, შევვარდე იმ სახელში, იმ მაღაზიაში, შევახტე მატარებელს, ერთბაშად გადავსანსლო მთელი ჟუანდო, ვისწავლო გერმანული, გავიცნო აურანგაბადი... მაგალითები ძალზე ლოკალიზებულია და საწყალობელი, მაგრამ სხვანაირად როგორ გამოვთქვა იდეა (იდეა?).

კიდევ ერთი საშუალება, რომ ვთქვა ჩემი სათქმელი: ზადს შეიგრძნობ როგორც ინტუიციის სიმწირეს, როგორც გამოცდილების უკმარისობას. სინამდვილეში, მე დიდად არც მაწუხებს, რომ არ წამიკითხავს მთელი ჟუანდო, დიდი-დიდი სევდას მგვრიდეს ის, რომ ეს ცხოვრება მეტისმეტად ხანმოკლეა იმისთვის, რომ ყველა ქვეყნის ბიბლიოთეკა გადავიკითხო და ა.შ. გამოცდილების უქონლობა გარდუვალი რამაა, თუ ვკითხულობ ჯოისს, მაშინ თავისდა უნებურად უნდა გავწირო სხვა წიგნი და პირიქით, და ა.შ. ნაკლოვანების შეგრძნება გაცილებით მწარეა ეს ცოტა ასე უნდა იყოს: არის რაღაც ხაზები ჰაერში შენი თავის

ირგვლივ, შენი მზერის ირგვლივ, ზონები, რაზეც აჩერებ მზერას, შენს ყნოსვას, შენს გემოვნებას ანუ ის, რაც შენი საზღვრის გარედან მოდის და ამ ზღვარს ვერასოდეს გასცდები, როცა გჯერა, თითქოს უბრალოდ მიხვდი რაღაცას, ხოლო თავად ამ რაღაცას, როგორც აისბერგს აქვს პატარა ნაწილი, რასაც გაჩვენებს, ხოლო დანარჩენი უზარმაზარი, შენთვის უხილავია, მიუწვდომელია და ისე ღრმადაა ჩაძირული, როგორც „ტიტანიკი“. ეს ოლივეირაც, ვინ არის ასეთი, მაგალითები რომ არ გამოვლევა.

ვიყოთ სერიოზულები. ოსიპმა ვერ დაინახა გამხმარი ფოთლები შუქფარზე, უბრალოდ იმიტომ, რომ მისი ზღვარი იმაზე ვიწროა, რასაც ლამთა აღნიშნავს, ეტიენმა მშვენივრად დაინახა, მაგრამ მისმა ზღვარმა არ დაანება დაენახა ის, რომ მე მწარედ ვიყავი დანაღვლიანებული პოლას მდგომარეობის გამო. ოსიპმა კი უმაღლესად შეამჩნია ეს და კიდევ მაგრძნობინა, რომ დაინახა. ასე გვემართება ყველას.

აღამიანს მე წარმოვიდგენ, როგორც ამებას, რომელიც გამოყოფს თავის ვითომ ფეხებს, რომ საზრდო მოიტაცოს. ვითომ ფეხები არის გრძელიც და მოკლეც და წრიულად მოძრაობენ: ერთ დღესაც ეს მოძრაობა დადგინდება (ამას უწოდებენ მომწიფებას, აღამიანიც ასეა დადგენილი და ჩამოყალიბებული). ერთი მხრივ, ის შორს სწვდება, მეორე მხრივ, ვერ ხედავს ლამთას ორ ნაბიჯზე, ასეთ შემთხვევაში ვერაფერს გააწყობ, როგორც იტყვიან ხოლმე ავისმქმნელები, ერთს სწყალობენ, მეორეს — არა. კაციც ცხოვრობს ასე და სჯერა კიდევ, რომ არაფერი საინტერესო არ გამოეპარება, სანამ ერთ წამში არ დაინახავს, თავისდა საუბედუროდ, რომ თურმე ვერ გაუგია და ის წამიც ისე გაირბენს, ვერც მიხვდება, რომ მისი ასეთი ყოფა მისი ვითომ ფეხები ყოფილა, ეჭვი, რომ იქ, ძალიან შორს, სადაც ახლა მე ვხედავ სუფთა ჰაერს, ან ამ მერყეობაში, არჩევანის ამ გზაჯვარედინზე, მე თვითონ ამ დანარჩენ რეალობაში, რაც მე არ ვიცი მე ველოდები ამაოდ.

(სიუიტა)

ისეთ ინდივიდუუმებს, როგორც გახლავთ გოეთე, არც უნდა ჰქონდეთ ამ სახის დიდი გამოცდილება. უნარისა თუ გადაწყვეტილებების მიხედვით (გენიოსი ნიშნავს გენიალურად არჩევას და მიხვედრას) მათი ეს ვითომ ფეხები ყველაფერს და ყველა მიმართულებით სწვდება. ისინი მოიცავენ ყველაფერს გარშემო ერთიან რადიუსში, მათი ზღვარი არის მათივე კანი, რაც განფენილია სულიერად თვალუწვდენელ მანძილზე. არა მგონია, რომ მათ აუცილებლად სურდეთ ის, რაც იწყება (ან გრძელდება) მათი ვრცელი სფეროს საზღვრებს მიღმა. ამიტომაც არიან ისინი კლასიკოსები, ჩე.

ამებასკენ *uso nostro*[262] მოისწრაფის უცნობი ყოველი მხრიდან. შემიძლია ვიცოდე ბევრი ან ვიცხოვრო ბევრი გარკვეული აზრით, მაგრამ მაშინ სხვა — მეორე მიახლოვდება ჩემი ყველაზე სუსტი მხრიდან და თავისი ცივი ფრჩხილებით მფხაჭუნის თავს. უსიამოვნო ისაა, რომ არ მეფხანება და მაინც მფხანს, ხოლო როცა მეწყება ქავილი, მაშინ მე ვისურვებდი მცოდნოდა, არის კი ჩემ ირგვლივ ყველაფერი ისე დადგენილი, დაწყობილი, ისე მოწესრიგებული, ისე მყარი და ისე დალაგებული იარლიყებით, რომ მე კიდევ ვიფიქრე, ხომ არ მესიზმრება-მეთქი. ასეც კარგად ვარ, ყველაფერი სრულ წესრიგში მაქვს და არ უნდა დავნებდე წარმოსახვას.

(უკანასკნელი სიუიტა)

წარმოსახვა მეტისმეტად აქვს და ადიდეს. ის საბრალო კი ერთი სანტიმეტრითაც ვერ წასულა წინ იმ თავისი ცრუფეხებით, მიჯნასაც ვერ გასცდენია. ამ მიჯნამდე დიდი მრავალფეროვნება და ფუსფუსია. მაგრამ სხვა სივრცეში, სადაც კოსმიური ქარი ქრის და, რასაც რილკეც გრძნობდა, დაე, ქალბატონი წარმოსახვა ნუ გაინავარდებს.

Ho detto[263].

(-4)

ცხოვრება, რომელიც ლიტერატურული სტატიებივით გაზეთებსა და ჟურნალებში თავიდან თვალს მოგტაცებს, ბოლოს სადღაც ოცდამეთორმეტე გვერდზე ყიდვა-გაყიდვის განცხადებებსა და კბილის პასტის რეკლამებს შორის გაქუცული კუდივით ჩაიკარგება ხოლმე.

(-150)

86

კლუბში ყველა, ორის გარდა, ამტკიცებდა, რომ მორელის გაგება გაცილებით ადვილია ამოწერილი ციტატების მიხედვით, ვიდრე მისი საკუთარი ღვლარჭნილ სიტყვებითო. ვონგიც, სანამ საფრანგეთიდან გაემგზავრებოდა (პოლიციამ არ გაუგრძელა *carte de séjour*[264]) სულ იმას გაიძახოდა, არ ღირს მოხუცის ნაცოდვილარ-ნაჩხირკედელავეები ნაჯღაბნისთვის თავის შეწუხება, როცა უკვე აღმოჩენილია პოუელისა და ბერჟიეს ორი ციტატაო:

„ვინ იცის, ეგებ ადამიანს აქვს ისეთი ადგილიც, საიდანაც შეუძლია მიიღოს რეალობა ერთიანად. ეს ჰიპოთეზა ბოდვას ჰგავს. ოგიუსტ კონტი ამტკიცებდა, ალბათ ვერასოდეს ამოვიცნობთ ვარსკვლავის ქიმიურ შესაძლებლობასო, მაგრამ ერთი წელიც არ გასულა, რომ ბუნზენმა გამოიგონა სპექტროსკოპი.“

„ენა, ისევე როგორც აზროვნება, ტვინის ბინარული არითმეტიკის ფუნქციის შედეგია. ჩვენ ვახდენთ კლასიფიცირებას „ჰო“—ს და „არა“—ს, პოზიტივსა და ნეგატივს შორის. (...) ერთადერთი, რასაც ჩემი ენა ადასტურებს, არის დაყოვნება სამყაროს ჩვენეული ხედვისა, რაც ორმნიშვნელობითაა შემოსაზღვრული,

ენის უკმარისობა ცხადია, სამწუხაროდ. მაშინ რაღა გვეთქმის აზროვნების უკმარისობაზე ორმნიშვნელობის პრინციპის მიხედვით? შინაგანი არსებობა, საგანთა არსი მაშინ ქრება. შეიძლება აღმოვაჩინოთ, რომ სინათლე არის მუდმივიც და წყვეტილიც ერთსა და იმავე დროს, რომ ბენზოლის მოლეკულა შეიცავს ექვს ატომს ორმაგი კავშირით და რომ ურთიერთს გამორიცხავენ; ეს დასაშვებია, მაგრამ ამის გაგება შეუძლებელია, ასევე არ შეიძლება შევუვრიოთ ჩვენ საკუთარ სტრუქტურას სიღრმისეული სტრუქტურების რეალობა, რაც შესამოწმებელია. ამის მისაღწევად უნდა შეიცვალოს ბევრი რამ, აუცილებელია, რომ სხვა მოქმედი მექანიზმები მოქმედებდნენ ტვინში, რომ ბინარული აზროვნება შეცვალოს ანალოგიების მიხედვით აზროვნებამ, რაც მოიცავდა ფორმებს და მიემსგავსებოდა სტრუქტურების წარმოუდგენელ რიტმებს...”

Le matin des magiciens.[265]

(-78)

87

1932 წელს ელინგტონმა ჩაწერა „Baby when you ain’t there”[266], ერთი ის თავისი თემიდან, რასაც ნაკლებად აქებდნენ და რომელიც ერთგულმა ბარი ულანოვმაც კი საგანგებოდ არ მოიხსენია. საოცრად მშრალი ხმით მღეროდა ამ ლექსს კუტი უილიამსი:

I get the blues down North,

The blues down South,

Blues anywhere,

I get the blues down East,

Blues down West,

Blues anywhere.

I get the blues very well

O my baby when you ain't there

ain't there ain't there.[267]

რატომ არის აუცილებელი, რომ გარკვეულ საათში ვთქვათ: „მიყვარდა ეს?“ მიყვარდა ის ბლიუზები, ის სახე, ქუჩაში რომ დავლანდე, ის შესაბრალისად დამშრალი მდინარე ჩრდილოეთისა. ჩვენება, ბრძოლა არარას წინააღმდეგ წინ რომ გველობება. ჯერ კიდევ რჩება სულში ის ნამცეცები, ლესბიას ბედურები, ბლიუზები, მესხიერებაში შეუმჩნევლად შეყუჟული, სურნელების სამყოფელში, გრავიურები და პრეს-პაპიე.

(-105)

88

– ფეხი გააჩერე, ჩე, თორემ ნემსი შეიძლება ნეკნებში გატაკო, – უთხრა ტრეველერმა.

– შენ იმ ყვითელი ფერების ამბავი გააგრძელე, – უთხრა ოლივეირამ, – თვალებს დავხუჭავ და ვითომ კალეიდოსკოპში ვხედავდე.

– საერთოდ ყვითელი ფერის საქმეს – განაგრძო ტრეველერმა და თან ბამბით თეძოს უზღელდა, – ეროვნული კორპორაციის სააგენტო განაგებს.

– ყვითელბეწვიანი ცხოველების, ყვითელყვავილებიანი მცენარეების, ყვითელი მინერალების, – მორჩილად წარმოთქვა ოლივეირამ, – ალბათ ასე, არა? ბოლოს და ბოლოს, ხუთშაბათი ჩვენთვის მოდის დღედაა გამოცხადებული, კვირა დღეს კი არ ვმუშაობთ, მეტამორფოზა, რაც ხდება შაბათის დილიდან დაწყებული საღამომდე, განსაკუთრებულია, ხალხიც მშვიდდება. რა საშინელ ტკივილს მაყენებ. ესეც ყვითელი მეტალი ხომ არ არის?

– არა, უბრალოდ დისტილირებული წყალია, – უთხრა ტრეველერმა, – მაგრამ შენ უნდა იფიქრო, ვითომ მორფინია. შენ სავსებით მართალი ხარ, სეფერინოს სამყარო მარტო იმათ მოეჩვენებათ უცნაურად, ვისაც თავიანთი წეს-კანონებისა სჯერა, სხვისას კი არაფრად მიიჩნევს. აბა, ერთი დაფიქრდი, როგორ შეიცვლებოდა ყველაფერი, რომ ტროტუარიდან ქვაფენილზე სამიოდე ნაბიჯი გადაგედგა...

– ისე გამოვა, თითქოს ყვითელი ფერიდან პამპის ფერებზე გადაინაცვლე, – თქვა ოლივეირამ, – რაღაც ძილი მომერია, ჩე.

– ეს ძილისმომგვრელი წყლის ბრალია, – მე რომ მკითხო, დიდი სიამოვნებით გაგიკეთებდი ისეთ ნემსს, რაც უფრო გამოგაცოცხლებდა. – სანამ დამეძინება, ერთი რამ გამაგებინე.

– ეჭვი მეპარება, რომ დაგეძინება, მაგრამ ვნახოთ...

(-72)

ხელთა გვექონდა ლიცენციატ ხუან კუევასის ორი წერილი, რაც საკამათო გახდა იმის გამო, თუ რა თანმიმდევრობით უნდა წაგვეკითხა. პირველი წარმოდგენდა პოეტურ ექსპოზიციას, რომელსაც იგი უწოდებდა „მსოფლიოს სუვერენობას“, მეორე

ასევე ნაკარნახევი იყო მბეჭდავისთვის სანტო დომინგოს კანტორაში და თითქოს სამაგიეროს მიუზღავდა პირველის იძულებით თავშეკავებულ შინაარსს:

წინამდებარე წერილიდან შეუძლიათ გადაიღონ იმდენი ასლი, რამდენიც უნდათ, განსაკუთრებით გაეროს წევრებისთვის და მსოფლიოს მთავრობებისთვის, რომლებიც გახლავთ წმინდა წყლის ღორები და ტურების საერთაშორისო ხროვა. ერთი მხრივ კანტორა სანტო დომინგოზე არის აურზაურის ტრაგედია, მეორე მხრივ, კიდევ მომწონს, რადგან აქედან შემიძლია ვისროლო ყველაზე დიდი ქვები ისტორიაში.

ამ ქვებში იგულისხმებოდნენ:

რომის პაპი — ისტორიაში ყველაზე დიდი ღორი და არავითარ შემთხვევაში ღმერთის წარმომადგენელი; რომის კლერიკალიზმი — ნამდვილი სატანის ფუნა; რომის მთელი კლერიკალური ტაძრები უნდა გასწორდეს მიწასთან, რათა ქრისტეს ნათელი არა მხოლოდ ადამიანთა გულებში გაბრწყინდეს, არამედ მიაღწიოს უფლის სამყაროსეულ სინათლემდე, ამას ყველაფერს იმიტომ ვამბობ, რომ წინა წერილს ვწერდი მეტად სათნო სენიორიტას თანდასწრებით და არ შემეძლო რაიმე სისულელე მეთქვა, რადგან ძალზე შეწუხებული შემომცქეროდა.

კეთილშობილი ლიცენციანი! კანტის დაუძინებელი მტერი დაჟინებით მოითხოვს, რომ „თანამედროვე მსოფლიოს ფილოსოფია უფრო ჰუმანური გახდეს“, რის შემდეგაც ხადებს:

და რომანიც ჯობია გახდეს ფსიქოფსიქიატრიული, ანუ ჭეშმარიტად სულიერი ელემენტები სულისა ისე იყოს წარმოჩენილი, როგორც მსოფლიო ფსიქიატრიის ჭეშმარიტად მეცნიერული ელემენტები...

ხანდახან მნიშვნელოვანი დიალექტიკური არსენალი განზე გადაიდებოდა და მაშინ მსოფლიო რელიგიის სამეფო ბუნდოვნად გამოჩნდებოდა:

ამიერიდან კაცობრიობა ივლის ორი მცნების უნივერსალური გზით და ამა ქვეყნის ყველაზე მაგარი ქვებიც კი გადაიქცევიან აბრეშუმით რბილ სანთლად ამ შუქმფინარი სინათლის ქვეშ...

პოეტი და მერე როგორი.

მთელი ქვეყნიერების ქვების ხმაური ისმის დედამიწის ყველა ჩანჩქერსა და ხეობაში ვერცხლის წკრიალად და უსაზღვრო სიყვარულით გვაგვებს ქალისა და უფლისადმი...

უეცრად არქეთიპული ხილვა შემოიჭრება და გაიშლება:

მთელი კოსმოსი, დედამიწა, ვითარცა უფალი ღმერთის ყველგანმყოფი გონებისმიერი სახე, რაც მოგვიანებით გადაიქცევა კონდენსირებულ მატერიად, სიმბოლურადაა წარმოჩენილი ძველ აღთქმაში იმ მთავარანგელოზის სახით, ვინც თავი მოაბრუნა და დაინახა ჩაბნელებული სამყარო, ცხადია, ზეპირად არ მახსოვს ციტატა ძველი აღთქმიდან, მაგრამ დაახლოებით ასე უნდა იყოს ნათქვამი: თითქოს სამყაროს შუქი დედამიწას მოეფინა, რომელიც დადგა მზის გარშემო, ვითარცა სამყაროსეული ენერჯის ორბიტა... სწორედ ასევე უნდა მიაბრუნოს თავისი სხეული, თავისი სული და თავისი თავი მთელმა კაცობრიობამ და მთელმა ხალხებმა... რამეთუ მთელი სამყარო და მთელი დედამიწა მიბრუნდა ქრისტესკენ, მის ფერხთით დადო მიწის მთელი კანონები...

და მაშინ, ...გვრჩება ოდენ ვითარცა სამყაროსეული სინათლე სხვადასხვანაირი შუქურებისა, ადამიანთა გულებს რომ ანათებს სიღრმისეულად...

ცუდი ისაა, რომ მოულოდნელად:

ქალბატონებო და ბატონებო: ამ წერილს ვწერ საშინელი ხმაურის პირობებში. და სულ ერთია, მაინც ვწერ; თქვენ კი არ გესმით, რომ თუ გვინდა დაიწეროს რაც შეიძლება სრულყოფილად მსოფლიოს სუვერენიტეტის და მთელი სამყაროს ყურადღების მისაღწევად, თქვენც უნდა ხელი შემაშველოთ, რომ ყო-

ველი სტრიქონი, ყოველი ასო იდგეს თავის ადგილზე და არა ეს აბდაუბდა და მამაძაღლობა და ბოზიშვილობა...

მაგრამ რა მნიშვნელობა აქვს? მომდევნო სტრიქონი იქნება ისევ ექსტაზი:

რა დიდებულია სამყარო! როგორ ყვავის სულიერი სინათლის დარად მომხიბვლელი ვარდები ხალხის გულებში...

და წერილიც მთავრდება ისეთივე ყვავილოვანი სიტყვებით, თუმცა ბოლოში რამდენიმე უცნაურ მინაწერს მაინც ვხედავთ:

...„ასე მგონია, მთელ სამყაროს მოეფინება უნივერსალური ქრისტეს შუქი, განიწმინდება ყოველი ადამიანური ყვავილი, მისი ყოველი ფურცელი და გადაიფურჩქნება დედამიწის მთელ ბილიკებზე სამარადისოდ, განიწმინდება მსოფლიოს სუვერენიტეტის შუქში, ამბობენ, თითქოს მე შენ აღარ გიყვარვარ, რადგან სხვა გხიბლავს, — უღრმესი პატივისცემით. მექსიკა, O.I., 20 სექტემბერი, 1956 — 5 მაისის 32, int. 111. — Edit. Paris. Lic. ხუან კუევასი.

(-53)

90

იმ დღეებში სულ ეჭვები ღრღნიდა — და მისი უკეთური ჩვევა, გამუდმებით ერთსა და იმავეს რომ უტრიალებდა, ძალზე აწუხებდა, მაგრამ ვერაფერს შველოდა, ამაოდ იმტვრევდა თავს უმთავრეს კითხვებზე და თავისი ცხოვრების მოუგვარებელ პირობებზე, რომელშიც მაგასა და როკამადურის წყალობით აღმოჩნდა, მაგრამ ვერა და ვერ ამოეხსნა, როგორ და რატომ გაება ასეთ მახეში. ასეთ დროს უმაღლეს დედალდის ფურცელს დაავლებდა ხელს და წერდა იმ დიდმნიშვნელოვან სიტყვებს, რაც მოსვენებას უკარგავდა და აწამებდა. მაგალითად, წერდა: „დიჰ-

დი საჰმენი”, ან „გზაჰჰვარედინი”; ეს კი საკმარისი იყო, რომ ერთი გულიანად გადაეხარხარა და უფრო მეტი სიამოვნებით შეესვა მატეც. „ჰერთიანობა”, დაწერდა ხოლმე ჰოლივეირა, „მეჰ და სხვაჰ”. ამგვარი გრაფოლოგიური გართობები მასზე ისევე მოქმედებდა, როგორც ზოგიერთზე პენიცილინი. მერე შვეებით ამოისუნთქებდა და უკეთესადაც ფიქრობდა. „მთავარია, მეტისმეტად არ გაიფხორო,” — ეტყოდა საკუთარ თავს, მერე დინჯად ფიქრობდა და აღარც სიტყვები უწყობდნენ ოინებს. საქმე კი მეთოდურად მიდიოდა, მაგრამ დიადი საკითხები მაინც არ იძვროდა ადგილიდან.

„ვინ იფიქრებდა, ბიჭო, რომ ბოლოს და ბოლოს, შენგან მეტაფიზიკოსი დადგებოდა, — თავადვე უკვირდა, — თუ სამკარიან კარადას ვერ მოერევი, მაშინ ტუმბოს მაინც უნდა დასჯერდე, შენი უძილობის ამ მოწმეს.” რონალდი მოვიდა, რომ რალაც მისთვის გაუგებარ პოლიტიკურ საქმეებში აეყოლიებინა და მთელი ღამე (მაშინ მაგას ჯერ არ წაეყვანა როკამადური სოფელში) როგორც არჯუნა და კონერო (მეეტლე), ისე კამათობდნენ, რომელია სწორი, მოქმედება თუ უმოქმედობა, ან ღირს თუ არა სასწორზე დადო აწმყო მომავლის გულისთვის, ეს ყოველგვარი მოქმედების წამქეზებელი არგუმენტი, საზოგადოებრივი მიზნები რომ ამოძრავებს, ან კიდევ იმაზე, რამდენად შეიძლება შეალამაზოს რისკმა პიროვნების სიმდაბლე, დაფაროს მისი ყოველდღიური ქცევის უგვანობა. რონალდი ნირწამხდარი წავიდა, რადგან ვერაფრით ვერ დაარწმუნა ოლივეირა ამბოხებული ალჰირელების მხარდაჭერის აუცილებლობაში. ოლივეირამ კი მთელი დღე ვერ მოიშორა საზიზლარი მწარე გემო, რადგან გაცილებით ადვილი იქნებოდა რონალდისთვის ეთქვა „არა”, ვიდრე საკუთარი თავისათვის, ერთ რამეში კი დარწმუნებული იყო: შეუძლებელია ღალატის გარეშე უარი ეთქვა პასიურ ლოდინზე, რასაც ასე დანებდა და როგორც ცხოვრობდა პარიზში ჩასვლის პირველივე დღიდან. სულგრძელობა რომ ასე იოლად დაჰყოლოდა და ქუჩაში პლაკატების გაკვრა დაეწყო, სრულიად ფუჭ საქმედ წარმოედგინა; თითქოს ეს ყველაფერი მეგობრებთან ურთიერთობის საქმე იყო, რომლებიც მის გამბედაობას გაცილებით უკეთესად შეაფასებდნენ, ვიდრე იმას, რომ დიადი კით-

ხვების პასუხი ამოეცნო. როდესაც ყველაფერს დროებითისა და აბსოლუტის თვალსაზრისით ზომავდა, გრძნობდა რომ ცდებოდა პირველ შემთხვევაში და მიზანში ხვდებოდა მეორეში. ცუდი შეიძლება იყო ის, რომ არ იბრძოდა ალჟირის დამოუკიდებლობისათვის, ან ანტიემიტიზმისა თუ რასიზმის წინააღმდეგ, კარგი კი იყო ის, რომ უარს ამბობდა ნარკოტიკზე, კოლექტიურ მოქმედებებზე და ისევ და ისევ მწარე მატესთან რჩებოდა პირისპირ, ფიქრობდა დიად საკითხებზე, იმ გორგალივით ატრიალებდა, რომლის ერთი წვერი არ ჩანს, ხოლო ოთხი თუ ხუთი წვერი ერთად გამოდის.

თითქმის ყველაფერი რიგზეა, ჰო, მაგრამ ის მაინც უნდა აღიაროს, რომ მერყევი ხასიათი აქვს და მოქმედების ნებისმიერ დიალექტიკას ფეხით ქელავს „ბჰაგავადგიტასავით“. ნეტავი მატე თვითონ უნდა მოადულოს თუ ისევ მაგას დააკისროს, ეს ეჭვსაც არ იწვევდა. ყველაფერი დანარჩენი კი მრავალმნიშვნელოვანი იყო და ურთიერთსაპირისპირო განმარტებებს მოითხოვდა: პასიურ ხასიათს შეესატყვისებოდა მაქსიმალური თავისუფლება და უსაქმურობა, სიზარმაცის მიზგზით პრინციპებისა და რწმენის უქონლობა. კიდევ უფრო მწვავედ აგრძნობინებდა, რომ ცხოვრებას აქვს ღერძი (რასაც ფლიუგერის ტიპს უწოდებენ) და ამ სიზარმაცის გამო შეიძლება უარი ეთქვა რაიმეზე, სამაგიეროდ კი ის სიცარიელე შეევესო — რაც უარის შედეგად გაჩნდა — ახალი შინაარსით, შემეცნებისა თუ ინსტინქტის გემოქმედებით, თავისუფლად რომ აირჩია და გაცილებით უფრო ღია, თავისუფალი და უფრო ეკუმენურიც იყო, თუ ასე ვიტყვით.

„უფრო ეკუმენური“, — ფრთხილად წარმოთქვა ოლივეირამ.

ესეც არ იყოს, რაში მდგომარეობს მოქმედების ჭეშმარიტად ზნეობრივი არსი? სოციალური მოქმედებები სინდიკალისტების მოქმედებებს უტოლდება და კიდევ სარგებლიანად ამართლებენ თავის თავს ისტორიულ ნიადაგზე. ბედნიერები არიან ისინი, ვინც ცხოვრობდა და ცხოვრობს ისტორიაში. თავგანწირვას თითქმის ყოველთვის აქვს რელიგიური ფესვები. ბედნიერები არიან ისინი, ვინც შეიყვარა მოყვასი თვისი, ვითარცა თავი თვისი. ყველანაირ შემთხვევაში, ოლივეირა უარყოფდა ასეთ გამო-

სავალს თავისი „მე“—სთვის, ამ სულგრძელ შეჭრას სხვის სამყოფელში, ამ ონტოლოგიურ ბუმერანგს, რაც საბოლოოდ იქითკენაა მიმართული, რომ გაამდიდროს ის, ვინც ისვრის, მისცეს მეტი ჰუმანურობა, მეტი სიწმინდე. წმინდანი ხომ ყოველთვის სხვის ხარჯზე ხდება წმინდანი და ა.შ. არაფერი ჰქონდა საწინააღმდეგო თვითონ მოქმედების, როგორც ასეთისა, მაგრამ ემიჯნებოდა მას, რადგან საკუთარი თავისადმი იყო უნდობლად განწყობილი. მას ეშინოდა ღალატისა, რაც გარდაუვალი იქნებოდა, თუკი დათანხმდებოდა იმაზე, რომ პლაკატები გაეკრა, ან რაიმე სხვა სოციალური საქმე შეესრულებინა. ასეთი ღალატი, რასაც ექნებოდა სამუშაოსგან მიღებული კმაყოფილების, სანიადაგდლო სიხარულის, სინდისის დაშოშმინების და მოვალეობის შესრულების შეგრძნების სახე. ის საკმაოდ კარგად იცნობდა კომუნისტებს ბუენოს აირესშიც და პარიზშიც, იცოდა რისი ჩამდენნიც იყვნენ, რასაც მათ თვალში ვითომ მათივე „ბრძოლა“ გამოისყიდოდა, თუნდაც იმით, მაგალითად, რომ შუა ვახშობისას შეიძლება წამომხტარიყვნენ და გაქცეულიყვნენ კრებაზე, ან რაიმე სხვა დავალება შეესრულებინათ. ამ ადამიანების საზოგადოებრივი მოღვაწეობა უფრო მოგაგონებდათ ალიბის, თუ ისეთივე საბაბს, რასაც ზოგჯერ ბავშვები იყენებენ ხოლმე დედებთან, როცა იმას არ აკეთებენ, რაც გასაკეთებელია ამ ცხოვრებაში, ანდა ისეთი ერუდიცია, თვალებს რომ ამოიღამებენ და იმას კი ვერ ხედავენ, რომ ლამის მათ ცხვირწინ, მეზობელ კვარტალში ვიღაცას გილიოტინას უმზადებენ, არადა ეგებ არც დაუმსახურებია. ყალბ მოღვაწეობას თითქმის ყოველთვის ჰქონდა სანახაობის იერი და სწორედ მას მიაგებდნენ პატივისცემას, ღირსებას, ბოლოს კი ცხენზე ამხედრებულ ქანდაკებად წარმოგვიდგენდნენ, ადვილად მოსარგებია საკუთარი ფეხსაცმელივით და ხოტბაც შეეძლო დაემსახურებინა („ბოლოს და ბოლოს, კარგი იქნებოდა, ალჟირელებს დამოუკიდებლობა რომ მოეპოვებინათ, ჩვენც ცოტას დავხმარებოდით“, ფიქრობდა ოლივეირა); ღალატი სულ სხვაა, ეს არის ყოველთვის ცენტრზე უარის თქმა პერიფერიის სასარგებლოდ, რაც ბადებდა იმ ადამიანებთან დაძმობილების საოცარი სიხარულის გრძნობას, ვინც ასეთივე საქმიანობას ეწეოდა, მაგრამ იქ, სადაც გარკვეულ ადამიანს, ტიპს შეეძლო თავი წარმოეჩინა, როგორც ტრაგიკულ გმირს,

ოლივეირამ ადრევე იცოდა, რომ განწირული იყო ყველაზე უარესი კომედიისთვის. მაშინ, რაკი ასეა, ჯობია ცოდვა ჩაიდინო და არ მიიღო მასში მონაწილეობა, ვიდრე იყო თანამონაწილე. მსახიობობა ნიშნავდა უარის თქმას პარტერზე, მას კი სჯეროდა, რომ დაბადებული იყო მაყურებლად, რომელიც დაიკავებდა ადგილს პირველ რიგში. „ცუდი ის არის, — იტყოდა ხოლმე თავისთვის ოლივეირა, — რომ მე ამავე დროს მინდა ვიყო აქტიური მაყურებელი და აქედან იწყება კიდევ ყველა უსიამოვნება.“

აქტიური მაყურებელი, ეს საკითხი მოითხოვს ზედმიწევნით ფრთხილ ანალიზს. ზოგჯერ უეცრად რომელიმე სურათი, რომელიმე ქალი, რომელიმე ლექსი იმედს უღვიძებდა, რომ ერთხელაც იქნება და მიაღწევდა ზონას, სადაც შეიძლება საკუთარ თავთან თანხმობის მიღწევას და აღარ იგრძნობდა იმ ზიზღსა და უნდობლობას, რასაც ახლა განიცდიდა. მას ჰქონდა ერთი უპირატესობაც, მისი ყველაზე უარესი ნაკლოვანებები ეხმარებოდა იმაში, რომ ეს ჯერ არ იყო ის გზა, რასაც ეძებდა, არამედ იყო მხოლოდ ნამდვილ გზასთან მიახლოების ძიება. „ჩემი ძალა ჩემს სისუსტეშია“, — ფიქრობდა ოლივეირა, — „ყველაზე დიდ გადაწყვეტილებებს ყოველთვის ვიღებდი ხოლმე მაშინ, როცა გაქცევას გავითამაშებდი.“ უმეტეს შემთხვევაში ის, რასაც კი იგი წამოიწყებდა, მთავრდებოდა „not with a bang but a whimper“ [268], ყველაზე დიდი გარღვევები, bang, სასოწარკვეთილება, მხოლოდ კუთხეში მიმწყვდეული ვირთხის კბენა იყო და მეტი არაფერი. მეორე კი საზეიმოდ ტრიალებდა, რომელიც გადაწყდებოდა დროსა და სივრცეში თავისთავად, ძალდაუტანებლად ან დაღლილობისგან, — ისე, როგორც მთავრდებოდა ყველა მისი სენტიმენტალური თავგადასავლები, — ან ჩაივლიდა შეუმჩნევლად, ისე როგორც თანდათან მოუკლებ მეგობრებთან სიარულს, ნაკლებად კითხულობ რომელიმე პოეტს, აღარ დადიხარ ვაფეში, ერთი სიტყვით, მოახლოებულ არარას მცირე დობებით უშვებ შენთან ახლოს, რომ ძალიან არ გემწაროს, „სინამდვილეში არ შეიძლება მე რაიმე შემემთხვას, — ფიქრობდა ოლივეირა, — ყვავილების ქოთანიც კი არ დამეცემა თავზე“. მაშ საიდანაა ეს მოუსვენრობის გრძნობა თუ არა ეს ყბადაღებული წინააღმდეგობის ჟინი, ნოსტალგია მოწოდებით და მოქმედე-

ბით? ამ მოუსვენრობის ანალიზს, დასაშვები დოზით, ყოველთვის მიჰყავდა იმ აზრამდე, რომ რაღაც უნდა შეცვლილიყო, რაღაც წესრიგის ცენტრიდან უნდა გამოსულიყო, მაგრამ რა წესრიგი იყო ეს, ოლივეირამ არ იცოდა. თვითონ საკუთარი თავი წარმოედგინა მაყურებლად, მაგრამ სპექტაკლისგან განზე, თითქოს თვალები ჰქონდა ახვეული, ხანდახან ესმოდა რაიმე სიტყვა, მუსიკა, რაც მასში აღძრავდა სევდას, რადგან ასეთ ყოფაშიც კი შეეძლო ამოეცნო მთავარი აზრი. ამ წუთებში მან იცოდა, რომ ყველაზე ახლოს იყო ცენტრთან, ვიდრე ისინი, ვინც იმ რწმენით ცხოვრობენ, თითქოს მორგვი იყო ბორბალში, ოღონდ ეს სიახლოვე უსარგებლო იყო, როგორც ტანტალოსის წამი, ოღონდ ტანტალოსის ხვედრისგან განსხვავებით, მისი წამი არ იყო ისეთი წამება. ერთხელ კინალამ დაიჯერა, რომ სიყვარული იყო სულიერი გამდიდრების საშუალება, რაც იწვევდა მთვლემარე ძალების გამოცოცხლებას. ერთ დღეს კი მიხვდა, რომ მისი ყველა სიყვარული იყო უწმინდური, რამეთუ გულისხმობდა იმედს, მაშინ როცა ჭეშმარიტად შეყვარებულს უყვარს ისე, რომ არაფერს ელოდება, გარდა სიყვარულისა და მართლ იმაზე ფიქრობს, რომ დღე გახდება უფრო ლაჟვარდისფერი და ღამე უფრო საამური, ტრავმა — ნაკლებად მოუხერხებელი. „მე კი წვნიანის ჭამასაც კი დიალექტიკურ პროცესად აღვიქვამ“, — ფიქრობდა ოლივეირა. თავის შეყვარებულებს გადააქცევდა ხოლმე მეგობრებად, თანამზრახველებად გარემო ვითარების თავისებური დაკვირვების მიხედვით. ქალები თავიდან ლამის აღმერთებდნენ ხოლმე მას (ნამდვილად თავყვანს სცემდნენ), აღტაცებული იყვნენ (უსაზღვროდ აღტაცებული), მერე რატომღაც დაეჭვდებოდნენ, და როცა უკვე სიცარიელეს დაინახავდნენ, უკან გარბოდნენ, ისიც უადვილებდა გაქცევას, უღებდა კარებს, დაე, წავიდნენ და სხვაგან გაერთონო. ორ შემთხვევაში კინალამ იხანა, რომ ილუზიაც კი არ დაუტოვა, ვითომ მათ ესმოდათ მისი, მაგრამ რაღაცამ უკარნახა, რომ მისი სინანული არ იყო ნამდვილი, არამედ უფრო წააგავდა მისი ეგოიზმის იაფფასიან გამოვლინე — ბას, სიზარმაცესა და ჩვევას. „თანაგრძნობა ანადგურებს“, — ფიქრობდა ოლივეირა და ნებას აძლევდა წასულიყვნენ, მერე კი სულ მალე კიდევ ივიწყებდა.

მაგიდაზე მიმოფანტული ქაღალდები. ხელი (ვონგისა). ხმა აუჩქარებლად კითხულობს, ყოველ „11“ და „6“—ს წარმოთქმისას ბორძიკობს.

ჩანაწერები, ბარათები, რომლებზეც ზოგჯერ მარტო ერთი სიტყვაა, ლექსის ერთი სტროფი რომელიმე ენაზე, — მწერლის სამზარეულო.

მეორე ხელი (რონალდისა). დინჯი ხმა, რომელმაც იცის კითხვა. მისალმებები ხმადაბლა ოსიპისა და ოლივეირასადმი, რომლებიც დამნაშავეებივით შედიან (ბებსი მიდის კარის გასაღებად, ორივე ხელში უჭირავს დანა). კონიაკი, ოქროსფერი შუქი, კედლებზე — ლეგენდა წმინდა ზიარების შებღალვის შესახებ, დე სტალის პატარა სურათი, ლაბადები შეიძლება საწოლ ოთახში დატოვონ. ქანდაკება (აღბათ) ბრანკუზისა. საწოლი ოთახის სიღრმეში, მავთულებითა და მუყაოთი სავსე ყუთების გროვას შორის ჰუსარივით ჩაცმული მანეკენი, სკამები არ ჰყოფნით და ოლივეირას მოაქვს ორი ტაბურეტი. ჩამოვარდება სიჩუმე, რაც ჟენეს გამოთქმის მიხედვით შეედრება კარგად აღზრდილი ადამიანების სიჩუმეს, რომლებიც არ შეიმჩნევენ, რომ იყნოსეს სუნი, სალონში აღბათ ვიღაცამ უხმაუროდ რომ გაუშვა. ეტიენი გაშლის საქაღალდეს და ამოიღებს ფურცლებს.

— ვიფიქრეთ, რომ ჯობდა თქვენს მოსვლამდე არ გაგვერჩია, — ამბობს იგი. — მხოლოდ ცალკეული, გაბნეული ფურცლები გადავათვალიერეთ. ამ ჩერჩეტმა ნაგვის ვედროში ჩაყარა უგემრიელესი ერბო-კვერცხი.

— აშშორებული იყო, — თქვა ბებსმა.

გრეგოროვიუსი აშკარად აკანკალებულ ხელს ადებს ერთ-ერთ საქალაქს. გარეთ ალბათ საზიზღარი სიცივეა, დაასხით ორმაგი კონიაკი, სინათლის შუქი მათ ათბობს, საქალაქში მწვანეა, კლუბი. ოლივეირა მიშტერებია მაგიდის ცენტრს, მისი სიგარეტის ფერფლი ნელა ემატება საფერფლეზე უკვე ბლომად დაგროვილ ნამწვავებს.

(-82)

92

ახლა უკვე კარგად იცოდა, რომ სურვილის ყველაზე უფრო მძაფრი აზვირთების დროსაც კი არ შეეძლო თავით გადაშვებულ იყო ტალღებში, ღრმად ჩაეყვინთა და ისე ამოყურყუმალავებულიყო, ვითომც დიდი არაფერი მომხდარიყო, რაკი სისხლის გაუგონარ მოწოლას გადაიტანდა. მისთვის მაგას სიყვარული ჩვევად გადაიქცა და გაბრწყინებას აღარ ელოდა, სიტყვებიცა და ქცევაც ერთფეროვანი გამოგონებებით იყო ნაკარნახევი, ცეკვა ტარანტულებისა მთვარის შუქით განათებულ იატაკზე, ბლანტი გაწელილი მანიპულაცია ექოში. და მთელი ამ ხნის მანძილზე ის სულ ელოდებოდა რაღაცას ამ მხიარული თრობისგან, როგორც ხდება ხოლმე, გაიღვიძებ და ყველაფერი შენს ირგვლივ უკეთესად გეჩვენება, იქნება ეს სასტუმროს ოთახის მონათული შპალერი თუ თავისი საქციელის რაიმე მიზეზი, — არ უნდოდა იმის გაგება, რომ ლოდინით იზღუდავდა თავს, სპობდა ყოველგვარ რეალურ შესაძლებლობას, თითქოს წინასწარ იმზადებდა სასჯელს უღიმღამო და შეზღუდულ აწმყოში. მერე მაგასგან პოლასთან გადაინაცვლა, სულ ადვილად, უბრალოდ, ამით არც მაგასთვის მიუყენებია შეურაცხყოფა, არც თვითონ განაწყენებულა მაგაზე, სულ არ შეუწუხებია თავი ამაზე ფიქრით, როცა პოლას ვარდისფერ ყურს ეალერსებოდა და თან მაგას სახელს უჩურჩულებდა. პოლასთან მარცხი მიემატებოდა იმ უთვალავ მარცხს, წაგებულ თამაშს, რომელიც თავისთავად

მშვენიერია მაშინ, როცა მაგასგან დარჩა წყენა, უსიამოვნო ნალექი, როგორც ტუჩის კუთხეში მოქცეული სიგარეტისგან, განთიადის სუნი რომ დაჰკრავს. ამიტომ წაიყვანა პოლა სწორედ იმ სასტუმროში ვალეტეს ქუჩაზე, სადაც სწორედ იგივე ქალი შეეგება გამგებიანი მზერით და ისე მიესალმა, თითქოს უნდოდა ეთქვა, აბა, სხვა რა უნდა ქნა ამ ძაღლურ ამინდში. ისევ იდგა იმ წვნიანის სუნი, მაგრამ ხალიჩა კი გაეწმინდათ, ლურჯი ლაქა მოეშორებინათ, ახალი ლაქებისთვის მოესუფთავებინათ ადგილი.

— რატომ აქ? — თქვა გაოცებულმა პოლამ; გადახედა გახუნებულ ყვითელ საბანს, შეათვალიერა ოთახის ობმოლებული კედლები და ჭერში ჩამოკიდებული ვარდისფერი შუქფარი.

— აქ, თუ სხვაგან, რა მნიშვნელობაა...

— თუ ეს ფულის გამოა, არა, უბრალოდ ისე ვთქვი, საყვარელო.

— თუ ზიზღის გამოა, წავიდეთ სხვაგან, თუკი შენ იტყვი, ძვირფასო. — არა, ზიზღის გამო არა, უბრალოდ ულამაზოა. ეგებ ჯობდა...

მას გაეცინა, თითქოს მიუხვდაო. ეგებ ჯობდაო... მისი ხელი შეეხო ოლივეირას ხელს, როცა ორივე ერთდროულად დაიხარა, რომ საბანი გადაეწიათ, მთელი საღამო კიდევ ერთხელ, კიდევ ერთხელ და მერამდენჯერ ერთხელ კიდევ ირონიითა და შეშფოთებით აკვირდებოდა საკუთარ სხეულს როგორც ამ მოულოდნელობითა და იმედგაცრუებით აღსავსე ცერემონიის მოწმე. მაგას რიტმებს მიჩვეული, ახლა ვერ ხვდებოდა, როგორ ჩაეშვა უცბად სხვა ზღვაში, ახალმა ტალღებმა გამოიყვანა ავტომატური ჩვევებიდან, მოჩვენებებით გარემოცული მარტობიდან. რამდენი მომხიბლობაა და რაოდენი იმედგაცრუება, როცა ერთის ბაგეს მეორით შეცვლი, როცა თვალდახუჭული ეძებ ყელ-კისერს, რომელსაც ეს-ეს არის ეხვეოდა შენი ხელი, მაგრამ უცბად გრძნობ, რომ ეს სხვაა, რომ უფრო მკვრივია, ახლა იძაბება, თითქოს უნდა, რომ საკოცნელად წამოიწიოს, ან

ოდნავ უკბინოს; ყოველ წამს სხეული განიცდის მანამდე უცნობ სიტკბოებას, ცოტა უფრო უნდა მიუახლოვდეს, დახაროს თავი, რომ მოძებნოს მისი ტუჩები, თითქოს სულ ახლახან ასე ახლოს იყო, ეალერსები მის თეძოს და არც ისე მკვრივია, ელოდები საპასუხო ალერსს, მაგრამ ვერ იღებ, დაბნეული ისევ დაჟინებით ეძებ, სანამ არ მიხვდები, რომ ახლა ყველაფერი თავიდან უნდა დაიწყო, გამოიგონო სხვა, ახალი გასაღები და ახალი შიფრი, ყველაფერი თავიდან დაიწყება და სხვა მნიშვნელობა ექნება, ყველაფერი, სუნი, სიცილიც თუ თხოვნა, რიტმი და გზნება — თითქოს ეს ყველაფერი იგივეა და ამ დროს სულ სხვაა, ყველაფერი თავიდან იბადება, თუმცა ეს ყველაფერი უკვდავია, სიყვარული თამაშობს გამონაგონს, გაურბის საკუთარ თავს, უბრუნდება ზამბარის ახალ ხვეულს, ტუჩები სხვანაირად ეხებიან ტუჩებს, მკერდიც სხვაგვარად მღერის და ის წუთები, რომელსაც ადრე ავსებდა რისხვა და შიში, ახლა უდარდელი თამაში და მხიარულებაა, ან პირიქით, წუთებს, რომელსაც ადრე ძილი წაიღებდა, ახლა ტკბილი ჟღურტული და საალერსო სისულელეები ავსებს; ახლა სულ დაძაბული ხარ, გრძნობ, თითქოს რაღაც დაგრჩა უთქმელი, რაღაც მოიწევს რისხვის მსგავსი. და მხოლოდ ნეტარების ბოლო წუთის ცახცახია იგივე; ხოლო ყველაფერი, რაც იყო ამქვეყნად მანამდე და მერე, ნამსხვრევებად გაიფანტა, ახლა ყველაფერს ახალი სახელი უნდა ეწოდოს, სათითაოდ ყველა თითს და ბაგეებს და ყოველ ცალკეულ ლანდს.

მეორეჯერ ეს მოხდა პოლას ოთახში, დოფინის ქუჩაზე. მისი ზოგიერთი ნათქვამიდან ოლივეირას შეეძლო წარმოედგინა, რაც დახვდებოდა, მაგრამ სინამდვილე გაცილებით სხვა აღმოჩნდა, ვიდრე ეგონა. ყველაფერი იყო თავის ადგილზე, ყველაფერს ჰქონდა თავისი ადგილი. თანამედროვე ხელოვნების ისტორია წარმოდგენილი იყო ზომიერად განლაგებული საფოსტო ბარათების სახით; ერთი კლდე, ერთი პოლიაკოვი, ერთი პიკასო (გარკვეული გულითადობით), ერთი მანესიე და ერთიც — ფოტრიე მხატვრული გემოვნებით განაწილებული კედელზე, კარგად მოფიქრებული მანძილით დაშორებული. ხოლო მცირე დოზებით არც დავიდი სინიორიისა იყო გედმეტი. ერთი ბოთლი პერნო და ერთიც კონიაკი. საწოლზე — მექსიკური პონ-

ჩო, პოლა ზოგჯერ უკრავდა გიტარაზეც, ერთი მისი ძველი გატაცების მოსაგონებლად. მის ოთახში იგი მიშელ მორგანს ჰგავდა, ოღონდ, შავგვრემანი იყო. წიგნების ორ თაროზე განლაგებული იყო დარელის ალექსანდრული კვარტეტი, ბევრჯერ წაკითხული და შენიშვნებით აჭრელებული, დილან ტომასის თარგმანები, პომადით მოთხუპნული, „Two Cities“ რამდენიმე ნომერი, კრისტიან როშფორი, ბლონდენი, საროტი (ისევ გაუხსნელი) და NRF რამდენიმე ცალი. დანარჩენი საწოლთან იყო დაკავშირებული, სადაც პოლამ ცოტა კიდევ იტირა, რადგან გაიხსენა მეგობარი, რომელმაც თავი მოიკლა (ფოტო, დღიურიდან ამოხეული ფურცელი, გამხმარი ფოთოლი).

ამის მერე ოლივეირას უკვე უცნაურად აღარ ეჩვენებოდა პოლას გაუკუღმართებული ზნე, და რომ ის, რომ პოლა იყო პირველი — ლი, ვინც გზა მისცა გაუკუღმართებულ სიამოვნებას, ისე, რომ ღამე მათ თითქოს პლაჟზე გაშლართულებს მიუსწრებდა, სილაკი ნელა იხევდა უკან, როცა მოაწყდებოდა ხოლმე წყალი. მაშინ იყო, პირველად რომ უწოდა „პოლა — პარიზის პოლუსი“, ხუმრობით, მასაც მოეწონა და კიდევ იმეორებდა და მოფერებით ოდნავ კბენდა ტუჩზე, რომელიც ეჩურჩულებოდა „პოლა — პარიზის პოლუსი“, თითქოს სახელი მოეწონა და ახლა ეს სახელი უნდა დაიმსახუროსო, პოლა-პოლუსი-პარიზი, პოლა-პარიზი, პოლას პარიზი. ნეონის რეკლამის მომწვანო შუქი ინთებოდა და ქრებოდა და ისევ ანათებდა პალმის ყვითელი ბოჭკოების ფარდებს, პოლა-პარიზი, პოლა-პარიზი, გაშიშვლებული ქალაქი ნეტარებისგან ერთიანად ცახცახებდა ფარდის უკან მოციმციმე რეკლამის რიტმში; პოლა-პარიზი, პოლა-პოლუსი, პოლას პარიზი, ისევ და ისევ იმეორებდა და უკვე აღარც მკერდი აკვირვებდა, მუცელიც ისეთივე იყო, როგორც ახსოვდა მის ხელს, არაფერი უჩვეულო და უცნაური არც მანამდე, არც მერე, ბაგეც შესწავლილია და ადვილად მისაწვდომი, ენა უფრო თხელი და პატარა, ნერწყვი ნაკლები, კბილები არა აქვს წვეტიანი, ბაგე იპობა, რომ იგრძნოს მისი შეხება ღრძილებმა, ყველა ნაკვეცმა, ოდნავ კონიაკისა და თამბაქოს სუნი რომ შემორჩენია.

სიყვარული, მაინც რა სიტყვაა... მორალისტ ორასიოს სრულიად უმიზნოდ ეშინოდა ვნებისა, დაბნეული და მოღუშული დადიოდა ქალაქში, სადაც სიყვარული გაჰკვივის ყოველ ქუჩაზე, ისმის ყოველი სახლიდან, ყოველი ოთახიდან, ყოველი საწოლიდან, ყოველი სიბმრიდან, ყოველი დავიწყებიდან და მოგონებებიდან. სიყვარულო ჩემო, მე შენ არც შენთვის მიყვარხარ და არც ჩემთვის, არც ორივესთვის ერთად, იმიტომ კი არ მიყვარხარ, რომ სისხლი მთხოვს, რომ მიყვარდე, მე მიყვარხარ იმიტომ რომ ჩემი არა ხარ, იმიტომ რომ შენ სხვა მხარეს ხარ, სხვა ნაპირზე და იქიდან მიხმობ, გადმოხტო მთავაზობ, მე კი არ შემიძლია, რადგან სულ ერთია, ჩემში მაინც არა ხარ, როგორც არ უნდა გეუფლებოდე, შენი სხეულის მეტს ვერაფერს ვწვდები და შენი ღიმილისა, ისეთი საათებიც არის ხოლმე, როცა მე ვიტანჯები იმის გამო, რომ შენ გიყვარვარ (მერედა რარიგად გიყვარს შენ ეს სიტყვა — სიყვარული, რა კეკლუცად მოისვრი ხოლმე თეფშზე, ლოგინზე, ან ავტობუსში), მე მტანჯავს შენი სიყვარული, რადგან ვერ გახდა ხიდი, ხიდი მარტო ერთ ნაპირს ვერ დაეყრდნობა, ასეთი რამ არც რაითს და არც ლე კორბუზიეს არ აუგია და ნუ მიყურებ მაგ შენი ჩიტის თვალებით, შენთვის ხომ სიყვარულით ტკობა ასე მარტივია, შენ ჩემზე ადრე განიკურნები, თუმცა შენ მე უფრო გიყვარვარ, ვიდრე მე — შენ; რა თქმა უნდა განიკურნები, რადგან შენ ჯანსაღი ცხოვრებით ცხოვრობ და ჩემს მერე კიდევ ვილაც გამოგიჩნდება, რა სხვაობაა ბიუსტჰალტერს გამოიცვლი თუ ვაცს. რა სევდის მომგვრელია ამ ცინიკოსი ორასიოს მოსმენა, რომელსაც სიყვარული პასპორტით სჭირდება, გასაღებივით, მუზარადივით, რევოლვერივით, არგუსის ათას თვალს გამოასხამდა, უწყალობებდა ყოველგანმყოფსა და მდუმარებას, სადაც იშვებოდა მუსიკა, გაიდგამდა ფესვებს, იქიდან კი შეიძლებოდა სიტყვების ქსოვილის შექმნა. რა სისულელეა, ეს ყველაფერი ხომ შენში თვლემს, მარტო წყლით სავსე ჭიქაში უნდა ჩადო იაპონური ყვავილივით,

მერე ნელ-ნელა გამოისხამს ფერად-ფერად ყვავილებს, გაიშლებს ფურცელ-ფურცელ, გაიფურჩქნება, განიტოტება და გამშვინიერდება.

შენ მე მთავაზობ უსასრულობას, მაგრამ მაპატიე და მე ვერ მივიღებ, შენ მე მთავაზობ ვაშლს, მაგრამ ჩემი პროტეზი მაგიდაზე დამრჩა, STOP, ასეა, რა გაეწყობა. შემიძლია უხეშიც ვიყო, რომ იცოდე, მაგრამ კარგად დაიმახსოვრე ასეთი რამ არც ისე იოლად ჩაივლის ხოლმე.

რატომ STOP? მეშინია არ დავიწყო ყალბისმქნელობა, მერე რა იოლია. აქედან იღებ აზრს, იქიდან, იმ თაროდან — გრძნობას, შეაერთებ სიტყვებს, ამ შავი ძაღლების მეშვეობით და გამოდის, რომ მე შენ მინდიხარ, ერთი სიტყვით, მიყვარხარ. ასეც ცხოვრობს ჩემი მეგობრების უმეტესობა, თუ არაფერს ვიტყვი ბიძაჩემსა და ჩემს ორ ბიძაშვილზე, რომლებსაც სჯერათ, რომ უყვართ-თავიანთი-ცოლები.

ახლა სიტყვებიდან გადავიდეთ საქმეზე, ჩე; საერთოდ verba—ს[269] გარეშე არ არსებობს res[270]. ბევრი ფიქრობს, რომ სიყვარული არის ის, როცა აირჩევ ქალს და იქორწინებ მასზე, და ირჩევენ კიდევ, გეფიცები, მე თვითონ მინახავს. როგორ შეიძლება სიყვარულში არჩევანი გააკეთო, სიყვარული ხომ ელვასავითაა, მოულოდნელად რომ დაგარტყამს, ძვალრბილში დაგივლის და მიწაზე გაგაკრავს შუა ეზოში? თქვენ ალბათ იმასაც იტყვით, ირჩევენ იმიტომ რომ უყვართო, მე კი დარწმუნებული ვახლავარ, რომ იქით-პირ. ბეატრიჩეს არ ირჩევენ, ჯულიეტას არ ირჩევენ, წვიმას ხომ არ ირჩევთ თავით ფეხამდე რომ გაგლუმპავს, როცა კონცერტიდან გამოდიხართ.

მე კი ჩემს ოთახში ვზივარ მარტო და ვწერ თუ ვხლართავ სიტყვებს, ეს შავი ძაღლები კი შურს იძიებენ ჩემზე და მაგიდის ქვეშ მკბენენ. როგორ უნდა ვთქვა — ქვეშ თუ ქვევით? რა აზრი აქვს, მაინც ხომ მკბენენ. რატომ, რატომ, pourquoi, why, warum, perchè, რატომ მეშინია ამ შავი ძაღლების? ერთი ნახეთ ნეშის ლექსებში, როგორ გადაიქცევიან ისინი ფუტკრებად. და ოქტა-

ვით პასის ორ სტროფში, ზაფხულში მზის ოქროთი დაფერილი წვივები.

მაგრამ ქალის სხეული, მარი დე ბრენვილიეა ეგებ, ეს თვალები კი დაისის ჭვრეტით დაბინდულები — ოპტიკა, — სიამოვნებით გასცქერიან ჩამოხრჩობილის კრუნჩხვას. მე განვიცდი შიშს მელნისა და სიტყვების პროქსენიტიზმის წინაშე, ენების ზღვა მსოფლიოს უკანალს რომ ლოკავს. თაფლი და რძე შენს ენას... მაგრამ ამის გარდა არის კიდევ სხვა არაკიც — თაფლით სახსევ კასრისა, ერთი კოვზი კუპრისა და მკვდარი ბუზის შესახებ. მკვდარმა ბუზმა შეიძლება სუნამოც კი ააყროლოსო. სიტყვებთან გამუდმებულ ბრძოლაში რომ ხარ, საჭიროა, თუნდაც გონების საპირისპიროდ მოიქცე, მაინც უნდა თვალი დახუჭო და იყიდო ხრაშუნა შემწვარი კარტოფილი „როიტერის“ ტელეგრამებთან, კეთილშობილი ძმის წერილებთან და კინოფილმების დიალოგებთან ერთად. ერთი კი ძალიან საინტერესოა, პუტენჰეიმი სიტყვებს ისევე აღიქვამდა როგორც საგნებს და არსებებადაც კი, რომელთაც საკუთარი ცხოვრება აქვთ.

ზოგჯერ მეჩვენება, რომ ისინი ჭიანჭველების ბობოქარ მდინარედაც კი გადაიქცევიან და მთელ ქვეყნიერებას წალეკავენ. ეეჰ, რომ შეიძლებოდეს სიჩუმეში გამოიჩნევიოდეს ჩიტი როკ... Logos, faute éclatante![271]. რომ ჩაისახებოდეს რასა, რომელიც შეიძლება ურთიერთობას ნახატის, ცეკვის, მაკრამეს საშუალებით, ან აბსტრაქტული მიმიკით. ნეტავ თუ თავს აარიდებდნენ კონოტაციებს, სიცრუის ამ ფესვს? *Honneur des hommes*[272], ა.შ. დიახ, ღირსება, რაც აუფასურებს ყოველ ფრაზას, ქალწულების საროსკიპოს ჰგავს, თუკი ასეთი რამ შეიძლება არსებობდეს.

სიყვარულიდან ფილოლოგიისკენ, ამას ჰქვია განათება, ორასიო, ყველაფერი მორელის ბრალია, მოსვენებას რომ არ გაძლევს მისი ასეთი მაცდური აზრი, შენც დაგაფიქროს დაკარგული სამოთხის დაბრუნებაზე, საბრალო ადამის წინაპარი სნეკბარიდან, ცელოფანში გახვეული ოქროს საუკუნის დროინდელი არსება. *This is a plastic's age, man, a plastic's age*[273]. დავიწყე ის ძუკნები. ჯანდაბას იმათი თავი, უნდა კარგად დაფიქ-

რდეთ, ისე, რასაც ნამდვილად დაფიქრება ჰქვია: ვიგრძნოთ, კარგად ავწონ-დავწონოთ და გავიაზროთ, სანამ რამეს გადავწყვეტდეთ და პატარა, მთავარ ან დამოკიდებულ წინადადებას ვიტყოდეთ. პარიზი არის ცენტრი, ხომ გესმის, მანდალა, რომელსაც უნდა შემოვუაროთ ყოველგვარი დიალექტიკის გარეშე, ეს არის ლაბირინთი, სადაც პრაგმატული ფორმულები მარტო დაგაბნევს. მაშინ Cogito[274] ისეა, თითქოს ჰაერივით შეისუნთქავ პარიზს, შედიხარ მასში და შემოდის შენში, ერთი სიტყვით, პნევმაა და არა ლოგოსი. არგენტინელმა ბიჭმა, საკმარისი კულტუ — რით აღჭურვილმა, გადმოცურა ოკეანე, იცოდა ყველაფერი, რაც კი დღეს მოეთხოვება, კარგი გემოვნებაც ჰქონდა, საკმაოდ ერკვეოდა კაცობრიობის ისტორიის მთავარ მოვლენებში, ხელოვნების ყველა მიმართულება და მიმდინარეობაც იცოდა, რომანულიც თუ გოთიკურიც, ფილოსოფიური სკოლებიც, პოლიტიკური ვითარებებიც, წარმოდგენა ჰქონდა, რას ნიშნავს Shell Mex, მოქმედება და აზროვნება, კომპრომისი და თავისუფლება, პიერო დელა ფრანჩესკა და ანტონ ვებერნი, კატალოგიზებული ტექნოლოგია, Lettera 22, Fiat 1600, იოანე XXIII. რა კარგია, რა კარგია. მაგრამ იყო წიგნების პატარა მაღაზიაც შერშ-მიდის ქუჩაზე, თბილი ქარიც, დროდადრო რომ დაუბერავდა ხოლმე, იყო საღამო და საათიც, ყვავილობის დროც და იყო სიტყვაც (პირველად იყო...), და იყო ადამიანიც, რომელსაც სჯეროდა, რომ იყო ადამიანი. რა სისულელეა, ღმერთო დიდებულო, რა უსაზღვრო სისულელე. და იგი გამოვიდა წიგნების მაღაზიიდან (ახლავა ვხვდები, რომ ეს იყო როგორც მეტაფორა, იგი გამოვიდა სწორედ წიგნების მაღაზიიდან და არა საიდანმე), ჩვენ გამოველაპარაკეთ ერთმანეთს და წავედით pelure d'oignon-ის[275] დასალევად კაფეში, სევრ-ბაბილონის ქუჩაზე (რაკი მეტაფორაზე ჩამოვარდა სიტყვა, მე, ფაიფურის ქმნილება, ახლახან ჩამოსული, „Handle with care“[276], ის კი ბაბილონია, დროის ფესვი, პირველწყარო, primeval being[277], შიში და ტკბობა ყველაფრის დასაბამი, ატალას რომანტიზმი, ოლონდ ეგ არის, ხის უკან ელოდება ნამდვილი ვეფხვი). ასე და ამგვარად, სევრ ბაბილონთან ერთად გაემართნენ, pelure d'oignon-ის დასალევად; მაგრამ ძლივს მოვასწართ კარგად რომ შეგვეხედა ერთმანეთისთვის, რომ მაშინვე სურვილიც გაგვიჩნდა (მაგრამ

ეს მოხდა მოგვიანებით, რეომიურის ქუჩაზე), მაშინ შედგა ჩვენი მართლაც დასამახსოვრებელი დიალოგი, სრულიად აუხსნელი და გაუგებარი, არაფერი გვესმოდა ერთმანეთისა და კარგა ხანს ხმაც არ ამოგვიღია, სანამ ჩვენი ხელები არ ალაპარაკდნენ, მერე რა ნეტარება იყო, როცა ერთმანეთს ეფერებოდნენ, ვუყურებდით ერთმანეთს და ვიღიმოდით, თითო გალუაზი მოვწიეთ, თან აქეთ-იქეთ ვიყურებოდით, თვალით ვგრძნობდით, ყველაფერზე თანახმა ვიყავით, ყველაფერზე მზად ვიყავით, მრცხვენია კიდევ, პარიზი კი ამ დროს როკავდა, ჩვენ გველოდებოდა, ახლახან ჩამოსულებს, ახლახან რომ ვიწყებდით ცხოვრებას და ყველაფერი უცხო რომ იყო ჩვენთვის, სახელიც უცხო იყო და ისტორიაც (მითუმეტეს ბაბილონიასთვის, საბრალო სევრი კი როგორც შეეძლო, ისე იკავებდა თავს, ბაბილონიას ქცევით მოხიბლული, ასე მსუბუქად რომ უყურებდა გოთიკას და არც არანაირ იარლიყებს არ აკრავდა, მდინარის სანაპიროზეც ისე დადიოდა, თითქოს ნორმანდიულ გალერებსაც ვერ ამჩნევდა). როცა ერთმანეთს ვემშვიდობებოდით, იმ ბავშვებივით ვგრძნობდით თავს, დაბადების დღეზე რომ დამეგობრდნენ და ახლა განშორება უჭირდათ, მშობლები კი არ ანებებდნენ, ხელს არ უშვებდნენ, შინისკენ ეწეოდნენ, როცა მათ გული უფანცქალებდათ, საამო ტკივილიღა ანუგეშებდათ, რომ იცოდნენ ერთმანეთის სახელები, რომ ერთს ერქვა ტონი, მეორეს — ლულუ. ეს იყო და ეს, გული კი მაინც მწიფე ნაყოფივით საცაა...

ორასიო, ორასიო.

Merde, alors. რატომაც არა? მე მხოლოდ სევრისა და ბაბილონის დროზე ვლაპარაკობ და არა ამ ელეგიურ შედეგზე, როდესაც უკვე ვიცით, რომ თამაში დამთავრდა.

(-68)

შეიძლება პროზაც ბიფშტექსივით გაიხრწნას. უკვე რამდენიმე წელია თვალს ვადევნებ და ვხედავ ამ ხრწნის ნიშნებს ჩემსავვე ნაწერებში. როგორც მე მემართება ანგინა, სიყვითლე, ბრმანაწლავის შეტევა, იგივე ემართება მათაც, ოღონდ შედეგი გაცილებით უფრო მძიმე მოსდევს. მას შემდეგ, რაც ყველაფერი დაღპება, უწმინდური შენაერთები აღარ რჩება და თავის უფლებებს იბრუნებს ქიმიურად სუფთა ნატრიუმი, მაგნიუმი, ნახშირჟანგი. ჩემი პროზა ღპება სინტაქსურად და წინ მიიწევს, — როგორც შეუძლია, — გამართივებისკენ, მე მგონია, ამის გამოა, რომ აღარ შემიძლია ვწერო „დალაგებით“; ორი ნაბიჯის გადადგმასაც კი ვერ ვასწრებ, რომ სიტყვები ყალყზე დგებიან. „Fixer des vertiges“ [278], რა კარგია. მაგრამ მე ვგრძნობ, რომ უნდა თვალი გავამახვილო ელემენტებზე. ლექსიც ამისთვის არსებობს, რომანის, მოთხრობების თუ პიესების ზოგიერთი სიტუაციაც. დანარჩენი მართო უნდა შეავსო, რაც მე ცუდად გამომდის.

— კარგი, მაგრამ ისე გამოდის, რომ მთავარი ელემენტები ყოფილა.

მაგრამ ნახშირმჟავას ნაკლები ფასი აქვს, ვიდრე გერმანტების საგვარეულო ისტორიას.

— გულში ვფიქრობ, რომ ის ელემენტები, რაზეც ვლაპარაკობ, უბრალოდ ტერმინებია კომპოზიციისთვის. სკოლის ქიმიური ტერმინების საპირისპირო თვალსაზრისით, როდესაც კომპოზიცია მიაღწევს თავის საბოლოო ზღვარს, უკვე იხსნება მარტივი ელემენტების ტერიტორიაც. მათზე უნდა გაამახვილო ყურადღება და თუ შესაძლებელია, კიდევ გახდე ისინი.

(-91)

მორელი მეტად საინტერესოდ ამჟღავნებს თავის განზრახვას, ხან ერთ, ხან მეორე ჩანაწერში, როცა უცნაურ ანაქრონიზმს მიმართავს; ძალიან იტაცებს მეცნიერული თუ არამეცნიერული კვლევა, როგორცაა მაგალითად ძენ ბუდიზმი, მითუმეტეს, რომ ამ წლებში ჭინჭრის ციებასავით გავრცელდა ბიტნიკებს შორის. მისი ანაქრონიზმი იმაში კი არ ჩანდა, რომ მორელი უფრო რადიკალური და უფრო ახალგაზრდა გენგენებოდათ ასეთი სულიერი მოთხოვნილებების გამო, ვიდრე კალიფორნიელი ყმაწვილები, რომლებსაც ერთნაირად ათრობდა სანსკრიტის სიტყვებიც და დაკონსერვებული ლუდიც.

ერთ-ერთ თავის შენიშვნაში იგი სუძუკისებურად განსაზღვრავდა ენას, როგორც თავისებურ ხმას, წამოძახილსა თუ ყვირილს, რაც პირდაპირ შინაგანი გამოცდილებიდან მოდის. ამას მოჰყვებოდა რამდენიმე სანიმუშო დიალოგი მასწავლებელსა და მოწაფეს შორის, რაც სრულიად გაუგებარი იყო როგორც რაციონალური სმენის ისე ნებისმიერი დუალისტური, თუ ორნიშნა ლოგიკისთვის.

ასეთივე იყო მასწავლებლის პასუხები მოსწავლეების კითხვებზე, თავში კეტის დარტყმასავით, ან ცივი წყლის გადასხმასავით, ანდა სულაც კინწისკვრით გარეთ გაგდებას ჰგავდა, მაგრამ ყველაზე კარგი ის იქნებოდა, რომ პირდაპირ თვალებში შეგეხედათ და მათივე კითხვა გაგემეორებინათ. მაგრამ ეტყობა, მორელი დიდი სიამოვნებითაც ტრიალებდა ამ ერთი შეხედვითაც კი გიჟურ სამყაროში, რადგან მისი წარმოდგენით, ასეთი ქმედებებია სწორედ ნამდვილი გაკვეთილი, ერთადერთი საშუალება, რომ მოსწავლეს თვალი აუხილოს და დაანახოს ჭეშმარიტება. ეს ძალადობრივი ირრაციონალობა ბუნებრივადაც ეჩვენებოდა იმ მოსაზრებით, რომ ამით ანგრევდა სტრუქტურებს, დასავლეთისთვის დამახასიათებელ ამ თვისებას, ღერძს, რომლის გარშემო ტრიალებს ადამიანის ისტორიული შემეცნება და რომელსაც ჰქონდა დისკურსიული აზროვნება (და მოიცავდა ასევე ესთეტიკურ გრძნობასაც და პოეტურსაც), არჩევანის იარაღი.

ამ ჩანაწერის ტონი (შენიშვნები გაკეთებული იყო მნემოტექნიკისა თუ სხვა აუხსნელი მიზნით) ეტყობა, იმაზე მიანიშნებდა, რომ მორელი ავანტიურაში გადაეშვა, რაც კარგად შეესატყვისებოდა იმ სამუშაოს, რომლის წერასა და გამოცემაზე ამდენი შრომა გასწია ამ წლებში.

მის ზოგიერთ მკითხველს (და თვითონ მასაც) უთუოდ აცინებდა ისეთი რომანის შექმნის მცდელობა, რომელშიც უგულუბელყოფილი იქნებოდა თხრობის ლოგიკური წყობა, დაბოლოს რთული ურთიერთმოქმედების შედეგად მან მიაგნო თხრობის თავისებურ მეთოდს (თუმცა კვლავაც აბსურდულად ეჩვენება თხრობის ამგვარი ხერხის შერჩევა იმ მიზნისთვის, რომელიც სულაც არ საჭიროებს თხრობას).* *მერედა რატომაც არა? მორელიც ამ კითხვას უსვამს საკუთარ თავს, რასაც წერს კიდევ უჯრედოვან ფურცლებზე, ხოლო მინდორზე გვთავაზობს ბოსტნეულის სიას, ეტყობა memento buffandi[279] მიზნით. წინასწარმეტყველები, მისტიკოსები, სულის წყვდიადი: საკმაოდ ხშირად გვხვდება თხრობის დროს იგავისა თუ ხილვის სახით, ცხადია, რომ რომანი... თუმცა ამ აღმაშფოთებელ შეუთავსებლობას ბადებს უფრო დასავლეთის მაიმუნის ყველაფრის დაღაგებისა და კლასიფიცირების მანია, ვიდრე შინაგანი წინააღმდეგობრიობა.*

* **ესეც არ იყოს, რამდენადაც მწვავეა შინაგანი წინააღმდეგობრიობა, იმდენად უფრო ქმედითი შეიძლება გამხდარიყო ტექნიკა ძენის თანახმად, ასე ვთქვათ, თავში კეტის დარტყმის სამაგიეროდ რომანი აბსოლუტურად ანტირომანის სახეს იღებს, რასაც მოჰყვება სკანდალი, უკმაყოფილება და შოკიც კი, თუმცა უფრო შორსმჭვრეტელს შეიძლება ახალი გზაც დაანახოს.***

***ამ უკანასკნელის იმედად, მომდევნო ფურცელზე კიდევ ერთი სუძუკისეული ციტატა გრძელდება, საიდანაც ვიგებთ, რომ მას მერე, რაც მოწაფემ აღიქვა მასწავლებლის ესოდენ უჩვეულო ენა, მოწაფე უკეთესად გაუგებდა საკუთარ თავს, ვიდრე იმ ენით გამოთქმულ აზრს. იმ დასკვნის საწინააღმდეგოდ, რაც შეიძლება გაჩენოდა გაქნილ ევროპელ ფილოსოფოსს, ძენის მასწავლებლის ენა გადმოგვცემს იდეებს და არა გრძნობებს, ან ინტუიციას. ამიტომაც, რომ ენას ის როლი კი არა აქვს რაც უნდა ჰქონდეს, ხოლო რაკი თავად მასწავლებელი ირჩევს ფრაზებს,

ამდენად სასწაული ხდება მისსავე სფეროში, და მოწაფეც იხსნება საკუთარ თავთან, გაუგებს თავის თავს და ნებისმიერი ფრაზა შეიძლება გახდეს გასაღები.**** ** ეტიენისთვის, რომელიც სწავლობდა და აანალიზებდა მორელის ხერხებსა თუ ოინებს (რაც ოლივეირას ეჩვენებოდა მარცხის მომასწავებლად), ცხადი ხდებოდა, რომ წიგნის ზოგიერთი პასაჟი, ზოგჯერ კი მთელი თავები იყო ერთი დიდი თავისებური ძენ-სილის გაწვნა ad usum homo sapiens[280]. მორელის წიგნის ამ ადგილებს მან უწოდა „არქემაციები“ და „აბზაციპები“, უაზრო სიტყვები, რომლებშიც უმაღლ ამოიცნობდით ჯოისისეული სიტყვების ნარევს. მაგრამ რატომ უნდა ყოფილიყო ეს არქეტიპები, ეს თემა საგონებელში აგდებდა ვონგსა და გრეგოროვიუსს.***** ** ეტიენის დაკვირვება: არაფერი მიანიშნებდა იმაზე, რომ მორელის უნდოდა ამძვრალიყო ბოდჰის ხეზე, ან სინას მთაზე, ანდა სხვა რომელიმე სიმაღლეზე იმ იმედით, რომ ხილვა ექნებოდა. არც ისეთ დიდ მიზნებს ისახავდა, რაც მკითხველს გაიყვანდა ახალ და ამწვანებულ ველზე, პირფერობის გარეშე (მოხუცი წარმოშობით იტალიელი იყო და უნდა ითქვას, არც ცდილობდა აელო მაღალი „დო“) ისე წერდა, გეგონებათ სასოწარკვეთილი და შემფოთებული ცდილობდა წარმოედგინა ისეთი მასწავლებელი, ვინც გაუნათებდა გონებას. ერთი კი გაუშვებდა თავის ძენ ფრაზას და მერე იჯდა და უსმენდა — ზოგჯერ მთელ ორმოცდაათ გვერდზეც კი, მართლაც ურჩხულივით, სისულელე და ბოროტება იქნებოდა, რომ ეჭვი გაგჩენოდა, თითქოს ეს ფურცლები განკუთვნილი იყო მართო მკითხველისთვის. და თუ მორელი ამას აქვეყნებდა, ნაწილობრივ იმიტომ, რომ იტალიელი იყო („Ritorna Vincitor“[281]), ნაწილობრივ კი იმიტომ, რომ თვითონვე იყო მოხიბლული, თურმე რა იშვიათი რამ შემიქმნიაო.***** ** ეტიენი მორელის სახით ხედავდა ნამდვილ დასავლურ ტიპს, კოლონიზატორს. როდესაც თავისი მცირე ბუდისტური ყაყაჩოს მოსავალი აიღო, თესლი ლათინურ კვარტალშიც მოიტანა. თუ ბოლო ხილვა იმაზე მეტ იმედს აძლევდა, ვიდრე ელოდებოდა, მაშინ ისიც უნდა ვაღიაროთ, რომ მისი წიგნი, ყველაზე უწინ, წმინდა ლიტერატურული ფანდია, სწორედ იმ მიზნით, რომ დაენგრია ლიტერატურული ფორმები (ფორმულები)***** ** დასავლელი რომ იყო, ამას მის საქებად ვამბობ, მაგრამ

ამავე დროს ჰქონდა ის ქრისტიანული რწმენა, რაკი მას სჯეროდა, რომ ადამიანის ხსნა შეუძლებელია, რადგან ერთის ცოდვა ყველაზე გადადის და პირიქით. ალბათ ამიტომაც (ოლივეირას მიხედვრა) აირჩია რომანის ფორმა თავისი ბორიალისთვის და კიდევ აქვეყნებდა ყველაფერს, რასაც იმ თავისი ხეტიალის დროს გადაეყრებოდა, ან არ გადაეყრებოდა.

(-146)

96

ცნობა მტვრის-ღრუბელივით-გავრცელდა და საღამოს ათი საათისათვის კლუბის მთელი შემადგენლობა უკვე ადგილზე იყო. ეტიენს გასაღებები ჰქონდა ჩაბარებული, ვონგი ლამის მიწაზე ახლიდა თავს მეკარის წინაშე, ოღონდ კი მეკარე არ გაებრაზებინა, Mais qu'est—ce qu'ils viennent fiche, non mais vraiment ces étranges, écoutez, je veux bien vous laisser monter puisque vous dites que vous êtes des du vi... de monsieur Morelli, mais quand même il aurait fallu prévenir, quoi, une bande qui s'amène à dix heures du soi, non, vraiment, Gustave, tu devrais parler au syndic. ça devient trop con, etc[282]. ბებსი შეიარაღებული იყო, როგორც რონალდი იტყვოდა, the alligator's smile[283], თავად რონალდი აღგზნებული ურტყამდა ზურგზე ხელს ეტიენს და წინ უბიძგებდა, პერიკო რომერო ლანძღავდა ლიტერატურას, პირველი სართული RODEAU FOURRUES, მეორე სართული DOCTEUR, მესამე სართული HUSSENOT, დაუჯერებელი იყო ასეთი რამ, რონალდმა მუჯლუგუნი გაჰკრა ეტიენს, ერთი კარგა შეუკურთხა ოლივეირას, the bloody bastard, just another of his practical jokes I imagine, dic donc, tu vas me foutre la paix, toi[284], ეს არის პარიზი, დასწყევლოს ეშმაკმა, აღარ თავდება, მომბეზრდა კიბეებზე ასვლა-ჩასვლა დალახვროს ღმერთმა. Si tous les gars du monde[285]... ვონგი სულ ბოლოში მოდიოდა, ვონგი უღიმოდა

გუსტავს, უღიმოდა მეკარეს, bloody bastard[286], ეშმაკმა წაიღოს, მოკეტე, ტე, ღორო. მეოთხე სართულზე, მარჯვენა მხარეს კარები სამიოდე სანტიმეტრით გაიღო და პერიკომ დაინახა უზარმაზარი ვირთხა, რომელსაც ეცვა თეთრი პერანგი და ცალი თვალითა და მთელი ცხვირით უთვალთვალედა მათ, მაგრამ სანამ კარებს დახურავდა, მაგრამ პერიკომ მაინც მოასწრო ფეხის შედგმა და მოახსენა, რომ გველებს შორის ბასილისკო ყველაზე შხამიანი და საშიშია, მის სტვენაზე ქვავდებიან, დანახვაზე კი იხოცებიან. მადამ რენე ლავალეტმა, — მისი ქალიშვილობის გვარი ფრანსილონია — ვერაფერი გაიგო, თუმცა კი ჩაიქირქილა და კარები მიუჯახუნა, მაგრამ პერიკომ მერვედი წამით მოასწრო ფეხის გამოწევა. მეხუთე სართულზე შეჩერდნენ და მიჩერდნენ ეტიენს, რომელმაც საზეიმოდ მოარგო კლიტეს გასაღები.

— შეუძლებელია, — უკანასკნელად გაიმეორა რონალდმა, — ჩვენ გვესიზმრება, როგორც იტყვიან ტურ ეტ ტაქსის პრინცესები. სასმელი წამოიღე, ბებს? ქარონს თავისი ობოლი მიეცი, ხომ იცი, ახლა იღება კარები და იწყება სასწაულები, ამაღამ შეიძლება ყველაფერი მოხდეს, რაც გინდა, ასე მგონია სამყაროს დასასრული დგება.

— კინაღამ ფეხი მომაცოლა კარებში იმ ალქაჯმა, — თქვა პერიკომ და ფეხსაცმელი შეათვალა, — ბოლოს და ბოლოს ვეღარ გააღე, ადამიანო? დავიღალე კიბეზე ყურყურით.

მაგრამ გასაღები არ ტრიალდებოდა, ვონგი კი თავისას გაიძახოდა, ასეთ დროს, ცერემონიებისა თუ სხვა საიდუმლო სერობის დროს მოქმედებენ ისეთი ძალები, რასთანაც ვერაფერს გააწყობ, მარტო მოთმინება და ეშმაკობა თუ გიშველისო. შუქი ჩაქრა. ვინმეს კვესი და აბედი მაინც არა აქვს, დასწყევლოს ეშმაკმა.

ბებსი: Tu pourrais quand meme parler francais, non? Ton copains, l'argencul n'est pas la pour piger ton

რონალდი: charabia[287]. აჰა ასანთი, რონალდ. წყეული გასაღები,

ეტეინი: დაჟანგებულა, წყლიან ჭიქაში ხომ არ აგებდა, მოხუცს ჭიქაში ედო, წყალში. Mon copain, mon

ეტეინი: copain, c'est pas mon copain[288]. არა მგონია რამე გა

ვონგი: მოვიდეს. შენ მას არ იცნობ. შენზე უკეთესად მაინც ვიცნობ. როგორ არა. Wanna bet something?

პერიკო: merde, mais la tour de Babel, ma parole.

რონალდი: Amène ton briquet, Fleuve Jaune de mon cul, la

პერიკო: poisse, quoi[289]. ინის დღეებში მოთმინება გვმართებს. ორი ბოთლი, ოღონდ კარგი. თუ ღმერთი გწამს, კი

ვონგი: ბეებზე არაფერი გიქნან. ერთი ღამე მახსოვს ალა

ბეესი: ბამაში. როგორი ვარსკვლავები იყო, საყვარელო.

ეტეინი: How funny, you ought to be in the radio[290]. აი, უკ-30

ბეესი რონალდი: ტრიალდება, აქამდე სულ არ იძვროდა. ეს სულ

ბეესი ბეესი: ინის ამბავია, რა თქმა უნდა, Stars fell on Alabama[291],

რონალდი: რა მიყო ფეხზე, ნახეთ, იმ... ერთი ასანთი კიდევ, ვერაფერს ვხედავ, où qu'elle est[292] არანაირად. ვი

რონალდი: დაც უკან მეპოტინება, საყვარელო... ჩუ... ჩუ... ჯერ ვონგი შევიდეს, რომ უწმინდურ ძალებს შეულო

ყველა ერთად: ცოს. არა, არავითარ შემთხვევაში. ხელი ჰკარი, პე

ეტიენი: რიკო, და მორჩა, ჩინელი ყოველთვის ჩინელია.

— ახლა განუძღოთ, — თქვა რონალდმა. ეს უკვე სხვა ტერიტორიაა, სერიოზულად გეუბნებით. თუ ვინმე აქ გასართობად მოვიდა, ჯობია ახლავე დატოვოს აქაურობა. მომეცი ეგ ბოთლები, საყვარელო, როცა ღელავ, ყოველთვის ყველაფერი ხელიდან გივარდება.

— არ მომწონს, როცა სიბნელეში ხელებს მიფათურებენ, — თქვა ბებსმა და პერიკოსა და ვონგს გადახედა.

ეტიენმა ხელით მოსინჯა კარების შიდა მხარე. ყველა უსიტყვოდ უცდიდა, როდის მიაგნებდა ჩამრთველს. ბინა ძალიან პატარა იყო და თანაც მტვრით სავსე, სუსტმა სინათლემ ირგვლივ ყველაფერი ოქროსფერ საბურავში გაახვია და კლუბმა შვებით ამოისუნთქა. მერელა დაიწყეს ბინის დათვალიერება, თან ერთმანეთს ჩუმად უზიარებდნენ შთაბეჭდილებებს: ურის რეპროდუქცია პატარა ფირფიტაზე, „ლეგენდა წმინდა ზიარების შებღალავის თემაზე“ (პაოლო უჩელო, pinxit[293]), პაუნდისა და მუზილის ფოტოები, დე სტალის პატარა პორტრეტი, აურაცხელი წიგნები — ყველგან, კედლებზე, იატაკზე, მაგიდებზე, ტუალეტში და პატარა სამზარეულოშიც კი, სადაც ჯერ ისევ ისე იდო ლამის გაქვავებული და აშმორებული ერბო-კვერცხი, ეტიენის აზრით — ულამაზესი, ბებსის აზრით კი — ნაგავში გადასაგდები, ergo, ამას მოჰყვა ცხარე კამათი, ხოლო ამასობაში ვონგი მოკრძალებით ხსნიდა ცვინგერის *dissertatio de morbis a fascino et fascino contra morbos*[294], პერიკო კი ტაბურეტზე ჩამომჯდარიყო, ჩვეულებისამებრ, და ოქროს საუკუნის ესპანელი პოეტების გრძელსიას ათვალიერებდა, სინჯავდა კალისა და სპილოსძვლის ასტროლაბიას, რონალდი იდგა მორელის მაგიდასთან გარინდებული, ხელში კონიაკის ორი ბოთლი ეჭირა და მწვანე ხავერდგადაკრულ საქალაქდეს დაჰყურებდა, ამ მაგიდასთან ბალზა-

კი უნდა იჯდეს და წერდეს და არა მორელიო, ფიქრობდა. მაშასადამე, მოხუცი ცხოვრობდა აქ, კლუბიდან ორიოდე ნაბიჯზე და ის წყეული გამომცემელი კი აცხადებდა ავსტრიაში, ან კოსტა ბრავაზე არისო, როცა ტელეფონზე რეკავდნენ მისი მისამართის გასაგებად. მარცხნივ და მარჯვნივ ეწყო ასე ოციდან ორმოცამდე საქაღალდე, ყველა ერთნაირი ფერის, ცარიელი თუ სავსე, შუაში კი საფერფლე, როგორც მორელის კიდევ ერთი არქივი, ვითარცა პომპეის ფერფლის გროვა და ასანთის ნამწვები.

— ასეთი ნატურმორტი სანაგვეზე უნდა გადავადლოთ? — თქვა აღშფოთებულმა ეტიენმა, — ეს რომ მაგას ექნა, ხომ ტყავს გააძრობდი, ახლა კი ჩუმად ზიხარ, თუმცა გასაგებია, ქმარი.....

— შეხედე, — უთხრა რონალდმა და მიუთითა მაგიდაზე, რომ დაემშვიდებინა — ესეც არ იყოს, ბებსმაც თქვა აშმორდაო, რა აზრი აქვს გაჯიუტებას, ისლა რჩება, რომ სხდომა გავხსნათ. ეტიენი წაუძღვება, რა გაეწყობა. არგენტინელი არ ჩანს?

— არც არგენტინელი და არც ტრანსილვანელი, გი ქალაქგარეთაა, მაგა კი ვინ იცის, სად დაბორიალობს. ასეა თუ ისე, ქვორუმი არის. ვონგი შეადგენს აქტებს.

— ცოტა კიდევ დაველოდოთ ოლივეირას და ოსიპს. ბებსი ბარის ხარჯებს განაგებს.

— რონალდი მდივანი იქნება. ბარს უხელმძღვანელებს. Sweet, get some glasses, will you?"[295] — გადავდივართ მეოთხე ინტერმედიამზე, — თქვა ეტიენმა და მაგიდის გვერდით დაჯდა. — კლუბი შეიკრიბა ამ ღამეს, რათა აღასრულოს მორელის სურვილი. სანამ ოლივეირა მოვა, თუკი საერთოდ მოვა, შევსვათ იმის ნიშნად, რომ მოხუცი დაბრუნდეს და ისევე ისე დაჯდეს აქ, თავის მაგიდასთან ამ დღეებში. ღმერთო, მიშველე, რა შესაბრაალისი სანახაობაა. ჩვენ ვგავართ კომმარულ სიზმარს, რომელიც შეიძლება ესიზმრებოდეს მორელის საავადმყოფოში. საშინელებაა. შეიტანეთ ოქმში.

— ამასობაში კი მოდით ვისაუბროთ მის შესახებ, — თქვა რონალდმა და თვალები ცრემლით აევსო, თან კონიაკის ბოთლის საცობს ეჭიდებოდა. — ამის მსგავსი სხდომა არც გვექნება, რამდენი წელია კლუბში ვარ, ახალბედა ხომ არა ვარ, მაგრამ ასეთი რამ არ მახსოვს და შენც ვონგ, და პერიკოც. ჩვენ ყველა, Damn it. I could cry[296]. ასეთი გრძნობა ეუფლებათ ალბათ მათ, ვინც მთის წვერზე ადის, ან რეკორდს ხსნის, რაღაც ამის მსგავსს, ალბათ. Sorry[297].

ეტიენმა მხარზე ხელი დაადო. ისინი მაგიდის გარშემო ისხდნენ.

ვონგმა ჩააქრო ლამფები გარდა ერთისა, რომელიც ანათებდა მწვანე საქალაქდეს. სცენა თითქმის ეუსაპია პალადინოსათვისაა, გაიფიქრა ეტიენმა, რომელიც პატივისცემით ეკიდებოდა სპირიტუიზმს. და ისინი შეუდგნენ მსჯელობას მორელის წიგნებზე და კონიაკის სმას.

(-94)

97

გრეგოროვიუსი, სხვაგვარად მოაზროვნე ძალთა ეს აგენტი, კარგა ხანია დაინტერესდა მორელის ერთი ჩანაწერით: „რეალობაში ჩაღრმავება, ან მის რომელიმე სხვა შესაძლებელ გამოვლინებაში და შეგრძნება იმისა, რაც პირველ ხანებში წარმოუდგენელ აბსურდად გვეჩვენებოდა, უკვე იძენს აზრს, ცდილობს დაუკავშირდეს აბსურდის სხვა ფორმებს, ან არ დაუკავშირდეს მანამ, სანამ ნაირფერ ქსოვილზე (ყოველდღიურ სტერეოტიპულ ნახატთან შედარებით) არ გამოჩნდება, არ გამჟღავნდება ლოგიკურად გამართული სურათი, რომელიც მხოლოდ ადრინდელთან მორიდებული შედარებისას, შესაძლოა მოგვეჩვენოს უაზრობად ან ბოდვად, ანდა სრულ გაუგებრობად. თუმცა

ხომ არ ვცოდავ გადამეტებული თავდაჯერებულობით? ფსიქოლოგიის უარყოფა და ამავე დროს გაბედვა იმისა, რომ სცადო და გააცნო მკითხველს, — მართალია, გარკვეულ მკითხველს, — პირადი სამყარო, პირადი ცხოვრებისეული გამოცდილება და ფიქრები... ასეთ მკითხველს მოაკლდება ხიდი, შუალედური თუ მიზეზობრივი კავშირები. ერთიანად ყველაფერი: ქცევები, ძალთა განლაგების შედეგები, კატასტროფები, დაცინვა. იქ, სადაც უნდა ყოფილიყო დაშორება, — სურათია კედელზე; კვილის ნაცვლად — ანკესი; სიკვდილი გადაიქცევა ტრიოდ მანდოლინოსათვის. და ეს არის განშორება, კვილი და სიკვდილი, მაგრამ ვინ დათანხმდა იმაზე, რომ დაიძრას ადგილიდან, გამოვიდეს თავისი თავიდან, დატოვოს ცენტრი და გაიხსნას? რომანის გარეგანი ფორმები შეიცვალა, მაგრამ მისი გმირები იგივე დარჩნენ — ტრისტანი, ჯეინ ეირი, ლაფკადიო, ლეოპოლდ ბლუმი, ადამიანები ქუჩიდან, სახლებიდან, საწოლი ოთახებიდან, ხასიათები. ისეთი გმირებისათვის, როგორებიც არიან ულრიხი (more[298] მუზილი) ან მოლოი (more ბეკეტი), მოიძებნებიან ათასობით დარელი (more დარელი). რაც შემეხება მე, გეკითხებით, ნუთუ ოდესმე შევძლებ, გაგრძნობინოთ, რომ ნამდვილი და ერთადერთი პერსონაჟი, რომელიც მე მაინტერესებს, არის მკითხველი, თუკი რაიმე, ჩემი შემოქმედებიდან შეძლებდა მის შეცვლას, დაძრავდა ადგილიდან, გააკვირვებდა და მოთმინებას დააკარგვინებდა.” მიუხედავად მარცხის უსიტყვო აღიარებისა, რაც ბოლო ფრაზაში ჩანდა, რონალდის აზრით, ამ ჩანაწერში მაინც ჟონავდა თავდაჯერებულობა, რაც მას არ მოსწონდა.

(-18)

98

და ისე ჩანს, რომ ისინი, ვინც ჩვენ გვანათლებს თავად ბრძენი არიან. გამოდის რომ ის, ვინც თავისდაუნებურად დარწმუნე-

ბით გვაჩვენებს გზას, თავად ამ გზაზე სიარული არ ძალუძს. მაგა ვერასოდეს გაიგებს, როგორ მონახა მისმა თითმა სარკვეზე ბზარი, ან ზოგჯერ მისი დუმილი, თუნდაც უაზრო ყურადღება, დაბრმავებული ორმოცფეხას წრიალი, იყო პაროლი და ნიშანი ჩემთვის, საკუთარ თავში ჩაკეტილი ადამიანისათვის, მაგრამ სინამდვილეში — არსად და არაფერში.

ბოლოს კი ესეც შენი ბზარი... თუ გსურს იყო ბედნიერი, როგორც მეუბნები, მოეშვი პოეზიას, ორასიო, მოეშვი პოეზიას.

ობიექტური ხედვა: მას არ გააჩნდა იმის უნარიც კი, რომ დაენახებინა ჩემთვის რაიმე, ჩემივე მიწაზე, საკუთარშიც კი უგზო-უკვლოდ დაბორიალებდა, ხელის ცეცებით, გუმანით. ღამურას დაფეთებული ფრენა, ბუზის უთავბოლო წრიალი ოთახში. მაგრამ უეცრად, მე ასე რომ ვზივარ და შევცქერი მას, გამომეცხადება რაღაც ნიშანი, წინათგრძნობა. იგი ვერც წარმოიდგენს რომ მისი ცრემლების მიღები, ან ის წესი, თუ ჩვევა, როგორ ყიდულობდა რამეს, წვავდა კარტოფილს, ყოველთვის იყო ნიშანი. მორელი რაღაც ამის მსგავსს გულისხმობდა, როცა წერდა; „შუადღემდე ჰაიზენბერგის კითხვა, შენიშვნების ჩაწერა რვეულებში და ბარათებზე. მეკარის შვილს მოაქვს ჩემთვის ფოსტა და ჩვენ ვსაუბრობთ ავიაპოდელზე, რომელიც მან უკვე ააწყო თავის სამზარეულოში. ამას რომ მიაბობს, ბიჭი ორჯერ ახტება და დახტება მარცხენა ფეხზე, სამჯერ — მარჯვენა ფეხზე, ორჯერ — მარცხენაზე. როცა ვეკითხები, რატომ ერთ ფეხზე ორჯერ და მეორეზე სამჯერ და არა ორჯერ ერთზეც და მეორეზეც-მეთქი, იგი გაკვირვებული მიყურებს, არ ესმის. ისეთი შთაბეჭდილება მრჩება, თითქოს მე და ჰაიზენბერგი რომელიღაც ტერიტორიის მიღმა ვიმყოფებით, იმ დროს, როცა ბიჭი, თვითონაც რომ არ იცის, ისე დგას ჯერ ისევ ამ ტერიტორიაზე, მეორე ფეხით კი მის მიღმა და საცაა გადახტება კიდევ და ყოველგვარი ურთიერთობაც დაირღვევა. მაგრამ ურთიერთობა რასთან და რისთვის? კეთილი და პატიოსანი, გავაგრძელოთ კითხვა, ეგებ ჰაიზენბერგი...”

— პირველად არ მიგვანიშნებს იგი ენის გაღარიბების თაობაზე, — თქვა ეტიენმა. — შეიძლება მომეხმოდ რამდენიმე ციტატა, სადაც პერსონაჟები საკუთარ თავსაც არ ენდობიან და ისეთი გრძნობა იპყრობთ, თითქოს დახატულები იყვნენ ფიქრითა თუ სიტყვით და ეშინიათ, რომ ეს ნახატი ცდუნებაა. *Honneur des hommes, Saint Langage*[299]... ჩვენ შორსა ვართ ამისაგან.

— არც ისე შორს, — თქვა რონალდმა. — ის, რაც მორელის უნდა, ისაა, რომ დაუბრუნოს ენას თავისი უფლებები. მას უნდა, რომ განწმინდოს ენა, გაასწოროს და შეცვალოს „დაშვება“ „ჩასვლით“, როგორც გაწმენდის საშუალება; მაგრამ არსებითად, მას უნდა, რომ დაუბრუნოს სიტყვას „დაშვება“ თავისი ბრწყინვალეობა, რათა ეს სიტყვა გამოვიყენოთ როგორც ასანთი და არა როგორც დეკორატიული ფრაგმენტი, გაცვეთილი ნაკუწი.

— დიახ, ეს ბრძოლა მიმდინარეობს სხვადასხვა სიბრტყეში, — თქვა ოლივიერამ და დაარღვია ხანგრძლივი დუმილი. — ის, რაც ახლა წაგვიკითხე, ცხადად გვაჩვენებს, რომ მორელი ენას ადანაშაულებს იმაში, რომ ის არის ყალბი ოპტიკური ანარეკლი და არასრულყოფილი *Organum*[300], რაც კი არ გვიხსნის, არამედ ნიღბავს რეალობას, ვაცობრიობას. მისთვის არსებითად ენას აქვს უპირატესად ესთეტიკური მნიშვნელობა. თუმცა მისი მინიშნება *ethos*[301]—ზე შეუმცდარია.

მორელის ესმის, რომ ესთეტიკური წერის ხერხი თავისთავად არის თაღლითობა და სიცრუე, რაც წარმოშობს მკითხველ მდედრს, ისეთ ტიკს, რომელსაც პრობლემები კი არ სურს, არამედ უკვე გადაჭრილი, გამზადებული გადაწყვეტილებები, ან არადა ისეთი პრობლემები, მისთვის იმდენად შორს იქნებოდა, რომ თავის სავარძელში მოხერხებულად მოკალათებულს განე-

ცადა ტანჯვა, ოღონდ გულთან არ მიეტანა დრამა, რომელიც შეიძლება მისი დრამაც გამხდარიყო. არგენტინაში, თუ კლუბი ნებას დამრთავს მოვიყვანო კონკრეტული მაგალითი, ასეთი ტიპის თაღლითობა მთელი საუკუნის მანძილზე იცავდა ჩვენს კმაყოფილებას და სიმშვიდეს.

— ბედნიერია ის, ვინც პოულობს თავის მსგავსს, აქტიურ მკითხველებს, — წაიკითხა ვონგმა, — ეს ამ ცისფერ ფურცელზე წერია, 21-ე საქალაქო დეპარტამენტი. როდესაც პირველად წავიკითხე მორელი (მედონეში, იქ ჩვენ კუბელ მეგობრებთან ერთად ვუყურებდით აკრძალულ ფილმს), ისე მომეჩვენა მთელი ეს წიგნი, როგორც უზარმაზარი გულაღმა დაგდებული ფეხებაშვერილი კუ. ძნელი გასაგებია.

მორელი არის განსაკუთრებული ფილოსოფოსი, თუმცა ხანდახან უკიდურესად უხეშიც.

— როგორც შენ, — თქვა პერიკომ, ჩამოხტა ტაბურეტიდან, მისწიმოსწია იქ მსხდომნი და თვითონაც მიუჯდა მაგიდას. — მთელი ეს ფანტაზია ენის გასწორების თაობაზე, აკადემიკოსის საკადრისია, ბიჭო, თუ არ ვიტყვით გრამატიკის მასწავლებლისაო. „დაშვება“ თუ „ჩასვლა“ — რა განსხვავებაა, მთავარია, რომ ადამიანი კიბიდან ჩავიდა ქვევით და მორჩა.

— პერიკო გვიფრთხილდება, — თქვა ეტიენმა, — მეტისმეტი დაზუსტებებისა და აბსტრაქციებისგან გვიცავს. ეს კი მორელის ხანდახან ძალიან იზიდავს.

— იცი, რას გეტყვი, — მუქარით თქვა პერიკომ. — ეს აბსტრაქციები ჩემთვის...

კონიაკი ყელს სწვავდა ოლივეირას და დიდი მონდომებით ჩაება კამათში, ცოტა ხნით მაინც რომ მისცემოდა დავიწყების საშუალება. ერთ-ერთ ჩანაწერში (კი არ იცოდა ზუსტად რომელში, მოსაძებნია) მორელი გვთავაზობდა შეთხზვის მეთოდის გასაღებს. მისი უპირველესი პრობლემა ყოველთვის ის იყო, როგორმე დაეძლია მალარმესეული შიში სუფთა ფურცლის წინაშე,

თან ამავე დროს გრძნობდა მწვავე აუცილებლობას, რაც უნდა ყოფილიყო, დაეწყო. ამდენად, გარდუვალა მისი შემოქმედების ეს ნაწილი — ფიქრი პრობლემაზე, როგორ ეწერა. ამიტომ იყო, რომ იგი უფრო და უფრო შორდებოდა ლიტერატურის პროფესიულ გამოყენებას, იმ პროზისა თუ ლექსის ფორმებს, რამაც იმთავითვე მოუხვეჭა სახელი. სხვა პასაჟში მორელი იმასაც ამბობს, რომ ნოსტალგიითა და გაოცებითაც კი გადაიკითხა რამდენიმე წლის წინ დაწერილი ტექსტი. როგორ შეიძლებოდა თავი ეჩინა ასეთ გამონაგონს, ამ სასწაულებრივ გაორებას, თანაც ესოდენ მარჯვედ რომ ამარტივებს ყველაფერს მთხრობელსა და თხრობას შორის? იმ დროს მას ეგონა, თითქოს ყველაფერი, რასაც წერდა, მის თვალწინ იდო, წერა კი იმას ნიშნავდა, რომ მართო ჩაემარცვლა სიტყვები საბეჭდ მანქანაზე Lettera—22”, ისე როგორც ალმასის ნემსი გაირბენს ხოლმე ფირფიტაზე. ახლა კი უჭირდა წერა, გაფაციცებით ადევნებდა თვალს, სადმე წინააღმდეგობრიობა ან სიყალბე ხომ არ გამეპარაო, (ხელახლა უნდა გადაკითხვა, — გაიფიქრა ოლივეირამ, — ეს საინტერესო პასაჟია, ასე რომ მოეწონა ეტიენს), გულში ფიქრობდა ყოველგვარი ნათელი აზრი მუდამ ან შეცდომაა, ან ნახევრად მართალი და არც ენდობოდა სიტყვებს, როცა რიტმულად იყო დალაგებული, კეთილხმოვნად, კატის კრუტუნით და ჰიპნოზით მოქმედებდა მკითხველზე, მერე კი ამის პირველი მსხვერპლი თავად მწერალი გახდება ხოლმე (“კარგი, მაგრამ ლექსი”, „კარგი, მაგრამ ის ჩანაწერი, სადაც ლაპარაკობს სვინგზე, რაც ბიძგს აძლევს მეტყველებას...) ადგილ-ადგილ მორელი მეტად დასანან მარტივ დასკვნებამდე მიდის: მას მეტი აღარაფერი რჩებოდა სათქმელი, ჩვეული პროფესიული რეფლექსების გამო იგი ერთმანეთში ურევდა აუცილებელს ჩვეულებრივთან, — ტიპიური შემთხვევა მწერლისათვის, ორმოცდაათ წელს რომ გადასცდა და საკმაოდ დიდი პრემიებიც მიიღო. თუმცა, ამავე დროს, იგი გრძნობდა, რომ არასდროს განეცადა ასეთი სურვილი და მოთხოვნილება წერისა.

რეფლექსი, რუტინა, საკუთარ თავთან ბრძოლის მოთხოვნილების ეს საამო წუხილი, სტრიქონიდან სტრიქონში? რატომ მოჰყვებოდა მაშინვე კონტრდარტყმა, და მერე, ისეთი მწარე

მერყეობა, თითქოს ყველაფერი ერთბაშად გახმა და ყველაფერზე ხელი უნდა აიღოს?

— ჩე, — თქვა ოლივეირამ, — სად არის ის პასაჟი, იქ ერთი სიტყვაა, შენ რომ მოგეწონა?

— ზეპირად მახსოვს, — თქვა ეტიენმა, — ეს არის სიტყვა „თუ“, რასაც მოჰყვება სქოლიო და კიდევ სხვა სქოლიოც. სწორედ ახლა ვეუბნებოდი პერიკოს, რომ მორელის თეორიები არცთუ ისე ორიგინალურია.

ის, რაშიც იგი გულწრფელია და ძლიერი, არის პრაქტიკა, როცა იგი ცდილობს ისე არ წეროს, როგორც თვითონ ამბობს, რომ მოიპოვოს უფლება თავისთვის (და ყველასთვის), რათა კარგი ფეხით და ახლებურად შევიდეს სახლში ადამიანთან. მე ვიმეორებ მისივე სიტყვებს, ან ძალიან ვამსგავსებ.

— სიურრეალისტებისთვის საკმაოდ ბლომად აქვს მასალა, — თქვა პერიკომ.

— მარტო სიტყვის გათავისუფლებაზე ხომ არ არის ლაპარაკი, — თქვა ეტიენმა, — სიურრეალისტებს მიაჩნდათ, რომ ჭეშმარიტ ენას და ჭეშმარიტ რეალობას ემუქრება ცენზურა და იდეენება დასავლეთის რაციონალისტური და ბურჟუაზიული სტრუქტურების მიერ. ისინი მართაღს ამბობდნენ, ეს ნებისმიერმა პოეტმა იცის, მაგრამ ეს მხოლოდ ერთი მომენტი ბანანის გაფცქვნის რთულ საქმეში. ამიტომაც, რომ არა ერთსა და ორს შეუჭამია კანიანად. სიურრეალისტები ჩაეჭიდნენ სიტყვებს იმის მაგივრად, რომ მოეშორებინათ, რაც მორელის უნდოდა პირველივე სიტყვიდან.

სიტყვის სიწმინდის ფანატიკოსები, დაუცხრომელი პოეტები, ყველაფრისთვის მზად იყვნენ, ოღონდ კი გრამატიკულად სწორი არ ყოფილიყო. მათ აზრადაც არ მოსდიოდათ, რომ ენის შექმნა, თუმცა ის ღალატობს თავის ოდინდელ გზას, უდავოდ წარმოაჩენს ადამიანურ სტრუქტურას, იქნება ის ჩინელი, თუ წითელკანიანი.

ენა ნიშნავს იმას, რომ განაცხადოს გარკვეულ რეალობაში თავისი ყოფნის შესახებ, რეალობაში ცხოვრების შესახებ. მაგრამ ისიც მართალია, რომ ენა, რომლითაც ჩვენ ვსარგებლობთ, გვღალატობს (და არც მორელია ის ერთადერთი, ვინც ამაზე გაჰყვირის როგორც შეუძლია), არ არის საკმარისი მართლ სურვილი, რომ გავათავისუფლოთ ის ყველა ტაბუსგან. საჭიროა თავიდან განვიცადოთ, კი არ გავაცოცხლოთ.

— მეტად მაღალფარდოვნად კი ჟღერს, — თქვა პერიკომ.

— ეს ნებისმიერ პატიოსან ფილოსოფიურ ტრაქტატებშია ნათქვამი, — მორიდებით თქვა გრეგოროვიუსმა, რომელიც ენტომოლოგივით, ისე ათვალისწინებდა საქალაქდებებს, გეგონებოდათ ძილი მორევიაო.

— არ შეიძლება თავიდან განიცადო ენა, თუ სულ სხვანაირად.

ინტუიციურად არ ჩაუღრმავდები ერთიანად ყველაფერს, რაც არის კიდევ ჩვენი რეალობა. ყოფიერებიდან სიტყვისკენ და არა სიტყვიდან ყოფიერებისკენ.

— ინტუიციურად, — თქვა ოლივეირამ, — ეს არის ერთი ის სიტყვა, რაც იმას ნიშნავს, თუ არ მოგყვებს, თრევიტაო. ნუ მივაწერთ მორელის დილთეის, ჰუსერლის ან ვიტგენშტაინის პრობლემებს, რაც კი რამ დაწერა მოხუცმა, ყველაფრიდან ცხადად ჩანს ერთი რამ, თუკი ჩვენ ენას ისევ ისე, ადრინდებულად, დადგენილი წესის მიხედვით გამოვიყენებთ, ჩვეულებრივი, დადგენილი მიზნით, ისე დავიხოცებით, რომ ვერ გავიგებთ რა დღეა დღეს. სისულელეა ვიმეორო, რომ უნდათ ცხოვრება მოგვყიდონ, როგორც ამბობს მალკოლმ ლაური, მზამზარეული სახით. მორელიც თავის მხრივ სისულელეს სჩადის, როცა ასე დაჟინებით იმეორებს ერთსა და იმავეს, თუმცა ეტიენმა მიზანში მოარტყა: თავისი გამოცდილებით მოხუცი თავის თავსაც და ჩვენც გვაჩვენებს გამოსავალს. რას ემსახურება მწერალი, თუ არა იმას, რომ დაანგრიოს ლიტერატურა?

და ჩვენც, ვისაც არ გვინდა ვიყოთ მკითხველი-მდებრები, რას ვემსახურებით, თუ არა იმას, რომ შეძლებისდაგვარად დავეხმაროთ ამ ნგრევაში?

— მაგრამ მერე, მერე რა უნდა ვქნათ? — თქვა ბებმა.

— მეც გეკითხებით, — თქვა ოლივეირამ, — ჯერ კიდევ ოციოდე წლის წინ იყო დიდებული პასუხი: პოეზია, ცხვირპაჭუა პოეზია. შენ პირდაპირ პირში გჩრიან ამ დიდებულ სიტყვას. სამყაროს პოეტური ხედვა, პოეტური რეალობის დაპყრობა. მაგრამ ბოლო ომის მერე, ალბათ დამეთანხმებით, ცხადი გახდა, რომ ეს დამთავრდა. დარჩნენ პოეტები, ამას არავინ უარყოფს, მაგრამ მათ აღარავინ კითხულობს. — ნუ ამბობ სისულელეს, — თქვა პერიკომ, — მე ვკითხულობ უამრავ ლექსს.

— ცხადია, მეც. მაგრამ ლაპარაკია არა ლექსებზე, ჩე, არამედ იმაზე, თუ რას აცხადებდნენ სიურრეალისტები ამ ყბადაღებულ პოეტურ რეალობაზე, იმაზე, თუ რას ეძებს ყოველი პოეტი, ან რა სურს. დამიჯერე, ძვირფასო, ორმოცდაათიანი წლებიდან მოყოლებული, ჩვენ ვართ უბრალოდ ტექნოლოგიურ რეალობაში, ყოველ შემთხვევაში, თუ სტატისტიკის თანახმად ვილაპარაკებთ. ძალიან ცუდია, სამწუხაროა, თმაც რომ დავიგლიჯოთ, ეს ასეა.

— ჩემთვის ამ ტექნოლოგიას კაპიკის ფასიც არა აქვს, — თქვა პერიკომ, — მაგალითად ფრაი ლუისი...

— ჩვენ ვცხოვრობთ ათას ცხრაას ორმოცდაათ რომელიღაც წელში.

— ეს მეც ვიცი, დალახვროს ეშმაკმა.

— არ გეტყობა.

— შენ რა გგონია, მეც უნდა გავიზიარო ისტორიკოსების ეს ძალადობრივი პოზიცია?

— არა, მაგრამ გაზეთები მაინც უნდა წაიკითხო. ეს ტექნოლოგია მე შენზე ნაკლებად კი არ მომწონს, მაგრამ მე მაინც ვგრძნობ, რომ ეს ქვეყანა ამ ბოლო ოცი წლის მანძილზე შეიცვალა.

ყველას, ვინც კი ორმოც წელს გადააბიჯა, უნდა ესმოდეს ეს და ამიტომაცაა, რომ ბებნის კითხვამ მორელიცა და ჩვენც ყველა კედელთან მიგვაყენა. ძალიან კარგია, თუ კი ენის გარყვნას ომს გამოვუცხადებთ, ამ ეგრეთ წოდებულ ლიტერატურასაც შევებრძოლებით რეალობის სახელით, რომელსაც ჩვენ ჭეშმარიტად მივიჩნევთ, რაც ჩვენ მისაწვდომი გვგონია, რაც გვჯერა, რომ არის სულის რომელიღაც ნაწილი, მაპატიეთ ეს სიტყვა. მაგრამ თვითონ მორელიც ამ ომის მხოლოდ უარყოფით მხარეს ხედავს.

ის გრძნობს, რომ ამ ომში უნდა ჩაებას ყველა, შენც, და ჩვენ ყველა. და მერე?

— ვიყოთ მეთოდურები, — თქვა ეტიენმა, — ჯერ მოვეშვათ მაგ შენს „და მერეს“. მორელის გაკვეთილი პირველი ეტაპისთვის საკმარისია. — არ შეიძლება ვილაპარაკოთ ეტაპებზე, თუ არ გავითვალისწინებთ მიზანს.

— ამას სამუშაო ჰიპოთეზა ვუწოდოთ ან რაიმე ასეთი. მორელის აქვს ერთადერთი მიზანი, მას უნდა, რომ დაანგრიოს მკითხველის სააზროვნო ჩვევები. როგორც ხედავ, ძალიან მოკრძალებული რამაა, ვერც კი შეედრება ჰანიბალის ალპებზე გადასვლას.

ყოველ შემთხვევაში, აქამდე მორელის არ გამოუმუღავნებია დიდი მეტაფიზიკოსობა, შენსავით, ჩვენო ჰორაციუს კურიაციუსო, მეტაფიზიკას პომიდვრის კონსერვის ქილაშიც რომ ხედავ.

მორელი არის ხელოვანი, რომელსაც აქვს თავისებური შეხედულება ხელოვნებაზე, ეს კი იმაში მდგომარეობს, რომ დაამსხვრიოს ჩვეულებრივი ფორმები, რაც არის და უნდა იყოს ყვე-

ლა ჭეშმარიტი ხელოვანის მიზანი. მაგალითად, მას საშინლად აღიზიანებს რომანი გრაგნილები, წიგნები, რომლებსაც თავიდან ბოლომდე დამჯერი ბავშვივით წაიკითხავ. შენ იმასაც შეამჩნევდი, რომ იგი სულ უფრო ნაკლებ და ნაკლებ ყურადღებას უთმობს თხრობის თანმიმდევრობას, როცა ერთ სიტყვას ლოგიკურად უნდა მოჰყვებოდეს მეორე... როდესაც ვკითხულობ მორელის, ისეთი შთაბეჭდილება მრჩება, თითქოს ეძებს ნაკლებად მექანიკურ და ნაკლებად მიზეზობრივ ურთიერთმოქმედებას; იგი გრძნობს, რომ ის, რაც ადრე აქვს დაწერილი, თითქმის არ განაპირობებს იმას, რასაც შემდეგ წერს, რაც მთავარია, მოხუცი ასობით ფურცელს რომ დაწერს, მერე თვითონაც აღარ ახსოვს ბევრი რამ, რაც მანამდე დაწერა.

— ამიტომაც გამოდის, რომ — თქვა პერიკომ, — ჯუჯა მეოცე გვერდიდან, ორი მეტრი და ხუთი სანტიმეტრი ხდება მეასეზე. ეს არაერთხელ შემიმჩნევია. არის ისეთი სცენებიც, რომლებიც იწყება წინა საღამოს ექვს საათზე და მთავრდება ხუთის ნახევარზე. საზიზღრობაა. — შენ თვითონ არ მოგსვლია ასეთი რამ, ხან ჯუჯა რომ გგონია თავი, ხან გოლიათი — განწყობილების მიხედვით? — თქვა რონალდმა.

— მე ვლავარაკობ მთავარზე, — თქვა პერიკომ.

— მას სწამს მთავარი, — თქვა ოლივეირამ. — მთავარი დროში. მას სწამს დრო, სწამს მანამდე და მერე, საბრალომ ვერ იპოვა თავის რომელიმე უჯრაში ოცი წლის წინ დაწერილი ფურცელი, რომ გადაეკითხა და გაეგო, რომ ვერაფერი გაძლებს თუ დროის საყრდენით არ გაამაგრე, თუ არ გამოვიგონეთ დრო, დროც იმისთვის გვინდა გამოვიგონოთ, რომ საბოლოოდ არ გავგიჟდეთ.

— ეს ყველაფერი ხელობაა, — თქვა რონალდმა, — მაგრამ ამის უკან, უკან...

— პოეტია, — თქვა ოლივეირამ გულწრფელად გულაჩუყებულმა. — შენ უნდა გეძახოდნენ Behind[302] ან Beyond[303], ჩემო ამერიკელო, ან Yonder[304], მერე რა ლამაზი სიტყვაა.

— ამ ყველაფერს არანაირი აზრი არ ექნებოდა, თუ მასში ვერ ვნახავდით სიტყვებს „იქით“, „უკან“, — თქვა რონალდმა. — ნებისმიერი ბესტსელერი უფრო კარგადაა დაწერილი, ვიდრე წერს მორელი. თუ ჩვენ ვკითხულობთ მას, თუ ჩვენ შევიკრიბეთ აქ, ამ ღამეს, იმიტომ ვართ აქ, რომ მორელის აქვს ის, რაც ჰქონდა ბერდს, ის, რასაც დავინახავთ ხოლმე მოულოდნელად კამინგსთან ან ჯეკსონ პოლოკთან, ბოლოს და ბოლოს, კმარა მაგალითები. მერედა რატომ კმარა მაგალითები? — შეჰყვირა გაცეცხლებულმა რონალდმა. მაშინ როცა ბებსი ალტაცებით შეჰყურებდა-და-ყოველ-მის-სიტყვას-ყლაპავდა.

— ყველა მაგალითს ჩამოვთვლი, რაც კი მომინდება. ყველა-სათვის ნათელია, რომ მორელი თავისი სიამოვნებისთვის არ ირთულებს ცხოვრებას და, ამის გარდა, მისი წიგნი არის უსირცხვილო პროვოკაცია, როგორც სხვა ყველაფერი, რაც კი რამედ ღირს. ამ ტექნოლოგიურ სამყაროში, რომელზეც ჩვენ ვლაპარაკობთ, მორელის სურს გადაარჩინოს ის, რაც კვდება, მაგრამ იმისთვის რომ გადაარჩინოს, ჯერ უნდა მოკლას, ან არადა სისხლი მაინც გადაუსხას, რაც ერთგვარი აღდგომა იქნებოდა. ფუტურისტული პოეზიის შეცდომა ისაა, — თქვა რონალდმა, რამაც ბებსის უზომო ალტაცება გამოიწვია, — რომ მათ მოინდომეს აეხსნათ მექანიზაცია და სჯეროდათ, რომ ამ გზით გადაურჩებოდნენ ლეიკემიას. მაგრამ ლიტერატურული საუბრით იმაზე, რა ხდება კანავერალის კონცხზე, უკეთესად ვერ გავიგებთ რეალობას, მე ასე მგონია.

— ძალიან კარგადაც გგონია, — თქვა ოლივირამ. — გავაგ-რძელოთ V00d@n-ის ძებნა, მოგვიწევს უამრავი *00d@n-ების აღმოჩენა ერთიმეორის მიყოლებით. დასაწყისისათვის ვიტყო-დი, რომ ამ ტექნოლოგიურ რეალობას, რომელსაც იღებენ დღეს მეცნიერების წარმომადგენლები და ფრანს-სუარის მკითხველები, ამ კორტიზონის, გამა-სხივების და პლუტონიუმის სამყაროს, ისეთივე ცოტა აქვს საერთო რეალობასთან, როგორც „ვარდის რომანს“. თუ ჩვენი პერიკო მოვიხსენიე, იმიტომ მოვიხსენიე, რომ გაიგოს: მისი ესთეტიკური კრიტერიუმები, ფასეულობათა მისი სკალა გაუქმებულა, აღარ არსებობს და ადა-

მიანი, რომელიც ყველაფერს ელოდებოდა გონებისა და სულის-გან, ახლა გრძნობს, რომ უღალატეს და ბუნდოვნად ხვდება, რომ მისი იარაღი მისსავე წინააღმდეგ შემოტრიალდა, რომ კულტურამ, *civiltà*, იგი მიიმწყვდია ჩიხში და რომ მეცნიერების ბარბაროსობა სხვა არაფერია, თუ არა სრულიად გასაგები საპა-სუხო რეაქცია.

მაპატიეთ ჩემი ლექსიკონი.

— ეს უკვე თქვა კლაგესმა, — ჩაილაპარაკა გრეგოროვიუსმა.

— მე არა მაქვს პრეტენზია რაიმე საავტორო უფლებაზე, — თქვა ოლივეირამ, — ეს იდეა იმაში მდგომარეობს, რომ რეალობა ყოველთვის რეალობად რჩება, აღიარებ შენ თუ არ აღიარებ წმინდა საყდარს, რენე შარს ან ოპენჰაიმერს, პირობითი იქნება, არასრული თუ შეკვეცილი. ალტაცება, რასაც ზოგიერთები განიცდიან ელექტრონული მიკროსკოპის წინაშე, მე უფრო ნაყოფიერი არ მეჩვენება, ვიდრე კონსიერჟის ალტაცება ლურდის სასწაულით. ვირწმუნოთ ის, რასაც მატერიას უწოდებენ თუ ის, რასაც სულს უწოდებენ, ვიცხოვროთ როგორც ემანუელმა იცხოვრა თუ ძენის კურსს გავყვეთ, განვიხილოთ ადამიანთა ბედი, როგორც ეკონომიკური პრობლემა თუ როგორც წმინდა წყლის აბსურდი, ეს სია უსასრულოდ გაგრძელდება და არჩევანის ბევრი შესაძლებლობა იქნება. მაგრამ თვითონ ის ფაქტი, რომ გვექონდეს არჩევანის შესაძლებლობა და რომ სია შეიძლება გაგრძელდეს, იმას მოწმობს, რომ ჩვენ ვართ წინაისტორიისა და წინაკაცობრიობის ეტაპზე. მე არ ვარ ოპტიმისტი და ისიც ძალიან მეეჭვება, როდისმე მივაღწიოთ ნამდვილ ისტორიამდე და ნამდვილ კაცობრიობამდე. გაგვიჭირდება რონალდის ცნობილ *Yonder*—მდე მისვლაც, რადგან ვერავინ უარყოფს, რომ რეალობის პრობლემას უნდა მივუდგეთ კოლექტიურობის პოზიციიდან, არ არსებობს სხვა საშუალება, რომ გადავარჩინოთ ცალკეული რჩეულები. ის ადამიანები, რომელთაც შეძლეს თავისი თავის რეალიზება. ისინი არიან, ვინც შეძლო დროიდან ამოვარდნილიყო და ჩართულიყო თანაზიარობაში, თუკი შეიძლება ასე ვთქვათ... დიახ, მე თუ მკითხავთ, ასეთები იყვნენ და არიან. მაგრამ ეს არ კმარა, მე მაინც ვფიქრობ, რომ ჩემი გადარჩენა, თუკი

ეს შესაძლებელია, ასევე უნდა იყოს ყველას გადარჩენა ერთნაირად. ასეა, ჩემო მეგობარო... ჩვენ უკვე აღარ ვართ ასიზიელის განკარგულებაში და ვეღარც იმას დაველოდებით, რომ წმინდანის მაგალითი, მუდამ წმინდანობაა და რომ ყოველი გურუ იქნება ხსნა ყველა მოწაფისათვის.

— დაბრუნდი ბენარესიდან, — ურჩია ეტიენმა, — ჩვენ მორელიზე ვლაპარაკობდით და მგონი, შენი სიტყვებიდან გამომდინარე, შემიძლია ვიფიქრო, რომ ეგ შენი ყბადაღებული Yonder წარმოუდგენელია გავიაზროთ, როგორც მომავალი დროსა და სივრცეში. თუ კვლავაც მივყვებით კანტიანურ კატეგორიებს, რასაც, ვფიქრობ, მორელისაც ამის თქმა უნდოდა, მაშინ ჩვენ ვერასოდეს ამოვალთ ჭაობიდან. ის, რასაც ჩვენ ვუწოდებთ რეალობას, ჭეშმარიტ რეალობას და რასაც ასევე ვუწოდებთ Yonder (ზოგჯერ კარგიც კია, თუ ბევრ სახელებს დავარქმევთ იმ გაურკვეველ მოვლენებს, ყოველ შემთხვევაში, ის აღარ ჩაიკეტება ერთ ცნებაში და არ გაქვავდება), — ეს ჭეშმარიტი რეალობა, ვიმეორებ, რაღაც მომავალი კი არ არის, ან მიზანი თუ ბოლო საფეხური, ან ევოლუციის დასასრული. არა, ეს არის ის, რაც არის უკვე აქ, ჩვენში. ის უკვე იგრძნობა, საკმარისია მოვიკრიბოთ გამბედაობა და სიბნელეში ხელი გავიწოდოთ. მე ამას ვგრძნობ მაშინ, როცა ვხატავ.

— შეიძლება ეს ავი სულია, — თქვა ოლივეირამ, — შეიძლება უბრალოდ ესთეტიკური ეგზალტაციაა. ეგებ ესეც იყოს. ჰო, იქნება ესეც იყოს.

— აქ არის, — თქვა ბებსმა და შუბლზე მიიღო ხელი. — მე მას ვგრძნობ, როცა ცოტა მთვრალი ვარ, ან მაშინ, როცა...

მან გადაიხარხარა და სახეზე ხელები აიფარა. რონალდმა სიყვარულით გაჰკრა ხელი.

— არ არის, — თქვა ვონგმა ძალიან სერიოზულად. — არის.

— ამ გზით ჩვენ შორს ვერ წავალთ, — თქვა ოლივეირამ, — რას გვაძლევს ჩვენ პოეზია, თუ არა წინათგრძნობას? შენ, მე,

ბებსი... ადამიანის სამეუფეო არ გაჩენილა ოდენ ორიოდე რჩე-
ულის გაბრწყინებით.

მთელ სამყაროს ჰქონდა თავისი ხილვა, შეგრძნება, ოლონდ
საწყენი ისაა, რომ მერე ისევ ჩაცვივდნენ hinc y nunc[305]—ის
მდგომარეობაში. — ეეჰ, შენ გეტყობა, ვერაფერს გაიგებ, თუ აბ-
სოლუტის ტერმინებით არ აგისხნეს, — უთხრა ეტიენმა. — მათ-
ქმევიწიე, რისი თქმაც მინდოდა. მორელის სჯერა, რომ თუ ლი-
როფორები, როგორც იტყვის ხოლმე ჩვენი პერიკო, გააღწე-
დნენ გაქვავებულ და დამცრობილ ფორმებში, იქნება ეს დროის
გარემოება, თუ ადგილისა და რაც გინდა სხვა, მაშინ პირველად
ცხოვრებაში რაღაც სარგებლობას მაინც მოიტანენ, თუკი ბო-
ლოს მოუღებდნენ მკითხველმდებრს, ანდა, ყოველ შემთხვევა-
ში, მნიშვნელოვნად შეზღუდავდნენ მის უფლებებს, ამით ისინი
დაეხმარებოდნენ ყველას, ვინც კი ასე თუ ისე იღვწის Yonder—
ის მოახლოებისათვის. თხრობის ტექნიკა ისეთებისთვის, რო-
გორც ის გახლავს, სხვა არაფერია, თუ არა მცდელობა გადაიყ-
ვანოს გატკეპნილი გზიდან.

— ჰო, მერე კისრამდე ტალახში რომ ჩაეფლოს, — თქვა პერი-
კომ, რადგან ღამის პირველ საათზე მასში გაიღვიძა წინააღმდე-
გობის გრძნობამ.

— ჰერაკლიტე, — თქვა გრეგოროვიუსმა, — კისრამდე ჩაეფ-
ლო ნეხვში და განიკურნა კიდევ წყალმანკისაგან.

— დაანებე თავი ჰერაკლიტეს, — უთხრა ეტიენმა. — უკვე ძი-
ლი მომერია ამდენი სისულელეებისაგან, მაგრამ მაინც მინდა
ვთქვა ჩემი სათქმელი: ჯერ ერთი, მორელი ეტყობა, დარწმუნე-
ბულია, რომ თუ მწერალი დარჩება ენის მორჩილი, რომელიც
მას მიჰყიდეს ქვედა საცვალთან, სახელთან, აღმსარებლობას-
თან და ეროვნებასთან ერთად, მაშინ მის წიგნებს ექნება მხო-
ლოდ ესთეტიკური ღირებულება, რაც მოხუცის თვალში უფრო
და უფრო გაუფასურდება. ერთგან ეს საკმაოდ ნათლადაა ახსნი-
ლი: მისი ნათქვამის თანახმად, შეუძლებელია იმ სისტემის მხი-
ლება, რომელშიც ეს მამხილებელიც შედის. კაპიტალიზმის წი-
ნააღმდეგ, რომ დაწერო მთელი გონებრივი და სიტყვიერი მა-

რაგის მოშველიებით, რაც იმავე კაპიტალიზმის წიაღშივე წარმოიშვა, დროის ტყუილუბრალოდ დაკარგვას ნიშნავს. მარქსიზმის მსგავს ისტორიულ შედეგებს შეიძლება მიაღწიო, მაგრამ Yonder არ არის ისტორია, Yonder არის როგორც თითის წვერები ისტორიის წყლიდან რომ მოჩანს და ეძებს რას ჩაეჭიდოს.

— სისულელეები, — თქვა პერიკომ.

— ამიტომ მწერალმა უნდა დაწვას ენა, დაემშვიდობოს გაქვავებულ ფორმებს და იაროს წინ, ეჭვქვეშ დააყენოს ის, რასაც ეს ენა წარმოადგენს, მაინც შეინარჩუნოს კავშირი მასთან, რის თქმასაც აპირებდა, არა თავისთავად სიტყვები, რადგან ეს ცოტას ნიშნავს, არამედ მთლიანად სტრუქტურა ენისა, მისი დისკურსიული მხარე.

— ყველაფერი, რასაც ემსახურება ენა, ისედაც ცხადია, — თქვა პერიკომ.

— როგორც ჩანს, მორელის არც ონომატოპეისა სჯერა, არც ლეტრიზმისა. ლაპარაკი იმაზე კი არ არის, რომ სინტაქსი ავტომატური წერით შეიცვალოს, ან რაიმე სხვა გასაავლიანი ფანდიო.

ის, რაც მას უნდა, ის არის, რომ დაიშალოს ლიტერატურა ერთიანად, თუ გნებავთ, წიგნი; ზოგჯერ სიტყვის მეშვეობით, ზოგჯერ იმით, რასაც სიტყვა გადმოგვცემს, ეს პარტიზანულ ბრძოლას ჰგავს, გადაუვლის რაც მოხვდება, დანარჩენმა თავისი გზა მონახოსო. იმას ხომ ვერ იტყვი, ის ლიტერატორი არ არისო?

— დროა წასვლაზე ვიფიქროთ, — თქვა ძილმორეულმა ბებესმა.

— რასაც გინდა იმას იტყვი, — გაჯიუტდა პერიკო, — ჯერ არ მომხდარა ისეთი რევოლუცია, ფორმების ნგრევით რომ დაწყებულიყო.

მთავარი ყოველთვის იყო საფუძვლები, ბიჭო, საფუძვლები, შინაარსი.

— ათობით საუკუნე გამოიარა ჩვენმა ღრმად შინაარსიანმა ლიტერატურამ, — თქვა ოლივეირამ, — და შედეგიც სახეზეა. ლიტერატურის წყალობით გავიზარებ, — ერთი დაფიქრდით, — ყველაფერს, რაც კი სიტყვითაც გამოითქმება და ფიქრითაც.

— იმაზე არაფერს ვიტყვი, რომ შინაარსს და ფორმას შორის განსხვავება ყალბია, — თქვა ეტიენმა. — ეს იცის ნებისმიერმა და თანაც დიდი ხანია იცის. უფრო სწორად, ჩვენი აზრით, განსხვავება მდგომარეობს გამომხატველობით ელემენტსა, ანუ ენასა და იმას შორის, რასაც იგი გამოხატავს, ანუ შემეცნებაში გარდასახულ რეალურს შორის.

— შეიძლება ასეც იყოს, — თქვა პერიკომ, — მე კი მინდოდა მცოდნოდა, ნამდვილად ასეთი მნიშვნელობა თუ აქვს იმ გარღვევას, რასაც ასე ჯიუტად უნდა რომ მიაღწიოს მორელიმ, ან სხვანაირად თუ ვიტყვით, განადგურება იმისა, რასაც შენ უწოდებ გამომსახველ ელემენტს, რათა უფრო უკეთ გამოვხატოთ გამოსახატავი.

— ალბათ არც აქედან გამოვა რამე, — თქვა ოლივეირამ, — ეგ არის, შეიძლება ცოტა ნაკლებად ვიგრძნოთ თავი მარტოსულად ამ ჩიხში, ამ გამოუვალ მდგომარეობაში შპს დიდებულ-თვით-კმაყოფილ-იდეალისტურ-რეალისტურ-სულიერ-მატერიალისტურ დასავლეთის სამსახურში.

— შენ ხომ არ გგონია, რომ ვინმე სხვა ენის საშუალებით გაიკვლევდა გზას და ფესვებს შეეხებოდა! — ჰკითხა რონალდმა.

— ვინ იცის. მორელის აკლია აუცილებელი ნიჭიც და მოთმინებაც.

იგი გვიჩვენებს გზას, მიგვანიშნებს რაღაც-რაღაცებზეც.

წიგნი კი მიატოვა. არც ისე ბევრია.

— წავიდეთ, — თქვა ბებსმა, — გვიანაა, თან კონიაკიც გათავდა.

– და კიდევ ერთიც, – თქვა ოლივეირამ, – მიზანი, რაც მან დაისახა, აბსურდულია, რადგან არავინ იცის იმაზე მეტი, რაც იცის, სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, არის ანთროპოლოგიური შეზღუდვებიც.

ვიტგენშტაინის თანახმად პრობლემები ჯაჭვურად იხევენ უკან, ანუ ის, რაც ერთმა ადამიანმა იცის, არის ერთი ადამიანის ცოდნა, მაგრამ თვითონ ადამიანის შესახებ ისიც არ ვიცით, რაც უნდა ვიცოდეთ, რათა რეალობის მისი აღქმა ჩვენთვისაც ყოფილიყო გასაზიარებელი. გნოსეოლოგებმა კი დასვეს ეს პრობლემა და ისიც ეგონათ, რომ მყარი ნიადაგიც იპოვეს, საიდანაც ვითომცდა შეგვეძლო ისევ წინ, მეტაფიზიკისკენ გავქანებულიყავით.

მაგრამ ჰიგიენურად უკანდახევა ვინმე დეკარტისა, ჩვენ წარმოგვიდგენია დღესდღეობით ნაწილობრივი სახით და არცთუ მნიშვნელოვნად, მით უმეტეს, რომ სწორედ ამავე დროს ვინმე სენიორ უილკოქსი კლივლენდიდან, ელექტროდებისა და სხვაგვარი მოწყობილობების მოშველიებით გვიმტკიცებს, სააზროვნო პროცესი და ელექტრომაგნიტურ ჯაჭვში მიმდინარე პროცესი ექვივალენტურიაო (მოვლენები, მისივე აზრით, მშვენივრად იცის, რამდენადაც ასევე მშვენივრად იცის მათი განმსაზღვრელი ენაც და ა.შ.) მაგრამ ეს კიდევ ცოტაა, ამას წინათ ერთმა შვედმაც თავის ტვინში მიმდინარე ქიმიური პროცესების ძალიან საყურადღებო თეორია შემოგვთავაზა. როგორც ჩანს, აზროვნება ყოფილა მჟავების ურთიერთმოქმედების შედეგი, რომელთა სახელწოდებების გახსენების სურვილიც არა მაქვს. მე ვმჟავდები, ergo sum.

დააწვეთებ ტვინის გარსს ერთ წვეთს და აჰა, ინებეთ: ოპენჰაიმერი და დოქტორი პეტო, ცნობილი მკვლელი. ხომ ხედავ ამ cogito–ს, რაც უპირველესად ადამიანისათვისაა დამახასიათებელი, განაკუთვნებენ საკმაოდ ბუნდოვან სფეროს, რომელიც ელექტრომაგნიტური ფიზიკისა და ქიმიის ზღვარს და ეგებ არც დიდად განსხვავდებოდეს ისეთი მოვლენებისაგან, როგორიცაა ჩრდილოეთის ნათება და ფოტოგადაღება ინფრაწითელ სხივებში, როგორც გვეგონა. ესეც შენი cogito, ძალთა დამარე-

ტიანებელი რგოლი, რომლის საფეხურებს 1950 წელს უწოდებდნენ *inter alia*[306] ელექტრულ იმპულსებს, მოლეკულებს, ატომებს, ნეიტრონებს, პროტონებს, პოზიტრონებს, მიკროპულსარებს, რადიოაქტიურ იზოტოპებს, სინგურის ნამცეცებს, კოსმოსურ სხივებს – *words, words, words,*” „ჰამლეტი”, მგონი მეორე მოქმედებაა. თუ არაფერს ვიტყვით იმაზე, რომ ადვილი მოსალოდნელია, ყველაფერი პირიქით იყოს, – დაძინა ოლივეირამ და ამოიოხრა, – და აღმოჩნდეს, რომ თურმე ჩრდილოეთის ნათება სულიერი ფენომენი ყოფილა და მაშასადამე, ჩვენც ისეთები ვართ, როგორებიც გვინდოდა ვყოფილიყავით...

– ასეთი ნიჰილიზმი ლამის ხარაკირია, – თქვა ეტიენმა.

– ცხადია, ძმაო, – თქვა ოლივეირამ, – მაგრამ დავუბრუნდეთ ჩვენს მოხუცს, თუ ის, რისთვისაც იგი იღვწის, აბსურდია, რამდენადაც ეს იგივეა, რომ ბანანს ურტყამდე შუგარ რეი რობინსონს, ანდა თუ ვიტყვით, რომ ეს სრულიად არაფერს ნიშნავს შუა კრიზისის დროს და ჰომო საპიენსის კლასიკური იდეის სრული კრახია, არც ის უნდა დაგვავიწყდეს, რომ შენ ხარ შენ და მე ვარ მე, ყოველ შემთხვევაში, ასე გვგონია და რომც არ გვქონდეს სულ პატარა რწმენაც კი იმისა, რასაც ჩვენი გოლიათი წინაპრები აუცილებელ პირობად აღიარებდნენ, მაინც გვრჩება სასიამოვნო შესაძლებლობა ვიცხოვროთ და ვიმოქმედოთ ჩვენ თვითონ, ამოვირჩიოთ სამოქმედო ჰიპოთეზა ჩვენ თვითონ, თავს დავესხათ იმას, რასაც სიყალბედ მივიჩნევთ, როგორც მორელი, დაე, თუნდაც ბუნდოვანი რწმენის შეგრძნების სახელით, რაც შესაძლოა ისევ ისეთივე არასიამედო აღმოჩნდეს, როგორც სხვა ბევრი რამ, მაგრამ ჩვენ თავს მაინც აგვაწევინებს ზევით და დაგვათვლევინებს თხებს, ან კიდევ გვაძებნინებს კუროს თანავარსკვლავედში პატარა მხეცებს, ჩვენი ბავშობის მოუხელთებელ ციციანათელებს.

კონიაკი!

– გათავდა, – თქვა ბებმა, – წავიდეთ, მეძინება.

– დასასრულ, როგორც ყოველთვის, ყველაფერი ცეცხლს მიეცემა, – თქვა ეტიენმა სიცილით. – ეს ისევ რჩება ადამიანის საუკეთესო განსაზღვრებად. ახლა დავუბრუნდეთ ერბო-კვერცხის საკითხს...

(-35)

100

მან ჩაუშვა შეტონი ნაპრალში და აუჩქარებლად აკრიფა ნომერი.

ეტიენი სწორედ ამ დროს ხატავს ხოლმე და ამ გამალებული ხატვის დროს ტელეფონის ზარს ლამის სიგიჟემდე მიჰყავს, მაგრამ რეკვას ხომ სულ ერთია თავს ვერ აარიდებ. ზარი დაირეკა მის სახელოსნოში, იტალიის მოედნის შორიახლო, ოთხიოდე კილომეტრით დაშორებული საფოსტო განყოფილებიდან, დანტონის ქუჩაზე.

მოხუცი ქალი, პირწავარდნილი ვირთხა, შუშის ჯიხურთან აეყუდა და მალულად უთვალთვალებდა ოლივეირას, რომელიც იჯდა სკამზე თავისთვის, სახით აპარატს ეკვროდა და გრძნობდა, როგორ უთვლიდა მოხუცი წუთებს. შუშები საკმაოდ სუფთა იყო, რაც იშვიათად ხდებოდა ხოლმე. ხალხი შედიოდა და გამოდიოდა ფოსტაში, ისმოდა ბეჭდის დარტყმის ყრუ ხმა (კი არ იცოდა რატომ, მაგრამ ეს ხმა სამგლოვიაროდ ეჩვენებოდა). ეტიენმა უპასუხა მეორე ბოლოში, ოლივეირამაც დააჭირა თითი ნიკელის ღილაკს, დაკავშირებაც აღინიშნა, 20 ფრანკიანი შეტონიც ჩაიყლაპა.

– თავს არ დამანებებ, დასწყევლოს ეშმაკმა, – ბუზღუნით უპასუხა ეტიენმა, რაკი უმაღლვე იცნო, – ხომ იცი, რომ ამ დროს გაშმაგებული ვმუშაობ.

– მეც, – უპასუხა ოლივეირამ, – სწორედ ამიტომ გირეკავ, რომ მეც ვმუშაობდი და სიზმარი ვნახე.

– მუშაობის დროს?

– ჰო, დილის 3 საათზე. დამესიზმრა, ვითომ სამზარეულოში შევედი, ერთი ნაჭერი პური მინდოდა, პური კი აქაური კი არა, ისეთი იყო ბუნოს აირესში რომ იყიდება ფრანგული ფუნთუშა, ფრანგულისა კი არაფერი სცხია, მაგრამ რატომღაც „ფრანგულს“ ეძახიან.

წარმოიდგინე სქელი, თეთრი პური სულ რომ იფშვნება, ჩვე-ულეებრივად, კარაქით ან ჯემით ჭამენ, ხომ გესმის.

– როგორ არა, იტალიაშიც მიჭამია.

– ხომ არ გაგიჟდი, არანაირი მსგავსება, როდისმე დაგიხატავ, რომ წარმოიდგინო. ფორმით თევზს ჰგავს, განიერი და მოკლე, თხუთმეტოდე სანტიმეტრისა. შუაში კიდევ უფრო სქელდება. ბუნოსაირესული ფრანგული პური.

– ბუნოს აირესული ფრანგული პური, – გაიმეორა ეტიენმა.

– კარგი, მაგრამ ეს ყველაფერი ხომ სამზარეულოში ხდებოდა, ტომბ ისუარის ქუჩაზე, სადაც ვცხოვრობდი, სანამ მაგასთან გადავიდოდი. მშიოდა და ერთი ნაჭერი მაინც მინდოდა მომეჭრა, მაგრამ სწორედ ამ დროს გავიგონე, რომ პური ტიროდა; რა თქმა უნდა, ეს სიზმარში ხდებოდა, მაგრამ პურმა, როგორც კი დანა დავადე, ტირილი დაიწყო. ფრანგული ფუნთუშა ტიროდა. გავიღვიძე და არ ვიცოდი, რა მექნა, დანა ისევ პურში იყო ჩარჭობილი, როცა გავიღვიძე.

– Tiens[307], – თქვა ეტიენმა.

– ახლა გასაგებია, როცა ასეთი სიზმრის მერე გაიღვიძებ, გახვალ დერეფანში, თავს შეუშვერ წყალს, ისევ დაწვები და მთელი ღამე სიგარეტს აბოლებ... რატომღაც ვიფიქრე, ჯობდა ისევ შენ დაგლაპარაკებოდი და იქნებ მოხუცის სანახავად წავ-

სულიყავითმეთქი, მანქანა რომ დაეჯახა, აკი გიამბე კიდევ, თუ გახსოვს.

— კარგია, რომ დამირეკე, — უთხრა ეტიენმა, — შენი სიზმარი თითქოს ბავშვურია, ასეთი რამ მარტო ბავშვებს შეიძლება დაესიზმროს, ან წარმოიდგინოს ვითომ დაესიზმრა. ერთხელ ჩემმა ძმისშვილმაც მიაშობო, მთვარებზე ვიყავიო. მე ვკითხე, რა ნახეთქი, მან კი მიპასუხა — „იქ იყო პური და გულიო“. ხომ წარმოგიდგენია, მას ნამდვილად საცხობი მოელანდა, ამის მერე ცოტა არ იყოს, ბავშვებს შიშით ვუყურებ.

— პური და გული, — გაიმეორა ოლივეირამ, კარგი, მაგრამ მე ხომ მარტო პური მეშინებოდა. მორჩა. გარეთ ქალი რომ მელოდება, უკვე ბრაზით მიყურებს. რამდენი წუთი შემიძლია ამ ტელეფონი-ავტომატით ვილაპარაკო?

— ექვსი, მერე კი დაიწყებენ კაკუნს შუშაზე. მარტო ერთი ქალი გელოდება?

— კიდევ ერთი ელამი ქალია ბავშვთან ერთად და ერთიც, როგორც ეტყობა, სავაჭრო აგენტი უნდა იყოს, ნამდვილად სავაჭრო აგენტია, რადგან ერთ ხელში რაღაც წიგნაკი უჭირავს და გიჟივით ფურცლავს, ზედა ჯიბეში კი სამი კალამი უდევს.

— იქნება გადასახადების ამკრებიანა.

— აჰა, კიდევ ორი მოვიდა, ერთი ასე, 14 წლის ბიჭია და ცხვირს იფხანს, მოხუცი ქალია იქვე, რაღაც უცნაური ქუდი ახურავს, კრანახის სურათი გაგახსენდება, რომ ნახო.

— მგონი, უკვე კარგად ხარ, გატყობ, — თქვა ეტიენმა.

— ჰო, ამ ჯიხურში ჯდომა ცუდი არ ყოფილა. მარტო ისაა ცუდი, რომ ამდენი ხალხი მელოდება. ნეტავ თუ გავიდა ექვსი წუთი?

— რას ამბობ, — თქვა ეტიენმა, — დიდი-დიდი სამი წუთი, არც კი.

— მაშასადამე, ამ მოხუცს უფლება არ აქვს, რომ დამიკაკუნოს?

— ჯანდაბამდე გზა ჰქონია. რასაკვირველია, არა აქვს. შენ კანონიერად გეკუთვნის ექვსი წუთი და თუ გინდა, შეგიძლია, მთელი შენი სიზმრებიც მიამბო.

— მართო ეს ერთი სიზმარი ვნახე, — თქვა ოლივეირამ, — მაგრამ სიზმარი ყველაზე საშინელი მაინც არ არის. ამაზე უარესი გამოფხიზლებაა. ეგებ შენ გგონია, რომ ახლაც მძინავს და სიზმარს ვხედავ?

— რა ვიცი. ეს უკვე გაცვეთილი თემაა, ძმაო; ფილოსოფოსისა და პეპელას ამბავი ხომ გახსოვს, ვინ არ იცის.

— მაპატიე, მაგრამ ორიოდ სიტყვას კიდევ ვიტყვი ამ თემაზე.

ვისურვებდი, რომ წარმოგედგინა ისეთი სამყარო, სადაც პურს ისე დაჭრიდი, რომ არ დაეკვნესა.

— მართლა ძნელი წარმოსადგენია, — თქვა ეტიენმა.

— არა, ჩე, სერიოზულად გეუბნები, შენ არ დაგმართვია ისეთი რამ, როცა გაგღვიძებია და ისეთი შეგრძნება გქონია, თითქოს სწორედ ამ წუთიდან იწყება დაუჯერებელი დაბნეულობა?

— სწორედ ასეთი დაბნეულობის მდგომარეობაში ვხატავ ყველაზე მშვენიერ სურათებს, — თქვა ეტიენმა, — და ამ დროს ჩემთვის სულ ერთია პეპელა ვარ, თუ ფუ-მანჩუ.

— ვერ ვხედავ განსხვავებას, შეცდომა, დაბნეულობა. მგონი სწორედ შეცდომის წყალობით იყო, რომ კოლუმბი მიადგა გუანაჰანის ნაპირებს, თუ რა ერქვა იმ კუნძულს. რატომაა სავალდებულო ეს ბერძნული კრიტერიუმები ტეშმარიტებისა და დაბნეულობის შესახებ?

— მე ასეთი რამ არ მითქვამს, — თქვა ეტიენმა წყენით, შენ თვითონ ლაპარაკობდი შეცდომებსა და დაბნეულობაზე.

— ეს უბრალოდ ერთგვარი სახე იყო, — თქვა ოლივეირამ, — ანდა სულაც სიზმარი. ძნელია ამის განსაზღვრა, ეგებ დაბნეულობა სწორედ ის იყოს, რაზეც ვერც იტყვი ესაა დაბნეულობაო.

— ბებერი საცაა შუშას შემოგიმტვრევს, — უთხრა ეტიენმა, — აქაც კი მესმის ბრახუნი.

— ეშმაკსაც წაუღია, — თქვა ოლივეირამ, — ვერ დავიჯერებ, რომ ექვსი წუთი გავიდა.

— დაახლოებით. ესეც არ იყოს, ხომ არ გავიწყდება ასე ნაქები ლათინოამერიკული თავაზიანობა.

— არა, ექვსი წუთი მართლა არ გასულა. გულზე მომეშვა სიზმარი რომ გიაბზე და როცა შევხვდებით...

— როცა გინდა, მაშინ მოდი, — უთხრა ეტიენმა, — დღეს აღარც გავაგრძელებ ხატვას, სულ დამიკარგე ხალისი.

— გესმის, როგორ მიკაკუნებენ? — ჰკითხა ოლივეირამ, — თანაც მართლაც ის მოხუცი ქალი კი არა, ვირთხის სიფათი რომ აქვს, ის ბიჭიც და ელამიც. არ გამიკვირდება, ფოსტის მოსამსახურეც რომ დამადგეს თავზე.

— ასე მგონია, თავის დაცვა და მათი მოგერიება მოგიწევს.

— არა, არც ასეა. ამისთვის უებარი საშუალება ვიცი, თავს ისე მოვაჩვენებ, ვითომ ფრანგულის არაფერი გამეგება.

— შენ ხომ მართლაც ბევრი არაფერი გესმის, — უთხრა ეტიენმა.

— არა, სამწუხარო მხოლოდ ისაა, რომ თქვენთვის ეს ყველაფერი ხუმრობაა, სინამდვილეში კი სასაცილოს ვერაფერს ვხედავ. მე უბრალოდ არ მინდა გავიგო, რადგან თუ გაიგებ, კიდევ უნდა მიიღო ის, რასაც დაბნეულობას ვუწოდებთ. ჩე, კარი შემომიღეს, ვიღაც ტიპი მხარზე მიტყაპუნებს ხელს, კარგი, მადლობელი ვარ, რომ მომისმინე, ჩაო.

– ჩაო, – დაემშვიდობა ეტიენი.

ოლივეირამ პიჯაკი გაისწორა და ჯიხურიდან გავიდა. ფოსტის მოსამსახურე ლამის ყურში ჩაჰყვიროდა ავტომატით სარგებლობის წესებს. „ახლა რომ ხელში დანა მეჭიროს, – გაიფიქრა ოლივეირამ და სიგარეტი ამოიღო, – ამ ტიპს შეიძლება კრიახიც დაეწყო, ან ყვავილების თაიგულად გადაქცეულიყო“. მაგრამ ისეთი რამეც ხდება, როცა ნივთი გაქვავდება ხოლმე და ასე რჩება კარგა ხანს. ახლა სიგარეტისთვის უნდა მოეკიდებინა, ცდილობდა ხელები არ დაეწვა, რადგან ძალიან უკანკალებდა, არადა ესმოდა იმ მოხელის ყვირილი, წამდაუწუმ უკან რომ იყურებოდა და ბრაზით ხელებს იქნევდა; ის ელამიცა და სავაჭრო აგენტიც ცალი თვალთ მას უყურებდნენ, მეორე თვალი კი ჯიხურისკენ ეჭირათ, იმ ბებერმა ექვს წუთზე მეტი არ ილაპარაკოსო; ის ბებერი ჯიხურში რომ ლაპარაკობდა, მუზეუმიდან გამოქცეული კეჩუას მუშია გეგონებოდათ, რომელსაც ღილაკის დაჭერით, კიდევ გაანათებდი. მაგრამ ყველაფერი პირიქით ხდებოდა, როგორც სიმმარშია ხოლმე: ბებერმა ღილაკს ხელი დააჭირა ჯიხურში და საუბარი გაუბა მეორე ბებერს, სადღაც მანსარდაში, ამ დაუსრულებელ სიმმარში.

(-76)

101

პოლამ თავი წამოსწია და კალენდარს შეხედა – ვარდისფერი ძროხა მწვანე ველზე, სიღრმეში იისფერი მთები ლაჟვარდოვანი ცის ქვეშ. ხუთშაბათი – 1, პარასკევი – 2, შაბათი – 3, კვირა – 4, ორშაბათი – 5, სამშაბათი – 6, Saint Mamert, Saint Salange, Saint Achille, Saint Servais, Saint Boniface, lever 4h. 12, coucher 19 h. 23, lever 4 h. 10, coucher 19 h. 24, lever coucher, lever coucher, lever coucher, coucher, coucher, coucher[308].

იგი სახით ოლივეირას მხარს მიეკრა და ოფლის, თამბაქოს, ბოლისა და ძილის სუნით გაჟღენთილ მის სხეულს კოცნა დაუწყო.

თითქოს შორიდან, თავისუფალი ხელით ეალერსებოდა მის მუცელს, ფეხებს, გაეთამაშებოდა ფაფუკ ბეწვებს და მოწიწვნიდა კიდევ, რომ გაელიზიანებინა ორასიო და ეგებ ხუმრობით ეკბინა კიდევ.

კიბეებზე ვიღაც ფოსტლების ფრატუნით ამოვიდა. Saint Ferdinand, Saint Pétronille, Saint fortuné, Sainte Blandine, un, deux, un deux[309], მარჯვენა, მარცხენა, მარჯვენა, მარცხენა კარგი, ცუდი, კარგი, ცუდი, წინ, უკან. მისი ხელი დაცურავდა ოლივეირას ზურგზე, ნელ-ნელა ჩაცურდებოდა ქვევით, მიცოცავდა ობობასავით, ერთი თითი, მერე მეორე, Saint fortuné, Sainte Blandine, ეს თითი აქ, ის – იქ, ეს ზევით, ის – ქვევით. ეს ალერსი თითქოს სხვა სივრციდან მოდიოდა. და ეს იყო მეტისმეტი ფუფუნების საათი, surplus[310], მსუბუქი კბენა, სიახლოვის განცდა, მოჩვენებითი ეჭვიანობა, ენის წვერით შეხება, ოდნავ ფრჩხილებით ჩაფრენა, ჩურჩული:

coucher 19h. 24, Saint Ferdinand, პოლამ თავი წამოსწია და ორასიოს დახედა; ის თვალდახუჭული იწვა. მაშინ მან ჰკითხა თავის თავს, ნუთუ მასაც, თავის მეგობარს, იმ ბიჭის დედასაც ასე ექცევად. ორასიოს არ უყვარდა იმაზე ლაპარაკი, იმ მეორეზე, პატივისცემასაც მოითხოვდა იმის მიმართ, ხსენებითაც არ უნდა ეხსენებინა, თუ აუცილებელი არ იყო. როცა მაინც ჰკითხა, ორი თითით ქუთუთო აუწია და ტუჩებზე რისხვასავით დააცხრა, მაგრამ პასუხი ვერ მიიღო, მაშინ ჯობდა გაჩუმებულიყო, ასე გვერდიგვერდ უნდა წოლილიყვნენ და ყური მიეგდოთ ერთმანეთის სუნთქვისთვის, დროდადრო ხელით ან ფეხით თუ შეეხებოდნენ ერთმანეთს.

იყო რაღაც ალერსის ნარჩენები, კოცნის აჩრდილები, მორჩენილი ნამცეცები. არა, ალბათ ასე არ მოექცეოდა იმას, მეორეს, მაგრამ ეს მხოლოდ პოლას შეეძლო გაეგო, მარტო მას შეეძლო დაჰყოლოდა მის ახირებას. საოცარია, როდემდე უნდა

ეწუწუნა, მაგრამ როდესაც ერთხელ დაიჩვილა, ორასიომ კინალამ გადაწყვიტა თავი დაეღწია, გათავისუფლებულიყო მისგან, მაგრამ უკვე გვიანი იყო.

ორასიოს ასეთმა ამბობმა კიდევ უფრო გაამწვავა ტკივილიც და ნეტარებაც, უფრო დაიძაბა ურთიერთობა, ურთიერთგაგება და გულწრფელობაც გაქრა. ერთი და იგივე ხელები ეხვეოდა ორივეს, ეგებ სხვანაირად, მაგრამ მაინც... ჰო, სულ სხვანაირად...

(-144)

102

ვონგმა, მართლაც ბუნებით ჭიანჭველამ, მორელის ბიბლიოთეკაში აღმოაჩინა მუზილის „Die Verwirrungen des Zöglings Törless“[311] – ის ერთი ეგზემპლიარი წარწერით, რომელშიც ხაზგასმული იყო ერთი ადგილი:

მაინც რა არის ეს, რაც ასეთი საშინელი მეჩვენება? ჩვეულებრივზე ჩვეულებრივი რამ კი არის. უპირველეს ყოვლისა, ეს არის უსულო საგნები. მაინც რა დავინახე მათში უცნაური? ალბათ რაღაც ისეთი, რაც მე არ ვიცი. სწორედ ეს! დალახვროს ეშმაკმა, მაინც საიდან გაჩნდა იმ „რაღაცის“ ცოდნა? ვგრძნობ, რომ ის იქ არის, რომ არსებობს. ასე მგონია, რაღაცის თქმა უნდა. მე კი ისე ვგრძნობ, როგორც ის კაცი, რომელიც ცდილობს, როგორმე მიუხვდეს დამბლადაცემულს მობრეცილი ტუჩების ცმაცუნით რისი თქმა უნდა, მაგრამ არ შეუძლია. ისეთი შთაბეჭდილება მექმნება, თითქოს ერთით მეტი გრძნობა მაქვს, ოღონდ სხვა დანარჩენ გრძნობებთან შედარებით, განუვითარებელი, მაქვს, კი, როგორ არა, მაგრამ უმოქმედო. ჩემთვის სამყარო სავსეა მდუმარე ხმებით. ეს იმას ხომ არ ნიშნავს, რომ მე ნათელმხილველი ვარ, ან ჰალუცინაციები დამეწყო? რონალდმა

მიაგნო ჰოფმანსტალის „ლორდ ჩანდოსის წერილებში“ ერთ ციტატას:

ზუსტად ისევე დავინახე ადამიანები და მათი ქმედებები, როგორც ერთხელ ლუპაში ჩემი ნეკის გადიდებული კანი, ღარტაფებითა და ორმოებით დაღარული მინდორი. მე უკვე აღარ ძალმიძს მათი ყურება უბრალოდ და ჩვეულებრივად. ყველაფერი იშლება ცალკეულ შემადგენელ ნაწილებად, რაც თავის მხრივ ასევე იშლება ნაწილებად და ველარაფერს მოაქცევ ერთი განსაზღვრული ცნების ფარგლებში.

(-45)

103

პოლა ვერც მიხვდებოდა, რატომ იკავებდა სუნთქვას ორასიო შუალამისას, როცა მის გვედრით იწვა და ყურს მიუგდებდა მისი სხეულის ფაჩუნს. იგი პირალმა იწვა, მძიმედ სუნთქავდა, მხოლოდ ხანდახან გაიქნევდა ხელს ძილ-ღვიძილში, ან ღრმად ამოიხვნეშებდა. ორასიო კი უძრავად იწვა, გაყურებული, ოდნავ თუ წამოიწევდა თავს წამიერად, მუშტზე დაანდობდა სახეს, სიგარეტს ტუჩის კუთხეში მოიქცევდა. შუალამის სამ საათზე დოფინის ქუჩაზე სიჩუმე დაისადგურებდა, ჩასუნთქვა, ამოსუნთქვა, ჩასუნთქვა, ამოსუნთქვა, ვითარცა შენელებული მიქცევა და მოქცევა, უეცრად კი პაწაწინა მორევი გაჩნდებოდა, რაღაც ამოძრავდებოდა შიგნით, როგორც მეორე ცხოვრება და მაშინ ოლივეირაც ფრთხილად წამოიწევდა და ყურს მიადებდა შიშველ სხეულს, მიეხუტებოდა მის მკვრივ და გლუვ, თბილ მუცელს, უსმენდა; ხმები, ვარდნა, შეხება, ფაჩუნი, თითქოს კიბორჩხალები თუ ლოქორები ერთიმეორეს ეტაკებიან, ედებიან, დაცოცავენო, დახშული ბნელი სამყარო დაცოცავს პლუმზე, აქა-იქ თუ იფეთქებს, აბრიალდება და ისევ ჩაიხშობა (პოლა ოხრავდა და ოდნავ მოძრაობდა). სამყარო თხიერია, დენადია,

ღამღამობით მომწიფებული, პლაზმები ზევ-ზევით იწევენ და ეშვებიან, შეუღწეველი და დახშული, ნელი მანქანა უხალისოდ მოძრაობს და მოულოდნელად – ჭრიალი და სწრაფი სრბოლა თითქმის კანქვეშ, გაირბენს და სადღაც ათუხთუხდება, დაბრკოლებასა თუ ფილტრთან. პოლას მუცელი, შავი ცა მსხვილ-მსხვილ, აქა-იქ მიმობნეული ვარსკვლავებით, კომეტებით, აურაცხელი ხმაურიანი პლანეტებით, აშრიალებული მედუზებით მოფენილი, პოლა-მიკროკოსმოსი, პოლა – სამყაროსეული ღამის შეჯამება თავის პატარა ღამეში აფუებული და მომწიფებული, სადაც იოგურტი და თეთრი ღვინო, ხორცი და ბოსტნეული ერთმანეთში ირევა, ქიმიური ცენტრი, უსაზღვროდ მდიდარი, იდუმალი, ესოდენ შორეული და ესოდენ ახლობელი შენთვის.

(-108)

104

ცხოვრება, როგორც კომენტარი რაღაც სხვა რამისა, რასაც ვერ მივწვდებით, არადა ის სულ ახლოსაა, აქვე, ერთი ნახტომიც კმარა, მაგრამ არ ვხტებით.

ცხოვრება, ბალეტი ისტორიულ თემაზე, ოღონდ ისტორია უკვე გავლილი ფაქტისა, ფაქტი კი გავლილია რეალურ მოვლენათა მიღმა.

ცხოვრება, ფოტოგრაფია რიცხვებისა, დაუფლება სიბნელეში (ქალისა, ურჩხულისა?), ცხოვრება – სიკვდილის მაჭანკალი, ტაროს ბრწყინვალე დასტა, უკვე მივიწყებული, რასაც მარტო ვიღაცის დაკორძებული, ნიკრისის ქართით დაავადებული ხელეობით ისევ შლიან სევდიან მარტოობაში.

(-10)

მორელიანა

მე ვფიქრობ, ჩვენი პაპების ქცევები, ჩვევები თუ სიტყვები, რაც ჩვენ მემკვიდრეობით არ გადმოგვეცემა, თანდათან ქრება და ფოთლებივით სცვივა დროის ხეს. დღეს საღამოს მაგიდაზე სანთელი დავინახე, თამაშ-თამაშ ავანთე და დერეფანში გავედო. პატარა ნიაჟმა კინალამ ჩააქრო, უცხად, ჩემდაუნებურად, მარცხენა ხელი თითქოს თავისით აიწია ზემოთ, ხელისგული გაშალა და ცოცხალ შირმასავით მოაფერა სანთლის პაწაწინა ცეცხლს, ნიავისაგან რომ დაეცვა. სანთლის პატარა კოცონი ისევე აბრიალდა და მე ვიფიქრე, რომ ეს ჩემი უნებური მოძრაობა ოდესღაც ჩვენ ყველას გვქონდა (ჩვენ-მეთქი, კარგად ვიფიქრე, ან კარგად ვიგრძენი), ათასობით წლების მანძილზე, ცეცხლის ეპოქიდან მოყოლებული, იქამდე, სანამ სამაგიეროდ ელექტრიფიკაცია არ მივიღეთ.

სხვა ჩვევები და ქცევებიც გავიხსენე, წარმოვიდგინე, როგორ აიკეცავდნენ ქალები კაბის კალთებს, როგორ სტაცებდნენ ხელს კაცები ხმლის ვადას. როგორც ბავშვობისდროინდელი, უკვე დაკარგული სიტყვები, სიკვდილის წინ უკანასკნელად რომ ესმით მოხუცებს. დღეს ჩემს სახლში ვეღარ გაიგონებ სიტყვებს:

„ქაფურის ხის კომოდი“, „სამფეხა“. ეს ყველაფერი ისე წავიდა, როგორც ამა თუ იმ დროის მუსიკა, როგორც 20—იანი წლების ვალსები, ჩვენი პაპებისა და ბებიების დროის პოლკა, მათ ასე რომ აუჩუყებდა ხოლმე გულს.

მე სხვა ბევრი ნივთიც მახსენდება — ზარდახშები, ოჯახური ავეჯი და ტურტელი, რასაც ხანდახან საკუჭნაოში თუ მოვკრავ თვალს, ან სამზარეულოში, სადღაც კუთხეში რომ მიუმაღავთ, რადგან მათი დანიშნულებაც არ იციან. ტყუილუბრალოდ გვგონია, თითქოს გვესმის როგორ მოქმედებს დრო, ის მარხავს თავის მკვდრებს და მალავს გასაღებებს. მარტო სიზმარში, პო-

ეზიაში, თამაში თუ ხდება ასეთი რამ — აანთებ სანთელს, გახვალ დერეფანში და უეცრად გახედავ იმას, რანი ვიყავით ადრე, იქამდე სანამ გავხდებოდით ის, რანიც ვართ, ვინ იცის გავხდით კი?

(-96)

106

ჯონი ტემპლი

Between midnight and dawn, baby, we may ever have to part,

But there's one thing about it, baby, please remember

I've always been your heart.[312]

The Jas Jas Girl:

Well it's blues in my house, from the roof to the ground,

And it's blues everywhere since my good man left town.

Blues in my mail—box 'cause I can't get no mail,

Says blues in my bread—box 'cause my bread got stale.

Blues in my meal—barrel and there's blues upon my shelf

And there's blues in my bed, 'cause I'm sleepin' by myself.
[313]

(-13)

107

მორელიმ საავადმყოფოში დაწერა:

ყველაზე კარგი, რაც ჩემმა წინაპრებმა ჩაიდინეს არის ის, რომ დაიხოცნენ: მოკრძალებით, მაგრამ ღირსების გრძნობით ველოდები იმ წუთს, როცა ამას მეც მემკვიდრეობით მივიღებ. მე მყავს მეგობრები, რომლებიც დაუყოვნებლივ შექმნიან ჩემს ქანდაკებას ასეთი სახით — მე ვიწვევები პირქვე მიწაზე და ჩავცქერი ნამდვილი ბაყაყებით სავსე გუბეს. ხოლო თუ ნაპრაღში ჩავუშვებ მონეტას, იმასაც დაინახავენ, როგორ ვაფურთხებ წყალში და როგორ წრიალებენ ბაყაყები, როგორ ყიყინებენ მთელი წუთნახევარი, ხოლო ეს დრო სრულიად საკმარისია იმისთვის, რომ ქანდაკების მიმართ ყოველგვარი ინტერესი გაქრეს.

(-113)

108

— La cloche, le clochard, la clochard, clocharder. მაგრამ სორბონაში, წარმოიდგინეთ, კლოშარების ფსიქოლოგიაზე დისერტაციაც კი დაუწერიათ.

— შეიძლება, — თქვა ოლივეირამ, — მაგრამ მათ მაინც არ ჰყავდათ ხუან ფილოისნაირი კაცი, რომელიც მათ დაუწერდა „ბრბოს“. ნეტავ რა დაემართა ამ ფილოისს, ჩე?

ბუნებრივია, რომ მაგას არაფერი ეცოდინება მის შესახებ, თუნდაც იმიტომ, რომ გაგონილიც არ ჰქონდა თუ ასეთი ვინმე არსებობდა.

და უნდა აგეხსნა, ვინ არის ფილოი, რა არის „ბრბო“. მაგრამ ძალიან მოეწონა წიგნის იდეა და ის არგუმენტი, რომ კრეოლი ლინიერასები კლოშარების ერთ შტოს განეკუთვნება. მას მტკიცედ სჯეროდა, რომ შეურაცხყოფელი იქნებოდა ლინიერასი თუ მათხოვარში აგერეოდა, ხოლო მისი დასკვნები, რაც ეფუძნებოდა ხელოვნების ხიდის მაწანწალა ქალისადმი სიმპათიას, ახლა მეცნიერულიც კი ეჩვენებოდა. იმ დღეებში, როცა ისინი სანაპიროზე სეირნობდნენ, მთავარი ის იყო, რომ აღმოაჩინეს, თურმე მაწანწალა შეყვარებული ყოფილათ და მაშინ დაიბადა ის თანაგრძნობაც და სურვილიც, ნეტავ ყველაფერი კეთილად დამთავრდესო, ეს კი მაგასთვის გახდა ხიდის ერთგვარი თალი, რაც ყოველთვის აღელვებდა, ანდა თითბერის ნატეხები თუ მავთულის ნაწყვეტები, ოლივეირა რომ პოულობდა ხოლმე ილბლიანი სეირნობის დროს.

— ფილოი, დასწყევლოს ღმერთმა, — იტყოდა ხოლმე ოლივეირა, როცა კი მეკარის კოშკურებს შეხედავდა და კარტუშზე ფიქრობდა.

— რა შორსაა ჩემი ქვეყანა ჩე, დაუჯერებელია, რომ ამდენი მარილიანი წყალია ამ გიჟების ქვეყანაში.

— სამაგიეროდ, ჰაერია ნაკლები — იტყოდა ხოლმე მაგა, — 32 საათი, ესაა და ეს.

— აჰ, მართალია. მონეტაზე რაღას იტყვი.

— და კიდევ იქ წასვლაზე. დიდად არ მეხალისება.

— არც მე. თუმცა რა გაეწყობა, ასეც ხდება ხოლმე.

— შენ არასოდეს გითქვამს დაბრუნებაზე. — თქვა მაგამ.

— ამაზე არასოდეს ლაპარაკობენ, ჩემო ქარიშხლიანო უღელტეხილო, ამაზე არავინ ლაპარაკობს. ეს მარტო შეგრძნებაა მათთვის, ნამთვრალეებზე ჯიბეში კაპიკიც რომ არ უჩხრი-ალებს.

— პარიზი მუქთად, — ციტატა გაიხსენა მაგამ. — შენ თვითონ თქვი ეს იმ დღეს, როცა ერთმანეთი გავიცანით. მაწანწალების ყურება — მუქთად, სიყვარული — მუქთად, რომ გითხრა ცუდი ხარ-მეთქი — მუქთად, არ მიყვარხარ — მუქთად... რატომ გძინავს პოლასთან?

— ეს სუნის საკითხია, — თქვა ოლივეირამ და ჩამოჯდა რკინის ძეგზე, წყლის ნაპირზე. — ასე მომეჩვენა, რომ მისგან მოდიოდა ქებათა-ქების სურნელი, დარიჩინის, მურისა და სხვა ასეთისა. ასეა და რას იზამ. — მაწანწალა ამაღამ არ მოვა, თორემ უკვე აქ იქნებოდა, თითქმის არასოდეს გაუცდენია.

— ხანდახან ციხეშიც ჩასვამენ ხოლმე, — თქვა ოლივეირამ, — რომ ტილები მოაშორონ, ალბათ, და რომ ქალაქმა მშვიდად იძინოს თავისი გულგრილი მდინარის ნაპირებზე. მაწანწალა უფრო დიდი უხამსობაა, ვიდრე ქურდი, ცნობილია; მაგრამ ვერაფერი გაუწყვიათ და იძულებული არიან თავი დაანებონ.

— მიაბზე პოლაზე. ამასობაში მაწანწალაც გამოჩნდება.

— უკვე ღამდება, ამერიკელ ტურისტებს თავიანთი სასტუმროები გაახსენდათ, ფეხზე ძლივს დგანან, იყიდეს უამრავი ხარახურა, შეიძინეს სადის, მილერის თხზულებები, და კიდევ „Onze mille verges“ [314], მხატვრული ფოტოსურათები, უხამსი სურათები, საგანი თუ ბიუფე.

შეხედე, როგორ დაცარიელდა ხიდის მიდამოები და თავი დაანებე პოლას, ეს არ არის მხედველობაში მისაღები. ხედავ, მხატვარიც კეცავს თავის მოლბერტს, აღარავინ აღარ უყურებს. დაუჯერებელია, რა მკვეთრად ჩანს ყველაფერი, ჰაერიც ისეა გასუფთავებული, როგორც იმ გოგონას თმა, იქ რომ გარბის,

გახედე, წითელი კაბა რომ აცვია. — მიაბზე პოლაზე, — გაიმეორა მაგამ და ხელის ზურგით შეეხო მის მხარს.

— წმინდა წყლის პორნოგრაფიაა, — თქვა ოლივეირამ, — შენ არ მოგეწონება.

— მერე, შენ თუ უამბობ ხოლმე ჩვენზე.

— არა. მხოლოდ ზოგადად, რა უნდა მოვუყვე? პოლა არ არსებობს, შენ ხომ იცი. აბა სად არის? დამანახვე.

— სოფიზმები, — თქვა მაგამ, რომელმაც ეს ტერმინი აიტაცა რონალდისა და ეტიენის კამათებიდან, — აქ კი არ არის, მაგრამ დოფინის ქუჩაზე ხომ ნამდვილად არის.

— მერე დოფინის ქუჩა სადღაა? — თქვა ოლივეირამ. — *Tiens, la clochard qui s'amène*[315]. ჩე, ის თვალისმომჭრელია.

მაწანწალა კიბეზე ჩამოდიოდა და უზარმაზარი ფუთის სიმძიმისაგან ბარბაცებდა, საიდანაც გამოჩრილიყო დარღვეული პალტოს სახელოები, დაგლეჯილი შარფები, შარვალი, სანაგვეზე ნაპოვნი, ნაკუწები, დაჟანგული მავთულის გორგალიც კი; მაწანწალა ძლივს მიჩანჩალდა ქვედა საფეხურამდე და რაღაც ზმუილისა თუ ოხვრის მსგავსი ხმა აღმოხდა. ვაცი ვერ გააარჩევდა ან რა ეცვა, ან რა ჰქონდა მოხვეული, ალბათ ტანზე მიწებებულიც ჰქონდა ღამის პერანგები, ნახუქარი კოფტები, ბიუსტჰალტერები, საბედისწერო მკერდსაც რომ ვერ გაუძლებდა, მთელი გარდერობი, მამაკაცის პიჯაკი მორღვეული სახელოთი, მწვანე და წითელი ქვებით მოჭედილი თუნუქის გულქანდით შეკრული შარფი, წარმოუდგენელ ფერად შეღებილ ქერა თმაზე მწვანე ტიულის თავსაკრავი ერთ მხარეს ჩამოეკონწიალებინა.

— ეს საოცრებაა, — თქვა ოლივეირამ, ეტყობა, იმათი ცდუნება უნდა, ხიდის ქვეშ რომ არიან.

— ჩანს, როგორაა შეეყვარებული, — თქვა მაგამ, — როგორ დაუხატავს სახე, შეხედე მის ტუჩებს. ალბათ მთელი ქილა ფერუმარილი გამოცალა.

— გროკზე უარესია, ისე მოთხუპნულა. ენსორთანაც ნახავ ასეთ სახეებს. შეუდარებელია. ნეტავ როგორ ახერხებს ეს ორი სიყვარულს? იმას ხომ ვერ იტყვი, ერთმანეთს შორიდან ესიყვარულებიანო? — მე ვიცი ერთი კუთხე სასტუმრო „სანსის“ ახლოს, სადაც მაწანწალები იკრიბებიან ხოლმე ამისთვის. პოლიციაც არ უშლის ხელს, მადამ ლეონისაც უთქვამს, მათ შორის ყოველთვის გამოჩნდება ხოლმე ერთი ჩამშვები მაინც და პოლიციამაც კარგად იცის, არაფერი დაიმალება. არადა, ამბობენ, მაწანწალებმა ბევრი იციან დამნაშავეთა სამყაროს შესახებ.

— დამნაშავეთა სამყარო, ეს რაღას ნიშნავს, — თქვა ოლივე-ირამ, — ჰო, ცხადია, რომ იციან. ესენი საზოგადოებისაგან გარიყული ხალხია, სოციალური უფსკრულის ნაპირზე დგანან, მათ კარგად უნდა იცოდნენ რანტიეებისა და მღვდლების ამბავიც. მათი ადგილიდან კარგად მოჩანს ამ სანაგვის ფსკერი...

— აჰა, ის მაწანწალაც გამოჩნდა. ასეთი მთვრალი აქამდე არ მინახავს. საბრალო ქალი, ალბათ როგორ ელოდებოდა, შეხედე, ფუთაც კი დააგდო ძირს, ნიშანი რომ მისცეს, ან როგორ ღელავს.

— კარგი, სასტუმრო სანსის გვერდით კი ხვდებიან, მაგრამ მაინც რას ახერხებენ, — წაიჩურჩულა ოლივეირამ, — ამდენი ტანსაცმელი, ჩე, ის ხომ ალბათ სიცხეში გაიხდის ერთსა თუ ორ ჩასაცმელს, შიგნით კი ხუთი თუ ექვსი კიდევე აცვია, თუ არაფერს ვიტყვით ქვედა საცვალზე. შენ წარმოგიდგენია როგორ შეიძლება ასეთი რამ მოხდეს ამ ღია ცისქვეშ? იმ ტიპისთვის უფრო ადვილია, შარვალს ადვილად მოეცლება.

— ისინი არ იხდიან, — ვარაუდი გამოთქვა მაგამ, — პოლიცია ამას არ დააცლის, თანაც წვიმაში, ცოტა დაფიქრდი. ისინი შეიყუჩებიან სადმე კუთხეში, ამ უკაცურ ადგილებში ბევრი ორმოა, ნახევარი მეტრის სიღრმისა, სადაც მუშები სამშენებლო ნარჩენებს და ბოთლებს ყრიან ხოლმე. ჩემი აზრით, ალბათ ფეხდგომელაა...

— მთელი ამდენი ტანსაცმლით? გინდა თქვა რომ იმ ტიპს იგი არასოდეს უნახავს შიშველი? ეს ხომ ნამდვილი პირუტყვობაა?

— უყურე, როგორ უყვართ ერთმანეთი, — თქვა მაგამ, — როგორ შესცქერიან ერთმანეთს.

— იმ ტიპს ღვინო პირდაპირ თვალებიდან გადმოსდის, ჩე. თერთმეტგრადუსიანი სინაზე ბლომად ტანინით.

— მათ უყვართ ერთმანეთი, ორასიო, უყვართ. მას ემანუელი ჰქვია, კახპა ყოფილა სადღაც პროვინციაში. აქ peniche[316]—ს ჩამოჰყვა და აქვე, პორტში დარჩა. ერთ ღამეს სევდა რომ შემომაწვა, ერთმანეთს გამოველაპარაკეთ. ისეთი საშინელი სუნი ასდიოდა, რომ მალევე გავეცალე. იცი, რა ვკითხე? მე ვკითხე, ტანსაცმელს როდის იცვლი-მეთქი. სისულელე კი იყო ამის კითხვა. ის ძალიან კარგი ვინმეა, საკმაოდ გიჟიც, იმ ღამეს ისიც კი მოეჩვენა, რომ ძელზე მინდვრის ყვავილებს ხედავდა, სახელებსაც კი არქმევდა.

— როგორც ოფელია, — თქვა ოლივეირამ. — ბუნება ბაძავს ხელოვნებას. — ოფელია?

— მაპატიე, მე მაინც პედანტი ვარ. მერე რა გიპასუხა, როცა საცვალზე ჰკითხე?

— მან გულიანად გაიცინა და მთელი ნახევარი ბოთლი ერთბაშად დალია. ჩემს კითხვაზე კი მიპასუხა, რომ უკანასკნელად რაღაც ჩაიძრო იმიტომ, რომ ფეხებში ეხლართებოდა. ტანსაცმელი ღამის ტანზე შემოაღპა და შემოეფლითა. ზამთარში, როცა ძალიან ცივა, რაც მოხვდებათ ყველაფერს იცვამენ.

— არ მინდა ავად გავხდე და ღამე საკაცით წამიღონ. ესეც ჩემი ცრურწმენაა, ცრურწმენა, საზოგადოების ბურჯი. მწყურია, მაგა.

— ხადი პოლასთან, — უთხრა მაგამ და გახედა მაწანწალას, რომელიც ელოლიაგებოდა თავის შეყვარებულს ხიდის ქვეშ. —

შეხედე, ახლა ცეკვასაც აპირებს, ამ დროს ყოველთვის ცეკვავს ხოლმე.

— კაცი დათვს ჰგავს.

— ქალი კი ძალიან ბედნიერია, — თქვა მაგამ, თეთრი კენჭი აიღო მიწიდან და შეათვალიერა.

ორასიომ გამოართვა ქვა და ალოკა. მლაშე გემო ჰქონდა.

— ეს ჩემია, — თქვა მაგამ, უნდოდა დაებრუნებინა.

— ჰო, შენია, მაგრამ შეხედე, რა ფერი გახდა ჩემს ხელში. თითქოს ანათებსო.

— ჩემთან უფრო მშვიდაა. დამიბრუნე, ჩემია.

მათ ერთმანეთს შეხედეს. პოლა.

— კარგი, — თქვა ორასიომ, — სულ ერთი არ არის, ახლა თუ მერე. რა სულელი ხარ, გოგონა, რომ იცოდე, რა მშვიდად შეგიძლია დაიძინო.

— მარტო ძილი, რა დიდი სიამოვნებაა. ხომ ხედავ, არ ვტირი. შეგიძლია განაგრძო, ილაპარაკე, ტირილს არც ვაპირებ. ახლა ისე ვარ, როგორც ის, შეხედე, ცეკვავს, შეხედე, მთვარესავითაა. მთას ჰგავს და მაინც ცეკვავს, მთლიანად ქეცი აქვს მოდებული და მაინც ცეკვავს. მართლა სამაგალითოა. მომეცი ჩემი კენჭი.

— აიღე, იცი რა ძნელია, რომ გითხრა: მე შენ მიყვარხარ. ისე ძნელია, ახლა.

— ჰო, მე კი ასლივით მომეჩვენებოდა, მეორე პირივით, ასლივით.

— ჩვენ ისე ვლაპარაკობთ, როგორც ორი არწივი, — თქვა ორასიომ.

– სასაცილოა, – თქვა მაგამ. – თუ გინდა, ერთი წუთით კიდევ მოგცემ ამ ქვას, სანამ მაწანწალა ცეკვავს.

– კარგი, – უთხრა ორასიომ, ქვა გამოართვა და ისევ ალოკა. – რატომ ვლაპარაკობთ პოლაზე? ის ხომ ავადაა და მარტოა, წავალ, ვნახავ, მაინც ხომ ერთად გვძინავს. მორჩა, კმარა, არ მინდა სიტყვებად გადავაქციო ის, შენთანაც კი.

– ემანუელი ახლა წყალში ჩავარდება, – თქვა მაგამ. – ის იმ ტიპზე უფრო მთვრალია.

– არა, ყველაფერი ისე საზიზღრად დამთავრდება, როგორც ყოველთვის, – თქვა ოლივეირამ და ძელიდან წამოდგა. – ხედავ, ხელისუფლების იმ კეთილშობილ წარმომადგენელს როგორ უახლოვდება?

წავიდეთ, სევდა მომერია. თუ იმ საბრალოს კიდევ უნდოდა ცეკვა...

– ვილაც ბებერმა პურიტანმა იქიდან, ბევიდან ერთი აურბაური ატეხა, თუ გზაზე შემოგვეყრება, ერთი კარგი პანლური ამოჭკარი.

– ასეც ვიზამ. შენ კი ჩემ მაგივრად ბოდიში მოუხადე, უთხარი სტალინგრადში ბრძოლის დროს დაიჭრა და ფეხს ვერ იმორჩილებს-თქო.

– მერე შენც ჩაერევი და მოუბოდიშებ.

– ეს მე კარგად მეხერხება, ჩე, პალერმოში ვისწავლე. წავიდეთ, რამე დავლიოთ. არ მინდა უკან მივიხედო, ისედაც მესმის როგორ ლანძღავს და აგინებს პოლიციელი. მთელი პრობლემაც ესაა. მაშ არ უნდა დავბრუნდე და ერთი პანჩური არ ამოვართყა? ოჰ, არჯუნა, მირჩიე რამე. ამ უნიფორმიდან მოქალაქეთა სირცხვილის სუნი გვცემს. Ho detto. წავიდეთ, კიდევ ერთხელ გავიქცეთ. მე უფრო გავჭუჭყიანდი, ვიდრე ის შენი ემანუელი. ჩემი ფუფხიც უკვე რამდენი საუკუნეა იზრდება და იზრდება, Persil lave plus blanc[317], ჩვენ ახლა ისეთი სარეცხი საშუალებე-

ბა გვჭირდება, გოგონა, ისეთი კოსმიური რეცხვა. შენ ლამაზ-
ლამაზი სიტყვები მოგწონს? Salut, გასტონ.

– Salut messieurs dames, – თქვა გასტონმა, – Alors, deux
petits blanc secs comme d’habitude, hein?[318] – Comme
d’habitude, mon vieux, comme d’habitude. Avec du Persil
dedans.[319] გასტონმა შეხედა მას და თავის ქნევით გაშორდა.
ოლივეირამ მაგას ხელი მოჰკიდა და თითები სათითაოდ გადა-
უთვალა. მერე ქვა ხელის გულზე დაუდო, ისევ სათითაოდ მო-
უღუნა თითები და კოცნა ზედ ბეჭედივით დაასვა. მაგამ დაინახა,
რომ მან თვალები დახუჭა და თითქოს იქ არ იყო. „კომედიან-
ტი“, გაიფიქრა გულაჩუყებულმა მაგამ.

(-64)

109

მორელი ერთგან იმასაც კი ცდილობს, რომ გაამართლოს
თავისი თხრობის გაუმართაობა-უთავბოლოობა და ამტკიცებს,
თითქოს სხვათა ცხოვრება, როგორადაც წარმოვიდგენთ ეგრეთ
წოდებულ რეალობაში, კინოფილმი კი არა, ფოტოგრაფიაა, ანუ
მოქმედებას მთლიანობაში კი არ აღვიქვამთ, არამედ ნაწყვეტ-
ნაწყვეტ, ელვატურად შეკვეცილს; ეს კი სხვა არაფერია, გარდა
ცალკეული ეპიზოდებისა, როდესაც ვართ იმ სხვასთან ერთად,
ვის ცხოვრებასაც ვიცნობდით, როგორც გვგონია, ან როცა გვი-
ამბობენ მის შესახებ, ანდა თვითონვე ლაპარაკობს თავის თავზე
თუ რა განიცადა და რა განზრახვა აქვს.

ბოლოს ხელში შეგვრჩება ფოტოების ალბომი, რომელშიც
აღბეჭდილია ცალკეული მომენტი; ქმნადობა, ჩამოყალიბება
ჩვენ თვალწინ არასდროს მიმდინარეობს, ვერც გუშინდლიდან
დღევანდელ დღეზე გადასვლას ვხედავთ და ვერც მეხსიერებაში
დავიწყების პირველ ჩხვლეთას. ამიტომაც არ არის გასაკვირი,

როცა მორელი თავის პერსონაჟებზე ასე სულმოუთქმელად ლაპარაკობს, ფოტოების მთელი ეს სერიები რომ გაეერთიანებინა და კინოფილმივით შეეკრა (რაც უზომოდ მოეწონებოდა მის მკითხველს, რომელსაც თვითონ უწოდა მკითხველი-მდედრი), იმის მაჩვენებელი იქნებოდა, რომ უნდოდა შეევესო სიცარიელე ფოტოებს შორის ლიტერატურით, მოგონებებით, ჰიპოთეზებით. ზოგჯერ ფოტოზე ჩანს მხოლოდ ბურგი, ხელი კარებზე, ბილიკის ბოლო მინდორში, საყვირლად გაღებული პირი, ფეხსაცმელი კარადაში, მარსის მინდორში მოსეირნე ხალხი, გამოყენებული მარკა, სუნამო „მა გრიფი“ და სხვა მსგავსი რამ. მორელის ვარაუდით, ფოტოებზე ცოცხლად წარმოდგენილი ცხოვრებისეული გამოცდილების მთელი სიმწვავე, მკითხველსაც ღრმად ჩაახედებდა მისი პერსონაჟების ბედსა და უბედობაში და ეგებ კიდევ გაეზიარებინა. ის, რასაც იგი წარმოსახვის მეშვეობით გაიგებდა მათზე, მაშინვე მოქმედებაში დაკონკრეტდებოდა ხოლმე, მაგრამ არ ითვალისწინებდა ოსტატობის ხერხებს, რათა ჩაერთო უკვე დაწერილში, ან დასაწერში ან თუნდაც ამოეწერა. ამ საკმარად ბუნდოვნად და სუსტად დახასიათებული ცხოვრების სხვადასხვა ნაწყვეტებს შორის ხიდები უნდა გაედოთ და გაეზიარებინათ თვითონ მკითხველებს დაწყებული ვარცხნილობიდან, — თუკი თავად მორელის არაფერი ჰქონდა ამაზე ნათქვამი, — დამთავრებული მათი მოქმედებისა და უმოქმედობის მიზეზებით, თუ რამ უჩვეულო და უცნაური იქნებოდა. წიგნი უნდა ყოფილიყო მსგავსი იმ ნახატებისა, რასაც გეშტალტფსიქოლოგები გვთავაზობენ, რომლებშიც ზოგიერთი ხაზი მნახველს თავისი წარმოსახვით უნდა გაეგრძელებინა და სურათი დაესრულებინა. მაგრამ ხანდახან ისეც ხდებოდა, რომ ის ხაზები, რაც ნახატს აკლდა, თურმე ყველაზე მნიშვნელოვანი და ყურადსაღები ყოფილა. მორელის კვლევობასა და პატივმოყვარეობას ამ სფეროში საზღვარი არ ჰქონდა.

წიგნის კითხვის დროს ისეთი შთაბეჭდილება იქმნებოდა, თითქოს მორელი ელოდებოდა, რომ საკმარად ბლომად დაგროვილი ნაწყვეტები თავისთავად დაიხვეწებოდა და ერთბაშად მთლიან რეალობად გარდაიქმნებოდა, აღარც ხიდების გამოგონება იქნებოდა საჭირო, აღარც ნაკუწებით ხალიჩის შეკერვა,

რომ უცხად წარმოქმნილიყო ქალაქი, ხალიჩა, კაცებიც და ქალებიც ჩამოყალიბების აბსოლუტურ პერსპექტივაში და მორელი, თვითონ ავტორი პირველი განცვიფრებული მნახველი იქნებოდა იმ სამყაროსი, რომელიც მის თვალწინ შეერთდა და გამთლიანდა.

მაგრამ ამის ნდობა მაინც არ შეიძლებოდა, რადგან ეს გამთლიანება არსებითად ნიშნავდა დროისა და სივრცის ასიმილაციას მკითხველი-მდებრის მოთხოვნილებების თანახმად მოწესრიგებას.

მორელი კი ამას არ დათმობდა, რადგან იგი ისეთი კრისტალიზაციისკენ მიილტვოდა, რაც არ დაარღვევდა პატარა პლანეტურ სისტემაში სხეულთა უწესრიგო გადაადგილებას, გაგვაგებინებდა მათი არსებობის სრულ და ყოვლისმომცველ აზრს, იქნებოდა ეს უწესრიგობა, უსარგებლობა თუ უსაფუძვლობა. კრისტალიზაცია, რომელშიც არაფერი დარჩებოდა შეუმჩნეველი, მაგრამ თუკი მახვილი თვალი კარგად ჩაიხედავდა კალეიდოსკოპში, დაინახავდა დიდ, მრავალფერ ნახატს, აღიქვამდა მის ერთიანობას, *imago mundi*[320], რაც კალეიდოსკოპის გარეშე შეიძლება გარდაქმნილიყო პროვანსული სტილის სასტუმრო ოთახად ანდა დეიდების თავშექცევად, ჩაის რომ მიირთმევენ ხოლმე ბეგლის გალეთებთან ერთად.

(-27)

110

სიზმარი ისეთ კოშკს ჰგავდა, რომელიც აგებული იყო უამრავი ფენებით და ბოლო არ უჩანდა, მიიწევდა ზევით და ზევით, უსასრულობაში იკარგებოდა, ან ეშვებოდა ქვევით რგოლებად და ინთქმებოდა მიწის წიაღში. როცა მან წარმიტაცა თავის ტალღებზე და სპირალივით დამატრიალა, ეს სპირალი იყო ვითომ

ლაბირინთი. იქ არ იყო არც ჭერი და არც ფსკერი, არც კედლები და არც უკან დასაბრუნებელი გზა. იყო მხოლოდ თემები, რომლებიც მეორდებოდნენ ზედმიწევნით ზუსტად.

ანაის ნინი, „Winter Artifice”[321].

(-48)

111

ეს ამბავი მისმა მთავარმა გმირმა ივონ გიტრიმ, უამბო ნიკოლას დიასს, ვისთანაც კარლოს გარდელი მეგობრობდა ბოგოტაში.

„ჩემი ოჯახი ეკუთვნოდა უნგრეთის ინტელექტუალთა კლასს. დედაჩემი იყო ქალთა გიმნაზიის დირექტორი, სადაც სწავლობდნენ ერთი ცნობილი ქალაქის ელიტარული ოჯახის შვილები, რომლის დასახელებაც არ მინდა. როცა ომის შემდგომი შფოთიანი წლები დადგა და დაიწყო სამეფო ტახტების, სოციალური კლასების ნგრევა, ქონების ჩამორთმევა, აღარ ვიცოდი რა გზას დავდგომოდი. ჩემმა ოჯახმაც დაკარგა ქონება და ადრინდელი მდგომარეობა, ამასთან ათასობით ადამიანთან ერთად აღმოჩნდა საზღვრების შეცვლის, Trianon (sic!) მსხვერპლიც. ჩემი სილამაზე და განათლება იმის უფლებას არ მაძლევდა, რომ უბრალო მბეჭდავად დამეწყო მუშაობა. სწორედ ამ დროს მომეველინა მომხიბვლელი პრინცი, არისტოკრატი, მაღალი კოსმოპოლიტური წრის წარმომადგენელი ევროპის resorts[322]—ის მფლობელი. მან მთხოვა ხელი და მეც დავთანხმდი სიყმაწვილისთვის დამახასიათებელი ილუზიების გამო, მიუხედავად ჩემი ოჯახის წინააღმდეგობისა, რადგან მე ვიყავი ძალიან ახალგაზრდა, ის კი — უცხოელი.

საქორწინო მოგზაურობა. პარიზი, ნიცა, კაპრი. მერე კი ილუზიების მსხვრევა. აღარ ვიცოდი რა მექნა, რა გზას დავდგომო-

დი, ვერ ვბედავდი ჩემიანებისთვის გამემხილა ჩემი უიღბლო ქორწინების ნამდვილი ტრაგედია, ის, რომ ჩემი ქმარი ვერასოდეს მალირსებდა დედობას. და მეც, 16 წლის ყმაწვილმა ქალმა, მომლოცველივით დავიწყე მოგზაურობა, უაზროდ და უგზო-უკვლოდ, ოღონდ კი დარდი როგორმე გამექარვებინა. ეგვიპტე, იავა, იაპონია, ზეციური იმპერია, მთელი შორეული აღმოსავლეთი; კარნავალები, შამპანური და მოჩვენებითი მხიარულება, მაგრამ სულდამძიმებული.

გარბოდა წლები. 1927 წელს საბოლოოდ დავიდეთ ბინა Côte d'Azure[323]—ში. მე გახლავართ ქალი, რომელიც ეკუთვნის მაღალ საზოგადოებას, კაზინოების, დანსინგების, იპოდრომების მფლობელის მაღალ კოსმოპოლიტურ წრეს.

ზაფხულის ერთ მშვენიერ დღეს მივიღე გადაწყვეტილება განქორწინების შესახებ. ბუნება ერთიანად ჰყვოდა, ზღვა, ცა, მინდორ-ველი სიყვარულის ჰიმნად და სიყმაწვილის სადიდებელ ზეიმად გადაქცეულიყო.

მიმოზების დღესასწაული კანში, ყვავილების კარნავალი ნიცაში, პარიზის ღიმილიანი გაზაფხული. ერთი სიტყვით, დავტოვე ჩემი კერა, სიმდიდრე, ფუფუნება და მარტოდმარტო გავემშურე სამყაროსთან შესახვედრად...

მხოლოდ 18 წლის ვიყავი, ვცხოვრობდი პარიზში მარტო და ისიც არ ვიცოდი რა მექნა, რა გზა ამერჩია. პარიზი 1928 წელი. პარიზი ორგიებისა და შამპანურის მდინარეებისა. პარიზი ფრანკებისა. ფასიც რომ არ აქვს, პარიზი, სამოთხე უცხოელებისათვის, სავსე იანკებით, სამხრეთამერიკელებით, ოქროს პატარა მეფეებით. პარიზი 1928 წელი, ყოველ დღეს ახალი ვაბარე, ახალი სენსაცია, ასე რომ აცარიელებს უცხოელთა ჯიბეებს.

თვრამეტი წლის ოქროსთმიანი და ცისფერთვალა ქალი. მარტოხელა პარიზში. ჩემი ბედუკუდმართობის გასაქარვებლად დავიწყე სიამოვნების ძებნა; ვაბარეებში ყურადღებას ვიპყრობდი, რადგან ყოველთვის მივდიოდი მარტო, ვასმევდი მოცეკვა-

ვეებს შამპანურს, ვაძლევდი მსახურებს ზღაპრულ გასამრჯელოს. მე ფულის ფასიც კი არ ვიცოდი.

ერთხელაც ერთმა იმათგანმა, ვინც სულ მოგებისა თუ სარგებლის საძებნელად ტრიალებენ ასეთ კოსმოპოლიტურ გარემოში, შეამჩნია ჩემი იდუმალი სევდა და მისი წამალიც შემომთავაზა... კოკაინი, მორფიუმი, ნარკოტიკები, მეც დავიწყე ეგზოტიკური ადგილების, უცხო იერის მოცეკვავეების, შავგვრემანი და გრუზათმიანი ლათინოამერიკელების ძებნა.

სწორედ ამ დროს პარიზში დიდი წარმატებით სარგებლობდა და აღტაცებულ ოვაციებს იმსახურებდა იმ ხანებში ჩამოსული კაბარეს მომღერალი.

იგი გამოდიოდა „ფლორიდაში“ და მღეროდა არაჩვეულებრივ სიმღერებს, არაჩვეულებრივ ენაზე.

მას ეცვა ეგზოტიკური ტანსაცმელი, რაც მანამდე არ ენახათ, ასრულებდა არგენტინულ ტანგოს, რანჩერასა და არგენტინულ სამბას. ახალგაზრდა ვაცი, შავგვრემანი, თეთრკბილებიანი, პარიზელი ლამაზმანების გულთამპყრობელი. ეს გახლდათ კარლოს გარდელი. მისმა ცრემლისმომგვრელმა ტანგომ, მთელი სულითა და გულით რომ ასრულებდა, საზოგადოების გული ერთიანად მოინადირა. მისი სიმღერები – „კამინიტო“, „ლა ჩაკარერა“, „ყარაყუმის ის მოსასხამი“, „ინდიელი ქალის ჩივილი“, „ოცნებაში“, – არ იყო თანამედროვე ტანგო, ეს იყო ძველი არგენტინული სიმღერები პამპების გაუჩნოს სუფთა სული რომ ხმიანობდა. გარდელი მოდურ მომღერლად აღიარეს, არ ყოფილა არც ერთი გალანტური სადილი, გალანტური დარბაზობა, ის რომ არ მიეწვიათ. მისი შავგვრემანი სახე, ქათქათა კბილები, მისი ხალასი, თვალისმომჭრელი ღიმილი ყველგან კიაფობდა, – კაბარეებში, თეატრებში, მიუზიკ-ჰოლებში თუ იპოდრომებზე. იგი მუდმივი სტუმარი გახლდათ „ოტელიში“ და „ლონშანში“.

მაგრამ თავად გარდელს სხვა გართობა იზიდავდა, თავისიანების ვიწრო წრე უფრო იტაცებდა.

ამ დროისათვის პარიზში, კლიშის ქუჩაზე იყო კაბარე „პალერმო“, სადაც უმეტესად სამხრეთამერიკელები დადიოდნენ. მეც იქ გავიცანი იგი. გარდელის ყველა ქალი აინტერესებდა, მაგრამ მე მაინტერესებდა მხოლოდ კოკაინი... და რაღა თქმა უნდა, შამპანურიც; ჩემს ქალურ პატივმოყვარეობას ისიც აკმაყოფილებდა, რომ პარიზში ყველაზე მოდური კაცის გვერდით მხედავდნენ, ქალების ამ კერპის გვერდით, მაგრამ ჩემი გული მაინც დუმდა.

ჩვენი მეგობრობა კიდევ უფრო განმტკიცდა საღამოობით სეირნობისას, გულახდილი საუბრების, პარიზული ფერმკრთალი მთვარის შუქზე, მინდორში, ყვავილნარში ბორიალის დროს. დღეები რომანტიკული გრძნობით იყო სავსე, ეს ადამიანი სულში ჩამწვდა. მისი აბრეშუმით რბილი სიტყვები, მისი საუბრები ერთიანად ამსხვრევდა ჩემი გულგრილობის სალ კლდეს. უკვე ვგიჟდებოდი. ჩემი მდიდრული, მაგრამ სევდით სავსე ბინა ახლა განათდა და გაბრწყინდა. უკვე კაბარეშიც აღარ დავდიოდი, ჩემს ულამაზეს ნაცრისფერ სასტუმრო ოთახში ოქროსფერთმიანი თავის გვერდით შავთმიანი და გარუჯული სახე ელვარებდა ელექტრონის შუქზე. ჩემი ცისფერი საძინებელი უზომო სევდისა და აფორიაქებული სულის მომსწრე და მნახველი, ახლა სიყვარულის ნამდვილ ბუდედ გადაიქცა. ეს ჩემი პირველი სიყვარული იყო.

გადიოდა დრო, ბობოქარი და სწრაფწარმავალი. არ ვიცი, რა დრო გავიდა. ეგზოტიკური, ოქროსთმიანი ქალი, ვინც ასე განაცვიფრა პარიზი თავისი ექსტრავაგანტურობით, dernier cri[324] (sic!) სამოსით, გალანტური ზეიმებით, სადაც რუსული ხიზილალა და შამპანური ყოველდღიური და აუცილებელი იყო, ახლა სულ გაქრა.

რამდენიმე თვის მერეღა შეიტყვეს „პალერმოს“, „ფლორიდის“ და „მარონის“ მემუდმივეებმა გაზეთებიდან, რომ ოცი წლის ასაკის ოქროსთმიანი, ცისფერთვალა, აგიჟებს არგენტინის დედაქალაქის ახალგაზრდობას თავისი ჰაეროვანი ცეკვებით, გაუგონარი სითამამითა და დამატრობელი, ნეტარების მომგვრელი სიქორფით.

ეს იყო ივონ გიტრი.

(Etc.)

გარდელის სკოლა,

გამომცემლობა სისპლატინა, მონტევიდეო

(-49)

112

მორელიანა

ახლა ვასწორებ ამ მოთხრობას, მინდა რაც შეიძლება ნაკლებად ლიტერატურული იყოს. თავიდანვე უიმედოდ შევუდექი ამ საქმეს, რადგან ჩემდა გასაკვირად ისეთ რამეს წავაწყდები ხოლმე, რომ მართლაც შეუწყნარებელია. პერსონაჟი მივიდა კიბესთან: „რამონმა დაიწყო დაშვება“, წავშაღე და გავასწორე: „რამონმა დაიწყო ქვევით ჩასვლა“. ხელი ავიღე სწორებაზე და ვკითხე ჩემს თავს, მაინც რა არის „ლიტერატურული“ ენის მიმართ ასეთი ზიზღი-მეთქი. „დაიწყო დაშვება“, თითქოს არც ისე ცუდია, რომ არა მეტისმეტად უშუალო, თუმცა „ქვევით ჩასვლაც“ იგივეა, თუ არა უხეში და „პროზაული“ (ანუ უბრალოდ გადმოგვცემს ინფორმაციას), მაშინ როცა მეორე გამოთქმა სასარგებლოცაა და სასიამოვნოც. „დაიწყო ჩასვლა“ ზიზღს მგვრის, რადგან ზმნა და არსებითი სახელი ერთად დეკორატიულ სახეს იღებს, რასაც ჩვენ ყოველდღიურ საუბარში თითქმის არ ვიყენებთ; საერთოდ კი მე მძულს ლიტერატურული ენა (ცხადია, ჩემივე ნაშრომებში). რატომ?

თუ კვლავაც ამ გზით ვივლი, რაც ასე ამაზრზენად აღარიბებს ყველაფერს, თუ რამ აქამდე დამიწერია, მით უფრო ბოლო წლებში, მაშინ სულ მალე აღარც იმის უნარი მექნება, რომ უმარტივესი აზრი გამოვთქვა, ან უბრალო რამ აღვწერო. ჩემი მოსაზრებები ისეთივე იქნებოდა, როგორც ჰოფმანსტალისეულ ლორდ ჩანდოსს ჰქონდა, წუწუნის მიზგზიც არ იქნებოდა, მაგრამ თუკი ეს ზიზღი რიტორიკის მიმართ (ეს მართლაც ასეა) გამოწვეულია მხოლოდ სიტყვიერი სიმწირისგან, რაც ჩემივე არსების გამოფიტვას შეესატყვისება, მაშინ, ჯობია, ერთხელ და სამუდამოდ ავიღო ხელი ყოველგვარ წერაზე.

დაწერილის ხელახლა გადაკითხვამ ახლა ხალისი დამიკარგა. მაგრამ ამავე დროს ამ განზრახ სიმწირით, ამ „დაიწყო დამშვების“, „ქვევით ჩასვლით“ შეცვლის მიღმა მაინც რაღაც გამამხნევებელს ვხედავ, თუნდაც ბუნდოვნად. მე კი ვწერ ცუდად, მაგრამ ამაშიც რაღაც სჭვივის. ადრინდელი „სტილი“ რაღაც სარკის მსგავსი იყო მკითხვე — ლი-ტოროლასთვის, მკითხველი ჩახედავდა ამ სარკეში, რაღაც ნუგეშს დაინახავდა, იცნობდა საკუთარ თავს ისევე, როგორც საზოგადოება, რომელიც ელოდება, ცნობს და სიამოვნებას იღებს ვინმე სალაკრუსა თუ ანუის პერსონაჟების რეპლიკებისგან. გაცილებით ადვილია ასე წერა, ვიდრე თხრობა (თითქმის „აღწერა“) ისე, როგორც ახლა ვისურვებდი, იმიტომ, რომ ახლა არც დიალოგი და არც შეხვედრა არ ხდება მკითხველთან, არის მხოლოდ იმედი დიალოგისა რომელიც შორეულ მკითხველთან. რა თქმა უნდა, პრობლემა ძვეს „მორალურ“ სფეროში. შესაძლოა ამას ათეროსკლეროზიც აძლიერებდეს, — ვშიშობ ასაკიც, ცოტა მიზანთროპიაც, — „ეთოსის“ განდიდება და იმის აღმოჩენაც (ჩემ შემთხვევაში ამ აღმოჩენამ საკმაოდ დაიგვიანა), რომ ესთეტიკური სტილი უფრო სარკეა, ვიდრე მეტაფიზიკურ მოუსვენრობასთან მიახლოება.

მე დღესაც ისევე მწყურია აბსოლუტი, როგორც მაშინ, ოცი წლის რომ ვიყავი, კმაყოფილების საამო შეტევა, შემოქმედებითი შრომა, ან უბრალოდ სილამაზის ჭვრეტა, მე უკვე ჯილდოდ აღარ მეჩვენება აბსოლუტურ რეალობასთან მიახლოება და კმაყოფილება. არის მხოლოდ და მხოლოდ ერთი სილამაზე, რასაც

შეუძლია მომმადლოს ეს მიახლოება, რაც არის მიზანი და არა საშუალება, რამეთუ მისმა შემოქმედმა თავის თავში გააიგივა ადამიანური არსი და მისი შემოქმედებითი სახე. სამაგიეროდ, მე მხოლოდ ესთეტიკური მხარე მეჩვენება მხოლოდ ესთეტიკურ მხარედ და მორჩა. არ შემიძლია ამაზე კარგად ახსნა.

(-154)

113

გლასიერის ქუჩიდან სომერარის ქუჩამდე მანძილის ფეხით გავლა.

— როდემდე ვაპირებთ ასეთ დათარიღებას „ქრისტეს დაბადებიდან“?

d.J.C?

— ლიტერატურული საბუთები ორასი წლის მერე გაქვავებული ექსკრემენტია.

— კლაგესი მართალი იყო.

— მორელი და მისი გაკვეთილი. ზოგჯერ უწმინდური, საშინელი, საწყალობელი. ამდენი სიტყვები, იმისთვის რომ სხვა სიტყვები ჩამოირეცხო, ამდენი ტალახი მოიშორო, რათა დაივიწყო „პივერის“, „კარონის“, „კარვენის“ სურნელი, რაც დაგროვდა d.J.C-ის შემდეგ. ვინ იცის, ეგებ ეს გზა უნდა გაიარო, რათა აღმოაჩინო დაკარგული უფლება, ისარგებლო სიტყვის პირვანდელი მნიშვნელობით.

— სიტყვის პირვანდელი მნიშვნელობაო (?) ეგებ ეს ცარიელი ფრაზაა.

– პატარა კუბო, სიგარეტის კოლოფივით, ქარონმა ერთი კი შეუბერა და გადაცურა გუბე ისე, რომ აკვანივით ირწეოდა. ნავი მარტო დიდებისთვისაა. ქალები და ბავშვები უფასოდ გადაჰყავს, ერთი ბიძგი და უკვე მეორე მხარესაა. მექსიკურად სიკვდილი შაქრის ერთი ნატეხია: „Torenkinder lieder”[325]...

– მორელიც ნახავს ქარონს. ერთი მითი მეორეს პირისპირ. რა გაუთვალისწინებელი მოძრაობაა შავ წყლებში!

– კლასობანას უჯრედები ტროტუარზე; წითელი უჯრედი, მწვანე უჯრედი. ცა. ტროტუარი იქაა, ბურსაკოში, ქვაც ესოდენ სიყვარულით არჩეული, ზუსტად უნდა დაარტყა ფეხსაცმლის წვერით, ნელა, ნელა. ცა სულ ახლოსაა, მთელი ცხოვრება ჯერ წინაა.

– უკიდევანო ჭადრაკის დაფა ისეთი ადვილი წარმოსადგენია.

მაგრამ სიცივე აგლეჯილ ლანჩაშიც აღწევს, ამ სასტუმროს ფანჯარაში ჩანს კლოუნის მსგავსი სახე შუშის მიღმა რომ იმანტება. მტრედის ჩრდილი დაეცა ძაღლის ექსკრემენტს: პარიზი.

– პოლა პარიზის პოლუსი. პოლა? მასთან წასვლა და faire l'amour. Carezza[326]. როგორც გარმაცი მატლები. მაგრამ სიტყვა Larva (მატლი) ნილაბსაც ნიშნავს, მორელიც წერდა ამაზე სადღაც.

(-30)

4 მაისი, 195... (ასოშიეიტიდ პრესი) ადვოკატების დიდი მცდელობისა და მიმდინარე თვის 2 რიცხვში უკანასკნელი აპელაციის მიუხედავად, ლუი ვინსენტი სიკვდილით იქნა დასჯილი

დღეს დილით გაზის კამერაში სან კინტინის ციხეში, კალიფორნიის შტატში.

ხელებითა და წვივებით მიბმული იყო სკამზე. ციხის უფროსმა უბრძანა თავის ოთხ მოადგილეს გამოსულიყვნენ კამერიდან და თვითონაც, ხელი მოუთათუნა ვინსენტს მხარზე და გამოვიდა. სიკვდილმისჯილი მართო დარჩა კამერაში, ხოლო ორმოცდაცამეტი მოწმე სარკმლიდან უყურებდა მას.

...თავი უკან გადაუვარდა და ღრმად ამოისუნთქა.

„ორი წუთის მერე სახეზე ოფლმა დაასხა, თითები კი ისე აამოძრავა, თითქოს თასმებიდან უნდოდა განთავისუფლება...

...ექვსი წუთი, კრუნჩხვები გაუმეორდა, ვინსენტს თავი ჯერ მკერდზე ჩამოუვარდა, მერე უკან გადაუვარდა. პირზე დუჟი მოადგა.

„რვა წუთი, უკანასკნელი კრუნჩხვების მერე თავი მკერდზე ჩამოუვარდა. ...ათ საათსა და თორმეტ წუთზე დოქტორმა რეინოლდსმა გამოაცხადა, რომ სიკვდილმისჯილი უკვე აღესრულა. მოწმეები, რომელთა შორისაც იყო სამი ჟურნალისტი...

(-117)

115

მორელიანა ცალკეულ შენიშვნებზე დაყრდნობით, რომელთა შორის ბევრი ურთიერთსაპირისპიროც იყო, კლუბმა დაასკვნა, რომ მორელი თხრობის თანამედროვე ფორმაში ხედავდა წინ გადადგმულ ნაბიჯს იმისკენ, რასაც უვარგისი სახელი — „აბსტრაქტული“ უწოდეს. „მუსიკა კარგავს მელოდიას, ფერწერა კარგავს შინაარსს, რომანი კარგავს აღწერას“. ვონგმა, დიალექტიკური კოლაჟების ოსტატმა, ასე შეაჯამა: „რომანი, რო-

მელიც ჩვენ გვანტერესებს, არ არის ის, რომელიც თავის პერსონაჟებს განათავსებს სიტუაციაში, არამედ არის ის, რაც პერსონაჟებს სთავაზობს სიტუაციას, ამიტომ არის, რომ პერსონაჟები აღარ არიან პერსონაჟები და გადაიქცევიან პიროვნებებად. ეს არის ერთგვარი ექსტრაპოლაცია, რისი მეშვეობითაც ან ისინი გადმოხტებიან ჩვენსკენ, ან ჩვენ — მათკენ. ვაფკას გახლავს მისი მკითხველი, ან პირიქით”. და ამას კიდევ დაემატება საკმაოდ ბუნდოვანი შენიშვნაც, სადაც მორელი ხლართავს ეპიზოდს, რომელშიც უნდოდა პერსონაჟები დაეტოვებინა სახელის გარეშე, რომ ყოველ ცალკეულ შემთხვევაში ეს სავარაუდო აბსტრაქცია აუცილებლად გადაიქცეულიყო ჰიპოთეტურ განსაზღვრებად.

(-14)

116

მორელის ერთ-ერთ პასაჟში აქვს ჟორჟ ბატაის ეპიგრაფი „L'abbé C.”[327]—დან: „Il souffrait d'avoir introduit des figures décharnées, qui se déplaçaient dans un monde dément, qui jamais ne pourraient convaincre[328].

მერე ფანქრით მინაწერი, თითქმის წაშლილი შენიშვნა: „დიახ, ხანდახან კიდევ იტანჯები, მაგრამ ეს ერთადერთი ღირსეული გამოსავალია.

კმარა ჰედონისტური რომანები, უკვე გადაღეჭილი, თავისი ფსიქოლოგიით. უნდა მიიღტვოდე მაქსიმუმისკენ, გახდე voyant[329], რაც უნდოდა რემბოს. ჰედონისტური ხასიათის რომანისტი voyeur[330]—ის მეტი არაფერია. მეორე მხრივ, კმარა წმინდა სახის აღწერითი ტექნიკა, „ქცევის” რომანები, კეთილსინდისიერი კინოსცენარები უსახო სახეებით”.

თუ ამას სხვა პასაჟს დაუკავშირებთ: „როგორ გიამბოთ სამზარეულოს გარეშე, მაკიაჟის გარეშე, ისე, რომ მკითხველს თვა-

ლი ვერ ჩავუკრა? თუ უარი არ ვთქვით იმ ვარაუდზე, რომ თხრობა არის ხელოვნება. ისე ვიგრძნობთ, როგორც ვგრძნობთ თაბაშირს ნიღბისთვის რომ გვადებენ ხოლმე სახეზე, ოღონდ სახე კი ჩვენი იქნება.”

და ეგებ კიდევ ერთი ცალკე შენიშვნა: „ლიონელო ვენტური როდესაც მანებზე და მის „ოლიმპიაზე“ ლაპარაკობდა, აღნიშნავდა, მანე უგულუბელყოფს ბუნებას, სილამაზეს, მოქმედებას და მორალურ ჩანაფიქრს, რათა მთელი ყურადღება გადაიტანოს პლასტიკურ სახეზე. ასე რომ, თავადაც ვერ ხვდება, ისე გადააქვს თანამედროვე ხელოვნება შუა საუკუნეებში. იმ დროს კი ხელოვნება ესმოდათ როგორც სახეთა მთელი წყება, აღორძინების დროსა და თანამედროვე ეპოქაში ის შეცვალა სინამდვილის ასახვამ“. თავად ვენტური (ანდა ჯულიო კარლო არგანი?) დასძენს: „ისტორიის ირონია ის იყო, რომ სწორედ იმ დროს, როცა რეალობის ასახვა ობიექტურობას უბრუნდებოდა და ამდენად ფოტოგრაფიული და მექანიკურიც ხდებოდა, ერთ ბრწყინვალე პარიზელს, რომელმაც მოინდომა რეალიზმის წარმოჩენა, მისმა სასწაულებრივმა გენიამ უბიძგა დაებრუნებინა ხელოვნებისთვის თავისი დანიშნულება — სახეთა შექმნა“...

მორელი დასძენს: „უნდა მივეჩვიოთ, რომ ვიხმართ სიტყვა „გამოსახულება“, ნაცვლად სიტყვისა „სახე“, რათა არ დავიბნეთ. დიახ, ყველაფერი ერთმანეთს ემთხვევა. მაგრამ შუა საუკუნეებისკენ, ან რამე ამის მსგავსისკენ მიბრუნებაზე ლაპარაკიც ზედმეტია. შეცდომაა ისტორიულად აბსოლუტური დროის პოსტულატი: სხვადასხვა დრო, შეიძლება, ერთმანეთის პარალელური იყოს. ამ აზრით, ეგრეთ წოდებული შუა საუკუნეების ერთი რომელიმე დრო შეიძლება ემთხვეოდეს ეგრეთ წოდებულ თანამედროვეობის ერთ რომელიმე დროს. მხატვრები და მწერლები, რომლებიც ცხოვრობენ ამ დროში და მას როგორღაც აღიქვამენ, უარს ამბობენ გარემომცველ ვითარებაზე, იმაზე რომ იყვნენ თანამედროვენი მათი თანამედროვეების გაგებით, რაც სულაც არ ნიშნავს იმას, რომ მათ უნდათ იყვნენ ანაქრონისტები; უბრალოდ ისინი იმყოფებიან თავისი ეპოქის მიჯნაზე, დროის ზედაპირზე და ამ სხვა დროიდან, სადაც ყველაფერს

აქვს „გამოსახულების“ ხასიათი, სადაც ყველაფერს აქვს ნიშნის ღირებულება და არა მხოლოდ თემის აღწერისა, ისინი ქმნიან ისეთ ნიმუშებს, რაც შეიძლება გვეჩვენოს უცხოდ ან ანტაგონისტურადაც კი თავისი დროისა და ისტორიული მომენტის მიმართ, მაგრამ მაინც შეიცავს მას, თავის წიაღში იღებს, განმარტავს და ბოლოს წარმართავს ტრანსცენდენტურობისკენ, რასაც ყოველი ადამიანი ელოდება”.

(-3)

117

მე ვნახე სასამართლო, რომელზედაც ახდენდნენ გეწოლას და კიდევ ემუქრებოდნენ, რომ სასიკვდილო განაჩენი გამოეტანა ორი ბავშვისთვის, მიუხედავად მეცნიერებისა, მიუხედავად ფილოსოფიისა, მიუხედავად ჰუმანურობისა, მიუხედავად გამოცდილებისა, მიუხედავად ეპოქის ყველაზე ჰუმანური და მაღალი იდეებისა.

ნეტავ რა მიზეზი ჰქონდა ჩემს მეგობარ მისტერ მარშალს, რომელმაც წარსულის რელიქვიებში ისეთი პრეცედენტები მოიძია, რაც ველურსაც კი სირცხვილისგან გააწითლებდა, და ბლევსტონის ეს ფრაზა კი არ წაეკითხა:

„შეიძლება თუ არა თორმეტ წელზე ნაკლები ასაკის ბავშვი, რომელსაც არა აქვს იმის უნარი გაიაზროს *culpa prima facie es*[331], ტრიბუნალის და სასამართლოს ამრით კი, იმის უნარი შესწევს რომ გაიგოს დანაშაული, გაარჩიოს რა არის კარგი და რა — ცუდი, ცნონ დამნაშავედ და მიუსაჯონ სიკვდილი?“ ერთი სიტყვით, ცამეტი წლის გოგონა დაწვეს კოცონზე იმისთვის, რომ მოკლა თავისი მასწავლებელი.

ათი წლის ბიჭს და თერთმეტისას — მეორეს, რომლებმაც დახოცეს თავიანთი ამხანაგები, მიესაჯათ სიკვდილი, ათი წლის ბი-

ტი ჩამოახრჩვეს.

რატომ?

იმიტომ რომ მან იცოდა განსხვავება ცუდსა და კარგს შორის. ეს ასწავლეს საკვირაო სკოლაში.

კლარენს დეროუ, „ლეპოლდისა და ლოების დაცვა“, 1924.

(-15)

118

როგორ დაარწმუნებს მოკლული თავის მკვლელს იმაში, რომ არ უნდა გამოეცხადოს მას?

მალკოლმ ლაური, „Under the Volcano“[332]

(-50)

119

ავსტრალიურ თუთიყუშს არ მისცეს ფრთების გაშლის საშუალება!

R.S.P.C.A.—ს ინსპექტორმა სახლში შესვლისთანავე დაინახა ფრინველი, რომელიც ჩაესვათ 8 დიუმზე ნაკლები დიამეტრის გალიაში. თუთიყუშის პატრონი იძულებული გახდა გადაეხადა ჯარიმა 2 ფუნტი. დაუცველი არსების დასაცავად საჭიროა იმაზე მეტი, ვიდრე მორალური დახმარებაა. R.S.P.C.A. აწესებს ეკონომიკურ დახმარებასაც. მიმართეთ სამდივნოს, ა.შ.

სიესტის დროს, ყველას რომ ეძინა, ადვილად შეიძლებოდა უხმაუროდ ადგომა, არც დედას გააღვიძებდა, ჩუმად მივიდოდა კარებთან, ჩუმადვე გავიდოდა, ღრმად შეისუნთქავდა სველი მიწის სუნს და პირდაპირ გავიდოდა იქ, სადაც იწყებოდა საძოვრები, იქ, ტირიფებს შორის ბლომად იყო აბრეშუმის ჭია; ირენელ ამოარჩევდა ყველაზე მსხვილებს, ჩამოჯდებოდა ჭიანჭველების ბუდესთან და იწყებდა ჭიის გამოწურვას, სანამ აბრეშუმის პარკიდან თავს არ გამოაყოფინებდა, მერე როგორც კატის ვნუტს, ისე ჩაავლებდა ქეჩოში ხელს, ამოაძვრენდა ისე რომ არაფერი ევნო, მატლი კი სასაცილოდ იგრიხებოდა, მერე დადებდა ჭიანჭველების ბუდესთან, თვითონ წამოწვებოდა ჩრდილში და დაიწყებდა ლოდინს; ამასობაში შავი ჭიანჭველები გამალებით შრომობენ, მოაქვთ საზრდო-მწერები, ცოცხლები თუ მკვდრები; ერთი მზვერავი მაშინვე შეამჩნევს რბილ მატლს ბუდესთან რომ იკლაკნება, მოსინჯავს თავისი ანტენებით, ვერ დაუჯერებია ასეთი ბედი თუ ეწეოდა; ერთ წუთში უკვე დაესევინა ჭიანჭველები და დაუწყებენ სრუტვას, ის კი იკლაკნება და ვერაფერი გაუწყვია, ჭიანჭველები თანდათან მიათრევენ ბუდისკენ, ირენელს განსაკუთრებულ სიამოვნებას ჰგვრის ჭიანჭველების ფუსფუსი, რადგან უჭირთ მატლის თავის ბუდეში შეთრევა, სწორედ ამიტომ ეძებდა მსხვილ მატლს, რომ მეტად გაეწვალებინა ჭიანჭველები, თუმცა ისინი გარედანაც და შიგნიდანაც მთელი ძალით ებლაუჭებოდნენ, ბუდისკენ მიათრევენ, მაგრამ მატლი გააფთრებით იგრიხებოდა, ალბათ საშინელებას გრძნობდა, მთელ სხეულზე ჭიანჭველების საცეცები რომ ეხვეოდა, ესობოდა თვალებში და კანში, ის იბრძვის რომ გათავისუფლდეს, მაგრამ უარესი გამოდის, რადგან კიდევ მოდიან ჭიანჭველები და გაბო-

როტებულები ასობენ თავიანთ საცეცებს და არ უშვებენ, სანამ თავს ბუდეში არ შეაყოფინებენ, ხოლო ისინი, რომლებიც ბუდეში არიან, სავარაუდოდ შიგნიდან ექაჩებიან. ირენეოს სურვილი კლავდა თვითონაც ჩამძვრალიყო ჭიანჭველების ბუდეში და საკუთარი თვალით ენახა, როგორ წეწავდნენ და გლეჯდნენ, როგორ კორტნიდნენ თვალებს, რომ ბოლომდე ისე შეესანსლათ, ნამცეცი არ დარჩენილიყო.

(-16)

121

მორელიმ წითელი მელნით, აშკარა სიამოვნებით გადაწერა რვეულში ფერლინგეტის ლექსის ბოლოს სტრიქონები:

Yet I have slept with beauty

in my own weird way

and I have made a hungry scene or two

with beauty in my bed
and so spilled out another poem or two
and so spilled out another poem or two
upon the Bosch—like world.[333]

(-36)

122

მედღები, აქეთ-იქეთ მიდი-მოდიოდნენ და ჰიპოკრატეზე სა-
უბრობდნენ. სულ მცირე გარჯაც საკმარისია, რომ სინამდვილის
ნებისმიერი შემთხვევა მშვენიერ ლექსში გაცხადდეს. რატომ
უნდა გაუჩინოთ ეტიენს თავსატეხი, მან ისედაც მოიმარჯვა უბის
წიგნაკი და დიდი ხალისით ხატავდა თეთრ კარებს, კედლებთან
და ფანჯრებთან ჩარიგებულ საკაცეებს, დიდ სარკმელს, საიდა-
ნაც წვეთავდა რალაც ნაცრისფერი აბრეშუმისმაგვარი ნივთიე-
რება, ხის ჩონჩხს, სადაც შემომჯდარიყო ორი ბურჟუაზიული ჩი-
ჩახვიანი მტრედი. მეორე სიზმარიც უნდოდა ეამბნა, რა უცნა-
ურია, რომ მთელი დილა მოსვენება დაუკარგა სიზმარში ნანახ-
მა პურმა, მერე კი მოულოდნელად რასპაისა და მონპარნასის
კუთხეში მეორე სიზმარი კედელივით ჩამოინგრა პირდაპირ მის
თვალწინ, უფრო სწორად, ისე მოხდა, თითქოს კედელივით
ელობებოდა პურზე ნანახი სიზმარი მთელი დილა, მერე უკან
დატრიალებული ფილმივით ის კედელი ისევ თავის ადგილზე
დადგა, თვითონ კი მეორე სიზმარის მოგონებებთან აღმოჩნდა
პირისპირ.

— როცა კი ინებებ, — უთხრა ეტიენმა და უბის წიგნაკი შეინახა, — როცა მოგინდება, რა საჩქაროა, მე ორმოცი წელი კიდევ ვაპირებ სიცოცხლეს, ასე რომ...

— „Time presents and time past, — წარმოთქვა ოლივეირამ, — are both perhaps present in time future”[334]. წინასწარვეა გადაწყვეტილი, რომ დღეს ყველაფერი ითქმება ტ.ს.—ის ლექსებად. სიზმარზე ვფიქრობდი, ჩე, მაპატიე. ახლავე წავიდეთ.

— ჰო, კარგი, სიზმრის ამბავი მორჩა, ყველაფერი რიგზეა, ასე დაგრჩება, ატარებ გულში და მერე მოულოდნელად...

— სინამდვილეში მეორე სიზმარი მქონდა მხედველობაში.

— Misère! — შეიკურთხა ეტიენი.

— ის სიზმარი ტელეფონში ვერ გიამბე, იმ წუთში ვერ გავიხსენე.

— თანაც მხოლოდ ექვსი წუთი გქონდა სალაპარაკოდ, — უთხრა ეტიენმა, — რაც უნდა თქვა, ხელისუფლება მაინც ბრძენია. ჩვენ კი ვლანძღავთ და ვაგინებთ, მაგრამ უნდა ვაღიაროთ, რომ მათ იციან, რასაც აკეთებენ, ექვსი წუთი...

— იმ წუთში რომ გამხსენებოდა, მეზობელი ჯიხურიდანაც დაგირეკავდი. — კარგი, — უთხრა ეტიენმა, — შენ მე მიამბე სიზმარი, მერე ჩავიდეთ ქვევით, მონპარნასზე, თითო ჭიქა ღვინო დავლიოთ. გაგიცვლი შენს სახელოვან მოხუცს სიზმარში. ორივე ერთად მეტისმეტი იქნება.

— პირდაპირ მიზანში მოარტყი, — თქვა ოლივეირამ და ყურადღებით შეათვალიერა, — საკითხავი ისაა, შეიძლება თუ არა ერთის მეორეში გაცვლა. სწორედ დღეს არ მეუბნებოდი, პეპელა თუ ჩან კაიშიო?

იქნება მოხუცის სიზმარში გაცვლით შენ გინდა სიზმარი გადამიცვალო მოხუცში.

— მართალი გითხრა, ჩემთვის ამას არანაირი მნიშვნელობა არა აქვს. — მხატვარო, — უთხრა ოლივეირამ.

— მეტაფიზიკოსო, — უთხრა ეტიენმა, — და ჩვენ უკვე აქა ვართ, გაიხედე, იქიდან ერთი მედდა გვიყურებს და ვერ გაუგია ვინა ვართ, სიზმარი თუ ვიგინდარები. რა მოხდება? თუ აქედან გაგვაგდებენ, მედდა გაგვაგდებს თუ სიზმარი, ორი ფილოსოფოსის გაგდებას რომ ეცდება, რომლებიც სიზმარში ხედავენ საავადმყოფოს, სადაც სხვა ათას რამეს შორის არის ერთი მოხუცი და ერთიც გაავეებული პეპელა?

— ეს გაცილებით მარტივი რამ იყო, — თქვა ოლივეირამ, რომელიც იჯდა სკამზე თვალვდახუჭული და ოდნავ ირწეოდა, — ყური დამიგდე, სხვა არაფერი ყოფილა, იყო ერთი ჩემი ბავშვობისდროინდელი სახლი და მაგას ოთახი, ეს ორი რამ ერთად ერთ სიზმარში. აღარ მახსოვს როდის დამესიზმრა, სულ დავიწყებული მქონდა და ამ დილით რომ მომაგონდა პურზე ნანახი სიზმარი...

— პურზე უკვე მიაბზე...

— უეცრად ისევ ის მეორე და პურიც ერთბაშად ეშმაკმა წაიღო, იმიტომ რომ შედარებაც არ შეიძლება. სიზმარში ნანახი პური შეიძლება ზეშთაგონება იყო... ერთი იფიქრე, რა სიტყვაა ეს ზეშთაგონება.

— არა გრცხვენია ამას რომ ამბობ, თუკი ის იგულისხმე, რაზეც მე ვფიქრობდი.

— ცხადია, ბიჭი ვიგულისხმე. უნებური ასოციაცია. მაგრამ მე დანაშაულს ვერ ვგრძნობ. მე ხომ არ მომიკლავს ის, ჩე.

— ეს ყველაფერი არც ისე მარტივია, — თქვა ეტიენმა, ცოტა უხერხულად, — წავიდეთ, მოხუცი ვნახოთ, გვეყოფა ეს იდიოტური სიზმრები.

— მართალი გითხრა, არც შემიძლია მოგიყვე, — თქვა ოლივეირამ მორჩილად. — წარმოიდგინე, რომ გაფრინდი მარსზე და

ვინმე ტიპი გთხოვს აუხსნა, როგორია ფერფლი. მეტად თუ ნაკლებად მაინც ასეთი შეგრძნებაა.

— მივდივართ თუ არა მოხუცის სანახავად?

— ჩემთვის სულ ერთია. რაკი უკვე მოვედით... მგონი, მეათე საწოლია. შეგვეძლო რაღაც მაინც მოგვეტანა, ხელცარიელი მისვლა სისულელეა, ყოველ შემთხვევაში, პატარა სურათი მაინც შეგეძლო გეჩუქებინა.

— ჩემი სურათები იყიდება, — თქვა ეტიენმა.

(-112)

123

სინამდვილეში ვერ გაარკვევდი სად ხდებოდა სიზმარი, ცხადლივ თუ ძილში, თუმცა იგი ჯერ კიდევ ვერ გამოფხიზლებულიყო; მაგრამ მაინც სულ სხვა კრიტერიუმები იყო ახლა საჭირო და უწინარეს ყოვლისა, ის ცნებები უნდა გამოერიცხა, როგორებიცაა, ისედაც არაფრის მთქმელი ცხადი და სიზმარი, ან იქნებ ასე აჯობებდა — ვითომ ხედავ იმ ადგილს, სადაც არის შენი ბავშვობისდროინდელი სახლი, სასტუმრო ოთახი და ისევ ისეთი ბაღი, როგორსაც უყურებდი ათი წლის რომ იყავი; უყურებ წითელი ფერის სიწითლეს, შირმების სილურჯეს, ფერადფერად ვიტრაჟებს, ფოთლების სიმწვანეს, შეიგრძნობ სურნელებას, სუნსა და ფერს თვალითაც, ცხვირითაც, პირითაც. მაგრამ იმ სიზმარში სასტუმრო ოთახი, რომლის ორი ფანჯარა ბაღს გადაჰყურებდა, ამავე დროს მაგას ოთახიც იყო; მივიწყებული სოფელი ბუენოს აირესთან და სომერარის ქუჩა ერთმანეთში აირია, სულ ადვილად შეუერთდა ერთმანეთს. ისეთი გრძნობა იბადება, თითქოს იქ ყველაფერი შენთვისაა და ამავე დროს საფუძველთა საფუძველია, როგორც ხდება ხოლმე, ბავშვი ხომ ვერასოდეს წარმოიდგენს, რომ ეს სასტუმრო ოთახი სამუდამად

მოდ ასეთი ვერ დარჩება, ის მისი საკუთრებაა. ასე რომ, სახლი ბურსაკოში და ოთახი სომერარის ქუჩაზე იყო ადგილი, და სიბმარში უნდა ამოგერჩია ამ ადგილის ყველაზე მშვიდი კუთხე. ეს იყო სიბმრის არსი, გეპოვა მშვიდი კუთხე. მაგრამ იქ იყო კიდევ ერთი პიროვნება, მისი და, ვინც წყნარი ადგილის არჩევაში ეხმარებოდა, მაგრამ უხმოდ, უსიტყვოდ, როგორც ხდება ხოლმე სიბმარში, როცა ვერ ხედავ ადამიანს ან ნივთს, მაგრამ იცი, რომ იქ არის; რაღაც უხილავი ძალაც მოქმედებს ამ დროს, რომლის იქ ყოფნაც კმარა. ბოლოს მაინც ამოირჩიეს ყველაზე წყნარი ადგილი — სასტუმრო ოთახი და კარგადაც ამოირჩიეს, რადგან მაგას ოთახში ღამის ათი საათის მერე არც პიანინოზე დაკვრა შეიძლებოდა და არც რადიოს მოსმენა, მოხუცი მაშინვე დაიწყებდა კაკუნს, ან მეოთხე სართულის ბინადრები საჩივლელად გამოაგზავნიდნენ ელამ ჯუჯას. ერთი სიტყვაც არ უთქვამთ ერთმანეთისთვის ისე ამოირჩიეს სასტუმრო ოთახი, ბაღს რომ გადაჰყურებდა, ხოლო ჰაგას ოთახს გვერდი აუქციეს. სწორედ ამ დროს გაელვია კიდევ, ან სულაც მაგას ფეხის შეხებამაც კი გააღვია. სიბნელეში ერთადერთი, რაც სიბმრიდან გამოჰყვა იყო შეგრძნება, რომ ამ დროს თავის დასთან ერთად სასტუმრო ოთახში, თავის ბავშვობისდროინდელ სახლში იყო და კიდევ ტუალეტში უნდოდა გასვლა. მოუბოდიშებლად მოიშორა მაგას ფეხი, ადგა და გავიდა კიბის ბაქანზე, ხელის ცეცებით მოძებნა ჩამრთველი, აინთო სუსტი სინათლე, კარები არც დაუხურავს, ერთი ხელით კედელს მიეჭინა, ცდილობდა ზემეულად არ დასძინებოდა და ამ სიბინძურეში არ წაქცეულიყო, უყურებდა, მაგრამ ვერ ხედავდა ნაკადს, უნიტაზში და უნიტაზს გარეთ რომ იღვრებოდა. ეგებ სწორედ ამ დროს ეგმანა კიდევ ნამდვილი სიბმარი, როცა ეგონა, თითქოს გაიღვია დილის 4 საათზე, მეხუთე სართულზე, სომერარის ქუჩაზე, სახლში, თვითონ კი იცოდა, რომ ბურსაკო, სასტუმრო ოთახი, ბაღს რომ გადაჰყურებდა იყო რეალობა, ეს ისევე იცოდა, როგორც რაიმე უდავო რამ, როგორც ის, რომ შენ ხარ შენ და არა სხვა ვინმე, ოღონდ იცოდა ისიც, რომ მისი ცხოვრება ცხადლივ იყო ფანტაზია, გამონაგონი, ეს არც გაჰკვირვებია და არც შერცხვენია, თუნდაც შეეძარებინა თავისი სახლისათვის, რაც იყო მყარი და მუდმივი, თუმცა ისიც კარგად იცოდა, საწოლში რომ დაბრუნდებოდა, არანაირი

სასტუმრო ოთახი ბურსაკოში აღარ იქნებოდა; იქნებოდა მხოლოდ ოთახი სომერარის ქუჩაზე, მაგრამ იცოდა ისიც, რომ ნამდვილი ადგილი იყო სასტუმრო ოთახი ბურსაკოში და ჟასმინის სუნი შემოდინდა ორივე ფანჯრიდან, სადაც იყო ბლუტნერის ძველი როიალი, წითელი ხალიჩა, სკამები შალითებში შეფუთული და მისი დაც ასევე რაღაცნაირად შეფუთული. მან სცადა როგორმე მორეოდა თავს, გამოსულიყო ძილბურანიდან, არ მოეტყუებინა თავი და უკვე ისე გამოფხიზლდა, რომ შეეძლო გაერკვია ცხადი და სიზმარი, ძილი და ღვიძილი, შუქიც ჩააქრო, თვალეები მოიფშვნიტა და კიბის ბაქნიდან ოთახისკენ გაემართა; სანამ საწოლამდე მივიდოდა, ყველაფერს, თუ რამ გზად თვალში მოხვდებოდა, სულ მინუსის ნიშნით აღიქვამდა — მინუს კიბე, მინუს კარები, მინუს შუქი, მინუს საწოლი, მინუს მაგა, სული ყელში ებჯინებოდა და მაინც ბუტბუტებდა „მაგა“, „პარიზი“ და მგონი კიდევ „დღეს“, ესეც წაიბუტბუტა. მერე უკვე ჩაეძინა და ისე წაართვა ძილმა თავი, როგორც სიცვივსა და წვიმაში სიარულით მოქანცულ ვაცს, ბოლოს ძლივძლივობით რომ მიაღწევს მშობლიურ სახლს და კერას.

(-145)

124

მორელის აზრით, ვაცმა ყველაფერი უნდა იღონოს, რომ თავი აარიდოს ყოველგვარ წყალობას. რა იღონა, ან რა წარმატებას მიაღწია მან ამით, ამას მოწმობს მისი რომანების გამოგნებელი გაღარიბება, მისი პერსონაჟების მაიმუნისმაგვარი პრიმიტიულობა და მათი მოქმედება თუ, რაც მთავარია, უმოქმედობა. ბოლოს და ბოლოს, არც მათ თავს ხდება რაიმე და არც მათ გარშემო, სულ ერთსა და იმავეს უტრიალებენ, იქედნური შენიშვნებისა და საკუთარ უმაქნისობაზე ლაპარაკის მეტს არც არაფერს აკეთებენ, ვითომ თავყვანს სცემენ სასეირო კერპებს და თავიც მოაქვთ, რომ თვითონვე გამოიგონეს.

ეტყობა, მორელისთვის ამას ისეთი მნიშვნელობა ჰქონდა, რომ ვერ დათმობდა და საკმაოდ ხშირად მეორდება აზრი, რამდენად აუცილებელია მოიძებნოს საბოლოო და უკიდურესი საშუალება, გადაიყვანონ ისინი იმანენტური და ტრანსცენდენტური ეთიკის გატკეპნილი გზიდან, რათა მოიძებნოს სიშიშველე, რასაც თავად უწოდებდა ღერძს, ხან კი ზღვარსა თუ ზღურბლს. მაგრამ რისი ზღვარი, საითკენ? იგი იმ დასკვნამდე მივიდა, რომ ყველაფერი ხელთათმანივით უნდა გადააბრუნო და გაბედულად მიუახლოვდე შიშველ რეალობას, მითების გარეშე, რელიგიის გარეშე, სისტემებისა და საზღვრების გარეშე. გასაკვირია, რა ენთუზიაზმით ეკიდებოდა მორელი ფიზიკისა და ბიოლოგიის მეცნიერებების ბოლოდროინდელ ჰიპოთეზებს და სჯეროდა კიდევც, რომ ძველი დუალიზმი გაიბზარა მატერიასა და სულზე წარმოდგენების აღიარებული უტყუარობის წინაშე, რომ მატერია და სული ადვილი მოსალოდნელია ენერჯის ცნებამდე დავიდესო. ამას კი ის მოჰყვა, რომ მისმა განსწავლულმა მაიმუნებმა დაიწყეს უკან და უკან დახევა საკუთარი თავისკენ, თან გზადაგზა ანადგურებდნენ ერთი მხრივ სინამდვილის ქიმერებს, რასაც არ დააკლდა არც ბარალი და არც ღალატი შემეცნებითი საშუალებებისგან, ხოლო მეორე მხრივ, ანადგურებდა საკუთარ მითოპოეტურ ძალასაც, საკუთარ „სულს“, რათა ბოლოს და ბოლოს მიეღწიათ ერთგვარ შეხვედრამდე ab ovo—სთან[335] მაქსიმალური დანაკარგითაც კი, თუნდაც ბოლო ნაპერწკალამდეც დაეკარგათ (ყალბი) ადამიანობა. ისე ჩანდა, რომ იგი თანახმა იყო შეთავაზებაზეც კი, — თუმცა არ ჩამოუყალიბებია, — ეს იქნებოდა გზა, რაც დაიწყებოდა შინაგანი და გარეგანი განადგურებით. მაგრამ მას თითქმის აღარ დარჩა სიტყვები, აღარ დარჩა ადამიანები, საგნები და ცხადია, პოტენციური მკითხველები. კლუბი ოხრავდა, დათრგუნვილი და გაღიზიანებული, — ასე ხდებოდა ყოველთვის, ყოველ შემთხვევაში, თითქმის ასე.

(-128)

წარმოიდგინეთ, რომ იყოთ ძალღი დადამიანებს შორის: კანი-
ას ორ ჭიქას მოჰყვება გულის გამაწვრილებელი ფიქრები, გა-
რეუბნებში ხეტიალი და აკვიატებული თავსატეხი, თუ მარტო
აღფას მოჰყვება ომეგა, ხოლო დროისა და ყურადღების ტყუ-
ილ-უბრალოდ ხარჯვა ϵ , λ —ის კირკიტში იგივეა,
რაც ერთ ფეხზე ტრიალი, როცა იატაკზე ფეხით ხარ მილურსმუ-
ლი. ისარს რომ გაისვრი, პირდაპირ მიზნისკენ მიფრინავს, შუა
გზაზე არ ჩერდება; არ არსებობს XX საუკუნე X და XXX საუკუნე-
ებს შორის. ადამიანს უნდა ჰქონოდა იმის უნარი, რომ ადამია-
ნური მოდგმისგან გამოცალკევებულიყო და აერჩია ძალღი, ან
რაიმე გამორჩეული თევზი, ვითარცა სათავე და ამოსავალი
წერტილი საკუთარ თავთან მისასვლელ გზაზე. ფილოლოგიის
დოქტორისთვის არ არის მოძრაობა, არც ცნობილი ალერგო-
ლოგისთვის იხსნება გზა. ისინი მყარად არიან ჩასმული თავისე-
ბურ სურათში და იქნებიან ისინი, რანიც უნდა იყვნენ, ხოლო თუ
არ იქნებიან, მაშინ არაფერიც არ იქნებიან; მეტად ღირსეულნი,
რა სათქმელია, მაგრამ მუდამ იპსილონ, ლამბდა ან პი, მაგრამ
არასოდეს ალფა და ომეგა. ის ადამიანი, ვისზედაცაა საუბარი
არ აღიარებს ასეთ ფსევდორეალიზაციას, დასავლეთის ამ დიდ
დამპალ ნიღაბს. ამ ტიპს, რომელმაც იარა და როგორც იქნა მი-
აღწია სან მარტინის ავენიდას ხილამდე, ახლა კი დგას კუთხეში
და აბოლებს სიგარეტს, თან უყურებს ქალს, წინდას რომ ისწო-
რებს, — ამ ტიპს სრულიად სულელური აზრი აქვს რეალიზაციაზე
და არც სწყინს, რადგან რაღაც კარნახობს, თითქოს სწორედ ამ
სისულელეშია მარცვალნი და ძალღის ყეფა, რაც უფრო ახლო-
საა ომეგასთან, ვიდრე ტირსო დე მოლინას ნაწარმოებებში გე-
რუნდივზე დაწერილი დისერტაცია. მაინც რა იდიოტური მეტა-
ფორებია. თუმცა იგი მაინც თავისას გაიძახის, ეს უნდა ითქვას.
რას ეძებს იგი? თავის თავს ხომ არ ეძებს? ის არ დაიწყებდა თავის
თავის ძებნას, რომ უკვე არ ჰქონოდა ნაპოვნი. ან სხვა სიტყ-
ვებით რომ ვთქვათ, იგი ზოგჯერ კიდევ პოულობდა (მაშასადამე,
ეს არცთუ უაზრობაა, ϵ ρ σ არ არის სააღბათო. ოღონდ კი
მიეცი ნება და გონება მყისვე შემოგაპარებს გამზადებულ ტრა-
ფარეტს, სილოგიზმების ისეთ ჯაჭვს შემოგაჩენებს, რომელიც

არსადაც არ მიგიყვანს, შეიძლება მარტო ერთ დიპლომამდე და კალიფორნიული სტილის კოტეჯამდე მიგიყვანოს, სადაც ბავშვები ხალიჩაზე თამაშობენ ძალიან ლამაზი დედის ზედამხედველობით); ახლა მშვიდად გავარკვიოთ. მაინც რას ეძებს ეს ტიპი? თავის თავს ეძებს? თავისთავს როგორც პიროვნებას? თუ პიროვნებას, მაშინ როგორს — ეგრეთ წოდებულ დროის მიღმურს თუ ისტორიულს?

თუ მეორეს, მაშინ ეს უბრალოდ დროის დაკარგვაა; თუ პირიქით, მაშინ ის ეძებს თავის თავს შესაძლებლის საზღვრის მიღმა, სადმე, ძაღლის ახლოს, თუკი ასეა, ეს არც ისე ცუდია. მაგრამ მშვიდად გავარკვიოთ (მას უყვარს ისეთი საუბარი, როგორც მამას შვილთან, რათა შვილს ის სიამოვნება მიანიჭოს, რომ მერე მოხუცს ერთი პანლური ამოჰკრას), აბა ახლა მშვიდად და წესიერად დავიწყეთ იმის გარკვევა, მაინც რა ძიებაა ეს. მაშ ასე და ამრიგად, არანაირი ძებნა ეს არ არის. რა მახვილგონიერებაა. არაფერია საძებნელი, ყველაფერი უკვე მოძებნილია. ოღონდ რაღაცნაირად არ ეწყობა, არ გამოდის. არის ხორცი, არის კარტოფილი და ხახვიც, მაგრამ ქვაბი კი არა გვაქვს, ან ჩვენ არა ვართ დანარჩენებთან ერთად და აღარც მოქალაქეები ვართ. (რატომღაც ყველაფრიდან ჩემს ამოგლეჯას ცდილობენ, დაე ლუტეციამ დამიდასტუროს), თუმცა სულ ერთია, ძაღლს მაინც ვერ მოვცილდით, რათა მივსულიყავით იმასთან, რასაც სახელი არა აქვს, მოდით ვცადოთ და ვუწოდოთ ამას თანხმობა, შერიგება.

საშინელებაა იდგე წრეში, ერთ ადგილს ტკეპნიდე, რომლის ცენტრი ყველგანაა, ხოლო გარშემოწერილობა — არსად, თუ სქოლასტიკურად ვიტყვით. რას ვეძებთ? რას ვეძებთ? ვიმეორებთ ხუთასჯერ მაინც ისე, თითქოს ჩაქუჩით ვაკაკუნებდეთ კედელზე. რას ვეძებთ? რას ნიშნავს ეს შერიგება, ურომლისოდაც ცხოვრება ცხოვრება კი არა, ერთი მწარე დაცინვაა? ეს წმინდანის შემორიგება არ არის, რადგან ძაღლის დონეზე დამდაბლება, ყველაფრის ახლიდან დაწყება, ძაღლიდან ან თევზიდან, ან ტალახიდან, სიმახინჯიდან და სილატაკიდან, ან სხვა რამე კნინიდან — ამაში მუდამ ჩანს სიწმინდის ნოსტალგია, ოღონდ სიწმინ-

დე არ უნდა იყოს რელიგიური (და აქ იწყება სისულელეც) გინდა იყო ყოველგვარი განსხვავების გარეშე მდგომარეობაში, წმინდანობის გარეშე. (რადგან წმინდანი რაღაცნაირად მუდამ წმინდანია, ისინიც, ვინც წმინდანები არ არიან, ეს კი აღაშფოთებს იმ საბრალო ტიპს, რომელიც აღტაცებით გაჰყურებს ქალიშვილის ფეხებს, ის კი თავისთვის წინდას ისწორებს). სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, შერიგება ალბათ სულ სხვა, წმინდანობისაგან განსხვავებული მდგომარეობაა, თავიდან ბოლომდე სრულიად განსაკუთრებული. რაღაც იმანენტური, თითბერი ოქროს გულისთვის არ უნდა გაიმეტო, ცელოფანი კი შუშისთვის, პატარა დიდში არ უნდა გაცვალო: პირიქით, სისულელე და დაუფიქრებლობა მოითხოვს, რომ თითბერს ოქროს ფასი ჰქონდეს, დიდს კი — მცირედისა. ესაა ალქიმია, ესაა არაევეკლიდური გეომეტრია, გაურკვევლობა up to date[336] სულიერი ოპერაციებისათვის და მისი ნაყოფისათვის. საქმე ის კი არ არის, რომ ამაღლდე, ეს ძველია, გამოგონილი კერპია, ისტორიამ რომ უარყო, ძველი სტაფილოა, ვირიც რომ არ მოტყუვდება, საქმე ახლა ის კი არ არის, რომ სრულჰყო შენი თავი, გაიფუყო, შეცდომები გამოასწორო, აირჩიო, თავისუფალი ნება გამოავლინო, ალფადან ომეგასკენ იარო. ეს ყველაფერი უკვე არის. ასეთია თუ ისეთი, მაინც არის. ტყვია უკვე ლულაშია, მარტო ჩახმახს უნდა გამოჰკრა თითი, მაგრამ თითს თურმე არ სცალია, ომნიბუსს ანიშნებს გააჩერეო, თუ რაღაც ასეთს.

როგორ ლაპარაკობს, რამდენს ლაპარაკობს ეს გარეუბნებში მოხეტიალე მწეველი. ქალიშვილმა უკვე გაისწორა წინდა, უკვე მოწესრიგდა.

ხედავ? ესეც შერიგების ფორმაა. Il mio supplizio[337]... ეტყობა, ეს სულ მარტივი საქმეა, თითი ნერწყვით დაისველო, ჩავარდნილ თვალს მოუსვა და მორჩა. ალბათ სულ ერთი პატარა რამ იქნება საჭირო, მოჰკიდო შენს ცხვირს ხელი და ყურისკენ გაქაჩო, ოდნავ მაინც დაარღვიო ჩვეული ვითარება. არა, არც ეს ივარგებს, უფრო ადვილი ის იქნება, რომ ყველაფერი, რაც ჩვენ გარეთაა, სასწორზე შეაგდო, მაშინ შეიძლება კაცმა იფიქროს, რომ ისიც იცი, რაც შიგნით გვაქვს. ერთი სახლის ორი საყრდენ-

ნი. მაგრამ არც ის ივარგებს, რომ ყველაფერი დაანგრიო და ამას ისტორიაც ამბობს და შენც იმის მაგივრად, რომ განიცადო, ფიქრობ, მაშასადამე, ყველაფერი ცუდად მიდისო, მაშასადამე, ჩვენც ჩავერთეთ საყოველთაო დისჰარმონიაში და მთელი ჩვენი ჩივილი ინიღბება სოციალური შენობით, ისტორიით, იონური სტილით, რენესანსული სიხარულით, რომანტიზმის ზედაპირული სევდით, ასეც მიდის ჩვენი ცხოვრება, ვერაფერს გააწყობ.

(-44)

126

— რატომ გამომიყვანე შენი სატანური ხიბლით ჩემი პირვანდელი მშვიდი ცხოვრებიდან... მზე და მთვარე ბუნებრივად ანათებდა ჩემთვის: ვიღვიძებდი მშვიდად და წყნარად: და განთიადისას ვაწყობდი ჩემს ფურცლებს, რათა აღმევიწინა ჩემი ლოცვა. აუგს ვერაფერს ვხედავდი, რამეთუ არ მქონდა თვალები: არც არაფერი ბორბოტი მესმოდა, რამეთუ არ მქონდა ყურები: მაგრამ მე შურს ვიძიებ!

მანდრაგორას სიტყვა ახიმ ფონ არნიმის „იზაბელა ეგვიპტელიდან“

(-21)

127

ასე აქიაქებდნენ და ქელავდნენ ეს მტარვალები კუკას ბუ-
დეს, მოითხოვდნენ, რომ დაეტოვებინა აფთიაქი და დაენებები-
ნა მათთვის თავი. ამავე დროს და გაცილებით სერიოზულად,
კამათობდნენ სეფერინო პირისის სისტემასა და მორელის იდე-
ებზე. რაკი მორელის არგენტინაში კარგად არ იცნობდნენ,
ოლივეირა აძლევდა მის წიგნებს და ზოგიერთ მის ჩანაწერებს
თვითონ აცნობდა, თუ კი რამ ბოლო დროს წაეკითხა. მათ აღ-
მოაჩინეს, რომ რემორინო, რომელიც ალბათ მერეც სანიტრად
იმუშავებდა და რომელიც სწორედ იმ დროს გამოჩნდებოდა
ხოლმე, როცა მატეს ან კანიას სვამდნენ, თურმე რობერტ არ-
ლტის დიდი მცოდნე იყო და ამ აღმოჩენამ ისე ააღელვა, რომ
მთელი კვირა მარტო არლტზე ლაპარაკობდნენ და იმაზე, რომ
მანამდე ამ ქვეყანაში შეხებითაც არავინ შეხებია პონჩოს და
მარტო ხალიჩებზე გიჟდებოდნენ. მაგრამ ყველაზე მეტსა და
ყველაზე სერიოზულად მაინც სეფერინოზე ლაპარაკობდნენ,
დროდადრო ერთმანეთს გადახედავდნენ განსაკუთრებული
მზერით, სამივე ალაპყრობდა მზერას მაღლა და ეს იმას ნიშნავ-
და, რომ სამივემ ერთი და იგივე მოიმოქმედა, ანუ ერთმანეთს
გადახედა განსაკუთრებული მზერით, ისეთი აუხსნელი მზერით,
როგორითაც ზოგჯერ გადახედავდნენ ხოლმე ტრუკოს თამაშის
დროს, ან მაშინ, როდესაც მამაკაცი უიმედოდაა შეყვარებული
და იძულებულია გაუძლოს სხვადასხვა ყაიდის ქალების საზო-
გადოებაში ჩაის სმასა და ორცხობილების ჭამას და გადამდგარ
პოლკოვნიკსაც კი, რომელიც უხსნის მათ თუ რატომ მიდის ასე
ცუდად საქმე ქვეყანაში; ეს კაცი კი ზის სვამზე, უყურებს ყველას
ერთნაირად, პოლკოვნიკსაც, იმ ქალსაც, რომელიც უყვარს და
ამ ქალის დეიდებსაც, უყურებს თავაზიანად, რადგან პოლკოვ-
ნიკმაც ხომ თქვა და მართლაც ასეა, სირცხვილია და თავის
მოჭრა, რომ ქვეყანა ხელში ჩაუვარდათ კრიპტოკომუნისტების
ბანდასო და სწორედ ამ დროს, მოულოდნელად, მარცხნიდან
მესამე სინზე, კრემიანი ნამცხვრიდან და ჩაის კოვზიდან, დეიდე-
ბის მოქარგული სუფრიდან თავაზიანი მზერა აიჭრა ზევით და
ჰაერში შეეჯახა მეორე მზერას, რომელიც მოსწყდა მუქი მწვანე
პლასტმასის საშაქრეს და კვლავ არაფერი,, ის რაც მოხდა
დროის მიღმა რჩება ტკბილ საიდუმლოდ და დღევანდელი მამა-
კაცები რომ იყვნენ ნამდვილი მამაკაცები და არა ნაზი კობტაპ-

რუწები, ფუნები ("მაგრამ რიკარდო!" „კარგი კარმენ, მაგრამ ჩემში ყველაფერი დრტვინავს, დრტვინავს, როცა ვხედავ, რა ხდება ჩემს ქვეყანაში) mutatis mutandis[338], ეს ცოტა წააგავდა იმ მტარვალების მზერას, როცა ჩუმჩუმად გადახედავდნენ ხოლმე ერთმანეთს იღუმალის მზერით, მაგრამ ეს უფრო ცხადია, ვიდრე ხანგრძლივი მზერა, ტყუილად ხომ არ არიან მტარვალები, როგორც კუკა ეტყოდა თავის ქმარს, ეს სამი კი თავს ველარ იკავებდა, რომ გულიანად არ გაეცინა, დაირცხვენდნენ კიდევ, რომ ასე გადახედავდნენ ხოლმე ერთმანეთს, თუმცა კი ტრუკოს არ თამაშობდნენ და არ იტანჯებოდნენ აკრძალული სიყვარულისაგან. განა მხოლოდ.

(-56)

128

Nous sommes quelques—uns à cette époque à avoir voulu attenter aux choses, créer en nous des espaces à la vie, des espaces qui n'étaient pas et ne semblaient pas devoir trouver place dans l'espace. Artaud. "Le Père—nerf"

(-24)

129

მაგრამ ტრეველერს არ ეძინა, ორჯერ ნანახმა სიზმარმა მთლად ბოლო მოუღო, ბოლოს წამოჯდა საწოლზე და შუქი აანთო. ტალიტა, ეს მთვარეული, უძილობის ეს პეპელა, იქ არ იყო. ტრეველერმა ერთი ჭიქა კანია დალია და პიჟამის ქურთუკი ჩაიცვა. ტირიფის წნული სავარძელი უფრო გრილი ეჩვენა, ვიდრე

საწოლი და ისეთი მშვენიერი ღამე იყო სეფერინო პირისის შე-
სასწავლად.

„Dans cet annonce ou carte, – ნათქვამი იყო სეფერინოს ტექსტში სიტყვასიტყვით, – je répons devant ou sur votre demande de suggérer idées pour UNESCO et écrit en le journal “El Diario” de Montevideo.”[340] ესეც სეფერინოს ფრანგული! მაგრამ არაფერია საშიში. „მშვიდობის შუქი დედამიწაზე“, რა-
საც კარგად იცნობდა და აფასებდა კიდევ ტრეველერი, დაწერი-
ლი იყო ბრწყინვალე კასტილიურ ენაზე როგორც მაგალითად,
ეს შესავალია.

წინამდებარე გამოცემაში მე გთავაზობთ ნაწყვეტებს ჩემი ახ-
ლახან დაწერილი ნაშრომიდან „მშვიდობის შუქი დედამიწაზე“,
რომელიც ასე დავასათაურე. ეს ნაშრომი სრული სახით წარ-
დგენილი იყო, ანუ წარდგენილი იქნება საერთაშორისო კონ-
კურსზე... რის გამოც მე არ შემოიძლია სრული სახით წარმოგიდ-
გინოთ, რამდენადაც ეს ჟურნალი უფლებას არ მაძლევს გარ-
კვეული დროის მანძილზე ნაშრომი სრული სახით ნახოს უცხო
პირმა, ამ ჟურნალის გარეშე.

ასე რომ მე წინამდებარე გამოცემაში შემოვიფარგლები ამ
შრომის დაბეჭდილი ნაწყვეტებით, რაც გაგრძელდება, ახლა კი
არ შეიძლება დაიბეჭდოს. გაცილებით გასაგებია, ვიდრე ხული-
ან მარიასის ასეთივე ტექსტი.

ორი ჭიქა კანიას მეშვეობით კონტაქტიც დამყარდება და ასე
წავიდეთ წინ. ტრეველერს უკვე მოსწონდა კიდევ, რომ ადგა და
რომ ტალიტაც სადღაც დაბოროილებდა და გულს იოხებდა თა-
ვისი რომანტიზმით. უკვე მეთაუჯერ იგი ნება-ნება უღრმავდებო-
და სეფერინოს ტექსტს.

ამ წიგნში წარმოდგენილია ის, რასაც შეგვიძლია ვუწოდოთ
„დიდებული ფორმულა დედამიწაზე მშვიდობის დასამყარებ-
ლად“. ამ დიდებულ ფორმულაში შედის ერთა ლიგა, ანუ გაერო,
რომელშიც ლიგას აქვს ტენდენცია გავრცელდეს ღირებულე-
ბებზეც (ყველაზე ფასეულზე და ა.შ) და ადამიანთა რასებზე; და-

ბოლოს როგორც უდავო მაგალითი ინტერნაციონალური მას-შტაბისა, მასში შედის ქვეყნები, რომლებიც წარმოადგენენ ჭეშმარიტ ნიმუშს ყველასთვის, რამდენადაც ის შედგება 45 ნაციონალური კორპორაციისგან, ან უბრალოდ სამინისტროებისგან და ოთხი სახელმწიფო ხელისუფლებისაგან. ისეთები როგორებიც: მარტივად სამინისტროები. ააჰ, სეფერინო, ბუნებით ფილოსოფოსო, ურუგვაის სამოთხის ჰერბარიუმის შემქმნელო, ნეფელიბატო...

მეორე მხრივ, ესოდენი დიდებული ფორმულა, როგორიც არ არის უცხო, შესატყვისად, შორსმჭვრეტელთა სამყაროსთვის, ფუძემდებლური პრინციპების ბუნებით, რანაირიც არის ფორმულა თავისთავად, არ დაუშვებს არანაირ ცვლილებებს, რაც მოცემულია მასში და ა.შ.

როგორც ყოველთვის ხდება ხოლმე, ბრძენი, ეტყობა, ენდობოდა განგებას, შორსმჭვრეტელობას და ინტუიციას, რადგან homo occidentalis[341]—ის კლასიფიკაციის მანია იმთავითვე მოსვენებას არ აძლევდა სეფერინოს და სანამ მატეს სვამდა, ამასობაში დაალაგა მთელი ცივილიზაცია სამ ეტაპად:

ცივილიზაციის პირველი ეტაპი ცივილიზაციის პირველ ეტაპად შეიძლება მივიჩნიოთ უხსოვარი დროიდან მოყოლებული 1940 წლამდე. ეს ეტაპი მდგომარეობს იმაში, რომ ყველაფერი მიდიოდა მსოფლიო ომისკენ, იქიდან მოყოლებული 1940 წლამდე.

ცივილიზაციის მეორე ეტაპი ცივილიზაციის მეორე ეტაპი შეიძლება ასევე მივიჩნიოთ 1940 წლიდან 1953 წლამდე. ეს ეტაპი მდგომარეობდა იმაში, რომ ყველაფერი მიდიოდა მშვიდობისკენ მთელ მსოფლიოში, ანუ მსოფლიოს გარდაქმნისკენ.

(მსოფლიოს გარდაქმნა: ისე უნდა ყოფილიყო, რომ მთელ მსოფლიოში ყველას დარჩენოდა ის, რაც იყო მისი; აღდგენილიყო რაც იყო დანგრეული: შენობები, ადამიანის უფლებები, საყოველთაო ფასეულობათა გაწონასწორება და ა.შ.) ცივილიზაციის მესამე ეტაპი დღევანდელია, ანუ ახლანდელი დრო შე-

იძლება მიჩნეულ იქნას ცივილიზაციის მესამე ეტაპად, დაწყებული 1953 წლიდან მომავალ 2000 წლამდე.

ეს ეტაპი მდგომარეობს იმაში, რომ ყველაფერი მტკიცედ წავიდეს ეფექტური მოწესრიგებისკენ.

ცხადია, ტონბისთვის... მაგრამ კრიტიკა ჩუმდებოდა სეფერინოს ანთროპოლოგიური საკითხების წინაშე.

ერთი სიტყვით, ადამიანები ხსენებულ ეტაპებზე:

ა) ადამიანები, რომლებიც ცხოვრობდნენ მეორე ეტაპზე, იმ დროს, სწორედ იმ დღეებში დიდად არ ფიქრობდნენ პირველ ეტაპზე.

ბ) ადამიანები, რომლებიც ცხოვრობდნენ მესამე ეტაპზე, ანუ ჩვენ, ვინც ვცხოვრობთ დღეს, სწორედ ამ დროს, დიდად არ ვიწუხებთ თავს მეორე ეტაპზე ფიქრით.

გ) იმ დღიდან, რაც ამის მერე დადგება, ანუ დაიწყება უკვე 2000 წლის შემდეგ, ამ დროის ადამიანები დიდად არ შეიწუხებენ თავს ფიქრით მესამე ეტაპზე: დღევანდელ დღებზე, ჩვენს დროზე.

ის, რომ დიდად არ ვიწუხებთ თავს ფიქრით, საკმაოდ გარკვევით ჩანს, *beati pauperes spiritu*[342] და სეფერინოც უკვე შეუდგა პოლ რივეს დამუშავებას, ამ შემთხვევისათვის საკუთარი კლასიფიკაციაც ჰქონდა. რაც დიდ სიამოვნებას ჰგვრიდა მათ, როცა საღამოობით დონ კრესპოს ეზოში იკრიბებოდნენ, რამდენადაც:

მსოფლიოში შეიძლება დაითვალოს ადამიანთა ექვსამდე რასა: თეთრი, ყვითელი, ყავისფერი, შავი, წითელი, და პამპისა.

თეთრი რასა: ამ რასის ადამიანები არიან მთლიანად თეთრკანიანები, რომლებიც ცხოვრობენ ბალტიის ქვეყნებში, ჩრდილოეთში, ევროპელები, ამერიკელები და ა.შ.

ყვითელი რასა: ამ რასის ყველა წარმომადგენელი, ყვითელკანიანია, როგორებიც არიან ჩინელები, იაპონელები, მონღოლები, ინდუსების უმრავლესობა და ა.შ.

ყავისფერი რასა: ამ რასის ადამიანები არიან ბუნებრივად მუქი, ყავისფერი კანის ხალხი, როგორებიც არიან მუქი კანის რუსები, ყავისფერკანიანი თურქები, ყავისფერკანიანი არაბები, ბოშები და სხვა.

შავი რასა: ეს არის რასა, რომლებსაც აქვთ შავი კანი, როგორებიც არიან აღმოსავლეთ აფრიკის უმრავლესობა და ა.შ.

წითელი რასა: ამ რასას განეკუთვნებიან წითელკანიანი ადამიანები, როგორებიც არიან უმეტესად ეთიოპელები — მუქი წითელი კანისა, სადაც თვით ნეგუსი, ანუ ეთიოპიის მეფე არის სამაგალითოდ წითელკანიანი; ინდუსების მეტი ნაწილი — მუქი წითელი კანის, ან „C0616, C8!M6“, „ყავის ფერი“ ეგვიპტელების დიდი ნაწილი — მუქი წითელი კანისა და ა.შ.

პამპების რასა: არის ასეთი რასა, როცა მთელ მოსახლეობას აქვს სხვადასხვა ფერის კანი, ანუ პამპებისა, როგორცაა ინდიელები მთლიანად სამივე ამერიკის ბინადრები.

— ორასიო რომ იყოს აქ, — თავისთვის თქვა ტრეველერმა. — ამ ნაწილს ძალიან კარგად განმარტავდა. ბოლოს და ბოლოს რატომაც არა?

საბრალო სეფემ წაიბორძიკა კლასიკურ სიძნელებებს რომ გადააწყდა — ეტიკეტებს. რაც შეუძლია იმას აკეთებს, როგორც ლინე, ან ისინი, ენციკლოპედიის სინოპტიკურ ცხრილებს რომ ადგენენ. რაც შეეხება ყავისფერ რასას, მართლაც გენიალური მიგნებაა, უნდა ვაღიაროთ.

გაისმა ფეხის ხმა და ტრეველერმა გაიხედა დერეფნისაკენ, რომელიც იყო ადმინისტრაციული ფართის ზემოთ, როგორც სეფერინო იტყოდა, პირველი კარები, მეორე კარები და მესამე კარები დაკეტილი იყო. ტალიტა ალბათ თავის აფთიაქში წავიდა,

დაუჯერებელია, როგორი ერთუზიანებით დაუბრუნდა თავის მეცნიერებას, აფთიაქის სასწორებს და სიცხის დამწვევ აბებს.

სეფერინოც აღარ დაწვრილმანებულა და პირდაპირ გადავიდა ერთა ლიგის თავისი მოდელის განმარტებაზე:

საზოგადოება შეიძლება ჩამოყალიბდეს მსოფლიოს ნებისმიერ ნაწილში, თუმცა ამის საუკეთესო ადგილი ევროპაა, საზოგადოება უნდა ფუნქციონირებდეს მუდმივად, ანუ მთელი სამუშაო დღეების დროს, საზოგადოებას უნდა ჰქონდეს თავისი დიდი შენობა ან სასახლე, სადაც იქნება არანაკლებ შვიდი (7) დარბაზი ან კარგა დიდი ოთახები და ა.შ.

ახლა ვთქვათ, როგორ უნდა განაწილდეს ამ საზოგადოების სასახლის შვიდი დარბაზი: პირველი დარბაზი უნდა დაიკავონ თეთრი რასის დელეგატებმა და ასეთივე კანის ფერის პრეზიდენტმა, მეორე დარბაზი უნდა დაიკავონ ყვითელი რასის დეპუტატებმა და ამავე ფერის პრეზიდენტმა, მესამე...

და ასე და ამგვარად, ყველა რასა ერთიმეორის მიყოლებითაა ჩამოთვლილი, თუ, რა თქმა უნდა, არ გადაახტებოდი ჩამოთვლილ ნომრებს, მაგრამ ახლა უკვე აღარ იყო სულ ერთი ოთხი ჭიქა კანიას მერე ("მარიპოსა" და არა „ანკაპი“, დასანანი კი არის, რადგან პატრიოტული სიტყვების ფრქვევა და ასეთი პატივის მიგება ამადაც ღირდა) არც იყო სულ ერთი, რადგან სეფერინოს აზროვნება იყო კრისტალოგრაფული და მოითხოვდა ყველა პუნქტისა და წერტილის გათვალისწინებას, ექვემდებარებოდა სიმეტრიის კანონებს და *horror vacui*[343]—ს და ამდენად:

..მესამე დარბაზი უნდა დაეკავებინათ ყავისფერი რასის დელეგატებს და ამავე ფერის პრეზიდენტს; მეოთხე დარბაზი უნდა დაეკავებინათ შავი რასის დელეგატებს და ასეთივე კანის ფერის პრეზიდენტს; მეხუთე დარბაზი უნდა დაეკავებინა წითელი რასის ქვეყნის დელეგატებს და ამავე კანის ფერის პრეზიდენტს. მეექვსე დარბაზი უნდა დაეკავებინა პამპის რასის ქვეყნების დელეგატებს და ასეთივე კანის ფერის პრეზიდენტს და ერთიც, ის მეშ-

ვიდე დარბაზი უნდა დაეკავებინა მთლიანად ერთა ლიგის მთავარ შტაბს.

ტრეველერს ყოველთვის ხიბლავდა „ის“, რაც ისე ანგრევდა სისტემის მკაცრ კრისტალიზაციას, როგორც სეფერინოს იდუმალი ნაკლი, თვითონ ძვირფასი ქვის წერტილი — გემა, რომელიც შესაძლოა კიდეც განსაზღვრავს მთლიანად ამ სისტემას და ამიტომაც გაიელვებს ხოლმე გამჭვირვალე ციური ჯვარი საფირონში, ვითარცა ქვის გულში გაყინული ენერგია. (და რატომ უწოდებენ „ბაღჩას“, განა ქვების ბაღი რომ წარმოვიდგინოთ აღმოსავლური ზღაპრების მიხედვით?) სეფემ მეტნაკლებად აარიდა თავი უქმსიტყვაობას და მარტივად ახსნა საკითხის მნიშვნელობა:

ერთა ლიგის სასახლის ხსენებულ მეშვიდე დარბაზთან დაკავშირებული დამატებითი დეტალები გულისხმობს, რომ იქ უნდა განთავსდნენ ამ საზოგადოების გენერალური მდივანი და გენერალური პრეზიდენტი, ასევე მთელი ამ საზოგადოებისა, რომლის გენერალური მდივანი ამავე დროს უნდა იყოს ასევე გენერალური პრეზიდენტის მდივანიც...

კიდეც დამატებითი დეტალები: პირველ დარბაზში უნდა იყოს შესატყვისი პრეზიდენტი, რომელიც ყოველთვის უნდა თავმჯდომარეობდეს ასეთივე პირველ დარბაზში; თუ ვიტყვით მეორე დარბაზთან მიმართებით, მაშინ idem[344]; თუ ვიტყვით მესამე დარბაზთან მიმართებით მაშინ idem; თუ ვიტყვით მეოთხე დარბაზთან დაკავშირებით, მაშინ idem; თუ ვიტყვით მეხუთე დარბაზთან დაკავშირებით, მაშინ idem; თუ ვიტყვით მეექვსე დარბაზთან დაკავშირებით, მაშინ idem.

ტრეველერს გულს უჩვილებდა ეს „idem“, რაც ალბათ სეფერინოსაც საკმაოდ ძვირად უღირდა. ამით იგი განსაკუთრებულ დათმობას იჩენდა მკითხველის მიმართ. მაგრამ არსებითად საქმე ეხებოდა საკითხის თვით შინაარსს და უკვე მოჰყვებოდა ჩამოთვლა, რასაც იგი უწოდებდა „ერთა ლიგის მოდელის უპირველეს ამოცანას“, და ა.შ.

1) განხილვა (რომ არა ვთქვათ დადგენა) ფულის ფასისა, ანუ ღირებულებისა საერთაშორისო მიმოქცევაში; 2). განსაზღვრა მუშათა სახელმეკრულებო ანაზღაურებისა, მოსამსახურეთა ხელფასისა და ა.შ. 3). განსაზღვრა საერთაშორისო ცხოვრების სასიკეთოდ მთელი ფასეულობებისა (დადგინდეს მტკიცე ფასები მთლიანად გასაყიდი საქონლისა და განისაზღვროს რა რამდენი ღირს და ვის რამდენი და რა ერგება; რამდენი სამხედრო იარაღი უნდა ჰქონდეს ქვეყანას; რამდენი ბავშვი უნდა გააჩინოს ქალმა საერთაშორისო კონვენციის დადგენილების მიხედვით და ა.შ) 4). განისაზღვროს რა ფულადი თანხა უნდა დაენიშნოს პენსიაზე გასულს და ა.შ. 5). რამდენი ბავშვი უნდა გააჩინოს ქალმა მსოფლიოში; 6). რამდენად სამართლიანად უნდა განაწილდეს ეს ყველაფერი საერთაშორისო მასშტაბით და ა.შ.

რატომ იმეორებს ამდენჯერ — ეკითხებოდა თავის თავს ტრეველერი ჩვეული გამჭრიახობით, — თავისუფლების, სტომაქისა და დემოგრაფიის საკითხებს? პუნქტში 3) ამაზე ისეა ნათქვამი, როგორც ღირებულებაზე, ხოლო ქვემოთ 5) როგორც კონკრეტული საკითხი, რომელიც ეხება საზოგადოების კომპეტენციას უცნაური დარღვევაა სიმეტრიისა, მკაცრი, თანმიმდევრული და მოწესრიგებული ჩამონათვალისა, მაგრამ შეიძლება სწორედ ესეც იყო შფოთისა და ეჭვის გამოვლინება იმასთან დაკავშირებით, რომ კლასიკურ წესრიგი ყოველთვის სიმართლეს სწირავს სილაბაზეს. მაგრამ სეფერიხო იქვე უარს ამბობს რომანტიზმზე, რამაც ტრეველერი დააეჭვა და გვთავაზობს განაწილების თვალსაჩინო მაგალითს:

საომარი იარაღის განაწილება:

ცნობილია, რომ მსოფლიოს ყოველ ქვეყანას აქვს შესატყვისი კვადრატული კილომეტრი ტერიტორია:

აქედან გამომდინარე მაგალითი:

ა) ქვეყანა, რომელსაც სავარაუდოდ აქვს 1000 კვადრატული კილომეტრი, უნდა ჰქონდეს 1000 ქვეყნები; ქვეყანა, რომელსაც აქვს სავარაუდოდ 5000 კვადრატული კილომეტრი, უნდა ჰქონ-

დეს 5000 ქვემეხი და ა.შ. (მაშასადამე, გასაგებია, რომ ყოველ კვადრატულ კილომეტრზე მოდის I ქვემეხი); ბ) ქვეყანა, რომელსაც აქვს სავარაუდოდ 1000 კვადრატული კილომეტრი, უნდა ჰქონდეს 2000 შაშხანა; ქვეყანა, რომელსაც აქვს სავარაუდოდ 5000 კვადრატული კილომეტრი ტერიტორია, უნდა ჰქონდეს 10000 შაშხანა და ა.შ.

(მაშასადამე, ცხადია, რომ ყოველ კვადრატულ კილომეტრზე გათვალისწინებულია 2 შაშხანა) და ა.შ.

ეს მაგალითი გასაგები უნდა იყოს ყოველი შესაბამისი ქვეყნისთვის; საფრანგეთს ეკუთვნის ორი შაშხანა ყოველ კილომეტრზე; ესპანეთს – idem; ბელგიას – idem; ჩრდილოეთ ამერიკას – idem; ურუგვაის – idem ჩინეთს – idem; და ა.შ. და ეს ეხება ყოველი სახის იარაღს, თუკი რამ არსებობს; ა) ტანკები, ბ) ტყვიამფრქვევები; გ) ტერორისტული ყუმბარები; შაშხანები და ა.შ.

(-139)

130

შესაკრავი ელვა სახიფათოა

„ბრიტიშ მედიკალ ჯორნალი“ გვაუწყებს ახალი ტიპის საშიშროების თაობაზე, რაც ემუქრება ბავშვებს. ამ საშიშროების მიზეზი კი არის ის, რომ ბავშვების შარვლების შესაკრავად ღილეების მაგივრად შემოიღეს ე.წ. „ელვა“ (წერს ჩვენი კორესპონდენტი მედიცინის დარგში).

საშიშროება იმაში მდგომარეობს, რომ „ელვის“ შეკვრის თუ გახსნის დროს ბავშვს შეიძლება დაეწეწკოს ხორცი. უკვე დარეგისტრირებულია ორი შემთხვევა და ორივე შემთხვევაში აუცილებელი გახდა პატარა ნაწილის მოკვეთა.

ასეთი რამ უმეტესწილად მაშინ ხდება, როცა ბავშვი მარტო შედის ტუალეტში. ხოლო, როცა მშობლები ცდილობენ დაეხმარონ, შეიძლება მათ კიდევ უფრო გაამწვავონ მდგომარეობა „ელვის“ აწევ-დაწევით, რადგან ბავშვს არ შეუძლია აუხსნას მათ, როდის მოეწიწვნა ხორცი, „ელვის“ გახსნის თუ შეკვრის დროს.

ტრავმა კიდევ უფრო საშიში ხდება მაშინ, როცა ბავშვი მეორეჯერ მიდის ექიმთან, რადგან არც ექიმმა იცის, როგორ გახსნას „ელვა“, მკვნეტარისა თუ ბრტყელტუჩას მეშვეობით, რომ როგორმე გააცალცალკევოს შესაკრავის ორი მხარე. ზოგიერთ შემთხვევაში ექიმები ანესთეზიასაც იყენებენ.

„ობზერვერი“, ლონდონი

(-151)

131

— რას იტყვი, ხომ არ გავერთიანებულიყავით ბერების ეროვნულ კორპორაციაში, ჯვარზე ფიცის დადებით რომ ახდენენ სასწაულებს?

— თუკი არჩევანი გაქვს ამ ეროვნულ კორპორაციას და ეროვნულ ბიუჯეტს შორის...

— მერე, როგორ წარმოგიდგენიათ, საშიში არ არის, იქ რა უნდა გააკეთოთ, — იკითხა ტრეველერმა და თან ოლივეირას სუნთქვას აკვირდებოდა.

— მშვენივრად მახსოვს, ჩვენ გვევალება შელოცვა და ჯვრის დასმა როგორც ადამიანებზე, ისე საგნებზე და კიდევ ისეთ ადგილებზე, რასაც სეფერინო ცალკეული ადგილების ნაწილებს უწოდებს.

– ეს ალბათ ის ერთი ადგილია, – თქვა ოლივეირამ და მისი ხმა თითქოს საიდანღაც შორიდან მოისმა, – ერთი გარკვეული ადგილი, ძმაო.

– მერე, ამის გარდა უნდა შევულოცოთ ნათესებს, ბოსტნეულს და კიდევ სასიძოვებსაც, რომლებიც იბოღმებიან იღბლიანი მეტოქეების წყალობით.

– სეფერინოს დაუძახეთ, – ოლივეირას ხმა რომელიღაც ადგილიდან გაისმა, – როგორ გამიხარდებოდა, რომ... ჩე. ახლა რომ ვფიქრობ, მგონი სეფერინო ურუგვაელი უნდა იყოს.

ტრეველერმა არაფერი უპასუხა და გადახედა ოვეხეროს, რომელიც ის იყო შემოვიდა და ოლივეირას, ამ ლათინოამერიკელ ისტერიულ ადამიანს მაჯას უსინჯავდა.

– ბერების გამუდმებული საბრუნავი უნდა იყოს ყოველგვარი სულიერი სნეულებები, – უკვე გარკვევით თქვა ოლივეირამ.

– აჰა, – თქვა ოვეხერომ მის გასამხნეველად.

(-58)

132

როგორც კი ვინმე იწყებს რაიმეს ახსნას, რატომღაც ყოველთვის აღმოვჩნდები ხოლმე კაფეში, რომელიმე კაფეში, იქნება ეს elephant and Castle, Dupont Barbès, Sacher, Pedrocchi, Gijón, Café de la paix, Café Mozart, Florian, Capoulade, Les deux Magots, ბარში, სადაც სკამებს კოლეონის მოედანზე აწყობენ, Café Dante, ორმოცდაათიოდე მეტრის დაშორებით სკალიგერების საფლავიდან და ვარდისფერი სარკოფაგიდან, რომელზეც გამოსახულია მარიამ ეგვიპტელის ცრემლებით ამომწვარი სახე, კაფე ჯუდეკას პირდაპირ, სადაც გაღარიბებული მარკიზები

მიერთმევენ ჩაის ვითომ ყოფილ ელჩებთან ერთად, Jandilla, Floccos, Cluny, Richmond de Suipacha, Olmo. Closerie des Lilas, Stéphane (მალარმეს ქუჩაზე), Tokio (ჩივილკოიში), Au Chien qui fume, Opern Café, El Dôme, Café du Vieux Port, ერთი სიტყვით, ნებისმიერ კაფეში, სადაც We make our meek adjustments,

Contented with such random consolations

As the wind deposits

In slithered and too ample pockets[345].

ჰარტ კრეინმა dixit[346]. მაგრამ ეს მარტო კაფეები როდია, ეს არის ნეიტრალური ტერიტორიაც მათთვის, ვინც გაეყარა სულს, უძრავი ცენტრი ბორბალში, საიდანაც შეიძლება ადამიანი მისწვდეს საკუთარ თავს, დაინახოს საკუთარი თავი შესულიც და გამოსულიც მანიაკივით, რომ ხლაფორთობს ქალების, გადასახადების თუ ეპისტომოლოგიაში დისერტაციისთვის და სანამ ყავით ივსება ფინჯანი, რომელსაც ჩამოატარებენ დღეების რიგში, შეიძლება სცადო და გარედან შეამოწმო თუ შეაჯამო ოღონდ დარჩე განზე, რაღაც მანძილზე შენს „მე“—სთან, საკუთარ თავთან, რომელიც ერთი საათის წინ შევიდა კაფეში და ერთი საათის მერე გამოვა, თვითონვეა თავის მოწმეც და მსაჯულიც, თან სიგარეტსა და სიგარეტს შორის ირონიულად გადახედავს საკუთარ ბიოგრაფიას.

კაფეში მახსენდება ხოლმე სიზმრები, ერთ no man's land[347]—ს მოჰყვება მეორე; ახლა მახსენდება ერთი, თუმცა არა, მახსენდება მხოლოდ ის, რომ მესიზმრა რაღაც საოცრება, ბოლოს ისეთი შეგრძნება მქონდა, თითქოს გამომაძევეს (ანდა მე თვითონ გამოვიქეცი, ოღონდ იძულებით) სიზმრიდან და ის, რაც იქ იყო, იქვე დარჩა. და, მგონი, კარიც მომიჯახუნეს, მგონი ასეც იყო; ასე იყო თუ ისე, მკვეთრად გამოეყო სიზმრად ნანახი ახლანდელს (სრულყოფილი, სფერული, დასრულებული). მაგრამ მე მაინც გავაგრძელე ძილი, ხოლო გამოძევება და მოჯახუნებული კარები მაინც მესიზმრა. მართლაც რომ საშინელი თვითრწმენა დამეუფლა ამ ძილიდან ძილში გარდამავალ წუთებში: გამოძევება იმას ნიშნავდა რომ ახლახან ნანახი საოცარი სიზმარი ერთიანად და მთლიანად დავიწყებას მიეცა.

შესაძლოა, ის შეგრძნება, რომ ჩემს ზურგს უკან მოჯახუნდა კარები, იმის მანიშნებელი იყო, რომ იმ წუთში ყველაფერი დამ-

თავრდა ერთხელ და სამუდამოდ. ყველაზე განსაცვიფრებელი, რაც მახსოვდა ნანახიდან, ის იყო, რომ მანამდე ნანახი სიზმარი დამავიწყდა და კიდევ უნდა დამვიწყებოდა (მე გამომაძევეს ჩაკეტილი სფეროდან).

ამ ყველაფერს, როგორც წარმომიდგენია, ფესვები აქვს ედემში.

ედემი, ალბათ როგორც ჩვენ გვინდა რომ იყოს, არის მითოპოეტური პროექცია იმ ნეტარი დროისა, რაც არის ჩასახული არაცნობიერში.

მეც მაშინვე ცხადად ვხედავ და გასაგებია მაზანოს ტილოზე გამოსახული ადამის ჟესტი, შეძრწუნებული ადამისა, როცა ხელებს აიფარებს სახეზე, რათა დაიცვას ის, რაც მისმა თვალებმა იხილა, ის რაც მას ეკუთვნოდა, ამ თავისივე ხელებით შექმნილ პატარა ღამეში იგი ინახავს სამოთხის ამ უკანასკნელ სურათს. და იგი ტირის (რადგან სწორედ მისი ეს ჟესტი არის ტირილის მანიშნებელი), რადგან იცის, რომ ყველაფერი ფუჭია, რომ ნამდვილი სასჯელი იწყება ახლა: ედემის დავიწყება ნიშნავს მორჩილების აღიარებას, იაფფასიან და უგერგილო სიხარულს მუშაობით ოფლში რომ იწურები და შვებულების ანაზღაურებას რომ ელოდები.

(-61)

133

ცხადია, როგორც ტრეველერი ფიქრობდა, მხედველობაში მიიღება შედეგები. მაგრამ ასეთი პრაგმატიზმი რაღა საჭიროა? ის უსამართლოდ მოექცა სეფერინოს მარტო იმიტომ, რომ მან სცადა და შეადგინა თავისი გეოპოლიტიკური სისტემა, რაც სხვებს არ ჰგავდა, მაგრამ ასეთივე უაზრო იყო (და ამიტომაც იმედის მომცემი, ეს უნდა ვაღიაროთ); სეფე მტკიცედ იდგა თე-

ორიულ ნიადაგზე და იქვე მოჰყავდა გადამწყვეტი, გამანადგურებელი მაგალითი:

შრომის ანაზღაურება მსოფლიოში::

ერთა ლიგასთან შეთანხმებით, იქნება, ან უნდა იყოს ისე, რომ თუ მაგალითად, ფრანგი მუშა, ამ შემთხვევაში, ვთქვათ, მჭედელი, დღეში გამოიმუშავებს მინიმუმ 8,00 დოლარს და მაქსიმუმ 10,00 დოლარს, მაშინ იტალიელი მუშაც უნდა გამოიმუშავებდეს 8,00—დან და 10,00 დოლარამდე დღეში, მაგრამ: თუ იტალიელი მუშა გამოიმუშავებს 8,00—დან და 10,00 დოლარამდე დღეში, მაშინ ესპანელი მუშაც უნდა გამოიმუშავებდეს 8,00—დან და 10,00 დოლარამდე დღეში, მაგრამ: თუკი ესპანელი მჭედელი გამოიმუშავებს 8,00—დან და 10,00 დოლარამდე დღეში, მაშინ რუსმა მჭედელმაც უნდა გამოიმუშაოს 8,00—დან და 10,00 დოლარამდე დღეში, მაგრამ: თუკი რუსი მჭედელი გამოიმუშავებს 8,00—დან და 10,00 დოლარამდე დღეში, მაშინ ჩრდილოამერიკელმა მჭედელმაც უნდა გამოიმუშაოს 8,00—დან და 10,00 დოლარამდე დღეში, და ა.შ.

— რა აზრი დევს ამ „ა.შ.“—ში, — მსჯელობდა ტრეველერი, — რატომ ჩერდება ხოლმე უცბად სეფერინო ასეთი კმაყოფილი ამ თავისი „ა.შ.“—ით, თუკი ეს მისთვის მაინც მტკივნეულია? შეუძლებელია, რომ იღლებოდეს ამდენი გამეორებებით, რადგან ცხადია, ეს სიამოვნებას ჰგვრის, მაგრამ არა მონოტონურობის გამო ჩერდება, რადგან ცხადია, რომ მონოტონურობაც სიამოვნებს (თან მისი სტილიცაა). საქმე ისაა, რომ ამ „ა.შ.“—მ სეფერინო-კოსმოლოგს ნოსტალგია აღეძრა და იძულებული გახდა შეედგინა მისთვის ესოდენ გამაღიზიანებელი reader's digest[348]. და საბრალო გასართობად მჭედლების სიასაც უმატებდა:

(გარდა ამისა, რაც შეეხება ამ თეზისს, აქ შედის, ან უნდა შევიდეს შესაბამისად სხვა ქვეყნებიც, ანუ შესატყვისი ქვეყნის ყველა მჭედელი).

„ბოლოს და ბოლოს, — გაიფიქრა ტრეველერმა და კიდევ ერთი ჭიქა კანია გააჯერა სოდით, — უცნაურია, ტალიტა აქამდე

რომ არ დაბრუნებულა”. უნდა წასულიყო და ენახა, მაგრამ თან ენანებოდა, სეფერინოს სამყაროს რომ მოსწყდებოდა, მით უმეტეს, რომ სეფე იწყებდა მთელი 45 ეროვნული კორპორაციის დასახელებას, საიდანაც სანიმუშო-საჩვენებელი ქვეყნები უნდა შემდგარიყო:

1) შინაგან საქმეთა სამინისტროს ეროვნული კორპორაცია (შინაგან საქმეთა სამინისტროს განყოფილებები და მოსამსახურეები). (ყველა დაწესებულების სტაბილურობის მმართველობა); 2) ფინანსთა სამინისტროს ეროვნული კორპორაცია (ფინანსთა სამინისტროს ყველა განყოფილება და მოსამსახურეები) (მმართველობა ყოველგვარი სიკეთის მფარველობის სახით (მთელი საკუთრებისა) ქვეყნის ტერიტორიაზე და ა.შ.); 3) ასე და ამგვარად 45 კორპორაცია, რომლებშიც, გამოირჩეოდა, კერძოდ, 5, 10, 11 და 12 პუნქტები:

5) ურთიერთდამოკიდებულების სამინისტროს ეროვნული კორპორაცია (ყველა ამდაგვარი სამინისტროს ყველა განყოფილება და მოსამსახურე). (სწავლა, განათლება, მოყვასის სიყვარული და სხვებისაც, კონტროლი, რეგისტრაცია (წიგნების), ჯანმრთელობა, სექსუალური აღზრდა და ა.შ.). (მმართველობა ან კონტროლი და რეგისტრაცია (იურისტი), რომლებიც შეივსებიან „აღმზრდელობითი მსაჯულებით”, „სამოქალაქო მსაჯულებით”, „ბავშვთა საქმის საბჭო”, „მცირეწლოვანთა საქმის სასამართლო”, „რეგისტრაცია”: შობადობა, გარდაცვალება და ა.შ.) (მმართველობა ყველაფრისა, რაც შეეხება ურთიერთობებს მოქალაქეთა შორის: ქორწინება, მამა, ვაჟიშვილი, მეზობელი, საცხოვრებელი ადგილი, კარგი ან ცუდი საქციელის ინდივიდი, ამორალური ყოფაქცევის ინდივიდი, ცუდი სნეულებით შეპყრობილი ინდივიდი, კერა (ოჯახი და), არასასურველი პირი, ოჯახის უფროსი, ბავშვი-მცირეწლოვანი, საქმრო, თანაცხოვრება, და ა.შ.).

10) საადგილმამულო ეროვნული კორპორაცია (ყველა სასოფლო დაწესებულება მსხვილფეხა საქონლის მოშენების და ამგვარი დაწესებულებების მომსახურეობები) (მსხვილფეხა სა-

ქონლის მოშენება: ხარების, ცხენების, სირაქლეების, სპილოების, აქლეების, ჟირაფების, ვეშაპების და სხვა).

11) ფერმების ეროვნული კორპორაცია (ყველა სოფლის მეურნეობის ფერმები ან დიდი ადგილ-მამულები და ამ დაწესებულებების ყველა მომსახურე) (ყველა შესაბამისი სახის მცენარის დარგვა, ბოსტნეულისა და ხეხილის გარდა).

12) პირუტყვის საშენი-შენობების ეროვნული კორპორაცია (წვრილფეხა ცხოველებისა და ფრინველების მოშენების ყველა დაწესებულება და ამგვარი დაწესებულებების მოსამსახურეები) (წვრილფეხა საქონლისა და ფრინველების მოშენება: ღორების, ცხვრების, თხების, ძაღლების, ვეფხვების, ლომების, კატების, კურდღლების, ქათმების, იხვების, ფუტკრების, თევზების, პეპლების, ვირთხების, მწერების, მიკრობების და ა.შ.) გულაჩუყებულ ტრეველერს აღარც დრო ახსოვდა და ველარც კანიას დაცარიელებულ ბოთლს ხედავდა. ეს ახალ-ახალი პრობლემები ნაბგრძნობებს აღუძრავდა. რატომ გამოირიცხებოდა ბოსტნეული და ხეხილი? რატომ ჰქონდა სიტყვას „ფუტკარი“ რაღაც ეშმაკისეული? და კიდევ ლამის ედემისებური მინდვრები, სადაც თხები იზრდებიან ვეფხვების, ვირთხების, პეპლების, ლომებისა და მიკრობების გვერდით... სიცილით იგუდებოდა და დერეფანში გავიდა. ამ მეურნეობის თითქმის ხელშესახები სანახაობა, სადაც ამ დაწესებულების მომსახურეები იმაზე მსჯელობდნენ როგორ აღებარდათ ვეშაპი უკეთესად, მთლად ავიწყებდა ლამის მკაცრ სიბნელეში ჩაფლულ დერეფანს. ეს ხილვა სრულიად შეესაბამებოდა მოცემულ ადგილსა და დროს, ასე რომ სისულელედ ეჩვენებოდა კითხვა, რას აკეთებდა ტალიტა ახლა აფთიაქში ან ეზოში, მაშინ, როცა კორპორაციების მკაცრი წყობა და განლაგება, როგორც შუქურა, ისე უხმობდა.

25) საავადმყოფოებისა და მსგავსი დაწესებულებების ეროვნული კორპორაცია (ყველა კლასისა თუ სახის საავადმყოფოები, სახელოსნოები შეკეთებისა თუ გასწორებისა, ტყავის ნაკეთობათა რემონტისა, საჯინბოები, სადაც უვლიან ცხენებს, კბილების სამკურნალო კლინიკები, საპარიკმახეროები, ხეებისა და ბუჩქების შეკრეჭა, დახლართული სასამართლოების საქმეე-

ბის გამოხლართვა და ა.შ; და აგრეთვე ამგვარი დაწესებულებების ყველა მომსახურე პერსონალი).

– აი თურმე რა ყოფილა, – თქვა ტრეველერმა, – ეს დარღვევა იმის მაჩვენებელია, რომ სეფერინო სრულიად ჯანმრთელია. ორასიო მართალია, არ უნდა მიეღოთ წყობა იმ სახით, როგორც ერთი შეხედვით გვეჩვენება. სეფერინოს ჰგონია, რომ დანტისტს დახლართული სასამართლოს საქმეებთან აკავშირებს ის, რომ ორივე შემთხვევაში რაღაცაა გამოსასწორებელი; საგზაო შემთხვევაში კი ბენზინს დაუკავშირებდა... მაგრამ ეს ხომ მართლაც წმინდა წყლის პოეზიაა, ძმაო. სეფე არღვევს ფუფხს, ჩვენს ტვინს რომ შეეზარდა, როგორც თქვა, კი აღარ მახსოვს ვინ, და ამ სამყაროს სულ სხვა კუთხიდან უყურებს. გასაგებია, რომ დარტყმულსაც ამიტომ ეძახიან.

როცა ტალიტა შევიდა, ის უკვე ოცდამერვე კორპორაციამდე მივიდა:

28) მოსიარულე დეტექტივებისა და მათი სამეცნიერო დაწესებულებების ეროვნული კორპორაცია (ყველა დაწესებულება დეტექტივებისა და/ან სამძებრო პოლიციის როგორც დაწესებულება, ისე მოძრავი და ყველა დაწესებულება, რომელიც ეწევა სამეცნიერო კვლევას, ასევე ამგვარი დაწესებულების მომსახურეები (ყველა ხსენებული მომსახურე მიეკუთვნება კლასს, რომელიც უნდა განისაზღვროს როგორც „მოსიარულენი“).

ტალიტასა და ტრეველერს ეს ადგილი ნაკლებად მოსწონდათ, მოუსვენრობა, ასე რომ აწვალებდა სეფერინოს, აქ მას ერთბაშად ათავისუფლებდა. თუმცა სამეცნიერო კვლევა, რაც მოგზაურობასთან იყო დაკავშირებული, სეფერინოს სულაც არ ეჩვენებოდა კვლევა-ძიებად, „მოგზაურობა“ თითქოს დონკიხოტურ იერს სძენდა და, ამდენად, სეფერინოს, რაკი მკვიდრი ცხოვრებისთვის იყო განწირული, არც უნდოდა ამაზე ყურადღების გამახვილება.

29) პეტიციის სამეცნიერო დეტექტივებისა და მათი სამეცნიერო – დაწესებულებების ეროვნული კორპორაცია (ყველა სამ-

ძებრო და/ან პოლიციის დეტექტივების ადგილსამყოფელი, ყველა კვლევითი დაწესებულება და ყველა მომსახურე ამგვარი დაწესებულებისა). (ყველა ხსენებული მოსამსახურე მიეკუთვნება კლასს, რაც შეიძლება განისაზღვროს, როგორც „პეტიცია“ და ყველა დაწესებულება და მოსამსახურე ამგვარი კლასისა უნდა იყოს გამოცალკევებული სხვა კლასებისგან, როგორცაა ხსენებული „მოსიარულეთა“ კლასი.) 30) მეცნიერი დეტექტივების ეროვნული კორპორაცია, მაზანდის დამდგენი და მათი სამეცნიერო დაწესებულებები. (ყველა სამძებრო დაწესებულება და პოლიციის დეტექტივების ადგილსამყოფელი, ყველა კვლევითი დაწესებულება და ამდაგვარი დაწესებულების მოსამსახურენი) (ყველა ხსენებული მომსახურე მიეკუთვნება კლასს, რაც შეიძლება განისაზღვროს როგორც „მაზანდის დამდგენი“ დაწესებულებები და ამდაგვარი კლასის მომსახურეები უნდა გამოცალკევდნენ სხვა კლასებისაგან როგორც ხსენებული „მოსიარულენი“ და „პეტიციის“ კლასები.

— ასე გეგონება, სარაინდო ორდენებზე იყოს ლაპარაკი, — თქვა ტალიტამ დარწმუნებით. — უცნაური ის არის, რომ დეტექტივების „სამივე კორპორაციაში ნახსენებია მხოლოდ შენობები.

— მეორე მხრივ, რას უნდა ნიშნავდეს „მაზანდის დამდგენი“?

— ეს ალბათ უნდა იყოს „მომდევნო“, თუმცა არც ეს გვეუბნება რამეს. რა მნიშვნელობა აქვს.

— რა მნიშვნელობა აქვს, — გაიმეორა ტრეველერმა. — შენ მართალი ხარ. მთელი ამისი მომხიბლობა იმაშია, რომ შესაძლებელია არსებობდეს ისეთი სამყარო, სადაც არიან მოსიარულე დეტექტივები და ასევე „პეტიციონისტები“ და მაზანდის დამდგენები. ამიტომაც მეჩვენება საკმაოდ ბუნებრივად, რომ სეფე ახლა სარაინდო ორდენიდან გადადის რელიგიურ ორდენებზე, ხოლო შიგადაშიგ ხარკს უხდის მეცნიერებასაც (აბა უამისოდ როგორ იქნება) ჩვენი დროის მეცნიერულ სულს. ახლა კი ვკითხულობ:

31) დარგის მიხედვით სხვადასხვა მეცნიერების, და მათი სამეცნიერო დაწესებულებების ეროვნული კორპორაცია (ყველა დაწესებულება და სხვადასხვა დარგის მეცნიერების ადგილსამყოფელი მათი კუთვნილების მიხედვით და თვითონ ასეთი მეცნიერები). (მეცნიერები სხვადასხვა მეცნიერებებში მიდრეკილების მიხედვით: ექიმები, ჰომეოპათები, მკურნალი ექიმები (ყველა ქირურგი), მეანი ქალები, ტექნიკოსები, მექანიკოსები (ყველა სახის ტექნოლოგები), მეორე რიგის ინჟინრები, ან არქიტექტორები ყველა შესატყვის სფეროში (ყველა შემსრულებელი წინასწარ დამუშავებული პროდუქტებისა, უკვე ნახსენები ინჟინრების მსგავსი, მეორე კლასის), საერთოდ ყველა კლასიფიკატორი, ასტრონომები, ასტროლოგები, სპირიტისტები, ყოველი მეცნიერების დოქტორები, ყველა საკანონმდებლო განშტოებისა (ყველა სახის ექსპერტები), ყველა ჯურის კლასიფიკატორები, ბულალტრები, მთარგმნელები, დამწეები სკოლის მასწავლებლები (ყველა კომპოზიტორი), ოპერატორი მაძიებლები-მკვლელობის საქმეში, მეგზურები თუ გიდები, მებაღეები, პარიკმახერები, ა.შ.) — რას იტყვი! — თქვა ტრეველერმა და ერთბაშად გადაჰკრა კანია, — აბსოლუტურად გენიალურია!

— მართლაც დიდი ქვეყანაა პარიკმახერებისათვის, — თქვა ტალიტამ, საწოლზე გაიშლართა და თვალები დახუჭა, — მერე როგორ ავარდნენ სამსახურებრივ კიბებზე. ერთი რამ ვერ გამიგია, აუცილებელია ოპერმუშაკები მკვლელობის საქმეში მამაკაცები იყვნენ?

— არასდროს არ გამიგონია, რომ ქალებს გამოეძიებინოთ მკვლელობის საქმეები, — თქვა ტრეველერმა. — ეტყობა, სეფესაც დაუჯერებლად ეჩვენება. შენ ალბათ შეამჩნიე, რომ სექსის საკითხებში საშინელი პურიტანია, ეს უმაღლეს თვალში გეცემა.

— ცხელა, ძალიან ცხელა, — თქვა ტალიტამ. — შენ თუ მიაქციე ყურადღება, რა სიამოვნებით ჩაურთავს ხოლმე კლასიფიკატორებს და რამდენჯერმე იმეორებს კიდევ? კარგი, ახლა ჩავიძიროთ მისტიკაში, რას წამიკითხავ.

— მაშ ასე, — თქვა ტრეველერმა.

32) ეროვნული კორპორაცია ბერებისა, რომლებიც ახდენენ შელოცვას ჯვრის ნიშნის სასწაულით და მათი სამეცნიერო დაწესებულებები.

(ყველა სამონასტრო თემი და ყველა ბერი). (ბერები და მკურნალი-მამაკაცები, გარდა იმათი, ვინც აღიარებს უცნაურ კულტებს, რომლებიც ეკუთვნიან ერთადერთ და განსაკუთრებით სიტყვისა და კურნების სასწაულისა და „ხსნის“ სამყაროს) (ბერები გამუდმებით უნდა ებრძოდნენ ყოველგვარ სულიერ ბოროტებას, ყოველგვარ მავნეს შეძენილსა თუ მოვლენილს და ა.შ.) (მონანიე ბერები და მეუდაბნოები, რომელნიც აღავლენენ ლოცვას და ჯვრის ნიშნით აღნიშნავენ ნივთებსაც და ადამიანებსაც, ასევე ცალკეული ადგილების ცალკეულ ნაწილებს, ნათესავებს, საცოლვე ბიჭებს იღბლიანი მეტოქეების გამო რომ იტანჯებიან და ა.მ.) 33) კოლექციებისა და საცავების ღვთისნიერი მცველების ეროვნული კორპორაცია (კოლექციების ყველა საცავი და idem, საწყობები, ბაზრები, არქივები, მუზეუმები, სასაფლაოები, საპატიმროები, თავშესაფრები, დავრდომილთა თავშესაფრები, უსინათლოთა სახლები და ა.შ. აგრეთვე ყველა მოსამსახურე ამგვარი დაწესებულებისა) (კოლექციები, მაგალითად: არქივში ინახება სასამართლო საქმეების კოლექცია, სასაფლაოზე დაცულია გვამების კოლექცია; საპატიმროში დაცულია პატიმრების კოლექცია და ა.შ.) — სასაფლაოს ამბავი ესპრონსედასაც კი არ მოუვიდოდა თავში, — თქვა ტრეველერმა. — მე არ ვაპირებ უარყო ანალოგია ჩაკარიტასა და არქივს შორის... სეფერინოს აქვს კავშირების მიხვედრის უნარი, რაც არსებითად არის კიდევ ჭეშმარიტი ნიჭი, შენ არ გგონია? ასეთი წინასწარმეტყველების შემდეგ, მისი საბოლოო კლასიფიკაცია სულ არ არის უცნაური, უფრო პირიქით. რომ შეიძლებოდეს ასეთი სამყაროს შექმნა.

ტალიტამ არაფერი თქვა, მხოლოდ ზედა ტუჩი გამობურცა და ამოისუნთქა; ტრეველერმა კი შემდეგი ჭიქა დალია და უკანასკნელი და გადამწყვეტი კორპორაციების კითხვას შეუდგა:

40) ეროვნული კორპორაცია რწმუნებული აგენტებისა და წითელი ფერის და ყოველგვარი მოწითალოს საქმეთა და დაწესე-

ბულებებისა, რომლებიც ეწევიან აქტიურ მოღვაწეობას ყოველგვარი მოწითალოს სფეროში. (ყველა რწმუნებულის გაერთიანება ყოველგვარი წითელი ფერისა თუ მოწითალოს საქმეთა და ამდაგვარ რწმუნებულთა მთავარი დაწესებულებები და თვითონ ასეთი რწმუნებულები) (ყველაფერი, რაც მოწითალო გვეჩვენება, ან წითელი: ცხოველები, რომელთაც აქვთ წითელი ბეწვი, წითელყვავილებიანი მცენარეები, წითელი მინერალები).

41) ეროვნული კორპორაცია, უფლებამოსილი აგენტებისა ყოველგვარი შავი ფერის საქმეთა და დაწესებულებებისა, რომლებიც ეწევიან აქტიურ მუშაობას ყოველგვარი შავი ფერის სფეროში (ყველა გაერთიანება ყოველგვარი შავი ფერის სააგენტოს რწმუნებულები და მათ რწმუნებულთა მთავარი ოფისები და ასევე თვითონ აგენტები). (ყოველგვარი შავი ფერის, ან უბრალოდ შავი: შავბეწვიანი ცხოველები, შავყვავილიანი მცენარეები და შავი მინერალები).

42) ეროვნული კორპორაცია ყოველგვარი ყავისფერის საქმეთა და დაწესებულებების რწმუნებულები, რომლებიც ეწევიან აქტიურ მუშაობას ყოველივე ყავისფერის სფეროში (ყველა გაერთიანება ყოველგვარი ყავისფერისა და ასეთი დაწესებულებების რწმუნებულები ყავისფერის საქმისა და ასევე თვით რწმუნებულები) (ყველაფერი, რაც მოყავისფროა ან ყავისფერი, ყავისფერბეწვიანი ცხოველები, ყავისფერყვავილიანი მცენარეები, ყავისფერი მინერალები).

43) ეროვნული კორპორაცია ყოველგვარი ყვითელი ფერის საქმეთა და დაწესებულებებისა, რომლებიც ეწევიან აქტიურ მუშაობას ყოველგვარი ყვითელი ფერის სფეროში. (ყველა რწმუნებულის გაერთიანება ყოველგვარი ყვითელი ფერის საქმეში და მთავარი დაწესებულებები ამ სარწმუნოთა, ასევე თვითონ ასეთი რწმუნებულებები) (ყველაფერი, რაც ყვითელი გვეჩვენება, ანდა უბრალოდ ყვითელი: ყვითელბეწვიანი ცხოველები, ყვითელყვავილიანი მცენარეები, ყვითელი მინერალები). 44) ეროვნული კორპორაცია რწმუნებულთა ყოველგვარი თეთრის საქმეთა და დაწესებულებებისა, რომლებიც აქტიურად მოღვაწეობენ ყოველგვარი თეთრის სფეროში (ყველაფერი რაც თეთ-

რი გვეჩვენება, ან უბრალოდ, თეთრი: თეთრბეწვიანი ცხოველები, თეთრყვავილიანი მცენარეები და თეთრი მინერალები).

45) ერთიანი პამპების ხალხთა და დაწესებულებათა უფლებამოსილი აგენტების ეროვნული კორპორაცია, ვინც კი აქტიურ მოღვაწეობას ეწევა პამპების წითელკანიანი მოსახლეობის სასარგებლოდ (რწმუნებულთა ყველა გაერთიანება ერთიანი პამპის საქმეთა და მთავარი რწმუნებულების ოფისები და ასევე თვითონ რწმუნებულები), (პამპის წითელკანიანთა მოდგმა ან უბრალოდ პამპების: პამპებისებური ბეწვის ცხოველები, პამპების ფერის ყვავილებიანი მცენარეები, პამპების მინერალები).

უნდა მოისპოს გაუხეშებული ქერქი ტვინს რომ შეეზარდა... როგორი ეჩვენებოდა სეფერინოს ის, რაზეც წერდა? რა თვალისმომჭრელი რეალობა დაუხატა (ან არა) იმ სცენებმა, სადაც პოლარული დათვები დაძუნძულებდნენ მარმარილოს სცენაზე, ან ჟასმინებს შორის? ან თუ ყვავები იკეთებდნენ ბუდეებს ანტრაციტის კლდეებში, შავი ტიტების გვირგვინი რომ ადგას წვერზე... და რატომ „შავი ფერისა“, „თეთრი ფერისა“? ან არა უბრალოდ „შავი“, „თეთრი“ და მაინცდამაინც „ფერისა“? რატომ „ყვითელი ფერისა“ და არა უბრალოდ „ყვითელი“? ასეთი მაინც რა არის ეს „ფერი“, რომ ვერანაირი მარიხუანაც ვერ დაანახვებს ვერც მიშოს და ვერც ჰაქსლის? სეფერინოს შენიშვნები მარტო იმისთვის გამოდგება (თუკი გამოდგება), რომ უფრო მეტად დაგაბნოს, ამაზე შორს ის ვერ წავა. და მაინც:

ხსენებული პამპის ფერის თაობაზე: პამპის ფერი არის ყოველგვარი რთული ფერი, ანუ ორი ან მეტი ფერისგან შექმნილი.

და კიდევ ერთი აუცილებელი განმარტებაც:

უკვე ხსენებული თუ აღნიშნული ამგვარი სხვადასხვა ჯურის რწმუნებულთა გამო: როგორი რწმუნებულები უნდა იყვნენ გუბერნატორები, რომ მათი მცდელობით მთელ ქვეყნიერებაზე არ აურიონ ერთმანეთში სხვადასხვა მოდგმის ხალხი; რომ სხვადასხვა მოდგმა თავიანთი კლასების შიგნით არ შეჯვარდნენ,

რომ ერთი კლასის ადამიანი მეორე კლასის, ან ერთი ფერისა — მეორეს არ დაუკავშირდეს და ა.შ.

ეს პურისტი, რასისტი სეფერონო პირისი! მთელი სამყარო და ერთი ფერისა, მაშინ მონდრიანისეული იქნება, მაინც რა შემაძრწუნებელია; საშიში ვინმე ხარ სეფერონო პირის; იქნება დეპუტატობის კანდიდატადაც დაგასახელონ, ანდა სულაც პრეზიდენტად! ფრთხილად, აღმოსავლური მოძალებაა! კანიას ერთი ჭიქაც, სანამ დასაძინებლად მოვემზადებით, ამასობაში კი სეფე, თავისი „ფერებით“ მთვრალი, გაიტაცა პოემამ, რომელშიც ისე ინთება ყველაფერი, როგორც ენსორის უზარმაზარ სურათზე, აბრიალდება ყველაფერი, თუ რამ შეიძლება აბრიალდეს, ნიღბებსა და ანტინიღბებში. მილიტარიზმი ერთბაშად შეიჭრა მის სისტემაში და უნდა გენახათ, როგორ შეებნენ ერთმანეთს მაკარონული და ტრისმეგისტული ფორმები, ურუგვაელმა ფილოსოფოსებმა რომ შემოუნახა. ასეა:

რაც შეეხება ხსენებულ შრომას „მშვიდობის შუქი დედამიწაზე“, მასში როგორც ასეთში, დაწვრილებითაა ახსნილი და განმარტებული მილიტარიზმი, მაგრამ ახლა მოკლედ გეტყვით იმას, რაც შეეხება მილიტარიზმს:

გვარდია („მეტროპოლიის“ ტიპი) იმ სამხედრო პირებისთვის, რომლებიც დაბადებული არიან ვერძის ზოდიაქოს ნიშანზე; მთავრობის საწინააღმდეგო სინდიკატები იმ სამხედრო პირებისთვის, რომლებიც დაიბადნენ კუროს ზოდიაქოს თანავარსკვლავედის ნიშანზე; დღესასწაულებისა და საზოგადოებრივი თავყრილობების მოწყობისა და მხარდაჭერის დირექცია (ცეკვების, საღამოების, კონცერტების, ნიშნობების, წვეულების, საქმროებისა და საცოლუების შერჩევის მიზნით და ა.შ) იმ სამხედრო პირებისთვის, ვინც დაბადებულია ტყუპების ზოდიაქოს ნიშანზე; ავიაცია (სამხედრო) სამხედრო პირებისთვის, ვინც დაბადებულია კირჩხიბის ზოდიაქოს ნიშანზე; მწერლობა მთავრობის სასიკეთოდ (სამხედრო ჟურნალისტიკა და პოლიტიკური საიდუმლოებების, მთავრობისა და ხელისუფლების სასარგებლოდ) იმ სამხედრო პირებისთვის, რომლებიც დაბადებული არიან ლომის ზოდიაქოს ნიშანზე; არტილერია (მძიმე არტილე-

რია და ბომბები) იმ სამხედრო პირებისთვის, რომლებიც დაბადებული არიან ქალწულის ზოდიაქოს ნიშანზე; საზოგადოებრივი და ეროვნული დღესასწაულების განხორციელება და მხარდაჭერა (სამასკარადო ტანსაცმელი, სამხედრო აღლუმებისთვის შესაფერისი ტანსაცმელი, საკარნავალოდ სტატისტები ანდა „რთველის“ დღესასწაულებისთვის) და ა.შ. იმ სამხედრო პირებისთვის, ვინც დაბადებულია კირჩხიბის ზოდიაქოს ნიშანზე; კავალერია (ჩვეულებრივი კავალერია და მოტორიზებული კავალერია, მსროლელთა, ულანების, შუბოსნების, ნაჯახით შეიარაღებულების (ულანები, მესანგრეები, ჩვეულებრივი მაგალითი: „რესპუბლიკის გვარდია“), მახვილოსნები და ა.შ. იმ სამხედრო პირებისთვის, რომლებიც დაბადებულნი არიან თხის რქის თანავარსკვლავედის ზოდიაქოს ნიშანზე; სამხედრო მომსახურე პერსონალი (შიკრიკები, მეხანძრეები, მისიონერები, მომსახურე პირები) იმ სამხედრო პირებისთვის, ვინც დაბადებულია მერწყულის ზოდიაქოს ნიშანზე.

ტრეველერმა შეანჯღრია ტალიტა, ის კი გაბრაზდა, მაგრამ თვალები მაინც გაახილა, რომ მოესმინა მისთვის სამხედრო საქმეების შესახებ ერთი ნაწყვეტი, რის შემდეგაც ბალიშები წაიფარეს თავზე, რომ მთელი კლინიკა არ გაეღვიძებინათ. მაგრამ მანამდე დაასკვნეს, რომ უმეტესობა არგენტინელი სამხედრო პირებისა დაბადებული იყვნენ კუროს ვარსკვლავზე. კირჩხიბის ვარსკვლავზე დაბადებული ტრეველერი ისეთი მთვრალი იყო, რომ განაცხადა, მოვითხოვ ახლავე ლეიტენანტის ჩინი მომცენ, რომ სამხედრო აღლუმებში მონაწილეობის მისაღებად შესაფერის კოსტიუმში გამოვქეყო.

— ჩვენ მოვაწყობთ დიდ ზეიმებს რთველის აღსანიშნავად, — ამბობდა ტრეველერი და სიტყვის დამთავრებასაც ვერ ასწრებდა რომ ისევ წაიფარებდა ბალიშს. — შენ ჰამპის რასის თანამოძმეებთან ერთად გამოხვალ, რადგან ორი თუ მეტი ფერი გირევია.

— მე თეთრი ვარ, — თქვა ტალიტამ, — რა საწყენია რომ შენ არა ხარ დაბადებული თხის რქის ზოდიაქოს ნიშანზე, რადგან

ძალიან მინდოდა მახვილოსანი ყოფილიყავი, ან თუნდაც მაცნე თუ შიკრიკი.

— ყველა მაცნე, — მერწყულია, ჩე. ორასიო მგონი კირჩხიბია.

— თუ არ არის, მაშინ ღირსი მაინცაა, — თქვა ტალიტამ და თვალები დახუჭა.

— მას მარტო ერთი ავიაცია ერგო. ერთი წარმოიდგინე, როგორ გადაუფრენდა ბენგ-ბენგით საკონდიტრო „არწივს“ იმ დროს, როცა იქ ჩაის სვამენ და ნამცხვარს შეექცევიან, ამას ჰქვია იღბალი.

ტალიტამ შუქი ჩააქრო და ტრეველერს მიეხუტა, ის კი ოფლად იღვრებოდა და იკრუნჩხებოდა, რადგან ერთიანად იყო გახვეული ზოდიაქოს ნიშნებში, ეროვნულ კორპორაციების რწმუნებულებსა და ყვითელ მინერალებში.

— ორასიომ დღეს საღამოს ნახა მაგა, — თქვა ტალიტამ თითქოს ძილში. — ნახა ეზოში, ორი საათის წინ, როცა შენ მორიგეობდი.

— აჰა, — თქვა ტრეველერმა, ზურგზე გადაბრუნდა და ბრაილის სისტემით სიგარეტს დაუწყო ძებნა. — მგონი სადღაც დავდე, კოლექციის ღვთისმოსავ მცველებთან.

— მაგა მე ვიყავი, — თქვა ტალიტამ და კიდევ უფრო მაგრად მიეხუტა ტრეველერს. — არ ვიცი შენ გესმის ეს თუ არა.

— მგონი, ჰო.

— ეს როდისმე მაინც უნდა მომხდარიყო. მე იმან გამოაცა, ასე რომ გააკვირვა ამ შეცდომამ.

— ოჰ, შენ ხომ იცნობ ორასიოს, თვითონ დახლართავს ინტრიგებს და თვითონვე უკვირს, ისე გიყურებს როგორც ლეკვმა იცის, თავისივე დასვრილს გაოცებული რომ დაჰყურებს ხოლმე.

– მე მგონი ეს იმ დღეს დაემართა, როცა ჩვენ პორტში დავხვდით, – ვერ გამიგია, მას ხომ არც შემოუხედავს ჩემთვის და თანაც თქვენ, ორივემ, ძალღვივით მომიშორეთ ჩემი კატიანად.

– არცთუ მძიმე წონის არსებასთან ერთად, – თქვა ტრეველერმა.

– მე მაგა ვეგონე, – თავისას გაიძახოდა ტალიტა, – ყველაფერი დანარჩენი კი ისე უნდა მომხდარიყო, როგორც სეფერინოს აქვს აუცილებელი ჩამონათვალი, ერთიმეორეს მიყოლებით.

– მაგა, – თქვა ტრეველერმა და ისე მოქაჩა სიგარეტი, რომ მთელი სახე გაუნათდა სიბნელეში, – ისიც ხომ ურუგვაველია. ამდენად, ყველაფერი რიგბეა.

– მათქმევიწინე, მანუ.

– ჯობია არა თქვა, რისთვის.

– ჯერ მოვიდა მოხუცი თავისი მტრედით და მაშინვე ჩავედით სარდაფში, სანამ ჩავიდლოდით ორასიო შეუსვენებლად ლაპარაკობდა რაღაც ხვრელებზე, რომელიც თურმე მოსვენებას არ აძლევს. სასოწარკვეთილებაშია, მანუ, საშინელებაა, როცა უყურებ და გეჩვენება თითქოს მშვიდადაა, სინამდვილეში კი... ლიფტით ჩავედით და ის მაცივრების დასაკეტად გაემართა, მართლაც შემზარავი იყო.

– მაშასადამე, შენც ჩახვედი იქ, – თქვა ტრეველერმა, – ძალიან კარგი.

– არც ასეა, – თქვა ტალიტამ, – საქმე ჩასვლა კი არ არის. ჩვენ ვსაუბრობდით, მაგრამ მე მეჩვენებოდა, თითქოს ორასიო სულ სხვაგან იყო და სულ სხვა ქალს ელაპარაკებოდა, იმას, რომელიც დაიხრჩო.

ეს ახლალა მომივიდა თავში, მას ხომ არასოდეს უთქვამს, რომ მაგა მდინარეში დაიხრჩო.

— არ დამხრჩვალა, — თქვა ტრეველერმა, — დანამდვილებით ვიტყვოდი, თუმცა ამის შესახებ არაფერი ვიცი, მაგრამ ამისთვის საკმარისია, ორასიოს იცნობდე.

— მას სჯერა, რომ მოკვდა, მანუ, მაგრამ ამავე დროს გრძნობს თითქოს მის გვერდითაა და წუხელ ის მე ვიყავი. მან მითხრა, თითქოს გემზეც ნახა და სან მარტინის ავენიდის ხიდის ქვეშაც... ისე კი არ ლაპარაკობს, როგორც ჰალუცინაციის დროს იციან და არც იმას ცდილობს, რომ დაუჯერონ, ის ლაპარაკობს, მეტი არაფერი, და ეს სინამდვილეში ასეა. როცა მან მაცივარი დაკეტა, შემეშინდა და რაღაც ვთქვი, ოღონდ, არ მახსოვს რა და მან ისე შემომხედა, თითქოს მე კი არ მიყურებდა, არამედ მას, მეორეს. მე არა ვარ ზომბი, მანუ, არ მინდა ვინმეს ზომბი ვიყო.

ტრეველერმა თმაზე ხელი გადაუსვა, მაგრამ ტალიტამ მოუთმენლად გაიწია განზე. იგი საწოლში წამოჯდა და ტრეველერი გრძნობდა, როგორ კანკალებდა. ასეთ სიცხეში და კანკალებდა, მან თქვა, რომ ორასიომ აკოცა და სცადა აეხსნა რანაირი კოცნა იყო ეს, მაგრამ სიტყვებს ვერ პოულობდა და სიბნელეში ეხებოდა ტრეველერს, მისი ხელები ძონძივით ედებოდა სახეზე, ხელებზე, მკერდზე, ებჯინებოდა მუხლებზე და ამაში იბადებოდა ახსნა, რაზეც ტრეველერი უარს ვერ იტყოდა, ძალა არ ეყოფოდა, ეს შეხება მოდიოდა საიდანლაც შორიდან, სიღრმიდან, თუ სიმაღლიდან, საიდანლაც, რაც არ იყო არც ამ ღამისა და არც ამ ოთახისა, ამ გადამდები შეხებით ტალიტა თითქოს ეუფლებოდა მას, როგორც გაუგებარი ლულლული, თითქოს რაღაცას აუწყებდა, ვითარცა წინათგრძნობა შეხვედრისა მასთან, რაც შეიძლება ყოფილიყო ცნობა, მაგრამ ის ხმა, რომელსაც მოჰქონდა მისთვის ეს ცნობა, თრთოდა და იმსხვრეოდა, ამიტომ ეს ცნობა აღწევდა გაუგებარ ენაზე, მაგრამ მაინც იყო ერთადერთი და აუცილებელი ახლა და მოითხოვდა, რომ მოესმინათ მისთვის და ეცნოთ, აწყდებოდა ბოლისა და კორპის კედლებს, შიშველი მიუწვდომელ-გაუგებარი, სხლტებოდა და ცრემლებთან ერთად წყალივით იღვრებოდა.

„ტვინზე ქერქი გვაქვს გადაკრული, — გაიფიქრა ტრეველერმა, ბუნდოვნად ესმოდა რაღაც შიშვე, ორასიოზე, ლიტვზე,

მტრედზე; ნელ-ნელა ყურს დაუბრუნდა სმენის უნარი; — გამოდის, რომ ამ საბრალოს და უბედურს ეშინოდა, რომ მან მოკლა იგი, სასაცილოა”.

— მართლა ასე გითხრა, ჩე? ვერ დამიჯერებია, ხომ იცი მისი სიამაყის ამბავი.

— არა, ასე არა, — თქვა ტალიტამ, სიგარეტი გამოართვა და ისე მოქაჩა, როგორც მუნჯ ფილმებში იციან. მე მგონია, რომ ის შიში, რომელსაც იგი განიცდის, რაღაც უკანასკნელი ხსნაა, ის ჯებირია, წყალში გადავარდნის წინ რომ ებლაუჭებიან ხოლმე. ისეთი კმაყოფილი იყო, წუხელ რომ შიში განიცადა, მე ვიცი, რომ სულის სიღრმეში კმაყოფილი იყო.

— ამას, — თქვა ტრეველერმა და ნამდვილი იოგივით დაიწყო სუნთქვა, — კუკაც ვერ გაიგებდა, გარწმუნებ. და მეც მთელი ჩემი გონება უნდა დავძაბო, რომ შენი ნათქვამი მისი ვითომ შიშნარევი გამოწვეული სიხარულის შესახებ, დავიჯერო, ამის მონელება გამიჭირდება.

ტალიტა ცოტა კიდევ ახლოს მიუჩოჩდა ტრეველერს და მიეხუტა.

მან იცოდა, რომ კვლავ მასთან იყო, რომ არ დამხრჩვალა, რომ ის არ დაანებებს, რომ დაიხრჩოს, გააჩერებს ზედაპირზე და რომ წყლის სიღრმეში არის სიბრალოული, სასწაულებრივი სიბრალოული. ეს ორივემ ერთდროულად იგრძნო და ერთმანეთს მიეხუტნენ, თითქოს უნდოდათ ჩაძირულიყვნენ თავიანთ თავში, მათ საერთო მიწაზე, სადაც სიტყვები, ალერსი და ტუჩები ერთნაირად, ერთ წრეში მოექცეოდნენ, ოჰ, ეს დამამშვიდებელი მეტაფორები, ეს ძველი სევდა, კმაყოფილება, რომ ყველაფერი დაუბრუნდა ადრინდელს და იქნებოდა როგორც ყოველთვის, რომ იტივტივებ ზედაპირზე როგორი ქარაშოტიც უნდა ამოვარდეს, ვინც უნდა გიხმობდეს და როგორც უნდა ვარდებოდეს.

ყვავილების ბალი

უნდა ვიცოდეთ, რომ მკაცრად დაგეგმილი, ეგრეთ წოდებული „ფრანგული სტილის ბალები“, სადაც გაზონები, ბილიკები, ყვავილნარები განლაგებულია მკაცრი გეომეტრიული წყობით, მოითხოვს დიდ გამოცდილებასა და ზრუნვას.

სამაგიეროდ, „ინგლისური“ ტიპის ბაღში ადვილად იმალება ყველა ის შეცდომა, რაც შეიძლება დაუშვას მოყვარულმა მებაღემ. რამდენიმე ბუჩქი, გაზონების კვადრატები, კედლის გაყოფებით ჩარიგებული ყვავილები, ან ცოცხალი ღობე, თუკი ლამაზადაა შემოვლებული, ეს ყველაფერი ერთად არის ის მთავარი ელემენტები, რაც ქმნის დეკორატიულ და პრაქტიკულ ერთიანობას.

თუკი, სამწუხაროდ, ცალკეული ნიმუში ვერ გაამართლებს მოსალოდნელ შედეგს, სულ ადვილია მათი სხვა ადგილზე გადარგვა, ეს კი ბაღს არ დაუკარგავს შნოსა და ლაზატს, რადგან სხვადასხვა ფერისა თუ სიმაღლის აქა-იქ მიმოფანტული ყვავილები ყოველთვის თვალს აამებს.

დაგეგმარების ამ წესს, რაც ძალიან დაფასებულია ინგლისშიც და შეერთებულ შტატებშიც, ეწოდება მიხედ ბორდერ, ანუ „შერეული გაზონი“. ამგვარად დარგული ყვავილები ერთმანეთს შეერევიან და გადაეხლართებიან ხოლმე ისე, გეგონებათ თავისთავად ამოსულანო, ამით კი ბაღს ბუნებრივ იერს უქმნიან, მაშინ, როცა მკაცრი კვადრატული თუ წრიული განლაგება ამკარად ხელოვნურობის შთაბეჭდილებას ქმნის და მოითხოვს აბსოლუტურ სრულყოფილებას.

ასე რომ, როგორც პრაქტიკული, ისე ესთეტიკური თვალსაზრისით, მებაღე-მოყვარულს უნდა ვურჩიოთ mixed border.

(-25)

135

– უგემრიელესი რამეა, – თქვა ხეკრეპტენმა, – მე უკვე ორი შევჭამე, სანამ ვწვავდი, მართლა ჰაეროვანია, დამიჯერე.

– შენ ერთი ის მწარე მომიდუღე, ბებერო, – უთხრა ოლივე-ირამ.

– ახლავე, საყვარელო. ჯერ ცივ კომპრესს გამოგიცვლი.

– გმადლობ. ძალიან უცნაურია ღვებელების ჭამა, ჩე, როცა თვალეები გაქვს ახვეული. ალბათ ასე ავარჯიშებდენ იმათაც, ვინც ჩვენთვის კოსმოსი უნდა აღმოაჩინოს.

– იმათზე ამბობ, მთვარეზე რომ მიფრინავენ აპარატებით, არა?

რაღაც კაფსულებში რომ ჩასვამენ ხოლმე, თუ რაღაც ასეთში, ხომ?

– ჰო, თანაც ღვებელებს და მატესაც ატანენ ხოლმე.

(-63)

136

მორელის ციტატების მანია აქვს:

„გამიჭირდებოდა იმის ახსნა, თუ რატომ ვაქვეყნებ ერთსა და იმავე წიგნში ლექსებს და პოეზიის უარყოფას, გარდაცვლილის დღიურს და ჩემი მეგობარი პრელატის შენიშვნებს...”

Georges Bataille, Haine de la poésie[349].

(-12)

137

მორელიანა

თუ ნაწარმოების მოცულობა ან კილო ისეთ შთაბეჭდილებას გიქმნით, რომ ავტორს განზრახული აქვს შეჯამება, სასწრაფოდ მიუთითეთ, რომ სრულიად საწინააღმდეგოს მიიღებს, სავალალო ნარჩენებს.

(-17)

138

მაგას და მე ზოგჯერ ისეთი ჟინი აგვიტანს ხოლმე, რომ ვიწყებთ ჩვენი მოგონებების შებღალვას. ეს სულ პატარა რამეზება დამოკიდებული, ან ცუდ გუნებაზე ვართ, ან სევდა შემოგვაწვება, ან თუ დიდხანს ვუყურებდით ერთმანეთს თვალებში. სიტყვას სიტყვა მოჰყვება, შემთხვევას — შემთხვევა, ნელ-ნელა შევყვებით ხოლმე და წამოიშლება მოგონებებიც, რასაც ყოველთვის

მოსდევს ორი განსხვავებული სამყაროს შეურიგებელი და აუხსნელი შეჯახება.

მერე კი ჩვენდაუნებურად იწყება ქილიკი, დაცინვა, გეგონებათ წინასწარ შევთანხმდითო, ჩვეულებრივად ვიწყებ მე, ზიზღით ვიხსენებ ჩემს ადრინდელ ბრმა ნდობას მეგობრებისადმი, როგორი ერთგული ვიყავი და კი ვერ გამიგეს, მერე რა მივიღე სამაგიეროდ, მახსენდება როგორი ჟინით და თან მორჩილად დამქონდა პლაკატები პოლიტიკურ დემონსტრაციებზე, მაგონდება ინტელექტუალური დისკუსიებიც და მგზნებარე სასიყვარულო გატაცებებიც.

დავცინი საკუთარ საეჭვო პატიოსნებას, რაც არაერთხელ გახდა ჩემი ბედუკუღმართობის მიზეზიც და სხვებისაც; მაშინ როცა ღალატი და უსინდისობა თავის ქსელს ხლართავდა, მე წინააღმდეგობაც არ გამიჩვეია, თუმცა იმასაც ვალიარებდი, რომ ღალატიცა და უსინდისობაც ჩემ თვალწინ ხდებოდა, ამიტომ ორმაგად დამნაშავედ ვგრძნობ თავს. მე დავცინი საკუთარ ბიძებს, ნამდვილად წესიერ ადამიანებს, კისრამდე ნეხვში რომ იხდნენ, ქათქათა საყელოები კი მაინც არ ავიწყდებოდათ. ისინი ხომ გაკვირვებისგან პირს დააღებდნენ, რომ გეთქვათ ნეხვში ხართ ჩაფლულებიო, რადგან ერთს ტუკუჰმანისა სწამდა, მეორეს — 9 ივლისის და ორივე სამაგალითო, უმწიკვლო არგენტინული სულის განსახიერება კი იყო (მათი სიტყვებით რომ ვთქვა), მაგრამ მე მაინც კარგად მახსენდება ისინი, თუმცა არ ვინდობ და ვაქიაქებ, როცა მაგასაც და მეც სევდა შემოგვაწვება, პარიზული სევდა, მოგონებები წამოგვეშლება და გვინდა, რომ ერთმანეთს გული ვატკინოთ.

როცა მაგას უკვე აღარ ეცინება და მეკითხება, ასე რატომ ლაპარაკობ ბიძებზეო, მე ამ დროს სურვილიც კი მებადება და გამიხარდებოდა კიდევ, რომ ისინი კარს უკან იდგნენ და მისმენდნენ, იმ მოხუცივით, რომელიც მეხუთე სართულზე ცხოვრობს. მერე მეც დავფიქრდები ხოლმე, რომ ჩემი პასუხი მეტისმეტად უსამართლო არ იყოს, ანდა მეტისმეტად გაზვიადებული, თან იმაზეც ვფიქრობ, მაგასაც სასიკეთოდ გამოადგეს-მეთქი, რადგან ის ვერასოდეს ერკვეოდა მორალურ საკითხებში, (ისევე

როგორც ეტიენი, მაგრამ არა ისეთი ეგოისტი, უბრალოდ იმიტომ, რომ მაინც გრძნობს პასუხისმგებლობას, იცის, რომ უნდა იყოს კეთილი თუ სულგრძელი; სინამდვილეში კი მიზნები ისეთივე ჰედონისტურია და ეგოისტური, როგორც ეტიენს ახასიათებს).

მაშინ მეც უნდა ავუხსნა, რომ ჩემი ორივე ბიძა ფრიად ღირსეული და სამაგალითო არგენტინელები გახლავთ, ასეთები იყვნენ 1915 წელსაც, როცა ყველაზე დიდ წარმატებას მიაღწიეს სასოფლო და მეცხოველეობის დარგში და საერთოდ საქმის წარმოებაში. როცა ვლავარაკობთ „სხვა დროის“ კრეოლებზე, მაშინ ანტისემიტობაზეც, ქსენოფობიაზეც, წვრილ-წვრილ ბურჟუებზეც უნდა ვთქვათ, რომლებსაც მაინც აწუხებთ თავიანთ მამულებზე ფიქრი, სადაც მეტისი გოგონები თვეში ათ პესოდ მიერთმევენ ხოლმე მატეს და სადაც იფურჩქნება თეთრ-ცისფერი, წმინდა პატრიოტული გრძნობები, ღრმა პატივისცემა სამხედრო საქმისა და უდაბნოში ექსპედიციებისა; ასობით უუთოვებენ პერანგებს, მაგრამ ჯამაგირი იმისთვისაც კი არ ჰყოფნიან, რომ თვის ბოლოს მაინც გადაუხადონ რამე იმ საზიზღარ არსებას, რომელსაც მთელი ოჯახი „რუსს“ ეძახის და რომელსაც მხოლოდ უყვირიან, ემუქრებიან და უკეთეს შემთხვევაში ებუზღუნებიან. როცა მაგა ის-ის არის აპირებს, დაეთანხმოს ამ თვალსაზრისს (რაზეც მას პირადად წარმოდგენაც კი არ ჰქონია), მეც ვცდილობ დავასწრო და დავუმტკიცო, რომ ყველაფერ ამასთან ერთად ორივე ჩემს ბიძას და მათ ოჯახებს აქვთ საუკეთესო თვისებები, თავგადაკლული მამები და შვილები არიან, კეთილზნინი მოქალაქეები, პატივს სცემენ საარჩევნო უფლებებს, კითხულობენ ცნობილ გაზეთებს, კეთილსინდისიერი მოსამსახურეებიც არიან, უფროსებისთვისაც და თანამშრომლებისთვისაც სასურველი ადამიანებიც გახლავთ, შეუძლიათ მთელი ღამე ავადმყოფის სასთუმალთანაც გაატარონ და გაუჩოსავითაც მოიქცნენ. მაგა დაბნეული შემომცქერის, ჰგონია რომ დავცინი. ამიტომ იძულებული ვარ დავუმტკიცო და ავუხსნა, რატომ მიყვარს ჩემი ბიძები ასე და რატომაა რომ ზოგჯერ, როცა მეტისმეტად ვიღლები ქუჩა-ქუჩა ხეტიალისა და ამინდისგან, მათზე ვიყრი ხოლმე ჯავრს, მთელ ბოლმას ვანთხევ მოგონებებზე, რაც კი რამ

შემომრჩა. მაგაც ცოტა გათამამდება და ახლა ის იწყებს ლაპარაკს დედაზე, ცუდად ახსენებს, თითქოს კიდევ უყვარს და კიდევ სძულს რაღაც შემთხვევების მიხედვით, ზოგჯერ ძალიან მაწუხებს მისი ნაამბობი ბავშვობაში რაც გადახდენია, ერთი შემთხვევა სიცილით კი გაიხსენა, ვითომ რაღაც სახუმარო, მერე მოულოდნელად საბედისწეროდ რომ გაიკვანძა და გადაიქცა ჭაობად, სადაც ირევიან ათასგვარი წურბელები და ტკიპები და ერთმანეთს უკანასკნელ წვენს გამოსწოვენ. ასეთ წუთებში მაგა მელიას ემსგავსება, ნესტოები ეძაბება, ფითრდება, ენა ებმება, ბორძიკობს, ხელებს იმტვრევს, სუნთქვა ეკვრის და ამ დროს თითქოს საღეჭი რეზინისგან გაბერილ ბუშტბე გამოჩნდება დედამისის მომჩვარული სახე, ძონძებში გახვეული, მერე ქუჩა გარეუბანში, სადაც დედა დარჩა როგორც ძველი საფურთხეხელი უკაცურ ადგილზე, სილატაკე, როცა დედა გაქონილი ხელებით ქვაბებს ხეხავს. ცუდია, რომ მაგას დიდხანს ლაპარაკი არ შეუძლია, მაშინვე ტირილს იწყებს, სახით მომეკვრება და ისე განიცდის, წარმოუდგენელია, ჩაი უნდა ავუდუღო, ყველაფერი უნდა დავივიწყოთ, ბიძებიც და დედაც, ან სადმე უნდა წავიდეთ, ან არადა ისევ სიყვარული თუ გვიშველის, თითქმის ყოველთვის ასეა, ან სულაც დავიძინებთ, ყოველთვის მაინც ასეა ხოლმე.

(-127)

139

ნოტები ფორტეპიანოსთვის (ლა, რე, მი ბემოლ, დო, სი, სი ბემოლ, მი, სოლ), ვიოლინოსთვის (ლა, მი, სი ბემოლ, მი), საყვირისთვის (ლა, სი ბემოლ, ლა, სი ბემოლ, მი, სოლ) წარმოადგენს ისეთი სახელების მუსიკალურ ეკვივალენტს, როგორიცაა Arnold Schoenberg, Anton Webern და Alban Berg (გერმანული სისტემის თანახმად, სადაც H წარმოადგენს სის, B – სი ბემოლს და S – მი ბემოლს) ამ თავისებურ მუსიკალურ ანაგრამაში არანაირი სიახლე არ არის. გავიხსენოთ, რომ ბახმა ამგვა-

რადვე გამოიყენა თავისი სახელი და ეს ხერხი გავრცელებული იყო XVI საუკუნის პოლიფონიის ოსტატებს შორისაც (...) კიდევ ერთი მნიშვნელოვანი ანალოგია სავიოლინო კონცერტისთვის არის მკაცრი სიმეტრია. სავიოლინო კონცერტებში საკვანძო ნომერი არის ორი: ორი ცალკე თემიდან თითოეული იყოფა ორ ნაწილად, ამის გარდა კიდევ იყოფა: ვიოლინო — ორკესტრი ინსტრუმენტულთან ერთად. კამერულ კონცერტში კი საკვანძო რიცხვი არის სამი: მიძღვნა წარმოადგენს მაესტროს და მის ორ მოწაფეს; ინსტრუმენტი დაჯგუფებულია სამ კატეგორიად:

ფორტეპიანო, ვიოლინო და სასულე ინსტრუმენტების კომბინაცია; მისი არქიტექტურა აგებულია სამ თემაზე, ხოლო თითოეული მათგანი მეტად თუ ნაკლებად ავლენს სამნაწილიან კომპოზიციას.

ანონიმური კომენტარიდან ალბან ბერგის კამერული კონცერტისთვის ვიოლინოს, ფორტეპიანოსა და 13 სასულე ინსტრუმენტისთვის (ჩანაწერი Pathé Vox PL, 8660).

(133)

140

იმის მოლოდინში, რომ რაიმე უფრო თავშესაქცევი საქმე გამოჩნდებოდა, ბილწსიტყვაობაში ვარჯიშობდნენ და კიდევ უცხო სიტყვების ამოცნობით ერთობოდნენ, აფთიაქში შეიყრებოდნენ ხოლმე შუაღამისას, ორი საათისთვის, როცა კუკა დასაძინებლად, ძაღვების აღსადგენად წავიდოდა (ან მანამდეც, რომ რაც შეიძლება მალე წასულიყო); კუკაც ჯიუტად რჩებოდა, ვითომ კეთილი, ძალდაუტანებელი ღიმილით ითმენდა ამ ურჩხულების სიტყვიერ შეურაცხყოფას, მაგრამ ბოლოს მაინც მიდიოდა, რადგან ველარ უძლებდა.

მერე და მერე უფრო ადრეც მიდიოდა ხოლმე დასაძინებლად და ეს ურჩხულები კი თავაზიანი ღიმილით მშვიდ ძილს უსურ-

ვებდენ.

ყველაზე ნეიტრალური ტალიტა ამ დროს ეტიკეტებს აწებებდა ან კარგა სქელ ტომს Index Pharmacorum Gottinga-ს ჩაჰკირკიტებდა.

მაგალითად, ასეთი სახის სავარჯიშოები: ცნობილი სონეტის თარგმნა და გადაკეთება შესატყვისი სიტყვებით:

განძარცვული, მკვდარი და შემზარავი წარსული,

აღგვადგენ კი ჩვენ შენს ქედმაღლურ აღმაფრენაში?

ტრეველერის უბის წიგნაკში ზოგიერთი ჩანაწერი იკითხება ასე:

„როდესაც საპარიკმახეროში ჩემს რიგს ველოდებოდი თვალი გადავაავლე UNSESCO-ს გამოცემას და წავაწყდი შემდეგ დასახელებებს:

Opintotoveri *Työläisopiskelija* Työväenopisto. ეტყობა, ფინური ჟურნალების სათაურები იყო პედაგოგიკის საკითხებზე. მკითხველისთვის თავიდან ბოლომდე სრული ირრეალობა იყო. არსებობენ კი ისინი? მილიონობით ქერათმიანისთვის Opintotoveri ალბათ ნიშნავს „ზოგადსაგანმანათლებლო სკოლის თანამგზავრს“, ჩემთვის კი... (რისხვა) სამაგიეროდ მათ არ იციან, რომ „cafisho“ ნიშნავს თაღლითს (ბუენოსაირესული კმაყოფილება). ირრეალობის ზრდა. ერთი წარმოიდგინე, ეს ტექნოკრატები ვარაუდობენ, რომ ბოინგ 707-ით რამდენიმე საათში ჩახვალ ჰელსინკში... ყველა თავის დასკვნებს აკეთებს. მე ამერიკულად შემჭერი, პედრო.”

ლინგვისტური ფორმების საოცრება. ტალიტა ღრმად ჩააფიქრა სიტყვებმა Genshiryoku, Kokunai, Jijo და ბოლოს გადაწყვიტა, რომ ეს ალბათ იაპონურად ნიშნავს ბირთვული კვლევების განვითარებას საზღვარგარეთ. უფრო და უფრო

რწმუნდება თავის სიმართლეში, როცა სიტყვებს წალმა-უკულმა ატრიალებს, ამ დროს კი მისი ქმარი,, თავის სამტვრევი მასალე-ბი რომ მოაქვს, თანაც საპარიკმახეროებში აკრეფილი, კიდევ ერთ ვარიანტს სთავაზობს, –Genshiryoku, Kaigai, Jijo, რაც ალ-ბათ უნდა ნიშნავდეს ბირთვული გამოკვლევების განვითარებას საზღვარგარეთ. ტალიტა დიდად აღაფრთოვანა თავისი ანალი-ზის შედეგებმა, რომ თურმე Kokunai – იაპონიას და Kaigai – საზღვარგარეთს ნიშნავს.

მაგრამ მღებავი მაცუი, ლასკანოს ქუჩის მცხოვრები, არ ეთანხმება ტალიტას პოლიგლოტურ მიგნებებს და, საბრალო, იძულებულია ენა დაიმოკლოს.

წაბილწვა: გარკვეული ვარაუდების საფუძვლებზე, – როგო-რიცაა ცნობილი სტრიქონი: „ქრისტეს საგრძნობი ჰომოსექსუა-ლობა“, – რომ აიგოს მთელი სისტემა, რომელიც ამ ვარაუდთა-ნაა დაკავშირებული და გამოითქვას მოსაზრება, თითქოს ბეთ-ჰოვენი კოპროფაგი იყო და ა.შ. დაიცვა სერ როჯერ კეიზმენტის უპირობო წმინდანობა, რასაც მოწმობს „The Black Diaries“[350]; კუკას გასაოცრად, რომელიც დარწმუნებულია და კიდევ იზიარებს ამ მოსაზრებას.

არსებითად, ეს ნიშნავს, რომ ტვინის გამორეცხვა პროფე-სიული ერთგულების შედეგად ხდება. ამაზე ჯერ კიდევ ეცინებათ (შეუძლებელია, რომ ატილა ვითომ მარკებს აგროვებდა), მაგ-რამ პრინციპი Arbeit macht frei[351] შედეგს გამოიღებს, დამი-ჯერეთ, კუკა. მაგალითად, ფანოს ეპისკოპოსზე ძალადობა ეს ის შემთხვევა იყო...

(-138)

სულ რამდენიმე გვერდის წაკითხვაც საკმარისი იყო, რომ მიმხვდარიყავით, მორელი სულ სხვა რამეს გულისხმობდა. მისი მინიშნებები Zeitgeist[352]–ის სიღრმისეულ ფენებზე, პასაჟი, სადაც მისი lo(gi)ca[353] იმით დასრულდა, რომ ფეხსაცმელის ზონრით დაიხრჩო თავი, რაკი არ ჰქონდა იმის ძალა, რომ უფარი ეთქვა კანონით გამოცხადებულ შეუსაბამობებზე, მოწმობდა ნაწარმოების სპელეოლოგიურ ჩანაფიქრზე. მორელი ხან წინ გაიჭრებოდა, ხან უკან დაიხევდა, და ერთიანად არღვევდა წონასწორობის კანონებსა და პრინციპებს, რომელთაც ის, სავარაუდოდ, ზნეობრივ სივრცეს დაარქმევდა და, ამდენად, ადვილი მოსალოდნელია (თუმცა კი ასეთი რამ არ მომხდარა, მაგრამ დარწმუნებით არ შეიძლება ითქვას, რომ არ მოხდება), რომ მოვლენები, რომელთაც ის აღწერს, ხუთი წუთი გაგრძელდა და მოიცვა პერიოდი აქციუმის ბრძოლიდან ავსტრიის ანშლუსამდე (ეს სამი „ა“ ასოთი დაწყებული სიტყვა, შესაძლებელია, გადამწყვეტი იყო, რომ ერთმანეთისთვის დაეკავშირებინა ეს ისტორიული მოვლენები), ან, ვთქვათ, ის კაცი, რომელიც რეკავდა ზარს კოჩაბამბას ქუჩაზე მდებარე ათას ორას ნომერ სახლში, როგორც კი ბღურბლზე გადააბიჯებდა, აღმოჩნდებოდა პომპეიში, მენანდრეს სახლის ეზოში. ეს ყველაფერი საკმაოდ ტრივიალური იყო და ბუნუელისებურიც, მაგრამ კლუბს არ გამოპარვია ამ ყველაფრის წამქეზებლური ღირებულება ან პარაბოლა სხვა უფრო ღრმა და უწმაწური ამრისთვის რომ იყო გახსნილი. ბაგირზე ასეთი ცეკვების წყალობით, რისი მსგავსიც ნათლადაა წარმოდგენილი სახარებაშიც, უპანიშადებშიც და სხვა შამანური ტრინიტოტოლოლით დახუნძლულ მატერიებშიც, მორელი სიამოვნებას პოულობდა გაეგრძელებინა თავისი საქმიანობა, რათა ისეთი ლიტერატურა შეექმნა, რომელიც მთელი თავისი არსით იქნებოდა ძირის გამოთხრა, დაცინვა, გაქიაქება. უცბად სიტყვები, მთელი ენა, სტილის მთელი ზედნაშენი, სემანტიკა, ფსიქოლოგია, ოსტატურად აწყობილი ნაგებობა ერთბაშად მიექანება შემზარავი ხარაკირისკენ. ბანზაი! ახალი წესრიგისკენ, ყოველგვარი გარანტიის გარეშე: ბოლოში კი ყოველთვის იყო გაჭიმული ძაფი – სადღაც, იქით, წიგნის მიღმა, მიმართული რაღაც „შესაძლებლისკენ“, „ვინ იცის, ეგებ“, რაც უეცრად შეგიქმნიდა თავდაყირა ჩამოკიდებული მდგომარეობის

შეგრძნებას და გაქვავებულ ხედვას ნაშრომის მიმართ. და ეს იყო, რაც სასოწარკვეთილებაში აგდებდა პერიკო რომეროს, კაცს, რომელსაც სჭირდებოდა სიზუსტე, სიამოვნებისგან ააცახცახებდა ოლივეირას, აღაგზნებდა ეტიენის წარმოსახვას, მაგას კი ფეხშიშველს ააცეკვებდა და ორივე ხელში თითო არტიშოკს დააჭერინებდა.

კალვადოსითა და თამბაქოთი გაჯერებული ხანგრძლივი კამათის დროს ეტიენსაც და ოლივეირასაც სულ აწუხებდა კითხვა, ასე რატომ სძულს მორელის ლიტერატურა და სძულს თვითონ ლიტერატურიდან გამომდინარე, იმის მაგივრად, რომ გაიმეოროს რემბოს „Exeunt“, ან საკუთარ მარცხენა საფეთქელზე გამოსცადოს კოლტ 32-ის ნაქები სიზუსტეო. ოლივეირა თავის მხრივ ფიქრობდა, რომ მორელი დააეჭვა ლიტერატურის დემონურმა ბუნებამ, საერთოდ ლიტერატურულმა შემოქმედებამ, (და მეტი რაღაა ლიტერატურა, თუნდაც ეს იყოს რაღაც აბების მსგავსი რამ, რითიც ვცლაპავთ ხოლმე gnosis, praxis, ან ethos[354] ბლომ-ბლომად და რაც სადღაც არის, ან შეიძლება გამოგონილია?) მას შემდეგ, რაც ზედმიწევნით გაარჩია ყველაზე გამაღიზიანებელი პასაჟები, მან ისევ იგრძნო ის განსაკუთრებული ტონი, რაც მორელის მთელ ნაწერებს დაჰყვებოდა.

ამ ტონის პირველი შეფასება იყო საგრძნობი იმედგაცრუება, თუმცა ამის მიღმა იგრძნობოდა ისიც, რომ ეს იმედგაცრუება არ ეხებოდა ვითარებებსა და მოვლენებს, რაზეც მოთხრობილია წიგნში, არამედ თხრობის მანერას, — მორელიმ ისე შენიღბა, როგორც შეეძლო — მაგრამ ეს იმედგაცრუება მთელ წიგნზე ვრცელდებოდა, ფსევდოკონფლიქტისა და ფორმის უგულვებელყოფა კი ჩანდა იმის მიხედვით, თუ როგორ იწყებდა მოხუცი ფორმის მასალის მხილებას, რითიც თავისებურად სარგებლობდა; რაკი დაეჭვდა შრომის იარაღში, ამასთანავე გააუქმა შრომის ნაყოფიც, რაც ამ იარაღით მოიპოვა.

ის, რასაც მოგვითხრობს წიგნი, არავის არაფერში გამოადგებოდა, არც არაფერი იყო მასში, რადგან ცუდად მოგვითხრობდა, რადგან უბრალოდ გვიამბობდა, ეს იყო ლიტერატურა და მეტი არაფერი.

კიდევ ერთი შემთხვევა, როცა ავტორს აღიზიანებდა თავისი-ვე ნაწერი და საერთოდ ნაწერი, ვისიც უნდა ყოფილიყო. აშკარად პარადოქსი იყო ის, რომ მორელი ახვავებდა გამოგონილ ეპიზოდებს, ქმნიდა ახალ ფორმებს და მათ გადასაწყვეტად ყველა საშუალებას იყენებდა; რაც კი მწერალს მოეპოვება, თუკი კარგად იცის თავისი საქმე. არ ჩანდა, რომ ის გვთავაზობდა ახალ თეორიას, არც არაფერი იყო ისეთი, რაც ინტელექტუალურ საზრდოდ და საფიქრებლად ღირდა, თუმცა ყველაფერში, რაც კი რამ დაეწერა, გაცილებით გარკვევით ჩანდა, ვიდრე რომელიმე მშრალ თეზისებსა თუ ანალიზებში, — რამდენად ღრმად ამ სამყაროს კოროზია, სიყალბე, რასაც იგი ამხელდა არა ნგრევისთვის, არამედ ქმნისთვის და ის ეშმაკისეული ირონია, რაც ჩანდა ზედმიწევნით გაბედულ ფრაგმენტებში და დახვეწილ ეპიზოდებში, მოჩვენებითი ლიტერატურული წარმატებით გამოწვეული ბედნიერების მიღმა — ამით მან უკვე რამდენი ხანია მოიპოვა სახელი მოთხრობისა და რომანების მკითხველთა შორის, დიდებულად ორკესტრირებული სამყარო ფაქიზ ყურს ვერაფრით აამებდა; მაგრამ აქედან იწყებოდა საიდუმლო, რამეთუ ამავე დროს საერთო ნიჰილიზმის წინათგრძნობა ნაშრომში, დაგვიანებული ინტუიცია ბადებდა იმის ეჭვს, რომ მორელის ჩანაფიქრი სულაც არ იყო ისეთი, რომ თვითგანადგურება, რაც წიგნის ყოველ ფრაგმენტში ჩანდა, ჰგავდა კეთილშობილი მეტალის ძებნას მთის ცარიელ ქანებში. აქ კი უნდა შევჩერდეთ, რომ კარები არ შეგვეშალოს და მეტისმეტი არ მოგვივიდეს. ყველაზე ცხარე კამათები ოლივეირასა და ეტიენს შორის სწორედ იმიტომ იმართებოდა, რომ ამის იმედი ჰქონდათ, რამეთუ მათ ყველაზე მეტად ეშინოდათ იმისი, რომ ცდებოდნენ და რომ ისინი ნამდვილი კრეტინებივით ჯიუტობდნენ და სჯეროდათ, რომ ბაბილონის გოდოლის აგება შესაძლებელია, თუნდაც არავის არაფერში არგებდეს ბოლოს და ბოლოს. დასავლეთის მორალი ამ წუთში მათ წარმოუდგებოდათ როგორც შუამავალი, რომელიც განსაზღვრავდა ერთიმეორეს მიყოლებით მთელ იმ ილუზიებს, რაც ოცდაათი საუკუნის მანძილზე, — რაკი მემკვიდრეობით ერგოთ, — უნდოდათ თუ არ უნდოდათ, მაინც შეითვისეს და შეირგეს. ძნელია უარი თქვა იმ რწმენაზე, რომ ყვავილი შეიძლება ლამაზი იყოს უბრალოდ ისე, არაფრისთვის; მწარეა იმის

აღიარება, რომ შეიძლება იცეკვო სრულ სიბნელეში. მორელის ილუზიები იმაზე, რომ შეიძლება შეიცვალოს ნიშნები საპირისპიროდ და სამყარო დაინახო სხვაში და სხვა განზომილებიდან, როგორც შემზადება უფრო წმინდა ხილვისთვის, (და ეს ყველაფერი ბრწყინვალედაა დაწერილი ერთ პასაჟში და ამავე დროს იბადება ეჭვი, რომ ქირქილებს, რომ ეს არის ცივი ირონია სარკის წინ), ამ მინიშნებებზე ისე ბრაზდებოდნენ, თითქოს რაღაც საიმედოს ჰპირდებოდნენ, რაღაც გამართლებას, მაგრამ ამავე დროს უარს ეუბნებოდნენ საერთოდ იმედზე, ეს კი იწვევდა გაუსაძლის ორჭოფობას, გაორებას. ერთი ნუგეშილა რჩებოდა, რომ მორელიც ამ გაორებით ცხოვრობდა, როცა თავისი ნაშრომის ორკესტრირებას ცდილობდა და მის პირველ და ნამდვილ წარდგენას საზოგადოების წინაშე უნდა მოჰყოლოდა სრული სიჩუმე. ასე განაგრძობდნენ ისინი ფურცელ-ფურცელ განხილვას, თან გმობდნენ და საყვედურებით ავსებდნენ, ხან აღტაცებას ვერ მალავდნენ, ხოლო მაგა ბოლოს მაინც კატასავით მოიკუნტებოდა სავარძელში, ამდენი მისთვის გაუგებარი მსჯელობით დაღლილი გასცქეროდა შიფერის სახურავებს მიღმა როგორ მოიწვედა გარიჟრაჟი სქელი ბოლის ქულებს შორის, ავსებდა ყველაფერს თვალეხსა და დახურულ ფანჯრებსა და ღამის ესოდენ ურგებ სიციხეს შორის.

(-60)

142

1. — არ ვიცი, როგორი იყო იგი, — თქვა რონალდმა. — და ვერც ვერასოდეს გავიგებთ. მარტო ის ვიცით, როგორ მოქმედებდა იგი სხვებზე. ჩვენ ვიყავით მისთვის ერთგვარი სარკეები, ან ის იყო ჩვენი სარკე. არ შემიძლია ამის ახსნა.

2. — მერე როგორი სულელი იყო, — თქვა ეტიენმა, — ნეტარ არიან სულელები და ა.შ. გეფიცებით, სერიოზულად ვამბობ, სე-

რიოზულად.

მე მაღიზიანებდა მისი სისულელე, ორასიო კი მარწმუნებდა, ეს მარტო ინფორმაციის უქონლობის გამო გეჩვენებო, მაგრამ ცდებოდა. კარგად მოგეხსენებათ, რა განსხვავებაა სისულელესა და უვიცობას შორის, ეს ყველამ კარგად იცის, გარდა სულელისა, მისდა საბედნიეროდ. მას სჯეროდა, რომ სწავლა-განათლება, ეს ყბადაღებული სწავლა-განათლება ჭკუას მოუმატებდა; ცოდნასა და გაგებას ერთმანეთში ურევდა. საბრალო, ბევრ ისეთ რამეში ისე კარგად ერკვეოდა, რაც ჩვენ იმიტომ ვერ გაგვიგია, რომ ბევრი რამე ვიცით.

3. — ნუ მიედ-მოედები, — თქვა რონალდმა, — ეს ყველაფერი ერთი დასტაა ურთიერთსაპირისპირო ცნებებისა. მე თუ მკითხავ, მისი სისულელე იმად ღირდა, რომ ის იყო როგორც მცენარე, როგორც ლოკოკინა, რაღაც იდუმალებასთან შეკრული. აბა, წარმოიდგინე, მას არ შეეძლო მარტო სახელის მიხედვით ერწმუნა, თითოთ უნდა შეხებოდა საგანს, რომ მერე დაეჯერებინა მისი არსებობა. ასე კი შორს ვერ წახვალ; ისე გამოდის, რომ ზურგი უნდა შეაქციო ყველაფერ დასავლურს, ყველა მათ სკოლას. ცუდია, როცა ცხოვრობ ქალაქში და როგორმე თავი უნდა გაიტანო. ეს იყო, რომ ღრღნიდა.

4. — დიახ, დიახ, სამაგიეროდ შეეძლო უსაზღვროდ ბედნიერად ცოფილიყო, ზოგჯერ ვუყურებდი ხოლმე და მშურდა მისი. თუნდაც ჭიქის ფორმა ვთქვათ. მეც სხვა რას ვეძებ ფერწერაში, მითხარით.

თავს ვიკლავთ, ვიტანჯებით, რა გზა უნდა გაიარო, რომ ბოლოს მიხვიდე იქამდე, სადაც არის ჩანგალი თუ ორიოდ ბეთისხილი. მთელი მარილი და სამყაროს ცენტრი აქ უნდა იყოს, სუფრის ამ ნაგლეჯზე.

ის კი მოდის და ამას გრძნობს. ერთხელ როცა ჩემთან სახელოსნოში მოვიდა, დავინახე, იმ სურათის წინ იდგა, დილით რომ დავასრულე.

ის ტიროდა, ისე ტიროდა, როგორც მხოლოდ მას შეეძლო ტირილი, მთელი სახით ტიროდა და სახეც თან საშინელი ჰქონდა და თან საოცარი. ის უყურებდა ჩემს სურათს და ტიროდა. მე ვერ გამოვიჩინე საკმაო კაცური გამბედაობა, რომ მეთქვა ამ დილას მეც ვტიროდი-მეთქი. ერთი წარმოიდგინე ეს როგორ დაამშვიდებდა, შენ ხომ მაინც იცი, რარიგად განიცდიდა ჩვენს შორის თავს არარაობად რომ წარმოიდგენდა, ჩვენს შორის, ბრწყინვალე თვალთმაქცებს შორის.

5. — რისთვის აღარ ტირიან, მიღვს რა გამოლევს, — თქვა რონალდმა, — ცრემლებით ვერაფერს დაამტკიცებ.

6. — ყოველ შემთხვევაში კონტაქტს მაინც დაამტკიცებ, რამდენი მინახავს სურათის წინ რომ მდგარა და ბრტყელ-ბრტყელი, ნასესხები, გაბეპირებული სიტყვებით შეუფასებია ნახატი, მთელი მათი შენიშვნები სულ ერთსა და იმავეს უტრიალებდა. იცი რა, იმ დონეს უნდა მიაღწიო, რომ შეძლო ორი რამის შეერთება. მე ვფიქრობ, ამას უკვე მივაღწიე, მაგრამ მე ხომ ერთი იმ მცირეთაგანი გახლავარ.

7. — მცირედნი არიან სწორედ ღირსნი ცათა სასუფეველისა, — თქვა რონალდმა, — ასეა თუ ისე, თავის ქება გამოდის.

6. — მე ვიცი, რომ ასეა, — თქვა ეტიენმა. — ასეა, ვიცი. მაგრამ მთელი ცხოვრება იმას შევალე, რომ ორი ხელი დამეკავშირებინა, მარცხენა გულთან, მარჯვენა კი ფუნჯთან და ტილოსთან. თავდაპირველად მეც სხვებივით ვუყურებდი რაფაელს და ვფიქრობდი პერუჯინოზე, ჩავაცივდი ლეონ ბატისტა ალბერტის, ვცდილობდი მათ შეერთება-დაკავშირებას, ერთი მხრივ პიკო, მეორე მხრივ ლორენცო ვალა, მაგრამ აბა დაუკვირდი, ბურკჰარდტი ამბობს, ბერენსონი უარყოფს, არგანს მიაჩნია, რომ ეს ლაჟვარდი სიენელებისაა, ეს პანო — მაზაჩოსგან მოდის. არ მახსოვს როდის იყო, მაგრამ რომში ვიყავი, ბარბერინის გალერეაში, ვაკვირდებოდი ანდრეა დელ სარტოს, როგორც იტყვიან, ვაანალიზებდი და უეცრად ვხედავ... ნუ მთხოვ, მაინც არაფერს აგიხსნი. მე დავინახე (და არა მთელი სურათი, მხოლოდ ერთი

დეტალი სიღრმეში, ბილიკზე — ფიგურა). თვალები ცრემლებით ამევსო, ეს არის და ეს, რაც შემოიძლია გითხრა.

5. — არც ეს ამტკიცებს რამეს, — თქვა რონალდმა. — ტირილის მიზეზი ბევრი რამაა.

4. — არც ღირს, რომ გიპასუხო. ის კი უფრო კარგად გაიგებდა ამას. სინამდვილეში ყველა ერთი გზით მივდივართ, ოღონდ ერთნი იწყებენ მარცხენა მხრიდან, მეორენი — მარჯვენა მხრიდან. ხანდახან შუა გზაში ვინმე უცბად დაინახავს მეტალის ნატებს, სუფრის ნაგლეჯს, ჭიქას, ჩანგალს, ზეთისხილს.

3. — ისევ სახეები, — თქვა რონალდმა, — სულ ერთი და იგივე.

2. — არ არსებობს სხვა გზა, რომ მიუახლოვდე დაკარგულს, გაუცხოებულს. ის ძალიან ახლოს მივიდა მასთან და იგრძნო. მისი ერთადერთი შეცდომა ის იყო, რომ უნდოდა მტკიცებულება, ეს სიახლოვე მთელ ჩვენს რიტორიკად ღირდა თუ არა. ამ მტკიცებულებას კი ვერაზინ მისცემდა, ჯერ ერთი იმიტომ, რომ ჩვენ თვითონ არ შეგვიძლია გავუგოთ მას, მეორეც იმიტომ, რომ ასეა თუ ისე, ჩვენ ყველა კარგად მოვეწყვეთ და კმაყოფილები ვართ ჩვენი კოლექტიური ცოდნით; ვიცით, რომ ლიტრეს წყალობით მშვიდად გვძინავს, რაკი ჩვენთვის ხელმისაწვდომია მთელი თავისი პასუხებით. და ეს ცხადია, და მარტო იმიტომაც, რომ არ ვიცით კითხვების დასმა, რაც ყველაფერს წაშლიდა ერთიანად. როცა მაგა გვეკითხებოდა, რატომ იმოსებიან ხეები გაზაფხულობითო... თუმცა უსარგებლოა, ძმაო, ჯობია გავჩუმდე.

1. — ჰო, ამ ყველაფრის ახსნა შეუძლებელია, — თქვა რონალდმა.

(-34)

დილდილაობით ჯერ ისევ ძილ-ბურანში რომ იყვნენ და მალევიდარას შემადრწუნებელი წკრიალიც კი ვერ გამოაფხიზლებდა, ისინი ერთმანეთს წვრილად უამბობდნენ სიზმრებს, რომლებიც ღამე ნახეს, თავი თავს მიდებული, ხელ-ფეხ გადაჭდობილები ცდილობდნენ ამქვეყნიური სიტყვებით გადაეცათ ერთმანეთისთვის ის, რაც ღამის სიბნელეში განიცადეს. ტრეველერს, ოლივეირას სიყრმის მეგობარს, ხიბლავდა ტალიტას სიზმრები, მისი მოკუმული თუ მომღიმარი ბაგე, მისი ჟესტები და წამოძახილები, — რაც კიდევ უფრო შთამბეჭდავს ხდიდა მის მონათხრობს, და მის გულუბრყვილო ვარაუდს სიზმარში ნანახის მიზგებებსა და მნიშვნელობაზე. მერე მას უნდა ეამბნა თავისი სიზმრები, მაგრამ ნახევარიც არ ჰქონდა ჯერ ნაამბობი, რომ თავისდაუნებურად იწყებდა მის მოფერებას და ეს ალერსი გადავიდოდა სიყვარულში, მერე ისევ ძილში და ბოლოს ყველგან იგვიანებდნენ.

ტალიტას რომ უსმენდა, მის ნამძინარევ დუდუნს, ხედავდა ბალიშზე გაშლილ მის თმას, ტრეველერს უკვირდა, როგორ შეიძლებოდა ეს ყველაფერი ასე ყოფილიყო; თითოთ ეხებოდა მის საფეთქელს, შუბლს ("და მაინც ჩემი და ჩემი დეიდა ირენე იყო, თუმცა დარწმუნებული კი არა ვარ") თითქოს ბარიერს ამოწმებდნენ, სულ ორიოდვე სანტიმეტრი რომ აშორებდა მის თავს ("და მე ვიყავი შიშველი ნამჯაში და გავყურებდი ლურჯ მდინარეს უზარმაზარ ტალღებად რომ წამოიძმართებოდა..."), მათ ეძინათ თავი-თავს მიდებული, ფიზიკურადაც, თითქმის ერთნაირი იყო მათი მოძრაობაც, მოქმედებაც, ერთი ჰქონდათ ბინა, ერთი ბალიში, იმავე სიბნელეში იწვნენ, იმავე მალვიდარას ტიკტიკი ესმოდათ, იგივე ქუჩა და ქალაქი იყო მათი სტიმული, იგივე იყო მაგნიტური გამოსხივებაც, იგივე ხარისხის ყავა, ერთნაირი იყო მათთვის ვარსკვლავების განლაგებაც, ღამეც ერთნაირი ჰქონდა ორივეს, გადაჭდობილებსაც ეძინათ, მაგრამ სიზმრებს კი სხვადასხვას ხედავდნენ და სხვადასხვანაირად განიცდიდნენ სხვადასხვა მოვლენებს და როცა ერთი იღიმოდა, მეორე დამფრთხალი გარბოდა და მასაც ისევ უნდა ჩაებარებინა გამოცდა ალგებრაში, ის კი ამ დროს ჩამოდიოდა თეთრ ქალაქში.

ტალიტას დილით ნაამბობ სიზმარში ჟღერდა ხან სიხარული, ხან სევდა, მაგრამ ტრეველერი მალულად მაინც ეძებდა შესატყვისობას.

როგორ შეიძლებოდა, რომ დღისით სულ ერთად იყვნენ, განუყრელად, ღამე გაიყრებოდნენ ხოლმე და ძილში კი გაუსაძლისად მართო რჩებოდა? ისეც მომხდარა, რომ ტალიტას სიზმარში ტრეველერი გამოჩნდებოდა ხოლმე, ტრეველერის კომპარებში ტალიტა მონაწილეობდა. მაგრამ მათ ეს არ იცოდნენ და ამიტომ უნდა ერთმანეთისთვის მოეყოლათ როცა გაიღვიძებდნენ: „ამ დროს შენ ხელი ხელში მტაცე და მეუბნები...“ და ტრეველერმა აღმოაჩინა, რომ იმ დროს, როცა ტალიტას სიზმარში მან ხელი სტაცა ხელში და ელაპარაკებოდა, თავის საკუთარ სიზმარში მას ეძინა ტალიტას საუკეთესო მეგობართან, ან ელაპარაკებოდა ცირკის „Les Estrellas“ დირექტორს, ან ცურავდა ლა პლატის ზღვაში. სხვის სიზმარში მოჩვენებასავით ყოფნა მას ამდაბლებდა სამუშაო მასალის დონემდე და თან არ ჰქონდა იმის შესაძლებლობაც კი, რომ დაენახა ეს ყველაფერი, უცხო ქალაქები, სადგურები და ქვის კიბეები, მთელი ეს ღამეული ხილვების მონაწილეები. სულ ახლოს მიუწევებოდა ხოლმე ტალიტას, თითებითა და ტუჩებით ეხებოდა მის სახეს და თავს, მაგრამ ტრეველერი მაინც გრძნობდა ბარიერს, დაუძლეველს, მანძილს გადაულახავს, რაც სიყვარულისთვისაც კი მიუწვდომელია. დიდხანს ელოდებოდა იგი სასწაულს და იმედი ჰქონდა, რომ ერთი მშვენიერი დილაც გათენდებოდა, როცა ტალიტა უამბობდა სიზმარს და მასაც თურმე იგივე ესიზმრა. ის ელოდებოდა ამას, უხმობდა, უხმობდა ყველა შესაძლებელ ანალოგიებს, ეძებდა მსგავსებას, რაც უცბადვე მიახვედრებდა.

მხოლოდ ერთადერთხელ იყო, თუმცა ტალიტას ამისთვის არანაირი მნიშვნელობა არ მიუცია, რომ ორივეს ერთნაირი სიზმრები ეზმანათ. ტალიტა უამბობდა იმაზე, თუ როგორ მივიდა სასტუმროში დედასთან ერთად და აუცილებლად უნდა მიეტანათ თავიანთი სკამები. აი, მაშინ გაახსენდა ტრეველერსაც თავისი სიზმარი: სასტუმრო, სადაც არ იყო სააბაზანო და იგი იძულებული გახდა გაევილო მთელი რკინიგზის სადგური და მო-

ექებნა, სად შეიძლებოდა დაეებანა. მან უთხრა: „თითქოს ერთნაირი სიზმრები გვინახავს, ვიყავით სასტუმროში, სადაც არც სკამები იყო და არც სააბაზანო“. ტალიტამ მხიარულად გაიცინა, უკვე ადგომის დრო იყო, სირცხვილია ასეთი გაზარმაცებო.

ტრეველერს მაინც სჯეროდა და იმედი ჰქონდა, მაგრამ ნელ-ნელა უფრო და უფრო ნაკლებად. სიზმრები ისევ ისე გრძელდებოდა, მაგრამ ორივეს თავისი სიზმარი ესიზმრებოდა. ისევ ისე იძინებდნენ თავი თავს მიდებულები, მაგრამ ერთისაც და მეორის თავშიც აიხდებოდა ხოლმე ფარდა სრულიად სხვა სცენაზე. ტრეველერი ირონიულად გაიფიქრებდა, რომ ისინი ჰგავდნენ კინოთეატრს ლავალიეს ქუჩაზე გვერდიგვერდ რომ იყო და იმედებიც შორს მოისროლა.

უკვე აღარც სჯეროდა, რომ მოხდებოდა ის, რასაც ასე ნატრობდა, მაგრამ ისიც იცოდა, რომ რწმენის გარეშე რაც მოსახდენია, ისიც არ მოხდებოდა, როცა რწმენა გაქვს, მაშინაც მუდამ ასეა.

(-100)

144

კეთილსურნელება, ორფეული ჰიმნები, მუშკი პირველი და მეორე მნიშვნელობით... აქ კი სარდლონიქსის სუნი მცემს. აქ — ქრიზოლოგისა, ცოტა მოიცადე, აქ — თითქოს ოხრახუშისა, ზამშის პალანტინის ნაკვეცებში თუ ჩაიკარგა პატარა ფოთოლი. აქ კი იწყება შენი სუნი. მართლა რა უცნაურია, რომ ქალი ვერ გრძნობს ისე თავის სუნს, როგორც მამაკაცი. სწორედ აქ, არ გაინძრე, თუ შეიძლება.

შენ გაქვს ღამის კრემის სუნი თამბაქოს ქოთანში რომ ჩადეს, აქ კი წყალმცენარეების სუნი მცემს, ეს ჩვეულებრივია, არც ღირს რაიმეს თქმა, მაგრამ წყალმცენარეებს სხვადასხვა სუნი

აქვს, მაგას ქორფა წყალმცენარეების სუნი ჰქონდა, ეს-ეს არის ტალღამ რომ გამორიყა. და ტალღის სუნი დაჰკრავდა. მაგრამ ისეთი დღეებიც იყო, როცა წყალმცენარეების სუნს შეერეოდა ხოლმე რაღაცა სხვა მძაფრი სუნიც და ამაში სხვა უნარს უნდა მოვუხმო — შეიძლება პალანტინმა შემაცდინა, ან ღამეულ სურვილს დავნებდი, შენი ბაგის გემო ენით მოვსინჯე ღამის სიბნელეში და ერთბაშად სუნი გაქრა, დარჩა მხოლოდ გემო, პირს რომ მითუთქავდა და ყველაფერი შთაინთქა სიბნელეში, the primeval darkness[355], ჩაინთქა იმ მორევში, როცა ყველაზე მეტად გრძნობ სიახლოვეს ცხოველთან, წარმოგიდგება სახეები, რაც აგვირგვინებს ყოფიერების დასაბამსა და დასასრულს, უცხად ათრთოლდება ალღებარანი, იფეთქებს გენები და თანავარსკვლავედები, შეერთდება ალფა და ომეგა, ათასწლეულები, არმაგედონი, ტერამიციანი, ოჰ, დადუმდი, ნუ მიისწრაფვი იქ, მაღლა, შენ იქ უარესად შესაბრალისი იქნები დაბინდულ სარკეში არეკლილივით. რაოდენი სიჩუმეა შენი კანი, რა უფსკრულია, სადაც ზურმუხტის კოჭები ტრიალებს, სადაც არიან კოლოები და ფენიქსები და კრატერები...

(-92)

145

მორელიანა

ციტატა:

ასეთია, მაშასადამე, ჩემი ფუძემდებლური, მთავარი და ფილოსოფიური არგუმენტები, რამაც მიბიძგა ეს ნაწარმოები ამეგო ცალკეული ნაწილების საფუძველზე, იმ კონცეფციის გათვალისწინებით, რომლის მიხედვითაც ნაწარმოები განიხილება მთლიანი შემოქმედების ნაწილად და ადამიანი განიხილება

როგორც სულისა და სხეულის ნაწილების შერწყმა. მაშინ როცა მე მთლიანად კაცობრიობას განვიხილავ როგორც ცალკეული ნაწილების შერწყმას.

მაგრამ თუ ვინმე შემედავება, რომ ჩემი ეს ნაწილების კონცეფცია სინამდვილეში არანაირი კონცეფცია არ არისო, არამედ ესაა დაცინვა, მასხრად აგდება, სულელური ოინი და სიცრუე, და რომ მე იმის მაგივრად რომ დავიცვა ხელოვნების წესები და კანონები, ვცდილობ გვერდი ავუარო მას უპასუხისმგებლო გამოხდომებითა და დაცინვით, თუ ქირქილით, მე ვუპასუხებ, დიახ, მართლაც ასეთია ჩემი განზრახვა. და ღვთის გულისათვის უცოყმანოდ ვაღიარებ, მინდა რომ თავი შორს დავიჭირო თქვენი ხელოვნებისგან, ბატონებო, ისევე როგორც თვითონ თქვენგან, რამეთუ ვერ გიტანთ მაგ თქვენი ხელოვნებიანად, თქვენი კონცეფციებიანად, ვერ ვიტან თქვენს არტისტულ მოღვაწეობას და მთელ თქვენს არტისტულ გარემოს!

გომბროვიჩი, ფერდიდურკე, თავი IV წინასიტყვაობა, „ფილიდორი ბავშვის სახით“.

(-122)

146

წერილი „ობსერვერს“:

პატივცემულო სენიორ:

რომელიმე თქვენმა მკითხველმა აღნიშნა თუ არა პეპლების სიმცირე ამ წელს? ჩვენს მხარეში, რომელიც ჩვეულებრივად

განთქმული იყო პეპლების სიმრავლით, თითქმის აღარ მინახავს, გარდა კომბოსტოს მატლების ორიოდ გუნდისა. მარტის თვიდან მოყოლებული დღემდე, მარტო ერთ ჭრელურას მოვკარი თვალი, არანაირი ხავერდულა, სულ რამდენიმე ცისფერა, ერთიც კუელონია, არც ერთი ფარშევანგისთვალა, არც ერთი ლენტურა, არც ერთი წითელი ადმირალი არ გამოჩენილა, როცა ჩემი ბალი შარშან ზაფხულში სავსე იყო პეპლებით.

გეკითხებით, ეს საყოველთაო მოვლენაა თუ არა, თუ ასეა, მაშინ რითია გამოწვეული?

მ. უოშბორნი.

პიჩკომბი, გლოსი.

(-29)

147

რატომ დავშორდით ღმერთს ასე? ეგებ იმიტომ, რომ შეკითხვები გვაქვს?

მერე რა მოხდა? ადამიანი ხომ ის ცხოველია, რომელსაც სულ აწუხებს კითხვები? იმ დღიდან, როცა ნამდვილად ვისწავლით კითხვების დასმას, დიალოგიც მაშინ დაიწყება. ამასობაში კი პასუხები ვისრისტეხით გარბიან კითხვებისგან. რა ეპიფანიას უნდა ველოდეთ, როცა ყველაზე ყალბ თავისუფლებაში ვეფლობით? იუდეურ-ქრისტიანულ დიალექტიკაში ვიძირებით? ჩვენ გვაკლია სიმართლის *Novum organum*[356], უნდა გავაღოთ ფანჯრები და ყველაფერი გადავყაროთ ქუჩაში, ფანჯარაც მოვისროლოთ და ჩვენც მას მივყვეთ, ან უნდა დავიხოცოთ, ან არადა თავპირისმტვრევით გავცვივდეთ აქედან. ეს უნდა შევას-

რულოთ, რაც არ უნდა იყოს, მთელი გამბედაობა მოვიკრიბოთ, შუა დღესასწაულზე შევცვივდეთ და სახლის პატრონს, ბრწყინვალე ქალბატონს, ერთი ლამაზი, მწვანე გომბეშო დავასვათ თავზე, ეს იქნება ღამის საჩუქარი, მერე კი უშიშრად ვუყუროთ ლაქიების შურისძიებას.

(-31)

148

გაბიო ბასო გვთავაზობს სიტყვა „პერსონა“—ს ეტიმოლოგიურ განმარტებას.

ჩემი აზრით, მეტად ბრძნულ და მახვილგონივრულ განმარტებას გვთავაზობს გაბიო ბასო თავის ტრაქტატში „სიტყვათა წარმოქმნისათვის“, როცა სიტყვა „პერსონა“—ს განმარტავს როგორც ნიღაბს.

მას მიაჩნია, რომ ეს სიტყვა წარმოიქმნა ზმნიდან *personare* — შენახვა, დაცვა, შეკავება. და აი, როგორ გვიხსნის თავის მოსაზრებას:

„ნიღაბი სახეს მთლიანად არ ფარავს, რადგან მას აქვს ხვრელი პირის ადგილზე, საიდანაც უნდა გამოვიდეს ხმა, ასე კი ხმა არ იფანტება სხვადასხვა მიმართულებით, არამედ ხვრელიდან გამოდის პირდაპირ, ერთგვარად იკუმშება, იზღუდება და იძენს მაღალ და ღრმა ჟღერადობას. ადამიანის ხმას სწორედ ნიღაბი აძლევს უფრო მეტ ჟღერადობას და ვიბრაციას უნარჩუნებს, ამიტომ უწოდეს *Persona*, და ამ სიტყვის ფორმის მიხედვით ბგერა „0“ გრძელდება.

აულიო გელიო, ატიკური ღამეები

(-42)

ამ ქუჩაზე კი მივაბიჯებ
 მაგრამ ხმა ისმის
 სულ სხვა ქუჩაზე
 და იქ მესმის ჩემი ფეხის ხმა
 ქუჩაში,
 სადაც
 ნამდვილია მხოლოდ ნისლი.

ოქტავიო პასი

(-54)

ხეიბრები.

იორკის საგრაფოს საავადმყოფოდან გვაცნობებენ, რომ
 ჰერცოგ გრაფტონის ქვრივმა, რომელმაც გასულ კვირას ფეხი
 მოიტეხა, გუშინდელი დღე საკმაოდ კარგად გაატარა.

„სანდი თაიმსი“, ლონდონი.

(-95)

151

მორელიანა

საკმარისია შეუიარაღებელი თვალთ ერთი წუთი უყუროთ კატის ან ბუზის ქცევას, რომ იგრძნოთ ის ახალი ხედვა, რისკენაც მიისწრაფვის მეცნიერება, ეს დეანთროპომორფიზაცია, რასაც ასე დაბეჯითებით გვთავაზობენ ბიოლოგები და ფიზიკოსები, როგორც ერთადერთ შესაძლებლობას, ისეთ მოვლენებთან დაკავშირების მიზნით, როგორცაა ინსტინქტი ან მცენარეული ცხოვრება, და რაც სხვა არაფერია, თუ არა წარსულში გაწყვეტილი და დაკარგული დაუჩინებელი მოწოდება, რაც ისმის ბუდიზმის, ვედანტას, სუფიზმის, დასავლეთის მისტიკის ბოგიერთ დებულებაში, დაბეჯითებით მოითხოვს ჩვენგან ერთხელ და სამუდამოდ უარი ვთქვათ სიკვდილის იდეაზე.

(-152)

152

მაცდური ცნობიერება

სახლი, სადაც ვცხოვრობ, ყველაფრით ჰგავს ჩემსას: ოთახების განლაგება გინდათ, სუნი დერეფანში, ავეჯი, თუ როგორ შემოდის ფანჯარაში დილის მზის სხივები ირიბად, როგორ განელდება ხოლმე ნაშუადღევს და მიმქრალდება საღამოხანს; ყვე-

ლაფერი ერთმანეთს ჰგავს — ბილიკები და ხეები ბაღში, ნახევრად მორყეული ჭიშკარი და მოკირწყლული ეზო.

წარსულის საათებიც და წუთებიც კი ასევე ჰგავს ჩემი ახლანდელი ცხოვრების საათებსა და წუთებს. ამ წუთებშიც, როცა ამაზე ვფიქრობ და დრო კი გარბის, ვიტყვი ხოლმე: „მართლა როგორ ჰგავს. მართლაც როგორ ჰგავს ის საათები ახლანდელს, ამ წუთებს, ჩემს ახლანდელ ყოფას!”

ჩემი მხრივ, თუმცა კი ჩემს სახლში გავაქრე ყველაფერი, რაც კი გამოსახულებას ირეკლავდა, მაგრამ ფანჯრის მინას ხომ ვერაფერს უზამ და როცა ჩემს გამოსახულებას მაინც მოვკრავ ხოლმე თვალს, მე ვხედავ სახეს, რომელიც ძალიან მგავს. დიახ, ძალიან მგავს, ვაღიარებ!

თუმცა ნურავინ ეცდება დამიმტკიცოს, რომ ეს მე ვარ! მოკლედ ასეა! აქ ყველაფერი ყალბია. როცა მე დამიბრუნებენ ჩემს სახლს და ჩემს ცხოვრებას, მაშინ მეც დავიბრუნებ ჩემს ნამდვილ სახეს.

ჟან ტარდიე

(-143)

153

— ნამდვილი ბუნოსაირესელი ხართ, თუ ასე დაიწყებთ თვლების ცეცებას, კაი თაფლა ცხენსაც მოგართმევენ.

— მეც არ დავიწყებ.

— კარგს იზამთ.

კამბასერესი, სენტიმენტალური მუსიკა.

(-19)

154

ასე იყო თუ ისე, მათ მაინც შედგეს ფეხი ლინოლეუმის იატაკზე, შევიდნენ თუ არა, მაშინვე ცხვირში ეცათ მძაფრი, მოტკბო-მომწარო სუნი, საწოლზე იჯდა მოხუცი, თავით ორი ბალიში კი ჰქონდა ამოდებული, მაგრამ მოკაუჭებული ცხვირით თითქოს ჰაერს ებღაუჭებოდა, რომ მოხუცს ცოტა ხანს მაინც გაეძლო მჯდომარე მდგომარეობაში.

მიტკალივით გაფითრებული და თვალეზრაცენილი მომაკვდავს ჰგავდა. ტემპერატურის აღრიცხვის ფურცელზე მეტად უცნაური ზიგზაგი იყო გამოსახული. ამით მაინც რატომ იწუხებდნენ თავს?

ისინი ლაპარაკობდნენ, ოღონდ კი რაიმე ეთქვათ, არგენტინელი მეგობარი შემთხვევით შეესწრო უბედურ შემთხვევას, ფრანგი მეგობარი კი მგონი მხატვარი-მანჩისტია, განურჩევლად ყველა საავადმყოფო ნამდვილი საღორეაო. დიახ, მორელი მწერალია.

— შეუძლებელია, — თქვა ეტიენმა.

რატომ არის შეუძლებელი? მთელი ტირაჟი ისე წავიდა, როგორც წყალში ქვა ჩააგდო, მორელიმ თავიც არ შეიწუხა ეთქვა, რომ სულ გაიყიდა (და გააჩუქა) ოთხასი ეგზემპლარი. ჰო, ორი კიდევ ახალ ბელანდიაში, გულისამაჩუყებელი სიზუსტეა.

ოლივეირამ აკანკალებული ხელით ამოიღო სიგარეტი და მედდას შეხედა, მან თავი დაუქნია თანხმობის ნიშნად და გავიდა, ისინი დარჩნენ ორ გაყვითლებულ შირმას შორის, ჩამოს-

ხდნენ საწოლის ბოლოში, მას მერე, რაც აკრიფეს მიმოფანტული რვეულები და ქალაქის გრაგნილები.

— ჩვენ რომ გაზეთში მაინც გვენახა ცნობა, რომ... — თქვა ეტიენმა. — გავიდა „ფიგაროში“, — თქვა მორელიმ, — მაგრამ იმ საზიზღარ თოვლის კაცზე ცნობის ქვეშ იყო.

— რას წარმოვიდგენდი, — ჩაილაპარაკა ოლივეირამ, — მაგრამ, მეორე მხრივ, ეგებ ასე ჯობდა, თორემ მოცვივდებოდნენ სქელგავიანი ბებრები ავტოგრაფებისთვის იმ თავიანთი ალბომებით და შინ დამზადებული ჟელეს ქილებით.

— რევანდის ჟელეს, — თქვა მორელიმ — უგემრიელესი რამაა. ალბათ კარგიცაა თუ არ მოვლენ.

— რაც ჩვენ შეგვეხება, — თქვა მართლაც შეწუხებულმა ოლივეირამ, — თუკი ჩვენც თავს გაბებრებთ, ნუ მოგერიდებათ, გვითხარით.

სხვა დროსაც შეგვიძლია მოვიდეთ. ალბათ გაგვიგებთ.

— თქვენ ჩემთან ისე მოხვედით, რომ არც კი იცოდით ვინ ვიყავი.

ამიტომ, ვფიქრობ, ურიგო არ იქნება ცოტა ხანს დარჩეთ. პალატა წყნარია, ყველაზე დიდი მყვირალა წუხელ ორ საათზე დადუმდა. ეს შირმებიც მშვენიერია, ამაზე თვითონ ექიმმა იბრუნა, როცა დამინახა, რომ ვწერდი. თუმცა კი ამიკრძალა მუშაობა, მაგრამ რაკი დადგეს, უკვე არავინ მაწუხებს.

— შინ როდის დაბრუნდებით?

— არასოდეს, — თქვა მორელიმ, — ჩემი ძვლები აქ დარჩება, ბიჭებო. — რა სისულელეა, — მორიდებით თქვა ეტიენმა.

— დროის საკითხია. თუმცა თავს კარგად კი ვგრძნობ, თან არც მეკარე მაწუხებს, არავის მოაქვს წერილები, ახალი გელანდიდანაც კი, მერედა რა ლამაზი მარკები აქვთ. როცა

მკვდრადშობილი წიგნი გამოქვეყნდება ხოლმე, ერთადერთი შედეგი ისაა, რომ ამას მოჰყვება არცთუ ბევრი, მაგრამ ერთგული კორესპონდენტები. სენიორა ახალი ზელანდიიდან, ბიჭი შეფილდიდან, ფრანკმასონური ორგანიზაციის წევრები, რომლებიც დიდ კმაყოფილებას გამოთქვამენ იმის გამო, რომ ცოტანი მონაწილეობენ ამ წამოწყებაში. თუმცა ახლა მართლაც...

— აზრადაც არ მომსვლია, რომ თქვენთვის მომეწერა, — თქვა ოლივეირამ, — ჩემი მეგობრები და მეც ვიცნობთ თქვენს შემოქმედებას და ისეთი წარმოგვიდგენია... თავს არ შეგაწყენთ ზედმეტი ლაპარაკით, დარწმუნებული ვარ გაგვიგებთ. სიმართლეს გეტყვით, მთელი ღამეები გვიკამათია და გვიმსჯელია თქვენზე, მაგრამ იმაზე არავის გვიფიქრია, რომ შეიძლება პარიზში ყოფილიყავით.

— შარშანდღამდე ვიერზონში ვცხოვრობდი. პარიზში იმიტომ ჩამოვედი, რომ ბიბლიოთეკებში რაღაც-რაღაცები მომეჩხრიკა.

ცხადია, ვიერზონში... გამომცემელს ნაბრძანები ჰქონდა, არავისთვის მიეცა ჩემი მისამართი. ისიც კი არ ვიცი, როგორ მომაგნეს ჩემმა მცირერიცხოვანმა თაყვანისმცემლებმა. ძალიან მტკივა ზურგი, ბიჭებო.

— იქნებ გინდათ, რომ წავიდეთ, — თქვა ეტიენმა — ჩვენ ხვალაც შეგვიძლია მოვიდეთ.

— უთქვენოდაც მეტკინებოდა, — თქვა მორელიმ. — მოდი, მოვწიოთ, ვისარგებლოთ შემთხვევით, რადგან მე ამიკრძალებს.

უნდა გვეცადა ისეთი ენა გამოგვენახა, ლიტერატურული რომ არ ყოფილიყო.

როცა მედღამ გაიარა, მორელიმ ეშმაკურად დამალა ნამწვი და ისე შეხედა ოლივეირას, გეგონებოდათ პატარა ბიჭია მოხუცივით გამოწყობილი, ერთი სიამოვნება კი იყო მისი ყურება.

..... ეზრა პაუნდის ძირითადი იდეებიდან გამომდინარე, ოლონდ პედანტიზმისა და უმნიშვნელო სიმბოლოებისა და მნიშვნე-

ლოვანის ერთმანეთში არევ-დარევის გარეშე.

ოცდათვრამეტი და ორი. ოცდაჩვიდმეტი და ხუთი. ოცდათვრამეტი და სამი. რენტგენი (გაურკვეველია).

..და გვეცოდინება, რომ ძალიან ცოტას შეეძლო მიახლოებოდა ამ მცდელობას, როცა არ სჯეროდა ამ ახალი ლიტერატურული თამაშისა. Benissimo[357]. სამწუხარო ის არის, რომ ბევრი რამ აკლდა კიდევ, ის კი ისე კვდება, რომ ვერ ამთავრებს თამაშს.

— ოცდამეხუთე პარტია, შავები ნებდებიან, — თქვა მორელიმ და თავი უკან გადააგდო. და უცბად მთლად ჩაჩანაკი გამოჩნდა. — არადა სამწუხაროა, პარტია ისე კარგად მიდიოდა. მართალია, რომ არსებობს ინდიელების ჭადრაკი, რომელსაც აქვს სამოც-სამოცი ფიგურა ორივე მხარეს?

— შესაძლებელია, — თქვა ოლივეირამ, — უსასრულო პარტია.

— იგებს ის, ვინც დაიპყრობს ცენტრს, იქ მას ყველა შესაძლებლობა ექნება და მოწინააღმდეგემ თამაშის გაგრძელება კიდევ რომ მოინდომოს, აზრიც აღარ აქვს. მაგრამ ცენტრი შეიძლება იყოს სადმე განაპირა უჯრედში, ან სულაც დაფის გარეთ.

— ან ჟილეტის ჯიბეშიც კი.

— ისევ სახეები, — თქვა მორელიმ, — ძნელია მათ გვერდი აუარო, ისეთი მომხიბლავები არიან. ნამდვილი გონების ქალები, რარიგად მინდოდა უკეთესად გამეგო მალარმე, მისი „არყოფნისა“ და „დუმილის“ ცნებები, რაც უბრალოდ უკიდურესი საშუალება კი არ არის, არამედ მეტაფიზიკური *impasse*[358]. ერთ დღეს ხერეს დე ლა ფრონტერაში გავიგონე ზარბაზნის გასროლის ხმა ოციოდე მეტრის დაშორებით ჩემგან და მაშინ აღმოვაჩინე სიჩუმის კიდევ ერთი აზრი. ძალღებს კი ესმით ეს ხმა, რაც ჩვენი ყურისთვის გაუგებარი სტვენაა...

მგონი თქვენ მხატვარი ხართ.

ხელები თავისთავად მოძრაობდნენ, აგროვებდნენ სათითაოდ ფურცლებს, ასწორებდნენ დაჭმუჭნულ რვეულებს, ხანდახან მორელი შეუჩერებელივ რომ ლაპარაკობდა, თვალს გადაავლებდა ხოლმე რომელიმე ფურცელს და უკვე სამაგრიტ შეკრულ დასტაში ჩადებდა.

ერთხელ თუ ორჯერ პიჟამის ჯიბიდან ფანქარიც ამოიღო და ფურცელი დანომრა.

– თქვენ კი მგონი წერთ.

– არა, – თქვა ოლივეირამ, – იმისთვის რომ წერო, ყოველ შემთხვევაში იმაში მაინც უნდა იყო დარწმუნებული, რომ იცხობრე.

– არსებობა უსწრებს არსს, – თქვა მორელიმ ღიმილით.

– თუ გნებავთ, მაგრამ ჩემ შემთხვევაში არც სულ ასეა.

– თქვენ დაილაღეთ, – თქვა ეტიენმა, – წავიდეთ, ორასიო, თორემ შენ თუ დაიწყე ლაპარაკი... მე მას ვიცნობ, სენიორ, ისეთი საშინელია. მორელი კი სულ იღიმებოდა, აგროვებდა ფურცლებს, გადახედავდა, რაღაცას იპოვიდა, ადარებდა. იგი ცოტა ქვევით ჩამოცურდა, რომ უფრო მოხერხებულად დაედო თავი ბალიშზე. ოლივეირა წამოდგა.

– ეს ჩემი ბინის გასაღებია, – თქვა მორელიმ, – ნამდვილად მოხარული ვიქნებოდი.

– ჩვენ იქ შეიძლება ყველაფერი თავდაყირა დავაყენოთ, – თქვა ოლივეირამ.

– არა, არც ისე გაგიძნელდებათ, როგორც გგონიათ, ამაში ხელს შევიწყობთ საქალაღდეები, რადგან მე ჩემი სისტემა მაქვს და ფერების, ციფრებისა და ასოების მიხედვით მაქვს დალაგებული. ერთი გადახედვაც საკმარისია, რომ მაშინვე მიხვდეთ. მაგალითად, ეს ჩანაწერები ლურჯ საქალაღდეში წავა, ის კი იქ დევს, რასაც მე ზღვას ვუწოდებ, მაგრამ ეს უბრალოდ გასართო-

ბივითაა, რომ ადვილად გაიგოთ, რა რისთვისაა. ნომერი 52: უბრალოდ თავის ადგილზე უნდა დადოთ, 51—სა და 53—ს შორის. არაბული ციფრებითაა დანომრილი.

ეს ხომ უადვილესია მთელ დედამიწაზე.

— მაგრამ ამას ხომ თქვენ თვითონაც გააკეთებთ რამდენიმე დღეში, — თქვა ეტიენმა.

— ცუდად მძინავს. მეც თითქოს საქალაქიდან ამოვარდნილივით ვარ. დამეხმარეთ, რაკი უკვე მოხვედით ჩემ სანახავად. ეს ყველაფერი თავთავის ადგილზე დააწყვეთ და მეც კარგად ვიგრძნობ აქ თავს. ეს საავადმყოფო საშინელია.

ეტიენმა შეხედა ოლივეირას და ოლივეირამ კი მას და ა.შ. გაკვირვება სრულიად გასაგებია. ეს დაუმსახურებელი პატივია.

— მერე შეკრავთ და გაუგზავნით პაკუს, ავგანგარდისტული ლიტერატურის გამომცემელს, არბრ სეკის ქუჩაზე. თქვენ იცით, რომ პაკუ ჰერმესის აქადური სახელია? ყოველთვის მეგონა, რომ... თუმცა ამაზე სხვა დროს ვილაპარაკოთ.

— ვაითუ ყველაფერი ისე ავურ-დავურიოთ, — თქვა ოლივეირამ, — მერე რომ ველარავინ ვერაფერი გაარკვიოს. პირველ ტომში ისეთ საშინელ სირთულეებს გადავაწყდით, რომ მე და ის საათობით ვკამათობდით, ისიც კი ვიფიქრეთ, ეგებ ბეჭდვის დროს დაშვებული შეცდომებიანო.

— ამას არა აქვს მნიშვნელობა, — თქვა მორელიმ, — ჩემი წიგნის წაკითხვა ყველას ისე შეუძლია, როგორც მოეწონება. Libe Fulguralis[359], მანტიკური ფურცლები, ასე და ამგვარად. მე ისე დავალაგე, როგორც მე მომეწონებოდა, ისე წამეკითხა. თუ ყველაფერი მაინც აირ-დაირევა, კიდევ უფრო კარგი იქნება, შეიძლება, ასე უკეთესი წიგნი გამოვიდეს. ეს იქნება ჰერმეს-პაკუს, სატყუარებისა და სხვა ხრიკების ფრთოსანი ოსტატის ოინი. არ მოგწონთ ეს სიტყვები?

— არა, — თქვა ოლივეირამ. — არც სატყუარა და არც ხრიკების ოსტატი. მე მგონია უკვე საკმაოდ გაცვეთილია.

— ფრთხილად, — თქვა მორელიმ და თვალები მოლულა. — ჩვენ ყველა სიწმინდისკენ მივილტვივით, წელეებზე ფეხს ვიდგამთ, რომ როგორმე დავცალოთ ძველი ამჟავებული რუმბები. ერთხელ ხოსე ბერგამინი კინაღამ უსულოდ დაეცა, როცა მე მთლიანად გადმოვატრიალე მისი ორი ფურცელი და ვუმტკიცებდი, რომ... ამიტომ ფრთხილად იყავით, მეგობრებო, თორემ ის, რასაც ჩვენ სიწმინდეს ვუწოდებთ...

— მალევიჩის კვადრატია, — თქვა ეტიენმა.

— Ecco[360]. ასე ვთქვათ, ჰერმესზეც უნდა ვიფიქროთ, ცოტა ისიც გაერთოს. წაიღეთ, მოაწესრიგეთ ეს ყველაფერი, რაკი მოხვედით ჩემ სანახავად. ეგებ მეც შევძლო და გამოვალწიო აქედან და თვითონ გადავავლო თვალი.

— ხვალ კიდევ მოვალთ, თუ თქვენ ინებებთ.

— კარგი, მაგრამ ხვალისთვის კიდევ რამეს დავწერ. მე თქვენ გაგაგიჟებთ, კარგად დაფიქრდით. მომეცით ერთი თქვენი გალუაზი.

ეტიენმა კოლოფი მიაწოდა. ოლივეირას ხელში ეჭირა გასაღები და არ იცოდა რა ეთქვა. ეს ყველაფერი შეცდომაა, ეს დღეს არ უნდა მომხდარიყო, ეს საზიზღარი პარტიაა სამოც ფიგურიან ჭადრაკის დაფაზე, უსარგებლო სიხარულის განცდა ამ საშინელი მწუხარების ჟამს, ამაზე ისე უნდა აექნია ხელი, როგორც ბუმს ავუქნევთ ხოლმე, და აერჩია სევდა, მაშინ, როცა ერთადერთი, რაც ხელში ეჭირა, ეს გასაღები იყო სიხარულისკენ, ერთი ნაბიჯი იქამდე, რაც აღტაცებას ჰვვრიდა, რაც სჭირდებოდა გასაღები, რომელიც გააღებდა მორელის კარებს, მორელის სამყაროს კარებს და ამ სიხარულში იგრძნობდა თავს როგორც სევდიანსა და ტუტყყიანს, დაღლილი კანითა და დაჩირქებული თვალებით, უძილო ღამის სუნით და დანაშაულით, რომ ვიღაც აღარ არის და ჯერ არ დამდგარიყო დრო, რომ გაეგო, კარგად

მოიქცა, თუ არ მოიქცა მთელი ამ დღეების მანძილზე, როცა ეს-
მოდა მაგას სლუკუნი, ჭერში კაკუნი, ითმენდა ცივ წვიმას, სახე-
ში რომ სცემდა, უყურებდა გარიჟრაჟს პონ მარის თავზე,
გრძნობდა ღვინისა და კანიას ერთმანეთში არეულ სიმწარეს,
მერე ისევ კანიას და არყის გემოს, მერე ჯიბეში მოსინჯავდა
ხელს, მაგრამ არა საკუთარს, არამედ როკამადურის ხელს, ღა-
მის ნაგლეჯს, დანერწყვილ, ერთიანად სველ ჩვრებში გახვე-
ულს, — როგორ იგვიანებს სიხარული, ან ეგებ მეტისმეტად ადრე
დადგა (ერთი ნუგეში: შეიძლება ადრეც დადგა, მაინც დაუმსახუ-
რებელი, ესე იგი შესაძლოა, vielleicht, maybe, forse, peut-être,
აჰ, სიბინძურე, სიბინძურე, ხვალამდე, მაესტრო, სიბინძურე სი-
ბინძურე, უსასრულო სიბინძურე, დიახ, სტუმრობის საათი, სი-
ბინძურე ყველგან, ყველაფერი დაბინძურებულია სახეც, სამყა-
როც, სიბინძურის სამყარო, ჩვენ მას მივართმევთ ხილს, არქი-
სიბინძურეს და კონტრასიბინძურეს, სუპერსიბინძურეს, ინფრა-
სიბინძურეს, dans cet hôpital Laennec découvert
l'auscultation[361] და შეიძლება კიდევ... გასაღები, გამოუთქმე-
ლი სახე, გასაღები. ეგებ მაინც მირჩევნია ქუჩაში გავიდე, როცა
ჯიბეში მიდევს გასაღები.

ასე ჯობია მაინც, მორელის გასაღები, ერთი გადატრიალება
და შეხვალ სხვაგან, შეიძლება მაინც.

— არსებითად ეს არის სიკვდილის შემდგომი შეხვედრა, ერ-
თი დღით ადრე თუ ერთი დღით გვიან, — თქვა ეტიენმა კაფეში.

— მორჩა, — თქვა ოლივეირამ, — ძალიან ცუდია, რომ ასეთ
გუნებაზე დადექი, რა გაეწყობა. შეატყობინე რონალდსა და პე-
რიკოს, შევხვდებით ათ საათზე მოხუცის სახლში.

— ცუდი დროა, — თქვა ეტიენმა, — მეკარე არ შეგვიშვებს.

ოლივეირამ გასაღები ამოიღო, მზის შუქზე შეატრიალ-შემო-
ატრიალა და მიაწოდა ეტიენს ისე, თითქოს გასაღებთან ერთად
აბარებდა ქალაქსაც.

კაცი ვერ დაიჯერებს, რა ხარახურა შეიძლება ამოიღო შარვლის ჯიბიდან, ბუმბული, საათი, გაზეთის ნაგლეჯი, დაფხვნილი ასპირინი, ჩაიყოფ ჯიბეში ხელს ცხვირსახოცის ამოსაღებად და ამოჰყვება მკვდარი თაგვი, ესეც კი სრულიად მოსალოდნელია. მიდიხარ ეტიენთან შესახვედრად მაშინ, როცა ჯერ კიდევ არ გამოსულხარ სიზმრად ნანახი აკვნესებული პურის შთაბეჭდილებიდან და კიდევ მეორე სიზმრიდან, რომელიც მოულოდნელად გაახსენდა, უცბად ქუჩაში უბედურ შემთხვევას რომ გადაეყრები ისე, – ვერაფერს გააწყობ, ოლივეირამ ჯიბეში ხელი ჩაიყო, ყავისფერი ველვეტის შარვლის ჯიბეში, სწორედ რასპაისა და მონპარნასის ბულვარზე, ამავე დროს უყურებდა ხალათში მოკრუნჩხულ გომბეშოს – ბალზაკი-როდენი, ან როდენი-ბალზაკი, გაურჩეველ-გაუგებარი ერთმანეთს შეჯახებული ორი ელვა, – და ამოიღო ბუენოს აირესის მორიგე აფთიაქების სიის ნაგლეჯი და კიდევ ნათელმხილველებისა და კარტზე მკითხავთა სია. სასაცილოდ ეჩვენა, რომ სენიორა კოლომიე, უნგრელი ნათელმხილველი (რომელიც შესაძლოა გრეგოროვიუსის რომელიმე დედაც ყოფილიყო), თურმე ცხოვრობდა აბესის ქუჩაზე და ფლობდა *secrets des bohèmes pour retour d'affection perdues*[362]. აქედან თავისუფლად შეიძლებოდა ამოგეცნო დიდი დაპირება: *Désenvoûtements*[363], რის შემდეგაც *voyance sur photo*[364]–ს ხსენება, ცოტა არ იყოს, სასაცილო ჩანდა. ეტიენს, ორიენტალისტ-მოყვარულს, დააინტერესებდა გაეგო, რომ პროფესორი მინი *vous offre le vérité. Talisman de l'Arbre Sacré de l'Inde. Broch. c. 1 NF timb. B.P. 27, Cannes*”[365]. ან როგორ არ უნდა გაეკვირვებინა მადმუაზელ სანსონს *Medium – Tarots, predict, étonnantes, 23, rue Hermel*[366] (ყველაზე უფრო საინტერესო იყო სახელი ერმელი, რომელიც სავარაუდოდ ზოოლოგი იყო, ყოველ შემთხვევაში, მისი სახელი უფრო ალქიმიკოსს შეეფერებოდა), ხოლო მერე თავისი ლათინოამერიკული სიამაყე დაეკმაყოფილებინა ანიტას კატეგორიული განცხადებით, *carte,*

dates précises,[367] ჟონა ჟოპესის (Sic!), secrets indiens, tarots espagnols[368], და მადამ ხუანიტას voyante par domino, coquillage, fleur[369] უნდა წავიდე მაგასთან ერთად. არა, ახლა უკვე მაგასთან არა. მაგას კი რარიგად მოეწონებოდა ბედის ამოცნობა ყვავილების მიხედვით. Seule MARZAK prouve retour affection[370] მაგრამ რა აუცილებელია იმის დაპირება, რაც არ არსებობს? ამას ხომ უცბად მიხვდები. ამას ჯობია ჟან დე ნის მეცნიერული ტონი, reprend ses VISIONS exactes sur photogr. cheveux, écrit. Tour magnétiste intéral[371]. მონპარნასის სასაფლაომდე რომ მიალწია, ოლივეირამ დიდი მონდომებით დატმუჭნა ქალაღდი, ბურთივით დაამრგვალა და ეს ნათელმხილველები პირდაპირ ბოდლერისკენ გაგზავნა, ღობის გადაღმა, იქ სადაც დევერია, ალოიზიუს ბერტრანი და ის ღირსეული ადამიანები განისვენებდნენ, რომელთა ხელისგულს დახედავდნენ მკითხავები, ისეთები, როგორიც მადამ ფრედერიკი გახლდათ, la voyante de l'élite parisienne et internationale, célèbre par ses predictions dans la presse et la radio mondiales, de retour de Cannes[372]. ჩე, ბარბე დ'ორევილიც იქაა, რომელიც ყველას ცეცხლს წაუკიდებდა რომ შესძლებოდა, და ცხადია, აგრეთვე მოპასანსაც, რა იქნებოდა ქალაღდის ბურთი სწორედ მოპასანის საფლავს დასცემოდა, ან ალოიზიუს ბერტრანს, მაგრამ რას გაიგებ, სანამ აქეთა მხარეს ხარ.

ეტიენს სისულელედ ეჩვენებოდა, თუკი ოლივეირა ამ დილაადრიანად დაადგებოდა თავზე და მაინც ელოდებოდა, რადგან უნდოდა ეჩვენებინა მისთვის თავისი სამი ახალი სურათი, მაგრამ მან შედგა თუ არა ფეხი, მაშინვე ის უთხრა, ზღაპრული მზე დაჰნათის მონპარნასს და გვირჩევნია ვისარგებლოთ ამით და ნეკერის საავადმყოფომდე ფეხით გავიაროთ, მერე კი მოხუციც მოვინახულოთ. ეტიენმა ხმადაბლა შეიგინა და სახელოსნო დაკეტა. მეკარემ, რომელსაც ისინი ძალიან უყვარდა, უთხრა, ორივეს სამარიდან ამოთხრილი მიცვალებულების სახეები გაქვთ, ან იმათ ჰგავხართ, კოსმოსში რომ ცხოვრობენ, საიდანაც მათ ისიც გაიგეს, რომ მადამ ბობე თურმე კითხულობდა სამეცნიერო ფანტასტიკას და ეს უკვე მეტისმეტი იყო. როცა ისინი შევიდნენ კაფეში Chien qui fume[373], აიღეს თითო ჭიქა თეთრი

ღვინო, გაარჩიეს სიზმრები და იმაზეც იმსჯელეს, შეიძლება თუ არა, რომ ფერწერა გახდეს ერთ-ერთი საშუალება ნატოს და დღევანდელი სხვა ჭირის წინააღმდეგ. ეტიენს განსაკუთრებით უცნაური არ ეჩვენებოდა ის, რომ ოლივეირას იმ კაცის ნახვა უნდოდა, ვისაც არც კი იცნობდა, მაგრამ ორივე მაინც იმაზე შეთანხმდნენ, რომ ეს სრულიად შესაძლებელი იყო და ა.შ. დახლთან ვიღაც ქალი დიდი ალტაცებით აღწერდა ნანტში მზის ჩასვლას, სადაც, თუ დაეჯერებოდა, ცხოვრობდა მისი ქალიშვილი. ეტიენმა და ოლივეირამ ყურადღებით მოისმინეს სიტყვები: მზე, ნიავი, ცოცხალი ღობე, მთვარე, კატკატები, სიმყუდროვე, კოჭლი, უფალი ღმერთი, ექვს-ნახევარი ათასი ფრანკი, ნისლი, როდოდენდრონი, სიბერე, ეშმაკმა იცის, ზეციური, ღმერთმა ქნას, არ დაგავიწყდეთ, ყვავილების ქოთნები. მერე კი უკვირდათ აბრებს რომ უყურებდნენ: Dans cet hôpital Laennec découvert l'auscultation[374] და ორივემ გადაწყვიტა (და თქვეს კიდევ), რომ აუსკულტაცია ალბათ გველის რაიმე სახეობაა, ან სალამანდრაა, რომელიც დიდხანს იმალებოდა ნეკერის საავადმყოფოში და ვინ იცის, რომელ დერეფანში თუ სარდაფში არ დასდევენ, სანამ არ მიიმწყვდის და სანამ არ ჩაბარდა ახალგაზრდა მეცნიერს. ოლივეირამ როგორც იყო მოიპოვა ცნობები და ისინი გაემართნენ შოფარის პალატისკენ, მეორე სართულზე, მარჯვნივ.

— იქნება მის სანახავად არც არავინ დადის, — თქვა ოლივეირამ, — და შეიძლება ეს სულაც უბრალო დამთხვევაა, რომ მასაც მორელი ჰქვია.

— წადი და გაიგე, ხომ არ მომკვდარა, — თქვა ეტიენმა და გადაიხედა ღია ეზოში, სადაც აუზში წითელი თევზები დაცურავდნენ.

— ამას მეტყობდნენ. იმ ტიპმა შემომხედა, ეს იყო და ეს. არც მინდოდა იმის კითხვა, ვინმე იყო თუ არა მის სანახავად ჩვენამდე მოსული. — მასთან შეიძლება პირდაპირ შევიდნენ და არც კი უკითხავთ ცნობათა ბიუროში.

და ასე შემდეგ. არის ხოლმე ისეთი წუთებიც, როცა სული გაქვს დამძიმებული, შიში გიპყრობს, რადგან მეორე სართულზე უნდა ახვიდე, არადა ფენოლის სუნი დგას, დიალოგიც არაფრისმთქმელი გამოდის, ისეთი, როდესაც უნდათ ანუგეშონ დედა, რომელსაც შვილი მოუკვდა და ისეთ სისულელეებს მიედმოედებიან, მიუსხდებიან, ერთი ხალათს უკრავს, თურმე ღილი გაგხსნიაო და უჩიჩინებენ, „შეიძლება გაცივდეთ“. დედა ოხრავს: „გმადლობ“. ერთი ეუბნება: „შენ გგონია არ გცივა, ამ დროს კი უკვე ცივა ხოლმე“. დედა ეუბნება:

„ჰო, მართალია“, მერე ეუბნება: „შალს ხომ არ წამოისხამდი?“ არა, ამით მთავრდება გარე გათბობის ერთი თავი და იწყება მეორე შიდა დათბობის თავი: „ჩაის მოგიტან“. მაგრამ არა, არ უნდა. „რაიმე უნდა შეჭამო, არ შეიძლება, უკვე რამდენი საათია არაფერი გიჭამია“. მან კი არც იცის რამდენი საათია გასული. „რვაზე მეტია, შენ კი ნამცეციც არ ჩაგიდია პირში, არც დილას გიჭამია ერთი ტკბილი კვერის მეტი“. მას კი არც ეს უნდა. „აბა სცადე ჩემი ხატრით მაინც და მერე მოგინდება“. ოხრავს, არც ჰოს ამბობს და არც არას. „ხომ ხედავ, ცხადია, გშია, ახლავე მოგიტან ჩაის“. თუ ესეც არ ჭრის, მაშინ ერთი რამ რჩება, როგორ უნდა იჯდეს. „ასე უხერხულად ზიხარ, ფეხები დაგიბუჯდება“, „არა, არაფერი მიჭირს“. „არა, ალბათ ზურგი მთლად გაგიშეშდა, მთელი დღეა ამ ხმელ სავარძელში ზიხარ, წამოდი, ცოტა ხანს წამოწეი“. „არა, არ მინდა. რაღაც გაუგებრობაა“. დაწოლა თითქოს ღალატია. „აუცილებელია, ცოტა მაინც დაისვენე, მეც შენთან ვიქნები“. არა ასეც კარგად არის. „კარგი, მაშინ ბალიშს მოგიტან, ფეხები ცოტა მაღლა რომ დადგა“. გმადლობ. „ცოტა ხნის მერე უნდა დაწვე, დამპირდი, იცოდე“. ოხრავს „აბა, აბა, ნუ ჯიუტობ. ეს რომ ექიმს ეთქვა, ხომ დაუჯერებდით“. დაბოლოს, „უნდა დაიძინო საყვარელო“. ვარიანტები ad libitum[375].

— Perchance to dream[376], — წაიხურჩულა ეტიენმა, რომელიც ყოველ საფეხურზე ახალ-ახალ ვარიანტებს იგონებდა.

— კარგი იქნებოდა ერთი ბოთლი კონიაკი გვეყიდა მისთვის, — თქვა ოლივეირამ, — ფული შენა გაქვს და შენ უნდა გეყიდა.

— ჩვენ ხომ არაფერი ვიცით, იქნებ კიდევ მოკვდა. ერთი იმ მწითურს შეხედე, დიდი სიამოვნებით გავაკეთებინებდი მასაჟს. ზოგჯერ წარმოვიდგენ ხოლმე, რომ ავად ვარ და მედდა მივლის. შენ არა?

— თხუთმეტი წლისა რომ ვიყავი, მაშინ კი, მაინც რა საშინელებათაა. ეროსს ისრის მაგივრად რომ შპრიცი უჭირავს, ლამაზ-ლამაზი გოგოები კი გაბანავებენ და მათ მკლავებში კვდები.

— მასტურბატორი ხარ, ერთი სიტყვით.

— მერე რა? სირცხვილია თუ მასტურბაციას ეწევი? პატარა ხელოვნებაა შედარებით, მაგრამ ამას აქვს თავისი ღვთიური პროპორციები, დროის, ადგილისა და მოქმედების ერთიანობა და სხვა რიტორიკა.

ცხრა წლისა რომ ვიყავი, მაშინ ჩავიდინე ეს ომბუს ქვეშ, ის მართლაც პატრიოტული საქმე იყო.

— ომბუ?

— ბაობაბის ერთი სახეობაა, — თქვა ოლივეირამ, — მაგრამ საიდუმლოს გეტყვი და დაიფიცე, რომ არც ერთ ფრანგს არ გაუმხელ.

ომბუ ხე კი არ არის, სამკურნალო ბალახია.

— აჰ, კარგი, მაშინ არც ისე საშიში ყოფილა.

— ფრანგი ბიჭები როგორღა იქცევიან, ჩე?

— არ მახსოვს.

— მშვენივრად გახსოვს. ჩვენ მთელი სისტემა გვექონდა ამისთვის.

Martillito, paraguïta... ზოგიერთი ტანგოს მოსმენაც კი არ შეიძლება, მაშინვე გამახსენდება ხოლმე ჩემი დეიდა რომ უკრავ-

და, ჩე.

– მე ამაში კავშირს ვერ ვხედავ, – თქვა ეტიენმა.

– იმიტომ რომ პიანინოს ვერ ხედავ. პიანინოსა და კედელს შორის პატარა ადგილი იყო და იქ ვიმალებოდი ხოლმე რომ... ჩემი დეიდა უკრავდა „მილონგიტას“ ან „შავ ყვავილებს“, ძალიან სევდიან მელოდიას, ეს მეხმარებოდა სიკვდილზე და მსხვერპლშეწირვაზე ფიქრში.

პირველად რომ დავსვარე პარკეტი, ეს საშინელება იყო, ვიფიქრე, ლაქა არასოდეს არ ამოვიდოდა. ცხვირსახოციც არ მქონდა. ფეხიდან წინდა გავიძრე და გიჟივით დავიწყე იატაკის ხეხვა. დეიდა კი უკრავდა „La Payanca“–ს, თუ გინდა დავუსტვენ, მაინც ისეთი სევდიანია... – საავადმყოფოში არ შეიძლება სტვენა, თუმცა სევდა მაინც მომერია ისედაც. საშინელებაა შენი მოსმენა, ორასიო.

– მე კი მომწონს, ცხვირპაჭუავ, მეფე მოკვდა, მეფე კვლავ აქაა, თუ შენ გგონია, რომ ქალის გულისთვის... ომბუ თუ ქალი, ყველაფერი მაინც ერთი ბალახია, ჩე.

– რა უხამსობაა, – თქვა ეტიენმა, – დიდი უხამსობაა. როგორც უვარგისი კინო, დიალოგებს სანტიმეტრებში რომ ზომავენ და აფასებენ, შენ თვითონაც იცი, რას ნიშნავს ეს. მეორე სართულია, §100, მადამ...

– par la[377], – თქვა მედლამ.

– ჩვენ კი მაინც ვერ ვნახეთ აუსკულტაცია, – უთხრა ოლივეირამ.

– ნუ სულელობთ, – თქვა მედლამ.

– გაიგე, – თქვა ეტიენმა, – სიზმარში მკვნესარე პური გელანდება, შენ თვითონ კი მთელ ქვეყანაზე კვნესი და უკვე აღარც ხუმრობა გამოგდის. რატომ არ გინდა სადმე ქალაქგარეთ

ბუნებაში გახვიდე ცოტა ხნით? სახე მართლა სუტინის სურათით გაგიხდა, ძმაო.

— სინამდვილეში შენ ის გაშფოთებს, რომ მთელი შენი წყლულები გამოგიმზეურე, — თქვა ოლივეირამ, — შენი ყოველდღიურობა, შენ კი უბრალოდ სოლიდარობის გრძნობა გაიძულე ჩემთან ერთად იხეტიאלო პარიზში და თანაც დასაფლავების მეორე დღეს. მეგობარი დანაღვლიანდა, უნდა გავართოთ. მეგობარი მირეკავს და უნდა შევეუსრულო, რასაც მეტყვისო. მეგობარი საავადმყოფოს ახსენებს და, კარგი, წავიდეთო.

— მართალი თუ გინდა გითხრა, — თქვა ეტიენმა, — რაც დრო გადის, მით უფრო ნაკლებად მაინტერესებ. ვისთანაც მივდივარ, მეხეტიალა, ეს მხოლოდ საბრალო ლუსია იყო. მისთვის აუცილებელიც კი იქნებოდა.

— ცდები, — თქვა ოლივეირამ და სკამზე ჩამოჯდა, — მაგას ჰყავს ოსიპი, აი, ვისთან მოიხებს გულს, ჰუგო ვოლფი და ასეთი რამეები. არსებითად, მაგას თავისი საკუთარი ცხოვრება აქვს და კარგა ხანი დამჭირდა იმისთვის, რომ ეს გამეგო. სამაგიეროდ, მე ვარ ცარიელი, უსაზღვროდ თავისუფალი, რომ ვიოცნებო და ვიხეტიאלო, მთელი სათამაშოები დაიმსხვრა. არანაირი პრობლემა აღარ დარჩა. მომეცი, ერთი, ცეცხლი.

— საავადმყოფოში მოწვევა არ შეიძლება.

— We are the makers of manners[378], ჩე. ეს ძალიან კარგია აუსკულტაციისთვის. — შოფარის პალატაც აქვეა, — თქვა ეტიენმა, — მთელი დღე ხომ ამ სკამზე არ ვისხდებით.

— მაცადე, მოვწიო სიგარეტი.

(-123)

სქოლიო

[1] ზღვა, რომელიც ზაფხულში უფრო მზაკვარია, ვიდრე ზამთარში (ფრანგ.).

[2] Cogito ergo sum — ვფიქრობ, მაშასადამე, ვარსებობ (ლათ.).

[3] ძიძასთან (ფრანგ.).

[4] სიმღერების, ვოკალური ნაწარმოებების (გერმ.).

[5] მაწანწალა, კლოშარი (ფრანგ.).

[6] მე თქვენ გეუბნებით (იტალ.).

[7] მოხეტიალე სულამდე (ლათ.).

[8] რა ვაკეთოთ (იტალ.).

[9] ჰამლეტ, იძიე შური! (ინგლ.).

[10] პიტმანის მეთოდით (ლათ.).

[11] კულტურა (გერმ.).

[12] კნუტი (ფრანგ.)

[13] კნუტი, კატა (სხვადასხვა ენებზე).

[14] კატერები (ფრანგ.).

[15] მეხუთე ოლქი (ფრანგ.).

[16] მეექვსეზე (ფრანგ.).

[17] მეშვიდეზე (ფრანგ.).

[18] მთლიანი სამუშაო დღე.

[19] 550 ფრანკი, ერთი ცალი (ფრანგ.).

[20] ლიტერატურაში (ფრანგ.).

[21] პოეზიაში (ფრანგ.).

[22] დალახვროს ეშმაკმა, რა თავსხმაა (ფრანგ.).

[23] შენ მარტო ლაყობ, დალახვროს ეშმაკმა (ფრანგ.).

[24] როგორაა საქმე (ფრანგ.).

[25] აბა საშინელი (ფრანგ.).

[26] აბა აბა თქვენც ნახეთ სიყვარულის დრო (ფრანგ.).

[27] მოკეტე ადით, ადით, ნუ გერიდებათ. ტუჩები, ჩემო საუნჯევ (ფრანგ.).

[28] გარეწარი (ფრანგ.).

[29] დალახვროს ეშმაკმა (ინგლ.).

[30] დასწყველოს ეშმაკმა (ფრანგ.).

[31] მე მას გამოვექეცი (ინგლ.).

[32] მინდა ვიყო ვინმეს სათამაშო თოჯინა (ინგლ.).

[33] ნუ ამიგდებ, ბეიბი, მე მხოლოდ გამოვიყურები წესიერად. (ინგლ.).

[34] ესეც ასე (ფრანგ.).

[35] შეხედე, შეხედე, მხედარო (ინგლ.).

[36] შეხედე, შეხედე, მხედარო, შეხედე რა ჩაიდინე (ინგლ.).

[37] თეთრი ცხელება (ლათ.).

[38] ცოტა ადვილად შეხედე, შვილო, ჯობია დალიო, ასე ნუ მტანჯავ (ინგლ.).

[39] მაზარინის ბიბლიოთეკა (ფრანგ.).

[40] დაემშვიდობე, დაემშვიდობე ვისკის ლორდი, ნახვამდის უთხარი ჟინსაც, დაემშვიდობე, დაემშვიდობე ვისკის ლორდი, ნახვამდის უთხარი ჟინსაც. მე მართო ჩემი აფრები მინდა, / მე მართო მაღლა მინდა ვიგრძნო თავი (ინგლ.).

[41] როგორც ფაქტი (ინგლ.).

[42] ამბობენ თუ თეთრი ხარ ყველაფერი რიგზე იქნებაო, / თუ — ყავისფერი, მოტრიალდიო, მაგრამ თუ — შავი, მმ, მმ, ძმაო, უკან დაიხიე, უკან დაიხიე, უკან დაიხიე (ინგლ.).

[44] საფრანგეთის უნივერსიტეტის გამომცემლობა (ფრანგ.).

[45] მოკეტე (ფრანგ.).

[46] ცხელი და შეწუხებული (ინგლ.).

[47] თუ ეს არ არის სვინგი, არაფერს ეს არ ნიშნავს (ინგლ.).

[48] შეაჩერე წამი (ლათ.).

[49] ესოდენ მშვენიერი, ერთ დღეს მაინც მოკვდები, ესოდენ მშვენიერი, ერთ დღეს მაინც მოკვდები, ოღონდ სულ პატარა სიყვარული გინდა, სანამ წახვალ (ინგლ.).

[50] ესოდენ მშვენიერი ხარ. არ მინდა მოკვდე ისე, რომ ვერ გავიგო რატომ ვიცხოვრე (ინგლ. ფრანგ.).

[51] არავინ მყავს და არც არავის ვენაღვლები (ინგლ.).

[52] შენ აქ ხარ, ჩემო სიყვარულო, შენს იქით მე გზა არ მაქვს (ფრანგ.).

[53] შენ აქ ხარ, ჩემო სიყვარულო, და არავის ვენაღვლები (ფრანგ. ინგლ.).

[54] იდგა კუთხეში, ფეხებგაყინული და სველი (ინგლ.).

[55] ორასმეცხრამეტემ წაიყვანა ჩემი გოგო (ინგლ.).

[56] ორასმეჩვიდმეტე ერთხელაც უკან მოიყვანს (ინგლ.).

[57] თუ არ შეგიძლია მომცე დოლარი, მომეცი ტილიანი ათ-ცენტიანი (ინგლ.).

[58] თუ არ შეგიძლია მომცე მილიონი, მომეცი ტილიანი ათასი (ინგლ.).

[59] მცურავი თეატრი (ინგლ.).

[60] შავი ფსკერი (ინგლ.).

[61] მუსიკალური მიმდინარეობები.

[62] სარდაფი (ინგლ.).

[63] ეგებ კიდევ ვიჯდე აქ, მაგრამ ვიფიქრო ათასი მილის გა-დაღმა, ეგებ კიდევ ვიჯდე აქ, მაგრამ ვიფიქრო ათასი მილის გა-დაღმა, ისე ცუდად ვგრძნობდი აქ თავს, რომ ვერ გავიხსენებ იმ დღეს... (ინგლ.).

[64] წყეული ენა (ინგლ.).

[65] ღამურასავით ბრმა, მთვრალი, როგორც პეპელა (ინგლ.). დაიღუპა, გრანდიოზულად დაიღუპა კარიბჭესთან, რომელიც შეიძლება... (ფრანგ.).

[66] ოლდლი ჰაქსდოსის (დამახინჯებული ოლდოს ჰაქსლი) „აღქმის კარიბჭე“. აიღე, ძმაო, ცოტა ბალახი, დანარჩენი ბლუზი და ტრაწია (ინგლ.).

[67] ვარდი არის ვარდი, არის ვარდი, აპრილი ყველაზე მკაცრი თვეა (ინგლ.).

[68] გეშინოდეს ჯებერუოკის შვილო (ინგლ). — ციტატა ლუის კეროლის ნონსენსის პოემიდან „ჯებერუოკი“.

[69] ოსკარის ბლუზი (ინგლ.).

[70] ფირფიტების გერმანული ფირმა (გერმ.).

[71] მინდვრის ბალახი, მატე, ინდიელების შეგროვებული (ფრანგ.).

[72] საქმის მოხერხებულად დამთავრება (ფრანგ.).

[73] ნაღებიანი ყავა (ფრანგ.).

[74] ჭკუაზე ხართ? (ფრანგ.).

[75] იონიზაცია (ფრანგ.).

[76] შენ თესავ მარცვლებს, რომ მოკრიფო ვარსკვლავები (ფრანგ.).

[77] როცა იგი თავისი ქვითინით ხესაც ვერ შეარხევს (ფრანგ.).

[78] იგი გოგირდის მჟავას ასხამს შემოგარენის დუნდულებს შორის (ფრანგ.).

[79] მე ვცხოვრობ სენ—ჟერმენ—დე—პრეში და ყოველ საღამოს ვხვდები ვერლენს. ეს დიდებული პიერო არ შეცვლილა და იმისთვის, რომ იხეტილოს საროსკიპოებში... (ფრანგ.).

[80] სულ მზად ხარ მეხუთე სართულზე აძვრე მკითხავთან გარეუბანში, რომ გაგიღოს კარები მომავლისა. (ფრანგ.).

[81] ფირმის სახელწოდება, სადაც ამზადებენ საათებს. (ფრანგ.).

[82] მუდმივად შენი ისტორიები, სულ სიტყვებს ეკიდები...
(ფრანგ.).

[83] მიდი, მამაჩემო, ეგ არაფერია (ფრანგ.).

[84] სხვადასხვაობა (ინგლ.).

[85] ერთობა (ინგლ.).

[86] ნაციონალური ლატარეა (ფრანგ.).

[87] ხორცი ბურგუნდიულად (ფრანგ.).

[88] გათამაშება ოთხშაბათობით (ფრანგ.).

[89] გეოგრაფიის აუდიტორია სორბონაში (ფრანგ.).

[90] აქ: რა ნაგავია! (ფრანგ.).

[91] ზეთისხილი (ფრანგ.).

[92] ორეული (გერმ.).

[93] გასამრჯელო, ჰონორარი (ფრანგ.).

[94] უკაცრავად (ფრანგ.).

[95] შეყვარებულები ჰავრიდან (ფრანგ.).

[96] ხომ იცი, რომ დედამიწა მრგვალია, *დანარჩენი სულ სისულელეა*. ჩემო სიყვარულო, ყველაფერი სისულელეა
(ფრანგ.).

[97] აქ — მორჩა (გერმ.).

[98] ჩემი პატარა მაწანწალა (ფრანგ.).

[99] რას იზამ, ჩემო პატარავ, ასეთია ცხოვრება, ყველაფერს
უნდა მიაფურთხო (ფრანგ.).

[100] თავისუფალი (ფრანგ.).

[101] დანარჩენი სიჩუმეა (ინგლ.).

[102] ჯანდაბას სიჩუმე (ინგლ.).

[103] რას სჩადით თქვენ აქ? (ფრანგ.).

[104] მამიკომ ასე ბრძანა, ასე რომ მოუსვით აქედან, თქვე ტილიანო ცოდვილებო (ინგლ.).

[105] ავხედე ზეცას და რა დავინახე, ანგელოზთა გუნდი მომყვებოდა (ინგლ.).

[106] ასე გაგრძელება აღარ შეიძლება, რა თავხედობაა, ძილს არ გვაცლიან ხალხს. პოლიციაში განვაცხადებ, დიახ, ვიჩივლებ, ესეც არ იყოს, კინალამ კარებში გამძვლიტეთ და თავი გამიტეხეთ დალახვროს ეშმაკმა.

[107] როგორ დავიძინო, როცა თქვენმა ცოლმა ერთი ღრეობა გამართა. ღმერთმა იცის რა ხდება. მაგრამ გაფრთხილებთ, ამას ასე არ დავტოვებ. იცოდეთ, კიდევ გამიხსენებთ. (ფრანგ.).

[108] და ჩემი ძმის, პოეტის ხმა გავიგონე.

[109] ისევ მე მლანძღავენ...ბინძური მეტისების ბუნაგში. ჩვენ აქ საფრანგეთში ვართ, გახსოვდეთ. ბინძურო ნაგვებო. გასაძველებლები ხართ აქედან. ქვეყანას არცხვენთ. რას აკეთებს ხელი-სუფლება, გეკითხებით. ირგვლივ მართო არაბები, ქურდების და მკვლელების ბანდაა. (ფრანგ.).

[110] წადით შინ, ბატონო, მეტად აღარ შეგაწუხებთ (ფრანგ.)

[111] თქვენ ყველანი თაღლითები ხართ, მკვლელები (ფრანგ.)

[112] თუ ასე ვიტყვით (იტალ.).

[113] გაზეთ "ფიგაროს" ლიტერატურული დამატება.

[114] ბოთლებში გვიან საღამოს ღვინო ამღერდა (ფრანგ.).

[115] საღამო, ღვინის სული (ფრანგ.).

[116] რისი დამტკიცებაც იყო საჭირო (ლათ.).

[117] ყველაფერი წესრიგშია (ფრანგ.).

[118] მოქმედება (გერმ.).

[119] სულ არ იცის მოქცევა (ინგლ.), სამწუხაროა (ფრანგ.).

[120] საშინელი ხალხია (ინგლ.).

[121] სამგლოვიარო (გერმ.).

[122] შინაურულად (ფრანგ.).

[123] ტელეფონთან გთხოვენ (ფრანგ.).

[124] მე მართლა ძალიან უხერხულად ვგრძნობ თავს, მადამ, მუსიე, ეს ჩემი მეგობარია ეს ესაა ჩამოვიდა და აქაური წესები არ იცის (ფრანგ.).

[125] პატარა შემთხვევითობა (ინგლ.).

[126] საბრალო იორიკი (ინგლ), გვეყოფა ამაზე (ფრანგ.).

[127] ეს ბინძური ნაბიჭვარი (ინგლ.).

[128] უნდა სცადო, რომ იცხოვრო”. რატომ? (ფრანგ.).

[129] უნდა ვეცადოთ ვიცხოვროთ (ფრანგ.).

[130] ესეც ესე (ფრანგ.).

[131] Nouvelle Revue Française — ჟურნალი და გამომცემლობა.

[132] ნუ იტყვი (ფრანგ.).

[133] ნუ ინერვიულებ (ინგლ.).

[134] თქვენ ყველანი ბინძურები ხართ! მკვლელების ბანდა, ნუ გგონიათ, რომ ამას ასე დავტოვებ. უსაქმურებო, უმაქნისებო! თაღლითების ბრბო! — (ფრანგ.).

[135] მოკეტე, მამაჩემო! (ფრანგ.).

[136] მიეცით ადამიანებს ძილის საშუალება. რას ჰგავს ეს, რას მიშვრებით, ახალგაზრდავ? ბავშვი მოკვდაო, წარმოგიდგენიათ? მე რა შუაში ვარ? ასე არ შეიძლება, ბოლოს და ბოლოს ეს პარიზია და არა რაღაც ამაზონის ჯუნგლები (ფრანგ.).

[137] კარგი, ბატონებო, მე პატივს ვცემ დედის მწუხარებას. ღამე მშვიდობის, ბატონებო და ქალბატონებო (ფრანგ.).

[138] ასე, ასე (ფრანგ.).

[139] გულმოწყალება (ფრანგ.).

[140] ქედს ვიხრი შენ წინაშე, ბებერო (ფრანგ.).

[141] გამოწვევა და პასუხი (ინგლ.).

[142] ესეც შენ (ფრანგ.).

[143] ასუანის უზარმაზარი კაშხლის მშენებლობა დაიწყო. ხუთ წელიწადში ნილოსის ხეობა, მდინარის შუა წელში, უკიდუგანო ტბად გადაიქცევა. შესანიშნავი ძეგლები, მთელი პლანეტის აღფრთოვანებას რომ იწვევს... (ფრანგ.).

[144] ჯოჯოხეთში შთასვლა (ბერძნ.).

[145] ქვეყანაში ცხოვრების უფლება (ფრანგ.).

[146] ჩვენ ამ სამყაროში არა ვართ (ფრანგ.).

[147] არაფრიდან (ლათ.).

[148] მომღერალი წყლის ოცნებები (ფრანგ.).

[149] საყვარლები ჰავრიდან (ფრანგ.).

[150] რადგან დედამიწა მრგვალია, ნუ იდარდებ, ჩემო სიყვარულო, ნუ იდარდებ... (ფრანგ.).

[151] ძიძა (ფრანგ.).

[152] ბავშვი (ფრანგ.).

[153] ბაღლი (ფრანგ.).

[154] ჩვენ ამ სამყაროში არა ვართ. ასე რომ (ფრანგ.). მაშასადამე, სანამ... (ლათ.).

[155] ძვირფასო (ინგლ.).

[156] ძილი ნებისა (ინგლ.).

[157] ოილის, ოკის და ფრანკო-პროვანსული ენების შერწყმა ლუარასა და ალიეს შორის ტერიტორიაზე — ფონეტიკური და მორფოლოგიური ლიმიტები (ფრანგ.).

[158] საჯარო მონანიება (ფრანგ.).

[159] მოქმედების დასასრული (ფრანგ.).

[160] გულმოწყალება (ლათ.)

[161] ძიძა (ინგლ.).

[162] წარვედ ჩემგან მართლუკუნ, ეშმაკო... (მათე,4, 10) (ლათ.).

[163] ემპუსა - მიცვალებულთა სასუფეველის ურჩხული

[164] ლამია - ჯოჯობეთის სისხლისმსმელი მოციქული.

[165] ო მითხარი, რა უქენი სიყმაწვილის წლებს (ფრანგ.).

[166] და აი, ინებეთ (ფრანგ.).

[167] დასახლება (ინგლ.).

[168] აქ — კარგი, გეყოფა (ფრანგ.).

[169] ჯანდაბა, თან ეს საზიზღარი ქარი (ფრანგ.).

[170] ნაგავია ეს პონტუაზი (ფრანგ.).

[171] Requiescat in pace — განისვენე მშვიდად (ლათ.).

[172] ქსანადუში კუბლა—ხანმა ააშენა ტაძარი, სიამოვნების სასუფეველი (ინგლ.).

[173] მიუხედავად ტურიზმისა (ფრანგ.).

[174] არამზადა (ფრანგ.).

[175] ასე შემდეგ (ინგლ.).

[176] ღვინოშია ჭეშმარიტება (ლათ.).

[177] ხომ იცი, რომ დედამიწა მრგვალია, დანარჩენი სისულელეა, ჩემო საყვარელო (ფრანგ.).

[178] მოკეტე, მეგობარო (ფრანგ.).

[179] მგლის სიკვდილი (ფრანგ.).

[180] თითქოს არაფერიო (ინგლ.).

[181] ყველაფერი მიედინება (ბერძნ.).

[182] ჩვენ არაფერს ვაკეთებდით (ფრანგ.).

[183] "ალუბლების დრო" (ფრანგ.).

[184] მაგრამ მე ისევ ისე მიყვარს (ფრანგ.).

[185] აქ: შენ მე მომკლავ (ფრანგ.).

[186] როდესაც ბალებში ალუბლების დრო დადგება (ფრანგ.).

[187] არა, ვერ დავივიწყებ ამ ალუბლების დროს (ფრანგ.).

[188] ლაჟვარდი ლაჟვარდი, ლაჟვარდი, ლაჟვარდი (ფრანგ.).

[189] ლამაზია, მაგრამ ძალიან მძვინვარედ გამოიყურება (ფრანგ.).

[190] გაიხედე ჭუჭრუტანაში და დაინახავ ულამაზეს ნახატებს (ინგლ.).

[191] ხმის კანკალი (ლათ.).

[192] ცოტა უფრო შორს უნდა წახვიდე, თუ გიყვარს შენი სახლი (ფრანგ.).

[193] traveller — მოგზაური (ინგლ.).

[194] ბარნუმის მეთოდით (ლათ.).

[195] უსამშობლო (გერმ.).

[196] ლავაში გახურებულ აგურზე ან ქვაზე რომ ცხვება; პროპოლისი; არწივის ერთი სახეობა, რომელიც თევზებით იკვებება; მცირე ზომის ძველი გემი; გარეული ფრინველის ფრთების შეკვეცა; ხალიჩის სახეობა; ენაბრგვილი; მაროკოელების თავისებური სამხედრო ქვედანაყოფი; ფქვილის მტვერი (ესპ.).

[197] სიცარიელის შიში (ლათ.).

[198] სახელმწიფო ფსიქოლოგიურ-პედაგოგიური ინსტიტუტი (შვედ.).

- [199] შეხედულებები ფსიქიკურ განვითარებასა და ჰიგიენაზე სკოლამდელი აღსაზრდელებისთვის (შვედ.).
- [200] გულისრევის გრძნობა (ლათ.).
- [201] Mortale — სასიკვდილო (იტალ.).
- [202] რაც მოითხოვდა დამტკიცებას (ლათ.).
- [203] მე ვიტანჯები, როცა არა მწამს ჰარმონიისა. უნგარეთი, "მდინარეები" (იტალ.).
- [204] ოცდაოთხი (ესპ.).
- [205] "მონანიების წიგნი" (ლათ.).
- [206] უკან გადახვევა (ინგლ.).
- [207] ხმის სიმაღლე (ინგლ.).
- [208] ორმოცდაათი ორმოცდაათზე (ინგლ.).
- [209] მოედნის კერპები (ლათ.). აქ: არასწორი განმარტება.
- [210] თავის დროზე (ლათ.).
- [211] ახალი კურსი (ინგლ.).
- [212] მინდა გითხრათ (იტალ.).
- [213] საკუთარი ნება—სურვილით (ლათ.).
- [214] დიახ, მაღამ, რა თქმა უნდა, მაღამ (ფრანგ.).
- [215] კმარა... შენ შენსას მიაღწევ, პატარავ. სელინი მართალია, შენ ფიქრობ, რომ დაუთმე მხოლოდ ერთი სანტიმეტრი, არადა, თურმე მთელი მეტრი წაგართვეს (ფრანგ.).
- [216] შეიძლება (ინგლ. ფრანგ.).

[217] სწრაფჩამკერები (ინგლ.).

[218] სტეპლერი (გერმ.).

[219] მოგვივლინე ჩვენ სიმშვიდე (ლათ.).

[220] ორეული (გერმ.).

[221] აუცილებელი ცვლილებებით (ლათ.).

[222] ახლო ბრძოლა (ინგლ.).

[223] კლოდ ლევი-სტროსი "სევდიანი ბილიკები" (ფრანგ.).

[224] მადლობა დახმარებისთვის (ინგლ.).

[225] გამონათება (იაპონ.).

[226] ჩემთვის ძალიან გვიანაა. იტალიურად სიკვდილი, სამყაროს ევროპულად დანახვა — აი ეს არის, რაც მრჩება. ფინჯანი რძიანი ყავა დილაობით ისეთი სასიამოვნოა... (ფრანგ.).

[227] "ექსპრესი", პარიზი, თარიღის გარეშე: "ორი თვის წინ შევედმა ნეირობიოლოგმა, გეტებორგის უნივერსიტეტიდან ჰოლგერ ჰიდენმა წარუდგინა მსოფლიოს ყველაზე გამოჩენილ სპეციალისტებს, რომლებიც შეიკრიბნენ სან ფრანცისკოში, მენტალური პროცესების ქიმიური ბუნების თავისი თეორია. ჰიდენის თანახმად, თვითონ აბროვნების, მოგონებების, მგრძობელობის, ან რაიმე გადაწყვეტილების მიღების ფაქტი ვლინდება ტვინში და ნერვიულ ქსოვილში, რაც ტვინს აკავშირებს სხვა ორგანოებთან და განსაკუთრებული მოლექულები, რასაც გამოიმუშავებს ნერვიული უჯრედები გარეგანი აღგზნების ზემოქმედებით. (...) შევედმა მეცნიერებმა შეძლეს განეხორციელებინათ უჯრედების ორი კლასის ფრთხილი გამოცალკევება ერთი მეორისგან ჯერ ისევ ცოცხალი კურდღლების ქსოვილში, აეწონათ ისინი (გრამის მილიონის მემილიონედში) და განესაზღვრათ ანალიზის მეშვეობით, როგორ იყენებენ ეს უჯრედები სხვადასხვა შემთხვევებში მათ მკვებავ საწვავს. ნეირონების ერ-

თი მთავარი ფუნქცია მდგომარეობს ნერვიული იმპულსების გადაცემაში. ეს გადაცემა ხდება თითქმის წამიერი ელექტროქიმიური რეაქციის გზით. ძნელია დაიჭირო ნერვიული უჯრედის ფუნქციონირების წამი, მაგრამ ეტყობა, შვედებმა მიაღწიეს ამას სხვადასხვა მეთოდების გამოყენების წყალობით. დადასტურდა, რომ სტიმული გამოიხატება ნეირონებში პროტეინების მომატებით, რომლის მოლეკულა იცვლება გადამცემის ბუნების მიხედვით. ამავე დროს პროტეინების რაოდენობა სატელიტურ უჯრედებში მცირდება, ისე, ვითომ ისინი თავიანთ მარაგს აძლევდნენ ნეირონების სასარგებლოდ. პროტეინის მოლეკულაში არსებული ინფორმაცია, ჰიდენის თანახმად, გარდაიქმნება იმპულსად, რასაც ნეირონი უგზავნის თავის მეზობლებს. თავის ტვინის უპირატესი ფუნქციები — მეხსიერება და აზროვნების უნარი — ჰიდენის თანახმად, აიხსნება პროტეინის განსაკუთრებული ფორმით, რაც ყოველ ცალკეულ შემთხვევაში შეესაბამება აღგზნების ტიპს. თავის ტვინის ყოველი ნეირონი შეიცავს სხვადასხვა რიბონუკლეინურ მჟავას (RNA) მილიონობით მოლეკულას, რაც შეესაბამება პროტეინის სრულიად გარკვეულ მოლეკულას, ისევე როგორც გასაღები კლიტეს. ნუკლეინის მჟავა კარნახობს ნეირონს, როგორი უნდა იყოს პროტეინის მოლეკულა. ეს მოლეკულები შვედი მკვლევარების აზრით, წარმოადგენს აზრის ქიმიურ გამოხატულებას. ამგვარად. მეხსიერება შეესატყვისება ტვინში ნუკლეინის მჟავების მოლეკულების განაწილებას, რომლებიც ასრულებენ იმავე როლს, რასაც თანამედროვე კომპიუტერებში ბანქოს ქაღალდის პერფორირება. მაგალითად, იმპულსი, რაც შეესატყვისება ცნობას "ჩემი", რასაც ყური დაიჭერს, მაშინვე გადადის ერთი ნეირონიდან მეორეში, სანამ არ მიაღწევს ყველას, რაც მოიცავს RNA მოლეკულებს, რომლებიც შეესატყვისება სწორედ ამ აღგზნებას. უჯრედები მაშინვე გამოიმუშავენ პროტეინის მოლეკულებს, რომელთაც მართავს ეს მჟავა, და ჩვენ გვესმის ნათქვამი. სიმდიდრე, აზრთა მრავალგვარობა აიხსნება იმ ფაქტით, რომ საშუალო თავის ტვინი შეიცავს დაახლოებით ათობით მილიარდ ნეირონს, რომელთაგან ყოველი შეიცავს რამდენიმე მილიონ მოლეკულას სხვადასხვაგვარი ნუკლეინის მჟავას, შესაძლებელი კომბინაციების რიცხვი ასტრონომიულია. ამ თეორიას აქვს კიდევ ის ღირსება,

რომ გვიხსნის, თუ რატომ არ აღმოაჩინეს ტვინში მკვეთრი ზონები, რაც უპასუხებდა უმაღლესი ნერვიული მოქმედების ყოველ ფუნქციას; რამდენადაც ყოველი ნეირონი შეიცავს სხვადასხვანუკლეინის მჟავას, მას შეუძლია მონაწილეობა მიიღოს სხვადასხვა მენტალურ პროცესებში და გამოიწვიოს სრულიად სხვადასხვაგვარი აზრები და მოგონებები”.

[228] უპიროვნო (ინგლ.).

[229] ამის შემდეგ (ლათ.).

[230] გამოწვევა და პასუხი (ინგლ.).

[231] ვონგის შენიშვნა (ფანქრით): ”მეტაფორა, გააზრებულად შერჩეული იმისათვის, რათა დავანახოთ აზრის მიმართულება.”

[232] Obolo — ობოლო, ძველ საბერძნეთში წვრილი ფული.

[233] არ არის ფული, არ არის ტაძარი

[234] ინგლისური ლუდი.

[235] ალერსი (იტალ.).

[236] ფრანგული ღვინოები.

[237] lo — ნაცვალსახელი, ამ შემთხვევაში ენაცვლება სიტყვას ”არაფერი”.

[238] ნეტარ არიან გლახაკნი სულითა (ლათ.).

[239] დაბრუნება ადამისკენ (ინგლ.), კეთილი ველურისკენ (ფრანგ.).

[240] სურვილის ზღვარი (ლათ.).

[241] ყველაფერი კარგადაა, მშვენიერო, მარკიზა, ყველაფერი კარგადაა (ფრანგ.).

[242] სასურველი ფიქრი (ინგლ.).

[243] საკუთარ სახლს არაფერი ჯობია (ინგლ.).

[244] საქმიანობა (გერმ.).

[245] ცხარე სოუსში (ფრანგ.).

[246] სასტუმრო ოთახი (ინგლ.).

[247] მწერლობა, ლიტერატურა, ფერწერა, ქანდაკება, სოფლის მეურნეობა, მეთევზეობა (ესპ.).

[248] მოედნის კერპები (ლათ.). აქ: არასწორი განმარტება.

[249] თქვენ იცით (ფრანგ.).

[250] კმარა სიტყვები, ახლა საქმე (ლათ.).

[251] აი ასე (იტალ.).

[252] მოთვალთვალე (ფრანგ.).

[253] მოფერებითი—კნინობითი სუფიქსი ესპანურ ენაში.

[254] კომიკური რომანი (ფრანგ.).

[255] არასოდეს გამოიყენო მიღწეული ბოროტად (ფრანგ.).

[256] ჩემი მოყვასის, ჩემი ძმის (ფრანგ.).

[257] ჰგავს ნამდვილს (ფრანგ.).

[258] პატიოსანი კაცი (ფრანგ.).

[259] ტალღები (ინგლ.).

[260] ეს მართლა გამოგნებელია (ფრანგ.).

[261] ნემსით მიკრული ფოთოლი (ფრანგ.).

[262] რასაც განვიხილავთ (ლათ.).

[263] მე ვოქვი (იტალ.).

[264] ქვეყანაში ცხოვრების უფლება (ფრანგ.).

[265] "მაგების დილა" (ფრანგ.).

[266] "როდესაც აქ არ ხარ, ბებიი" (ინგლ.).

[267] თავს ცუდად ვგრძნობ, ჩრდილოეთში, თავს ცუდად ვგრძნობ, სამხრეთში, თავს ცუდად ვგრძნობ ყველგან, აღმო-სავლეთშიც ცუდად ვარ, დასავლეთშიც — ცუდად, ყველგან სა-დაც არ ხარ, თუ ჩემს გვერდით არ ხარ. (ინგლ.).

[268] არა აფეთქებით, არამედ სლუკუნით (ინგლ.).

[269] სიტყვები (ლათ.).

[270] საქმე (ლათ.).

[271] გამაყრუებელი მარცხი (ფრანგ.).

[272] ადამიანური ღირსება (ფრანგ.).

[273] ეს არის პლასტიკის ხანა, ადამიანო, პლასტიკის ხანა (ინგლ.).

[274] Cogito ergo sum — ვაზროვნებ, მაშასადამე ვარსებობ (ლათ.).

[275] აქ ვარდისფერი ღვინო (ფრანგ.).

[276] ფრთხილად მოეპყარით (ჩვეული წარწერა შეფუთვაზე) (ინგლ.).

[277] პირველყოფილი არსებობა (ინგლ.).

[278] დააფიქსირო წარმავალობა (ფრანგ.).

[279] აქ: როცა იცინი, გახსოვდეს საქმე (ლათ. იტალ.).

[280] საგანგებოდ გონიერი ადამიანისთვის (ლათ.).

[281] დაბრუნდი გამარჯვებით (იტალ.).

[282] რა ეშმაკმა მოიყვანა ეს უცხოელები, კარგი, შემოვუშვებ, რახან ამბობთ, რომ თქვენ იმ მოხუცის, მესიე მორელის მეგობრები ხართ, მაგრამ მაინც წინასწარ გაფრთხილება არის საჭირო. სახუმარო არ არის საღამოს ათ საათზე მთელი ბანდა რომ შემოგივარდება, არა, ღმერთო ჩემო, გუსტავ, უნდა დაელაპარაკო სახლის მმართველს. ეს უკვე აუტანელი ხდება და ა.შ. (ფრანგ.).

[283] ალიგატორის ღიმილი (ინგლ.).

[284] დამპალი ნაბიჭვარი, ალბათ კიდევ ერთი მისი ხუმრობაა (ინგლ.), დამანებებ ბოლო—ბოლო თავს (ფრანგ.).

[285] მთელი მსოფლიოს ახალგაზრდებმა... (ფრანგ.).

[286] დამპალი ნაბიჭვარი (ინგლ.).

[287] ფრანგულადაც შეგეძლო ლაპარაკი, შენი მეგობარი არგენტინელი იმისთვის კია არ მოსულა, რომ ეს აბდაუბდა მოისმინოს (ფრანგ.).

[288] ჩემი მეგობარი, ჩემი მეგობარი, რა ჩემი მეგობარია (ფრანგ.).

[289] დავნაძლევედეთ? ეჰ, შე სატანა, უბრალოდ ბაბილონის გოდოლია. პატიოსან სიტყვას გაძლევ. მომეცი შენი სანთებელა. კიდევ ეს დაწყევლილი ჩინელი (ფრანგ.).

[290] სასაცილოა შენ რადიოში უნდა გამოდიოდე (ინგლ.).

[291] ვარსკვლავები ცვივა ალაბამაზე (ინგლ.).

[292] სად არის (ფრანგ.).

[293] დახატა (ლათ. აღნიშნავდნენ ძველ ფერწერულ ტილოებზე).

[294] ფიქრები შელოცვისგან წარმოშობილი ავადმყოფობის შესახებ და შელოცვის შესახებ ავადმყოფობის წინააღმდეგ (ლათ.).

[295] საყვარელო, ჭიქები მოიტანე, კარგი? (ინგლ.).

[296] ჯანდაბა. შეიძლება ავტირდე (ინგლ.).

[297] უკაცრავად (ინგლ.).

[298] აქ: როგორც (ლათ.).

[299] აღამიანური ღირსება, წმინდა ენა (ფრანგ.).

[300] იარაღი, ინსტრუმენტი (ლათ.).

[301] ეთოსი (ბერძნ.).

[302] უკან (ინგლ.).

[303] წინ (ინგლ.).

[304] აი იქ (ინგლ.).

[305] აქ და ახლა (ლათ.).

[306] სხვათა შორის (ლათ.).

[307] აბა, აბა (ფრანგ.).

[308] წმინდა მამერტი, წმინდა სოლანჟი, წმინდა აქილი, წმინდა სერვე, წმინდა ბონიფაცი, მზის ამოსვლა — 04.12, მზის ჩასვლა — 19.23, მზის ამოსვლა — 04.10, მზის ჩასვლა — 19.24, მზის ამოსვლა მზის ჩასვლა, მზის ამოსვლა მზის ჩასვლა, მზის ამოსვლა-ჩასვლა, მზის ჩასვლა, მზის ჩასვლა, მზის ჩასვლა (ფრანგ.).

[309] წმინდა ფერდინანდი, წმინდა პეტრონილე, წმინდა ფორტუნე, წმინდა ბლანდინე, ერთი, ორი, ერთი, ორი (ფრანგ.).

[310] ზედმეტობა (ფრანგ.).

[311] აღსაზრდელი ტიორლესის სულიერი ვნებანი” (გერმ.).

[312] შუალამიდან განთიადამდე, ბეიბი, ჩვენ შეიძლება მოგვიხდეს განშორება, მაგრამ იცოდეთ, ბეიბი, გახსოვდეს, მე ყოველთვის ვიყავი შენს გულში. (ინგლ.).

[313] მოწყენილია ჩემი სახლი, სახურავიდან საძირკვლამდე, მოწყენილია ყველაფერი, ჩემმა კაცმა დატოვა ქალაქი. მოწყენილია საფოსტო ყუთი, რადგან ვერ ვიღებ წერილს, მოწყენილია საპურეც, რადგან დაობდა პური. მოწყენილია საკუჭნაოც, მოწყენილია თაროებიც, / და მოწყენილია ჩემი საწოლიც, რადგან მე მძინავს მართლ. (ინგლ.).

[314] თერთმეტი ათასი ჯოხი” (ფრანგ.).

[315] შეხედეთ, მაწანწალაც მოვიდა (ფრანგ.).

[316] ბარჟა (ფრანგ.).

[317] პერსილი ძალიან ათეთრებს (ფრანგ.).

[318] მოგესალმებით ბატონებო და ქალბატონებო... რას იტყვი, ორი ჭიქა მშრალი თეთრი, როგორც ყოველთვის? (ფრანგ.).

[319] როგორც ყოველთვის, მეგობარო, როგორც ყოველთვის. და ”პერსილთან” ერთად (ფრანგ.).

[320] სამყაროს ხატი (ლათ.).

[321] ახირებების ზამთარი (ინგლ.).

[322] კურორტები (ინგლ.).

[323] ლაჟვარდოვანი ნაპირი (ფრანგ.).

[324] უკანასკნელი მოდის (ფრანგ.).

[325] სიმღერები მკვდარ ბავშვებზე (გერმ.).

[326] სიყვარულობა (ფრანგ.). ალერსი (იტალ.).

[327] სიტყვების თამაში: აბატი C და M8C (ლათინური ანბანი).

[328] ის იტანჯებოდა, რომ უნიათო პერსონაჟები გამოიყვანა, რომლებიც მოქმედებდნენ გიჟურ სამყაროში და ვერავის არწმუნებდნენ (ფრანგ.).

[329] ნათელმხილველი (ფრანგ.).

[330] მოთვალთვალე (ფრანგ.).

[331] პირველცოდვა (ლათ.).

[332] ვულკანის ქვევით (ინგლ.).

[333] როცა მეძინა სილამაზესთან / ჩემებური იდუმალებით, *მოწყურებულმა წარმოვიდგინე ეს სილამაზე* ჩემს სარეცელზე ასე შევთხზე ორიოდ ლექსი და მე შევთხზე ორიოდ ლექსი / ბოსხისებური სამყაროს დარი (ინგლ.).

[334] "აწმყო და წარსული ორივე ალბათ წარმოდგენილია მომავალ დროში" (ინგლ.).

[335] კვერცხთან, სულ თავიდან დაწყება (ლათ.).

[336] დღევანდელობის შესაბამისი (ინგლ.).

[337] ჩემი სასჯელი (იტალ.).

[338] მცირე შესწორებით (ლათ.).

[339] ჩვენ, რამდენიმე კაცმა, განვიზრახეთ ჩვენს დროში, ჩვენ საკუთარ თავში შეგვექმნა ერთგვარი სივრცე, რომ გვეც-

ხოვრა იქ, სივრცე, რომელიც არ იყო და ეტყობა, არც უნდა ყოფილიყო სივრცეში. არტო "ნერვმზომი" (ფრანგ.).

[340] ამ ბუკლეტში მე ვპასუხობ თქვენს კითხვებს და გთავაზობთ იდეებს იუნესკოსთვის, რომლებიც ჩამოვაცალიბე მონტევიდეოში გამომავალ გაზეთ "ელ დიარიოში" (დამახინჯებული ფრანგ.).

[341] დასავლელი ადამიანი (ლათ.).

[342] ნეტარ არიან გლახაკნი სულითა (ლათ.).

[343] სიცარიელის შიში (ლათ.).

[344] იგივე (ლათ.)

[345] და ჩვენც მორჩილად ვეგუებით / ამ წარმავალი ხვედრით კმაყოფილები როცა კი ქარი დაუბერავს ჩვენს ჯიბეებს ასე უზომოდ ნესტით გაჟღენთილს (ინგლ.).

[346] თქვა (ლათ.).

[347] არავისი მიწა (ინგლ.).

[348] აქ: პრიმიტიული საკითხავი (ინგლ.).

[349] ჟორჟ ბატაი, "სიძულვილი პოემიისა" (ფრანგ.).

[350] შავი დღიურები (ინგლ.).

[351] შრომა ათავისუფლებს (გერმ.).

[352] დროის სული (გერმ.).

[353] სიტყვების თამაში: loca (ესპ.) — შეშლილი, გიჟი.

[354] ცოდნა, გამოცდილება, მორალი (ბერძნ.).

[355] პირვანდელი წყვდიადი (ინგლ.).

[356] ახალი ინსტრუმენტი (ლათ.).

[357] დიდებულია (იტალ.).

[358] ჩიხი (ფრანგ.).

[359] ელვაზე სამკითხაო წიგნი (ლათ.).

[360] ზუსტად (იტალ.).

[361] ამ საავადმყოფოში ლენეკმა გამოიგონა აუსკულტაცია (ფრანგ.).

[362] ბოშური საიდუმლოებებით, დაკარგულ სიყვარულს რომ აბრუნებს (ფრანგ.).

[363] ჯადოს მოხსნა (ფრანგ.).

[364] ფოტოზე მკითხაობა (ფრანგ.).

[365] გთავაზობთ ნამდვილ თილისმას ინდიელების უწმინდესი ხისას. დაწვრილებითი ინფორმაციისთვის გამოგზავნეთ მარკიანი კონვერტი მისამართზე აბონენტის ყუთი 27, კანი (ფრანგ.).

[366] მედიუმი — ტაროს კარტი, გასაოცარი წინასწარმეტყველება, ერმელის ქუჩა 23 (ფრანგ.).

[367] კარტი, ზუსტი თარიღები (ფრანგ.).

[368] ინდიელების საიდუმლოებები, ესპანური ტაროს კარტი (ფრანგ.).

[369] მკითხაობა დომინოზე, ნიჟარებზე, ყვავილებზე (ფრანგ.).

[370] მხოლოდ მარბაკი დააბრუნებს დაკარგულ გრძნობას (ფრანგ.).

[371] ზუსტი წინასწარმეტყველება ფოტოს მიხედვით, თმის მიხედვით, წერილობით საყოველთაო ინტეგრალური მაგნეტიზმი (ფრანგ.).

[372] ნათელმხილველი პარიზისა და საერთაშორისო ელიტისა, ცნობილი თავის წინასწარმეტყველებით მსოფლიოს ბეჭდვით საშუალებებსა და რადიოგადაცემებში, დაბრუნებული კანდიდან (ფრანგ.).

[373] მწვეველი ძალის (ფრანგ.).

[374] ამ საავადმყოფოში ლენეკმა გახსნა აუსკულტაცია (ფრანგ.).

[375] როგორც ინებებ (ლათ.).

[376] ძილი და ხილვა სიზმრებისა (ინგლ.).

[377] აქეთ (ფრანგ.).

[378] ჩვენ ვაწესებთ წეს—ჩვეულებებს (ინგლ.).

შენიშვნები

→ ანტონიო მარტინი (1720 — 1809) — იტალიელი საეკლესიო მოღვაწე და მწერალი.

→ სესარ ბრუტო — (კარლოს უორნესის ფსევდონიმი, ? -1984) — არგენტინელი მხატვარი-კარიკატურისტი და მწერალი-სატირიკოსი.

→ წმინდა ბერნარდის ქოფაკი — ანუ სენბერნარი.

→ ჟაკ ვაშე (1896-1919) — ფრანგი მწერალი — დადაისტი;

- ანდრე ბრეტონი (1896-1966) — ფრანგი მწერალი დადა-ისტების და სიურრეალისტების წინამძღოლი.
- ჟორჟ ბრაკი (1882-1963) — ფრანგი მხატვარი, კუბიზმის ფუძემდებელი.
- დომენიკო გირლანდაიო (1449-1494) — ფლორენციელი მხატვარი.
- მაქს ერნსტი (1891-1976) — გერმანელი მხატვარი, სიურრეალისტი.
- ჟან დე ჟუენველი (დაახლ. 1224-1317) — ფრანგი წმინდა მეფის ლუი IX-ს დაახლოებული პირი, ეგვიპტეში VII ჯვაროსნული ლაშქრობის მონაწილე და აღმწერი. აქვე დამახინჯებულად არის გამოყენებული მისივე ციტატა, რომელიც ორიგინალიდან ითარგმნება „ზამთარში უფრო მზაკვარია, ვიდრე ზაფხულში“.
- ჰენზელი და გრეტელი — ძმები გრიმების ზღაპრის პერსონაჟები.
- პედრო ფიგარი (1861-1931) — ურუგვაელი მხატვარი და პოეტი, რომელიც ცნობილია სურათებით ზანგების ყოფის შესახებ.
- პაულ კლევ (1879-1940) — შვეიცარელი მხატვარი-ექსპრესიონისტი, მისი სურათებისთვის დამახასიათებელია ობობის მსგავსი ლაქები.
- ხუან (ჟოან) მირო (1893-1983) — ესპანელი (კატალონიელი) მხატვარი, გრაფიკოსი და მოქანდაკე-ავანგარდისტი, მისი ბევრი ნაშრომი ცირკს ეძღვნება.
- მარი-ელენ ვიეირა და სილვა (1908—1992) — ფრანგი მხატვარი (წარმოშობით პორტუგალიელი), აბსტრაქციონიზმთან დაახლოებული.

→ ჰაროლდ ლოიდი (1893-1971) — ამერიკელი კინომსახიობი.

→ გეორგ ვილჰელმ პაბსტი (1885-1967) — გერმანელი კინორეჟისორი.

→ ფრიც ლანგი (1890-1976) — გერმანელი კინორეჟისორი.

→ ალბერტინა — მარსელ პრუსტის რომანის „დაკარგული დროის ძიებაში“ პერსონაჟი, მთავარი გმირის შეყვარებული.

→ ფლორესტა — უბანი ბუენოს აირესში.

→ პატაფიზიკა — სიტყვა, რომელიც მოიგონა ფრანგმა მწერალმა ალფრედ ჟარიმ (1873-1907). ის განმარტავდა პატაფიზიკას როგორც მეცნიერებას გამონაკლისების შესახებ, როგორც „სამყაროს აღწერას, რომელიც შეიძლება დაინახო და აუცილებელია დაინახო ტრადიციული სამყაროს ადგილას“. 1948 წელს პარიზში დააარსეს „პატაფიზიკის კოლეჯი“, საღალღობო ორდენი პაროდული რიტუალებით, წოდებებით და რეგალიებით. „კლასობანას“ გამოქვეყნების შემდეგ ხულიო კორტასარი მალევე აირჩიეს კოლეჯის წევრად.

→ მალდორორი — წარმოშობით ურუგვაელი, ფრანგი პოეტის ლოტრეამონის (ისიდორ დიუკასის ფსევდონიმი, (1846-1870)) დემონური გმირი.

→ ლუდვიგ ვანი — ანუ ბეთჰოვენი.

→ „დაბალზამებულ უზარმაზარ ხოჭოებს“ — ხოჭოები ძველ ეგვიპტეში წმინდად აღიქმებოდნენ.

→ როკამადური — ბიჭის სახელი, საფრანგეთის ქალაქის მიხედვით, რომელიც მომლოცველობის ადგილი იყო.

→ „პორგი და ბესი“ — ამერიკელი კომპოზიტორის ჯორჯ გერშვინის (1898-1937) ჯაზური ოპერა.

→ ლეონორ აქვიტანელი (1122-1204) — ინგლისისა და საფრანგეთის დედოფალი, რიჩარდ ლომგულის დედა.

→ ჰუგო ვოლფი (1860-1903) — ავსტრიელი კომპოზიტორი.

→ Cogito ergo sum — მინიშნება რენე დეკარტის (1596-1650) აფორიზმზე „ფიქრობ, მაშასადამე, ვარსებობ“. ეს თემა მთელ რომანს გაჰყვება.

→ Jazz cool — „ცივი ჯაზი“, მეოცე საუკუნის 40—იან წლებში წარმოშობილი ჯაზური მუსიკის სტილი.

→ სიერენ კირკეგორი (1813-1855) — დანიელი თეოლოგი და ფილოსოფოსი-ირრაციონალისტი.

→ მანიქეველობა — რელიგიური მოძღვრება, ქრისტიანობისა და მაზდეანობის ერთგვარი ნარევი, წარმოიშვა ახლო აღმოსავლეთში და ეწოდა მისი ფუძემდებლის, მანის (216-274) სახელის მიხედვით. მისი დედააზრი ორი საწყისის, კეთილის და ბოროტის, ნათელის და ბნელის მუდმივ დაპირისპირებაში მდგომარეობს.

→ ბიბოპი (ან ბოპი) — მეოცე საუკუნის 40—იან წლებში წარმოშობილი ჯაზური მუსიკის სტილი, რომელიც განსაკუთრებით იყო იმპროვიზაციისკენ მიდრეკილი.

→ ომფალოსი (ძველბერძნულად ჭიპი) — წმინდა ქვა, აპოლონის დელფიურ ტაძარში, იგულისხმება „სამყაროს ცენტრი“.

→ ორტეგა — ხოსე ორტეგა ი გასეტი (1883-1955), ესპანელი ფილოსოფოსი.

→ შელერი — მაქს შელერი (1874-1928), გერმანელი ფილოსოფოსი, ფილოსოფიური ანთროპოლოგიის ერთ-ერთი ფუძემდებელი.

→ მატე — მატონიზირებული სასმელი, მზადდება ბადგის ფოთლებისგან, რომელიც იზრდება სამხრეთ ამერიკის სუბ-

ტროპიკებში.

→ ბართოლომე მიტრე (1821-1906) — არგენტინელი პოლიტიკური მოღვაწე, ისტორიკოსი და მწერალი, 1826-1868 წწ. — არგენტინის პრეზიდენტი.

→ ტუპაკ ამარუ (1740-1781) — ინკი, პერუში სახალხო აჯანყების ბელადი, სიკვდილით დასაჯეს ესპანელებმა.

→ „მე ვიცი, რომ არაფერი არ ვიცი“ — სოკრატეს ფილოსოფიური მსჯელობების ამოსავალი ფრაზა (სოკრატემ ციკუტას შხამით მოიკლა თავი).

→ „სან ლორენსო“, „ბოკა ხუნიორსი“ — არგენტინული სპორტული კლუბები.

→ „animula vagula blandula“ — რომის იმპერატორ ადრიანეს (76— 138) ეპიტაფიის პირველი სტრიქონი.

→ ტომას ჩიპენდეილი (1718-1779) — ინგლისელი ავეჯის ოსტატი.

→ სირიელმა შეაქო მართა — ირონიული მინიშნება სახარებაზე (ლუკა, 10, 41-42).

→ არჯუნა — ინდური მითოლოგიური ეპოსის „მაჰაბჰარატას“ პერსონაჟი, მეფე-მეომარი, რომელიც გადამწყვეტი ბრძოლის წინ შეყოყმანებული მისმა მეეტლემ, ღმერთმა კრიშნამ გაამხნევა.

→ მარი ეპიკურელი — ინგლისელი მწერლის უოლტერ პატერის (1839-1894) ამავე სახელწოდების რომანის მთავარი გმირი.

→ რიჩარდ ჰილარი (1917-1943) — ინგლისელი სამხედრო მფრინავი, ცნობილი მემუარების ავტორი.

→ კიო — ფრანგი მწერლის, ანდრე მალროს (1901-1976) რომანის „ადამიანის არსებობის პირობები“ გმირი, ჩინელი რევოლუციონერი.

→ ტომას ედვარდ ლოურენსი (1888-1935) — ინგლისელი მზვერავი არაბეთში.

→ ხუან ბაუტისტა კაბრალი (?—1813) — ესპანური კოლონიების დამოუკიდებლობისთვის ომის (1810-1826) გმირი, რომელიც დაიღუპა სან-ლორენსოსთან ბრძოლაში, როდესაც სიკვდილს გადაარჩინა გენერალი სან-მარტინი.

→ „რატომ წმინდა თომას“ — მაგა ერთმანეთში ურევს შუა საუკუნეების ეკლესიურ მოღვაწე თომა აკვინელს და ქრისტეს მოციქულ თომას.

→ ისააკ პიტმანი (1813-1897) — ინგლისელი პედაგოგი და ლექსიკოგრაფი.

→ მარ დელ პლატა — ქალაქი ბუენოს-აირესის პროვინციაში.

→ პანთეონი — პარიზის ერთ-ერთი ღირსშესანიშნაობა, არქიტექტურის ძეგლი.

→ ნიკოლა რეტიფ დე ლა ბრეტონი (1734-1806) — ფრანგი მწერალი.

→ ჩე — არგენტინული სლენგური შორისდებული, მიმართვა მოსაუბრეს.

→ შარლ-ლუი მონტესკიე (1689-1755) — ფრანგი ფილოსოფოსი, განმანათლებელი.

→ რაიმონ რადიგე (1903-1923) — ფრანგი მწერალი.

→ თეოფილ გოტიე (1811-1872) — ფრანგი პოეტი და პროზაიკოსი.

→ „ძენის სისტემის მიხედვით ისვრიან მშვილდისარს“ — მიწინება ძველ ჩინურ იგავზე ტრაქტატიდან „ჩჟუან ცზი“, სადაც მოთხრობილია ოსტატზე, რომლის მიზანში გარტყმის საიდუმლოება იმაში მდგომარეობს, რომ არ უმიზნებს.

→ ძენი (ჩან) — შუა საუკუნეების ჩინური ბუდიზმის ფილოსოფიური სკოლა, რომლის მოძღვრება გავრცელდა იაპონიაში და XX საუკუნეში დიდი პოპულარობა მოიპოვა აშშ-ში და დასავლეთ ევროპაში.

→ ანრი ფოკონიე (1811-1872) — ფრანგი მწერალი.

→ ინდეტერმინიზმი — ფილოსოფიური მოძღვრება, რომელიც უარყოფს ბუნების და საზოგადოებრივი მოვლენების მიზეზშედეგობრივ კავშირს.

→ „ისეთი მინის ბურთი გაეკეთებინა, რომელშიც მიკრო და მაკროკოსმოსი ერთმანეთს შეერწყმოდა“ — ზემთაგონების სიმბოლო ხორხე ლუის ბორხესის მოთხრობიდან „ალეფი“.

→ „...ტურგენევის ნარკვევი...“ — ტურგენევი თავის ნარკვევში აღწერა ფრანგი დამნაშავის ჟან ბატისტ ტროპმენის 1870 წლის 19 იანვარს სიკვდილით დასჯა.

→ პეტიო, ვაიდმანი, კრისტი — კრიმინალური დამნაშავეები, რომელთა შესახებ კორტასარმა დაწერა ერთ-ერთ თავის გვიანდელ ნარკვევში.

→ სიენის ფერწერა — იტალიური ფერწერის სკოლა XIII—XIV სს.

→ პასიფეა — ბერძნულ მითოლოგიაში კრეტის მეფის მინოსის ცოლი. შურისძიების მიზნით ღმერთმა პოსეიდონმა აიძულა იგი, ჰქონოდა სქესობრივი კავშირი ხართან.

→ დილან ტომასი (1914-1953) — ინგლისელი პოეტი.

→ ფრანსუა მორიაკი (1885-1970) — ფრანგი მწერალი, ნობელის პრემიის ლაურეატი 1952 წელს.

→ რობერტო არლტი (1900-1942) — არგენტინელი მწერალი. მის მნიშვნელობაზე კორტასარი წერდა: „ჩვენ ყველანი რობერტო არლტიდან წამოვედით“.

→ პანჩი და ჯუდი — ინგლისური ხალხური თოჯინების თეატრის კომიკური წყვილი.

→ ჯოტო (1266-1337) — იტალიელი ფერმწერი.

→ დუინო — ციხე-დარბაზი დუინო ადრიატიკის სანაპიროზე, სადაც რამდენიმე წელი ცხოვრობდა ავსტრიელი პოეტი რაინერ მარია რილკე (1875-1926).

→ ტირსო დე მოლინა (1583-1698) — ესპანელი დრამატურგი.

→ შავი სინათლე — ფარული ღმერთის სახე გნოსტიციზმის, ასევე ალქიმიის და კაბალის მოძღვრებაში. მოგვიანებით იგი გვხვდება მსოფლიო ლიტერატურაში (დაწყებული დანტედან).

→ პიტ მონდრიანი (1872-1944) — ნიდერლანდელი მხატვარი, აბსტრაქციონისტი.

→ პედრო დე მენდოსა (დაახლ. 1487-1537) — ესპანელი კონკისტადორი, ბუენოს აირესის დამაარსებელი (1535).

→ ბიქსი — ამერიკელი ჯაზ-მუსიკოსის ლეონ ბეიდერბერკის (1903-1931) მეტსახელი.

→ ედი ლენგი (1904-1933) — ამერიკელი ჯაზ-გიტარისტი.

→ სტენლი გეტცი (1927-1991) — ამერიკელი საქსოფონისტი.

→ ხულიან მარიასი (დ. 1914) — ესპანელი ფილოსოფოსი.

- ელვატები — ძვ. ბერძნული ფილოსოფიური სკოლა. VI—V სს. ჩვ.წ-მდე.
- ლესტერ იანგი (1909-1959) — ამერიკელი ჯაზ-მუსიკოსი.
- უილიამ უელსი (1909-1985) — ამერიკელი ჯაზ-მუსიკოსი, კომპოზიტორი და მომღერალი.
- ჯოზეფ ბასკინი (1916-2004) — ამერიკელი ჯაზ-მუსიკოსი, კომპოზიტორი და პიანისტი.
- ბილ კოლმენი (1904-1981) — ამერიკელი ჯაზ-მუსიკოსი, ტრომბონისტი.
- ჯონ სიმონსი (1918-1979) — ამერიკელი ჯაზ-მუსიკოსი, კონტრაბასისტი.
- ჯო ჯოუნსი (1911-1985) — ამერიკელი ჯაზ-მუსიკოსი, დასარტყამი ინსტრუმენტები.
- ლაიონელ ჰემპტონი (1909-2002) — ამერიკელი ჯაზ-მუსიკოსი, ვიბრაფონისტი.
- კარსონ მაკკალერსი (1917-1967) — ამერიკელი მწერალი ქალი.
- რაიმონ კენო (1903-1976) — ფრანგი მწერალი.
- I fled him — ინგლისელი პოეტის ფრენსის ტომპსონის (1859— 1907) ლექსის „ციური მწევარი“ პირველი სტრიქონი.
- ლუტეცია — პარიზის ძველი დასახელება.
- კოულმენ ჰოუკინსი (1904-1969) — ამერიკელი ჯაზ-საქსოფონისტი.
- დიზი გილესპი (1917-1993) — ამერიკელი ჯაზ-მუსიკოსი, მესაყვირე.

→ პოლ უაიტმენი (1890-1967) — ამერიკელი მუსიკოსი, ერთ-ერთმა პირველმა შექმნა სიმფოჯაზორკესტრი.

→ ბესი სმიტი (1895-1937) — ამერიკელი ჯაზ-მომღერალი.

→ საჩმო — ლუი არმსტრონგის (1900-1971), ამერიკელი კომპოზიტორის, მომღერლის ზედმეტსახელი.

→ ემილია პარდო ბასანი (1852-1921) — ესპანელი მწერალი ქალი.

→ ჯონ კოლტრეინი (1926-1967) — ამერიკელი ჯაზ-საქსოფონისტი.

→ სიდნი ბეშე (1887-1959) — ამერიკელი ჯაზ-კომპოზიტორი, საქსოფონისტი და კლარნეტისტი.

→ ჩინელი მირბო — ოქტავ მირბო (1848-1917), ფრანგი მწერალი, რომელმაც დაწერა წიგნი ჩინეთზე „ჩამების ბალი“.

→ ჩეშირული კატა — ინგლისური ფოლკლორის, შემდეგ კი ლუის კეროლის რომანის „ალისა სასწაულების ქვეყანაში“ პერსონაჟი.

→ ბილ ბრუნზი (1893-1958) — ამერიკელი მომღერალი და გიტარისტი.

→ მა რეინი (1886-1939) — ამერიკელი მომღერალი ქალი, ბლუზის შემსრულებელი.

→ ფეტს უოლერი (1904-1943) — ამერიკელი ჯაზ-მუფსიკოსი, პიანისტი და მომღერალი. 9156

→ Blue interlude — ბენი კარტერის ჯგუფის მიერ 30—იან წლებში ჩაწერილი კომპოზიცია, სადაც მართლა უკრავდნენ შემდგომში ჩამოთვლილი მუსიკოსები.

→ ბენი კარტერი (1907-2003) — ამერიკელი ჯაზ-კომპოზიტორი, საქსოფონისტი და მესაყვირე.

→ ჩუ ბერი (1910-1941) — ამერიკელი ჯაზ-მუსიკოსი.

→ ტედი უილსონი (1912-1986) — ამერიკელი ჯაზ-მუსიკოსი, პიანისტი.

→ მანდრაგორა — მცენარე, რომლის ფესვები ჩამოგავს ადამიანის სხეულს, რის გამოც იგი ხშირად გამოიყენებოდა სხვადასხვა ჯადოქრულ რიტუალებში.

→ ბანტუ — ტომთა ჯგუფი აფრიკაში.

→ პალი — კუნძულ ცეილონის მოსახლეობის წმინდა ენა (სანსკრიტის ერთ-ერთი სახე), რომელზეც ბუდა გადმოსცემდა თავის მოძღვრებას.

→ ჯეკ დიუპრე (1910-1992) — ამერიკელი ჯაზ-მუსიკოსი, პიანისტი და მომღერალი.

→ Hot and Bothered — ბლუზი, რომელსაც ასრულებდა დიუკ ელინგტონი (1899-1974).

→ ბები კოქსი (1899-1967) — ამერიკელი ჯაზ-მომღერალი ქალი.

→ ჯონი ჰოჯესი (1906-1970) — ამერიკელი ჯაზ-კომპოზიტორი, საქსოფონისტი.

→ კრემენდო — მუსიკალურ ენაზე დინამიკა.

→ რენე დომალი (1908-1944) — ფრანგი პოეტი, პროზაიკოსი, თარგმნა ინდუიზმისა და ბუდიზმის წმინდა ტექსტები, დაახლოებული იყო თეოსოფ გიორგი გურჯიევის წრესთან. ციტატა მოყვანილია მისი სიკვდილის შემდეგ გამოქვეყნებული წიგნიდან „ანალოგების მთა“ (1952). იგავიდან მომდინარეობს ოლივეირასა და ტრეველერის, როგორც ტყუპების თემაც.

→ ერლ ჰაინსი (1903-1983) — ამერიკელი ჯაზ-მუსიკოსი.

→ სენ-ჟონ პერსი (1887-1975) — ფრანგი პოეტი, ნობელის პრემიის ლაურეატი.

→ პიერო დელა ფრანჩესკა (1416-1492) — ფლორენციელი ფერმწერი.

→ ჯელი როლ მორტონი (1885-1941) — ამერიკელი პიანისტი, მომღერალი.

→ პიზანელო (1395-1455) — იტალიელი ფერმწერი და მე-დაღების ოსტატი.

→ არნოლდ შონბერგი (1874-1951) — ავსტრიელი კომპოზიტორი, ექსპრესიონისტი, ატონალური მუსიკის ფუძემდებელი.

→ სონი როლინსი (დ. 1929) — ამერიკელი ჯაზ-მუსიკოსი, საქსოფონისტი.

→ კევსონ პოლოკი (1912-1956) — ამერიკელი მხატვარი, აბსტრაქციონისტი.

→ მარკ ტობი (1890-1976) — ამერიკელი მხატვარი, ავანგარდისტი.

→ მენდოსა — ქალაქი არგენტინაში, სადაც 40—იან წლებში კორტასარი მუშაობდა სკოლის მასწავლებლად.

→ ფრედი კეპარდი (1889-1933) — ამერიკელი ჯაზ-მუსიკოსი, მესაყვირე.

→ ბანკ ჯონსონი (1879-1949) — ამერიკელი ჯაზ-მუსიკოსი.

→ თელონიუს მონკი (1917-1982) — ამერიკელი ჯაზ-მუსიკოსი, პიანისტი.

→ ჰორას სილვერი (დ. 1928) — ამერიკელი ჯაზ-კომპოზიტორი და პიანისტი.

- ტედ ჯონსი (1923-1986) — ამერიკელი ჯაზ-კომპოზიტორი და მესაყვირე.
- ეროლ გარნერი (1921-1977) — ამერიკელი ჯაზ-მუსიკოსი, მომღერალი და პიანისტი.
- არტ ტეიტუმი (1910-1956) — ამერიკელი ჯაზ-მუსიკოსი, პიანისტი.
- კენი კლარკი (1914-1985) — ამერიკელი ჯაზ-მუსიკოსი, დასარტყამი ინსტრუმენტები, ბიბოპის ერთ-ერთი ფუძემდებელი.
- ეხნატონი — ამენხოტეპ IV, ეგვიპტელი ფარაონი, რელიგიური რეფორმატორი, XV ს. ჩვ.წ-მდე.
- კარტეზიუს — რენე დეკარტის ლათინიზირებული გვარი.
- მანდალა — სამყაროს სიმბოლური მოდელი ბუდისტურ მითოლოგიაში, წრეში ჩახატულია კვადრატი, რომელშიც ჩახატულია კიდევ ერთი პატარა წრე. კარლ იუნგი იკვლევდა მას როგორც უნივერსალურ პირველსახეს. კორტასარი თავდაპირველად ფიქრობდა ამ რომანის სათაურად სწორედ „მანდალა“ შეერჩია.
- „მაშკულის ძუ მგლები“ — ალექსანდრ დიუმას რომანი.
- ჟან-პიერ ბრისე (1837-1913) — ფრანგი მწერალი, ლინგვისტი.
- ჯონი დოლსი (1892-1940) — ამერიკელი ჯაზ-მუსიკოსი.
- ალბერტ ნიკოლსი (1900-1973) — ამერიკელი ჯაზ-მუსიკოსი.
- ზუტი სინგლტონი (1898-1975) — ამერიკელი ჯაზ-მუსიკოსი.

→ „a rose is a rose is a rose” — ცნობილი ფრაზა ამერიკელი მწერლის გერტრუდ სტაინისა (1874-1946). „ვარდი არის ვარდი, არის ვარდი” — თავისებური ანტისიმბოლისტური კრედიო.

→ „April is the cruellest month” (“აპრილი ყველაზე მკაცრი თვეა”) — ინგლისელი პოეტის და ესეისტის ტომას სტერნს ელიოტის პოემის „უნაყოფო მიწა” დასაწყისი.

→ ... ერთი სიტყვით, ლიტერატურა” — მინიშნება პოლ ვერლენის ლექსზე „პოეზიის ხელოვნება”, რომელიც მთავრდება სტრიქონით „ყველაფერი დანარჩენი ლიტერატურაა”.

→ ფრანცისკ პირველი (1494-1547) — საფრანგეთის მეფე 1515 წლიდან.

→ ამბრუაზ პარე (1509-1590) — ცნობილი ფრანგი ექიმი.

→ ბრძოლა მონტე კასეროსთან — არგენტინაში სამოქალაქო ომების ერთ-ერთი ეპიზოდი, რომელშიც 1852 წელს გაიმარჯვა გენერალმა ურკისმა და ამით დაასრულა ხუან მანუელ დე როსასის დიქტატურა.

→ ბობ ჰოუპი (1903-2003) — ამერიკელი კომიკოსი.

→ „დაო” (გზა) — დაოსიზმის ფილოსოფიაში მთავარი ცნება-სიმბოლო, ყოველივე არსებულის სათავე და კანონი.

→ ავეროესი — არაბი ფილოსოფოსის იბნ რუშდის ლათინიზებული სახელი, არისტოტელეს მიმდევარი, ასევე ხორხე ლუის ბორხესის მოთხრობის „ავეროესის ძიებანი”-ს გმირი.

→ ლორენს დარელი (1912-1990) — ინგლისელი მწერალი.

→ სიმონა დე ბოვუარი (1908-1986) — ფრანგი მწერალი, ეგზისტენციალისტი.

→ მარგერიტ დიურასი (1914-1996) — ფრანგი მწერალი.

→ ჟან დუასო (1924 - 2015) — ნამდვილი სახელი ფრედერიკ დე. ფრანგი მხატვარი და მოქანდაკე, რომლის ავტობიოგრაფიულმა რომანებმა სენსაცია გამოიწვიეს შოკისმომგვრელი გულახდილი სცენებით.

→ ნატალი საროტი (1900-1999) — ფრანგი მწერალი „ახალი რომანის“ წარმომადგენელი.

→ რენე კრეველი (1900-1935) — ფრანგი მწერალი, სიურრეალისტი.

→ ანტონენ არტო (1896-1948) — ფრანგი პოეტი და დრამატურგი, თეატრის თეორეტიკოსი.

→ ედგარ ვარემბი (1883-1965) — ამერიკელი კომპოზიტორი, ავანგარდისტი.

→ მიჟანუ ბარდო (დ. 1939) — ნაკლებად ცნობილი ფრანგი მსახიობი, ბრიჯიტ ბარდოს და.

→ გი ტრებერი — მკვლელი, 1959 წელს დააკავეს პარიზში. ეს იყო პირველი შემთხვევა, რომ დამნაშავე დააკავეს სახის სხვადასხვა ნაწილის აღწერით დახატული სურათის მიხედვით.

→ მიშელ ბიუტორი (1926 - 2016) — ფრანგი მწერალი, „ახალი რომანის“ თეორეტიკოსი.

→ ცაო-ვუ—კი (დ. 1920) — ჩინური წარმოშობის პარიზის სკოლის მხატვარი.

→ ლუისონ ბობე (1925-1983) — ფრანგი ველომრბოლელი.

→ ლინო ენეას სპილიმბერგი (1896-1964) — არგენტინელი მხატვარი.

→ ხუსტო სუარესი (1909-1938) — არგენტინელი მოკრივე.

→ ბონინი — კრიმინალური დამნაშავე.

→ ირინეო ლევისამო (1903-1985) — არგენტინელი ჟოკეი.

→ ხულიო დე კარო (1899-1977) — არგენტინელი კომპოზიტორი და ტანგოს შემსრულებელი. ერთ-ერთ მისი ნაწარმოების სახელია „კლასობანა“.

→ J'habite à Saint-Germain-des-Prés — ფრანგული შანსონების შემსრულებლის ლეო ფერეს (1916-1993) სიმღერა.

→ ჟილბერ ბეკო (1924-2001), გი ბეარი (დ. 1930) — ფრანგული შანსონების შემსრულებლები.

→ ბენედიქტ სპინოზა (1632-1677) — ნიდერლანდელი მოაზროვნე, რაციონალისტი. → ბენიტო პერეს გალდოსი (1843-1920) — ესპანელი მწერალი.

→ პოლ ვერლენი (1844-1896) — ფრანგი პოეტი.

→ ჟერარ დე ნერვალი (1808-1855) — ფრანგი პოეტი და პროზაიკოსი, სიცოცხლე თვითმკვლელობით დაასრულა.

→ ჯონ კიტსი (1795-1821) — ინგლისელი პოეტი, რომანტიკოსი, გარდაიცვალა ტუბერკულოზით.

→ ჯონ დონი (1572-1631) — ინგლისელი პოეტი, ღვთისმეტყველი.

→ სომა — მდინარე აღმოსავლეთ საფრანგეთში, რომელზეც ორივე მსოფლიო ომის დროს დიდი ბრძოლები გაიმართა.

→ ფილიპ მარი ლეკლერკი (1902-1947) — საფრანგეთის მარშალი.

→ ალიქს ალიქსი — ჟაკ მარტენის კომიქსების (გამოდიოდა 1948 წლიდან) გმირის სახელის ირონიული გაორმაგება.

→ ლეო დელიბი (1836-1891) — ფრანგი კომპოზიტორი.

→ კამილ სენ-სანსი (1835-1921) — ფრანგი კომპოზიტორი.

→ „მის უკაცრიელ კუნძულს გავანადგურებ...“ — მინიშნება დანიელ დეფოს „რობინზონ კრუზოზე“, რომელიც კორტასარმა თარგმნა ესპანურ ენაზე.

→ ანტონ ვებერნი (1883-1945) — ავსტრიელი კომპოზიტორი, ავანგარდისტი, რომლის შემოქმედებაში პაუზები დიდ როლს თამაშობს.

→ სალამბო — კართაგენის მეფის ასული; გუსტავ ფლობერის რომანის სათაური.

→ „ცეცხლის ცეკვა“ — ესპანელი კომპოზიტორის მანუელ დე ფალიას ბალეტიდან „სიყვარული-სასწაულმოქმედი“.

→ ედუარდ რისლერი (1873-1929) — ფრანგი პიანისტი და პედაგოგი.

→ რაიმონდ დუნკანი (?—1967) — ამერიკელი მხატვარი.

→ ლუი ფერდინანდ სელინი (1894-1961) — ფრანგი მწერალი.

→ „ომფალის სართავი“ — კამილ სენ-სანსის სიმფონიური პოემა.

→ „კადისელი ქალიშვილები“ — ლეო დელიბის სიმღერა.

→ „გული გაიხსნა შენს შესახვედრად“ — არია სენ-სანსის ოპერიდან „სამსონი და დალილა“.

→ „ლაკმე“ — დელიბის ოპერა.

→ „ჰიმნი ვიქტორ ჰიუგოს“ — სენ-სანსის სიმფონიური პოემა.

→ „ჟან დე ნიველი“ — დელიბის ოპერა.

→ „ნილოსის ნაპირებზე“ — სენ-სანსის ნაწარმოებიდან „აფრიკა“.

→ „სად მიდის ახალგაზრდა ინდოელი ქალი?“ — არია დელიბის ოპერიდან „ლაკმე“.

→ პიერ ბულეზი (1925-2016) — ფრანგი კომპოზიტორი, ავანგარდისტი.

→ ერიკ სატი (1866-1925) — ფრანგი კომპოზიტორი.

→ ჟაკ ტიბო (1880-1953) — ფრანგი მევიოლინე.

→ ფრანსის პულენკი (1899-1963) — ფრანგი კომპოზიტორი.

→ ალბერ ტიბოდე (1874-1936) — ფრანგი ლიტერატურული კრიტიკოსი.

→ ოქროს რტო... — სიკვდილზე ძალაუფლების ნიშანი ვირგილიუსის ეპიკური პოემიდან „ენეიდა“.

→ „დიადი საქმეები...“ — იგულისხმება მეოცე საუკუნის ფრანგი თეოსოფის ნაწარმოები. იგი თავის ნაწარმოებებს ალქიმიამზე და ოკულტიზმზე ფულკანელის ფსევდონიმით აწერდა ხელს.

→ ჟერმენ ტაიფერი (1892-1983) — ფრანგი პიანისტი და კომპოზიტორი.

→ მარგერიტ ლონგი (1874-1966) — ფრანგი პიანისტი.

→ ჯოზეფ კონრადი (1857-1924) — ინგლისელი მწერალი.

→ ნინონ დე ლანკლო (1620-1705) — ფრანგი კურტიზანი.

→ „მშვენიერი გრძნობებიდან იბადება მდარე ლიტერატურა...“ — ციტატა ფრანგი მწერლის ანდრე ჟიდის (1869-1951) ჩანაწერებიდან.

→ მაიას საბურველი — ძველ ინდურ ფილოსოფიაში ყოველი ხილულის ილუზორულობის სიმბოლო.

→ „...კოჭლი ეშმაკი...“ — ესპანელი მწერლის ლუის ველეს დე გევარას რომანი.

→ „ზენდის ტყვე“ — ინგლისელი მწერლის ენტონი ჰოუპის მძაფრსიუჟეტოანი რომანი (ეკრანიზებულია რამდენჯერმე).

→ იანსენიზმი — რელიგიური მოძღვრება და რელიგიური მოძრაობა (XVII—XVIII სს.) კათოლიკური ეკლესიის შიგნით. ხაზს უსვამდა ადამიანის ცოდვილ ბუნებას. დაგმობილი იქნა როგორც ერესი.

→ ლევ შესტოვი (1866-1938) — რუსი ფილოსოფოსი, ეგზისტენციალისტი.

→ „მგონი პასკალი იყო ყველაზე კარგი მცოდნე ცხვირების დარგში...“ — იგულისხმება ბლემ პასკალის (1623-1662) მსჯელობა კლეოპატრას ცხვირის შესახებ, რომ კლეოპატრას ცხვირი ცოტა მოკლე რომ ყოფილიყო, კაცობრიობის ბედს შეცვლიდა.

→ ჟან-მიშელ ატლანი (1913-1960) — ფრანგი მხატვარი და გრაფიკოსი.

→ მორის ესტევი (1904-2001) — ფრანგი მხატვარი.

→ ალფრედ მანესიე (1911-1993) — ფრანგი მხატვარი, აბსტრაქციონისტი.

→ ვიფრედო ლამი (1902-1982) — კუბელი მხატვარი, დიდი ხანი იცხოვრა პარიზში.

→ ჟან-ჟაკ დეიროლი (1911-1967) — ფრანგი მხატვარი, კუბისტი, მოგვიანებით აბსტრაქციონისტი.

→ როჟე ბისიერი (1886-1964) — ფრანგი მხატვარი.

→ ჯონი ფრიდლენდერი (1912-1989) — გერმანელი მხატვარი, გრაფიკოსი.

- ჟაკ ვიიონი (1875-1963) — ფრანგი მხატვარი, სიურრეალისტი.
- კუმი სუგაი (1919-1996) — ფრანგი მხატვარი, გრაფიკოსი და კალიგრაფი.
- ვუდუ — აფრიკული წარმოშობის არქაული კულტი, რომელიც გავრცელებულია ჰაიტის შავკანიან მოსახლეობაში.
- ჟან ტინგელი (1925-1991) — შვეიცარელი მხატვარი და მოქანდაკე.
- ალფრედ მეტრო (1902-1963) — ფრანგი ეთნოგრაფი, ლათინური ამერიკის ინდიელთა კულტურის მკვლევარი.
- მალტე ლაურიდს ბრიგე — რაინერ მარია რილკეს რომანის გმირი.
- „დიონისეს ყური“ — ძველი ტაძრების კედლებში არსებობდა ხვრელები, რომლებიც ხშირად ყურის ნიჟარის მსგავსი ორნამენტით იყო დაფარული. ძველ საბერძნეთში ასეთ მოსასმენ მოწყობილობას დიონისეს ყურს უწოდებდნენ.
- მარიო დელ მონაკო (1915-1982) — იტალიელი მომღერალი.
- „The rest is silence“ — შექსპირის ჰამლეტის უკანასკნელი სიტყვები.
- გერარდ დავიდი (1460-1523) — ნიდერლანდელი მხატვარი.
- როგირ ვან დერ ვეიდანი (1400-1464) — ნიდერლანდელი მხატვარი.
- ფლემალელი მანესტრო — იგულისხმება ნიდერლანდელი მხატვარი რობერტ კამპენი (1378-1444).

→ „ანეკდოტიც არსებობს, ერთ ტიპს ფეხსაცმელი რომ გასძვრა“ — ანეკდოტის არსი მდგომარეობს იმაში, რომ ლოთის მეზობელი ვერ იძინებს, სანამ მეორე ფეხსაცმლის გახდის ხმას არ გაიგებს, მაშინ როდესაც ლოთმა მეორე ფეხსაცმელი ჩუმად დადო. მსგავსი ანეკდოტი თბილისში დიდი ნიაზ დიასამიძის შესახებაც დადიოდა.

→ ხუან დომინგო პერონი (1895-1974) — არგენტინის დიქტატორი (1946-1955), რომელიც პუტჩის შედეგად გადააყენეს.

→ ვანია — პარაგვაიში გავრცელებული შაქრის ლერწმისგან დამზადებული არაყი. → როსარიო — ქალაქი არგენტინაში.

→ „როცა გორაკის ახლოს ცხოვრობთ...“ — მონტევიდეო გაშენებულია გორაკიან ადგილზე, სიტყვასიტყვით ნიშნავს: „ვხედავ გორაკს“.

→ „Un soir, l'âme du vin chantait dans les bouteilles“ — შარლ ბოდლერის ლექსის „ღვინის სული“ პირველი სტრიქონი.

→ ანაკრეონტი (570-478) — ძველი ბერძენი პოეტი, რომელიც უმღეროდა სიყვარულს, ღვინოს და მხიარულებას.

→ რიპ ვან ვინკლი — ამერიკელი მწერლის ვაშინგტონ ირვინგის ამავე სახელწოდების რომანის გმირი.

→ „ზიგფრიდის Todesmusik“ — სამგლოვიარო მარში რიხარდ ვაგნერის ოპერიდან „ღმერთთა სიკვდილი“.

→ სისტოლა და დიასტოლა — ურთიერთმიმდევარი სისტოლა და დიასტოლა შეადგენენ გულის მოქმედების ციკლს.

→ ელენა ბლავატსკაია (1831-1891) — რუსი მწერალი, ოკულტური ფილოსოფიის იდეის დამამკვიდრებელი.

→ ჩეზარე ბორჯა (1457-1507) — იტალიელი საეკლესიო და პოლიტიკური მოღვაწე, ცნობილია მრავალრიცხოვანი შეთქმულებით და დანაშაულით.

→ ფრიც კრეისლერი (1875-1962) — ავსტრიელი კომპოზიტორი და მევიოლინე.

→ „ბარდო“ — „მიცვალებულთა ტიბეტური წიგნი“, ტიბეტურ ბუდიზმში იმქვეყნიური ცხოვრების შესახებ მითოლოგიური წარმოდგენების კრებული. თვითონ სიტყვა ბარდო ნიშნავს იმ მდგომარეობას, რომელშიც იმყოფება მიცვალებულის სასიცოცხლო ძალა გარდასახვის მოლოდინში.

→ ჰენრი მური (დ. 1848) — ინგლისელი მოქანდაკე.

→ კარლ გუსტავ იუნგი (1875-1961) — შვეიცარელი ფსიქოლოგი, ზიგმუნდ ფროიდის მოწაფე, კომენტარები დაურთო „ბარდოს“ თარგმანს.

→ ჟორჟ დე ლა ტური (1593-1652) — ფრანგი ფერმწერი.

→ „Il faut tenter de vivre“ — ციტატა პოლ ვალერის ლექსიდან „ზღვისპირა სასაფლაო“.

→ ინ, იან — ჩინურ ფილოსოფიაში სიმბოლური გამოთქმა სამყაროს ურთიერთსაწინააღმდეგო საწყისისა — სინათლე და სიბნელე, მამაკაცური და დედაკაცური საწყისი, გეციური და მიწიერი და ა.შ.

→ ლუდვიგ ვიტგენშტაინი (1889-1951) — ავსტრიელი ფილოსოფოსი, ლოგიკოსი და მათემატიკოსი.

→ ლუდვიგ კლაგესი (1872-1956) — გერმანელი ფილოსოფოსი და ფსიქოლოგი, ირრაციონალისტი.

→ ძმები იან (დაახლ. 1390-1441) — და ჰუბერტ (დაახლ. 1370— 1426) ვან ეიკი — ნიდერლანდელი მხატვრები.

→ მესიე ვალდემარი — ედგარ ალან პოს გროტესკული ნოველის გმირი.

→ „რა სიკეთეს მოგიტანს ზაფხული, ოჰ ბუღბუღო, თუ თოვ-
ლში გაითოშე?“ — ციტატა ესპანელი პოეტის ლუის სერნუდას
ლექსიდან.

→ „ჩემი სევდიანი ღამე“ — არგენტინელი კომპოზიტორის
და მომღერლის კარლოს გარდელის (1890-1935) ტანგო. გარ-
დელს არგენტინაში ტანგოს მეფეს უწოდებენ.

→ „Sparkenbroke“ — ინგლისელი მწერლის ჩარლზ მორგა-
ნის (1894-1958) რომანი, რომლის მოქმედება იტალიურ ქალაქ
ლუკაში ვითარდება.

→ Challenge and response — მთავარი ცნება, რომელიც
აღნიშნავს კულტურის მამოძრავებელ ძალას ინგლისელი ის-
ტორიკოსის და სოციოლოგის არნოლდ ტოინბის (1889-1975)
ნაშრომში „ისტორიის წვდომა“.

→ ტეტრაგრამატონი — ოთხასოიანი საიდუმლო სახელი
ღმერთისა (იაჰვე) იუდაიზმში და კაბალას მოძღვრებაში.

→ სეფერ იეცირა — კაბალისტური ფილოსოფიის ფუძემდებ-
ლური ტრაქტატი.

→ აიაქსი — მითოლოგიური ბერძენი გმირი, რომელიც
ღმერთებმა სიგიჟით დასაჯეს, რის შემდეგაც თავი მოიკლა.

→ ჟაკ კლემანი (1567-1589) — ფრანგი ბერი, დომინიკანე-
ლი, მეფე ჰენრი მესამეს მკვლელი. სიკვდილით დასაჯეს.

→ ვილჰელმ კაიტელი (1882-1946) — ჰიტლერის გერმანიის
გენერალი, სიკვდილით დასაჯეს.

→ ნეფელიბატები („ღრუბლებში მოსიარულენი“) — სოკრა-
ტეს და სოფისტების ირონიული სახელი არისტოფანეს კომედია-
ში „ღრუბლები“.

→ რეკონკისტა, კორდოვა, ესმერალდა, სარმიენტო — ბუ-
ენოს აირესის ქუჩების სახელები. შემდგომში მათი და სხვა ქუ-

ჩების ეტიმოლოგიური, ლიტერატურული თუ ისტორიული მნიშვნელობებით მიდის თამაში.

→ ვიკი ბაუმი (1888-1960) — ავსტრიელი მწერალი.

→ როჟე მარტინ დიუ გარი (1881-1958) — ფრანგი მწერალი, რომანისტი.

→ ფრანსუა ტრისტან ლ ერმიტი (12601-1655) — ფრანგული ბაროკოს პოეტი და დრამატურგი.

→ კურტ შვიტერსი (1887-1948) — გერმანელი მხატვარი და მწერალი, დადაისტი.

→ ჯონ დონ პასოსი (1896-1970) — ამერიკელი მწერალი.

→ „ჯავშნოსანი პოტიომკინი“ — სერგეი ეიზენშტეინის ლენდარული ფილმი (1925).

→ 34-ე თავი — ამ თავში ორი ტექსტი ენაცვლება ერთმანეთს სტრიქონების გამოტოვებით. ერთია ციტატა ესპანელი მწერლის ბენიტო პერეს გალდოსის (1843-1920) რომანიდან „აკრძალული ხილი“, რომელიც წაიკითხა მაგამ და ახლა ფურცლავს ორასიო. მეორე ტექსტი არის ორასიოს ფიქრები, რომლებიც მას მოსდის რომანის კითხვისას.

→ ლუის გონსალეს ბრავო (1811-1871) — ესპანელი პოლიტიკური მოღვაწე.

→ ბორის დე შლიოცერი (1881-1969) — ფრანგი ფილოსოფოსი, მწერალი და მუსიკათმცოდნე.

→ ხუან ბრავო მურილიო (1803-1873) — ესპანელი პოლიტიკური მოღვაწე.

→ ბუენო დე გუსმანი (1256-1309) — კასტილიელი დიდებული, რეკონკისტას (ესპანელების მიერ მავრებისგან ტერიტორიის დაბრუნება) მონაწილე.

→ ჰოკუსაი (1760-1849) — იაპონელი მხატვარი.

→ სიმონა ესკოფიე (1911-1990) — ფრანგული დიალექტების მკვლევარი.

→ ნიკოლა დე სტალი (1914-1955) — ფრანგი მხატვარი, აბსტრაქციონისტი.

→ ემპუსა — მიცვალებულთა სამეუფეოს ურჩხული, ხშირად იღებს ლამაზი ქალის სახეს და ხოცავს თავის შეყვარებულებს და ბავშვებსაც.

→ „O toi que voilà, qu’as tu fait de ta jeunesse?“ — ციტატა პოლ ვერლენის ლექსიდან.

→ პიერ კიური (1859-1906) — ფრანგი ფიზიკოსი, ნობელის პრემიის ლაურეატი (1903).

→ კუბლა ხანი — ინგლისელი პოეტ-რომანტიკოსის სემუელ კოლრიჯის (1772-1834) ამავე სახელწოდების ლირიკული ფრაგმენტის თავის სასახლეში ჩაკეტილი გმირი. კოლრიჯის გვიანდელი მონათხრობით, მას კუბლა ხანის სასახლე ოპიუმით თრობისას დაესიზმრა და ლექსიც სიზმარშივე შეთხზა. გაღვიძებულმა მან დაიწყო ლექსის ჩაწერა, მაგრამ მოულოდნელმა სტუმარმა შეაწყვეტინა, რის შემდეგაც ლექსი სრულად ვეღარ გაიხსენა. ეს ეპიზოდი განიხილა ბორხესმა ესეში „კოლრიჯის სიზმარი“. კუბლა ხანის და ქსანადუს თემა უდევს საფუძვლად ლეგენდარულ ამერიკულ ფილმს „მოქალაქე კეინი“ (1941).

→ დიდი დედა — ნაყოფიერების ფრიგიელი ქალღმერთი კიბელა, რომელიც მცირე აზიიდან გავრცელდა საბერძნეთში. ამ არქაულ პირველსახეს სწავლობდა იუნგი.

→ იოჰან გოტლიბ ფიხტე (1762-1814) — გერმანელი ფილოსოფოსი.

→ ჰერაკლიტე ეფესელი (დაახლ. 520-460 წწ. ჩვ. წ-მდე) — ძველი ბერძენი ფილოსოფოსი, „ბნელად“ წოდებული, რომლის

წყალმანკისაგან განკურნების ამბავს გადმოგვცემს დიოგენე ლაერტელი.

→ „მოუგრიხეთ გედს კისერი“ — ფრაგმენტი მექსიკელი პოეტის ენრიკე გონსალეს მარტინესის (1871-1952) ლექსიდან, რომელიც ესპანურენოვანი „მოდერნიზმის“ მიმდევართა წინააღმდეგ იყო მიმართული (გედი მათი პოეზიის მთავარი სიმბოლო იყო).

→ „La mort du loup“ — ფრანგი მწერლის ალფრედ დე ვინის (1796-1863) ლექსი.

→ „მარტინ ფიერო“ — არგენტინელი პოეტის ხოსე ერნანდესის (1834-1886) პოემა.

→ „დარტყმა პირდაპირ დამიზნებით და l'azur“ — სტეფან მალარმეს ორი ლექსის „ფანჯრები“ და „ლაჟვარდი“ კონტამინაცია.

→ ფილემას ტეილორ ბარნუმი (1810-1891) — ამერიკელი საცირკო ანტრეპრენერი.

→ ტრუკო — კარტის თამაში, პოპულარული ესპანეთსა და ლათინურ ამერიკაში.

→ სოტერიოლოგია — მოძღვრება, რომელიც შეისწავლის რელიგიურ დოქტრინებს ხსნის შესახებ.

→ Alraune — მანდრაგორას გერმანული დასახელება.

→ პარილია — ცხაურაზე შემწვარი ხორცი, ასევე კაფე, რესტორანი სადაც პარილია მთავარი კერძია.

→ პასკუალიტო პერესი (1926-1977) — არგენტინელი მოკრივე.

→ ხუან მანუელ ფანხიო (1911-1995) — არგენტინელი ავტომრბოლელი, ხუთგზის მსოფლიო ჩემპიონი, მეტსახელად —

„ფეხმრუდი“.

→ გაუჩო — არგენტინელი მწყემსი. თავისუფლების მოყვარული გაუჩო მეცხრამეტე-მეოცე საუკუნის არგენტინული ლიტერატურის მრავალი ნაწარმოების გმირია.

→ ხოსე ბეტინოტი (1878-1915) — არგენტინელი მომღერალი, გაუჩო.

→ კლორინდო ტესტა (1923-2013) — არგენტინელი მხატვარი, ავანგარდისტი.

→ ადოლფო ბიოი კასარესი (1914-1999) — არგენტინელი მწერალი, ბორხესის მეგობარი და თანაავტორი.

→ დავიდ ვინიასი (1927-2011) — არგენტინელი დრამატურგი და პროზაიკოსი.

→ ლეონარდო კასტელანი (1895-1979) — არგენტინელი მღვდელი და მწერალი.

→ ხუან ხოსე მანაუტა (1919-2013) — არგენტინელი მწერალი.

→ ანდრე-პიერ დე მანდიარგი (1909-1991) — ფრანგი მწერალი.

→ ივონ გიტრი (1894-1977) — ფრანგი მომღერალი და მსახიობი.

→ ხულიო კასარესი (1877-1964) — ესპანელი ფილოლოგი, ლექსიკოგრაფი.

→ ეუხენიო კამბასერესი (1843-1888) — არგენტინელი მწერალი.

→ გაინსა მიტრე პასი — სხვადასხვა ცნობილი არგენტინელი ჟურნალისტის სახელების ნაერთი.

→ ბაგუალა — არგენტინული ფოლკლორის მუსიკალური ჟანრი.

→ ბოდო — მუშებით დასახლებული ბუენოს-აირესის რაიონი, ტანგოს სამყაროსთან დაკავშირებული.

→ შივა — ინდუიზმის სამი მთავარი ღმერთიდან ერთი, რომლის ცეკვა იყო სიმბოლო კოსმიური ჰარმონიისა.

→ „მოაზროვნე ლერწამი“ — ადამიანის ბლემ პასკალისეული განსაზღვრება.

→ „ერთადერთი ლერწამი, რომელიც შენ იცი, პარაგვაიში იზრდება...“ — პარაგვაული ლერწმისგან ამზადებენ კანიას.

→ სნორი სტურლუსონი (1179-1241) — ისლანდიელი მწერალი, ხშირად არის ნახსენები ბორხესის ნაწარმოებებში.

→ „ნორვეგიის შმაგი ქარაშოტები“ — ციტატა ესპანელი პოეტის ლუის დე გონგორას (1561-1627) პოემიდან „განმართლება“.

→ გლიპტოდონტი — პრეისტორიული ცხოველი.

→ ნორგეი ტენცინგი (1914-1986) — ინდოელი ალპინისტი, ეროვნებით შერპა (ეროვნება ნეპალში), რომელმაც 1953 წელს ახალბელანდიელ ედმუნდ ჰილარისთან ერთად პირველად დალაშქრა ევერესტი.

→ ანრი ბრემონი (1865-1933) — ფრანგი მღვდელი, ლიტერატურული კრიტიკოსი, კულტურის ისტორიკოსი. მისი წიგნი „წმინდა პოეზია“ კორტასარმა გადათარგმნა ესპანურ ენაზე.

→ ბერნარდინო რივადავია (1780-1845) — არგენტინელი სამხედრო და პოლიტიკური მოღვაწე. არგენტინის პრეზიდენტი 1826-1827 წწ.

- პაულინა სინგერმანი (1910-1984) — არგენტინელი მსახიობი.
- „მსუბუქი კავალერია“ — ავსტრიელი კომპოზიტორის ფრანც ფონ ზუპეს ოპერეტა.
- ჯუზეპე უნგარეთი (1888-1970) — იტალიელი პოეტი.
- „წიგნი მიცვალებულთა“ — ძველევგვიპტური მწერლობის ძეგლი.
- დინუ ლიპატი (1917-1950) — რუმინელი პიანისტი და კომპოზიტორი.
- ტოტი — ეგვიპტური სიბრძნის ღმერთი.
- ეგერია — იტალიური ნიმფა, გადატანითი მნიშვნელობით: მრჩეველი, მეგზური.
- სემუელ ბეკეტი (1906-1989) — ირლანდიელი დრამატურგი, „აბსურდის თეატრის“ წარმომადგენელი.
- ინკუნაბულა — ტერმინი რომელიც აღნიშნავს 1501 წლის 1 იანვრამდე დაბეჭდილ წიგნებს.
- ნავახა — დიდი დასაკეცი დანა.
- „მორგის ქუჩაზე მკვლელობები...“ — მინიშნება ედგარ პოს კლასიკურ დეტექტიურ მოთხრობაზე „მკვლელობა მორგის ქუჩაზე“.
- „ლოენგრინის გედი“ — მინიშნება რიხარდ ვაგნერის ოპერადან „ლოენგრინი“, რომლის მთავარი გმირი გედზე დაცურავს.
- „თუ სიკვდილი ფეხდაფეხ მოგდევს“ — ალფრედ ჰიჩკოკის ფილმის „ჩრდილოეთი, ჩრდილო-დასავლეთი“ დასახელება ესპანურენოვან გაქირავებაში.

→ „პირანეზის დილეგები“ — მინიშნება იტალიელი მხატვრის ჯამბატისტა პირანეზის (1720-1778) გრაფიკულ ციკლზე „დილეგები“.

→ „ტალიტა ავიდა ოთახში ასტრანა მარინის თარგმნილი ხუთმოქმედებიანი პიესის ჩამოსატანად“ — იგულისხმება შექსპირის „ანტონიუსი და კლეოპატრა“, რომელიც ესპანურად თარგმნა ლიტერატურათმცოდნე ლუის ასტრანა მარინმა (1889-1960). შემდეგ გვერდებზე ამ პიესას არჩევენ კორტასარის პერსონაჟები.

→ აქციუმის ბრძოლა — საზღვაო ბრძოლა ძველი წელთაღრიცხვის 31 წელს, რომლის დროსაც რომის იმპერატორმა ოქტავიანემ დაამარცხა ანტონიუსის და კლეოპატრას ფლოტი.

→ „ორფეხა და უფრთო“ — ადამიანის განსაზღვრება ფსევდოპლატონთან.

→ სიელიტო — არგენტინული ფოლკლორის ჟანრი.

→ ტრისმეგისტი (სამმაგად დიდი) — ძველბერძნული ღმერთის ჰერმესის გვიანანტიკური სახელი, რომელთანაც დაკავშირებულია საიდუმლო მისტიკური მოძღვრება — „ჰერმეტიზმი“. ტრისმეგისტული სამკუთხედი ნიშნავს მაგიურ სამკუთხედს.

→ ალიდა ვალი (1921-2006) — იტალიელი მსახიობი ქალი.

→ *Idola fori* — ინგლისელი ფილოსოფოსის ფრენსის ბეკონის (1561-1626) ტრაქტატში „ახალი ორგანონი“ ასე ეწოდება ადამიანის მცდარ დასკვნებს, რასაც წარმოშობს ყოველდღიური სიტყვების მნიშვნელობის არასრულყოფილი სიზუსტე.

→ მანა — სასიცოცხლო ძალა მელანეზიურ მითოლოგიაში.

→ ბრძოლა ოკინავასთან — მეორე მსოფლიო ომის დროს ამერიკული ჯარების შესვლა იაპონიის ტერიტორიაზე 1945 წ. 1 აპრილს.

→ მონიკა ვიტი (დ. 1933) — იტალიელი მსახიობი ქალი.

→ ეუსტაკიო მენდეს დელფინო (1897-1987) — არგენტინელი იურისტი.

→ „...მადამ კიურისა და ედვიჟ ფეილერს შორის წარმოიდგინა თავი“ — მარია სკლადოვსკა კიური (1867-1934), ნობელის პრემიის ორგზის ლაურეატი ფიზიკაში; ედვიჟ ფეილერი (1907-1993), ფრანგი მსახიობი ქალი.

→ ნერიო როხასი (1890-1971) — არგენტინელი მედიკოსი.

→ New Deal — ამერიკელი პრეზიდენტის ფრანკლინ რუზველტის მიერ გამოცხადებული პროგრამა 1929-1933 წლების ეკონომიკური კრიზისის დასაძლევად.

→ „კორნელისებურად...“ — პიერ კორნელი (1606-1684) — ფრანგი დრამატურგი, რომლის პერსონაჟები გრძნობასა და მოვალეობას შორის კონფლიქტით არიან შეპყრობილნი.

→ ლეონორა კარინგტონი (დ. 1917) — ინგლისელი მხატვარი და მწერალი, სიურრეალისტი.

→ „ფლეგრეოსის მინდვრები“ — ძველბერძნულ მითოლოგიაში გიგანტების დაბადების და მათი ოლიმპოელ ღმერთებთან ბრძოლის ადგილი.

→ „დაპირდა ტალიტა ნაიტინგეილი“ — მინიშნება ცნობილ ინგლისელ მედდა ფლორანს ნაიტინგეილზე (1820-1910). 1912 წელს საერთაშორისო წითელმა ჯვარმა მისი სახელობის მედალი დააარსა.

→ „პირსახოცი საშინელი ტყაპანით ეცემა რინგზე“ — კრივის წესებით პირსახოცის რინგზე გადმოგდება წაგების აღიარებას ნიშნავს.

→ ჰადესი — ძველბერძნულ მითოლოგიაში მიცვალებულთა სასუფეველი.

→ ევრიდიკე — ძველბერძნულ მითოლოგიაში მომღერალ ორფეოსის ცოლი. ორფეოსი ევრიდიკეს გარდაცვალების შემდეგ ჰადესში ჩავიდა მის დასაბრუნებლად.

→ გოლემი — გაცოცხლებული თიხის გოლიათი ებრაულ გადმოცემებში. მსოფლიო ლიტერატურის არაერთი ნაწარმოების პერსონაჟი.

→ იგდრასილი — სკანდინავიურ მითოლოგიაში „სამყაროს ხე“ უნივერსალური სიმბოლო, რომელიც აკავშირებს ცასა და დედამიწას.

→ ლუი ბრაილი (1809-1852) — ფრანგი მეცნიერი, რომელმაც გააუმჯობესა რელიეფური ანბანი უსინათლოთათვის.

→ 56-ე თავი — ოლივეირას შექმნილი ოთახი ამ თავში გავს ფრანგი მხატვრის მარსელ დუშანის (1887-1968) სახელოსნოს ბუენოს აირესში, სადაც ის გარკვეული დროის განმავლობაში ცხოვრობდა, და დუშანის ექსპოზიციას სიურრეალისტების საერთაშორისო გამოფენაზე ნიუ იორკში 1942 წელს.

→ კანჩა რაიადას ბრძოლა — 1818 წელს ჩილეს და არგენტინის განმათავისუფლებელი არმია დამარცხდა ჩილეში, კანჩა რაიადას მძელოზე ესპანელებთან.

→ ემი დესტინი (1878-1930) — ჩეხი მომღერალი.

→ ნელი მელბა (1861-1931) — ავსტრალიელი მომღერალი.

→ მარჯორი ლოურენსი (1907-1979) — ავსტრალიელი მომღერალი.

→ კლაუდია მუციო (1889-1936) — იტალიელი მომღერალი.

→ ლუკრეცია ბორი (1888-1960) — ესპანელი მომღერალი.

→ ტედა ბარა (1890-1955) — ამერიკელი თეატრის და კინოს მსახიობი.

→ ნიტა ნალდი (1899-1961) — ამერიკელი კინომსახიობი.

→ ელენორა დუბე (1858-1924) — იტალიელი მსახიობი.

→ ვილმა ბანკი (1898-1969) — ამერიკელი კინომსახიობი.

→ სარა ბერნარი (1844-1923) — ფრანგული თეატრის ლეგენდარული მსახიობი.

→ ტამარა კარსავინა (1885-1978) — რუსი ბალერინა.

→ ირინა ბორონოვა (1919-2008) — რუსული წარმოშობის ფრანგი ბალერინა.

→ მალდორორი — 1868-1869 წელს დაწერილი „მალდორორის სიმღერების“ მთავარი გმირი. მისი ავტორია გრაფ დე ლოტრეამონი, ნამდვილი სახელი — იზიდორ დუკასი (1846-1870). „მალდორორის სიმღერები“ გაჯერებულია ნიჰილიზმით და შავი იუმორით, რაზეც მიანიშნებს ტრეველერი. ამ ნაწარმოებმა დიდი გავლენა იქონია სიურრეალისტებზე, მათ შორის სალვადორ დალიზე, ანდრე ბრეტონზე, მან რეიზე, მაქს ერსტზე და სხვებზე.

→ *Histeria matinensis yugulata* — მოგონილი ავადმყოფობის სახელი.

→ ედუარდო ფალუ (1923-2013) — არგენტინელი კომპოზიტორი და მომღერალი.

→ კლოდ ლევი-სტროსი (1907-2001) — ფრანგი ეთნოლოგი.

→ რობერტ მუზილი (1880-1942) — ავსტრიელი პროზაიკოსი.

→ დაიზეტც ტეიტარო სუძუკი (1870-1966) — ბუდიზმის იაპონელი მკვლევარი.

- რაიმონ რუსელი (1877-1933) — ფრანგი მწერალი, ავან-გარდისტი.
- აკუტაგავა რიუნოსკე (1892-1927) — იაპონელი მწერალი.
- ხოსე ლესამა ლიმა (1910-1976) — კუბელი მწერალი, კორტასარი მისი მთავარი ნაწარმოების (რომანი „სამოთხე“) რედაქტორი იყო.
- ლუი ბუნიუელი (1900-1983) — ესპანელი კინორეჟისორი.
- ანრი მიშო (1899-1984) — ფრანგი პოეტი და მხატვარი.
- დინო ბუძატი (1906-1972) — იტალიელი მწერალი.
- ანტუან პევზნერი (1884-1962) — ფრანგი მხატვარი, მოქანდაკე.
- გილგამეში — შუმერული ეპოსის გმირი.
- გარსილასო დე ლა ვეგა (1503-1536) — ესპანელი პოეტი.
- ჯუზეპე არჩიმბოლდო (1527-1593) — იტალიელი მხატვარი.
- რენე კლერი (1898-1981) — ფრანგი კინორეჟისორი.
- პიერო დი კოზიმო (1462-1521) — იტალიელი მხატვარი.
- უოლეს სტივენსი (1879-1955) — ამერიკელი პოეტი.
- აიზეკ დინესენი (1885-1962) — დანიელი მწერალი ქალი.
- ალბან ბერგი (1885-1935) — ავსტრიელი კომპოზიტორი, ექსპრესიონისტი.
- სატორი — ძენ ბუდიზმში უეცარი გასხივოსნების მდგომარეობა.

→ ოდიპოსი — სოფოკლეს ტრილოგიის გმირი.

→ რასტინიაკი — ბალზაკის რომანების გმირი.

→ ფედრა — რასინის ტრაგედიის გმირი.

→ მესამე თვალი — ინდუისტური ღმერთის შივას ატრიბუტი, მოგვიანებით ოკულტურ მოძღვრებაში და მის ლიტერატურულ ვერსიებში მარადისობის აღქმის ორგანო.

→ ნორმან მაკლარენი (1914-1987) — კანადელი კინორეჟისორი, მულტიპლიკატორი.

→ პიერ ბონარი (1867-1947) — ფრანგი მხატვარი.

→ ალბერ სანტოს დიუმონი (1873-1932) — ფრანგი მფრინავი (წარმოშობით ბრაზილიელი).

→ გიორგი გურჯიევი (1877-1949) — ფილოსოფოსი მისტიკოსი, ქართული წარმოშობის.

→ „ბუვარი და პეკიუშე“ — ფლობერის დაუმთავრებელი რომანი.

→ სანჩის სტუპა — ბუდისტური არქიტექტურული ძეგლი ინდურ სოფელ სანჩიში (III—II სს. ჩვ.წ-მდე).

→ ღვთიური მესაათე — ევროპულ ფილოსოფიასა და საბუნებისმეტყველო ფილოსოფიაში წარმოდგენა, რომელიც ჩამოყალიბდა რაციონალიზმის (კერძოდ, დეკარტის, ვოლტერის) ეპოქაში.

→ ნოემა — ცნება ედმუნდ ჰუსერლის ფენომენოლოგიაში, მთლიანი, ერთიანი აზრის მატარებელი. ეს არის გასაღები ნმ-ე თავის, სადაც ლექსიკურად გაუგებარი სიტყვები აზრს იძენენ მათი გრამატიკული ფორმის და აკუსტიკური ჟღერადობის გამო.

→ მაისტერ ეკჰარდტი (1260-1327) — გერმანელი მწერალი, მისტიკოსი.

→ „დაკარგული სამოთხე, დაკარგული, რომ მე ვეძებო, მე, სინათლეს მოკლებული სამარადუამოდ...” — ესპანელი პოეტის რაფაელ ალბერტის (1902-1999) ლექსიდან „დაკარგული სამოთხე”.

→ გურუ — ინდუიზმის მოძღვრებაში სულიერი მოძღვარი.

→ მაქს პლანკი (1858-1947) — გერმანელი ფიზიკოსი, კვანტური თეორიის ფუძემდებელი.

→ ვერნერ ჰაიზენბერგი (1901-1976) — გერმანელი ფიზიკოსი, კვანტური მექანიკის ფუძემდებელი.

→ ურკალია — მუსულმანურ-სექტანტური „მესამე სამყარო”, შუამავალი ადამიანებსა და სულებს შორის, წარმოსახვის სფერო, სადაც სულები სარკვეში არეკლილი სახეებია.

→ „ნიკიტასა თუ დუაიტის სიფათები, ან შარლისა და ფრანსისკოსი...” — ხრუშოვის, ეიზენჰაუერის, დე გოლის და ფრანკოს სახელები.

→ დედოფალი მები — ინგლისური ჯადოსნური ფოლკლორის პერსონაჟი. როგორც ფანტაზიის და სიცილის სიმბოლო ამ შემთხვევაში წარმოდგენილია როგორც ტრაგედიის მუზის მელპომენეს საპირისპირო სახე.

→ მოდულორი — მშენებლობაში ჰარმონიული პროპორციების ფორმულა, რომელიც 1940-ან წლებში შეიმუშავა ფრანგმა არქიტექტორმა ედუარ ლე კორბუზიემ (1887-1965).

→ „ბეატრიჩე მდინარის ნაპირზე...” — სცენა დანტეს „ღვთაებრივი კომედიიდან”.

→ იგლუ — ესკიმოსების საცხოვრებელი, გაკეთებული ყინულის ფილებისგან.

→ ლასკო — გამოქვამული საფრანგეთში პალეოლითის-დროინდელი ნახატებით.

→ ჟორჟ მათიე (1921-2012) — ფრანგი მხატვარი, აბსტრაქციონისტი.

→ ეონი — ძველბერძნულ ფილოსოფიურ ტრადიციაში და მოგვიანებით ოკულტურ მოძღვრებებში დროის როგორც აზრობრივი მთლიანობის აღნიშვნა.

→ ორმუზდი (ორმაზდ, აჰურა მაზდა) — ზორასტრიზმის ირანულ რელიგიურ სისტემაში უმაღლესი ღვთაება.

→ აჰრიმანი (არიმანი) — ბოროტი სული, წყვდიადის მეფე ზორასტრიზმში.

→ „პირველად იყო ცირკი“ — ციტატა ამერიკელი პოეტის ედუარდ კამინგსის (1894-1962) ლექსიდან „როცა ღმერთმა გადაწყვიტა შეექმნა...“

→ „mon semblable, mon frère“ — ბოდლერის ლექსიდან „მკითხველისადმი“.

→ „ულისე“ — ირლანდიელი მწერლის ჯეიმს ჯოისის (1882 — 1941) ნოვატორული რომანი.

→ „The Waves“ — ინგლისელი მწერლის ვირჯინია ვულფის (1882-1941) რომანი.

→ მარსელ ჟუნდო (1888-1979) — ფრანგი მწერალი.

→ აურანგაბადი — ქალაქი ინდოეთში.

→ ლუი პოუელი (1920-1997) — ფრანგი პროზაიკოსი, ჟურნალისტი.

→ ჟაკ ბერჟიე (1912-1978) — ფრანგი მწერალი, ჟურნალისტი.

- ოგიუსტ კონტი (1798-1857) — ფრანგი ფილოსოფოსი და სოციოლოგი.
- რობერტ ვილჰელმ ბუნზენი (1811-1899) — გერმანელი ქიმიკოსი.
- ბარი ულანოვი (1918-2000) — ამერიკელი ხელოვნებათმცოდნე, ჯაზის პროპაგანდისტი.
- კუტი უილიამსი (1911-1985) — ამერიკელი ჯაზ-მუსიკოსი, მესაყვირე და მომღერალი.
- „ლესბიას ბელურები“ — ძველრომაელი პოეტის კატულუსის ელეგიიდან, რომელიც მან მიუძღვნა თავისი შეყვარებულის ბელურას, სახელად ლესბია, სიკვდილს.
- „ბჰაგავადგიტა“ — ძველინდური პოემის „მაჰაბჰარატას“ ნაწილი, კრიშნასა და არჯუნას დიალოგის ფორმით გადმოცემულია ინდუიზმის ძირითადი პოსტულატები.
- კონსტანტინ ბრანკუზი (1876-1957) — ფრანგი მოქანდაკე.
- ჟან ჟენე (1910-1986) — ფრანგი მწერალი.
- სერჟ პოლიაკოვი (1900-1969) — ფრანგი მხატვარი.
- ჟან ფოტრიე (1898-1964) — ფრანგი მხატვარი.
- მიშელ მორგანი (1920-2016) — ფრანგი კინომსახიობი.
- კრისტიან როშფორი (1917-1998) — ფრანგი ფემინისტი მწერალი ქალი.
- ანტუან ბლონდენი (1922-1991) — ფრანგი მწერალი, იუმორისტი.
- ფრენკ ლლოიდ რაითი (1869-1959) — ამერიკელი არქიტექტორი და არქიტექტურის თეორეტიკოსი.

→ არგუსი — ძველბერძნულ მითოლოგიაში მრავალთვალა გოლიათი, რომელიც განგმირა ჰერაკლემ.

→ ოგდენ ნეში (1902-1971) — ამერიკელი პოეტი.

→ მარკიზა მარი დე ბრენვილიე (1630-1676) — ფრანგი არისტოკრატი, რომელმაც მოწამლა მამა და ორი ძმა, რის გამოც სიკვდილით დასაჯეს. მრავალი ლიტერატურული ნაწარმოების გამირი.

→ პროქსენიტიზმი — ძველ საბერძნეთში: პრივილეგიების სისტემა უცხოელთათვის, რომელთაც დამსახურება მიუძღვოდათ პოლისის ქალაქის მიმართ.

→ ჯორჯ პუტენჰემი (1520-1590) — ინგლისელი მწერალი.

→ „ჩიტი როკ...“ — უზარმაზარი მტაცებელი ფრინველი არაბული მითოლოგიიდან.

→ Shell Mex — საწვავის მწარმოებელი ფირმა.

→ Pelure d'oignon — სუფრის ღვინო, ითვლება იაფფასიანად.

→ ატალა — ფრანგი მწერლის ფრანსუა რენე დე შატობრიანის (1768-1848) მოთხრობის გამირი.

→ გერმანტები — არისტოკრატული ოჯახი მარსელ პრუსტის ეპოპეიდან „დაკარგული დროის ქებნაში“.

→ მნემოტექნიკა — წესები და ილეთები, რომლებიც აადვილებს საჭირო ცნობების დამახსოვრებას ხელოვნური ასოციაციების შექმნის გზით.

→ ური — ძველ მესოპოტამიაში ქალაქი.

→ ებრა პაუნდი (1885-1972) — ამერიკელი პოეტი.

- თეოდორ ცვინგერი (1533-1588) — შვეიცარიელი ექიმი და მწერალი.
- ასტროლაბია — ასტრონომიული ხელსაწყო გრძედების და განედების დასადგენად.
- ეუსაპია პალადინო — მეოცე საუკუნის დასაწყისის იტალიელი სპირიტუალისტი.
- ტრისტანი — შუა საუკუნეების ევროპული თქმულებების გმირი. მოგვიანებით მრავალ ევროპულ ხელოვნების ნაწარმოებში ჰპოვა ასახვა.
- ჯეინ ეირი — შარლოტა ბრონტეს (1816-1855) ამავე სახელწოდების რომანის გმირი.
- ლაფკადიო — ანდრე ჟიდის რომანის „ვატიკანის მიწისქვეშეთი“ გმირი.
- ლეოპოლდ ბლუმი — ჯეიმს ჯოისის „ულისეს“ გმირი.
- ულრიხი — რობერტ მუზილის რომანის „უთვისებო ადამიანი“ მთავარი გმირი.
- მოლოი — სამუელ ბეკეტის ამავე სახელწოდების რომანის გმირი.
- დარლი — ინგლისელი მწერლის ლორენს დარელის (1912— 1990) ტეტრალოგიის „ალექსანდრიული კვარტეტი“ გმირი.
- ვილჰელმ დილთეი (1833-1911) — გერმანელი ფილოსოფოსი, კულტურის მკვლევარი.
- ედმუნდ ჰუსერლი (1859-1938) — გერმანელი ფილოსოფოსი, ფენომენოლოგიის ფუძემდებელი.
- მალკოლმ ლაური (1909-1957) — ინგლისელი მწერალი.

→ ფრაი ლუის დე ლაონი (1527-1591) — ესპანელი პოეტი, მისტიკოსი.

→ „ჩვენო ჰორაციუს კურაციუსო...“ — რომაული მითოლოგიის პერსონაჟებზე მინიშნება. სამმა ახალგაზრდამ ჰორაციუსების გვარიდან დაამარცხეს საკუთარი ბიძაშვილები კურაციუსები და ამით დაასრულეს ომი რომსა და ალბა ლონგას შორის.

→ ბერდი — ამერიკელი ჯაზ-მუსიკოსის ჩარლი პარკერის (1920-1955) მეტსახელი.

→ „ვარდის რომანი“ — XIII ს. ფრანგული ალეგორიული რომანი.

→ რენე შარი (1907-1988) — ფრანგი პოეტი.

→ რობერტ ოპენჰაიმერი (1904-1967) — ამერიკელი ფიზიკოსი, ხელმძღვანელობდა ატომური ბომბის შექმნას.

→ ლურდი — ქალაქი სამხრეთ საფრანგეთში, მომლოცველობის ადგილი. გადმოცემით, 1858 წელს ლურდის მცხოვრებ ბერნადეტე სიბურუს ღვთისმშობელი გამოეცხადა.

→ შუგარ რეი რობინსონი (1920-1989) — ლეგენდარული ამერიკელი მოკრივე.

→ ლუკას კრანახი (1472-1553) — გერმანელი ფერმწერი და გრაფიკოსი.

→ „...ფილოსოფოსი და პეპელა...“ — იგავი ტრაქტატიდან „ჩჟუან ცზი“. ფილოსოფოსს ესიზმრება, რომ არის პეპელა, რომელსაც ესიზმრება, რომ არის ფილოსოფოსი და ა.შ. ეს იგავი შევიდა ბორხესის მიერ შედგენილ ფანტასტიკური ლიტერატურის ანთოლოგიაში.

→ ფუ-მანჩუ — ექიმი ფუ-მანჩუ, ბოროტი გმირი ინგლისელი მწერლის საქს რომერის (1883-1959) რომანებიდან, რომლებიც არაერთხელ იქნა ეკრანიზებული.

→ გუნაჰანი — კოლუმბის აღმოჩენილი პირველი ამერიკული კუნძულის აბორიგენული დასახელება. კონკრეტულად რომელი კუნძული იყო, დღემდე საკამათოდ რჩება.

→ კეჩუა — ინდიელთა ტომი, რომელიც ცხოვრობდა თანამედროვე არგენტინის, ჩილეს, ეკვადორის, ბოლივიის და პერუს ტერიტორიაზე.

→ ჰუგო ფონ ჰოფმანსტალი (1874-1929) — ავსტრიელი მწერალი.

→ ხუან ფილო (1894-2000) — არგენტინელი მწერალი, ექსპერიმენტატორი. მისი ნაწარმოებების ფართოდ გამოქვეყნება მხოლოდ 70—იან წლებში დაიწყო.

→ ლუი დომინიკ კარტუში (1693-1721) — ფრანგი ქურდი, ბანდის მეთაური. სიკვდილით დასაჯეს. მრავალრიცხოვანი ლიტერატურული ნაწარმოების გმირი.

→ „...ჩემო ქარიშხლიანო უღელტეხილო... „ — მინიშნება ემილი ბრონტეს ნაწარმოებზე „ქარიშხლიანი უღელტეხილი“.

→ დოპასიენ ალფონს ფრანსუა დე სადი (1740-1814) — ფრანგი მწერალი, ესეისტი, დრამატურგი (სადიზმი, სადისტი — მომდინარეობს მისი სახელიდან).

→ ჰენრი მილერი (1891-1980) — ამერიკელი მწერალი და მხატვარი, მის ნაწარმოებებში ბევრი ეროტიული სცენაა.

→ „Onze mille verges” — „თერთმეტი ათასი ჯოხი”, გიომ აპოლინერის (1880-1918) ეროტიული რომანი.

→ ფრანსუაზა საგანი (1935-2004) — ფრანგი მწერალი.

→ ბერნარ ბიუფე (1928-1999) — ფრანგი მხატვარი.

→ გროკი — შვეიცარიელი ჯამბაზის ადრიან ვეტაშის (1880 — 1959) სცენიური სახელი.

→ ჯეიმს ენსორი (1860-1949) — ბელგიელი მხატვარი.

→ პალერმო — აქ: ბუენოს აირესის უბანი.

→ გეშტალტფსიქოლოგია — მეოცე საუკუნის 20—იან წლებში წარმოქმნილი მიმდინარეობა ფსიქოლოგიაში.

→ ანაის ნინი (1903-1977) — ამერიკელი მწერალი.

→ რანჩერა — არგენტინულ სოფლებში გავრცელებული ხალხური სიმღერები.

→ არმან სალაკრუ (1899-1989) — ფრანგი დრამატურგი.

→ ჟან ანუი (1910-1987) — ფრანგი დრამატურგი.

→ „Totenkinder lieder“ — გუსტავ მალერის (1860-1911) სიმღერათა ციკლი.

→ ჟორჟ ბატაი (1897-1962) — ფრანგი მწერალი, ფილოსოფოსი.

→ ლიონელო ვენტური (1885-1961) — იტალიელი ხელოვნების ისტორიკოსი.

→ კარლო არგანი (1909-1992) — იტალიელი ხელოვნების ისტორიკოსი.

→ ლუის მარშალი (1856-1929) — ამერიკელი იურისტი.

→ უილიამ ბლექსტონი (1723-1780) — ამერიკელი იურისტი.

→ კლარენს დეროუ (1857-1938) — ამერიკელი იურისტი.

→ ლორენს ფერლინგეტი (დ. 1919) — ამერიკელი მწერალი და მხატვარი.

→ Bosch-like (ბოსხისებური სამყარო) — იერონიმუს ბოსხი (დაახლ. 1460-1516) — ნიდერლანდელი მხატვარი.

→ ჩან კაიში (1887-1975) — ჩინეთის მეთაური (1928-1948 წწ.), ჩინეთის რევოლუციის შემდეგ გარდაცვალებამდე იგი იყო ტაივანის დიქტატორი.

→ ლუდვიგ ახიმ ფონ არნიმი (1781-1831) — გერმანელი მწერალი, რომანტიკოსი; „იზაბელა ეგვიპტელი“ — მისი ფანტასტიკური რომანი.

→ „...ცივილიზაციის ეტაპები...“ — ცივილიზაციის წარმოშობის, აყვავებისა და დაღუპვის სტადიების კონცეფცია, რომელიც განავითარა არნოლდ ტონიბიმ (1889-1975) ნაშრომში „ისტორიის შესწავლა“.

→ პოლ რივე (1876-1958) — ფრანგი ეთნოგრაფი, ლათინური ამერიკის ინდიელების კულტურის მკვლევარი.

→ კარლ ლინე (1707-1778) — შვედი ბოტანიკოსი და ბოლოლოგი, რომელმაც შექმნა მცენარეული და ცხოველთა სამყაროს უნივერსალური კლასიფიკაცია.

→ სკალიგერები — ვერონის გამგებელთა გვარი XIII—XIV სს.

→ ჩივილკოი — ქალაქი ბუენოს აირესის პროვინციაში.

→ ჰარტ კრეინი (1899-1932) — ამერიკელი პოეტი. ციტირებულია მისი ლექსი „ჩაპლინის სულით“.

→ მაზაჩო (1401-1428) — იტალიელი მხატვარი; იგულისხმება მისი ფრესკა „ადამისა და ევას განდევნა სამოთხიდან“, ბრანკაჩის კაპელაში ფლორენციაში.

→ ხოსე დე ესპრონსედა (1808-1842) — ესპანელი პოეტი და დრამატურგი, იგულისხმება სასაფლაოს მოტივები მისი პოემიდან „სალამანკელი სტუდენტი“.

→ მაკარონული — ნაწარმოები, რომელშიც გამოიყენება სიტყვები სხვადასხვა ენაზე (ჩვეულებრივ კომიკური ეფექტის შესაქმნელად).

→ „...ერთს ტუკუმანისა სწამდა, მეორეს — 9 ივლისის...“ — კორტასარის ირონია იმაში მდგომარეობს, რომ ტუკუმანი და 9 ივლისი პირდაპირ არის ერთმანეთთან დაკავშირებული. ტუკუმანის კონგრესი, რომელზეც გამოცხადდა ლა-პლატის გაერთიანებული პროვინციების თავისუფლება ესპანეთის ბატონობისგან, სწორედ 9 ივლისს გაიმართა.

→ კოპროფაგია — საკუთარი განავლის ჭამა.

→ როჯერ კეიზმენტი (1864-1916) — ირლანდიელი პოლიტიკური მოღვაწე. მისი „შავი დღიურები“, რომელიც გამოქვეყნდა 1959 წელს შეიცავს შოკისმომგვრელ ინტიმურ დეტალებს.

→ Arbeit macht frei — წარწერა ჰიტლერისდროინდელი გერმანიის საკონცენტრაციო ბანაკების კარებზე.

→ Zeitgeist — გერმანელი ფილოსოფოსის იოჰან გოტფრიდ ჰერდერის (1744-1803) გამოთქმა, რომელიც ღრმად დამკვიდრდა მოგვიანებით კულტურულ ტრადიციაში.

→ ანშლუსი — 1938 წლის 12 მარტს ჰიტლერის არმია შევიდა ავსტრიაში.

→ უპანიშადები — რელიგიური ტრაქტატების კრებული, შექმნილი ინდოეთში.

→ „...რემბოს „Exeunt“ — „Exeunt“ თეატრალურ ენაზე ნიშნავს „გასვლა“—ს (სცენის დატოვებას). ფრანგმა პოეტმა არტურ რემბომ (1854-1891) თავი დაანება ლექსების წერას 21 წლის ასაკში, რასაც აღწერს კორტასარი ტერმინით „Exeunt“.

→ პიეტრო პერუჯინო (1455-1523) — იტალიელი მხატვარი, რაფაელის მასწავლებელი.

→ ლეონ ბატისტა ალბერტი (1404-1472) — იტალიელი არქიტექტორი და ხელოვნების თეორეტიკოსი.

→ ჯოვანი პიკო დელა მირანდოლა (1463-1494) — იტალიელი მოაზროვნე — ჰუმანისტი (არაერთხელ ახსენებს ილია ჭავჭავაძე).

→ ლორენცო ვალა (1405-1457) — რენესანსის ეპოქის იტალიელი მოაზროვნე.

→ იაკობ ბურკჰარდტი (1818-1897) — შვეიცარიელი ხელოვნების და კულტურის ისტორიკოსი, ფილოსოფოსი.

→ ბერნარდ ბერენსონი (1865-1959) — ამერიკელი ხელოვნების ისტორიკოსი.

→ ანდრეა დელ სარტო (1486-1530) — იტალიელი მხატვარი.

→ ემილ ლიტრე (1801-1881) — ფრანგი ფილოლოგი და ლექსიკოგრაფი, რომელმაც შეადგინა ცნობილი „ფრანგული ენის ლექსიკონი“.

→ არმაგედონი — ქრისტიანული ტრადიციის მიხედვით ანტიქრისტეს ურდოებთან ღმერთის ბრძოლის ადგილი (და თავად ბრძოლა).

→ ვიტოლდ გომბროვიჩი (1904-1969) — პოლონელი მწერალი. დიდი ხნის განმავლობაში ცხოვრობდა არგენტინაში და საფრანგეთში.

→ „Novum Organum“ — ინგლისელი ფილოსოფოსის და მეცნიერის ფრენსის ბეკონის (1561-1626) ფუძემდებლური ნაშრომის სათაური, რომელიც შეეხება მეცნიერული კვლევის ახალ რაციონალურ მეთოდს.

→ გაბიო ბასო — I—II სს. რომაელი მწერალი.

→ აულიო გელიო (130-180) — რომაელი მწერალი.

→ სუფიზმი — მისტიკურ-ასკეტური მიმდინარეობა ისლამში.

→ ჟან ტარდიე (1903-1995) — ფრანგი მწერალი.

→ „არსებობა უსწრებს არსს...“ — ეგზისტენციალიზმის საკვანძო ფორმულა, წამოაყენა ჟან-პოლ სარტრმა („ეგზისტენციალიზმი ჰუმანიზმი“, 1952).

→ ხოსე ბერგამინი (1897-1983) — ესპანელი პოეტი და პროზაიკოსი.

→ კაზიმირ მალევიჩი (1878-1935) — რუსი მხატვარი, ავანგარდისტი, იგულისხმება მისი ტილოები „შავი კვადრატი“ და „თეთრი კვადრატი“.

→ რენე თეოფილ ლენეკი (1784-1826) — ფრანგი ექიმი, გამოიგონა სტეტოსკოპი (ფონეიდოსკოპის წინამორბედი) და პირველად გამოიყენა აუსკულტაცია (ავადმყოფის მოსმენა).

→ „...ბალზაკი-როდენი, ან როდენი-ბალზაკი...“ — იგულისხმება ოგიუსტ როდენის შექმნილი ბალზაკის ქანდაკება.

→ დევერია — ფრანგი მხატვრები, ძმები აშილი (1800-1857) და ეჟენი (1805-1865).

→ ალოიზიუს ბერტრანი (1807-1841) — ფრანგი პოეტი.

→ ბარბე დ'ორევილი (1808-1889) — ფრანგი მწერალი.

→ „მილონგიტა“ — ენრიკო მედრო დელფინოს ტანგო.

→ „შავი ყვავილები“ — ხულიო დე კაროს ტანგო.

→ ხაიმ სუტინი (1911-1943) — პარიზის სკოლის მხატვარი.